ალი
ბოლქვიანი

ჩრდილი
თხზულებანი



გამომცემლობა
„საქართველო“

ლექსები

II ტომი



თბილისი
1991



პროლოგის მაგიერ

ამ წიგნში მოთხრობილი ამბავი სულ ახლახან შეეიტყვე და უფრო ადრე ამის დაწერა არ შეეძლო. მართალია, ხალხმა თავშეკავებულად, ძენწად მიამბო, მაგრამ ბევრი რამ თეთრმა მთებმა მითხრეს, ზოგი კიდევ საჯიხვეებს წამოვაცდენინე და ბოლოს, ჩემი თვალით ენახე ის ორი გამოქვაბული, სადაც ეს ცოდვა-ბრალი დატრიალდა.

ომის შემდეგ აგერ ოცდახუთი წელი გავიდა და იქნებ აღარც ღირდა ძველი ტკივილების გახსენება, მაგრამ ეს ომი დედამიწის ომხელა ჭრილობა იყო, რომ ჯერაც არ შეხორცებულა.

ჰოდა, მინდა გიამბოთ მშვენიერ გუცაზე, სვან გოგონა თაჯიზე და ბიქების: თეთარის, ვახოს და გუას შურისძიებასა და გამბედაობაზე, ჯარისკაც სიოშზე, უჩინარ აბი ნანსყანზე და თერთმეტ გერმანელ დესანტზე...

ვ ე ტ ო რ ი ი

ნაწილი პირველი

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

განუწყვეტელი შეტაკებებითა და დაბომბვით განახევრებულ სამთო მსროლელ რაზმში გერმანულის მცოდნე ვერავინ აღმოეჩინათ. ფერდობზე გამოთხრილ მიწურში, სადაც დაბალი კაციც თავდახრილი შედიოდა, ხელ-ფეხ შეკრული მწვანე მუნდირიანი ორი ჯარისკაცი ეგდო და ხმის გამცემი არავინ იყო.

გამთენიისას ულელტეხილზე სამკვდრო-სასიცოცხლო შეტევა უნდა დაეწყოთ და ამ ენაამოუდგმელი „მოენეების“ ყოველი სიტყვა ოქროს ფასი ღირდა.

პოლკის შტაბში გერმანულის მცოდნე როგორ არ ჰყავდათ, მაგრამ იქ კაცი დილამდე ვერ მიაღწევდა, მერედა მცოდნეს აქეთ ვინ გამოგატანდა. იქეთ წაგეყვანა და ამ ცატეხია მწვერვალების ბილიკებზე ორი გაკოჭილი ახმახი როგორი საფრთხე იყო.

მიწურში რომ წითელარმიელი შემოვიდა და გასწორდა, თავი ზემოდან მიწადაყრილ ნედლ მორებს მიარტყა და მეთაურთან მისასალმებლად აწეული ხელი კვინიზზე იტაცა.

მიწურის კედელთან, მსხვილ მორზე ჩამომჯდარი უმცროსი ლეიტენანტი ჩაჩოჩდა და შემოსულს ხელით ანიშნა, ჩამოჯექიო.

ჯარისკაცი დაიბარა, მაგრამ უფროსის ნებართვას დაუცადა, მანამდე მაინც არ დაჯდა.

— აჰა, გაბულდანიც მოსულა... — სქელულვაშებიანმა მეთაურმა, რომელსაც მხოლოდ შუბლზე ჰქონდა ნაოჭები, თვალებში შეხედა და ჯარისკაცს თავი დაუქნია, დაჯექიო.

ორი საათის დაღამებული იყო, როცა ეს ჯარისკაცი ცხენზე ამხედრებული შეჰოვარდა კოშკებსა და მაჩუბებს შორის ღორების ნაკელით და შარდით აქოთებულ ვიწრო ორღობეში და ძაღლებს ყეფა-გნიასი აატეხინა.

პირდაპირ დაბარებულივით მიადგა მაღალი კოშკის ძირას მიდგმული ფიქალის სახლს. არ დაუძახია, არც ქოფაკის მიტიება ჩაუგდია რამედ, მაშინვე ჩამოქვეითდა, შქერის წკნელით გამოღობილი ჭიშკარი შეაღო და ცხენს ეზოში შეუძღვა.

ქორა მახვშმა მდგმური ქალის ამ შუაღამისას სადღაც დასაკარგავში გაშვება შორს დაიჭირა. სიოშ გაბულდანს კარგად იცნობდნენ და ენდობოდნენ, ენდობოდნენ რას ჰქვია, იგი ამ სოფლის შვილი იყო, მაგრამ მახვში მზად იყო შვილიშვილები გაეგზავნა, სტუმარს კი ვერ ურჩევდა წასვლას.

სიოში ხელცარიელი უკან გაბრუნებას არ აპირებდა და მოითხოვა, თვითონ უცხო ენის მასწავლებლისათვის ეკითხათ.

ბაბუა ბესლანს ეწყინა. ქვედა ყბა აუკანკალდა და ჯარისკაცს გაუჯავრდა:

— რაი, ის რომ თანახმა იქნეს!..

სიოშს ხმა არ გაუღია, მაგრამ აღგილიდან ფეხი არ მოიცვალა.

მძიმე, უხერხული დუმილი ჩამოწვა, მერე ფეხის ხმა მოისმა. ფეხის ნმას კარის ჭრიალი მოჰყვა. გუცა თავისი ოთახიდან გამოვიდა.

— ხოჩა ნებოზ, — სვანურად თქვა ქალმა.

ჯარისკაცი მიტრიალდა და წუთით თვალები გაუშტერდა.

ქალმა სახე ნაუცბათევად აარიდა, წინ წამოვიდა, მოხუცის ახლოს დადგა. მახვშს მასწავლებლის შემოსვლა არ ეამა, სახის ნაოჭები დაუღრმავდა, მდგმურს შეხედა და ჯარისკაცს გასაგონად თქვა:

— ეს არ შეიძლება!

გაბულდანი შეირხა. მარჯვენა ხელის თითები წამოსწია და ფეხის ქუსლი ქუსლს მიუახლოვა. მოხუცისადმი პატივისცემა ჯარისკაცს მეთაურთან ლაპარაკის წესებში აერია, მაგრამ ხელი აღარ აუღია და არც რაიმე უთქვამს.

— ბაბუა ბესლან, გამოუშვით თაჯი და წავალ, — თქვა ქალმა.

გუცას თანხმობა მოხუცმა ისე მოისმინა, თითქოს ამ ამბავთან არაფერი ესაქმებოდა. მახვში იმიტომ კი არ იყო წინააღმდეგი, რომ სტუმრის თანხმობის იმედი არ ჰქონდა; საფიქრალი და ანგარიშვასაწევი სხვა იყო: თვითონ ქორა მახვშის უფლებები.

— ხვალ მე თვითონ ჩამოვიყვან, — თქვა სიოშმა.

გუცამ ამ ჯარისკაცის ხმა თავის ოთახში რომ გაიგონა, მის ნათქვამში ეს ხვეწნისმაგვარი კილო მაშინ არ ერია.

მახვშს ეს არ შეუმჩნევია.

გუცამ ისევ გაუმეორა მოხუცს, თუ თაჯის გააყოლებდა, წავიდოდა.

მახვშს თითქოს ისევ არ გაეგონოს, თავი აიღო და ჯარისკაცს სახეში შეხედა.

— სოფელს მე უნდა ვუპასუხო.

— თქვენ ჩემთან გექნებათ საქმე — თქვა ჯარისკაცმა, ქალს თვალებში შეხედა და ფიცივით დაუმატა: — მე თუ ცოცხალი ვიქნები...

მოხუცი არ განძრეულა, მაგრამ გუცა მიხვდა, რომ ამ სიტყვას ენდობოდა მახვში. თანხმობა მაინც არ თქვა, ყალიონი გატენა, მოუკიდა, სიოშს ახედ-დახედა და თუთარი იხმო.

სირბილით მოიჭრა რუხ ნაბდისქუდიანი, წითელლოყება ბიჭი.

— შენს ძმას დაუძახე!

თუთარი ბიძაშვილის მოსაყვანად გაუშვა. ბიჭი გაიქცა, სანამ ვახოს მოიყვანდა, ბაბუა ყალიონს ეწეოდა და არავის არაფერი უთქვამს.

ცოცხალთვალება, ყელწაგრძელებული მკვირცხლი ბიჭი წარსდგა მოხუცის წინაშე და სმენად იქცა:

— ცხენები შეკაზმეთ!

ბიჭებმა უსიტყვოდ დააპირეს გაბრუნება.

— ფაშატს ჩემი უნაგირი დაადგით, გრძელი აღვირი გაუკეთეთ.

ბიძაშვილები რომ გაიქცნენ, ქალიშვილიც ჩქარი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან, კარი მიიხურა.

მახვში ფანჯარასთან მივიდა და პირიდან ყალიონგამოუღებლად ბნელს მიაშტერდა.

წასვლისას ცალკე გაიხმო ორივე შვილიშვილი, დაარიგა, ცხენებს თვითონ გაუსინჯა მოსართავები და თავისივე ხელით შესვა მდგმური უწყინარ ფაშატზე. წინ სიოშს უბრძანა წასვლა, უკან თაჯი გაუშვა და გუცას მერე მისცა ნება, გაჰყოლოდა. თავისი ლულახაზიანი თოფი თუთარს გადაჰკიდა მხარზე, ვახო გააფრთხილა, ყოარილი კარგი გახედნილი არ იყო და ლაგამი არ მიეშვა.

თავი მეოთხე

პირველ გასროლაზე მხოლოდ ბოლო, მეხუთე ცხენი დაფრთხა და ქალმა შეჰკივლა. ერთხანს ხევში ჩაგორებული ქვის ხმა ისმოდა. მერე წამით ყველაფერი გაყუჩდა.

ბნელოდა. ბილიკზე ძლივს ჩანდა ხუთი ცხენოსანის ლანდი. უკან მდგომმა ორმა ახალგაზრდამ არ იცოდა ამ დროს როგორ მოქცეულიყო, მაგრამ ასე ამხედრებული ყოფნა, როცა ჩასაფრებული მტერი ტყვიას გიშენს, შეუძლებელია.

მათ წინ მდგომ ორ ნაბდიანს ამ ამბის სულ არაფერი გაეგებოდა. ცხენიდან ძირს ჩამოხტომა რომ ყოფილიყო საჭირო, ერთი მათგანი სხვის დაუხმარებლად ვერც ამას მოახერხებდა.

ყველა მიჩერებული იყო მეწინავეზე. მან განგებ შორი, უხიფათო გზა აირჩია, აქამდე ისე მოვიდა, ხელში თოფი არც კი სჭერია. როცა ტყვიამ ყურთან უწივლა, მოუფიქრებლად იტაცა ხელი იარაღზე, შემართა, მაგრამ არ გაუსვრია — ბნელში ჩასაფრებულ მტერს ნიშანში ვერ ამოიღებ.

მეწინავეს შეეძლო ხელის ერთი დაკვრით გადმომბტარიყო ცხენიდან და კლდის პირს გაჰკვროდა. თუ მტერს სამიზნედ ვერ ჩაიგდებდა, არც თვითონ გაიხდიდა თავს ორბების საძიძგნად, ამჯერად შეეწია ღმერთი და დააცილეს, მაგრამ მაინც გაუნძრეველად იდგა, თითქოს არ ელოდა იმ მეორე გასროლას, რომლისაგან კვლავ სასწაული თუ დაიფარავდა.

ჩასაფრებულთ უთუოდ უკვირდათ მხედრების უმოქმედობა და მორიგ სროლას, ალბათ, ამიტომ აგვიანებდნენ.

ხსნა არ ჩანდა, ხუთივე განწირული იყო. ელოდათ სიკვდილი ან ტყვედ ჩავარდნა.

საიდან გაჩნდა აქ მტერი?!

ეს უთუოდ დესანტის ახალი ჯგუფი იყო, რომლის არსებობაც აქ ჯერ არავინ იცოდა.

ხელახლა არ გაუსვრიათ. მათ ცოცხალი კაცი სჭირდებოდათ, მაგრამ ერთი ან ორი, დანარჩენებს ახლავე ამოიღებდნენ ნიშანში და გზიდან ჩამოიცილებდნენ.

— არ გაინძრეთ! — ხმადაბლა, მაგრამ გარკვევით თქვა მეწინავემ.

არავინ განძრეულა.

— თუთარ! — არ უპასუხეს, მაგრამ სიოშმა იცოდა, ვისაც ეუბნებოდა, კარგად ესმოდა. — შენ და ვახო გაწექით ცხენებზე, მიატრიალეთ და მოუსვით!

მეწინავეს აზრით, ეს იყო ყველაზე უკეთესი, რისი გაკეთებაც ახლა მოხერხდებოდა — ხუთიდან ორი მაინც გადაერჩინა.

უკან მდგომთაგან არავინ იძვროდა.

— სიოშ! — მოისმა ზურგს უკან მუდარით.

ამ ერთ სიტყვაში ყველაფერი იყო: ასე სამარცხვინოდ გაქცევა არ შეეძლოთ პირტიტველა, მაგრამ კარგ მსროლელ და უშიშარ ბიჭებს.

— კი არ გაიქცევით, უკან დაიხევთ, კარაბინს მარჯვნივ ჩავაგდებ, დილით იპოვით.

ჯარისკაცმა იცოდა, ბიჭებს ხვალ აქ ცოცხალი არავინ დახვდებოდათ.

უეცრად ორი მხედარი ადგილიდან მოწყდა და ნალების ჭახანთან ერთად ზედიზედ გასროლაც გაისმა. სიოში გადაიწია და ადგილზე დასობილმა ცხენმა ფეხი განზე გადგა, რომ წონასწორობა დაეცვა. კარაბინი ხრიალით დაცურდა ქარაფზე.

წინ, საიდანაც წეღან ცეცხლის ენები გადმოეკიდა, ვილაცები

ჩამოფოფხდნენ. ერთი, მეორე... ცხენმა დაიჭიხვინა, დაპრილი უნაგირს გადაეკიდა, ეტყობოდა, ფეხი წინდაწინ ჰქონდა გამოღებული უზანგიდან და მაშინვე გადავარდა.

დანარჩენი ორი ნაბდიანი მხედარი არ იძვროდა. ახლა მათ გადაუარეს თავზე ტყვიებმა, ცხენები ადგილზე ცემდნენ ტორებს, მერე ვიღაცამ იქვე წამოიყვირა გაზეპირებული ორი ღერი რუსული სიტყვა:

— ხელები მაღლა!

ხელები არავის აუწევია.

— დაყარეთ იარაღი!

არც იარაღი დაუყრია ვინმეს.

ისევ გაისროლეს და თავზე გადაუტარეს ტყვიები ნაბდიანებს, მერე ფეხდაფეხ მიეკრენ და ზედ ცხენების ცხვირწინ დაცალეს ამჯერადაც ჰაერში.

— ჩამოყარეთ ძირს! — მოისმა ბრძანება გერმანულად. ცხენებზე მჯდომთ წვდნენ ახლოს მოსულები, ძირს ჩამოთრევა დაუპირეს. ქალის შეკივლება აიტაცეს მთებმა.

თავდამსხმელებმა ერთი წუთით ხელი უშვეს ტყვეებს და მოულოდნელობისაგან გაშეშდნენ, მერე ვიღაცას გასძახეს:

— ქალები ყოფილან!

— ქალები?! — მოისმა პასუხად.

— ჰო, ქალები!

— შეკოკეთ!

— ქალები?!.

თავი მესამე

დადკვნებულმა ტყვიამ ვახოს ყურთან ისე ახლოს უწივლა, ეგონა, საფეთქელში გამიარაო. დაფრთხა ულაყი, ყალყზე შეიმართა. შეშინებულმა ბიჭმა სადავე მიუშვა და ქუსლი ჰკრა. ცხენი წინ გახტა და ბილიკს გაეკიდა.

მალე გამოსცდნენ ვიწროებს და თავქვე დაეშვნენ. ჩამონაშალი ქვა და ღორღი უკან ფეხდაფეხ მისდევდათ.

მდინარის ნაპირთან ჩავიდნენ. ახალგახედნილმა ულაყმა ვახოს თავი წაართვა და ბიჭმა შეეაკებაზეც ვერ დაიმორჩილა.

— ჯგერაგის მადლი გაგიწყრა, თუ რამ გადაგრია!.. — დაუყვირა პატრონმა.

— დაჭრილი ხომ არაა?! — მიაძახა თუთარმა.

ულაყისათვის ტყვიას ყური გაეხვრიტა.

— შორს გამოგვიტაცეს! — თქვა ვახომ, როცა ჩამოქვეითდნენ. — ისევ ცხენებით უნდა გავბრუნდეთ, თორემ ვერც ერთს ცოცხალს ვერ მივუსწრებთ.

თუთარს არაფერი უთქვამს. სანამ ამ სახიფათო ჭენებით იყო გართული, არ უგრძვნია ის უბედურება, რაც ელოდათ ქალებს, რომელთაც დამცველად და უკან ჩამოსაყვანად გააყოლა ის და ვახო ქორა მახვშმა, თუთარს სიოში არც აგონდებოდა. კაცი კაცია, ომსაც აიტანს, ტყვიასაც და სიკვდილსაც.

„ქალს არ ესროდნენო", — გაიფიქრა, ის კი აღარ უნდოდა დაეჯერებინა, რომ ნაბადში გახვეულთ მამაკაცისაგან ვერავინ გაარჩევდა.

— ქალებს არ ესროდნენ! — ხმამაღლა გაიმეორა, რომ ვახოს გაეგონა და ბიძაშვილის ლანდს ისეთი მოუთმენლობით შეაჩერდა, თითქოს ამ ბიჭის პასუხზე ყოფილიყოს დამოკიდებული მათი ბედი.

— არა, არ ესროდნენ! — თქვა ვახომაც, იმ წუთში სხვანაირად ვერც წარმოედგინა. — მაგრამ ტყვედ წაიყვანდნენ...

თუთარს მდუღარე გადაესხა, რაღა ქნან, რა ამბავი ჩაუტანონ ქორა მახვშს, გვარში თავი არ გამოეყოფათ, სოფელში არ გაევლებათ და ხალხში ხმა არ ამოეღებათ. ღმერთო, რა საშინელება დატრიალდა: რა მოხდა, ვინ ესროლათ, ქალები სად მიატოვეს და თვითონ სად არიან, ან ახლა რა გზას დაადგნენ?!

სიოშმა დაღუპვას გადაარჩინა ბიჭები, მაგრამ ისე მოჭრა თავი, ახლა სიკვდილიც ვეღარ უშველით.

საშველი არ იყო, უკან იმ ბილიკით უნდა დაბრუნებულიყვნენ, რომლითაც ჩამოვიდნენ.

უმალ უნაგირს მიეჭრა და თუთარმა ფილთა თოფი ისე ჩაბღუჯა, თითქოს ეს ძველისძველი იარაღი იყო მარტო მათი კი არა, განსაცდელში ჩავარდნილი ამოდენა ქვეყნის მხსნელი.

ცხენს ქუსლი ჰკრა. ვახოც ფეხდაფეხ მიჰყვა და ფლოქვების თქარათქური კვლავ აიტაცა ხევმა.

წინ უკვე კლდოვანი აღმართი იყო. ბნელი ღამე და უიმედობა.

სანამ მთას წვერში არ მოექცნენ, არც ერთს სადავე არ მოუწევია. იქ, სადაც ბილიკი იწყებოდა, უნდა ჩამოქვეითებულიყვნენ, ისევ გაჭირდა ოფლში გაწურული ცხენების დამორჩილება.

ჩამოქვეითდნენ. თუთარს ბევრი არ უფიქრია. თოფი მხრიდან ჩამოიღო, ჩახმახი შეაყენა და ფეხით ბილიკს განი მოუსინჯა.

ვახოს მამისეული ყამის მეტი თან არაფერი ჰქონდა, რომელიც ამ სალამოს. სანამ ქალებისათვის ცხენებს კაზმავდნენ, საგანგებოდ ალესა. ახლა დანა ხელში დაიჭირა და წინ წასულ თუთარს მიჰყვა. ბილიკი მაღლა მიდიოდა, ბნელში ცად აჭრილი მყინვარები ილანდებოდა.

თუთარი ჩქარობდა. თავდასხმის ადგილს გუმანით უნდა მიხვედრილიყვნენ, თვალით არაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა.

მიხვეულ-მოხვეული გზა ქვევით ჩაჰყვა. თუთარი შეჩერდა და მიაყურა. სადღაც იქვე წყალი წვეთავდა გამოზომილად.

მალე აღმართი დაიწყო. მთების მიღმა შუშხუნა გაისროლეს, ბიჭები მგლური ძუნძულით გაუყვნენ, არ შეჩერებულან, სანამ თუთარს არ შოეჩვენა, თბილი სისხლის სუნი მეცაო. გაწვნენ და სული განაბეს.

არავითარი ხმა, გარდა საკუთარი გულისცემისა.

თუთარი გაფოფხდა, უიარაღო ვახო უკან ჩამოიტოვა. ფრთხილად გადაჰქონდა თოფი, რომ ქვაზე ხმაური არ გაეღო. უკან რაღაცამ ცივად გაიწკარუნა.

— ვაი! — წასცდა ვახოს, მერე გამოფორთხდა და თუთარს ცხვირთან ხელი მიუტანა. ბიჭს დენთის სუნი ეცა.

ვახოს შაშხანის ცარიელი მასრა ეპოვა.

შეტაკების ადგილზე იყვნენ და ბაიბურიც კი არ ისმოდა.

თუთარი დიდხანს გაუნძრევლად დარჩა, მერე წამოიმართა და გაიქცა, უკვე აღარც ბილიკიდან გადაჩეხვისა ეშინოდა, არც მტრისა.

უკან დარჩენილმა ვახომ, ქვითინი რომ მოესმა, ბნელს გასძახა:

— თუთარ!

თუთარს არ უპასუხია, იგი იჯდა და ტიროდა.

— თუთარ!

სადღაც ისევე ავარდა შუშხუნა. ბიჭებს ახლა არ დაუნახავთ, რა ფერის იყო. ისხდნენ გაუნძრევლად. როცა აღმოსავლეთით ოდნავ, სულ ოდნავ ინათა, ერთბაშად სიცივემ აიტანა ორივე.

ვახოს მოაგონდა, რომ სიოშს კარაბინი უნდა ჩაეგდო ბილიკს ქვევით.

უკან გამოსწიეს. გადაწყვიტეს ციცაბოს ჩამოჰყოლოდნენ, მაგრამ ხევში ჯერ ისევ ბნელოდა და უნდა დაეცადათ.

როგორც კი ლოდები გამოილანდა, იქ სადაც ვახომ მასრა იპოვა, ბილიკის პირას ქვის შვერილს მოეჭიდა და ჩაეშვა. ფრთხილად ჩაინაც-

ვლა, მაგრამ მაინც ღაუცურდა ქვა და ხევში გაექცა, ლოდზე გადაჯდა და ის იყო ქვევით ფეხი ჩადგა, რომ იყვირა:

— ვაი!

— ვაი! — აყვირდა ზევით თუთარიც და ისიც ვახოსთან ჩახტა. ლოდის ძირში კაცის გვამი ეგდო.

— სიოშ! — წაიოიძახეს, როცა წითელი საბრეები გაარჩიეს. მერე დაავლეს ხელი და წამოყენება დაუპირეს, მაგრამ მოწყვეტილი ვაჟკაცი ვერ ზიდეს და კინალამ უფსკრულში გადაუვარდათ.

გასისხლიანებულ ცხვირ-პირს და ბეჭთან მომტვრეულ მარჯვენას, რომელიც ჩვარივით ეკიდა, სიცოცხლის ეერავითარი ნიშანი ვერ შეატყვეს.

ვახო მაღლა ამოცოცდა. უკვე იმდენად მოთენებულიყო, შეიძლებოდა გზის გარჩევა და უკან, ცხენებისაკენ გაიქცა. ულაყი ბილიკის პირს მისდგომოდა და მაღლიდან ჩამოდენილ წყლის წვეთს ლოკავდა. დაჭრილ ყურს ნერვიულად ატოკებდა.

ვახო ზედ მოევლო და გამობრუნდა.

როგორც კი ადგილზე მიიჭრა, ცხენის გაჩერებას არ დაელოდა, ჩამოცურდა და სადავე წაჰყარა.

— თუთარ! — ჩასძახა ქვევით.

— მკვდარი არ უნდა იყოს! — მოესმა პასუხად.

ცხენის აღვირს ერთი ბოლო მოხსნა, მეორე ზედ შეატოვა, უნაგირს მოსართავი აუშვა, ძირზე მიაჭრა, სადავეს გადაანასკვა. მერე ქამარი შემოიძრო, ისიც წააბა და ქვევით ჩააგდო. თუთარმა დაჭრილს წელში ამოსდო, ვახომ ცხენს დაახევინა, თვითონაც მთელი ძალით მოეჭიდა და მომაკვდავი წვალებით ბილიკზე ამოათრიეს.

ახლა გონდაკარგულის ცხენზე გადადება გაჭირდა.

ბილიკის პირას მოხერხებული ადგილი მოძებნეს, მკვდარ-ცოცხალი ზედ აიტანეს, ცხენი მიუყენეს, გადაკიდეს, უნაგირზე დააკრეს და გზას გაუყენეს.

თავი მეოთხე

უკან გაქცეული ცხენების ფეხის ხმა ჯერ კიდევ ისმოდა, როცა გერმანელებმა ქალებს ნაბდები ჩამოგლიჯეს, ერთი წამით ელექტროფარანი გაანათეს, თავიდან შუქს სახე აარიდა და თავი უფსკრულისაკენ მიაბრუნა.

— სრულიად ქორფაა! — თქვა ხმადაბლა ფარნის პატრონმა.

— ჰანს, ავი იქნება, არა? — მოისმა წამღერებასავით ხმა.

— ცოცხლად! — იძლეოდა ბრძანებას ვიღაცა ბნელში ჩასაფრებული და კი არ ყვიროდა, რაღაცნაირად ხლიჩინებდა. — ცოცხლად, შეჰკარით, შეკოჭეთ-მეთქი! — სულმოუთქმელად იძახდა, კაცს ეგონებოდა სამი დღის მშიერს პირში ცხელი კარტოფილი ჩაუდევს, ვერც გადაუყლაპავს და ვერც უკან გადმოსავდებად შელევიაო.

— რა შეკოჭვა უნდა... — წყნარად თქვა ფარნიანმა.

— ჰანს შტუტე!

— დროის დაკარგვად არა ღირს! — ისევ იუარა ჰანსმა და ახლა ფარნის შუქი უკან მდგომ ცხენოსან ტყვეს თვალებში შეანათა.

— ოჰო! — აღმოხდა უცებ, როგორც კი ქალს სახეში შეხედა.

— საოცარ ქვეყანაში მოვხვდით, ჰანს!

ვაფითრებული გუცა უნაგირზე გაუნძრევლად იჯდა.

— სად დადიან ეს ქალები ამ შუაღამისას, როცა აქ შუადღითაც ვერ გაივლის ჩვენებური ეშმაკი?! — მოისმა ისევ წამღერებასავით ხმა.

— ჩვენი ქალი ჩვენებურ ეშმაკზე უფრო ეშმაკია, აქაური ქალები კი, ღმერთმა იცის...

— უიარაღოა? — გაისმა ისევ ხლიჩინი საფარიდან.

ფარნიანმა ტყვეს ხელებზე მიანათა. ერთხანს უცქირა გუცას აკანკალებულ, სუსტ თითებს და სინათლე ჩააქრო.

— არც არასოდეს სჭერია იარაღი.

— მაინც შეკოჭეთ!

— რატომ უნდა შევკოჭოთ, ჰანს? — იკითხა მაშინვე წამღერებასავით ხმამ.

— დროის დაკარგვად არა ღირს, — ისევ გაიმეორა ნათქვამი შტუტემ.

— მართლაც ქალები ყოფილან, — ვიღაც მესამე გამოილანდა ბნელში და ახლოს მოვიდა. — ძირს ჩამოვყაროთ და ცხენებს იარაღი ავკიდოთ.

— უარესად გაგვაწვალებენ! ამას გარდა, რას იტყვიან, ამ ქვეყანაში მამულებს რომ მიიღებ, კარლ, ჩვენს ბატონს ქალის პატივისცემა არ სცოდნიაო.

კარლმა გადაიხორხოცა, მერე, სული რომ მოითქვა, მაძღარი კაცის ხმით დაუმატა:

— ვის რად უნდა აქაური მამულები?!

— რუსული იციან? — იკითხა ისევ კარტოფილიანმა, რომლის ლანდიც ჯერ არსად ჩანდა.

— კუდიანებო, რუსული იცით? — იკითხა კარლმა რუსულად.

არავის ხმა არ გაულია.

— არაფერიც არ იციან.

ჰანსმა ტყვეებს ისევ მიანათა სახეში ფარანი და კარლს გადაულაპარაკა:

— თქვან, თუ იციან, თორემ უფსკრულში გადავყრით!

ჰანსმა შენიშნა, რომ მის ნათქვამზე შეკრთა უკანა ცხენზე ამხედრებული ქალი, მაგრამ როცა რუსულად გაუმეორეს, წარბიც არ შეუხრია.

— რუსული არ იციან, — ხელი ჩაიქნია კარლმა.

— არ იციან, რადგან აქაურებია და ჩვენ ხომ აქაურები უნდა დაგვეჭირა, ჰანს? — ისევ იკითხა წამლერებასავით ხმამ.

— წინ გარეკეთ! — იყო ბრძანება.

— გზა, გზა! — დაიძახა შტუტემ და ბილიკი წამით ისევ გაანათა ფარნის შუქმა. — დანიელ, ცხენებს გაუძეხი!

პრიალა, შავმა იარაღმა და მწვანე მუნდირების უჩვეულო სუნმა ცხენები დააფრთხო, გაქცევა დაიპირეს, მაგრამ წინ გადაუდგათ ჯარისკაცი, რომელსაც აქამდე ხმა არ გაულია, და სახიფათო ბილიკ ბორძიკით გაჰყვა.

— სირბილით! — იყვირა უფროსმა. — საღაცაა თავს დაეცემიან! — მოისმა ზურგს უკან, როცა ჯარისკაცები და ტყვეები მის საფარს გასცდნენ.

— თუ რუსული არ იციან, სად მივათრევთ?! — ჩაილაპარაკა კარლმა. — გადმოვყაროთ და ცხენებით იარაღი წავიღოთ. აქ, ისიც ასეთ ღამეში, როგორ გაივლის ადამიანი?!

— გაივლი! — თავი მოაბრუნა ჰანსმა და „დაამშვიდა": — უკან უნტერ-ოფიცერი მოდის.

გერმანელები ფაციფუცით მიყვებოდნენ ბილიკს, ერთმანეთს ებღაუჭებოდნენ, კლდეს ეპოტინებოდნენ, ფეხქვეშ ქვა უგორდებოდათ, ეცემოდნენ, მაგრამ იმის შიშით, რომ გაქცეულებს შეეძლოთ თავისიანები წამოეყვანათ და დასწეოდნენ, მაინც გარბოდნენ.

შტუტემ ფარანი წინ მიმავალ დანიელს გადასცა და თვითონ ცხენებს დაჯერებულად გაჰყვა. ეტყობოდა, მისთვის მთები და ბილიკები უცხო არ იყო. უკან ბორძიკით მიჰყვებოდა ერთი ჯარისკაცი, რომელსაც ხელს ხშირად აშველებდა.

— ჰანს, აქაური ომი ომი არაა! — მოისმა, როცა ორწოხები აიარეს და წუთით სული მოითქვეს.

— კლაუს, ხომ იცი, რომ უკან უნტერ-ოფიცერი მოდის?! — დამ-რიგებლურად თქვა შტუტემ.

— შნაიდერი შენ ვერაფერს გაგიბედავს, უშენოდ ყველანი ხევში გადაიჩეხებიან.

გუცამ თავი მოაბრუნა, მაგრამ ბნელში ქარაფზე მობორიალე ლან-დებს გარდა ვერაფერი გაარჩია.

ცხენები გაშლილ ფლატეზე გავიდნენ. წინ მიმავალი ვერმანელი შეჩერდა და თავის ცხენს აღვირი დაუჭირა.

— რა ვქნა, მე უბედურმა, ჰანს?

— დაიცადე, ნამეტანი ჩამორჩნენ, არაფერი ისმის.

შეჩერდნენ. შტუტეს ატორღიალებული ჯარისკაცი მაშინვე ჩაიკეცა და ისევ თავის ბავშვური, სასიამოვნო ხმით იკითხა:

— ჰანს, კაცმა რომ თქვას, რად გვინდა ეს ქალები?

— კლაუს, ოჰ, რა ცნობისმოყვარე ბალღი ხარ!

— არა, ვიცი, ჩვენ საბრძოლო დავალებას ვასრულებთ, მაგრამ, აი, რუსეთში სხვაა, თუ ჩვენ არა... გერმანიაში გავგზავნით, აქ კი ტყუი-ლად უნდა დავხოცოთ.

— ომია, ომის დროს ბევრს ვერაფერს გაიგებ, პატარა ბიჭო! უნდა დახუჭო თვალები და რასაც გეტყვიან, გააკეთო. როცა იბრძვი, სისხლი, რომ წითელი ფერისაა, ვერ უნდა დაინახო. შენ ყერ პარაშუტით ხტომა გასწავლეს და ისიც უსეიროდ... მაგრამ მოვეშვათ, მგონი, მოდიან...

ხევიდან ოხვრა და გინება მოისმა.

— ვიაროთ! — თქვა შტუტემ და ფესებთან ჩამჯდარი ჯარისკაცი წამოაყენა. წინ წავიდნენ. კლაუსი კვიცივით გაეკიდა. ფლატეზე კარლი მოდიოდა და ბუსლუნებდა, უკან უნტერ-ოფიცერი მოსდევდათ და ისე სუნთქავდა, გეგონებოდათ, დასტვენა უნდა და თითების პირში ჩადება არ იცისო.

დალმართი აღმართზე უფრო აუტანელი გამოდგა. ცხენსა და კაცს ფეხი უცდებოდა. კლაუსს მუხლებში წყალი ჩაუდგა და მთლად ჰან-სის სათრევი გახდა. ჯარისკაცებს ახსოვდათ, ამ დალმართების მერე ისევ ციცაბოს უნდა შესდგომოდნენ. აქ რომ გზას გაივლი. შენს სიცოცხლე-ში არ დაგავიწყდება, მერე კლდოვანი მთისთვის უნდა მოვევლოთ და

ისევ ალმა უნდა ეფორთხათ და, ჯანღაბას, ვინ გაიგებს აქ რამდენი ალმა და დალმაა. სულ ბოლოს სადღაც გადასაკარგავში ფრჩხილით და კბილით უნდა აცოცებულიყვნენ იმ მწვერვალზე და მიეღწიათ იმ გამოქვაბულამდე, სადაც მათი სადესანტო ჯგუფი იყო დაბანაკებული.

თავი მეხუთე

ახლად ჩამოყალიბებული ნაწილები და შენაერთები სასწრაფოდ გადაისროლეს კავკასიონის უღელტეხილის დასაცავად. სამთო მსროლელი დივიზია და ალპური რაზმები ზემო სვანეთის ცალაბო მწვერვალებში განლაგდა და არმიის სარდლად გენერალი ლესელიძე დაინიშნა. დამატებით გაიგზავნა შინაგან საქმეთა მსროლელი ბატალიონი და ჩამოყალიბდა სვანთა მოხალისე რაზმები.

ურმით, მარხილით, ჯორით და ვირით აიზიდა ტყვია-წამალი, საომარი საჭურველი და კავკასიონის უღელტეხილებსა და ხეობებში ოცდაათიათასმა ქართველმა მხედარმა მოიყარა თავი.

გერმანელთა სარდლობამ მაღალმთიან ადგილებში ომისათვის საგანგებოდ გაწვრთნილ სამთო მსროლელ კორპუსს კბილებამდე შეიარაღებული დივიზიები მიაშველა. ზედიზედ რამდენიმე უღელტეხილი დაიკავეს, მაგრამ ფაშისტური გენერალური შტაბის, კავკასიის დაპყრობის „ედელვაისის" მრისხანე ვარვა მაინც ჩაიფუშა. უღელტეხილებზე გადარეკილი რაიხის შიშით დამფრთხალი გერმანელები ღობე-ყორეს მოედვნენ. საგანგებოდ გაწვრთნილი სამთო ნაწილები პირქუშ მთებს უშედეგოდ რომ მიაწყვიტეს, მერე სახელგანთქმული დესანტის ჯგუფები შეაკოწიწეს და მწვერვალების გადმოღმა თვითმფრინავებიდან გადაჰყარეს, ვითომ ეს ჯგუფები კავკასიონის დამცველთა ზურგში არევ-დარევას, დაბნეულობას შეიტანდა და არარუს მთიელებს მიიმხრობდა.

შიშველ მწვერვალებში, სადაც ხავსიც არ ხარობს, დესანტებს ორი გამოქვაბული ეჭირათ, ოთხივე მხრიდან შეეული კლდეებით დაცული. ამ კლდეებს გადაღმა კაცისაგან ფეხდაუდგმელი თეთრი მყინვარები იდგა საიმედო დარაჯად. სამხრეთით, გამოქვაბულების წინა შევაკებიდან, ხელისგულივით ჩანდა მაღლა ამომავალი ბილიკი, რომელიც ვიწრო ხეობაში მოძვრებოდა, მაგრამ ამის მეტს ვეღარას დაინახავდი, როგორც ქვაბში ჩაყრილი თევზი ვერაფერს უყურებს.

ჰანს შტუტეს რომ არ ემარჯვა, დესანტების ნახევარს ვერ იპოვიდნენ, ერთი კაცი მაინც დაეღუპათ. პარაშუტი არ გაიშალა, თუ გვიან

გაიშალა, საცოდავი ახლაც ხევის გაღმა კლდის ქიმზე ჰკიდია უმოძრაოდ, მაგრამ უფრო დიდი უბედურება ის იყო, რომ რადიომიმღები და გადამცემი აპარატურა, სურსათისა და ტყვია-წამლის მარაგი, თვითმფრინავიდან პირველად რომ გადმოჰყარეს, ჯერაც არ ჩანდა. ასეთ დროს ძველია ყველაფრის გათვალისწინება, მაგრამ რაღაც მეტისმეტად უთავბოლოდ მოუკიდათ. ჯერ არც კი ელოდნენ, ისე გაჩნდა ბრძანება, მერე მფრინავი მეტისმეტად ღლაპი და ყეყეჩი გამოდგა, ეშმაკსაც წაუღია, დაცალა თვითმფრინავი და თავს უშველა, აწი ვის რას მოჰკითხავ?!

გერმანელებისათვის აუცილებელი იყო ვინმე აქაურის ხელში ჩაგდება. უმჯობესად გზის გაკვლევა კი არა, მხარეების გაგება ჭირდა. იმის ფიქრი, რომ სხვა რომელიმე სადესანტო ჯგუფი მოგძებნის, ან შენ გადაეყრები — ტყუილი იმედია, აქ შეიძლება წლობით იყოს თერთმეტი კი არა, ასჯერ თერთმეტი კაცი და მათი არსებობა ვერავინ გაიგოს.

კიდევ იღბალი, რომ შტუტეს წყალობით ისეთ ბუნებრივ სიმაგრეს მიაგნეს, რომ თუ ტყვია-წამალი და პური არ მოაკლდებათ, მტერს ოღლად გაუმკლავდებიან.

ჯგუფის უფროსს გერმანელებისათვის შეუფერებელი სიმაღლისა და ფერის ობერ-ლეიტენანტს, კინაღამ გული გაუსკდა, რადიომიმღები და გადამცემი აპარატურა ასე უგზო-უკვლოდ რომ დაკარგა და მთელი გუშინდელი დღე ამაო ძებნას გადააყოლა, მაგრამ იმედი არ დაუკარგავს. საღამოს კაპრალს დაავალა ამ ეშმაკის გზებზე გადასვლა-გადმოსვლის პასუხისმგებლობა. ცოცხალი ან მკვდარი, თვით სოფლამდე რომ ჩასულიყვნენ, აქაური ვინმე უნდა ჩაეგდოთ ხელში. რაკი ამ ჯოჯოხეთში ტყვეს წამოყვანა გაჭირდებოდა, სამი ჯარისკაცი გააყოლა. მეთაურად უტეხი და დაუნდობელი ათისთავი შნაიდერი გაატანა.

ობერ-ლეიტენანტმა იცის, ჰანს შტუტეს იქით გზა არა აქვს, კაპრალი კარგი მთამსვლელია, თორემ ერთ ნაბიჯზე არ ენდობა. ობერ-ლეიტენანტი ყველა მებრძოლისაგან ძალლის ერთგულებას მოითხოვს. მან ისიც იცის, რომ ათისთავი ჭკუით ვერ დაიკვეხნის, გაფრთხილებული ჰყავს, ამ მიუვალ მთებში ტყვია და სახრჩობელა არ გასჭრის, მომთხოვნი უნდა იყო, მაგრამ ნაპრალის პირას მდგარმა მეთაურმა ისიც უნდა იცოდეს — შეიძლება გვერდით ჩაგიაროს შენმა ჯარისკაცმა, „შებანდალდეს“ — და შენმა ცისფერმა თვალებმა ცა მეტად ვეღარ იხილოს.

ათისთავ შნაიდერს ის ნიჭი დაამადლა მამაზეციერმა, როცა ამქვეყნად მისი მოვლინება ბრძანა, — თავისი არ სცოდნოდა, მაგრამ სხვისი დაეჯერებინა. ღმერთს ეს საიდუმლოდ არ შეუნახავს და შნაიდერი

გაფაციცებული იყო, ვინ რას იტყოდა, მარტო უფროსი კი არა — უმ-
ცროსიც. შტუტეს იგი რჩეულს არ ეკითხებოდა, როგორც ღაბალი ჩინის
მქონეს, მაგრამ უსმენდა და ეგონა, ყველაფერი საიდუმლოდ რჩებო-
და, მაგრამ ჰანსი კი არა, კლაუს ბაუმანი ჯერ ცხრამეტი წლისაც არაა
და ხვდება, რომ ამ ჯოჯოხეთურ ქვეყანაში შტუტეს წონა დიდია. ქვე-
ყანაში, სადაც შუადღითაც ვერ გაივლის გერმანელი ეშმაკი.

ჰანსმა კლაუსი ამ ერთი კვირის წინ გაიცნო, რომელიღაც სასელდა-
ხელო სადესანტო სკოლიდან გადმოიყოლეს. შეეცოდა ეს გამოუცა-
დელი, წრფელი, ლურჯთვალა ბიჭი და რამდენიმე დღეში დაიახლოვა,
ალბათ, იმიტომ, რომ ამ უმიზნო, უთავბოლო ხოცვა-ჟლეტაში საქმე
გაიჩინა. მისდა უნებურად ამ სუსტი ბიჭისადმი მამაშვილური სიყვარუ-
ლი გაუჩნდა, იქნებ წინასწარ ხვდებოდა, რომ ეს გრძნობა მეტად აღარ
ეღირსებოდა.

თავი მეექვსე

ინათა.

უნტერ-ოფიცერი ისევ ყველაზე ბოლოს მოდიოდა და მაინც ყვი-
როდა:

— ჩქარა, თქვე წყეულებო!

საშინლად ცოდა, მაგრამ ჰანსიც კი ოფლად გაიწურა. კლაუსი ისე
დაიქანცა, ცხენის კუდსაც მისწვდა — ალმართში ამათრევსო, მაგრამ
ცხენმა იფიცხა და კინაღამ ეგდმოავდო გამოუკეღელი მხედარი ქალი.
კარლი თავისსა და ამ მთების გამჩენს არ აყენებდა ზეცაში, რომელიც
ალბათ, არც ისე შორს იყო ამ მწვერვალებიდან. ცხენების გამძღოლი
ძუხლმაგარი, ამტანი კაცი ჩანდა. მიდიოდა და მიდიოდა თავდაღუნული.
ერთგან ღრანტეში კინაღამ რომ გადაიჩეხა, მაშინ ამოიგმინა: — „ვაი
მე უბედურსო“, თორემ სხვა დროს ხმა არ ამოუღია. მერე ჭკუა იხმა-
რა, თაკის ცხენს აღვირში ჩაჰკიდა ხელი და მას აქეთ აღარ გაუშვია.

კარგად მოთენდა, მაგრამ სიარული კიდევ უფრო გაჭირდა. უკვე
ბილიკიც აღარ ჰგავდა ბილიკს. ყოველ ნაბიჯზე ფეხქვეშ ქვა გორდე-
ბოდა. დაიწყო ციცაბოები და ისე საშიშრად დააღო პირი უფსკრუ-
ლებმა, ქანცგაწყვეტილები წინ ძლივს მილასლასებდნენ.

შტუტე სახიფათო გადასასვლელებზე შეჩერდებოდა, ბაუმანს ხელს
მიაშველებდა და მერე ორივე ერთად მისდევდნენ ცხენებს.

— ჰანს!

— რა გინდა, ბიჭო, კიღევ გაქვს ლაპარაკის თავი?

— არა, მაგრამ მეცინება...

— იცინე მერე, აქ ახლა შენისთანა რძეშეუშრობელი თუ დადგება სიცილის გუნებაზე.

— მისმინე, ჰანს, რაზე მეცინება, იცი? დედაჩემი თუ წუხს... ჩვენთან ჯერ გათენებული არ იქნება ხომ?

— არა.

— ჰოდა, დედაჩემს, ალბათ, გაეღვიძა და დარდობს: ვაითუ ჩემს ბიჭს საბანი გადაძვრაო.

— არ იცის ფრონტზე რომ გამოგგზავნეს?

— მივწერე, მაგრამ რა იცის, აქ ერთი რომ გადაბრუნდე, მერე სულ თბილად იქნები...

— ჰო, მერე ალარ შეგციედება.

ერთხანს ისევ გაჩუმდნენ.

— ჰანს, შენ რაღა ნახე სასაცილო?

— აგერ, — გუცაზე მიუთითა, — ამ ქალებზე მეცინება, — თუ ჰგონიათ, მოვიტაცეთ და ახლა მონასტერში მივიყვანთ ჯვარსაწერად

გუცამ მოიხედა და ახლადპირშებუმბლულ ჯარისკაცს თვალი ზიზღით მიაშტერა.

— ჰანს! — იყვირა ბაუმანმა.

ქალმა თავი მიაბრუნა.

— ჰა, ჰა, ჰა! გერმანული სცოდნია.

შტუტესაც გაეცინა.

— აბა, რატომ მაინცდამაინც მაშინ მოიხედა, თანაც ისეთი თვალით...

— იქნებ, ალერსიან მზერას ელოდი?

— არა, მაგრამ ისე კარგი თვალები აქვს, ჰა, რას იტყვი... აუჰ, რა დავიღალე!

უკან ყვირილი მოისმა, მერე გინება.

— კარლში, რა აყვირებს?!

— რა ვიცი, რაღა არ აყვირებს!

— მიშველეთ! — აღრიალდა ახლა უნტერ-ოფიცერი.

— კლაუს, აქ მოიცადე!

შტუტე უკან გაბრუნდა.

ბაუმანი გაოფლიანებულ ცხენებთან ახლოს მივიდა. ზურგზე მოგდებული ავტომატი წინ გადმოიტანა და კლდეს მიეყრდნო.

— დანიელ, — გაესაუბრა ღელვრში ჩაფრენილ ჯარისკაცს, — შენ მორწმუნე კაცი ხარ და მითხარი, ამ ქალებს რომ მიუძღვები და ბიგ-ყავს, ღმერთს რა პასუხს აძლევ, სასუფეველში კარებს რომ გაგიღებს— მობრძანდი, ჩემო ერთგულო დანიელო?!

ხანშიშესულმა ჯარისკაცმა თავი გადააქნია და ცას ახედა.

— შენ ხომ გყავს შვილები?

— კი.

— მგონი, ოთხი ქალიშვილი.

დანიელმა ისევ ცას ახედა.

ფეხის ხმა მოისმა, შტუტე დაბრუნდა.

— რა მოხდა, ჰანს?

— არაფერი, შნაიდერი ჩავარდნილა.

— ცოცხალია?

— რა მოკლავს, ხელი გადაუკრია ქვის ქიმზე, არაფერი უკბილს.

— ჩქარა იარეთ! — მოისმა უკან.

— ხმაზე ეტყობა... — თქვა კლაუსმა და ავტომატი ისევ ზურგზე გადაიდო. დანიელმა თავი დახარა და ცხენს გაუძღვა.

მზე მაღლა იყო წამოსული. ბანაკიდან ხუთ გაგზავნილ ჯარისკაცში ორი ცხენოსანიც შენიშნეს. ობერ-ლეიტენანტმა, ისე რომ ქვეშევრდომებს არ დაენახა, ულვაშებში ჩაიღიმა და გაიფიქრა: ყველგან ავაწყობ საქმეს, სანამ თავი მხრებზე მაღგას. ხშირად ბედი არ მწყალობს, მაგრამ ჭკუას არ ვემდური. ყოველ შემთხვევაში, ბედნიერი სულელის არ შემშურებია.

ორჯერ დაკარგა ობერ-ლეიტენანტმა ჩინის მომატების შანსი და ამ ბოლო დროს ბედზე აღრენილი იყო. ორჯერვე მისი მოგებული ბრძოლით უფროსები დაწინაურდნენ, თვითონ კი ობერ-ლეიტენანტია ჩინს და ჯილდოდ ჯვარს ძლივს მიაღწია. მერე საგანგებოდ გაწვრთნილ სამთო მსროლელ კორპუსში ჩარიცხეს. მაგრამ აქ სულ არ გაუმართლა. ბასას ციცაბო უღელტეხილზე პირველად მისმა მებრძოლებმა შედგეს ფეხი და ეს, ალბათ, აღარ დაიმალებოდა. ერთ დილით... ნეტავ არ გათენებულიყო ის დილა, მაქსის დაცვის ზოლში ისე შემოიპარენ აქაური ჯარისკაცები, ტყვია არც გაუსვრიათ. კონდახებით დაუხეთქეს თავები საგანგებოდ გაწვრთნილ მებრძოლებს და ობერ-ლეიტენანტს ახლაც სიზმარი ჰგონია, რა სასწაულით გადარჩა თუნდაც ამ ერთი ათეულით. ახლა კიდევ აიღეს და აგვერ, ამ მწვერვალებში გადმოაგდეს, მაგრამ კაცმა რომ თქვას, მაქსს მაინც აქ ურჩევნია, რაც არ უნდა იყოს,

პატონიც თვითონაა და პატრონიც. ფიურერისადმი მისი ერთგულება იქნებ აქ მაინც გამოჩნდეს.

კინალამ ტყვია იკრა შუბლში, ის ჯარისკაცი დესანტის ჩამოსხმისას რომ უმიზნოდ დაკარგა ამ ჯოჯოხეთში. ადრე ასობით მებრძოლი დაჭოცვია, მაგრამ იქ სხვა იყო, ახალი შევსება მოდიოდა. აქ კი, შევსება ცას უნდა სთხოვო. ახლა ეს ჯარისკაცები მისი არმიაა. თერთმეტი კაცი თერთმეტ დივიზიას უდრის მისთვის და ობერ-ლეიტენანტიც თვითონაა და ფელდძარშალიც. ასეთ დროს ერთი კაცის დაკარგვაც ომის სანახევროდ წაგებას ნიშნავს. ბედი არ სწყალობდა მაქსს, ბედი, რომელმაც ლედამისი მამამისს გაჰყარა, მის ცოლს სხვა შეაყვარა და მასაც ორჯერ დაწინაურების შანსი წაართვა. ობერ-ლეიტენანტი და ბედი ყოველთვის ასე მტრულად იყვნენ, მაგრამ ფარ-ხმალი არც ერთს არ დაუყრია. აგერ, ორი ტყვე მოჰყავთ ცხენებით — ეს ობერ-ლეიტენანტ მაქსის გამარჯვებაა. რას იზამ?! ახლა მაქსია ზევით და ბედი უთუოდ ახალ ფანდზე ფიქრობს.

— ჰამპელ!

კნოპსი გაიჭიმა მეთაურის წინ და რადგან თავი უკან ჰქონდა გადაწეული, მასზე ბევრად დაბალ უფროსს ვერ ხედავდა.

— გისმენთ, ობერ-ლეიტენანტო!

— შეხვდი და დაიჭარე!..

— არის!

კნოპსი შეტრიალდა.

— ცხენები წყაროსთან დატოვონ, ტყვეები ახლავე აქ ამოიყვანეთ. ჯრო, დრო ძვირფასია!

— არის!

ჰამპელი სირბილით აპირებდა გამოქვაბულის წინა მოედნიდან ბილიკზე ჩასვლას. უნდოდა მეთაურს დაენახა, რა ჯარისკაცს არ მისცა კაპრალობა და შტუტე დაწინაურა, რომელიც უფროსის ბრძანებას ცალი ყურით ისმენს.

მაქსს გაეცინა, როცა მაღალი კნოპსი ბილიკზე ჯერ მოიკაკვა, მერე ხელები მოიშველა და წყაროსაკენ ფორთხვით ჩაუყვა. ობერ-ლეიტენანტმა იცოდა ვისთვის რა მიეცა. ჰანსის გულის მოგება იყო საჭირო, თორემ კნოპსი ამ ბილიკს კი არ ჩაუყვებოდა, პირდაპირ თავით გადაეშვებოდა თუ მეთაური ბრძანებდა. მაქსი წინდახედულებას იჩენდა, როცა ჰამპელს თავიდან არ იშორებდა. იგი ძრავის არ უყვარდა და ამ ჯოჯოხეთის გზებზე შეიძლება კნოპსის კოკას წყალი ყოველთვის

ვერ მოეტანა, სიმართლე რომ ითქვას, გულზე არც ობერ-ლეიტენანტს ეხატებოდა იგი, მაგრამ მაქსი გრძნობების ამყოლი კაცი არ იყო. ჰამპელი და უნტერ-ოფიცერი შნაიდერი მისთვის პური და წყალი იყო.

კნოპსი რომ წყაროსთან ჩაფორთხდა, ქვევიდან მომავალნიც მოახლოვდნენ, ჰამპელმა ხელი მოიჩრდილა, თუმცა მზე უკვე ღრუბლებს იყო მოფარებული, მერე წინ წაიწია. დანიელთან მიირბინა, გამოელაპარაკა და უკან კისრისტეხით გამოიქცა.

ობერ-ლეიტენანტი მიხვდა, რომ რაღაც უჩვეულო მოხდა, მაგრამ რაა? ტყვეები, ტყვეები არ იყო?!.

კნოპსი დაოთხილი ამორბოდა ციცაბო ბილიკზე.

აქედან მაქსი წავიდა და მაღლა ამოსულს წინ შეეფეთა.

— ობერ-ლეიტენანტო! — წამოდგომა და ხელის აღება დააპირა ჰამპელმა, მაგრამ დაბარბაცდა და ისევ კლდეს მოებღაუჭა. — ტყვეები ქალებია!

— რა თქვი?

— ტყვეები... — სული მოითქვა.

— ხმა ამოიღე!

— ტყვეები ქალებია!

— როგორ თუ ქალები?!

— ორივე ქალია.

— ამ წუთში აქ ამორეკეთ!.. — უკან გამობრუნდა. — ეშმაკმა წაგიღოთ, ქალები, ვის რად უნდა აქ ქალები?.. არაა ახლა აქ ქალების დრო!.. მე აქაური კაცი მჭირდება, რომელმაც ხუთი თითივით იცის, რამდენი კენწია ამ უფსკრულში.

— ჩამოჰყარეთ! — თეხთუხებდა ქვევით უნტერ-ოფიცერი და ქალებს ნაბდებს გლეჯდა.

თაჯი ცოცხალი თავით ჩამოსვლას არ აპირებდა და ფეხიც კი გაუქნია ათისთავს.

ათისთავს ცოფი მოერია, ყველაფერ ამას ობერ-ლეიტენანტი უყურებსო, — თაჯის წვივში ეცა და უნაგირიდან გადმოათრია. თაჯიმ მეორე ფეხი უზანგიდან გადმოიღო, არ უდარდია ქვაღორღზე როგორ დაეცემოდა და სახეში ფრჩხილებით ეცა მოძალადეს. შნაიდერს საშინელმა ტკივილმა თავგზა აუბნია, წონასწორობა დაკარგა, წაიქცა და ცხენიდან გადმოვარდნილი ტყვე ზედ დაეცა. თაჯიმ დაცემისას ხელის მტევანი ქვას დაარტყა და მაჯა იღრძო.

უნტერ-ოფიცრის ქუდი ქვევით გაგორდა, თავგატეხილი ათისთავი კარლმა წამოაყენა.

შნაიდერმა ხელი რევოლვერზე იტაცა და, ალბათ, მიწაზე ვართხმულ გოგოს იქვე სულს გააფრთხობინებდა, მაგრამ შტუტემ ზევიდან გადმოძდგარი ობერ-ლეიტენანტი დაანახვა, იქიდან რომ სვავის ტოლა ჩანდა.

უნტერ-ოფიცერმა ახლა გუცა დაინახა ცხენიდან ჩამოუსვლელი. ჭკუა კინაღამ დაკარგა. ჰანსი ახლაც წინ გადაეღობა და კლაუსს თვალით ანიშნა, ქალი ცხენიდან ჩამოესვა.

ბაუმანი მივარდა და წელზე ხელის მოვლება დაუპირა ჩამოსაყვანად, მაგრამ ტყვე არ დანებდა და სუსტ, დაღლილ ბიჭს გაუჭირდა ქალის უნაგირიდან აგლეჯა.

— ჩამოდი, ფროილაინ, თორემ უნტერ-ოფიცერი რეევერანსს გაგიკეთებს! — ჩაილაპარაკა კლაუსმა, რომ შნაიდერს არ გაეგონა.

გუცამ თვითონ დააპირა ჩამოქვეითება.

— ამ ქალმა გერმანული ისევე კარგად იცის, როგორც ჩემმა ენის მასწავლებელმა, — წაცდა ბიჭს.

გუცას ფეხი ჩამოუცდა უზანგიდან და ისიც თაჯის გვერდით დაენარცხებოდა, ბაუმანი რომ არ მიშველებოდა. ქალს ხელი თეძოებზე ბოხვია, მაგრამ მაშინვე მოეშვა, როგორც კი ჩამოქვეითებული ფეხზე დადგა.

— ფროილაინ, მე არ დაგამადლით ამ სამსახურს!

კარლი დაიხარა, პირქვე დამხობილ თაჯის თმებში ხელი დაავლო და წამოაყენა. გუცა ხელებში ეცა გერმანელს და ბოროტად თვალებდაცეცებული გოგო ხელიდან გამოგლიჯა. შნაიდერმა ტყვეებს მუჯლუგუნი ჰკრა და წინ გაიგდო.

ბედზე აღრენილი ობერ-ლეიტენანტი მაქსი გამოქვაბულის წინა შევაკებაზე ცოფმორეული ბოლთას სცემდა.

თავი მეშვიდე

მდინარესთან მოფარებული ადგილი მოძებნეს და დაჭრილი წყლის პირას დაუშვეს. საყელო შეუხსნეს და ჭრილობა მობანეს. ტყვია მკერდში მოხვედროდა და უკან ბეჭის ძვალი გაემტვრია. მკლავი, ალბათ, გადმოვარდნისას ჰქონდა მომსხვრეული. სისხლდაკარგულს სახე-

ზე მკვდრის მოყვითალო-მოლურჯო ფერი ედო. ქამარი შეხსნეს, რომელზეც ტყვიებით სავსე ორი საკაუნე და ხელყუმბარები ეკიდა.

ცივმა წყალმა და დილის სიგრილემ გონება დაუბრუნა მომაკვდავს და თვალი გაახილა.

— სიოშ! — ჩასძახეს ბიჭებმა.

დაჭრილი დიდხანს დაჟინებით უცქერდა ჯერ ერთს, მერე მეორეს, ბოლოს რაღაცის თქმა დააპირა.

— სიოშ!

მდინარეს ლოდებში გზის გაკვლევა უჭირდა და ხეირიანად არაფერი ისმოდა.

— წყალი! — მშრალად ამოიგმინა ბოლოს სიოშმა, მაგრამ ეს ერთი სიტყვაც ძვირად დაუჯდა. დიდხანს მეტი ვერაფერი თქვა და თვალებიც სივრცეს მიშტერებული დაურჩა.

ვახომ ქუდზე იტაცა ხელი, მაგრამ არ მოუხდია. წყალი დაჭრილისათვის საწამლავია. ეს ბიჭებმა კარგად იცოდნენ.

უკვე მზე ამოდიოდა და შორს, დევის ხევში, სროლის ხმა არ წყდებოდა. თვითმფრინავების გუგუნი და აფეთქების ყრუ გრუხუნი ისევ მოჰქონდათ ხევებს.

დაჭრილს პირიდან სისხლი წამოუვიდა და გონება დაკარგა. თუთარმა მომაკვდავს სახე აარიდა. თვალებზე ცრემლი მოაწვა. ასე ემართებოდა, როცა გამოსავალს ვერ პოულობდა, მერე თავის თავზე ბრაზობდა, რომ გოგოსავით ტიროდა და კიდევ უფრო უსივდებოდა გული.

— ჰმ, ატირდება ახლა... — ჩაილაპარაკა ვახომ და უკან დაიწია. — ჩააბარა ბაბუამ თოფი...

— მე შენ ენას ამოგგლეჯ! — ცრემლით ავსებული თვალები შეანათა თუთარმა.

— კი იზამ, მაგრამ მერე იმისათვის იტირებ, რომ ენა ამომგლიჯე!

— მაგრამ როცა კაცი კვდება, ვინმემ ხომ უნდა უშველოს, ასეთი გიჟი ვინმეს უნახავს?!

— მაგას გუა უშველის...

— რა თქვი?! — შეაწყვეტინა თუთარმა და ფეხზე წამოვარდა.

— გუა! — გაიმეორა ვახომ და თავმოსაწყლებით ჩაიბურტყუნა: — მაგრამ მე ხომ სულელი ვარ...

— რა გელაპარაკო... — თუთარი დაჭრილის ფეხებთან ლოდზე ჩამოჯდა. ვახო მართალი იყო.

ვახო წინ წამოიწია, დაუდასტურა:

— ჰო შტერი ვარ, მაგრამ ვიცი, ჩვენ უკან ვერ დაებრუნდებით, შენ კი ტირი, მშიშარა მაინც იყო... არ გინდა ტირილი და ტირი.

— შენ იცი, რომ არსად წასასვლელი არ გვაქვს და არ ტირი...

— ეს როგორ არ ვიცი, აგერ კაცი ხელში გვაკვდება, ესეც ვიცი... მაგრამ ჩვენ რას ვუშველით.

თუთარმა სახელოთი ცრემლები მოიწმიდა, მოტრიალდა და ბიძაშვილს მხსნელივით შეხედა.

— შე მართლა შტერო, შე მართლა... — ისევ ცრემლებმა მოუსწრო და თავის თავზე გამწარდა. — მე შენზე მეტი სულელი ვარ, თუ სიმართლე გინდა!

წუხანდელი სამარცხვინო გამოქცევის შემდეგ, როცა ქალები ბტერს მიუტოვეს, თუთარისათვის სოფელი ისე შორეული გახდა, თავისიანებზე ფიქრის ნებაც კი არ ჰქონდა და ვერაფრით ვერ მოისაზრა, რომ იქ იყვნენ ადამიანები, რომლებიც ხელს გამოუწვდიდნენ.

გუა თათარყან გაბულდანის შვილიშვილი იყო, ვახოზე ცოტათი უფროსი. გვარლიანების ბიჭებს ცხენების დაჭერა ნდომოდათ. ცხენი დიდი ხნის გაშვებული ჰყოლოდათ, გაველურებულიყო და ვერაფრით ხელში ჩაგდება ვერ მოეხერხებიათ; ბოლოს მთელი რემა ხევის პირას მიემწყვდიათ. დამფრთხალიყო თუ, ხეირიანად არავინ იცოდა, თათარყან გაბულდანის ჩერქეზული ხევში გადაჩეხილიყო. მაშინვე რომ ეთქვათ, იქნებ ამდენი დაეძება და უსიამოვნების მიზეზი არ გამხდარიყო, მაგრამ დროზე არ გაუმხელიათ. გვარლიანებთან კვიციანების უგერგილო ბიჭი ჩეფეც ყოფილა. ჩეფე დაუნამუსებიათ და მაშინ კრინტიც არ დაუძრავს. ორიოდე თვის შემდეგ ბიჭები ერთმანეთში წაკინკლავებულან და ჩეფეს თვით თათარყანთან წამოუყრანტალებია: ასე და ასე, გვარლიანებმა შენი ცხენი გადააგდესო. ერთი ვაიუშველებელი ამტყდარა. გუას ბაბუას თათარყანს წორი[1] მოუთხოვია. მედიატორებს ხუთი ცხენის საფასური დაუდვიათ გვარლიანებისათვის გადასახდელად. გუას მამა, ბეთქილი, ორს დასჯერებია, ამაზე თათარყანი განრისხებია და ისე მოკვდა, ომის წინა წელიწადს, შვილისათვის ხმა არ გაუცია. უწლოვანი შვილიშვილისათვის უსწავლებია იმ ბალახების საუკუნოვანი საიდუმლო, რომლებიც სვანეთში ჭრილობის უებარ წამლად ითვლება.

თათარყანი გუას ბავშვობიდანვე იარაღის ხმარებასა და თოფის სროლასაც აჩვევდა.

---

[1] წორი — ზარალის ანაზღაურება.

მამას ბიჭი დარიგებული ჰყავდა, ბაბუასათვის ყველაფერი უსიტყვოდ დაეჯერებია, თორემ შვილზე გულაყრილი ბერიკაცისათვის შვილიშვილსაც წინააღმდეგობა რომ გაეწია — ოჯახს ცეცხლს მისცემდა.

ეს ყველაფერი იცოდნენ ბიჭებმა.. ისიც იცოდნენ: სიოში გაბულდანი თათარყანის გვარისა იყო და მის სისხლს გუა მტერს ვერ შეარჩენდა.

— მე რაიმე რომ მეკითხებოდეს, ვიტყოდი სანამდე ვიდგეთ აქ?!

— ზარი მაინც გვეთქვა... — აწრიალდა ვახო და თვალი ცხენისაკენ გაექცა.

ულაყი შორეული გრუხუნის გაგონებაზე გახვრეტილ ყურს ატოკებდა და წინა ფეხით მთიდან ჩამონაშალ ღორღში ამოსულ ბალახს ტორავდა.

— წავალ! — მოულოდნელად და გადაჭრით თქვა ბიჭმა.

— ჭკუის კოლოფი! — წამოიძახა თუთარმა. — სად წახვალ?!

— არსად, არსად! — იუარა ვახომ და სადაც იდგა, იქვე ჩაჯდა. — დავეგდები აქ და ვირტყამ თავში ხელს! — მუშტი მოიღერა და სვანურ ქუდზე ძალუმად დაიბრაგუნა.

ვახომ ძმას შიში შეატყო. ვაითუ ფრთხილად ვერ შეპარულიყო სოფელში და გუას ძებნისას თავი გაეცა. სოფელში მის სელცარიელ გამოჩენას, მკვდარი ჩაეტანათ ჯობდა.

სიოშის სისხლი შერჩა მტერს. ეს კიდევ არაფერი. იმავე მოსისხლეს ჩააბარეს ქალები და თვითონ უბრალო ჭრილობაც კი არა აქვთ. და ახლა სოფელ-ქვეყანაში მათი გამოჩენა?!

ვაი სიკვდილო!..

სიკვდილიცაა და სიკვდილიც. მათ ახლა ვერც სიკვდილი იხსნიდათ. თქმულებებსა და ზღაპრებშიც არ გაუგონიათ ასეთი თავლაფდასხმა. ეათი გვარი ვერასოდეს ჩამოირეცხავს ამ სირცხვილს.

— თუთარ, — დაჯერებით თქვა ვახომ, — ვერავინ დამინახავს, მიწაში ჩავძვრები.

ბიჭი გაიქცა. უნაგირის ტახტზე ჩამობმული ლაგამი ახსნა და ცხენს მოეკლო. სადავე მოუშვა და ქუსლი ჰკრა. ბედაური უეცრად მოწყდა ადგილს, წაიფორხილა და კინაღამ გადმოაგდო მხედარი.

— ვახო! — მიაყვირა თუთარმა, — ფრთხილად, შე გამოთაყვანებულო!

სხვა დროს ბიჭი გაქანებული ცხენიდან რომ გადმოვარდნილიყო,

ისე არ შეაშფოთებდა, როგორც ახლა ცხენის წაფორხილებამ შეაშინა. ვით სიკვდილით ბევრი რამ უნდა გამოეყიდათ, სიცოცხლე ახლა ნაშეტანი ძვირად ფასობდა.

თავი მერვე

იმ საბედისწერო ზაფხულს თუთარს თექვსმეტი წელი შეუსრულდა. თექვსმეტი წელი ცოტა არაა, ვისაც პატარაობიდანვე ცხენისა და ხარის ხედნას აასწავლიან, ცელსა და იარაღს აჩვევენ. მთაში კი სხვანაირად არ შეიძლება ცხოვრება.

თუთარი მაშინ პატარა იყო, თაჯი სულ პატარა, როცა მათი დედა ვადაბრუნებულმა თივიანმა მარხილმა დაიტანა. ობლები ქვრივი მამისა და ჯანმოკლებული ბაბუას ამარა დარჩნენ. მამა ზამთრობით ბარში მიდიოდა ბარზე სამუშაოდ. ბავშვები უმეტესად მოხუცთან რჩებოდნენ. ბაბუა ბესლანი, მთის კანონების შეუბღალავი დამცველი, თავის დროზე კარგი ცხენოსანი და იმ ახლომახლო განთქმული მონადირე ყოფილა. ფიცხი და გულამაყი იყო, მაგრამ თუ თავკაცად დაასახელებდნენ, სიმართლეს მოსისხარ მტერს არ დაუკარგავდა.

ომი რომ დაიწყო, მამა ჯარში გაიწვიეს. მაშინ ბევრი წაიყვანეს: ვახოს უფროსი ძმები, სხვა მობიძაშვილეები, გუას მამა, სიოში და ვინ ვითვლის... თუთარს მაინც ყველაზე უფრო ახსოვს გერგილ ნანაყანაძე რომ მათთან იქეიფა და თაჯი და აბი ერთად ადღეგრძელა. თაჯიმ არ მოუსმინა და სუფრიდან გაიქცა. ბაბუა ბესლანს ეწყინა, მაგრამ გერგილმა დაამშვიდა: — არაფერია, დრო იქნება, თაეისი ფეხით მოვალ. თუთარს მას აქეთ აბისათვის თვალებში არ შეუხედავს.

თაჯი აკვნიდანვე დანიშნული იყო აბიზე, მაგრამ ადრე უფროსები ბავშვებთან ამაზე არ ლაპარაკობდნენ, ომში მიმავალმა გერგილმა კი სადღეგრძელოში ყველაფერი დაფქვა და თუთარს აბიზე გული მოუვიდა.

აბი ძმის დასანახავად დანიშნულს ერიდებოდა, მაგრამ სხვა დროს გოგოს აჩრდილივით დასდევდა. ჯიუტმა, თავნება თაჯიმაც შეიძულა აბი. დასცინოდა და ეკინკლავებოდა... ბალღობიდანვე ნაადრევი, შეუცნობელი სიყვარულით გაჯიუტებულ ბიჭს სიხსლი ,ემღვრეოდა, მაგრამ ყოველთვის უთმობდა და მაინც მის სიახლოვეს ტრიალებდა, ან ღობე-ყორეს მოფარებული უთვალთვალებდა და ვინმეს რომ რაიმე გაებედა, თუ იქ თუთარი არ იყო, მაშინვე წაესარჩლებოდა.

თუთარმა ყველაფერი იცოდა და ახლაც ეს აფიქრებდა. აბი მაშინ-

ვე გაიგებდა თაჯის დაკარგვას და აუცილებლად ძებნას დაუწყებდა. ვახო სოფელში ისე როგორ უნდა შეპარულიყო, რომ აბის თვალებს დამალვოდა. ამაზე ვახოს წასვლამდეც ფიქრობდა, მაგრამ ვერ თქვა. თუთარი სხვასთან აბიზე სიტყვის ჩაპოგდებას ყოველთვის ერიდებოდა.

დაჭრილმა ამოიხოროტინა.

ბიჭი სახეში ჩააჩერდა. სიოში ხიხინებდა. ჩალურჯებულ ტუჩებზე სისხლი მოსდგომოდა, მარჯვენა ხელის თითები გაშავებოდა და შეშუპებოდა.

— სიოშ, სიოშ! — ჩასძახა შეშინებულმა თუთარმა და შეანძრია. მერმე ჯიბეში ნარმის ცხვირსახოცი უპოვა, მაგრად გარეცხა მდინარეში, წყლიანი წამოიღო და პირი მოსწმინდა.

ვახოს რაც არ უნდა ჩქარა ეფლო, აქეთ-იქით ნახევარი დღის გზა მაინც ჰქონდა. მერედა გუას ნახვას მაშინვე მოახერხებდა?!

ვინმეს თვალი რომ მოეკრა, ხომ დაკარგავდნენ ჭკუას, ქალები ვის დაუტოვეთო.

გუცა?..

გუცა — უცხო ენის ლამაზი მასწავლებელი.

გუცა ერთი წელიც არაა, რაც მათ ოჯახში ცხოვრობს. საბჭოს თავმჯდომარემ საგანგებოდ ბესლანის ოჯახი შეურჩია. მის სახლში ღამე გათეულს სოფელში ძაღლი ვერ შეჰყეფსო და თუთარმა გერმანელებს დაუტოვა, დაუტოვა და თვითონ თავს უშველა.

არა, არა, თუთარი მოკვდებოდა და ამას არ ჩაიდენდა. ყველაფერში სიოშია დამნაშავე.

თუთარის ბრალია, რომ დაუჯერა.

სულთმობრძავს ჩააჩერდა.

— რატომ, რატომ ჰქენი, სიოშ?!

სიოშს არ ესმოდა მისი საყვედური. მარტო მობალახე ცხენმა ცქვიტა ყურები და მოიხედა.

ბიჭი შურით უყურებდა გონმიხდილს. მას უკვე აღარაფერზე პასუხი არ მოეთხოვებოდა. იგი ახლა ყველასთან მართალი იყო.

უნდა მიატოვოს დაჭრილი და გაიქცეს, დაედევნოს გერმანელებს. დაეწევა. ის ბილიკი საჯიხვეზე მიდის, საჯიხვეებს იქით კი გზა არაა.

უნდა წავიდეს, ახლავე უნდა წავიდეს, დაეწიოს და შეაკლას თავი! მერე თუთარიც მართალი იქნება. მერე აღარც თუთარს მოეკითხება პასუხი!..

ვახო?

ვახო უმცროსია. ყველაზე მეტი დანაშაული მაინც თუთარს ეკისრება, ახლავე უნდა წავიდეს და პასუხი აგოს. აგერ სიოშის ტყვიები წაიღოს და სადღაც ხევში გადაგდებული კარაბინი მოძებნოს, სანამ დროა, სანამ შეიძლება მტრის კვალს კიდევ მიაგნოს და თუ ერთი მოსისხლე მაინც გაიძღოლა წინ, ხომ კარგი, თუ არადა ერთ ტყვიას მისთვისაც ნუ დაიშურებენ.

ტირილი მოერია.

დაჭრილს კისერთან ღილი შეუკრა, ზედ თავისი გახუნებული და გაქექილი ჯუბა გადააფარა და ახლუქუნებული უნაგირზე მოექცა. ცხენმა მაშინვე იგრძნო პატრონის სურვილი და აღმართს ჭენებით შეუყვა.

თუთარმა ლულახაზიანი თოფი უნაგირის ტახტზე ჩამოკიდა და ბილიკიდან ქკევით ჩაცურდა...

კარაბინი ლულითა და კონდახით გახიდულიყო ლოდებში. როცა ხელში აიღო, გულმა არ მოუთმინა, ბეჭზე მიიდო და სამიზნეს გახედა ისე, რომ ჩახმახისათვის თითი არ მიუკარებია, მერე საკეტი გახსნა — შიგ ხუთი ვაზნა იდო. თოფს ტყვია პირში მისცა და ლულაზე სახელო გადაუსვა. მტვერი მოაცილა.

მაღლა რომ ამოფოთხდა, ბილიკზე ჩამოჯდა ცხენის ფეხებთან. თოფი მუხლებზე დაიდო, სული მოითქვა. ახლა დაჭრილის ბედი აღარ აწუხებდა. იგი ახლა აღრენილიც კი იყო ამ ჯარისკაცზე. უბედურება მაშინ დაიწყო, როცა ის მათ ოჯახში გამოჩნდა, წამოვიდა და ისეთ გზას დაადგა, სადაც გერმანელები ყოფილან. ბოლოს ბიჭები თავიდან მოიცილა და თვითონაც ვერაფერს გახდა.

წამოდგა, უსანგრეს ფეხი გაუყარა და ცხენს გადაჯდა. თავისი თოფი მხარიღლივ გადაიკიდა, კარაბინი ხელში დაიჭირა და ლაგამი მიუშვა. ბიჭს თვალი ოთხივე მხარეს ეჭირა და სმენად იყო გადაქცეული. ულელტეხილიდან გრუხუნი აღარ ისმოდა.

ხევგაღმა მთიდან სვავი გამოფრინდა და ქვასავით დაეშვა.

მხედარი შეჩერდა. შავი ფრთოსნები ლეშს წასწყდომოდნენ და გარს უვლიდნენ.

— დახოცეს! — აღმოხდა ბიჭს და სისხლი გაეყინა. თვალებზე ბინდი გადაეფარა.

მაღლა რომ ავიდა, ხევისაკენ ჩამოჰყვა და უფსკრულს ჩახედა. ქვევით, ჩაბნინაშალ ქვებსა და ლოდებში ცხენის ლეში ეგდო და სვავების გუნდი ეხვია.

— სიოშის ცხენი გადაჩეხილა! — თქვა ბიჭმა, იქაურობას გადაცალა და იმ მხარეზე მეტი აღარც მიუხედავს.

იქ, სადაც ბილიკი ორად იყოფოდა, შეჩერდა. მალე იპოვა ცხენების ნაკვალევი. ტყვეები მწვერვალებისკენ წაეყვანათ. ბიჭმა ბილიკს თვალი გააყოლა. ამ გზაზე ორი ცხენოსანი ერთმანეთს გვერდს ვერ აუქცევს. ერთმანეთზე სამტროდ წამოსული ორი კაციდან უკან ერთი უნდა დაბრუნდეს. ეს ერთადერთი ბილიკი შორს არ მიდის. წინ თუ მტერია, როგორც კი ზედ ფეხს შედგამ, ბრძოლას იწყებ. ამ გზას არ უნდა დადგე, თუ დადექი, უკან ვერ დაბრუნდები, ან გამარჯვებული დაბრუნდები.

ბიჭს ბევრი არ უყოყმანია. კარაბინი ფეხზე შეაყენა. ცხენს ქუსლი ჰკრა და ბილიკზე ჭენებით შევიდა.

თავი მეცხრე

ობერ-ლეიტენანტი ლოდიკით უძრავად იდგა, გამოქვაბულის წინ აფარებულ ბრეზენტთან ყნოსს ჰაერი რომ გამოეკიმა და ადრე ნაცნობი ისევ დაადასტურა:

— ჰერ ობერ-ლეიტენანტ, ქალებია!

მაქსმა არაფერი უთქია. კენ[illegible] ბიჭვდა — იქაურობას უნდა გასცლოდა. გაიძურწა. ოთხიოდე ნაბიჯი გადადგა და მეორე, მომცრო გამოქვაბულთან აიტუზა. სადაც ორი ჯარისკაცი სპირტის ალზე კონსერვს ათბობდა.

ქალებიათ რომ გაიგონეს, ჯარისკაცებმა საქმეს თავი ანებეს და ჰამპელს გვერდით ამოუდგნენ. ორმა ბრეზენტს იქიდან გამოჰყო ნამძინარევი თავი. სახედაკაწრული, თავგატეხილი უნტერ-ოფიცერი მოედანზე ამოიჭრა და მეთაურის წინ დაესო.

მაქსმა თითი მოწყვეტით გაქნია.

შნაიდერი გვერდზე გადგა, მაგრამ ხელი არ ჩამოუშვია, რითაც აგრძნობინა, განუკითხავად ნუ განმსჯიო.

ობერ-ლეიტენანტმა მოსმენა მაინც არ მოისურვა.

ქალებს ბაუმანი მოუძღოდა. უკან შტუტე მოჰყვებოდა. თაჯის ნა-

ხევარ სახეზე ცეცხლი ეკიდა. გზად უნტერ-ოფიცერს სილა გაეწნა. გუცა ბილიკზე სანახევროდ ფორთხვით ამოვიდა და ხელები სულ დაბინისხლიანებული ჰქონდა, გამოქვაბულთან რომ ააღწია.

ობერ-ლეიტენანტი თვალებს არ უჯერებდა, როცა ეს გაცრეცილი, მეოცნებე ქალიშვილი და ამღვრეული, სახეალეწილი გოგონა წინ დაუყენეს. ჯერ ტყვეებს უყურა თვალმოუცილებლად, მერე სათითაოდ შეათვალიერა ხუთივე ამ ჯგუფის მონაწილე ჯარისკაცი, ბოლოს შორეულ გრუხუნს მიუგდო ყური.

— ყორნები აქ შიმშილით არ კვდებიან!..

ხმა არავის გაუღია. მაქსის ირონია რისხვას ნიშნავდა, ეს ყველამ კარგად იცოდა.

— ან იქნებ ფიურერმა აქ იმისათვის გამოგგზავნათ, გერმანელი ქალების ალერსი მობეზრებული გექნებათ და კავკასიელი მთის ასულების გემოც იცოდეთო?!

გუცამ ზიზღით შეხედა გერმანელის ფართო მხრებზე დაკოსებულ მრგვალ სახეს.

— თქვენთვის მოგიტაცებიათ, — გულიანად თქვა შეთაურმა, — მე არ მოვეწონე.

— ჰანს, — გადაულაპარაკა კლაუსმა, — დაინახე?

შტუტემ თვალით ანიშნა გაჩუმდიო.

უნტერ-ოფიცერმა იცოდა, მამაკაცის დაჭერა იყო საჭირო, მაგრამ თუ ქალები მთლად უსარგებლო იქნებოდნენ, არ ეგონა.

ობერ-ლეიტენანტმა ჯარისკაცებს ჩამოუარა და ბოლოს უნტერ-ოფიცრის წინ შეჩერდა.

— აჰ, შნაიდერ!..

შნაიდერი კინაღამ გაწყდა, ისე გაიჭიმა.

— კენჭი ვყაროთ, თუ როგორც უფროსს, ერთი ისედაც მეკუთვნის?

— ჰერ ობერ-ლეიტენანტ...

— კაპრალი გვეტყვის, — გააწყვეტინა და ახლა ჰანსის წინ დადგა. შნაიდერი ქვად იქცა.

— მოულოდნელად შევეფეთეთ, სხვა გზა არ იყო. გვერდის აქცევა არ შეიძლებოდა... — შტუტე ეცადა აეხსნა ქალების დატყვევების მიზეზი.

— ვის შეეფეთეთ? ეს ქალები ღამით მარტო დასეირნობდნენ ბილიკებზე?

— არა, ჰერ, მათთან სხვებიც იყვნენ.
— ქალები?
— არ ვიცით, — დაასწრო ათისთავმა.
— მე მგონი...
— არავინ იცის, ვინ იყვნენ, — ისევ არ აცალა კაპრალს შნაიდერმა.
— ხმა! — იყვირა ობერ-ლეიტენანტმა და ჰანსს მიუბრუნდა: — ჩვენ თერთმეტნი ვართ, სად არიან დანარჩენი ქალები?
— ერთი მოვკალით.
— სხვები?!
— ორი გაიქცა.
— გაიქცა?..
— გაიქცა.
— ქალები გაგექცათ? ხა, ხა, ხა! ქალები გაგექცათ? რაიხსტაგს იმედი აქვს, რომ ბაქოს ნავთს გავგზავნით გერმანიას, ნავთქურებისათვის...
— მე მგონი, ქალები არ იყვნენ, ესენი არც განძრეულან...
— ქალები არ იყვნენ?!
— არა, არა, არ იყვნენ.
— იქნებ ქალები იყვნენ?
ჰანსს სიწითლე მოაწვა სახეზე.
— არა, ჰერ!
ობერ-ლეიტენანტი მობრუნდა და ათისთავს მიუახლოვდა.
— რას იტყვი, უნტერ-ოფიცერო შნაიდერ?
შნაიდერს ხმა არ გაუღია.
— როგორ გახსოვს, ქალები იყვნენ, თუ?..
— იქნებ არ იყვნენ... — ამოიბლუკუნა ფერწასულმა შნაიდერმა.
— იქნებ შტუტეს მოეჩვენა?
— არ ვიცი, ჰერ!
მერე ერთბაშად მოტრიალდა.
— გაიქცნენ?..
ახლა ყველა დუმდა.
— იქნებ გგონიათ გაიქცნენ და... არა, მაინც თქვენი ჭკუით სანამდე ირბენენ?!
ისევ არ გაუღია ხმა არავის.

— შნაიდერ, შენ გეცოდინება სანამდე ირბენენ? აქეთ რაღას მოდიოდით, თქვენი თავისათვის მაინც გეშველათ?

— ჰერ! — თქვა შნაიდერმა, — დავკითხოთ, ესენიც აქაურებია.

— მერე?

— მერე... — ათისთავს სმა ჩაუწყდა.

— ვთქვათ გითხრეს, რომ ისინი, ვინც გაგექცათ, მამაკაცები იყვნენ ან ისიც, რაც ჩვენ გვაინტერესებს და საერთოდ, არავითარი საიდუმლო არ დაფარეს. თუ აქ გამოგვამწყვდიეს, ჭკუის კოლოფო, ამათი დაკითხვა რის მაქნისია? მე მგონი, ისინი აქ თვითონ მოვლენ და შუამავალი შენ იქნები!

— როგორ უნდა მოკქცეულიყავით, ჰერ, თუ სხვა გზა არ იყო? — იკითხა კაპრალმა.

— როგორ უნდა მოქცეულიყავით? — ,,ალიარ-ვამოიარა და ისევ უნტერ-ოფიცერს მიუბრუნდა: — როგორ უნდა მოქცეულიყავით, შნაიდერ? — მერე ერთხანს გაჩუმდა. ალბათ, აქაც ბევრი იყო, თორემ მარილა სად გადაეყარნენ ამ შუალამისას ქალებს. ისიც იქ. სადაც დღისითაც არაფრის მაქნისია ადამიანი, მაგრამ ახლა ფიქრის დრო აღარ იყო.

— რას იტყვი, შნაიდერ, დრო აღარ იცდის, აქ დარჩენას სამუდამოდ ხომ არ აპირებთ?!

— ჰერ, ამათაც ეცოდინებათ აქაური გზები! — გაბედა ისევ ათისთავმა.

— ჰკითხე და გეტყვიან! — მერე გუცას მიუბრუნდა: — ფროილაინ, შნაიდერს უნდა აქაური გზები და ბილიკები ასწავლოთ, იქნებ ისიც უნდა იცოდეთ, რამდენი ჯარისკაცი მოადგება ახლა ამ გამოქვაბულს? უთხარით, ფროილაინ.

— შევრი. თქვენი სახსენებელი რომ გაწყვიტოს, იმდენი! — თქვა ტყვემ გერმანულად.

ობერ-ლეიტენანტი შეჩერდა, მიიხედ-მოიხედა, მერე ჰანსს დააუტერდა.

— მე ხომ ეთქვი! — წამოიყვირა კლაუსმა.

— რა თქვი შენ? — პირში ეცა მეთაური.

კლაუსი დაიბნა.

— თქვი!

— ის რომ, ჩვენი ენა იცის-მეთქი.

— ვინ იცის?

— აი, ამ..

გუცახე მიითითა.

— შენ მართლა ლაპარაკობ ჩვენებურად?

— ქალმა ხმა არ გასცა.

— ხმა ამოიღე! — თვალებში ჩახედა მაქსმა და ხელი რევოლვერის ბუდისაკენ წაიღო, — შენ თუ გგონია, მე არ მესმის ჩემი უბედურება და ბოდიშებისათვის მცალია, ამოიღებ ხმას თუ არა?!

გუცამ უკან დაიწია. რადგან გერმანელის ამონასუნთქმა სელი შეუხუთა, თქვით კი მაინც არაფერი თქვა.

— მე შენი დაკითხვა ახლა არ მჭირდება, რადგან კარგად ვიცი რა ხაფანგშიც ვარ, მაგრამ თუ მართლაც იცი, თუნდაც ორიოდე სიტყვა ჩვენებური, ნებას მოგცემ იმ ჯარისკაცებს ეფერო, ვინც აქ დაგხვდა, ამათ კი, — შნაიდერს, ჰანსს და კარლს ცერად გადახედა, — ეყოფათ შენი ყურება!

— შენი ჯარისკაცები, გარდა ამ ჯალათისა და... — შნაიდერზე და კარლზე აიჩვენა, — თუმცა შენთან ესენიც ანგელოზებია.

— მოვწონს, მოვწონს, შენ კარგი აზრისა ხარ ჩემს ჯარისკაცებზე! — შტუტეს თვალი დააპო, — უკვე მოასწარი? — ჰანსმა წარბი გაღუნა, მაქსმა ბაუმანს შეხედა, — შენც?

ბიჭი გაწითლდა.

ბრეზენტთან ატუხული თავდახრილი დანიელისათვის აღარაფერი უთქვამს, ისევ ქალს მიუბრუნდა:

— ჩვენც მოგვეჩვევი, — შნაიდერს ისევ ცერად ახედა, — რაო, არც შენ მოეწონე?

შნაიდერმა გაიღიმა.

ობერ-ლეიტენანტი განრისხდა, რას ილრიჯებიო.

— ეს უთუოდ ამის ოინები იქნება, — თითი ნიკაპში ამოსდო, — ეს ჯერ პატარაა, — ახედ-დახედა და მხრები აიჩეჩა — არ უნდა შეაშინოთ, ისე არა უჭირს რა... — და გუცას ჰკითხა: — ამასაც ესმის გერმანული?

— ნეტა ისე დამაყრუა, მეც არ გამაგონა... — გუცამ ზურგი შეაქცია.

კნოპსი წამოიწია.

მაქსმა თითით შეაჩერა აყლაყუდა ჯარისკაცი და კბილებში გამოსცრა:

— ვიცი, ჰამპელ, შენ ერთგული ხარ, მაგრამ მე ეს ერთგულება მალე დამჭირდება.

მიტრიალდა და იკივლა:

— აჰყარეთ ბანაკი!

თავი მეათე

გაავებული, მღვრიე, ვიწრო მდინარის ნაპირს ჭენებით მოსდევდა ორი ცხენოსანი. ოფლად გატბარული ცხენები გაუვალ ხეობაში ხან მდინარის გაღმა გადიოდნენ, ხან გამოღმა, ხანაც, როცა გავლა არც ერთ მხარეზე არ შეიძლებოდა, წყალ-წყალ მიჰყვებოდნენ. მხედრები მუხლს ქვემოთ სველები იყვნენ. წყალი პირუტყვს წვიეებს ძლივს უფარავდა, მაგრამ დუქმორეული ტყვიისფერი, ცივი ტალღები მაინც ფეხებს უბორკავდათ.

ვახომ უკან ჩამოიტოვა ნისლა ცხენი, როცა მარჯვენა ნაპირზე გადავიდა, უნაგირიდან ჩამოცურდა.

— აი, აქ დავტოვე, — თავის მართლებასავით თქვა მან, როცა მეორე მხედარიც მოიკრა და ჩამოქვეითდა.

ახალმოსულმა იქაურობას თვალი მოავლო, მხრები აიწურა, აქ კაციშვილს რა უნდოდაო და თქვა:

— ჰოდა, აქ იქნება.

ვახომ ცხენი მიატოვა, ლოდებს გადაახტა, წყლის პირას მოფარებულში გაუჩინარდა და მაშინვე მოისმა მისი ხმა:

— აქეთ, გუა, აქეთ!

გუამ ქვებზე გადაალაჯა. იგი არც ხნით და არც სიმაღლით ვახოზე უფროსი არ ჩანდა, მაგრამ მის სიდინჯეს ნაადრევი ჭკუა და თავშეკავება ეტყობოდა. იგი უფრო იმ ბავშვს ჰგავდა, რომელსაც სერიოზული საქმე მიანდეს და შეიფერა, მართლა შეიფერა, მერე ეს „სერიოზული თამაში“ თეითონაც დაიჯერა და ახლა არავის მისცემს უფლებას, მის ბავშვურ გარეგნობას დაუჯეროს.

ბიჭს თავისი ნისლისფერი ფაშატიც თან გაჰყვა და ზოგჯერ სახეში კაცივით უყურებდა.

მოფარებულში ლოდებს შორის გულაღმა ესვენა დაჭრილი, მაგრამ თუთარი არსად ჩანდა.

სიოში გონსმოსული დაუხვდათ, მაგრამ სიკვდილის წინ მოხედულს ჰგავდა.

— თუთარის ჯუბაა! — თქვა ვახომ, როცა გუამ ჯარისკაცს გახუნებული მოსაცვამი გადააძრო.

გუამ დაჭრილს მაშინვე გულისპირი გაუხსნა; მერე დანის წვერი ფრთხილად შეაპარა, სამხედრო გიმნასტურა და პერანგი იღლიამდე ჩაუჭრა.

ტყვიას მარჯვნივ გაევლო, თორემ ჯარისკაცი ამოსუნთქვასაც ვერ მოასწრებდა.

მსხვილი ქვები მოზიდეს კლდის შეღრმავებულ კედელთან და ერთმანეთს მიუწყვეს, ზედ ორი გაკეცილი ნაბადი დააგეს და დაჭრილი გადაიყვანეს, თავქვეშ ქვა დაუმატეს, რომ სისხლი პირში არ წამოსვლოდა. ჭრილობა გაიხსნა და ნაბადზე ტბორი დადგა.

— წყალი! — დაიძახა მკურნალმა იმ ხმით, რომელმაც იცის რით უწამლოს. თავზე დამდგარ ცხვნს ხურჯინი მოხსნა და ხელით ანიშნა, დაწეულიყო. ფაშატმა ერთი ნაბიჯი უკან გადადგა.

ვახომ ქუდით წყალი მოარბენინა.

გუა პირმოკუმული, კბილი-კბილზე მაგრად დაჭერილი საქმიანობდა. ჩქარობდა, მაგრამ რასაც აკეთებდა, მეტისმეტად სჯეროდა. ვახოს იმედი მიეცა და მაშინვე თუთარზე დაიწყო ფიქრი: წავიდა? არ დაელოდა, თუ ისიც მოჰკლეს?

— გუა!

გუამ ერთი გამოხედა.

— თუთარი არ ჩანს, ე, უპატრონო, მე წავალ!..

გუამ არ უპასუხა. გრძელი სახვევი აიღო და ანიშნა, დაჭრილი მხრებით ასწიეო.

ვახომ მომაკვდავს ფრთხილად ამოსდო ხელი იღლიებში და ნელ-ნელა წამოაყენა, მაგრამ სანახევროდ არ იყო შეხვეული, რომ ნაბადზე დაუშვა და თქვა:

— წავალ!

— გაგიჟდი! — ისე იყვირა გუამ, ცხენი ორი ნაბიჯით კიდევ დაიწია უკან და ყურებდაცქვეტილი დაელოდა, რა მოყვებოდა პატრონის ასეთ გაბრაზებას.

ბიჭს ხმა არ ამოუღია, გუაც ხომ თან უნდა გაჰყოლოდა და ახლა ეს აჩქარება საქმეს აფერხებდა. ისევ დაწვდა დაჭრილს მხრებში და ასწია.

შეხვევა განაგრძეს

ცხენმა იკრძნო, პატრონს სიბრაზემ გაუარაო და ორი ნაბიჯი ისევ წინ გადმოდგა.

თავი მეთერთმეტე

ბედი და ობერ-ლეიტენანტი ისევ დანასისხლად იყვნენ. მაქსს რომ ეგონა სასწორი ჩემსკენ გადმოიხარაო — შეცდა, ამჯერად ბედი უფრო ძუხანათი გამოდგა. როცა ტყვეები მოჰყავდათ, თურმე იცინოდა და მაქსიც იცინოდა. ყველაზე ძნელი ისაა, როცა სატირლად გაქვს საქმე და იცინი. მეთაურს ახლა ისიც არ შეეძლო, ნაღველი ამოენთხია და ჯავრი ეყარა. თვალი უნდა დაეხუჭა. ობერ-ლეიტენანტს ახლა ყველაზე მეტად სჭირდებოდა ჭკუა. აქ, ამ კლდეებში გამომწყვდევას თვითონ ვერ დაიბრალებდა. თავს ბნელ ვარსკვლავზე დაბადებულად თვლიდა; ვერ იქნა და წარბი ვერ გაახსნევინა ამ დედინაცვალივით გესლიან წუთისოფელს.

ობერ-ლეიტენანტს არ უცდია ქალები დაეკითხა. უკან დასახევი გზა არ იყო და ტყვეებს როგორი კარვი ჩვენებაც არ უნდა მიეცათ, მაქსი მაინც იმ ბილიკით უნდა დაბრუნებულიყო, რომლითაც ამ ორწოსებში შეღწეულა. კი უნდოდა გაეგო შუადამისას რა უნდოდათ ქალებს ამ ჯანდაბის გზაზე, მაგრამ მაქსი ცნობისმოყვარეობას და გრძნობას აყოლილი კაცი არ იყო, მით უმეტეს ახლა ყველაზე სულწასულსაც არ მოუვიდოდა აზრად ასეთი წვრილმანისათვის დრო დაეკარგა.

ბანაკის აშლას მაინც კარგა ხანს მოუნდნენ.

შნაიდერი დაბნეული იყო. იცოდა, რომ ობერ-ლეიტენანტი ბრალს დებდა, მაგრამ მეთაურს ორიოდე ირონიული ფრაზის მეტი არაფერი უთქვამს. ამან კიდევ უფრო დააფრთხო უნტერ-ოფიცერი. აქეთ-იქით უთავბოლოდ აწყდებოდა, ხმის ამოღებას ვერ ბედავდა და ჯარისკაცებს თვალის ბრიალით აჩქარებდა, შტუტეს თავს ირიდებდა. ამ კაცის სიახლოვე გულ-მუცელს უდუღებდა. კაპრალს არაფერი უთქვამს, როცა ტყვეები წამოიყვანეს. ტყვეები რომ ქალები აღმოჩნდნენ, შნაიდერს დიდად არ აუტკივებია თავი. მას ევალებოდა აქაურები ჩაეგდო ხელში და შეასრულა. აი ისინი, ვინც გაექცათ, ცოცხლები არ უნდა გაეშვათ, მაგრამ გაექცათ და რა უნდა ექნათ?! ახლა კი საქმე სხვანაირად შეტრიალდა და რაც ამას უბედურება შეიძლება მოჰყვეს, მას

დაატყდებოდა თავზე. შტუტეს კი არაფერი. ჯგუფში ყველამ იცის, რა ძვირად ულირთ ჰანსი. იგი ბავარიის მთებშია გაბრდელი და იმისთანა მთამსვლელი გერმანიაში ბევრი არ მოიძებნება. ის შნაიდერივით ორ ქვირაში კი არ გაუწვრთნიათ!

უნტერ-ოფიცერს სიცოცხლის ფასად რომ დაჯღომოდა, უნდა მოეგო უფროსის გული. მას ახლა არ გაუცვნია ობერ-ლეიტენანტი, აქამდეც ბევრ ბრძოლაში ახლდა და ნამეტანი უკვირდა რა იყო მიზეზი, რომ არაკინ დასაჯა და ქალების მიმართაც ლმობიერება და თავაზიანობა გამოიჩინა.

— შნაიდერ! — გაისმა ობერ-ლეიტენანტის ცივი ხმა, როცა სამზადისი დამთავრდა.

უნტერ-ოფიცერს იმედის ნაპერწკალი გაუჩნდა და მზად იყო, ახლავე პირდაპირ უფსკრულში გადაშვებულიყო.

უფროსს უსიტყვოდ გამოეპიმა.

— შენ ჩაუძღვები!

შნაიდერი მოტრიალდა და ვაქცევა დააპირა.

— ძოიცა, ფრთხილად ჩაჰყევი... სირბილი არაა საჭირო, ჩვენ გვეჩქარება!

წყაროსთან რომ ჩავიდნენ, მზე გადახრილი იყო. ცხენები ქვებში ამომძვრალ ბალახს წიწკნიდნენ. ზევიდან ნელა ეშვებოდნენ დესანტეტყვეებს წინ კლაუსი მოუძღოდა, უკან ჰანსი მოყვებოდათ.

წყაროსთან ქალები ცხენებზე შესვეს. ეს თვითონ უფროსმა ბრძანა და შნაიდერს ისევ გაუკვირდა.

ობერ-ლეიტენანტმა ორი საგანგებო მსროლელი გამოიყვანა. მათი ტვირთი ცხენს ეჭირა და უბრძანა, წინ წასულიყვნენ. ამ ორ სნაიპერს, ვალტერსა და იოჰანს, თვალისჩინივით უფრთხილდებოდა მეთაური. დღესაც, როცა შნაიდერმა ღამე ათის და მთელი დილა ამ ღვთისაგან შეჩვენებულ ბილიკებზე იწანწალა, ობერ-ლეიტენანტს სნაიპერები გამოქვაბულში უწვა. მაქსმა იცოდა, ზარბაზნებით ვერ დაანგრევ ამ მთებს, აქ ერთი ზუსტად ნასროლი ტყვია მეტს გააკეთებს, ვიდრე მთელი სატანკო დივიზია.

ობერ-ლეიტენანტი თითქოს არ ჩქარობდა და არც ნერვიულობდა. ჰანსს უკვირდა, მისგან ამდენ წინდახედულებას არ ელოდა. იგი ხაფანგში მოექცა, მაგრამ არ დაბნეულა. მან იცოდა ბრძოლა და, მისი გულისტკივილი — ობერ-ლეიტენანტის ჩინს რომ ვერ ასცილდა, ახლა ჰანსს სამართლიანად მოეჩვენა და საკუთარი თავი გაუფრთხილა, ამ

კაცს მორიდებოდა. იგი უფრო ობერ-ლეიტენანტის ტყვეებთან დამოკიდებულებამ დააეჭვა. ქმარს გაყრილმა დედამ და მოღალატე ცოლმა მაქსს შეაზიზღა მშვენიერი სქესი. მას ქალისადმი პატივისცემა არ გაუჩნდა. ახლა ეს დამოკიდებულებაც ჭკუის ნაკარნახევი იყო.

გზას რომ დაადგნენ, წინ წასულმა მზვერავმა სნაიპერებმა ბილიკს შემოუარეს. იქ ორივე შეჩერდა. მერე ერთი გაწვა და გასახედს ხოხვით მიუახლოვდა. ერთხანს უთვალთვალა, უკან წამოვიდა, რაღაც მოლაპარაკეს, ქვის კედელს ააყოლეს თვალი, რომელიც მარჯვნივ მისდევდა ბილიკს, ბოლოს ერთიდ უკან წამოვიდა, მეორე ისევ გასახედთან ჩასაფრდა.

ნაადრევად გამელოტებულმა ქოსა ჯარისკაცმა ამბავი მოიტანა, რომ ვილაც შენიშნეს.

— რას იტყვი, როგორ მოვიქცეთ, ვალტერ?!

მაქსი არც ახლა აღელვებულა.

— ბილიკზე ვერ ავალთ, ჰერ!

— მაგრამ აქაც ვერ დავრჩებით.

— ჯერჯერობით...

— ბევრს ვერ დავაგვიანებთ, — ობერ-ლეიტენანტი ჩაფიქრდა, — შნაიდერ!

ათისთავმა ფეხი ფეხს შემოჰკრა და ხელი აუღო.

— გისმენთ!

— როგორ გახსოვს, რამდენი კაცი გაგექცათ წუხელ?

— ორი, ჰერ!

— რამდენი მოჰკალით?

— ერთი.

— მოჰკალით?

— კი, ჰერ! ცხენიდან გადავარდა და გადაიჩეხა.

— ვალტერ!

— გისმენთ!

რა გინდოდა გეთქვა, როგორ მოვიქცეთ?

ობერ-ლეიტენანტს წესად ჰქონდა, ეკითხა ჯარისკაცისათვის რას აპირებდა. იცოდა, მებრძოლი თვალს რომ მოგაცილებს, მაინც თავისას იზამს, თანაც თავის არჩეულ გზას მეტი გულმოდგინებით ადგას, მეტი მოსაზრებული და მონდომებულია.

—კედელზე უნდა ავიდეთ! ობერ-ლეიტენანტო, ზევიდან უნდა გავ-

წმინდოთ გზა! — ვალტერი შეჩერდა და თვალით დაუწყო ძებნა ვილაცას.

— რა გვიშლის ხელს?

— შტუტე უნდა დაგვეხმაროს.

— ჰანს, — რბილად თქვა მაქსმა.

ჰანსმა ფრთხილად აუარა გვერდი ქალებს და წინ წამოვიდა.

თავი მეთორმეტე

ბასყა ჩქარა მოყვებოდა კლდეზე სახიფათო ბილიკს. თუთარმა იცოდა, ამ ერთადერთ გზაზე უკვე ყოველ წუთს შეიძლებოდა შეჩეხებოდა გერმანელებს. ეს შეხვედრა ცხენის ყოველი ფეხის გადადგმაზე ახლოვდებოდა.

თუთარს მოფიქრებული ჰქონდა: მტერს როგორც კი შენიშნავდა, უკან უნდა დაეხია, ჩასაფრებულიყო და დალოდებოდა. იცოდა, გერმანელები სულელები არ არიან თავი სამიზნეზე დადონ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც წინ უნდა წამოსულიყვნენ, რაკი უკან ერთი გაუვალი ბილიკის მეტი გზა არაა, რომელიც საჯიხვეებზე მიდის, იქიდან ჩრდილოეთით გადასვლა კი არავის გაუგია.

იცოდა, საჯიხვეების ძირში წყარო იყო, წყაროს ზევით — გამოქვაბულები, სადაც ომამდე მონადირეები ათევდნენ ღამეს.

თუთარს კარგად ახსოვდა იქ ღამის გათევა. ქვაბულში შეშის კონა დახვდათ, დაწვეს და სამაგიეროდ თავიანთი მიტანილი დატოვეს. ასეთია ნადირობის წესი. იქნებ ჯიხვებს გადაეყარე და, რომელიც თვალში მოგივა, ესვრი. მონადირე მეწინავე, მეთაურ ჯიხვს არ ესვრის, მტერს კი, მეთაურს უნდა ესროლო, მაგრამ ჯერჯერობით არც მეთაური ჩანდა და არც ქვეშევრდომი.

გზა კი, დასწყევლოს ეშმაკმა, სადაა გზა, ჯოჯოხეთზე გაკიდებული ბეწვის ხიდია, დალოცვილი აქაური ცხენი თუ არა, აქ მოხეტიალე კაციშვილს ტყვია რად უნდა, სიკვდილი ყოველ ნაბიჯზეა ჩასაფრებული.

შეჩერდა, უკვე ძალიან მიახლოებული იყო, ჯობდა, კლდეს მაღლა აჰყოლოდა და იქიდან გადაეხედა. მისი ვარაუდით გამოქვაბულებს დაინახავდა. წყარო დაბლაა, არ გამოჩნდება.

ჩამოქვეითდა, აღვირი ლოდს მოახვია, ბაბუამისის სანადირო ლულახაზიანი ტახტაზე ჩამოკიდა, კარაბინი მხარილლივ მოიგდო. ბილი-

კიდან კლდეზე ხელის მოსაკიდი რომ ვერ იპოვა, ისევ ამხედრდა, უნაგირზე ფეხით შედგა, მაღლა მოეჭიდა და ციცაბოს აჰყვა. ნელა მიიწევდა. ორივე ხელით ებღაუჭებოდა პიტალოს ნაბზარებს. ზედ ეკვროდა. ეწებებოდა და მიბობღავდა. რამდენი ზევით და ზევით აიწია, იმდენი გაუჭირდა, მაგრამ მალე კლდის ქიმებს შორის გაფორთხდა. მეორე მხარეზე გადავიდა და ქვევით, საიდანაც წყლის ხმა ძლივს აღწევდა, გადაიხედა. გული შეუქანდა. მდინარის მხრიდანაც დაკიდებული ციცაბო დაინახა.

ახლა გვერდზე გაცოცება დააპირა, მაგრამ იგრძნო, რომ მორყეულ ლოდს მოეჭიდა, მაშინვე ხელი უშვა. ქვა მაინც მოწყდა, ჯერ იქვე ჩაგორდა, თითქოს შეჩერდაო, მერე იქიდანაც მოირღვა და მდინარისაკენ ზათქით გადაეშვა. ბიჭმა თვალი ჩააყოლა. გაღმა, კლდის წაწვეტებულ შვერილზე, პარაშუტი ეკიდა. პარაშუტის ყურს ხევში მონაბერი ნიავი ბერავდა, ბაწარზე კაცი კონწიალობდა. თუთარი მოეფარა. თოფი გადმოიღო და ცალი თვალით გაიხედა.

პარაშუტისტი არ იძვროდა.

იქნებ მტერს ჰგონია, ბიჭი გამოუცდელია და მოატყუებს. არა, არც ის იფიქროს, თუ სული უკვე ჯგერაგს[1] ჩააბარა, თუთარმა ტყვია გაისროლოს და თავი გასცეს.

ჩაწვა, ქუდი წაიძრო და თოფის ლულით მაღლა დაიჭირა: ენახო ერთი, აბა, რას იზამსო. იწივლა ტყვიამ და მის გვერდით კლდეს ნაფხვენები ჩამოცვივდა.

— რას ერჩი, კარგად უსვრია! — ჩაილაპარაკა და გახვრეტილი ქუდი დაიხურა. — თვალს მიხვევენ, ეს მისი ნასროლი არაა, — გახედა. პარაშუტისტი ისევ უძრავად ეკიდა. ტყვია სულ სხვა მხრიდან იყო წამოსული.

აღგილი გადაინაცვლა. ხელში მოზრდილი ქვა დაიჭირა და კლდეს მიადო. მარტო ცალი, მარცხენა ხელი უჩანდა იმ მხრიდან, საიდანაც, მისი ვარაუდით, ესროლეს. ქვასა და კლდეს შორის ღრიჭო დატოვა, შიგ გაიჭვრიტა და სანამ ვინმეს ან რამეს დაინახავდა, ისევ ესროლეს. იმ ქვას, ხელით რომ ეჭირა, ყური ჩამოამტვრიეს.

— კარგად ისვრიან, წყეულები! — თქვა და ქვა გადააგდო. გული დასწყდა. — მე, ალბათ, ასე კარგად ვერ მოვარტყამ. ძალიან ფრთხილად უნდა ვიყო...

---

[1] ჯგერაგი — წმინდა გიორგის ეძახიან სვანები.

ჩახოხდა. ხელახლა ტამოიცვალა ადგილი.

ორად გაყოფილ ქიმებს შორის მოზრდილი ქვა ჩაჭედილიყო. იქეთ წაჩოჩდა, გულზე საკინძე გადაიღლიტა, მაგრამ იქამდე მიაღწია და გვერდით მიუწვა. ჩაჭედილი ქვის ქვეშ გასახედი იპოვა.

ეჭვი არ იყო, გამოქვაბულის მხრიდან ისროდნენ. უთვალთვალა, ვერავინ შენიშნა. მერე გასახედში თოფის ლულა გაჰყო და მოუთმენლად დაელოდა. ახალი სამალავიდან კლდეზე დაკიდებული პარაშუტისტი აღარ ჩანდა.

ბიჭმა იცოდა, რაკი მტერმა გაისროლა, აწი ყველა საეჭვო წერტილს დაუშენს. თუთარს სხვა გზა არ რჩებოდა, მათი ზუსტი ადგილსამყოფელი არ იცოდა და უნდა დალოდებოდა.

ვახო და გუა თუ მაშინვე წამოვიდნენ, დიდი-დიდი ახლა ამოეღწიათ იქამდე, საიდაც სიოში დატოვეს. თუ ცოცხალი დახვდათ, კარგახანს დაჭრილის შეხვევას და დავიდარაბას ვერ მორჩებოდნენ.

მტერს შეეძლო წყაროდან ხევში ბაწრებით ჩასულიყო, მაგრამ ხევგაღმა კედელზე ასვლას კი ვერ მოახერხებდა. ისინი ისედაც შორს შეჰყვხენ ამ ბილიკს, ალბათ, გამოქვაბულის მიუვალობამ აცდუნათ, ახლა იმის შიშით, არ გამოვემწყვდეთო, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა აქედან გააღწიონ.

ბილიკზე გავლილი მომხვდური კი ვერ უნდა გაექცეს თუთარის ტყვიას...

ქალები...

თუთარმა თავი გააქნია, ქალებზე ფიქრი უნდოდა მოეშორებინა.

ცხენებს ვერ შველოდნენ — ბარგის სათრევად დასჭირდებოდათ. გარდა ამისა, თუ აქ ვიწრო გზაზე წინ გაიძღოლებ, თითოეული ცხენი თითო ტყვიას მაინც გაციებს.

ლოდებში ჩაძხობილმა ბიჭმა იგრძნო, რომ საშინლად დაღლილიყო, შეტი ფიქრის თავიც აღარ ჰქონდა და ბეღს მინდობილივით ჩაიქნია ხელი, მოხდეს რაც მოსახდენიაო.

დადგა ჩუმი, დაძაბული წუთები. ასეთ დროს არც სიკვდილზე ფიქრობ, არც სიცოცხლეზე: ფიქრობ არ შეგამჩნიონ, ყოველი ძარღვი დაჭიმულია, ყოველი კუნთი მოჰქანცველად მუშაობს, რომ არ გაინძრეს.

ბიჭმა დაინახა: ზევიდან ქვა ჩამოვარდა, ბილიკზე დაეცა, მერე იქიდანაც დაეშვა, საიდანაც ქვა დაგორდა, ვიღაც წამოიწია, გადახტა და თვალთაგან დაიკარგა. ან უფრო მოხერხებულ ადგილას ჩასაფრდა, ან

ქვევით, თავისიანებთან დაბრუნდა. თუთარი არც განძრეულა. ამ ერთ წამში თოფის დამიზნება და სროლა არ მოესწრებოდა. ახლა ერთი რამე ცხადი გახდა: მზვერავი ბილიკს ზევით იყო ჩასაფრებული და დანარჩენები ქვევით, წყაროდან ამოსასვლელში იცდიდნენ.

თუთარი დარწმუნებული იყო მალე ვიღაც გამოჩნდება და უნდა დავცხოო, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, გერმანელებს წინ ტყვეები გამოეშვათ? აქედან კი ძნელი გასარჩევი იყო მტერი და მოყვარე.

ნაბდიანებისათვის არ ესროლა? ნაბადი ხომ შეიძლებოდა სხვასაც მოეხურა?..

იქნებ თუთარს თავისი სტუმრის ან დის სისხლი დაეღვარა, თუ აქამდე კიდევ ედგათ სული!

— რა ჯანდაბა ვქნა? — ხმამაღლა წამოიძახა ეგონა და თავისი ნათქვამი კი არ გაუგონია. — ვახო მაინც არ გამეშვა...

მყინვარს გადაღმა თვითმფრინავები გამოჩნდნენ. ქვევით, ალბათ, სროლა აუტეხეს. ყრუ გუგუნი მოისმა.

მზე გადავიდა და ღრუბლების თეთრ ქულებში გაეხვია. მტერი მეტს ვერ მოითმენდა. იგი თავდასხმას ელოდა და უნდოდა ჩასაფრებული დახვედროდა, რომ ნაკლები დაეკარგა, მაგრამ ერთი კლდე-კლდე ძოხეტიალე ბიჭის მეტი არავინ გამოჩენილა და იმასაც ჯერ არ გაუსვრია.

ცივმა ქარმა წამოუბერა, ლოდებში უძრავად ჩაწოლილს შეაჟრჟოლა.

ბილიკის თავში რაღაც გაილანდა. ბიჭი ისევ არ განძრეულა. მას მოთმინებით მტრისათვის უნდა ეჯობნა. ყოველგვარ მოძრაობას შეეძლო გაეცა და მისი „ჯარი“ ერთი სროლით გაენადგურებინათ.

წყაროს მხრიდან აღმართზე ამოდიოდა რაღაც ნელა, ნება-ნება. ცოტაც და ცხენის თავი და ფაფარი გამოჩნდა.

ცხენი ბილიკზე ამოვიდა და ბიჭს არ გასჭირვებია ამოდენა მანძილზე ეცნო წაბლისფერი ფაშატი, რომელზეც ბაბუამ მასწავლებელი ქალი თავისი ხელით შესვა.

ფაშატზე ახლა არავინ იჯდა. ქალები, თუ კიდევ ცოცხლები იყვნენ, წინდახედულმა მტერმა სხვა დროისათვის შემოინახა. რაკი დუმილმა დაღალა და მოთმინების ძაფი გაუწყვიტა, ბილიკზე ჯერ ცხენი ამოდენა, უნდა გაიგოს ვინ, საიდან ესვრიან, რამდენი ესვრის და როგორ. აქედან სამი-ოთხი თოფი რომ ერთად გავარდნილიყო და ნიშანში არც ერთი არ მოხვედროდა, მტერი თავის გამოყოფას ვერ გაბედავდა, რად-

გან სადაც სამი-ოთხი თოფი ერთ წერტილში უმიზნებს, იქ ათი და ოცი დუმს.

მომხვდური ისევ უნდა დაეჭვებულიყო ვამარჯვებაში და მოთმინება გაუჩნდებოდა. ბიჭს ძვირად უღირდა დრო, მაგრამ დუმილიც აღარ შეიძლებოდა. უნდა ესროლა თავისი ცხენისათვის და მოეკლა. ამით ის მტერს თავსატეხს გაუჩენდა და აფიქრებინებდა: აქ ერთ სანიშნეს ორი არ ესვრის, რადგან ტყვიას მიზანს არ აცილებენო და უკან დაიხევდა. ამასობაში, თუ სხვა არავინ, იქნებ ვახო მაინც გამოჩენილიყო...

— ოო, მადლიანო უფალო, მთავარანგელოზო!.. — თქვა ბიჭმა ნადირობის დროს გაგონილი სიტყვები და თოფის კონდახი ბეჭზე მაგრად მიიბჯინა, სუნთქვა შეიკრა, ქვად იქცა და ცხენს შუბლში დაუმიზნა, მაგრამ არ უსვრია, მკერდში არჩია დამიზნება. იქ მოხვედრება უფრო ადვილი იყო. იქნებ მაშინვე ვერ მოეკლა, მაგრამ თუ წმინდა გიორგი შეეწეოდა და სადმე მაინც მოახვედრებდა, ტყვიანაკრავი დაფეთდებოდა და, ერთი რომ მოტრიალებულიყო, გადაიჩეხებოდა.

ჩახმახი გამოუშალა და თვალები დახუჭა.

თვალის გახელა ვერ მოასწრო, რომ პასუხადაც გავარდა, გავარდა ზედიზედ და ლოდებზე აწივლდა ტყვიები. მაინც გახედა ბილიკს, ცხენი იქ აღარ იყო.

თავი მეცამეტე

ერთადერთმა ტყვიამ, რომელმაც ცხენი ბილიკიდან გადააგდო, ობერ-ლეიტენანტი დააფრთხო. მაქსის ათეული რომ წინ წასულიყო, ამ კლდეში ჩასაფრებულს სულ თერთმეტი გასროლა დასჭირდებოდა.

მაქსს გამვრიახი ჭკუა დაებნა და ახლა ერთადერთი, რაც იცოდა, ის იყო, რომ საქმე საშიშ მოწინააღმდეგესთან ჰქონდა და ობერ-ლეიტენანტს აზრად მოევიდა ტყვეებს გამოლაპარაკებოდა, მაგრამ არამც და არამც უხეშობა არ ჩაედინა. თუ ისინი აქაურები იყვნენ და გატაცებული ქალებისათვის ებრძოდნენ, ადვილად შეიძლებოდა ამ ტყვეებზე ყოფილიყო დამოკიდებული გერმანელების ყოფნა-არყოფნა.

გუცა და თაჯი ბილიკის კედელს თოჯინებივით მიყუდებოდნენ. ობერ-ლეიტენანტი უკან წამოვიდა. ჰანსი ბილიკის პირზე იჯდა. ავტომატი კალთაში ედო და კლაუსის ჩურჩულით ნათქვამს ისმენდა.

ობერ-ლეიტენანტი მიხვდა, შტუტე არ წამოდგებოდა, როცა უფროსი ჩაუვლიდა და ხელით ანიშნა, მჯდარიყო.

ჰანსს გაეღიმა.

— ფროილაინ! — მიმართა ქალს მაქსმა, როცა კაპრალის ზურგს უკან დარჩენილ ბილიკზე გაიარა.

გუცამ ირიბად გამოხედა ისე, რომ თავი მისკენ არ მიუბრუნებია. თაჯიმ უკან დაიწია.

— თქვენი... პატარა ფიცხია! — თქვა მაქსმა.

გუცამ თაჯის შეხედა.

— მე ბოდიშის მოხდას არ ვაპირებდი, — დაიწყო ობერ-ლეიტენანტმა უფრო ცივად, რადგან შეატყო, თბილი სიტყვით ქალებს ერთიორად დააფრთხობდა, — თქვენ იცით, ჩვენ იმიტომ არ ჩამოვსულვართ თქვენს ქვეყანაში, რომ ველური ყვავილების გვირგვინი დავიწნათ. ქალი მაინც ქალია, მაგრამ რა ვუყოთ, ჩვენ ხომ მტრები ვართ!

გუცამ შუბლს ქვემოდან გამოხედა.

— ვატყობ, სიმართლე გითხარით.

ქალმა თავი შეაბრუნა.

— თქვენ, ქართველები ხართ და იცოდეთ, ჩვენ ერთმანეთთან ბევრი სადავო არაფერი გვაქვს. არ ვიტყვი, რომ წმინდა არიული სისხლი თქვენს გასათავისუფლებლად იღვრება, მაგრამ თქვენთვის სულ ერთი უნდა იყოს, რუსული ჩექმის ქვეშ ამოგხდებათ სული თუ გერმანულისა. ჩექმა ჩექმაა, ასე არ არის, ფროილაინ? თუმცა, ისიც გეცოდინებათ, გერმანელები ყველაფერს ყველაზე უკეთესად კერავენ.

გუცამ თაჯისკენ გადადგა ნაბიჯი და ობერ-ლეიტენანტს ზურგი შეაქცია.

— გამიგონია, ქართველები მამაცი ხალხიაო, მაგრამ წავიდა მაგის დრო, ახლა ომის ბედს იარაღი წყვეტს, გერმანული იარაღის წინაშე კი ისეთმა ქვეყნებმა დახარეს თავი... თქვენ განათლებული ქალი ხართ, კი გეცოდინებათ. რას იზამ, მე ბრალს კი არ ვდებ თქვენს სალხს, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ თქვენს პატარა ქვეყანას ერთი გერმანული დივიზია შემუსრავს. ფიურერი მე არ მეკითხება ქკუას და არ ვიცი, რას გიმზადებთ ისტორია, მაგრამ ვიცი, სული ტკბილია და ის, ვინც ასე კარგად ისვრის, თუ მარტო თქვენი გამოხსნისათვის დებს თავს ჩვეი ჯარისკაცების სამიზნეზე, მე თქვენ გაგანთავისუფლებთ!

ქალმა მოხედვა დააპირა, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა.

— არ მოგჩვენებიათ, მე ეს მართლა ვთქვი. თქვენ ჩემთვის საჭი-

რო არა ხართ. მართალია, მოხდენილი გარეგნობა გაქვთ, მაგრამ ახლა, სანამ ვიბრძვით, ჩვენთვის ესეც ფუჭია. რა თქმა უნდა, იმიტომ არ გაგანთავისუფლებთ, რომ თქვენზე ვზრუნავ, არა, ამით მე არაფერს ვკარგავ, გარდა იმისა, რომ თქვენი ლეშით ყორნებს არ გავაძღებ.

მაქსს ბრაზი მოერია.

— ხმას რატომ არ იღებთ, გეუბნებით გაგიშვებთ, ოღონდ ეს ალქაჯები გზიდან ჩამოგვეცალონ. ამისათვის არც დიდ ცერემონიას მოვითხოვ, წადი, გადაეცი, რაც გითხარი, ეს გოგონა აქ დაგიცდის!

არც ახლა უპასუხა არავინ.

ობერ-ლეიტენანტმა გაიცინა.

— ჭკვიანი ქალიშვილი ჩანს, — მიუბრუნდა იქვე ატუზულ კნოპს. — ეშინია, სამიზნეზე არ გავიყვანოთ, როგორც მისი ცხენი. არა, ეს რომ გვინდოდეს, შენს უკითხავადაც მოვახერხებდით, მაგრამ თქვენი თანამემამულენი ისე კარგად ისვრიან, როგორც კი მიზანში ამოგიღებენ, თქვენი წამწამების ჩეროს იოლად გაარჩევენ... გარდა ამისა, ეს თქვენი მატყლის მოსახურავი არ აერევათ გერმანულ მუნდირში.

მაქსი გაჩუმდა და ჩაფიქრდა. ბოლოს გადაწყვიტა: თუ ნამდვილ მიზეზს გაუმხელდა, ქალი დაიჯერებდა, წინ ნაბიჯი გადადგა და დაუმატა:

— ასწიეთ თავი, თქვენ გიკვირთ ჩვენი გულუხვობა. მართალია, ჩვენ არა ვართ გულსაწყალნი, მაგრამ არ დაგიმალავთ, გვინდა, დროზე გავიდეთ აქედან, რადგან ჩვენ უფრო დიდი საქმე გვაქვს გასაკეთებელი, ვინემ თქვენი თვალების ლაციცია.

მაქსმა არ იცოდა, ტყვეებს კიდეც რომ დაეჯერებიათ, მტერს გზას არავინ გაუხსნიდა. მტერს, რომელსაც მთელი ქვეყნის სისხლი ემართა და წუხელ სიოშის სისხლიც დაემატა.

თავი მეთოთხმეტე

თუთარს თავზარს სცემდა იმის გაფიქრება, რომ მალე ჩამოღამდებოდა და ხაფანგში მოქცეული გერმანელები ყოველნაირად ეცდებოდნენ თავი დაეღწიათ. მარტო თუთარი კი ბნელში ცერაფერს გააწყობდა. ახლა ბილიკზე რომ ყოფილიყო, ჯობდა, საიმედო სამალავს მოძებნიდა და ვიწრო გზაზე სათითაოდ წამოსულ მტერს, სანამ ცოცხალი იქნებოდა, წინსვლის საშუალებას არ მისცემდა.

ბილიკზე ჩასვლა საღამომდე არ მოხერხდებოდა. მტერი კი ივ

დროს აირჩევს, როცა თუთარი ნიშანს დაკარგავს. მითუმეტეს, ბილიკი ქვევითაა და იქ უფრო ადრე დაბნელდება.

მზე მწვერვალების ქიმებს ჯერ კიდევ ანათებდა და შორს თეთრ მყინვარსაც წითელი ღრუბლები ეხვია.

მოგვიანებით ცა სულ გადაიწმინდა, თუთარს იმედი მიეცა — კარგ ამინდში გვიან ღამდება — იქნებ ჩემიანებმა მომისწრონო.

ხევში რომ საღამოს თხელი ბინდი ჩაწვა, ბიჭი შეშინდა. ვახო კერპია, მაგრამ ჩქარია. იგი ხშირად ჯერ აკეთებს და მერე ფიქრობს. თუმცა მისი ცხენის პატრონს ყოველთვის ჭკუაც ვერ გიშველის. გუა კიდევ, ვინ იცის, როგორ შეხვდა ამ ამბავს, მაგრამ გაცემით, ცოცხალი თავით არ გასცემდა... აბი? იმის იმედი, რომ ვახო აბის თვალებს დაეშალებოდა, თუთარს არ ჰქონდა.

ხევში მუქი ფერი გახშირდა, როცა მყინვარს ოქრო მოაკლდა, უკვე გაჭირდებოდა ერთი გასროლით ბილიკიდან ცხენის გადაგდება.

მრუმე ბინდით აივსო ხევი და მაღლა, ბილიკის პირამდე ამოვიდა. მტერი ძეტს აღარ დააყოვნებდა და როგორც კი გამოჩნდებოდნენ, თუთარსაც უნდა ესროლა, მაგრამ აღარ ეცოდინებოდა ვის მოჰკლავდა.

ის იყო პირველი აჩრდილიც გამოჩნდა, კლდეს აეკრა და ბიჭმა დაუმიზნა, მიხვდა, ეს აჩრდილი გერმანელი იყო. იძულებით გამორეკილი ტყვეები გზას თავდაღუნული დაადგებოდნენ. მტერი უკან ჰყავდათ და წინ ვიღას დაემალებოდნენ? თუთარს ჩახმახი უნდა გამოეშალა, რომ აჩრდილმა ნახტომი გააკეთა, გამოირბინა, ბილიკის პირზე გადაკიდებულ ლოდს შეაფარა თავი და თვალთაგან დაიკარგა.

— ბიჭმა თვალები სახელოთი მოიწმინდა და მოწოლილი ცრემლი მოიშორა, ისევ ქვევით ჩააჩერდა: ერთი რომ გაუჩინარდა, უკან კიდევ ამოძვრა შეორე, ისიც კლდეს აეკრა. ბიჭმა ახლა იქით გადაიტანა ნიშანი, მაგრამ უკვე ხეირიანად არაფერი ჩანდა.

როცა დაიჯერა, რომ მისი ნასროლი მიზანს ველარ მიაღწევდა, ქვევით ჩასვლა დააპირა. ის იყო წამოიწია, რომ იწივლა ტყვიამ, მაშინვე თავდაღმა დაემხო. ზევით, საიდანაც პირველად ესროლეს, იქვე იყვნენ ჩაპაფრებულნი და გზაზე გამოსულებს იცავდნენ. ერთის მეტი აღარ უსვრიათ. ბინდი თანდათან მწვერვალებზეც მოვიდა.

თუთარი თითქოს ხედავდა, როგორ უახლოვდებოდნენ ბილიკზე წამოსული აჩრდილები მის ცხენს, რომელსაც დაინახავდნენ თუ არა,

ესროდნენ. ცხენი მათთვის საშიში არ იყო, მაგრამ რა იცოდნენ, მის უკან იდგა ვინმე თუ არა?!

დაბნელდა. აღარაფერი ჩანდა. ბიჭმა თოფი მხარიღლივ გადაიკიდა და ჩაფორთხდა, ფრთხილად ჩაუყვა კედელს, რომ ზედიზედ გავარდა. ბიჭი შეშინდა და გაილურსა. ეს ორი თოფის გავარდნას ჰგავდა და ერთი... არა, ორივე სანადირო თოფი იყო. სანადირო თოფის ხმა სხვაა, შაშხანისა და ავტომატის სხვა. მაშინვე ქვევით დაგორებულ ქვასავით ჩაცურდა, ღორღი აიყოლა და როცა ბილიკს მიუახლოვდა, სადაც ბასყა ეგულებოდა, ძირს ჩაიხედა.

ცხენი არ ჩანდა. მაღლიდან ისევ ცვივოდა კანტიკუნტად კენჭები ბილიკზე.

— თუთარ! — მოესმა, მაგრამ ყურებს არ დაუჯერა, არადა ნამდვილად გაიგონა თავისი სახელი.

— ვახო!..

— ჩუუ! — მოისმა პასუხად. — ჩქარა ჩამოდი! — ეს გუას ხმა იყო.

თუთარი მაშინვე ჩასრიალდა, მერე სულ გამოეცალა კლდე და სიჭზე დაენარცხა,. მაგრამ არაფერი უგრძვნია.

— ვაიმე, ბიჭებო!

— დაწექი! — შეუღრინა ვახომ, — და არ აფშლუკუნდე!

თუთარი მაშინვე დაემხო, მაგრამ ახლა ვინმესი კი არ ეშინოდა, შიში რა იყო აღარ იცოდა, უთხრეს და დაწვა.

თოფი ჩამოიხსნა და წინ ჩასაფრებულ ბიჭების თავებს ზევით გაიხედა. ბილიკის გადმოსასვლელი ვარსკვლავებით მოჭედილ ფონზე კარგად ჩანდა.

თავი მეთხუთმეტე

ცივი ღამე ჩამოწვა.

ორი ჯარისკაცის დაღუპვამ მტერს განზრახვაზე ხელი ააღებინა. ობერ-ლეიტენანტს დანა კბილს არ უხსნიდა. მისი ყოველგვარი ვარაუდი დაინგრა.

— ჰანს, მომყევი! — თქვა მაქსმა და უკან გაბრუნდა. გვერდი აუქცია ბილიკის პირზე ჩამწკრივებულ გონებადაბნეულ ჯარისკაცებს და იქაურობას გაცდა, ბილიკის პირზე ჩამოსაჯდომი იპოვა, დაჯდა და დაფიქრდა.

— ჰანს, — თქვა ობერ-ლეიტენანტმა იმ ხმით, რომლითაც მეგო-

ბარი ეტყვის მეგობარს, — როგორ ფიქრობ, ამ დაწყეველილი ბილიკის გარდა სხვა გზა მართლა არაა?

ეტყვე მიხვდა. ამ წუთში ობერ-ლეიტენანტი დაწ-ნაერებაზე აღარ ფიქრობდა და პასუხი დაუგვიანა.

— სახელით მომმართე, — თქვა ისევ უფროსმა, — როცა ჩვენ მარტონი ვართ. სახელით მელაპარაკე! — მაქსმა იცოდა, ჰანსი ამ სიტყვებში დაიხახავდა იმას, რისი დანახვაც ხელქვეითისათვის არ შეიძლება, მაგრამ გულახდილობა ერთადერთი პირობაა მეგობრობისა და არასოდეს ისე არ დასჭირვებია მაქსს მეგობარი, როგორც ახლა.

— ჩამოჯექი! — მიიწია და ლოდზე ადგილი დაუთმო.

კაპრალი დაჯდა.

— მეც ისევე ვიცი, როგორც თქვენ, — დაიწყო ჰანსმა, — მაღლა რომ ბილიკი ადის, თუ ამას ბილიკი ჰქვია, იქ ყველა ჩვენი ჯარისკაცი ვერ ავლის, მაგრამ მაინც რომ ავიდეთ, ის გზაც, ეტყობა, შორს არ ბიდის.

— ქვევით, ქვეკით არ შეიძლება დაშვება?!

— ქვეკით ბაწრებით თუ ჩავალთ, მაგრამ იქ შეიძლება უარეს დღეში ჩავვარდეთ, რადგან ხევი იმ ბილიკიდან, საიდანაც ისვრიან, კარგად ჩანს.

— ჩვენ დაკკარგეთ იმაზე მეტი, რაც უნდა დაგვეკარგა.

— თუ ხევში გამოგვამწყვდიეს, ჩვენ არ ვიცით, კიდევ რამდენს და ვის დაკკარგავთ!

ობერ-ლეიტენანტი მიხვდა, მის სიცოცხლეზე პასუხისმგებლობას შტუტე არ აპირებდა. უფროსმა ეს აქამდეც იცოდა, მაგრამ ენდობი თუ არ ენდობი, ამ მწვერვალებში გზის გაგნება მაინც ამ კაცს უნდა ჰკითხო, რაკი ახლა იმანაც ამ გზაზე უნდა გაიაროს და თუ ის მაინც ფიქრობს, რომ გასაძრომი არსადაა, მაშინ მართლა წამხდარა საქმე.

— ტყვეები რას ლაპარაკობენ?

— ქალები?..

— მე ვხედავ, ისინი შენთან თითო-ოროლა სიტყვას ამბობენ.

— კარგს არაფერს.

— კი მაგრამ, რომ გავათავისუფლოთ?

— გავათავისუფლოთ?!

— ჰო, არ ჰკითხე, რომ გავუშვათ, გზას მოგვცემენ თუ არა?

— ეს რომ ვუთხრა, დაიჯერებენ?

— უნდა მოელაპარაკო, მაგრამ ჯერჯერობით რაღაც გზას უნდა დავადგეთ, იქნებ სჯობს, ისევ მაღლა, გამოქვაბულში ავიდეთ?!

— ავიდეთ, — თავი გადაკვნიტა ჰანსმა, — მაგრამ შეიძლება იქაც გამოგვკეტონ.

— ჰო, შეიძლება. სავაგიროდ მიუვალ სიმაგრეში ვიქნებით და ახლოს ვერავინ მოგვეკარება. ამ ახლომახლო არც ერთი მოქმედი ჯარის ნაწილი არაა, თუ მაინც მოისურვეს ამ უბნის გაწმენდა, გამოგზავნიან ათეულს, დიდი-დიდი ოცეულს, რაც ჩვენ ვერაფერს დაგვაკლებს. გადასასვლელზე, ან უღელტეხილზე რომ ვიყოთ. მაშინ თავს არ დაზოგავენენ, მაგრამ სადღაც მიუვალ გამოქვაბულში ჩაკეტილ ცხრა ვერმანელისათვის ვის ცხელა! ამ დღეებში დამთავრდება კავკასიონის დაპყრობა და მალე გზა თავისთავად ხსნილი გვექნება.

ობერ-ლეიტენანტი ამას დაბეჯითებით ამბობდა. შტუტგმ იცოდა რაშიც ის დარწმუნებული იყო, იმისთვის რჩევას არავის ჰკითხავდა მაგრამ ამ ჭეშმში კაპრალის აზრითაც სხვა გზა მაინც არ იყო.

— წყაროდან გამოქვაბულამდე თოკს გავიბამ, — თქვა ჰანსმა, როცა ობერ-ლეიტენანტი წამოდგა, — ზედ გორგოლაჭს მოვაწყობთ, ქვაბულია, დაკიდებთ და. საჭირო რომ გახდეს, წყალს მაღლა ავიტანთ.

— როგორც გინდა, ჰანს. მოქმედების სრულ თავისუფლებას გაძლევ!

კაპრალი გაბრუნდა. მან იცოდა, როდემდე ეძლეოდა ეს „მოქმედების სრული თავისუფლება". მაგრამ ახლა ორივე ერთ ბედში იყო და ტყვეებ. თუ ის კარგადაა დამიზნებული, არ იცის, ვინაა დამნაშავე და ვინ არა!

გერმანელები დიდ გამოქვაბულში დაბანაკდნენ.

— ჰანს! — იხმო კაპრალი, როცა ობერ-ლეიტენანტმა გვირაბის სიღრმეში ადგილი მიიჩინა.

მაღალი შტუტე ეფროსს მოხრილი მიუახლოვდა.

— გისმენთ!

— როგორ ფიქრობთ, ქალები... — მოაგონდა, მისი ნათქვამი სხვასაც ესმოდა და ხმა ისევ ცივი გაუხდა, — ტყვეები მეორე გვირაბში მოათავსეთ! ხელ-ფეხი ხომ არ გავუკრათ!.. როგორც საჭიროდ ჩათვალო! ერთი ჯარისკაცი იქნება შენს განკარგულებაში!

არ დაასახელა ეს ჯარისკაცი და ჰანსი მიხვდა, შეეძლო თავისთან კლაუსი ეიტოვებინა. ამით მაქსი კაპრალს ნდობას უცხადებდა და მეტ პასუხისმგებლობას აკისრებდა.

— გასაგებია, — დუნედ თქვა კაპრალმა და უკან გაბრუნდა.

ყარაულად სნაიპერი ვალტერი და ავსტრიელი პაულუ დანიშნეს. პაულუ ხმელი და ცქვიტი ბიჭი იყო, ხალისიანი ლაპარაკი იცოდა, უშვილძირო, მდიდარი ბიძის მემკვიდრეობაზე ეჭირა თვალი და ამბობდა: აქედან ტყავი გამატანეთ, თუნდაც ალაგ-ალაგ დახვრეტილი და ჩემს წილ მამულებზე ხელი დამიბანიაო.

აბაზე კარლი ოთხი კაცის ხმით იცინოდა და ღმერთს ისე თავის შშვიდობით გადარჩენას არ შესთხოვდა, როგორც პაულუს სიცოცხლეს და მდიდარი ბიძის ადრე და მალე გადაბარსალებას.

როცა ჰანსი გამოქვაბულიდან გამოვიდა, პაულუს ხმა არ გაუღია. ამ საღამოს ბილიკზე რომ ორი ჯარისკაცი მოკლეს — ერთი, კლემენი, მისი მეგობარი იყო; ისინი ერთმანეთთან გაუთავებლად საუბრობდნენ. პაულუ ყოველთვის რაღაც სასაცილოს ყვებოდა, თუ გულუბრყვილო კლემენს ეჩვენებოდა სასაცილოდ, მუდამ უჩანდა მწყობრი კბილები.

ჰანსმა იგრძნო, რომ პაულუ მტრულად უყურებდა მორჩილა გვირაბის შესასვლელთან ატუზულ ტყვეებს. ქალებს თავი თავზე ჰქონდათ მიდებული და ერთმანეთის ამონასუნთქით სუნთქავდნენ.

— ფროილაინ! — მიმართა ჰანსმა გუცას და თვალით კლაუსს დაუწყო ძებნა.

ქალმა თავი ასწია.

— შედით გამოქვაბულში!

ქალი წყნარად მიტრიალდა, მაგრამ ნაბიჯი ვერ გადადგა. იოლი სათქმელია შუაღამისას ცხრა გერმანელი ჯარისკაცით გარშემორტყმულ უმწეო ტყვე ქალებს უთხრა, შედით ბნელ გამოქვაბულშიო.

— შედით, შედით, ახლა თქვენი დარდი არავის არ აქვს!

გვირაბიდან წელში მოხრილი ბაუმანი გამოძვრა და თქვა:

— აქ ყველაფერი რიგზეა, რადგან არაფერი არაა რიგზე!

— როგორ?!

— როგორდა ისე, გვირაბი სრულიად ცარიელია.

— არაფერია, ქალებს თავიანთი მოსახურავი ექნებათ. ამ სქელ მატყლში ისევე თბილად შეიძლება გამოიძინო, როგორც დედაშენის ლოგინში.

— დედაჩემი... — დაიწყო კლაუსმა, მაგრამ აღარ დაამთავრა. ახლა სრულიად უადგილო იყო დედაზე ლაპარაკი და თვითონვე მიხვდა.

მორჩილა გვირაბი დაბალიც იყო და ვიწროც. შიგ სამი კაცი ვერ

დაწვებოდა ფეხგაჭიმული, მაგრამ ქალები სიღრმეში ისე მოიკუნტნენ, ქვაბულის მოცულობას თითქმის არაფერი მოკლებია.

სიბნელე ლოდივით იწვა კლდის ვიწრო ხვრელში, რომლის ერთადერთ გამოსასვლელს გერმანელები დარაჯობდნენ. გუცას კანკალი აუტყდა. ამდენ ხანს არ ეცალა მტერს, მაგრამ უკვე დაბანაკდა, გამაგრდა და სული მოითქვა, ივახშმებს, იქნებ დასაძინებლადაც მიწვეს, მაგრამ სადაც ქალია, იქ ჯარისკაცს რა დააძინებს?!

შტუტე კარებთან ჩაჯდა, ზურგით კედელს მიეყრდნო, იარაღი მოიხსნა და მუხლებზე დაიდო... კლაუსს დაავალა, ტყვეებისათვის წყალი მიეტანა.

ქალებს მთელი დღე ხახა უშრებოდათ, მაგრამ ტყვეს როცა სწყურია, მაშინ კი არ ასმევენ და აჭმევენ, არამედ მაშინ, თუ იგი პურისა და წყლის საფასურად ულირთ.

ფროილაინ, — თქვა ჰანსმა, როცა კლაუსმა ქვაბუნა აიღო და გავიდა, — რა გქვიათ?

გუცას სისხლი გაეყინა და თაჯის ორივე ხელი მოხვია. მტერს ახლა მისი სახელის გაგება არ უნდა მოესურვებია, თუ მას ამაზე დიდი საფიქრალი ჰქონდა. უნდოდა ეპასუხნა, მაგრამ ენა ვერ მოაბრუნა. იცოდა, არ უნდა გაჯიუტებულიყო, არ უნდა გაებრაზებია. ქალს ან კარგი სიტყვით იმორჩილებენ, ან ძალით, ძალას ცოტა დრო სჭირდება, სიტყვა გრძელია. მას, ვინც საღამოს ბილიკზე ორი გერმანელი მოჰკლა, არ სძინავს და არც მტერს დაეძინება. ხსნა როდის იქნება, არავინ იცის, მაგრამ უნდა ეცადო, უბედურება არ დააჩქარო, თორემ მერე, შველა რომ მოვიდეს, უბედურება ორჯერ უფრო დიდი იქნება.

მტერს თუ იმედი გადაუწყდა, სიკვდილის წინ რაზეც ხელი მიუწვდება, ყველაფერს გაიძღოლებს. რაღაცის იმედი უნდა ჰქონდეს, მაგრამ ისიც უნდა იცოდეს, ტყვეები სიცოცხლედაც და ქალადაც არ გამოადგება, ან ერთი უნდა აირჩიოს, ან მეორე.

ბაუმანი დაბრუნდა. წყლით სავსე ქვაბუნა მოიტანა.

მოეღანზე ვიღაც გამოვიდა. კაპრალმა ფეხის ხმაზე იცნო. ობერ-ლეიტენანტს არ ეძინა. მისი უძილობის მიზეზი მარტო მტრის თავდასხმის შიში არ იყო. ობერ-ლეიტენანტმა შვეკებაზე გაიარა და ბილიკის დასაწყისთან ჩასაფრებულ ყარაულთან გაჩერდა. იგი დიდხანს იდგა გაუნძრეველად. მალე, ალბათ, მაქსი ქალებსაც მოაკითხავდა. ჰანსს ერთი სიცოცხლე ჰქონდა და წინ ვერ გადაუდგებოდა, მაგრამ მანამდე ტყვეებს უნდა მოლაპარაკებოდა.

— ჩვენი უფროსი თქვენ გათავისუფლებას გიპირებთ.

— თუ თქვენ გზას გაგიხსნიან? — კარგა ხნის დუმილის შემდეგ ჰკითხა ქალმა.

— რა თქმა უნდა!

— მაგრამ ჩვენ არ ვიცით, ვინ იბრძვის ჩვენთვის და ვუღირებართ თუ არა ცხრა გერმანელის სიცოცხლედ: ხვალ დილით, ალბათ, გავიგებთ. ხვალამდე დრო უნდა მოგვცეთ.

კაპრალი ადგა და მეთაურთან წავიდა.

ჰანსი რომ დაბრუნდა, ღამენატეხ და ბილიკებზე უღმერთოდ ნათრევ კლაუსს ფეხზე ეძინა.

— დაჯექი, ბიჭო! — შეალვიძა, ავტომატი მკლავზე გადაიდო, მაზარა მოიხურა და თვითონაც ჩამოჯდა.

ცაზე ვარსკვლავები ჩანდნენ, მაგრამ ამ ვარსკვლავებს ის სილამაზე არ ჰქონდათ, რაც თავის ქვეყანაში უნახავს. არ უფიქრია, აქ რომ უფრო ცუდად ანათებენ ვარსკვლავები.

შორს გრუხუნებდა და თვითმფრინავები ზუზუნებდნენ, მაგრამ ახლა ეს არ ესმოდა, დღეს თითქოს სულ არ გაუგონია შორეული სროლა, ალბათ, შეაჩვია ყური, ან აქვე, ბილიკზე რომ ჯარისკაცები დახოცეს, იმიტომ არ ესმოდა. ყველას უწინ თავისი სატკივარი სტკივა.

დღეს კიდევ ორი კაცი დაკარგეს. ხვალ იქნებ მათი ჯერიც დადგეს. ისევ ახედა ცას, უნდოდა გამოეცნო, თავისი ქვეყნიდან ჩანდნენ თუ არა ეს ვარსკვლავები. რაღაც ვერ მიამსგავსა. იქნებ აქ სხვა მნათობებია და იქ კიდევ სხვა?!

შტუტემ იცოდა, იმ კლდეს, რომელზედაც ახლა იწვა და იმ ვარსკვლავებს, რომლებიც ზეცაში კიაფობდა, გერმანიაში ვერ წაიღებდა. ესენი ამ ქვეყნისათვის იყვნენ გაჩენილნი, მაგრამ ვიღაცას კი უნდოდა მათი წაღება და ჰანსი გამოგზავნა.

ტყვიამ კი არ იცის მტყუანი და მართალი.

მოულოდნელად სადღაც, იქვე დაიგრუხუნა და ჯარისკაცები ფეხზე წამოცვივდნენ. ისეთი მუქი ღრუბლები ჩანდა, ჰანსსაც კი გაუკვირდა, ასე უეცრად საიდან გაჩნდნენო. ცაზე კი არა, სველი ნაბადივით მძიმე ღრუბლები იქვე, გვირაბის თავზე იდო, გრუხუნებდა და ჰაერი ნოტიო ნისლით იყლინთებოდა.

ცაზე რომ ღრუბლები აირია, ბიჭებს ეგონათ ახლა ისარგებლებს მტერი და წამოვაო, აბა მათ რა იცოდნენ ობერ-ლეიტენანტს რა ოქროს ზოდის ფასად უღირდა თითოეული ჯარისკაცი.

დაღლილი თუთარი მოდუნდა, ბილიკის თავს მიშტერებულს ქუთუთოები დაუმძიმდა, მაგრამ საკმარისი იყო გაფიქრება. არ ჩამძინოსო და უცებ მოეჩვენებოდა ავტომატებით შეიარაღებული გერმანელები, რომლებიც გადმოსასვლელზე არ ეტეოდა და თვალები ეცვრთოვდებოდა.

შიში საზრიანია და დიდი თვალები აქვს.

ვახომ გუას რაღაც უჩურჩულა, მერე უკან გაფრთხდა და თუთარს ტუჩი ყურთან მიუტანა.

— რას ამბობ, მაგ ცარიელ გოკრას გაგიხვრეტენ! — წამოიძახა გაოცებულმა თუთარმა.

— რას გამიხვრეტენ, არც ერთი ცოცხალი არაა.

— სულელო, დაჭრილი რომ იყოს!

— შუბლში ვესროლე.

— შენ შენი ჭკუით კი ესროლე, მაგრამ რა იცი...

— უკან წაიქცა და ისიც ვიცი, მაშინვე სული რომ არ გაეცხო, უკან არ წაიქცეოდა, იქვე ბილიკის თავში აგდია.

— ვთქვათ, მაგრამ შენ ორამდე თვლა არ იცი?

— აგერ მეორეც, ვერ ხედავ?

— სად?

— აქვე, სულ ახლოს, ათ ნაბიჯზე. მე ათამდე თვლაც კი ვიცი.

თუთარმა თვალი გააყოლა გუას თითს, ბინდბუნდად ჩანდა ბაეერაფერი გაარჩია.

— ჭკუის კოლოფო, რა იცი რომ მოკვდა?

— გუამ თავისი გრძელლულიანი ფილთით ესროლა.

— დაკარგეთ ჭკუა! ასე ახლოს რატომ მოუშვით?

— ვუცადეთ, სანამ მეორე არ მოადგა ბილიკის თავს, ამისათვის რომ მაშინვე გვესროლა, ორამდე თვლა მართლა არ გვეცოდინებოდა.

— მე უბედურო, რომ დაესწრო? მერედა როგორ ისვრიან რომ იცოდეთ...

— ჩვენ შეღამებამდე მოვედით ღა. შენი ცხენი რომ ვსახელ, წინ ალარ წავსულვართ, აქვე ჩავსაფრდით. გუამ არ დაბიჯერა თუ არა, მე მართლა შტერს კი მინდოდა...

— რა გინდოდა, რა გინდოდა?! — თუთარი წამოიწია. — ახლავე მანდ დაეგდე და ფეხი არ მოიცვალო.

— დავწვები. დავწვები და დავიძინებ! — ვახომ ლოყა ბილიკზე დადო. — წუხელ მაინც არ მიძინია, გუა კი ბუმბულში გორაობდა, ახლა დაიჭიროს თოფი და ქაჩოს თვალები.

— სოფელში გუას მეტი არავინ გინახავს?

— ვინ უნდა მენახა. მე ჭკუა მაინც არ მეკითხება, ბაბუასათვის ხომ არ უნდა ჩამომერთმია ხელი.

— გაჩუმდი, გაჩუმდი! შენგან მაგეც არაა გასაკვირი...

ჭიხვინი მოისმა და ბიჭებმა ხმა გაკმინდეს, ლოყა კონდახზე მიაბჯინეს.

— მე მგონი, კაცი არ ჭიხვინებს. ცხენებია! — თქვა ვახომ და თავი ასწია.

— ცხენებია, და ენა ჩაიწყვიტე! — გაბრაზდა თუთარი.

ერთხანს ხმა არ გაუღიათ, ქარი ასისინდა და ცა უცბად ღრუბლებით დაიფარა.

— ამაღამ კი. მაგრამ დილით სადღა წავალთ და მთელი სიცოცხლე აქ უნდა ვიწვეთ?

— ჩუუ! მალე გაწვიმდება და შენ მაშინ ნახავ!

— თუ ამ უღმერთო ღამეში ღრუბელი ჩამოწვა, რაღას ვნახავ. ცხენებთან მაინც ჩავალ! — ხმას დაუწია ვახომ. — სანამ ქვეყანა არ დაქცეულა.

— აჰ!

— ცხენებს მივხედავ, უფრო მოშორებით გადავიყვან და დავმალავ: აქ მაინც არავინ მოდის.

— ცხენი შეჭამა მგელმა, მაგის დარდი გაქვს?!

— მე არა, მაგრამ გუას ამლაკს ორი კაცის ჭკუა აქვს და სამგლედ არ გენანება? — ჩაიჩურჩულა ვახომ, მერე ტუჩზე ორივე ხელი მიიდო და წინ გასძახა: — გუა, მოიწი აქეთ და ამას უთხარი რაიმე, დამაჭედა აგერ ამ ქვაზე და საშველს არ მაძლევს!

გუა უკან მოუხედავად გამოხოხდა.

— წავიდეს, — თქვა გუამ, — თუ ზურგშიც გერმანელებია, სიცოცხლე მაინც არ გვიწერია.

ვახო მაშინვე გაქრა, როგორც კი გუა თუთარს გვერდით მიუწვა. მაღლიერმა ბიჭმა მხარზე ხელი დაადო.

— გუა, შენ მართლა აქ ხარ? სიოში როგორაა?

გუამ თავი გააქნია.

— რა, არ გადარჩება?

— არა, კაცის მოკვლა იოლია, გადარჩენა კი ძნელი.

ამ დროს ისე იქუხა, ბიჭებს გული გაუსკდათ, ეგონათ, ცა თავზე ჩამოგვექცაო. როცა კოკისპირული წვიმა დაუშვა, მაშინ დაიჯერეს, რომ ეს მეხისცემა იყო და თავი ძლივს წამოსწიეს.

თავი მეოცდმეტე

მთელი ღამე არ ჩაუქრია ქორა მახვშს ყალიონი. მთელი ღამე ფეხზე იდგა ხელიხელგადახვეული კოშკების ძირას თავშეფარებული სოფელი. ძაღლის ერთ შეყეფებაზეც მაჩუბების კარებიდან ჭრაქის უდღეური სინათლე გამოაჭიტებდა.

მთელი ღამე გრუხუნებდა და ცა ფეხად ჩამოდიოდა. მთელი ღამე ბოლავდა ბაბუა ბესლანის ყალიონი.

მთაში ხშირია წვიმა, მაგრამ დიდხანს არ გასტანს. იმ ღამეს რა ღვთის რისხვა იყო, რომ არ იქნა და არ გადაიკარა.

მთელი ღამე ძრწოდა სოფელი რაღაც უბედურების მოლოდინში და ვერავის გაებედა მოხუცისათვის ნუგეშისცემა. ვამთენიისას წვიმამ ერთიორად იმატა. ისედაც ცოფიანი მდინარე საზღვრებიდან გადმოვიდა და დაზაფრულ სოფელს წალეკვით დაემუქრა.

გათენებისთანავე, როგორც კი წვიმამ იკლო, სოფლის თავში ქალი აკივლდა. ამას თითქოს ყველა ელოდა, როგორც დიდი ხნის წინათ ლოგინად ჩავარდნილი მომაკვდავის გარდაცვალებას ელის სოფელი...

დიდი და პატარა, როგორც ერთი კაცი და ჭირისუფალი, გამოცვივდნენ სახლებიდან და გუდამშიერ, გაწუწკებულ ძაღლებს კარები ღიად მიუტოვეს.

სულ ჩაერეცხა და დაეღარა წვიმას ვიწრო ორღობეები და ნაკელისა და შარდის სუნის მაგიერ ნოტიოსა და გველის სოკოს სუნი დაეყენებინა.

უბედურების ადგილზე ყველაზე ბოლოს ბაბუა ბესლანი მივიდა. ხელები გულზე ეწყო და პირში ისევ ყალიონი ეჭირა.

ადიდებული მდინარის გაღმა ბეჭგანიერი ვაჟკაცის ოდენა ლოდისათვის წყალს შავი ნაბადი მოეხვია და ახლა ისევ წაგლეჯას უპირებდა.

ხალხი ხიდის საძირკვლამდე ამოტოტინებულ მდინარეზე გაცვივდა. წელში ბაწარჩაბმული ბიჭი წყალში ნაბადის ამოსატანად რომ ჩაუშ-

ვეს, სოფლის ბოლოში კუტი ხვარამზე აკივლდა, ცოდვაადიდებულმა მდინარემ დამხრჩვალი ჯარისკაცი ჩამოატარაო.

ახლა დიდი და პატარა ქვევით დაეშვა. წყალში ჩაშვებული ბაწარჩაბმული ბიჭი კინაღამ ღვთის ანაბარად მიატოვეს.

სოფლის ბოლოშიც ყველაზე ბოლოს მივიდა ბაბუა ბესლანი. ხელები გულზე ჯვარედინად ჰქონდა დაწყობილი. პირში ისევ ყალიონი ეჭირა.

კუტ ხვარამზეს თავი მოაჯირზე გადმოეკიდა. სქელი, გიშერივით შავი, დაუვარცხნელი, დაწეწილი თმა სახლის საძირკვლამდე ჩამოეყარა და ორივე ხელის გაფარჩხული ათივე თითი „ცოდვაადიდებული" მდინარისაკენ გამოეშვირა, ახლომახლო კი აღარაფერი ჩანდა.

მამაკაცებმა თავში ხელი შემოიკრეს. ქალებმა ლოყა ჩამოიხოკეს. ადუღებული მდინარე ქვასა და ლოდს ერთმანეთში ურევდა და ხარშავდა. ახლა ის თავის მსხვერპლს არავის დაანებებდა.

წყალმა შინმოუსვლელების კვალი დაღმა წაიღო და თვალტირებული სოფელი დაკარგული შვილებისა და სტუმრის გზას გაჰყვა.

თავი მეთვრამეტე

ინათა. ერთიანად გაზუზული თუთარი უკვე იმ კლდეში იჯდა, საიდანაც წინა დღით სნაიპერები უშენდნენ ტყვიას. ზევიდან ხელისგულივით ხედავს ბილიკს ბიჭების სამალავამდე. მეორე მხარეს წყაროც გაარჩია. წყაროსთან, შევაკებაზე თაჯის ცხენი მწვანე ხავსს წიწკნიდა. მაღლიდან ორბის თვალებივით იყურებოდა გამოქვაბულები და კარგად ჩანდა ამ გამოქვაბულთა წინა მოედანი. აწი იქიდან ბილიკზე სულიერი ფეხს ვეღარ ჩამოადგამდა.

ამ დილით გუას ვახო მარტო უნდა დაეტოვებია და სიოშისათვის ჩაეკითხა. არავინ იცოდა, წუხელ, იმ ჯოჯოხეთურ ღამეში, მომაკვდავს რა დაემართა.

მზისფერი ცეცხლი წაეკიდა აღმოსავლეთს. აღრიალებული ხევებიდან თხელი, დაფლეთილი ნისლი მოიწევდა.

ამ ნისლმა ლოდებში გატრუნულ თუთარს ორი წლის წინ იმ გამოქვაბულში გათეული ღამე გაახსენა. მაშინ თუთარმა არ იცოდა, რა იყო ომი და რა ეგონა, თუ იქ ღამეგათეულებს თოფით დაუდარაჯდებოდა. ორი წლის წინ იგი ცნობილი მონადირეების გვერდით იწვა და ძილი თვალზე არც მაშინ მიეკარა. ნადირობის წესით ახალბედა

მონადირეს ჰქონდა პირველი გასროლის უფლება და არ უნდოდა დაეცილებინა; სვანი თუ კარგი მონადირე არაა, არც ნამდვილი სვანია. თუთარს მაშინ ძალიან სჭირდებოდა ზუსტი, უტყუარი გასროლა, როგორც გუშინ, ბილიკის თავში თავისავე უწყინარ ფაშატს რომ თოფს უმიზნებდა. ორჯერვე გაუმართლა. კიდევ ერთხელ რომ გაუმართლებდეს, ვუცა და თაჯი უვნებელნი იქნებოდნენ, ბიჭი დიდხანს არაფერს შესთხოვს ჯგერაგს და ნადირობის ქალღმერთს — დალის.

იმ ბედნიერ დღეს თუთარმა ყველაზე უწინ შეამჩნია მწვერვალზე ჯიხვის რქები, ჯიხვები ისეთი სიმაღლიდან ეშვებოდნენ, მათ რქებს ზევით მარტო ღმერთი თუ იყო. იმ დილით არწივებიც კი უფრო დაბლა ფრენდნენ, ხევებში.

თუთარმა დაჭრილი, მომაკვდავი ჯიხვი პირველად მაშინ ნახა. იგი მიწაზე ეგდო. მის გაფართოებულ თვალებში არც მუდარა იყო, არც ტკივილი. ის არ დარდობდა, რომ დაჭრეს და მალე სიცოცხლეს გამოასალმებდნენ. მისი თვალები საოცარი შეურიგებლობით უცქერდნენ ადამიანებს, ადამიანებს, რომლებიც თავს ადგნენ და ზევიდან დაჰყურებდნენ. მაშინ თუთარს არავისათვის არ უთქვამს, მაგრამ იფიქრა — დაჭრილი ჯიხვი მაღლა მწვერვალზე რომ აეყვანათ, დამშვიდებული მოკვდებოდა.

მთელი ღამის გადაუღებელი წვიმით ჩარეცხილი და ჩაქცეული ბილიკებიდან გუამ რომ მდინარემდე ჩააღწია, სადაც წყლის პირას, კლდის შეღრმავებაში, ნაბადში შეხვეული ჯარისკაცი დატოვეს, იქ არც ნაბადი დახვედრია და აღარც დაჭრილი. წყალს ის ლოდებიც დაეფარა, რაზეც სულთმობრძავი იწვა. გავეშებული ტალღები ახლა ტინის კედელს ეხეთქებოდა და წალეკვით ემუქრებოდა.

ნაწილი მეორე

თავი პირველი

კოკისპირულად წვიმდა. გვირაბებს ზევიდან ჩანჩქერად ჩამოდიოდა ნიალვარი და საყარაულოდ გასული ჯარისკაცი თავიდან ფეხებამდე გასაწური ხდებოდა. გამოქვაბულებშიც ტბორი იდგა.

ობერ-ლეიტენანტმა შავი ღამე გაათენა. დილამდე იჯდა მეთაური და. დამძიმებული თავი ორივე ხელით ეჭირა..

ინათა თუ არა, ობერ-ლეიტენანტმა თვითონ მოისურვა ქალებთან გამოლაპარაკება. კაპრალი გრძნობდა ამ „გამოლაპარაკებას“ კარგი არაფერი მოჰყვებოდა და იქაურობას გაეცალა. მოედანზე დგომა უკვე სახიფათო იყო, დიდ გვირაბში გავიდა.

ზურგჩანთაზე მიმხობილმა კარლმა მოაბრუნა თავი და ჰანსს თვალი ჩაუკრა, არ გაუცინია. ჰანსმა სახე აარიდა და გვირაბის წინ აფარებულ ბრეზენტის ზევით დარჩენილი ღია ადგილიდან ცას ახედა.

მორჩილ გვირაბში მეთაური მშვიდად აძლევდა ტყვეს შეკითხვებს, მაგრამ ეს სიმშვიდე მოჩვენებითი იყო და დიდხანს არ გასტანდა. ქალი ობერ-ლეიტენანტს პასუხის ღირსად არ თვლიდა, ან სათქმელი არაფერი ჰქონდა.

წუხანდელ ნაყარაულევ ვალტერს ეძინა. ავსტრიელი პაულუც კედლისაკენ პირმიქცეული იწვა, მაგრამ შტუტე გრძნობდა, თვალები ღია ჰქონდა.

პაულუს თავზე ბევრმა ბრძოლამ გადაიარა და სიკვდილის მეტი რა ენახა, მაგრამ მაინც ვერ შეეგუა კლემენის დაღუპვას. ისინი უთუოდ ომამდეც მეგობრობდნენ, სადესანტო ჯგუფშიაც ერთად მოვიდნენ. მუდამ მხიარულ პაულუს გუშინდლამდე არაფერზე ეტყობოდა, სევდა თუ ასე დაიპყრობდა.

დანიელი უხმოდ, გაუნძრევლად იჯდა გვირაბის კუნჭულში, სადაც ჰერი ყველაზე დაბალი იყო. მწირივით წამებული და სევდიანი სახე ჰქონდა, ფეხებში ცარიელი ქვაბუნა ედგა, ჭამის შემდეგ ჯერაც არ აეღო. მის ზურგთან მიძინებული კნოპსის ხიხინიც არ ესმოდა.

ფერშალი ალფრედი გარეთ იყო ჩასაფრებული, რათა ფრინველის გადაფრენაც ობერ-ლეიტენანტისათვის მოეხსენებინა.

ქალების უეცარი კივილი რომ ატყდა, ჰანსი ანგარიშმიუცემლად შეტრიალდა, მაგრამ მაშინვე გასასვლელი ვერ იპოვა და თავზე წამოდებული ბრეზენტი თან გაიყოლა, ვიღაცას ძლიერად დაეჯახა. დარეტიანებული უკან ბარბაცით წამოვიდა, გონს რომ მოეგო, ბრეზენტი ხელით გადასწია და სველ მოედანზე გაშხლართული ობერ-ლეიტენანტი დაინახა. ბრაზით ანთებულმა მაქსმა უცებ წამოიწია, მაგრამ როგორც კი ოთხზე დადგა და ადგომა დააპირა, ესროლეს. მეთაური ერთი შეხტა და დავარდა.

თოფის ხმა ბილიკის ზევითა კლდიდან იყო.

შტუტე გაწვა და წინ გახოხდა. მას ნამძინარევი კნოპსი მიჰყვა.

გვირაბისპირა ტინზე ჩამხობილი მეთაური გამოქვაბულისაკენ გა-

მოათრიეს. შესასვლელთან ვალტერი და კარლი მოეშველნენ და როცა მეთაური ბრეზენტს შიგნით შემოიყვანეს, ფეხზე წამოყენება დაუპირეს. დაჩოქილ ობერ-ლეიტენანტისათვის თოფი უკანალში დაემიზნებიათ, ტყვიას მენჯის ძვალი ჩაემტვრია და მარჯვენა გვერდში ნეკნებთან გასულიყო.

ყარაულში უთქმელად წახოხდა კნოპსი და ალფრედი გამოქვაბულში შემოფორთხდა.

ობერ-ლეიტენანტი მაზარაზე დაწვინეს. ალფრედმა მუნდირის სახელოები აიკაპიწა და ამოიღრინა:

— წყალი!

კუთხეში მიმჯდარმა დანიელმა ცარიელ ქვაბუნაში ჩაიხედა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ღმერთო ჩემო, არ არის წყალი!

ყველამ თავიანთი მათარები მოძებნეს, ქვაბუნაში გადაწურეს და ალფრედს დაუდგეს.

ჰანსი გავიდა. მორჩილა გვირაბის წინ ჩაცეცქელ კლაუსთან ორი ნახტომით გაჩნდა. მოეფარა. ბიჭი თვალებში შეაჩერდა, მაგრამ არც ერთს არაფერი უთქვამს.

გვირაბის კუთხეში მიკუნჭულ ქალებს სახე არ უჩანდათ.

ბაუმანი დაბნეული იყო. მას რაც მოხდა იმდენად არ აწუხებდა, მაგრამ აწი რა მოელოდათ არ იცოდა და ეს უფრო აშინებდა.

ამ წუთში შტუტემაც არ იცოდა ამ ამბავს კიდევ რა უბედურება უნდა შოჰყოლოდა. ბილიკი გაეხსნათ კი არა, ნოხებიც რომ გაეგოთ, მენჯდალეწილი მეთაურის წაყვანა მაინც გაჭირდებოდა.

ობერ-ლეიტენანტი ისეთი კაცი როდი იყო, თავი ყორნების საძიძგნად დაეტოვებინა და მისი ჯარისკაცებისათვის, თუ ამის საშუალება იქნებოდა, გზა დაელოცა.

სხვა დროს, ამ უცაბედი შეჯახებისათვის, რომელიც საბედისწერო გამოდგა, ჰანსი საკადრის პასუხს მიიღებდა, ახლა კი თუ ობერ-ლეიტენანტი ამ ჯოჯოხეთიდან თავის დაღწევაზე კიდევ ფიქრობდა, კაპრალს უბატონოდ ხმას ვერავინ გასცემდა, მაგრამ ვინ იცოდა იმ წუთს რას ფიქრობდა მაქსი და ამდენ ნათმარსა და ნათრევ ნაცისტს რამდენი ეშმაკი უჯდა ჯირკვივით ჩასკვნილ გვამში.

ბედი წელში შეუვარდა ობერ-ლეიტენანტს, კისრულით წამოიღო და ორივე ბეჭით დააკრა ხალიჩას კი არა — სიპ ქვას. პირდაპირ პანღურივით აპოკრა ტყვია უკანალში და მენჯის ძვალი დაუმსხვრია. მაქსი მოდენდა, კედლისაკენ გადაბრუნდა, თვალი გამოქვაბულის უსწორ-მასწორო კედელს გაუშტერა.

უკვე ყველაფერი გაქრა: დაწინაურება, მამულები, ჯილდო... რამაც აქ, ამ მიუვალ მწვერვალებში გადმოხვეწა.

ახლა მარტო ბედი კი არა, ჩინი — ობერ-ლეიტენანტობაც დასცინოდა მაქსს, ტყვიანაკრავ მაქსს, დაუძლურებულ მძორს, რომელიც გამოქვაბულის კედელთან იყო მიგდებული, როგორც ეზოს კუთხეში ჰიყრილი ძველმანების და ნაგვის გროვა, რომელიც დღეს თუ არა, ხვალ უნდა გაიტანონ...

მერედა სულ ერთი ცალი ტყვია მოხვდა მაქსს, ერთი კაკალი პაწაწინა ტყვია, ბომბი ნაინც დასცემოდა, ან ავტომატის ჯერით დაეცხრილათ. რამდენი ათასი ასეთი ტყვია გაუსვრია ობერ-ლეიტენანტს და აქამდე არ უფიქრია, არ უფიქრია, თორემ იცოდა ტყვია თავწამახვული, ბრჭყვიალა, თითბერგადაკრული სათამაშო არაა. ახლა ფიქრობს და ხედავს, რომ ამოდენა ქვეყანა გაქრა. ახლა აღარც მის გვერდითაა ვინმე, არც ზურგს უკან. დარჩა მარტო ეს ერთი მტკაველი ზანძილი, რაც მისი ცხვირიდან ამ უსწორმასწორო ტინის კედლამდეა. ახლა ამასაც ჯერდებოდა ამ ერთ მტკაველს, ცხვირიდან კედლამდე, მაგრამ მენჯის ძვლის გარდა ცუდად ხმიანობდა გვერდში ნეკნებთან შეშუპებული ნატყვიარი... თუმცა ეს უკვე სულ ერთია. აქ, ამ დაწყეველილ ბილიკებზე თუ შენი ფეხით არ შეგიძლია სატანასავით ხტომა, მაინც დაღუპული ხარ. ბანაკი რაც შეიძლება მალე უნდა აიშალოს, ვინც გააღწევს, უნდა წავიდეს და თავს უშველოს, მაქსს კი ბარე ორი დღე გამოუვლის, სანამ მისი დალეწილი მენჯი ფეხზე დადგომის საშუალებას მისცემს...

მერედა სულ ერთი, პაწაწინა, ფრჩხილისოდენა ტყვია კი იყო...

მაქსს იმდენადაც კი არ გაუმართლა, თუ აქ დაღუპვა ეწერა, ამას ვერ აცდებოდა, ბარემ ისე მაინც მოხვედროდა, რომ მაშინვე გაეთავებინა.

მაქსი სხვა დროსაც დაფიქრებულა. დაფიქრებულა თავის ბედზე, რომელიც ასე დაუნდობლად და შეურიგებლად თან სდევდა. მაქსს აუწონ-დაუწონია რაც გაიარა, რა ხიფათსაც გადაყრია, რამდენი ავი

და კარგი უნახავს და უფიქრია, ასეთ ვარსკვლავზე დაბადებულს რა შეიძლებოდა მოსვლოდა მომავალში. მაქსი ბედზე მინდობილი კაცი არ იყო, მას თავისი მოსაზრებები ჰქონდა და ზოგჯერ წინდაწინაც კი ბედებოდა, სანამდე შეიძლებოდა მიეყვანა მის ავბედითობას.

მაქსს აქამდე რატომღაც სჯეროდა, რომ ის ბედს სჭირდებოდა. სჭირდებოდა, როგორც მოწინააღმდეგე, თუ მეტოქე. მეტი რომ არაფერი, გასართობად, თავშესაქცევად მაინც და მისი ვარაუდით, სასიკეთილოდ არ უნდა გავმეტებინა... მაგრამ ახლა ხედავდა, რომ ბედისწერის წინასწარი შეცნობის ყოველგვარი ცდა ამაო ყოფილა. ბედი ბრმაა, მისთვის რაიმე კანონი და წესი არ არსებობს. ისე, როგორც ფარაში შევარდნილი მგელი არ არჩევს მრუდსა და მართალს; ანდა ბედს მოსწყინდა ეს თამაში, ან თავშესაქცევად აღარ ეცალა და მაქსი მოიცილა. მოიცილა, მაგრამ მისი სიკვდილი მაინც გაიხადა სათვალსეიროდ. თუ აქედან დაიძრნენ, ძალიან გულითაც რომ უნდოდეთ, მეთაურს თან ვერავინ წაათრევს.

მაქსს შესცივდა...

უნებურად ესმის, როგორ მიმოდიან ჯარისკაცები მის ზურგს უკან. მათ ნაბიჯებში იგრძნობა, რომ აქ არის მაქსიც, მაგრამ უკვე არა როგორც უფროსი, რომლის შიში აქვთ, არამედ ავადმყოფი, მომაკვდავი... ჭრილობას შეუხვევენ, წყალს მიაწვდიან, როგორც უკანასკნელი სურვილის ასრულებას...

მაქსი არავის არ უყვარდა, მაკრამ ეშინოდათ და სძულდათ. ახლა აღარავის აღარ სძულს, მაქსს უკვე ყველაფერი აპატიეს. ალბათ, იმ ალქაჯმა ტყვე გოგომაც კი აპატია, მაქსმა სახეში რომ სთხლიშა. ვერ აიტანა ქალების ქედმაღლობა და დუმილი. მაქსი უფრო იმან გააცოფა, რომ ტყვეები მიხვდნენ, გერმანელები ხაფანგში მოექცნენო... მერე კი ბაბრაზებული გამობრუნდა. იჩქარა, უნდა გადაერბინა ის ხუთიოდე ნაბიჯი, ან ხრხვით წამოსულიყო. ბოლოს იყო და, ვიღაცას შუბლით შეასკდა, ამას არ ელოდა და წაიქცა. წაიქცა და ბრაზმა თავგზა აუბნია. წამოიწია, წამოიწია და... ტყვიის ხმა არ გაუგონია. ტყვიის ხმა თუ ვაიგონე, ნულარ გეშინია.

დაეცა და მაქსში შურისძიების გრძნობაც მოკვდა. მას ახლა აღარც შტერი ჰყავდა და აღარც მოკეთე, აღარც საშობლო ჰქონდა და აღარც რაიმე ქონება. მაქსს დარჩა ერთი მტკაველი სივრცე მისი ცხვირიდან ამ ტინის კედლამდე, ესეც დროებით, ძალიან ცოტა ხნით...

მაქსი იქნებ მართალი არ იყო და იქიტომ, მაგრამ რაა ეს სიმარ-

თლე, რატომ აქამდე არ უძებნია, იქნებ ის ცოცხალ ადამიანს არც უნდა და მხოლოდ სიკვდილისთვისაა საჭირო?..

ოპერ-ლეიტენანტი... მაგრამ ის ახლა არავითარი ლეიტენანტი არ იყო, არც ჯარისკაცი, არც მოქალაქე, აღარც არავინ; მაქსი ერქვა. მხოლოდ იმ მძორისა და ძვლების გროვას, კედელთან რომ ეყარა.

ჰანსმა ყარაული შეცვალა, მაგრამ მეთაურმა უკვე აღარ იცოდა, ვინ დარაჯობდა აქამდე, ან ახლა ვინ გაგზავნეს. მაქსს აღარაფერი ჰქონდა დასაცავი და სადარაჯო. ყარაულში გადიოდნენ ისინი, ვისაც ეს სჭირდებოდა, ვისაც რაღაცის დაკარგვა არ უნდოდა.

ჯარისკაცები ახლა მეთაურისადმი სხვანაირ შიშსა და რიდს განიცდიდნენ. ამ შიშსა და რიდს მაქსიც გრძნობდა იმისადმი, რაც მის სხეულში შემოძვრა და თავისი ტყავიდან გამოდენას უპირებდა. მას სხეულში ვიღაც სხვა შემოუსახლდა, — მაქსის ტოლი და ორივეს უჭირდათ იმ ტყავში ჩატევა, რაც ერთისათვის იყო საჭირო. უჭირდათ და სტკიოდათ, ყველაზე მეტად მენჯთან, რადგან ორი მენჯი არ ეტეოდა ერთის ადგილზე. მეორე უფრო ღონიერი იყო, მაქსს ავიწროებდა და ზევით, მუცლის ღრუსკენ ერეკებოდა.

დაჭრილი თვალსა და ხელს შუა სივდებოდა...

თავი მესამე

კაპრალმა ყარაულში დანიელი გაუშვა და დანარჩენებს გამოქვაბულიდან თავის გამოყოფა აუკრძალა. დანიელი ხოხვით წავიდა გვირაბისპირა მოედანზე და იქ, სადაც ბილიკი იწყებოდა, ლოდის ძირში ჩასაფრდა. იწვა ეს გერმანელი გლეხი ამ ცივი ლოდის ძირში და შიშველ კლდეებს უთვალთვალებდა. დანიელს ევალებოდა ყოველი ქვისათვის და ყოველი კენჭისათვის მზერა არ მოეცილებინა, მაგრამ თვალი მაინც ცისკენ გაეპარებოდა, გაეპარებოდა რაკი მისთვის ყველაფრის სათავე მამაზეცეული იყო. არაფერი არ ხდებოდა ღვთის გარეშე. ამქვეყნად ყველაფერს უფლის ნება განაგებდა. ღმერთს ნდობდა დანიელი. ნდობდა და... ერთი რამ მაინც უკვირდა, ამაზე ფიქრს ვერ ბედავდა, მაგრამ ხომაა ჩუმად, გულთამხილველის ნამალავად რაღაც საშინელს გაივლებ გუნებში, იცი, ამაზე ფიქრი მკრეხელობაა. და დანიელიც ცათა მპყრობელის ნაჩუმათევად თავის თავს ეკითხებოდა: რა უნდოდა აქ. ამ გაჭირვებულ, ოთხი ქალიშვილის პატრონ გერმანელ გლეხს, როცა მისი ძვალ-ტყავა და სნეული ცოლი, ალბათ, ყოველ-

დღე ლოცულობდა, რომ შვილებს მამა დაბრუნებოდა. უმცროსი გოგონა კი... წელს სკოლაში მისაღები იქნება, თუ ისევ არ ავადმყოფობს. ღმერთმა უკეთ იცოდა, რა იყო საჭირო დანიელის ოჯახისთვის. რაც ობერ-ლეიტენანტი სასიკვდილოდ დაჭრეს, აღარც შინ წასასვლელი გზა იყო, აღარც უკან და საიდანღაც გაჩნდა ეს ღვთის მგმობი აზრი, არ უნდა გაჩენილიყო, მაგრამ გაჩნდა. მეეფეს უთუოდ დანიელის გამოცდა უნდოდა, მაგრამ იმ დალოცვილმა ხომ იცოდა, როცა ცოლი მეოთხე შვილს კინაღამ გადაჰყვა, ღვთის აეგი არ უთქვამს, ერთი ვაჟიშვილი არ აღირსა — არც ამისთვის უსაყვედურია, სოფელში მასზე ღარიბი და გაჭირვებული არ იყო და გამჩენს არ უჩიოდა. მერე ჯარში გააგდეს, დაიჭრა, მეორედ შეუშეშებელი ჭრილობით გააბრუხეს ფრონტზე; დნეპრში კინაღამ დაიხრჩო, გონს რომ მოეგო, პირველად უზენაესისადმი სამადლობელი თქვა, ამ ბოლოს ერთი-ორჯერ თვითმფრინავში ჩასვეს და ძირს ბელტიერთ გადმოაგდეს, მერე კი ამ მთებში ისე გადმოისროლეს, როგორც არასოდეს დამპალი ვაშლი არ გადაუგდია დანიელს. ახლა აგერ ლოდთან ზის და ზევიდან უყურებს ყოველის მხილველი, რას იზამს დანიელი, უარყოფს შვმოქმედს თუ არა. რატომ სჭირდებოდა დანიელს ამდენი გამოცდა, რატომაა ღმერთი ასე დაეჭვებული. გაუგებარია.

დანიელის უფროსი ქალიშვილი მეჩვიდმეტე წელიწადშია და გერმანიიდან რაღაც სხვა ხმები ისმის. რა თქმა უნდა, მოგონილია, ჭორი იქნება, მაგრამ მაინც ძნელია ამის გაგონება მამისათვის. „გერმანელმა ქალებმა გერმანია უნდა ამრავლონო!“ როგორ? უქმოდ? ჯვრის დაუწერლად? არა, ეს არ მოხდება, ამას ღმერთი როგორ დაუშვებს. მაგრამ ჭორიც არ უნდა თქმულიყო. ისეთი ჭორი არ უნდა გაჩნდეს, რომელიც ღვთის ნებას გმობს.

დანიელმა პირჯვარი გადაიწერა:

— ღმერთო, ძლიერო!

თავი მეოთხე

შტეტე ნახევრად ზურგით იდგა ჰომცრო გამოქვაბულის გამოსასვლელთან. მის საპირისპირო მხარეს ბაუმანი ჩაცუცქულიყო და ქვის ნატეხით თავის ფეხებთან კლდის იატაკზე უსწორმასწორო ხაზებს ავლებდა. ჯარისკაცები, რაც ობერ-ლეიტენანტი დაჭრეს, ერთმანეთს ხმას აღარ სცემდნენ. ყველა თავის თავში ჩაიკეტა. ბანი იმ ქალს, გერ-

მანულად რომ ლაპარაკობდა, რაკი ომთან არავითარი საერთო არ ჰქონდა. რატომღაც თვალს ვერ უსწორებდა. ის, ალბათ, ფიქრობდა: ჰანსმა წინდაწინ იცოდა რა განზრახვით წამოვიდა მათი მეთაური, იცოდა და დაიმალა, არ გამოექომაგა. ამ ქალებს ახლა რაც აქ გერმანელია, ყველა ერთნაირი ჰგონია. შტუტემ ბაუმანს გადახედა, საყელოში ამოძვრალ მის წვრილ კისერს და მუნდირში ამოჩრილ მხრის სუსტ ძვლებს დააჩერდა.

— კლაუს, — ხმადაბლა თქვა ჰანსმა. ბიჭისაკენ არ გაუხედავს.

— გისმენ, ჰანს!

კაპრალმა ხელით ანიშნა, მომიახლოვდიო.

ბაუმანი დაცუცქული წამოვიდა. ჰანსმა კუთხეში მიდებულ ზურგჩანთაზე ანიშნა. კლაუსმა ჩანთას შეხედა, მაგრამ რა უნდა გაეკეთებინა, ვერ მიხვდა. ჰანსმა ტუჩზე ყურთან მიუტანა.

— ამოიღე ჩანთიდან კონსერვი, შაქარი და ორცხობილა... — თავით გვირაბის სიღრმისაკენ ანიშნა. — მიეცი, ჭამონ! — თვითონ წამოიწია, ერთი ნახტომით მეორე გვირაბის შესასვლელთან გაჩნდა, ბრეზენტს ძაფარა.

ბაუმანმა ჩანთას თავი მოხსნა. ამოალაგა, რაც უთხრეს და გვირაბის სიღრმეში შევიდა. გოგონას თავი ქალიშვილის კალთაში ედო. საულვაშეზე და ნიკაპზე სისხლი მიხმობოდა. ბიჭმა საჭმელი ერთხანს ხელში ატრიალა, მერე კონსერვზე ორცხობილა დადო, ორცხობილაზე შაქრის ნატეხები და უკან გამოფორთხდა. თავისი ჩანთა მიათრია ტყვეებთან, ჩანთაში ჩაჩურთული ხარახურა ხელით დატენა, გაასწორა და ყველაფერი ზედ უნდა დაეწყო, რომ მოაგონდა, თუნუქის ქილისათვის თავი უნდა მოეხსნა. საქმე რომ გაუჩნდა, თითქოს გაუხარდა. ერთიორად მეტი დრო მოანდომა, ვინემ სჭირდებოდა. რაღაცის თქმაც უნდოდა. ვერაფერი თქვა და უკან გამობრუნებაც ვერ მოახერხა.

— რა გინდა, შე საცოდავო? — თქვა ქალმა.

— არაფერი, ფროილაინ, არაფერი, — თვალი გარეთ გააპარა და დაიჩურჩულა, — მაგრამ თქვენ იცით? — თავი მოაბრუნა და წვრილი კისერი წაიგრძელა, — „ის“ თქვენებმა დაჭრეს.

— კიცით.

— ცუდადაა, ძალიან ცუდადაა, ალბათ, მოკვდება... — თავი გადაიქნია მან, ხეირიანად არც კი იცოდა, ამას რისთვის ამბობდა. — ავერ, კონსერვი გაგიხსენით!

— არ გვინდა! — ცივად უთხრა ქალმა.

კლაუსმა უკან დაიწია და ისევ გამოსასვლელში ჩაცუცქდა. რითაც ადრე ხაზავდა, ის ქვის ნატეხი მოძებნა და ჩექმის წვერზე დაიკაკუნა.

ქალი მიაჩერდა ამ უბწყინარ ბიჭს და ახლა, როცა ასე სძაგდა ყველა ჯარისკაცი, მაინც შეებრალა.

ჰანსი დაბრუნდა და ისევ ძველ ადგილზე ჩამოჯდა. კლაუსს ერთი გადახედა, მერე წარბები შეიკმუხნა და ჩაფიქრდა.

დიდხანს ხმა არავის გაუღია, ამდენი დუმილი ბიჭისათვის ძნელი იყო და თქვა:

— ჰანს! — მერე გვერდით აფარებულ ბრეზენტს მიაჩერდა და ხმას კიდევ უფრო დაუწია. — ჰანს, ობერ-ლეიტენანტი რას ამბობს?

შტუტემ მოგვიანებით უპასუხა:

— არაფერს არ ამბობს, კლაუს, ობერ-ლეიტენანტი.

— აბა რა ვქნათ?

ჰანსმა თავი გადააქნია.

— მე შენთვის მინდოდა მეკითხა.

— ჩემთვის?!

— ჰო, შენ რას იტყოდი?

ბაუმანმა სუსტი მხრები გაიქნია და ჩექმის სრულ ყელში მუშტი ჩადო, რომელშიც ქვა ეჭირა.

კაპრალმა იცოდა, ქალს ესმოდა მათი ნათქვამი, მაგრამ ამას საამხედრო საიდუმლოების გაცემად არ თვლიდა, ან თუ გაცემა იყო, ამით არაფერი იცვლებოდა. ეს ამბავი ქალებისათვის კი ერთგვარი ნუგეში იყო, თუ მტერს, რომლის ტყვე ხარ, თვითონაც არა აქვს საქმე სახარბიელოდ, ამაზე უკეთესს ვერ ინატრებ.

თავი მეხუთე

სიიოში რომ წყალმა მოსტაცათ, ბიჭები მთლად შერისძიებად იქცნენ და უკვე მერამდენე ღამე იყო, მტაცებლებივით ანთებული თვალებით ბილიკზე ელოდნენ მტრის გამოჩენას და არავინ ჩანდა. მოლოდინი ტანჯვა-წამებად იქცა.

ინათებდა თუ არა, ერთი მათგანი მაღლა მიფოფხავდა, რომ კლდეზე ჩასაფრებულიყო და ფრთხილი, წინდახედული მტრისათვის მაშინვე სული გაეფრთხობინებინა, თუ გვირაბიდან თავს გამოჰყოფდა. დღი-

სით ორი ბიჭი თავისუფალი იყო. შეეძლოთ ცხენებისათვის მიეხედათ და მორიგეობით თვალი მოეტყუებინათ.

გუშინ თუთარმა ვახო აიყვანა მაღლა, გზის ჩასაკეტად და ათასჯერ გააფრთხილა, არ აჩქარებულიყო და თავი არ გაეცა. თოფი სულ ხელში არ უნდა სჭეროდა. ლოდებს შორის მახათის ყუნწის ოდენა გასახედიდან ედევნებინა თვალყური და თუ გერმანელები აიშლებოდნენ, ან ვინმე თავს მოიძულებდა და ჩამოსვლას დააპირებდა, დამიზნებას და სროლას ყოველთვის მოასწრებდა. როცა ქვევით ჩამოდიოდა, ხევგაღმა, შწვერვალებში ვიღაცა მოეჩვენა. დიდხანს უდარაჯა. მერე ველარსად დალანდა. ბილიკზე რომ დაბრუნდა, გუა აიყოლა. თავქვე დაეშვნენ.

ვზად, იქ, სადაც ბილიკი უხვევდა, მკვდარი გერმანელი ისევ გულაღმა ესვენა, უფსკრულისაკენ თავგადაკიდებული. ქვევით მეორე ჩამხობილიყო, კარგად შეკრეჭილი ქერა თაკი უჩანდა. მზეზე ნაგდები გასიებულიყო და სიცოცხლეში მორგებულ საყელოს ზევიდან გადმოჯღომოდა გალურჯებული სქელი კისერი...

ხევში გადამალულ ცხენებთან რომ ჩავიდნენ, მერე გზას ამხედრებულნი გაჰყვნენ.

თუთარმა იცოდა, როგორც კი ხევიდან მოუვლიდნენ და გამოქვაბულებს გაუსწორდებოდნენ, გერმანელ პარაშუტისტს დაინახავდნენ, ვაღმა მწვერვალის კედელზე რომ იყო მიკიდებული.

თუ მტრის ახალი დესანტი არ ჩამოსხეს, აქეთ არავის არ უნდა გაეკლო. უღელტეხილის მხარეს ყოველთვის დაფრინავდნენ ჩვენი თუ მტრის თვითმფრინავები და ბომბავდნენ, რომელიც ყრუ გუგუნად აღწევდა, მაგრამ ამ ახლომახლო არავინ გამოჩენილა.

ცხენები უფსკრულის პირს მიჰყვებოდნენ, ზოგჯერ მდინარემდე ჩადიოდნენ, რომელიც იმდენი მსხვერპლის მერე თითქოს ცოტათი დაშოშვინდა. მხედრები ხშირად წყალდაწყალ მისდევდნენ აღმართს.

მზე მწვერვალებზე ავიდა, როცა ბიჭები ალღოთი მიხვდნენ, რომ გამოქვაბულებს გაუსწორდნენ. ის კედელიც თავსე წამოადგათ, სადაც თეთარის ვარაუდით პარაშუტისტი ეკიდა, მაგრამ კედელი ცარიელი იყო.

ცხენები შეაჩერეს. თუთარმა მწვერვალს ახედა, თვალით ის ქიმი მოძებნა, სადაც პარაშუტი იყო გამოდებული. ბიჭმა იცოდა. გერმანელი მკვდარი იყო, მაგრამ ცოცხალიც რომ ყოფილიყო, იქიდან სხვის დაუხმარებლად მაინც ვერ ჩამოვიდოდა.

— გუა! — ზევით აახედა თუთარმა, — აი, იქ ეკიდა.

გუამ თვალი ააყოლა მის ხელს და თავი გადააქნია, არაფერი დაუნახავს. მდინარის გაღმა ლოდებსა და ჩამონამალ მსხვილ ღორღებს ექით ცხენოსნები აქედან ვერაფერს გაარჩევდნენ. გაღმა გავიდნენ. თუთარი ჩამოქვეითდა. ცხენის ლაგამი უნაგირის ტახტას მოახვია და ლოდებზე გადაირბინა.

კედლამდე მისვლა არ დასჭირვებია. უშველებელ ქვებში სოლივით იყო ჩაჭედილი მწვანე მუნდირიანი, უკვე გახრწნილი გვამი. მიცვალებულს პარაშუტი, იარაღი და ზურგჩანთა თან აღარ ჰქონდა.

თუთარს ისევ ეჭვმა უკბინა. მერე იქვე ქვაზე ჩამოჯდა და დაფიქრდა. როცა უკან მოიხედა, გუა აღარსად იყო. იგი მდინარეს აღმა მიჰყვებოდა.

ცხენზე რომ შეჯდა, დაინახა, გუა გამოქვაბულის თავზე აღმართულ მწვერვალს ხვიდან მისდგომოდა და შვეულ კედელზე ასასვლელს ეძებდა. თუთარი მიუახლოვდა, გუამ ხელი ხელს დაჰკრა:

— ამ კლდეზე უნდა ავიდეთ!

თუთარმა მწვერვალს თვალი ააყოლა. შეიძლებოდა თუ არა ასულიყო ადამიანი ამ ციცაბოზე?

— ვთქვათ, ავედით?!

— არა, უნდა ავიდეთ!

— მერე?

— მეტი არაფერი, ავალთ და მორჩა!

— არ მესმის, — თავი გადაიქნია თუთარმა და ცხენი მოაბრუნა.

— ავალთ და პირდაპირ თავზე მოვექცევით გამოქვაბულებს!

— რა თქვი?

— თავზე მოვექცევით გამოქვაბულებს, ზევიდან დავაჯდებით... ისინი კი ვერასოდეს სანიშნედ ვერ მოვიხელთებენ.

ისევ ახედა მწვერვალს და გუას ნათქვამი ჭკუაში დაუჯდა. თუ ამ შვეულ კედელს აივლიდნენ და მტერს ზევიდან მოექცეოდნენ, იქიდან თავდასხმა ბევრად ხელსაყრელი იქნებოდა.

ცხენს მათრახი გადაუჭირა და თავქვე დაეშვა. არ უნდოდა გუას ჩაეკითხა, რა დავმართა პარაშუტისტს და ვინ აჰყარა იარაღი...

თუთარმა არ იცოდა, ეს აბი იყო თუ არა, მაგრამ ვიღაც საეჭვოკი დადიოდა მწვერვალებში.

გუამაც მიუშვა თავისი ნისლა ცხენი და დაწინაურებულ მხედარს ეამოუდგა.

ბიჭებისათვის ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ სოფელი სტუმარი ქალისა და სამი მკვიდრის დაკარგვას გულხელდაკრეფილი არ შეხვდებოდა. ამათ სიოშიც ემატებოდა. მართალია, მას ჯარისკაცის ფარაჯა ეცვა, მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ისიც მათი სისხლხორცი იყო. ამას გარდა გუას სოფლიდან გაუჩინარებაც დიდხანს არ დაიმალებოდა.

სოფელში ის რჩეული ვაჟკაცები აღარ იყვნენ, მაგრამ კაცის სახსენებელი რომ სულ გაწყვეტილიყო, ქალები — დედები — ამხედრდებოდნენ, პირჯვარს გადაიწერდნენ, ჯგერაგს — წმინდა გიორგის — შველას შესთხოვდნენ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ შვილებსა და სტუმარს ღვთის ანაბარა არ მიატოვებდნენ.

მეორე დღეს საღამომდე გზისაკენ ექნებოდათ თვალი, ღამით კი, რაკი ცა კინაღამ ჩამოიქცა, ძილგატეხილებს დილამდე იმედის ძაფი არ გაუწყდებოდათ, მაგრამ როცა ისევ ინათა და ამბის მომტანი არავინ გამოჩნდა, მაშინვე გაიტეხებოდა თოფი, ცხენებს ნალებს გაუსინჯავდნენ და მოსართავს გაწყვეტამდე მოუჭერდნენ, გზას დაადგებოდნენ, მაგრამ სოფელში არავინ იცოდა, საით წაიყვანა სიოშმა თანამგზავრები და რა ხიფათი შეემთხვათ. იმღამინდელ ნაკვალევსაც კოკისპირული წვიმა და ღვართქაფი ჩარეცხავდა და ამდენ მწვერვალებში მონადირის ერთ ბილიკს ადევნებული და მიუვალი გამოქვაბულის კარებთან ჩასაფრებული სამი ბიჭის მიგნება არავის შეეძლო. ამ ამბავზე ბიჭები გულდამშვიდებულები იყვნენ, მაგრამ სავალალო და თავსატეხი სხვაც ბევრი ჰქონდათ. იცოდნენ, რომ არც ერთი გერმანელი, რომელსაც პირში სული ედგა, გამოქვაბულის გარეთ არ დარჩენილა, მაგრამ ქალების თაობაზე ვერაფერი გაიგეს. თუ ისინიც მოძალადეს გამოქვაბულში ჰყავდა გამოკეტილი, ამას, ალბათ, ის ჯობდა, აღარც ერთი ცოცხალი არ ყოფილიყო.

იმ დღეს, თუთარმა რომ ტყვია გაისროლა და მტერს ერთი წაფორხილება საბედისწერო გაუხდა, ვახომ და გუამ საგულდაგულოდ დაიარეს ბევის პირები, სადაც კი თვალი მიაწვდინეს, ქვა არ დაუტოვებიათ გაუსინჯავი, არც უფსკრულებს და ჯურღმულებს დარიდებიან და მაინც ვერავითარ ავხედით ნიშანს ვერ მიაკვლიეს.

ადაშიანი სანამ უბედურებას თავისი თვალით არ ნახავს, იმედს არ კარგავს.

თუთარმა კი თავისი თვალით დაინახა, რომ გერმანელს ტყვია მო-

არტყა, მაგრამ ვერ გაიგო, რა მოხდა. იგი კარგად ხედავდა, გამოქვაბულის წინ სირბილით გავლილ ჯარისკაცებს და არაფრით თოფის დამიზნება არ ესწრებოდა, მაშინ კი, ის შავდღიანი გამოქვაბულში არ შეუშვეს, თუ ვიღაცამ უკან უბიძგა, მოედანზე დაეცა, თვალს მოეფარა, თუთარმა თოფი გაუსწორა, მაგრამ არ ეგონა თუ წამოდგებოდა, მოულოდნელად წაქცეული ოთხზე დადგა, ბიჭმა აღარ ადროვა და ჩახმახს ფეხი გამოუშალა, ტყვიანაკრავი შეხტა და დაეცა. ასე არ მოხდებოდა,- ნასროლი რომ მიზანს აცდენოდა.

თუთარი მას აქეთ ამაზე ფიქრობდა. ვერაფრით ვერ გაეგო, რატომ ჩაიდინა ეს ფრთხილმა და გამოცდილმა მტერმა. რატომ მუცლით არ გახოხდა და თავს არ უშველა?

საღამოს თუთარი ქვევით რომ ჩამოვიდა, ვახო უკვე ბილიარს თავზე იჯდა თოფმომარჯვებული. ძმისთვის ერთი სიტყვა არ უთქვამს. ვახოსთვის ძნელია უთქმელობა. ნამეტანი დაღლილი და ყურებჩამოყრილი იქცირებოდა მტრის მხარეზე. გუა მერე გამოჩნდა, ცხენები ჩაეყვანა ფლატის პირას ოღროჩოღრო მდელოზე და საბალახოდ დაეტოვებინა. შებინდებისას გუამაც აიღო სიოშისეული კარაბინი და წელზე ხელყუმბარა დაიკიდა, თუთარს თავი დაუქნია: მე აგერა ვარო. თუთარმა ნახევრად სველი ნაბადი ლოდთან მიათრია, შიგ მოიკუნტა, ქერის პურის ნატეხი გაღეჭა, მერე ვითომ ძილი დააპირა, მაგრამ თვალი მოხუჭა თუ არა, მაშინვე ენგურის გაღმა შვეულ ტინზე დაკიდებული პარაშუტისტი მოაგონდა... უკვე მალე დალამდებოდა და გერმანელები, ალბათ, ისევ ეცდებოდნენ თავის დაღწევას. ჩამობნელდა, ცაზე ვარსკვლავები აინთო, მაგრამ ვარსკვლავებიც ბიჭებივით შიშნაჭამი კრთოდნენ და ცახცახებდნენ. მწვერვალები კი გაშავდნენ, გაავდნენ და მდინარის გუგუნს და შორეული სროლის გრუხუნს ყური მიუგდეს. მთელი ღამე შუბლი არ გაუხსნიათ შთებს. განთიადზე სიბნელე მოიცილეს, მაგრამ გულისწყრომა ვერ დაიცხრეს და პირქუში ჯანღი მოიხვიეს. სამივე შურისმაძიებელი გრძნობდა, რომ ბევრად უკეთესი იყო, ბარემაც ის წყეულები გამოჩენილიყვნენ, ვინემ ეს ლოდივით მძიმე ღამე.

გათენებისას კოკისპირული წვიმა დაუშვა და სქელი ნისლით აივსო ხევები და მწვერვალები.

ბიჭებს გუმანი ჰქონდათ, ასეთ ამინდში მტერი ვერ გაბედავდა გვირაბისპირა ბილიკზე ჩამოსვლას, მაგრამ ეშმაკს თვალი არ უჩანს, იქნებ იმ ოჯახდაქცეულებმაც ამ რძესავით ნისლში ნოინდომონ თავის

შველა და რას ამბობენ. ეკვე ალარაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა, ამან კიდევ უფრო დააფრთხო ისედაც ძილგატეხილი და აძიგძიგებული ბიჭები.

წვიმამ ერთიანად ჩამორეცხა კლდეები და ბილიკები. აყეფდნენ ნიაღვრები. ხეებში ღობლი ჩაიტანეს, მდინარე ააღრიალეს.

ბოები წყრებოდნენ... კარგად რომ მოსინათლდა, გადაიკარა, მაგრამ უღმერთოდ ციოდა და ჯანღი არ ჩქარობდა ხევების მიტოვებას.

ბილიკის პირზე გაზუზული, მიკუნტული ბიჭები ლოდებს ეფარებოდნენ და დაღლილ, დაწითლებულ თვალებს მბოლავ ნისლს არ აცილებდნენ.

პურუსით თავშეხვეული ბოები გულისწყრომას ველარ ფარავდნენ.

თავი მეშვიდე

ცხოველთა უმრავლესობა ტყეობაში კვდება, ფრინველი თუ პატარაობიდანვე გალიაში არ ვაზარდე, უეჭველად დაიღუპება. ადამიანი კი ლებს, ძლებს, როგორ უხეშადაც არ უნდა მოექცე, ძლებს მშიერ-მწყურვალი, შეურაცხყოფილი და შეგინებული.

ღამით, როცა თაჯის ჩაეძინებოდა, ტინის კედლისაკენ პირშექცეული გუცა ნაბადზე ლოყას დაადებდა და ცრემლები თავისთავად ჩამოსდიოდა.

ქალს ვერ გაეგო რა მოხდა, ვის დასჭირდა. სიზმარივით ახსოვდა, ღამით ცხენოსანი მოვიდა იმ ოჯახში, სადაც ის ცხოვრობდა. მერე მან გაიგონა, რომ ოჯახის უფროსმა გაოცებით ახსენა მდგმურის სახელი და გადაჭრით იუარა.

გუცამ იცოდა, ქალები ფრონტზე იბრძოდნენ მამაკაცების გვერდით. ის კი ერთხელ დასჭირდათ აქვე, ალბათ, ნახევარი დღის საკალზე, რომ რამდენიმე სიტყვა თარგმნოს გერმანულიდან. ამის გაკეთება შეეძლო და რა უფლება ჰქონდა უარი ეთქვა?!

— შენ ხომ წამოხვალ ჩემთან, თაჯი? — ჰკითხა მან მაშინ მასპინძლის უშიშარ, თავნება გოგოს.

თაჯის გაუკვირდა.

— სად?!

— სადაც მივყავართ.

ლამპის შუქზე თაჯის ცნობისმოყვარე თვალები აუციმციმდა, მან არ აჯერდა, რომ ახალგაზრდა, ლამაზი მასწავლებელი, რომელიც

ცხენზე ჯერ არც კი მჯდარა, დათანხმდებოდა, მთელი ღამის საავალზე წასულიყო და იქ გერმანელს დალაპარაკებოდა.

— შენ თუ არ წამოხვალ. არც მე წავალ!

თაჯიმ მხრები აიჩეჩა და გაიცინა: ვითომ ჩემი ნება რომ იყოს, რა კითხვა გინდაო, მაგრამ თანხმობა მაინც არ თქვა.

— ბაბუამ იცის! — თაჯის ის კი არ ეეჭვებოდა, რომ უიმისოდ გაგზავნიდნენ მასწავლებელს, არა, მას თვითონ გუცას გაშვება მიაჩნდა შეუძლებლად. როდის-როდის მახვში დათანხმდა და ის იყო გზას დაადგნენ. მერე კი ჯოჯოხეთი დატრიალდა, გუცა ახლაც გაოგნებულია, როგორ ქვასავით იდგა ის ჯარისკაცი ქალიშვილის წინ, ელოდა სიკვდილს და არ განძრეულა.

პირველი შეკვლების შემდეგ გუცას ერთხანს შიშიც კი გაუქრა, სანამ ის ჯარისკაცი წინ იდგა. შიში თითქოს მაინც შეუფერებელი იყო, როცა ის ცხენიდან გადმოვარდა, ყველაფერი გათავდა...

გერმანელები, წვალება, თრევა, გამოქვაბულში დაკითხვა...

ჰანსი და კლაუსი...

ყველაფერი თავდაყირა დადგა. რაც მოსალოდნელი იყო, ის არ მომხდარა — გამოქვაბულში გამოკეტეს. თოფიანი დარაჯი დაუყენეს. წაშვება არ უცდიათ, არც მოსაკლავად გაიმეტეს, ალბათ. მძევლებად სჭირდებათ. რადგან თვითონაც გაუჭირდათ, გარემოცვაში მოექცნენ და დაღუპვის შიშმა ხელ-ფეხი შეუკრათ.

...ახლა ზის ამ სოროში თაჯისთან ერთად და არ სჯერა, რომ კიდევაა ხსნის იმედი. ელის, დღეს ან ხვალ შემოცვივდებიან გერმანელები და აწამებენ, აწამებენ უღვთოდ და მერე უფსკრულში გადაუძახებენ.

მას სძულს კლაუსის წამღერებასავით ბავშვური ხმა, ჰანსის მაღალი შუბლი და ნათელი თვალები, ობერ-ლეიტენანტის ზოგჯერ შემპარავი, ზოგჯერ განრისხებული დაკითხვა. მას არაფერი სჯერა: არც დაყვავება, არც მუქარა, არც შტუტესა და ბაუმანის ადამიანური მოპყრობა და არც პაულუს მგლური შემოხედვა. ჰგონია, ისინი ერთობიან, რატომღაც არ ჩქარობენ. მან იცის, რომ ტყვეა, რომელსაც ინახავენ რაღაც მოსაზრებით და რამდენადაც დასასრული არ ჩანს, იმდენად მძიმეა მოლოდინი.

თავი მერვე

კაპრალი ხედავდა. რომ მათი ჯგუფი ისეთ უბანზე ჩამოაგდეს, სადაც არც მტერს ჰქონდა საქმე და არც მოყვარეს. როგორც ეტყობოდა, ეს ადგილი ჩრდილოეთიდან მიუვალი იყო, ბუნებრივად დაცული

და ჯარით გამაგრებას არ საჭიროებდა, ეს ორი დღეა სროლის ხმამ გადაიწია და შტუტე ეჭვობდა, „უძლეველმა“ არმიამ უკან ხომ არ დაიხიაო, თუმცა გერმანიას სრული გამარჯვებისთვისაც რომ მიეღწია, აქ მაინც არავინ შემოიხედავდა და ობერ-ლეიტენანტ მაქსის დესანტებს თვითონ უნდა დაეძვრინათ თავი ამ ჯურღმულებიდან.

ერთი რომ, მეთაურის ჯანმრთელობა უარესდებოდა, მეორეც, არავინ იცოდა, ვის ებრძოდნენ. ორი კაცის გაგზავნა იმ საღამოს, როცა ერთმა ტყვიამ ცხენი ბილიკიდან გადააგდო, კაპრალს სწორად არ მიაჩნდა: ასეც მოხდა — არც ერთი აღარ დაბრუნებულა. ახლა ესღა იცოდნენ, რომ ბილიკი ჩაკეტილი იყო, დღისით აქედან გასვლა უჩინ-მაჩინის ქუდითაც არ მოხერხდებოდა. ღამით, ძალზე ბნელი ღამით, ნისლში, ან თავსხმაში უნდა ეცადათ, უსისხლოდ არც ეს ჩაივლიდა, მაგრამ ვიღაც მაინც გავიდოდა. აგერ მეხუთე დღეა და მტრის რაოდენობა არავინ იცოდა. მხოლოდ იმდენი ისროლეს, რამდენიც საჭირო იყო. ცხენი გამოჩნდა — მოკლეს. ორი კაცი გაუშვეს ბილიკზე გზის დასაზვერავად და ორი გასროლა დასჭირდათ. ობერ-ლეიტენანტი წაიქცა და ერთხელ გავარდა თოფი...

ობერ-ლეიტენანტის საქმე წასული იყო ხელიდან. ასე თქვა ალფრედმაც. იგი დღე-დღეზე ფეხს გაჭიმავდა. თუ რაიმე გზას დაადგებოდნენ, მაქსი ანგარიშგასაწევი არ იყო. ახლა ვისაც შეეძლო მუხლმაგრად დგომა და ბნელში თვალი უჭრიდა, თუ სადმე არ ჩაიჩეხებოდა და ბილიკზე ჩასაფრებული მტრის ტყვია აცდებოდა, გააღწევდა. გააღწევდა და ღმერთმა უწყის, მერე საით უნდა წასულიყო, მაგრამ შიმშილსა და დაღუპვის მოლოდინს მაინც გადაურჩებოდა. ვინც ვერ გაატანდა, თუ სიკვდილი გარდუვალი იყო, პირისპირ მაინც შეხვდებოდა.

დღისით თუ ერთი კაცი იყო ყარაულში, ღამით ორი თოფმომარჯვებული ჯარისკაცი დარაჯობდა გამოქვაბულის წინა მოედანს. მიმოდიოდნენ თავისუფლად, რადგან იქიდან, საიდანაც მეთაურს ესროლეს, ღამით ყოვლად შეუძლებელი იყო მათი შემჩნევა. მტერს შეეძლო ბნელში ბილიკზე ამოპარულიყო, მაგრამ დარაჯებს მეტი რა საქმე ჰქონდათ, ამ ერთადერთი ამოსასვლელისათვის უნდა ეთვალთვალათ.

რაც ობერ-ლეიტენანტი დასჭრეს, ფერშალი ყარაულში არ გასულა, არც ბაუმანი. თავიდან ხომ შტუტე და ბაუმანი მეთაურმა ტყვე-

ებს მიუჩინა, მაგრამ უკვე ყველასათვის აშკარა იყო, რომ ქალებმ ღარაჯობას ორი კბილებამდე შეიარაღებული ჯარისკაცი არ სჭირდებოდა.

ამ საღამოს ალფრედს და კლაუსს უნდა ეყარაულათ.

კლაუსმა ავტომატი გადაიკიდა და მოედანზე გავიდა. უკვე ბნელოდა და შეეძლო წელგამართული დგომა. ციოდა. მუნდირის ზედა ღილი შეიბნია, მერე დიდი ხნის ჯდომისაგან დაღლილმა გაიარ-გამოიარა, შეჩერდა დიდი გამოქვაბულის წინ, სადაც მას შემდეგ არ შესულა, რაც იქ მომაკვდავი მაქსი ეგულებოდა.

ტუჩმოკუმული ალფრედი ბილიკის ამოსასვლელთან ლოდზე იჯდა. იარაღი მუხლზე ედო.

ბაუმანი იქვე მიდი-მოდიოდა, მერე ფეხის წვერებზე ქუსლის მიდგმით დაიწყო სიარული.

ცაზე ღრუბელი ირეოდა, თორემ ნათელი ღამე უნდა ყოფილიყო.

პირველ ხანებში მაქსისაგან ნაბრძანები იყო, ღამითაც ისე ჩასაფრებულიყვნენ, როგორც დღისით, მაგრამ მერე ეს საჭიროდ არ ჩათვალეს, რადგან საიდანაც მტერი უშენდა, იქიდან ბნელში კაცის გარჩევა არ შეიძლებოდა.

ბაუმანი ახლა ამაზე აღარც ფიქრობდა. აღარც დედაზე, რადგან დედაზე ის საერთოდ ბევრს ფიქრობდა. კლაუსს და-ძმა არ ჰყავდა. დედამისს არ ჰყავდა მეტი შვილი, თორემ მამას საყვარელთან კიდევ ორი ვაჟი გაუჩნდა. მამა მაინც მოდიოდა მათთან, უფრო ხშირად შექეიფიანებული, შვილის ნახვის მიზეზით, თუ ცოლი არ ეთმობოდა...

კლაუსს არ უყვარდა იგი, თუ დედა იმდენად ძვირფასი იყო, მაშისათვის აღარ რჩებოდა გულში ადგილი. კლაუსს ვერ წარმოედგინა, რაიმე ეფიქრა და დედას არ სცოდნოდა. იგი მშიშარა და სუსტი ქალი იყო, როცა ქმარმა უღალატა, თუ მიატოვა, შვილის სიყვარულს ამოეფარა. რამოდენა ზიჩი გახდა კლაუსი და სკოლაში მარტო არ უშვებდა. გაკვეთილების დამთავრებამდე სამსახურიდან გამორბოდა და ბუტერბროდები შიჰქონდა, გაკვეთილების შემდეგ გზაში ელოდა. კინოშიც ერთად დადიოდნენ და წიგნების მაღაზიაშიც. ბიჭი ეზოში სათამაშოდ რომ ჩადიოდა, დედას ფანჯრები ღია ჰქონდა. დაწოლის წინ ალოცებდა. წიგნს ჯერ თვითონ გადაათვალიერებდა და მერე აკითხებდა შვილს. მამას არ უგინებდა, იმიტომ კი არა, რომ ქმარი უყვარდა, არა, ეშინოდა, შვილს კაცთმოძულეობა ხომ გაეგო. შარშან წინ კლაუსმა რომ იგრძნო, მისი კლასის მეგობარი, ულა, ყველაზე

უკეთესი გოგო იყო, დედას მაშინვე უთხრა, ეგონა, გაახარებდა, მაგრამ იგი ამ ამბავს გულგრილად შეხვდა. კლაუსი მერე მიხვდა, რომ დედას არ სიამოვნებდა, როცა ბიჭი გოგოებზე სიტყვას ჩამოაგდებდა, მით უმეტეს თუ მათთან მეგობრობდა. შვილს მშობლის წყენინება არ უნდოდა, მაგრამ გოგოებიც ძნელი დასათმობი იყო, მით უმეტეს, ულა.

მერე ულას მამა ჯარში გაიწვიეს და გოგო დედას პროვინციაში გაჰყვა. ბაუმანს დაჰპირდა, რომ წერილს მოსწერდა, მაგრამ არაფერი არ მიუღია. კლაუსს ეგონა, ახლაც ჰგონია, რომ დედამ დაუმალა და გული სტკივა. იმიტომ კი არა, რომ წერილი არ გამოუჩინა, არა, სწყინს, რომ მათ შორის საიდუმლო გაჩნდა. ამის შემდეგ ულას სახელი არ უხსენებიათ, მაგრამ ორივემ კი იცოდა, რომ ცალ-ცალკე საფიქრალი გაუჩნდათ. მერე, კლაუსმა სულ მიივიწყა ულა, მაგრამ ახლა, აგერ ამ ტყვე ქალებს რომ ხედავს, აგონდება, აგონდება და გული სტკივა, რომ დედას სადარდებელი გაუჩინა.

მთვარე გაცრეცილ ღრუბლებში გავიდა და მკრთალად გაანათა. კლაუსმა ქვევით ჩაიხედა. მოწყვეტით ჩადიოდა კლდისპირი წყაროამდე. მის წინ, ლოდზე, ბაწრის თავი იყო მოხვეული. ეს ბაწარი ჰანსმა გაჭიმა, ზედ გორგოლაჭით ქვაბუნა დაჰკიდა და ახლა წვრილი თოკით ღამღამობით შეიძლებოდა წყლის ამოტანა. აქედან წასული ქვაბუნა წყაროს ორმოში ჩადიოდა, ხეირიანად არ ივსებოდა ალუმინის მჩატე პურჭელი, მაგრამ მთელი ღამე მეტს რას აკეთებდნენ. კიდევ კარგი, რომ ჰანსმა ასე კარგად მოიფიქრა. ოო, რა ჭკვიანია! ის აქ რომ არ იყოს, კლაუსს რა ეშველებოდა. ჰანსმა ყველაფერი იცის და ამიტომაა, რომ ერიდებიან, მისი ობერ-ლეიტენანტსაც ერიდებოდა.

ბაუმანი უკან რომ დაბრუნდება, დედას ეტყვის ყველაფერს და არასოდეს არ დაივიწყებს შტუტეს, მასთან ყოველთვის იმეგობრებს, მთლად იქ გადასახლდება, სადაც ის ცხოვრობს, ჰანსი დედასავით საყვარელი ადამიანია. ახლაც წყურვილით რომ არ იხოცებიან, ისიც მისითაა. ღამღამობით ყოველთვის შეუძლიათ ცივი, ახალი წყლის დალევა. აქედან რომ წყაროზე ერბინათ, ვინ იცის, ვინ გადარჩებოდა ცოცხალი... მალე საჭმელიც გაუთავდებათ, მაგრამ შიმშილი არაა ისე საშიში, როგორც წყურვილი.

ბაუმანმა ლოდზე ჩამოისვენა. ახლა ფერშალს მოსწყინდა ჯდომა, თუ შეხცივდა, წამოდგა და ადგილზე ფეხების ბაკუნს მოჰყვა.

კლაუსი წაიხარა და წვრილი თოკის თავი მოძებნა, რომლითაც

ქვაბუნა მოჰყვებოდა გორგოლაჭს. დრო რომ გაეყვანა, იფიქრა, წყალს ამოვიტან, დავლევ, მერე კიდევ ამოვიტან, ვინმეს ენდომება, ჰო, მართლა, გოგოებს მივუტან. — გოგოები... ულა ახლა პროვინციაშია და, ალბათ, რა ხანია სძინავს. უნდოდა სცოდნოდა, როგორ იწვა ულა და ვერაფრით ვერ წარმოიდგინა.

რა კარგი ქალები ყოფილან აქეთ. თუ მეტი რომ არავინაა, იმიტომ ეჩვენება ასე? კლაუსი მაშინვე მიხვდა, რომ ტყვე ქალიშვილმა გერმანული იცოდა...

მაღლიდან კენჭი ჩამოვარდა და ახლოს დაეცა. ბაუმანს თავი არ აუღია, თოკით ქვაბუნა ამოჰქონდა მაღლა. უცებ გაანათა და ხელი გაუჩერდა, რადგან მთვარიანშიც ერიდებოდნენ წყლის ამოტანას, ისევ გაანათა, მაგრამ არც ერთი მთვარის ნათებას არ ჰგავდა და ზევიდან რაღაც დაეცა ბეჭზე. ეს კენჭი არ იყო.

გაისროლეს? უჰ, ღმერთმა ნუ ქნას, აქ ძალზე ზუსტად ისვრიან...

თოკისათვის ხელი არ გაუშვია, მაგრამ იგი თითებში გაუსხლტა, ქვევით წავიდა. ეგონა, ხელს უჭერდა, მაგრამ ბაწარი მაინც მისრიალებდა.

მთვარე, ალბათ, ღრუბლებში დაიმალა და ისევ ჩამობნელდა. ბაწარი აღარ მიცოცავდა. ახლა იგი მაგრად ეჭირა.

ოო, ძალიან ჩამობნელდა. ნისლი ჩამოწვა უთოდ. აქ ხშირად იცის ნისლი...

თავი მეცხრე

ორშა, თითქმის ერთდროულმა გასროლამ შტუტე ტყვიანაკრავივით წამოაგდო, მოედანზე გამოვიდა და შეჩერდა. ხელში ავტომატი ეჭირა, არ ახსოვდა, როდის აიღო, სასხლეტზე თითდადებული იდგა. სროლის ხმა ისე ახლოდან მოესმა, ეგონა, ადამიანებსაც დაინახავდა. მარცხნივ, ბრეზენტს იქითაც, აჩხაკუნდა ჩახმახები.

— კლაუს! — დაიყვირა ჰანსმა. მოედანზე არავინ არ იძროდა. ის ლოდი, რომელზეც წყაროდან ამომავალი თოკი იყო ვაკიმული, დიდი და მაღალი ჩანდა.

— კლაუს, ალფრედ!

პასუხი არავის გაუცია. კაპრალს ჯერ ყურებში ერთბაშად მოასკდა სისხლი, მერე ერთხანს შეუჩერდა და იარაღიანი ხელი დაუშვა.

ამჯერად მხოლოდ ორჯერ გაისროლეს. შტუტემ იცოდა, რას ნიშ-

ნავდა მათი გამოზომილი გასროლა, თანაც ასე ახლოდან, თითქმის ვათ თავზე.

— კლაუს, ბიჭო! — თქვა თავისთვის. კაპრალისათვის ახლა ძნელი იყო რაიმე მოეფიქრებინა. რაღაც ძალა, ადამიანის მეორადი ცნობიერება, თუ სიკვდილის შიში, რომელიც ყველაზე გულადთაც თან დასდევთ, უშლიდა წინ გადაედგა ნაბიჯი. ჭტერი როგორღაც გამოქვაბულის ზემოდან მოექცა, საიდანაც ყველაზე ნაკლებად მოელოდნენ თავდასხმას.

გამოქვაბულში გამომწყვდეულებზე არ იფიქრებდა ამჟამად ჰანსი, იქიდან რაიმე ხმაურიც რომ გაეგონა, მაგრამ იქ სრული მყუდროება და უძრაობა სუფევდა, რაც დიდი შიშისა და დაბნეულობის დროს ხდება ხოლმე. შიშს იქ მარტო გასროლა ან ყარაულების დაზოცვა კი არ იწვევდა, არამედ ის, რომ არ იცი, რა ქნა. წინ ვერავის ხედავ, უკან დასახევი არაა. მტერი მოუხერხებელი და უნიათოც თავზარდამცემია, როცა შენსკენ აქვს მომართული თოფის ლულა და რამდენადაც მიუწვდომელსა და შეუძლებელს გააკეთებს, მით უფრო ამაზრზენია.

შტუტე ახლა მარტო იყო, მისგან ხუთ ნაბჯზე ეგდო ორი მიცვალებული და ამ ხუთი ნაბიჯის გადადგმა ვერ მოეხერხებინა. სიკვდილის შიში მას ვერ შეაჩერებდა, წინ არ წასულიყო და ბაუმანი გამოქვაბულში არ შემოეყვანა...

არსაიდან ხმა ალარ იყო. როცა ისვრიან, ამ სიჩუმესთან შედარებით ბედნიერებაა, რადგან იცი, საიდან მოდის ტყვია, იცი და ეს ისე საშინელი არაა, მაგრამ როცა მახლობლად ისვრიან და ისვრიან იქიდან, საიდანაც ვერ წარმოიდგენ, რა ფანტაზიის გუნებაზეც არ უნდა იყო, გგონია, ყოველი მხრიდან გიმიზნებენ, ქვეეიდანაც კი, რაზეც ფეხით დგახარ. გიმიზნებენ და თუ იცი ათიდან ერთს მაინც დაგაცილებენ, ადამიანის სიცოცხლისადმი სიყვარული და ლტოლვა იმედიანობენ იხრება და ის იმედი ამოქმედებს, უტყუარ სიკვდილს თვალს ვერავინ უსწორებს.

შტუტეს ჩურჩული მოესმა გაუგებარ ენაზე და გაახსენდა, რომ იქ ქალებიც იყვნენ. ამ გახსენებამ ჰანსს უკან დაახევინა. მოძრაობამ გაბედულება დაუბრუნა და აფიქრებინა, რომ წელან შეშინდა, შეშინდა, როცა მის ზურგს უკან ქალები იყვნენ, როცა მეგობარი მოუკლეს — პატარა კლაუსი, მეგობარი კი არა, შვილი.

ჰანსმა არ იცის რაა შვილი. მაგრამ იცის, კლაუსს მოვლა, ჭკუის

სწავლება, მოფერება და ხელში აყვანა სჭირდება. იგი ისეთი ბავშვია, რომელსაც დედა სჭირდება.

ჰანსმა პირველად რაც მოიმოქმედა, ის იყო, რომ დიდ გამოქვაბულზე აფარებული ბრეზენტი ჩამოგლიჯა და ის, ვინც ბრეზენტს იქით რჩებოდა, შემოიერთა და დაანახვა, რასაც თვითონ უყურებდა. კაპრალი ვერაფერს ვერ უყურებდა, მაგრამ თვალში იხედებოდა.

მალე მან გაიგონა, ვიღაცამ ხელში გაშეშებული ბარალი გაისწორა, ვიღაცამ დაიქსუტუნა... ჰანსი წინ წამოიწია, მაგრამ ქუსლი ძირს მაინც ვერ დაადგა. ამან უფრო წააქეზა და პირდაპირ იქით წავიდა, საითაც კლაუსი ეგულებოდა. მთვარე დაფარული იყო ღრუბლებით. ამის გარჩევა მაინც მოასწრო, მივიდა, ერთი ხელის მოვლებით აიყვანა ლოდზე დამხობილი ბიჭი. ახლა მისი სიმძიმე არ უგრძვნია და არც უფიქრია, სად უნდა წაეყვანა.

გამოქვაბულში შეარბენინა და დასვა. ბნელოდა, მაგრამ ეს პატარა ადგილი. რომლის იქით ამ დღეებში ფეხი არ გაუდგამთ, უკვე ისე ჰქონდა შესული ცნობიერებაში, რომ გრძნობდა, ბიჭი ზუსტად იქ შიიყვანა, სადაც სადარაჯოზე გასვლამდე იჯდა.

კლაუსი ახლა აღარ იჯდა...

თავი მეათე

გასროლის ხმა ისე ახლოდან შემოიჭრა, ქალებმა იფიქრეს, რომ მათი ხსნა მოვიდა. ის ორი დაჯერებული ტყვია მიზანს არ ასცდენია. გუცა მიხვდა, ბაუმანი რომ არ მოეკლათ, უკან მოირბენდა. ამ მოულოდნელმა თავდასხმამ ყველას შიშის ზარი დასცა. კლაუსი უფრო დაფრთხებოდა და ჰანსს შეაფარებდა თავს. გუცას ახლა ეს არ ადარდებდა. ამ თავდასხმამ მტერს ორი ჯარისკაცი წაართვა და მოაახლოვა თავისუფლება, შეამცირა ტანჯვა და შიმშილი.

როცა ყველაფერი მიწყდა და ამაზრზენი დაძაბულობა შეიქმნა, თაჯი მობრუნდა და წაიჩურჩულა:

— თუთარი და ვახო მოვიდნენ.

გუცამ თავი დაუქნია, მაგრამ ეს ამ სიბნელეში არ შეიძლებოდა დაენახა გოგონას, თქმით კი ვერაფერი თქვა, ახლა ლაპარაკი მარტო თაჯის თუ შეეძლო.

გარეთ, მოედანზე, გაშეშებული კაპრალი შეინძრა. ახლა მისი ნაბიჯიც თოფის გასროლასავით ისმოდა.

მალე ჰანსმა იქ, სადაც ადრე კლაუსი იჯდა, რაღაც მსუბუქად დადო, თუ მიაყუდა და ქვაბულში სისხლის სუნი დადგა.

გუცამ იქნებ არც იცოდა, სისხლს როგორი სუნი ჰქონდა, მით უფრო ადამიანისას. მაგრამ ახლა გვირაბში შემხუთავი, მძიმე ჰაერი იდგა.

შტუტემ ჯიპის ფარანი წუთით დაანათა ბაუმანს. ახლა ეს არაფერით არ შეიძლებოდა. ჰანსი თვითონ რომ ყოფილიყო დაჭრილი, არ აანთებდა. მაგრამ კლაუსი საყვარელი და საბრალო ბავშვი იყო და მისი გასაჭირი უნდა დაენახა. მერე დაჯდა, ფეხები გამართა, აიყვანა, კალთაში დაიწვინა და გულისპირი გაუგლიჯა, კისრამდე რომ ჰქონდა აბნეული მცივანა ბიჭს.

გუცა ამ უკუნეთშიც ყველაფერს ხედავდა. ხედავდა, როგორ მოუსინჯა ჰანსმა მომაკვდავს ათრთოლებული ხელით ჭრილობები. ხედავდა, როგორ მოავლო ხელი პერანგის გულისპირს და გვირაბში მეხად გაისმა ნაქსოვის ფხრეწის ხმა, ჩვილივით აიტატა, შეხსნილი მუნდირი და ჩახეული პერანგი გააძრო. ახლა მთლად გამოკრთა ბიჭის სუსტი ზედაწელი.

— კლაუს! — გაისმა ხავილი.

ქალმა იგრძნო, შტუტე ამას აქამდე გულში ბუტბუტებდა, მერე ბაგეებზე ხავილად გადმოვიდა. ეს ხმა გაძლიერდებოდა და ყვირილით გათავდებოდა, თუ სულთმობრძავს სიკვდილისაგან ვერ იხსნიდა.

კლაუს, ბიჭო, ბიჭო, ბიჭო! — ისმოდა განუწყვეტლივ.

ჰანსმა წამოიჩოქა ისე, რომ დაჭრილი ძირს არ დაუშვია, თავისი ჩანთა მოძებნა, მიათრია იმ ადგილზე, სადაც ბაუმანმა ქვის იატაკზე უსწორმასწორო ხაზები გაავლო. მკლავზე დაიდო კლაუსის თავი და ხელის გაშლილი მტევანი ზურგს უკან ამოუდო, მარჯვენათი ჩანთას თავი მოგლიჯა და დააპირქვავა.

— ბიჭო, პატარა ბიჭო, — დუდუნებდა კაპრალი.

ამით ის საყვედურობდა თავის თავს: უსუსური ბალღი, ჰანსის მეტი რომ არავინ გააჩნდა, ყარაულში გაგზავნა და თვითონ არ წავიდა, ისე ვერ იზრუნა მასზე, როგორც საჭირო იყო.

წყალი, ახლა წყალი უნდოდა ჰანსს, რომ ჭრილობები მოებანა ბიჭისათვის, რომელიც ხელში აკვდებოდა. წყალი აქამდე არ მოჰგონებია, როგორც არ მოჰგონებია ჩანთაში შენახული სახვევი. მათარა მოძებნა, მაგრამ სანამ იპოვიდა, გაახსენდა, რომ ცარიელი ჰქონდა, ამაღამ უნდა აევსო და ვერ მოასწრო.

— წყალი, წყალი!..

გუცას გვერდით ედგა ქვაბუნა, წყალი ყოველთვის კლაუსს ჩოჰქონდა მათთვის. წუხელიც მან მოიტანა, ახლაცაა შიგ ნახევრამდე. ამაღამ, ალბათ, ისევ აავსებდა...

ახლა მასვე სჭირდებოდა მისი მოტანილი წყალი, რომ სიკვდილისაგან თავი დაეხსნა.

ჰანსმა ისევ აიყვანა წელზევით გაშიშვლებული ბიჭი და გამოსოხდა, აქ სადღაც კლაუსის მოტანილი წყალი იყო.

შტუტე გულზე მიკრული ბიჭით ქალებს მიუახლოვდა. ნას კლაუსის მომარაგებული წყალი უნდოდა, მაგრამ თავგზააბნეულმა ვერ მიაგნო.

გუცა გადაიხარა, მკლავი გაუჩერდა, ნაგრამ ხელმა თავისთავად მოძებნა ქვაბუნა, მიაწოდა.

ჰანსმა ჩამოართვა და ხელით ქალის თითებს შეეხო. გუცა შეზარა ამ უცაბედმა შეხებამ კაცისა, რომელსაც სისხლით გალუმპული მომაკვდავი ეჭირა.

ჰანსმა უკან წაიყვანა დაჭრილი. მას არ უფიქრია, ქალს უნდა მოეწოდებინა ქვაბუნა თუ არა. როგორ შეიძლებოდა ახლა ვინმეს უარი ეთქვა იმიტომ, რომ გადამთიელი იყო? ახლა ჰანსმა ხომ არ იცოდა, ვინ ვინ იყო, იგი ახლა არავის არ ებრძოდა გარდა სიკვდილისა. სიკვდილი კი ყველა მოკვდავის მტერია და ადამიანები ერთად უნდა ებრძოდნენ ამ სულთამხუთავს.

ადამიანები ერთად უნდა იყვნენ, ყველაფერი იღონონ სიცოცხლისათვის და ერთმანეთს მიაწოდონ წყალი.

თავი მეთერთმეტე

კაპრალმა, სანამ შეხვევას შეუდგებოდა, კნოპსი და კარლი გაგზავნა ალფრედის შემოსაყვანად. არ გაუფრთხილებია, როცა ძალიან ჩაშობნელდებოდა, მაშინ გასულიყვნენ.

კარლს ხელი არ უხლია ალფრედისათვის, ისე იგრძნო მიცვალებულის სიცივე. კნოპსმა გამოათრია, მერე კარლიც მიეშველა და გამოქვაბულთან შეჩერდნენ. არ იცოდნენ, სად წაეყვანათ, ან, საერთოდ, სჭირდებოდა სადმე წაყვანა? ის უკვე წასული იყო. იქვე მიატოვეს და ჰამპელსაც არ მოსვლია აზრად კაპრალისათვის მოეხსენებინა. მათ იცოდნენ, რომ ორჯერ გაისროლეს. ალფრედს ერთი მოხვდა, მეორე კლაუსს და ჰანსს ახლა მათთვის არ ეცალა.

უხმოდ შეიძურწნენ გამოქვაბულში და თავიანთი ადგილები მონახეს. ისეთი სამარისებური სიჩუმე გამეფდა, ზოგჯერ დანიელის პირჯვრის საწერად წაღებული ხელის მოძრაობაც კი ისმოდა. ახლა დანიელის მხარეს შურის თვალით იხედებოდნენ, თითქოს მას სხვა ღმერთი ჰყოლოდეს, უფრო შემწყალე და მფარველი. ახლა თითქმის ყველას უნდოდა ელოცა. სწამდა თუ არ სწამდა. ერთმანეთს არ ერიდებოდნენ, მაგრამ ეკრძალვოდნენ თვითონ ღმერთს, რომელიც ახლა ამ გასაჭირში მოაგონდათ და ეშინოდათ — ამით უფრო არ გაენაწყენებინათ. „არა მოიღო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამაოსა ზედა“

გარდა ობერ-ლეიტენანტისა, ახლა უფალი ყველას სწამდა. უფალი, თუ რაღაც ძალა, რომელსაც მტერზე და მოყვარეზე ერთნაირი გავლენა ჰქონდა, ამჟამად კი მოწინააღმდეგეს მიემხრო. უკან მოხედვისათვის დრო არ რჩებოდა. იმ ძალას, რომელსაც შეეძლო მათი ხსნა, ეხსნა და ცოდვა-მადლი მერე აეწონ-დაეწონა. არც აღთქმის დადებას აპირებდნენ, როგორც აღსარება არ უთქვამთ. ახლა ყველა ერთნაირად დადებდა თავს მომავალი ცხოვრების სიწმინდესა და კაცთმოყვარეობაზე, მაგრამ აქ იყო დანიელი, მათზე უფრო პირნათელი, და უფლება ჰქონდა, „ეშუამდგომლა“. დანიელი არც განსაკუთრებული მსროლელი იყო და არც არავის ერთგული, გარდა ღვთისა და თავისი ოჯახისა. არავინ იცოდა, რატომ გადმოაგდეს ამ შერჩეულ სადესანტო ათეულში, დანიელმა, მით უმეტეს, არ იცოდა და არა.

აქამდე იგი ყველას ზედმეტი ეგონა. ზოგს ისიც კი აბრაზებდა, დანიელი მათ წილ დიდებას დღეს თუ არა, ხვალ დაუმსახურებლად გაიყოფდა. მისი განუწყვეტელი „ღმერთო დიდებულო“ და ფიქრი ოთხ ქალიშვილზე, ომში გამოუსადეგარი იყო.

„არა კაც ჰკლა!“ — ამბობს მაცხოვარი.

აქ კი ჯილდოს იძლევიან, ვინც მეტს მოჰკლავს.

ახლა დადგა წუთი, როცა მამაზეციერი კითხულობს:

— კაც ჰკალ?

ღმერთს არ უთქვამს, თუ ვინმემ მოგაკვლევინოს, გეპატიოსო.

უფალმა მოჭრა: — „არა კაც ჰკლა!“

ობერ-ლეიტენანტმა კი მოკლა, ბლომადაც მოკლა და ჯვარი მიიღო. ის ჯვარი ახლაც გულზე ჰკიდია მაქსს.

ჯვარზე კი ღმერთმა დააწერა: „არა კაც ჰკლა!“

მაქსი უარობს, — მე ჩემი ნება-სურვილით არაო, მაგრამ ღმერთი თხოულობს მარტო ერთ სიტყვას: ან ჰო, ან არა!

— ჰო! — ამბობს ობერ-ლეიტენანტი.

ყოვლისმხილველი ახლა კნოპსს ეკითხება.

— მე მით უმეტეს, — ხელებს ასავსავებს ჰამპელი, — ჩემი ჭკუით არაფერი არ მიკეთებია, მე ყოველთვის სხვისი იარაღი ვიყავი.

— ან ჰო, ან არა!

— მეტყოდნენ და სიტყვის შეუბრუნებლად ვაკეთებდი.

— ან ჰო, ან არა!

— ჰო.

— შენ, კარლ, ძალიან ხმამაღალი სიცილი რომ გიყვარს?

— მე ღვთის ნებით ვიცინოდი ყოველთვის.

— ღვთის ნებითაც ჰკალ?

— არა, უფალო დამიფარე.

— ან ჰო, ან არა!

— ჰო.

— პაულუ, ასე რომ მისტირი მეგობარს, რამდენს მოუკალი მეგობარი?

— მე მტერს ვესროლე.

— შენ არ იცოდი ჩემი ნაბრძანები?

— ვიცოდი.

— მერე? ან ჰო, ან არა!

— ჰო.

— თქვენ, ვალტერ და იოჰან, კაც ჰკალით?

— ჰო, ჰო.

— შენ, ჩემო დანიელ?

„ჩემო დანიელო“ — ასე უთხრა ღმერთმა.

— გისმენთ, უფალო, მონა თქვენი და ერთგული, უკუნითი უკუნისამდე.

— კაც ჰკალ?

— არ ვიცი...

— აჰ, არ იცი?

— არა, ზეციერო.

— რა ქენათ ახლა, რა გიყო, დანიელ?

— რომ არ ვიცი, მაცხოვარო!..

— ბაშინ არც მე ვიცი, რა მსჯავრი დაგდო.

ღმერთს განაჩენი გამოაქვს და ამიტომ თუ სუფევს ასეთი საშარა-

სებური სიჩუმე. ალბათ, გათენებასაც ამიტომ თუ აგვიანებს. განმგებელს არ ნებავს დღის ნათელი დაანახოს, ვინც კაც ჰკლა.

მთვარე დიდი ხანია ჩავიდა. ალბათ, ღრუბელი გახშირდა და ჰაერი დანოტიოვდა. ნისლი ჩამოწვა მწვერვალებში. აღარაფრის გარჩევა არ შეიძლება. ახლა გამოსროლილი ტყვიის ალსაც ვერ დაინახავ.

მსაჯული კი დინჯად წერს განაჩენს. მძიმე ხელი აქვს ღმერთს. იგი არ ჩქაროს. კაცი კი არა, ღმერთიც არ უნდა აჩქარდეს მსჯავრის დადებისას, მაგრამ აქ იგი დიდხანს არ დაფიქრდება. განაჩენი თავისთავად გამოტანილია.

რამეთუ კაც ჰკალ!..

თავი მეთოთრმეტე

შტუტე დაამშვიდა იმან, რომ ბაუმანი სუნთქავდა. სუნთქავდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ, მაგრამ სული ედგა. ბეჭში მოხვედრილი ტყვია მარჯვენა ძუძუსქვეშ გასულიყო. ჰანსმა პირველად ძუძუსქვეშა ჭრილობა იპოვნა ბნელში, გონდაბნეულმა ვერ მოისაზრა, რომელი მხარე იყო და ეგონა, გულში ჰქონდა გავლილი.

— არიქა! — აღმოხდა და ამით თავისი თავი უფრო შეაგულიანა ვიდრე მომაკვდავი.

ჰანსს არ ეგონა, თუ ასე გულის შემძვრელი სიყვარულით უყვარდა ბიჭი, რომელიც მისი არც ახლობელი იყო და არც თანატოლი.

გარედან სტევნის ხმა შემოიჭრა. ჰანსმა ახლა დაინახა, რომ თენდებოდა, მაგრამ გამოქვაბულში ნისლი რძესავით იდგა და გარდა სიფეთრისა, არაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა.

სტევნაზე ნაბადს მიწოლილი გოგონა წამოხტა და ჰანსმა გაიგონა მისი ნათქვამი:

— ვახ!

მერე ქალიშვილმაც წამოსწია თავი და ყური მიუგდო. მან პირველი დასტევნა კარგად გაიგონა, იცოდა, ისევ მოუხმობდნენ და იმის გაგონებაც უნდოდა.

სტევნა განმეორდა.

გოგონა გამოფორთხდა. შეაჩერეს. ისე წამოვიდა, თვითონ არ შეჩერდებოდა.

„თავისიანები ეძახიან და უნდა ხმა მიაწვდინოს“, — დუნედ გაუარა თავში ჰანსს. ამის გაფიქრება იყო და თავის სახელი მოესმა...

მიიხედ-მოიხედა, თითქოს ვინმე შემოიპარა და სულ ახლოს მოვიდა, აგერ მის გულთან.

— ჰანს! — ხმა თავისი უბიდან ესმოდა.

— ჰო, მე ვარ! — უპასუხა ისე, როგორც თავის თავს ეტყვიან, როგორც შენგან ძახილს გაეხმაურებიან.

— მე მომკლეს, ჰანს!..

შტუტემ მაღლა აუწია თავი დაჭრილს, ყურში ჩასძახა:

— ნუ გეშინია, ბიჭო!

— არ მეშინია, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა, მალიმალ სუნთქავდა, ზევით, ყელთან. — არ მეშინია, ახლა აღარაფრის არ მეშინია.

— კლაუს...

— შენ რომ ხარ ჩემთან, არ მეშინია, დედაჩემი რომ იყოს, შემეშინდებოდა. დედაჩემს თვითონ ეშინია და იტირებს.

— ჰო, მართალია... მართალს ამბობ, — ამას არ იტყოდა, ბიჭს რომ არ ნდომოდა.

— შენ არ მოკვდები!

— რატომ არ მოვკვდები, ჰანს?

ჰანსი დაიბნა, რატომ არ მოკვდებოდა კლაუსი?

— რატომ? რატომ და, რა დროს შენი სიკვდილია?!

— ადრეა?

— ჰო, შენ სულ ბავშვი ხარ, ძუძუნწოვარა.

— ჰო, მე სულ ბავშვი ვარ, ჰანს!

— და არც მოკვდები!

— იმიტომ კი არა, რომ ბავშვი ვარ, დედაჩემისათვის უნდა ვიცოცხლო.

— იცოცხლებ, კლაუს, იცოცხლებ!

— მაშინ რატომ მომბეზდა, ჰანს? ერთი ციდაც რომ გადაწეულიყო, ამცდებოდა, ალბათ, უნდა მოვკვდე. დედა მეუბნებოდა, შენ რომ რაიმე მოგეწიოს, შეტყობინება არ მინდა, ისედაც ვიგრძნობ. მითხარი, მე რომ დამჭრეს, დედაჩემს ეცოდინება?!

— შენ გინდა, რომ იცოდეს?

— არა, ჰანს, არაფრით არ მინდა.

— არ ეცოდინება და ვერც ვერასოდეს გაიგებს.

— გაიგებს...

ზევიდან ისევ დაუსტვინეს.

— საიდან უსტვენენ, რა უნდათ?

— არ ვიცი.

— მე ვიცი, ქალებს ეძახიან.

ჰანსმა იგრძნო, როგორ შეცბა გუცა ამის გაგონებაზე.

— კლაუს, შენთვის ბევრი ლაპარაკი არ ივარგებს.

— რატომ, უფრო მალე მოვკვდები?

— ნუ ამბობ...

— გულში ვარ დაჭრილი, ჰანს?

— არა.

— აბა რატომ მიჭირს სუნთქვა და მინდა ვილაპარაკო, ასე მგონია, მალე ვეღარაფერს ვიტყვი.

— კლაუს!..

— რა ვქნა აბა, ასე მგონია და...

— არა, თქმით თქვი, მაგრამ ნუ დაიჯერებ.

ისევ დაუსტვინეს.

— ეძახიან... — ქალებისაკენ მიაბრუნა თავი. — ფროილაინ, თქვენ გეძახიან!

— იციან, — დაუყვავა ჰანსმა.

— მე იმათ მესროლეს?

— არ ვიცი.

— ჰანს, ქალები რომ არ დაგვეტყვევებინა, იქნებ არ ესროლათ.

— გაჩუმდი, ბიჭო!

— გავჩუმდები, მაგრამ აი ის, რომ ეძახიან მაწუხებს. ამათ რომ არ შეუძლიათ უპასუხონ, გაიგონ, რომ ცოცხლები არიან, ჩვენ მათთვის... რომ სცოდნოდათ ჩვენ არაფერი დაგვიშავებია მათთვის...

აღარ თქვა, იქნებ არ ესროლათო.

— ჰო, რა ვიცი...

— არა მაინც... მაგრამ თუ ქალებმა არ უპასუხეს, უარესია, ისინი ახლოს არიან.

— მაგრამ უფრო ახლოს ვერ მოვლენ.

— ყუმბარებს ჩამოყრიან, უპასუხონ, ჰანს, უპასუხონ.

— ნუ გეშინია.

— მე არ მეშინია, ჰანს, ჩემთვის სულ ერთია.

შტუტეს ცრემლები მოაწვა, ბიჭი მასზე წუხდა. ამ წუთში ჰანსისთვის სულ ერთი იყო, მაგრამ კლაუსს უნდოდა ასე.

— უპასუხონ, — თქვა ჰანსმა დაუდევრად.

— ფროილაინ, — თქვა კლაუსმა, — მაგ გოგონამ უპასუხოს!

გუცამ რაღაც გადაულაპარაკა თაჯის.

თაჯი ადგილიდან წამოხტა და წამოვიდა.

— გვირაბს არ გასცდეს, — თქვა ჰანსმა.

— ფროილაინ, აქედანაც გააგონებს, უთხრას, რომ კარგად ხართ და ისიც რომ...

ალარ თქვა, გაჩუმდა.

ჰანსი მიხვდა, კლაუსს ისეთი რაღაცის თქმა უნდოდა, თუ არ ჩაკითხავდნენ, ვერ იტყოდა.

— რა უთხრას, კლაუს?

— რა-და... ვინ დაიჯერებს, მაგრამ... რომც დაიჯერონ, მაინც გვიანაა.

— თქვი, რა გინდა?

— რა-და, როცა მომარტყეს, წყალს ვიღებდი, ამ ქალებისათვის მინდოდა მომეტანა, რომ სცოდნოდათ, მესროდნენ, ჰანს?

— არ ვიცი.

— შენ მათ ადგილზე რომ ყოფილიყავი?

— არა.

— არც მე, ჰანს, და მგონი, ისინიც არ მესროდნენ, მაგრამ არ იცოდნენ.

— არ იცოდნენ.

უკვე მოთენდა, მაგრამ რძისფერ ნისლში მაინც არაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა.

— ჰაუუ! — თაჯის ზარივით წკრიალა და მქახე ხმა გვირაბიდან გავარდა, ნისლი გაჰკვეთა.

— ჰაუუ! — აიტაცეს მწვერვალებმა.

— ჰაუუ! — გაიმეორეს ხევებმა.

თავი მეცამეტე

მოწმენდილი, ვთვარიანი ღამე დადგა. შებინდებისთანავე მიწყდა თვითმფრინავების ზუზუნი, უთუოდ ჩამოჰყარეს ამ საღამოსთვის ჩამოსაყრელი ბომბები, დაღვარეს დასაღვრელი სისხლი, მოკლეს, ვისაც დღემდე ეწერა სიცოცხლე და მიყუჩდნენ.

გამოქვაბულის პირზე გაჭიმული ბრეზენტი მთლიანად ვერ ფარავდა შესასვლელს და დარჩენილი ღია ადგილიდან, იქ, სადაც გასიებული ობერ-ლეიტენანტი იწვა; მთვარის ზენიტზე ასვლამდე სინათლე შემო-

დიოდა. დარიანში მზის შუქიც შემოძვრებოდა. დღეს გვიან გამოჩნდა მზე და აღარ შემოუხედავს. მაქსმა იცოდა, იგი დღეს რაკი ვერ იხილა, ხვალინდელს ვეღარ მოესწრებოდა. ახლა იგი წინასწარ კითხულობდა ბედის განაჩენს.

ბედმა მის გვამში უკვე რა ხანია ჩაასახლა „ის“, ვისთვისაც მაქსს ადგილი უნდა დაეცალა და მერამდენე დღეა ერთმანეთს ებრძვიან. მაქსი ხედავს, რომ იგი უკვე მდგმურია იმ ტყავში, რომელშიც ოცდათექვსმეტი წელი გაატარა. ახლა მოვიდა ნამდვილი პატრონი და ბარგი გადმოაქვს. მაქსმა იცის: ბედისწერამ გაყიდა ერთი კაკალი ტყვიის ფასად და აღარ უძალიანდება, მაგრამ მანამ არ გამოაქვს თავისი ავლადიდება, სანამ ახალი მფლობელი მთლიანად არ დაიკავებს ძველის კუთვნილს, ამიტომ სივიწროვეა და ჭირს.

ბედმა უკვე გააფრთხილა: ამ ღამით უნდა დაეცალა სადგომი...

ახლა მთვარის თეთრი სვეტი შემოდის ბრეზენტის ყურში და იმ ერთადერთ კაცველ მანძილს, მაქსის ცხვირიდან კედლამდე რომაა, შუაზე სჭრის. დგას თეთრი, ცივი სვეტი. ეს სინათლეა, მაგრამ უიმედო. ანათებს, მაგრამ არ ათბობს, მაქსმა იცის, როცა მთვარე მაღლა ავა, სხივი კედლიდან მისკენ გადმოიხრება, მერე სახეზე დაადგება, ნელ-ნელა გაიპარება გამოქვაბულიდან და სულთმობრძავს თან გაიყოლებს.

მაქსის ბარგი გამოკრულია, რაც წასაღებია, წაიღებს, არ წაიღებს და აქ მაინც არავინ დაიტოვებს. ახალი პატრონი არ ეტევა იქ, სადაც ჩამოსახლდა. რა ხანია მენჯიდან მუცელში შემოვიდა და გულ-ღვიძლს აწვება, ჩასუნთქვის საშუალება უნდა მოუსპოს აქაურობის მკვიდრს.

მთვარის სინათლემ კედლიდან ძირს ჩამოინაცვლა. მაქსი ცხვირწინ ხედავს თეთრ, ცივ სვეტს და დარწმუნებულია, რასაც კი შეეხება ეს მკვდრის სინათლე — გაჰყინავს, მაგრამ სანამ სახემდე მოვიდოდეს, უწინ მუცელზე გადმოივლის. დღეს მაქსის მუცელი უსაშველოდ დიდია, რადგან უკვე ორი ერთნაირი ზომისა და წონის კაცი სახლობს ერთ სხეულში. არავინ იცის, იმ მეორეს რა ჰქვია. იქნებ მაქსი? შეიძლება. ჰოდა, ორი მაქსი ერთ ტყავში არ ეტევა, სულ გაიჭედა სხეული და პირველს სუნთქვა უჭირს, ძალიან უჭირს. ეს ისევე ძნელია, როგორც ორივე ფეხზე ერთი ჩექმის მორგება. არა, აქ გაჩერებას წასვლა სჯობს. საღაც გინდა, ყველგან უკეთესი იქნება. ასეთი სივიწროვე არსად არ შეიძლება იყოს. ამ სულთამხუთავს მაინც გადარჩება, ამ ჯოჯოხეთური ტკივილებისაგან მაინც დაიხსნის თავს.

მაქსი აღარაა წინააღმდეგი, მაგრამ გზა უნდა, სანამ აქ ეს თეთრი,

ციეი სვეტია. ვერ წ�. ეს სინათლე ვიწრო ბილიკია, რომელსაც იგი უნდა გაჰყვეს.

ახლავე უნდა დატოვოს ეს მძიმე, სულის შემხუთველი მძორი. მეტი აღარ შეუძლია, ტყუილად ეგონა, რომ მეორე შენობაშია ბეულ მისი ზომისა და წონის იყო. არა, ალბათ, უფრო მსხვილია, მისი ტოლი რომ იყოს, ასე ძალიან არ გაუჭირდებოდათ.

კი, იგი მაქსზე მაღალია, რადგან სხეულში ვერ გაიმართა. ჩექმებიც არ არგია, ტერფებში უჭერს, წვივებიც უფრო მსხვილი აქვს. შარვლის ტოტები ასკდებათ, მენჯშიც... უჰ, რა უსაშველო, ძალიან ფართო მენჯი აქვს! მაქსს სულ დაულეწა ძვლები! ნუცელში ამოუვარდა და აგერ, კისერთან მოაბჯინა თავი. სულთმობრძავს გული ერევა. ახლა ის უღმერთო, მგონი, გაჭიმვას, გამართვას აპირებს და საშიშია ეს მძორი არ გაგლიჯოს.

კაცმა რომ თქვას, მაქსს რისი ეშინია, მან ხომ მაინც უნდა დატოვოს ეს გაბერილი ტომარა. მისმა ახალმა პატრონმა იკითხოს, თუ გასაკლება, თორემ ძველს შეკრული აქვს ბარგი და აგერ, თეთრ ბილიკს გაჰყვება.

აი, მალე გავა თეთრი შუქი, გავა და თუ მაქსი არ გაიყოლა, თვითონ გაეკიდება, ფრჩხილით და კბილით მოეკიდება კლდეს, ტინს და იმდენს იზამს, გაჰყვება ამ მოცისფრო ბილიკს.

სინათლე დაპატარავდა, დავიწროვდა, ნომაკვდავის თავთან ვამოქვაბულის კუნჭულში მიიყუჟა.

ახლა კი დროა. მაქსი ჩქარობს.

— ჰეი, ბინადარო! აბა, მოდი, მოეშველე, შენც ხომ გიჭირს და მაქსს სული აგერ, კისერში აქვს, მოდი, მოაწექი!

ოჰ, რა ამოუტეველი დაემართა.

ერთხელ კიდევ, თორემ დაიხრჩობა კაცი. ნუ გეშინია, აღარ სტკივა, არაფერი აღარ სტკივა, მხოლოდ ამოძრომა უჭირს...

ეჰ, გადის სინათლე და უნდა გაჰყვეს!

არიქა, კიდევ, კიდევ!..

მადლობა ღმერთს!..

უჰ, არ ამოისუნთქა?!

მთვარე ბრეზენტის ყურიდან გამოძვრა, ობერ-ლეიტენანტის სული გამოიყოლა, საშუადღეოზე ავიდა და ცამდე აზიდულ ნწვერვალებს ზევიდან დახედა.

— ღმერთო დიდებულო! — თქვა დილით დანიელმა და სამჯერ გადაიწერა პირჯვარი, როცა ობერ-ლეიტენანტს დახედა. გულალმა გადმოაბრუნა ცივი, გაბერილი სხეული და ეცადა, მიცვალებულისათვის ხელები გულზე დაეკრიფა, მაგრამ გაყინული მკლავები არ დაემორჩილა.

დიდი გამოქვაბულის დანარჩენი ხუთივე მკვიდრი თავზე წამოადგა დანიელს, უხმოდ დააშტერდნენ მეთაურის გვამს.

ობერ-ლეიტენანტის სიკვდილი გარდუვალი იყო, ეს ყველამ იცოდა, მაგრამ აქამდე სული მაინც ედგა, ახლა კი იგი აღარ იყო. მაქსი თითქმის ყველას სძულდა და მათი უნუგეშობა საყვარელი ადამიანის დაღუპვისაგან გამოწვეული სევდა არ იყო. ჯარისკაცებმა დაკარგეს უფროსი, რომლის გამოცდილებას, ჭკუას და თუნდაც მისდამი შიშს ნდობდნენ. ამ კაცთან არც ერთი მათგანი დაახლოებული არ იყო და მანძილი, რომელიც ობერ-ლეიტენანტს მებრძოლებისაგან აშორებდა, საიდუმლოებით ფარავდა ბევრ მის ზრახვასა და უნარს, და იმას, რაც მაქსისა არ იცოდნენ, იმედის თვალით უყურებდნენ. მეთაურს ჩინი და ჯილდო მაინც მაღლა აყენებდა და მისგან მეტს მოელოდნენ, ვიდრე რომელიმე რიგითი მებრძოლისაგან.

ჰამპელი გატრიალდა, ბრეზენტის კუთხე გადასწია, დამფრთხალი ცხოველის გუმანით დაზვერა ის რამდენიმე ნაბიჯი, რაც ორ გამოქვაბულს ერთმანეთისაგან ჰყოფდა. მერე კი გადახტა.

შტუტე იჯდა. თავი კედელზე მიებჯინა და თვლემდა. ფეხის ხმაზე თვალები გაახილა, არ განძრეულა.

კნოპსმა ხელი აუღო.

გუცამ შეამჩნია, რომ ჰანსს ზიზღი გაუჩნდა ამ კაცისადმი, რომელსაც გაზეპირებული ჰქონდა უფროსთან შეხვედრის წესი.

— რა მოხდა?

— ობერ-ლეიტენანტი მოკვდა!

— ჩუუ! — თითი ასწია კაპრალმა და მის გვერდით ბრეზენტში გახვეულ მძინარე კლაუსს დახედა — ეს არ უნდა გაეგო მომაკვდავ ბიჭს.

რა ექნა ახლა შტუტეს, ობერ-ლეიტენანტი რომ მოკვდა? ეგერ თავგახეთქილი ალფრედიც აგდია მოედანზე, არადა მიცვალებულს ცოცხლების გვერდით ვერ დატოვებდნენ.

— გამოასვენეთ!

კნოპსი არ შებრუნებულა.

„რატომ არ იძვროდა ჰამპელი?“

ჰანსი დაფიქრდა. ბიჭის დაჭრამ სულ დააბნია. ახლა მოაგონდა, გარეთ, მოედანზე გამოსვლა სახიფათო რომ იყო.

— გადააფარეთ მაზარა და საღამომდე იყოს, საღამოს თუ მოიღრუბლა... — არ დაამთავრა, ამდენი ახსნა-განმარტების თავი აღარ ჰქონდა.

კნოპსი უფრო ფრთხილად და მარდად გადახტა უკან და ბრეზენტის მიღმა მიიმალა.

გუცა გააკვირვა იმან, რომ ჰანსი, რაც ობერ-ლეიტენანტმა სული ეშმაკს ჩააბარა, ერთადერთი მბრძანებელი იყო, მაგრამ ქალი ხედავდა, რომ იგი არაა დახარბებული ჩინსა და დიდებას, პირიქით, ამან ხალისი დაუკარგა. ქალს ეჭვი და სიძულვილი ნებას არ აძლევდა მტერს, და ისიც ჭკვიან მტერს, ნდობოდა: მაგრამ კაპრალმა რომ არ დაუშალა თაჯის ბიჭებთან ლაპარაკი, რას ნიშნავს ეს? ხომ არ იცოდა, რას ეტყოდა ტყვე თავისიანებს?

ვინაა შტუტე?

გუცა არ ფიქრობს, რომ ეს კაცი ერთ დღეს გავა მოედანზე, გაიტანს თეთრ ცხვირსახოცს და ორივე ხელს ასწევს, მაგრამ ზოგჯერ ჰგონია მობრუნდება მათკენ და ეტყვის: წადით და თავს უშველეთ!

გუცას მერე აშინებდა ეს ფიქრი: მე გულუბრყვილო და მიმნდობი ვარ, ამ ხოცვა-ჟლეტაში რას გავიგებ, მე ათი წლის ბავშვებისათვის ანბანის სწავლება თუ შევძელი, ესეც დიდი ღვთის წყალობაა.

მაგრამ ბავშვიც მიხვდებოდა, რომ ჰანსს უყვარდა კლაუსი. ეს მართალი იყო. ამაში იმთავითვე დარწმუნდა ქალიშვილი. უყვარდა ისე კი არა, როგორც ორ ფრონტელს ერთმანეთი: არ იციან, ვინ საღ დაეცემა და სად დასჭირდება მეგობრის ხელი. ასეთი მეგობრობის დროს ვინც უწინ იღუპება, ხედავს, რომ მოტყუებულია — საღ-სალამათი ტოვებს და გარბის, თავი რომ გადაირჩინოს.

ამათი სიყვარული ყველაზე მეტად მაშინ გამოჩნდა, როცა ბიჭი დაიჭრა. ჰანსს, ალბათ, არასოდეს გაჭირვებია და არც ჰქონია იმედი, თუ დაეცემოდა, კლაუსს მისთვის ხელი გაეწვდინა.

აქ რომ ანგარება ყოფილიყო, ჰანსი ობერ-ლეიტენანტს მეტს გამორჩებოდა, ვინემ ამ უსუსურ ჯარისკაცს, რომელიც ხელსა და პირში უყურებდა კაპრალს.

ჰანსი მოსაზრებული და ჭკვიანი ჩანდა. ახლა მოდუნდა თუ შეაშინა იმან, რომ ბიჭი ხელში აკვდებოდა, ერთი მიცვალებული გარეთ ესვენა, მეორეს მეზობელ გვირაბში განუტევა სული და ასეთ დროს ჭკვიანმა კაცმა იცის, რომ დაბნევა და უმოქმედობა გამარჯვებას არ მოგიტანს. მტერთან რომ ტყვეს ალაპარაკებ დაჭრილის სურვილით შენთვის გაუგებარ ენაზე და თავს საფრთხეში აგდებ, ეს იმას ნიშნავს, რომ ავადმყოფის ყინიანობა უფრო ძვირად გიღირს, ვინემ საკუთარი სიცოცხლე.

გუცას კლაუსის აჩქარებული და ზერელე სუნთქვა უკვე გულს სტკენდა.

ბიჭმა თვალები გაახილა და უცებ ფეთიანივით გადაატრიალა.

ჰანსი იმისკენ დაიხარა, მარცხენა ხელზე დაეყრდნო, ხომ არაფერი გინდაო, თავი გააქნია.

— წყალი! — თქვა ბიჭმა და სიცხიანი, დაწითლებული თვალები გაუშტერდა.

ქვაბუნა ცარიელი იყო. მეორე დღეა, წყაროდან წყლის ამოტანა ვერავინ გაბედა. ჰანსს იქნებ არ დაეხია უკან, მაგრამ წუხელ ცოტა წყალი კიდევ იყო კლაუსის მათარაში.

— მაშინ არ მინდა, — ხიხინით თქვა ბიჭმა და იგრძნო, რომ მისი მზერა ჰანსს გულს უკლავდა. ქუთუთოები დაუმძიმდა, — ჰანს, ისე ძალიან არ მწყურია, ნაშუადამევს ხომ დავლიე.

— კი.

— მე ვიცი, მწყურვალი ადამიანი ერთ კვირას მაინც ძლებს.

— მეტ ხანსაც, მაგრამ საღამოს წყალი გვექნება.

— არა, ჰანს, საღამოს ნისლი თუ არ იქნა... არა!..

— დღამდეს და ვნახოთ.

— ჰანს, დამიჯერე, დაიფიცე რომ თუ ნისლი არა... წყალს არ ამოიღებ, დაიფიცე!

— ვინ დავიფიცო?

— დედა...

— დედა არ მყავს, კლაუს, ხომ იცი!

— ვიცი, ჰანს, მაგრამ მაინც უნდა დაიფიცო, რა გითხრა იცი? მე მათი არ მჯერა, ვინც ცოლს იფიცებს.

— მე არც ცოლი მყავს.

— ვიცი, მე ისე ვთქვი, ვისაც ჰყავს... — ბიჭმა გამშრალ ტუჩებზე გათეთრებული ენა მოისვა და გაჩუმდა.

ჰანსმა გვირაბში მიიხედ-მოიხედა. იგი ვერ ისვენებდა ბიჭს რომ უწყლობა სტანჯავდა, ქალებს მიაშტერდა: რა უნდოდა ამ მზერით, გუცა ვერ მიხვდა, თვალი აარიდა, თუმცა ახლა აღარ სწყენია ამ კაცის შემოხედვა.

— კლაუს!

ბაუმახმა თვალები ისევ გაახილა.

— მე მეუბნები?

— შენ გეუბნები.

— რა გინდა, ჰანს, მესმის!

— რა და, არ შეიძლება დედაზე მეტად შეგიყვარდეს ვინმე?

— არა, ჰანს.

— აი, ასეთი კარგი გოგო რომ იყოს, მაინც? — თავით იმ კუთხისაკენ ანიშნა, სადაც ნაბადში გახვეული ქალები იყვნენ მიყუჟული.

ახლა კლაუსმა მიაბრუნა თავი და გაიღიმა.

ტყვეს არ სწყენია ჰანსის ნათქვამი. იცოდა, ამით ხახაგამშრალ მომაკვდავს იქცევდა.

— არ ვიცი...

— გამოტყდი, — შტუტემ თვალი ჩაუკრა, — ვთქვათ, ჩვენ გამოქვაბულში არ ვზივართ და... — აღარ თქვა გვესვრიანო. სადმე, სხვაგან შეხვდი ასეთ ქალიშვილს.

გუცა მიხვდა, ჰანსმა მარტო იგი იგულისხმა.

— ჩვენთან?

— ჰო, იმ ქუჩაზე, სადაც შენ და დედაშენი ცხოვრობთ.

— დედას სწყინს, როცა მე გოგოებს ველაპარაკები.

— ვთქვათ, მარტო ხარ და ბაღის კუთხეში ზის ქალიშვილი.

— თუ არ მოვეწონე!..

ჰანსმა ტყვეს გადახედა.

— მოეწონე, ვთქვათ, მოეწონე, დაჯექით და ისაუბრეთ.

— მერე?

— მერე კინოში წაიყვანდით და ორ საათს ბნელში ისხედით.

ბიჭს შერცხვა.

— მოიცა, ჰანს...

— რატომ მოიცადო, სახლამდე მიაცილე, დამშვიდობებისას იცი რა გითხრა? მოერიდა, გაწითლდა, მაგრამ მაინც გითხრა, შალე, ძალიან მალე უნდა განახო, შენ დათანხმდი.

— მეორე დღესვე მივალ.

— მაგრამ დედაშენმა არ გავიშვა.

— უარი ვითხრა?

— ჰო, გითხრა, რომ ვერსაღ ვერ წახვალო.

კლაუსმა მალულად შესედა გუცას დიდრონ, სევდიან თვალებს, შუბლზე ჩამოყრილ დაუვარცხნელ თმებს და თვალი აარიდა.

— თქვი. არ წახვალ?

— მესამე დღეს წავალ.

— სულ არ გიშვებს.

— სულ არ მიშვებს?

— არადა იმ გოგოს ძალიან უნდა შენი ნახვა. რომ არ მიხვიდე, ბევრს, ბევრს იდარდებს.

კლაუსმა ხმა არ ამოიღო და გაიღიმა.

— წახვალ, მე ვიცი, რომ აუცილებლად წახვალ!

— ალბათ. წავალ, — ჩუმად თქვა, ისე, რომ ქალს არ გაეგონა, მაგრამ მათ შორის ხომ სულ ორიოდე ნაბიჯი იყო.

თავი მეთხუთმეტე

ღამით წვეთოშა. დილით კლდეები მზეზე ისე ბრჭყვიალებდა, გეგონებოდათ ზედ შუშის ნამსხვრევები დაბნევიათო.

აკაწკაწებულმა ვახო თვალი გაახილა თუ არა, ნაბდიდან გამოძვრა, მაღლა ახოხდა.

— ეს გადარეული რაღაცას მოიწვევს! — თავი მიაბრუნა თოფმომარჯვებულმა თუთარმა. — მაგ ნაბადში სამივე ვეტევით და შენ რა ჭინკა შემოგიძვრა?!

— გუას არ უნდა შევხვდე?! — გაუკვირდა სულსწრაფ ბიჭს და ქვევით ჩაიხედა. პასუხს არ დაელოდა, გზის გაგრძელება დააპირა, მაგრამ წათოშილზე ფეხი დაუცდა, თუთარმა თოფს ხელი უშვა, გადაწვა და გადაეღობა, რომ ამ შევაკებიდან არ გადავარდნილიყო, მაგრამ დაცურებულმა ხელ-ფეხი გაშალა, ტინს მოებღაუჭა, თავი შეიკავა. მუხლზე შარვალი გადაიხია და კვირისტავი გადაიღლიტა, არაფერი შეიმჩნია თორემ, კინაღამ სული გაძვრა.

— აქ დაეტიე, შენ რომ გელაპარაკებიან! — თოფთან ადგილი მიუჩინა თუთარმა.

— დაეტიე, დაეტიე, ვერ დავეტიე! — ამოიყვირა გამწარებულმა ვახო და თოფი ხელში აიღო. — გადავხტები და ვისაც მოვასწრებ, ვესვრი!

— შენ მეტი ჭკუა კი არა გაქვს! ძირს სული არ დაგყვება...

— არ დაგყვება და ნუ დაგყვება! — თავდაღმა გაწვა და მტკივან მუხლს მკლავი შემოხვია.

— ხომ გესმის? — ჩაილაპარაკა თუთარმა, თუმცა უფრო მკაცრად კი უნდოდა ეთქვა და აღმა თვითონ ფრთხილად აუყვა.

— არ მესმის! — გაადევნა ვახომ და ქვევით თვალამღვრეულმა ჩაიხედა.

გუა გუშინ ნაშუადღევს გაუდგა გზას, რომ სახლიდან ქერის პური, კარტოფილი და ღორის შაშხი მოეპარა.

ხბეა დროს, თუ მოისურვებ, მთელ სოფელს გაძარცვავ, სვანებმა კარის საკეტი და ბოქლომი რაა არ იციან, მაგრამ ახლა ომია, ყველას გაფრთხილი აქვს ძილი, ყველას ოჯახში შიში ჩაუსახლდა, შიშს კი დიდი თვალები აქვს!

ვახომ, როგორც კი თუთარი თვალს მოეფარა, მტკივანი ფეხი მეორე ფეხზე გადაიდო და აწრიალდა. კლდე, რომელზეც იწვა, გვირაბეშის თავზე ისე იყო გადამხობილი, რამდენი ბრ გადაიწია, შესასვლელი მაინც ვერ დაინახა. მერე იფიქრა, მართლა თავდაყირა არ გადავეშვაო და უკან გახოხდა. იმღამინდელი ორი გასროლის შემდეგ გარეთ ცხვირს აღარავინ ჰყოფდა, მოედანზე ღორღსა და ლოდებს მეტი... ჰო, ერთ ლოდზე მოხვეული ბაწრის მეტი არაფერი ჩანდა. ბაწარი წყარომდე ჩადიოდა. ბიჭებმა ეს, როცა აქ ამოძვრნენ, მაშინაც დაინახეს, მაგრამ თოკი იმისისხო არ იყო, კაცი ჩაჰყოლოდა, თუ ვინმე თავს მოიძულებდა, მით უარესი, მოედანზე ხომ უნდა გამოსულიყო...

ახლა გამწარებულ ბიჭს მუხლის კვირისტავი ისე ეწვოდა, არ იცოდა, რა ექნა. აღარც თუთარი იყო, რომ ენა მაინც მოეფხანა. აიღო თოფი და ბაწარს მიუშვირა, მაგრამ ჰაერში გაჭიმული თოკისათვის სროლა არ ივარგებდა, ჯობდა იქვე, ლოდზე დაემიზნებინა. ეს უკეთესი იყო, ერთი რომ მანძილი ყველაზე მოკლე იყო და შეორეც, თუ ბაწარს ზუსტად ვერ მოახვედრებდა, ტყვიას ქვევით ქვა დახვდებოდა და სანახევროდ რომ გადაეჭრა, ლოდზე გახეთქილი ცერის სისხო ტყვია დანარჩენებსაც დააშორიშორებდა.

ნაწილი მესამე

თავი პირველი

მოხდა ის, რის გულში გავლებისაც ყველას ეშინოდა. ზოგჯერ არის იმხელა უბედურება, რაზეც არ გინდა იფიქრო. გგონია, რომ წარმოიდგინო, დააჩქარებ ამ ცოდვის დღეს და ამით ღმერთს, თუ ბედისწერას. გაახსენებ, რომ შეიძლება ასეთი საშინელებაც მოახდინოს, თანახმა ხარ ყველაფერზე იფიქრო, მკრეხელობაზე, განკითხვაზე, წარმოუდგენელზე, მაგრამ ეს არა, რომ გზა აუბნიო იმას, ვისაც შეუძლია ეს ჩაიდინოს...

თოფის ქუხილმა, რომელიც კიდევ ერთხელ გაისმა მათ თავზე, გვირაბში გამომწყვდეულები მიახვედრა, რომ ტყვია არ მოხვედრიათ, მაგრამ ყველა სასიკვდილოდ დაჭრა.

თოფის ხმა როცა ხევიდან ხევში წავიდა და მიწყდა, ისევ დადგა ამაზრზენი სიჩუმე. ამ ერთი ტყვიით დატრიალდა გუშინდამინდელზე უარესი, ამას ისევ ის ორი გასროლა სჯობდა.

ერთი გასროლა, რომელიც იცი მიზანს მოხვდა, შემზარავია. დუმილის შემდეგ თუ ისევ გახმიანდება, გულზე უნდა იტაცო ხელი და მარტო სულზე იფიქრო.

გარეთ არავის გაუხედავს, ქუხილის დროს იქ არავინ იყო და ეს ტყვია გამოქვაბულში მოქცეულ მტერს და მოყვარეს ერთნაირად ერგო. თვალდახუჭულიც ხედავდნენ, რომ წყაროდან მოედნამდე გაჭიმული თოკის ერთი ნახევარი წყლის პირას ეგდო და მეორე ლოდზე ეკიდა.

შტუტემ გაფართოებული თვალებით გადახედა ბიჭს, რომელიც ამ სროლის ხმამ გამოაღვიძა. ბაუშანი უაზროდ მიაჩერდა ჰანსს, მანაც იცოდა რა მოხდა, მაგრამ არ შეეძლო დაეჯერებია.

ქალებმა ეს უბედურება ჰანსისა და კლაუსის თვალებში ამოიკითხეს, მაგრამ მეორე გვირაბიდან ექვსი წყვილი ჩექმის ხმა რომ მოისმა, მერე როცა ბრეზენტი გადასწიეს და გამოსასვლელს მოადგნენ, ორივეს უნდოდა დაეკივლა, მაგრამ ხმა არც ერთს არ ჰქონდა. მტრის ასეთ შემოხედვას შეეძლო ჭკუიდან შეეშალა ადამიანი. ამ თვალებში რომ მარტო შურისგება ყოფილიყო, რომელიც სიცოცხლის წართმევას გიპირებს, არაფერია, ეს იყო სხვა, რომელიც სიკვდილზე უარესს გპირდება.

გუცამ ნაბადი აიტაცა და სახეზე აიფარა. თავი ბრს ფეხებთან გაწვა და მოიკუნტა.

გამოქვაბულში ჰაერი გამოშრა. ამ თვალებმა ერთბაშად ჩაისუნთქეს ყველა სინესტე. გამოწოვეს ტინებს სინედლე და გამოქვაბული თონესავით გაახურეს.

თავი მეოთხე

სამი დღის მწყურვალ დაკრილს ენა გაუხმა, ტუჩები აეკერცლა და გაუთეთრდა. ზედიზედ მზიანი დარები დაიკრა და გარეთ ბანოსვენებული ობერ-ლეიტენანტის რუმბივით გასიებულმა ლეშმა და კვინიხში ტყვიადარტყმული ალფრედის გვამმა ხრწნა დაიწყო.

ბაწრის ჩაწყვეტისთანავე კაპრალმა დესანტებს საჭელი ჩამოართვა, თუ კიდევ ვინმეს რამე ჰქონდა გადანახული, ორცხობილა ან შაქრის ნატეხები ერთიორად გააცოფებდათ გვირაბში გაბომწყვდეულებს.

ნერწყვგამშრალ ქალებს შკვდრის სუნი თავბრუს ახვევდა.

ჰანსს დაკრილის მხარეს აღარ უნდოდა მიეხედა. გამოქვაბულის კედელზე რაიმე წერტილს ამოიჩემებდა, უყურებდა და უყურებდა; იგი აქამდე რაღაცაზე ფიქრობდა, ახლა კი აღარაფერზე. ამხელა თავსატეხი ქვეყნად ცოტა ვინმეს თუ ჰქონია, მაგრამ ბოლოს და ბოლოს აღარაფრის მოსაზრება არ შეიძლებოდა. ყველაფერი გადაწყდა. თვითონ მამალმერთი თუ ჩამოვიდოდა, თავის კალთაში შეახვევდა და გადააფრენდა მწყურვალ გერმანელ ჯარისკაცებს. თორემ ახლა კეთილი ანგელოზის მფარველობაც ვეღარ უშველიდათ. საბრალო კლაუსისათვის კი მისი საყვარელი დედის უბე და უკვდავების წყალიც ამაო იყო.

შტუტეს ძარღვები დაუწყვიტა ამდენმა დუმილმა. ეს ორი დღეა მათ თავზეც ისე დაცოცავდნენ, კენჭი რაა, ისიც არ ვარდებოდა ზეციდან, აღარც ტყვეებს ეძახდნენ. მას მერე, რაც ბაწარი გაწყვიტა, მტერმა თავისიანებსაც წაართვა წყალი და თვითონაც დაიბნა, ენა გაიკმინდა და ელის, რა მოხდება.

ტყვეებს მოითხოვს ჭიქა წყალში?!

არა არ მოითხოვს, რადგან იცის, არ მისცემენ. აქ ეს ქალები რომ არ იყვნენ, აქაურებს ორი ნელყუმბარა ამოწყვეტს. ტყვეები მათ სიცოცხლეს უდრის: ამის მოთხოვნა წყლის საფასურად არ შეიძლება...

ქალებს რომ მისცენ წყალი?

მერედა ტყვეებს ვინ დაანებებს. ეს ჰანსსაც გაუკვირდება, თავისთვის რომ ეფიქრა, მაინც გაუკვირდება, ახლა კი, კლაუსს ყველაზე მეტად ეწვა წყალი... წყალი მას სიცოცხლეს ვერ დაუბრუნებს, ვერ განკურნავს. მაგრამ ჭრილობით მოკვდება და წყურვილი მაინც არ დაახრჩობს. მისთვის ჯერ ერთიც უსამართლობაა და მეორე... ისიც ასეთი სიკვდილი... სადაა სამართალი?!.

სამართალი?!

ბაუმანს ღია, ამომხმარ პირში, საიდანაც ასეთი წამლერებასავით ბავშვური ხმა ამოსდიოდა, ახლა ორი სულთამხუთავი უძვრება. ბიჭს, რომელიც ჯერ არც კი მიმხვდარა, რატომ მოკვდა ამქვეყნად, ორი სიკვდილი ერთმანეთს ხელიდან ვლეკს, კლაუსს, რომელსაც მარტო დედა უყვარს. მას სხვა ქალი ჯერ ბავშვური სიყვარულითაც არ ჰყვარებია.

დაჭრილის ამომხმარ ხორხში ჰაერი ისე ამოდის და ჩადის, თითქოს დახვეული ხველ ნეშოში უბერავდეს.

ჰანსს შიში გაუჩნდა: შეიძლება შევიშალოო და დაავიწყდა ყველა დანარჩენი უბედურება. ადამიანის გონებას რაღაც განსაზღვრული სასოწარკვეთილების ან ბედნიერების ატანა შეუძლია.

ქალები ზურგით მიკვრიან კედელს. ერთმანეთის ცქერით დაოსებულთ ქუთუთოები ფართოდ აქვთ გახელილი, მაგრამ არაფერს ხედავენ.

შტეტე კი ხედავს მათ თვალებს და ხანდახან თავში გაუელვებს, რომ ქალების გუგებში გამჭვირვალე გარსი ცისფერი წყლითაა სავსე. ცისფერ სითხეში ცურავს თვალის კაკალი და წყლით სავსე ბურთები ბუდეებში დაცურავენ.

ჰანსმა სახეზე ხელები აიფარა. იგი ხედავდა, რომ სულ ცოტაღა უნდოდა გაგიჟებას. საკმარისია ეს, რაც ახლა იფიქრა, დაიჯეროს, დაიჯეროს ქალებს თვალების ადგილას აქვთ ცისფერი წყალი და მოინდომოს დალევა...

ნაუცბათევად შებრუნდა — დაჭრილსა და ტყვეებს ზურგი შეაქცია.

გარეთ ორ მყრალ გვამს ბრეზენტი ჰქონდა გადაფარებული, ბრეზენტს მზე ადგა და მიცვალებულებს ცხელი ორთაო ასდიოდა, რომელიც ცეცხლის უფერული ენებივით მაღლა მიიწევდა. ამ ორთაოს შემხეთველი სუნი შემოჰქონდა ტინის მწყურვალ ხვრელში.

საფლავი ყველას ეკუთვნის: მრუდსაც და მართალსაც. ვთქვათ, სიცოცხლის უფლება ყველას აქვს, მაგრამ ვინც სიცოცხლის ღირსი არაა, საფლავის ღირსია. ამათ არც ეს ერგოთ.

ბაუმანი ისევ ქვეცილით სალაშქრავდა. ჰანსს არ მიეხვეოდა მისკენ, „ამასაც უნდა ანობიერეს სული: ადამიანს სანამ სული გიდგას, თურმე ფიქრს ვერ ნოულობ: მერე ზეზეზე უნდა დავაგდო, ჰაერს მოწამლავს და მისი დაბინძვა უნდა შეეზიზღდეს. ბოლოს კი, როცა აქ ყველაფერი დამთავრდება, სვავები წვიდებენ და მია ძვლებს კლდეზე გადაჰყრიან. სვავებს ალბათ აქვთ, ცალფესის ძვლებს მაღლა არ აიტანენ, ის სუსტია და ადვილად დაინსერეა."

— ფრთილაინ!..

ქალმა კედლიდან ჰანსზე გადმოიტანა ზერა.

შტეტენ ფეან მოიდგა.

— ნისმენთ?

— გიაბენთ. — თქვა ქალმა. მის ხმას ალბინელი სითბო და მომხიბვლელობა ალარ ჰქონდა.

— ვიცი, რომ ნისმენთ. — უპასუხა კაპრალმა და ისევ ააჩიდა მზერა.

— რაღაცის თქმას აპირებდით?!.

ქალებს მოთმინების ძაფი გაეწყვეტა, მათი უპედურება ბევრად უფრო აუტანელი იყო. ესენი თავიანთ თავს ვერაფერს დააბრალებდნენ. თუ აშავებ, იცი, რომ სასჯელიც გელის. იცი, ჭირიც უნდა აიტანო, მაგრამ ვისაც არ დაეშავებია, ერთიანად ისჯება.

— ჩვენ, ყველა, ერთ ტაფაში ვიწვით...

— მერე ეს სამართალია?

ჰანსმა თავი გაიქნია: ქალს არ უნდა ელაპარაკა სამართალსა და უსამართლობაზე. აქ ახლა ეს ძველი და უაზრო იყო.

— მაგრამ ჩვენ მაინც ერთნაირი დაგასრული გველის.

— საუბედუროდ...

— არ შეიძლება ახლა ეს ვინმე ჩვენგანმა არ იცოდეს.

— თქვენ ყველაფერი იცით...

— და არ ვიცი, რომ სახლში უნდა დავტეულიყავი, რომ აქ არ მესაქმებოდა?

— ეს კი არ მევონა...

— თქვენ თუ გგონიათ კლაუსმა ან ოპერ-ლეიტენანტმა არ იცოდა?!

— ახლა მაინც ეცოდინებათ.

— თქვენ არ იცით, რაა ომი...

— არა, მაგრამ თქვენ ძალიან დამეხმარეთ. ამ მხრივ მარტო მე და თაჯი კი არა, მთელი მსოფლიო გაანათლეთ.

— ჩვენ ასეთი უბედური როლის შესრულებაც გვერგო ისტორიის წინაშე... — შტუტემ თავი ჩაჰკიდა.

— „ისტორიის წინაშე!“ — მწარედ გაეცინა ქალს. — ეს ბავშვი მაინც დაგეტოვებინათ სახლში, — სულთმობრძავს მიათითა, — და ამის საცოდაობით მაინც არ გეწამებინეთ!

გერმანელი გაჩუმდა.

ქალს ამდენი უსამართლობით და ტანჯვით სავსე მოთმინების ფიალა ხელიდან გაუვარდა.

— კლაუს! — ჩასძახა გუცამ ბაუმანს, — დამშვიდდი, „ისტორიის წინაშე!“

კლაუსმა თვალები გაახილა მისი სახელის გაგონებაზე.

— ჰაა!.. — ამოოგმინა უბედურმა.

— გტკივა?

ბიჭს ამ კითხვაზე თვალები გაუფართოვდა.

— შე შავ დღეზე გაჩენილო, გტკივა?

ბიჭმა თვალები ვადაატრიალა, ეტყობოდა, ახლა ერთიორად დაშანთა ნატყვიარმა.

— გწყურია?

— გწყურიაო?! — საცრის ოდენა გაუხდა თვალები.

— მწყურია, ფროილაინ, მწყურია! — იგი შეინძრა, ხელებით დაეყრდნო ქვეშ გაგებულ ფარაჯას, წამოწევა დააპირა, კაპრალი ეცა, ხელებით მხრებზე დაჭვა.

— ჰანს, გამიშვი, ჰანს! ფროილაინ, მწყურია... მეტი არაფერი მინდა. მომეცით წყალი, მომეცით და ერთხელ დავლევ, მარტო ერთხელ...

შტუტემ ბრაზით შეხედა ქალიშვილს, რომელმაც სათქმელი არ მოზომა და უღვთოდ იძია შური მომაკვდავზე.

ბიჭი განთავისუფლებას ცდილობდა, ამაოდ წვალობდა ჰანსის ღონიერ მკლავებში.

— ჰანს! — დაჭრილმა კისერი წაიგრძელა, თავი წამოსწია და საყვარელი მეგობრის ხელებს კბილით მისწვდა: კაპრალმა მაინც არ გაუშვა და მის სახეზე კუნთები ისე დაიძაგრა, ტყვეებმა დაინახეს, სადაც ბიჭი კბილით მისწვდა, ამოჭამა.

გუცამ ანგარიშმიუცემლად წამოიჩოჩა და მუხლი წინ გადმოდგა. მაგრამ წელზე მოხვეულმა თაჯიმ შეაჩერა და უკან, თავის ადგილზე დააბრუნა.

ტკივილისაგან გამწარებულმა კაპრალმა ამოიგმინა და კბილით ჩაფრენილი მოიცილა. დაჭრილი გულაღმა დაეცა და პირიდან სისხლი წასკდა.

— წყალი, — ამოიხრიალა და ისევ წამოიწია, ქალებისაკენ გადაბრუნდა და გაიმეორა: — წყალი, ფროილაინ, წყალი! — თავდაღმა დაეშვა. კისერი ახლა ქალებისაკენ გაიწვდინა და ფრჩხილებით მოეჭიდა კლდის იატაკს, მოწყვეტილი სხეული გაათრია.

ტყვეები კედელს მიეტმასნენ.

დაჭრილი ისევ მოეჭიდა სიპ ქვას ფრჩხილებით, ისევ სადგისივით ჩაუყარა ტინს ძვალტყავა თითები და ფარაჯიდან გადაფორთხდა.

— წყალი, ფროილაინ, წყალი!..

ნაბადს მისწვდა, დაქაჩა და კვლავ აითრია სხეული, ახლა მარტო ფეხებიღა ჰქონდა ფარაჯაზე. თავი ნაბადზე დადო და ხელები ტყვეებისაკენ გაიშვირა. გუცა შუშტის ტოლა ვახდა. ფეხები შეიკეცა, მაგრამ მომაკვდავი ქალისაკენ მიიწევდა.

— წყალი!..

ნახევარი სხეული ნაბადზე გადმოითრია, ტყვეს დაკრუნჩხული ხელით მისწვდა კოჭის სახსართან და მოეჭიდა. წაართვა ფეხი, გაუჭიმა. ქალს ცივმა ოფლმა დაასხა, მიტკალივით გაფითრდა. დაჭრილმა სისხლიან პირთან მიიტანა ფეხი და ზეღ კოცნა დაუწყო ცხელი ტუჩებით.

— წყალი, ფროილაინ, წყალი!..

— წყალი! — შეეზარავად ჭკვლა ქალმა და გარეთ გავარდნილი ხმა მეორე გვირაბის ბრეზენტს მიაწყდა. მერე ხევებსა და მწვერვალებში გაიჭრა.

— წყალი!..

— წყა-ლი!..

— წყა—ლი—ი!..

თაჯი ადგილიდან წამოვარდა, დაჭრილს გაეცალა, ჰანსს წინ გაურბინა, მოედანზე ბრეზენტგადაფარებულ გვამებს გვერდი აუქცია და მაღლა ასძახა:

— აუუ!

— აუუ! — იყო პასუხი.

— წყალი, ბიჭებო, წყალი!..

კნოპს ჰამპელი ძაღლივით ერთგული იმიტომ არ იყო, რომ ლუკმა პური და ჭიქა წყალი სანატრელი გახდომოდა. იბრძოდა, სისხლს ღვრიდა, მაგრამ მისთვის სულ ერთი იყო მსოფლიოში ვინ იბატონებდა, ღმერთს ეს ორი დღის წუთისოფელი მიუცია, რაღაც „აზრებით" რატომ უნდა შეიწუხო თავი. ზოგჯერ თითქოს მასაც უჩნდება აზრი, მაგრამ კნოპსი მას ბოლომდე არ მიყვება, გაეკიდები და დღეს რომ ერთი მოგაფიქრდება, ხვალ მეორე მოგეპრიანება, მერე მესამე და ბოლოს ისიც მოგინდება, რომ შენი ფასი კაცი ქვეყანაზე არ იყოს. თქვენ იყავით, ბატონო, — ამბობდა თავისთვის ჰამპელი და აკეთებდა იმას, რასაც ეტყოდნენ. ვისთვისაც გინდოდა დაგერქმია უფროსი და მერე ერთგული იქნებოდა. ამდენი ერთგულებისათვის უბრალო კაპრალობაც არ აღირსეს. ოთხჯერაა დაჭრილი. ბარძაყში მთელი სირბილე გამოგლიჯა ნაღმმა როსტოვის მისადგომებთან. ფეხებზე თითებიც აკლდა. გერმანიაში სულს არავინ შეარჩენდა, ომში წასვლაზე რომ უარი ეთქვა, თორემ იქ არ ერჩია? აიკვიატებენ რაღაცას და მერე მთელი ცხოვრება უნდა გადააყოლონ. მერე იმ „აზრს" სახელს გაუოუგონებენ და აკლავენ და აკლავენ თავს. კარგი, ვინც მოიგონა, პასუხიც აგოს, მაგრამ შე მამაძაღლო, შენ ვერ დაეტევი შენთვის?! ვითომ მამულები გექნებათ, მეფესავით იცხოვრებთო, ეს კი, მაგრამ თუ ისიც დაგატოვებინეს, რაც გაბადია?! კაპრალობა რომ არ მისცეს, ერთხანს გუნებაში ბრაზობდა, მერე ესეც დაივიწყა. ბოლოს ისიც იფიქრა, რაკი არ მომცეს, ალბათ, ასე იყო საჭიროო. უფროსი იმიტომაა, რომ მეტი იცის. მეტი კი არა, ყველაფერი მან იცის და სულ ერთი არაა, უბრალო ჯარისკაცად იცხოვრებ, კაპრალად თუ ბურგომისტრად? თუ დაღუპე, მით უმეტეს.

მას აქამდე ერთი რამ სწამდა, ერთგული ვიქნები და ამით თავს გადავირჩენო.

მაგრამ ჰამპელს მაინც გაუჩნდა „აზრი": მას აწუხებდა წყურვილი, წყურვილი და შიმშილი. კნოპსი თუ ემსახურებოდა ვიღაცის აზრს და სურვილს, სჯეროდა, რომ აქმევდნენ, ჩააცმევდნენ და ჭერს მისცემდნენ.

ახლა აგერ ობერ-ლეიტენანტი გაბერილი გდია გამოქვაბულის წინ და ჰაერს წამლავს, უნტერ-ოფიცერი სადღაც ბილიკზე ჩაკლეს, ჰანსს ისედაც არ ცხელოდა კნოპსისათვის და ახლა მით უმეტეს.

სამი დღის მწყურვალ ჰამპელს „აზრი“ გაუჩნდა კვინიხთან ჩატყლეჟილ თავში და ახლა არ იცოდა ვისთვის მოეკითხა, თორემ მოითხოვდა, კეთილი ენება და თუ აღთქმული ქვეყანა არა, წყალი მაინც მიეცა.

— კნოპს!

ჰამპელმა მაღლა აიხედა. თავზე ყბა ყბაში გაცმული და თვალებში სისხლმოწოლილი პაულუ ადგა.

— რა იყო? — კნოპსმა მზერა მოარიდა ავსტრიელს.

— წადი და ჰკითხე „უფროსს“, რა ობრად უნდა, ტყვეები რომ უყრია ამ ჯურღმულში.

— მე რა ვიცი!

— რომ არ იცი, წადი და ჰკითხე!

— შენ ჰკითხე!

— წადი-მეთქი! — პაულუმ ფეხი წაჰკრა და კუდუსუნთან მტკივნეულად მოარტყა ჩექმის წვერი.

ჰამპელი წამოხტა და ხელი ავტომატს წამოავლო, მაგრამ ადგილიდან ვერ აიღო. სნაიპერ იოჰანს ედო ზედ ხელი. შეატყო, ველარ წაართმევდა და პაულუს წინ გაეჭიმა. თვალებში რომ შეხედა, შეშინდა, ხელის აღმართვა ვერ გაბედა და იყვირა, რომ ჰანსს გაეგონა.

— მე შყავს თუ?

— შე ჩერჩეტო, ვისაც ჰყავს, ამასთან წაეთრიე და უთხარი!

კარლი პირდაპირ მოდავეებს შუა ამოძვრა და პაულუ ზურგს უკან დატოვა.

— დაეგდე მანდ! — პირში ჩასძახა ჰამპელს.

ბრეზენტმა გაიშრიალა და შემოსულის ამღვრეულმა თვალებმა მიახედა პაულუ.

კაპრალი რაღაცის თქმას აპირებდა, როცა წამოვიდა, მაგრამ ახლა მიხვდა, მის გამოჩენას სიტყვა ვერაფერს მიუმატებდა. პირიქით, პაულუსაც ააყვირებდა. როცა ითქმება, ყველაფერი ითქმება, სათქმელი და საყვირალი კ• ბევრი იყო.

დანიელი წამოდგა, შტუტესთან კოჭლობით მივიდა და მუდარით თქვა:

— ჰანს, ღმერთმა დაგვიფაროს, ჰანს!..

— მე რა შუაში ვარ? — იკითხა კნოპსმა შემკრთალი ხმით.

ყველამ იცოდა, რომ ისიც უდანაშაულო იყო, მაგრამ მის მხარეზე მაინც არავინ იდგა და ახლა, როცა გაუჭირდათ, მაინც მას მიადგნენ მის მაგივრად, ვისი ერთგულიც კნოპსი იყო.

ჰანსი გატრიალდა, მძიმედ დაჰკრა ფეხი ტინის იატაკს და გავიდა.

— კარლ, ეს რა შუაში ვარ?

— დაეგდე-მეთქი! — კარლმა მკერდით უბიძგა.

ჰამპელმა უკან დაიხია, ჩანთას წამოედო, შებორძიკდა, კედელს შიწვდა ხელით და კარლს თავი დაუქნია: კარგი, შენ დაგიჯერებო.

— კარლ, მე ხომ ვიჯექი! — ჩაიკეცა და ჩაილაპარაკა.

— ჰოდა, ახლაც დაჯექი.

დანიელი პაულუს მიუბრუნდა. ორივე ხელი მარჯვენა მაჯაში მოჰკიდა და თავისკენ წაიყვანა. სიღრმეში რომ შევიდა, მოიხარა და დამშვიდება დაუწყო:

— მოთმინება იქონიე, პაულუ, მოთმინება, ღმერთი მოწყალეა!

— ღმერთი... — ხელი წაართვა და თავისი ადგილი მოძებნა ავსტრიელმა.

— იმ უბედურმა რა დაგიშავა? — დაადევნა დანიელმა.

— ჩემთან რა უნდა?.. — იმწამსვე წამოისროლა კნოპსმა.

— „რა შუაშია“, „რა დააშავა“, ყოველ ძაღლსა და მამაძაღლს ლოკავს და ახლა რა, უწყლოდ ენა გაუშრა?!

— მე ჯარისკაცი ვარ! — იმართლა თავი ჰამპელმა.

— კნოპს, გააჩუმე ეგ გამხმარი ენა! — არ აცალა კარლმა, — აქ ყველა ჯარისკაცია! — და რადგან იცოდა, პაულუს მეტი ემხრობოდა, დაასრულა: — შენ კი მონა ხარ!

— მე მონა არა ვარ, კარლ, მე...

— რა შენ?!

— მე... თქვენ... რომელმა გაბედეთ ურჩობა...

— გააჩუმეთ ეგ მამაოხერი! — ამოიღრიალა პაულუმ.

— თვითონ ვერ უთხრა... ვერ შებედა და ჩემთან რა ხელი აქვს... რად უნდა ტყვეები რომ უყრიაო... — ხმას ისევ აუწია კნოპსმა, რათა შტუტეს კარგად გაეგონა, — რა ვიცი მე რად უნდა, წადი, ჰკითხე და გეტყვის!

— ქალები გვინდა, პაულუ, ქალები, ღმერთმანი გვინდა! — ისევ მობრუნდა დანიელი, — ქალები რომ არ გვყავდეს, დაგვწყვეტენ... მარტო ერთმა ღმერთმა იცის, რომ არ გვყავდეს...

— დაგვწყვიტონ, დასაწყვეტი ვართ და დაგვწყვიტონ!..

— შენ შვილი არა გყავს, პაულუ?

— შვილი კი არა, მეც არ გავჩენილიყავი...

— ღმერთმა ინება და გაჩნდი.

— ღმერთს მეტი არაფერი ჰქონდა საქმე!

— მაგ ღმერთს არ ზოგავს და მე დამინდობს? — აწუწუნდა ისევ კნოპსი.

— დაამთავრეთ, თქვენი დედაც და მამაც... — შეიგინა იოჰანმ, ფეხი ჰკრა კნოპსის ავტომატს და გადაბრუნდა. — ასე გიქნიათ, ერთმანეთი დაგიწყვეტიათ!

ვალტერს ნახევრად დაჩუტულ ზურგჩანთაზე ეწყო ერთმანეთში შეცმული ხელები და ზედ ოლიმპიური სიმშვიდით ედო ნიკაპი. ერთხელაც არ აუღია თავი, ისე დაიწყო და დამთავრდა აყალმაყალი.

ჰანსმა იცოდა, ეს იყო გაჭირვება, რომელიც, თუ დამნაშავე ვერ იპოვა, მერე მართალს დაატყდება თავზე. კნოპსი უფრო არ უყვარდათ, ვინემ სხვა და სადაც უფრო სუსტი იყო რგოლი, ჯაჭვიც იქ გაწყდა... ობერ-ლეიტენანტს რომ აქამდე მოეღწია, კნოპსი პაულუს მხარეზე იქნებოდა. ობერ-ლეიტენანტმა და უნტერ-ოფიცერმა გაასწრეს და ახლა ჰამპელი ისრისებოდა. დაგროვდა ამდენი ტკივილი, წყურვილი და სიკვდილი. ნამდვილ დამნაშავეზე კი აქედან ხელი არ მიუწვდებოდათ. კნოპსი არაფერ შუაშია, მაგრამ ახლოსაა, ხელმისაწვდომზეა. ეს ისეთი ბოღმა არაა, რომელსაც გულში გინებით მოიოხებ. იგი სისხლის ფასადაა ნატკენი და სისხლით გაბანა მოარჩენს. ამდენი ხანია შხამად გროვდება და უკვე აინთო. ახლა ჰანსს კი არ ჩაუქვრია, თივის ხელეური მიაყარა და დაფარა, იგი კვლავ ბოლავს, მაგრამ დიდი ხანი არ გამოივლის, რომ ისევ იჩენს თავს, ისევ კნოპსში, ისევ ჰანსში, ან კარლში... მიზეზი არაა საჭირო, მიზეზი ის არის, რომ აივსო ფიალა, გადადინდა და ვისაც თავზე დაეცცვა, სულ ერთია. გატენილია ნაღმი და ვინც წამოედება, აფეთქდება!

ქალები!..

იცის პაულუმ, აქამდე თუ უდგათ გაძაღლებული სული, ქალებითაა. ისიც იცის, ობერ-ლეიტენანტს უნდოდა ტყვეები მიეცათ და გზა მოეთხოვა, მაგრამ ეს არ მოხერხდა. მტერი ტყვეებსაც დაიბრუნებს და გამოქვაბულსაც. იცის ეს პაულუმ, მაგრამ ფიალა სავსეა და იღვრება.

შტუტემ გადაწყვიტა, თუ ამ ქვაბულს მოადგებოდნენ, ხელი არ შეეშალა, რადგან ქალებს მაინც ვერ გაიმეტებდნენ, ისე როგორც სიცოცხლეს ვერ შეელეოდნენ და წინააღმდეგობის გაწევა თვითონ კაპრალისათვის იქნებოდა სახიფათო. შეიძლება მასზე ეძიათ შური და მერე დაფიქრებულიყვნენ, იქნებოდა თუ არა ეს შურისძიება სამართლიანი.

მოთმინების ბაფი თვით კაპრალსაც რა ხანია გაუწყდა და ეს უბედური ტყვეები რამდენს ითმენდნენ. უფრო კი პატარა გოგო აოცებდა, მუშტივით შეკრული რომ იჯდა.

— ფროილაინ!..

— მე გავიგონე, რაც მოხდა! — თქვა ქალმა.

— მერე და რას ფიქრობთ?

— რა უნდა ვიფიქროთ. ჩვენს ბედს ხომ თქვენ განაგებთ.

— მაგრამ ჩვენ ახლა ერთნაირად გვტკივა...

— ჩვენ ახლა ერთნაირად გვწყურია, თორემ ტკივილით ერთნაირად არ გვტკივა.

— როგორც გინდათ, მაგრამ წყურვილი და შიმშილი ყველა ადამიანისათვის ერთნაირია.

— ეს მართალია, მაგრამ ჩვენ ჩვენი ნებით არ ჩაგვიგდია თავი ამ ჯოჯოხეთში. თქვენ ჩაყარეთ ამ ჯურღმულებში თქვენი თავიც და ჩვენც, მაგრამ წყალი ყველას გვინდა. ყველაზე მეტად ამ ბიჭს, რომ ორი სიკვდილით არ მოკვდეს.

— წყურვილი არც თქვენ დაგინდობთ.

— ვიცი, მაგრამ რა ვქნა, მე ჩემი სისუსტეც მეყოფა. ალბათ, დავაშავე, რომ მოვითხოვე წყალი და არ ჩანს. რა ვქნა, თქვენ გაამტყუნებთ, რომ არ მოგვცენ?

შტუტემ არაფერი თქვა.

— მე გერმანელებისათვის მოვითხოვე წყალი, — განაგრძო ტყვემ, — რომ მომჯობინდეს, ძალა მოიკრიბოს და კარგად დაუმიზნოს თოფი იმას, ვინც წყალი მიაწოდა; არ ვიცი, იქნებ ეს ღალატს უდრის...

ჰანსს ამ ქალთან სალაპარაკო აღარაფერი ჰქონდა.

გარეთ მზემ სხივები აიკრიფა, მხოლოდ მწვერვალებს შერჩაო ბრაზივით სიწითლე...

საღამოვდებოდა.

თავი მეოთხე

მალე თავზე წამოხურული კლდის ზემოდან მოისმა:

— თაჯი!

— თა — ჯი — ჯი — ი! — აიტაცეს ქვაბულებმა. ამ ხმამ სად და როგორც მიუსწრო, ყველა ისე დარჩა გახევებული.

— იძახიან! — თვალები გაახილა დაჭრილმა და ქუთუთოების დაუხამხამებლად ჭერს მიაჩერდა.

ახლა ყველამ იცოდა, თაჯი ვის ეძქვა, მაგრამ ეს უბრალოდ სახელი კი არ იყო, ამ ოთხ ბგერაში იყო რაღაცის იმედიც და საბოლოოდ წყურვილით მოშთობაც. ეს ოთხი ბგერა იყო შუამავალი სიცოცხლესა და სიკვდილს შუა.

ყველა სმენად იქცა, რომ გაეგონათ, როგორ ადგებოდა პატარა გოგო და გავიდოდა მოედანზე. გოგო, რომელსაც ახლა ქალღმერთის ძალა ჰქონდა!

თაჯი გვირაბიდან გარეთ გამოვიდა. როცა დააპირა დაეყვირა, ჰაერი ვერ ჩაისუნთქა. მოედანზე დაყრილ მიცვალებულთა სიმყრალემ ერთხანს ხმა ვერ ამოაღებინა.

— აუ! — გაეპასუხა ბოლოს.

— აუუ! — ჩამოსძახეს მაღლიდან.

— აუუუ! — აბუბუნდნენ ხევები. — აუუუ! — თითქოს არაჩვეულებრივად დიდხანს გუგუნებდნენ მთები და იმეორებდნენ: — ააააუუუუ!!!

მტერი და მოყვარე ერთნაირად უსმენდა მწვერვალების გამოძახილს. თითქოსდა ეს ხმა კაცს კი არა, ღმერთსაც უნდა გაეგონა, და ჭურჭელით არ ითქმებოდა. ამ ამბავთან ადამიანი ულონო იყო, უილაჯო. თვით ამ მიწას, კლდეს და წყალს უნდა ეთხოვა ცისთვის ნებართვა. ღმერთი უნდა ყოფილიყო დიდი, მარტო სამართლიანი კი არა, ან უსამართლო, არა, იმდენად დიდი, რომ უნდა აეწია იმათი ცოდვაც და მადლიც ისე, რომ სასწორზე არ დაედო.

ზევიდან ისევ მოისმა:

— თაჯი, უთხარით, აიღონ წყალი!

თაჯიმ კარგად გაიგონა, მაგრამ ყურებს არ დაუჯერა.

— რას ამბობ, თუთარ?

— ერთი გერმანელი ჩაუშვან წყაროზე!

— როგორ?

— როგორ და ორი ქვაბუნა ჩაიტანოს. ერთი თქვენთვის, ხომ გესმის, ჩავიდეს, ჩვენ არ ვესვრით.

ახლა ვახო ჩაერია:

— თქვენ არ მიუტანოთ მაგ წყეულებს წყალი!

— არ მოკლავთ?

თუთარმა ტუჩებზე ორივე ხელი შიიდო:

— ჩვენ ვუშვებთ, რაღას მოვკლავთ გუცას უთხარი, თაჯი!

— ვეტყვი!

— ვინც წყაროზე ჩავა, იარაღი არ წაიღოს, გეყურება?

— მესმის.

— თავდაღუნული იაროს, მარტო წინ იხედოს ფეხებთან, ხომ გესმის?

— მესმის, თუთარ!

— თავი რომ ასწიოს, ივწავსვე გავაცივებ! — არ მოუთმინა გულმა, ვახოს.

— ვეტყვი.

— ამის მერე უჩვენოდ არ გაბედონ ჩასვლა.

— ვეტყვი.

— მაგ ოხრის შვილები რამდენი არიან? — ისევ ვახოს ხმა იყო.

— შვიდი-რვა.

— რატომ შვიდი-რვა?

— ერთი დაჭრილია.

— გადარჩება?

— რა ვიცი... არა!

როცა თაჯი ქვაბულში შებრუნდა, დაჭრილის მზერა შეეგება და ისეთი შიშიანი ძრწოლით მიაცილა გოგონა გუცამდე, თითქოს შემოსულს თავზე წყლით გალიცლიცებული გობი ჰქონოდეს დადგმული. გოგონა რომ რაიმეს წამოდებოდა და წაბორძიკებულიყო, დაჭრილი, ალბათ, მაშინვე სულს განუტევებდა.

როცა გუცამ გერმანელისაკენ მოიხედა, დაჭრილმა ქუთუთოები დახუჭა. მეორე გვირაბის ყურგაწეული ბრეზენტიდან თორმეტი მწყურვალი თვალი იმზირებოდა.

— ვინმე თქვენთაგანი წავა და ამოიტანს ორ ქვაბუნა წყალს.

ჰამპელს შუბლზე ცივმა ოფლმა გამოუონა, გაიმართა და მაღლა თავი მიარტყა, მაგრამ არ სტკენია. ახლა აღარც სწყუროდა კნოპსს, აღარც სხვას, გარდა დაჭრილისა, ყველას გაუნელდა წყურვილი.

— არ გესვრიან! — თქვა ქალმა.

— აჰ?!

გუცა ვერ მიხვდა, ვინ თქვა ეს „აჰ“, ალბათ, ყველამ.

— არ გესვრიან! — გაიმეორა მან.

— ჩვენ თქვენ ვერ გაგათავისუფლებთ! — მტკიცედ თქვა კაპრალმა.

— ვიცით!

— ეს იმათ უნდა იცოდნენ.

— იციან.

— თქვენ ეს არ გითქვამთ?

— არა.

— უთხარით.

— ისინი ამ პირობას არ თხოულობენ.

— მაშინ, რას თხოულობენ ჩვენგან?

— უიარაღოდ წასვლას და თავაუღებლივ, ჭაღლა აუხედავად სიარულს.

— რომ არ დაინახო, საიდან წამოვა სიკვდილი! — დაიხლიჩინა ბაულუმ, ზიზღით შეხედა ტყვეს და მიიმალა.

შტუტე გაჩუმდა. წამოდგა, კედელს ბეჭით მიეყრდნო, ჩაფიქრდა. ახლა ბაუმანმა ამოიდგა ენა:

— არ გვესვრიან, ჰანს, მე ვიცი, ფროილაინ, უთხარით, რომ არ გვესვრიან.

— აკი ვუთხარი.

— კიდევ უთხარით, დაიფიცეთ, ფროილაინ, დედა დაიფიცეთ.

— კლაუს, მე მჯერა! — თქვა კაპრალმა, წელზე ქამარი მოიჭირა, მთავარ გვირაბში გასასვლელად მოემზადა.

— ჩქარა, ჰანს!

მივდივარ, კლაუს!

— ჰანს, შენ სად მიდიხარ?!

— უნდა მოვილაპარაკოთ.

— მოილაპარაკეთ, მაგრამ შენ არა...

— კლაუს, შენ ხომ გჯერა, რომ არ მესვრიან?

— კი, ჰანს...

— ჰოდა, სულ ერთია, ვინც წავა...

— ჰო, სულ ერთია, მაგრამ სხვა ვინმე, შენ ჩემი ხათრი თუ გაქვს, ნუ წახვალ...

— ნუ გეშინია, არაფერს დამიშავებენ.

— ვიცი, ჰანს, ვიცი, ასეთ დროს მეც არ ვესროდი.

— ჰოდა...

— მაგრამ ჰანს, უნებურად რომ ზევით აიხედო, ან ფეხი რომ დაგიცდეს და გულიმა დაეცე?!

შტუტე ბიჭს დაეჩერდა. მერე, როცა ასწია ფეხის ქუსლი ნაბიჯის გადასადგმელად, ბაუმანმა ისევ შეაჩერა.

— ჰანს, შენ ობერ-ლეიტენანტი არა ხარ, ვიცი, ვერავის დაავალებ, მაგრამ კენჭი მაინც უყარეთ, შენ რომ არ შეგხვდეს წასვლა, მე ვილოცებ.

— კენჭს ვუყრით! — თქვა კაპრალმა და გადახტა, რომ გვირაბებს შორის მანძილი ისე გადაერბინა, როგორც ამას საერთოდ აკეთებდნენ.

თავი მეხუთე

— არა, არ გვესვრიან! — ამბობდა კნოპსი, — რაკი თვითონ თქვეს, ჩვენ ძალა ხომ არ დაგვიტანებია. — ამით თავის თავს აიმედებდა. ეგონა, შტუტე მაინცდამაინც ხელს მას დაადებდა.

— შენ არ ესროდი? — თქვა იოჰანმა და ჭუტა, მუხუდოს კაკლებივით წვრილი და ნემსივით გამჭოლი თვალებით ახედა მაღლა ჰამპელს.

— მე... მე... ჩემთან რა გინდათ, მე ხომ არ მითქვამს, როგორ მოვიქცეოდი. თუ მეტყოდნენ, ვესროდი, თუ არადა, არა.

— იოჰან, ისინი სხვა ხალხია! — იმედიანად თქვა ვალტერმა, ყველა მიხვდა, რომ მან თავისი სურვილი გაამხილა ხმამაღლა.

— მაინც რანაირი? — დაგუდული ხმით წამოიძახა პაულუმ.

— რანაირი და სხვანაირი! — კნოპსს უნდოდა ახლა პაულუს შერიგებოდა, ყველაფერი ეპატიებინა, ზოდიშიც თვითონ მოეხადა, ოღონდ ახლა, ასე ხელაღებით, არ გაეშვათ წყლის ამოსატანად.

— უნდა დაიფიცონ, ფიცი უნდა მოგვცენ! — თქვა კუთხეში მიყუჟულმა დანიელმა.

— რომელ ხატზე გირჩევნია, დანიელ?! — ამოიბრიხინა კარლმა, — თუ გინდათ, ჩადით, თუ არა, არავინ გეხვეწებათ.

— არ გვეხვეწება, — გაიმეორა დანიელმა.

— ვინ შეგეხვეწება?!

— აქ ღმერთი არ სწამთ, დანიელ!

— ვიცი.

— და ენდობი?

— ძნელი სანდოა კაცი, რომელსაც ღმერთი არ სწამს, — ბრეზენტის ყური გადაიწია და ქვაბულში კაპრალი ალიმართა.

ყველამ ნაუცბადევად მოძებნა თავისი ადგილი და მიწვა, თითქოს თუ ფეხზე დამდგარი დარჩებოდა, კაპრალი ეტყოდა, რას დაყუდებულხარ, წადი და წყალი მოიტანეო.

ხმის გაღებისაც კი ეშინოდათ, რომ შტუტეს არ ეთქვა: — ენა გაგიშრება ამდენი ტარტარით, ადე, წყალი მოიტანე და დანარჩენი მერე თქვიო.

ჰანსმა გაწოქვაბული მოათვალიერა და ვისაც თვალი დაადგა, წელში იქე გაიზნიქა, თითქოს წელკავმა გაუარაო.

დანიელმა დაუკვნესავად ვერ გაუძლო ამ სიმძიმეს და აღმოხდა:

— ღმერთო!

— კენჭი უნდა ვყაროთ! — თქვა კაპრალმა.

— აჰ!

— რაო?!

— რა თქვა?!

— ყურები დამეგუბა!

— ააჰ?!

გაიგონეს. რომ კენჭის ყრაზე ითქვა, მაგრამ ვერ გაიგეს, შტუტეც იყრიდა კენჭს თუ არა.

ჰანსს რომ არ ეყარა კენჭი, აიძულებდნენ, მაგრამ კაპრალს შეეძლო რომელიმე ამოერჩია. მანამდე არავინ არ იქნებოდა მომხრე, ვინმე ისე ხელოვნებით გაეგზავნა, მაგრამ თუ დაასახელებდა, მერე ყველა დანარჩენი კაპრალს მიეჰხრობოდა და ამ მხარდაჭერით ხიფათს თავიდან გადაიძვრენდნენ.

შტუტეც თუ იყრიდა კენჭს, ნათი რიცხვი ერთი კაცით იზრდებოდა და მოსალოდნელი უბედურება მცირდებოდა.

— კენჭს ვყრით! — თავი დააქნია კაპრალმა.

— ვიყრით!

— ვიყრით!

— კენჭს ვიყრით!

— ყველა ვიყრით! — აღმოხდათ ერთხმად.

ჰანსმა თავისაკენ წაიღო ხელი და თვალი რომ გააყოლა, გადაიფიქრა. კეფა მოიფხანა, მის ქუდს ეჭვები რწყილებივით შეესია.

— დანიელ!

დანიელი წამოიწია.

— იჯექი, შენი ქუდი მომეცი!

დანიელმა ქუდი მოიშვლიპა.

— ა, ჰერ!

კაპრალმა ახლა ისევ გადაიფიქრა.

— შენ გეჭიროს.

დანიელმა ხიდისყურის მათხოვარივით გაიშვირა ხელი. რა ექნა არ იცოდა.

— მერე, ჰერ?

— შვიდ ერთნაირი ზომის ქაღალდზე დააწერე... არა, ერთზე დააწერე... შენვე დააწერე!..

— ღმერთო ჩემო, „წავიდეს?".

— არა, არა!

— აბა?

— როგორ?

— კენჭი არ ვყაროთ?!

შტუტე დუმდა. დახვეულ ქაღალდზე დაწერილი შეიძლება ხელით ეგრძნო ვინმეს და არ ამოეღო.

— ყველაზე დააწერ!

— ყველაზე „წავიდეს?"

— ექვსზე „არ წავიდეს"... ერთზე... — უბის ბლოკნოტიდან ფურცელი ამოხია და მიაწოდა.

დანიელმა პილოტურა მუხლზე დაიდო, ქაღალდი შუაზე გაკეცა, განაკეცში სალოკი თითისა და ცერის მაგარი, ყვითელი ფრჩხილები მოუხერხებლად გააყოლა, მერე ფურცელს ენის წვერი გაუსვა. დაავიწყდა, რომ წყურვილით ნერწყვი გამშრალი ჰქონდა. ხელახლა გააყოლა ფრჩხილები, გულისყურით გადასწია და გახია.

ყველამ დაინახა, რომ ორივე ნახევარი ერთი ზომისა იყო, არც მეტი, არც ნაკლები. მერე ერთმანეთს დააღო, ისევ გაკეცა, ფრჩხილებით გატეხა და ნახევები რვა ცალი გახდა.

— ერთი გადააგდე, დანიელ!

— ჰო, ერთს გადავაგდებ, ერთი რად გვინდა კლაუსის...

— ჰო, გადააგდე, გადააგდე...

გადააგდო, მაგრამ მისსავე ჩანთაზე დავარდა, მერე იქიდანაც ყველას დასანახავად მოაშორა.

— ახლა დააწერე!

— დავაწერ, დავაწერ! — წამოიჩოქა, ჯიბეები მოიქექა, წვერწაჯუტნული ქიმიური ფანქარი ამოიღო, ჩაჯდა ისევ და პირში იტაკა, მშრალად გამოიღო უკანვე. გაპირვებით, ხელის კანკალით გამოიყვანა

პირველი ასო, მერე მეორე, ყველაზე მეტად მეშვიდე ნახევზე გაუჭირდა, უფრო მოკლე სიტყვა დაწერა და უფრო მეტ ხანს მოუნდა.

— ახლა დაახვიე, დანიელ!

— ასე უნდა ვქნა.

— ჩაყარე ქუდში!

— ქუდში უნდა ჩავყარო.

— ფრთხილად, რომ არ დაიშალოს, აურიე.

— რომ არ დაიშალოს, ისე ავურევ.

— ქუდი დახურულად გეჭიროს და ჰკითხე, პირველად ვის უნდა ამოიღოს.

დანიელმა ქუდის პირი ხელში მაგრად მოჭმუჭნა.

— ვის გინდათ?

არავის ხმა არ ამოუღია.

კაპრალი, სანამ თვითონ ამოიღებდა, დანიელს მიუბრუნდა:

— შენ თვითონ ხომ არ?..

— არა, რომელიც დამრჩება, მადლობელი ვარ ღმერთის.

— მაშინ მე მომეცი!

ჰანსმა ხელი ჩაჰყო ისე, რომ ქუდისთვის არ შეუხედავს, ეს ყველამ დაინახა და როცა თეთრი, წვრილად დახვეული ქაღალდის ნაგლეჯი დაიჭირა, დანარჩენებს კინაღამ თვალები გადმოუცვივდათ.

შტუტემ ფურცელი მუჭში დაიჭირა.

— ყველამ ამოიღოს და მერე გავხსნათ.

დანიელმა ისევ ჩამოატარა. ყველას ერჩია, ბოლოს რომ დარჩებოდა, ის ყოფილიყო მისი. იქნებ ბედი სწყალობდა და ვაითუ ხელის ფათურში, სადაც ვერ ხედავდა რას იღებდა, ასე ბრმად მაინცდამაინც იმ უბედურებას გადაჰყროდა.

მეორე ვალტერმა ამოიღო, მერე პაულუმ, მერე ყველამ...

დანიელმა, რომელიც დარჩა, ის დაიჭირა და ქუდი თავზე ისე ჩამოიკოსა, არ გაუსწორებია, როგორც მოხვდა, ისე დაიდო.

ახლა ყველას ეჭირა ხელში „იქნებ სიკვდილი“.

კაპრალმა გახსნა და არაფერი არ თქვა. იცოდა, შურითა და ზიზღით შეხედავდა ყველა, რომ ეთქვა, წასვლა არ მერგოო.

დანიელმა პირჯვარი გადაიწერა და ხელის კანკალით ფაფუწყო გაშლა გახვეულ ქაღალდს.

— უფალო, გადაარჩი...

ჰანსის გარდა ყველამ იქით მიაპყრო მზერა, ნაგრამ მალე ჯარის-კაცები ვალტერისაკენ მიტრიალდნენ, მას ხელიდან გაუვარდა ქაღალ-დის ნაგლეჯი და სახეზე მოყვითალო-ნოვწვანო ფერმა გადაუარა.

თავი მეექვსე

ვალტერი ბრეზენტს რომ მიადგა, გაჩერდა. ის გადაჩვეული იყო მოედანზე თავისუფლად გასვლას. უკან არ მოუხედავს. გრძნობდა, ხუთი წყვილი თვალი როგორ უცქერდა და უკან დასახევი არ ჰქონ-და. მოედანზე უიარაღოდ, ასე ცარიელი ქვაბუნების ამარა გასვლა ნამეტანი გაუჭირდა.

გამოქვაბული რომ დატოვა, იგრძნო, გული შეუჩერდა. წამოსვ-ლამდე თითქოს დაიჯერა, რომ არ მოკლავდნენ, მაგრამ ვიღაცას არ სჯეროდა, ფეხებს უბორკავდა და უკან უპირებდა მიბრუნებას; ვალ-ტერი კი აესებული იყო მისი წინ წასვლის სურვილით და ვალტერს იქ ფების დასადგმელი ადგილი აღარ რჩებოდა.

— არ მესვრიან, არ მესვრიან, არ მესვრიან! — ზედიზედ ჩასძახა შეკუნშულ გელს და დასკვნილი ძარღვები დაეხსნა, სისხლმა ტვინში აასხა...

მონცრო გამოქვაბულიდან ჰანსმა გამოიხედა, გარედან არ ჩანდა ორენ, წყალზე მიმავალმა იცოდა, შიგნიდან ქალებიც გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს. თამამად უნდოდა წასულიყო, მაგრამ როცა ლახოცელებს გვერდი აუარა, შუა მოედანზე გასასვლელად ფეხები არ დაემორჩილა. თავზე გადმოხურულ კლდის მუცელს შეაფარა თა-ვი. შეეძლო გამართულს გაევლო ისე, რომ არაფერს გამოდებოდა, ნაინც მოიხარა, თვითონ არ აპირებდა, მაგრამ ვიღაც მოიხარა მასში და ვალტერიც წელში მოღუნა. ბილიკის დასაწყისამდე შეეძლო ასე მო-ფარებულს ევლო, მაგრამ მერე ხომ სააშკარაოზე დარჩებოდა. სანამ საშუალება იყო, მანამდე მაინც უნდოდა ისე ევლო, მტრის თვალს არ ღაენახა. არა, მას არ უნდოდა. იცოდა ეს უაზრობა იყო, მაგრამ წინ მაინც კლდეს აკრული მიიწევდა და გაახსენდა: როცა გაიწვიეს და სად-გურზე საოცრად მოუსვენარი და ცქრიალა ალმა აცილებდა, როცა წასვლის ზარი დაჰკრეს და ვალტერი ვაგონისაკენ გაემართა, კიბეს-ლან მოიხედა. მოიხედა და დაინახა — ალმა თვალმიუწვეელად გარბო-და უკან. ხალხს ეფარებოდა და გარბოდა. მერე სადგურის კედელს გაჰყვა, წელშიაც მოიხარა და შენობის კუთხეში გაქრა. უკვე ვეღარ

ხედავდა ვალტერი, მაგრამ როცა შენობას გასცდა, ვერეც მოხრილი გარბოდა... რაღაცას ემალებოდა მაშინ ალმა, ვალტერის თვალებს, განშორების ტკივილს თუ — უფრო უარესს... ამის თაობაზე მერეც არაფერი მოიწერა.

ჯარისკაცი მოედნის თავში რომ მივიდა, უნდოდა ახლა მაინც გამართულიყო და ისე გადაედგა ნაბიჯი, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გასწორდა, თითქოს ასე წელში მოკაკვული დაბადებულიყოს. როგორც იქნა, ბილიკზე ფეხი ჩადგა და ხედავს, თვალნათლივ ხედავს, კლდე წამოვიდა მისკენ, შუბლზე მოასკდა და ხეები და ბუჩქები ახმაურდნენ. ვერე ბილიკი და ბილიკის ქვევით შვეული ტინის მოწითალო, რუხი კედელი წამოიმართა და ალმა აეყუდა. მოეჩვენა, მაგრამ ეკო რომ მიწყდა, ცარიელი ქვაბუნები ახრიგინდნენ. ახრიგინდნენ და ქვევით კი არ წავიდნენ, პირიქით, ალმა წაჰყვნენ კლდეს რახუნ-რახუნით, ტრიალით და ხტუნვა-ხტენვით.

რა სასწაული ქვეყანაა! ზევით სად მიგორავენ ეს ცარიელი ქვაბუნები? თუ ხელიდან გაუვარდა, რატომ ქვევით არ ჩაცვივდნენ? ვალტერს არ ეჩვენება. ესმის, კარგად ესმის, რომ მაღლა, თავს ზემოთ ხმაურობენ. ჰო, ერთი რაღაცას გამოედო, გაჩერდა, ვერე ისევ მიხრიგინებს, გადაბრუნდა, ისევ იცვალა გვერდი, დაეცა და ისიც მიჩქმდა.

— წყალი?

ქვევით რომ ჩაყრილიყვნენ, ჩავიდოდა და...

ამდენი მწყურვალი რომ ელოდება, რაღა ქნას, რით აპოიტანოს?!

თოფი რომ გავარდა, ვალტერი კლდეს შუბლით მიასკდა და თავდაღმა გადაეშვა. დაგორებული ქვაბუნების რიხინიღა ისმოდა, როცა შტუტემ ავტომატის სასხლეტს თითი დააჭირა, მთელი ჯერი გაუშვა ჰაერში და იყვირა, რომ ქალების კივილი დაეფარა.

— ფეხი არავინ გამოდგას გამოქვაბულიდან თორემ, დავცხრილავ!

ბრეზენტის მიღმა ხმა არავის გაუღია, მაგრამ ეს ღუმილი ტყვიაზე ნაკლებ შურისმაძიებელი არ იყო.

— ჰანს! — აკვნესდა მომაკვდავი კლაუსი. — ჰანს! — მაგრამ მისა თავი ვიღას ჰქონდა. კაპრალს სისხლის ფასად რომ დასჯდომოდა, ტყვეები უნდა დაეცვა მშვიერი, მწყურვალი და გაბოროტებული გერმანელებისაგან, მათგან, ვისაც ღალატით და ცბიერებით მოუკლეს მეგობარი. დაღუპულში ახლა ყველა თავის თავს დაინახავს, ხომ შეიძ-

ლებოდა მას რგებოდა წასვლა და ასე მუხანათურად გაეგმირათ წყლით მოტყუებული მწყურვალი. ისინი შურს იძიებდნენ ქალებზე ამ ვერაგობისათვის.

ბრეზენტის გარეთ არავინ გამოსულა, მაგრამ კაპრალი ხედავდა, როგორ გასახეთქად იბერებოდა გვირაბი და ისევ დაიქუხა:

— თავი არავინ გამოჰყოთ, თორემ, არავის დავზოგავ, არც შენ, დანიელ!..

ისევ გაისროლა ჰაერში, ნათქვამისათვის რომ მეტი დამაჯერებლობა მიეცა.

ყველა, ყველა და დანიელი ხელს არ აღმართავდა ტყვეების დასაცავად, მაგრამ ამით ყველა გააფრთხილა. ახლა ჰანსზეც გაჩნდებოდა ეჭვი, რომ მან გაჰყიდა თავისიანები, მაგრამ ეს უფრო გვიან მოაგონდებათ, როცა ქალებს მოაშთობენ, თუ განწირულები გადაარჩინა, ეჭვს დაიჯერებენ, მერე ამ გამოქვაბულებს შორის ჩამოვარდება მტრობა და კაპრალს აღარ დაინდობენ, როგორც იმას, ვინც ვალტერს ახლა ტყვია ჰკრა.

დაიჯერებენ, რომ შტუტე მოღალატეა, მაგრამ ეს ერთმანეთს თუ არ უთხრეს, ერთს ეგონება, რომ მეორე ჯერ ამას ვერ მიმხვდარა, რომ უთხრას, ლაპარაკის თავი უნდა ჰქონდეს. უნდა მოიფიქროს, ფიქრისათვის შედარებით დამშვიდება დასჭირდება. თუ მოითათბირეს, კაპრალს მერე ტყვიით გაუმართავენ საუბარს, მაგრამ ამასობაში გონება იძალებს და ასე ხელაღებით არ აიღებენ იარაღს.

ჰანსს გაახსენდა, რომ რაღაც დრო უნდა დაეთქვა და როცა ეცოდინებოდათ, რომ აქამდე უნდა შეეკავებინათ თავი, რისხვას უფრო იოლად მოერეოდნენ.

— ეს ზევიდან არ უსვრიათ! — იყვირა ისევ კაპრალმა, — მომეცით დრო, გავიგო რა მოხდა!

ობერ-ლეიტენანტი სწორედ იქიდან დასჭრეს, საიდანაც ახლა ვალტერი განგმირეს, მაგრამ შტუტემ მაინც დრო მოითხოვა, რაღაც უნდა ეთქვა, რომ მათ ამ ნათქვამზე ეფიქრათ და არა ჩახმახზე თითის გამოკვრაზე. თუ იქიდან შეესიტყვებოდნენ, მით უკეთესი, მაგრამ არავის პასუხი არ მიუცია. ეს უარესი იყო.

— მე არსად მივდივარ, ვერც ტყვეები გაგვექცევა. მოიცადეთ, თორემ, ბრეზენტიც რომ შეირხეს, მთელ ჯერს მივუშვებ! — მერე უკან გასძახა, ისე, რომ თავი არ მიუბრუნებია. — გამოდით და იკითხეთ, რა მოხდა!

ჰანსს სჯეროდა, რომ მოტყუებით მოკლეს ვალტერი, მაგრამ აეჭვებდა იმათი ცბიერება კი არა, ვინც ესროლა, თვითონ ქალიშვილი. მას უთუოდ ეგონა, რომ არ მოჰკლავდნენ. არ უნდა ნდობოდნენ. ქალმა, აბა რა იცის ომის. ახლანდელი ომი წიგნებში ჩაწერილი ომი არაა. ახლა იბრძვიან უღმერთოდ, უსინდისოდ, ძმას აკვლევინებენ ძმას და მამას — შვილს. თვით ეშმაკმაც არ იცის, ვინ ვის სად მოახელებს და რით ამოხდის სულს.

დამფრთხალი, აკანკალებული თაჯი გამოვიდა და ბრეზენტისაკენ გააპარა შეშინებული მზერა.

შტუტემ იცოდა, რომ გოგონა მშობლიურ ენასავით გაიგებდა მის ნათქვამს — წადი, ნუ გეშინია!

თაჯი მოედანზე გავიდა და იკივლა:

— აუუუ!

— ხმა არავინ გასცა.

წინ წაიწია, ზევით აიხედა. გუა და ვახო დაინახა და ისევ შეჰკივლა:

— აუუუ!

— ჩვენ არ გვისვრია! — ჩამოსძახა გუამ.

— რატომ მოკალით?!

— არა, თაჯი, ე. უპატრონო, არა! — ახლა ვახომ გაასავსავა ხელები.

— რატომ ჰქენით, რატომ?!

— ვაგენი დასაზოგავია?! მაგრამ ჩვენ არ გვისვრია!

— აბა, ვინ ჰქნა, ვინ?!

— რომ არ ვიცი, რა გითხრათ! — შუბლზე დაირტყა გაშლილი ხელისგული გუამ.

— არაფერი არ მესმის!

— თუთარი რა იქნა?! — ახლა ეს შეიცხადა გოგონამ.

— წავიდა, იქ წავიდა, საიდანაც ისროლეს, გავიგებთ, რა მოხდა, ჩვენ იქ არავინ დაგვიტოვეია.

— ჩვენ რა ვქნათ?!.

ბიჭები მხრებში ჩაძვრნენ.

— ჩვენ არ გვისვრია, გოგო, რომ გეუბნებით არ გესმის? — ვახომ კლდეს მუშტები დაუშინა.

— უთხარი, რომ ყველაფერს გავიგებთ და ხელი არ გახლონ... თორემ, მაგათ მაინც არ უწერიათ სიცოცხლე, მაგათი რჯული გაწყდა!

— ვახო, რას ამბობ, ვინ დაგვიჯერებს?!.

— უთხარი და თუ არ დაგიჯერებენ, ამას ხომ ხედავენ! — ხურჯინიდან ხელყუმბარა ამოგლიჯა, — მიდი, მიდი, მაგრად უთხარი.

თაჯი უკან შემობრუნდა და გუცასთან მიირბინა.

თავი მეშვიდე

დაღამდა. ბრეზენტის ზევით დარჩენილ გასახედში, რომელშიც მარტო ცის ნაჭერი ჩანდა, ვარსკვლავები აკიაფდა.

წყურვილს, შიმშილს, შიშსა და შურისძიებას სიბნელეც დაემატა და ადამიანები ძოადუნა, დააძაბუნა, თვალით რომ ერთმანეთი ვეღარ დაინახეს, ამან ყველა თავის თავთან დააბრუნა და საკუთარ მღვრიე სამყაროში დააწყებინა სიზმარეული ფათური.

მალე შავი ღრუბელი გაჩნდა და ის ორიოდე ვარსკვლავიც დაფარა, ბრეზენტის ზევით რომ ჩანდა. ყველაფერს მძიმე წყვდიადი გადაეფარა. მხოლოდ სიბნელეს მიჩვეული თვალი თუ გაარჩევდა დანიელის ჩანთის წინ ნაგლეჯ ქაღალდს, მერვე ნაწილს იმ შვიდისას, ერთში რომ სიკვდილი ჩადეს.

დანიელმა თავისი ხელით გამოიყვანა „წავიდეს“, ეს კი თურმე უდრიდა „მოკვდეს“. ამ უბედურს მაინც არ უნდა რგებოდა ამის გაკეთება.

ყველაფერი ღვთით ხდება, მის განგებას ვინ წაუვა, მაგრამ დანიელის ხელით არ უნდა დაეწერა გამჩენს ეს სიკვდილის განაჩენი.

მორწმუნე გლეხს სისხლში გასვრილივით აუკანკალდა მარჯვენა. ჰანსს, მართალია, უფალმა ჩააგონა და გასაკვირია, რატომ ურჩია ჩვენს ერთგულ მონას მიანდეო. თვითონ ღმერთიც ხომ ხედავდა, დანიელმა ყველაფერი პატიოსნად გააკეთა და არ შეხვდა, თორემ ხომ არ დაუმახსოვრებია რომელზე რა ეწერა. არ შეხვდა, არ ინება ზეციერმა დანიელის ოთხი ქალიშვილი დაეობლებინა, მაგრამ ამ ბედდაჭვარმა თავისი აკანკალებული ხელით, ქიმიური, მოკლე ფანქრით, რომლითაც შვილებს წერილებს სწერდა, დააწერა — „წავიდეს“.

ეს არ უნდა ესურვებია მამაზეციერს.

ალბათ, ისევ ცდის უფალი. დიდია მისი სახელი! მაგრამ რა დაემართა, ანდა იმ დალოცვილმა არ იცის, მისი გაჭედილი ხატის ამბავი?!

გამოცდას ადამიანები უწყობენ ერთმანეთს, რადგან არ იციან, სხვის გულში რა დევს, კაცი თვალთმაქცი და გაიძვერაა, და თუ არ გაიგე ვინ არის, ვერ ენდობი, მაგრამ ის დალოცვილი ხომ ყოველისმცოდნეა?!

საბოთხეში თუ უნდა დანიელის წაყვანა და ამიტომაა ამდენი საეჭველი რომ მოუვლინა გულთამხილავმა. დაილოცა მისი სახელი! რამდენს უნდა გაუძლოს უბედურმა. თუ ადგილი არა აქვს იმ საბოთხეში და მაინცდამაინც უნდა ცოდვა ჩაადენინოს?!

ღმერთი ხარ, შე დალოცვილო, თუ მოინდომე, რას არ მოაბერხებ! დღეს დააწერინე: „წავიდესო“, ხვალ შეგიძლია ისე აურიო ტვინი, თოფი ააღებინო და აგერ, მის გვერდით რომ კაცი წევს, მოაკვლევინო. მერე რომ მოჰკითხო:

— კაც ჰკალ, დანიელ?

— ვჰკალ! — თუ მოკლა, აბა დაგიმალოს? შენს ყოველისმხილველ თვალს რა დაემალება! და მოიღე მოწყალება, აკმარე ამდენი გამოცდა და საბოთხეში მივყავს თუ ჯოჯოხეთში, გადაუწყვიტე!

შენ იცი, დანიელს იობის მოთმინება აქვს, ჯვარცმულის ერთგულება. იცი, შე დალოცვილო, იცი და...

დანიელმა ტუჩზე მიირტყა მუჭად შეკრული ხელი, თქმით არაფერი უთქვამს. მაგრამ თავისთვის, მისი სურვილის წინააღმდეგ, ფიქრი მაინც დაასრულა: „ნამეტანი გიყვარს კაცის გაწვალება!“

აბა რა იყო მაინცდამაინც რომ დააწერინე: წავიდეს და მოკვდესო!

შე დალოცვილო, ამხელა ქვეყანა გაგიჩენია, რაც გინდა, ერთს გაიფიქრებ და შესრულდება, თუ ვალტერის სიცოცხლე არ გინდოდა, ჯერ ერთი, სასიკვდილოს რას ემართლებოდი, მაგრამ თუ ასეთი იყო შენი სურვილი — მოგეკლა, დანიელს არც სხვაზე მოუწერია ხელი, მაგრამ რამდენი მოკალი?

აურევ ვინმეს ჭკუას, აატეხინებ ომს, მიუსევ ადამიანებს ერთმანეთზე საჟლეტად და მერე გაჰყვირი: „არა კაც ჰკლაო!“ ეს საცოდავი გლეხი რა კაცის მკვლელიცაა, თავად არ იცი? იყო თავისთვის, იჩიჩქნებოდა მიწას, მისი გაძვალტყავებული ცხოვრება მიჰქონდა. ტყუილს ვერ იტყვი, ღმერთი ხარ და მართალი თუ გინდა ესაა. ვერ დაატეე მისთვის მის უბადრუკ ქოხში, მის გაჭირვებულ ცოლ-შვილთან?!

ასეთი ბედი ჰქონდა?

მერედა ვინ დაწერა დანიელის ბედი?

შენ არ დაგიწერია?

აბა, ვინ განაგებს ადამიანთა იღბალს?!

ანგელოზები?

იმისთანა ანგელოზებს მიანდე შენი გაჩენილი კაციშვილი, რომ აქ გამოგზავნა დაეწერათ?

მერე რომ მოგიტანეს, ხომ წაიკითხე.

წაიკითხე. მერე? შენ თუ...

დანიელმა პირჯვარი გადაიწერა, ალბათ, სატანა თუ შემოძვრა გვიანაბშიო და მიიხედ-მოიხედა, თითქოს შეიძლებოდა დაენახა.

— მაცდური შემომიჩნდა, დამიფარე უფალო!

ახლა მორწმუნე გლეხი თვითონ არ ფიქრობდა, ვიღაც სხვა ჩასძახოდა:

„რომ წაიკითხა, მაგი თუ კაი კაცი იყო, ვერ გადაახია თავზე, ბეჭედი რომ დაუსვა? ასე შენც დაგაწერია „წავიდესო," არ შეეძლო არ ექნა? დაგაწერია, რომ მერე ბეწვის ხიდი გაგიდვას საიქიოს და გითხრას: თუ წაწყმედილი არა ხარ, გაივლიო. არ იცის რაცა ხარ? იცის, მაგრამ უნდა, რომ გაგიწყდეს და ჩავარდე. რად უნდა ცოდვა-მადლს რომ წონის, დახლიდარია თუ ღმერთი?! უნდა გაიგოს, ცოდვა მეტი ჩაგიდენია თუ მადლი. ვითომ არ იცოდეს, აბა, რისი ღმერთია, თუ არ იცის?! გამოიგონა ბეწვის ხიდები, სასწორები და განკითხვები! გამოიგონა... ერთობა რალა!.."

დანიელს სწამდა, რომ სატანამ დაიპყრო მისი სული და უნდოდა დაეყვირა: განვედი ჩემგან! მაგრამ მიხვდა, რომ მასში ავი სული მაშინ ჩასახლდა, როცა „ის" დაწერა.

„ჯოჯოხეთი რომ მოიგონა, აბა, მითხარი, რა მოსაგონებელია ჯოჯოხეთი?! შენ რომ კაცი ხარ, არც ღმერთი ხარ და არც ანგელოზი, შენ არ მოიგონებ ამისთანა უსაშველოს, ჯერ ცოდვას ჩაგადენინებს, მერე ჩაგაგდებს კუპრით სავსე ქვაბში და უნთებს ცეცხლს. დედიშენის შვილი ხარ და ამოჰყავი თავი! იხარშები და იხარშები! მდუღარე წყალში რომ მოეხარშე, არ გეყოფოდა? არა, მაინცდამაინც კუპრში".

— ვიჯმნი ეშმაკისაგან!.. — თქვა დანიელმა.

მერე ხელები გულთან მიიტანა. პირი აღმოსავლეთისაკენ ჰქნა:

— შენ ხარ უფალი ღმერთი ჩემი და არა იყვნენ ჩემდა ღმერთნი უცხონი შენსა გარეშე. მომაგე კურთხევა უფალო შენითა, მადლითა და კაცთმოყვარეობითა, ყოვლადვე, აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე!

ხელები დაუშვა, მიიხედ-მოიხედა, ისევ შეუტია სატანას უფრო გამხნევებულმა.

— განვედ მაცდურო!.. — უნდოდა მიეფურთხებინა, მაგრამ რაკი ხახა ამომშრალი ჰქონდა, დაიბნა, გაშეშდა; ნერწყვი გაუშრო უფალმა, რომ ეშმაკი არ შეაჩვენოს და არ მოიგერიოს?!

გათავდა. თავს ვეღარ დაიცავს. მის სულს კუდიანები დაეპატრონენ და ახლა გააქანებენ. ა, აგერ, იგი ხედავს მაცდურს, მის ჩანთაზე ზის, იქვე მეორე...

კუდები აიპრიხეს, ბანჯგვლიან ხელებს პარჭყავენ, საშინლად მანპავენ საბეს და პაჭუა ცხვირით ყნოსავენ დანიელს, ღვთის სუნი ხომ არ უდგისო. ყნოსავენ და ახლოს მიდიან. იღლიებში უძვრებიან, პირში დახვეულ ქაღალდებს უდებენ. ამ მილივით დახვეულ ქაღალდში უწმინდურები მყრალ ჰაერს უბერავენ.

— განვედ!.. — იღრიალა დანიელმა.

ყვირილზე ახმაურდნენ ეშმაკები, წამოიშალნენ, გაიზარდნენ, ამაღლდნენ ჭერამდე და უყვირიან:

— რა მოხდა?!

— რა ამბავია?!

— კიდევ რა ,დაგემართა?!

— განვედ ჩემგან, ბოროტი სულო!

— ჩვენ ვართ, შე უბედურო, ჩვენ ვართ!

იცის ვინცა ხართ, იცის. დანიელი ღვთის კაცია, ეშმაკებს არ დანებდება, აკ სულს სულს არ ჩააბარებს. იცის და ამიტომაა, რომ იგერიებს ხელებით, ფეხებით... ნუ ჰკიდებთ ხელს!..

— შორს, ,მაცდურო!..

— ვის ებრძვის ეს შაკდღიანი?!

— დანიელ!

— გადაირია საწყალი!

— გონს მოდი, არ გეყურება?

— შორს! — ყვირის დანიელი. — შორს, ვიჯმნი ეშმაკისაგან, განვედ!

თავი მერვე

გუცას არაფერი აღარ უნდა გაკვირვებოდა ამდენი ბედუკულმართობის შემდეგ, მაგრამ ამ ორპირობამ უკანასკნელად კიდევ მოუშხამა სიცოცხლე. რად ათქმევინეს: ჩაუშვით წყალზეო ან მერე რატომ მოკ-

კლეს გერმანელი, ან ეს ჰანსი ტყვეებისათვის თავს საფრთხეში რატომ იგდებს.

არის სასწაულები, რასაც ვერ ახსნი. აქამდე გუცასთვის ნათელი იყო, რომ ტყვეები გერმანელებს სჭირდებოდათ მძევლებად, რომ თავი გადაერჩინათ. ახლა იციან, რომ წყალი არ მისცეს, ამით სიცოცხლეც წაართვეს. ტყვეები მათთვის სიკვდილზე მისატყუარი გამოდგა და რაც ადრე მოიცილებდნენ — მოიცილებდნენ ცრუ იმედს, ზურგში ტყვიის დარტყმას.

შტუტე თავისი განიერი და ძლიერი ბეჭებით დგას შემოსასვლელში და ცოცხალი თავით არ თმობს მტრებს, თანაც იცის, ამას არავინ შეარჩენს, წუთი-წუთზე შეიძლება გამოუცვივდნენ და მისი ნათელი თვალები სამუდამოდ დააღამონ.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ სწამდათ, რომ ამ კაცს ქალისადმი არ ჰქონდა რაიმე „სხვა“ განწირასვა. გუცა ახლა იხსენებდა ყველაფერს: სიტყვას, საგმეს და ეს უსაშველოდ დამძიმებული გული სტკიოდა, რომ ადრე ვერ გაუგო ამ ადამიანს, მტერი იყო და არ ენდო, ამას, ალბათ, ისიც აპატიებს.

ქალიშვილის მხარზე მიყრდნობილი, თაჯის თვალები მოუშორებლად შესცქეროდნენ შემოსასვლელში ჩამდგარ გერმანელს და მთის გამოუცდელ და უბირ გოგონასაც გაოცებისაგან ხმა ვერ ამოეღო.

ახლა მტერი მეორე გამოქვაბულში იყო. ჰანსი მოღალატე კი არაა, ან იცის, ტყვეები უდანაშაულოა და მათ მხარეზეა. ახლა იგი მტერს კი არ იცავს თავისიანებისაგან, არა, საკუთარ თავს იცავს. რაც მას მიაჩნია სწორად, იმას იცავს — კლაუსს, გუცას, თაჯის...

— ჰანს, — ამოიგმინა მილეული ხმით დაჭრილმა.

„რა უკვდავი სული ჩაებერა ამ შავდღიანს“, — გაიფიქრა ქალმა.

შტუტეს თითქოს არც გაეგოს მისი ხმა.

— ჰანს, მოგვატყუეს?

ბიჭი გულგატეხილი იყო, ეს დააჩქარებდა მის სიკვდილს, სიკვდილს იმედგაცრუებული ადამიანისას.

— ფროილაინ...

გუცამ რომ ვერ უპასუხა, თაჯიმ ხელი შეახო მის ბეჭს, შენ ელაპარაკოო.

— თქვენ ნუ გეშინიათ... — თქვა მომაკვდავმა თანაგრძნობით.

— არა, არ მეშინია! — უთხრა ქალმა. მართლაც, აღარ ეშინოდა, მისთვის ყველაფერმა დაკარგა ფასი.

— ფროილაინ... თქვენ ხომ ჩემთვის მოითხოვეთ წყალი?!

ქალს არ უნდოდა მისთვის დაებრალებინა მომხდარი და მოსალოდნელი უბედურება და უარის თქმა დააპირა, მაგრამ ბიჭს სჯეროდა, რომ მასზე იზრუნა მარტო ჰანსმა კი არა, გუცამ და თაჯიმაც. ადამიანებმა, რომლებიც მის გვერდით იყვნენ სიკვდილს წინ. მას კაცისადმი რწმენა მაინც უნდა შერჩენოდა, თუ სულს უნდა გაჰყოლოდა.

— მითხარი, ფროილაინ, თქვენ ხომ ჩემთვის მოითხოვეთ წყალი?!

— კი.

— ჰანს, მე ვიცოდი, რომ ჩემთვის მოითხოვა.

— ამ გოგონამაც...

— ვიცი, მაგრამ რომ არ ესროლათ, კარგი იყო...

— იმათ არ უსვრიათ, — გაუბედავად ჩაილაპარაკა ქალმა, რაკი ეს მასაც არ სჯეროდა.

— მართალია, სხვა ვიღაცამ მოჰკლა ვალტერი.

— ჩვენს ბიჭებს არ უსვრიათ, — იჩურჩულა თაჯიმ.

— მაგ გოგონაც რომ ამას მბობს? — ერთხანს იყუჩა, ძალა მოიკრიბა და თითქოს თავის მართლებას ეცადაო: — მაშინ ძალიან მწყუროდა. შენც იმიტომ გიკბინე, ჰანს...

— გაჩუმდი, კლაუს! — შტუტემ უკან მოიხედა.

— ახლა ისე არ მწყურია. ახლა უფრო მიჭირს, მაგრამ არ მწყურია, შენ ხომ გჯერა, ჰანს, რომ ამათ ჩემთვის მოითხოვეს წყალი?

— მჯერა.

— დაჯექი, ღამეა, აღარავინ არ გამოვა, თუ გამოვა, ქალებთან რა ხელი აქვთ, ყველაფერი ჩემი ბრალია.

— მათ ეს არ იციან.

— მოვლენ და მე ვეტყვი. აგერ ჩემთან ახლოს დაჯექი!

შტუტეს მუხლები აუკანკალდა, უხმაუროდ გაღმოდგა ნაბიჯი და ჩაიკეცა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ბაუმანს სუნთქვა ამაღამ ყველაზე მეტად უჭირდა.

— იქნებ დაგეძინოს.

— ვფიქრობ, ჰანს.

— ჭრილობას გადაგიხვევ.

— არა, არ მინდა. ნატყვიარი კი აღარ მაწუხებს, ჰაერი არ მყოფნის. ამ მთებში ჰაერი თხელია, ჰანს.

— აქ ძალიან მაღალია.

— თქვენც გიჭირთ სუნთქვა?

— კი.

— თქვენ იმიტომ გიჭირთ, ობერ-ლეიტენანტი და ალფრედი...

— გაჩუმდი, კლაუს!

— მე რომ მოვკვდები, როგორმე ქვევით გადამისროლეთ.

— გაჩუმდი! — იყვირა შტუტემ.

— კარგი, არ ვიტყვი... სხვას ვიტყვი, აი, შენ რომ ზიხარ... არა, ცოტა უფრო ახლოს, დედაჩემი ღამით წყალს დამიდგამდა გამჭვირვალე გრაფინით.

— კლაუს!

— ჰანს, რატომ გამახსენდა, იცი? ისე კი არ მწყურია, მაგრამ დედაჩემზე მეცინება.

— გეცინება?!

— ჰო, რატომ, იცი? ფართოყელიან გრაფინს მიდგამდა, ცივი წყლით პირამდე სავსეს, უჭიქოდ.

— აბა, როგორ უნდა დაგელია!

— ჭიქით იქნებ არ გეყოსო და მერე გავსებას და წვალებას ერთად მოიდგამ პირზე და რამდენიც გინდა დალევო. ხომ საოცარი ქალი ყოფილა დედაჩემი, ჰანს?

— კი.

— მე ღამე წყლის სმა ვიცოდი და იმაზე გამახსენდა.

— მეტს ნულარ ილაპარაკებ.

— წყალზე აღარ ვილაპარაკებ.

— ჰო.

— მე ფანჯარასთან ვწვებოდი, დედაჩემი... ჩვენ ერთი ოთახი გვეჭირა, ამ გვირაბზე ცოტათი მოზრდილი.

— მერე ფანჯარასთან რომ წვებოდი...

— საწოლი ახლოს იყო კედელთან და ღამე, როცა გაავდარდებოდა, მინებზე აწვიმდა, ჩჯრჩოებს წყალი მოყვებოდა. დედაჩემი ტილოს აფარებდა რაფაზე, რომ სისველე შეეწოვა და საწოლზე არ გადმოსულიყო. თუ თავსხმა იქნებოდა, დილით ტილო გასაწური იყო.

— თუ არ გაჩუმდები, მე ავდგები და წყალზე ჩავალ.

— არა, ჰანს, წყალზე არ ვლაპარაკობ, მე ისე ვთქვი, აი, როგორ ვცხოვრობდით მე და დედაჩემი, რაზე მოვყევი, იცი?..

— იქნება დაიძინოთ! — თქვა ქალმა.

— რომ არ მეძინება!

— დაიძინეთ! — ხვეწნით გაიმეორა გუცამ. — ხვალ, დილით მე ამოგიტანთ წყალს!..

— თქვენ არ გესვრიან...

ისევ მყუდროება გამეფდა და ის იყო, დანიელის ყვირილი გაისმა:

— განვედ ჩემგან!

კაპრალი ფეხზე წამოხტა, იარაღი მოიმარჯვა.

თავი მეცხრე

ბასყა ამ ბილიკებზე ათიოდეჯერ მაინც რომ არ ყოფილიყო გაელილი, უფსკრულში ჩაიჩეხებოდა და თუთარი ამ გზას ვერ დაასრულებდა. აღმართს დაღმართი ცვლიდა, დაღმართს ისევ აღმართი და მისახვევ-მოსახვევი. ბოლოს როცა ეშველა და გერმანელების გახრწნილ გვამებს ნახტომით გადაევლო შავი ცხენი, წყაროსაკენ მიმავალ ბილიკის მოსახვევამდე მივიდა, სულიერი არავინ ჩანდა.

თუთარმა იცოდა, ზევიდან ისროლა იმ ცოდვაგადიდებულმა აბიმ. აბიმ, აბა აქ სსვა ვინ შეიძლებოდა ამოსულიყო?! მის თვალებს ვერ დაემალა სოფელში ჩასული ვახო, მერე გუაც რომ გაქრა, არც ის იქნებოდა მისთვის საიდუმლო, მაგრამ რაკი ბიჭებმა დაზაფრულ ხალხს არაფერი გაუმხილეს — არც მან გასცა, მაგრამ კვალს კი გამოჰყვა. ძნის ნამალავად მოინდომა თაჯის გამოხსნაში მონაწილეობა მიეღო. მოაღწია აქამდეც. როცა ბიჭები ქვაბულების თავზე გადაბარგდნენ, თვითონ აქ ჩასაფრდა. თუ მტერი როგორმე თავს დააღწევდა და წამოვიდოდა, მისი თოფის ტყვია მოუღებდა ბოლოს. დაღუპულ პარაშუტისტს იარაღი და ტყვია-წამალი აართვა, იყურყუტა, იყურყუტა, და დღეს ხედავს, გერმანელი გამოვიდა სამალავიდან, გამოჰყვა მოედანს და ბილიკზე აპირებს ჩამოსვლას. იცის, რომ ზევიდან გადმოხურული ქლდის მუცელი უშლის ბიჭებს მტერი დაინახონ. არ ჰგონია, თუ მოედანს გამოცდება: ხედავს, რომ სანიშნედ კარგად ჩანს. ნამდვილად გერმანელი ჯარისკაცია. მას ჰგონია, გვირაბიდან ვინც გამოვა, თუ ქალი არაა, უნდა ესროლოს.

იღებს თოფს, უმიზნებს და უხარია, რომ ერთი სროლით გადააგდო.

გადააგდო და არ იცის, რომ ვისი გამოხსნაც უნდოდა, იმასაც მოარტყა. ყოველთვის მტერს ხომ არ ხვდება თუნდაც კარგად დამიზნებული ტყვია.

მერე ისიც დაინახა, მისმა „ვაჟკაცობამ“ როგორ გააქცია თუთარი ბაღლა. მიხვდა, რომ რაღაც კარგად არ გამოვიდა, თუ ქალების კვილი ვერ გაიგონა, ავტომატის ხმას გაიგონებდა და დაიბნა.

დაღუპა, ყველაფერი დაღუპა. ულმერთოდ ამოაწყვეტინა მტერს მწყურვალი ტყვეები. ახლა თუთარის ხელიდან სხვა ვინმე კი არა, აბი ნანსყანია მოსაკლავი.

თუთარი ცხენიდან ჩამოხტა, ავტომატი მხარიღლივ გადაიკიდა, ბაღლა შეუყვა. იცის, აქ აღარ იქნება ნანსყანი, მაგრამ მაინც თავისი თვალით უნდა ნახოს.

რაღა თქმა უნდა, იქ არავინ დახვედრია.

გული კისერში ჰქონდა მობჯენილი და ტირილით იხრჩობოდა, როცა ჩამოსვლის წინ გამოქვაბულისაკენ გაიხედა. ახლა იქ არც და და არც სტუმარი ცოცხალი აღარ ეგულებოდა.

ქვევით გაწბილებული და გულგახეთქილი დაეშვა. თვალთაგან წამოსული ცხელი ცრემლი უშლიდა, გზა გაერჩია. ბასყა ფრუტუნით შეხვდა ბილიკზე ჩასულს. კისერზე მოეხვია უენო პირუტყვს და თავის უმწეობაზე შესჩივლა.

— ბაბუასთან ჩავიდეთ და ყველაფერი ვუთხრათ, — ეხვეწებოდა ცხენს, — შენ ხომ იცი, ნანსყანმა დაგვღუპა თორემ, ქალებს გამოვიხსნიდით...

დაღამებულში ამხედრდა და სანამ ბილიკის გასაყართან მივიდოდა, ალაფელში დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ გადასახვევთან მიხვდა, რომ ეს შეუძლებელია, იგი ასე პირშავად ქორა მახვშთან და ქვეყანასთან ვერ გამოჩნდებოდა.

თავი მეათე

— თქვენ ამ ბილიკზე წყალს ვერ ამოიტანთ! — თქვა გერმანელმა, როცა ინათა, და ქალი ასადგომად წამოიწია.

ბაუმანმა გათენებისას გონება დაკარგა და ახლა შტუტეს ნათქვამი აღარ ესმოდა.

ნაბდიდან რომ გამოძვრა, მიხვდა მართალი უთხრეს, სხვის დაუხმარებლად იგი აქ პირველ დღესაც ვერ ამოვიდა. ახლა მით უმეტეს, ვერ ჩააღწევდა. წამოდგა თუ არა, თავბრუ დაეხვა და დაბარბაცდა.

— მომეცით ჭურჭლები! — მაინც ხმამაღლა თქვა მან.

— სასულელია, გადაიჩეხებით.

— მომეცით! — უფრო აუწია ხმას, რომ მეორე გვირაბშიაც გაეგონათ.

ქალი გააბრაზა მისმა უმწეობამ და ამ კაცის „ზრუნვამ“.

ამ დილით თუ წყალს არ გააჩენდნენ, ვერაფერი იხსნიდათ, დაჭრილი კი სულს განუტევებდა. მას დახეთქილი თეთრი ტუჩები ჩაულურჯდა, დიდ გამოქვაბულში აკანკალებული ხელის თითები ჩახმახის სასხლეტს ეძებდნენ. ტყვე წყაროს გზას ადგა იცოდნენ, და რომ დამჯდარიყო, ისინი აიშლებოდნენ.

გუცამ მხარზე გადახვია ხელი გვერდში ამომდგარ გოგონას.

— წამოდი ჩემთან!

თაჯი დაფრთხა, უკან დაიწია: მე ამათ წყალს ვერ მოვუტანო.

— ისედაც ღონე გამოცლილია, ამას გარდა, ორივეს ვერ გაგიშვებთ.

— მაშინ დარჩი! — მიუბრუნდა ისევ გოგონას. დარწმუნებული იყო, თუ ძალა შესწევს, მაინც წამყვებაო, მაგრამ თაჯი მაშინვე ჩაიკეცა და ნაბადზე კარარ დაჯდა, საცოდავად მოიკუნტა.

გუცა კედელს გამოჰყვა. იცოდა, ჰასსი თვალს არ აშორებდა და ისე უნდა ევლო, არ დაბარბაცებულიყო, მაგრამ მუხლის სახსრები გადაჭრილივით ჰქონდა, არაფრით არ ემორჩილებოდა.

გარეთ რძისფერი დილა თენდებოდა. აღმოსავლეთით სისხლის ფერი ერია ამ სითეთრეს. მიცვალებულებს რომ გვერდი აუქცია, ისევ კედელ-კედელ წავიდა. ღამის სიცივეს შეეჩერებინა ხრწნა და ისე ცყრალი აღარ იყო ჰაერი. წინ რომ წაიწია, ჰასსის თვალებს მიეფარა, ზევით უნდოდა აეხედა, რომ ბიჭები დაენახა და კლდეს რომ მოსცილდა, როგორც კი თავი აიღო, ერთი კვირის მშიერს და ოთხი დღის მწყურვალს უძინარ თვალებზე ბინდი წაეფარა და ხელიდან გაგდებული ჩვარივით დავარდა.

ჯაპრალმა გაიგონა, რომ ქალი დაეცა, მაგრამ არ აჩქარებულა, წამოდგა, იარაღი მოიცილა, ქამარი გაისწორა. ვალტერს რომ გუშინ ქვაბუნები გაუცვივდა, ქვევით ეყარა. შტუტე უნდა წასულიყო და მოეტანა წყალი. სხვანაირად ვერ დაამტკიცებდა, რომ მოღალატე არაა და ტყვეებს ამიტომ უფრთხილდებოდა. ხომ ოცავანი თვალით დაინახეს ყველაფერი. ეს მათ ადრეც იცოდნენ, რომ ამ ბილიკზე წყლით სავსე ჭურჭლებით ვერ ამოვიდოდა ეს ქალიშვილი, მაგრამ ახლა უნდოდათ წყალი და ვისაც წყაროზე წასვლისათვის ტყვია არ ელოდა, გზის გაუვალობას, ან ქალის უძლურებას ვერ გაიგებდნენ. დაიღუპებოდა და არც ამისთვის გაიცხელებდნენ შუბლს.

კაპრალი ახლა კენჭს აღარ ჰყრის, არც ბრეზენტის მხარეზე გაიჩერდავს. მოედანზე დავარდნილ ქალსაც ისე ჩაუვლის, ყურადღებას არ მიაქცევს და ჩაუყვება გზას.

ესვრიან?

სხვა საშველი მაინც არაა. არ წავა — თავისიანები არ დაინდობენ. ამდენ ხანს სიბნელემ შეაჩერათ. გათენდება თუ არა, პასუხს მოსთხოვენ, ახლა მტრის მეტი იმედი აქვს.

მოედანზე გავიდა.

— ჰანს! — დაეწია განწირული კლაუსის ბოდვა. არ შეჩერებულა.

გუცამ თავი აიღო ჯარისკაცის გავლისას, მაგრამ წამოდგომას არ ცდილა.

შტუტე ბილიკის დასაწყისს მიუახლოვდა და იგრძნო, რომ ზევიდან დაინახეს. თავი და მხრები ისე აეწვა, თითქოს ელექტრონის ბლიერი, ცხელი სინათლე დაანათეს. ფრთხილად ჩაადგა ფეხი, წინ იხედებოდა და ეშინოდა, არ დაენახა ზევიდან ნასროლი ტყვია, რომელიც მის თავში ან მკერდში გაივლიდა და ქვის ბილიკზე დაეცემოდა.

იქამდე, საიდანაც ვალტერი გადავარდა, ორი ნაბიჯი კიდევ იყო და მანამდე იქნებ არ მოეკლათ...

ერთი...

მეორე...

აი, აქ დაარტყეს ტყვია. ჰანსს არ გადაუხედია და არ დაუნახავს, მკვდარი სად ეგდო.

იქნებ ესროლეს და შტუტეს ხმა არ გაუგონია, ანდა ტყვიამ უკვე გაუარა და აწი გაიგონებს ან იგრძნობს. არაფერი არ ისმის, მაგრამ მუხლმა რატომ უსუსტა, ვითომ წყურვილისა და შიმშილის ბრალია?!

ერთი ნაბიჯით გადაცდა ჰანსი იმ ადგილს, საიდანაც ვალტერი გადაეშვა...

იქნებ მაშინ მაგათ მართლა არ უსვრიათ?..

გერმანელი ბეწვის ხიდზე მიდიოდა და შუა გზაზეც არ იყო, ქვაბუნა რომ დაინახა, როცა მიუახლოვდებოდა, უნდა აეღო, მაგრამ... მტერი კარგად ისვრის და იქნებ თამაში მოუნდაო, — გაიფიქრა. — ასაღებად რომ წაიხრება, ვაითუ ისე ესროლოს, რომ ჰანსში გავლილმა ტყვიამ ჭურჭელიც გახვრიტოს. იქნებ მას დამიზნებული აქვს და უცდის, როდის ჩადგება კაპრალი ქვაბუნასა და თოფს შორის.

ხელის გასაწვდენზე რომ მიუახლოვდა, გვერდზე გადგა. ჭურჭელი

ზევიდან დასანასავად დატოვა, მარცხენა მკლავი გადასწია და აიღო. გასწორდა. ისევ არ გაუგონია თოფის ხმა, არც ტყვია დასცემია ბილიკს.

კვლავ ჩაუყვა ციცაბოს. მეორე ქვაბუნა ახლომახლო არ ჩანდა, შორს გადახედვა არ უცდია. იგი დაკვირვებით და დაჟინებით იხედებოდა წინ და ფიქრობდა: „თუ ფეხი ძიცდა, ან არ წავიფორხილე, გაუკვირდებათ, რომ კარგად დავდივარ და ყყაროს ხავსიან შევაკებაზე ჩასვლას მაცლიან. იქამდე კი შორსაა და მანამდე სიცოცხლეც სიცოცხლეს ნიშნავს“.

უფრო ქვევით, მოსახვევამდე, ტინის ვიწრო გზა ჩარეცხილი იყო და ჰანსს ხელი კლდისათვის უნდა მიეშველებინა. „მაგრამ რომ მოვეჭიდო, შეიძლება მომკლანო: თუ კლდეებზე სიარული არ შეგეძლო, აქ რა მოგარბენინებდაო“. ხელი რომ არ მიეშველებია, ფეხი დაუცდებოდა და მაინც ესროდნენ. ისე უნდა ევლო, რაკი პირველ გამოჩენაზე დაინდეს, ახლა „მიზანი“ არ უნდა მიეცა.

ჰანსმა იანგარიშა, იქ რომ მივიდოდა, როგორმე გადამხტარიყო, მაგრამ ისე მოზომილად, როცა ცალ ფეხზე დადგებოდა, წონაწორობა დაეცვა. იქ მეორე ფეხის დასადგმელი ადგილი აღარ იყო.

გადახტა. რაღაცამ გაიხმაურა და გაშეშდა.

მოკლეს?!

არა, ქვაბუნის ყურში გაყრილი ტარი გაჩხაკუნდა.

როცა შემოუხვია და ჩაუყვა, დარწმუნდა: „ამდენ ხანს იმიტომ არ მესროლეს, მათგან ზურგით რომ ვიყავი, ახლა კი სახეში დამიმიზნებენო“...

იგი მაინც მიდის ბილიკზე, სადაც ადამიანები ფორთხვით და მკლავის კიდებით ადი-ჩამოდიან, მაგრამ მას უნდა ევლო ისე, რომ ფეხი არ დასცდენოდა და არც არაფერს მოსჭიდებოდა, არც უნდა შეჩერებულიყო...

გზა წინდაწინ უნდა დაეზვერა ისე, რომ ყოველი ფეხის დადგმა ზუსტად და შეუცდომლად გამოეანგარიშებინა.

ბილიკმა მარჯვნივ რომ ჩაუხვია, ამოისუნთქა. უკან მოექცა მტერი და არ მესვრიანო დაიჯერა. ასეთ ბილიკებზე და მთებში გაზრდილი ხალხი ზურგში დარტყმას არ იკადრებსო...

ვალტერს რომ ესროლეს?!

ეს მათ არ უქნიათ!!!

ხომ თქვეს, ჩვენ არ მოგვიკლავსო. ვითომ რატომ იუარებდნენ? ერთი შენ მოუხადე ბოდიში და მეორე ის მოგიხდის...

ბილიკი გათავდა, პირდაპირ წყაროსაკენ გზას ვერ გააგრძელებდა, თორემ კარგი იყო, უკან მიბრუნებამდე სულ ზურგით იქნებოდა მტრისაკენ.

უკან მობრუნდებოდა კი?!

გვერდზე უნდა გადაეხვია და კლდის ძირში მეორე ქვაბუნა ეპოვნა.

„ამ ქვაბუნასთან ახლოს დასახიჩრებული ვალტერი ეგდო.

„როცა მოარტყეს, ორივე ჭურჭელი ხელში ეჭირა...“

მიცვალებულს რომ გაუვლიდა, ესროდენ. ისე გამოიანგარიშებდენ, რომ ზედ მკვდარზე დაცემულიყო: ცოცხლები ხომ ერთად გვებრძოლით, კეთილი ინებეთ, ახლაც ერთად იყავითო.

თუ პირდაპირ წავიდოდა, დაღუპულთან ახლოს უნდა გაევლო. ვერ გაბედა, გზა გაიმრუდა, მაგრამ აშკარად შესამჩნევი არ იქნესო და იმღვნზე ჩაუარა, რომ წაქცეულიყო, თავს მაინც მიუწვდენდა.

გაუსწორდა...

ცოცხალია?!.

მეორე ქვაბუნას მარცხნივ დაუდგა და მარჯვენა ხელით დასწედა. აიღო და წყაროსაკენ უცებ შებრუნდა.

არადა წყალიც აღარაა შორს.

ამჯერად გადარჩა!!!

ახლა წყარომდე აღარ მოკლავენ, იქნებ ჭურჭლების ავსებაც აცალონ?! დალევით არ დალევს ჰანსი. იქ ახლა სმა რომ დაიწყოს, უეჭველად ესვრიან.

თუ აცალეს, აავსებს და უკან გამოსწევს. ძალიან არ გაალიცლიცებს, გზაში რომ არ გადაეღვაროს... რაც ერთი ამოსმით მოჰყვება ხელში, ამოიღებს და გაბრუნდება...

ანკარა, ჩუხჩუხა წყალი ამოდის აგერ და მიდის, მოედინება უქმად, უსარგებლოდ!..

თავი მეთერთმეტე

წყალმა სიცოცხლის ნაპერწკალი დააბრუნა გამოქვაბულში, მაგრამ აუტანელი შეიქნა გახრწნილი მიცვალებულების სიახლოვე. ცხელი მზე რომ მოედანს დაადგა, მწვერვალებში ქარი თითქმის სულ უბერავს, მაგრამ ახლა ყოველი მხრიდან სიმყრალე მოდიოდა და მაღლა წამოს-

კუპული ბიჭები ქვევით, ცხვირზე ხელმიჭირებულები, რიგრიგობით იცქირებოდნენ.

— ფიქრიც არ შეიძლება, მკვდარი მიწას უნდა დაუბრუნდეს... თქვა სულშეგუბებულმა გუამ.

თუთარმა წამოსიებული ქუთუთოები მაგრად დახუჭა, თითქოს ეს სიმყრალე თვალებს უწვავსო.

— ახლა მაგიც ჩვენ ვიდარდოთ?! — წამოიძახა ვახომ. შეშინდა, ესენი რომ ასე ლაპარაკს დაიწყებენ, მტრებს რაიმე შეღავათს მისცემენო.

— შენ გაჩუმდი, რომ გეუბნებიან! — არ აცალა თუთარმა, — შენ რა გესმის?

— რა არ მესმის, მაგათი მკვდრები ვიტიროთ? ცოცხლები იყვნენ, არ დაგვაყენეს, დაწყდნენ და კიდევ უარესი...

— გაჩუმდი.

— არ გავჩუმდები, თქვენ მიეცით წყალი და ახლა მკვდრებს ასაფლავებთ?!

— მკვდარი მიწისაა.

— გეა, ნუ ამბობ, თორემ, მაგი ახლავე ატირდება, მე თოფს წამართმევს და...

— შენ ვინ გკითხავს, ენა რომ დაიგრძელე... — თუთარმა ბიძაშვილისაკენ გადაინაცვლა.

— რაც გინდათ, ის ჰქენით! — უკან დაიხია ვახომ, ავდგები და სახლში წავალ... თქვენ კი მოიპარეთ სოფელში პური და აჭამეთ, წყალი... ბაბუაჩემივით გაგეზრდებათ წვერი და ისინი მაინც იქ იქნებიან ფეხმორთხმული.

ვახომ ბიჭები შუადღემდე ძლივს შეაჩერა. ნაშუადღევს მიცვალებულების დამარხვის ნება მაინც მისცეს.

დახოცილები ღორღიან, უფსკრულისაკენ დაქანებულ, ხავსიან მინდორში, წყაროსთან ახლოს დამარხეს ერთ მოზრდილ ორმოში და მტერმაც და მოყვარემაც ამოისუნთქა, მაგრამ მტრობა მტრობად დარჩა.

კაპრალმა დაიჯერა, რომ ვიღაც სხვამ მოკლა ვალტერი, თვითონ ხომ ნებადაურთველად, წინდაწინ შეუთანხმებლად ჩავიდა და არ უსვრიათ.

შტუტეს მტრებზე გული მოუბრუნდა, მაგრამ უბედურება იყო, რომ მეორე გვირაბში სჯეროდათ: კაპრალს წყალი მისცეს იმისათვის,

რომ თავისიანები გაჰყიდა, რადგან დაღუპვა გარდუვალი იყო და აჰყვა ცდუნებას. ისინი დარწმუნებული არიან: ჰანსმა ვალტერის გარდა კიდევ ოცდახუთი ლიტრი სისხლი მისცა იმ ორ ქვაბუნა წყალში, ისიც არც ერთი პირამდე სავსე არ იყო. ახლა მათ ყველა ჯურის მტერზე მეტად სძულდათ თავისივე ძმა. ვინ უნდა დაარწმუნოს, რომ ნებადაურთველად ჩავიდა?!

დიდ გამოქვაბულში ისე ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, შტუტეს არ უნდა გაეგონა. იგი ხედავდა, რომ ბრეზენტის ყურში თავგამოყოფილი თოფის ლულა ახლა ერთნაირად ცივად უყურებდა ბილიკის ამოსასვლელსაც და მეზობელ გვირაბსაც. ის იარაღი ახლა არც იმას დაინდობდა, ვინც ლეიტენანტსა და ვალტერს ესროლა და არც კაპრალს.

წყურვილი არ მოუკლავთ, მხოლოდ ამომავალი სული ჩაიბრუნეს და ხვალ ყველაფერი თავიდან დაიწყებოდა, მაგრამ აწი ჰანსი იქამდე არ მიიყვანს საქმეს. კლაუსი ხვალამდე ვეღარ გაატანს. ამის დასაფლავებლ ნებასაც ითხოვს, მერე უმთვარო ღამეებიც დაიწყება და გაავდრებას და ქარიშხალსაც არ დაუცდის.

ქალებს ხელ-ფეხს შეუკრავენ, პირს ბამბით ამოუტენის, რომ არ გასცენ. თავისიანებს ჩაუძღვება და წავა.

თუ გააღწია, მათთან ერთად გააღწევს, თუ არადა მათთან დაიღუპება. არც მაშინ დაიჯერებენ?!

კაპრალს ეს დიდი ხანია გუნებაში უდევს, მაგრამ არაფერს ამბობს. ადრე აქ ობერ-ლეიტენანტი იყო, მერე ბაუმანი დაიკრა. სანამ საცოდავს კიდევ უდგას უღმერთოდ განაწამები სული, ვერ მიატოვებს. ბიჭს, გარდა სიცოცხლისა, აქვს ადამიანის რწმენა. ასე განუკითხავად რომ დაგდენ. ის უფრო ადრე მოკვდება, ვინემ მისი გული ძგერას შეწყვეტდეს, მისთვის კი ერთი სიკვდილიც ბევრია...

შტუტეს რომ ვალტერი არ გაუყიდია, ამის დამტკიცება კიდევ შეიძლება. მარტოხელა კლაუსს სიცოცხლეც გაუჭირდებოდა და სიკვდილი, მით უმეტეს, ძალიან შეაშინებს.

ეს ამ ქალიშვილმაც კი გაუგო უბედურს. ის ახლოს იყო მასთან და გაუგო. როგორც კი წყალი გაჩნდა, თავისი ხელით დაალევინა. მას იგი სჭეულს. ბოლოს და ბოლოს ხომ ამ ბიჭმა დაატყვევა ეს ქალი, მაგრამ ამისათვის მას ესროლეს და საცაა მოკვდება. ანგარიში გასწორებულია. დანარჩენი კი ყველაფერი ეკუთვნის, როგორც უპატრონო ბავშვს და უმწეო ადამიანს.

ცივმა ქარმა შემოუბერა და ქვაბულში წვიმის წვეთები შემოიტა-

ნა. გრძელი, შუქი წერტილები გაჩნდა ბრეზენტზე. მერე წერტილები ერთმანეთს გადაება და კიდევ უფრო დაგრძელდა, მწვერვალებში დაიგრუხუნა.

დაჭრილმა თვალები გაახილა.

— ისვრიან?

— ნუ გეშინია.

— მეშინია... — თქვა ბიჭმა და ჰანსს მიაშტერდა.

„მან თავისი ნაწილი ტყვია გააცივა, მაგრამ ჩემზე წუხს“... გაიფიქრა ჰანსმა.

ბაუმანმა ტყვეების მხარეზე მიაბრუნა თავი.

„არც ესენი ემეტება სასიკვდილოდ, — ამოიკითხა შტუტემ ბიჭის თვალებში, — მას ახლა არავინ არ ემეტება... იგი ყველაზე ახლოსაა სიკვდილთან და ყველაზე უკეთ იცის რაა იგი“.

— ქუჭა-ქუხილია! — უთხრა ქალიშვილმა.

— ვიცი, — თქვა ბიჭმა ღიმილით, თითქოს ითაკილა, რატომ გგონია, გრუხუნი სროლისაგან ვერ გავარჩიეო. — ვიცი, — გაიმეორა და შუბლი შეიკრა.

ჰანსს არ მოეწონა არც ეს ღიმილი, არც თავმოყვარეობა.

„სიკვდილის წინ მოიხედა და ადამიანური უფლებები მოითხოვა“.

— ჰანს, ამ ბოლო დროს ომი შეწყდა, თუ მე არ მესმის სროლის ხმა, ჩვენებმა უკან დაიხიეს?

— ალბათ.

— ჰანს, შენ გერმანიაში უნდა დაბრუნდე?!.

— ჰო, ყრუდ დეთანხმა, არ უთქვამს, შენც დაბრუნდებიო.

ამას აღარ დაიჯერებდა და ისევ გაიცინებდა: სულელი ხომ არ გგონივარო.

— ვიცი, რის თქმას აპირებ, — დაასწრო შტუტემ, სანამ რაიმეს იტყოდა.

— არ იცი, მე იმის თქმა მინდოდა, რომ შენ უკან უნდა დაბრუნდე...

— დავბრუნდები.

კლაუსს ისევ გაეღიმა.

— შენ არც ეს იცი, ჰანს.

„მოკვდება, — გაიფიქრა შტუტემ, — საღი აზროვნება დაუბრუნდა. ეს ქალიან ცუდია, მოკვდება“.

— დავბრუნდები, თუ დავბრუნდი-მეთქი...

— უნდა ეცადო, ძალიან უნდა ეცადო.

ჰანსს უნდოდა გასწყრომოდა: გაჩუმდიო, მაგრამ ეხ ბედდამწვრობა უკანასკნელი სურვილი იყო და უნდა გაეძლო.

— ვეცდები...

— შენთვის და ჩემთვის.

— კლაუს, ვეცდები... კარგი ახლა...

— არა, მომისმინე...

— კლაუს!..

— ჰანს, მომისმინე, თორემ ხელზე გიკბენ.

— ჰო, კარგი, მერე?..

— ომის დამთავრებამდე დედაჩემს იმედი ექნება...

— იმედი სულ შეუძლია იქონიოს.

— არა, ჰანს, შენ დედაჩემს არ იცნობ, ომი რომ დამთავრდება...

— ვნახავ დედაშენს!..

— ნახე, ჰანს, და რა უთხარი იცი? რომ ცოცხალი ვარ და მალე დავბრუნდები... არა, არა, არ დაიჯერებს... უთხარი, რომ დამჭრეს...

— ვეტყვი.

— დამჭრეს და საავადმყოფოში ვიწექით გერმანიის რომელიმე ქალაქში. რაც შეიძლება შორს იყოს დედაჩემისაგან.

— სულ ერთი არ არის?

— არა, ჰანს, რამდენი შორი იქნება, უკეთესია. გზაში მეტი დრო დასჭირდება.

— რა საქმე ექნება იქ?

— ჰანს, როგორ ვერ მიხვდი, მე იმ ქალაქში მოკვდი და ჰოსპიტალის სასაფლაოზე ვარ... შენ უნდა მიუთითო ვინმე უპატრონოს საფლავზე.

შტუტემ თავი შეაბრუნა.

— სულ ერთია ვინც იქნება. ის მაინც ჩემთვის იტირებს და ამას გარდა, არც იმ მკვდარს აწყენს. დედაჩემი კი ივლის სახლიდან. გზაში დრო დასჭირდება. მერე... მერე წამოვა და ისევ წასელაზე იფიქრებს... მოემზადება...

— კლაუს, ყველაფერს გავაკეთებ, ოღონდ ნუ ილაპარაკებ...

— მეტს არაფერს არ ვიტყვი! — თქვა და გაჩუმდა.

გუცას ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები, თაჯი გაფართოებული თვალებით შეუცქეროდა მტერსა და მოყვარეს.

— ფროილაინ! — გაიღიმა ისევ სულთმობრძავმა. — მე იმიტომ კი არ მითქვამს, თქვენ გეტირათ. მე ვიცი, დედაჩემისათვის რა აჯობებს...

— არ გიკვირს, ჰანს? მე დედაჩემი ვერ მტირის და მტირის ის, ვინც უნდა იცინოდეს.

შტუტეს აღარ გაჰკვირვებია. მიხვდა, რომ ამ უბედურმა უცებ გაირბინა ცხოვრება და უკვე ყველაფერი იცოდა.

გუცამ სახეზე ხელები აიფარა.

— თქვენ მართლა ტირით?! — გაუხარდა ბიჭს. — მე მამაკაცებს რომ გული სტკივათ, ვერ ვხედავ, ისინი ტკივილებს არ აჩენენ. დედაჩემი კი სიხარულზეც ტიროდა...

უცებ შუბლი შეიკმუხნა. ნაოჭები გაუჩნდა. ახლა იგი ბავშვს აღარ ჰგავდა.

— წყალი...

ჰანსი მიტრიალდა.

— მოიცა, ჰანს, — უძლური ხელით შეაჩერა. — არ გეწყინოს....

შტუტემ ვერ გაიგო.

— არ გეწყინოს... — გაიმეორა და დაიმორცხვა, ისევ მიამიტ ყრმას დაეშგვანა.

— რაც გინდა იყოს, თქვი!

— ფროილაინმა დამალევინოს...

— კარგი, — თქვა ჰანსმა და ქალს მუდარით შეხედა.

— დაუალევინებ!

ქალი დაჩოქილი წამოვიდა, ქვაბუნა აიღო და პირთან მიუტანა. მაგრამ დაპრილს ძალა აღარ გააჩნდა და თავი ძირს დაუვარდებოდა, რომ გუცას არ დაესწრო და ხელი არ მიეშველებინა. ქვაბუნა რომ ტუჩზე მიადგა, საბრალომ თვალებში შეხედა ქალიშვილს, წყალი არ მოუსვამს, უკანასკნელად გაიღიმა და იჩურჩულა:

— მე წყალი კი არ მწყუროდა...

ქალს ხელი არ გაუშვია. სინანულით დაჩერდა. მერე დაიხარა და საიდუმლო, ნაზი ხმით უთხრა:

— მე მინდა თქვენ გაკოცოთ.

— ჰო, ფროილაინ, ჰო, ჩემთვის დედაჩემის მეტს არავის უკოცნია... ქარს გარედან წვიმის წვეთები შემოჰქონდა.

ქვაბულში მწუხრი წვებოდა.

თავი მეთორმეტე

ორმა ჯარისკაცმა გამოასვენა მაზარაში გახვეული მიცვალებული და შოედნიდან ქვევით ბაწრებით ჩაუშვეს. უშვებდნენ ისეთი დიდი სიფრთხილით, თითქოს ახალშობილი ჩაჰყავდათ და ეშინიათ, ქვაზე არ მოგვიხვდეს, არაფერი ვავნოთო. ჩაუშვეს და თვითონ ბილიკით მოიარეს. მაღალი, აი ის, წყალი რომ ამოიტანა, ისე დაუდევრად მიაბიჯებდა, რამდენჯერ ბეწვზე გადარჩა, რომ არ გადაჩეხილიყო. მეორე, დაბალი, კუნძივით გერმანელი, თავჩაქინდრული, საცოდავად მიფორთხავდა და შევაკებამდე კვნესით და ოხვრით მიაღწია, მის ჩასვლამდე წინ წასულმა ბავშვივით აიყვანა ხელში მიცვალებული და იქეთ წაიღო, სადაც წინა დღეს ადრე დახოცილები მიწას მიაბარეს. მიდიოდა და ქვა-ღორღიან ფლატეს ისე აჩერდებოდა, თითქოს ამ მიცვალებულს უკეთესი საფლავი ეკუთვნოდა, ვინემ სხვას და აქ ამის დამარხვას არ აპირებსო. ამჯობაში მეორე — ბეჩავიც მოჩანჩალდა და პირველს მუნდირის სახელოში დაქაჩა, რომ გონზე მოეყვანა. მკვდარი მოშორებით დაასვენეს, ადგილი შეარჩიეს და ორივემ დიდხანს თხარეს ორმო.

პოლოს მაღალმა ისევ ბავშვივით აიყვანა ხელში მაზარაში გახვეული, საფლავის პირზე ჩაიჩოქა, ჩაჯდა, ჩაკიდა ფეხები და მოხერხებულად ჩახტა. თითქოს ცოცხალს მარხავსო, ისე, ნელ-ნელა დაწვინა ფსკერზე მიცვალებული, თავი გაუსწორა, რაღაც მოიძებნა, მკვდარს ქუდი არ ეხურა და ჩალისფერი, მოკლე თმა უჩანდა საყელოაწეული მაზარიდან. მესაფლავემ ხელი ჩაიქნია, თავიდან თავისი პილოტურა მოიგლიჯა და სახეზე დაახურა. მაზარა ყელთან შეუფუთნა, დაადგა თავზე გაოგნებული, კიდევ რაღაცის გაკეთებას აპირებდა, მაგრამ ვერ მოეფიქრებინა. დაბალმა, ზევით რომ იდგა, დაღვრემილი და ყურებჩაბოღრილი, ამოსვლა გაახსენა.

ამოვიდა, მაგრამ იქვე ჩამოჯდა და ახლა იქიდან უყურა. ბეჩავმა მკვდარს პირჯვარი გადასწერა, მიწის მიყრა დააპირა.

ხელებში ეცა მაღალი, შეაჩერა, რაღაც მოისაზრა, იქაურობას გაეცალა, მეორეც გაიყოლია და ჩამონაყარ ღორღსა და ლოდებში ფარ-ღო ქვები აარჩიეს, საფლავთან მიათრიეს. კიდევ გაბრუნდნენ და ისევ მოიტანეს.

დაბალი, ხანშიშესული რომ გაჩერდა: აწი ეყოფაო, ახალგაზრდამ არ დაიშალა, კლდის ძირამდე მივიდა და იმოდენა ლოდს დასწვდა, თუ ასწევდა, არავის ეგონა. ისიც საფლავთან დადო. ჩახტა და მკვდარს მორჩილა ქვები სულ ახლო ირგვლივ შემოუწყო. დებდა, ასწორებდა,

ამატებდა, აღგილსა და გვერდს უცელიდა. მერე ბრტყელი ლოდები ჩაათრია და ზევიდან გადაადო. ყველაზე უფრო განიერი თავზე დააფარა. წელსქვევით ორი, მოგრძო, ვიწრობოლოებიანი თავშექცევით, და გადაბმულებზე ნატეხები დააწყო, მიწა არ ჩაცვივდესო. ამოფორთხდა და გაშმაგებით, ჩქარ-ჩქარა, ხელით აყარა და აყარა ერთმანეთში არეული ქვა და მიწა. საფლავი რომ ამოავსეს, ისევ ქვების ზიდვას შეუდგა და ახლა ზევიდან დაალაგა. თავთან მრგვალი, მაღალი ლოდი მიუგორა, ლოდს მიწა ამოუქექა, ძირი ჩაუდგა, ფეხით შემოტკეპნა და იქაურობას გაეცალა.

დაბალმა წასვლისას ისევ გადასწერა პირჯვარი საფლავს და ბილიკისაკენ მიმავალს ლასლასით გამოუდგა.

ნაწილი მეოთხე

თავი პირველი

დიდ გამოქვაბულში იცოდნენ, როგორ განიცადა შტუტემ ბაუმანის სიკვდილი. აცრემლებული დანიელი ყველაფერს მოჰყვა.

— ღმერთმა უშველოს, ღმერთმა!..

არავინ არ უსმენდა უბირ, მიმნდობ გლეხს. ისინი ბევრი უბედურების მომსწრენი იყვნენ და იცოდნენ, ასე არ მისტირიან ომში ჯარისკაცის დაღუპვას. კაპრალს უნდა თავი მოაჩვენოს, თითქოს ყოველი მათგანი ასე უყვარს. ვითომდა ვალტერიც უყვარდა. ბეჩავი დანიელი წაიყვანა საფლავის გასაჭრელად, რაკი სხვას აგრერიგად თვალს ვერ აუხვევდა.

არა, ამას დანიელიც აღარ დაიჯერებს, ახლა ასე ალალმართლად რომ ჰყვება ჰანსის წუხილზე!

— ღმერთს გეფიცებით. შეგეცოდებოდათ...

— კარგი, გეყოფა! — ამოიხლიჩინა პაულუმ.

— არ გაბა და გაბა! — კვერი დაუკრა კნოპსმა. — ვიცით, რაც ბრძანდება და ვინც ბრძანდება!

— შენც ენა გააჩუმე და შენც! — არც ერთისთვის არ შეუხედავს კარლს.

— აქ სალაპარაკო არაფერია.

— მე ის ვთქვი...

— არაფრის თქმაც არ გინდა!

— გავჩუმდები, — ჩაიბურტყუნა ბეჩავმა და უფრო ღრმად მიიყუ-ლა ქვაბულის კუთხეში. მიჩუმდა, მაგრამ დარწმუნებული იყო, თუ ჰანსს მართლა ღმერთი გაუწყრა და წყალში მტერს ვალტერი მისცა, კლაუსი მაინც უყვარდა. კი, ნამდვილად უყვარდა და... ჯანდაბას. აქ რას გაიგებ, ვინაა ერთგული და ვინ მოღალატე?! ის კი არა, ღმერთი არის თუ...

„ღმერთო, როგორ არივ-დარიე ეს ქვეყანა, თვითონ რომ ჩამოსვი-დე, მრუდს და მართალს ველარ გაარჩევ, ღმერთმანი, ველარაფერს გა-იგებ!“ — და ხმამაღლა დაამთავრა:

— ჩვენ აქ რა ვქნათ, ჩვენ?..

— ჰანსი გეტყვის! — გაეპასუხა გულგასიებული ავსტრიელი.

— აპ?

— ჰანსს, ჰკითხე და გეტყვის!

— ჰანსს ახლა მაკას ვერ ვკითხავ, — გულუბრყვილოდ გაეპასუხა გლეხი.

ისევ დუმილი ჩამოვარდა.

კნოპს სული აუწრიალდა: აქ ყველა ჩემზე ჭკვიანია. ვინმემ იქნებ მართლა რაიმე გამოსავალი იცისო.

— რა. იცის მერე ჰანსმა? — გაუბედავად თქვა კედლისკენ პირშებ-რუნებულმა.

— იცის... შენ ნურაფრის იმედი გექნება და მაგ ბედშავმა რომ უთხ-რას, წვრილშვილის პატრონი რომ არის, იქნებ შეიბრალოს.

— ჩემი კლარა...

— უთხარი. რომ შენი კლარა და კიდევ სხვებიც ცოლვაა, თუ შენ ერთ ყლუპ წყალში გაგცვლიან.

— იცით, იქნებ ღმერთს ვცოდავთ!..

— ნუ ელაპარაკებით ამ გამოჩერჩეტებულს! — ისევ ამოიბრიხინა კარლმა, — რაიმე ჭკვიანური თქვით!

— ჭკვიანური? — იკითხა ისევ ჰამპელმა და ენას კბილი დააჭირა. მართლა ნამდვილი გამოსავალი რომ სცოდნოდათ, მას არავინ ეტყოდა.

— მე რომ მკითხოთ... — ჩანთაზე ჩამოჯდა და წვრილი თვალები და-ახამხამა იოჰანმა. — გონივრულს ვერავინ ვერ იტყვით. მაგალითად, ამ გვირაბს ერთი კარი აქვს. აქვს მეტი კარი?

— არა აქვს! — სინანულით თქვა დანიელმა, — სადა აქვს კარი?!

— ჰო, კარი დავარქვით ამ შემოსასვლელს. და ახლა ვინ ზის ამ კარში? ერთი ვიცით, რომ მტერია...

— მეორეც ვიცით, — არ აცალა ბებერმა.
— შტუტე ჩვენიანია! — აკვნესდა გლეხი.
— ყველამ ვიცით, ვინც არის.
— ეგ ვინ არ იცის! — დაეთანხმა ვითომ კნოპსიც.
— და რა უნდა ვქნათ, ამას ვერავინ იტყვის, მაგრამ მე გეტყვით.
— მაინც რას, იოჰან?
— გეტყვით, რომ ჩვენ კიდევ გვყავს მტერი.
— კიდევ გვყავს?! — დანიელმა ვეღარ გაიგო, ვინ უბედურება იყო ამ ენი მტერი.
— გვშია და გვწყურია. არის შიმშილი და წყურვილი მტერი თუ არა?
— არის, — თავი დაუქნია დანიელმა.
— ამ გვირაბს ერთი გასასვლელი აქვს, ოთხი სიკვდილი სად მიდის?
— ღმერთო...
— არსად არ მიდის... — განაგრძო იოჰანმა. — აქეთ მოდის, ამ ერთ შემოსასვლელში, ჩვენ რა შეგვიძლია?
— დაწექი მანდ! — შეუღრინა კარლმა.
— არაფერი არ შეგვიძლია, კარლ, ვერავის ვხედავთ!
— ვხედავთ! — პატარა გვირაბისაკენ მოიბრუნა სახე ავსტრიელმა, — ეს ვხედავთ...
— რომ ვხედავთ, მერე რა? თოფს ვერ ესვრი, ისე რამდენიც გინდა უყურე, თუ დაუმიზნე, ესვრი და ერთს მოჰკლავ? უფრო მალე შემოვა სხვა სიკვდილი, მე რომ მკითხოთ...
— აღარ გაათავებ? — აღრინდა ისევ კარლი.
— ილაპარაკოს! — ახლიჩინდა ავსტრიელი. — ვიღაცამ ხომ უნდა ილაპარაკოს.
— რაღაცა უნდა ვთქვათ... — თავი წამოჰყო კნოპსმაც.
— გაჩუმდი! — ისევ არ აცალა კარლმა და მერე ავსტრიელს მიუბრუნდა: — ამდენი რომ ილაპარაკა რა თქვა?
— მეტი რა უნდა ეთქვა!
— მერე ეს გიშველის?
— არ გვიშველის, მაგრამ სანამდე ვიყოთ ასე?!
— ღმერთო, სადა ხარ, შე დალოცვილო! — ჩაიპუტუნა დანიელმა. არავის ყურადღება არ მიუქცევია.
— მე მეტი არაფერი არ მითქვამს, ტყვიას ვერ ესვრი, მაგრამ კიდევ არის... — კარლს გადახედა.

— თქვი! — ნება მისცა ავსტრიელმა, — თქვი, თქვი, — კარლს მიუბრუნდა: — აჩუმებ და შენ არაფერს ამბობ.

— დროა, ყველაფერს ბოლო მოეღოს.

— როგორ?

კარლმა არ უპასუხა.

— თქვას იოჰანმა, რატომ არ უნდა თქვას, — ისევ წამოისროლა კნოპმა. მისთვის აუტანელი იყო, როცა დაუსრულებლად დუმდნენ. მან ხომ არ იცოდა, თუ არ ლაპარაკობენ, რას ფიქრობენ ადამიანები.

— ვნახოთ, რას იტყვი!

— რას და... მე იმას კი არ ვიტყვი...

— თუ რამე საშველი გაგვიჩნდება? — გააწყვეტინა კარლმა.

— არა, ამას არა.

— მადლობელი ვარ, მაშ სხვაზე რაზე უნდა ვიბაასოთ ახლა მე და შენ?

— რადა, როცა ისვრიან, ის უღმერთოები, სათითაოდ ისვრიან. თოფი ხუთჯერ რომ გავარდეს, მე თვალები უნდა დავხუჭო და მოვკვდე. ჩვენ სულ ხუთნიღა დავრჩით.

— შენ როგორ გირჩევნია, ჯერით დაგაყარონ?

— ეს კი არ მითქვამს...

— უთხარი კაპრალს და ის მოგიხერხებს, თუ არა, თვითონ დაგიმატებს ზურგიდან.

— გაიგონებს, ღმერთმანი, ყველაფერს გაიგონებს! — წამოიჩოქა დაბნეულმა გლეხმა.

— გაიგონოს! — იყვირა ავსტრიელმა და ადგილიდან წამოიჭრა, — მან უნდა იცოდეს, რომ ჩვენ ადამიანები ვართ და ქვაბუნა წყალში არ გავიყიდებით.

— ღმერთო, შენ უღმერთო ხარ! — ამოიგმინა დანიელმა და პაულუს ორივე ხელით მუხლზე მოეხვია, — პაულუ, მამაშვილობას, დაჯექი, პაულუ... ჩემი უფროსი ქალიშვილები ბევრით არაა შენზე უმცროსი, დამიჯერე, იქნებ რაიმე საშველი გამოჩნდეს...

— რა საშველი უნდა გამოჩნდეს, — განაგრძო იოჰანმა, — თქვენ თვითონ თქვით, არის საშველი? არ არის. ტყვეებიც გვყავს, საშველი მაინც არაა.

— ტყვეები ჩვენ თვითონ ვართ! — ამოანთხია ბოღმა ავსტრიელმა.— თითო ჭიქა წყლის ფასად, ბაზარზე გასაყიდი ტყვეები!...

— პაულუ, მამაშენი ჩემი ხნისა იქნება. დამიჯერე!..

— ქალები ჰანსს ჰყავს!..

— ასეა, ასე გამოდის და მე რომ მკითხოთ... თქვენ გეკითხებით, რა მოგველის ჩვენ?!

— სიკვდილი! — იყვირა ისევ პაულუმ.

— ტყვეები გვიშველის?.. — ჭუტა თვალები მოავლო გამოძ ბულს სნაიპერმა. — თუ გვიშველის, სადაა მერე?!.

— კაპრალს უშველის!

— მაგრამ დანიელის ოთხ ქალიშვილს მამა სჭირდება და არა კაპრალი! — ხმა თვალებივით დაუწვრილდა იოჰანს.

— ჰანსს არ სჭირდება დანიელი! — დაასკვნა კნოპსმა.

— როგორ არ სჭირდება?! — არ დეთანხმა ავსტრიელი. — სჭირდება, მაგრამ მისი შვილებისათვის კი არა, თავისთვის! — ჰამპელს მიუბრუნდა:— შენც სჭირდები, შე ჩერჩეტო!

— თავისი ტყავის გადასარჩენად, — ისევ მიხვდა კნოპსი და კინაღამ გაუკვირდა, — თავისი ტყავის გადასარჩენად ეჭირდებით.

— მაგრამ ვის სჭირდება ჰანსის ტყავი? — იკითხა ვილაცამ გარედან, ბრეზენტის ყური გადასწია და ქვაბულში შემოვიდა.

ყველამ თვალით იარაღი მოძებნა, მაგრამ ხელი არავის უხლია, მათ წინ ქალი იდგა. ამას არ ელოდნენ და ხმა ჩაუწყდათ. ქალიშვილი კანკალებდა, მაგრამ მაინც წინ წამოიწია და ისევ იკითხა:

— მაგრამ ესეც თქვით, ვის უნდა ჰანსის ტყავი?

— ჰანსს... — ხმამაღლა თქვა პაულუმ და თოფს ხელი წამოავლო.

ტყვემ უკან დაიხია, მაგრამ მალე მიხვდა, ავსტრიელს თუ მისი მოკვლა უნდოდა, იარაღი არ სჭირდებოდა. ახლა თოფის აღება უკან დახევას ნიშნავდა. ქალი თუ იქ თავის ადგილას იქნებოდა, შეიძლება აქედან ტყვია დაეშინათ, მაგრამ როცა ის აქ იყო? როცა თავისი ფეხით მოვიდა?..

— იქნებ შენ უარს ამბობ შენს ტყავზე? — იკითხა ქალმა და შეაჩერდა: მაგ თოფს რომ მიღერ, ჩემი სიკვდილი ხომ შენიცაა. — არ იცით, რომ ჩვენთვის თქვენიც და მისი ტყავიც მგლის ტყავია? აქ მე შტუტესათვის არ შემოვსულვარ, ის თქვენია და რაც გინდათ იმას უზამთ, მაგრამ მეშინია, ცხელ გულზე მეც ზედ არ მიმაყოლოთ.

— ის შტუტე გადაგეფარება, ჩვენ შენი ქათიბის საფერებლად აღარ გამოვდგებით.

— გადამეფარება იმიტომ, რომ თქვენზე ჭკვიანია და იცის, თუ ვინმე თქვენგანი ტყვიას ისვრის, საკუთარ შუბლს ესვრის.

— იქნებ შენც ჩვენზე ჭკვიანი ხარ! — თავი წამოსწია კარლმა.

— არ ვიცი, მაგრამ ახლა რასაც ვამბობ, ამას ჭკუა კი არა, გაჭირვება მალაპარაკებს, ვხედავ, რომ გატენილი თოფია ჩემსკენ მოშვერილი.

— თქვი, რისთვის მოხვედი? — იღრიალა პაულუმ.

— ხომ გითხარით, სიკვდილის მეშინია-მეთქი!

— მერე ასე ახლოს იმიტომ მოხვედი ჩემს თოფთან?

— ვიცი, თქვენ ვერ მესვრით, მაგრამ ბრმა ტყვიისა მეშინია.

— ვითომ, სულ ერთი არ იყოს! — თავი გადააქნია კნოპსმა.

— ვიცი, ვერ გამიმეტებთ! — კნოპსისაკენ არც მიუხედავს ტყვეს. — ეს ისევ ავსტრიელს ელაპარაკებოდა, — ეს თქვენც იცით.

— მერე ამის სათქმელად მოხვედი?! — აღრიალდა ახლა კარლიც.

— მოვედი, რომ გაგაფრთხილოთ, ერთმანეთის ღრენაში მე არაფერი მომწიოთ. თქვენი სული ჩემს ხელშია, მომკლავთ მე და თქვენი ამბავიც გათავდება, აი, ამისთვის „ვუყვარვარ“ თქვენს კაპრალს და ეფიქრობ, თქვენც...

გასასვლელისაკენ გატრიალდა და ბრეზენტი გადასწია.

— თქვენი თოფების თქვენც უნდა გეშინოდეთ!..

იგი შეეცადა ზომიერი ნაბიჯით გასულიყო გამოქვაბულიდან.

თავი მეოთხე

ვახოს მეხუთე-მეექვსე გაკვეთილზე მერხზე ჯდომა ყოველთვის უჭირდა. საერთოდ, მას გაკვეთილი გრძელი ეჩვენებოდა. საზრიანი ბიჭი იყო, თუ უსმენდა, გაუგებარი არაფერი რჩებოდა, მაგრამ მასწავლებლის დაბეჯითებით ახსნა და გამოკითხვა ყოველთვის გაჭიანურებული ეგონა და უნდოდა ბარემ ეთქვათ, რაც სათქმელი იყო და გაეშვათ. რაკი ეს ასე არ ხდებოდა, ხშირად წიგნებს წელში გაირეკბდა და ერთი, ზოგჯერ ორი საათით ადრე სკოლიდან გაილალებოდა. წინდაწინ იცოდა, თუ დედამისი სკოლიდან დაბრუნებულ თაჯის არ დაინახავდა, ბიჭს სახლში არ მიესვლებოდა. ბაბუას ყურამდე ეს ამბავი არ მიჰქონდათ, მაგრამ საშაგიეროდ დედა რაკი ნამუსს უნახავდა, თვითონ ერთიორად სჯიდა. ვახო საღამომდე მშიერ-მწყურვალი ხან პატარა მწყემს ბიჭებში თამაშობდა, ან მთიდან მთამდე ცხენებს დასდევდა, შეღამებისას ლაფარიში რომ აიტუსებოდა, არც იქ ჰყოფნიდა მოთმინება, მანამდე გაეძალა, სანამ შინაურები მილაგდებოდნენ და შინ მერე შემქვრალიყო, ბას იმ სასჯელს ბოლოდინისა უფრო ეშინოდა, ვინემ თვით სასჯელისა

და გამწყრალ დედას ხელში თვითონ უვარდებოდა. ქალს გულს სტკენდა შვილის ასეთი მოუსაზრებლობა, ამ ცხელ გულზე მაინც მომერიდოსო და შავ დღეს აყრიდა. ამიტომ შინაურებთან სულ უბრალ იყოს აწუხებდა და მეორე დღეს სკოლაში ადრე გარბოდა. გაკვეთილებს თმეორებდა და სჯეროდა, რომ სწავლა საღამომდეც რომ გაგრძელებულიყო, მერხიდან ფეხს არ მოიცვლიდა, მაგრამ მეოთხე გაკვეთილი მაინც წელიწადის ტოლა გახდებოდა და ამ დაუსრულებელ ყურყუტს ისევ ცემა-ტყეპა ერჩია.

მან იცოდა, მტრისთვის წყლის მიცემა ამ მოლოდინს გააგრძელებდა და წამებას დასასრული არ ექნებოდა. გერმანელი წყალზე არ გაუშვათ, თორემ ვეცვრიო — იქადდა. თუთარმა გუა მიიმხრო: „წყალი შეწყურვალს როგორ დაეკავებაო“ და მაინც თავისი ჰქონეს. ვახოს არ უსვრია, მაგრამ აბიმ მაინც ჰკრა ტყვია და მართლა კინაღამ დაახოცვინა მტერს ტყვეები.

ამის შემდეგ ვახო ბიჭებს შეეხოსწყრა. იცოდა, თუთარი მასზე უშიშარი იყო და შურდა. მაგრამ მისთვის რომ ყური მიეგდოთ, გერმანელები ახლა ყველა ცოცხალი იქნებოდა. გუას შეეძლო სხვაზე მეტი მოეთმინა და ისეთი რამე არ ჩაედინა, რასაც მერე ინანებდა.

ვახოს სჯეროდა, დედამისი სხვაზე მეტს იდარდებდა, რაკი მისი „უპკეთო შვილის“ ამბავი იცოდა და მშობლის ალერსს დანატრებულ „მტერ ბიჭს“ გული სხვაზე მეტად სტკიოდა. აეღო თავი და შინ გაქცეულიყო, ბაბუას სხვა მის უკეთესმართობას არ უმხელდნენ თორემ, ამას ხომ ვერ დაუმალავდნენ.

იმ დილით ვახო ციცაბოს რომ აუყვა, გუამ მიაძახა:

— ვახო, დაფიქრდი, აქ შენ მომიყვანე და ახლა მე მტოვებ და მიხვალ?!

თუთარმა ხელი ჩაიქნია.

— აცალე, სადაც უნდა, ჯანდაბას იქით წავიდეს! — იცოდა, დედამისთან შეეძლო ვახოს მისვლა. მაგრამ მისი სულწასულობა ქორა მახეშთან ვერ მიიყვანდა და უკან თუ არ დაბრუნდებოდა, ვერც სოფელში გამოჩნდებოდა. ამასობაში კი ვინ იცის, იქნებ რაიმე საშველი გამოჩენილიყო.

ვახო საღამოს დაბრუნდა. ბიჭებს გაემიჯნა, თოფი მოშორებით წაათრია, მერე მობრუნდა, ხურჯინის თვალიდან სიოშესული ერთი ხელყუმბარა ამოიღო, ქამარში თავდაღმა ჩაირჭო და გუამ დანახა, რომ ბიჭს წელზე ბაწრები ჰქონდა დახვეული.

— ეს ბაწრები რაღად უნდა? ხომ იცი, ვახო!..

— რას გაიგებ რად უნდა! — მისკენ არც მიიხედა ჩასაფრებულმა თუთარმა. — აცალე!

მას მერე, რაც ვახო წავიდა, მაინც შიში ჰქონდა, ვინ იცის, რა ქნას, სოფელში მართლა არ გამოჩნდესო. თვითონაც მოთმინება დაკარგა და ახლა გუნებაში კიდეც უნდოდა, ვახოს მაინც ჩაედინა რაღაც „სი-სულელე“.

საიდანაც აქამდე დარაჯობდნენ ქვაბულებში გამომწყვდეულებს, ის ადგილი ყველაზე მოხერხებული იყო, მაგრამ რაც ვახო იქაურობას გასცილდა, იქით დგომაც გაუძნელდებოდა. როცა ბიჭებმა დაინახეს, გამიჯნულმა წელზე დახვეული თოკები მოიხსნა და კლდის შვერილს გამოსდო, დაიჯერეს, რომ ბიჭს ხიფათი არ ელოდა. შეეძლო ამ თოკის ბოლოს გამობმოდა, თუ ღამით უნაბდოდ სიცივეს გაუძლებდა, ხვრინვაც კი ამოეშვა.

თუთარს სჯეროდა როგორც კი სიცივე მოუჭერდა და სიცივეც რომ არა, დაღამდებოდა თუ არა, მისი ბიძაშვილი, ცხვირ-პირში რომ ერტყათ მაინც ნაბდის ქვეშ შემოძვრებოდა, მაგრამ ხელყუმბარა კი აშინებდა, ამ დამთხვეულმა არ აიღოს და ქვევით არ ჩაუძახოსო. თოფი სვანისთვის არც ისე იყო უცხო და რაც ომი დაიწყო, სკოლაში შაშხანის, ავტომატის და ხელყუმბარების დაშლა-აწყობის მეტი რა ისწავლეს. ამას გარდა, ახლა საიდუმლო არც ის იყო. რომ დიდ გამოქვაბულში გერმანელები იყვნენ და ქალები აქეთ, მომცრო, ჭერდაბალ ჯურღმულში ჰყავდათ გამომწყვდეული.

თუთარი თავისი ხელის თითებივით იცნობდა ბიძაშვილს, მაგრამ ივ ღამით მისი ვარაუდი არ გამართლდა. ვახო რომ გაემიჯნათ, ყურადღება არ მიუქცევიათ, რომ თავისიანებზე გაბუტული ბიჭი სწორედ დიდი ქვაბულის თავზე დასახლდა და შეღამდა თუ არა, წელიდან მოიხსნა კანაფის წვრილი, მაგრამ გაძლე თოკი, რაკი იმედი არ ჰქონდა, მის განზრახვას მოუწონებდნენ და ხელს მიაშველებდნენ, თოკი თოკს გალაბა და რაც იმ დაქანებას ქვევით უნდა ჩასულიყო, რაზედაც ან თუ ისე დგომა შეეძლო, ბაწარი ყოველ ორ მტკაველში გამოსკვნა, რომ ჩასვლისას ერთბაშად არ ჩაცურებულიყო და არც ამოყოლა გასჭირვებოდა. ეს მოიმზადა და მიწვა, მიყუჩდა.

დაეაბმებელი ბებერი მთვარე სანამ ამოაღწევდა, ჯერ კიდევ დრო იყო. ერთი ჩაძინება წყალსაც ჩაებინება და მით უმეტეს მშიერ-მწყურ-

ვალი კაცი რამდენ ხანს გაუძლებს. არადა გერმანელები მეჩვეოდნენ იმას, რომ თავზე არავინ ესხმოდათ, თუ ბუნაგიდან არ გამოიხედავდნენ.

კლდე-ღრეში გაზრდილი ბიჭისთვის, უსაშველოდ ბნელი ღამე რომ არ ყოფილიყო, ბაწარზე ჩაყოლა და ამოყოლა თამაშს ემგვანებოდა.

როგორც შთას ჩვევია, ცა მალე აიჭრა და ცივი ქარი ასისინდა.

ვახოს ეს აღარ ადარდებდა, მაგრამ შეეშინდა, არ გაწვიმდეს, ბაწარი არ დამისველდესო და ბიჭების მხარეზე დააჩერდა კლდის შევაკებას. ჩამიჩუმი აღარ ისმოდა. თუთარს ეძინა და თოფმომარჯვებული გუაც უთუოდ თვლემდა.

ვახო მტერს ისე არ უფრთხოდა, როგორც თავისიანებს, არ გამიგონ და განზრახვაზე ხელი არ ამაღებინონო. ისედაც ფსკერგავარდნილი ქალამნები გაიძრო, იქვე თოფთან დააწყო. ზედ რამდენიმე ღამის გაუხდელი, აკოთებული წინდები მიაყარა, ქამარში გარჭობილი ხელყუმბარა ამოაძრო, კლდეზე ჩაყოლისას არ ამომივარდესო, უბეში ჩაიდო. ცივ ლითონს მუცელი რომ არ მიდებოდა, ხერხემლამდე აიტანა, თოკის თავი წელზე მაგრად მოიჭირა და ბაწარს ნასკვებში მოეჭიდა, ფეხები გაშალა, გადაიფერდა. ტინზე აპირებდა ჩაყოლას, მაგრამ კედელი თითქმის შვეული იყო, მთელი სიმძიმე ხელებს აწვა. კლდეს ფეხები მოაცილა, ლაჯებში ჩაშვებული ბაწარი მოძებნა და ტერფსა და ტერფს შუა მოიქცია. მიიწევდა ქვევით ნასკვიდან ნასკვამდე და იცოდა, როგორც კი ფეხებთან კლდე გათავდებოდა და ქვევით შეუხვევდა, ბაწარს მკლავს მოხვევდა. ამოიღებდა უბიდან „ამ უპატრონო", ცივ ბომბს, ორივე ხელით კაპსულზე ნემსს დასცემდა და ბრეზენტს ზევით, საიდანაც გერმანელები ცის ნაპერს ხედავდნენ, ამ თუჯის კოლოფს ქვაბულის სიღრმეში შეაგდებდა. სანამ ყუმბარა აფეთქდებოდა, თუ დანასკვულ თოკს სწრაფად აუყვებოდა, თავის თოფთან და ქალამნებთანაც კი აასწრებდა. თუ არ აასწრებდა და ერთი კაცის სიმაღლეზე რომ ზევით აწეულიყო და მტერს მისი სამყოფელი ზუსტადაც რომ სცოდნოდა, მიზანში ამოსალებად ვერსაიდან ვერ მიუდგებოდა.

გვირაბების ზემოთ რომ რაღაცამ გაიტკაცუნა, გუამ მაშინვე ყურები ცქვიტა და ნაბადში შემძვრალ თუთარს იდაყვი წაჰკრა, მაგრამ სანამ ახალ გაღვიძებული გონზე მოსვლას მოასწრებდა, კარგა ძლიერად იგრიალა. თუთარმა უწინ ცას ახედა. აქ ამაზე უარესი მეხის ცემა იცოდა, მაგრამ ამჯერად გრგვინვა ქვევიდან მოისმა...

შტუტესათვის მოულოდნელი არ იყო ეს ქუხილი. მას ახლა შინაც პყავდა მტერი და გარეთაც. ყოველ წუთს შეიძლებოდა ან ერთს მოეკალა, ან მეორეს, ვისაც არ უნდა გაესროლა, ჰანსი განწირული იყო. მას ვერაფერი ვერ იხსნიდა. დღეს არავის დაუძახია ზევიდან ტყვეებისათვის. ეს დუმილი დიდხანს არ გაგრძელდებოდა. მტერმა ჯერ წყაროს იქით აღმართული კლდიდან მოკლა ობერ-ლეიტენანტი, მერე მიხვდა, რომ გაუგეს, სადაც იყო ჩასაფრებული და სათოფეზე ვერავინ მოიხელა. იფიქრა, იფიქრა, მოუარა, ზევიდან მოექცა გამოქვაბულს და ალფრედი და კლაუსი გამოასალმა სიცოცხლეს. ახლა ისიც იცის, რომ ყარაული მოედანზე არ გამოდის. გვირაბში ტყვიის დაშენაა საჭირო, მავრამ ეს არც იქიდან ხერხდება, საიდანაც მაქსი დაჭრეს და არც ზევიდან. სანამდე შეეძლო, ეცადა მტერს? წყალი რომ არ მიეცა, დაელოდებოდნენ სანამ შიმშილით და წყურვილით არ დაიხოცებოდნენ. წყალი მოგცა, სხვა გზა არ ჰქონდა, ქალებს ვერ გასწირავდა, ახლა ისევ უნდა გასვას, გაჭამოს და ელოდოს?

სანამდე?

ასეთ დროს გაქცევაზე უნდა იფიქრო, მაგრამ მოედანზე რომ გავიდეს, თავისიანები მოკლავენ, როგორც მოღალატეს, თუ სიკვდილი გარდუვალია, მოღალატის სიკვდილით რატომ უნდა მოკვდეს! დანიელმა რატომ უნდა მიაფურთხოს მის გვამს.

აფეთქების ხმამ და დიდი გამოქვაბულიდან გამოტყორცნილმა ტალღამ ბურთივით აისროლა კაპრალი. ეგონა, ყუმბარის აფეთქებას სროლაც მოყვებოდა, გამოქვაბულის შესასვლელს გაეცალა. უნდოდა, თვითონაც ცეცხლით ეპასუხა, მაგრამ თვალით ვერავის ხედავდა. ანე ზერელედ რომ გაესროლა, თავს გასცემდა და დაუშენდნენ იქ, საცაც იდგა.

თოფი არ გავარდნილა, მხოლოდ ქალების კივილი გაიგონა. მერე ესეც ჩაჩუმდა და მეორე გამოქვაბულიდან კვნესა და გოდება მოისმა.

ყველაფერს სრბენელე ფარავდა. შტუტე იდგა და არ იცოდა, მოკლეს, დაჭრეს, თუ ისევ გადარჩა.

„მე მესროლეს და ტყვეებს მოარტყეს?.. იქნებ ტინზე ასხლეტილი ნამსხვრევები მოხვდათ?“ ამის გაგება ახლა არავის შეეძლო. მტერი ალბ გვირაბს დაესხა თავს, მაგრამ ვიღაცა ჯერ კიდევ ებრძოდა სიკეთილს.

მოედანზე არავინ იყო.

პატარა გამოქვაბულში ელდანაცემი გოგონას ჩურჩული ისმოდა. ჰანსი უკან შებრუნდა და თბილი სისხლის სუნი იგრძნო...

ტყვეები გაჩუმდნენ. არ იცოდნენ, ვინ შევიდა მათთან. ჰანსი ცოცხალი იყო და დაბრუნდა, პაულუ დაეძებდა მათ დასაქცევად თუ თავისიანებმა ამოწყვიტეს გერმანელები და გაათავისუფლეს...

კაპრალი არ განძრეულა, არც ხმა გაუღია. მეორე გვირაბში თუ ვინმეს კიდევ სული ედგა, არ უნდა სცოდნოდა, რომ ჰანსი ცოცხალია.

დიდი გვირაბიდან დროდადრო ისევ მოიმოდა განწირული, ყრუ გმინვა.

ამ ამაზრზენი ღამის გათენებას საშველი არ დაადგებოდა.

* *

განთიადისას თავისი სახელი გაიგონა მომაკვდავის კვნესაში:

— ჰანს!..

იგონა მოეჩვენა. მისი სახელი აქ არ უნდა ეხსენებინათ, ან ავად უნდა ეხსენებინათ.

— აღარც შენა ხარ ცოცხალი, ჰანს?! — იკითხა ისევ იმ ხმამ. თითქოს იმიერიდან და კაპრალი ვერ მიხვდა, ვინ ეძახდა. ვის გაახსენდა სულის ამოსვლის წინ მოღალატე.

გვირაბში ისევ ბნელოდა. გახევებულმა ჯარისკაცმა ორიოდე ნაბიჯი გადადგა გასასვლელისაკენ და მაშინვე გოგონას ჩურჩულიც მოესმა. უკან არ მოუხედავს, კედელს აეკრა და მოედანი მოათვალიერა. ვერავინ დაინახა.

მიზობელ გვირაბში ისევ ებრძოდა სიკვდილს განწირული.

ნაბიჯის გადადგმა მაინც ვერ გაბედა. თავისიანებიდან მის შეტი ფეხზე არავინ იდგა. შეშინებული ბავშვივით აკანკალდა, ხელი დაუშვა და ავტომატი კედელზე მიაყუდა, განიარაღებულმა მოედანზე გაიარა და ბრეზენტს მიადგა.

— მოდი, სულ ერთია ვინცა ხარ, მოდი!

შტუტეს დანიელი ეძახდა და უნდა მისულიყო, მაგრამ ვინ იყო იქ კიდევ, ვინც არაფერს ამბობდა?

— მოდი, — ოხვრით გაიმეორა ბეჩავმა, — მოდი, შე შენთან საჭმე მაქვს!

ჰანსმა დაფლეთილი ბრეზენტი გადასწია და მაღლა აკეცა, რომ გამოქვაბულში სინათლე შესულიყო.

არავის უსვრია. სისხლის შემზუთველი სუნი იდგა. თავი დაღუნა

და გამოქვაბულში შეიპარა. მარჯვნივ, კედელზე მიყრდნობილ, ჩამჯდარ ჯარისკაცს შეასწრო თვალი და მიტრიალდა. უნდოდა ეყვირა, არ მესროლოო, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო. იოჰანი მკვდარი იყო. დანარჩენები იატაკზე ეყარნენ წითელ ტბორში.

— ცოცხალი აღარავინაა?

— არა. — უპასუხა გვირაბის სიღრმეში ჩამხობილმა.

— დანიელ!..

— მკვდარი ვარ, ჰანს!

— რა დაგემართა, დაგჭრეს?

— მომკლეს...

— სადა ხარ დაჭრილი, დანიელ?

— ყველგან, მუცელში, ფეხში, ხელშიც...

შტუტემ ჩაიჩოქა. უბედური გლეხიც სისხლში ცურავდა.

— ჰანს!

ჰანსი დუმდა.

— ამოიღე ხმა?

— რა გითხრა?

— მითხარი, რას მერჩოდი?

შტუტეს გული სულ გაუჩერდა, მაგრამ სულთმობრძავს მაინც მიწვდა და გადმოაბრუნა.

— დანიელ! რას ამბობ, დანიელ?!

— მითხარი, ჰანს, რას მერჩოდი?!

— დანიელ, შენც მაგას ამბობ, ღმერთი არ გწამს?

— არა! — იუარა და წითლად გაღებილი თავი გადააქნია. — არ არის ღმერთი!

— დანიელ!..

— მიპასუხეთ, რა გინდოდათ ჩემგან, მითხარით, რას მერჩოდით?!

— მე, დანიელ?..

— შენ.. შენ... ჰო, შენ, აბა, ვინ?!

ჰანსს არაფრის თქმა აღარ შეეძლო. ხმა ჩაუწყდა...

— მითხარით, მითხარით, რა გინდოდათ ჩემგან, რატომ მათრიეთ და მაწამეთ, რატომ მაშიმშილეთ, მამწყურვალეთ, რატომ მესროლეთ და დამგლიჯეთ, ამოიღე ხმა?!.

— მეეე?..

— შენ, შენ, ჰანს, რა პასუხს აძლევ ჩემს შვილებს?!

— დანიელ, ღმერთს შეხედე!..

— სადაა ღმერთი! სადაა, რომ შევხედო! არაა ღმერთი, ჰანს, არაა-და, კაცი შენ ხარ, შენ გთხოვ პასუხს, მითხარი, რას მერჩოდი?!

ჰანსს თავი ჩამოუვარდა. მიხვდა, რის პასუხს სთხოვდა სიკვდილის წინ ალალმართალი გლეხი. ამის გაგება ხომ თვითონაც უნდოდა, ისე, რომ ირგვლივ, თავისივე სისხლში აცურებულ მიცვალებულებს.

ცივი ქვის კედლები და თავზე წამომხობილი, ბომბის ნამსხვრევებით დაკაწრული ტინის ჭერი დუმდა.

თავი მეოთხე

ტყვეებმა გაიგეს, რომ სულთმობრძავი დანიელის მეტი ცოცხალი აღარავინ იყო და თავისი სატკივარი ასტკივდათ. ამდენ ხანს ისინი დიდ გამოქვაბულში მყოფთ უმალავდნენ თავიანთ სიცოცხლეს. რაკი სჯეროდათ, მშველელი რომ მოეხმოთ, პასუხად ტყვიას მიიღებდნენ.

ახლა ჰანსს ესმოდა. როგორ ემუდარებოდა უმწეო გოგონა ქალიშვილს. გერმანელმა იცოდა, წუხელი თავისიანებმა ერთ-ერთი მათგანიც დაკრა. როცა თაჯის სასოწარკვეთილი ხმა გაისმა: — მიშველეთო, — მიხვდა, რომ გოგონა მშველელს თავისთვის არ ეძახდა.

დაჭრილმა უთუოდ გონება დაკარგა, ან სისხლიდან იცლებოდა და შეშინებულმა თაჯიმ მოუხმო ადამიანს, ერთადერთი ცოცხალი ადამიანი ქალების სიახლოვეს ჰანსი იყო.

გერმანელი ანგარიშმიუცემლად მიტრიალდა და უკან წამოვიდა. თავით წამოედო აკეცილ ბრეზენტს და ჩამოშალა. დიდ ქვაბულში ისევ ჩამობნელდა. მაგრამ დანიელს სიბნელე აღარ აწუხებდა.

— შიშველე! — შეაგება ჯურღმულის შემოსასვლელთან მომდგარს სასოწარკვეთილმა პატარა ტყვემ.

შტუტე მოიხარა და ახლოს მივიდა. გოგონას კალთაში ედო ფერწასული, გონდაკარგული ქალიშვილის თავი და ორივე ხელს იწვდიდა.

გულწასულს ფეხები სისხლით ჰქონდა მოსერილი. მარცხენა მუხლს ზემოთ უნდა ჰქონოდა ნამსხვრევი მოხვედრილი.

ჰანსმა კუთხეში მიყრილ ქვაბუნებს შეხედა და თვითონც ხელები უმწეოდ გაშალა.

— არა! — იუარა თაჯიმ, წყლის ამოტანამდე იგი მარტო ვერ დარჩებოდა.

— ადექი! — უთხრა ჰანსმა.

გოგონა წამოიწია და ქალიშვილის თავი ნაბადზე დაუშვა.

მხრებჩამოყრილი, დაპატარავებული გერმანელი რაღაცაზე უაზროდ ყოყმანობდა.

— მითხარი რა ვქნა?! — შესძახა გოგონამ.

შტუტე ჯერ დაჭრილს დააჩერდა, მერე თაჯის და თავით ანიშნა გადი. შენებს დაუძახეო.

— გუა! — იწივლა გოგონამ და გარეთ გავარდა. — გუااا!

— გუااااا! — აგუგუნდნენ ხევები.

აღმოსავლეთით ღრუბლებს ცეცხლი ედებოდა.

— მიშველეთ, გუა, ჩქარა, ჩქარა!

გამოქვაბულში რომ დაბრუნდა, გუცას თეთრი ტუჩები უთრთოდა.

— ცოცხალია? — ჰკითხა იქვე ჩაცუცქულ ჰანსს.

ჰანსმა თავი დაუქნია.

— წყალი!

გერმანელი უკან დაიწია, გოგონამ შეაჩერა.

— მოიცა, გუა მოვიდეს, გუა ჩამოვიდეს და მერე...

ერთხანს უზარმაზარი სიჩუმე ჩამოვარდა.

— თაჯი! — მოისმა გარედან.

— ჩქარა, ბიჭებო, ჩქარა! — ამოისუნთქა დაზაფრულმა პატარამ და ისევ გარეთ გავარდა.

ზევიდან თოფით, კისერზე ხურჯინგადაკიდებული გუა ეშვებოდა.

— ცოცხლები ხართ?! — იკითხა ზევიდან თუთარმა.

— ჩქარა, ჩქარა! — უპასუხეს ქვევიდან.

— მითხარით, რა გჭირთ?! — შეეხვეწა ვახო.

— ენა გაიჩუმე, თუ არა გაგიხეთქე თავი! — უყვირა თვალტირვებულმა ბიძაშვილმა.

გუა მოედანზე ჩასრიალდა, თავი ვერ შეიკავა და ჩაჯდა. მაშინვე წამოხტა, გაიქცა.

გამოქვაბულში ბნელოდა და შესასვლელთან შეჩერდა.

— თაჯი!

— აგერ, გუა, აგერ ვართ!

ბიჭი წინ წამოიწია და გახედა. მოეჩვენა, რომ იქ ვიღაცას გერმანული მუნდირი ეცვა. უნდოდა უკან გამობრუნებულიყო, მაგრამ მუხლები აუკანკალდა.

— რას უცდი?! — მოისმა შიგნიდან, მაგრამ გუა კაპრალს უყურებდა და ნაბიჯი ვერ გადაედგა.

მერე ვიღაცა ხელებში ეცა და ბაწარჩაბმულივით წაიყვანა. ბიჭი

რაღაცას წამოედო, წაიფორხილა, მაგრამ გერმანელს რომ ჩაეარა, კისერი მოეღრიცა.

— ეს ჰანსია! — ჩაილაპარაკა გოგონამ ისე, თითქოს „ეს ჰანსია" გუას შორეული ნათესავი ან ძველი ნაცნობი მაინც ყოფილიყოს.

უიარაღო ჯარისკაციც უძრავად იდგა და შემოსულს შეჰყურებდა.

— ვინაა?!

— ჰანსია!

ბიჭს ვერ გაეგო, რატომ ეცვა ამ ჰანსს მტრის მუნდირი, თუ თაჯის ასე შეეძლო ეთქვა მისი სახელი.

გუამ დაკრილთან ჩაიჩოქა და მაინც უკან მიიხედა.

— რას უცდი, სად იხედები?!

ბიჭმა იქაურობა ისევ ფაათვალიერა. კედელზე აყუდებული ავტომატი დაინახა და გაშეშდა. გერმანელი შეირხა და იქით წაიწია, საითაც ბიჭი იცქირებოდა. მტერმა იარაღს რომ წაავლო ხელი, გუა მისკენ მიტრიალდა და კედლისკენ გახოხდა. გერმანელი ქვაბულიდან გავიდა და ავტომატი ბარიკით წაათრია.

— რისი გეშინია?! — გაუკვირდა თაჯის და ვუას კისერზე გადაკიდებული ხურჯინი ჩამოხსნა.

— წყალი რომ გვინდა? — თქვა სიკვდილმისჯილივით და ძლივს მოაგონდა, რომ აქ წყალი არ ჰქონდათ.

— ჰო, მართლა, წყალი! — თქვა თაჯიმ და თვალით ვილაცას დაუწყო ძებნა.

შემოსასვლელს ხელცარიელი გერმანელი მოადგა.

— წყალი, ჰანს! — მიაძახა გოგონამ.

გუამ თვალებს არ დაუჯერა, გადამთიელი შეშფოთდა, ჭურჭელი მოძებნა და გზას გაუდგა.

ბიჭი ახლა თაჯის მიაშტერდა — ვერ გაეგო, ეს გოგონა გამოცდალეს, თუ ის მუნდირიანი არ იყო ვერმანელი?!.

* *

შტუტე რომ გამოქვაბულში დაბრუნდა, ამის შემდეგ ერთხანს ყველაფერი მიწყნარდა.

როდის-როდის მოისმა გუას ხმა. ვახო ფეხზე წამოვარდა, ბაწრის თავს ეცა და გუას მერე ჰკითხა:

— ავწიოთ?

— მოიცა! — შეაჩერა თუთარმა. მიეშველა. ორივე დაებღაუჭა, ნელ-ნელა დაჭიმეს თოკი და ბაწარზე დაკიდებული მაღლა აათრიეს.

— ჭრილობა საშიში არაა! — ამოიტანა ამბავი გუამ.

— ცოცხლები არიან?!

— ჩაიგდე ენა! — იღმუვლა თუთარმა.

— ცოცხალია და რა გატირებს, შე უპატრონო!.. — მაჯაზე იკბინა ვახომ, რომ კიდევ არაფერი ეთქვა.

გუა ამბის ამოსატანად ამოვიდა და მალე უკან უნდა დაბრუნებულიყო. ის კი არადა, ღამეც ქვევით უნდა გაეთია. თუ რაიმე შეეძლო, ორიოდე სამკურნალო ბალახის მცნობ, უძინარ, არაქათგამოცლილ ბიჭს ცდა არ დაეკლო. გუას უკანასკნელი ქონის ნაჭერი დაეტოვებია თაჯისთვის. ახლა საჭირო იყო თუთარი ან ვახო კიდევ ჩაპარულიყვნენ ლოფელში და იქნებ რაღაცა ისევ ეშოვნათ.

— რად უნდა ჩავიპაროთ! — გადაირია ვახო.

— ენა! — ჩააჩუმა თუთარმა, მაგრამ მერე გუას მიუბრუნდა და თვითონაც ის თქვა, რაც მისმა სულწასულმა ბიძაშვილმა. — რატომ უნდა ჩავიპაროთ?!.

— ყველანი წავიდეთ! აქ რას ვუდგავართ?! — წამოხტა ვახო, — რა ელოდათ ჩემგან... ტყუილია?!.

— რას ამბობს! — შეიცხადა თუთარმა. — იქ გერმანელი რომაა, არ გახსოვს? რამ გამოგატვინა!

— იყოს მერე!

გუასაც გაახსენდა, რომ იქ მარტო ქალები არ იყვნენ, მაგრამ თაჯის არ იყოს, ის ბომ „ჰანსია“ და მეტი არაფერი...

— მაშინ მე ისევ ქვევით უნდა ჩავიდე!

— მეც მოვდივარ! — დაფაცურდა ვახო.

— სად მიდის? — ჰკითხა გუას გონდაფანტულმა თუთარმა.

გუამ მხრები აიჩეჩა, მაგრამ ვახოს გადაწყვეტილება არ გაკვირვებია, თითქოს ეს დაუფიქრებლად შეიძლებოდა მომხდარიყო.

ვახოს ენა აკლდა; გამოხოხდა, ეცა ჩაკიდებულ თოკს და სანამ ბიჭები აყვირებას მოასწრებდნენ, თოკზე დაეშვა.

თავი მეხუთე

დანიელი მზის ამოსვლას არ დასწრებია. წავიდა ისე, რომ უმოწყალოდ დაგლეჯილს პასუხი ვერავინ გასცა, ვერც ღმერთმა და ვერც ადამმა. აქ არ მოუსვენეს. საშველი არ მისცეს, სანამ სული არ ამოხა-

ღეს. ახლა მიდიოდა და ვისთან, არავინ იცოდა. მორწმუნე გლეხს საა-ქაო და საიქიო ერთად გამოეცალა ხელიდან და სულიან-ხორციანად დაიღუპა.

დანიელის სიკვდილის შემდეგ დიდ გამოქვაბულში ყველანი ერთნა-ირნი იყენენ და ყველას ერთი სათხოვარი ჰქონდა ჰანსთან — მიწა.

გუას ჩამოსვლის შემდეგ შტუტე საჭიროდ არ თვლიდა, ნებართვა ეთხოვა დახოცილების დასამარხავად. ისინი დიდი ხანია შეთანხმდნენ, რომ საფლავი ყველა მკვდარს ეკუთვნის, მომაკვდავს წყალი, მაგრამ გუცას ახლა მარტო წყალი ვერ უშველიდა. იგი აქედან უნდა წაეყვანათ და დღეს-ხვალ ამას გააკეთებდნენ.

ვინც აქ. შტუტესთან ერთად მოვიდა, ყველამ დაასრულა საფიქ-რალი და სატკივარი. ჰანსი იმდენად უიღბლო გამოდგა, ვერც კლაუს-თან დამარხა თავისი უბედურება და დანიელსაც, ალბათ, ისე მიაყრიდა მიწას, თავსაცემი არ დაელეოდა.

ქონის ნაჭრიდან, რომელიც ბიჭმა გოგონას დაუტოვა, გერმანელმაც მიიღო თავისი წილი. მან დღეს წყალიც დალია. ახლა ძალა უნდა მოეკ-რიბა. რომ ხუთი მიცვალებულისათვის საღამოს ხამუდამო სამყოფე-ლი მიეჩინა და თავის თავზე, თუ ფიქრი კიდევ შეეძლო, მერე ეფიქრა.

დაჭრილს თავი გვერდზე ედო და გასასველელისაკენ იყურებოდა. ჭოედანზე მზის შუქი ჩანდა. გოგონაც გარეთ იყურებოდა. ტყვეები ისე დატანჯა ამ ჯურღმულში ყოფნამ, სინათლესა და მზეს მონატრებუ-ლი თვალები გარეთ გაურბოდათ.

ახლა დაჭრილის სატკივარი მარტო ჭრილობა არ იყო.

— ჰანს! — თქვა მან ბოლოს.

— გისმენ. ფროილაინ!..

ქალიშვილმა თვალი ააყოლა გერმანელს და შეყოყმანდა.

შტუტე ვერ მიხვდა, რა უშლიდა ქალიშვილს ეთქვა, რის თქმასაც ამირეებდა.

— თქვით. ფროილაინ!..

— რა გინდა, გუცა? — თვალებში ჩააჩერდა თაჯი.

დაჭრილმა თავი გაიქნია: შენ ამას ვერ გაიგებ და მაცალეო.

— ფროილაინ! — გაიმეორა ჰანსმა, — რაკი გინდათ თქვათ, ალბათ მისი გაკეთებაც შეიძლება.

ქალმა თვალებში შეხედა: აქ შენი გასაკეთებელი აღარაფერიაო და ფაინებით დააცქერდა გერმანელს.

გუცას მზერამ თავიც გააკვირვა და ისიც უხერხულად ატეხულ ჰანსს შეაჩერდა, თითქოს ამ კაცს პირველად ხედავდა.

იგი ახლა ისე მაღალი აღარ იყო, თავიდან „გაცნობისას“ ოდნავ, უკან გადაზნექილიც კი მოეჩვენათ, — ახლა პირიქით, წინწახრილი ჩანდა, თვალები ჩაცვენოდა და უპეებზე ჭკნობა შეპარვოდა.

— ქუდი მოიხადე, ჰანს!

შტუტე ვერ მიხვდა, რაში სჭირდებოდა ქალიშვილს მისი ქუდი, მოიძრო და მიაწოდა.

დაჭრილმა თავი გადააქნია.

ჰანსმა ხელი უკან წაიღო და ისევ უხერხულად დადგა.

— შენ ახლა შენს თავს ვერ ხედავ?

— ვერა, ფროილაინ!

— ნურც დაინახავ! — ქალმა თვალი აარიდა.

— რა მჭირს, ფროილაინ?!

არ უპასუხეს.

გერმანელს თმა ერთიანად გასთეთრებოდა.

თავი მეექვსე

წყაროს ქვევით მიმავალ ბილიკი ტინის კედელთან რომ მარჯვნივ უხვევს, სადაც წაბლისფერი ცხენი გადაჩეხა თუთარის ტყვიამ, იქიდან პირდაპირ უფსკრულის გაღმა, უნაგირა მწვერვალის ქვევით, კლდის მორღვეულ უბეში თოფშეყენებული ბიჭი იჯდა. იგი უფსკრულის გაღმა იცქირებოდა და კარგად ხედავდა წყაროსპირა ღორღიან ხავსის მინდორს, მაღლა მიმავალ ციცაბო ბილიკს და გვირაბის წინა მოედნის ნახევარზე მეტს. გვირაბის თავზე ჩასაფრებული ბიჭების სამალავი არ ჩანდა, მაგრამ ზუსტად იცოდა მათი ადგილ-სამყოფელი.

მარტოხელა ბიჭი მოწყენილი და სევდიანი ჩანდა. ღამით, ბომბის აფეთქების ხმა რომ გაიგონა, მას აქეთ თვალი არ დაუხამხამებია. ინათა თუ არა, და გაიგონა ძახილი, დაინახა „ის“, ვისთვისაც ამ კლდე-ღრეში ყურყუტებდა.

მერე მოედანზე ბაწრით დაეშვა გუა. ეს არ უნდა მომხდარიყო, თუ გამოქვაბულში, ტყვეების გარდა, ცოცხალი იყო კიდევ ვინმე, მაგრამ ბალე გამოჩნდა, ვინც არ უნდა გამოჩენილიყო. ბილიკზე ჩამოდიოდა გერმანელი. ეს გერმანელი ბევრჯერ დაუნახავს, მას შემდეგ, როცა მან გვირაბიდან გამოსული მტრის ჯარისკაცი მოკლა და კინაღამ გადარჩა მაღლა ჩასაფრებული ბიჭები. ფეხად გაასწრო მაშინ თუთარს და ეს ახა-

ლი სამალავი მოძებნა. მას აქეთ ხედავს ამ გერმანელს, ხან წყალზე ჩამოდის, ხან საფლავებს თხრის და აქამდე ვერ გაიგო — მტერია თუ მოყვარე.

ჯარისკაცმა წყალი მაღლა რომ აიტანა. ამის შემდეგ ერთხანს ყველაფერი მიწყნარდა. ბოლოს, გუა ზევით, ბიჭებთან დაბრუნდა და მალე მაღლიდან თოკით ქვასავით დაეშვა ვახო.

ცოტა შეაგვიანდა და ბაწარს ჩამოჰყვა ისევ გუა, მერე ნაბადშეხვეული თოფები და ხურჯინი, თუ რაც გააჩნდათ, ჩამოუშვეს და თოკიც ჩამოვარდა. თეთარი, ალბათ, უკან გაბრუნდა იმ გზით, საიდანაც გადმოვიდნენ. ასე რომ არ ყოფილიყო, ბაწარი არ უნდა ჩამოეგდოთ. ქვევით ჩამოსულთაგან ერთი იქვე დარჩა და მეორე გვირაბში შეიდა. მალე ისიც თან შეჰყვა და მოედანზე ერთხანს მარტო ნაბადი ეგდო.

ეზე შუბის ტარზე წამოვიდა და მწვერვალის უბეში ჩასაფრებული ბიჭის სამალავშიც შეიხედა. ბიჭს მაინც არ გახსნია წარბი. კაცმა არ იცოდა, რა ხდებოდა, ყველაფერი ერთმანეთში ერეოდა და ყველა ვაოაუდი უცრუდებოდა.

ეზე საშუადღეოზე იყო, როცა გვირაბიდან გამოვიდნენ და ნაბადში გახვეული გამოიყვანეს, მოედანზე დაუშვეს. ახლა ყველანი ერთად იყვნენ. ისინი, ვინც ჩამოვიდნენ და ისინიც, ვინც აქამდე ქვევით იყო გამომწყვდეული.

ერთხანს ვერავინ მოისაზრა რა გაეკეთებინათ, მერე ერთი ბიჭი ეცა ნაბადში გახვეულს და ასწია, მეორეც მიეშველა, ბოლოს გოგონაც ჩაებღაუჭა და მოედნის ბოლომდე, ბილიკის დასაწყისთან მიაღწიეს. შეჩერდნენ. იმ ბილიკზე ასეთი ტვირთით ეს „ვაჟკაცები“ ნერას უკაცრავად?! ფირს დაუშვეს და ყურები ჩამოყარეს. ისევ არ იცოდნენ, რა გზას დაადგომოდნენ.

კარგა ხანს შემდეგ ქვაბულის წინ დაყუდებული მაღალი გერმანელი ფაიძრა, მივიდა მათთან, დაიხარა და ნაბადში გახვეული ასწია. მაშინვე სხვებიც მიეშველნენ. თაჯიმ ბაწარი მიაწოდა. მაღალმა მხარზე მოიდო, ნაბადზე შემოატარა და ისევ ბეჭზე მოიხვია. მკერდზე მაგრად რომ მიიკრა, ხელებიც მიაშველა და ქვევით წამოვიდა. წინ ერთი ბიჭი გაიძღოლა. დანარჩენები უკან მიჰყვნენ.

ბილიკი მარჯვნივ კლდეს მისდევდა და გულზე მიკრული ტვირთით პირდაპირ ვერ ივლიდა. ფრთხილად შებრუნდა და გვერდულად დაიწყო სვლა. ყოველ ნაბიჯს წინდაწინ ზომავდა. სანამ არ დარწმუნდებოდა, ფეხის დასადგმელი ადგილი სანდო იყო, ადგილიდან არ იძროდა.

წინ მიმავალი ბიჭი ჩერდებოდა და ბილიკზე ჩამოვარდნილ ქვას ან ჩამონაშალ ღორღს ქვევით ჰყრიდა. მოსახვევამდე დაქანება იყო, სადაც ცარიელი ქვაბუნებითაც ჭირდა ჩასვლა. მაგრამ თუ ასეთი სიფრთხილით ივლიდა, იქამდე მიაღწევდა. იქ კი სხვა ხერხისათვის უნდა მიემართა.

მწვერვალის უბეში ჩაყუჟული ბიჭი თვალგაშტერებული მისჩერებოდა ბილიკზე ჩამომავალთ. მოულოდნელად ხევიდან ცხენის ფეხის ხმა მოისმა. მერე მიჩუმდა. მალე ისევ განმეორდა.

გვირაბებიდან წამოსულნი მოსახვევამდე მოვიდნენ. გულზე ტვირთაკიდებული ჩაჯდა, წინ წასულ ბიჭს ხელი გაუწვდინა და მჯდომელამ აღგილი გადაინაცვლა. მოსახვევთან ზურგით აეკრა კედელს და ორივე ხელით აჰყვა, გაიმართა, მობრუნდა და გზა ისევ-ზვერდულად განაგრძო.

ცხენების ფეხის ხმა მოახლოვდა. მთების ექო ფლოქვების ხმებს ერთმანეთში ურევდა, ამრავლებდა და გუგუნი მოჰქონდა.

ბოლოს, სულ ახლოს მოისმა ნალების ჭახანი და ბილიკის მოსახვევში კუნაპეტივით შავი ცხენი შემოვარდა მხედარით, მერე მარქაფად ადევნებული ნისლა და ფიცხი ულაყი.

ჭენებით მისდევდნენ ბილიკს. კლდეს შემოურბინეს და წყაროსთან ღორღიან მინდორზე გავიდნენ. საფლავებს გადაუარეს და წინ წასასვლელი რომ ვერ იპოვეს, ცხენები ადგილზე დატრიალდნენ და ჩამონაშალი ქვა-ღორღი დატორეს.

ნიკალარი ჩამოქვეითდა.

მაღლიდან კიდევ არ იყვნენ ჩამოსული. ბიჭმა ცხენები აღვირით გადაბა და გაოცებით მიაშტერდა გულზე ტვირთაკიდებულ გერმანელს. ხედავდა და არ სჯეროდა, უცქეროდა და თვალი მატყუებსო, ეგონა.

როგორც კი ჩამოაღწიეს, გერმანელმა იქვე ჩაიჩოქა, მისცვივდნენ და დაბრილი ძირს დააწვინეს. გუამ თავისი ნისლისფერი ცხენი მოიყვანა, მაგრამ დაბრილს ასე შეხვეულს ვერ აჰკიდებდნენ უნაგირზე. ცადატყორცნილი მწვერვალების ძირში მიტმასნილ ბილიკზე ასეთი ტვირთით ცხენი ვერ გაიელიდა — გზის სიგანე არ ეყოფოდა.

პატრონმა ნისლას მუხლზე შემოჰკრა და აღვირი ქვევით დასწია. ძირეტყვმა ფლოქვებით ფეხებქვეშ ღორღი გაწმინდა და ჩაიჩოქა.

დაბრილს ნაბადი შემოაცალეს და ჩაჩოქილ ცხენზე გადაიყვანეს. ისევ მოახურეს შავი მოსასხამი და უნაგირზე დააკრეს.

ბიჭმა ნისლა ფრთხილად წამოაყენა და წინ გაუძღვა. შავ ცხენზე თაჯი აფორთხდა, მაგრამ ძმამ სადავე არ დაანება. ფიცხ ულაყს ვახო მოევლო და ქუსლი ჰკრა, ყველას წინ გადაურბინა და წყაროსთან მიიჭრა.

ნელა, ორ-ორზე მიდიოდნენ პატრონებს ადევნებული ცხენები. იმ ადგილზე, სადაც დაჭრილი უნაგირზე შესვეა, ხმელი კუნძივით ღარჩა ჩაჩოქილი გერმანელი. დარჩა და უყურებდა მიმავალთ.

წინ წასული ვახო შეჩერდა. უნდოდა, ჩამორჩენილები გაეტარებინა და მერე შეჰყოლოდა ბილიკს, მაგრამ მათ მოახლოებას მაინც ვერ დაუცადა, წელში მოიხარა და ულაყს სადავეები მიუშვა.

ყველა თავჩაღუნული აედევნა. მიდიოდნენ ნელა. ძალიან დაღლილი, ქანცგაწყვეტილი კაცის ნაბიჯებით. უკან არავინ იცქირებოდა. ერთხელ ნაბადში გახვეულმა ქალმა და გოგონამ მოიხედა, როცა მოსახვევთან ძიდიდნენ, მერე იმათაც თავი ჩაჰკიდეს.

ჩაჩოქილი გერმანელი დარჩა, დარჩა ერთ ადგილზე მწვანე ხავსმოდებული ხმელი კუნძივით. არ შერხეულა, არც მაშინ, როცა მისკენ მოიხედეს და არც მერე, როცა თვალს მიეფარნენ.

ერთხანს ცხენების ფლოქვებს ხმაღა ისმოდა ყრუდ.

გერმანელი ისევ უძრავად იყო, როგორც კლდეზე წერჩენილი ეული. ხმელი ხეები დგანან და დგანან. ირგვლივ შემოჯარული მთები კი დუმან და აღარაფეოს აძბოაეი.

უფსკრულის გაღმა, კლდის უბეში წარბგაუხსნელმა ბიჭმა ლოდებში გაყოფილი თოფი უკან წაიღო. მარცხენა ხელით თავდაღმა დაიჭირა და მარჯვენათი უხმაუროდ დაუშვა შემართული ჩახმახი, მერე მწვერვალის მაბვილა უნაგირისაკენ გაძვრა და მაღლა აფორთხდა. უნდა ეჩქარა, რომ დროზე მისულიყო იქამდე, სადაც ცხენი ჰყავდა გაშვებული. იმ ცხენს, იმ საბედისწერო ღამის შემდეგ გერმანელებმა წყაროს პირზე რომ მიატოვეს, რამდენიმე დღის შემდეგ ები გადაეყარა ბილიკ-ბილიკ მოხეტიალეს და ხევში გადამალა. მთები არაფერს არ კარგავენ და სოფელში უმხედროდ ჩასულს ვაითუ საიდუმლოება გაეცა, ბიჭები ასე გულმოდგინედ რომ ინახავდნენ.

ცატეხია საჯიხვეები კი დუმდნენ. ხევში მიბუბუნებდა მდინარე, მაგრამ იგი მთების სათქმელს არ ამბობდა. ზეცას თავმიბჯენილ მწვერვალებს თავისი დიდი ფიქრი და უსარმაზარი საოქმელი აქვთ და თავქვე გაქცეულ წყალს არ გაუმხელენ. ორლესულივით მაღლა აღმართული მთები აქ რჩება და თავის ბუმბერაზ ფიქრსა და სიტყვასაც თვითონ იტოვებს.

ბოლოთამა

ომი კიდევ დიდხანს გაგრძელდა. სვანეთში აღარავინ იცის, რომელი სოფლიდან, ან ვინ იყო ის მონადირე, მას შემდეგ პირველად რომ ჯაჭვა იქ პილიკს და ღამე იმ გამოქვაბულში გაათია.

ახლა გვირაბი ცარიელია. მონადირეების მიერ ამოტანილ ფიჩხის კონას თუ გადაეყრები და ცეცხლის ნაშთებს. მხოლოდ დაკვირვებულ თვალს შეუძლია კედლებზე ნატყვიარების გარჩევა.

ქვევით, წყაროს პირი, ახალი ჩამონაშალი ქვებითა და ღორღითაა დაფარული და უკვე ძნელია იქ საფლავები იპოვოს კაცმა.

ჰანსის მნახველი მე არ მინახავს, თქმით კი ბევრ რამეს ამბობენ, მაგრამ ნათქვამის ნათქვამს, განაგონის განაგონს.

დაუჯერებელია, მაგრამ ხმა დადის, თითქოს დღესაც ცოცხალი იყოს ეს გერმანელი. ცნობილ მონადირეებს იმოწმებენ, რომ არაერთხელ ენახავთ მარტოხელა, კლდე-ღრე მოხეტიალე კაცის ნაკვალევი. არასოდეს სოფლის ახლოს არ გამოჩენილა, მაგრამ ისეთ მიუვალ და მარადთოვლიან მწვერვალებზე გადასულა, სადაც ბევრ კარგ მონადირეს ფეხი არ დაუდგამსო.

ჰგონიათ, გადამთიელი მას აქეთ ეძებს გზას, უნდა თეთრი და მიუკარებელი მთები გადალახოს და თავის ქვეყანაში დაბრუნდეს. გასაოცარი ძალ-ღონით ებრძვის მყინვარებს. გადადის საჯიხვეებზე, ხევიდან ხევზე, მწვერვალიდან მწვერვალზე. ეძებს, ეძებს გზას, რომელიც თავის ქვეყანაში დააბრუნებს, მაგრამ ყველა ბუელ მონადირეს სწამს, რომ აქ ნადირობის ქალღმერთის ხელი ურევია. დალი უბნევს გზას უცხო ქვეყნიდან გადმოხვეწილს და უნდა, უფსკრულში გადაჩეხოს, მაგრამ გადამთიელი კარგად იცნობს მთებს და მისი დაღუპვა ძნელიაო.

ამბობენ, თითქოს ყოველ წელიწადს ხვდებიან ახალ-ახალ ნაკვალევს. სამშობლოს მოწყურებული ლტოლვილი თავისას არ იშლის, მაგრამ ხალხი ეპვს გამოთქვამს, რადგან სწამთ, რომ ამ მთების განმგებელი ქალღმერთი მოწყალე არაა.

დალისთან ხმა არავის მიუწვდება, თორემ მაღალკოშკებიან მთის ქალაქებზე მაკიდებულ სოფლებში გაიგონებთ სვანურ ომახიან სიმღერას ვიღაც უცხო ტომისა და მოდგმის ჰანსაიზე.

სა, ბოი ეი და...
სიბრალ ანსა, ლეგრი ჰანსაა!
შეუკვარ ბიჩა ცეკას ლიმარს! —
სა, ბოი ღი დაა...

ქალი გამოვიდა სალალა ცოდ

მეგობარი მეწვია ამას წინათ. არ ველოდი.

წესელ მთელი ღამე გავწამდი მატარებელშიო. — ცივირპირჩამოტირებულს ზედვე ეტყობოდა.

როგორც ხდება: — იქით, ჩვენსკენ რა ამბავია-მეთქი, და რაღაც-რაღაცებს მოაყოლა:

— ერთ ჩვენებურ ქალს, აქ ცხოვრობდა, ოქროსავით ქმარ-შვილი მიუტოვებია და ვიღაც წყალწაღებულს გაყიდებია. კარგი გოგო იყო, სკოლა ერთად დავამთავრეთ, ჩემს პარალელურ კლასში სწავლობდაო — წუხდ.

— შე კაი კაცო, გაყრა, გაქცევა, ღალატი და ოჯახ ბის ნგრევა პირველად გესმის?

— პირველად რომ არ მესმის და არც უკანასკნელი იქნება, უბედურებაც ესაა.

— რატომ, რა მინაზითო, არაფერი იცის?

— მგონი, რაღაც სულელური ეპვიანობის ვაშო, თუ... დღეს რას გაიგებ.

— ვინაა, მე ხომ არ ვიცნობდი-მეთქი.

— რომ გიცნობოდა, ისეთი ღვთისნიერი გოგო იყო, არ ეაიჯერებდი, მაგრამ შენ საიდან... ჩვენ ხომ სიყვარული ზეგობრები არა ვართ.

არა, ჩვენ სიყრმის მეგობრები არა ვართ.

ერთადერთი, რაზეც იმ საბედისწერო დილით ქალის დარბეულ გონებას შეეძლო ეფიქრა, იყო შურისძიება...

შურისძიება უშველავათო, ცივი, უსულგულო...

შურისძიება თავის თავზე, ქმარზე, შვილზე, დედ-მამაზე, ძმაზე, მეკობარზე, სოფელ-ქვეყანაზე, ყველაფერ მართალზე, ზნეობრივზე, წმიდათაწმიდაზე, ჭეშმარიტზე...

ღალატი!

ბორჩა და გათავდა. არავითარი ორჭოფობა და სინანული; არავითარი სინდის-ნამუსი და მორალი. უკან მიბრუნება და წინ გახედვა... არავითარი შენდობა...

ღალატი და მხოლოდ ღალატი.

არც... არც ბაწარში თავის გაყრა, საწამლავები და მდინარეში ვადავარდნა, არც ფანჯრიდან გადმოხტომა. ამით ხომ მხოლოდ თავს დასჯი. ყველა დანარჩენი, უამრავი, ვინც და რამაც აქამდე მიგიყვანა, თავდახსნილი დარჩება...

შურისძიება!

შურისძიებავ!.. რა ძლიერი და ყოვლისმომცველია შენი ნება... ღრმა, სისხლიან ჭრილობაზე მუჭა-მუჭა მარილის დაყრასავითაა... შურისძიების ავი და შეუპოვარი გრძნობაა სუსტს, უნიათოს, ლაჩარს რომ ძალისხმევით აღავსებს და უსუსურ დიაცსაც ამორძალის გამბედაობით, სიმტკიცითა და ღირსებით ტენის.

შურისგებავ! ამბოხია შენი გზა-სავალი, შეურიგალი და ქედუხრელი. შენითაა, თუ ადამიანს ადამიანის სახე ჯერ კიდევ შერჩა. შენითაა — ძალმომრეობამ, უსამართლობამ, დაჯაბნამ და ფეხით გათელვამ ძეხორციელი რომ ძონძების ჩვრად ვერ აქცია.

ნაცვალგებავ! ღმერთმა ნუ ჰქნას მიატოვო ადამის მოდგმა თავქარძა ქვენა გრძნობების ამარა, ჩაუქრო მესისხლეობის ცეცხლი და ერთხელ შობილი, ერთხელ სიკვდილის მადლს მოაკლო.

შენ იფარავდი და იფარავ კაცს კაცისაგან, კეთილს ბოროტისაგან, ჩაგრულს მჩაგვრელისაგან, ცხვარს მგლისაგან.

შენ იყავი და ხარ უზენაესი მსაჯული და უანგარო სჯულმდებელი, მიხსნალ-მიხსნალ რომ სწონიდი ავსა და კარგს, მრუდსა და მართალს. შენს ჰინაზე წვეთ სისხლს ზღვა წყალი ვერ აიწონიდა, ვერც გადარეცხავ.

შენ ახურავდი კაცს ქუდს, ქალს ლეჩაქს...

ქალს...

„ახია ჩემზე... ახია ჩვენზე... ყველაფრის ღირსი ვარ... ყველაფერი გვეკუთვნის!.. არა... არა და არა, ხმალი არ უნდა გაგვეგდო ქალებს ხელიდან. არ უნდა წამოგვეკიდა თავზე ეს გარყვნილი, ფრცხვი და ბოროტი მამაკაცები“...

კბილზე კბილდაჭერილი, პირმოკუმული ქალი ამუნათებდა, კიცხავდა, რისხავდა თავს, თავის სქესსა და მოდგმას — კაცობრიობის ნახევარზე მეტს.

ქუჩაში გაჩქარებით მიმავალი, დევნილი, შეგინებული და თავლაფდასხმული... გარბოდა, ესწრაფოდა, ილტვოდა, რომ მალე, რაც შეიძლება სწრაფად, უმალ, უკანმოუხედავად, დაუნანებლად გაცლოდა იქაურობას. გადახვეწილიყო იქიდან, სადაც ფეხქვეშ მიწა ეწვოდა, ცა თავზე ექცეოდა და აღარ... იმ არემარეზე, იმ კარ-მიდამოზე, იმ სამყოფელზე არ გაეძლებოდა. უკვე იქ აღარ იყო მისი ადგილი... აღარ ერქვა თავისას თავისი, ბინას — თავშესაფარი, ფუძეს — საყრდენი, ურდულს — საკეტი. ყველაფერი... ნემსიდან, ქინძისთავიდან, წინდის ნაძველადან დაწყებული სახლის საძირკველითა და ჭერ-სახურავით დამთავრებული, ერთბაშად გასხვისდა, გაუდაბურდა, გავერანდა.

დაილეწა, ფოისრა, გაცამტვერდა, სადაც მას ავად თუ კარგად უნდა ეცხოვრა... მთელი სიცოცხლე უნდა ესულდგმულა, მთელი ამ-ქვეყნიური მისი ყოფნა და არყოფნა, აქაური, მიწიერი, ამიერი... და, ალბათ, იმიერიც... რასაც მისი ერქვა თუ დაერქმეოდა, მისი ფიწა, წყალი, ცა, ჰაერი...

გაქრა სახლი და კარი, სამყოფელი, სადგური. მოიშალა ბუდე, კედელ-ყურე, კუთხე-მეზობელი... ხორციელი და სულიერი საცხოვრისი.

დაიხოჭა, სადაც ამა ქვეყნის ძნელბედობისაგან და გაუტანლობისაგან თავი უნდა დაეცვა, შეეფარებინა, შეკედლებოდა... სადაც შეციებულსა თუ დაალხულს, სითბო და ჩრდილი ელოდა, ეგულებოდა.

შხამად ექცა, რასაც სნეული უნდა განეკურნა, წამლად და მალაბოდ რგებოდა. სადაც სისხლშეგუებებულსა და ნერვებნალალატევს სული მოეთქვა და დაევანებინა.

ავად და მტრად გაუხდა, რასაც ავი თვალისაგან უნდა დაეცვა და შეეკრდომებინა, ციხე-სიმაგრედ ქცეოდა მის ყოფას, ქალობას, პატიოსნებას...

შავითა და ბნელით შეისუდრა, რითაც ნათელი სამუმი უნდა ჰფენოდა...

...და ახლა პირიქით, გაურბოდა იმას, ვისთვისაც დევნილს უნდა მიეშურებინა; ვისაც განწირული უნდა ეხსნა, დაუნდობელი დაენდო, დარბეული დაეცვა, წაქცეული აღედგინა, წალეკილი და წყალწაღებული კამოესაპირებინა. დამზრალს, გათოშილს მოთბობოდა, ტანჯულ-წამებულს მტლედ დადებოდა, დაჭრილ-დასახიჩრებულს — სალბუნად, მომაკვდავს — ზიარებად.

ვაურბოდა თავისას, რაც დევნილსა და მიუსაფარს თავშესაფრად, რწმენად და ჭწედ უჩნდა. უჩნდა კი არა, ამად... და მხოლოდ ამად იყო ნაკები. საამისოდ ნაჯაფი და აგური აგურს დანადები... წარსულის, აწმყოს — დღეის დღის, ხვალის, ზეგის, მაზეგის... სამომავლოდ და საშვილიშვილოდ შექმნილი.

„ჩემი სახლი — ჩემი ციხე-სიმაგრეაო". ამიტომაა ადამიანი მთელი არსებით, ჯახირით, ჭაპანწყვეტით ამ სიმაგრეს აგებს და საუბედურო მოკვდავთა დიდი ნაწილი მხოლოდ ამ „ციხეს" აშენებს. ამით იწყება და მთავრდება ამქვეყნად მათი სტუმრობა... და კიდევ უარესი, არც ისე ცოტანი, ამასაც ვერ აბამენ თავს, ისე ასრულებენ ამა სოფლად ბოგინსა და ბლაცუნს.

-

ეეცრად, იმდენად მოულოდნელად შეჩერდა და რაღაც ისე ცხოველური სიმკვეთრითა თუ უჯიათობით მიაყინა ტროტუარს ფეხები, წინ გადაქანდა. მაშინვე ნაბიჯის წადგმამაც ვერ უშველა, წაიფორხილა.

შორს, დალმართის ბოლოში, ვილაცა დალანდა. ამ „ვილაცამდეც" იყო ვილაცები (ახლა მისთვის ყველა ვილაცა იყო, ნაცნობები კი არა, ახლობლებიც.) მაგრამ „ის" სახელდობრ ვინ იყო, ამის გამოცნობის თავი სად ჰქონდა ან ვის უნდოდა ან ვილას რა ჯანდაბად სჭირდებოდა.

იმდენად არ შეეძლო, თუნდაც ვინმე ნაცნობის ნაცნობსაც გადაჰყროდა, იმდენად ძნელი და აუტანელი იქნებოდა ამ წუთს თუნდაც უსიტყვოდ, უბრად, თვალარიდებით გვერდის ჩავლა... იმის შიშით, რომ მასში ალარაფერი იყო დამნდო და მიმტევებლური, ორგულობას იმდენად ერთვულებდა და იმდენად ყოფნა-არყოფნად ექცა, ღალატი შეებლზე აშკარად მაწერიაო — ეგონა. და არ შეეძლო... არ შეეძლო ხვედრის, გადაწყვეტილის, განაჩენის გადაფიქრება, გზიდან გადახვევა და ეძლერი იყო, არ შესწევდა ძალი თუნდაც შორეული მოყვასის, იმ ახლობლისა, თვალსაწიერზე გუებისა.

მარცხნივ ჩიხში რომ შეუხვევ, უკან უნდა მიბრუნებულიყო ან არადა, მარჯვნივ გზა გადაეკრა და ვიწრო, უფრო თავდაცულ ქუჩაში შეესწრო, რომელიც ექაურების გარდა არავის სჭირდებოდა და მაინცდამაინც ალიანცებული არ იყო.

ქალის ტვინი ასე ამღვრეული და ატალახებული რომ არ ყოფილიყო, ამ ტროტუარს თავიდანვე არ უნდა გამოჰყოლოდა. თუ იმ ქუჩას დაადგები, სადაც ყოველდღე დადიოდი, რა თქმა უნდა, ვინმე გიცნობს და იცნობ, მაგრამ ის გზა, რომელზეც საქმის, პატიოსნების, ურთგულებისა და ოჯახის სიწმინდისათვის გიკლია, იგივე გზა ღალატის, ორგულობისა და ვერაგობისათვის არ გამოდგება.

დამფრთხალმა ისეთი ფაცხა-ფუცხითა და ფოლორცით გადაჭრა დალმართიანი, მოსფალტებული შარა, კერძო ეზოებსა და სახლებს შუა ვიწრო ქუჩას თავი ისე სულწასულმა შეაფარა, ვითომ ზურგს უკან წარლენა ბოლოკრობდა და ამ წინარე, საყოველთაო მშვიდობა სუფევდა.

შუბლზე და საულვაშეზე ცივმა ოფლმა დაცვარა. სახელოდან შომცრო, სიფრიფანა, ფერადი ცხვირსახოცი გამოაძვრინა, ხელჩანთა თუ თან ჰქონდა არ იცოდა, ქსოვილის ჩემოდანი კართან რომ ხელიდან გაუვარდა, ხელჩანთა მკლავზე შერჩენოდა.

იმ „ვიღაცამ" დაინახა, მაგრამ იცნო თუ არა, არც ამაზე უფიქრია. ჭთავარია პირისპირ არ შეეჩეხა. გამარჯობის თქმა არ დასჭირდა. არავითარი ღონე არ გააჩნდა ადამიანებთან შეხვედრისა და, თუნდაც სასალმოდ, უბრალო თავის დაქნევისა.

იგი ახლა ღალატით, გაიძვერობით, ორგულობითა და პირფერობით ისე იყო აღვსილი, აგერ, ოფლმა რომ გამოსცვარა, იმასაც სხვა, უცნაური, უცნობი, გულისამრევი სუნი ასდიოდა: ურცხვის, უსკვირის, უტიფრის, მეძავის, მრუშის...

არა, არც ეს ქუჩა იყო ისე თავდაცული, როგორც ეგონა, სანამ შემოაღწევდა და:

ასე ახლოს იყო მის სახლთან...

სახლი...

სადღა აქვს სახლი... სახლი და კარი, ეზო და გარემო...

აქ ბავშვები ველოსიპედებსა და ბურთს დააგორებენ და, თითქოს, ექაური თითო-ოროლა გამვლელიც უფრო ცნობისმოყვარეა. ქუჩა არც ისე გრძელია, მაგრამ სანამ ბოლოში გააღწევდე, ჩასახვევია. ამის პა-

რალელურიც ასეთივეა, მაგრამ იმას იქით განიერ, ხმაურიან გამზირს შერთდება. იქ, მართლაც, ათასში ერთი არავინ იცნობს.

არ უნდა იცნონ? რატომ არ უნდა იცნონ?.. და რატომ არ უნდა იცოდნენ ასეთნაირი, როგორიც ახლაა და დღეის ამას იქით იქნება? როგორ... ეს მარტო დღეს მოხდება და მერე ისევ ზნედაცემულ ცხოვრებას აპირებს?..

ღალატის მერე ერთგულება არსებობს? კახპის გაპატიოსნება შეიძლება?!. კაბაა, რომ შემოგაცვდეს ან, თუნდაც, ერთი-ორჯერ იხმარო და გამოიცვალო, უხმარი, შეურყვნელი გადაიცვა?

მოღალატე სიკვდილამდე მოღალატედ რჩება და თუ ერთგულება-სიწმინდეს ვერ ელეკი, მანამდე, სანამ გაქვს, ჩაიფრინდი, ელიდან არ გაუშვა, თორემ გასროლილ ისარსა და ტყვიას უფრო დაიბრუნებ, ვინემ დაკარგულ უმანკოებას.

„მაგრამ, თუ ეს იცი?..“

„არავითარი „მაგრამ“!.. ეს რომ გესმის, ზნეობისა და თავდადების ფასი იცი, ორპირობა და გაუტანლობა შენთვის უცხოა, ამიტომაა იქ აღარ გაგეძღება, სადაც ის გაგიუფასურეს და წაგიბილწეს. თუ კიდევ ამქვეყნად ბოგინს ვერ შელევიხარ და გასანთლულ თოკში თავს არ უყრი, იმიტომ კი არა, ამიერს გედგომება. იცი, რომ იმ შენს სახრჩობელაზე ჩამოშხვართულ, გაგუდულ, კისრის მალებჩაწყვეტილ სხეულს უცრემლოდ ჩამოხსნიან და ორი დღით მაინც ადრე მიგაბარებენ მიწას, ვინემ ჩვეულებრივი სიკვდილით რომ ნომკვდარიყავი. ვერც ხმამაღლა დაგიტირებენ და ვისაც მართლა გულს დასწყვეტ, შესანდობარის თქმაც საჩოთირო გაუხდება. ნაუცბათევად მოგაყრიან გოროხებს და ხელებს დაიფერთხავენ. ნატეხა ქვასაც საფლავზე არავინ დაგაფენს!

შენს ლოგინში კი ის კახპა, დღეს რომ ქურდულად შეძვრა, ორმოცი დღის მერე ბატონპატრონად დაგორდება და მკლავებს სიგრძე-სიგანეზე გადაშლართავს (ალბათ, ჯერ, ახლაც იქ წევს).

და არავის ვაახსენდება, რომ თუ ორივე საწოლზე არა, ორმოცი დღის წინ, ერთზე შენ იწექი. როცა შენს ქვრივ ქმარს სამძუნაოდ ჩაეხვევა, ერთხელაც არ დაენანები, რომ ბნელ საფლავში წევხარ, მარტოდმარტო, ცივი, ამაზრზენი, ჭია გეამს და მალებჩაწყვეტილ ყელზე უხსენებელი გეხვევა, შენსავით ცივი და შენი სარეცლის ახალი პატრონივით გესლიანი.

და ამ საშინელი, ენით უთქმელი სასჯელის ტყვე დარჩები საბა-

რადგამოდ. კაციშვილი, დედამიწის გულზე არავინ, უახლოესიც არავინ გიგლოვებს. შვილსაც კი, როცა ჭკუაზე მოვა, უსიამოვნებას თუ მოჰგვრის შენი გახსენება, თავი მოიკალი და უდედოდ დატოვე, ჩაუგდე ხელში დედინაცვალს, გულაღრენილ მამასა და კუდაბზიკა ბებიას. მოწიფულს გულის სწორთან შენი სახელის ხსენებისა უნდა ეშინოდეს, რომ თვითმკვლელის შვილია და ხელი არა ჰკრან, რაკი ოდესმე, იმ „გულის სწორსაც“ შენი ქალიშვილის ღალატი დასჭირდება და სულ არ უნდა იმისთანა დედისა და სისხლის თავმოყვარე ცოლი, ამისთვის რომ თავს ყულფში გაუყრის“.

ფართო ქუჩაზე გამოვიდა. ერთხანს ქვეკით, ტროტუარის კიდეს გაჰყვა კედელ-კედელ...

„მაგრამ ღალატიც ხომ მარტო ქმრის ღალატი არაა? დედის ღალატიცაა, მამისაც, დედამთილისაც, შვილისაც და სახლისაც...“

„კი მაგრამ იმ სახლში ყოფნას, სადაც ერთგულება, სათნოება და სიყვარული არაა, ხომ ხის ძირში ეულად გდება სჯობს, სადაც ხასხასა ბალახი გიგია და თავზე მწვანე, შეურყვნელი ტოტი, ფოთოლი და ცა გახურავს“.

„ბალახი, ფოთოლი და ცა დიახაც სჯობია. მაგრამ თუ თავშესაფარი არა გაქვს... თავშესაფარი უნდა ადამიანს, ადამიანი ნადირი არაა... და თვით ნადირიც არ ვარგა ხის ძირას უბუნაგოდ“.

„როცა ღალატობენ, გაგინებენ და მიწასთან გასწორებენ, როცა აბუჩად გიგდებენ და ტალახიანი ფეხით გთელავენ... როგორ ისუნთქავ იქ, სადაც ჰაერს გიწამლავენ და სისხლს გწოვენ. ამას ვინ მოითმენს ან როგორ მოითმენ!“

„ერთი წელიწადი თუ ითმენ? და არც ერთი წლის წინ გყავდა ანგელოზი... იყრუებდი? თვალს იხვევდი? იბრმავებდი?“

„არ იყო ეს თმენა, ეს იძულება იყო. ტყვეობა, ტანჯვა. რაც არ დაგიმსახურებია, დანაშაული არ ჩაგიდენია და გსჯიან...“

„დამნაშავე როგორ არ დასჯილა, მაგრამ თუ განაჩენს შენიანი დანაშაული უძღვის, ამდენად უნდა აიტანო“.

„მაგრამ თუ არაფერი შეგიცოდავს იცი, ხვედრი მით უფრო გაუმაძლისია“.

„და უძლებდი“...

„ეარ იყო ეს გაძლება... ეს იყო გოლგოთა, კირთება... კედელზე რომ ბიგალურსმონ მაშინვე ხომ სული ეარ ამოგხდება...“

„არა, მაგრამ დღეს!.. დღეს რატომ გხდება?“

„დღეს შუბლში დააჭედეს, თვალებში ეჭა ყურებში გაუყარეს ცხელი შანთები“.

„და ლალატი?“

„ლალატი... პირველსავე შემხვედრ მამაკაცთან... ვინც ხელს დაუჭნევს... ვინც ინდომებს. არა აქვს მნიშვნელობა ვინ, თვითონ ჩაუვარდება გულისხმაში თუ არა. თვითონაც რაიმე, თუნდაც ურცხვი ქვენა გრძნობა. წუთიერი, საკუთარ თავთან საჩოთიროც კი, გაუჩნდება თუ არა“.

„ასე სულერთიასთან?“

„ვინც არ უნდა იყოს, როგორიც არ უნდა იყოს, თუნდ ისეთთანაც, ვისაც თვალები აემღვრევა, ქალს ქარი კაბას რომ აუფრიალებს. ისეთთანაც კი, მდედრს იმ მგელივით რომ აედევნება, ცხვარს იქნებ დუმა დაუვარდესო“.

„სულ განურჩევლად?!“

„არიან ვნებისაგან დათრგუნვილი არამზადები... და ეს უგვანონი, როგორი დიდი, ლოხი ტანისაც არ უნდა იყვნენ, მაინც ცეტ, ცქაფ ფინიებად გადაიქცევიან, მძუნაობის დროს რომ ნაგაზს აეწანწალებიან. ასეთები მარტო ურცხვად, უნამუსოდ, უსკვირად კი არ შემოგციცინებენ, ველიზღებიან და კაბის ქვეშ გიძვრებიან. თვალთაგან ავხორცი ვნება წითელი ლორწოსავით გადმოტირით და მარტო ის კი არა გძაგს, გძულს თავი, გძულს საკუთარი ქალობა, რომ მასში, ამ უკეთურში, აღძარი ეს უზნეობა და გამოიხმე მაწანწალა — გულის ამრევი, მომშხამავი, შემგინებელი... და ეს შემსარავი ლიზღი ამ წუწკისკენ გიბიძგებს, ამ ბილწის შმორში გიპირებს ჩათრევას“.

„და შენც?!“

„და შენც“ კი არა შენი... შენში ამბოხებული შურისგება, შენდა გასაქელად და სათრევად აღძრული, გიქიმინჯებს, გვვემს და გასალახანებს, რომ მერე... მერე, ეს რომ მოხდება, ისე უნდა წახდე და წაიბილწო, თავი თავში ხელის ცემის ღირსად არ სცნო და ფურთხი დაგენანოს“.

გადასასვლელზე ფიქრმა, ოცნებამ, გრძნობამ, თუნდაც ვნებამ, შეიძლება ვინმეს შეგახეთქოს ან მანქანის ქვეშ შეგაგდოს. შურისძი-

ება ფრთხილია, ჩასაფრებული, მოდარაჯე, ნემსის ყუნწში გამძრომი და ნემსში მახათის გამძვრენი.

შურისძიება: გაძლევს იმას, რაც არ გაგაჩნია, სხვა დროს არ ჩაგიდენია და ვერც ჩაიდენდი.

შურისძიებამ მოჭკვეთა ამორძალებს ძუძუ და ააღებინა ხელში ფარი და მახვილი.

შურისძიებამ რამდენ სუსტ, უსუსურ ქმნილებას დააღვრევინა სისხლი და დააჩეხინა უსაყვარლესი არსება.

არც კოლხი მედეა იყო მარტო ლეგენდა, ოცდაცამეტი საუკუნეა, რომ მაოფლიოს ჰხარავს მისი შურისგების უკიდეგანობა.

ეს უგზო გზაც და ქუჩიდან ქუჩაში წანწალი — შურისგებისთვის, უპირველესად თავის ღალატი და უარყოფაა. იგი ვერც ორგულ ქმარს აუნებს იმდენად, ვერც მტერსა და მოყვარეს, როგორც იმას, ვინც ამ შარას ადგას და საკუთარ დასაკლავ დანას ჩხრეკს.

„საკუთარი სახლის კარი რომ შეაღე, ისე უჩამიჩუმოდ და უხმაუროდ, გული. მართლა, რაიმეს გეგრძნობდა?“

„ძე იღუმალება მორჩევნია, თუ მომიხერხდა“.

„ფესის წვერზე სიარული?“

„დაღლილი ვიყავი. ჯერ აქედან... აქედან მგზავრობით, მერე იქ, ხამაჩეძი... ძმას ვერ ვნახულობ.... დედაჩემი რომ აღარ მხვდება... დედანაცვალი... აქეთობისას... წუხანდელი უძილო მგზავრობა... დასვენება მინდოდა და ოჯახში ხმაური არ შევიყოლე“.

„ოჯახი გქონდა გეგონა?“

„ჯერ კიდევ ასე ეთქმოდა... თავს იქ ვაფარებდი... ბავშვი...“

„ბავშვი, იცოდი, ბებიასთან იყო“.

„ჰო, ეს ვიცოდი...“

„ქმარი ჯერ წასული არ იქნებოდა, ადრე იყო. ქვევით ავტომანქანა არ ელოდა. იცი, მაგისთანებს უყვართ, რომ ელოდებიან“.

„არ ვიცი, ვიცი თუ არა“.

„არ ყოფილა შემთხვევა, შენ თავისსახლს წასულიყავ და იმ დღესვე ეკან დაბრუნებულიყავ“.

„დედაჩემის მერე ველარც იქ ვეტეკი“.

„მაგრამ იმ დღესვე?..“

„მგონი არა“.

„შენ უბედურებას ხომ არ ეპარებოდი, რაც გჭირდა ბარემ თვალით დაგვანახა?“

„არ მინდოდა „მას“ გაეგო, ლოჯიაში ვაპირებდი შეძრომას და თვალის მოხუჭვას. იქ...“

„თავისსახლს“.

„დედაჩემის მერე... დრო ვერ კლავს დედას, ვერ გავიწყებს. მის ასი ათასჯერ ხელმონაკიდებ კედელ-ყურეს რომ ვუბრუნდები, სადაც ახლა დედინაცვალია, დედა ცოცხლდება და კვდება, ცოცხლდება და კვდება...“

„თქვენს საძილე ოთახში, შენს საწოლზე წამოქცეული მრუშის აღტკინებული ხუნტრუცი, უში და ვნების ურვა კარიდან და კედლიდან გველის ენად რომ მოწიოდა, სამზარეულოში როგორ აღმოჩნდი, არ გახსოვს?“.

„?..“

„ხელში დანაშეციებულს ისევ შენივე საწოლის კვნესამ და ქოთ-ქოთმა მიგახვედრა, გაჩერებულ, სისხლდაწრეტილ გულს დანა და ხანჯალი უარეს ვერ დამართებდა და გული რომ გეპოვა, ამასაც ძალა და სისხლი სჭირდებოდა. მკვდარს რაღას მოაკვდენდი ან სადღა იყო გული. იგი მაშინვე მოსწყდა და სადღაც, ქვევით, ლეშადქცეულ გვამში ჩავარდა. მთელი სხეული ასო-ასო უნდა დაგენაწეკრებინა, რომ გეპოვა.

როცა მრუში დაზავდა და ვნებადაცხრალი, მერე მაინც შეზიზღებოდა, მერე მაინც დაენახა თავისი სიმყრალე და სიბინძურე, მერე მაინც ეკრა ხელი და აღვირახსნილობიდან თავდაღწეულს გაეგო, წამით გახსენებოდა და ეგრძნო, ღორად ქცეულმა რა აქოთებულ ლაფსა და ნეხვში ჩაამხო თანამეცხედრის სარეცელი. წუნწუხში ჩაფლულ კერატს ერთხელ მაინც დანანებოდა. მანამდე, მანამდე მაინც, სანამ ახალი ვნების სიბილწე ისევ გააღორებდა.

აი, მაშინ იყო იმ ყოვლად ძლიერმა, ყოვლის მძლე შურისძიებამ რომ ხანძარივით იფეთქა და ხელფეხ დამზრალს, სისხლგაყინულს ცეცხლი წაგიკიდა, ალმოდებული გულიც საგულეს დაგიბრუნა და ტვინშიაც ღველფი ჩაგინთო...

მაგრამ გითხარი: შურისძიება მსხვერპლია და ყველაზე მეტ მსხვერპლს შურისმაძიებლისაგან იღებს, შურისძიებულზეც მეტს.

თუ ქმარს შურისგებით ორგულობ, იგი მრუში ცოლის ქმარია, მაგრამ შენ — მრუში. იგი ცოლს ჰყარგავს, მაგრამ შენ — ყველაფერს“.

„მაგრამ შურისძიებასაც ხომ მაშინ იწყებ, როცა ყველაფერს ჰკარ-

გაე. როცა ამქვეყნად არ გედგომება, როცა გაგაცამტვერეს და მიწასთან გაგასწორეს“.

„რა თქმა უნდა, დამნაშავის პატივის აყრა და თუნდაც ღამდაბლება, სასჯელია და სამართლიანად დასჯილი შურისძიებად ვერ ამაღლდება. მას ცოდვების მონანიება მართებს და არა ახალი ბრალის თავზე დატეხა.

შურისმგებელი შურისსაძიებლისთვისღა დაძრწის და მისგან ასე ყოველად უნებული იმის ვნებისთვის დაბოგინებს. რამდენად მგმობელს ჰგმობს, დასისხლავს და გაამგელებს, ამდენად არსებობს; რაკი ამქვეყნიური სხვა შეება ალარ გააჩნია და უარესისაგან უარესს ირჩევს. თვითმკვლელობასაც ჩაიდენს თუ იცის, შურისსაძიებელს კაცისმკვლელს გახდის.

ამ ბუდრუგანაში გაზეთებს ჰყიდიან. ახლაც ზის ის თვალებგადმოცვივებული შეზნიერებული, ყავლგასული, მკლე დედაკაცი და თვალია თვლემს სანამ ვინმეს არ დალანდავს, ვისაც კაპიკებს დაცინცლავს. იგი ახლა ამისთვისღა „მუშაობს“, რაკი დაიჯერა, საწუთროს მეტს ველარაფერს დასტყუებს, როგორც შენ გგონია თავზე ჩამომხობილ ქვეყანას ღალატის მეტს ველარაფერს გამორჩები.

იმდენად გიცნობთ, რამდენადაც მისგან ჟურნალ-გაზეთები და თამბაქო გიყიდიათ. ან მაგის ცნობა-არცნობას რა ფასი აქვს“.

„ახლა გგონია ისეთი ვინმეა საძებარი, ისეთ გარყვნილ უზნეოსთან უნდა გაბინძურდე, შენი გამამწარებელი შენთან ანგელოზი გამოჩნდეს და ის კი არ ზეიმობდეს შენს დამდაბლებას, შენ ამდაბლებდე და სვრიდე. შენ იყო შურის საძიებელი და არა შურისმაძიებელი?..“

„რაღაცა ასეთნაირი... ამაზე უარესი“.

„და ფიქრობ, შეიძლება... ამის მერე შეიძლება გული მოიოხო და კი არ დაგეძინოს, მაგრამ ჩაგთვლიმოს, თვალი მოხუჭო, მოატყუო?..“

„ალბათ...“

„ალბათ, თორემ მარტო ამ ღია თვალებით შენი უბედურების ცქერა მოგიღებს ბოლოს და ჭკუიდან შეგშლის, გადაგრევს.

და ამის შემდეგ აიტან შენს გვერდით რომ გალეშილი, მაძღარი და თვითკმაყოფილი მრუში ქმარი... იმ საწოლზე, იმ ქვეშაგებში, იმ მუთაქაზე, იმ ბალიშზე გაიშხლართება? და კი არ ხვრინავს ან სვებედნიერი კი არ ფშვინავს, ყარს. ინელებს ხორაგს, ნაჭამ-ნახეთქს და

ვნებისგან დაწრეტილი ძალას იკრებს, ხელახლა ივსება, ღორძინდება.

და თუ რაიმე მოეჭარბა, იქნებ შენთვისაც გაიმეტოს... მფლანგველის ჯიბეში ჩარჩენილი გროშები წყალობად მოგიგდოს, ნასუფრალით დაგაპუროს".

„ოჰ, ღმერთო ჩემო, იქნებ ამ ქუჩებიდან სულ გაქცევა სჯობდეს და სადმე უკაცრიელი ადგილის ძებნა?

როგორ ირევიან ეს საცოდავი ადამიანები! ფუსფუსებენ, გარბიან, გამორბიან, ჩქარობენ, ჩქარობენ, ჩქარობენ...

საიდან მოდიან და სად მიდიან?

სახლიდან, სამსახურიდან, მაღაზიიდან, ერთმანეთისკენ, ერთმანეთისგან... საერთგულოდ თუ საღალატოდ?

წუთისოფელს რომ მეტი დასტყუონ, თუ ერთმანეთს გამოგლეჯონ? მოასწრონ და სხვისი წილი დაითრიონ, სხვათა სარგებელი ირგონ, მოყვასის კუთვნილი მიიტაცონ. დაპურდნენ, დაძღნენ, და იმისი, ვინც გაძარცვეს, კი არ შერცხვეთ, პირიქით, თვითკმაყოფილებმა ბოყინით ზევიდან დახედონ, ლუკმაგამოცლილებს დასცინონ.

უნდა დასცინონ კეთილს, საწყალს, პატიოსანს, მშრომელს, ერთგულს, ულალატოს. რქებდადგმული ცოლი სამასხროდ უნდა აიგდონ... აბა, როცა მთელი ღამე ერთად არიან, რაზე უნდა ილაპარაკონ და ვისზე იღლიცინონ? ვინაა მათ შორის, ვინაა მათგან ხელწამოსაკრავი, ვის უნგრევენ ოჯახს და ვის უსხამენ კერიაზე წყალს. თქმა რომ არ შეეძლოთ, ვერც გააკეთებენ რასაც აკეთებენ და ვისაც ძირს უთხრიან ბარემ აიგდონ, გაატრიზაონ, შელიზღონ, ვინ დაუშლით? სინდისს საქმე არ აუკრძალია და თქმისთვის პირს აუკრავს?..

დასწყევლოს ღმერთმა, ეს გზა ბაზრისკენ მიდის და მიტომაა ასე მღვრიე და მოფუსფუსე, ასე გამორჩეულად აჩქარებული, მოწადინე. ეს გზაა, ადამიანი რომ ძღომასთან მიჰყავს და ძღომაა, რომ ხორციელ ვნებებს აღძრავს, ვნებები — ღალატს".

ქალმა სანოვაგით დატენილი მსუბუქი მანქანების წინ გადაიარა და გამზირზე გამავალ სწორ, ვიწრო ტროტუარებიან, ცალმხრივი მოძრაობის ქუჩას გაუყვა.

ჭაღრის ძირში გალენჩებულ, დიდყვავილებიან ხალათმოცმულ

დედაკაცს შეეფეთა. მაღალი სახლებისა და ჭადრების გამო ცა ხეირიანად არც ჩანდა. ზეეით რა ჯანდაბას მიშტერებიაო, ამბით თუ მიიქცია ყურადღება.

ძაღლი ეჭირა, ხანითა და ხორცით სავსე „ქალბატონს", გაქონილი ტყავის საბლით. ჭადრის ძირზე მიტუსტუსებულ. _ _ ელ, მოყვითალო ფიფიას ფეხის აწევა ეზარებოდა და ძაღლური, მკაცრი კანონი უამისოდ მოშარდვას უკრძალავდა, ამ სახელდახელო საქმეს წელავდა და პატრონი დაუნახავი ცის საკვრეტად დაეყუდებინა.

„უბედური, — გაიფიქრა ჩავლისას და შეზარა. — ძაღლებმა დიდი ერთგულება და სიყვარული იციან, ამ ქალს, ეტყობა, მეტი აღარავინ გააჩნია! ესა ჰყავს გულში ჩაკრული და თავის ძაღლურ ყოფას ციოლებს.

მაგის ხნისა რომ ვიქნები, ალბათ, მეც ძაღლი უნდა ვიყოლიო. შვილი გათხოვილი იქნება, ქმარი ღალატის მერე გამეყრება — „მასთან" წავა თუ აქეთ მოიყვანს... ჯანდაბას იქით...

ძაღლები და კატები უნდა დავისიო და მათი ერთგულებით, სიმყრალითა და სიყვარულით უნდა ველოდო აღსასრულს. ასე, ხის ძირში დაყუდებულმა, ვიყურყუტო როდის ინებებს ის გაქსუებული საძაგლობა ფეხის წამოწევას და როდის მორჩება ძაღლების შარდით შებილწულ ხის ძირებში სუნსულს!"

„დათვი რომ საძაღლედ გახდაო, მისი საქმე მაშინ წახდაო," — უთქვამთ.

„ნუცა ალავიძის ქალი რომ ნოე ხინიკაძის საღალატო გახდი, შენს საქმეს ბოლო მაშინ მოეღო. ტოლფერობის გარეშე, ცოლ-ქმრობა კი არა, ნაცნობობაც არ ვარგა.

როგორ კვდებოდა სიცილით შენი დაქალი, ნატა — ხანდამწვარი, შენ რომ მაგ ოხერს ცხვირს უბზუებდი?..

— ეგ ხინიკაძეები იმისთანა მერთხებია, ყველაფერს რომ აღწევენ. არ დაიმახსოვრო ეს სიტყვები, როცა მაგის ცოლი გახდები, გულში არ ჩაიდოო.

რატომ იყო დარწმუნებული, რომ მაგის კერძი გახდებოდი? მართლა მაგისთანების ყოვლისშემძლეობა სჯეროდა თუ... თვითონ მასაც ასე ერჩია?"

„რა ერჩია! ნატას ვინ ესთვის ცუდი ეწადა? ასე რომ ყოფილიყო და ჩემი ხინიკაძის ხელში ჩავარდნა ნდომებოდა, ამას იტყოდა?“

„ხინიკაძეზე ის თქვა, რა მურთხიც იყო. ამაჯ ორივე ხედავდით“.

„მურთხი“... არც მაშინ ვიცოდი ამ სიტყვის მნიშვნელობა და არც ახლა, მგონი არც ნატამ იცოდა, რომ ვკითხე, რომელ ლექსიკონში ამოიკითხე-მეთქი, — ხინიკაძისაშიო!

როგორი სიცილი იცოდა, საცოდავმა, იტყოდა რაღაცნაირ ზუსტს, მიგნებულს, შეუმცდარს და გადაიტკრიალებდა“.

„ნატა მიწაში უნდა იწვეს და მურთხები ქვეყანაზე დათარეშობდნენ? სადაა სამართალი! ქმარი იმას არ ღირსებია, შვილი და მომავალი... ხინველი უყვარდა“...

„ლაშა ხინველი?“

„სიკვდილ-სიცოცხლით. ის კიდევ, ჯერ სპორტს გადაჰყვა, მერე ლოთობას და ამასობაში კიბოთი ნატაც დაიღუპა“.

„ხინველი სპორტმა და ღვინომ დაღუპა?“

„აბა!..“

„ვითომ ასე სულელი და უნიათო იყო ხინველი? და ასეთი რეგვენი უყვარდა ნატას, ისე ერთგულად და სამარადჟამოდ?“

„ლოთობა ვითომ სისულელე და უნიათობაა?“

„არ ვიცი, ალბათ, მაგრამ ვიცი, სიყვარული ბრმაა“.

„ალბათ, გულგატეხილობაც, უმიზნობაც, ხელის ჩაქნევაც, მაგრამ ვაინც სისუსტეც, რაკი მარცხს ეგუები და „მტერს“ კი არ ებრძვი — საკუთარ თავს“.

„და ლაშა ხინველს არ გააჩნდა ღირსებები? თვალხილულსაც გულში ჩავარდნოდა და ვერ ამოეგდო?“

„ნატამ ყველაფერი უკეთესად იცოდა“.

„იმ უკანასკნელ დღეებში არ უნდა მისულიყავი“.

„არ უნდა მივსულიყავი... არა, მომაკვდავის სანახავად როგორ არ მივსულიყავი, მაგრამ ის, მართლა მურთხი, არ უნდა მიმეყვანა... როგორ გაეხსნა ტანჯვით კრიჭაშეკრული ბაგე და ის ძველებური სიცილი დააპირა... მაგრამ ეს უფრო გახსენება იყო იმ სიცილის, სიცოცხლის, ჩვენი ქალიშვილობის, სტუდენტობის ოცნებების... მაგრამ ამაზრზენი სინამდვილე გახსენების უფლებასაც არ გვაძლევდა — მე მურთხი მედგა გვერდით, მას — სიკვდილი“.

„რა გითხრა? შენც დაგღუპე და მეც ვიღუპებიო?“

„ნოე ხინიკაძის ცოლობას თვლიდა ჩემ დაღუპვად. არ იყო?..“

„მაგრამ ნატა რა შუაში იყო...“

„ღმერთმა დაიფაროს... არავითარში... ფრჩხილის ოდენ... ეჰ, ჩემო უბედურო ნატა, შენ მაინც მყავდე...“ — გულში ცხელი ლითონივით ჩაეჭცა ნუცას და სანამ ისევ ხალხმრავალ გამზირზე გავიდოდა, უცებ დაიღალა, რაღაცნაირად მოწყდა. კუთხის მაღალ, ცემენტით შეთითხნილ სახლთან ქვიტკირის მომაღლო, ჩანგრეულ ღობეზე ჩამოჯდა. აქ დაჯდომა თუ შეიძლებოდა, ამაზე არ უფიქრია არც მანამდე და არც შემდეგ. როცა დაინახა, სადაც იჯდა. ალბათ ახლა შეიძლებოდა, თორემ გზაზე რამდენ ლოდს, ბეტონის ღობესა და ღობურას გადაეყრები, მით უმეტეს ქალი, ფეხს ასე როგორ მოირთხამ.

„დღეიდან უთუოდ ყველაფერი მოსალოდნელია. ასეთ რამეზე ჩამოჯდები კი არა, უნდა დაწვე კიდეც. აბა რამდენ ღალატს შენ მოისურვებ, იმდენ ბუმბულსა და ატლასის კარავს ვინ გაგიშლის...“

ქალი, პატიოსანიცა და უპატიოსნოც, საბრალოა, ღმერთმანი. სიყვარულშიც საბრალოა და სიძულვილშიც. ღალატში და გაუტანლობაში ხომ ცოდვაა და ცოდვაა. უთუოდ მამაკაცსაც ენანებოდა ასე დაკაბალებული და შევიწროებული თავისივე ნახევარი, ყოველ შემთხვევაში, უკეთეს მამაკაცებს მაინც... და ვითომ ცდილობდნენ მის განთავისუფლებას, გათანაბრებას, მაგრამ რა გამოდიოდა? — არაფერი. თვით მდედრის ბუნება, თავისივე თავი იყო და არის მტერი, დამთრგუნველი, დამმდაბლებელი.

არსებობა ხელჩართული ბრძოლაა და ვერავინ თავისი მოგებული ომის სარდლად ვერ დაგსვამს.

რა ადგილიც გერგო, ალბათ, უკეთესის ღირსი არც იყავი.

მარტო ხინიკაძეზე კი არა, გოგოები მაშინ ყველა ეკონომისტზე სიცილით იგუდებოდნენ. ნატა რომ გადაიტკარცალებდა... ჰო, ჯერ იტყოდა: — კაციშვილს ეკონომისტობა რომ უყვარდეს, ეს როგორ გავიგოო?!.—საწყალს, სიცილთან ერთად სიბრალულის კურცხალი ჩაუდგებოდა თვალებში. — წაიკითხავ ეკონომიკას და ადგზრდის; გამოაკლებ, მიუმატებ და ამით რაიმე მოგემატება? გაყოფ, გაამრავლებ და სულიერად ამაღლდები თუ გაცნობიერდები? გარდა იმისა, რომ ეს ციფრები ტვინიდან იმასაც გამოგაცლის, რაც მემკვიდრეობით ადამიანური გაგაჩნია... არ ვიცი, მოდი ვიკითხოთ, იქნებ არის ციფრებში რაიმე ზებუნებრივი თუ ერთეულებში, და ათეულებში არა,

მილიონებში და მილიარდებში?.. — უბედური, რა სულმოუთქმელი ლაპარაკი იცოდა. — დარწმუნებული ვარ, ამ ხალხს არც ლიტერატურის წაკითხვას დაუშლის ვინმე, მაგრამ რატომღაც მგონია, ლექსს რომ დასდევენ, უწინ იმას დაითვლიან, რამდენი პწკარია და, ალბათ, დიდ ლექსს მაინც პატარა ურჩევნიათ — ყოველნაირად ეკონომიურია: პატარაში ოთხპწკარიანს, ექვსიანსა და არა უმეტეს რვაპწკარიანს ვკულტივირებ. — და ისევ გადაიტკრიალებდა.

რა თქმა უნდა, ეს სტუდენტობის დროს. შერე და მერე, სულ სხვანაირად უყურებდა ეკონომიკასაც და მათემატიკასაც, მაგრამ რაც „მურთხი“ ყოველდღე ახალ-ახალ ქსელს აბამდა და ნატაც ხედავდა, მის დაქალს დღეს არა, ხვალ შიგ გახლართავდა, თვითონაც უმეტესი, ცალმხრივი, გაუმხელელი სიყვარულის სამსხვერპლოზე იწვოდა და მეგობარს დაუშლიდა კი არა, ისიც კი უთხრა: — იქნებ... ვინ იცის, ქალს რაკი არჩევანის ნება არა აქვს, ის, ვინც გვირჩევს, ბედის წყალობად უნდა ჩავთვალოთო. ალბათ ასეთები უფრო ერთგულები არიან და ეკონომიკა, თუ ლექსსა და მუსიკას არა, ცხოვრებას რგებს. თუ სულიერ მწვერვალებზე ვერ აგიყვანს — ოჯახს შექმნის. ოჯახი კი ქალისთვის მაინც ერთადერთი თავშესაფარია და შვილი კი — საწყისი და სასრულიო...

თვითონ არც ერთი ღირსებია. საწყალს. და არც მეორე... ამ ქვეყნიდან ისე გადაეგო, მის ბარობაზე ნედლი ბალახი არ დარჩენილა. მისი ცოდვა მიეცა ლაშა ხინველს...

„ვითომ ხინველს რაიმე ბრალი მიუძღვის ნატას საფლავზე რომ ბალახი ხარობს?“

„ნატა თავისმა ბედმა თუ უბედობამ დალუპა, მაგრამ სანამ იყო და ახლაც რომ სული ედგას, რა ერქვა მის ყოფას ან რა იქნებოდა“.

შეურაცხმყოფელიც იყო მისთვის ის გრძნობა, რითაც ხინველი უყვარდა და არსებობის ერთადერთი მიზანიც. სიკვდილ-სიცოცხლედ ეღირდა მასთან ყოველი შეხვედრა და განშორება. როგორ წამოენთებოდა ლაშას დანახვისას და უმიზეზო სიცილსა და ტკარცალს აიტეხდა.

„ეს უხსნიდა გზას თქვენამდე ხინიკაძეს, რაკი ხინველი მხოლოდ მას ახლდა და ნატას შეეძლო მხოლოდ ამ გზით შეხვედრა. ვერც შენ ჰკარგავ ხელი მაშინვე ნოეს, რაკი, ვითომ, არაფერს ჰკარგავდი და მეგობარ ქალს კი შეელოდი... მაგრამ ხინველი?“

„რა, ხინველი!..“

„ის ვითომ თავის ძმაკაცს შველოდა?“

„ალბათ. აბა ნატასთან რომ არაფერი აკავშირებდა, არ ეტყობოდა?“

„ასეთ დროს ლაშა თითქოს უტაქტოც კი იყო და ნატასთან ოთახში ან ქუჩაში განმარტოებასაც კი ეკრძალვოდა. თავისი „მეგობარი“ რომ შენს დამარტოხელებას მოინდომებდა, სადღაც ისიც იქვე იყო ატუზული. ალბათ ხედავდა, შენც არ იყავი მოწადინებული ხინკაძეს ხელში ასე ბრმად ჩავარდნოდი“.

„რა თქმა უნდა, თუმცა, რა ხელში ჩავარდნა იყო, რაიმე გაებედა“...

„მოდი, ნატას საფლავზე წავალ“ — გაიფიქრა და წამოდგა, ვითომ გზასაც დაადგა, მაგრამ მაშინვე დაცცქვლა: — სულ იქ ხომ ვერ დავრჩები: მერე სადღა გადავვარდეო, — და ისე მოულოდნელად და კაბასად გაასავსავა ხელები, ვითომ ისევ ნატა უკითხავდა ჯიუტად მორალს და მისი საზრიანი ლოგიკიდან თავის დაცვნას ცდილობდა!

კმარა, კმარა, კმარა!..

ეს მორალები და სახარებები არავის სჭირდება. ეყო, ეყო, ნუცას, რაც ატყუეს და უხვიეს თვალები. გაიგო, რომ საიქიოს აღარაფერია და საკეთაც ორი დღისაა... ორი დღის წუთისოფელია საკაო. ამ ორ დღეს არ იწამებს თავისივე დასამონებლად, დასუთრგუნად და დასასამარებლად, მოგონილი მორალებითა და ზნეობის კანონებით...

...და რაა ეს ზნეობა ისეთი, რომ თანაბრად ყველას არ ეხება? რატომ უშვებს ძლიერთა ამა ქვეყნისათათვის გამონაკლისს?

„არა იმრუშო!“

„არა იმრუშოო!“ ასე ხმამაღლა, ასე შეუწყნარებლად და უშველებელათოდ რომ აცხადებს ღმერთი, კაცია, სახარებაა თუ ზნეობაა, ამას რატომ არ ჩავეჭიდებით ან, საერთოდ, რატომ არ უარვყოფთ ამ მცნებას?“

„როგორ... ვიღებთ, მოვეწონ. ვიზიარებთ და ამავე დროს... რა ამავე დროს? რა გვინდა ამავე დროს!“

„არ იმრუშო“ გვინდა, გვჭირდება, მაგრამ სხვებისთვის? შეგონებად ჩვენ ირგვლივ მყოფთათვის?..“

„დიახ, დიახ, გვჭირდება. კი არ გვწამს — გვჭირდება. სხვებისთვის, რა თქმა უნდა, მხოლოდ სხვებისთვის. იმ სხვებს — ჩვენთვის. აბა,

საერთოდ თუ უარი ვთქვით ამ მცნებაზე, მაშინ გამოდის, ყველას ხელ-ფეხი გავუხსენით. რა ბედენაა ასეთი ქვეყანა, სადაც შენ მრუში ხარ და შენს ირგვლივ მყოფნიც. ქურდმა რომ მხოლოდ ქურდებში იცხოვროს, ვიღას მოჰპაროს. ქურდი არ ფიქრობს ამაზე, ყველა მას რომ დავიმგვანოთ. რაღას გამოგვრჩება, რაკი ჩვენ პირიქით მოვინდომებთ მის გაძარცვას. ასევეა მრუში, მრუშმა ვიღა აცდუნოს თუ ახლომახლო ყველა მის ცდუნებას ცდილობს? ეს რაღა გამოვიდა, თუ ყველა ცდუნებული და მცდუნებელია. მრუშის „უპირატესობა" ისაა, რომ თვითონ ასეთია, მაგრამ ცოლი ჰყავს პატიოსანი და ვინმე ვიგინდარა კახპას კი არ დასდევს, არამედ სერიოზულ, პატიოსან ქალს უპრაწავს თვალებს, ყოველნაირი ხერხითა და ფანდით, დაპირებითა და თვალთმაქცობით, საჩუქრითა და გავლენით ცდილობს მის ცდუნებას. აქ მარტო სექსუალურ ურთიერობაში კი არაა საქმე ან ჭარბი ენერგია და სისხლი კი არ ათვალთმაქცებს. აქ ცდუნების ხელოვნების და ცდუნების რთული პროცესის მომხიბვლელობასა ჰყავს შეპყრობილი, რომ მის გვერდით პირაღია საცოდავები ვერ ახერხებენ მშვენიერი სარსებების ცდუნებას და წარყვნას...

და, ამ დროს, კაცმა არ იცის რას ჩაიდენს, რას იკადრებს, რაზე მოაწერს ხელს და რა სიმდაბლეს იკისრებს, რომ საწადელს ეწიოს, მიზანს მიაღწიოს და თვითონ დამდაბლებულმა და უზნეომ როგორმე დაამდაბლოს და გააუზნეოს ვინც ნიშანში ამოიღო.

გაიჩენს საყვარელს და ერთხანს ბედნიერია, თვინიერი და უზრუნველი. თითქოს კი არ შეეცოდოს და წაებილწოს, პირიქით, ცოდვილი მოექციოს და ურწმუნოსათვის რწმენა და ნუგეში გაეჩინოს. როგორც ეს იმ გაწამაწიას, ლტოლვასა და თავისტეხას მორჩება, როგორც კი ეს სუნსული და გველის ხვრელში ძრომა დასრულდება, უკვე დიხჯია, საქმიანი, ოჯახზეც კი ზრუნავს და სადღაც შორს იხედება: მარტო საკუთარ ტყავზე კი არა, ქვეყანაზეც უნდა იფიქროს ადამიანმა.

და ბრძოლამოგებული, ნაძმები, სიმორცხვით გასცქერის მის გუშინდელ და გუშინწინდელ „საომარ" ხრიკებსა და გაიძვერობას. „ციხეს" შემოწყობილმა რა არ იკადრა, სანამ „მტერს" საბოლოოდ განგშირავდა. მანამდე შინ უნიათოდ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ურცხვად სტყუოდა, იგესლებოდა და ბობოქრობდა, თვალი გაქცევაზე ეჭირა, მხოლოდ „მასზე" ფიქრობდა, უტრიალებდა, ელოლიავებოდა, ოჯახში სარ გაეძლებოდა. უშლიდა ნერვებს ცოლი, შვილი და, ორასორმოცდაათი კილომეტრის იქიდან, სიმამრი. სულ არ ეცალა ავადმყოფი დე-

დისათვის და მამის საფლავზე გასასვლელად, მეგობრებთან და ნათესავებთან — ჭირისთვის და ლხინისთვის...

...და ახლა როგორი დამთმობია ცოლთან, შემწდობი შვილთან, მოსიყვარულე შვილია და მამის კი არა, მზადაა შორს, თავის წინაპართა სოფელში წავიდეს ბაბუებისა და ბებიების საფლავზე ქუდის მოსახდელად, გადაგებულია ძმაზე და მოყვასზე... სიმამრს თავისი ქალიშვილი რომ სულ სასთუმალთან უჯდეს და აქ ოჯახის მოსახედად ვერ მოიცალოს, საძრახი სიტყვა არ წამოცდება.

...ამ დროსაა ის უსაზღვროდ საძულველი და გულის ამრევი. ამ დროს, როცა ვერაფერში ვეღარ შეედავები, როცა ის „წესიერია“ და „მზრუნველი“, „მოსიყვარულე“ და „გულკეთილი“.

ამ დროს არ შეუძლია ცოლს ქვეყანაზე დაეტიოს, როცა ქმარი ყოველნაირ უსიამოვნებაზე დიდსულოვნად მიმტევებელი ხდება და მზადაა ოჯახს, საქმესა და ქვეყანას მტლედ დაედოს. მისი გამქირდავი, ცინიკი თვალები, შემპარავი ფინიასავით გიცქერის და თვითკმაყოფილის ღიმილს შენდობის მავედრებელი მონანიებით ნიღბავს. ტუჩებს ილოკავს და კუდს კი არ იძუებს და ლაჯებს შორის კი არ ბალავს, აუპრეხია და ლაქუცითა და ქიცინით დაღლილს ზედ ფეხიც რომ დაადგა, არ შემოგიღრენს.

აი, ამ დროს გაგიცოცხლდება და დაგიდგება თვალწინ ნატა, თავისი პირუთვნელი და ქარაოცი ტკარცალით: ასეთი მურთხები ყველაფერს აღწევენო!

მურთხი...

ვითომ არაფრის მთქმელია ეს სიტყვა და ამ დროს ყველაფრის მომცველი, თითქოს ზუსტად რაინე აზრს არ გამოხატავს და, ამ დროს, შიგვეა ყველა გაიძვერობა და მუხანათობა, ქვემძრომობა და ქლესაობა.

ეს მურთხები ზღარბებივით ეკლიანები როდი არიან, თუმცა დამრგვალება და თავ-ფეხის დამალვა ეხერხებათ. ნემსების მაგიერ ისეთი სლიპინა, ლორწოიანი გარსით არიან დაფარული, ვერაფრით ხელში ვერ აიღებ, რომ მიწაზე დაახეთქო. ჩასაწიხლად რომ შედგე, აუცილებლად ფეხი დაგიცდება და შეიძლება ზედვე დაეცე. უეკლო, გალოპრილი, უჯავშნო ვეება ლოკოკინებია, რომლებიც თონთხლო ლორწოს იდებენ და ჯავშნად იმ ზიზღს იკეთებენ, შენ რომ მიკარებისას, იციან, გაგიჩნდება. პანღურიც რომ ამოჰკრა, წადას მბზინვარე

ლოპრით დაგითხუნავს და ვერც შორს გააგდებ, რაკი შიგ არც სიცარიელეა და არც სიმკვრივე.

რაღაც უფორმო, თხიერი, ხრწნადი მასითაა გაჩონთილი და რა ჯესწორმასწორო, ოღროჩოღრო, უფორმო ფუძეზეც არ უნდა ეგდოს, მასაა და საყრდენს შორის მუდამ უპაერობას — ვაკუუმს ჰქმნის. საჩეჩელზეც რომ დაანარცხო, საჩეჩელის კბილებს კი არ ჩამოეცმება — ჩამოერგება. და რაკი ფორმა და ფერი არ გააჩნია (ფორმა არ გააჩნია, რაკი უძვლოა და ფერი — რაკი შემგუებლობისა და შეხამების უნარ-თაა სრულყოფილი)... სადაც აგდია, მარტო გარემოს ფერს კი არ იძენს, როგორც ამას კურდღლები, ხელიკები და ქამელეონები აკეთებენ. ფორმასაც იმ რელიეფისას მიიღებს, რაზეც განერთხო. რაც ნის საყრდენს (თუ გინდა, ცოტა ხნით, ხელმოსაცველელად დადე) ქვალორღი და კოლბოხი გააჩნია, ხომ მაშინვე ჩაეზრდება და ყველა წახნაგსა და ღიობებში ჩადგება, საყრდენის ფერსა და ფორმას ზურგზე ჩადაიცვამს და თითქოს იმ ადგილს არავითარი ცვლილება არ განეცადოს გარდა იმისა, რომ რაღაც სისქე დაემატა — საბანს რომ ქვეშიდან საბანი ამოუდო ან წყალს წყალი დაამატო.

მურთხებს, როგორც ფერი და ფორმა არა აქვთ, ასევე არ გააჩნიათ თვალი და ყური, ენა და ყნოსვა. მურთხი ლაპარაკობს იმ ენაზე, რაზეც ის დევს და რა თვალითაც იხედებოდა და ესმოდა იმ რელიეფს, რაზეც გაითხლაპა. იმ რწმენითა და ურწმუნოებით „იცოცხლებს", რაზეც დააგდებ და იმ ხორკლსა და ხაოს მოიდებს, რაზეც დაივანებს. იმ თვალებს დააჭყეტს და იმ ყურებს დაცქვეტს, რა თვალი და ყური დახვდა, მანამ აქ გაისუდრებოდა.

ესენი ისეთი მურთხებია, ვერც რწმენის ღალატს დასდებ ბრალად, ვერც მსოფლმხედველობის შეცვლას, რაკი არც ერთი და არც მეორე სარსოლეს ჰქონია. მუდამ შენთან შენი იყო და სხვასთან სხვა. ცარიელი ჭერივით, მუდამ, რასაც ჩასძახებდნენ, იმას ამოსძახებდა.

მურთხთათვის არც მორალური სასჯელი არსებობს, — დედიშობილას ხომ ვერ უსაყვედურებ, ღილ-ყილო ბოლომდე არ აგიბნევიაო. ნათთან რწმენა, აზრი, სიწმინდე და პატიოსნება შეურაცხყოფილია. ისინი მთელი არსებობით დასცინიან იმას, რისთვისაც ადამიანს ადამიანი ერქვა, ჰქვია და ერქმევა.

და როცა ღალატობ, მურთხს კი არ ღალატობ, საკუთარ თავს ღალატობ. რომ დაჰკარგო ის, რისთვისაც მისი არარაობით დაგცინის და არა რაიმე მისი თვალთახედვით.

„აბა როგორ, თავს უნდა უერთგულო, რომ მათ უერთგულო?"

„შენ თუ ოჯახს ქმნი, რომელზეც ის „დევს", მურთხს ოჯახის კაცი ჰქვია. თუ მურთხს ურემზე დასვამ — მეხრეა, თუ მანქანაზე — მძღოლი, კაბინეტში წამოასკუპებ და — თანამდებობის პირი, მაგრამ იგი ამას კი არ შეაფასებს, სამოდელო სილასავით იმის ფორმას იღებს რაშიც ჩატენი. და თუ ამ მოდელს, რასაც ის უჭირავს, დაამსხვრევ, ისიც ნამსხვრევებად იქცევა".

„სწორედ რომ ნამსხვრევებად იქცევა..."

„მაგრამ მერე ამ ნამსხვრევებს გადმეორებს, რაც მისი ახალი საყრდენი იქნება და ისეთი იარსებებს, მაგრამ შეგნებით კი არა — ფორმით".

„იგი ორგულობითაც მოახერხებს ცხოვრებას და შენც უნდა იქცე უერთგულო, უსახო და ცარიელი, რომ ის თონთხლო, უსახო გარსი იგეო ან არაფერი გაგაჩნდეს მისი სახის შესაქმნელად, რომ გარედან შემოცმულმა ვერაფერი გაიმეოროს?

ამ გარემოს, რასაც შენ ერთგულებითა და რწმენით ჰქმნი, ის გტაცებს და საკმარისია გამოეცალო, რომ სიფრიფანა, ცელოფანის ფარკვლით დაიფუკოს".

„ამის შემდეგ იგი ვერც მცდუნებლად გამოდგება და ვერც მოღალატედ, რაკი ცარიელი ჯვალოს ტომარა ფეხზე ვერ დადგება. მხოლოდ და მხოლოდ კარებთან თუ დააგდებ და ზედ ტალახიან ფეხს დაიწმენდ".

„ჩვარი ჩვრად იქცეო!"

„მაგრამ შენ?.. შენ უნდა იქცე არარაობად, რომ ისიც განიორწყლდეს, რაკი ის მხოლოდ და მხოლოდ შენს ფორმას იღებს. შენ უნდა გაიწირო, რომ ის გაწირო, შენ უნდა დამეხინჯდე, რომ იგი დაასახიჩრო..."

ნეცამ იგრძნო, ვილაცა უცქეროდა...

დღეს გახდა ასეთი ჩაგეზებული, ორჭოფული მზერისადმი მგრძნობიარე, თუ ეს ქალურია და მუდამ თან ახლდა?..

წელან თითქოს წამოდგა და გზასაც დაადგა... როგორ მოხდა, რომ ისევ ამ ცივ ბეტონზე ზის და, ალბათ, იმდენ ხანს, რომ სადღაც, ამ მრავალსართულიანი სახლებიდანაც კი შენიშნეს. უთუოდ, საქმით დაღლილს ამდენ ხანს ჯდომა და დასვენება არ ესაჭიროება?..

მაგრამ ეს კაცი თუ „ისაა“ და „იმ“ თვალით უცქერის, მაშინ წასვლასა და აქაურობის გაცლას სჯობია ფეხი ფეხზე გადაიდოს, დაელოდოს...

ჰო, რაღა ქუჩა-ქუჩა იაროს და ღობე-ყორე იხეტიალოს, ბარემ თუ აქვეა, ვისაც ეძებს, მოხდეს მოსახდენი და იმ უფორმო მურთხს გამოაცალოს ის საყრდენი და მოდელი, რაზეც დევს და თავისავე ფუძის ძალისხმევით ღალატობს საძირკველს?

საიდან უცქერიან?..

ვინ უცქერის?..

ან უცქერის კი?.. ადამიანის შინაგანი იმპულსები ხომ არაა? შენგან რომ ნდომის, წადილის ტალღებად იფანტება და ცივ კედელს შენარცხებული ბურთივით, სიცარიელეს შეხლილიც კი, უჯებიროდ უკუქცეული გიბრუნდება ან დედამიწას შემოუვლის და ისევ პირველწყაროს, საწყისს აღწევს?

„მართლა და მართლა, სადა ვარ და აქ რაიმე შეიძლება მოხდეს?..“

„არა, აქ არაფერი შეიძლება...“

„ვითომ აქ წმინდა ადგილია და სხვაგან არსებობს უწმინდური. სამეძაო და საროსკიპო?“

„აქ შენი ბავშვი დადის!..“

„ღმერთო ჩემო, ჩემი შვილი — ალი?.. აქ საიდან აღმოვჩნდი... ან აქ რატომ დადის!..“

„ამ დიდი ქუჩის დამაკავშირებელ გზაზე არა, მაგრამ გამზირზე, მუსიკალურ სკოლაში დადის კვირაში ორჯერ“.

„ჰო, აქვეა გამზირი... სკოლა...“

თავი არ აუღია, ისე წამოდგა და იქაურობას გაეცალა.

რა უნდოდა იქ, ან იმდენ ხანს რას უჯდა!..

შეშლილი და ჭკუიდან გადასულიც არ მოირთხამს ფეხს ყველგან, მანაც კი იცის, სად რა სჯობია.

ბოღალატეს, ორგულსა და ორპირს ხომ ასჯერ მეტი ჭკუა, გამჭრიახობა და გაძრომ-გამოძრომის უნარი სჭირდება. ალალ-მართალივით პირადია ბლაცუნით რას გაახერხებს.

გამზირზე, რა თქმა უნდა, ხალხი დუდგად იდგა, ტროტუარიც თითქმის იმ ქუჩის ტოლა ჩანდა, წელან რომ მიატოვა და მაინც

ცხვირში არავინ ენცობოდა. ნერვების წეწვასა და გლეჯვას აქაც ახერ-ხებდა.

„მურთხი... ეს რა გიყო ამ მურთხმა!..“

გუშინწინ, სანამ ცოლს სიმამრთან გაისტუმრებდა, თავჩაღუნული, ნაკვერჩხლებჩანთებული ცერად უბღვეროდა და თვალთაგან ურცხვი, სასხვისო ვნების ცხელი ლორწო ჟონავდა. როგორი საკქერი და გა-საძლებია, როცა იცი უდანაშაულოდ ისჯები, როცა ეს შენი ცეცხლი და ვნება მთლიანად სხვას ეკუთვნის და შენ, დაპყრობილო, დარბეუ-ლო და დაქცეულო ციხევ თუ ნაციხარო, ნაცარტუტავ, გთელავენ და შენს გულზე დააბიჯებენ, შენი განკაცებული კაცუნები.

ჭკვიანი ცოლი ქმრის გაორგულებას კი არა, გვერდზე თვალის გა-პარებას მაშინვე ხედავს (გულგრილობითა და გაცივებით ხომ რეგვე-ნიც მიხვდება). გარეგნობაზე და ჩაცმა-დახურვაზე ზრუნვით ძილგამ-ფრთხალია, ადრეც დგება და პირის გაპარსვასაც მეტ დროს ანდომებს. პერანგს, რასაც სკამზე გადაცმულს ნახავდა, ხელს რომ გაუყრიდა და ჰალსტუხს ისე დაიხვევდა, ზოგჯერ არც დახედავდა — შენს გემოვნე-ბას ენდობოდა, უკვე ისე თვალდახუჭული აღარაა. დღეს ვიღაცა „დიდ კაცს“ ელოდება, ან მასთანაა დაძახებული, ან თათბირი აქვს და ან... ფეხსაცმელებზე ხავერდის გადასმა დაგვიწყნია, ან ჩაი ღღეს ცხელია და შოფერს ქუჩაში ვერ ალოდინებს. ვიღაცას უთქვამს: ჩვენი მთავა-რი ეკონომისტი აგვიანებსო და ხალხს ვერ ალაპარაკებს. გაჭირდა და გართულდა მუშაობა. ახალი მინისტრი ტელეფონებზეა ჩამოკიდებუ-ლი, ტელეფონით კეთდება საქმე გონია, მაგრამ შენ ქე უნდა იყო ად-გილზე... შუაღამემდე მშიერ-მწყურვალია (რა ბიჭია, თავს მოიში-ებს)... და რა გაჭირდა ერთი ჭიქა ჩაი!.. ცოლი სიყვარულით არ უნდა შეირთო... ან მან არ უნდა იცოდეს, რომ გიყვარს... — პუზღუნებს, ბობოქრობს, ჩქარობს, ტყავში ვერ ეტევა.

და აი, ამ დროს გეცლება მიწა...

მაგრამ მაშინ... მანამდე ამას როგორღაც იტან. იტან, რაკი ჯერ ის „ციხე-სიმაგრე“ აუღებელია. ეს შეტევებია და სანამ შენი დამრბევი არ დარბეულა... სანამ „სიმაგრე“ შეუვალია და მოძალადეს თავზე ღადარსა და მდუღარე კუპრს ასხამს, შენს მაგივრად შენი სქესი ძი-ობს შურს, გგონია...

გგონია, რაკი ასე გინდა. შენ, ასე გაჭირვებულსა და წყალგატანე-ბულს, სხვა მშველელი და მოკავშირე არ გაგაჩნია და თუ ხსნა გიწე-

რია, მანვე უნდა გიხსნას, ვინც დაგღუპა. ამქვეყნად, დედამიწის ზურგზე, ქვესკნელში და ზესკნელში შენი ქმაგი არ არსებობს. ვერსად იტყვი, არიქა, მიშველეთ, ქმარი მღალატობს და გამიერთგულეთო! ქმარს სხვა უყვარს და გადააყვარეთო! ისევ, ვინაზეც გაცვლას გიპირებს. ის თუ გიხსნის.

ბაკრამ „ის“ კიდეც რომ იცოდე ვინაა, ვერ მიხვალ და ვერ გაუმხელ. გაუმხელ კი არა, შენს გასაჭირს ვერც აგრძნობინებ. მან რომ შენი უმწეობა შეიტყოს და მისკენ გაშვერილი შენი მავედრებელი, აცახცახებული ხელები დაინახოს, უფრო ადრე დაცემ და გატეხავ... ბით უმეტეს, თუ ქმრის მოცილებისათვის უსიამოვნებას შეამთხვევ. ვაი შენ, თუ მოქიშპედ სცნობ და მის „ციხეს“ ქვასა და ლოდს დაუშენ. უფრო ადრე და მალე გატეხავ მის შეუვალობას.

შენ მისი საბსენებელიც არ ეგინდა, უბრალოდ თვალის შევლებაც კარ. რაკი. თუ შენზე უკეთესია, გაგაცამტვერებს და თუ უარესი — შეურაცხყოფს. არც ის ეგების, თვალდახუჭული ელოდე შენი ღირსების. ქალობის. თავმოყვარეობის აღსასრულს და არ იცოდე ვინ დაგაქცია თავზე ქვეყანა...

გამოუვალია ხვედრი შენი და შეურიგებელს უნდა შეურიგდე, რაკი ბუნებრივად არსებობა უნდა შეწყვიტო. სამარადჟამოდ უნდა გამოეთხოვო საწუთროს. ერთბაშად ყველაფერზე უნდა თქვა უარი, რისთვისაც გიცხოვრია, გიარსებია, გიშრომია და გიწვალია. უნდა ჩაუყარო წყალში ამაგი და რწმენა შენს წარსულს, წინაპარს, უნდა უარჰყო შვილი და მომავალი, მზე და ქვეყანა. ან უნდა ჰკრა ფეხი ყოველივე ამას და გაიქცე: გიძახონ და გიკიჟინონ. შეგაქციოს ზურგი იმავე დეუამშობელმა და შვილმა — შობილმა, რომ, რაღაც „კაცის მსუნაგობისთვის“ დაირქვი ნაქმარევი, გამოქცეული, გამოგდებული, შეგინებული და წიხლნაკრავი.

ყოველთვის... ყოველთვის და დღესაც, დღესაც და ხვალაც აუტანელი. გაუსაძლისი იყო ხვედრი ქალის და იქნება, იყო და იქნება... ამ ცოდვილ მიწაზე ვერავინ შეამსუბუქებს...

ან...

ან უნდა დაჯდე სულელივით და იცინო შენს დამწვარ, დანაცრულ ბედზე და ვითომ ფეხებზე მოიკიდო ღალატი და თავლაფდასხმა, როგორც ამას აკეთებენ: „ოჰ, დიდი ამბავი!“ „კაცი, აბა, რისი კაცია“, „ღორი ღორობას არ მოიშლის“...

ან სიცრუე. საზიზღარი სიცრუე. ვითომ არაფერი იცი, ვითომ შენ

ამას ვინ გაკადრებს, შენ ღირსებას ვინ შებღალავს. და გულდაბნელებულმა აჩინო თეთრი კბილები; დაიტირო შენი უმწეობა და შებილწული სარეცელი. „მაგას როგორ დავიჯერებ“, „ჩემი მეერთხი მაგას როგორ გაბედავს“, „ღალატის, პირიქით ეშინოდეს!“..

ვის?..

ვის ეშინოდეს? შე საბრალო და საცოდაო, შეგინებულო და მიწასთან გასწორებულო! შენს სავალალო ხვედრს ვერ მორევიხარ და შენი დამცველის ნარჩენ, ნასუფრალ ვნებას ვერ შელევიხარ, როცა მთლიანადაც შენი იყო, მაშინაც თავს არ გადაგდიოდა.

უნდა დაითხარო თვალები და შენი საკუთარი იპარო, სხვისი გახრელი და ნამუსრევი გრძნობით უნდა იღარღილო, მათხოვრად ხელგაშვერილმა...

—

— ნუცა! ნუცა!

მოესმა თუ მართლა ეძახის ვინმე? ღმერთმა დაიფაროს ახლა ვინღა შეხვდეს და მეხაიფი წამოუწყოს, ეს ხომ გაუგონარი სასჯელი იქნება. წამება, ჯოჯოხეთი.

— ნუცა! არ გეყურება, ქალო?!

ვინ ჯანდაბაა? არ ეყურება, არ ესმის, არაფერი გაეგება.

— ნუცა!..

იწამე ღმერთი, ვიღაცა ხარ, და დაანებე თავი, მოეშვი, გაუშვი თავისთვის, თავისი ჭირისა და გოლგოთის სათრევად. არამარტო შენთვის. არამარტო შენი გულისთვის, დედამიწის გულზე არავისთვის არ ცხელა და არავინაა ამქვეყნად, ვისთვისაც ახლა ერთი სიტყვა, მისალმება, თავის დაკვრა გაიმეტოს... გაიმეტოს კი არა, შეძლოს...

იწამე ღმერთი და გაიგე. იგრძენი, როგორც გინდა ისე ჰქენი, ოღონდ არა... თავი... თავი დაანებე... რაც გინდა ის იფიქრე, როგორც გინდა ისე ჩათვალე, ოღონდ მოეშვი, შეიბრალე, შეივრდომე, შეიწყალე. ნუ, ნუ ეძახი.

— ნუცა!..

ხმა ახლა უფრო შორიდან მოისმა, მანძილის გამო კი არა, ნირწამხდარი, გაოცებული მხმობელი ახლა ხმაწართმეული თუ ხმაჩაბრუნებული ეძახდა.

არა, არ შემცდარხარ მხმობელო, ნუცა ნუცა აღარაა. აღარაა ის, ვინც გახსოვს და იცნობდი. არც დღეის ამას იქით იქნება. ის აწი

ასე... ასე გაჩქარებით, გამალებით, უკან მოუხედავად ივლის, ირბენს და გაშორდება ყველაფერს იმას, რასაც დღემდე „ნუცა“ ერქვა.

არ მოიხედავს, ვერ მიუხედავს ნუცას, ნუცას ქმარსა და შვილს, სახლსა და მეზობელს, ნუცას ნაცნობებსა და მეგობრებს.

ტროლეიბუსმა რომ ჩაუარა, მოასწრო — ვიწრო, მეორე განიერ გამზირზე გამავალ ქუჩაზე შეუხვია. შეუხვია და უკან მიუხედავად მიხვდა, ვინც ეძახდა. თუმცა არც მაშინ და არც ახლა, მის ნაკვალევს არ მოპყვებოდა. ხმა მაღლიდან ისმოდა, ფანჯრიდან, მეოთხე სართულიდან და მხმობელს მისი გამოდევნება და, მით უმეტეს, დაწევა არ შეეძლო. ახლა ისიც იცოდა ვინ იყო და იქნებ მაშინაც, როცა ეძახდა, მაგრამ „მას“ ხომ დღემდე იცნობდა, აქამდე იცოდა ვინ იყო. იმას ის ნუცა იცნობდა, რომელიც ამ დილამდე არსებობდა და არა ის, ვინც ახლა ქუჩიდან ქუჩაში დარბის და გაურბის თვით ნუცასაც და მის ნაცნობ ქვეყანასაც.

სამწუხაროდ, ამ ორი გამზირის შემაერთებელი გზა მოკლე გამოდგა და ისევ მანქანებით გადაჭედილ ფართო შარაზე გამოჭენდა.

ამოვლილმა ვიწრო, დაჩრდილულმა ქუჩამ მიახვედრა თუ გაუცნობიერებლად აგრძნობინა, რომ სადაც ამდენი ხალხი და მანქანები ირეოდა, გზის გაკვალვა გაჭირდებოდა, მაგრამ უკან დასაბრუნებელი მას არ გააჩნდა, უკან ყველა გზა მოჭრილი ჰქონდა, წინ უნდა ევლო, წინ, მიზნისაკენ — ღალატისაკენ.

„... და მაინც რა იყო მიზეზი?

სად გაწყდა ძაფი?

გონიერმა ადამიანმა დანაშაული ყოველთვის სხვაში არ უნდა ეძიო. ვისაც სახლში არ სცივა, ქუჩაში სითბოს ძებნას არ დაიწყებს. თუ კაცს თავის სახლში არ შია, პურ-ღვინოს სხვის სახლში არ მიეტუზება. თუ სიყვარული თავის ოთხ კედელში ხვდება, „სხვისი ცოლის“ მოიმედე ფართე ლოგინს არ დაიდგამს“. თუ პატრონმა კარი ან ფანჯარა ღია არ დატოვა და მაგრად დაგმანა, ქარი საიდან შემოიჭრა? თუ ქონებას კარგად უვლიდი, რატომ იყო, რომ გაგქურდეს?“

„თავიდან შორსაა“.

„შორსაა, მაგრამ ახლოს ეს უბედურებაა, რაც დღეს გვირს“.

„მაშინ საიდან დავიწყოთ?“

„ალბათ... ჰო, შენი ამბავი შენ უნდა იცოდე“.

„ალბათ, მაინც თავიდან...“

„თავიდან რა იყო?“

„თავიდან... ოჰ, ღმერთო ჩემო, თავიდან თითქოს ყველაფერი...“

„მით უარესი, თუ ყველაფერი იყო და ახლა აღარაფერია... არა მართლა ყველაფერი იყო? თუ მაშინ გეგონა ან ახლა გგონია?..“

„არა, არც თავიდან, არც არასოდეს...“

„როგორ, ყველაფერსა აქვს დასაწყისი, თავი და ბოლო“.

„უთავბოლობა იყო დასაწყისიც და რითაც დაიწყო, იმით თავდება“.

„მაგრამ დასაწყისი იყო...“

„ვის რად უნდა ან ახლა რაღა დროს“.

„რა ჯანდაბა მიჰქონდა იმ კაცს, რომ ხელიდან გააგდებინე?.. კიდევ კარგი, შავი, უხეში ლითონის ყოფილა და არ დაიმსხვრა“.

„ჰო, აქ სადღაც რკინეულობის მაღაზიაა, კარის საკეტი უყიდია, შავდღიანს, და გასაღებს არგებდა, მართლა თუ დაკეტავს და დამიკავებს ავისაგან და ღალატისაგანო“.

არა. ამ უშველებელი ქუჩიდან მაინც უნდა გადავიდეს, აქ საფიქრალსა და სათაკცემოს გასაგისს ვერ უპოვი.

აგერ, ვიღაცას ისევ წამოედე ფეხებში... და, ამას გარდა, აქაურობა მაინც ახლოსაა იმასთან, რასაც დღევანდლამდე შენი საცხოვრისი ერქვა და არ იქნება ვინმეს ისევ არ გადაეყარო. ვისაც ის ნუცა იცნობდა, დღემდე რომ იყავი.

...და, კიდეც რომ არა... იმის შიში ხომ გექნება... შეიძლება ისეთიც შეგეჩეხოს, ეგონოს ახლაც გიცნობს? ადამიანები გარეგნულად ხომ ასე სახელდახელოდ არ იცვლებიან? ისევ ის წამება იქნება, რომ შენ შენ აღარა ხარ... აქამდე იცოდი, იცნობდი და დღეიდან ვერც მას და ვერც მის ნაცნობ ნუცას გაიხსენებ.

„სადღაც აქ მიწისქვეშა გადასასვლელიც იყო...“

„დღემდე იყო. მაგრამ ახლა იქნება? აწი იქნება ის, რაც აქამდე იყო: აწიც იმ გზაზე ხომ ვერ ივლი, რაზეც აქამდე გივლია. აწინდელი ხომ ვეღარ იქნება ნაცნობი, ნასწავლი და გააზრებული. დღეიდან ხომ მღვრიე მდინარეში ივლი, უნდა გატაროს და გაბურთაოს ისე, როგორც მორევს მოეგუნებება და არა ახლანდელ ნუცას... ნიაღვარი სადაც მოისურვებს, იქ მიგახეთქებს ქვას, ლოდს, კბოდეს და სადაც მოინდომებს, იქ ჩაგითრევს, იქ გაგრიყავს და კაბას იქ წამოგხდის.

„...დავეთხოვა, შუქნიშანმა ჩაუკეტა გზა მანქანებს თუ შენში გუშინდელი ნუცა კიდევ ცოცხალია და გამუნათებს, როგორ და რა გზით იარო?“

ქუჩის მეორე მხარეს ქალი ისევ ასახვევს ეძებს, ისევ დამარტოხელებას ცდილობს, რომ გუშინდელ სიწმინდესთან კავშირი საბოლოოდ გაწყვიტოს და ამ უფრო ხალხმარჩხ გზაში... გზაში თუ სკვერში, ბაღში, გაჩერებაზე, ტელეფონის ჯიხურთან თუ სადღაც... როგორც ხდება ეს... თავი ვინმე გარეწარს მიაჩეჩოს სათრევად, საჯიჯგნად...

მალე, რაც შეიძლება მალე... ადრე და მალე, რომ შურისძიების გამგუდველმა, ყოვლისმძლე და ყოვლისწამლეკავი ეძლებმა გრძნობამ თუ უგრძნობლობამ, ხელი ისე არ დარიოს, ეს ერთადერთი მამოძრავებელი, სისხლჭარბი ძარღვიც არ ჩაუწყვიტოს და ზეზეურად არ გაანძოს, ყველაფერზე ხელი ჩააქნევინოს. ხელჩაქნეული, ყველაფერზე შეგრიგებელი ფლეგმატი ხომ დაუმარხავი მკვდარია, რომელიც იშლება, იხრწნება და მიწის მიმყრელი კაცი არ ჩანს.

ან ტოლფასი, ტოლსწორი და თავისუფალი უნდა იყოს ადამიანის არსებობა, ან ღირსების დამკარგავი შეურიგალი და შურისმაძიებელი, თორემ იქცევა გამზადებული მონის ყოველად შეუწყნარებელი ხვედრი: ყურებდაჭრილი, გულამოცლილი და სისხლგაწყალებული.

შურისმაძიებლის სისხლი მღვრიეა, მაგრამ ამბოხი. იგი ძარღვებს დახეთქვითა და თვითშეწირვით ემუქრება, მაგრამ წყალს არ ირევს, გათეთრებისა და ვნებისაგან დაწრეტის საშიშროება არ ელის.

ვნებაა ერთადერთი წარმმართველი, ყოვლისმძლე ძალა და ვნებისაგან დაცლა — სიცოცხლის ნიშანსვეტის დაშრეტა.

შურისძიების სისხლმღვრიე ვნება სიყვარულის ჩუხჩუხა ვნებაზე ნაკლებ როდი ცოცხლობს და სამსხვერპლოზე ნაკლები ალმურით როდი იწვის.

ქალი ისევ გადამკვეთი ქუჩის ხალხმრავლობასა და მანქანების სრბოლას შეასკდა. გაოფლილიყო. მკერდსაკრავმა და ტანზე მიწებებულმა ჰერანგმა შეაწუხა. შეაწუხა თუ მათი არსებობა გაახსენა.

ახლა, ამ ცემენტის ერთნაირი სახლებიდან ვინმე შამაკაცი რომ

ხელს დაუქნევდეს, მეტიც არ უნდა... არ დაელოდება, მასპინძელი როდის რას მოიგუნებებს...

არც სიბნელეს დაუცდის, არც ფანჯრებზე დარაბების ან სქელი ფარდების ჩამოფარებაა... სამოსს თვითონ შემოიძარცვავს... წ-ლეკავს და შემუსრავს აქამდელ თავის თავს... დაამსხვრევს. დაგლეჯს ამ ორთგულების ჯაჭვებს, რომელზეც ძაღლივით მიაბეს.

ან მანქანიდან დაუქნიოს ვინმემ ხელი. შეაჩეროს, ერთი წ-ვით შეაჩეროს და მაშინვე ჩაუჯდება. თვითონ ასწავლის გზას ქალაქგარეთ. არცთუ შორს და მაინცდამაინც გადასაკარგავში, როგორც კი ხიდზე გადაივლიან, ცოტაც და ტრასიდან მარჯვნივ გადაუხვევენ, ორი მოსახვევის შემდეგ, გზიდან მინდორში...

და დღისით, მზისით... ბალახზე, ხის ძირას, ლოდზე, ჯირკზე...

ქუჩა ქოთქოთებს. ასფალტის სიმყრალით, მანქანების გამონაბოლქვით, ხალხის ამონასუნთქითა და ოფლით ზიმზიზებს. ამდენ ადამიანს ვალეს, ჭუჭყსა და ვერაგობას ვერ იტევს. ამ გარეგნულ, ალიანცებულ ზრიალში მოისმის გულსაკლავი ჭრიალი, ხრეკილი. ოხვრა, კვნესა-წუხილი.

არა, აქ არაფერი გამოვა.

აქ იმოდენა ბრბო იერევა, „ის“ ამას ვერ გაბედავს. ან აზრადაც არ მოუვა ქალი მოისურვილოს. ისევ უკაცრიელი ან თითო-ოროლა სულიერი რომ დაბოგინებს, ისეთი გზა-შარა უნდა ეძიოს.

ეშმაკმა იცის სადაა ასეთი ადგილი. სად და როგორ ხდება ასეთი შეხვედრა-გარიგება...

მაგრამ, ხომ ხდება და სადმე ხომაა... მართლაცდა, ქვეყანაა, ამოდენა ქალაქია, ბოლოს და ბოლოს, ხალხითაა დასახლებული, ანგელოზებით ხომ არა.

...ამჯერად უფრო გაძნელდა გზის გადაჭრა, მართალია, ქუჩა განიერი არაა, მაგრამ ავტომანქანებიც ისე არ ირევა, როგორც გამზირზე.

ვიღაც მძღოლმა ბგონი კიდეც შეაგინა, ყოველ შემთხვევაში, მუხრუჭებმა ისე ბრაზიანად გაიხრჭიალა, არ შეიძლება ამის შემდეგ მძღოლს გულგრილად ჩაეცინოს.

აგინოს, რამდენიც გაუხარდება იმდენი აგინოს და ანთხიოს. ნუცას, რაც არ სჭირს, იმის უარესს ვერავინ დამართებს და, რასაც თავის თავს უპირებს, ვერავინ იშაზე უდიერად ვერ შეურაცხყოფს.

იმ აბურდღუნებულ მძღოლს, გზა რომ ასე თავზეხელაღებით გადაუჭრეს, შეეძლო მანქანის კარი გამოეღო, თითი დაექნია და ქალი თან გაჰყვებოდა. აქაურობისათვის გაეცილებინა და გინებასა და თრევას წყალობად მიიღებდა.

ნუცას კაცის სახე არც დაუნახავს, მაგრამ განა თვალშესავარდნს ან გულგასახარ ვინმეს დაეძებდა? რომ ტოლსწორთან და ტოლფერთან დაეცხრო სასიყვარულო ვნებანი და ცეცხლზე ხელები ეთბო? ასეთი რამ, ალბათ, ჩვეულებრივ ქმრის ღალატი იქნება და არა შურისძიება. ასეთი მზაკვრობა გარყვნილებაა და არა ნაცვალგება, პირიქით, ამან საკუთარ თავზე უნდა აგიძრას შურისძიება, რომ შენს ქალურ ქვენა გრძნობას წუწკი ფინიასავით აჰყევი და გაცდუნეს. ეს კახპობაა: მოეწონე, მოგეწონა მამაკაცი და იმრუშე.

მაგრამ, როცა არ იცი ვინაა, ზედაც არ უყურებ ვისთან სცოდავ, არ არჩევ, შენი ნდომისა და წადილის წინააღმდეგ ნებდები... ნებდები კი არა, ირყვნი თავს, იყრი ნაცარს და ისხამ ლაფს... შენივე საკუთარი ზიზღი გგუდავს და გახრჩობს...

ისე უნდა ამოითხვარო და გაღორდე, თავი მტარვალისთვისაც არ დაგენანოს. ალბათ, ამის შემდეგ თუ შეიძლება დაუბრუნდე უკვე შურნაძიებ ქმარს და თავი ჩვარივით მიუგდო, რაკი იგი მხოლოდ ამის ღირსია და მხოლოდ ასეთი თუ შეეფერებით ერთმანეთს, რომ მთელი შენი ცხოვრება საკუთარი პატიოსნების ცოდვით არ იწვოდე და იტანჯებოდე.

კი, კი. აქ გიჯობს. ჩახარე მუხლი. ახლა შენ არც დაღლა იცი, არც დასვენება და არც სიცხე-სიცივე, მაგრამ ამდენ წანწალში მაინც დაოსებულხარ. ისეთი პაპანაქებაა, მალე სულ ოფლად გაიტბორები და „ის“ მსუნაგი ვინმეც რომ გამოჩნდეს, ვაითუ ასე გახვითქულზე გული არც მიუვიდეს.

ამ ახალ ცემენტის სახლებს შორის, სასწაულით გადარჩენილ ოთხიოდე ძველი ხის ძირში, ჩამოსაჯდომიცაა და ახლომახლო არც ავტობუსისა და ტაქსის გაჩერება ჩანს. ვიღაცა მოკუნცხული მოხუცი კი თვლემს ბოლო ძელსკამზე და ბავშვიც იქვე ჩაჩოქილა, მიწას ჩიჩქნის თუ ბალახს თხრის... არც ეს ფაშფაშა ქალი, ორ ჩემოდანს რომ სახეწამოწარხლებული მოათრევს, აქეთ არ იხედება და, მადლობა ღმერთს, არავის შენთვის არ სცალია. ან სხვისთვის შუბლს ვინ გაიც-

ხელებს, როცა ქვეყანას თავისი ღალატის, შოვნა-ძღომის, თავისი ჩრდილია და თავშესაფრის ძიებაც ჰყოფნის.

დაჯექი მანდ და თუ „ის“ კაცი გეძებს, ამისთანა შესაფერისი ადგილი, ალბათ, იშვიათია.

„...და მაინც იქიდან ხომ არ დაიწყო ყველაფერი, რომ მაგ მურთხის ცოლობა გადაწყვიტე? ხომ ვერ იტყვი, რომ შენი თანხმობის გარეშე მოხდა?..“

„ჰმმ...“

„კარგი, გაიგებია რომ ორპოფობდი, არ გიყვარდა... გასაგებია...“

„ბოლომდე, ბოლო წუთამდე...“

„ნოე კი არა, ალბათ, არც არავინ მიგაჩნდა შენს იდეალად... და, საერთოდ, იდეალი იდეალია, იგი ცხოვრებაში არ არსებობს... თუ, მაინც არსებობს?..“

„არა!“

„აჰა! ამანაც გადაგაწყვეტია? უხორცობის გამო ძაღლის ხორცის კერძზე დაყაბულდი?“

„ვითომ?.. ალბათ, არც მარტო ამიტომ...“

„აჰა, ასე არ გგონია?.. რატომ არ გგონია! როგორ, მერენდელ?.. რაც შენი ქმარი გახდა ძირეულად შეიცვალა რაიმე? მერე გამოაშკარავდა მისი სიმურდლე და ქვემძრომობა?“

„დასწყველოს ღმერთმა ქალის გაჩენა. მაინც თვალებში აქვს ეკუა და ჭეშმარიტებას ან საერთოდ ვერ ხედავს, ან მაშინ ხედავს, როცა თვალები ევსება“.

„და ეს „ჭეშმარიტება“, როგორ ვერ დაინახე? ახლანდელზე არაფერს ვამბობთ. ახლანდელი, საუბედუროდ, ნათელია თუ პირიქით — ბნელია, მაგრამ გასაგებია. რა მოხდა მაშინ, რა ჭეშმარიტების ხილვას ცდილობდი და რას ხედავდი? მურთხი რომ იყო, იმთავითვე არ იცოდი?“

„შაშინ. რა თქმა უნდა. „მურთხი“ ასეთი მნიშვნელობით არ მესმოდა. რაკი ამ სიტყვას ზუსტი განმარტება არა აქვს. ის კი არადა, მგონი არც არსებობს ასეთი სიტყვა“.

„ჰო, მაგრამ კარგს მაინც არ ნიშნავდა. რაკი ცხონებული ნატა ამას სახოტბოდ და საალერსოდ არ ხმარობდა“.

„არა“.

„მაგრამ მაინც, თუნდაც გამძრომ-გამომძრომ, მოთაღლით-მოაფერისტო, მოთვალთმაქცოდ არ გესახებოდა? თავისას რომ გაიტანს და არავის არაფერს გაატანს, თუ იპოვის, თორემ არ დაჰკარგავს...“

„თითქოს...“

„თუ საამისო არაფერი გააჩნდა გეგონა; რა თქმა უნდა, სხვა საქმეა, თუ თავი წმინდანად მოგაჩვენა ან მოგეჩვენა... მოგაჩვენა თუ მოგეჩვენა, ეგ სულ ერთია“.

„მთლად ასე წყალწაღებული...“

„კარგი, მთლად ასე არა, მაგრამ ცოტა გაიძვერა, ცოტა თაღლითი, ცოტა ფლიდი და ვერაგი შეიძლებოდა აგეტანა?“

„არა, მე ამ სიტყვაა მნიშვნელობაზე ვლაპარაკობ, „მურთხი“ ამნაირად მესმოდა-მეთქი“.

„მოთითლიბაზოდ, მოლიზღრად?..“

„ჰო, რაღაც ამდაგვარად...“

„თვითონ სიტყვა გესმოდა ამდაგვარად, მაგრამ ნოე ხინიკაძეს არ თვლიდი ამნაირ კაცად? თუ არა, რატომ ან რად თვლიდი, თუნდაც „თვალების ჭკუით“.

„სტუდენტობის დროს ხომ მე და ნატა ერთად ვცხოვრობდით“.

„არა აქვს ამას მნიშვნელობა. ერთად ცხოვრობდით თუ ცალ-ცალკე, არც ნატას აზრს... შენ, შენ რას ფიქრობდი... ეს კაცი რომ პირველად გამოგეცხადა, რა თვალით შეხედე, რა და ვინ დაინახე?“

„პი-პირველად...“

„რატომ ბორძიკობ?.. არ დავიჯერებ, ასეთი სლიპინა, უფორმო, უფერული და უძალო ცხოველი შეიძლებოდა არ შეგენიშნა და არ დაგმახსოვრებოდა. მართალია, ასეთებიც თითო-ოროლა არაა, მაგრამ ისინი ყველანი ერთმანეთს ერევიან თავს, თუნდაც ერთნაირი ბუნებითა და სხვადასხვა მოღელზე გადაცმული სახესხვაობით“.

„პირველად იგი, მე და ნატამ, ხინველთან ერთად გავიცანით“.

„და ხინველის მოდელია ეცხო რაიმე?“

„ალბათ“.

„და მაშინ, გამოუცდელმა, თვალებდაყველეპილმა გოგომ არ იცოდი, თუ სხვისი ჩოხით შეიძლება დღეობაზე წასვლა?“

„თუ ვიცოდი, მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით“.

„ეგ ზოგიერთ გულუბრყვილოს, ყმაწვილქალობისას კი არა, ჭკუა როცა ეკითხება, მაშინაც ჰგონია, მაგრამ არც ისე შეიძლება, ნოე ლაშას ასლი ყოფილიყო, თუნდაც გარეგნობით“.

„გარეგნობით, რა თქმა უნდა, არა, ეს არამზადა, სანამ გამელოტ-დებოდა, ის ჩალისფერი თმაც თითქოს თავისი არ იყო. ახ-ლანდელი სიქაჩლე უფრო თავისი“.

„თმა და წვერ-ულვაში როგორი აქვს ვისი რა ბრალია, ღმერთის საქმეში ნუ ჩაეერევით, ნაგრამ ხინველზე ურცხვი არ იყო, თვალჩაგე-ზებული?“

„რა ,ვიცი, მე მაშინ თვითონ მრცხვენოდა და თვალებში არც შე-მიხედავს. ნატა უფრო თამამი იყო და მან კი თქვა...“

„რაო?“

„ამ ხინკაძეს ისეთი ფერ-ხორცი აქვს... როგორ თქვა?.. ისეთი ვინმეა... კაცს ძალიან, ძალიან რომ შერცხვება, წამოწითლ-წამოჭარხლ-დება და მერე სულ იმ ფერზე რომ დარჩესო“.

„მერე. ეს მოგეწონა?“

„თუ ასეთი გაჩნდა. რა ექნა. არც ნაკლად ჩამითვლია. როგორი დავიბადებით, ჩვენზე ხომ არაა დამოკიდებული“.

„არა. რა თქმა უნდა. აკი ნოგახსენე — ღმერთის საქმეში ნუ ჩაეე-რევით-მეთქი. ნაგრამ სხვა დროს, მარტო სინველთან ან სხვასთან და სხვაგან რომ ხვდებოდეთ, როდის გატყუებდა და როდის მართალს ამბობდა. როდის იმორცხვებდა და გეკრძალეოდა, ამ ფერის გამო ვერ არჩევდი?“

„მორცხვობისა და მოკრძალებისაგან. მაინცდამაინც დიდ მიდრე-კილებას არ იჩენდა. მაერამ ნას. სტუდენტობისას, ,მარტო არ ეხვდე-ბოდი...“

„გეგონა. სირცხვილით დაიწვებოდა?“

„არ მიფიქრავდა. გული არ მიმიწევდა. დავამთავრე და ის იყო, იმ დასაქცევ მთაში გამანაწილეს. ,ნატას ვითომ ასპირანტურაში უნდოდა ჩაბარება. არ გამომიტყდა, თორემ მაშინ ,ინველი კარგ ფორმაში იყო და სპორტულ შეჯიბრებაზე შეეძლო ენახა. მისი შორიდან ცქერაც არ ეთმობოდა“.

„შეიძლება ესეც იყო და ისიც... ამჯერად ეგ ჩვენ არ გვეხება. შენ არ გინდოდა ხინკაძეს შეხვედროდი, მით უმეტეს. იგი სპორტს არ მიჰყვება. ასპირანტურაზე არ ოცნებობდი და გასწიე მთაში?“

„რა ჯანდაბა მინდოდა. რომელი ინსტიტუტ და უნივერსიტეტდამ-თავრებული ,ვარბის მთაში და კლდე-ღრეში“.

„ეგ არაა დანაშაული. მთაც შენი ქვეყანაა და კი უნდა გერჩო-დეს გული, დიდი მამულიშვილიც რომ არ იყო“.

„ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს“.

„ყველა ჩვენთაგანი თითო-თითო მერცხალი ვართ, მაგრამ დავანებოთ ამას თავი. თუ ეს იცოდი...“

„რა ვიცი, ვიცოდი?..“

„გაზაფხულს ვერ მოიყვანდი და ასე, ბრმად დაადექი გზას?“

„ვანა ყოველთვის ვიცით წინ რა გველოდება? რუსებს აქვთ ასეთი გამოთქმა: წინდაწინ რომ ვიცოდე, სად წავიქცევი, ლეიბა დავიგებდიო. ნატა ოხრავდა: რატომ მანამდე არ დამევსო თვალები, სანამ ლაშა ხინველს დავინახავდიო“.

„და ლაშა სულ არაფერ შუაში იყო?“

„შუაში რომ იყო, ნატა ამიტომაც ამბობდა...“

„შენ რომ მთაში გაიქეცი...“

„ჩემთან რა საქმე ჰქონდა ხინველს?!“.

„კარგი. არაფერი... ამისთვის ფერი რად მიგდის... მერე, მერე?“

„იქ. კიდევ, ერთი დანგრეული სკოლა დამხვდა და ათიოდე მოწაფე“.

„ცხრა“.

„ჰო, მთის სოფლები ის-ის იყო მთლად იცლებოდა“.

„თუ ცლიდნენ...“

„მოხუცები ჯერ კიდევ იყვნენ.“

„სიკვდილს რომ ელოდნენ და მემკვიდრეებმა თითო შვილიშვილი, დაუტოვეს, მკვდრისთვის რომ კატას თვალები არ ამოეჭამა?

დავანებოთ თავი ურბანიზაციას, ეს რთული და მწვავე საკითხია. ამას ახლა ჩვენ ვერ გადავწყვეტთ. მაგრამ ვერც იმ მთამ და გაპარტახებულმა სოფელმა არგო შენს სულიერ სიცარიელეს...“

„ბევრს არც არაფერს მოველოდი“.

„რა თქმა უნდა. იცოდი შენი ოცნების რაინდი ჯარც იქ დაგხვდებოდა. ჩვენს დროში „რომანტიკასა“ და „რომანტიკოსებს“ ლექსიკონში ვეძებთ ან ძველ რომანებში და სათავგადასავლო წიგნებში. დღეს ჩვენ პრაქტიკოსები ვართ, „გავსათლდით“, ანგარიში ვისწავლეთ, მაგრამ ახალგამომცხვარ სპეციალისტებს თავიდან ჰგონიათ ან ახალგაზრდებს მძინარე თავმოყვარეობა, სანამ ცხოვრება წყალს არ გადაუწურავს, ახსენებს, რომ რაღაცა ხალხისთვისაც უნდა აკეთოს. მარტო თავის სტომაქში ცქერა ცხოველურია, კაცი, ბოლოს და ბოლოს, საქმით ფასდება (ვინც. რა თქმა უნდა, თავისი თავის ფასი იცის). ულიდურეს შემთხვევაში, აიძულებენ, გაანაწილებენ... და წახვალ, შენ

ქვეყნისთვის გიძგერს გული, თუ იმას უყურებ, მეგობარი და კეთილისმყოფელი რას გიჩვენებს...“

„ნატა რა შუაშია, ნატას ერთი სიტყვაც არ უთქვამს... არც უგრძნობინებია...“

„როგორ გეკადრება! ნატა იმ ჭკუის პატრონი იყო, კეტყოდა შენ ცხრა მთას იქით. ჯანდაბაში გადაიბეგენ და მე ასპირანტურაში გავჯიმებიო?“

„მაშ, რატომ შეგიზიზღისთვის... მეგობარს თავისი საქმე ჰქონდა, მე ჩემი...“

„შენი საქმე გქონდა... მაგრამ იქ, იმ დაქირავებული ოთახის ვიწრო ფანჯრიდან ისეთი ლამაზი, ქლიავისფრად დაბინდული, მთები არ ჩანდა და არც ისეთი მუდამ მოკასკასებული ზეცა, როგორიც ლექსებში წაგვიკითხავს. არც იქაური ბავშვები აღმოჩნდნენ ფრთიანი ანგელოზები, როგორც ვეგონა. ერთი სული ჰქონდათ იმ ჯარგვალა, დაფეხვილ სკოლასა და წინაპარ მოხუცებს თავს როდის დააღწევდნენ, რომ ქალაქში, მშობლებთან გაქცეულიყვნენ რაკი იქ ოთხი კლასის მეტი არ იყო და პაპა-ბებოვების ყერის ნაცარს ალარ ქექავდნენ“.

„ჰო, ბავშვს კი არა, დიდსაც იქ ურჩევნია, სადაც თვითონ არაა“.

„როცა გზას ადაადექი. შენც ასე გეგონა, რაც გჭირდა იმაზე უარესი არ იქნებოდა. იქ მართალი, შეურყვნელი, ხელდაუკარებელი ბუნება მაინც დაგხვდებოდა და იმდენად მობეზრებული გქონდა თამაში, ერთის თქმა და მეორის გულში მალვა, თვალთმაქცობა და კუკუმალობანა, იმედოვნებდი, შეურყვნელი ხის ძირას, გაუთელავ ბალახზე მაინც შეგეძლებოდა წამოწოლა და ამოსუნთქვა. იმ რძეშეუშრობელ ბალღებთან მაინც პირდაპირი და გულწრფელი იქნებოდი და სულს. რომელიც შენს მეტს აქ არავის ეირდებოდა, იმ პატარებს ჩაბერავდი. აქ, ამ ცხელ ასფალტზე თუ არავის არგებდი. იქ, ბუნების მწვანე წიაღში...“

„მაშინაც ვიცოდი, სოფლის ამშენებელი რომ არ ვიყავი“.

„სოფლის ამშენებელი რომ არა. ეს კი, მაგრამ თუ იქაც შენი ქვეყანა არ იყო. ეს არ იცოდი“.

„ჩემისთანები არსად არ არიან ზედმეტი“.

„ღმერთმა ნუ ჰქნას, ზედმეტი კი არა, ჰაერივით ეირდება ქვეყანას. მაგრამ ნებისყოფა, უტეხი ძალა-და სიჯიუტე არა გაქვთ. როცა თქვენი ოცნება სინამდვილეს ეჯახება, სალ კლდეზე მიხლილი ფარშავანგის კვერცხივით იმსხვრევა. იმ კლდის ძირში თავგატეხილი დაუ-

ბუმბლავი ბასალებივით აღებთ ვეება ყვითელ პირს და ქორ-ხინკა-ბეების ლუკმა ხდებით".

„რა შეეძლო, ახალი სოლა ამგვარ? სოფლიდან გადახვეწილი ნელი და მომავალი უკან ძალით ჩამომერეკა?.. ძვირფას სამასალე ხეებს იქაური ბეტყეეები ნამალავად მანქანებით რომ ეზიდებოდნენ და ჰყიდდნენ, არ მიეცა მგანხთლების გამგესთან და არ ვუთხარი? — შენ იქ ბავშვების აღსაზრდელად გაგზავნეთ და არა ხეების, ბალახის, ცხვრისა და მგლის საწყემსავად, — მამაშვილურად მირჩია: იქ უკაცრიელ კლდე-ღრეში არაფის არაფერი აწყენინო, შენს ცოდვაში არ გამრიო. ხეს ერთს თუ მოჭრიან, ათი ამოვა. ბალახი რომ არ მოთიბონ, შენ გგონია იანვარშიც ისე მწვანედ იბიბინებსო?" — ჰოხუცები ამბობენ: ტყე მოსპეს, ქვეყანა დააქციესო. თუ ერთის ადგილზე ათი დასხი ამოვა ზათ არ იციან-მეთქი? — „მაშინ იმ ჰოხუცებმა ეჩიელონ. ალბათ მათი დარგულია და გაუგონებენ. შენ ვინ გკითხავს ხისას და ტყისას. იქნება ცაც არ მოგწონს. ნამეტანი ხშირად ლაგრუბენებენ თვითმფრინავები და კვამლის რალაც გრძელ ხაზებსაც კი ტოვებენ. არადა, ლურჯ კაბადონს არც კი უსდება. კაცმა რომ თქვას... ჩვენ მაგას კი არა, მოსწავლეების საქმესაც არ გვეკითხებიანო. ეს. რაიონში, სულ ორი სკოლა გვაქვს. ერთგან, მხატვრული წრის წევრებისთვის რომ სულ ზღაპრები და ჩიტებზე და ყვავილებზე ლექსები უსწავლებიათ. ეეც მომეწონა. მაგრამ რესპუბლიკურ დათვალიერებაზე რომ უნდა წაგვეყვანა, „ამხანაგებმა" მეორე სკოლის მხატვრული წრე მოიწონეს, რაკი იქაური ბავშვები სცენიდან სულ ბუშტებს უნვენდნენ და ფეხს უბაკუნებდნენ ათასი ჯურის კაპიტალისტებსა და მილიტარისტებს. დავტოვეთ ის „ჩიტო-ჩიტო" და „გვრიტო-გვრიტო" მეზღაპრე მოსწავლეები და ისინი წავასხით. — წარმოდგენა რომ არა აქვთ კაპიტალისტ-მილიტარისტი იქნება თუ ისმება, მაგრამ ბირსაგან მიწისა ალვას კი ემუქრებიან. — შენ რა გგონია, — მახარა გამგემ. — იქაც კარგი სოლიდური ადგილი ავიღეთ, ა, ბატონო, დიპლომი, აგერ კედელზე მაქვს გაკრული და ჩემი მუშაობა ამით ფასდება. წადი ბიძიაო. — დამიყვავა — შენს საქმეს მიხედე და იმ ბავშვების თავში რაიმეს შედენი თუ არა, ცუდი ნიშნები არ დაწერო, სადავ-დარაბო არ გამიჩინოო".

„ამიტომ ვითხარი. შენი ქვეყანა არც იქ დაგ'ვდა. არც ბთა იყო ისეთი. შენ რომ წარმოგედგინა: წყაროსთვალი, მწვანე ნაკადული, ჭრელ-ჭრელი ფრთოსნების გალობა-ყღურტული... ფანჯარასთან დავ-

ჯდები ბუნების მშვენიერებით ტკბობის უფლებას მაინც ვინ წამართმევსო. შვლის ნუკრს ისე მოვჩვევ, მარილს ხელისგულიდან ამილოკავსო... სოფელი ისეთ ღრმა ხევში იყო, არც ერთ მთას თხემი არ ეჩანდა. იქაურებს ის საცხოვრებლად უნდოდათ და არა კედელზე დასაკიდებელ ხალიჩად. მოხუცებს ნაკელი რომ ვეღარ გაჰქონდათ, ეზოებში და სასლებს ლაფაროებში გორებად იდგა. არც ის ლერჯი, ფერად ქვებზე მოხტუნავე, წყალმარჩი ბდენარე იყო კალმახთა და ორაგულებით მოხატული და არც ის პაეშვები იყვნენ მართალნი, გაკვეთილებს რომ არ ამზადებდნენ და გულს გიჩვილებდნენ: პაპას გუშინ წელკავმა გაუარა, თავზე ვადექი და თვალმოუხუჭავმა ღამე ვუთიეო. მშვენიერ პეიზაჟსაც რამდენ ხანს უყურებ ან ჩიტების ყრიალმულს, პეპლებისა და კალმახების სსმარტალს. ცხვარიც ცხვარია, ბოლოს და ბოლოს, და ხარ-ძროხაც — ხარ-ძროხა. დღეს, ხვალ. ზეგ-ერთი კვირა, ორი, ერთი თვე, ორი... ღიასახლისმა რაღაცა ორი ხალხური ლექსი იცოდა. ისიც „აკადემიკოსებს" ჩაეწერათ. ერთ ბერიკაცს ახსოვდა. ოდესღაც რომ „ტყეში" ნაღირი იყო და ფილთა თოფით დასდევდა, მაგრამ ეს იმღენი ხნის ამბავია, ხერიანად კი აღარ ვიცი. მართლა ვნაღირობდი. თუ მამაჩემის ნაამბობში მეშლებაო. შენი ჩასველის ღღიდან ორ კვირაში ჭირხლი დადო, ერთ ღამეში გათოშა და ზეზეურად ააკანო ზურმუხტი ველები და მდელოები. ერთ თვეს არ ეკუელია. რომ ჩამოთოვა. განიწმინდა, გასპეტაკდა ქვეყანა, ფანჯრიდან მის ცქერას მართლა აჩაფერი სჯობდა, მაგრამ რამდენ ხანს! შემოდგომა, ორი თვე, თოვლი. ზამთარი — სამი თვე თოვლი. გაზაფხულმა აპრილის ბოლოს ძლივს კამოაჭიატა... და იმ ქათქათა ქვის გამპობმა ყინვამ. შეშის ჩეხვას და თუნუქის ღუმელში შეყრას რომ ვერ აუდიოდი. წყაროდან წყლის თრაქვამ და პურის ცხობამ, ცეცხლმა და თოვლმა თვალები და ტვინი რომ გამოგითეთრა..."

„ახლა ყველაფერი სულ ერთია".

„სულ ერთია, მაგრამ როგორ ამბობდა ბარათაშვილი? — „მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდესო?" ხარ ამ სკოლაში და ხმის გამცემი კენატრება. დედაშენი და მამაშენი შავი ცრემლით ტირიან, შვილი ეღუპები. ხინიკაძე დუმს, რაკი იცის, მთაში შენი მომტაცებელი არაერნაა. გზაშიც. მთასა და ბარს — ქალაქსა და მიყრუებულ სოფელს შუა დიდხანს ვერ ირბენ, ამის დრო რომ იშოვო, ხელფასი არ გაგწვდება. ნოე უკვე ეკონომისტია და ეკონომიურადაც არა უშავს, კარგად რომ დათოვა და მთაში გამოიკეტე. ბუხართან რომ ხართ მი-

ფიცხებული შენ და შენი საცოდავი შეგირდები, ღვთისა და კაცისაგან მივიწყებულ სოფელს ორღერძიანი ავტომანქანა მოადგა, როგორც ყინულშეკრული ექვსთვიანი ღამის შემდეგ ყინულოვანი ჩრდილოეთის ცაცარიელ კუნძულს და შენ კი არა, იმ დღეს ხინიკაძე ბავშვებმაც შეიყვარეს. მით უმეტეს. ხელცარიელი არ მოსულა და ფოჩიან შოკოლადებს შენი მოსწავლეები ერთმანეთს შურდულივით ესროდნენ. ამიტომ თქვი შენ, ქალს თვალებში აქვს ჭკუაო?"

„ახლა ამაზე ლაპარაკი ძნელია. მაგრამ მიმხვედრი მიხვდება, ჩემს ადგილზე ყველა ქალი ისე მოიქცეოდა... თუმცა რა.... ესღა იყო, მიეღე... დაველაპარაკე..."

„...და ხინიკაძემ იცოდა და იცის ზოგადად ქალის მოდელი, მაგრამ ნატა?"

„რა ნატა?.."

„ნატა რომ მაშინ შენთან ყოფილიყო?"

„ალბათ, როგორც თვითონ მოიქცეოდა, თუ მირჩევდა..."

„შენთვისაც ხომ არ იყო ნატა მოდელი?"

„ამაზე არ დაეფიქრებულვარ. მაგრამ მაინც შეიძლება... კი. ალბათ, მეგობრებს შორის არსებობს რაღაც მისაბაძი თუ გადამდები, მაგრამ მისაბაძი და არა მოდელი... შეიძლება, რაც მაკლდა, იმისგან გადმომეღო. ჩემი სისუსტე მისი თანადგომით გამემაგრებინა ან წაფორთხილებულს ხელი გამეწოდინა, შემშველებოდა".

„შენ რა იყავი მისთვის?"

„ნატა ჩემზე ძლიერი იყო, ჭკვიანი..."

„...და მთაში გაგისტუმრა?"

„რას ჰქვია გამისტუმრა!"

„პო. გირჩია, ქვეყანას სადაც სჭირდებოდი, იქ გემსახურა?"

„ამისთვის რა რჩევა მინდოდა. ამდენი მეც ვიცოდი..."

„და არ უთქვამს, რომ ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანილი? და ერთს რომ ორი სჯობდა?.."

„თვითონ ხომ არ შეეძლო..."

„არ შეეძლო და იქ ამიტომ არ იყო ნატა. შენ თოვლყინულზე წაფორხილე და მკლავებში ჩაუვარდი ხინიკაძეს. რა თქმა უნდა, არა იმდღესვე და არა იმღამესვე... ამას არაერთი შემოტევა მოჰყვა და ნოესაგან მთისა და ბარის არაერთი დალაშქვრა, თვით მარტო შენი მეგობრების კი სარა, დიასახლისის, მეზობლებისა და სხვათა და სხვათა მონადირება...

კაცმა ერომ თქვას, სოფელს სოფელიც აღარ ეთქმოდა ან რა ეკონომიკის პატრონი იყო, რომ ეკონომისტ კაცს მათი გულის მოგება გასჭირვებოდა. თანაც მურთხი უკვე შენდა შეუცნობლად, თავზე გადაგვევ და მალე მიიღო შენი ფორმა — შენი სურვილები გათავისა. ჩამოტანა წიგნები, ფერადი ილუსტრირებული (მათ შორის ეროტიკული გამოცემები) ჟურნალები და ალბომები. პოეზიისა არაფერი გაეგებოდა, მაგრამ ანბანს ცნობდა და ის რომ რამდენიმე გაზუთხულ ლექსს ჭიკჭიკებდა, შენ ღრუბლებზე დაწერნობდი. ეს შენი „გარსი" ხომ არ დაგტოვებდა, და ნოეც თან გაჰყლდა. ეგეგონა, ადრე შენ და ნატაც ორივე ცდებოდით. ხინიკაძე არც ისე ცარიელი ქოთანი იყო, თუ ხელს არ ჩაყოფდი, ცალი თვალით მაინც შიგ არ ჩაგეხედა. ასე საფრიმდით ცაში?"

„ღმერთმა დასწყევლოს, მასთან ცაში კი არა, მიწაზეც რა შინდოდა!"

„როცა სპორტითა და წარმატებით გაბრუებულმა და არა ცაყოყოჩებულმა ხინველმა ვერა და ვერ შენიშნა ნატას ასე ამაყი და უკიდეკანო სიყვარული, გამწარებულმა შენმა მეგობარმა ქალმა, როცა საგაზაფხულო არდადეგებზე ნოეს მაწქანით ჩამოსვლა და დაქალებმა ერთმანეთით გაიხარეთ. იმ გულზე გიჩანა: — თუ სიყვარული ის ჯოჯოხეთია, რაც მე მქონია, იქნებ ოჯახისთვის და ცხოვრებისთვის ხინიკაძეები ჯობდნენ...

თუმცა. შენთვის ეს სხვებსაც უთქვამთ. არსებობს. საუბედურო, ასეთი ანბანი თუ უაზრობა და რაკი ამქვეყნად უაზრო მეტია. ვინემ ბოაზროვნე. ამ „ჭეშმარიტების" გაუცნობიერებლად მიმდევრებმა (მათ შორის დედაშენმაც). ნატასთან ერთად გადაწყვიტა შენი ბედი?"

„თითქოს, თუმცა..."

„ვერც შენმა მაშინდელ პატივმოყვარეობას უარყოფ: მაცხოვრებს, ხელისგულზე დამისვამო..."

„ხელისგულზე დასვა არასდროს მომითხოვია!"

„ნუ წითლდები! წყალწაღებული ხავსს ეპოტინება... მოთხოვნა არ დაგჭირდებოდა. ეს თავისთავადი იქნებოდა. გეგონა. ჩემს ღალატს ჯულშიც ვერ გაიგლებს. ჩემს საფერხულში წოლის ნება რომ მივცე, ჩემი ერთი ფრჩხილი მთელ საქალეთს ერჩივნებაო. შენ ყოველთვის ავადმყოფურად გამიცდიდი ღალატისა და ორგულობისადმი რაღაც გაუგონარ შიშს. თითქოს იმ საყარიდან იყავი, სადაც ასეთი რამ არ სმენიათ ან რისთვისაც მხოლოდ სიკვდილით სჯიან. შენ გერჩია უსი-

ყვარულად გაჰყოლოდი ვინმეს, თუ მისი ძაღლური ერთგულების იმედი გექნებოდა, ვინმე იმას, ვინც ჩკუის დასაკარგავად გეყვარებოდა, მაგრამ იმისი ღალატისა და ორკულობის ელდა-ფეთება გქონოდა: ვაითუ ის სხვასაც ჰყვარებოდა...“

„ვინ უნდა ჰყვარებოდა?!“

„ვინც იქნებოდა... მთამაც გაგიმკვიდრა ეს აზრი... შენი დიასახლისი, ჩახული, რატომ იყო მარტოდმარტო და უშვილძირო. ქალიშვილობაში საქმროსთვის ვერ ეპატიებინა, თავის მეგობარ გოგოსთან გაერშეყება და მერე არც იმას გაჰყოლია და არც სხვას. იქვე, მეზობლად იყო მარტოხელა მოხუცი, კვირაში ერთხელ შენს დიასახლისთან იცოდა გადმოსვლა, კოკლი ბარბალე. ერთადერთ, გაქალაქებულ ვაჟიშვილს რძლის ღალატისათვის ემდუროდა.

და, ამას გარდაც, რამდენმა რაიმემ გაგიმკვიდრა ეს ერთგულების შეუვალობა. რა გენი და თესლი აღმოცენდა შენში, ეს შორსაც წაგიყვანდა, და ამას რომ არ მოვრიდებოდით, მაინც აქამდე მოვიდოდით. მხოლოდ მეტი კვეცოდინებოდა იმის თაობაზე, რაც ვიცით: რომ ორგულს უგულო გერჩია“.

„ერთგულება არაა ყოველგვარ ჭეშმარიტ ურთიერთობათა სათავე?“

„უსათუოდ!“

„და ახლა? აღარც სიყვარული, აღარც ერთგულება, აღარც გული, არც უგულო?.. რა მეშველება!..“

„ასლა აღარაფერი. რაკი შენი ერთგულება უკომპრომისოა, რაკი შენ... თუ სიმართლე გინდა, ხინიკაძის შერთვა თუ მარტო ამან არ გადაგაწყვეტია. მთავარი მაინც ეს იყო. სიმართლე დედაბოძად დაიდგი და ამაზე აშენებდი ოჯახს, სახლს, კარს, შვილსა და მომავალს, და ზიზღის ღირსადაც არ მიგაჩნდა ის ქალები, ქმრებს რომ აღმერთებენ და მათი ცოდვა და ღალატი ცის სვეტის გამოვარდნად და ქვეყნის დაქცევად არ მიაჩნიათ“.

„რა თქმა უნდა, ეს არც ერთ ქალს... არაა ქალი, ეს არ აცოფებდეს. ქალს კი არა, საერთოდ ადამიანს. კიდევ უარესი, ეს ცხოველურია, და იქნებ, აქ სიამაყე და პატივმოყვარეობაც არაფერ შუაშია. ბალახის მკამელი, უწყინარი შვლები, ირმები და ჯიხვები სქესში მოზიჯრეებს მტრობენ და სასისხლოდაც არ ინდობენ. მხოლოდ „ჭკვიანმა“ და „განათლებულმა“ ქალებმა შესძლეს, ასე ჰგონიათ... ერთი კვირის ჭაჭყანისა და ჯამ-ჭურჭლის მტვრევის შემდეგ, ქმრებს აბანოში უხეში

ღრუბლით ხეხენ, ამბრს აკლებენ და კახპის სუნია და სიმრუშეს აცილებენ.

შენ არასოდეს არ იყავი და არ ხარ ამ ამბის შემგებელი, რაკი შემცოდველი ცოცხალი კი არა, მკვდარიც ცოდვილია. ბაგრამ... იქნებ რაღაც შემთხვევითი, წინასწარი განზრახვის გარეშე. შორს. სხვა ქვეყანაში, სხვა ქალაქში, რაღაც-რაღაცების მიმიზეზებით, რომელიც, კაცმა არ იცის. არსებობს თუ არა, ამართლებენ ერთმა ეუნებურ ლალატს. იქნებ შენც რაღაცნაირი „საბაბით", „ჰკუთ"... იქნებ..."

„ვერცერთნაირად!..."

„და რაკი ასე... ერთ დღეს სადღაც შორს, ეუცრად და უცაბედად კი არა... შენთან, შენს გვერდით თვეობით ფიქრობდა, აწყობდა და გეგმავდა შენს ორგულობას. ოხრავდა და წუხდა, გეფიცებოდა და გეჩხუბებოდა, რომ შენი ღალატი ეუგვანდებოდა, შენი გაცვლა არ ეხერხდებოდა. ქვეყანად შენი არსებობა, შენი სიახლოვე და ერთგულება უშლიდა ხელს. რომ შენს გამანადგურებელ საწადელს სწეოდა... შენ მისთვის მტანჯველი ბოვალეობა იყავი. გადასახადივით აეცილებელი, რაკი ეკი უკვე სხვისი გარსი იყო... ამას გრძნობდი, გრძნობდი კი არა, ხედავდი. თვალნათლივ. თვალხილულად. ამისათვის ირეოდა და იგლეჯდა ქოჩორს. რომ ბრმა არ იყავი, რომ თვალი დაგეხუჭა და ყური დაგეკეტა. რომ მასში სხვისი აძგერებული გულის ბრაგაბრუგი არ გაგეგონა...

და აქამდე თვალს იბრმავებდი, ყურს იყრუებდი, თავს ისულელებდი? აქამდე. სანამ თვალი და ყური არ დაგიყენეს და გაგასულელეს?! რას უცდიდი ან რას ელოდი? ეს მოხდებოდა თუ არა, ჰქონდა მნიშვნელობა? მაინცდამაინც შენს ქვეშაგებში უნდა დაეწვინა და, მისთვის აჩქროლებული სისხლი „მის" სხეულში გადაღვრილიყო?

რაიმეს იმედი გქონდა და თავს იტყუებდი? თუ თავს ვერ იმეტებდი. და ისულელებდი? მაგრამ მოტყუებულიცა და გასულელებულიც ხომ იგივეა, რაც დღესა ხარ...

ახლა აღდექი შერისხვებად. როცა მოსახდენი მოხდა. სარეცელი შეგიბილწეს? ტალახში ამოსვრილს გაგეგვიძა? რა ჰქენი მაშინ, როცა თავზე ნარეცხი დაგაქციეს? რა ილონე. ორმო გაითხარე და შიგ ჩაძვერი, რომ არაფერი დაგენახა? სანამ შენი მიწა ყოლ წუმპედ არ აქციეს, სანამ ორმო ლაფად და ტალახად არ მოზილეს, შენც ფეხით არ შეგდგნენ და შიგ არ ჩაგგლისეს?

ახლა აღდექი, მონავ, შურისგებად, როცა გაგძარცვეს და გაჩვაიარაღეს? და გინდა დაემგვანო მას, ვინც გაგამწარა? გინდა ტოლფერი იყო არა სიყვარულში და სიწმინდეში, არამედ ბიწიერებასა და სიმდაბლეში? რომ ლაფით ჩამოირეცხო ტალახი და სისხლით — სისხლი?

რა ჰქენი მაშინ, როცა თქვენს ზიარ სარეცელში ვილაცის აჩრდილი დალანდე? დღეს კი არა, როცა „ის“ ზედ გაშხლართეს და ვნების ცეცხლში გაჰხვეს, მაშინ, როცა სარეცელი აგიკვამლდა, საიდან შემოიპარა ის ბოლი და ეძიე თუ არა ჰუჰრუტანა და ღიობი, რომელიც თქვენი საწოლი ოთახის კედლებს გაუჩნდა? თქვენს ლოგინს სიგრილემ რომ დაჰბერა და გულისპირზე ოფლი შეგაშრო, გადაბრუნდი და ზურგი მიუშვირე თუ მაშინვე დაგმანე და შენსა და შენს ქმარს შორის გაჩენილი სიშორე შეამჭიდროვე, რომ ქალის კი არა, ჭარის ჩასატევი მოგესპო.

„თუ, ეს გინდოდა, რაც მოხდა?“

„რა მინდოდა!“

„რაკი ვილაცა შემოვიდა, უთუოდ კარიც ღია დახვდა, კარი თუ არა, ფანჯარა მაინც. და რატომ დატოვე? თუ დაგრჩა, როცა ეზოში მძარცველის აჩრდილი დალანდე, რატომ მაშინვე არ ჩარაზე? რატომ მოდუნდი და რატომ გეგონა, ქვეყანა განაღდებული გქონდა. რაკი ქმარი იყო და შენი შვილის მამა, ოჯახის პატრონი და მოვალეობის ულელით აპეურგამონასკული, ეს ნიშნავდა იმას, რომ თქვენს ცოლქმრულ სამსხვერპლოზე, ყოველდღე არაფერი შეგეწირა და ხელები ისე გეთბო?

ეს ამბავი ხომ ერთ დღეს არ მომხდარა, ხომ ხედავდი, სანამ ქარი ამოტყდებოდა. სიომ დაჰბერა, თავი რომ მაშინვე შეურაცხყოფილად იგრძენი, სხვა ქალის ლანდმა ჩვენს შორის როგორ გაიჭაჭანაო... რატომ არ მიიხედ-მოიხედე, გაგულისდი, ქმარმა როგორ მაკადრა — გაგრილდაო და საკუთარი ტემპერატურა არ გაიზომე? რატომ არ იფიქრე, რომ თქვენ ზიარი ჰურჭელი იყავით და სიცხის დაწევა და დაცემა შენი სინდისის სვეტშიც მოხდებოდა.

როდის იყო, თქვენი ურთიერთობა მოვალეობად რომ იქცა და ვნებების ხარკის გადახდა დაიწყეთ? არ იცოდი, რომ ხარკს მონები იხდიან? მონას კი ჰყიდიან ან ცვლიან, ეს შენთვის ახალი ამბავია? დღეს რომ აჯანყდი და შურისგებით აღვსილი გაიჭერი, რომ შენს სიწმინდეზე და პატიოსნებაზე ხელი აღმართო, ფიქრობ, რომ გარყვნი-

ლებას გარყვნილებით დაიოკებ, ბოროტებას ბოროტებით დათრგუნავ?

ბოროტებას მუდამ სიკეთე უდგა დარაჯად და ქურდს პატიოსანი მკელელი რომ მოკლა, გგონია შენ მკელელად არ იქცევი? შენ რომ გაგქურდეს, ადგე და შენ სხვა გაძარცვო, ეს გაგამართლებს გგონია? არ წაგიკითხავს, „ყველაზე დიდი შურისძიება ისაა, არ ემგვანო იმას, ვინც გაგამწარაო?" ღალატსა და ბიწიერებას რომ ღალატითა და გარყვნილებით ვუპასუხოთ, ერთგულებასა და პატიოსნებას რა პასუხი მივცეთ.

დანაშაული მუდამ სხვაში ხომ არ უნდა ვეძიოთ. მოღალატეს არავინ ამართლებს, პირიქით, რაც ქაცობრიობა არსებობს, მოღალატე ჯერჯერობით, ღირსეულად არ დასჯილა, მაგრამ ღალატი ცოდან არ ცვივა. იგი ამ ცოდვილ მიწაზე დაბრწის და ამჯერად შენსა და შენს ქმარს შორის, ერთმანეთის გვერდიგვერდ რომ იწექით, ხელებგადაჭდობილებს თავი ერთ ბალიშზე გედოთ, ერთსულ და ერთხორც, შვილივით იქ ჩაისახა და იქ დაიბადა. მერე შვილივით ზრდიდი და ახლა, როცა დამოწიფულდა, „მოგესწრო" და კისერში ხელი წაგიჭირა, აფხარკალდი და ისევ ღალატითა და შურისგებით ძმას უჩენ, რომ შენ — კიდევ ერთი პატიოსანი, მტრის ბანაკში გადაპარგდე? ისედაც ღალატშესულ ერთგულებას მტარვალი გაუმრავლო?

და, გგონია, რაც ერთგულებით დაკარგე, ორგულობითა და ღალატით დაიბრუნებ? ის ხომ განწირულია, ვინც შენ დღეიდან დაკარგე, ახლა ღალატითა და გაორგულებით შენშიც ჰკლავ იმას, ვითომ, რისთვისაც იბრძვი და შურს ძიობ!

წელდს რომ ნაჯახი გადაეყოლო, ისაა.

ბოროტებას თუ სიკეთე არ დაუპირისპირე, ღალატით ღალატის გამოხმობა ხომ იგივეა, ჯოჯოხეთის კარები დაიღო.

შენც თუ ერთგულებას მოაკლდები, შენი დამბენევის ლაშქრის ჯარისკაცი ხდები და საკუთარი ცეხის კოშკებსა და ქონგურებს თავზე დაიქცევ. თუ ღალატისთვის შენც გაორგულდები, შენც ხომ მტრის ბანაკში გადადიხარ და ებრძვი ისას, ვისთვისაც შურს ძიობ, გგონია".

„არა, არ უარეყოფ, რომ ქმარი გძულდეს (თუ ოდესმე გიყვარდა), ვერ აპატიო ეს გაიძვერობა და ვეღარ გაიზიარო მისი ლოგინი. ეს სხვა საქმეა. თუ, რა თქმა უნდა, შენ თქვენი საწოლი ოთახის კარი ღიად არ დაგიტოვებია, მან მაინც გატეხა და ვინმეს გაუღო (თუმცა

ესეც არ გამართლებს. არასოდეს ისეთი ძილქუშით არ უნდა დაიძინო: კარის მტვრევა. ფანჯრის მინების ზრიალი და სახლში შემოჭრილი ქარის შუილი ვერ გაიგო). აპატიებ, არ აპატიებ, შენი საქმეა, აქ არავისა აქვს უფლება, თუნდაც ოჯახს, თავისი ნება მოგახვიოს. უპატიებლის პატიება მოგთხოვოს, ვერც დედობის მოვალეობა გაიძულებს ამას. რაკი დედა ხარ და ამას, შენ ამ ქმართან იქნები, სხვასთან თუ საყვარელთან, ვერავინ წაგართმევს...".

„საყვარელთან?!"

„ჰო, ვინც გეყვარება... თუ ქმარი არ გეყვარება და მასთან არ იქნები... ადამიანი სანამ ცოცხალია, ან უყვარს, ან სიყვარულის მოლოდინით სულდგმულობს".

„ჰმ... სიყვარული."

„ქალი მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულისთვისაა გაჩენილი და მას თავისი არაის ღალატი არ ძალუძს. მზადაა დაუფიქრებლად ყველაფერი დავარჰყოს, რაც ამას წინ ეღობება, თვით საკუთარი არსებობაც კი, რისთვისაც ამას ჩაიდენს".

„აწი რაღა დროს ჩემი სიყვარულია..."

„სიყვარულისთვის ასაკი არავის დაუწესებია და, ამას ვარდა. შენ სიცოცხლით სავსე ქალი ხარ, შენ თვითონ რომ არ ყვიროდე, ამდენი ხნის გათხოვილი ვარ... ქმარი კიდევ არაფერს ნაშნავს, ამოდენა შვილი მყავსო..."

„ჩემი გოგო მეოთხე კლასშია. დედამისი დამიწდა ადრე და მალე, წელს ოთხები და სამები გამოჰყვა..."

„გაუთხოვარიც რომ იყო, ჯერ შენს შინაბერობას ვერავინ იტყვის".

„შენ და უკუღმა ჩემი თავი, შვილო!.."

„როგორ ამბობდა ნატა — შვილი, ქალისთვის, საწყისიცაა და სასრულიც? — ესე იგი ყველაფერი..."

„თვითონ ამ ქვეყნიდან ისე მაინც არ წასულიყო, შვილი ღირსებოდა.

მაგრამ მე ახლა ის მჯობია, მისთვის არაფის უღალატია და შვილს დარდი სამარეში არ ჩაყოლია... დღეს. მეც განწირული ვარ და ამოდენა ცოდვაც მაწევს..."

„შვილი ცოდვაა?"

„ცოდვაა, ფუძემოშლილი, გარყვნილი დედ-მამის პატრონი და შე-

გინებული... ჩაუსახლდება გენში მაწანწალა, გაუტანელი, ძმის არდამხდომი და ამისთანას ყოლას უყოლობა სჯობს. მოღალატე კაცის შთამომავალს“.

ბედნიერი რომ ერქვა, ისეთ ადამიანსაც, არ უცხოვრია თავისი ცხოვრებით, დღემდე არ ყოფილა დედამიწაზე იმისთანა ქვეყანა, სადაც კაცშვილს თავის გუნებისად გაევლო წუთისოფელი.

შეგუების უნარი — აი ერთადერთი, რამაც გააძლებინა ამ მუდამ შეევიწროებულ არსებას და მოიყვანა დღემდე.

განა ერთსა და ორს შეურთავს უსიყვარულოდ?

ნუცაც უნდა შერიგებოდა ბედს, ვითომ რომ გათხოვდა (ნატას ვერ გააგებინა. ვერ გაუბედა და ვერ შეკადრა: „მე ხომ გეუბნებოდიო“ — ეტყოდა და იფიქრებდა, რა მნიშვნელობა ჰქონდა.).

იმ ზამთრინდელ დიდთოვლობას დიასახლისმა, გამოციებულ ქვითკირის იმოდენა სახლში ერთადერთმა სმა-ს გამცემმა სულიერმა, ზღვისპირეთში დასთან და დისშვილებთან ფეხად გაასწრო, და ისეთი ჭარბუქი ატყდა, ხევი ერთ ღამეში ამოავსო, მეორე დღესაც არ გადაუკარებია. ციცაბო ბეღების თავზე გრიგალი დათარეშობდა და თხემიდან თხემზე გადასატანი თოვლი ხეობაში ლანქერებად უცვივოდა. შემოდგომის პირზე წვიმებით ჩაშავებულ-ჩაყურსული ტყიანი ფერდობები ცივმა სიქათქათემ შესუდრა. აქოთებული ნაკელის გროვა, ორმო, საქონლის აძინძიხებული ვიწრო შუკები და ბილიკები წაიშალა და თვით ხევის უდღეური მდინარეც ფადაიფარა. სოფლის თავზე ერთადერთი კამკამა ლურჯი ცის ნაგლეჯიც ტყვეიისფერი ღრუბლით დაიყურსა და კაცის სიმაღლე თოვლმა ადამიანები, დიდიან-პატარიანად ქოხმახებში ჩარაზა. მაღლიდან გადმომდგარ სარკმლიდან (თავიდანვე ყველაზე მაღლა შეცხოვრებ ოჯახში დაიდო ბინა), ცივ მინაზე შუბლმისრესილ ნუცას იმ დამაბრმავებელი სითეთრეში ალაგ-ალაგ ამომძვრალი კვამლის „ცოცხალი“, მოძრავი ჰაერებიდა შეეძლო დაენახა, რომელსაც ქარაშოტი, გამოჩენისთანავე ღვლერეკდა და წეწავდა. მზიანი დღეც რომ გაბორეოდა ღრუბლებში თავგარეგულ მთებიდან ერთიორი საათი კოშკზე გადმომდგარი წუნია მზეთუნახავივით თუ ჩამოიხედავდა და ისედაც დამქანცველ სითეთრეს თვალგაუსწორებელს ხდიდა. ყავეებს თუ გადმოლეკავდა მთებს ზემოდან ქარი და ხევის უბეში შეფარულნი თავზე დაჩხაოდნენ სუდარაში გახვეულ სოფელს.

მოდარაჯე, თვალი იმ მტკაველა ცის თავანზე, ათასში ერთხელ გადაქროლებულ არწივს თუ დალანდავდა, მაგრამ არ მომხდარა დაბლა დაშვებულიყო ან. თუნდაც. სოფლის თავზე ირაო შეეკრა. ყვავების არჩევში არწივი წილს ვერ დაიდებს. მარტოობა ცხოვრებამორჭმული ბრძენის ქვეყანაა. ხორცი რომ შემოაცვდა, სულის ანაბარა დარჩა და თვალი დაეშრიტა, გონებით ქვეყნის კიდე-კუნჭულს წვდება. სმენა წაერთვა და ფიქრის წუხილი ესმის. ახლადავსებული, სისხლ-ხორცით კანში დაუტევარი სიყვარულითა და ვნებით გათანგულ ქალს მთელი ღამე, რომ თვალის წადება ეყოფა და ყინულის ლეიბს გაადნობს, მკვდრეთის დილეგში კარგამოკეტილი სამი დღე და ღამე ჭკუიდან შეშლის. ხინკაძემ იცის ქოთანში ხელი როდის ჩაყოს და ოქრო როდის დახვდება. მეორედ შუაგულ ზამთარში მოადგა. შარაგზისპირა სოფელში დაუქირავებია მეგზურები. მთა-მთა, ხევ-ხევ თხილის ლანჩიანი მრგვალი თხილამურებით ეტარებინათ. სამარკო კონიაკებით გამობრუჟულებს ლამის მხარზე გადებული მოჰყავდათ. ნუცას ოცნების რაინდსაც გაუჭირდებოდა იმისთანა მიუვალში მიღწევა და იმ დროს გამოჩენა, მარტოხელობით გაწამებული ქალი რომ ნედლ ხეს (თვალსაწიერზე რომ აღარსად ჩანდა) მოეხვეოდა, საფიცრად გაიხდიდა. ნოე არც მაშინ მოსულა ცარიელი ხურჯინით და პირის ჩასაკოცზინებელი და სისხლის გასათბობი ხომ თავისთავად. არც ჩასათბუნებელი და სულის „პური" დავიწყნია (ახალ გამოცემულ წიგნებს საღებავის თავბრუდამხვევი, მათრობელა სუნი ასდიოდა).

„პირდაპირ ისევე. ჯვარდაუწერლად, შეეძლო მურთხს გაეხადა და ლოგინში შემოგწოლოდა".

„დაწვა და არ ადგა მისი გვერდები!"

„მეგზურები მაშინვე. ჭიშკრიდან გაისტუმრა და როდისთვის დაიბარა ამას შენ ვერ ჭკოთხავდი და იგი არ ამბობდა".

„ის მეკითხა. რამდენ ხანს დარჩები, ჩემი ბედნიერება თუ სანამდე გასტანს-მეთქი?"

„მაგრამ ბუხარი ხომ გათბა? გულზე ხელი დაიდოთ და ისე ვილაპარაკოთ: „ეს საჩუქრები რა ამბავიაო" — კი შეიცხადე, მაგრამ თოვლი რომ ვადნა და მდინარე ისე მოდიდდა, ნაპირებზე ლოდებს გლეჯდა. წყალში არ გადაგიყრია. მაგარი სასმელიც იმ დღეს დალიე ცოტა ზომაზე მეტი და იმ საღამოს იყო ხინიკაძემ რომ მათრობელა სითხით სავსე სასმისიან ხელზე ხელი წაგავლო: არ დადგა, შესეიო!

და ესღა უთხარი, გამიშვი, არ დამაღვრევინოო. მკლავი კი გაიხთავა-სუფლე, მაგრამ სასმელი სახეში არ შეგისხამს.

სხვა თუ არავინ გეხედავს, ჩვენ ხომ ვხედავთ საკუთარ თავს. ერთი მოწმე იურიდიულად არ კმარა თორემ მორალურად ხომ ბევრზე ბევრია".

„ჰო, მაშინ ვიფიქრე: ჯანდაბას ჩემი თავი, რაკი საშველი არაა და ვერასოდეს იმას ვერ ვეღირსები..."

„ვის იმას!"

„იმას... იმას, ვინც შემიყვარდებოდა და შემიყვარებდა..."

„ნოეს ხომ უყვარდი..."

„ნოეს და ნოესთანებს არ შეუძლიათ სიყვარული. სიყვარული ისეთი ხილია, რომლის ნაყოფს ისინი, ვერასოდეს შეწვდებიან..."

„მაგრამ ჭოკით ჩამორეკავენ და არცთუ უარესს და უმწიფარს, ან ქარს დაუცდიან. მათ შეუძლიათ ლოდინი. და შენ, რაკი ქარბუქში მოხვდი და თოვლსა და ყინვაში ჭიისგან გულგამოქმული მთლად უსარგებლოდ რომ არ დაღუპულიყავ, გადაწყვიტე ღორს მაინც რგებოდი?.. ჩვენ უაღრესად გულახდილ საუბარზე შევთანხმდით".

„ღორს, ღორს..."

„იმ ღამეს დარჩა ხინიკაძე".

„დარჩა".

„შენ იმისაც გეშინოდა, რომ რჩებოდა და იმისაც, რომ არ დარჩენილიყო".

„მეშინოდა?.."

„გეშინოდა არა იმ გაგებით, რომ ლოგინში შემოგივარდებოდა და ძალით ნამუსს აგხდიდა, მაგრამ ერთ სახლში რომ ღამეს გაათევდით, ხინიკაძეს უფლებას აძლევდი... ერთი სიტყვით, რაც მიეცი... და რომ წასულიყო იმისაც გეშინოდა. იგი არ იყო შენი რჩეული, მაგრამ უმისობაც სრული სიცარიელე და ტყვეობა იყო, სადაც ხმის გამცემი არ გეგულებოდა. ან ნოე და „კარგი" ცხოვრება, ან სულ არაფერი".

„საუბედუროდ ასე იყო, ისე ბედუკუღმართი გამოვდექი, ან ხინიკაძე, ან მარტოობაში, თოვლსა და ყინვაში სულის ამოხდომა".

„სიცოცხლე მაინც სიცოცხლეა, იგი ერთხელ ეძლევა ადამიანს, სიკვდილი კი ხელში გიჭირავს, არსად წაგივა იცი. ამიტომაა თვითმცველობა ასე იშვიათი, თორემ ვინმეს რომ ეგონოს ადამიანის წამება დაუსრულებელიაო, ამდენ სატანჯველს ვინ გაუძლებდა. იცი-ან, დღეს-ხვალ ყველაფერს ბოლო მოეღება და არარაობაში სასუფეველ-

დაიმკვიდრებენ. შეყვარებული ქალი და კაცი რომ ჭკუას კარგავენ, თხოვა-გათხოვების შემდეგ ხშირად ერთმანეთი გულზე არ ეხატებათ და ნოესთანა ქმრებთან რა აძლებინებთ. აი როგორი იყო თქვენი შეუღლება, ის პირველი ღამე.

„ღმერთმა დასწყევლოს ის დღეცა და ის ღამეც...“

„ასე ჩვენ ჰეშმარიტებასთან ვერ მივალთ.“

„ჰეშმარიტება ერთია, არაფერი ყოფილა ან ყველაფერი შავი და ბნელი იყო და დღეს ეს ლუსკუმიც ჩამოინგრა...“

„მაგრამ ეს ქორწილის ღამესვე იყო, მეორე თუ მესამე... ხინიკაძეებს ლოდინი შეუძლიათ, სიჩქარით საქმეს არ წაახდენენ. პირველი ღამე იყო.“

„გაიტანა თავისი ნოე ხინიკაძემ, აბა რისი მურთხი იყო...“

„დაგეუფლა და... აქ არაფერია არაადამიანური, ჩვენ ცოლ-ქმრის საბანქვეშ კი არ მივძვრებით. პირველი ღამე ზოგჯერ მთელ ცხოვრებას ნიშნავს. ასეთი კაცის გამარჯვება საშიშიცაა, მონა თუ გაგიბატონდა!..

„მბრძანებლად ვერ დაჯდა, მაგრამ ლოგინიდან ერთგვარი მეპატრონის... პატარა მფლობელის, დამპყრობლის გული აიყოლა — თავისი უფლებების ცნობას რომ გავალებს“.

„ხინიკაძეების სარეცელს თუ გაიყოფდი, ეს მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ საქმოსანი მურთხებს პატიოსან საზოგადოებაში არასახარბიელო რეპუტაცია ლრღნის და გარეთ დაკარგულ თავიანთ „წილს“ ოჯახში უფრო გულმოდგინედ ეძებენ.“

„აუცილებელზე მეტი ვერ დავანებე და გაუმეტებელი გავიმეტე...“

„ნოე შეჩქვიფდა და დაიბნა, თუ თავისი ჯიუტად მოითხოვა?“

„ვინც გარეთ დათმო, ბოლოს შინაც დათმობს. ესენი ყველაფრისთვის მზად არიან, მაგრამ მე ვერ გავიმეტე. ისედაც რა იყო და ჩვრად ქცეული რალა დარჩებოდა.“

„თუ ზედ ფეხით შედგებოდი, მერე პირზე როგორ მოისვამდი. ისედაც უფორმო, თონთხლო მასა — გაწყალდებოდა. ისევ შენ უნდა ბიგეცა რაღაცნაირი სახე, რომ გული მიგსვლოდა, მაგრამ ყველაფერს, თუ გაუმეტებელსაც გაიმეტებდი და მისცემდი — ყველაფერს დაკარგავდი. თვითონ ის არაფრის მქონებელი ფსკერგავარდნილი ცასრიენით ვერაფერს მოიკავებდა. დამპყრობელი მონლოლივით ხარკს თავის სახლში ვერ წაიღებდა, რაკი არ გააჩნდა სახლი, რაკი შენს ლირსებებს კისერში აჯდა და რასაც გართმევდა, იმით ცხოვრობდა. ერთ დღეს თუ

ყველაფერს მისცემდი, ყველაფერს ჩანთქავდა. ისე უნდა გეძლია, არც შენ დამათხოვრებულიყავი, მისაცემი გქონოდა.

დამპყრობლის ის პატარა „ღირსება" რომ გაჩნდა, თუ გინდოდა შერჩენოდა, რაღაცა დაპყრობილისა და მორჩილის შენც უნდა გაგეღო. თვითონვე უნდა გაგებატონებინა თუ მონა გულს გირევდა. უნდა დაგეკარგა ბევრი, რომ პატარა რაღაც გღირსებოდა. ცოლების დიდი ნაწილი ასე იღუპავს თავს. თუ ქმრებს არაფრის წართმევა არ შეუძლიათ, თვითონ ნებაყოფლობით არაფერს თმობენ და კი ხდებიან ხელისუფალნი, მაგრამ საუფლოც აღარაფერი აქვთ. ყურებდაჭრილ ფენიას როცა მოუხმობ, კი შემოგახტება გულზე, გლოკავს, გლობნის, მაგრამ აღარც ღრენა იცის და აღარც კბენა. ასეთი პატრონი ქალი რაიმე მამაკაცურ ნდობას კი აღარ მორჩილებს და ნებდება, თავისივე ნებისა და ვნების ტყვეა..."

ხინიკაძეს, რასაც ნუცა მისცემდა, იმის პატრონი იქნებოდა და არაფრის მქონებელს, სულისაგან განძარცულს, წილი ვითომ თავის სალაროში დაუდო. ოქროსა და ბრილიანტების პატრონი, ალბათ, არც თვითონ იყო, თორემ „დათვი საძაღლედ" არ გახდებოდა". ვერცხლი ჰქონდა თუ სპილენძი, ჩაიზიარა და ტოლფერობის თაშაში ამჯობინა, ეღირსისაგან ღირსეულის ჯიჯგნას, მონის თავზე დასმას, აზატის მოყვრობა არჩია...

და ახლაც, ალბათ, ამან დაღუპა, რაკი აზატმა უფლებები მოითხოვა, „მიწა-წყალი" მოინდომა და ცხენს თავის მინდორში აბალახებს.

ბოლოს და ბოლოს, ყველაფრის მიზეზი თვითონაა... ახლა, ამ ვიღაცის ცხენს თავისი ყურებპანტურა სახედარი ერჩია, მაგრამ ცხოვრება დღეია და ყაბახში ვირითა და ჯორით რას გახდები, სასაცილოდ არ ეყოფი მოსეირეებს.

რა უნდა ჰქნას ადამიანმა, საით უნდა გაიქცეს, რომ არ წაიქცეს...

„ვინაა ეს ოჯახქორი, ამ ძელსკამის თავში რომ დაშვავდა და შეანჯღრია. თუმცა ისედაც მონჯღრეული და მოღანძალებული ყოფილა...

რას მოგჩერებია?..

ვითომ ესაა, ვინც „რაიმეს" ინდომებს... აქვე ცხოვრობს?.. მარტოხელაა თუ ცოლი გაიგულა და „სანადიროდ" აღდგა.

იქნებ მზერა გააპარო?

აბა, თუ არ შებედე და შემოგხედა, თუ თვალში არ მოუხვედი... შენა ხარ, რომ თვალდასუპული აპირებ გარყვნასა და გათახსირებას, თორემ ის კაცი, ვისკენაც გული არ გაუწევს და ვერაფერს ისიამოვნებს, შენ რომ ჯავრი ამოგაყრევინოს, ამისთვის თავს რატომ შეიწუხებს. ქალს შეუძლია თვალახვეული დანებდეს ან ძალადობით, მისი სურვილის წინააღმდეგ დაიმორჩილონ, თორემ მამაკაცს ლოგინშიც რომ შეუვარდე, თუ ხელი არ გაანძრია, რას გამორჩები."

„დასწყევლოს ღმერთმა ქალის გაჩენა!"

„შეხედე, როგორმე გაბედე, შეავლე თვალი... ქუჩაში რამდენი კაცი შეგხვდება და თვალს შეგავლებს, როგორ გინდა ასე ურცხვად უპვრიტინო?"

„მაგრამ თუ თვალები დაითხარე და ზურგი შეაქციე, ტყე და უკაცრიელი რომ იყოს, კიდევ ვინ იცის და სადაც ხალხი მიდი-მოდის, სადაც, ეგერ, ძელსკამზე მოხუცი ზის და ბავშვია... ბიჭუნას ვიღაცა გოგუცანაც გამოჩენია და ორივე, ხის ტანს მოხვეულნი, ხელებს ერთმანეთს უწვდიან...

აღრეა, თორემ საღამოს ამ პატარა ბაღში, ალბათ, ხალხი მომრავლდება..."

„არა, ასეთ ადგილზე, ალბათ, „ასეთი" რამ არ ხდება. არც ამ კაცს ეტყობა მაინცდამაინც დიდი დონეუანობა. უფრო დაღლილივით დაჯდა, ვინემ ქალის ეშხით მუხლმოკვეთილი".

„ანამ აქეთ იყურება მანამდე თუ არ გახედე..."

კი მაგრამ, ასე თხასავით რაფერ შევაბეცდე..."

„ზურგს მაინც ნუ შეაქცევ, გიყუროს, იქნებ თვალშიც არ მოუხვიდე, ტყუილად რომ სინდის-ნამუსზე ხელი აიღო, შემოგაფურთხოს და თავის გზას დაადგეს...

რაღაცა ხელშიც ჭერია, ეტყობა ხსნის და ახვევს... მგონი შენი დარდი არცა აქვს..."

„რამხელა ყურები აქვს... არც თვითონაა ტანმორჩილი... არ გიყვარს ეს ბეხლეწი, უხეში მამაკაცები, მარტორქასავით ჯიქურებია და მხოლოდ პირდაპირ ხედავენ, თუ მსუქნებიც არიან, თავის მობრუნებაც უჭირთ... ასე მგონია, ქალის დაჭერა რომ მოინდომონ და გვერდზე გაუხტეს, ხელს ვერ წაავლებენ. რაც მკლავებში და პირში უვარდებათ, იმას ანაცოხრებენ."

„ღმერთო სასწაულმოქმედო, არჩევანი მოინდომე?!. რას სულელობ!..

„არა, ისე... ყველა ქალს თავისი აზრი და შეხედულება აქვს, როგორც მამაკაცს...“

„ვისა აქვს აზრი... და შენ ახლა რა აზრი და შეხედულება გაგაჩნია?!.“

„საქმელი აქვს იმ ქაღალდებში, რაიმე შეხვეული, თუ...“

„რა შენი საქმეა... მაგრამ ხელახლა იმიტომ გიცქერის, მუსაიფს აპირებს, თუ იმ რაღაცის შეკმა ან შემოწმება უნდა?“

„აღარც ყმაწვილია, ორმოცზე მეტის იქნება...“

„ასაკით წუნობ თუ პირიქით... ირჩევ და კახპობ? თუ შერს ძიობ მოღალატე ქმარზე!..“

„უთუოდ ადამიანის ბუნებაა არჩევანია: შენი ცუდი და კარგი...“

„რა აქსუტუნებს... ამოდენა მამაკაცის ქსუტუნი?.. ცხვირი მოიხოცა... რამ გააცივა ამ სიცხეში ან ასე ხმაღლა ქუჩაში ცხვირის მოხოცვა... ამას სულ არა აქვს შენი დარდი...

არ ჩანს ისეთი ვინმე... ან აქ რომ მოდიოდა, ქალზე სულ არ უფიქრია. რაღაცა იშოვა ეტყობა და საწყალს რა ემამაძღლება ქუჩაში ქალი დაითრიოს... ან ამ დროს, ალბათ, არავინაც არ ეძებს ქალებს...“

„თუმცა, ეს „დანიშნული“ დროც თუა, როდისაა?“

„ეტყობა ავტობუსში ჭყლეტის თავი არ ჰქონდა, ეს უბედური სადღაც ფეხით მიბრაცუნობდა, აგერ ჩამოსაჯდომი დაინახა, შემოუხვია და მისი გზით წავა.

მაგრამ შენ სანამდე აპირებ აქ ჯდომას? არ ჯობს შენს გზას ეწიო და ეძებო?“

„რა დაკარგე და რას ეძებ? ან, ვინც ყველაფერს კარგავს, რაღაის პოვნის იმედი აქვს?..“

„ოხ. ნოე ხინიკაძე, რით ამოვიყარო შენი ჯავრი... ამ ქუჩიდან ქუჩაში წანწალით ვითომ შენ გამწარებ, თუ საკუთარ თავს ვამწარებ...

რა გინდოდა, რატომ ჩაიდგი ფეხი ჩემს ცოდვაში, რატომ გაუჩნდი და მუცელში არ გაუწყალდი შენს გაფუებულ დედას. მაინც წყალწყალა და უსახური გაგაჩიმა.

მაგრამ ასეთი მშობლები რომ ხედავენ თავიანთი ნაშიერის უგ-

ცანობას, მათი ნაცოდვილარისთვის სულ იმას ცდილობენ, რაც შუცლიდან ვერ დააყოლეს...“

გულხელდაკრეფილი არც ნოეს დედა მჯდარა, რათა მის მემკვიდრეს ნუცა ხელში ჩავარდნოდა, სტუდენტობის დროს, რომ საარძლოს არაფრით ფეხი არ მოუცდა, ოჯახში ვერ მიიტყუა, ნოეს ვითომ ნუცა და ნატა თეატრში დაპატიჟა. რად უნდოდა თეატრი ხინიკაძეს, მისთვის თეატრი და თავლა ერთია, მაგრამ გაეგონა, რომ ასეთი რამ არსებობს და დადის ხალხი.

„დედიკო“ მთლად მოულოდნელად „აღმოჩნდა“ თეატრში. თურმე ისეთი ქალია, პრემიერას არ გააცდენს... არ ეტყობოდა რისი არ გამცდენი, რა განათლებისა და კულტურის პატრონი იყო? ჯერ, დედაკაცი რომ ასე გაფუვდება და გაზულუქდება, რა ღირსება და თავმოყვარეობა უნდა გააჩნდეს.

მაგრამ ნუცას შეშნდობი და გულსაწყალი ხასიათი აქვს, დედამისისგან მოდგამს, შემკვიდრეობით... რატომ არ ჩაყვა მიწაში, როცა იგი ამ ქვეყნიდან წავიდა. ხანდამწვარი, სანამ იყო, შვილს თუ გვერდში ვერ ამოუდგებოდა და ციხე-გალავნად ვერ ექცეოდა, გაუგებდა, ჭირის მოზიარედ გაუხდებოდა. ნათელდამდგარი, გულმიამიტი იყო, ცხოვრება როგორაც ჰქონდა, იმნაირს ხედავდა და იმნაირით გაჰქონდა თავი. ვერც ქალიშვილს ურჩია უკეთესი. ქმარსაც სულ იმას ეჩიჩინებოდა: „შენთვის დროსა და წუთისოფელს არავინ გამოცვლის, რაც სხვაა, ჩვენც ისა ვართო“. ეს „სხვა“ იყო ხინიკაძეც. „რაც სხვაა, ისიც ის იქნება, ახლა ჩემი შვილისთვის ქვეყანას ვინ გადააკეთებსო...“

წუთისოფლის გადაკეთებას და გადატრიალებას არც კოსტა ალავიძე აპირებდა, მაგრამ შეგუება და დათმობა უჭირდა... ვერც ასეთ ცოლს უშაქრდებოდა, ზხარს რომ ამნაირად უბამდა — აშოშმინებდა და ამუნათებდა. ჯერ იყო, ვაჟიშვილმა შოუყვანა ნაქმარევი ქალი და ყველაზე უწინ მაინც დედამ გაუგო და ცალკე ქმარს აყარა ქოქოლა და ცალკე ქალიშვილს.

მამამ: ოჯახში მე ვარ უფროსი, რაც არ მინდა აქ მაინც არ მოხდებაო — ვაჟი პატარძალს ხელიდან ვერ გამოგლიჯა, მაგრამ არც აქეთ მოაყვანინა. მოყვრებსაც ეს უნდოდათ, ვექილის, კარგად ხელმომთბარი ოჯახის შვილი იყო, ჩასასიძებელს ეძებდნენ. მამამისმა ამისთვის გაამორა პირველს ერთადერთი მემკვიდრე თავის ფუძეზე რომ ვერ დაიგულა, ახალ სიძეს საკუთარ სახლში არ უშვებდნენ, ამაზე უფრო რით აამებდი და, სიმამრს უფრთო ბახალასავით ჩაუვარდა ხელში,

თავის ჭკუაზე გაზარდა. ახლა, დედა რომ რა ხანია აღარაა და, ისედაც ცხოვრებაზე გულაღრენილ მამას, ეს დამთმობი და ქვეყანასთან ზიდიეთ შემაერთებელი და შემრიგებელიც ხელიდან გამოეცალა. ვაჟიშვილს მშობელი მერეც არ გახსენებია, ნუცაც აქეთაა და ხმის გამცემი აღარავინ დარჩა და ისე გაამწარეს, აიძულეს, ჭკვიეშა, წლის თავზე, მეორე ცოლი მოიყვანა. ქალიშვილმა კი ირტყა თავში ხელი, მაგრამ ბოლომდე ვერც მამა გაამტყუნა. — „მაგათ ჩემი სიკვდილი უნდათ და გგონია საქაურობას მერე მოხვდებიან? ფულად აქცევენ და ფულს მიუმატებენ. შენი ძმის სიმამრი რა ადვოკატიც და სასწორ-სამართლის დამდგენია, მაგას შენ და შენი ძმა ვერ მასწავლითო". — ერთ ქალაქში დაბერდნენ და არ იცოდნენ, ვინ რისი მაქნისი იყო?

ღმერთმა დასწყეულოს, რა გასახსენებელია ის შავი და ბნელი წარსული, რომელსაც ვერაფრით შეცვლი და ისედაც დამწვარს დაგმდუღრავს...

ცოლ-ქმრობა, ოჯახი, თუ ის მოჩვენებითი, ტყუილი არაა, ქალისა და კაცის უაღრესად ერთული დამოკიდებულების, ურთიერთობის შედეგია. ვერც თავდადებული შრომა და ზრუნვა, ვერც საქმის ცოდნა და ერთმანეთის გაგება შველის ყოველთვის. ოჯახში უნდა მოხდეს ორი სხვადასხვა პიროვნების თუ შერწყმა არა, შეგუება — ხასიათების ურთიერთშევსება, ჩანაცვლება, როგორც ორი ერთნაირი ძალისა და მიზნის მქონე ადამიანისაგან ერთი ზედმეტია, ასევე საპირისპირო, სულ სხვადასხვა და საწინააღმდეგო მიმართულებით მავალნი ერთმანეთს ხმას ვერ მიაწვდიდნენ. სხვადასხვა ბუნებისაა რიყის ქვა და დულაბი. ერთი მკვრივი, ძნელად დასამორჩილებელი მასალაა, რომელსაც თავისი ფორმა და სიმძიმე აქვს. კედელი თითქოს ქვით შენდება, მაგრამ რიყის ქვას რიყის ქვით ვერ ააშენებ, დულაბი უნდა, რომ მათ შორის სიცარიელე ამოავსოს. სადაც ქვა ლარს არ უსწორდება ან ერთმანეთს არ ესადაგება, იქ უნდა ჩაისხას დულაბი, მისი ნაკლი დაფაროს და ღირსება გამოაჩინოს. აშენებული კედლის მაყურებელი, თავდაპირველად, საამშენებლო ქვის ღირსებას ხედავს. მაგრამ ხურომ იცის — იგი ქვითკირია და არა ყორე. როგორც ერთნაირი ხასიათები (ორივე რიყე ან ორივე დულაბი) საამშენებლოდ ვერ გამოდგება, ასევე ერთნაირი ბუნება-ხასიათი ერთმანეთს ვერ იგუებს. არც ორი, ურთიერთარმგუებელი, სხვადასხვა მასალა ვარგა. თუ ცოლი პატიოსანი შრომითაც და რუდუნებით აპირებს ოჯახის საძირკველის ჩაყრას, იმ საძირკველზე ნაპარავი და ნაძრახი ქვა არ დაშენდება. იმისი მასალა

წყლის პირას რიყეზე უნდა შეირჩეს საკუთარი ხელით და შენი გათლილი ურმიფა და შენი გაზრდილი და ფახედნილი ხარებით უნდა მოიზიდოს...

შამას ჰქონდა რიყის ქვის ბუნება (მამა მშენებელი კირითხურო იყო). დედა — თეთრი კირწყალისა და ლურჯი, წმინდა სილის ნარევს ჰგავდა, რომელსაც, იქნებ თავისთავად არ ჰქონდა გამოკვეთილი სახე, მაგრამ მისი შგუებელი, დამყოლი ბუნება ავსებდა ქმრის სიმყიფეგაუტეხელობას.

ახლა მამა რომ ქვეყანაზე ვეღარ დაეტევა, ის მეორე ცოლიც შინაბერა და მარტოობას ნაჩვევი, ასეთ აბუნტებულ კაცს ყოველთვის წითელ კვერცხს ვერ უგორებს. გავა მეორე ოთახში, მიიკეტავს კარს და საღამოს, სამსახურის მერე, ჯამით ლობიოს, მჭადს ან ღომს მაგიდაზე უბრად შემოუდგამს...

იმ ქალმაც რა ჰქნას... არაა უწესო ადამიანი, მაგრამ შენ რომ გიჭირდეს და ქვებს ისროდე, ის თავს რატომ მოგიშვერს, ამას კოსტაც ხედავს, სხვისთვის ნასროლი ჩიყე სხვას რომ მოახვედრა. ეს ემატება ამდენ დარდს, ბოღმად გულზე შემოაფრინდება და ლოგინზე რომ წააქცევს, ვაჟიშვილზე უიმედოს, ქალიშვილი ხარ შენც, გიჭირს თუ გილხინს, უნდა უწამლო.

„ბრმა რასა ჩიოდა და ორივე თვალსაო". მურთხები მხოლოდ თავის გაჭირვებას გრძნობენ და ხედავენ, როცა მოშივდებათ, თავისი იქნება, თუ სხვისი, ჭამენ და ლოგინი რომ გაუცივდებათ, თავისი ცოლი იქნება თუ სხვისი, კახპით იქნება თუ პატიოსნით — გაითბობენ.

„აი, რატომ არ უნდა დაინდო ასეთი მუცელლმერთა და არ აპატიო, ვინც შენ ერთგულებას ზანდუკში ჩაკეტილი განძივით უყურებს, რომლის ერთადერთი გასაღები გულზე ჰკიდია და იმ გულზე სხვას ისე დაიწვენს, არ იფიქრებს ჩემს „ქონებას" რაიმე დააკლდებაო. აი, იმ განძიდან უნდა გაძარცვო ეს გაუტანელი „ძუნწები" და გააღატაკო, რომ გაიგონ, რა სიმდიდრის პატრონები იყვნენ და რა დაჰკარგეს."

„მურთხს კი, თავისი უბედურება ჰყოფნის და იქნებ ყველაფრის ლირსია, მაგრამ ერთი წუთით რომ წარმოვიდგინოთ, ისიც კაცია!.. მის წინაშე, ქალბატონო ნუცა, პირშავად ხომ არ აღმოჩნდებით?"

„ვისთან?!"

„ყველაფერს თავსაც ვერ უმხელს ადამიანი, თუ, ყველაზე პირუთვნელიც თავისთავისადმი მიკერძოებულია."

„ღმერთმანი, არაფერი შესმის!“

„და მაინც... კაცს რომ აკადრებ უსიყვარულოდ გაჰყვე?“

„კაცი ამას არც მოინდომებს.“

„ჭეშმარიტებაა. მომაკვდინებელი შეურაცხყოფაა, ქალს ირთავდე და არ უყვარდე.“

„გითხარი, კაცი ამას არ მოინდომებს.“

„ნოემ მოინდომა.“

„მოინდომა კი არა, მიაღწია კიდეც...“

„მაგრამ უშენოდ ხომ ვერ მიაღწევდა? მართლა და მართლა, ის დრო ხომ არაა, დაავლო გზაში ქალს ხელი ლეკვივით, შეუკრა ხელ-ფეხი და... შენი თანხმობის გარეშე ეს მაინც არ მომხდარა.“

„ჩემი თანხმობის?..“

„ჰო, ხინიკაძემ მართალია ყველა ნებადართული და აკრძალული ხერხი იხმარა, მაგრამ ისე, რომ შენ ხელფეხშეკრული, სახლიდან ხელზე თმებდახვეული, წივილ-კივილით გამოეტაცე, ეს არ უქნია.“

„არა... თუმცა... და ქალმა, რომელიც ასეთ „კაცს“ უსიყვარულოდ გაჰყვა, შეურაცხყო? თუ სულ ერთია ვისაც გაჰყვა.“

„მურთხს ვერ შეურაცხყოფ.“

„ვერც თავს?“

„თავი თუ მოძულებული გაქვს...“

„რატომ? იმიტომ, რომ მურთხს უყვარხარ?“

„მურთხებმა სიყვარული არ იციან.“

„კარგი, არ შეუძლიათ, მაგრამ უნდიხარ“.

„შენ, რაღა სალაპარაკოა, იცი რაა სიყვარული, არ გიყვარს, ამდენად არც გინდა... და მაინც თანახმა ხარ მის ცოლობაზე“.

„ეს ჩემი სურვილითა და თანხმობით არ მომხდარა...“

„შენი სურვილითა და თანხმობით არ მომხდარა?!“

„არა... კი... აბა, მართლა თმებით კი არავის ვუთრევივარ...“

„მაშინ როგორ, შენი თანხმობით მოხდა და შენი სურვილით არ მომხდარა?“

„თითქოს...“

„ესე იგი, შენი თანხმობით მოხდა და თანხმობა შენი სურვილით არ იყო?“

„ჰო... მაგრამ ასე გამოწვლილვით გაჭირდება, ყველაფერზე ზუსტი პასუხი გასცე, თუ სასამართლოსავით მშრალი და უსულგულო იქ-ნები.“

„არ გედავები, რომ ძნელია, იქნებ შეუძლებელიც, მაგრამ ამ გზას, რასაც ახლა ადგახარ, თუ ახლა არ უპასუხე, მერე თავში ხელის ცემა დაგვიანებული კი არა, უახროდ იქნება.“

ავტობუს-ტროლეიბუსის გაჩერებასთან რომ დადგე, ვინ იფიქრებს ქმრის საღალატოდ გამოსულა და კაცს ეძებსო. მარტოდმარტო, მოშორებით უნდა აიტუზო და არც ისეთი სახე მიიღო, არიქა, მაგვიანდება და ავტობუსითა და ტროლეიბუსით ღოღიალის დრო არა მაქვსო. აგერ ვარ, „მანქანას“ ველოდები, არც ვჩქარობ და არც არაფერი... ტაქსიც არ მინდა, თორემ ტაქსის გაჩერებასთან დავდგებოდიო.

უნდა მიხვდეს, თუ საამისო „ნიჭი“ აქვს, ვის უცდი და სად „გეჩქარება“. თუ იმ „მიმხვედრს“ ვინმე უზის და დაემგზავრე — სისულელეა. ის კი არადა, მარტოც რომ იყოს, ერთ მიპატიჟებაზე არ უნდა წაჰყვე. ასე ხელიდან წასული თუ ეგონე, ვინც ხელს დაუქნევს შაშინვე გაეკიდება.

წავიდეს და დაბრუნდეს, დაგინახოს, არავის გამოკიდებიხარ და იმანაც „დაგიმტკიცოს“, რომ მოეწონე — მეორედ მოგადგა, შენთვის არც დრო ენანება, არც ბენზინი და მანქანა.

„იქნებ?..“

„არა, არა!.. ასე არაფერი გამოვა. თვალებში უნდა შეხედო, გამოსწეევად, უტეხად და ცხვირაბზუებულმა უარი ისე, სიტყვიერად უნდა უთხრა. თუ ატყობ ისე „მოიხიბლა“, მესამედ, მეოთხედ მობრუნდება. და მერეც, როცა „გაიძულებს“, მანქანაში არ უნდა შევარდე. იგი ნელა დაიძრება, სარკიდან გიცქერის, როგორც კი ნაბიჯს გადადგამ, მაშინვე უკუსვლით მოგაწყდება და როცა ჩაუჯდები, ისეთი სახე უნდა მიიღო: — ოჰ, ეს მამაკაცები... როგორი მაცდუნებელი შეჩენია იციან, მაგრამ... სხვა მაინც ვერაფერს გახდებოდა... ეს შენ გერგო ასეთი ბედნიერება. არა, შენ მაინც „სხვა“ ყოფილხარ...“

„მაგრამ საიდან იცი ეს შენ?“

„გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო“, თუ ყველა ქალში ზის კახპა, გააჩნია, ამ „ნიჭს“ შენ ან სხვა როგორ წარმართავ. პატიოსანი გარემო ერთგულებით შემოსავს და გარყვნილი და გათახსირებული სათავისოდ მოაქცევს? ადამიანი გარემოების საყვირია ან ჭური და რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს? რა თავანკარა ღვინით აავსებ, იმით გიმასპინძლებს ან რა მთხლესაც ჩაასხამ, იმით „გაამებს?“

გადაშუადღდა.

ეს გზა ქალაქგარეთ არ გადის? აბა სად ჯანდაბაში მიედინება, ამ, ოხრად დასარჩენი, მანქანების მდინარე.

რა ხდება?..

ქალმა თითქმის სულ გამოინაპირა და ტროტუარიდან ქუჩაში ცალფეხ ჩამოდგმულიც კი დაეყუდა, მეტი რალა ექნა.

კიდეეაა რაიმე საჭირო?.. კიდევ იყო რაიმე გასაკეთებელი და არ გააკეთა, თუ ვერ გაითვალისწინა? რა უნდა სცოდნოდა კიდეე და არ იცის?

ნუთუ გარყვნას და გათახსირებასაც „ცოდნა“ უნდა და აქვს ისეთი „საიდუმლოება“, რაზეც ყველას ხელი არ მიუწვდება?

მესმის ეს იყოს ქურდობა, ძარცვა, საქმოსნობა, კომბინაცია... არიან ამის „ნიჭით“ დაჯილდოებული პიროვნებები და ყველამ რომ მოინდომოს, არაფერი გამოუვა.

ხინიკაძეებს აქვთ საამისო თანდაყოლილი „ჭკუა“ და იმდენადაც კი, რომ იურიდიულად ვერ შეედავები. ცოლი რომ ცოლია, ისიც კი ვერაფერს გაუგებს (ალბათ ცოლსაც გააჩნია. ისინი, ვინც ქმრებივით მურთხებია ან თანამზრახველები. მათთვის არაა საიდუმლო).

არადა, ედავე თუ გინდა, არტყი თავი კედლებს და არტყმევინე. ვერაფერს დასტყუებ, სიტყვას ვერ დააცდენინებ. თითქოს თვითონაც არ იცოდეს, ვიღაცის ბრმა იარაღი, მანქანა იყოს, რომელსაც რაღაც ბორტი ძალით დამუხტული ძრავა ამუშავებს და „პროდუქცია“ სადღაც. მეთე თუ მეოცე „ვიღაცის“ ხელში გადის. თავის წილს ისე ღებულობს, თვითონ არც საწყისია, არც სასრული... იქნებ ამ „წილმა“ არც უნდა იცოდეს? იქნებ ეს „წილი“ მართლა ერთი „უცოდველი“ ჭანჭიკია, კბილანა და წალმა დააბრუნებ თუ უკულმა — უნდა იბრუნოს. ან, როცა უკულმა დაატრიალებენ, ესლა იცის. წალმა აღარ ტრიალებს და მეტი არაფერი.

ამისთანებს ხატზე დაფიცებაც კი შეუძლიათ, რომ უზაკველნი არიან. რაკი ნამდვილ დამნაშავედ მხოლოდ ის მამოძრავებელი ძალა ჰგონიათ, ვინც მათ წალმა-უკულმა ატრიალებთ. და რაკი მორალური მურთხებს არაფერი გააჩნიათ, „სინდისიც“ სუფთა აქვთ.

ნოეს, კარგი ხელფასის გარდა, „პრემიებიც“ ეძლევა, თითქმის ყოველთვის: „წახალისება“. „ჯილდო“... და, ამას გარდა, „სესხი“ და „ვალი“ აქვს... დედამისს „არაფერს“ აძლევს. „საწყალი“ ქალი, ქმრის პენსიითაა, რომ ტყავში არ ეტევა. პირიდან ლუკმას იღებს და შვილი-

შვილს უყოფს. ქვრივმა, მარტოხელა ქალმა რა ჰქნას, ხმის გამცემი და საზრუნავი სჭირდება, თორემ რძალსა და შვილს ერთადერთ სიხარულს როგორ წაართმევს. ამაზე, შენ რომ რძალი ხარ, შენც სინდისი არ მოგცემს უფლებას, ნამკვდრევ სახლში მიტოვებულ დედამთილს, ხვეტა-წმენდას რომ არ გთხოვს, თავისი და შვილიშვილის სარეცხსა თუ უთოს, ბავშვს როგორ ეტყვი, ბებიასთან ფეხი არ დაადგაო. ეს რა წესი და სამართალია...

მათ იციან მორალური და იურიდიული კანონების საფეხურად მოწესრიგება და მორგება. გარეგნულად იმ ფორმასა და ფერს იღებენ, რაც საზოგადოებას მშვენივრად ეხამება და ერთი დანახვით თვალში გეცემა კი არა, ვერც შეამჩნევ.

ისინი თვალზე ცრემლმომდგარი წუხან და ვიშვიშებენ სიძვირეზე, ფასების დამახინჯებაზე, ბაზრის ცეცხლის წაკიდებაზე და „თავის ფასში“ ნაშოვნი ლუკმის ვაინჩარობაზე.

მათ უცნაური ძაღლური ალღოთი იციან თავიანთი საიდუმლოების ფასი. სიცხიანსაც კი არ წამოაბოდებთ. ძილიც ფხიზელი იციან და სიმთვრალეც. მათი სიმართლე არის ის, რითაც ცხოვრობენ, რაკი სხვანაირად, ტყუილად კი არ ჰგონიათ, მართლა ვერ იცხოვრებენ. მათი ერთადერთი ცხოველური ინსტინქტი არსებობაა და ამ არსებობისათვის ყოველნაირი გზა — გზამართალი.

მაშინ რას აკეთებენ ისეთს, რაც არ უნდა აკეთონ? თავიანთ გაჩენაში, როგორც სხვას, ბრალი არც მათ მიუძღვით. არსებობა, გაჩენის — ამქვეყნად მოვლინების პირდაპირი გაგრძელებაა, როგორც გათვლა: ერთი, ორი, სამი, ოთხი... არსებობისათვის: ჭამა, სმა, ჩაცმადახურვა, სახლი, კარი, საწოლი, კარადა, საკერავი მანქანა და ავტომანქანა. კაცისთვის ქალი და ქალისთვის — კაცი. ესენი მათ არ მოუგონიათ ისე, როგორც თავიანთი თავი. ეს, რაც ადამიანი გაჩნდა, იმ დღიდან მომდინარეობს და რომ ჰკითხო და გულითაც მოინდომონ, ვერ გეტყვიან, რაში არიან ისინი მტყუანნი...

ოჰ, ღმერთო ძლიერო, შეიძლება მაგათზე ფიქრი და მათი ცოდვა-ბრალის აწონა?.. შეიძლება ამ ცხოველებთან ურთიერთობა და მერე იმის კვლევა, შენ მართალი ხარ თუ ისინი და პატიოსნად მოგექცნენ თუ უდიერად? მათთან რომ ერთ ჭერქვეშ ბინას იდებ, ვიღას რა სამართალს სთხოვ, ვინც რაცაა, იმას მოგაგებს და „კოკასა შიგან რაცა დგას“...

მათთან თუ ხარ, მათნაირი უნდა იყო, თუ არადა, მაშინ მათთან რა

გინდა! ორ დანაშაულს ჩადიხარ: ერთი — რატომ ხარ მათთან და მეორე — მათნაირი არა ხარ. ის კაცს უშლი ცხოვრებას და შენც არ ცხოვრობ... მათთან თუ ხარ, უნდა დაეშვანო, ფერიც უნდა იცვალო და ზნეც, ან არადა...

ახლა უკვე „არადა" არ არსებობს. უკვე გვიანია თითზე კბენანი. შენ ქალი ხარ, საცოდავი არსება. ათასსა და ათიათას პატიოსან მამაკაცს რომ შეეძლოს შენს გულში ჩახედვა და იცოდეს ცამდე მართალი ხარ, არავინ ქმარს შენს თავს არ მოსტაცებს. რამდენად ეშმარიტი კაცია, იმდენად ეძულება მურთხები და ამდენად შენც, რაკი მურთხის ხარ, რაკი შენი თავი დაუკარგე სიმართლეს და ეშმაკს ამსახურე. შურისძიებადღა თუ განაწყენ და თავი გასაქელად რომ შეს-თავაზო, არ ინდომებს. რაკი იცის, ჭაობში თუ ჩაწვება, ამოსვრილი ადგება.

„რა ხდება?

სანამდე უნდა იდგე აქ! გადაბრილი მზეც მოგადგა, ეს ჩქოლა ჭადრის ჩრდილიც გაგექცა. ხომ ხედავ. არავინ გიჩერებს მანქანას და არავინ კაბის კალთას არ გახევს.

იმას ვერ იტყვი, შენისთანა ქალს ზედაც არავინ შემოგხედავსო... წუხელისაც, მატარებლით რომ მოდიოდი (რატომ არ დაგტყდა ფეხები და ჭამაშენი რომ გეხვეწებოდა, ერთი ღამე გაათევ დედაშენის სახლშიო, არაფრით არ დაეტევ), იმ თანამგზავრ ჭკუადამჯდარ მამაკაცს რა საწრიალე აუტეხე და, ღმერთწინაშე, „ისეთი" კი არაფერი უკადრებია, მაგრამ ქალს გაუფრებდა და თვალები ვერ დაითხარა".

„რა ხდება?.."

„რა ხდება და, აქაურობა ქალაქის, ამოდენა ქალაქის განაპირაა. აქედან რომ ავტომანქანებით გარბიან, ისინი უკვე გზაზე დგანან. ავია თუ კარგი, თავისი საქმე აქვთ. მოსაგვარებელი მოაგვარეს, მოსახელეთილებელი მოახელეთილეს და გარბიან. იმანაც, ვისაც შენ ელოდები გგონია, თუ „იმისთანა ვინმეს" ეძებდა, იქ იპოვა, სადაც ეგულებოდა, ახლა გვერდით უზის და „საქმეზე" ეშურება. ეგონა აქ დახვდებოდი? აქამდე ხელცარიელი მოსულიყო? ეს ქალაქის დასასრულია. მოსახდენი აქამდე უნდა მოხდეს.

„არ ყოფილა საშველი და ესაო" — იტყვი.

„არაა, არ იცი მაგი?“

„არც წესიერად შეიძლება ცხოვრება და არც უწესოდ?“

„არა. უწესო ცხოვრება, ცხოვრება საერთოდ არაა. წესიერი და პატიოსანი იმდენად ძნელი, რთული და თვალჩაუწვდენელია, რასაც შენ ვერაფერი გაუგე; ან იმდენად მარტივი და უბრალო, ბრძენთა ბრძენი უნდა იყო, ისეთი, რომელსაც არც შია, არც წყურია, არც სცივა და არც ცხელა. შენ როგორ გახსოვს, მოგშიებია? — მოგშიებია, მოგწყურებია? — როგორ არა. კაი ბეწვის პალტო გიყიდა შენმა ქმარმა და ჩაიცვი, აღარ გციოდა?“

„მაინც მციოდა.“

„და მაინც გეცვა?“

„ცეცხლმა დაწვას!“

„ახლა რომ სიცხე მოგადგა, გცხელა?“

მამაკაცი მამაკაცთან შიშველ-ტიტველი ივლის, როგორც ქალი ქალთან. სანამ ადამი მარტოხელა იყო (თუნდაც ასი და ათასი ადამი ყოფილიყო), ლეღვის ფოთოლი არ აუფარებია. გაჩნდა ევა და გაჩნდა ხირცხვილი. სანამ ორნი იყვნენ, ლეღვის ფოთოლი ნოდიდან არ გამოსულა. მაგრამ, როცა ასი და ათასი ევა და ადამი გაჩნდა, არჩევანიც გაჩნდა. ამდენი ლეღვის ფოთლიანი მამაკაცი და ქალი მოსაწყენი გახდა. ერთმა ადამმა რომ კურდღლის ტყავი აიფარა, მაშინვე თვალი იმისკენ გაგეპარათ, რა ფეხმარდი ყოფილა, კურდღელს დასწევიაო. მერე, მან, თავისი რჩეული ევაც თავისსაფერად შემოსა. იმ დღიდან ასეთებიც მომრავლდნენ და ლეღვის ფოთლიანს კურდღლის ტყავიანები ჩაგრავდნენ. მელის ტყავიანი ადამი რომ გამოჩნდა, რომელსაც კუდი წელზე ჰქონდა შემოხვეული (ბაშინ, ჯერ კიდევ, კუდს წელზე იხვევდნენ) ამან ევებში დიდი მოწონება და გამოცოცხლება მოახდინა: მარდი და დაუღალელი ხომ ყოფილა და, ამას გარდა, მოხერხებულიც, რაკი მელა (მაშინ შიშველი ხელით ნადირობდნენ) დაუჭერია და ოთხში ამოუღიაო (საუბედურო, მელის ტყავისადმი და ბეწვეულისადმი ლტოლვა ქალებს დღემდე შემორჩათ). იმ ადამმა, მაშინდელი, ყველაზე უკეთესი ევა აირჩია.

მომრავლდა მელიებზე მონადირენი, მაგრამ მგლის ტყავით შემოსილმა ადამმა მათ მაინც მალე გამოუყვანა წირვა და ცხვირწინ აართვა უმშვენიერესი ევა. ასეც უნდა მომხდარიყო, კურდღლებზე და მელიებზე მონადირეს მგლების დამჭერი და ტყავის გამძრობი ადამი სჯობდა. მგლის დამჭერსა და გამტყავებელს — დათვთან და ავაზასთან

მორკინალი... მით უმეტეს, ვეფხვისტყაოსანს ხომ ეკუთვნოდა და ეკუთვნოდა ბელადის მზეთუნახავი ქალიშვილი. მაგრამ ყველა ვერაა ვეფხვისა და ავაზის დამჭერი, როცა მგლისტყავიანი ადამი თავის რჩეულ ევას სიყვარულში გამოუტყდა, ევამ: თუ ვეფხვისა არა, ავაზის ტყავი მაინც უნდა გეცვასო. ქალი არ ტყუოდა, მგლის ტყავს ავაზისა სჯობს და მგლის დამჭერს — ავაზასთან მეომარი. დაეტაკა სიყვარულით გაგიჟებული მგლის მმუსვრელი ადამი ავაზას და ტყავი, პირიქით, ნადირმა შემოაბდღვნა. ძლივს გადარჩა და დასახიჩრდა. ა, ხომ ხედავ, შენთვის თავი არ დამიზოგია და ქე ხედავ რა დღეში ვარო. აი, აქ შეცდა ევა და ჩაიდინა პირველი და გამოუსწორებელი ცოდვა, მორცხვად თავდახრილმა რომ ჩაილაპარაკა: კი მაგრამ, ავაზის ტყავიო...

გამწარდა ადამი, გადაიკარგა და კარგა ხნის მერე დაბრუნდა ლომის ტყავით შემოსილი. კისერზე ჩამოეკიდა ევა და ვეფხვისტყაოსანი ადამის ცოლები შურით დასკდნენ. არადა, თუ სხვამ არა, თავისმა ევამ ხომ იცოდა, მგლისტყავიანი ადამი ლომის დამჭერი არ იყო. რაღაც სიბერით მკვდარი ეპოვა და გაეტყავებინა, მაგრამ ამის თაობაზე მას არაფერი უთქვამს და ევამაც პირში წყალი ჩაიგუბა, რაკი მის რჩეულზე ქვეყანას თვალი რჩებოდა. მგელზე შიშველი მონადირეც არაა ხელწამოსაკრავი და არც ხელსაკრავი. მაგრამ ლომის „დამჭერი“ ამჯობინა.

„ჰო, ვითომ შენ მართალი იყავი და პატიოსანი.“

„ეს „ვითომ“ რას ნიშნავს?!“

„ერთგულიც...“

„ერთგულება ჩემი არსია, ჩემი... მე სხვანაირი სიცოცხლე არ მესმის!..“

„გასაგებია. ეს შენი ბუნებაა. ხასიათი, იქნებ მოწოდებაც, თუ... რაც გინდა ის დავარქვათ. და იქნებ სასიქადულოც...“

„უბრალოდ, ადამიანური...“

„ადამიანური, დიახ, ჩვეულებრივი... მაგრამ ადამიანური?..“

„ჰო, აქ მგონი არაფერია გამორჩეული და თავმოსაწონებელი, როგორც ახლა ამბობენ: ეს ქალი (ან კაცი) კარგი ვინმეა, მართალი, პატიოსანი, ერთგული, სიტყვის პატრონი... ასეთი არ უნდა იყოს ჩვეულებრივი ადამიანი? „კარგი ვინმე“ უნდა ნიშნავდეს გამორჩეულს, მოღვაწეს, მოამაგეს, განსაკუთრებული ნიჭისა და უნარის მქონეს, სხვაზე მეტის გამკეთებელსა და შემქმნელს.“

„მთლიანად გეთანხმებით, მაგრამ ადამიანური სიმართლე ხომ ფარული უნდა იყოს, ღრმა, გააზრებული, გამიზნული, დიდი სიმართლისათვის, არსის სიმართლისათვის. ყოველთვის, სიცრუეც ხომ სიცრუე არაა და დანაშაული — დანაშაული.“

„გამოდის, რომ ჩემი ერთგულება იყო... ვიწრო, შეზღუდული, თვითმიზნური, ცხოველური, შორს გაუხედავი და განუზოგადებელი?..“

„შეიძლება ასე ითქვას...“

„ძაღლური?“

„მსჯელობის დროს ხდება, მოკამათეები უკიდურესობაში ვარდებიან, ზოგჯერ დაუკრეფავშიც გადადიან, მაგრამ თუ ჭეშმარიტების დასადგენად ხდება, შეიძლება.“

„და, ძაღლური?“

„ძაღლური, რომელიც ზოგჯერ ღალატს უდრის.“

„ერთგულება უდრის ღალატს?“

„თუ ეს ერთგულება ცხოვრების... ჭეშმარიტი ცხოვრების არსს არ შსახურებს... შენ ჰმონებდი ერთგულებას, მაგრამ შენი ცხოვრება ჭეშმარიტი არ იყო.. შენ მოღალატე ხარ.“

„ახლა ყველაფერი ვარ.“

„არამარტო ახლა. დღევანდელი დღე შენი ცხოვრების ლოგიკური გაგრძელებაა, რაკი არსს უღალატე, შენი არსების, რწმენის დედააზრს უღალატე. ამის შემდეგ ყოველი შენი ერთგულებაცა და ორგულობაც ღალატი იყო. თუ აღმოსავლეთით უნდა წასულიყავი და პირი დასავლეთით ჰქენი, იმის შემდეგ ყოველი შენი ფეხის ნაბიჯი გაშორებდა იმას, რისკენაც უნდა გევლო. ესე იგი, სიმართლეს — შენს სახლს.“

„ჰოო?..“

„შენ, კვერცხს სხვის ბუდეში დებდი.“

„მაგრამ მე ვაშენებდი.“

„რასაც შრომით, წვალებით, ერთგულებითა და სიმართლით აშენებდი, სხვისას... შენი შერთვისას ნოეს ბინის საკითხი მოგვარებული ჰქონდა. მან იცის, უბინაო, უსახლკარო კაცი ნაკლებ ფასობს...“

„ჩემს თვალში მურთხს ამისთვის არაფერი მომატებია.“

„საბედნიეროდ, თორემ მაშინ შენთან ლაპარაკს რა ფასი და აზრი ექნებოდა, მაგრამ უნდა დაკლებოდა თუ არა?“

„ჯერ არ იყო ძმარიო და შიგ შევიდა წყალიო?..“

„რით აიშენა ის „კოპერაციული“ სრული ბინა, რომელიც, რაც ოფიციალურად დაჯდა — დაჯდა, და რაც იმაზე მეტი, ეგ შენ კი არა, მისმა ამშენებელმაც არ იცის. დედამისის მზითევი უმტვრევდა ზანდუკებს თუ მამამისის სამემკვიდრეო ადგილ-მამულები.“

„ეს მე მეკითხა?“

„შენ! შენ გადაწყვიტე იმ ბინაში ცხოვრება და არა მე. მე იქ ზღურბლზე ფეხის გადამბიჯებელი არა ვარ. შენ რა, მურთხივით ხომ არ ეგონია, იმ სახლში ღამე გაითევა, სადაც თუნდ ერთი ღერი ლურსმანი შენი გაჭედილი და შენი ხელით მიჭედებული არაა? როგორ გგონია, ყველა ბრძენი და ჭეშმარიტი მოაზროვნე რომ სიმართლის გზას ადგა და ადგას, რასაც გასცემ ისაა შენი და არა რასაც მიიტაცებ და ძითვისებო. ოო, ტყუილია? ცალტვინა ხინიკაძემ იცის როგორ იშოვოს და ჭკუით დაყურსულმა მოაზროვნემ ვერ გაიგო, მთელი სიცოცხლე რომ შენზე და თუნდაც იმ მურთხებზე ფიქრობს? ნოემ კი იშოვა, მაგრამ თუ არავინ შექმნიდა, რას იშოვიდა. და ვინც შექმნა, იყო თუ არა მისი. იქ რაც შენ დაგხვდა, ან მთლად სხვისი იყო, ან დიდი ნაწილი მაინც. შენ არ შეგიქმნია კი არა, შენი ნაშრომ-ნაღვაწის მხოლოდ ცოტა ნაწილია შენი, რაკი არსებობს ხალხი, ქვეყანა, შრომის უნარს მოკლებული, ხეიბარი, ზარმაცი და უსაქმური, ქერიეი და ობოლი, ავადმყოფი და სნეული, მტერი და ორგული, ეს ყველაფერი შენს კისერზეა, აბა, ღმერთი ციდან კი არაფერს ჩამოუყრის. შენ შედი ხინიკაძის გაჩალებულ სახლ-კარში და გეგონა საწყალი წელზე ფეხს იდგამდა და ისე თავისი ხელითა და ოფლით აწეპა ქვა ქვაზე და ფიცარი ფიცარზე? მამაშენი მოხელე კაცი იყო და სანამ ჯანი მოსდევდა, წელში გაწყვეტილი შრომა იცოდა, მაგრამ თქვენი სახლი რამდენ ხანს შენდებოდა. ორი შვილის მეტი რომ ჰყოლოდით, ვიტყოდით, ამოდენა ოჯახს ვერ აუთავდაო. რაც, როგორც იყო, ააშენა, რაა? ცხოვრება შეიძლება და მეტი არაფერი. დედაშენიც რომ იმ სახლის კედლებში არ ჩაკირულიყო, არც ის იქნებოდა. მამაშენი მეზობლებთან დავასა და ბუშტრებთან ჩხუბს გადაყვებოდა. სანავ ეტლი და არღანი იყო, ძმაბიჭებიც ჰყავდა და თანამეინახეებიც. ხინიკაძის ბინას, შენი მისვლისას თუ რაიმე აკლდა, იმიტომ არ აკლდა, კიდევ უნდა ეშრომა, ებეჯითა, ეშიმშილა და ისე შეეძინა. მურთხებმა ასე იციან, გაჭიმავენ ბინას და მერე წლობით ცარიელი აქვთ, ვითომ ასე ერთბაშად აშენებაც და დამშვენებაც ვერ შევძელით, ჩვენი შემოსავალი ერთბაშად ვერ გაწვდაო. სხვამ თუ ეს „არ

იცის", შენ ხომ იცოდი. ან სხვას თუ ფეხებზე ეკიდა, ან მიაფურთხა: თავში ქვა უხლიაო, შენც ასე ხომ ვერ მოიქცეოდი. სხვა უბედურებასთან ერთად იგი შენ ამიტომაც არ გიყვარდა და, რა გასაკვირია, ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ რისთვისაც არ დაგენახვებოდა, იმაში დაიდე წილი? შეუძლებელია ის ან მისი სახლი შენი ყოფილიყო და მერე იმის უფლება გქონოდა გეთქვა „მიყვარდა-არმიყვარდაო". სადაც სიყალბე, სიცრუე, გაიძვერობა და მუხანათობაა, იქ სიყვარულზე და ზნეობაზე ლაპარაკს ვინ გაბედავს. ან რა აზრი აქვს. უდაბნოში აქლემის ფსელს სვამენ, პეშვ წყალს ნატრობენ და არა ცხრა წყაროს..."

„თავიდან ამაზე არ მიფიქრია..."

„არა, რა თქმა უნდა, ან იმდენად იკითხე, რამდენადაც ნოე არ გიყვარდა. ამით შენი სინდისი სუფთა იყო. ის ისეთი იყო, ვისი სიყვარული არ შეიძლებოდა და დამნაშავეს განაჩენი გამოუტანე, მისაგებელი მიაგე. მაგრამ როცა მასზე გათხოვდი..."

„ღმერთო, შენ მაინც თუ იცი ჭეშმარიტება."

„ღმერთმა კი არა, ეს შენც იცი..."

„მე რა ვიცი!.."

„ყველაფერი ვთქვათ? გაუმხელელიც?"

„მაინც დაღუპული ვარ-და..."

„ისიც, რაც სიკეთით დაგემართა და ამდენად დანაშაული არ გგონია?"

„თუ სიკეთით დამემართა, მაინც?.."

„მაინც, რაკი შენ მეგობრის ერთგულებით გახდი ხინიკაძის ცოლი."

„თუ ასე იყო, მეგობრის. ადამიანის, მოყვასის ერთგულება მთავარი არაა? განა ახლობლის, საყვარელი ადამიანის, ძეხორციელის გატანით, ნდობით არ იწყება ყოველნაირი ერთგულება და, საერთოდ, ადამიანთა მოდგმის, თუნდაც საკუთარი თავის სიყვარული და არსებობის უფლება?"

„შენ შენს მეგობარს უერთგულე და ადამიანთა მოდგმას უორგულე."

„ხინიკაძეზე უნდა მეთქვა უარი?"

„ყველაფერზე უნდა გეთქვა, რაც შენი მრწამსი არ იყო. ჭეშმარიტების ერთგულებაა ადამიანთა მოდგმის ერთგულება."

„ჩემს მეგობარს ჭირდებოდა ჩემი ერთგულება. მე იგი სიკვდილისგან უნდა მეხსნა, ორი სიკვდილით რომ არ მომკვდარიყო, ერთისგან

მაინც უნდა გადამერჩინა. ნატას სჭირდებოდა ჩემი თავგანწირვა და უფლება არ მქონდა, სიცოცხლის ფასადაც რომ დამჯდომოდა, უკან დამეხია. ასე რომ არ მექნა, ჩემს არსებობას ვერაფრით გავამართლებდი".

„ახლა ამართლებ?"

„ყოველ შემთხვევაში, მასთან პირნათელი ვარ".

„მასთან ხარ თითქოს პირნათელი, მაგრამ ქმართან, შვილთან, დედასთან, მამასთან, ხალხთან, ქვეყანასთან, ყველასთან — პირშავი".

„არ შემეძლო, ვისთვისაც მინდოდა, თავი შემეწირა? თუ ამას შეწირვა შეიძლება დაერქვას?"

„არა!"

„ჩემი თავი მე არ მეკუთვნის?"

„არავითარ შემთხვევაში!"

„უსაშველო მქონია გაჩენილი. ეგაა."

„ეგ არ იცი, რომ ადამიანს უსაშველო აქვს გაჩენილი?"

„არა, ვიცი შვილს ვჭირდები, დედა ვარ და ვჭირდები. მამას ვჭირდები, შვილი ვარ..."

„რატომ ასე ვიწროდ და ცხოველურად... ავერ რომ ქალი მოდის და ბავშვი მოსდევს ან ის ჯოხდაბიჯგებული ბოხუცი მიფარცუხობს, სამივეს არ სჭირდები?"

„აბა, არც ერთი გადარჩება ჯავრით, მე თუ არ ვიქენი!"

„ასე. ისინიც რომ არ იყვნენ, არც შენ ჩაიცვამდი შავს, მაგრამ თუ არც ერთი არ იქნებოდით, არ იქნებოდა ხალხი, ადამიანთა მოდგმა და ქვეყანა. შენ და ისინი საზოვადოების ნაწილი ხართ და იმდენად გეკუთვნით თქვენ თქვენი თავი, ქვეყნის მერამდენედი ნაწილიცა ხართ. ვინ მოგცა შენ. ერთ მემილიონედს — გროშის პატრონს უფლება, მილიონი გაფლანგო? ნატაც ერთი ნაწილი იყო, ამ დიდი მთლიანისა, შენ შეგეძლო შენი გროში მიგეცა, მაგრამ არა მთელი შენი სიცოცხლე. შენ უერთგულე ნატას და უღალატე ადამიანთა მოდგმას. უღალატე დედას, მამას. ქმარს, შვილს, ხინველს... ყველასა და ყველაფერს, ბაბუაშენსაც კი..."

„ხინველს ერთგულების ფიცი როდის მივეცი..."

„ყოველთვის, ყოველდღე... როცა შენ ნატას ასე თავგანწირვით ერთგულებდი, ხინველს ერთგულებდი."

„თუ..."

„ერთგულებდი! ერთგულების ფიცს აძლევდი. შენი სექციელი

იყო ის, რისთვისაც ადამიანს ადამიანი უნდა უყვარდეს. მით უმეტეს, ხინველისთანებს.“

„მე თითქოს... თუ არ მეჩვენებოდა და მაინც ვგრძნობდი ხინველის ყურადღებას, „ვუმტკიცებდე“, რომ მეგობრის ღალატი არ შეიძლება და ნურასოდეს ექნებოდა იმედი რომ ოდესმე, ნატა იქნებოდა თუ არ იქნებოდა (ჩემთვის ის ყოველთვის იქნება), ნურასოდეს იფიქრებდა ჩემგან რაიმე თანაგრძნობას.“

„დაასხამდი ცეცხლზე ნავთს და აქრობდი ცეცხლს ცეცხლით!“

„სად იყო მაშინ აქ გამოსავალი?..“

„გამოსავალი არ არსებობს!“

„არც მაშინ, ხინიკაძეზე რომ მეთქვა უარი?“

„მაშინ ხინველს აღარ ეყვარებოდი. რაკი ნოეს ცოლობა იყო დასტური შენი უანგარო, თავგანწირული, უერთგულესი მეგობრობისა.“

„მაგრამ უარი რომ მეთქვა, ხომ მართალი ვიქნებოდი“.

„ეს ასეც უნდა გექნა შენი სამყაროს გადასარჩენად, შენი დედაზრის, ადამიანთა მოდგმის ერთგულებისათვის.“

„მაშინ ხსნაც ეს ყოფილა.“

„კი, ეს ზოგადად სიმართლისათვის, მაგრამ ხინველი ხომ მაინც ადამიანია და არა ღმერთი. შენ ე, მაგ თავგანწირული მეგობრობისათვის უყვარდი მას და ეს რომ არ ჩაგედინა... უფრო სწორად, რაც ჩადინე — ნატას გადასარჩენად რომ თავი გაიმეტე, ამან შეაყვარა... (შენ ლაშას ყოველთვის უყვარდი) გახდი მისი კერპი სამარადჟამოდ. მართალია მან შენ დაგკარგა, მაგრამ მისთვის ამ დაკარგვამ აღმოგაჩინა, როგორც ერთადერთი ხატი და სალოცავი. და შენ რომ მეგობრისთვის ამოდენა მსხვერპლი არ გაგეღო, როგორ დაეწახე. შენი დაკარგვა იყო, ხინველისთვის, პოვნა. და, თუ ცოდვა გამხელილი ჯობია, შენ ქვეშეცნეულად ხომ არ გრძნობდი ამას და ამ თვითშეწირვისაკენ ხინველმაც ხომ არ „გიბიძგა?“

„უცოდველი ადამიანი, ალბათ, არ არსებობს, მაგრამ რა ვქნა, რომ არაფერი მესმის.“

„ერთი წუთით დავუშვათ, რომ უყვარდი ხინველს და გიყვარდა. თქვენ ორივეს გქონდათ იმდენი ჭკუა, რომ შენი ლამაზი ფეხებისათვის და მისი ღონიერი მხრებისთვის ჭკუა არ დაგეკარგათ. იმას ჰქონდა ბევრი ისეთი ღირსება, აზრიან ქალს ჰყვარებოდა, მაგრამ ახლა ეს არ გვინდა. შენ უყვარდი...“

„ეუყვარდი?!.“

„ერთი წუთით წარმოვიდგინოთ-მეთქი.“

„ჰო, ვთქვათ...“

„რატომ უნდა ჰყვარებოდი შენ ხინველს, თუ ის მარტო ლამაზი მუხლისთავებისთვის და ათქვირებული მკერდისთვის ქალს სამუდამოდ ვერ შეიყვარებდა (არც მგონია ჭკვიანი მამაკაცი სხვანაირად მოიქცეს). არც ქალის უნახავი იყო, და არც თვალში გამოუხედავია, გარეგნულად შენზე უკეთესებიც შეხვედრია. რა იყო შენში ისეთი, რაც ასე გამოგარჩევდა ასისა და ათასისაგან. თვით ნატასაგან?! ამაზე შენ, თუ ჭკუა მოგეკითხებოდა, ხომ უნდა გეფიქრა?

„ამას ვიფიქრებდი იმ შემთხვევაში, თუ...“

„თუ გეყვარებოდა... მაგრამ ეს ასეც რომ ყოფილიყო, ვერ გაბედავდი ამაზე თავის ტეხვას, რაკი ხინველს საშენოდ ვერ დაიგულებდი და ნატას ვერ უღალატებდი. შენ გაუცნობიერებლად ჩაები ამ თამაშში?“

„რა თამაშში, ქალი ხელში გვაკვდებოდა და თამაშში ჩავები?“

„ჩაებით!“

„ღმერთო, შენ დამიფარე!“

„ხინველი აღტაცებული იყო შენი ერთგულებით.“

„ნატას ხინველის მოსახიბლად ვერთგულებდი?“

„არა, და სწორედ აქ იყო დამარხული ძაღლის თავი და სხვამ ძირისკიდემდე არავინ იცოდა, შენ რას აკეთებდი.“

„მე სალაპარაკოდ და ქვეყნის დასანახავად არ ვაკეთებდი“.

„ესეც ხინველის იდეალის თვისებაა, მაგრამ შენ მეტიც ვინ გინდოდა, ის ხომ ყველაფერს ხედავდა.“

„ნატა ხედავდა ამას, ღმერთო, ცოდვილი ვარ, ვისთვისაც ვაკეთებდი, ის ხედავდა...“

„ლაშა ხინველი?“

„ხინველს მე თვალებს ვერ დავთხრიდი.“

„რას დათხრიდი, როცა ყველაფერს მისთვის აკეთებდი!“

„ღმერთო. ძლიერო! ნუთუ ისე გაუტანელი ვარ? ნუთუ ასეთი ეგოისტი და წაწყმედილია ადამიანი?! და ნატასთვის, ჩემი ტანჯული, წამებული დისთვის, არაფერს?“

„სიტყვა მოიტანს და აზრის ნათლად გამოსახატავად ითქმება, მაგრამ ასე უკიდურესად ნუ გავიგებთ. ყველაფერს ნატასთვის, მაგრამ იმას, რასაც ხინველის იდეალი ჩაიდენდა. ხინველი გკარნახობდა თავის მრწამსს და შენ აკეთებდი. უფრო უარესი, თუ ეს ჭკუიდან არ

შეგშლის, შენ აქამდე ქმარსაც იმიტომ ერთგულებდი, რომ ხინველი გკარნახობდა.“

„კარგი... კმარა... იქნებ ქვეშეცნეულად სიმართლის მარცვალი დევს იმაში, რომ ადამიანს გმირობისათვის ისევ ადამიანი აქეზებს და თავგანწირვამდე მიჰყავს (რაკი სიცოცხლე ასე ხელაღებით შეულეველია). მაგრამ ხინიკაძეს ვერთგულებდი იმიტომ, რომ ხინველს ეამებოდა?“

„ბოლითონ ხინველისკენ არ გაგიხედია შენ მასაქეთ.“

„არა. და ესეც ხინველისათვის?“

„ესეც ხინველის სიყვარულისთვის.“

„მიყვარდა და...“

„გიყვარდა, გიყვარს და გეყვარება!“

„და მისკენ არ ვიხედები?“

„დღეის ამას იქით რას იზამ არ ვიცი, მაგრამ...“

„დღეიდან რაიმე შეიცვლება?“

„ძალიან ბევრი რამ...“

„რა თქმა უნდა... ალბათ... მაგრამ ხინველის მიმართ?..“

„არ ვიცი. ჯერ აქამდე არ მისულა საქმე, მაგრამ, წარმოვიდგინოთ, შენ რომ ხინველს მიდგომოდი ქმრის საღალატოდ, მოეწონებოდა?“

„ღმერთმა ნუ ჰქნას!“

„ან ქმრისთვის სხვასთან გეღალატა? ქმრიანი ქალი რომ საყვარლობიანას თამაშს დაიწყებსო, რა თქვა ერთხელ? ჰო, შენს საწოლზე იჯდა, სხვათა შორის, იმ საღამოს. შენ და ნატას იმ ნაქირავებ, ციცქნა ოთახში ორი სკამი გედგათ და სტუმრები საწოლზე „ნებივრობდნენ“. მგონი პირველად იყო, რომ უხეშად შეიგინა, ისეთი ქალების მისამართით და შენ სახეზე ცეცხლი შემოგენთო, თუ ხინველმა უწმაწური ლანძღვა-გინება იცოდა, არ გეგონა.

შენ ხინველი გაპროგრამებდა.“

„იქნება ახლაც ის მმოძღვრავს და ამ ღალატის გზაზეც მან დამაყენა.“

„მან და მხოლოდ მან!“

„თუ აქამდე ქმრის ერთგულებას მასწავლიდა!“

„არც ასე პრიმიტიულად და უხეშად გესმის შენ ერთგულება ან ღალატი. ხინველი მღვდელი არაა და არც შენ ხარ მონაზონი.“

„ნატასთან ის ცხოვრობდა ბოლო დროს, ეს იცოდი შენ.“

„...მათი საქმე იყო.“

„ასე გულგრილად ახლა ლაპარაკობ...“

„ვიცოდი, რომ ეს განწირულს წუთიერ სიამოვნებას...“

„ხინველმაც იცოდა ეს და აკი გითხარი, ქალის უნახავი არც შანამდე ყოფილა, ღმერთო კი მომკალი, ნატას ზიარ ლოკინზე რომელი მამაკაცი არ იოცნებებდა, მაგრამ ეს მაინც მსხვერპლის გაღება ხომ არ იყო და ამიტომ ხომ არ შეგზარა, როცა ეს ნეტამ ყურში ჩაგაწვეთა? შენი ხინკაძის ცოლობასაც, სხვა მიზეზებთან ერთად, ამანაც ხომ არ შეუწყო ხელი და შენც კეთილი შურისმაძიებელი გახდი? ისე, რომ ამაში თავსაც არ გაცხადებიხარ?“

„მე, რაც ნატას სიკვდილისაგან დაიხსნიდა, ყველაფერს ვაკეთებდი, მგონია.“

„იყო კიდევ ერთი კაცი.“

„ახლა რადა დროს იმის გახსენებაა...“

„ყველაფერმა რომ ჩაიარა, გეგონა, გათხოვდი. ნატაც აღარ იყო, აღარც ხინველი და ვითომ ერთხანს სამსახური დააპირე. განყოფილების გამგე იყო „ის“, ვინც ვითომ ნოეს თხოვნით „მოგაწყო“ და თქვენთან ერთ ვახშამზე მიხვდა: შენ და შენი ქმარი რკინის ჯაჭვებით არ იყავით ერთმანეთზე მიბმული და ეგონა, ბამბის ძაფივით დაწყვეტდა, მაგრამ ჯერ ერთი, იმ კაცის ეს არ მოგეწონა. იმან რა იცოდა, შენ რა ხისაგან იყავი გამოთლილი და, ამას გარდა, მაშინვე არ გაიფიქრე: ხინველი ამას ჩაიდენდა, ოჯახში დიასახლისს ან სამსახურში თანამშრომელს, თვალების პაჭუნს დაუწყებდა!“

„ეშობიარობის შემდეგ არც დავბრუნებულვარ სამსახურში...“

„თქვენი ბინიდან სკოლა სულ სამას მეტრზე თუ იყო და მასწავლებლის ნახევარი განაკვეთი დღეში ორი საათით ამოიწურებოდა, ვერც მთაში (სადაც ყველაზე მეტად იყო მოსალოდნელი) და, მით უმეტეს, აქ — ქალაქში, შენ ბავშვებთანაც ვერ იპოვე ის სიწრფელე და ერთგულება, რომელსაც უნდა წარეტაცე, რომელიც უნდა ყოფილიყო შენი საქმის მამოძრავებელი ღერძი, რომლითაც უნდა გეცხოვრა. საუბედუროდ, შენ ფანატიკოსი არ იყავი, შენ ხედავდი სინამდვილეს, როგორიც იყო. ვერც ქმნიდი ისეთს, როგორშიც გაგეძლებოდა და არც მისი ისეთის გამოგონება შეგეძლო, რომლითაც უნდა გეარსება. სინამდვილე ან არასოდეს არაა ის, რაც გვინდა, ან, თუ იგი მაინც არსებობს, ყოველთვის ჩვენგან მოშორებით, რაც მიახ-

ლობისთანავე იმდენივე მანძილით გვშორდება, რითაც მისგან — ყოველთვის ვიყავით დაშორებული. შენ ბავშვებს ვერ აპატიე ან ერთხელ აპატიე ტყუილი, ეშმაკობა და სიზარმაცე. თითო-ოროლას, მართლა ბეჯითებისა და გულწრფელების გამორჩევა არც შეიძლებოდა და არც გიქნია. დარჩი შენ შენთვის და ისინი თავისთვის. შენ ასწავლიდი საგანს და ისინიც, რა ჭკუისა და უნარის პატრონიც იყვნენ, იმის კვალობაზე სწავლობდნენ. შენი სამსახური მაინც მოვალეობის მოხდა იყო, პატარა ხელფასის, სტაჟის და, უბრალოდ, რომ არ გრქმეოდა „დიასახლისი“ და სხვა მეტი არაფერი. ისევე, როგორც შენი მეუღლეობა ნოეს ცოლობის მოვალეობის მოხდა იყო. ვითომ, რომ გაუთხოვარი არ დარჩენილიყავ. ვითომ — ოჯახი გქონოდა და დედაშენსა და მამაშენს ქალიშვილი დაბინავებული და პატრონს ჩაბარებული ჰყავდათ. სინამდვილეში შენი ცხოვრებით არსად არ ცხოვრობდი და არ იყავი ის, რაცა ხარ. ვინც ის არაა, ვინც უნდა იყოს, იგი არც არსებობს. შენ ბედში მყოფს რაზე შეეძლო ეოცნება, რისი იმედი უნდა ჰქონოდა და რისთვის უნდა აეტანა ის სიცარიელე და უჰაერობა, რითაც ის სუნთქავდა?

შვილი!

აი, რისთვის უნდა დაწოლილიყავი იმ კაცთან, რომელიც შენწინანებას ვერ აღძრავდა და თუნდაც წუთიერ სიამოვნებას ვერ მოგანიჭებდა, ვისთვისაც უნდა გერეცხა, გამოგეცხო და მოგეხარშა, რისთვისაც უნდა გევლო სკოლაში და კუთხე-მეზობლებთან, დედ-მამასთან და ნათესავ-მეგობართან.

ჩვენ შევთანხმდით, რომ მკაცრ სიმართლესა და თავისთვისაც გაუმხელელ ჭეშმარიტებაზეც კი თვალებს არ დავხუჭავთ.“

„რამდენიც დავხუჭეთ, არ გვეყო?“

„ალბათ თვალების დაესების ხშირი მიზეზიც ესაა, ცეცხლს თივა არ უნდა მივაყაროთ და დამწვარ-დაფუფქულს წყალი კი არ უნდა დავასხათ, ცეცხლს უნდა მივაფიცხოთ, ჭრილობაზე კი მარილის ან თუთუნის დაყრა სჯობს.

დაორსულდი ისე, თითქოს მონაწილეობაც არ მიგიღია საკუთარი შვილის ჩასახვაში.“

„ბოლოცარია და ეს მართლა ასე იყო. ალბათ ეს მარტო მე დამემართა. შეუძლებელი, წარმოუდგენელი...“

„ამ დროს შენ... ამ დროს კი არა, სულ რაღაც „თაფლობის თვეში“ მოასწარი ქმრის შეძულება.“

„ნეტავ როდის მიყვარდა.“

„შენ გითხრეს ვინც გიყვარდა და ერთსა და იმავე დროს ორი, შენ კი არა, არავის ჰყვარებია.“

„არავინ არ მიყვარდა!..“

„კარგი. მაგაზე სხვა დროს, მაგრამ ახლა სიტყვას ბანზე ნუ ავაგდებთ. სათქმელი ბარემ ბოლომდე ითქვას, ნუ გადავთავრავთ და ზევით-ზევით ნუ გადავიბალახებთ. ჭეშმარიტებასთან მხოლოდ დიდი და უღალატო სიმართლის გზა თუ მიგვიყვანს.

თქვენ საქორწინო მოგზაურობაში წახვედით, არა ქორწილის ღამეს, არამედ ოთხი დღის შემდეგ, როცა ნეფე მიხვდა, შენ შენი ოთახის კარის გაღებას აგვიანებდი. რაკი ვნებაამღვრეულს ყოველდან აშოშმინებდი: — ახლა არა, დღეს... ამაღამ არა... მერე მე თვითონ... მე...

მურთხების მოლოდინი მტაცებლის მოთმინებას ჰგავს. მსხვერპლს საათობით, პაპანაქებასა და ქარ-ყინვაში, გაუნძრევლად დარაჯობენ. მაგრამ როცა მათ კლანჭებში მოხვდება, რამდენადაც დიდია მათი მოდარაჯე, ჩასაფრებული მოთმინება, იმდენად სულმოკლე და გაუმაძღარნი ხდებიან, როცა მსხვერპლი ხელთა ჰყავთ. „საქორწინო მოგზაურობა“ შენც გერჩია. უნდა გაცლოდი, უნდა გაქცეოდი იქაურობას, იმ ადგილს, იმ ქალაქს, იმ ქვეყანას, სადაც... მოიცა, ნუ გამაწყვეტინებ! სადაც „ის“ გეგულებოდა.“

„მე არ შემეძლო... უსიყვარულოდ... უსულგულოდ...“

„არ შეგეძლო და ეს დღეს-ხვალ უნდა მომხდარიყო, შენ ნოე უნდა დაგუფლებოდა. ამისგან შენი დახსნა უკვე აღარავის და არავითარ ძალას არ შეეძლო. ტყუილად ჩაიკეტე ქორწილის ღამეს ცალკე ოთახში (მე შენ გეტყვი, მურთხს არ ჰქონდა ამის საშუალება) და დააღე ფანჯრები...“

„ეს სიგიჟე იყო, ხომ შეიძლება ჭკუიდან გადავიდეს ადამიანი...“

„მაგრამ შენ უკვე ერთხელ გაწირე თავი, როცა მურთხს გაჰყევი და, ორჯერ არავინ იკლავს თავს... ამიტომ ვერც ფანჯრიდან გადახტი და ისე გათენდა, არავის კიბე არ მოუდგამს ან სახურავიდან ბაწრებზე არავინ დაშვებულა, რომ ხელში ატაცებული გადაეყვანე“.

„განა ეს შეიძლებოდა მომხდარიყო? მაგრამ განწირულ ადამიანებს უჩნდებათ სასწაულის იმედი. ალბათ ეს თავის გადარჩენის ინსტინქტია და დაუჯერებელს, შეუძლებელს წარმოიდგენენ, რომ ერთხანს თავი შეაფარონ, სნამ ბედის მონა გახდებოდნენ. სანამ ყოფნა-

არყოფნა ჩალის ფასი გახდებოდეს, სანამ სული გამოეცლებათ და ლეშად იქცევიან. ლეში კი, თუ სხვამ არ აიღო და გადააგდო, თვითონ ძალა აღარ შესწევს და თავის ხრწნას თვალღია უცქერის."

„რატომ, ის სასწაული, შენ რომ იმ ღამით ელოდი ან იმის მსგავსი რამ, უნდა მომხდარიყო. ქორწილიდან გაპარული დედოფალი ან გაუტაცნიათ. მაგრამ „მას" — ვისაც შენ იმ ღამეს ელოდი, აქვს თავისი მძიმე ნაკლი თუ ხასიათის სისუსტე. ეს იცოდა ნატამ და უთუოდ ამის იმედიც ჰქონდა, იმ საშინელი, უკურნებელი სენით რომ არ დაღუპულიყო, ვინ იცის, რა მოხდებოდა ისე, როგორც შენი შეუვალი ერთგულებისა იცოდა."

„ნატას არ შეეძლო ვინმეს სისუსტის ბოროტად გამოყენება. ნატა თავკერძოებაზე და ეგოიზმზე ყოველთვის მაღლა იდგა!"

„მყვირალა სიტყვებია. ნატა ადამიანი იყო. ჭკვიანი, განათლებული, კულტურული ადამიანი და არა გულუბრყვილო."

„ნატას არასოდეს არ უთქვამს, რომ მის საფიცარ ხატს რაიმე ნაკლი ან სისუსტე გააჩნდა. იგი იმდენად აღმერთებდა ხინველს, სრულყოფილ ადამიანად მიაჩნდა."

„ნატამ იცოდა — თუ გინდა შეგიყვაროს და გიერთგულოს, მხოლოდ მის ღირსებებს უნდა ხედავდე და არასოდეს არ უნდა შენიშნო მისი უხეირო, უბადრუკი თვისებები."

„როგორ, ნატა რაიმეს ხედავდა, ფიქრობდა და მე მიმალავდა?"

„არაფერს გიმალავდა, რისი გამხელაც შეიძლებოდა. მეგობრები იმდენად არიან გულწრფელნი, რამდენადაც ეს მათ ურთიერთობას არ ვნებს. ადამიანის — ამ ამოუწურავი, უფსკერო ოკეანის თვისებებზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს და ბოლოს მაინც მის ზედაპირზე დავრჩებით. ჩვენ იმ პირველი ღამის უბედურებაზე გვქონდა საუბარი და ერთი რამ გამოგვრჩა. სასოწარკვეთის თუ დაღუპვის დროს არსებობს კიდევ ერთი გადარჩენის ინსტინქტი — ცრემლი. ცრემლი სულაც არაა მოზღვავებული, აუტანელი ჭირის ან სიხარულის გამომხატველი მოვლენა, მას სხვა, უფრო დიდი მისია აკისრია. ცრემლს ამოაქვს გულიდან ის დაუტევარი შხამი, რაც ადამიანს გაგუდავდა ან ჭკუიდან შეშლიდა. ცრემლი — შეურიგალს, ყურით გაუგონარ უბედურებას შეგარიგებს. გამწარებული და თავზეხელაღებული მანამდე ლაშაშია, სანამ ატირდებოდეს, სანამ მის სხეულში სასოწარკვეთის ზღვაა დაგუბებული. როგორც კი ივი თავს იჩენს და ცრემლის მდინარეებად და ტბებად დანაწევრდება, უვნებელია. შვილს რომ დედა

უკვდება ან დედას — შვილი, რაა ან ვინაა ამ ცოდო-ბრალის განმკითხავი და ნუგეშისმცემელი — ცრემლი.“

„ცრემლი. დედაჩემის... ამქვეყნად ჩემი ერთადერთის. ვინ მყავდა... ვინ გამაჩნდა მე უბედურსა და შავდღიანს მის მეტი...“

„იმ შენი ქორწინების ღამესაც ცრემლი იყო შენი მფარველი და გადამარჩენი. შენ მანამდე ხეირიანად არც კი იცოდი იმის ფასი და მას შემდეგ კი, მადლობა ღმერთს, ხშირად სარგებლობ მისი თანადგომით და ჭირს იოხებ.

მატარებლის ცალკე კუპეც არ გამოადგა ხინიკაძეს სანთიობოდ. მეორე დილით უთენია, რომელიღაც, ზღვისპირა ბაქანზე ჩამოგაგდო ფაცა-ფუცით, როგორც იცის, იმ საქმიანი ფოლორცით ჩემოდანი და ჩანთები მოგიყარა და ჩაგეზებული წაგლიჯინდა. შენ თვალი გააყოლე, რაკი იცოდი უკან არ მოიხედავდა. იგი დაღმართზე ჩარბოდა. ისე ჩქარა მოკლდებოდა და პატარავდებოდა, ისე მღრღნელივით დაძვრებოდა უზარმაზარი, კანშემოცლილი, ახოვანი ეკალიპტების ძირებში და აფუებულ, ნოტიო მიწაში მუხლებამდე ჩაცურებულის მაყურებელს ნატას ტკრცციალი ჩაგესმა: „მურთხი!“ შენ იცოდი, იგი სახელდახელოდ იშოვიდა ბინას, სადმე მიყრუებულს, განცალკევებულს, განგებ პატარას, ერთი ციცქნას, რომ ორი საწოლიც არ გამართულიყო, ან, თუ მეორეც იქნებოდა ალაბინებდა, რომ იმ ერთადერთზე გვერდით მოგწოლოდა.“

„ოთახში ორი საწოლი იდგა...“

„ის კი არადა, როგორც მერე გაირკვა, მან საგანგებოდ შეუკვეთა და დაადგმევინა. მასპინძელიც შეარჩია თუ მის ბედად ხეიბარი გამოდგა. ორივე ფეხით კოჭლი კი არა, სახსრებდაკრუნჩხული; ყავარჯნებით რომ ერთად აითრევდა და კი არ გადადგამდა, გადადებდა. მკლავებიც მარილებით თუ ჩაკირვებით დამრუდული და თითები დაღეღარჭნილი ჰქონდა, იღლიებში შედგმული ყავარჯნებით გამოჰქონდა გასხვისებული სხეული მზიან ამინდში და კბილებჩაყრილი, პირმოღებული თვლემდა მზის გულზე. როცა ცოლი ციტრუსების ძირებში და ბოსტანში წელგაუმართავი საქმიანობდა. კოჭის ძაფით შეკრული, ბეჭდის ტოლა ქინძისა და ოხრახუშის კონებს დილით სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ეზო-ეზო დაარბენინებდა და კაპიკ-კაპიკ გროშებს აგროვებდა. საღამოს ჰუდამ ჩხუბი და წივილ-კივილი იდგა. ქმარი ყავარჯნებს უბრაგუნებდა იატაკზე და

ცოლს უბიდან ფულსა და სულს აცლიდა. უთხრა მერე მურთხს, როცა დაძმაკაცდნენ...“

„რას ვერჩი, მაგრამ რომ მოვეფერო და თავზე ხელი ვუსვა, ამდენ შრომასა და წვალებას. ვერ აიტანსო“.

სამაგიეროდ ვაჟიშვილს ანებივრებდა. თვრამეტი წლისაც არ იყო, რომ ზღვის პირას მობანავე დამსვენებელ ქალებთან დილიდან საღამომდე სილაში ეგდო წითელი საცურაო ნიფხვის ამარა, ეზოდან ასე ტიტლიკანა გადადიოდა და ბრუნდებოდა. ისეთმა „ბრძენებმა“ იციან რა ეგოისტია ადამიანი და რით მოისყიდონ. შვილის გულს თუ არ მოინადირებდა, იგი სამართლიანობას მოითხოვდა და დედის იმდენ ჯაფას ვერ მოითმენდა, თვითონ არაფრის მაქნისი იყო და ოჯახს მარჩენალი ხომ უნდოდა.

შენ ამანაც გაგაჭწარა, გეგონა მურთხს იქაურობა ადრევე ჰქონდა შეგულებული და განგებ იქ მიგაყენა, სადაც ქალი შენზე უარეს დღეში ჰყავდათ, რომ შენს ბედს იოლად შერიგებოდი. რა თქმა უნდა, ეს ეპვი იყო, არ შეიძლებოდა მას ერთი ღამის მატარებლით სავალზე ამისთანა ოჯახი ეძებნა ან მისი არსებობა წარმოედგინა. იქ, იმ ახლომახლო კი ალბათ ჩალანგარა ქოხი საგანგებოდ შეარჩია, რაკი შენ მის სრულ ოთახებში არ დანებდი. იმ საღამოსვე დარწმუნდი, რომ ამ „კუკუმალობანასა“ და „ნამუსის“ დაცვას აზრი არ ჰქონდა. შენ უკვე ნოეა საკუთრება იყავი და ის კაცი სამართლიანად მოითხოვდა თავისას. სიმთვრალეში პატივმოყვარენი რომ ოქროს საათს გააჩუქებენ, ხელზე სუფრის ბოლომდე არ შეიხსნიან, შინ „გაიყოლებენ“ და მერე ვამოფხიზლებულები პატრონს ეხვეწებიან ერთი-ორი დღე მაცალეო. სიყვარული მოკრძალებულია, გაუბედავი და მორცხვი. ვნება — შიშველი, თავაწყვეტილი და უძღები. მურთხი გულზე გაწვა მაშინაც, როცა სურვილდამცხრალს ქალი აღარც უნდოდა, მაგრამ მისი იმდენი ხნის მოლოდინი და ჩასაფრება, წყურვილი და ჟინი ვერ გელეოდა და მთელი ღამეები თვალს არ ახუჭვინებდა იმ სახლის პატრონივით, ცოლთან ჩხუბში ნერვებს რომ იშლიდა და აკანკალებული უკბილო პირიდან უშვერ გინებასა და დორბლს ჰყრიდა. მურთხი არც თავს არ იზოგავდა და, არც შენ გაძლევდა ამოსუნთქვის საშუალებას. ებრძოდა შენს სიცოცხლესა და უგრძნობლობას, რომ შეურაცხყოფილს შური ეძია, სულწასულს შენში ქალი გაეღვიძებინა და რაკი შენში ერთგულების თავისთავადი გენი სხვა მამაკაცისკენ არ გაგახედებდა, შენი ვნების ცეცხლზე ხელები მხოლოდ ნოეს ეთბო. ესეც შენი უბე-

დურება: როცა დანებდი, ერთგულად დანებდი და საკუთარ ბედს თუ თავს რაკი აუმხედრდი, თვითგვემისა თუ თვითდასჯის ავი, პათოლოგიური ვნება გაგიჩნდა, რომ თავი მურთხს ჩაუგდე საჯიჯგნ-სათრევად, რომ ყველასა და ყველაფერს არ გაექეცი და თუ საყვარელ ადამიანს არ იპოვიდი, საძულველს მაინც ლეიბად არ გაეგებოდი. იმ დღეებში შენ ნიშნისგების, ნაცვალგების, დასჯისა და დასჯილის წვალების ავადმყოფური ჟინი გიჭერდა კისერში ხელს და ყოველ მოსურვილებაზე თავს ხელში აჩეჩებდი, რომ შენი ცივი სხეულის თრევისთვის თვალღიად გეცქირა, შურისგებით დამტკბარიყავ. დაიქანცა მურთხი, დაილია, გამოებლიტა ისედაც არაფრის მთქმელი წყალწყალა თვალები და ის თვითკმაყოფილისა თუ პატარა მფლობელის რიხიც დაკარგა, რომელიც ავ კაცუნას მაინც ამგვანებდა...

ეს იყო თქვენი თაფლობის თვე.

მერეც, როცა თქვენი ოჯახური ცხოვრება დაიწყო, ვერაფრით იმის შევუება ვერ შეძელი, რაც არ გიყვარდა: რაც შენი არ იყო. მურთხები ის გარეწრები არიან, ყოველნაირი მუხანათობით მონაპოვარს რომ ითავისებენ და ოცდაოთხ ნათურიან ბროლის ჭაღს მაღლა რომ ჰკიდებენ, ქვევიდან მორცხვად კი არ შესცქერიან, ზედ ადიან და იქიდან იმზირებიან. შენ, ერთხელ, სამზარეულოში კედელზე ხის კოვზების, ჩამჩისა და ქაფქირის საკიდი თაროს მიმაგრება დაგჭირდა. თურმე ნოე ლურსმნის მიმჭედებელიც კი არაა. გაგიცხადა კიდეც: მე დურგალი და კალატოზი არა ვარ, ეკონომისტი მქვია, უმაღლესი კინაღამ წითელ დიპლომზე მაქვს დამთავრებულიო. „დურგალი და კალატოზი“ გულზე კი გეცა, გეკონა შენი წარმოშობა და მამაშენის ხელოსნობა გაქირდა, მაგრამ ეს ლურსმნის დაჭედება რომ მხოლოდ ხელოსნების მოვალეობა ჰგონია, უფრო ამიტომ თქვა. ისე, თავის საქმეს რომ მართლა რაღაცად თელის და სამსახურის შემდეგ რომ მწვანე ხავერდგადაკრულ რბილ დივანზე ვალმოხდილი კაციკით ნებივრობს... გულზე გაშლილი გახეთი რომ აღევს და ან თვლემს, ან ჭვრიტა თვალების ბლეტვით მსუნაგად რომ გითვალთვალებს, როგორც ომით მონაპოვარ განძს, თვალებიც რომ დაითხარო, მაინც დაინახავ. მურთხებმა ისიც უნდა აკეთონ, რაც მათი თანამდებობის პატრონან შემსრულებელს დასჭირდებოდა, რასაც სამსახურის საქმე მოითხოვს და ისიც. ალბათ ორჯერ მეტი, რაც მათ ჯიბესა და „ოჯახს“ უნდა. ასე მართლა ქუჩაში კი არაფერი ჰყრია, ნამუსზე ხელის აღება გეყოს და აბოქო. ცხვარი თუ მოგაბარეს, ცხვარს მოითხოვენ და, ჩვენ რას

გავიგებთ, რამდენნაირ გველის ხვრელში უნდა გაძვრე, რომ გაკრიჭო და დუმა მოითალო. ჯოჯოხეთურ შრომას აიტანს ადამიანი თუ მის წკალებას დაჰფარებელი ჰყავს. მურთხებმა იციან, მათ „მოღვაწეობას“ ტაში ვერ დავუკრავთ, ამოდენა რისკი, თავგანწირვა და წელის წყვეტა უნდა მალონ და თუ კიდევ შერჩათ, ვინ მამაძაღლი ამოიღებს ხმასზოგჯერ აქლემის მომპარავს ნემსის ქურდობაზე წაასწრებენ და ბუმბულის მავიერ პეტონის იატაკზე მოუწევს წოლა. ამაზე გამწარებულები დაბარბებულები არიან და ასწრებენ. ასწრებენ ხავერდგადაკრულ რბილ დივნებზე კოტრიალა, ჭამა-სმას, ღვინოს, ქალს, ძღომას, თრობას, ხრჩობას, ყველაფერს რასაც ისინი ცხოვრების სიამტკბილობას ეძახიან. თითქოს ყოველი დღე უკანასკნელი იყოს და ყოველი ღამე გაუთენებელი. არანორმალური, არაადამიანურია მათი შრომა და დასვენება, მათი ლხინი და დროსტარება, მათი ლოგინი და ქალი...

ამიტომ იყო შენმა ფეხმძიმობამ ვერ მოგიტანა ის ბედნიერება, რაც ქალმა დედობის მოლოდინით უნდა განიცადოს. შენ განგაცვიფრა ამან და ალბარულის მაგიერ კიდევ ახალი გულისტკივილი გაგიჩინა“.

„მეგონა, რომ სრულფასოვანი ადამიანი არა ვარ!“

„ჰო. შენ ეს საკუთარი სიმახინჯე გეგონა, რაკი ჯერ სრულფასოვანი ქალი არ აღმოჩნდი და მერე დედობის მოლოდინიც, ერთადერთი შენი არსებობის მიზანი, ხელიდან გეცლებოდა. თითქოს შვილი ნახევარი იქნებოდა შენი და არა მთლიანად. თითქოს იმას, რაც შენს სხეულში ჩაისახა, შენი არ ეთქმოდა. თითქოს, რაც შენ უნდა გეშვა, სხვისთვის უნდა დაბადებულიყო. რაც უსიყვარულოდ შეიქმნა, უდედმამოდ უნდა გაჩენილიყო“.

„ეს საშინელებაა!“

„აქამდე ამას შენ თავსაც ვერ უმხელდი. იშორებდი, იგერიებდი, ებრძოდი იმაზე წამიერ ფიქრსაც, რომ მშობიარობის შემდეგაც შვილი მთლიანად შენი არ იქნებოდა და ამ ერთადერთ, მხოლოდ შენად „შობილს“ ვინმე შეგეზიარებოდა. მას, შენის გარდა, სხვისი ხელიც ექნებოდა, სხვისი ყური ან თმის ფერი გამოჰყვებოდა და რასაც შენ არ უცქერდი, იმას დაინახავდა. შენ შეგიპყრო სასოწარკვეთამ და შიშმა, რომ მოკვდებოდი, რომ ამ უზენაეს ბედნიერებას, დედობრივ ღვთაებრივ ამაღლებას ვერ მოესწრებოდი, რაკი ამის ღირსი არა ხარ, რაკი ეჭვი შეგეპარა წმიდათაწმიდაში და შებღალე. მკრეხელი ხარ, რაკი ხატი ტეხე და ანგელოზს ფრთა მოკვეთე...“

„მკვდარი მესიზმრებოდა ჩემი თავი, გულზე ანგელოზი მაჯდა,

ერთი ფრთა თეთრი ჰქონდა, მეორე ყორნისფერი და ცალ თვალს მიკორტნიდა. ანგელოზს ორბის თავი და ნისკარტი ჰქონდა...“

„აკივლებული იღვიძებდი და გეწყებოდა პირის ღებინება. ამის გამხელა არ შეგეძლო და ცუდ მიზეზიან ორსულობას აბრალებდი. მეორე დილით სამსახურში წასასვლელ ქმარს ძილი და მოსვენება აღარ ჰქონდა: რომ შენ გესიზმრებოდა „რაღაც“ ისეთი („ვიღაცა“ ამის თქმას ვერ ბედავდა), რაზეც არ ლაპარაკობდი, არ იყავი გულწრფელი, რასაც შენგან ელოდნენ და გათხოვების შემდეგ შეიცვალე. არ შეიყვარე ის, ვინც შენთვის ყველაფერი გაკეთა და ახლაც დღის და ღამეს აწყორებს, რომ „ადამიანურად“ გაცხოვროს. რომ უსიხარულოდ, აკანკალებული, შეშინებულიც კი, მოელი შვილის გაჩენას. ქმარი არ გიყვარს და, რასაც ოჯახისთვის აკეთებ, თითქოს იძულებით, დაქირავებული ქალივით, უგულოდ და უგულისყუროდ აკეთებ. ქმრის გამოჩენა არ გახარებს და თავის ნაშრომს ძაღლივით მიუგდებ, ლუკმას ამბალი, დედამთილს წარბშეკრული ხვდები, ნათესავ-მეგობარი არც შენი გინდა და არც მეუღლის. ქმარს სახეში არ უცქერი, დანახვაც კი არ გინდა და, თუ მაინც თვალში გებორკება, მის მილმა იხედები. თქვი რა გაკლია. რა ინატრე და არ აგისრულეს... რაკი ითქვა, ყველაფერი ითქვა: ბოლოს და ბოლოს, ძალით არაკის მოუტაცნიხარ... ცოტა ყოფილა, ერთმანეთისთვის ჭკუას არ კარგავდნენ. შეუღლებულან და ოჯახი შეუქმნიათ? შვილი აღუზრდიათ და მომავალი, დედამთილ-მამამთილისთვის პატივი უციათ. კუთხე სცოდნიათ და მეზობელი, ლხინში წარბგახსნილი მჯდარან და ჭირში — თმაგაშლილ“.

„მართლა, როგორ იყო? როგორ იქმნებოდა ოჯახები, როცა ჯვრისწერამდე ზოგჯერ ერთმანეთი არც კი ენახათ“.

„ჯერ ერთი, ჩვენში როდის იყო, რომ ქალი ასე იყო კარგამოკეტილი, მზის სხივი არ ენახა. ჭირში დედაკაცი იყო თავი და თავი ჭირისუფალი, ჩანდა მისი გულშოვნვა და მოყვასი. ხასიათი. ლხინი იყო და — შეხვედრა, სტუმართმოყვარეობა, ქალის ნახელაობა, სუფრაზე თავდაჭერა და ოჯახშვილობა უნდა ესახელებია. ეკლესია, წირვა-ლოცვა, რწმენა და ღვთისმოსაობა, დღესასწაული, ჯარიანობა და დღეობები... უქალოდ როდი ხდებოდა. მარტო ერთ ქართულ ცეკვაში გამოჩნდება ქალ-კაცის ვარგისიანობა, გუნება და სულიერ-ფიზიკური ჰარმონია. ყველა სიმღერაში მონაწილეობდა ქალი, ყველა თავყრილობის წევრი იყო, ხმისა და სიტყვის პატრონი. არც თვალახვეულსა და ბაწარზე გამობმულს ატანდნენ მას, ვინც მშობლებსა და ნა-

თესავებს მოესურვებოდა. ამას გარდა, არც მაჭანკლობა იყო ყოველთვის მარტო გამორჩენისა და თაუგაციებული დედაბრების ხუსტურზე და ლაქლაქზე. ბევრი ამისთვის მოწოდებულიც კი იყო და ათასიდან ერთს გამოარჩევდა, მეორე ათასიდან გამორჩეულისათვის. ასე, მართლა, ყვავს არწივს კი ვერავინ შერთავდა და მელას ლომს. „ტოლმა ტოლთან განისვენოსო“. ბოლოს და ბოლოს, ქალ-ვაჟი რომ დაინიშნებოდა, ქორწილამდე მთელი წელიწადი წინ იდო, მანამდე საიქო სამოყვროს ხშირი სტუმარი იყო, ერთმანეთს ეცნობოდნენ, უახლოვდებოდნენ. რამდენი ყოფილა, დანიშნულზე რომ უარი უთქვამთ ან შეუღლებულები გაყრილან. მაშინ ღმერთის რწმენა ჰქონდათ და რაც ბედმა არგუნათ, ღვთის წყალობად მიაჩნდათ და განგების ნაბოძვარზე მოკვდავს ხელისკვრა არა ეგებოდა. ორჯერ ჯვარს ვერ დაიწერდი, ღმერთს თავისი ნაწყალობევი რომ თვითონვე წაერთმია. სიკვდილ-სიცოცხლით ის შენი იყო და შენ მისი. შენი სული ზეციერს ებარა, მისიც და, თუ განსასჯელი იყო, ის განსჯიდა...

დღეს, როცა სულიც ჩვენია და ხორციც. გაჭირდა ღმერთისა და კაცის პატრონობა. სული რომ დავაპურეთ, ხორცი მოგვიშივდა, ხორცი გავაძღეთ და სული გაგვიპარტახდა.

შენ რომ ნოე ღვთის გაჩენილი გეგონოს, ასე გულს კი არ აგირევდა. ან გჯეროდეს, რომ ამდილანდელი ცოდვისთვის გამჩენი დასჯის, შურისძიებულზე შურისძიებას არ მოინდომებდი. ყველა დროს თავისი ავ-კარგი და თავისი საჭირბოროტო ჰქონდა და აქვს. დღევანდელი ადამიანის ბედი რთულია და თავ-ბოლო გაუსაგისი. თუ სული, რწმენა და ზნეობა არ გაბადია, ლეში ხარ, ცხოველი. გაქვს და, როგორი საპატრონოა ის, რაც ღმერთს ებარა. „არა იწამო ღმერთი ჩემსა გარეშეო...“ „არა იპაროო“, „არა იმრუშოო“, „არა ცილ წამოო“. სხვა და სხვისი ინდომო და მიიტაცო კი არა, „არა გული გიქმოდესო“... უამისოდ სულის ქონება მურთხის ყოლაა და ქე გყავს, ეგერაა, ალბათ, გულაღმა გაგორებული შენს ლოგინზე და მიდი და მიუწექი“.

„მანამდე იწვეს და არ ადგეს, მანამდე არაფერი ჭამოს მისმა კბილებმა, მანამდე...“

„აი აქ დაედო სათავე იმ ცოდვა-ბრალს, რაც მას აქეთაა ტრიალებს და ტრიალებს... მაგრამ ეს ღმერთი და მცნებები იმ დღიდან დაგვჭირდა, როცა ლეღვის ფოთოლსა და ვენახის ბარდს არ დავჯერდით, სხვისი ტყავის ძრობა დავიწყეთ და ბეწვით შემოსვა მოვინდომეთ...

ასე არაა, ქალბატონო ნუცა?“

„იქნებ ასე გულუბრყვილოდ არა, მაგრამ...“

„რატომ, სიბრძნე ჰგავს გულუბრყვილობას“.

„მაგრამ ვერც იმას უარვყოფთ, რომ კურდღელზე მონადირეს ავაზის დამჭერი გვერჩიოს“.

„მაგრამ ვერც იმას, ვეფხვის ტყავის ქურდს ის, ვინც სასირცხოს თავისი დარგული ლელვის ფოთლით იფარავს“.

„ნოე ხინიკაძეს მე ავაზის ტყავისთვის არ გავყოლივარ. ასეთი სულელიც არ ვიყავი“.

„მაგრამ მართლა ავაზის დამჭერი „ადამიც“ იცოდი ვინ იყო“.

„იმ „ადამს“ თავისი „ევაც“ ჰყავდა“.

„ევა ჰყავდა თუ ევას „ჰყავდა“?“

„ეგ სულ ერთია“.

„არაა, ნუცა, სულ ერთი... და ეგ სარეცელი, დღეს რომ შეგიბილწეს, გგონია... იმთავითვე არ იყო პატიოსანი. ყველაფერს მურთხებს ნუ დავამსხვრევთ თავზე. ისინი თავისი ცოდვებისთვისაც უძლურნი �...“

„როგორ, „ადამსა“ და „ევაში“ ვეძიო მიზეზი და დღევანდელზე თვალი დავხუჭო?!“

„კარგი, ბატონო, არაფერს ვიტყვი, მაგრამ მანდ — ქუჩაში საკახპოდ რომ იდგე, ვერც ამით შეცვლი უკვე ვერაფერს.

გაიქეცი, ესეც შენი ნებაა, ჩვენში ადამიანი თავისუფალია... მე კი არა, კანონი ვერ დაგსჯის, მაგრამ ქალაქის თაეში დადგები თუ შუაგულში, ქვეყნის დასაწყისში თუ დასასრულში, ამ ცოდვილი დედამიწის მიზიდულობას ვერსად გაექცევი“.

„კარგი, ახლა ავტობუსში ადი და გვერდით ისეთ ვინმეს დაუჯექი, თვალი შენზე დარჩეს და კაბის კუდში გამოგებას. მაგისთანა კაცი საზოგადოებრივი ტრანსპორტით არ დადის ან თუ დადის, იმდენად იშვიათად, არა მგონია შენ ამ ერთგზობის გაგიმართლოს. უკვე სამსახურები მთავრდება და მაგ ავტობუსებში და ტროლეიბუსებში ისე მოგჭყლეტენ... თუმცა ჰო, აქედან ჯერჯერობით ხალვათობაა, მაგრამ ერთი-ორი გაჩერება და... გარეუბნებიდან ქარხნებისა და ფაბრიკების მუშები მოაწყდებიან. ფანჯრისკენ მოასწარი დაჯდომა და აქეთ ბედი ვის მოგისვამს, მერე იმას თაეზე ვის დაასვამს, მაგისთვის თვით

მამაზეციერმაც რომ მოიცალოს, იმის მადლი გამიწყრეს, თუ რამეს გაიგოს.

ჩემო ნუცა, ცხოვრება ყოველდღე ისე რთულდება და გაუსაძლისი ხდება, ძნელია ერთბაშად დაადგინო, ამ დილით ვინ ვის უღალატა და უერთგულა. მთელი ცისმარე დღე, ვინ ვის სამარეს უთხრის და ვინ ვის ჯიბეში ხელს ყოფს.

კი... ყველამ თავისი თავისა უნდა იცოდეს. ბოროტს, ერთი შეხედვით, ვერც სხვა დროს ცნობდნენ და, ბოლოს და ბოლოს, ყველას რომ ცალ-ცალკე სდიო, გულში ვის რა უდევს და რა სატანას მოციქულობს, რას გააწყობ ან რას დაინახავ?

არც ისაა დღეს მთლად მართალი: „სხვამან სხვისი უკეთ იცის სასარგებლო საუბარიო". რა „სასარგებლო საუბარი" შეგიძლია, მაგალითად, ახლა შენ სხვისთვის? მეტ-ნაკლებად ყველა ასე ვართ.

კი, მართალია, ყველას შენსავით ამ დილით არ წაუსწრია ქმარი ღალატზე ან საყვარელი მაინცდამაინც ცოლის საწოლზე არ გაუშხლართავთ, მაგრამ თავის კაბინეტში რომ სასურველს ქვედაწელზე ხელი შეუსვამს, იგივე არაა?

რატომ არა, რა განსხვავებაა?

რესტორანში ან კინოში რომ ქვენა გრძნობებით დაპატიჟოს? გვონია ლოგინში ჩახვევასა და გაჩახჩაღებულ დარბაზში ქალის მოშიშვლებული მუხლების ენებიან ჭვრეტას შორის დიდი სხვაობაა? „არა გული გითქმოდესო", გვაფრთხილებდა ერთ დროს ღმერთი, რაკი, თუ „გული გითქმოდეს", ჩაჭვევა ბოლოს და ბოლოს, რაა ისეთი? ორი, ისედაც საცოდავი და განახევრებული არსება თუ შენივთდება, გამთლიანდება და რამდენიმე წუთით მაინც ეგონება თავი სრულქმნილი არსება? ენების ბანგი მოტრფიალეებს ერთი წუთით ყველაფერს ავიწყებს და თავი ბედნიერი ჰგონიათ. ამიტომაც ჰქვია, ალბათ ამ ენებათა თავაწყვეტილ თარეშს „ცხოვრება". ეგ, თუ მართალი გინდა, მანამდეა დანაშაული, სანამ არ „ცხოვრობ", ჭკუა გეკითხება და გული მაინც „ვითქმს", თორემ, როცა ამ ქვეყნის არაფერი გესმის, როცა სამყარო თქვენ ორით იწყება და მთავრდება... ორით კი არა, ერთით. ორი, მაგრამ ნახევარ-ნახევარი, ისინი უერთმანეთოდ იყვნენ, როცა შეერთდნენ და გამთლიანდნენ — ერთი, სრული, სრულქმნილი გახდნენ. ვაშინ რა ჭკუა მოეკითხებათ და, ვისაც ჭკუა არ მოეკითხება, იმას — არც ცოდვა და ბრალი.

შე საბრალო, ვაგ კაცი გვერდში ისე მოგჯდომია, სანამ ზედ არ

ჩოგასრისეს, ვერც გაგიგია და, დავიჯერო, ამისთანა ქალი ღალატისთვის გამოდგები?

მესმის, შენს მდგომარეობაში მყოფი ადამიანი ყოველ წვრილმანს თვალს ვერ მიატანს, მით უმეტეს ახლა, როცა შენთვის ასე ნაცნობი ქალაქიც კი გაუდაბურდა. მაგრამ, თუ ამწუთს შენთვის გარემო, ამინდი, ქუჩა, მოკეთე და ნაცნობი არ არსებობს, იმას ხომ უნდა ხედავდე, ვისთვისაც დაძრწი და დაწანწალობ გგონია.

შენ იცი შენი საქმისა, მაგრამ „არა შეჯდა მწყერი ხესაო...“

„სისულელეა!“

„სისულელე იყოს, თუ სისულელეა და, თუ ისეთი „მწყერი“ და „ჩიტი“ არა ხარ ბუდე შეგირყვნან, ფეხით გაგითელონ, მერე დაგიჭირონ და მწვადათაც შეგწვან.

ცხვარი ცხვარია, არავის უნახავს გაცხარებული ცხვარი და არავის გაუგონია მისგან შეჭმული მგელი, მაგრამ თუ შენ მაინც ის თხა ხარ, მგლის დაჭერას რომ აპირებს, მაშინ მაგ კაცი უნდა დაგენახა, გვერდში ქე გიზის და კალთაში უნდა ჩაგჯდომოდა?“

„თვითონ ყოფილა მოკრძალებული?“

„რაზე ეტყობა? მამაკაცის „იმნაირ“ გამოხედვას ქალი შანთივით იგრძნობს, არსებობს ძლიერი ენების „გამოსხივება“ თუ რა ჯანდაბა დაერქმევა და იმ „რაღაც გამოსხივების“ „მიმღები“, თუ „დამჭერი“...

„მუშა კაცია, ეტყობა თავისი საქმე და სადავიდარაბოც ჰყოფნის“.

„ჯერ მისკენ არც მიგიხედავს“.

„რკინის ზეთისა და რაღაც-რაღაც საპოხების სუნი უდის“.

„ზედ არაფერი აცხია და... კარგი, გულმოღეღილი კუბოკრული ხალათი აცვია და ჰალსტუხს ამ სიცხეში ჭკვიანი კაცი თავს რატომ გააგუდვინებს...“

„საპნის სუნში შერეული ზეთების სუნით ყარს?“

„მერე, ეს ღირსებაა თუ უღირსობა?..

შენ არ გინდა მშრომელი? პატიოსანი არაა შენი მსხვერპლი?

პატიოსანი რა, დავიჯერო, ქარხნიდან, თავისი ბიჭის ველოსიპედისთვის, ორ მოჭერაზე რომ ქანჩს ხრახნი მოეღეჭა, სანაცვლო არ წაუღია? აბა, მაღაზიაში ქანჩი არაა და, გადააგდოს ბავშვის ველოსიპედი?

ჰოდა, ქანჩის, ჭანჭიკისა და ავტომანქანის ქურდი — ორივე ქურდია, როგორც ნემსისა და აქლემის. ისე, როგორც ნოე იმ ქალს შენს

ლოგინზე გაშხვართავდა თუ კაბინეტში უკანალზე უპწკენდა — ერთი და იგივეა.

ესე იგი, ეს მუშაა, პატიოსანია და „ის“ ვერ დაინახე? ამბრის სუნი უნდა ადიოდეს, ავტობუსის ჯგლეთვას სათავისოდ იყენებდეს და უბეში გიყვრებოდეს? იმისთანა თახსირთან ინდომებდი ქმრის ღალატს და შურნაძეებს ამალამ დაგეძინებოდა ისევ ხინკაძის გვერდით?

ერთხელ ეძლევა ადამიანს სიცოცხლე და ყველაფერი უნდა გააკეთო იმისთვის, რომ შენი გუნებისად, რწმენისად, სამართლისად იცხოვრო, სხვანაირი ცხოვრება ცხოვრება არაა. სხვის სახლში მდგმურად სანამდე გაძლებ. სადაც ქირას, თვეში ერთხელ ხელის ჭუჭყით კი არა, ყოველდღე სხეულით იხდი, სისხლის საფასურად“.

...ღმერთო დიდებულო! როგორ თავ-ბოლო აუხსნელია ადამიანის სიცოცხლე. იქნებ ნატა უფრო ბედნიერია, ვინემ ნუცა და... და, საერთოდ, მკვდრები უფრო ადამიანურად „ცხოვრობენ“, ვინემ ცოცხლები, ამ ტანჯულ-წამებულ წუთისოფელს რომ არიან ჩაბღაუჭებული და ათასი და ათი ათასი ხრიკებით, ცბიერებით, ღალატითა და ვერაგობით მიათრევენ, როცა, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს მაინც ერთი დასასრული აქვს. არ ვუნდივართ ამ ქვეყანას, არ ვუნდივართ ყოფას და მაინც ისე ვეტორღიალებით, როგორც ხინველს არ უყვარდა ნატა და ნატას მაინც მზე და მთვარე ლაშაზე ამოდიოდა.

„ვინ იცის, რომ ეცოცხლა, საქმე როგორ შეტრიალდებოდა“.

„არასოდეს ინდომებდა ხინველი ნატას ცოლობას და მთელი გულით ვერ შეიყვარებდა ისე, როგორც შენ უყვარდი და უყვარხარ“.

„მე რა დავაშავე ასეთი და თუ ხინველი ისეთი ერთგულებისა და სასოების კაცია, ნატას ერთგულება და თავდადება აკლდა, როცა სიკვდილ-სიცოცხლით მასზე ლოცულობდა და პირველი დანახვისა და გაცნობის შემდეგ, სალოცავ ხატად ჰყავდა? რა ჯანდაბა უნდოდა ამაზე მეტი, ერთგულება და უღალატობა არ იყო ეს? იცოდა, არ უყვარდა და მისი დანახვა მაინც დღის ნათელს ერჩია. მაშინ რას დადიოდა, ვერ გადაიკარგა და გადაიხვეწა?“

„შენთვის მოდიოდა...“

„და ნატამ ეს იცოდა?“

„იცოდა, და მაინც...“

„თუნდაც ასე ყოფილიყო... ამაზე დიდი შეწირვა და მსხვერპლის

გაღება იქნება? ხედავდე, მას სხვაზე რჩებოდეს თვალი და მისთვის მაინც ჭკუას ჰკარგავდე?"

„არაა ეს შეწირვა..."

„როგორ, ასე განუკითხავად გიყვარდეს ადამიანი და იგი, თუ ეს მართალია, მაინც შენს დაქალს ეტრფოდეს?! როცა იცის, მეგობარი ამის მოწადინეც რომ იყოს, ასე ახლობელ ადამიანს ვერ გასწირავს, შენს თავს ვერ წაართმევს და ვერასოდეს შენი ვერ გახდება?"

„ეს ანგარიშია".

„როგორ აბა, ანუ ბრმად და განუკითხავად? მართლადა, ადამიანები არა ვართ?"

„ადამიანები რომ ვართ, იმიტომ".

„ადამიანები ვართ და ამიტომ შევიყვაროთ მეგობრის საყვარელი კაცები, ან კაცებმა — ძმაკაცების ცოლები?!."

„პირიქით, მეგობრის ცოლი დად უნდა მივაჩნდეს და დაქალის ქმარი — ძმად. ვერც კი უნდა დავინახოთ მათში ქალი და კაცი და თუ ვინმეა ასეთი, უპირველესად ხინველი, ამიტომაც იყო, რომ გიყვარდა და გიყვარს იგი".

„მიყვარს?!"

„ჩვენ შევთანხმდით..."

„კარგი, კარგი. ნატას რომ უყვარდა და მას თვალი ჩემზე ეჭირა?"

„ხინველს არ უყვარდა ნატა".

„ღმერთო, რატომ არ გებრალები! რამდენჯერ უნდა ვიმეორო ერთი და იგივე?!."

„ახლა ეს-აა შენი ყოფნა-არყოფნა, ეს უნდა იმეორო და იტეხო თავი. აბა, აგერ, ქუჩაზე რომ ასფალტია ამოცვენილი და ორმოში ბანქანის საბურავები ცვივა, ძარას ხომ არ მოანჯღრევსო, ამაზე შუბლს ვერ გაიცხელებ".

„რა ნაბა ჩემში ისეთი, რაც ნატაში არ იყო?"

„ის მთავარი და ჭეშმარიტი, რისთვისაც მას ქალი იდეალად მიაჩნდა და მიაჩნია".

„რა ჯანდაბა იყო ეს!"

„ის, რაც ნატას არ გააჩნდა, რაც ბევრს არ გააჩნია".

„ბევრს არ ვიცი და, ნატას?.."

„არც ნატას... ნათელი ადადგა, ღმერთმა გვაპატიოს, მკვდარზე ძვირს არ ლაპარაკობენ... ბიგრამ ნატა წარმოიდგინოთ შენა ადგილზე".

„ნეტავი მე ვიწვე მის მაგიერ მიწაში და ის... თუმცა, ჩემს ადგილზე და ჩემს ბედში ყოფნას, საცაა ის ერჩიოს“.

„არა, სიკვდილამდე... უფრო ადრე, თავიდან...“

„რა ჰქნა ასეთი ნატამ თავიდან, უყვარდა მართლაც ღირსეული კაცი, დაიქცა ქვეყანა?“

„კვალს ხუ ბლი და სიმართლეზე თვალებს ნუ ხუჭავ. შენ რომ ხინველს ან ვინც არ უნდა იყოს, ადრე შეხვედროდი, მოგწონებოდა, შეგყვარებოდა და... საერთოდ, როგორც მოხდა, მომხდარიყო, მერე მას, თქვენთან შეხვედრების დროს შენ კი არა, ნატა შეყვარებოდა, ნატასაც ასევე...“

„ძე არ შემიყვარებია ხინველი...“

„ვაჩუმდი! ერთმანეთისთვის ჭკუა დაეკარგათ, ის იზამდა იმას, რომ შენ დაგეჩემებია: არა მე მიყვარს და შენ არ უთანაგრძნოო? რა უფლება გექნებოდა შენ, მაინცდამაინც მე მიყვარს და მას ეკრძალება შენი სიყვარული — ან შენ მისიო?

„არ ვიცი რას ვიზამდი“.

„იცი. შენ რაც ჰქენი, იმას იზამდი“.

„რა ექენი“.

„საყვარელ ადამიანზე თქვი უარი, რომელიც ნატაზე ნაკლებ არ გიყვარდა. და მასაც უყვარდი“.

„მე ნატასავით?!“.

„ვაჩუმდი! საყვარელ ადამიანზე თქვი უარი, როცა მასაც უყვარდი. ნატას არც უფიქრია დათმობა, როცა ის კაცი მისი არ იყო. შენ შენსაზე თქვი უარი, მან კი შენი რომ შენთვის მოეცა, ის ვერ შეძლო. აი, რა იყო თავი და თავი, რისთვისაც შენ უყვარდი და უყვარხარ ხინველს და არ შეეძლო ნატას სიყვარული“.

„აღარ შემიძლია! ალბათ, ქუჩაში დავვარდები და შანქანა გამიტანს... მადლია, დავისვენებ მაინც...“

„მაგრამ იმას რას ემართლები, ვინც გაგიტანს... თვალი კარგად გაახილე და, როცა სიკეთის გზას ადგები გგონია, მისი ავ-კარგიც უნდა იცოდე, ბრმა სიკეთეს და კეთილშობილებას ზოგჯერ ბოროტებაზე არანაკლები უბედურება მოსდევს“.

„კამოდის, რომ ცალმხრივი სიყვარული არ არსებობს? რატომ ამბობენ: ორთაგან ერთს უყვარს და მეორე მხოლოდ სიყვარულის ნებას აძლევსო. არც ესაა მართალი?“

„ალბათ ყველაფერი მართალია“.

„ესე იგი, არსებობს?“

„შენ ბუნებით მებრძოლი არა ხარ, ალბათ, არც ხინველია მებრძოლი. იქნებ ეს ჩვენი დროის ადამიანების დამახასიათებელი სენია, რაკი ამხედრებული ბევრი გვინახავს და გამარჯვებული ცოტა, თუ ნამდვილი მეომარი ოდნავ შეიწირა. თუ ამ ურთულეს ისტორიულ ქარტეხილებში, რწმენების რღვევისა და გადაფასების, დღეს ერთის ძლივს პოვნისა და ხვალ გაუფასურების. უღმერთობისა და უხატობის ანელებედობისას საკუთარი თავისა და მრწამსის ძებნას გადავუყვეთ და საკუთარ ომს მოვუნდით.

დღევანდელი სიმართლე და პატიოსნება რთულია. თუმცა ცხოვრება, საუბედუროდ, არასოდეს არაა ელემენტარული, მარტივი და — ორჯერ ორი ოთხია; თუმცა ამ მყარ საფუძველს კი უნდა ეყრდნობოდეს. სიკეთე, სიყვარული და ერთგულება ვერ იქნება ვულუბრყვილო და ამ რთულ ხელჩართულ ბრძოლაში გამარჯვებული, როცა მას ბოროტთან, სიძულვილთან და ორგულობასთან აქვს საქმე. სიკეთე, როგორი შეუვალი ჭეშმარიტებითაც არ უნდა შეიმოსოს, მაინც კარგად გალესილი მახვილი სჭირდება, რომ გველეშაპი განგმიროს. არც შენ უყვარდი ხინველს მხოლოდ იმიტომ, რომ ქალი იყავი და არც შენ გიყვარდა ის იმიტომ, რომ მამაკაცია. ნატა უკეთესი ქალი იყო და, ბოლოს და ბოლოს, ხინველზე უარესებიც დადიან ამ, ათას საუკუნოვანი ცოდვებით დამძიმებულ, დედამიწაზე. იქნებ არც ნატა იყო შენთხვევით თქვენს შორის, როგორც, საერთოდ, არაფერია ამქვეყნად შემთხვევითი“.

„ნატა ჩვენს შორის არ იყო?“

„თქვენს შორის, არა მარტო იმ გაგებით, რომ გეცილებოდა ხინველის თავს. ნატა და ნოე თქვენს შორის იყვნენ და არიან. იმ ვიწრო სამყაროში, სადაც თქვენ ცალ-ცალკე ცხოვრობდით, ერთმანეთისათვის იყავით, როგორც ერთმანეთის შიფრი, როგორც უცნობიანი განტოლების მნიშვნელობა — ერთით მეორის ამოხსნის საშუალება. ცალ-ცალკე თქვენ თქვენთვისაც გაუგებარი დარჩებოდით. ერთმანეთით შეიცანით საკუთარი პიროვნება და რომ ეს არა, ისევე გაუცხოებული და გაუცნობიერებელი იქნებოდით საკუთარი თავისათვის, როგორც ერთმანეთისათვის.

შენი ერთგულების ნაკი რომ დაინახო, ვინმეს უნდა დასჭირდეს ეს ერთგულება. ვინმეს უნდა ეღალატო, რომ ჰოღალატედ იქცე... და

თქვენი ღირსება-უღირსობა, ერთგულება-გატანა, შური თუ მიმტა-ცებლური ხასიათი-ბუნება... სიგრძე-სიგანით, სიღრმით, მომხიბვლელობით, სისათუთითა და თავკერძოობით საშკარაოზე გამოგქონდათ. თქვენ ერთმანეთისთვის სარკე იყავით და ავლენდით ვინ რა ცხვირპირის, გულისა და გუნების პატრონი იყავით, რა გერქვათ, რა გვარისანი იყავით და ვინ — გულში ჩასახუტებელი, ვინ — წყალს გასატანებელი. შენ რა გეცოდინებოდა, რომ ამოდენა ერთგულება შეგეძლო და სიცოცხლის საფასური მსხვერპლის გაღება თუ ნატა, ლაშა და ნოე არ იქნებოდნენ. თუ სალაროს არავინ გახსნის, რა მნიშვნელობა აქვს შიგ რა განძი ინახება. შეიძლებოდა შენს ცხოვრებას ისე ჩაევლო, შენც არ ჩაგეხედა საკუთარ, ოქროთი სავსე, ზანდუკში. და შენ შეგიყვარეს, როგორც „უმდიდრესი" ქალი, მაგრამ რისთვისაც უყვარდი, იგივე უპირატესობა იყო შენი დამღუპველი და დამრბევი. ის სიმდიდრე გაღარიბებდა და განძის პატრონს სანეხველიზე გაგდებდა. რაც ნათელს გფენდა, თვალებს იგივე გთხრიდა, რაც გამაღლებდა — ის გაგაწორებდა მიწასთან და ესენი უერთმანეთოდ არ არსებობდნენ. რამაც შენს წიაღში ჩაფლული თვალმარგალიტი გაპოვნინა, რამაც აგამაღლა და აღგაზევა, იმანვე გაგძარცვა და ვაგლახაკად. არ შეიძლებოდა ერთი ყოფილიყო მეორეს გარეშე. შენ ამ ორ ცეცხლს შუა იშვი არა მარტო მათთვის, შენთვისაც. შეიცანი თავი ისევე, როგორც მათ შეგიცნეს. ხინველი თვალებს არ უჯერებდა, რომ შენ მეგობრისთვის უარს ამბობდი პირველ და განუმეორებელ სიყვარულზე, ბედნიერებაზე, მომავალზე, სიცოცხლეზე, არსებობაზე. ლაშასთან ერთად ნატაც გხედავდა, მანაც მაშინვე აღმოაჩინა შენში მეგობრის გატანისა და ერთგულების უზადო ნიჭი და იცოდა, შეეძლო ესარგებლა... ჩამოეშორებინე გზიდან, მაგრამ ამითვე გაჯაჭვავდა მას — ვისთანაც შენი მიახლოებისა ეშინოდა. ეს იყო ჯოჯოხეთის ცეცხლთან თამაში, რომლიდანაც რომელიმეს გასვლა ყველას დაგღუპავდათ. შენ რომ მეგობარი არ დაგენდო, კარგავდი იმას, რითაც ხინველი შენი იყო. შენ იღებდი მსხვერპლს მეგობრისთვის და არა მეგობარი შენთვის. შენგან მოითხოვდნენ თავგანწირვას, ეწირებოდი და ამისათვის გალმერთებდნენ. მაგრამ, თუ სამსხვერპლო არ გექნებოდა ან მლოცველი არ გეყოლებოდა? უჯარო სარდლის სამხედრო ნიჭზე არავინ ლაპარაკობს.

ნატა თავისთვის ცდილობდა და შენთვის აკეთებდა.

ისიც თუ მსხვერპლს გაიღებდა, სასწორი საით გადაიხრებოდა, საკითხავია.

და თუ ამ საქმეს ძირის კიდემდე, გულის გულამდე ჩავუღრმავდებით, შენ ისევე იყავი ნატას მსხვერპლი, როგორც ის შენი. იგი ლაშას იმდენად გართმევდა, რამდენადაც შენს საკუთრებად ხდიდა. და თვით ის, თქვენი, სამივეს ხელის შესახოცი, საცოდავი არსება — ხინიკაძე, ვითომ თავისი რომ გაიტანა და დაგინარჩუნა, საბოლოოდ დაგკარგა და ხინველის სახლში ჩაგასახლა. შენ ნატამ და ნოემ გაგქედეს ხინველის ოქროს ხატად და ორივენი სამარადჟამოდ დავალებულნი ხართ თქვენი ოქრომჭედლებისაგან. არ შეიძლებოდა შენ გცოდნოდა ვინ იყავი და, მით უმეტეს, ხინველს. შენ თუ იყავი — სათუნე თიხა, იყავი და ისინი რომ არა, შეიძლება ისევ თიხად დარჩენილიყავი. ოედორე მღვდელს თუ არ დაეჭერდნენ მტრები და მისგან არ მოითხოვდნენ სამშობლოს ღალატს, თედორეს ბევრიც რომ ეძახა, ქვეყნის ერთგული კარო, როგორც სხვა მღვდლებისა ალბ ვიცით რა, არც მისი გამორჩეული თავგანწირვისა გვეცოდინებოდა. რა თქმა უნდა, მტერი თავისთვის ილვწოდა, მაგრამ ჩვენთვის მეტი გაეკეთა, ვინემ თავისთვის. ნატამაც და ნოემაც შენთვის მეტი გააკეთეს, ვინემ თავიანთთვის. ერთი ხინველს თავს გტაცებდა და მეორე შენს თავს ხინველს, მაგრამ ორივეს სწორედ ამ ცილობით — დასაკუთრების მტაცებლური წადილით ეცლებოდით ხელიდან.

ისე ბევრი ეცადნენ თავისთვის, ყველაფერი აკეთეს თქვენთვის".

„წვიმს?"

„იწვიმოს, ან შენთვის როდის არ წვიმს. შენ [illegible] დარი არ იცი მას აქეთ, რაც ხინველს იცნობ.

ცოდვა გამხელილი ჯობია, ხინიკაძემ, მართალია, „დაგისაკუთრა", მაგრამ მაინც თქვენი „ერთგული" [illegible] დარჩა. ყოველდღე „ფერავდა" შენთვის გაჭედილ ხინველის ხატს, ეკონა თვალს გაჩელდა და შენი „არჩევანის" სისწორეში გარწმუნებდა. რომ ძნელია ნოეს საქმე და ცხოვრებაც რთული, თანამედროვე [illegible] ბნელ ხვრელებსა და ლაბირინთებში [illegible] რომ ხაფანგს მისატყუარი — დუმა ისე ააცალო. შიგ არ [illegible] კარგი და ცუდი სპეციალისტი ერთნაირად ფასობს, თუ „[illegible]" [illegible] თავი თვითონ არ იპოვა. ამა თუ იმ დაწესებულებაში ეკონომისტის შტატის ხელფასი განსაზღვრულია და არსებ[illegible] ცუდს — ნაკლები და კარგს — მეტი. ალბათ. რამდენიც [illegible], იმდენი ნიჭია, იმდენი ბევრის მცოდნე და არმცოდნე. [illegible] ეკარიანი, სუსტი, თავცარიელი და ისეთიც კი, ორჯერ [illegible] ალბ[illegible] არ ეაუგია.

ყველა კი ერთი ჯობით იდეხება. ხიბიკაძეძ თუ სხვა ბევრი არაფერი, ანგარიში იცის და მისი ბრალია?.. ხმამაღლა არ უთქვამს: ხინველის სიბრიყვეს, უნიათობასა და არსებობაზე გულაყრილობას რომ თავი დააღწიე, ჭკუა იხმარეო, როცა ასეთ ადგილზე, აგურით ნაშენი მესამე სართულის მრავალოთახიანი, მაღალჭერიანი ნოეს ბინა ვირჩიე და არა სადღაც... სადღაც მაღალი შენობის კენწეროში, ყვავის ბუდესავით გარჩენილ ცემენტის სოროში თავი არ ამოჰყავიო (არადა, იქ კი ცხოვრობდი). ეს უბედური, თანდათან ისე მიდიოდა ხელიდან, ხორაგით, ჭინჭებითა და ხარახურით იტენიდა მუცელსა და ბუნაგს. ივ სიბრალულსაც გისპობდა, რასაც ადამიანში უმწეო, თვითმყოფილი არარაობანი იწვევენ.

„ეს დღევანდელი დილაც...“

„დღევანდელი დღე!..“

„რატომ? რატომ არ გინდა ვითომ დღევანდელის გახსენება, თუ სინამდვილეში ამას ელოდი და ამაზე ოცნებობდი?“

„ქმრის ღალატს მოველოდი და ეს მინდოდა?!.“

„შენ ხომ ყოველდღე ღალატობდი. გინდოდა...“

„მე — ნუცა ალავიძის ქალი — მოღალატე?!“

„არაა ღალატი ის, რომ ხინიკაძის სახლში გეძინა და ხინველის სახლში გელვიძა?

დაფიქრდი, კარგად დაფიქრდი, ღრმად ჩაიხედე გულში და გაიგებ... ჰო, ასე ალიანცებულ ქუჩაში ადამიანისათვის ძნელია, მაგრამ შაქვე, წიგნების მაღაზიაში შეუხვიე, იქ ხალხი მაინცდამაინც თავს არ ატეხს ან მაგასაც გასცდი, იმ ვეება სასახლის თაღებქვეშ გაძვერი, იქ ეზოში პატარა სკვერივითაა, თითო-ოროლა ლოთი თუ თავისთვის ძელსკამზე ყვინთავს, ზედაც არ შემოგხედავს, არც იმათ ეცლებათ შენთვის, ვინც საბაგირო გზის სადგურისაკენ მიიჩქარის... თვით იმ საბაგირო გზას რომ აჰყვე და მაღლა, მთის წვერზე სული მოითქვა?

სულის მოთქმა არ გინდა, მაგრამ ფიქრი გინდა, თავის მტვრევა, ჭკუის ჭყლეტა... დღეს ჩვენ გვღუპავს ის, რომ არ გვცალია და, ან არ ვფიქრობთ, ან იმდენად ზერელედ ვფიქრობთ, ჭეშმარიტების წვდომის უნარი დაკარგეთ.

არ გინდა, არაფერი აღარ გინდა. დაიღალე, დაიქანცე, გაგიწყალდა ჭკუაც, გონებაც, ვულიცა და სულიც. დაიცალე, დაიწრიტე, გაგიშრა და გაგიხმა. ყველაფერი, რაც კარგი გეგონა, პირუკუ აღმოჩნდა. რამდენი სიმართლე-სინათლეს მიუახლოვდი, იმდენად მუქი

ჩრდილი გაიჩინე. ადამიანს, მოყვასსა და სიყვარულს უერთგულე გეგონა და მოღალატე გამოდექი. რამდენი შეწირე — იმდენი შეიწირე. რაც დაკარგე — იმდენივე იპოვე და რაც გაღატაკდი — განძის პატრონი გახდი...

და ვერაფერი გაიგე. ვერაფერს ეწიე. რაც ქვეყანას ეგონა გქონდა, იმასთან არაფერი გაახლოებს და სადაც შენს სიცოცხლეში ფეხი არ დაგიდგამს, იმის ბატონ-პატრონი ხარ".

ნუთუ ასე უბედური და ტანჯული იყო ყველა, თავისის მოწადინე, სიმართლის გზაზე მავალი? ნუთუ ასე ქუჩა-ქუჩა უნდა იწანწალოს, ვისაც სხვის სახლში არ გაეძლება და თავის კედელ-ყურეს ეძებს?

„თვალში გამოიხედეთ, ბაბა, თვალში! — გმოძღვრავდა მურთხი, ვითომ შენ — მის ცოლს კი არა, შენ თვალხილულიც იყავი და გონებაგახსნილიც. რაკი ნოესთან დაიდე ბინა. ვინც შენსავით არ მოიქცა, იმათ „ანათლებდა" — დათვი რომ მოგერიოთ, ბაბა დაუძახეთო... დათვი დათვია და ჰე, აიღე და შეები. დათვი იმას კი არ იტყვის მოვკალიო, შემომაკლა თავიო და აქეთ დაგადანაშაულებს. მაგი არ ვიცი მე?.. უარესს გეტყვით თუ ვულით გინდათ: ამიღეს, რომ დავამთავრე და გამანაწილეს, იმისთანა ადგილზე მიკრეს თავი... ვაი, შენ, ჩემო ერთადერთო ნოე ხინიკაძე-თქო! ვის უნდა იმ გაპარტახებულ რაიონში ჩემი ეკონომისტობა, ბუღალტრები შიმშილით სულს ღაფავენ და თაგვებს ითელიან. ხელფასი ხელფასს არ ჰგავს და პრემიასა და ჯილდოს ვინ მოვაქვავებს. დათვი იყო გამანაწილებელი კომისია და ბაბა ვუთხარი. ება. მეყვირა: დამზადების ან გემო-კვების მთავარ ეკონომისტად გამიშვით-მეთქი? სიცილით მოკვდა, ამას წინათ, ნიკო შავდია: ეს დიპლომები და სიგელები კაბინეტში რად გინდა, კედლები რომ შეგიჩითიაო... „შეგიჩითიაო" — ასე მითხრა, ამას რა ვუთხარი მე. — თვალს ვის უბრმავებო?! — არა, ბაბა, ასე საქმე არ გამოვა. — თვალს კი არ ვუბსებ. თვალს ვახარებ-მეთქი. ის დიპლომი და სიგელია, ბაბა, რომ მაჩენს ქვეყანაში, ება, ახლა, საანგარიშოს ჩხაკენი კიდეც რომ არ ვიცოდე, ელექტროგამომთვლელი მანქანებია, რამდენიც გინდა და რანაირიც. თითის დაღერება უნდა და ანგარიში გამოიმასქნებულია... მმართველი მყავდა, მე, ერთი „ადათანგოკიჩი", იმისთანა გამოსუქინსინებული, ნურას უკაცრავად. ვერ მოგართვეს. და ისაო, ჰო, კაცო, ისაო: შენი ეს პრემიების, დიპლომებისა და ქა-

ღალდებს ამბავი... ვიცი, რატომ და რისთვისო... მაგით მე თვალებს ვერ ამიხვევო. ვითომ ჩამავლო. მე რა ვუთხარი, თქვენ რა გგონიათ... ავიღე და თავი შევაკალი? „ბაბა“ ვუთხარი: — კი ბატონო, თუ არ გინდათ, როგორი ჩაოხრებულიც გაქვთ საქმე, ისე იყოს-მეთქი. ამასობაში მე უკეთეს ადგილზე მქონდა „ბაბა“ ნათქვამი, იქ გადავკვარახტინდი და ის ექვს თვეში დადვეს ქონიან ნიჩაბზე. რა, არ იყო ღირსი? კაის შეტს რას ვუშვებოდი, თვარა კი. ის კი არადა, ახლა ჩემი მადლობელიცაა, სანამდე ვიყავი, არ მცოდნია, შენით ვყოფილვარო. ეკონომიკა როა თავი და თავი, მაგი მე მეკიგონე თუ? ეკონომიკა იყოს, ეგრეთწოდებული, ჩაწიკწიკებული, გეგმა და პლანი, საქმე და... ხმის გამღები ვინაა, თვარა კი. რევიზიაც ბაბაა და ბაბა უნდა უძახო, მე რომ მე ვარ, იმას ვამბობ, არაა და მაინც უძახე-თქი თუ? თეთრზე ვამბობ შავიაო და შავზე — თეთრიო თუ? მარა, თვალში თუ არ გამოიხედეთ და ახლა, ისე მოინდომეთ... მასე საფაა. მასე საფაა, თვარა შენ პირს შაქარი...“

„თუ არ დაჯექი და არ დაფიქრდი, ასე ვაქცეული თვალის ცეცებით დანახული მურთხები არც სტყუიან. შენ რომ მის ავლა-დიდებას ამრეზილი... ამრეზილი კი არა, ზიზღით უცქეროდი (თუმცა როდის უცქეროდი, დანახვაც კი არ გინდოდა) რას ამბობდა? ეს სახლი და კარი მე არ დამიგეგმიაო. — მართალი იყო ის კაცი, ნოე რომელი მხაზველი და მხატვარი გყავდა არ იცი? — არც მე ამიშენებიაო — არც ესაა ტყუილი. ლურსმანი თავით ეჭედება თუ წვერით, იცის? — არც აშენებულ-დამშვენებული ჯიბეში არ ჩამიდევს. აგერაა მშვენიერ გამოჩინებულ ადგილას გამოკვეთილიო“. — აქაც არა გაქვს ხმა ამოსაღები, ბარე შვიდი სართულია მშვენიერ გადმოსახედზე წამოდგმული. თვალნათლივ უცქერის მტერიცა და მოყვარეც. ქურდიცა და პატიოსანიც, კანონის დამრღვევიცა და სასწორ-სამართლის დამდგენიც. და რაც შიგ უწყვია, ნოემ წინა კარიდან გამოიტანა თუ უკანიდან, მალაზიიდან წამოიღო. არაა ხინიკაძე სხვაზე უკეთესი. უარესია, მაგრამ ამ ავეჯს ეწერა რჩეულთათვისო? და ვინაა ჩვენში რჩეული და ვინ ნარჩევალა? ახლა გვეკითხება ნოე: რა გინდათ ჩემგან, რას მემართლებითო?

აი, ვინაა თავისი სახლის პატრონი და ვინ მდგმური და ხიზანი. მასთან შენი ყოფნა ორგულობა და ყოველდღე ღალატი არ იყო? მასთან გატეხილი პური და გაყოფილი ლუკმა მეძავის მრუშობით ნაშოვნი არ იყო?

და ეს ქეჩა, აგერ მთელი დღეა რომ მშიერ-მწყურვალი დაძრწი, შენი სახლი არაა და დღეს უფრო მაძღარი არა ხარ?

გიკვირს, რომ გეუბნებიან, ყოველდღე ღალატობდი და რა მოხდა, ერთხელ იმანაც შეცოდაო.

როცა სხვის თვალში ბეწვს ვეძებთ, საკუთარში მორი მაინც უნდა დავინახოთ!

მგლის თავზე სახარება მგელმა კი არ უნდა იკითხოს!"

„შენ ისეთივე დამნაშავე ხარ ხინკაძესთან, როგორც ნატა ხინ-ველთან".

„რა შუაშია?!."

„შენ ისევე სცოდე, როგორც ნატამ".

„მე... მე, ჯანდაბას ჩემი თავი, მაგრამ ნატას ხომ... ცხრა ხატზე შემიძლია დავიფიცო, რაც ლაშა გაიცნო, მისთვის იცოცხლა და მის-თვის მოკვდა".

„არ უნდა ამას ფიცი და მტკიცი. ეს შენ, მათ შუაგულში რომ იყავი კი არა, გარეშეებმაც იცოდნენ. ზოგჯერ როგორ უხერხულობა-ში აგდებდა ხინკელს, რომ ნატა არ ჰფარავდა..."

„მაგრამ არასოდეს უსაყვედურია..."

„ხინკელის მომტევებლობა ყოვლის მომტევებლობა კი არ იყო".

„არ მახსოვს... თითქოს რაიმე ყოფილიყო ისეთი... ან, ცოდვა ისეთი ბნელითაა მოცული, მის კიდე-კუნჭულს ჩემი თვალი ვერ წვდება. ის თუ ხედავდა, რატომ..."

„მოსატევებელის მოტევება შეეძლო, როგორც კაცურკაცს, მაგრამ მღვდელი კი არ იყო, ოღონდ აღსარება გეთქვა და ღვთის სახელით ყველაფერი შეენდო".

„რაღა არ შეუნდო! ბოლოს და ბოლოს, ლოგინშიც დაუწვა..."

„ნუ ეჭვიანობ!.. ცოცხალს, თუ მაინცდამაინც... მაგრამ მკვდარს მაინც ეცი პატივი.."

„მიწა ჩემ ენას!.. მაგრამ რა არ შეუნდო".

„არ შეუნდო, რომ მან ასე ცალმხრივად და ასე განუკითხავად შეიყვარა".

„განუკითხავი, უსაზღვრო და ერთგული სიყვარულიც კი შენდო-ბას საჭიროებს?"

„ისე, როგორც სიძულვილი, მტრობა და ღალატი".

„სიყვარულიც... უანგარო სიყვარულიც დანაშაულია?“

„ცალმხრივი, უანგარო არაა“.

„როგორ? მიყვარს, შე უღმერთო, ხომ არ მძულს, ქვეყანას მირჩევნია, თავს მირჩევნია...“

„და არ კითხულობ, გაქვს ამის უფლება თუ არა?“

„სიყვარულის უფლებაც მოვითხოვო? მტრობისა და ბოროტების უფლებას არავინ ითხოვს?“

„ბრიყვი, პათოლოგი და სულელი არა, მაგრამ თუ სიყვარული სრულყოფილია...“

„ნატას სიყვარულს თუ სრულყოფილება და რაიმე აკლდა!..“

„როგორ არ აკლდა, მთელი ნახევარი აკლდა — ხინველი“.

„ხინველს თვალი ჰქონდა დავსებული და... თუ ამის მიზეზი მე ვიყავი, კიდევ -უარესი...“

„ხინველი თვალხილული რომ იყო და გონებანათელი, ამიტომ არ შეეძლო ნატა დაენახა; თუ მის არემარეზე ვინმე იყო დასანახი, იქვე იყავი შენ“.

„ალბათ, შევიშალე!.. ან რაღაც ისეთია, რასაც ვერასოდეს ჩავწვდები“.

„რაა აქ ასე რთული და ჩაუწვდომელი?“

თბილისის ზღვა.

„რა ზღვაა, მაგრამ რაც ჰქვია, ის უნდა დავუძახოთ. ვინ იყო იმ დღეს, რომ ატყდა და წაგრეკათ“.

„ნატა“.

„ნატა იყო. არც შენ, არც ხინველს და, თუ ნოე სათვალავში ჩასაგდებია, არც ერთს არ გინდოდათ“.

„არა, მაგრამ ეს ქალური ჭირვეულობის ამბავია... და თუნდაც სისუსტე თუ ათასი წვრილმანი...“

„გულახდილად ვთქვათ, რომ არ გინდოდა ხინველის წინ გაშიშვლებულიყავი, როცა ეს სახარბიელოს არაფერს გპირდებოდა, რაკი ნატა მხოლოდ ამისთვის ილტვოდა, მისი ტანადობა შენსას დაჩრდილავდა“.

„ღმერთი და რჯული, თავიდან ეს- არ მიფიქრია... მე ლაშას წინ გაშიშვლება არ შემეძლო, ისიც იმ ტალახიანი გუბურის ნაპირზე. მარ-

თლა ზღვა რომ ყოფილიყო, სადაც, ალბათ, გელდახურული კაბით გაველა უფრო სირცხვილია, ვინემ სიტიტვლე...“

„კარგი, თავიდან რა იფიქრე, არ გვინდა. არც ის, გზაში რომ ინცინდენტი მოხდა. ტაქსის შოფერმა, ასე დაწყვილებულები რომ დაგინახათ და, ერთი სამად თქვენი დაცეცხვლა მოინდომა, ლაშა გაანაწყენა, თორემ ნოე ხინიკაძე ფულს ჯიბეში უტენიდა.

რომ მიხვედით და ნატა კაბიდან ისე ამოსრიალდა, როგორც მშვენიერი ჭრელი გველი შარშანდელი პერანგიდან...“

„ნატა და გველი?!.“

„არაა ეს შედარებისთვის საჩოთირო, პირიქით, თუ საქმე სილამაზეს ეხება...“

„აბა, ჩაცმულ-დახურული ხომ არ იბანავებდა?!.

„ჰო, იბანავა თუ იცურავა, რაც იყო... არც ესაა მთავარი. მურთხიც მაშინვე გადაეშვა, მაგრამ საით გატოპა, არავის დაგინახავთ. ლაშამ ისევე თქვა უარი ბანაობაზე, როგორც შენ. შენ გგონია, ეს მარტო შენი თანაგრძნობისთვის გააკეთა? ნოესთვისაც. სად ლაშას აღნაგობა და სად ნოე ხინიკაძე“.

„ამით მურთხს რა მიემატებოდა ან რა დააკლდებოდა?“

„არაფერი, მაგრამ იყო ამაში ხინველისათვის მაინც საჩოთირო: იმითი თავს ვერ მოიწონებ, რაც შენ არ შეგიქმნია. ხინველი ყოველთვის ცდილობდა მისი სასიამოვნო გარეგნობის მიჩქმალვას. აბა გაიხსენე, თუ მკერდს ჩაიხსნიდა, ან, მკლავებს რომ იღლიებამდე დაიკოტავებენ, თუ ისეთი რამ გახსოვს. უკაცრაული პასუხია, თუ ისეთი გამოკვართული შარვალი სცმია... ან მის ფეხსაცმელს თუ საპოხი ღირსებია. ამით იყო ის (თუ კაცისთვის უხერხული არაა) ლამაზი და არა იმიტომ, რომ განიერი ბეჭები, ღონიერი მკლავები, კუნთები, ფეხები და, საერთოდ, სასიამოვნო გარეგნობის პატრონი იყო.

რატომ არ მოგეშვა ნატა, მაინცდამაინც, ჯინდა თუ არა, გაიხადე და იბანავეო. იმ სულგანათლებულს ჰქონდა ზემოქმედების ძალა. სიტყვით, პასუხით, ქცევით, წაქეზებით, შეფარული მომხიბვლელი ძალადობით, შეეძლო, რაც მას გულით ეწადა, შენთვისაც გადაედო და შენი სურვილის წინააღმდეგაც აეყოლიებინე. ამით მან ხინველის სულში ვერ შეაღწია, თორემ, ბოლოს და ბოლოს, ლოგინში ჩაითრია. იქნებ აკრძალული ილეთითაც, მაგრამ ბოლოდროინდელი მისი ტრაგიკული ცხოვრების განსჯა ჯანსაღ ადამიანებს არ ძალუძთ და ყოველგვარი საყოველთაო სჯულისგება უსამართლობა იქნება, რა-

კ. თურმე, ადამიანმა სამი დღის სიცოცხლისათვის ძაღლის ხორცი ჭამა.

ლაშა იქვე, გადატრუსულ ბალახებში ჩაჯდა. ისე. როგორც იცის ბანბუნებასთან უთაკილო, უდიდესი ნდობით მისვლა, უპეწენიკოდ და ცხვირზე თითებმოუკერლად. ფეხმორთხმულ კაცს თავზე საჩრდილობელ ხესავით ვერ დაადგებოდი, შენც ცალგვერდ მიჯექი ფერდობზე მიფენილ ორად გაკეცილ გაზეთზე. თქვენს შორის ნატას ტანსაცმელი დარჩა, შენს ზურგს უკან ნოესი. ხინველმა არ იცის დამარტოხელებული ქალის ხამუშ-ხამუშ თვალის შევლება და „შეხსენება“ — ვინც არ უნდა ვიყოთ, მაინც სხვადასხვა სქესისანი ვართო. როგორ არ ლაპარაკობდა, მაგრამ თუ დუმილით შეეძლო ეთქვა, კრინტს არ დაძრავდა. მაშინ თითქოს უსტვენდა, სტვენით ჩურჩულებდა: „ეწარეულ მტკვრის პირას“... ყოველ შემთხვევაში, შენ ასე გესმოდა. ხედამ უკიდურესად დაძაბული იყავი მასთან და მაშინაც ამაზე ფიქრობდი და ცდილობდი ამ გაწყვეტამდე გაჭიმულ სიმს ვინმე ან შენ ისე არ შეხებოდი, ჟღერიალი გაეღო. როგორმე, თუნდაც სიცოცხლის ფასად, მაგრამ ყველაფერი გაგეუბრალოებინა, გაგეჩვეულებრივებინა, როგორც ამას ლაშა ჩაიდენდა ან მოეწონებოდა. როცა ყველაფერს: წყალს, გადახრუკულ ბალახს, ფერდობს, გაგვალულ მიწას, ხვატს, ლრიაოს, მზეს, ცას, ყველაფერს ჰქონდა განუზომელი ფასი, დანიშნულება თუ ყოფნა-არყოფნისოდენი აზრი, რაც თქვენს ირგვლივ იყო და ამოდენა ფასეული, განძი, ბედნიერება უნდა გაგეუფასურებინა, გაგეწყალებინა, მტერად გექცია.

ნატა ამოვარდა წყლიდან მტოფავი კალმახივით. მზეზე მოჭიატე წვეთები ფერადი წინწკლებივით ესია ტანზე. ვიწრო, მეწამულ საცურაო კოსტუმში თავდაუცავი მკერდი და თეძოები მუხანათურად სცემდნენ ჯერ კიდევ ქალწულისთვის შეუცნობელ ყველა ქალურ საიდუმლოს.

ხინველს თავი არ აუღია, ნატას შვეტ წვივებზე დაქანებულ წვრილ ნაკადებს ხედავდა, მიწაზე დასაღვრელად გაუმეტებელს და მაინც იმის ცქერას დასჯერდა, რაკი იმ ხედვის არეალში მოექცა, რაზეც მანამდე ჰქონდა თვალი შეჩვეული. ქალიშვილს ტბის უხრეშო ნაპირზე თონთხლო ტალახი წვივებამდე მიწვდენოდა, ტანიდან ნაწრეტი წყლის პაწია ნაკადები კოჭებზე ტყლაპოს ჭია-მაიას კვალივით ჩასდევდა და სანთლის ნაღვენთივით ზოლებად ხაზავდა.

ნატამ თქვენს შორის ჩაიჩოქა. ლაშასთან ნახევრად ზურგშექცევით

და შენსკენ პირმობრუნებულმა. ხინველი უკვე თუ ნატას თავს ვერა, მთელ ტანს ხედავდა.

— გოგო, ნუცია, შე სასიკვდილე, სანამდე გინდა დარჩე ასე პროვინციელ ხეპრედ, ასე ბაიყუში, ყრუ და უბირი! — ატკრციალდა, როგორც იცოდა, სიცილით რომ ამომზიანდებოდა და გულის სხივებს ამოანათებდა. — ახლავე გაიხადე, რომ გელაპარაკები მე შენ! უყურე ამას, მარტო მე უნდა გამომაჭენოს ქვეყანაში?! ამასაც შეგობარი და დაქალი ჰქვია რაღა... შე მართლა ბებიაჩემო... რიფსიმე ხარ შენ.., ბებიაჩემი რიფსიმე!

— არ მოეშვა, ნატა, არ მოეშვა! — აგულიანებდა ნაპირს ფეხისდაწვეენახე მოახლოებული ნოე და ტაშს უკრავდა.

მართლაც არ მოგეშვა. იგი იმდენად მოწადინე იყო შენი გაშიშვლებისა, ისე ვნებიანად სურდა შენთვის ტანსაცმელი შემოეძარცვა და დედიშობილა დაეყენებინე ხინველის თვალწინ, ამისთვის ისე უნდოდა მიეღწია, რომ იმ სიცილ-ტკარცალში გაანჩხლებით გამოსცრა კბილებიდან: — ძალად გაგხდი, შე მართლა ბებიაჩემო! — შენ და ლაშა, ორივე მიხვდით, რომ ნატა დღეს შემთხვევით კი არ წამოვიდა აქ, ზღვაზე საბანაოდ, აქეთ ხინველის გაცნობის დღიდან ილტვოდა. შენ უნდა გაეშიშვლებინე და ვითომ მორცხვობა და კდემამოსილება, რომელიც ვაჟის თვალში უპირატესობას განიჭებდა, უნდა წაერთმია. და თავისი, მართლაც უკეთესი, აღნაგობა სააშკარაოზე გამოეტანა.

იქნებ ეს არ იყო ბოროტება. ეს იყო განძის კიდობნის გახსნა და ზუსტი ანგარიში, ვინ რა სიმდიდრის პატრონი იყო. და შენ, როცა დარწმუნდი, „შეჯიბრი“ უნდა წაგეგო, იქვე, ლაშას თვალწინ გაიხადე და მართლა კინაღამ დედიშობილა გასწიე წყლისკენ, ატკრციალებული ნატას მხარდამხარ. არც ისე ფაცაფუცითა და სხეულის ზედმეტი მიხვრა-მოხვრით, რომ დამკვირვებელს თუ შემფასებელს რაიმე მხედველობიდან გამორჩენოდა. წყალთან, ტულაპოში რომ ცალი ფეხი წაჰყავი, შეჩერდი, ნატას მხარზე ხელით დაეყრდნე, მეორე ფეხი აიკაუჭე და წინ წახრილი კარგა ხანს „არკვევდი“, ტერფში შერჭობილმა ხმელმა ბალახებმა მართლა ხომ არ დაგაწრეს — დაე ნატას ეზეიმა, რომ თქვენ სასწორზე იდექით და მისხალ-მისხალ შეეძლოთ თქვენი „წონა“ დაენახათ.

წყალში კი არ შეხვედი, ჩავარდი. ფეხი არ დაგცდენია, მაგრამ ძალაგამოცლილი გაიშხლართე. მერეც ტანდამძიმებულმა კი არ აიმჩატე. შინაგანად გამოცლილი და გამოფიტული, გამომშრალი და

ფუტურო ტიკინა ატივტივდი, აცოკიალდი. წყალმა კინაღამ თავდაყირა მოგინდომა ამოტრიალება, შენი მაშინდელი მდგომარეობის შესაფერისად. არც ცურვა მოგინდომებია და არც უბრალოდ მკლავის გაშლა. ხინველისაგან პირმიქცეული, ყელამდე წყალში ცდილობდი დადგომას და ფსკერის სლიკინა თხლაპო ფეხებიდან გეცლებოდა. უკან უნდა დაგეხია, რომ წყლის ზევით მკერდიც აგეტანა და იმდენი წონა დაგებრუნებინა, უხრეშო, დამხრჩვალი ნამინდვრალის გაწყალებულ ძიწაზე ფეხი მოგეკიდებინა. მაგრამ უკვე ცივმა წყალმა გამოგაფხიზლა და ნაპირთან მიახლოება და რაც წყალს შეეძლო დაეფარა და რისი დამალვაც ხერხდებოდა, იმის გამოჩენა არ შეგეძლო. ახლა შენ და ნატა გარეგნულად ერთნაირი იყავით და მაშინდელი შენი ხელების ფათური და წყლის ჩაჭიდება, რომ როგორმე ფეხზე დამდგარიყავი, განწირულის ამაო ფართხალი იყო, დაბალუპად გამეტებულის სიცოცხლესთან მაინც განუყრელობის პოტინი.

ვერაფერს გახდი, ვერაფერი გააწყვე. ან ნატასავით შეუპოვრად უნდა გეცურა, ან უკან დაგეხია.

ბოლოს ხსნა მაინც ნაპირი აღმოჩნდა. რასაც შენი სხეულისას გაიმეტებდი, მაღლა ამოიწევდი და გაშიშვლდებოდი, ფეხზეც იმას უნდა დაეყენებინე, მაგრამ რაც მიწას გიბრუნებდა, იგივე გაცლიდა. როგორ შეგაცახცახა და შეგამცივნა იმის შიშმა, ერთ წუთში რომ ამდენი გადაიტანე და დამარცხებული რომ უკან ბრუნდებოდი, ვაითუ შენზე თვალმოციებული ხინველი ისევ იქ მჯდარიყო.

რა თქმა უნდა, არა. იგი იმ არემარეზე სულ არ ჩანდა (როცა გზაზე გახვედით, მანქანა დაეჯირა, წინ იჯდა თმაგაჩეჩილი, თვალებასხრიალებული ბიჭის გვერდით და გელოდათ.). ამან შეგაძლებინა მშრალზე წაბორძიკება და რამდენადაც წყალში ხმელი ფურფუშელასავით იყავი, ნაპირზე დაფუკული და დაჩუტული სხეული იმდენად ლონი, ერთიორად მძიმე სათრევი გახდა და მერეც უმიწო დარჩი, როცა მყარი საყრდენი -გაგიჩნდა.

ხინველი მშვენიერებაზე თვალს არ ხუჭავდა, ეს შენც იცოდი და ნატამაც, მაგრამ ეს მთავარი კი არა, არც ისე მნიშვნელოვანი იყო, რომ მისი სული შეეძრა. ის, რაც თვალს ახარებს, დაძახილს ჰგავს, მიხმობას, კარგად გაფორმებული წიგნის ყდას, თეატრის აფიშას, კინოს რეკლამას, მაგრამ იგი ხომ წიგნსაც კითხულობდა...

ნატას ის „ზღვის“ ბრძოლა არ მოუგია“.

„ნატასთან, ღმერთია მოწმე, მე არ მიბრძოლია!“

„არა, შენ ხელებაწეული დანებდი, რაკი მას ეს გამარჯვება სიცოცხლის საფასურად უღირდა, მაგრამ ნატას მოხდენილმა, სხმარტალა სხეულმა ნოე ხინიკაძე მოხიბლა იმდენად, რომ მაშინ ირწმენა ლაშას არჩევანი საბოლოოდ გადაწყდა და თვითონ შენ — დაწუნებულს უნდა დაგჯერებოდა. საოცარ გუნებაზე იყვნენ იმ დღეს ნატა და ნოე...“

„არ ვიცი...“

„საუბედუროდ არასოდეს იცოდი, არ ხედავდი ხინიკაძის გუნებაგანწყობილებას. იგი შენთვის ხინველთან ურთიერთობისათვის რაღაც საგანი თუ ნივთი იყო და, ალბათ, ნატაც...“

„ნატაც?!.“

„ნატაც, რაკი ამ „ნივთებთან“ დამოკიდებულებაში აჩენდი შენს ღირსებებს... როცა ნატას უნდოდა შველა, შველოდი და ამ დროს იყავი თავდადებული. ნატას უნდოდა ერთგულება და ერთგულებდი, ნატას სჭირდებოდა გამარჯვება და მარცხდებოდი. ნატას უნდოდა სიკვდილის მერეც ხინველი მისი ყოფილიყო და გაჰყევი მურთბს. და არ დაფიქრებულხარ, რომ ნოე მაინც ცოცხალი არსებაა და არ შეიძლება ადამიანის ერთგულებისათვის ან მეორეს თავისმოსაწონებლად გაწირო მესამე. თუნდაც ის ამის ძალიან მოწადინეც იყოს. უვიცი ხომ იმ ბავშვივითაა, ცეცხლით მოხიბლული რომ მისკენ ილტვის.

იმ დღის მერე ნოეს სულ პირზე ზღვა ეკერა“.

„ჯანდაბას მისი თავი, წყალს და მეწყერს...“

„მართლა რომ დაგეკრა ფეხი და სადმე ზღვაზე წასულიყავი. სადმე შორს, შორს...“

„ყველაფერი შორსაა, ყველაფრისგან ისედაც შორსა ვარ. განა მართლა აქვს მნიშვნელობა სად ვიქნებით?..“

„რა თქმა უნდა, მაგრამ „ზღვა“ მაინც ყოველნაირად სჯობია. ამ აურზაურს მაინც მოსცილდები და ღალატი გინდა, თავის დახრჩობა თუ ფიქრი და თავისმტვრევა, იქ ყველაფერს უკეთ ეშველება. აქვეა აეროფლოტის სალაროები“.

„ყველაფერი ცეცხლმა დაწვას!.. მიწაზე არ მედგომება და ახლა ფრენა დავიწყო?“

„მაშინ მეტრო, მეტროს უნდა გაჰყვე და ბოლო გაჩერებამდე დროა. რამდენ რამეზე დაფიქრებას მოასწრებ. იქნებ იქ „გელოდება“ ის, ვისაც ასე გულით დაეძებ“.

„ხინველი არ იყო წამქცევი კაცი და წაქცეულის გულზე წიხლის დამკვირებელი. შენ ამიტომაც გიყვარდა იგი და თუ ნატაც ამ აზრისა იყო, ის არ უნდა ჩაედინა, რაც „ზღვაზე“ ჩაიდინა. ლაშასთვის წამქცევი წაქცეულზე ძვირად არ ფასობდა. უთუოდ ამანაც დაარბია მისი სპორტული კარიერა. ამდენად, ნატამ, იმ დღესაც შენი საქმე აკეთა. საღამოს, როცა ერთმანეთს დაშორდით, იგი ერთი წამით თვალებში შემოგიჭერდა. ძნელია იმის თქმა, რა თქვა ამით, მაგრამ ნატასთვის არ შეუხედავს. იქნებ ახლა ყველაფერს ვაზვიადებთ და ბუზი აქლემად გვეჩვენება, მაგრამ ფრინველი კი არა, ხინკაძეც თვალებს არ აკეცებს ისე უაზროდ, ვერაფერი დაინახოს.

ნატასაც დაეტყო იმ ღამეს ის კმაყოფილება-უკმაყოფილება, რაც იმდღეანდელ მის შეცნობილ და შეუცნობელ საქციელში ვამოკრთა და შიშიც გაუჩნდა, რა მოხდა, იმ გამარჯვების ზეიმი მაინც ამაოებით რად დაეთალხა. იცოდა ნატამ რას რა მოჰყვებოდა და მაინც შინაგან წამქეზებელ ცდუნებას აჰყვა თუ ჯიბრის ვნებას. შენს უპირატესობაში რომ გაჯერებს და ფარული სიმდიდრე გამხელას ითხოვს. გულნამცეცა არ იყო ნატა, მაგრამ გულდიდი იყო. გულდიდობის ხიბლი ხშირად ძნელი შესალევია და მისმა შინაგანმა ძვრებმა და ბიძგებმა შეიძლება იმისთანა უფსკრულის პირზე შეგმართოს, რაზეც ვერ გადახტე. იმ დღეს. სულკურთხეულმა, შენი შეწირვა მოინდომა. შენ შეეწირე და „უფალმა“ წყალობის თვალით მხოლოდ მსხვერპლს დახედა“.

„არაა მართალი, ნატა (ამ შემთხვევაში გარეგნულზე ვთქვათ) უფრო შეეფერებოდა ხინველს, ვინემ მე და სხვა ვინმე. მან თუ მოინდომა, იმის გამომზეურება მოინდომა, რაც გააჩნდა და არა იმისა, რისი პატრონიც არ იყო“.

„მაგრამ ლაშასთვის ხომ ეს არ იყო ის ღირსება, რისთვისაც ქალი... შეიძლება მოსწონებოდა, მაგრამ არ შეიყვარებდა“.

„მაგრამ მოწონებაც ხომ ერთი ნაბიჯია სიყვარულისაკენ?“

„რომ არ სცოდნოდა ნატა ვინ იყო და პირველად დაენახა, იქნებ ამისთვის ყოფილიყო საკმარო ის „ერთი ნაბიჯი“, მაგრამ იმდღეანდელმა ბევრად გააუარესა მათი ურთიერთობა, დააშორა ლაშა ნატას და დაგიახლოვა შენ. იმ ღამეს შენ უფრო მშვიდად გეძინა, ვინემ ნატას. ნატას, თუ თავიდან ვერ განკვრეტდა, წამხდარი საქმის დანახვა და ანალიზი შეეძლო. ნოესავით რომ აეგო სახლი და შიგ კანონიერად

მოკალათებულიყო, პირველ ღამესვე მიხვდებოდა რა იყო იქ თავისი და რა სხვისი".

„არა, მეტრო მთლად სულის შემხუთველი ყოფილა ასეთი გაწამაწიის დროს. აქ თითქოს უფრო წესრიგია, ხალხიც დაკვალიანებული. ფანჯრებს ბილმა ბნელა და ამდენად სიწყნარეცაა. შენი სულიერი ამბოხისათვის უგუებელი და შეუსაბამო. თითქოს აწუხებ გარემოს და ვერ გიტანს. ალბათ ის საგარეუბნო დაბარგული და არიალებული ავტობუსები ჯობდა. აგერ ეს გაჩერება პირდაპირ უნივერმაღთან ამოგაძვრენს. სადაც მუდამაა რუზრუზი, ყაყანი, ყიღვა-გაყიდვა, მოტყუება, თვალის ახვევა და გაუტანლობა".

„კარგი, ვინც ეს მოძრავი კიბეები მოიგონა. არ გინდოდა ახლა ამ უსაშველო აღმართზე აღწევა?"

„უნივერმაღის კარებთან რომ აიტუზო, ვითომ გამოვა რაიმე? ვაითუ ვინმეს უფრო ქორვაჭარი ეგონო იმ ცარიელი ვიტრინების წინ რომ დაეყუდები.

ვილაცა ახმახი დასუნსულებს მაგერ ჯიბეებში ხელებჩაწყობილი. არ ეტყობა. ვინმესთან ჰქონდეს დათქმული შეხვედრა, მაგრამ ელოდება. დაკვირდი. მოლალატე ქალებზე ნადირობს? ვის ემალება? თითქოს არავის და მაინც... როგორ აცეცებს თვალებს და რაღაც აკრძალულს დაეძებს...

აი, თითქოს შეგნიშნა, მაგრამ იმ ფაშფაშა ქალსაც რაღაც ჩაუჩურჩულა, შენ გიცქერის და იმასაც წარამარა ცალყბად ელაპარაკება. რაღაცას უმტკიცებს თუ ხელებით „უჩვენებს" და ისე ფიცულობს. ზედვე ეტყობა, რაღაცას ატყუებს. შენ როგორ გეგონა, მუსუსია და იმ ქალის „მოხიბვლას" მოინდომებსო...

ბალია, ეგერ, ქვევით. „ისეთი" გარიგებები, ბულვარული წიგნებიდან იცი. ერთ დროს თითქოს იქ ხდებოდა. ახლა პენსიონერებითა და მაკლერებითაა სავსე და, რავა ფიქრობ, იმ ხელფეხაკანკალებულ ბერიკაცებს შეაძლებინებ შენი ქმრის ჯავრი ამოაყრევინო?

კინოთეატრში რომ შეხვიდე... კი, მაგრამ ფილმის „სანახავად" ასეთ შემთხვევაში დაწყვილებულები მოდიან. ვინ დადგება კარებთან ხელში წყვილი ბილეთით იმის იმედით, ვინმე ქმრის ღალატს ინდომებსო... ალბათ, ათასში ერთი, გამონაკლისი ყველგან ხდება, მაგრამ შენ ტიპიურიც არ გაგიმართლებს, მგონია. არ გაგიმართლებს, რაკი ამბავი დიდი სურვილიც კი ცოტაა... ყოველ საქმეს, საძრახი იქ-ხება ის თუ სასიქადულო, ცოდნა სჭირდება. აბა რომ აიღო თავი და

ქუჩაში გამვლელს შეაჩეჩო, შეიჩეჩებს გგონია? ყველაფერს თავისი წინაპირობა აქვს. გამოცდილება სჭირდება, ხრიკი, ხაფანგი... დღეს ალალ-მართალი შეხვაირ ალალ-მართალს რომ კარზე მიადგე, ისიც არ გაგიღებს... ვაგიღებს კი არა, ფეხის ნაბიჯზე არ გენდობა. ტაქსში რომ ჩემოდანი დაგრჩეს, მძღოლმა არ მიითვისოს და გარაჟში ჩააბაროს, გაზეთში გამოაცხადებენ (თან მძღოლი დარწმუნებული არაა, ავტომანქანის ნომერი, ფერი არ გეხსომება ან თვითონ მას არ იცნობ და არ იპოვი).

ბაღში ან სკვერში რომ ძელსკამზე მარტო დაჯდე და მუხლები მოიშიშვლო, გგონია ვინმე კალთაში ჩაგიჯდება ან ჩაგისვამს?"

„აბა, როგორ ხდება ეს? ქვეყანა გაპატიოსნდა, კახპა, ქურდი და ბოროტი დაილია?"

„არა, ყველაფერია, მაგრამ თავისი რიგითა და წესით. ქურდი ახსენე შენ და იმაზე მომაგონდა... შენი საქციელი იმას ჰგავს, ერთ დღეს გაძარცულმა და გაკოტრებულმა ბანკის გატეხა რომ მოინდომოს. ბანკს საკეტი აქვს და ბოქლომი ადევს, დარაჯი ჰყავს და დარაჯს დარაჯი.

მართალია შენ არავის ძარცვავ, თითქოს თვითონ ეძარცვინები, მაგრამ ეტყობა, ასე არც ეს ხდება. ჩიტის კვერცხის სიმსხო ბრილიანტები რომ ქუჩაში დაჰყარო, ასაღებად არავინ დაიხრება, მაღლა-მაღლა, ხის ტოტებს დაუწყებენ ცქერას: საწყალ ბეღურას ბუდე დანგრეკიაო — და იმას უმალ დაიჯერებენ, ხის კენწეროდან გადმოვარდნილი კვერცხი მთელი გადარჩენილაო, ვინემ იმას, ვინმეს ბრილიანტები დაჰბნევიაო. განძს ყელიდან შეგხსნიან, თითებიდან წაგაგლეჯენ, ყურის ბიბილოს ჩამოგახევენ და წაიღებენ, მაგრამ ქუჩაში დაყრილს ფეხს დაადგამენ და ვერ დაინახავენ. ფულისთვის ჯიბგირი ხელს ჯიბეში ჰყოფს.

„როგორ გიყვებოდა ბაბუაშენი — კირილე ალავიძე: ერთხელ, ბაზრობაზე, ქურდები პირში ჩალაგამოვლებული როგორ დავტოვეო?..

საწყალი, რაც შენ გახსოვს, ბრმა იყო და რაღა რჩებოდა, იმით ცოცხლობდა, რითაც იცხოვრა. ცალი თვალი მოწიფულობაში ხარის რქის წვერმა წამოუგდო და მაინც ხარებზე ამოდიოდა მზე და მთვარე. მეურნე კაცი იყო. მიწის მუშა. უცაბედად საქონელმა თავი გაიქნია და თვალი წამოთხარა, მარჩენალი პირუტყვი რა შუაში იყო, სახრეც არ დაუკრავს. ვერც თავს დააბრალებდა, მეხრე საქონელს მუდამ თავს დასტრიალებს. სიბერეში, დღესა და ღამეს რომ ველარ

არჩევდა, პირუტყვს მაშინაც უვლიდა. შეუმცდარად იცოდა გზა ჩალისა თუ თივის ზვინებამდე, ზვინიდან ბოსლამდე, საქონლის ბოგამდე და საპირემდე...

ბოგასაც თვალხილულივით წმენდდა და ნაკელი თუ ვერ გაჰქონდა, ბოსლის მუნჯურობში აგროვებდა.

ეს, რაც შენ გახსოვს...

მანამდე კი... განთქმული, კვარაცხელიას ჯიშის ცეცხლივით, რქებაშვეტილი უღელი გასახედნი, დაწმენდილი მოზვრები რომ უნდოდა ეყიდა და კაცმა არ იცის რამდენი წლის ნაგროვები ოქრო-ვერცხლი ბაზარში წაიღო. ოქრო საქონელი იცოდა კვარაცხელიამ და ოქროც ღირდა. შემოდგომაზე ჩამორეკავდნენ ნაასხარ, გახულათებულ ჯოგებს. საბაზრე ხარებს ზურგზე დანა დაელესებოდათ. „თვალებიდან ბლუჯა-ბლუჯა ნაპერწკლებს ჭყრიდნენო — გიყვებოდა თვალდაშრეტილი ბერიკაცი — ერთ მოსახლედ ღირდა ყოველი სახარე მოზვერი და სახლის ფასიც უნდოდაო. ქვაწვია იყო კვარაცხელია, კაპიკს ვერ დაკლებინებდი, მაგრამ საქონელს მოგცემდა, უკაცობის კაცს კაცად გაქცევდა. ქვეყანაში თავმოწონებული გაივლიდი. რა ურემშიც შეაბამდი, ბაჯაღლოდ აქცევდა. ულალატო საქონელი იყო დალოცვილი. ბაბუაშენს შეტყველი კი არა, ულალატო პირუტყვი კაცად მიაჩნდა“.

„ახლა, ამ შანქანებით გატენილ და აქოთებულ ქალაქის გულში რა გასახსენებელია, ღალატისა და ორგულობის გზად დამდგარი მისი შვილიშვილისთვის?“

„როგორ გაბედა მარტოხელა ბაბუამ, მთელი საცხოვრებლის საფასური ბაზარში წაეღო, როცა ცალი თვალი ხომ აღარ ჰქონდა და მეორეზე ლიბრი ეპარებოდა? იცოდა, მალე მზე დაუბნელდებოდა და მზისფერ, თვალებბრიალა, ერთგულ ხარებს უნდა ეტარებინა ამ ყიამეთ წუთისოფელში.

ქურდი და გარეწარი არც მაშინ აკლდა ქვეყანას და ბრმას კი არა, თვალხილულს თვალში ბენკვს აცლიდა. ხონის ბაზრის ქართას, სადაც კვარაცხელიას ჯოგი წითელი შორეკვით ბრუნავდა, ჯიბეკარიელი კაცი ვერ მიადგებოდა, მარტო იმის დანახვა ღირდა ფული.

ჯოგს, თურმე, წელიწადში ერთხელ, ასხის მთაზე რომ დათოვდა, საბაზროდ მაშინ ჩამორეკავდნენ, ეს ქვეყანამ იცოდა და, მით უმეტეს, მეურმე კაცისთვის დღესასწაული იყო, აღდგომასავით ელოდნენ. ქურდი, მაენე და მაღვალაკიც იქ ირეოდა, სადაც ხელის ჭუჭყი ეგულებოდა.

ჩოხა-ახალუხ შემოცვეთილ, ბრუციან კირილე ალავიძეს ვინ რას შეარჩენდა. მავნეს თვალს ვერც იმით აუხვევდი, ტანზე რომ სახარბიელო არაფერი გემოსა. ახალთახალ მეწამულ ჩოხა-ახალუხს, წუღა-მესტებსა და ბუხრის ქუდს თუ ინდომებდი, წელზე ვერცხლის ქამარ-ხანჯლითა და ქამარზე მოზარნიშებული საფულით, ხარების ფულს საიდან დაგროვებდი. თავმომწონე ბაბუაშენს ფსკერგავარდნილ ქალამნებში ხვინჭკა და ხრეში ფეხისგულებში უხიცინებდა და სულელივით აცინებდა, ამდენი ხნის სიშიშვლ-სიტიტვლით ნაგროვები ოქრო რომ ჯიბგირებისთვის გაეტანებინა, მართლა სასაცილო არ იქნებოდა? ავაზაკს ვინ რას ატანს, მაგრამ მიაქვს, გხდის ხულს და მიაქვს. ჰკუით თუ აჯობებ, თორემ, ავკაცობითა და გაიძვერობით შენ გაუტოლდები?

კვახი ჭეროდა იმ დღეს კირილეს ხელში, კვარაცხელიას მზის თვალივით დატრიალებულ ნახირს მისეულ ჯგლეთაში რომ დააბოტებდა. „მუშტრები“, თურმე, ზედ ეტმასნებოდნენ და ჯიბეებს უსინჯავდნენ, მაგრამ ყურს არ იბერტყავდა. ვითომ რა ხარი, რის ხარი, აგერ „საქონლის“ მყიდველს ეძებდა...“

კვახისა და ჭყინტი სიმინდის მუშტარს ჯოგთან რა ესაქმებოდა, მაგრამ იქ რაც ხალხი ირეოდა, ათასში ერთი ვერ შეწვდებოდა იმ ჯიშის უღელ ხარს. ცალი, ვითომ, ნახევარი ჯდებოდა და სად მთელი და სად ნახევარი, მაგრამ ამ ჯილაგის საქონელს სხვა ჯურისას ვერ შეუუღლებდი, გაგიფუჭებდა და თვითონაც წახდებოდა. ეს მოინდომებდა მთელი ტვირთის წაღებას და მეწყვილეს, რა გულიანი საქონელიც არ უნდა ყოფილიყო, დაჩაგრავდა, გატეხავდა, აითრევინებდა; უკან იმდენზე ჩამოიტოვებდა, ქაჩაჩებს ურმის თვალზე დააქლექვინებდა, რკინის ალტე სახსრებზე და ბარკლებზე სისხლს გაადენდა, აიკიდებდა და გატანჯავდა. თუ უღელს გადაუწევდი და სუსტს სიმძიმეს შეუმსუბუქებდი, ვერც ამით დაიოკებდი. პირველობას ნაჩვევი ჯაგლაგის გატოლფასებას მერეც ვერ იგუებდა. მან ხომ არ იცოდა, რომ ტვირთი ორჯერ გაიზარდა. იგი იმას დაინახავდა, რომ უღირსმა უღელი გაუსწორა და მხარდამხარ მოსდევს. ისევ გასწევდა, ისევ უკან მოიტოვებდა და უღელი ხარის კუთვნილი ცალს დღეს-ხვალეობით გამოლევდა, გამოძალავდა და, ბოლოს დააძაბუნებდა.

„რას ნიშნავს, თურმე, საქმის ნამდვილი მოყვარული და ერთგული ადამიანი, ბაბუა რომ არა, შენ ხარი და ძროხა საიდან უნდა გცოდნოდა, ნოე ხინიკაძესავით მხოლოდ რძე და ხორცი გეცოდინებოდა...

ბაბუაშენმა კირილემ იყიდა ის დღეს ხარები. პატრონს რომ მოურიგდა და ახედ-დახედეს, ამდენი ფული ამ კაფანდარა, უპატრონო, ტანზე ჩოხა-ახალუხშემომდნარ გლეხს ვინ მისცა და თუ მისცა, სად ან რაში ინახავსო, როცა ჯიბეზე და უბეზე თვალდასადგმელი არაფერი უჩანდა. კირილემ, ფულის მისათვლელად, გამყიდველი დახლთან მიიყვანა და კვახი ფიცარზე დაახეთქა. ყვითელი კვახის გული და ცერის სიფართე თესლი ეგონათ ერთბანს. თურმე, დახლზე რომ ოქრო და ვერცხლი დაცვივდა.

ჰო, იმაზე გაგახსენე, საპარავს იქ ეძებენ, სადაც ეგულებათ. კვახში ოქროა და ვერცხლს ვინ მოიფიქრებდა, ის კი არადა, ბაბუაშენს რომც ქართის ძირას მიეგდო და ვინმეს ფეხებში წამოდებოდა, პატრონს დაუბრუნებდა. ხარის მყიდველს რა ეკვახებოდა და კვარაცხელიას მუშტრის ქურდს, მით უმეტეს...“

„ე! ვილაცა მანქანას გიჩერებს, მგონი, და შენ იცი...

მაგრამ რა გინდა რომ ჰქნა, შე საბრალო, „ასეთ დროს“ წინ დაუჯდე თუ უკან, ისიც რომ არ გაგეგება!

ალბათ მძღოლის გვერდით სჯობია. უკანა საკარძელზე რომ მოიკუნტო და თავჩაღუნული მიიკუკო, კაბა მუხლებზე ჩაიფარო და გაილურსო, ასეთ არსებას მოძალადეც არ ინდომებს. პატარა თუ ქალმაც არ უბიძგა, თავზე ხელაღებულიც კაცია და ნამუსი ნივთი კი არაა, ჯიბეში ხელი ჩაგიყოს და ამოგაცალოს. თუ არ დაგინახა, თვალს წყალი არ ასვა და „იმნაირი“ რაღაცა არ შეაგებე, ვნება გაუჩინო, თუ არ აიმღვრა და ნდომად არ იქცა, მართლა ასე, ხიდან რომ შიშველი მზეთუნახავი გამოკვეთო, ხელსაც ირავინ შეეხობს.

ქალისა და კაცის წაწყმედაში მეტნაკლებად ორივე სცოდავს. თავიდან მდედრმა თუ ცოტა მაინც არ წაიკეკლუცა და მამრის წიაღში რაღაცა ცოდვის მარცვალი არ ჩააგდო, კაცი თუ მთლად მოძალადე პათოლოგი არაა, ვნების ცეცხლის აეე სულ არაფერზე, ცივ სოხანეზე უნაპერწკლოდ არ დაინთება. ტროტუარზე, ერთბანს, ისევე უნდა გევლო, როგორც მოდიოდი, სახლის კედელს რომ მიაწყდი და კინაღამ უკან გაბრუნებაც მოინდომე, მასე ამირებ შენ „მუშტრების“ მოხიბვლასა და გარყვნა-გათახსირებას?“

„რა ვიცი, ჯანდაბას ჩემი თავი, რაღაც... ისე დავიბენი... აქ სულ არ ველოდი...“

„კარგი, გაუშვი ეს მანქანა და კარგად მოიფიქრე, როგორ მოიქცე, რაკი ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს პირველ ნაბიჯს, თავდაპირ-

ველ საქციელს. გააჩნია, შეხვედრისთანავე რა დამოკიდებულება დამყარდება.

კაცი რომ თავიდანვე „ჩემო დაიათი“ დაგიწყებს მუსაიფს და „ძამიობას“ შემოგთავაზებს, იმისგან, თუ მთლად ორპირი და მუხანათი არაა, იმნაირს არაფერს ელოდე. არც იმისგან იქნება „ხეირი“, მანქანაში რომ ჩაჯდები და საჭეს ჩაციებული ერთხელაც არ შემოგხედავს. მარტო იმას თუ ამოიღრენს — „საით“... იმისთანას ერთი მანეთი მთელ საქალეთს ურჩევნია ან ცოლისგან აქვს გამშრალი სისხლი. არიან ისეთებიც, შემოგხედავენ, შემოგციცინებენ, მაგრამ როგორც კი გზას დაადგებიან, დაავიწყდები და „შემიჩერეო“ რომ იტყვი, მაშინ მოაკონდები. ისევ გაუნათდებათ თვალები და თვალს რომ მიეფარები, ტუჩებს თუ გაილოკავენ, თორემ შენთან არც ეს გაახსენდებათ.

კაცია ისეთიც, ქალი რომ მოეწონება, სამოთხეში გადასახლდება, მაგრამ სამოთხეში თუ „ისეთი“ რაიმე ხდება, არ წარმოუდგენია, თუ საიმისოდ სამოთხე-ედემი არც ემეტება. თვალით ჭამს, თვალით სვამს და ქალს, როგორც მშვენიერებას, ისე აღიქვამს. ასე ხელწამოსაკრავად და გასაქელად მშვენიერება რომ გაიმეტონ, თავს ვერ გაიმეტებენ, რაკი არაფრად აღარ ეღირება მათთვის ეს ქვეყანა, სადაც ამაღლებული და მიუწვდომელი არ იარსებებს. არიან... შენგან რომ კერპს ჰქმნიან და ხატად სჭირდები. იმისთანასთან რომ გაცნობისთანავე, უკაცრაული პასუხია, კაბა წამოიხადო, შეიძლება ფეხად ვერ გაასწრო.

რა თქმა უნდა, ჭრელია ქვეყანა, მაგრამ ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, მაინც თავკერძაა...

კაცს რომ ეგოიზმი წაართვა, ხელში ჩენჩო, ფიტული შეგრჩება. თავკერძობაა, ამ „მანქანას“ რომ ამოძრავებს და, რასაც აკეთებს ეგოიზმი აკეთებინებს. მაგრამ გააჩნია: იმასაც კი, ვისაც შენ ხატად მიაჩნიხარ და ხელყოფას გეკრძალვის, ისიც თავისთვის იღვწის, თავის კერპს ესაგს, თავის რწმენას უვლის, მშვენიერებას ვერ ბილწავს, თავის სიმდიდრეს უფრთხილდება. შენთვის ამას არც ის აკეთებს, თავისთვის უნდიხარ ასე ამაღლებული, რაკი დამდაბლებულით ვერ იარსებებს, შენ უნდა სწამდე, რომ არ დაეცეს და გაღორდეს: რომ შეიძლებოდეს შენ წაგბილწოს და თვითონ ამაღლდეს, არ დაგზოგავს, მაგრამ იცის: ცდუნება, გარყვნილება, გათახსირება თანაბრად მისიცაა. იცის, ხატს რომ შეაფურთხებს იმაზე ვეღარ ილოცებს, კერპს თუ ეროს დაჰკრავს — დაამსხვრევს. ჭკუა ეკითხება და გიფრთხილდება, ხატი მაშინაა ხატი, თუ მლოცველი ჰყავს, თორემ

ურწმუნოთათვის ნაფოტია. არ უნდა კერპი ნაფოტად გაჭციოს... იმედი სჭირდება, საყრდენი, საფუძველი. ყველა წყალში რომ ჩაფურთხოს, სული წყურვილით ამოხდება. არ იპარავს იმიტომ, რომ ეგოისტია და თავს ჭურდისა და ავაზაკის სახელდებულად ვერ იმეტებს. იმდენად თავკერძაა, გულშიც არ უნდა გაივლოს ისეთი რამ, რაც მის — სხვაზე უკეთესობას ჩრდილს მიაყენებს.

უმრავლესობა მაინც მოჩვენებითი თავკერძაა: არ დაანახვოს სხვას თავისი სიგლახე, მაგრამ სადაც იმის იმედი აქვს — ვერავინ გაუგებს, ყოველგვარ სისაძაგლეს ჩაიდენს და ჰგონია, თუ სხვა არ ხედავს, ამით რაიმე იმალება. ამ რეგვენს მთავარი ავიწყდება — თვითონ ხომ ხედავს თავის თავს? თუ ხედავს და კაცია, მეტი მოწმე რაღად უნდა. ან ვინმე გამვლელმა კიდეც რომ დაინახოს, რა ჭოხდა ჩამვლელი ჩაივლის. თავად ხომ ვერ ჩაუვლის თავისთავს და თუნდაც ერთი წამით ვერ დაშორდება. ყოვლისმხილველ, მუდმივ მოწმეს არ უფრთხის და სხვა ვიღაც ვიგინდარას უმალავს?! გადამთიელს უფიცავს, ჰგონია. „თავის მოწმე“ სხვაზე ნაკლებ აგებინებს პასუხს, არ წამოაკრავს და ან არ დაასმენს?

ამიტომაცაა ქვეყნად ამდენი სალახანა, თორემ მათ რომ არ გაეცათ თავი და ჩვენ ამის თაობაზე არაფერი ვიცოდეთ, ქვეყანა სამოთხედ მოგვეჩვენებოდა. თუ გეჩვენება და გჯერა, იგი არსებობს კიდეც...

ადამიანი თავკერძად იბადება და ესაა მისი მამოძრავებელი ძალა. ჯერ კიდევ თოთოს, რაც ხელში მოჰყვება, იქმება თუ არა, პირისკენ მიაქვს. ცეცხლს ეპოტინება, ხელებს იწვავს, მაგრამ მოსწონს და თავისთვის უნდა. ასეთივე რჩება მთელი ცხოვრება, ვითომ ცეცხლსა და წყალს გაარჩევს, ვითომ — თეთრსა და შავს, გაცნობიერდება, მაგრამ მერეც არაფერი იცვლება. მშვენიერი შველი და ირემი მწვადად უნდა და ხოხობი ჩახოხბილად. ბატკანს, თიკანს, ხბოსა და წიწილას წვავს და ჭამს. იცის, ბალახი უფრო მარგებელია, მით უმეტეს, ცხვრისა და ღორის ხორცზე, მაგრამ კრავსა და გოჭს ვერაფრით გულგრილად ვერ უყურებს, რაკი მართლაც მშვენიერია, ვარდს დანახვისთანავე მოსაწყვეტად წაეტანება. ია-იას, ზაფრანასა და ალუბლის ტოტს წყვეტს, ამტვრევს, გლეჯს. ალუბლისა და აყვავებული ვაშლის ტოტის დამსხვრევას, ხომ სჯობია აცალოს დამწიფდეს და მუცელი ამოიყოლოს. არა, ახლა, ამწუთას... მერე შეიძლება მწიფე ვაშლი და ალუბალი სხვამ შეჭამოს და ბარემ ყვავილობისას მიიტაცებს. ჭკნება

ყვავილი, ხმება და არაფერში არგია, მაგრამ, როგორც თოთოობაში, ვერ აცნობიერებს, მშვენიერია და ასე შორიდან საყურებლად ან სხვისთვის კი არა, თავისთვის უნდა... უნდა... უნდა...

ქალიც ასე მოსწონს და უნდა... უყურე, კაცო, რა ჯობია ლამაზი ქალის ყურებას! არა, უნდა... თავისია თუ არა, თავისთვის უნდა. უნდა ხელით შეეხოს, ტუჩით იგემოს, უნდა ეღვლიმოს, ჯიჯგნოს, გაწეწოს, გამოსწოვოს სისხლი, მოიქციოს ქვეშ, გათელოს, გაქელოს, დაამდაბლოს...“

„ბაღის კიდეზე საიდან აღმოჩნდი? არც ისე ყოველი ფეხის ნაბიჯზეა, ჩვენს ქალაქში ბაღები და ბულვარები, საითაც პირი ჰქნა, წინ დაგხვდეს.

ეს გაცქრიალებული მუქი მანქანა შენ გელოდება თუ შენს უკან ვინმე მოდის?“

„თითქოს არავინაა...“

„რად გისუსტა მუხლმა... იმისთანა გაკრეჭილი ტიპი წამოქცეულა საავარძელზე და აქეთა, წინა ღია კარში თავი ბაბუაშენის კვახივით გადმოუკიდია... ჰო-ჰო, რა მსუნაგად შემოგციცინებს და გეპატიჟება! მაგას თუ არ გააწბილებ და ჩაუჯდები, ეტყობა, ისე გაგრყვნის და გაგათახსირებს, შენი ქმარიც კი შენთან ანგელოზად მოგეჩვენოს. ზედ არ ეტყობა ვინცაა და რაცაა?“

„მამაკაცის სახსენებელს შეგაძულებს!..“

„შეხედე, შეხედე, როგორ წამოიგრძელა აქეთ კისერი და დაიკოცნა ხელის ზურგი!

კარის მიხურვას არ გაცლის, მუხლისთავებში ჩაგაფრინდება და სანამ ქალაქგარეთ გაგიყვანდეს, შენსას დაგმართებს.

რომ ეძებდი, იმაზე უარესია!“

„ეშმაკმა დასწყევლოს, როგორი თითლიბაზია!..“

„მერე მაგას რა ჯობია, შურისძიება და ღალატი თუ გინდა, უკეთესს ვერც ინატრებ.

მიიხედე, მიიხედე, როგორ მზაკვრულად იღრიჭება და „გენაცვალეო“ თუ „გეხუტუნეო“ ჩურჩულებს.

რა ყურებს გჭრის, შე ქალო, კი არ გაგინებს და გლანძღავს, გეალერსება, გიხმობს...“

— რატომ, ჭირიმე, რატომ, ლამაზო!..

„გვერდი რატომ ჩამიარეო?... შენც რატომ ჰქენი?..

ჰო, ვითომ თავი არ გაიიაფე და ხელის ერთ დაქნევაზე არ დაყაბულდი?

ნუ გეშინია, მაგი არაა იმ კატეგორიის... მაგისთვის სულ ერთია. შენ თუ დანებდები, შორსაც არ წავა, შებინდებისას აქვე... არაა, მაინცდამაინც ხალხმრავალი ქუჩა და, მით უმეტეს, თუ შეღამდა...

ჩაუარე, თორემ არ გამოგყვა, ისევ არ გეკრიჭება და თავზე არ გევლება...

იმ საქმისთვის, შენ რომ გინდა, არაა მაგი ხელგასაშვები „პიროვნება“.

შეხედე, შეხედე, პირდაპირ თვალებიდან გამოსტირის შიშველი ვნება.

ესაა „ის“... როგორ გითხრა, უკაცრაული პასუხია, შავ ძაღლს რომ კაბა გადააცვა, ხელიდან ვერ გამოდღლიზავ“.

„ვაიმე, ვიხრჩობი, გულზე მაზიდებს!“

„გულს უნდა გირევდეს, აბა, გულის გამაამებელსა და ენების დამშოშმინებელს ეძებ?“

„ჯანდაბას ვეძებ, სიკვდილსა და არგადარჩენას!“

„რომ არა, ამისთანას, მთელ ქალაქში, ათს ვერ იპოვი. პირდაპირ გაგიმართლა.

ჩაუჯექი, ჩაუჯექი თორემ ასე ვსდევს და... რაო, რას გეეღურტულება?..“

„არ ვიცი, დავყრუვდი და დავბრმავდი. საფეთქლები გახეთქვაზე მაქვს“.

„რამ დაგაყრუა, შე ქალო!

გირჩევნია ჩაჯდე და წაჰყვე, თორემ არაფრით არ მოგეშვება, პირდაპირ ასე ზეზეურად გაგაუპატიურებს.

რას გიწვივის ყურები და შემოგენთო ალმური, რა გითხრა ისეთი, რასაც შენ არ აპირებდი და რისთვისაც არ დაძრწოდი. სათქმელი და საქნელი ერთმანეთიდან რამ გაჰყო...“

„ყველაფერი როგორ ითქმება?!“

„სიტყვაბილწობა უფრო შეურაცხმყოფელია, ვინემ შეურაცხყოფა? დაუჯექი გვერდით იმ წითელ შალითაზე და დააფარე პირზე ხელი. ნახავ, თუ ხმა ამოიღოს და მაშინვე საქმეზე არ გადავიდეს. ახლოს არ ეკარები და, შორიდან სიტყვა მოუწვდება და გიწვდენს.

იმ გზაჯვარედინამდე მაინც არ მოგეშვება და თუ ისევ და ისევ ქეას ესვრი, თავიდანვე უნდა გესროლა. რაღაცა შენც გინდოდა და ფეხს ითრევდი, ეგონა...“

„ეშმაკმა დასწყევლოს და დაშუბოს...“

„მასთან და მაგისთანებთან თუ არ გინდოდა, სახლიდან რომ თავ-ქუდმოგლეჯილი გამოიქეცი, სად მირბოდი?“

„წყალში, მეწყერში, მოუვალში...“

„ჰო, ერთხანს უნდა გაცლოდი იქაურობას, რომ პირში არ შენცო-ბოდი იმ შენს მურთხსა და ამის... მაგრამ მერე, როცა გაიგულებდი, მი-ბრძანებულიყავი, თუ მაინცდამაინც, ზეწარი გამოგეცვალა და ჩაწო-ლილიყავი შენს ლოგინში. გათბობაც კი არ დაგჭირდებოდა, ზედ მდუღარესავით ქალი იწვა“.

„ღმერთმა დამიფაროს! იქ წოლას...“

„ააჰ! იმ ლოგინზე წოლას, მაგ შავმანქანიან თახხირთან წოლა გი-ჯობს?

ე, ესეც აგერაა. კი ეძებე და იწანწალე, გაწყდი წელში, გასავათდი, ჯაგრამ, ბოლოს და ბოლოს, გაგიმართლა. ბედის წყალობაა, თორემ შენ მაგის მპოვნელი არ იყავი. რაღაცა უთავბოლოდ დაბორიალობ. მა-გისთანა საქმეზე შენისთანა უგნურები არ დადიან და არც მაგნაირად ირჯებიან.

ე, ქალო, მიხედე, დაიზაფრა კაცი. მეათედ გიჩერებს ამ სახელ-წიფო მანქანას, დაცვითა მუხრუჭები. სად ნახავ ასეთ უთავმოყვარე-და სისხლატალახებულ ხვადს!

რა პირგამეხებული მოუბრუნდი! შეგაგინა? არა, სულ „შენი ჭირი-მე“, „შენ გეხვანხვალეს“ გიძახებდა. ეს იმას ნიშნავს, განებებს თავს და აწი, იქითაც რომ ეხვეწო, არაფერი გამოვა. აიყარა შენზე ცხე-ლი გული, დაუცხრა ვნება და წადი აწი და ეძიე...

ასეა, ქალბატონო ნუცა, ცხოვრება არცერთნაირად არაა იოლი. წამოვკრავთ ხელს ვინმე სინდისზე ხელაღებულს და ვიტყვით: მაგისი რა მცოდნია, გარყვნილი და გათახსირებულიაო. სალაპარაკოდაა იოლი, „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო“, პატიოსანი ცხოვრება რაა და უპა-ტიოსნო რა უნდა იყოს.

შედი მაქვე, შეუხვიე მაგ ბაღში, ჩამოჯექი სადმე და ნერვები და-იწყნარე. მთელი სხეული ისე გიცახცახებს, თითქოს ლანძღვა-გინება პირველად გაგეგონოს. შეგაგინეს, ბოლოს და ბოლოს, მართლა რომ რაიმე ექნათ, რას იზამდი.

შეუხვიე, შეუხვიე! გაყევი მასე, კიდე-კიდეს, არავის შეასკდე. იმ შემხვედრსაც თავისი გაჭირვება აქვს. იმასაც ღალატობენ, ატყუებენ, ჰპარავენ ან თვითონ სჩადის ამას.

სად ჯდები, ისეთ ადგილს ეძებ, მართლა ვინმემ ასე იოლად არაფერი გაკადროს?

რაღა მაგ თავ-ფეხ აკანკალებულ მოხუცებს მიუახლოვდი. ესენი ასე სხედან აქ სულ, მათ დაამთავრეს ეს ბრძოლა, რასაც ახლა შენ ეწევი და დამარცხებულები თავიანთ ნამუსრევს უკვე ზევიდან დაცქერიან. ითვლიან თავიანთ მკვდრებს. მაგათთან სიახლოვე რას მოგცემს, შენ ახლა ომის შუაგულში ხარ, რომლისაგან გამარჯვებული არავინ გამოდის, მაგრამ ბოლომდე კი იბრძვიან.

არ შეიძლება, მაგ მოხუცებთან ჯერ შენ არავინ მიგიშვებს. დღესვე, ან აქ გამოგიჩნდება ისევ ვინმე ან ისევ, თუ შენ მოღალატე ქმარს მიადგები, ის გაგიწვევს დუელში. ცხოვრება ჩვენსავით გულჩვილი როდია... ჩვენ მას ჯარისკაცებად ვყავართ გაჩენილნი და ჯარისკაცს ვინ ჰკითხავს უნდა ომი თუ არა.

ბრძოლა, ქალბატონო, ბრძოლა! აი, რას ჰქვია ცხოვრება.

ხელს არავინ გიშლის, მაგ ბებრებს შენი დარდი დიდი ხანია აღარა აქვთ და თუ აქედან ფეხს არ მოიცვლი, მაგათი სიახლოვის გამო მაინცდამაინც არავინ შეგაწუხებს.

ჰო, ერთხანს ალბათ, მაინც ასე გირჩევნია. თუ ფიზიკურად არა, სიტყვიერად მაინც კარგად შეგბილწეს და შურისძიების ვნება ცოტა მაინც დაგიცხრეს.

რით იყო მაინც ის შავმანქანიანი შენს ქმარზე ნაკლები და თუ იმის ბეუღლეობა იკისრე..."

„არც ერთის სახსენებელი არ მინდა! ყველა და ყველაფერი მძულს, მეზიზღება, სისხლი მეყინება, გული მიმდის..."

„თუ იმ მურთხზე ყოველდღე გული მიგდიოდა, ამ მის მსგავსზე და ალიკვალზე ერთხელაც არა?"

„რა ვიცი რა მჭირდა და მჭირს!.. მაგრამ, მართლა ამ მაწანწალასავით სალახანა და ბოლომოღებული იყო?.."

„რა განსხვავებაა?"

„ალბათ არაფერი, მაგრამ აქამდე მაინც ქმარი ერქვა..."

„მაგრამ ისევე ეკუთვნოდა იმას, როგორც მაგ შავმანქანიანს. ერთმაც ისე გინდომა, როგორც მეორემ".

„და მე ჯერ კიდევ მაშინ ვცოდე?.."

„კი, კი. შენ ჯერ კიდევ მაშინ სცოდე, როცა სხვა გიყვარდა და სხვას გაჰყევი, როგორც ახლა შეგეძლო..."

„რა შემეძლო!.."

„რაც მაშინ შეძელი... ოუმცა იქ ხინველი გიდგა მხარში, ოღონდ

მისთვის დაგენახვებინა შენი ერთადერთობა და განუმეორებლობა და ქვესკნელის მოციქულს გაჰყვებოდი, რაკი იგი სამუდამოდ შენი იქნებოდა თუ დაჰკარგავდი“.

„არ ვიცი, არაფერი ვიცი და არც მინდა ვიცოდე! ყველაფერი შავად და უკეღმაა. ყველა და ყველაფერი, ვინც მიყვარდა და მძულდა, ვისაც ვერთგულებდი და ვისაც ვღალატობ, ვინც მწამდა და ვინც გველავით მხარავდა: მეგობარიც, ქმარიც, შვილიც, დედაც, მამაც, დედამთილიცა და მამამთილიც!..“

„ვინაა, მაინც, ეს შენი საქმარეულო და ვინ არის ის შენი დედამთილ-მამამთილი?“

„შავ წყალსა და მეწყერს, ავად და ბნელად, ვინც არიან და რაც არიან!..

„ის შენი მამამთილი დიდი ხანია აღარაა, ღმერთმა იმიერს თავისი სიმართლით გაანათლოს, მაგრამ ხომ უნდა გცოდნოდა ვინ იყო და ფეხს ვისი ოჯახის ზღურბლს აბიჯებდი.

ახლა რომ იცი, რა თქმა უნდა, მაშინ იმდენი არ იცოდი, მაგრამ სულ არაფერი? და თუ არ იცოდი, მით უარესი, არ უნდა გეკითხა? ასე. თხასავით. ვინც მუჭა მწვანე ბალახს დაგანახვებდა, მისდევდი?

იცოდი... ის მაინც იცოდი, რაც ნატას ნოეს მკვიდრმა ბიძაშვილმა უთხრა. ფიზიკის ფაკულტეტზე რომ სწავლობდა — დურმიშხანი: „მაგ შენს დაქალთან ჩემს „ძაძია“ ნოეს რა ესაქმებაო.“ არ გახსოვს, ცოტა ჭორიკანა, ენატანია ბიჭად რომ მონათლეთ? — ბიძამისზე ნაწყენი ყოფილაო... კარგი, ეს თქვა; ან რატომ მოხდა, რა მორალური კოდექსები დაარღვია, თავი დავანებოთ, მაგრამ მაინც რაო? „მამაჩვენი — ესე იგი ნოეს ბიძა — რომ მოკვდაო, ბიძაჩემმა (ნოეს მამამ) სახლი გაგვიყიდა და გაგვიყოო“. კი, იურიდიულად მართალია, ძმებს მაპისეულობა თანაბრად ეკუთვნით, მაგრამ როცა შენი მამამთილის ძმა აღარ იყო, ცოლ-შვილიანად რომ შიმშილით ამოწყვეტილიყო, როგორ ჰქნა და ძმის ობლებს მამა-ბაბუის დატოვებული გაუყო? როცა თვითონ აქეთ იყო წამოსული და, ავი იყო თუ კარგი, სამსახური ჰქონდა და მუშაობდა, რაღაცა ბინა-თავშესაფარიც გააჩნდა...

და შენ, ამისთანა, ძმისა და ძმისშვილების გაუტანელი კაცის შვილისაგან ელოდი დანდობას?

კარგი, სხვა ნუ გამოვეკიდებით, ცხოვრება რთულია და ვის ფეხი სად გადაუცდება, კოჭებში ნუ ჩავუსაფრდებით.

ეთქვათ: მამისეულობიდან გეკუთვნის საძმო წილი, მაგრამ ძმა აღა-

რა გყავს და მაინც შენსას — „კანონიერს“ მოითხოვ. ჯერ, ამისთანა კანონი შევარცხვინე და მერე ამ კანონის უსამართლო სამართალი. ქვრივი რძალი და ობლები რომ თავისი ნახევრის შენ-ყოველი და მონაწილის გამსტუმრებლები არ იყვნენ, სახლი გაუყიდეს... ერთი შეხედვით მამაპაპეული სახლი გაყიდეს, მაგრამ შენმა მამამთილმა ხომ ძმის სული გაყიდა (ძმას ხომ იმ ოდაში აღმოხდა სული) მიუგდო ობლებს თავისი, თვითონ თავისი კანონიერად ჩაიჯიბა და წამოვიდა, რომ შენთვის ქმარი „აღეზარდა“.

შვილმა მამის დანაშაულზე პასუხი არ უნდა აგოსო. კარგი, ბატონო, მაგრამ ჯერ ერთი, მაშინ ვინ აგოს და, ამას გარდა, სისხლი?... სისხლს გამოუსხამ ძარღვებიდან თუ გაუკუღმართებულია და შხამი გენშია ჩანერგილი?“

„ყოველთვის რომ ასეც არაა?“

„ყოველთვის არაა, თუ გენში არაა ჩათესლილი. დედის, მამის, ბებიის, ბაბუისა და წინაპართა კეთილი და ბოროტი იბრძვის სისხლში და ერთი ძმა რომ ბალახს ჭამს, ზოგჯერ, მეორე — სისხლს სვამს. ასე, რომ, ავისაგან ავი უფროა მოსალოდნელი, ვინემ კარგი... თუ გაგიმართლა და წინაპართა კეთილმა იმარჯვა, ხომ კარგი, გადარჩა და გადარჩი. მაგრამ შენ რასაც ხედავდი, ვერაფერ სახარბიელოს ხედავდი, წინაპარში კი რა იყო, არ დაიძიე?“

„ნოე ხინიკაძის მოდგმას ამდენი გამოკვლევა არ უნდოდა, შუბლზე არ ეწერა რაც იყო? ნატამ საათნახევრიანი შეხვედრის შემდეგ ასთქვა: — „მურთხიაო“.

„მით უმეტეს, „მურთხის“ სიტყვასიტყვით განმარტება თუ მაინც არ იცოდი, ვეფხვი და ლომი არ უნდა გგონებოდა, რაკი მის ბგერით აღნაგობაში არსად ასეთი მეღერი და ძალუმი გამოძახილი არ ისმის.

„მურთხში“ — უფრო მური, ვირთხა, მურიანი თხა, მუხთალი, მთხლე, მუხანათი და... თუ, რა ვიცი. ამდაგვარი უკეთური უფრო იკითხება და რაღა შენ მოგესმა ცის გახსნის რეკვად და ჰარმონიად.

არა, ადამიანი, ხომ ვთქვით, დიდი თავკერძაა და ნატაზე ხომ განაწყენდი, რომ თაყვანისმცემელი ასე შეგილანძღა?..

არა, მაშინ ნოე სამომავლოდ და საქმროდ ერთი წამითაც არ წარმოგედგინა. ხინველის გვერდით, მაგ მართლა მურთხზე, ამას რა გაფიქრებინებდა, მაგრამ იმწუთას მაინც ხინიკაძე იყო, ვინც შენი ფეხის მტვერს ლოკავდა“.

„რამსიგრძე კაცმა გადმოუხვია აგერ შენსკენ, მოგიახლოვდა კიდეც და, რა ლმერთი გაუწყრა, პირი უკან ასე ციცად რატომ იბრუნა!

აა, ტიროდი?!

ცრემლი და თავში ხელისცემა რომ საქმეს შველოდეს... კი, ბატონო, იყივლე და იმოთქმე, მაგრამ ატირებული ქალი ვის რად უნდა. საფარდებელი ყველას თავისი ყოფნის და შენთან საქმის დაჭერასაც ამიტომ აპირებდა, იქნებ ერთხანს ამ დავიდარაბას გადამარჩინოსო.

და საერთოდ, არ გირჩევ, ცრემლი შვებაა. ხომ გითხარი, ცრემლი გარიგებს ბედს, გაჩვევს, გამონებს. მოგატყუებენ, გილალატებენ, გაგინებენ, განთხევენ, შენ ატირდები, აფლიქვინდები, თუნდაც აწიკლდი და აკივლდი... ცრემლი შეიძლება შეფასება იყოს შენი მწარე ხვედრისა, მაგრამ პასუხი არაა. მონამ სხვაზე უკეთ იცის თავისი უბედურება, რომ მონაა, მაგრამ ცრემლების გამო რომელი მპყრობელი და ბატონი გაანთავისუფლებს. თავისუფლებაა უპირველესი და ერთადერთი, როგორც ქვეყნის, ისე ადამიანის სრულქმნილებისა. დამოკიდებული და მონა მხოლოდ მახინჯი ანარეკლია მეუფისა და მბრძანებლისა, მაგრამ კარგი ბატონის მსახური არ სჯობია ავი მფლობელის ხელქვეითს. კეთილი და მოყვარე მპყრობელი (თუ შეიძლება მპყრობელი კეთილი და მოყვარე იყოს) უბოროტესი მტერია პყრობილისა. და კიდევ უარესი, თუ იგი „ლმობიერებით“ ადუნებს, აჩლუნგებს დამონებულს და ნელ-ნელა სისხლს უწყალებს. რამდენად ავია ბატონი და უპატიებელი, იმდენად ფხიზელია მონა და აჯანყებული.

დაპყრობილი გერქვა შენც, აბა რა იყო შენი ყოფა. არა, არავინ გწამებს, ნოე გიყვარდაო. მაგისთანა მურთხების შეყვარება რომ შეგძლებოდა, რა თქმა უნდა, სალაპარაკოც არაფერი გვექნებოდა. მაგრამ არც ისაა სწორი, ვითომ პირველად შენ დაიდგი უღელი ამ ამაღლებული გრძნობის გარეშე და უკანასკნელიც შენ იქნები.

ვითომ მონა-მბრძანებელი გეგონა თავი, ვიმეორებ, მონაცა და მბრძანებელიც ერთსა და იმავეს დროს, რაკი ხინიკაძე ქმრად გაიხადე, ბედს დამორჩილდი და მურთხს დანებდი. ამავე დროს გინდოდა ნოე შენი ნება-სურვილის უსიტყვო აღმსრულებელიც ყოფილიყო, თუ შენს ბედში რაღაცა სანუგეშოს ეძებდი, ასე კი იყო. იქნება ყველაფრის ღრმა წვდომა გვიჭირს და ვერაფრით თავი რომ ვერ გაგვირთმეია ჩვენი აწეწილ-დაწეწილი ცხოვრებისათვის, ბედისთვის ბრმად მიგვინდვია, მაგრამ პირველი და გამოუსწორებელი მარცხიც ესაა. ბედიღბალი თუა და მართლა მინდობა შეიძლება, მაშინ, ჭკუა-გონება და აზრი რაღად გვინდა.

„სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო?“

მაშინ რად გვინდა ქალაქებსა და სოფლებს რომ სახელებს ვარქმევთ ან ქუჩებსა და გამზირებს, არც სახლებს დაჭირდება დანომვრა, არც მატარებლებსა და ტროლეიბუსებს. ჩავჯდეთ, რომელიც შეგვეფეთება და ნურც იმაზე ვიფიქრებთ, საით და ვისთან მივდივართ — თვითონ მიგვიყვანს. ან, თვით ადამიანის გვარი და სახელიც არაფრის მაქნისი იქნებოდა...

დღესაც ხომ მიგიყვანა „ბედმა" მურთხთან და დატეულიყავი... ის კახპაც იღბალს მიუყვანია შენს ლოგინში საკოტრიალოდ და არა შენს ქმარს. ბედს უმტყუნია შენთვის — არა ხინიკაძეს. შენც, თურმე, წილხვედრის ღალატისთვის დარბიხარ ქუჩა-ქუჩა და არა შებილწული სარეცლის შურისძიებად...

მონის „ფილოსოფიაა" — რა ვქნა, სვე-ბედმა ასე დამსაჯაო... და ბატონისაგან მიგდებულ გახრულ ძვლებს ლოკავს.

ნატაზე უფრო დატანჯული და გაუხარელი, ქალი არ დაბადებულა ქვეყანაზე, მაგრამ აბა, მისი ერთი ცრემლი თუ გახსოვს.

— შენც გიყვარს ხინველიო — გითხრა ერთხელ და გადაიტკრიალა. როგორი სასაცილოა, კაცზე რომ მზე და მთვარე ამოგდის, შენ! მეგობარსაც უყვარს და, როგორი წარმოსადგენია, თუ არც ცალმხრივად.

გაჩუმდი, არაფერი თქვა! შენს ადგილზე სხვა, თუ ხინველსაც თვალში მოუვიდოდა, უარს არ ეტყოდა".

„ვის, მეგობრის!.."

„ენა ჩაიგდე! რავა, ნატაზე იმ კაცს მართლა ჯვარი კი არ ჰქონდა დაწერილი. ის კი არა, უკან არ უხედავდა... და, ამას გარდა, ჯვარდაწერილები არ გაუყრიათ ქალებს და თვითონ არ შეურთავთ?"

„უკან არ უხედავდა?!"

„ასე ითქმის, თორემ ნატა არც შარვალში ჩაფრენია და არც მისი ნაკვალევის მტვერი უხვეტავს. ასე რომ ყოფილიყო, არც ნატა იქნებოდა ნატა და არც ლაშა — ლაშა. პირიქით, ის რიდი და კრძალვა იყო, ალბათ, რითაც ხინველი ექცეოდა, რომ ქალმა მის კლანჭებს თავი ვერ დააღწია. მერე, ბედის განუკითხაობით, ისე გაწამდა და... იმას იზამდა, თავისი უმძიმესი ხვედრით სხვაც დაეტანჯა? ხინველს რომ სცოდნოდა, ნატას ეს დამღუპველი სენი ალმოაჩნდებოდა, გაცნობისთანავე ყოველნაირად უთანაგრძნობდა. როცა მის ყურს ჩაწვდა, ნატას ხსნა არ არსებობდა, იმდღესვე შეირთავდა, თუ ქალი მის ბოროტ სენს ბოროტად გამოიყენებდა. კაცმა რომ თქვას, საცოდავს, კაცი

სიკვდილ-სიცოცხლით უყვარდა და თავის დანთებულ ცეცხლზე რომ სიკვდილის სიცივით გათოშილს ხელი მოეთბო, ქვეყნის დაქცევა იქნებოდა? როცა ქვეყანა თავზე უდანაშაულოდ ექცეოდა და ემხობოდა?"

„და რატომ, რატომ არ ჰქნა?"

„ღმერთმა შეგვინდოს, მაგრამ ნატას მარტო თავისი დიდსულოვნება ვერ შეაკავებდა..."

„ნატას დიდსულოვნებით, სულგრძელობით..."

„განწირული ქალი ასეთ დროს თავს მოერეოდა და ცდუნებას ვერ გაუძლებდა. არაა ეს ადამიანური და, მით უმეტეს, ქალური".

„მაშინ რატომ, რატომ არ მოხდა!.."

„თქვენ ორივეს საქმე გქონდათ... „საქმე გქონდათ" რა სათქმელია, გიყვარდათ მამაკაცი, რომელიც არა მარტო ზნეობრივისა და მორალურის ზოგადი და, თუ გნებავთ ეროვნული, კანონებით ხელმძღვანელობდა, ხელში სასწორი ეჭირა და მისი სინდის-ნამუსი ცოდვასა და ბრალს საპალნეებითა და ფუთობით კი არ წონიდა, ოქროსავით მისხალ-მისხალ; იცოდა ბრალისა და სათნოების ფასი. რკინას, როგორი გაკარკარებულიც უნდა იყოს, გრდემლი და ჩაქუჩი უნდა, რომ მისგან იარაღი გამოჭედო. კარგი ჯიშის ხე უნდა გაითალოს, რომ ნივთად იქცეს. უამისოდ იგი მორია ან ჯირკი. მარმარილოს ლოდიც ქვაა თუ მას დიდოსტატის საჭრეთელი არ შეეხო. თქვენ ლაშამ გამოგეჭედათ და გამოგთალათ და გიყვარდათ, როგორც ზნეობრივი ხუროთმოძღვარი და მის ნებას არ გადახვიდოდით. იმ გულს ვერ იქონიებდით, რასაც ის არ ჩაგიდგამდათ. იმ სულს ვერ გაიჩენდით, რასაც ის არ ჩაგბერავდათ.

ცოტაა დღეს მშოვნელის, მგლეჯველის, ორპირისა და მოღალატის ცოლი? ან რამდენი სახლია, მართლა მისი პატრონის ხელით რომაა აგებული? მაგრამ კარები ათასიდან ერთს თუ გამოუხურავს და ნაარმი ფეხით გაუთელავს. ხინველი არ ყავდათ მათ — ზნეობრივი მოძღვარი. ქვეყანა რომ მხოლოდ მურთხებით იყოს დასახლებული, შენ, რაც დღეს გჭირს, ამას ან სულ ვერ გაიგებდი, ან ქმრის მოცილეს სახლიდან წივილ-კივილითა და თმების გლეჯვით გამოაგდებდი და ზღურბლზე დარაჯად დადგებოდი, რომ სამძუნაოდ სხვა დროს არავინ შემოგეშვა. ასე მოიქცეოდა ნატაც, რაკი იცოდა, რომ ლაშა განუკურნებელი სენით შეპყრობილ მასზე მლოცველ ქალს ზურგს ვერ შეაქცევდა და უსიტყვოდ აღასრულებდა ყველა მის სურვილს. ლაშა, როცა ინდომებდა, მაშინ გაგყრიდა შენ ქმარს და ცოლად კი არა,

რომ ეკადრებინა, ხასად დაგისვამდა, მაგრამ ამის კაცი რომ ყოფილიყო, მაშინ ხინიკაძესთან ყოფნაც არ გაგიჭირდებოდა; ლაშას უდგას ფეხი იმ ცოდვაში, შენ რომ დღეს ქუჩა-ქუჩა დაგაწანწალებს. თუ ეს მართლა ბრალია, პასუხი მას უნდა მოეთხოვოს.

ხინველი იყო, მის მოწინააღმდეგე-მეგობართან სპორტულ ორთაბრძოლაში რომ კოჭი „ეღრძო" და ჭიდაობა არ გააგრძელა, წაგებად ჩაეთვალა. მისი მეტოქის სასიდედრო და საცოლე, იქვე, საჭიდაო ხალიჩასთან, პირველ რიგში ისხდნენ. ორივეს იცნობდა (წინა ღამეს მათთან იყო ოჯახში) სასიდედროს ისეც არ ეხატებოდა გულზე „მეტოქე" და ახლა ისღა უნდოდა ხალიჩაზე გულაღმა გაშხლართული ენახა? იქნება ეს სპორტისთვის მიუღებელია, ალბათ დანაშაულიც, ყველა მოწინააღმდეგესა ჰყავს დედა და სატრფო, სასიდედრო და სასიმამრო, მტერი და მოყვარე.

მაგრამ იქ საქმე სხვაგვარად იყო. ქვრივი „სასიდედროს" ერთადერთი ქალიშვილი არსებობის ნიშანსვეტი იყო. დედამ, არც ჭიდაობისა იცოდა რაიმე და არც ის გაეგებოდა სპორტიც თუ რამეს წარმოადგენდა, მაგრამ ელემენტარულად იცოდა დამარცხებული და გამარჯვებული, უარესი და უკეთესი. ქალიშვილი მისთვის ქვეყნის უკეთესი იყო, დამარცხებულსა და უარესს ვერ გაატანდა და მშობლის სურვილის წინააღმდეგ რომ გაჰყოლოდა ან ვერ გადაიტანდა, ან ცხოვრება ჩალის ფასად არ ეღირებოდა. იქნებ იმიტომაც მიიტყუა წინაღამით მეტოქემ სამოყვროს ოჯახში, რომ ლაშა ამას დაინახავდა და, იმედი ჰქონდა, გაუგებდა. იქნებ ისიც იკითხოს ვინმემ, ლაშა ამას ჩაიდენდაო? და „სასიძომ" ბოროტად ხომ არ გამოიყენაო? კი. მაგრამ იმ მეტოქეს ის გოგო უყვარდა, იმის დაკარგვა არ უნდოდა, ლაშაზე კი არ ამოდიოდა თქვენსავით მზე და მთვარე. ლაშასაც იმიტომ კი არ „უღრძვია" ფეხი, რომ ის ბიჭი ჭკუის დასაკარგად უყვარდა, მას ჰქონდა თავისი მრწამსი, თავისი ქვეყანა, რომლის ღალატი არ შეეძლო, თუნდაც ის ერთი ბეხრეკი დედაბრის ბედნიერებად მოგვეჩვენოს.

ხინველი, ალბათ, არც უძლეველი იყო, მაგრამ ერთი მიზეზთაგანი ესეცაა, მისი გვარი და სპორტული „დიდება" მის მეგობრებსა და მწვრთნელებს თუღა ახსოვთ. მურთხმაც მერე აიყარა გული „მეგობარზე" და ჩამოშორდა, როცა ხინველის მზე ჩაესვენა..." ეს მანამდე ეტორღიალებოდა, სანამ ზენიტისაკენ მიიწევდა და საქმის ცოდნენი დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ.

რა თქმა უნდა, ერთი და ორი ფეხის „ღრძობა“ არ იქნებოდა მიზეზი ხინველის სპორტული კარიერის კატასტროფისა, უთუოდ ბევრჯერ დაუდეს კვანტი, კოპიც ბევრჯერ უღრძვეს და ხალიჩას ბეჭებითაც გააკრეს, მაგრამ ნატამ იცოდა, მისი რჩეული არასოდეს წაქცეულა. არც თვითონ ნატა მომკვდარა სიკვდილამდე.

ჩაუყვეი, ახლა, მაგ სანაპიროს. მალე შეღამდება, იქნება ვინმე ოავზე ხელაღებულს გადაეყარო, წაგავლოს ხელი და...

„აბა ნატა ყოფილიყო შენს ადგილზე?“

„მართლა, რას იზამდა ნატა?..“

„რაც ჰქნა, იმას იზამდა“.

„რა ჰქნა? ხინველი მისი არც ქმარი ყოფილა და არც, თუ გნებავთ, საყვარელი. თუ, ვთქვათ, ქალებთან სცოდავდა, ამით ნატას ხომ არ ღალატობდა“.

„შენ რა, მხოლოდ ღალატსა და ყელის გამოჭრას ხედავ? ყველაფერი ღალატია, რასაც რწმენის წინააღმდეგ აკეთებ.

რატომ გგონია, შენი იმ კაცის ცოლობა, რომელიც არ გიყვარდა, რწმენის ღალატი არ იყო? რაც არ გიყვარს და გულით არ აკეთებ, ღალატი არ გგონია? ხინიკაძეს რომ გაორგულება შეამჩნიე, როგორც ვახსოვს, ჭკუიდან არ შეშლილხარ. აბა გყვარებოდა და უმისობა ქვეყნის ცის გამოვარდნა გგონებოდა!.. არ მითხრა, რაც დღეს გაიგონე და დაინახე, აქამდე არ გაგიგონია და დაგინახავს. რატომ გაუჯიუტდი და ჩაუსაფრდი: რას გაღირსე, შე მართლა მურთხო, და ერთი გაბედე ღალატი და მე ვიცი!..

ჰე, გაბედა და მეტიც ჰქნა შენს სახლში, შენს ლოგინში გაბედა და რა ჰქენი... გამოვარდი ქუჩაში და საკახპოდ დაწანწალობ? რატომ არ ჰქნა ეს ნატამ, როცა მურთხმა კი არა, სიცოცხლემ უღალატა. უღალატა უდანაშაულოდ, უსინდისოდ... უსიყვარულოდ და უშვილძიროდ გადაეგო. დისერტაციის დაცვაც არ აცალა... შენ იყავი უდანაშაულო იმ შენს ულირს ქმართან თუ არა, საკითხავია და ნატა რომ მთლად უბრალო იყო და სიკვდილით დაისაჯა?

შენ, იმ შენს მეგობართან შედარებით, ქვეყნის დამაქცევარი ხარ...“

„ნატასთან კი, მაგრამ... ქვეყნის დამქცევი?..“

„ჩე. ჩუ. ჩუ! ანგარებით გათხოვდი!“

„რატომ ანგარებით?!“.

„აბა, რა ჰქვია შენს ამბავს!“

„ახლა, ხინველისთანას თუ არ ეუნდოდი...“

„ვის არ უნდოდი! მაგრამ არც იმას მოეთხოვება ჭკუა, მე თუ შეკითხავ. „ნამეტანმა სიმართლემო, დამილია სინათლეო“.

ხინველს არც ნატა უნდოდა და, საერთოდ რა უნდოდა, ნეტავი თუ იცის... მაშინ კი არა, ახლა მაინც თუ იცის... რაინდობისა და ვაჟკაცობის მანიით შეპყრობილი... მგონი გაგიქდაო, იმასაც კი ამბობენ; ყოველ შემთხვევაში, გალოთებულა. ქართველი კაცი რომ ღვინის მადლს დაკარგავს.... რა გააჩნია, ჭკუა აქვს, მე შენ გეტყვი, ან ანგარიში იცის... ახლა, თუ მართლა მარტოხელა დახლთან არ მიადგება და არ დალევს, ჩვენში ამფსონებს ვერ იშოვის და რა ეშველება. სადღაც, „ბენზ-კალონკის“ უფროსად გაუშვიათ (ასე იციან, მაგ ჯურის ხალხს სარფიან ადგილზე მოაყუჩებენ) და ნაცნობ-მეგობრებს, მტერსა და მოყვარეს ეხვეწება თურმე, დამახარჯვინეთ ეს ოხრად დასარჩენი, ნავთის სუნი უდის — მგუდავსო.

იმნაირი კაცი უნდა იყო, შენს დროში და წუთისოფელში, როგორმე შენი გზა იპოვო...“

„მაგნაირი ნოე ხინიკაძეა“.

„ნოე ხინიკაძე არაა კაცი. მე კაცზე გელაპარაკები და არც შენ ხარ ქალი, რაკი არაკაცის ცოლობა იკისრე“.

„მართალი, თუ გინდა, ესაა“.

„ამ კუკუ-მალობიამ და მიეთ-მოეთიამ დააქცია ქვეყანა, უკაცობის კაცებმა: — აღარაა კაცი, რა ვქნათ, იქნებ გაგვიმართლოს, არაკაცმა იკაცოსო თუ ვაკაცებინოთო...

არასოდეს იყავი შენ მართალი და არც ახლა, მაგ ქვის მოაჯირს რომ დამხობიხარ და დატბორილ მტკვარს ჩაჩეებიხარ, არც ახლა.

შვილი გყავს ეითომ, მაგრამ იცი, არც ისაა შენი. არაა და არც შეიძლება იყოს, რაკი სიყვარულით კი არ შეგიქმნია, შვილი გინდოდა გყოლოდა და გააჩინე. დედა გინდოდა ყოფილიყავი და გახდი. ოჯახი გინდოდა გქონოდა და გაქვს“...

„გულით მინდოდა, გულითა და სულით მინდოდა, მთელი ჩემი ქალური მოწოდებით მინდოდა...“

„და უსიყვარულოდ!..“

„არ იყო ეს სიყვარული და რა მექნა“.

„დაგეცადა, გეძებნა, გეკეთებინა ის, რისთვისაც შეგიყვარებდა ის, ვისაც შეიყვარებდი“.

„რა მეკეთებინა მეტი, რა შემეძლო, სანამდე დამეცადა და მეძებნა...

სკოლის ეერხზე ვინმე ბიჭი გოგოს ამოიჩემებს, მეც მჭირდა თითჩოს ასეთი რაღაც. მაგრამ მაშინ კი არა, ამ ხნისამ, ამდენი დავიდარაბის მერეც ვერაფერს გავართვი თავი, თუმცა იქ თავის გასართმევი რა იყო. ერთი ზემოუბნელი, პარალელური კლასელი ბიჭი მე რომ ქუჩის აქეთა მხარეს ასკინკილა მივნტოდი, იქითა მხარეზე უსტვენდა და ვითომ „ნაშას“ სახლში მაცილებდა. ეს იყო და ეს. სტუდენტობაში ეს „ვაუბატონი“ გამოჩნდა და ხინველის ძმაკაცის „სატრფოს“ იმნაირი თვალით ვიღა შემომხედავდა. „დაბეებული“ ვყავდი. დავამთავრე და ვითომ მეც, რაც შემეძლო, ქვეყნის სამსახური მოვინდომე“.

„უფრო სწორი იქნება თუ იტყვი, ნატას ოდენი არ იცოდი და სამეცნიეროდ და სადისერტაციოდ ვერ გაიქაჩებოდი. ამით „აჯობე“ დაქალს, რომ მთაში წადი და ქვეყანას სადაც უჭირდა, დარაჯად იქ დაუდექი...“

„არ ვიცი, იქნება მართლა ყველაფერშია ანგარება და თავის მოწონების ავი ზნე, მაგრამ ასე ხომ ვქენი. იქ კაცი აღარ იყო და, ტყე, კლდე კი მიყვარდა და მიყვარს, მაგრამ ხეცა და ქვას გავყოლოდი ცოლად?“

„ხინიკაძესაც გაექეცი თუ ხინველს...“

„ხინველისაგან გასაქცევი რა მქონდა“.

„გქონდა!“

„უფალო, შემინდე, ხინველი თუ მიყვარდა?..“

„გიყვარდა!“

„ახლავე ამ მოაჯირიდან გადავხტები და თავს დავიხრჩობ...“

„ულირსს, მთხლესა და მურთხს ცოლად გაჰყევი, თავი არ მოგიკლავს და, ღირსეული გიყვარდა-მეთქი, ამისთვის წყალში ხტები?“

„ნატას... მეგობარს, დას, დაზე უკეთესს... უყვარდა და მე მისი ქიშპობა და მოცილეობა მოვინდომე?“

„რამდენჯერ გითხარი! ნატას რომ უყვარდა, ნატა კი არ უყვარდა ხინველს... ნატაც მაშინ ავად კი არ იყო“.

„და მე მართლა ვუყვარდი ხინველს?“

„შენ, და მხოლოდ შენ!“

„ჭკუიდან შევიშლები!“

„ხინველი არ იყო იმის კაცი, ვერც ნატას თვალებში ამოეკითხა ვერაფერი და არც შენი ნოე ხინიკაძით „გატაცება“ არ სცოდნოდა“.

„თუ ოდესმე ძმაში დაჯერებული ვყოფილიყო, შინ არ მივიდე ცოცხალი, თუ... სადა მაქვს სახლი“.

„რა უნდოდა მაშინ, რატომ ტრიალებდა თქვენ წრეში, მართლა იმის ჩიტი იყო, ვინმეს იარაღად ეხმარა?..“

„ჩემთვის?!“

„შენთვის, რაკი ნატა, როცა შენ გზიდან ჩამოეცალე, მერეც არ ინდომა“.

„ღმერთი და რჯული!.. რამდენჯერ ვთქვა, თუმცა მე ახლა რა ჭკუა მომეკითხება, მაგრამ თავს ამდენ ხანს არ ვაპატიებდი, რომ ნატას გზაზე გადავდგომოდი“.

„მართალია, შენ რომ დამთმობი იყავი, გულკეთილი, საკუთარ ჰეშმარიტ გრძნობაზე რომ უარი თქვი და გულში ჩაიკალი, თუ თავი მოიკალი, ყველა ეს და ის ღირსებები იყო, რისთვისაც... უყვარდი და უყვარხარ!“

„შეუძლებელია, ხინველს რა გაუჭირდა იმის ფასი, თუ მაშინ... მას შერე... ნატას მერე მის სიყვარულზე უარს ვინ იტყოდა...“

„ხინველისთანებმა ერთხელ იციან სიყვარული!“

„ღმერთო, შემიწყალე, და მე მართლა სამარადისოდ, სამუდამოდ ძიყვარდა ხინველი?..“

„მაგნაირ ვინმეს არ შეიყვარებდი?“

„ნატას რომ...“

„ხმა! კრინტი! მეტი აღარაფერი თქვა! და შენ გგონია ხინველი შენი მურთხივით არაფერს ხედავდა?“

„ღმერთო ჩემო, გარდაცვლილ ქალზე... დაზე... თუ ვინმე მიყვარდა ამქვეყნად და მიყვარს... ის რომ მყავდეს ახლაც, აქ რა მინდოდა...“

„შენ ნამდვილი, უღალატო სიყვარული შეგიძლია და ესაა შენი უბედურების სათავეც... ამიტომაც იყო. ნატას გრძნობების ფასი რომ იცოდი. ვისაც ეს უზარმაზარი ტვირთი სათამაშო ჰგონია, მას სხვისი ცეცხლი არც ათბობს, იოლიცაა. იგი იმ შავმანქანიან ტიპსაც წაჰყვებოდა, ბაღის კიდეზე რომ აგეკიდა, შენ იცოდი რას დამართებდი ნატას, რომ ხინველი „წაგერთმია...“

„რავა, წართმევა არ იქნებოდა, რომ მართლა... მართალი ყოფილიყო?“

„არა!“

„ჩემს ერთადერთს, ჩემს საფიცარს... ნატას...“

„ნატასი არ იყო ხინველი. ნატამ დაგასწრო და დაიჩემა“.

„ღმერთო, არ გეცოდები? ნატაზე ამის თქმა შეიძლება?!“

„ნატას ეს ცუდქალობით კი არ მოსვლია“.

„ჩემი სიცუდე და სიგლახე იქნებოდა, ეს რომ მართალი ყო-ფი-ლი-ყო...“

„სიტყვას ნუ მარცვლავ და ხმა ნუ გიკანკალებს, დროა სიმართლეს თვალი გაუსწორო!“

„და მე ამას ჩავიდენდი?“

„რომ არ ჩაიდინე, მაგან მიგაყენა მაგ მდინარეს!..“

„და ჩამედინა?“

„აქ არაა ლაპარაკი, სახელდობრ ეს უნდა ჩაგედინა თუ. არა, მაგრამ ის არ უნდა ჩაგედინა, რაც ჩაიდინე!“

„რა, დავჯდომოდი აქ ნატას, მედევნა კუდში და ხინველთან მისასვლელი გზები ჩამეჭრა?“

„გზა გაუნთავისუფლე?“

„თუნდაც ასე იყოს, დანაშაულია?“

„მაგრამ საბოლოოდ დაარწმუნე ხინველი შენს დიდ უპირატესობაში... შენს დიდ გულსა და ადამიანობაში... ხინველი კი ამის კაცია... შენ რომ ნატას შეცილებოდი... გახსოვს? შენ დაგპატიჟა ერთხელ კინოში და დასთანხმდი... ნატა არ გიხსენებიათ მაშინ. შენ, შენ დაგპატიჟა... მართალია, მას არ უკადრებია მარტო შენო, მაგრამ იქ, იმ წუთას, ნატა არ იყო. შენ დაიბენი, დაიფანტე, მეგობარი იმწუთას სულ არ გაგხსენებია და დათანხმდი. მაგრამ როცა დაშორდით, გულამოვარდნილმა რომ სული ჩაიბრუნე, დაფიქრდი, როცა ნატა დაინახე, სირცხვილმა დაგწვა და როცა გულს კი არა, ჭკუას ჰკითხე, პაემანზე მეგობარიც წაიყვანე. ორივე დაგვპატიჟესო არ გითქვამს, მაგრამ არც ის — მარტო მე მიმიწვიესო და რომ მიხვედით, ხინველი მარტო დაგხვდათ და შენი მომავალი „ბედნიერება“ — მურთხი იმ სალამოს თქვენთან არ ყოფილა“.

„მერედა, რას ნიშნავდა ეს?“

„ეს იმას არ ნიშნავდა, შენ ლაშა სიყვარულს აგიხსნიდა და იმ ღამეს, მამიდაშენის სადარბაზოს კარებში ჩაგეხვეოდა, მაგრამ ეს რომ ვექნა...“

„მარტო მივსულიყავი?..“

„ჰო...“

„მეგობრის უსაყვარლეს ადამიანთან?..“

„ჰო, ჰო, ჰო!.. ეს რომ ჩაგედინა და სხვა ამისთანები... ხინველს ფული გაუცივდებოდა. ორგულს, ორპირს, ძმისა და დის არგამტანს ის რომ ვერ იტანდა, არ იცოდი?“.

„ეს რომ ვიცოდი, ამიტომ?..“

„თუ არ გინდოდა ჰყვარებოდი, თუ არ გინდოდა შენზე ხელი ჩაუქნია, თუ არ გინდოდა...“

„ეს რომ არ მინდოდა... როგორ ჩამედინა ის, რაც არ შეეძლო?!“

„აი, რომ არ შეგეძლო, რომ ვერ ჰქენი და დიდსულოვნად და ალალი გულით რაც შეგეძლო, ის ჩაიდინე, აქ დაღუპე თავიცა და ის კაციც...“

„წამერთმია დისთვის... და ეს იქნებოდა გადარჩენა?“

„არ იყო ეს წართმევა...“

„ეს ცოდვა რომ დამწოლოდა, ჩემი, გაუხარლად წასული მეგობრისა, ახლა რაც მჭირს, იმაზე უარესი იქნებოდა“.

„შენ მაშინ არ იცოდი რა მოგელოდა და მაგის გამო არ იქცეოდი იმნაირად“.

„მე, როგორც შემეძლო, ისე ვიქცეოდი...“

„და კიდევ უარესი, ატყობდი. რომ შენსკენ მოდიოდა, ამას დაბრმავებული ნატაც კი ხედავდა. შეგეშინდა, არ დავიღუპო, მეგობარს არ ეგონოს ეს ჩემს გამო ხდებაო, დაკარი ფეხი და ქვეყანას სადაც უჭირდა, იქ გაიქეცი საჯარისკაცად.

გამოსაშვებ საღამოს რა გითხრა ხინველმა... იმ ღამეს მურთხიც იქ გახლდათ, მაგრამ იმას შენ, ნატა და ლაშა რას ლაპარაკობდით, არასოდეს ეყურებოდა. ნატაც რომ რაღაცაზე ჩამორჩა, რაღა რაღაცაზე, შენ მაშინდელი უმნიშვნელოც არ გამოგეპარებოდა და არ გავიწყდებოდა. მამაკაცებს არ შეუმჩნეიათ, თორემ შენ ხომ იცოდი. წინდის ყელი აიქაჩა.

— შენ მაინც ერთადერთი ხარო, — არ გითხრა ხინველმა?“

„მერე, ეს ნიშნავდა...“

„იმისთანა კაცისაგან ბევრს, და იქვე მეორე მოგდევდა, იმისთვის ანაფერს. მერე რომ ნატას სულ ჩამოეცალე და გზა გაუსუფთავე, ხინველი ბრმა ხომ არ გეგონა, რაც ცხვირწინ არ ედო, ვერ დაენახა. არც ამას დააჯერე...“

„არაა მართალი!“

„ნუ წივი და კივი, აგერ შეყვარებულები დასეირნობენ და ეინმეს პატიოსანი ქალი ეგონები, ვისაც ნამუსის ახდას უპირებენ. შენი დარდი კი არავისა აქვს, მაგრამ სატრფოს რომ თავი მოაწონონ, მოსაშველებლად მოგცვივდებიან.

„მე დავღუპე ხინველი?“

„ხინველი თავისთავად, მაგრამ მისი დაღუპვა მაინც ერთი კაცის დაღუპვაა. ნოე ხინიკაძის უბედურება კი უფრო უარესი, ასი და ათასი იმისთანას „შექმნა“ და მერე საშვილიშვილოდ, სამუდამოდ დამახინჯება. საზოგადოების, ქვეყნის მტრად, ხორცმეტებად, პარაზიტებად, ქურდებად და ავაზაკებად მომრავლება“.

„მე!.. მე შევძელი ამოდენა ქვეყნის დაქცევა და იავარყოფა?!“

„შენ! შენ და შენისთანებმა!..“

„მე თუ ხინველს გავუტეხე გული, ჩავაქნევინე ხელი ცხოვრებაზე, გავალოთე და გავაუბედურე, კაცი დამიღუპავს, მართლაც თავში ხელსაცემი იქნებოდა, ეს რომ ასე იყოს...“

„ასეა ეს!“

„ჩემი ქვეყნის დაქცევა არ მეყოფოდა, მისი ლურჯი ზეცაც ზედ არ დამცემოდა?..“

„არ ვიცი რა გეყოფოდა და რა დამწვარზე მდუღარე დაისხი, მაგრამ რაც ჩაიდინე, ის გითხარი...“

„მაგრამ, მურთხს რაც არ სჭირდა, რა უარესის დამართება შემეძლო, ის არც თავისთვის უქნია ღმერთს და საზოგადოებისთვის ხომ ზედმეტია...“

„ზედმეტი კი არა, ხორცმეტია...“

„და მისთანების დაღუპვა და დაქცევა რომ შემეძლოს...“

„ეს რომ შეგეძლო და ჰქენი, აქაა შენი და შენისთანების უპატიებელი ცოდვა. უსახური დაამახინჯეთ და გაურჯულოებული კი არ მოაქციეთ, სატანად აქციეთ და თან ნაშიერი გაუჩინეთ, რომ თქვენს მერეც თქვენმა ცოდვამ იმრავლოს და ასმა იათასოს...“

„შვილო! ჩემო ერთადერთო, რატომ არ გაწყალდა დედაშენი სანამ მის სხეულში ჩაგსახავდა. ნუთუ შენც ის ბედი გელის, რაც სვეგამწარებულ დედაშენს, ნუთუ უკეთესი არაფერი გელის, დედაშენის ხვედრი უნდა გაიზიარო“.

„იქნებ უარესიც...“

„უარესი... უარესი, მადლობა უფალს, არ არსებობს, მაგრამ ამის ნახევარსაც შვილს კი არა, მტერს ვერ ვუქადებ“.

„რას უქადებ და რას უსურვებ, ეგ არაფერს ნიშნავს. რაც გენში ჩაუდე და სისხლში რაც ჩაუთესე, ის უნდა იქნეს. სხვანაირად ყველაფერი არაკანონზომიერი იქნებოდა და იქნება“.

„რა, რა, უსიყვარულოდ რომ შევქმენი?“

„ერთი ეს და მეორე — ვისთან შეჰქმენი. ყვავის ბახალა მტრედი რატომ უნდა იქნეს“.

„ვაი, მე უბედურს, სიკვდილ-სიცოცხლით დაღუპულსა და ფესვგამხმარს“.

„ამიტომ იყო, მშობიარობას რომ კინაღამ გადაჰყევი და დედობის უზენაესობას ბოლომდე ვერ ეზიარე. ეს რომ გენიშნა, მეორე შვილის ყოლა აღარც გიფიქრია. რა ვქნათ, თუ ამას თავსაც ვერ უმხელდი, მაგრამ თვალები რომ დახუჭო კი არა, დაითხარო, ამით სინამდვილეს ვერ გადააკეთებ.

მაგრამ შენ უფრო ადრე მამამისი გადააგვარე და შვილიც, უბრალოდ, მისი ნაყოფია. ამაში მამას არ უდევს ბრალი, მამის ცოდვაც შენ გაწევს და შვილისაც — თავისთავად...“

„მამის ცოდვაც? მამამისი იმად შექმნილი არ იყო რაცაა და იმის მურთხობაც ჩემი დანაშაულია?!“

„შენი და მხოლოდ შენი!..“

„შვილი მე გავაჩინე, მაგრამ ნოე ხომ ჩემ გაჩენამდე ორი წლით ადრე... რატომ გაუჩნდა დედამისს და თუ გაუჩნდა, რატომ ზედ არ გადაჰყვა!“

„მურთხები ქვეყნად არ იარსებებდნენ, შენ და შენისთანები რომ ხელის დამცლელებად არ ჰყავდეთ...“

„მე ვუცლიდი ხელს ნოე ხინიკაძეს და მისი თანამზრახველი და თანამონაწილე ვიყავი?!.“

„აბა ვინ!“

„მე შემეძლო მისი გადარჩენა და არ ვქენი? ჩემთან ის მაინც იყო, რომ თავის საქმოსნობას ვერ ამხელდა და პატიოსანი კაცის ნიღაბს მაინც ეპოტინებოდა. ისე აღვირახსნილი და თავზეხელაღებული ავაზაკი მაინც ვერ იყო, რაც, ალბათ, სინამდვილეშია“.

„ეს კიდევ უარესი. შენ იმდენად გააოხრე და გაათითლიბაზე, აღარც ისაა რაცაა და საზოგადოებასა და სამართალს კვალი სული აურია, ამისთანის მიგნება უფრო ჭირს და ამისთანა უფრო დიდხანს ითარეშებს, ვინემ ტყეში გაჭრილი ავაზაკი. შენ. საზოგადოებაში მალვა და გულშავს თეთრი კბილების ჩენა ასწავლე. მაგრამ ამაზე ადრე მოხდა უფრო დიდი ჯოჯოხეთური ცოდვა. ამისთანები რატომ ჩნდებიან და არსებობენ, როგორ გგონია, მართლა დედამისმა შვა მხოლოდ ასეთი და ასეთნაირი აღზარდა? არც ერთ დედას არ შეუქმნია შვილი მპარავად და მლიქვნელად. ყველას, ისევე როგორც შენ, შვილი პა-

ტიოსანი და ქედუხრელი უნდა. ქვეყნის მოჭირნახულე და სახელდებული. ამბაირს ის ზრდის თუ არა ეს სხვა საქმეა, მაგრამ მე დედის სურვილზე და მცდელობაზე მოგახსენებ. ბავშვი კი იმ ოჯახით იზრდება, სადაც დაიბადა და ცხოვრობს, მაგრამ ცალი თვალი მაინც გარეთ უჭირავს, სახლიდან რომ გავა რა გზას დაადგეს, რით უფრო მიიქცევს იმათ ყურადღებას, ვინც ეზოს გადაღმა ელოდება.

ვოგო-ბიუებმა თუ ჭანჭურის ქურდობისათვის ტაში დაუკრეს, მერე ნესვსა და საზამთროს გადმოათრევს სხვისი ბაღიდან. თუ მიაფურთხეს და ზურგი შეაქციეს — საკუთარი ეზოს ხილსაც ნამალავად არ გადაიტანს, ვინმეს ნაქურდალი არ ეგონოსო. შენ და შენისთანა ქალებს რომ მურთხებისთვის ხელი გეკრათ და გვერდით არ მოწოლოდით, მათ ის სახლიცა და ის სქელი ჯიბეც არმად და ოხრად დარჩებოდათ. ისინი ხომ, თქვენთვის აშენებენ და თქვენთვის ჰყიდიან სულს, რაკი იციან, თქვენი დაუფლება ამ გზით შეიძლება“.

„ჩემი დაუფლება ამ გზით?!.“

„აბა ერთი მურთხებს ჰკითხე. მას თუ ჰგონია, შენ მეგობრის ერთგულებისთვის გაჰყევი და მისი „პიროვნება“ და „დამსახურება“ არაფერ შუაში იყო....“

„ის ამას გაიგებს?“

„რომ ვერ გაიგებს და არ ვაგებინებთ, უბედურებაც ესაა. დაინახა... რამდენი ოჯახია თქვენს შვიდსართულიან სახლში? ალბათ უამრავი. რამდენი ბავშვი და ახალგაზრდაა? ღმერთმა ამრავლოს და ალბათ უამრავი. ხედავენ, ამ მართლა მურთხს აგერ მზეთუნახავი ცოლი ჰყავს“.

„მზეთუნახავი...“

„ყველაფერი შედარებითაა, ნოესთან მართლა მზეთუნახავი დაგერქმევა. მათ ხომ არ იციან შენ რისთვის, რატომ, სიყვარულითა თუ სიძულვილით გაჰყევი. ერთად ხართ და ცოლ-ქმარი გქვიათ. რა ღირსებები გააჩნია ნოეს? რამ მოხიბლა მშვენიერი ნუცა? არავითარი — გარდა ბინისა და ხარახურისა. ესე იგი, რაა საჭირო იმისათვის, რომ მშვენიერ ქალს დაეპატრონო? ფული, ფული... დღეს თვლა და ანგარიში ბავშვებმაც კი ზედმიწევნით იციან. ნოეს ხელფასიც იციან და მისი ჯამაგირი რისი მყიდველია, ისიც. ესე იგი, რა გზას დაადგეს (თუ უკვე დამდგარი არაა) ვისაც ლამაზი, ჭკვიანი, ღვთისნიერი, ერთგული ცოლი უნდა? ნოესას! აბა, თქვენს სახლში რომ პირველ სართულზე ცეცხლფარეში ცხოვრობს (მისი საკუთარი ქოხი მოჰყვა ნგრევაში

და ბინა თქვენთან იმიტომ ერგო) რა შავი ცხვირ-პირის პატრონიცაა ცოლიცა და შვილიც ალი-კვალი ჰყავს. შენ კი გშურს მისი პატიოსნებისა და ტოლფერობის, მაგრამ აბა სხვასაც ჰკითხე? ნოეს უდგია სახლის წინ დილა-საღამოთი მანქანა და საათობით ყურყუტებს და თვლემს საჭეზე მძღოლი, თორემ ცეცხლფარეში საღამოს რომ მზარზე შავ ნიჩაბს გაიდებს, დილით გამოჩნდება იმ ნიჩბისფრად გამქვარტლულ-გამურული. რაც ქვეყნად მურთხია და მათი ცოლ-შვილი, იმ ცეცხლფარეშის ნახშირისფერი ფრჩხილის ფასად არა ღირს, მაგი შენ ხინველისაგან თუ იცი, თორემ შენც გაგიჭირდებოდა.

შენ და შენისთანებმა შეჰქმენით მურთხები თორემ, თქვენ რომ გამურული ცეცხლფარეშები აგერჩიათ გულისსწორად, ნოეთანები ქვეყნად ვერ იბოგინებდნენ. თქვენაა, რომ ეუეენა წვიმად ეპკურებით და სოკოსავით ამრავლებთ!"

„შვილი..."

„შვილი ეკონომისტ მამას უნდა დაემგვანოს. აბა, ცეცხლფარეშსა და მენახშირეს — ღმერთმა ნუ ჰქნას. თუმცა, არც შენა და არც ქვეყანას არ აწყენდა.

შენი შვილი რომ მამამისის „ღირსების" კაცს გაჰყვეს..."

„ღმერთმა დამიფაროს!"

„რატომ? შენ არც მშობლები და არც წინაპარი გყოლია არამი და სხვისი კაპიკი რომ კაპიკია, იმის მიმთვისებელი და მურთხის ცოლი ხარ. შენ ქალიშვილს რა მამაც ჰყავს, იმის ბადალმა რომ ინდომოს, ხელი რა მიზეზით ჰკრას. მით უმეტეს, ქალიშვილებს მამაკაცის იდეალი მამის კვალობაზე უყალიბდებათ და მამის ტოლფერ საქმროებს ირჩევენ. შენ დაუმკვიდრე ცხოვრებაში ადგილი მურთხებს".

„ნუთუ ასე გამწირავს ღმერთი, ჩემს მსხვერპლად შეწირვას არ იკმარებს და საშვილიშვილოდ დამსჯის".

„შენ თვითონ გაიწირე თავი... თუ, პირიქით, მთლად შენს თავზე იფიქრე, დაღუპე ლაშა ხინველი და ნოე ხინიკაძეები გაამურთხე, შვილი არ დაზოგე და მომავალი არ განკვრიტე.

ჩვენი თავი რომ მხოლოდ ჩვენ გვეკუთვნოდეს და ვისაც გვინდა შევწიროთ და შევიწიროთ, წუთისოფელი ასეთი თავბოლო გაუსაგისი როდი იქნებოდა. ჩვენ ისევე ვართ წარსულზე ჯაჭვით ჩაბმული, როგორც მომავალზე და არც ჩვენ ვეკუთვნით ჩვენს თავსა და ნებასურვილს, როგორც ჩვენი შვილ-მომავალი ვერ იყვავილებს, თუ ფეს-

ვებს მოწყდა. შენ ატმის ხედ მოდი ამქვეყნად და ანდაზისა არ იყოს: „მამაშენი ხარაზი იყო და ნალბანდობას რა გრჯიდა“.

„გამოდის რომ, მთელი ცხოვრება ეცოდე და დღეს... თუ საერთოდ, ღირსეულად დავისაჯე?“

„რა თქმა უნდა, ასე რომ არ მომხდარიყო, ის იქნებოდა უსამართლობა და განუკითხაობა. შენ დღეს უარი თქვი და დაკარგე ის, რაც შენი არ იყო. კაცმა რომ თქვას, შენ დაიბრუნე შენი იმით, რომ უარი თქვი სხვისაზე. შენ მდიდარი ხარ, რაკი ახლა ნაარმი და ნასხვისარი არაფერი გაგაჩნია. შენ არა ხარ იმის ცოლი, ვინც გძულს, შენ არ იცხოვრებ სხვის სახლში და არ შეჭამ სხვის ლუკმას. შენ მაძღარი იქ-ნები, რაკი გეშიება, შენ მდიდარი იქნები, რაკი თავშესაფარი არ გექ-ნება და შენ პატიოსანი იქნები, რაკი იმის გვერდით არ დაწვები, ვი-საც არ ინდომებ. შენ არ დაისაჯე — დასჯილი იყავი და საპყრობილე-დან თავი დაიხსენი. შენ იპარავდი და უარი თქვი სხვის ჯიბეში ხელის ჩაყოფაზე. შენ მონა იყავი და თავისუფლებას ეღირსე, ყოველდღე სცოდავდი და გზამართალს ეზიარე...“

„საით მიდიხარ! აბა, კარგად დაფიქრდი, საით მიდიხარ!...

სულ ერთი თუა, უკან წადი, რაღა აქეთ დაადე თავი?

საით და... უკან შებრუნდი, საიდანაც მოსულხარ, თუ მართლა სულ ერთია, ან, ვინც ხელს დაგიქნევს, გაეკიდე.

ვერ ჰქენი?

რატომ, რატომ ვერ ჰქენი?“

„მშიშარა ვარ, მხდალი...“

„მშიშარა ხარ, მხდალი?.. როგორ გავიგოთ, სიბნელის გეშინია, მგლისა თუ მოჩვენებების?“

„საბოლოო, უკან დასახევი რომ აღარ მრჩება, ისეთი ნაბიჯის გა-დადგმისა მარტოდმარტოს ყოველთვის მეშინია“.

„ნოეს როცა გაჰყევი?..“

„რა განვიცადე ვინ იცის, სული ამომხდა. მაგრამ მაშინ ხომ მარ-ტო არ ვიყავი. ნატა იყო ჩემს გვერდით, დედაჩემი და ისიც, ვისაც ამ გზაზე მივყავდი, მიმათრევდა...“

„საცოდავ ნოეს ტყუილა ხელს ნუ ახოცავ. შენ ხინველმა გადა-გადგმევინა ნაბიჯი და ყველაზე მთავარ დამნაშავეს, იმდენად ბრმა ხარ მისი სიყვარულით, ვერ ხედავ თუ ვერ იმეტებ, მისი ჩრდილიც კი არ გინდა დაინახო. მაშინაც, როცა მურთხის ხელში ჩაგაგდო და ახლაც. როცა გზა-შარაზე საწანწალოდ გამოგაგდო. ყოველთვის ის

იყო ამის მიზეზი, მაგრამ იგი შენთვის იმდენად წმინდაა, ვერ განსჯი...“

„ჰო, იქნებ ისიც... და ამიტომაც ვთქვი, მარტო არ ვიყავი-მეთქი...“

„მარტო არც ახლა ხარ“.

„ღმერთო, ჭილაა ჩემს ბარობაზე. სადაა ნატა, სადაა ჩემი იმედი და შეელა, ჩემი გამგები და გზის გამგნები. სადაა დედაჩემი, ჩემი ქვეყანასთან და ბედთან შემრიგებელი, ჩემი...“

„ნატაზე მეტს ნუღარ ვილაპარაკებთ... ვიცი ის, რატომ და რისთვის... დედაშენი კი... საცოდავს რა შეეძლო დიდი და უანგარო მშობლიური სიყვარულის მეტი. ნათელდამდგარი, ერთი უბირი, ბედის მორჩილი ქალი იყო, ამქვეყნიდან ისე წავიდა, მისი ხმამაღალი სიტყვაც კი არავის გაუგონია. შენს თავბოლოობურდულ-დაბურდულ ყოფაში რა უნდა გაეგო. ხინველი მართავდა შენს სულს, ყოფას, საქციელსა და დღესაც მის ხელებში ხარ შეჩერებული...“

„მე იგი მას აქეთ თვალითაც არ მინახავს. თუ მაშინ... ახლა მაინც რატომ ან როგორ?!.“

„თავს ნუ ისაწყლებ და მამა აბრამის ბატკნად ნუ მოგაქვს...“

„მე, ქვეყნის დამაქცევარს, ამდენი ადამიანის გამაუბედურებელს, დედ-მამასთან, ქმარ-შვილთან და ქვეყანასთან პირშავს...“

„შენ კიდევ გჭირს ერთი დიდი ცოდვა...“

„ყოვლად ძლიერო!.. ამ ერთ გაუბედურებულ, უმწეო არსების თავზე ამდენი ვაი-უშველებელი დაეტეცა!“

„შენ შურისმაძიებელი დღეს არ გამხდარხარ!..“

„შური ვიძიე ხინველზე, როცა ხინიკაძეს გავყეევი?“

„თვითონვე იცი შენი ავი და დროა ცხვრის ტყავიდან გამოძვრე“.

„მე, მეხდაცემულს, ცხვრის ტყავიც მფარავს?! და მე არც ნატას ერთგულება ვიცოდი, არც სიყვარული. არც დედა და არც მამა... მამაჩემთანაც იმიტომ წავედი, რომ ქმრისთვის საღალატოდ ხელები გამეხსნა?..“

„ამისთვის თუ არ წახვედი, იმდღესვე იმისთვის კი წამოხვედი, რომ დანაშაულზე წაგესწრო“.

„და ასე ქუჩა-ქუჩა მეწანწალა?“

„ეს არაა წანწალი, იცი შენ! მაგრამ მართლაც რომ მშიშარა და მხდალი ხარ. ვერ ჰქენი, რომ ერთ დღეს, მხოლოდ სინდისისა და ჭკუის კარნახით, დაგეკრა ფეხი და ყველაფერ სხვისაზე უარი გეთქვა. შენ, დედაშენივით, საზოგადოების, გარემოს, კუთხე-მეზობლისა და „ვინ რას იტყვის“ ყველაფრის ყურმოჭრილი მონა ხარ და შენი ცხოვ-

რებით ვერასოდეს ვერ იცხოვრე. მართალი ცხოვრება რაა შენ არ იცი, როგორც ჩვენში ბარე ორმა. შენ ან ერთგულებ ადამიანებს და მათ ნება-სურვილზე დაგატარებენ, ან ჯიბრში უდგები საკუთარ თავსა და თავზე უკეთესს და შურს ძიობ. შენში დედაშენის უნიათო სათნოება და მამაშენის ჯანყი და სიავე ებრძვის ერთმანეთს. ან უკიდურესად ერთგული და მოსიყვარულე ხარ, ან ხმალამოღებული ნაცვალმგებელი, ან მშიშარა და უმწეო ხარ, ზნეობრივი და წმინდა, ან მოღალატე, უნდო და შეუბრალებელი... ხინველი ხომ შენი ერთადერთი იყო, არის და იქნება, რაკი ერთგულება და სათნოება ხარ, მაგრამ არა ისეთი, ეს მართლა მარტო შენ გცოდნოდა. როცა მან კინოში მარტო შენ დაგპატიჟა, საერთოდ არ მისულიყავი. მაგრამ მაშინ რა ეფიქრა იმ კაცს? შეიძლება ამით ვერაფერი გაეგო, ან არ გინდოდა და არ მიხკედი. მარტო რომ მისულიყავი მაშინ ჰკარგავდი იმას, რისთვისაც უყვარდი. შენ ყველაზე მწვავე და ვერაგი გზა აირჩიე — მიხვედი და ნატა მიიყვანე. ასე რომ არ გექნა, შენი განუმეორებელი ერთგულება და შეწირვის უანგარო ნიჭი როგორ დაენახათ. ან თბილისის ზღვაზე მართლა არ წაყოლოდით, ბოლოს და ბოლოს, ნატა მხარზე გადებულს ხომ ვერ წაგიყვანდა. ან არ გაგეხადა, დავიჯერო, ნატა კაბას მართლა შემოგახევდა? მაგრამ მაშინ შენი დიდსულოვნება და სულგრძელობა ხომ არ ეცოდინებოდათ. ნოეს რომ არ გაჰყოლოდი, ყველაფერ იმას, რისი ნამდვილი ნიჭიც გქონდა და რაც წლიდან წლამდე აკეთე და აშენე, ხომ გვირგვინი არ დაედგმებოდა და ხინველი დღემდე უცოლშვილო და შენზე შემოჩერებული არ იქნებოდა...“

„მაშინ შური რაღად ვიძიე“.

„თავს ,ნუ იკატუნებ-მეთქი, გითხარი მე შენ! შური იძიე იმიტომ, რომ ხინველი ამას შენგან მოითხოვდა. მოითხოვდა, თუ მართლა შენ ყოვი ის, ვისაც ის ესავდა და ხატად მიაჩნდა (თუ უხერხული არაა ღმერთის წარამარა შეწუხება), გაღმერთებდა, ბარემ ჯვარზე გაკრულიც ენახე, რომ დაეჩოქა. და შენ, გამწარებული, რომ რაც გააკეთე არ გაკმარეს და ახლა ჯვარცმაც მოგთხოვეს, შურისძიებად შეპყრობილი გახდი ნოეს ცოლი. შიშითაც, რა თქმა უნდა, რომ მას დაჰკარგავდი — ყველაფერს დაჰკარგავდი. შიშითა და სიმხდალით, რომ სიყვარული ხელიდან არ გამოგცლოდა, რაკი შენ, დედაშენივით უნიათოსა და უსუსურს, არ წაგქცეოდა კედელი, ფუძე, საყრდენი, სიყვარული, რაკი უმისოდ არარაობად იქცეოდი, გუდაფშუტად, ნაცარტუტად.

ჰო, მართალია, შენ მშიშარაცა ხარ... ხალხთან და ქვეყანასთან კი

არა, საკუთარ თავთანაც ბრძოლა და ჯანყალებ, იმდენადა ხარ შენივე რწმენის ერთგული... გითხარი ამის თაობაზე, შენივე ერთგულების ერთგულება გღუპავს. იგი ისეთ და იმდენ ეჭვებს გიჩენს, შიშით შენივე თავს ვერ უტყდები. შენშივე აღმოჩენილი შენი მოწინააღმდეგე გაფეთებს და გაორების ბჩრდილი გზარავს. ამას უთუოდ გრძნობდა ხინველი და შენი მთლიანობა და შენივე თავისადმი ერთგულება ხიბლავდა. მართლა ძნელია დღეს ასეთი ადამიანის და ისიც ქალის პოვნა. მით უმეტეს, იგი სპორტით გატაცებული ბიჭი იყო და ქუჩაში და გზა-შარად სატანტალოდ არ ეცალა. თუ მაინც ვინმე-ვინმეებს ხვდებოდა, მათი ამოსაცნობი და ამოსაკითხი დრო და მოცალეობა სად ჰქონდა.

რომ გეგონა, ნატას მაინც შენი სიახლოვე უშლიდა ხელს..."

„ვერ ვირწმუნებ, რომ მე ნატას მეტოქეობას შევძლებდი".

„ესეც შენი ლირსებაა, თვითდაჯერებული და თვითკმაყოფილი არა-სოდეს ყოფილხარ, ნატა ხუდავდა თავის უპირატესობას, რაც ხელს უშლიდა შენი დაენახა. ლაშა კი ფეხის ფრჩხილებიდან თმის ღერამდე ორივეს გიცქერდათ. როგორ შიშვლდებოდა შენი დაქალი და გაშიშვლებდა შენ. როგორ აგებდა ის და ზეიმობდი შენ".

„როგორ, რაც მეგონა ჯარგი მქონდა და ვითომ უანგაროდ ვაკეთებდი, უველაფერი ჩემს წინააღმდეგაა?!"

„ნატა თუ ჩაიდენდა იმას, რაც შენ გააკეთე?"

„უმალ... ჩემზე ადრე და ჩემზე უკეთესად".

„არა. იმას შენსავით თავის გამეტება არ შეეძლო. იგი უსიყვარულოდ და ისიც მურთხებს ვერ დაუწვებოდა. ამოდენა არ იყო ნატა, სიყვარულისთვის ამხელა მსხვერპლს ვერ გაიღებდა, მის მშვენიერ-სხეულს ჭუჭყში და ტალახში ვერ ამოსვრიდა. ამას ხედავდა ხინველი".

„ხინველი თუ ხედავდა, ნატა უნდა დაენახა..."

„მაგრამ რა ექნა, როცა, საუბედუროდ, იქვე იყავი შენ!"

„მე?!."

„შენ, შენ, შენ! ნუ გავიწყდება, რომ ქუჩაში ხარ და ხმამაღლა ნუ წამოიძახებ!.. და, თუ ხვდავ, რომ ისევ იქით მიდიხარ..."

„რომ არ ვიცი სად ჯანდაბაში და ჯარხანაში..."

„არც მაშინ იცოდი..."

„არც ვიცოდი. თუ რაიმე მაინც მართალია, რაშიც მე ბრალი მედება, მე ხომ ძირის კოდემდე არ ვიცოდი რას ვაკეთებდი და რას ჩავდიოდი. მე მასწავლიდნენ და მმართავდნენ ნატა და ლაშა. გარემო,

სამყარო, გენი. მე მღვრიე მდინარეს მივქონდი და რამდენ ქვასა და ლოდს შემახეთქა, ხომ არ შეიძლება ყველაფერი კისერზე ცოდვად დამაწვეს“.

„ნატამ მართლა იცოდა ერთგული და დიდი სიყვარული, შენც უყვარდი, რაკი ქალს არ უერთგულია ქალისთვის, როგორც შენ მას, მაგრამ ხინველიც რომ ამას ხედავდა! რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, ის რაღა იყო, როცა მეგობრის ერთგულებას სიყვარული შესწირე და მთაში გადაიხვეწე“.

„ეს ხომ ნატასთვის... ხომ მთელი სულითა და გულით...“

„სულითა და გულით რომ იყავი მართლი და ჭეშმარიტი, ეს იყო — ხინველს რამდენს შორდებოდი, იმდენად მის სულს უახლოვდებოდი...“

„რა ვიცი მთაში წელიწადნახევარი ვიყავი და ერთხელ არ ამოსულა!“

„ელოდი!“

„ღმერთო, დამიფარე! არა, მაგრამ თუ ასე იყო?“

„იცი, იგი არ იყო ამის კაცი შენზე სანადიროდ მთაში წამოსულიყო, როგორც ამას მისი „მეგობარი“ აკეთებდა. და ამას გარდა, ნატას თანაგრძნობა შენს გამო არ შეეძლო, თორემ სასიკვდილოდ კი არ ემეტებოდა. იმას რომ იქ ჩამოეკითხა და ნატას ეს გაეგო, რა ჯოჯოხეთი იქნებოდა? ხინველმა მეტოქე ხალიჩაზე წასაქცევად ვერ გაიმეტა და ნატა იმაზე კარგი მეგობარიც იყო და ახლობელიც, გასაწირავად მოიძულებდა? ან შენ, ამისთანა კაცს რა თვალით შეხედავდი...“

„ხინველს სულ ჩემ გასალმერთებლად ეცალა... მით უმეტეს მაშინ. ყოველი მეორე გოგო მასზე იყო შეყვარებული, თვალში და პირში ბუზებივით უცვივდებოდნენ...“

„ისე ამაყი და ჭკვიანი ნატაც კი... და შენ?“

„მე რა, ფეხებზე მომეკიდებინა ქვეყანა, ხინდის-ნამუსი, მეგობარი... და კალთაში ჩავჯდომოდი?“

„ჰო. ჰოდა, შენც იმათ დამგვანებოდი. ერთადერთი ხსნა ეს იყო და არა ის, რაც შენ ჩაიდინე“.

„განზრახ არაფერი ჩამიდენია, იცოდეს ღმერთმა!“

„განზრახ რომ ჩაგედინა, ყალბად და ყასიდად, გგონია გამოეპარებოდა და იმათ რიგში არ დაგაყენებდა?“

„მაშინ არ ყოფილა საშველი“.

„არა, შენ უყვარდი ხინველს და სხვა საშველი არ იყო.“

„ეუ, დალამებულა...“

რა უნდა ამ კაცს და ახლა ამის თავი გაქვს შენ?

დაანებე, თუ ძმა ხარ, თავი, ქალს, თავი წყალში გადასაშვებად აქვს ლია შენი ხუშტურებისა და ენებების რა გაიგოს?!.

კაი ერთი, მამა გიცხონდა... რა მოხდა, ქალმა სანაპიროზე არ შეიძ-ლება გაიაროს? იქნება მდინარის ცქერა უყვარს, ან იქნებ წყალში ენეჭების დათვლას აპირებს. მაინცდამაინც შენი „სიყვარულისთვის" ქოიცალა გგონია?

მით უმეტეს, ვერ მიატოვებ და მთელი ღამე უდარაჯებ? გულში ჩაიკრავ და წყალს კი არა, ცივ ნიავს არ მიაკარებ? შენი ენებები რომ დააცხროს, მერე გადაიფიქრებს გგონია? შენ თუ ასეთი წადილი არ გავიჩნდებოდა, მაგის დარდი ჰქონდა და ამიტომ აპირებდა თავის დაჩრჩობას თუ?..

წადი, ოჯახაშენებულო და იმ საქმეს მიხედე, რამაც ასე ქუჩა-ქუ-ჩა და წყალ-წყალ, ქალი საძებარი გაგიხადა.

„ლაშა ხინველთან მიდიხარ ახლა შენ?"

„ა!"

„კი. კი".

„მაშინ ბაწრით შემკონეთ, ჯაჭვებით დამაბით!"

„ჰო, ასე რომ შეიკვირვე და შეიცხადე..."

„სახლი..."

„სახლიც იცი და კარიც. სამსახურიცა. და სარბიელიც..."

„არა..."

„მაგ „არაა", რომ დაგლუპა და გლუპავს, მაგ ჯიუტი ერთგულება და ვაუანალიზებელი უღალატობა... მაგრამ მგონი გასწავლეს ჭკუა და ჩაგახედეს გულში, მუდამ ქვასა და ლოდს რომ აყრიდი, ცოცხლად მარხავდი და ასამარებდი".

„გულის კარნახით, ყოველთვის გულისა და არა..."

„გულის კი არა, ჭკუისა და სინდის-ნამუსის. რაც ერთი ცივია და მეორე იმდენად ზოგადი, ყოველი კონკრეტული ვითარებისათვის და პიროვნებისათვის არ გამოდგება".

„მისი ასავალ-დასავალიც არ ვიცი, მას მერე თვალითაც..."

„მერე რა, რომ თვალითაც არ გინახავს, განა გული უფრო კარ-გად და შორს არ ხედავს? რა ვუყოთ, რომ თერთმეტი წელიწადია არ გინახავს. თერთმეტი წელიწადი ბევრია, მაგრამ მთელი სიცოცხლეც არაა... დღეს ეს ასე რომ არ მომხდარიყო და ასი წელი არ გენახა —

მთელი საუკუნე, ასევე არ გეყვარებოდა და არც ის ინდომებდა შენს კარდა არავის?"

„არ ინდომებდა!"

„რა გაკვლებს. კიდევ კარგი, აქ მანქანების მეტი არავინაა და მათ სრბოლაში და გუგუნში არავის ესმის..."

„მე ენაჩასაცივებელი, ვკივი?! მაგრამ, „არ ინდომებდაო"...

„რავა, ინდომა თუ?"

„ეს ნატას გამო..."

„ნატას გამოც... შენი ქმრის... მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ შენი გამოისობით".

„თუ ნატასა და „იმის" გამო... მხოლოდ ჩემი გამოისობით?.."

„ნატაცა და ნოეც თქვენს გზაზე იდგნენ და იმიტომ, თორემ შენს იქით სხვა გზასავალი რომ ჰქონოდა, ვინ აკავებდა".

„ნატას ავადმყოფობა და ისე უღვთოდ დაღუპვა... ჩემი, რატომ არ დაიქცა ის დღე და საათი, გათხოვება".

„შენმა გათხოვებამ იყო, რომ მოუთავა ხელი..."

„და არ შემიძულა, არ შემაჩვენა!"

„ქუჩაში, მარტოხელა ქალის, ლაპარაკი და ქაქანი?!."

„გიჟი ვარ... არა თუ? ნეტავ საავადმყოფოში მომამთავსონ".

„ღალატისთვისა თუ სიყვარულისთვის რომ ქალები საგიჟეთში მოათავსონ, ნახევარზე მეტი, რკინის გისოსებისა და უსახელურო კარების შიღმა იქნებოდა გამოკეტილი".

„იმ დასაწვავი და დაფერფლილი დღის მერე მაინც ჩემზე რა გული უნდა ჰქონდეს".

„იმ გათხოვების მერე იყო, რომ ყველაფერზე ხელი ჩააქნევინე".

„და ჩემზეც... ჩემზეც, ყველაზე მეტად..."

„ყველაფერზე და ყველაზე".

„ვიკივლებ!"

„ჰო, მაგრამ ეს მაინც ასეა!"

„ხმა, ხმა ალარა მაქვს, ხმა დავკარგე..."

„ეს კიდევ უკეთესი... მაგრამ რომ გათხოვდი, მან არ იცოდა, რატომ ჰქენი?"

„საიდან?.. ან ყველაფერი?.."

„რა გითხრა მურთხმა, იმ შუაგულ ზამთარში რომ მთაში პირველად ამოგაკითხა. მთელი დღე იწრიალა და სანუგეშო ერთი სიტყვა ვერაფერი დაგტყუა. მართლა ფოჩიანი კანფეტებისა და ბისკვიტების

ბალღი ხომ არ იყავი. როცა ვერც იმ დიდთოვლობისას და ვერც მერე, ნოე რომ ამაოდ დაშვრა... სულ ბოლოს ის თავზარდამცემი ამბავი მოგიტანა: „ნატას კიბო აღმოაჩნდაო...“ — ჰო, ეს მეორე წელიწადს მოხდა და მურთხის ბედიც გადაწყდა. შენ, დარდისაგან და შიშისაგან დაზაფრულმა, მაშინვე ყველაფერი მიატოვე და, რაც გეცვა, იმის ამარა მურთხს გამოეკიდე. როცა მკერდში სიკვდილჩასახლებულმა შენმა ნატამ ვედრებით შემოგხედა, ისე რომ თვალთაგან კურცხალი ცრემლი არ წაცდენია: ვკვდები, შენი და ჩემი ლაშას საბედნიეროდო...“

„მითხრა?“

„ზუსტად ეს გითხრა“.

„ასე, სიტყვასიტყვით?“

„რა, მაინცდამაინც სიტყვასიტყვით უნდა ეთქვა? თუ შენსავით ქუჩაში ეკივლა და ეწივლა?“

„ჰო, ასე „მითხრა“.

„და, შე მართლა საწყალო და უბედურო, შე მართლა ბრმა ერთგულო და უღალატო, რა უთხარი?..“

„აბა, რა მეთქვა, სხვა რა შემეძლო“.

„არაფერი. არც შენა და არც დედამიწის გულზე არავის, სხვა არაფერი. სიცოცხლით სავსე, ჭკუითა და გონებით, ერთგული სიყვარულით გულდამძიმებული ადამიანი და მეგობარი, მეცნიერი და შშვენიერი ქალი თვალსა და ხელს შუა იღუპებოდა. არაფერში, არაფერში რომ მისხალი, იოტის ოდენი დანაშაული არ მიუძღოდა, ისჯებოდა კაცისმკვლელისა და კაცის ხორცის მჭამელის სასჯელით — სიკვდილით“.

„მე, მის უკან ცოცხალი ვრჩებოდი...“

„გეგონა რჩებოდი, თორემ რომ ახარე, გადავწყვიტე, ნოე ხინიკაძეს ცოლად წავყვეო, შენი სიცოცხლის ფასად მის ორი დღის წუთისოფელს იმედი გაუჩინე, სანამ ტანჯვით კიდევ იღარღილებდა, მანამ მაინც არ მოკალი და მიწაში არ ჩაატანე საფლავში დაუტევარი ბოღმა. გაუადვილე ამ ქვეყნიდან წასვლა და იმოდენა, ორი მეტრი, მიწა ბუმბულად უქციე. ადამიანის, მეგობრის რწმენითა და იმედით ააავსე სააქაოდ და საიქიოდ... ამას რად უნდოდა ხინველის ჭკუა და რაინდული სამყარო. თავი რომ გაენძრია, ხინიკაძეც მიხვდებოდა... მერე იმან აგაფორიაქა, ეგ ლიტონი სიტყვები არ ეგონოს, სიკვდილი შეეუმსუბუქე — არ იფიქროსო და ისე სულსწრაფად ხელიც მოაწერე, ნატა მეჯვარედ გყავდა. იქნება ადამიანისაგან ადამიანის ასე თავგან-

წირული ერთგულება და სიცოცხლის ფასად მტლედ დადება მარ-
თლაც თავისი თვალით არ ენახა, არც დაეჯერებინა. მაშინვე ბავშვი
ითხოლე, რომ მის სიკვდილამდე მოგესწრო, მღვდელი სასთუმალთან
მიუყვანე, ფეხზე დგომა და მოძრაობა რომ წაერთვა, და მოანათვლი-
ნე...

ლაშას შენ აღარ ხვდებოდი, თორემ, უკანასკნელ დღეებში, ყო-
ველდღე დადიოდა სულთმობრძავ ნატასთან... მის თვალწინ ამდენს
გააკეთებდი და ამის დამნახავი ხინველი კი არა, სატანა ქრისტეს
რჯულზე მოიქცეოდა. იგი შენოდენა იყო და იმიტომ შეეძლო შენი
დანახვა, თორემ მურთხი, კი ხედავ, როგორ გიყურებს და რასა და
ვის ხედავს.

მწვერვალები არწივების საბუდარია და არა ქურდ-ბაცაცა ბელუ-
ჩებისა და მესკიების".

„არწივებს როგორ შევბედავ. ნეტავი ღმერთს საცოდავ ღობე-
მძვრალად გავეჩინე, ფრთები მქონოდა და ძაღლივით მიბმული არ
ვიყო ამ ცოდვით ალუფხულ მიწაზე".

„დღეს, მგონი, გაწყვიტე ეს საბელი?.."

„გავწყვიტე?.."

„გაწყვიტე, გაწყვიტე და უკან ნუ იხედები!..".

„ავიღო ხელი სინდის-ნამუსზე? მივაფურთხო სოფელ-ქეყანას?
გავხდე ყბადაღებული და ლაფითა და წუმპით მსვარონ? ეუღალატო
მოღალატეს და დავემგვანო, ვინც გამამწარა?"

„გითხარი მე შენ! ტყუილად რომ გიღალატეს".

„მაშ ის არ იყო?".

„იმას არ შეეძლო შენი ღალატი, ვინც შენი არასოდეს ყოფილა,
ვისიც შენ არ ყოფილხარ. დღეს ხელის აქშევა თუ დაერქმევა ყოველ-
წამს ასაფრენად შეწკიპულისათვის".

„არც გაუცხოება?"

„უფრო ტყვეობიდან გაქცევაა, შინ დასაბრუნებლად. და ეს ტყე-
ლრე ძუნძული, უგზოუკვლო უდაბნოდან თავის დაღწევისა და სამ-
შობლოს ხილვის გზაა — შენი მიწის ძახილი".

„ღმერთო, ნუთუ ისე გამიმეტე, ერთი დღე, ერთი საათი არ მიცხო-
ვრია?"

„უცხო ტომის ტყვედ ყოფნა იყო დღემდე შენი ყოფა. ბათ რომ
შენი ენა არ იცოდნენ და შენ იმათი ერთი სიტყვა ვერ ისწავლე. ფეს-
ვებს მოგლეჯილი ყვავილივით, შაქრიანი წყლით სავსე ლარნაკში რომ

დევს და პატრონი წვინტლიან ცხვირს რომ ჩრის და სურნელს სტაცებს.

შენ დღეს თავს უბრუნდები, ფესვებს, ეს ქაოსი და გაუდაბურება თვითგამორკვევაა და მტკივნეული, როგორც პირველი ჩასუნთქვა-დაბადება. გაქცევა ის იყო, სადაც ამდენხანს იყავი. ეს მოქცევაა იმად, რადაც იქმენ.

ვინც იბადება, იმის ცალიც იბადება, მაგრამ, საუბედუროდ, ათი ათასებში იმ შენი ტოლფასის პოვნა ჭირს. არც ის შენი ნამდვილი ნახევარი არგია სხვას და არც შენ — სხვის ნახევარს. ორივეს ღარღილი წამებაა და ძებნა უპოვარისა. ხანჯლით შუაში გაჩეხილია ადამიანები და სხვა სხვის ნახევარს სახელდახელოდ, ნაჩქარევად მიკერებული. ვერ გუობს სხეული უცხო სხეულს და ერთმანეთს წამლავს. ათასში ერთს თუ გამართლებია და თავისი ნახევარი დატოლებია.

წადი, წადი! ფეხს ნუ ითრევ. წადი. იცი, რომ გელოდება... არ აქვს მნიშვნელობა, რამდენი წელიწადი გავიდა, აქ დრო და ხანი შეჩერებულია. მიდი, მიდი და შენი თვალით ნახავ... შენი ყურით მოისმენ, რასაც გეტყვის...

„შევძლებ ამას? გადავრჩები? ისევ დავინახავ და მის ხმას გავიგონებ? და ისევ... იმის მერეც ვიცოცხლებ?!."

„და ბევრს კი არაფერს, ერთ.... ერთადერთ სიტყვას:

„მოხვედი?"

თითქოს დილით გასულიყო სახლიდან სამსახურში, ბაზარში თუ იქვე, ახლომახლო".

„მაშინ, რატომ თავიდან არ დავადექი ამ გზას..."

„შეუძლებელი იყო. შენ ამ დილით, ამაზ ელოდი თუ არა, იცოდი და გინდოდა თუ არა, პირველად, თვალნათლივ დაინახე არა მარტო ბრუშობა, ღალატი და გაუტანლობა. შენ, ერთგულებამ და სიკეთემ რომ ასე დაგსაჯა და არარაობად გაქცია, არ შეგეძლო ისევ სიკეთეზე და სიცოცხლეზე გეფიქრა. რატომ ჰკლავს კაცს კაცი? და რატომ აქვს მნიშვნელობა — რა დროს მოკლა. მოიფიქრა თუ უცაბედად, ცხელ გულზე, აფექტში... ის, ვინც მოიფიქრა და მოკლა — მკვლელია, მაგრამ ვინც თბილ სისხლს სისხლი მიაგო — შურისმაძიებელი. შენ, ყველაფერი რომ შეგიგინეს და წაგიბილწეს, მაშინვე შეგინებითა და წაბილწვით მოინდომე შურისგება, რაკი სიკეთე ბოროტების წილ სიბრძნეა და ამას დაღვრილ სისხლთან კი არა, უმრავლესთაგან უმრავლესი, საკურთხეველის წინაც ვერ ხედავს... და სანამ შურისგების

ბოროტი დემონი ქუჩა-ქუჩა დაგატარებდა და ხელში თავის სისხლიან მახვილს გჩრიდა, არ შეგეძლო ხინველზე გეფიქრა. უბრალოდ, არც კი გაგახსენდებოდა, რაკი ის არაა რაიმე, თუნდაც ბოროტების წინააღმდეგ, სახმარი ბრმა იარაღი. მასთან მისასვლელი ერთადერთი გზა სიმართლეა. ამიტომაა იგი ასე ეული და მარტოდმარტო, რაკი ეს ნამდვილი, მართალი გზა ვერავინ იპოვა და თავისივე კაცობა და სინდისი დილეგად ექცა. შენ იყავი მისი მხილველი და რჩები. მიხვალ თუ არ მიხვალ შენს თავს ვერავინ დააშორებს. ნატამ — მკვდრებში და ცოცხლებში ერთადერთმა, მან იცის ამქვეყნად შენი ფასი.

წადი, წადი... შენ ორგულობისა და გაუტანლობისათვის არა ხარ გაჩენილი. ახლა ხომ ისიც იცი, რომ არაა ეგ ამბავი ნატას ღალატი... მაშინაც იცოდი, მაგრამ აქამდე ქმარსა და შვილს ერთგულებდი...“

„ქმარს?!.“

„ქმარს თუ არა მოვალეობას... შვილი შვილია, რამდენად შენ მართალი იქნები, შვილი უფრო შენი იქნება...“

„სახლი, კარი, კედელ-ყურე...“

„ტყუილია, არ გქონია შენ სახლი და კარი. შენ შენი ბინა ჯერ არ აგიგია და ჯერ არც გიცხოვრია. და, ამას გარდაც, ვისაც შენ ღალატს უპირებდი, იგი მაგადაც არა ღირს. პეშვით რომ ლაფი აიღო და თავზე დაასხა თუ ვერ დაინახავს, რა გამოვა, ხელებს ტყუილად გაისვრი. მურთხები მურს ერთი პეშვი წყლით ჩამოირეცხავენ და შენ ვერც ცოცხალი და ვერც მკვდარი ვერ მოიცილებ.

წადი, წადი. იცი შენ საით და, რომც არ იცოდე, ახლა გული მიგიყვანს, თავისთავად მიხვალ. არ შეიძლება ერთადერთ გზას ასცდე. მატარებელი ლიანდაგს ვერ გადაცდება.

მიდი და გეტყვის... აი, ნახე, თუ ერთადერთი სიტყვის მეტი გითხრას:

„მოხვედი?“

და შენც ასევე ერთადერთი სიტყვით შეგიძლია უპასუხო:

„მოვედი!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანამ ურემი გადაბრუნდება

კოზეღია ოჩრ ნანილად

ეუძღვნი სერგო ზაქარიაძის ხსოვნას.

მოქმედი პირები

აგაბო გოგვერაძე.
კესარია, მისი ცოლი.
იოველი, უფროსი ვაჟიშვილი.
დიტო, მეორე ვაჟი.
დურმიშხანი, მესამე ვაჟი.
ბუხუტი, უმცროსი ვაჟი.
გოგოლა, იოველის ცოლი.
ქუქუნა, დიტოს ცოლი.
ლანდა, დურმიშხანის ცოლი.
ცაგო, მეზობლის გოგო, ბუხუტის საცოლე-
კარპე, მეზობელი, აგაბოს ნათლული.

ნაწილი პირველი

სურათი პირველი

პალატის, სოხანიანი, ფართო ოთახი ბუნრით. ნაპაზე კარდალი კიდია. ღადართან მიდგმულია ქოთანი. კუთხეში ფარდაგგადაფარებული ტახტი. დგას, იქვე ბამბუკის თარო — წიგნებისათვის. ტელევიზორი, ოთახის მეორე კუთხეში პერპელი, კეცები, კოკები. კოკებზე პილპილების და ზაფრანის აცმულები კიდია. ტახტზე გულდმა წევს აგაბო. გულზე ძველი, უუაშემოცრეცილი სქელი წიგნი ადევს, ფურცლავს, ადგილებს კითხულობს. შემოდის მეტისმეტად აფუსფუსებული კესარია. არ იცის რომელ საქმეს მოკიდოს ხელი. ტახტზე წამოწოლილი აგაბო რომ დაინახა, პირუტი ეცა.

კესარია. აგაბო ხარ, კაცო, შენ?!

აგაბო. აჰ... (თავისთვის.) ჰო...

კესარია (უმწეოდ ჩაჯდა). კაცო, წევხარ, შე ჩემი ცოდვით სავსეო? დამეკარგა თვალები, ჭკუა დაუკარგავს ამ შავდღიანს... იმ კარგ დედ-მამის სული არ წამიწყდება, შენ შვილები არ გიყვარდეს...

აგაბო. აჰ...

კესარია. აგაბო ბოგვერაძე, შაგ დაჩინჩული წიგნი გადააგდე, რა-ლაცას ნუ პრუტუნობ თუ არა... გადამრევ, იცოდე...

აგაბო (წიგნი დახურა). რა იყო, კესარია, შენ მაინც რა გრეულ, შე გაჭირვებულო...

კესარია. დედა, დედა, რატომ მიდგია ხული, რატომ მოვალწიე ამ დროამდე!..

აგაბო. ჰო, რა იყო ახლა?!

კესარია. აგაბო ბოგვერაძე, შენს თავს კაი რალაცა არაა, იცოდე შენ! (მივიდა, თვალებში ჩახედა.)

აგაბო. ჰო, რავა ატყობ, მოვიხედავ სააქაოსკენ, თუ იცი?

კესარია. არა, არა, მას მერე რაც ბუხუტიმ ის ქალი დანიშნა, შენს ჭკუაზე ალარა ხარ, შე კაცო!

აგაბო. მართალია, კესარია.

კესარია (დატკბა). სიხარულზე დაგემართა, ალბათ, შე უბედურო, სიხარული ძნელია, აგაბო, არც მე ვიცი რა მჭირს, ფუთქარიანი ქათამივით დავფოთიალობ.

აგაბო. შენ მართლა გახარებული ხარ, კესარია!

კესარია. რაო, აბა, შენ რა გჭირს? თვალებში შემომხედე, უაძახო!

აგაბო. ორმოცდაექვსი წელია გიყურებ, კესარია, არ გეცოდები, შე ქალო?

კესარია. ცოდვამ და ბრალმა გკითხოს შენ! ორმოცდაექვსი წელია მიყურებ, აჰ... არ მოგწონვარ, არა? გაწყდა შენი გვარი და ჯილაგი, აგაბო ბოგვერაძე, ისე, რომ ჩემს შვილებს არაფერი მოწეოდეს. ზევით ადექი, შე გაფუჭებულო უაძახო, თუ არა, დაშნიანის ქალი არ ვიყო, თუ წარბები არ გამოგიქნა.

აგაბო (სრულიად გულგრილად). დაწყნარდი, კესარია, შენ მაინც ბედნიერი ქალი ხარ, შე დალოცვილო!

კესარია. შენ რა გჭირს, შე ჭირგასაჩენო, სნეული ხარ თუ უსახლკარო; თუ, შვილებმა გაჭამეს სირცხვილი... ღმერთო... (ხელები აფაჭრო.) ყარგად მიმყოფე ჩემი ბიჭების თავი! (აგაბოს.) ვერ გაგიზარდე, მე შენ გეტყვი, ნასწავლი შვილები!

აგაბო. კი გაზარდე, კესარია, კი...

კესარია. მერე ხომ არ გიხამა, შე შავდლიანო! ოქვენს გვარში მარტო შენ იცოდი ორი ანაბანა და მღვდლის მოკამაგირე რომ არ ყოფილიყავი, არც ის გეცოდინებოდა!

აგაბო. მიხამა, არ ვიყავი მიჩვეული და მიხამა... შენ თუ ჩემი ადგილი გინდოდა, რატომ დამლუპე, კესარია, რას მერჩოდი?!

კესარია (ვედრებით). არ უსმინო, მამაზეციერო, შენი მონა-მორჩილია.

აგაბო. თუ მართლა ღმერთი გწამდა, კესარია, რატომ მიქენი, რატომ ჩამაგდე ამ გაგანიაში!

კესარია. გაწყინა, აგაბო ბოგვერაძე, მინისტრმა შვილებმა? მამა-შენს რომ ქალამანი გაეხეოდა და მერე შენ იმ ქალამანს საგარეოდ იცვამდი, ასე გინდოდა შენს შვილებს ეცლოთ?.. (პაუზა.) ჰო, ამოიღე ხმა, რავა დადუმდი... წელკავი რომ გაგიდგა და ოთხი პროფესორი დაგცეს შვილებმა, რას ეღირსე! ნაცარქექია ბოგვერაძემ, პროფესორი იქმებოდა თუ ისმებოდა, იცოდი?

აგაბო. მართალია, არ ვიცოდი!

კესარია. არაფერი გაცოდინოს ჩემმა გამჩენმა! ბუხუტის ენაცვალა დედამისი, ჩემი ნაბოლარა, ჩემი სიხარული. ოთხი წელიწადი რომ არ გაუშვი სასწავლებელში, მამა ხარ შენ? ოთხ წელიწადს გორიკას და კავსაკიდას ტალახი რომ აზელიე, მამა ხარ შენ? შენ გიყვარს შვილები?!

აგაბო. მაინც დამღუპეთ, თქვე ულმერთოებო, მაინც აიყოლიეთ შენ და შენმა შვილებმა და წამართვით ეს უკანასკნელი იმედი.

კესარია. მე გახლავარ, დაშნიანის ქალი. ხომ გამოგისვი პირში ჩალა შენ და შენი მეგობრის გომბიოს...

აგაბო. ცაგო, შვილო... ისიც გაუბედურდება, თუ რამე არ ვუშველე...

კესარია. მეტი არაფერი გეშველა შენ და შენს ლრანჭმოქცეულ ძმაკაცს, იორდანას! კაცო, მაინც რამ გაფიქრებინ, შე ბედდამწვარო, მე და ჩემი შვილები ჭურიგოზიების უჯიშო გოგოს შემოვუშვებდით სახლში?!

აგაბო. ახლა რა ქენით, ხომ იშოვეთ თქვენი შესაფერი?!

კესარია. დედა ენაცვალოს ჩემს დურმიშხანს. არა მყავდა დაფასებული თუ? ჩემი რძლის, ლანდას ჭირის სანაცვლოდ ვიყო, ცუდ საქმეს გამოურჩევდნენ?.. (დატაბა.) აგაბო, რატომ არ წამოდი ნიშნობაზე, შე კაცო, რომ ვიყავი, სად ვიყავი, რა ნახა ჩემმა თვალებმა: დედა, დედა, ან მე რა მომსწრებია, მე უბედურს, მარა ჩემს დურმიშხანს რა აკლია, ღმერთო, ნუ მომიშლი შენს წყალობას! რა ვნახე, რა ვნახე, აგაბო, ის ჩვენი ახალი მძახლები...

აგაბო. მოიცა, კესარია, ჯერ არ არიან მძახლები.

კესარია. ოჰ, ნუ იცი, შე მამაგანათლებულო... აგაბო, რა გითხრა, იცი? დღეს და გადადღეს, ამ ჩვენს სოფელს ოყიდის და გაყიდის.

ა გ ა ბ ო. კაი ვაჭრები ყოფილან, ჩემმა ღმერთმა!

კ ე ს ა რ ი ა. ვაჭარი აბა, რა ეშველება-საწყალს, დახლში ჩადგება და აგერ, ჩვენი სოფლის ნოქარიკით დათვლაში მოგატყუებს. მთლად უფროსია, შე კაცო. ჩემს დურმიშხანთან უნდოდა დაახლოება თუ არა, მე და შენ ვერც გამოვჩნდებით იმ კაცთან.

ა გ ა ბ ო. ვერ გამოვჩნდებით, ჰა!..

კ ე ს ა რ ი ა. ვერა, ჩემს შვილებზე არ გავმწარდე... ოჰ, რავა დავჯექი, რას ვაკეთებ კი არ ვიცი მე მართლა გაჭირვებულმა. ადექი, შე კაცო, თუ რაიმეს ხელი მოეკიდება უნდა წავიღოთ. მიდი, ჭური მოხადე. არაფერი მითხრა! შვილის ქორწილზე შენი ღვინო არ უნდა დაილიოს? ეს იქნება და ეს. გეტყვი და მერე დაჭირდებათ შენი ჭურის ნარეცხი ღვინო. მართლა, მე უბედურს სულ არ გადამვარდა გულზე? არ მითქვამს ხომ, აგაბო?

ა გ ა ბ ო. რა, კაცო, დაგრჩა რაიმე უთქმელი?

კ ე ს ა რ ი ა. აბა, ქორწილის ღამესვე... ნაყიდი ჰქონია ჩვენს მძახლს, წასასვლელი... ბილეთი კი არა, რა ჰქვია, საზღვარს იქით რომ უშვებენ იმით...

ა გ ა ბ ო. რაც ჰქვია.

კ ე ს ა რ ი ა. არა მაინც...

ა გ ა ბ ო. საგზური.

კ ე ს ა რ ი ა. ჰო, საგზური და შაბათს რომ ქორწილია, კვირას მიდიან საზღვარს იქით, მერე მოსკოვში და ლენინგრადში, მერე კიდეე დასასვენებლად და... აგაბო, გახსოვს, ჩვენ რომ ჯვარი დავიწერეთ, მეორე დღეს ჩემმა დედამთილმა ნაკელით სავსე გოდორი მომდვა? აცხონოს ღმერთმა, რა ექნა; მას მერე წელში არ გავმართულვარ, მარა მადლობელი ვარ გამჩენის, რომ ჩემი შვილები არ ნახავენ იმას, რაც მე ჭირი მინახავს.

ა გ ა ბ ო (სინანულით). შვილები ვერა, კესარია, რაც ჩვენ გვინახავს, ვერ ნახავენ.

კ ე ს ა რ ი ა (პირჯვარი გადაიწერა). მადლობელი ვარ შენი, ჩემო გამჩენო! (გარეთ ძაღლი ყეფდა. მანქანების ხმაური. კესარია სმენად იქცა.) ვილაცეებია, აგაბო, გაიხედე, კაცო, (აგაბო ისევ მიწვა.) წვები, ადამიანო? (გარეთ ქალმა შეჰკივლა. მამა! კესარია ფანჯრისაკენ გაიქცა.) კაცო, კაი ამბავი არაა ჩვენს თავს, იცოდე! ჩვენი ორღობე მანქანებითაა სავსე, ადექი ზევით! (აგაბომ წიგნი გაშალა.) დიდუ, მოდიან! ის ჩემი

დურმიშხანი უნდა იყოს! დედა, რა ამბავია ჩემს თავს! (კარებს ეცემა, გამოაღო.) შვილებო! დავიღუპეთ, აგაბო, დავიღუპეთ! (გადის.)

აგაბო ადგა, ფანჯარაში ქურდულად გაიხედა, ისევ დაწვა და გაშლილი წიგნი სახეზე დაიდო. ეზოში ჩოჩქოლია. შეკივლება და ყაყანი: მამა, დედა, რა დაგემართა? რა მოხდა?! კესარიას ხმა: შვილებო, დურმიშხან, ბუხუტი, ცოცხალი ხართ? დიტო! ივანე, ეუეუნა, ლანდა! ხმები: მამა, მამა! კესარიას ხმა: ჯანდაბას, შვილებო, ჩვენი თავი! რა მოხდა, რა ამბავია?! ტირილით, მოთქმით და ზღუქუნით შემოდიან: გოგოლა, ივანე, დიტო, დურმიშხანი, ლანდა, ბუხუტი და ეუეუნა. შემოკუვებათ კესარიაც. გოგოლა პირდაპირ მივარდა და ტახტთან დაემხო.

გ ო გ ო ლ ა. მამა, საყვარელო მამა, ძვირფასო მამა! (აგაბო წამოჯდება, ყველას ენა ჩაუვარდება, მხოლოდ გოგოლას არ დაუნახავს და განაგრძობს.) მამა, ჩვენო ძმედო, ჩვენო საფიცარო მამა... (უკან მიიხედ-მოიხედა, რატომ სხვები არ ოღუბენ ხმასო. ყველა აგაბოზე მიშტერებული რომ დაინახა, თვითონაც წინ მიტრიალდა, ფიცელა, უკან ივანეს მიაშურა და გული შეუღონდა. კესარიამაც იკივლა და დაფაცურდა. დაფაცურდნენ სხვებიც. კოკით წყალი მიასხეს და გულწასული მოასულიერეს. აგაბო ნელა, დინჯად წამოდგა, წინდიანი ფეხი წულებში წაკეკო. მოირგო, გულისპირი აიბნია, ქამარი გაისწორა.)

ა გ ა ბ ო. გამარჯობათ თქვენი!

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. (მამა?!

ა გ ა ბ ო. იმდენი ხანია არ გინახაეართ, მგონი ველარც მიცანით, ჰა...

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. ჩვენი მშობელი მამა! როგორ ვერ გიცანით...

ი ვ ა ნ ე. მამა, შენ კარგად ხარ, მე ვიცოდი, რომ კარგად ხარ...

ა გ ა ბ ო. სამი დღის წინ წისქვილის სათავეზე არ მნახე? წელამდე წყალში ვიდექი.

ი ვ ა ნ ე. ჰო, კარგად იყავი, შერე რა უნდა მოგსვლოდა?

დ ი ტ ო. მამაჩემო! (მივარდა.) შენ რა წაგაკცევს, ძელქვა ხარ, ძელქვა!

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. მამა, ძვირფასო! (ადაეხვია.) ჩემი ჯანმრთელი, მოხუცი მამა!

ი ვ ა ნ ე. კაცო, ვინ გადარია ეს ხალხი! (ხელი ჩამოართვა აგაბოს.)

ა გ ა ბ ო. შენ. (ბუხუტის.) შენ სად იმალები, ბიჭო! მოდი აქ. (მკერდზე მიიკრა, არ უკოცნია. ჭალებს გადახედა და შუბლი მოიჩრდილა, ვითომ ვერ გიცანითო.)

კ ე ს ა რ ი ა. ჩემმა გაშჩუნმა დაგიკარგოს ცნობა, აგაბო ბოგვერაძე!

ეკაბო. ვითომ დავბერდით, თვალსაც დაგვაკლდა და ყურსაც?

კესარია. მთლად დაებნა ჭკუა ამ ცოდვის შვილს... ვაიმე, რა მჭირს. რომ არ ვიცი! (სკამებს დაუწყო ძებნა.) დაჯექით... დაბრძანდით! (აგაბოს.) კაცო, გაინძერი! (ტაბურეტი აიღო, გადაწმინდა, მიუბრუნდა ლანდას, ვერ შეჰკადრა; ძველ ბამბუკის სკამს წამოავლო ხელი, ვერც ეს შეჰბედა.) ადამიანო, გაინძერი-მეთქი, ზევითაა სკამები.

აგაბო. კესარია, შენ რაო, იცანი?

კესარია. ცნობა დაგიკარგოს მამაზეციერმა!

ეგაბო. რაღაც არ გეტყობა რომ გეცნოს!

კესარია. გადამრევს ეს ცოდვის შვილი... (აჩქარებით გადის.)

აგაბო. (ტაბურეტს დაუდგამს იოველს). დაჯექი! (იოველი ჯდება. ბამბუკის სკამს უდგამს გოგოლას.) დაბრძანდი, ძალიან გყვარებივარ, ჩემო რძალო, რაც მართალია, მართალია!

გოგოლა ჯდება.

ლიტო. მე ვერასოდეს ვერ დავიჯერებ, რომ შენ რაიმე მოგერევა!

აგაბო. იცი, რა ფესვმაგარი ხის ტოტიცა ხარ და იმიტომ.

ლიტო. სულში გენაცვალე, მამაჩემო, შე გაულუნავო ბერიკაცო!

აგაბო (მაღალ ჯორკოს უდგამს). დაჯექი! დაჯექი! ოო, ეუეუნა, როგორა ხარ, ჩემო რძალო? (ჯორკო მიაწოდა. ეუეუნამ ლანდას და დურმიშხანს გადახედა: როგორ, ესენი ფეხზე დგანანო. დურმიშხანი დაჯდა.)

ეგაბო. ადექი!

დურმიშხანი. მამაჩემო... ჰა, რა ექნა?!

აგაბო. ადექი-მეთქი!

დურმიშხანი. ავდგე? ავდგები... (ადგომა კი ვერ მოუხერხებია)

ეგაბო (მხარში ხელს წაავლებს, აყენებს). უმცროს-უფროსობა ხომ უნდა იცოდე! (ეუეუნას.) დაჯექი, ჩემო რძალო! (სამფეხა, დაბალი სკამი აიღო ქერიის პირას.) აი, ამ ჯორკოზე დამიჯექი, შენ, ჩემო კოკი! (ლანდამ გაოცებით შეხედა ქმარს.) ამას ბავშვობაში კოკის ვეძახდით. ბავშვს დღეში ასჯერ ეძახის მშობელი, ყოველთვის დურმიშხანი ძნელია. მე მეტრიკაშიც ასე მინდოდა ჩამეწერა, მაგრამ ჩემმა ცოლისძმამ, იგი ნასწავლი კაცი იყო, ჩემს ჩუმად ჩაეწერინა. იცოდა, ალბათ, რა კაციც დადგებოდა მისი დისწული! (ლანდას) შენც დაჯექი! (ლანდას უპირს ვიწრო, მოკლე კაბით დაბალ ჯორკოზე მოწყობა.) არა უშავს, არა უშავს, ესენი ყველა ამ ჯორკოებზე დაიზარდნენ, იმ მაღალ სკამებზე დაბადებიდან კი არ ისხდნენ... ბუხუტი, შვილო,

ამას ეს სახელი შე შევუნარჩუნე... შენ აგერ, ცასაკუთრებით, ტახტზე ჩამოჯექი...

შემოდის კესარია, მოათრევს სკამებს.

კესარია. აგაბო ბოგვერაძე, რატომ არ დაიქცა ის დღე და საათი, როცა მე შენი ცოლი დამერქვა.

აგაბო. მართალია, კესარია, გლეხკაცის ცოლობა ძნელია...

კესარია (დაინახა რძლები და შვილები). დიდუნ, ღმერთო, რატომ მიდგია პირში სული!

აგაბო. მეც ეს ვუთხარი, ჩემო კესარია, მოიცადეთ, ახლავე სკამებს ჩამოვიტან-მეთქი. მაგრამ არ ქნეს, რავა შეგაწუხოთ, რომ საჭირო იყოს, ჩვენ აქ არა ვართო? მართალიც არიან.

კესარია. მაგათ ნახვას ველირსე და ამისთვის შევაწუხებდი?

აგაბო. არა, მაგრამ არ იზამენ, ჩვენსავით ყრუ ხალხი კი არ არის.

კესარია. ჩვენი თავი შემოევლოს მაგათ.

დიტო. მამაჩემო, ახლა ჩვენ ეს ამბები კი არ გვეშლება, მაგრამ ისიც იკითხეთ, რა ამბისთვის ჩამოვედით...

აგაბო. მოიცა, შვილო, ჩვენ რალაცას ორი გამოყრუებული ბებერი ვბეჭეტურობთ, რა ყურადსაღებია. ასე არაა, ჩემო კოკი და ეუეუნა? შენ რას იტყვი, ჩვენო უფროსო რძალო, გოგოლა, ჩვენი ოჯახის პირველო სიხარულო! ხა, ხა, ხა!

გოგოლა. ჯი, მამა, კი, ჩვენო სიხარულო და იმედო, მამა!

აგაბო. ბა, რაი, შე ტყუილს გეტყვით ამ ხნის კაცი, თქვენი მამიკო?

კესარია, დედა, რავა დავიბენი და შენც, აგაბო, მთლად ამირია ჭკუა. დასხედით შვილებო, დასხედით! (სკამები მიაქვს სალოთაოდ.)

აგაბო. არ იზამენ, კესარია, არ იზამენ! (ლანდამ და ეუეუნამ დაიპირეს წამოდგომა, მაგრამ შიხვდნენ, აგაბი მათ გასაგონად ამბობდა და იუარეს.) ხომ ვთქვი, კესარია, არ უნდათ, ასე ურჩევნიათ. ჩვენ რომ მობეზრებული ვყავს ეს დაბალი ჯორკოები, მაღალი და რბილი სკამები გვენატრება, ასე კი არ არიან ჩვენი შვილები, ვენაცვალე მაგათ...

კესარია. მაგათი ჭირის სანაცვლო ვიყო... მარა ვერ მოვისვენებ, თუ ამათ ასე გაჭირვებულს ვუყურე...

აგაბო. შე ქალო, შე სამოცდაათი წელიწადია ვზივარ ამ ჯორკოებზე და ერთხელ არ შუმოგითავაზებია მაღალი სკამი, რომ წელი გამემართა. ამათ, რავა დავიჯერო, ერთ საათში მოწყდებათ წელი?

დ ე ს ტ ი შ ხ ა ნ ი. მამა... ჩვენ რა... აქ არა ვართ გაზრდილი? როგორ გგონია...

ა გ ა ბ ო (გაწყვეტინა). მართალია; არ გეუბნებოდი, კესარია, არ იზამენ-მეთქი? ამ ჯორკოებზე მაგათი ნაჯდომი ახლაც თბილია და ეს ურჩევნიათ.

კ ე ს ა რ ი ა. შვილო, შენ გენაცვალოს დედაშენი, კი ხარ აქ გაზრდილი, მაგრამ გადაეჩვიე. ორ დღეს ვიყავი შენთან იმ საბედნიერო დღეებზე და რომ დავბრუნდი, ორი კვირა მიჭირდა ბუხართან ჯდომა, კაი ცხოვრებამ მალე იცის მიჩვევა.

ა გ ა ბ ო. იცის, კესარია, მით უმეტეს, ჩვენი შვილები ნამეტანი მალე ეჩვევიან და იმ ხავერდიან სკამებზე რომ მინახავს, გამკვირვებია. სულ არ ეტყობათ, რომ ჯორკოებზე არიან გაზრდილი.

კ ე ს ა რ ი ა. მაგათი ჭირის სანაცვლო იყოს ჩემი თავი...

ა გ ა ბ ო. აბა, მე, კი გემახსოვრება, შარშანწინ არ იყო ჩემი ნინოს დღეობაში რომ ვიყავით?..

კ ე ს ა რ ი ა. შემოევლოს ბებია... (ლანდას.) რავა მყავს ჩემი სულიდგმა?

ა გ ა ბ ო. კარგად იქნება, კესარია, ნუ იცი, პირში რომ მეცემი, შექალო, და ორ სიტყვას არ მათქმევინებ.

კ ე ს ა რ ი ა. კაი ახლა, მოათავე და დამალაპარაკე, მომასიყვარულე, ამათი ჭირიმე!..

ა გ ა ბ ო. ხომ გახსოვს, კოკი, რომ შევთვერი და საზურგეს ნამეტანი მივენდე, გადავიწიე. კიდეც, მერე აღარ მახსოვს; სკამის ცალ ფეხსაც დავეყრდნე და შენი მტერია, მე მაშინ გავცურდი იმ გაპრიალებულ იატაკზე და დავასკდი მიწას... მიწას კაი შენ, მაგრამ საღ იყო მიწა...

კ ე ს ა რ ი ა. აბა, რავა მოჭერი თავი ბიჭს იმ პატიოსან ხალხში...

ა გ ა ბ ო. კი, კესარია, მართალია. ჯორკოზე რომ ვზივარ, ვიცი, მისაყრდნობი არა აქვს, ფხიზლად ვარ არ დავთვრე, ძილი არ მომეერიოს, არ წავიქცე; თუ მაინცდამაინც, ახლა, სიცილით გადავფიჩინდი, აქვე მაქვს მიწა, მაშინვე მივაშველებ ხელს. ერთს კი დავიზნიქები, მაგრამ ავიქნევ ტანს და გავსწორდები...

კ ე ს ა რ ი ა. კარგი, კარგი, ნუ შეეჯამე ეს ხალხი.

ა გ ა ბ ო. ყოველთვის მართალი ხარ, კესარია, რაღაც-რაღაცებს გადავყევი... რავა ხართ, შვილებო, რავა გიკითხოთ, ფულს და წე-

რილებს კი გვიგზავნით, მაგრამ სულ სხვაა, თვალებში რომ ვუ-
ყურებთ ერთმანეთს.

დ ი ტ ო. კარგად მამა, (წამოდგა.) შენი შვილები როგორ უნდა ვიყოთ!

ა გ ა ბ ო. იჯექი შვილო! (მხარზე ხელს ადებს და დასვამს.) ნამეტანი კარ-
გად უნდა იყოთ და ვიცი იქნებით, მაგრამ ჩვენ მაინც გვიხარია,
რომ ამას ვხედავთ, თქვენი პირიდან გვესმის. ასე არაა, კესარია?

კ ე ს ა რ ი ა. აბა, აბა, აგაბო, რა ბედნიერი დღე გათენდა დღეს...

ა გ ა ბ ო. მართლა და, რა დღე გათენდა, რამდენი წელიწადია ჩვენს
ოჯახში ყველანი ასე თავშეყრილი არ მინახიხართ.

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. მართლა და, რა იყო, რატომ გაგვიხეთქეთ გული...

კ ე ს ა რ ი ა. ა, იქნება არაა კაი ამბავი ჩვენს თავს!

ა გ ა ბ ო. რა გიკვირს, შე ქალო, ისე წახდა დრო და წუთისოფელი,
შვილებმა დედ-მამა რომ მოინახულონ, უნდა გვიკვირდეს და მა-
ინცდამაინც უბედურებად უნდა მივიჩნიოთ?

კ ე ს ა რ ი ა. სად ცალიან, თავიანთ საქმეებს მოუარონ და ჩვენ მა-
გათი ჭირი წაგვიღია.

ა გ ა ბ ო. კი, ჩვენ ასე უნდა ვთქვათ, მაგრამ ერთი მაგათაც ჰკითხე,
გვივიწყებენ? გველევიან? ვერ გველევიან? ჭირისთვის და სნების-
თვის არ ვემეტებით, არც მე და არც შენ, არც ეს ჯორკო და ბუ-
ხარი, არც ის ყანა და ვენახი. ჩვენს სასელო მსხალს რომ თოვ-
ლობაზე ფითრიანი ტოტი მოტყდა, არ გაუმხილო თუ არა, გულს
ვატკენთ.

დ ი ტ ო. ეუჰ, რას ამბობ, მამა, რა საადრეო მსხალი იყო?..

ა გ ა ბ ო. იყო და არის, არაფერი არ მოწევია, არის და იქნება; მოგ-
წერეთ ამის შესახებ? არ მოგვიწერია. არც არავის პირით შემოგ-
ვითვლია!

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. ჩვენ მსხალიც გვიყვარს, ყანაც და ვენახიც. ახლა,
თუ აქ არ დავჯექით...

ა გ ა ბ ო. იჯექი, შვილო, რომ ვიცოდით, იმიტომ არ შეგატყობინეთ.
აგერაა იოველი, ჩვენი თავმჯდომარე, კავსაკიდას გორაზე რომ ვე-
ნახიანი ფერდობი მოწყდა და მეწყერმა წაიღო, ვაცნობეთ ამათ?

ი ო ვ ე ლ ი. მამა...

ა გ ა ბ ო. არ გვითქვამს, ვიცოდით, გულს ვატკენდით. საქმეს მაინც
არ ეშველებოდა, შვილებს და რძლებს კი დაგვიჯავრიანებდა.

დ ი ტ ო. ეს, მე, მეორე დღესვე გავიგე.

ე უ ე ნ ა. ჩემთვის რატომ არ გითქვამს?.. (წამოსცდა.)

დ ი ტ ო (ხელი აიქნია). რა სალაპარაკო იყო...

ა გ ა ბ ო (ვითომ ვერ გაგო). ყარგი გიქნია, შვილო, წინდაბედულად მოქცეულხარ, მე შვცდი. გულში ვერ დავიტიე. თუ არა, დედა-შენისთვისაც არ უნდა მეთქვა.

კ ე ს ა რ ი ა. აბა, რა ვენახი იყო, ის დალოცვილი: იქაური ყურძენი არაფერ ყურძენში არ გაერეოდა. საწყალმა ჩემმა ძმამ, ნათელი დაადგა იმიერს, იცოდა...

დ ი ტ ო. ბენო ბიძიამ, დედა, ბენო ბიძიამ!

კ ე ს ა რ ი ა. ჰო, შვილო... თუ კავსაკიდას ღვინოს დაბალეკინებთ, რაც არ უნდა მოუცლელი ვიყო, თქვენთან გავჩნდებით. რა წვიმები იყო, რა წარღვნა და ასე დაგვმეწყრა და დაგვაქცია.

ი ო ვ ე ლ ი. მდინარეს კი უნდოდა ჯებირის გაკეთება, მაგრამ...

ა გ ა ბ ო. გვექნა, შე დალოცვილო.

ი ო ვ ე ლ ი. მამა, გვექნა, ამას ანგარიში უნდა, ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება...

დ ო რ მ ი შ ხ ა ნ ი. ამისათვის არსებობს თანხები, ტექნიკა, სიფხიზლეა საჭირო...

ა გ ა ბ ო. ხომ ხედავ, რას ამბობს აგერ ჩვენი მინისტრი.

ი ო ვ ე ლ ი. მაგისთვის სალაპარაკოდ იოლია.

დ ო რ მ ი შ ხ ა ნ ი. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ მინისტრები და მმართველები ვერ აგიშენებენ ჯებირებს.

დ ი ტ ო. ვერც რაიკომები და აღმასკომები ვერ ჩადგებიან წყალში და ბეტონს ვერ მოგიზელენ, ასე არაა, მამა?

კ ე ს ა რ ი ა. გენაცვალოთ, თქვენ, დედათქვენა!

ა გ ა ბ ო. მართალია, შვილებო, მინისტრმა უნდა თქვას, რაიონმა ყურად იღოს და კოლმეურნეობებს უნდა გადმოსცენ. თავმჯდომარე იმიტომ ხარ, ჩემო იოველ, რომ წინ უნდა წაგვიძღვე მე და ჩემისთანებს. იმიტომ გასწავლეთ, იმიტომ გაგანათლეთ, რომ ჩვენ უბირი ვიყავით, გზის მაჩვენებლები გვინდოდა, ბნელი ვიყავით — დღის ნათელს დანატრულები. დავინახავდით, მოადგებოდა მდინარე ნაპირს, გამოუთხრიდა ძირს ყანას და ვენახს, გადავძახებდი მე ჩემს ძმებს და მეზობლებს, მეზობლები მის ძმებს და მეზობლებს, ჩავდგებოდით წყალში და ტალახში, ვღობავდით ამ მღვრიე მდინარეში ჯებირს, ავავსებდით რიყით და ქვით, შემოგვაფურთხებდა მდინარე და იბრუნებდა პირს; მერე ჯებიოს ტალახი და ჯაგი, ტირიფი და თხმელა დაფარავდა. ახლა მე და თეოფილემ, იორდანამ

და (იორდანის ხსენებაზე ბუხუტი შეცბა.) ილარიონმა ვაწვალეთ წისქვილის სათავე. აგერ თავმჯდომარეცაა მოწმე, რა გამოგვივიდა, წაგვართვა წყალმა, კინაღამ თან წაგვიღო...

დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი. მამა, შენ რომ ჭკვიანი კაცი ხარ, რატომ ამბობ, რა დროს წისქვილების სათავეების შეკეთებაა, ჩვენ გვაქვს წისქვილები და მარტო წისქვილები კი არა, მთელი კომბინატები.

ა გ ა ბ ო. ტრაქტორებიც გვყავს, შვილო, სათესი მანქანებიც, სათოხნიც, ჩაის საკრეფი და საკრეჭიც...

დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი. და როცა ყველაფერი იცი, შენგან არ მიკვირს...

ა გ ა ბ ო. ვიცი კი?.. რა ვიცი, ხან ელექტრონი არაა, ხან სარტყელი გაწყვეტილიო, ხან იმ უშველებელი დოლაბის მოკოდვა დაეზარათ და... აგერ დედათქვენი თავისი მოშაქრული ენით გეტყვეთ...

კ ე ს ა რ ი ა. აჰ, არა, შვილებო, ნამეტანი ტალახივითაა ის თქვენი ახალი წისქვილის ნაფქვავი. ესენი ახლა კეცის მჭადს იქნებიან მონატრებული და კი ალარ ვიცი მე უბედურმა რით გამოვაცხო, რა წყალში გადავვარდე.

დ ი ტ ო. მამაჩემო, ჩვენ ახლა ამისთვის ნიკოლოზის დროს ველარ დავაბრუნებთ.

ა გ ა ბ ო. შვილო, ნიკოლოზი დასწყევლა ღმერთმა. არა, ისე, იდინოს მდინარემ და წისქვილმა ფქვას. ტრაქტორიც კარგია, მოგეცა ლხენა, მაგრამ ჩვენი კავსაკიდას კალთებზე ვერ გაიარა, ვერც კუზიგორას სერებზე გაიმართა მუხლი. აბე არაა, ეიველ? თუ არა ჩემს ბუხუტის ემახსოვრება, ერთი ოთხი წელიწადი კი მიდგა მხარში!

კ ე ს ა რ ი ა. კაი, კაი, აიშალე ახლა საღეღელი, თავიანთი ამბავი ჰკითხე, ძალიან უნდათ გამოყრუებული ბერიკაცის რატარუტი... (ლანდას ისევ მიუტანა სკამი.) ნამეტანი უხერხულად ხარ მგონია, შვილო, დურმიშხან, აგერ, დედა, ისეთი სკამი, შენ რომ გეკადრება, არც ესაა, მარა...

ა გ ა ბ ო. აცალე, კესარია, მაგათ უკეთ არ იციან რომელ სკამზე სჯობია ჯდომა?

კ ე ს ა რ ი ა. ჩუ, აგაბო, გადი და საქმეს მიხედე, ლაპარაკი უნდა ახლა ამათ? დაღლილი იქნებიან. მანქანით მოდით, დედა? ამდენი გზა მანქანით იარეთ?!

დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი. ვიარეთ რა, გული კინაღამ გაგვიხეთქეთ...

ლ ა ნ დ ა. მართლა და რა იყო, ბოლოს და ბოლოს...

დ ი ტ ო. მამა, როგორ გავიგოთ... (წამოდგომა დააპირა, აგაბოს ისევ დასვა.)

ა გ ა ბ ო. რა იყო, ცუდი ხომ არაფერი გაგიგიათ?

კ ე ს ა რ ი ა. რაღაც ამბავია. იცოდე შენ!

ა გ ა ბ ო. არა მგონია, კესარია, ჩვენი შვილები ბაინცდამაინც ჩვენს სიკვდილს ელოდონ.

დ ი ტ ო. აბა, ახლა ისე... (დაიბნა.)

ა გ ა ბ ო. მე გეტყვი, კესარია, რაც მოხდა. დიდი ხანია აღარ ვუნახიკართ; ხომ იცი, გადადებული საქმე. აბა, დღეს, აბა, ხვალ, ამ კვირაში, იმ თვეში და... ვერ მოიცალეს, შენ გგონია მოიცალეს? დიდი საქმეები აწუხებთ, ვერ გვნახეს და ნამეტანი რომ დაუგვიანდათ, შერცხვათ, ასე არაა, (ლანდას.) ჩემო რძალო? ერთმანეთში გადარეკეს, გადმორეკეს, მოილაპარაკეს, ერთად დავეცეთო, მაგრამ რო გვკითხონ რა მოხდა, რამ მოგაგონათ ჩვენი თავიო, რა ეთქვათ, კესარია, ხინდისი ნამეტანი კარგი საქონელია, მოითათბირეს, ვითომ ცუდი ამბავი გავიგეთ, ავად ყოფილანო, ან უარესი...

ი ო ვ ე ლ ი. შეიძლება, მამა, მაგრამ ჩვენ თითქმის ყოველდღე ვხვდებით ერთმანეთს.

ა გ ა ბ ო. კი, შვილო, მაგრამ ვხვდებით, როგორც თავმჯდომარე და გლეხი. გეტყვიან, შენ ჩვენ გვეუბნები და ვხნავთ და ვთესავთ; მე თქვენი ხმა ყოველდღე მესმის, აბა, აგაბო ბოგვერაძე, ფერმის ძროხებია სამწყესავი, რძე და ხორცი ჩასაბარებელი; აბა, ვენახია გადასაბრუნებელი და ჩაი დასაბარი; აბა, ხიდია შესაკეთებელი, რაიკომის მდივანი ჩამოივლის და საწყენად არ დაურჩესო... ვხვდებით, ჩვენ ძალიან ხშირად ვხვდებით ერთმანეთს, მაგრამ აგერ, დედათქვენი მეცოდება, ეს ჩაის მკრეფავად აღარ ვარგა და ფერმაში ნაკელის ზიდვა აღარ შეუძლია, აღარც თქვენი ხმა წვდება...

კ ე ს ა რ ი ა. სადღა მაქვს ჯან-ღონე, მეტი არაა შენი მტერი და ავად მახსენებელი... მოიცა, შე კაცო! (ბუხუტის ძოწყენილობა შეატყო. ლანდას გამომცდელად შეხედა.) შვილო, მართლა ხომ რაიმე უბედურება არაა ჩვენს თავს, ჩვენი სამძახლოები, ხომ არაფერი...

ლ ა ნ დ ა. იმათ მხრივ არაფერი, მაგრამ რას ჰგავს ეს. ახლა ამის დრო იყო?!

კ ე ს ა რ ი ა (დამფრთხალი). აბა, რა ვიფიქრო, რომ არ ვიცი. თუ იმათ მხრივ ცუდი არაფერია და ღმერთმა წყალობით გადმოკვხედა...

ლ ა ნ დ ა. დურმიშხან, მე არც კი ვიცი, აქ რა ხდება, რაღაც ყანაო, რაღაც მეწყერიო, მე ამათი ვერაფერი გამიგია, შენ რა, დეპეშა მიიღე თუ, შენც...

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. მე მივიღე ის, რაც მივიღე...

ლ ა ნ დ ა (დაიტანჯა ჯორკოზე). მერე სადაა, აქ მკვდარს ვერავის ვხედავ!

კ ე ს ა რ ი ა. დიდუნ, აგაბო, მკვდარიოო!

ა გ ა ბ ო. რაღაც ცუდი ამბავი ჰქვთ გაგებული, იცოდე შენ, კესარია!

დ ი ტ ო. ცუდი კი არა, მამაჩემო, ჭკუაზე აღარ ვიყავით.

ე ვ ე ვ ნ ა. ხეირიანად რომ მაინც ვერაფერს გაიგებს შენგან ადამიანი!

ა გ ა ბ ო. ვერ გითხრა, შვილო, ძნელი სათქმელია, თუ მართლა ჩვენი ცუდი გაიგეს. თქვენი გულის ამბავი რომ იციან, ალბათ, იმიტომ მოგერიდენ.

გ ო გ ო ლ ა. მამა, შენი ჭირიმე, ღმერთმა ნუ მომასწროს თქვენს გაჭირვებას!

ლ ა ნ დ ა. ადამიანი უკვდავი რომ არ არის, ეს ახალი ამბავი არ უნდა იყოს!

გ ო გ ო ლ ა. არა, უკვდავი კინაა, ჩემო ლანდა...

კ ე ს ა რ ი ა. რო აღარ ვიცი, რა ამბავია ჩემს თავს!

გარეთ ვიღაცას ძაღლმა შეჰყეფა. კ ა რ პ ე ს ხ მ ა: ნათლია! დაუკითხავად შეიჭაღლებს ყარს შეშფოთებულ, აგაბის მიეარდება.

კ ა რ პ ე. ნათლია, ცოცხალი ხარ? გამისკდა გული! (მერე კესარიას.). კაი, კაი, რაკი სული გიდგათ. ორივე თუ არა, ერთ-ერთი მაინც მეგონეთ მკვდარი.

კ ე ს ა რ ი ა. კარპე, შენ მაინც მითხარი, რა ამბავია ჩემს თავს?!

კ ა რ პ ე. რა გითხრა, ნათლია, ყველას რომ ერთად გიყურებთ, დახატული მგონიხართ.

ა გ ა ბ ო. წამხდარა ქვეყანა...

კ ა რ პ ე. არა, ნათლია, ახლა ის დალოცვილი სიკვდილი თუ არ მოგეხმარა, ჩემი მტერი არაა, მთელს შენს ნაგრამს თავი ვერ მოუყარო.

კ ე ს ა რ ი ა. კარპე, რა მოწამლული ენა გაქვს.

კ ა რ პ ე. ასეა, ნათლია, და რა ვქნა! (დურმიშხანს მიუბრუნდა.) გამარჯობა კოკი, თუ თვალი არ მატყუებს და მართლა შენ ხარ! (გადაეხვია.) რა მახსოვრობა მაქვს, ბიჭო. აო კიკვირს, ქე არ გიცანი? მარა ამას, რა შეიშვნილობა აქვს. შენ თუ მიცანი?

დურმიშხანი. ერთად არ დავბადებულვართ თუ არა, ერთად-ვართ გაზრდილი!

კარპე. არა, დედას გაფიცებ, რო შემოვედი, მაშინვე მიცანი?

დურმიშხანი. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა!

ლანდა (ნამეტანი უპირს ჯდომა). ღმერთო ჩემო, ამ ხალხს რატომ ჰგონიათ, რომ ჩვენ დედაც დავივიწყეთ, მამაც დავკარგეთ, მეგობრობა არ ვიცით, რაა ბოლოს და ბოლოს, მაინცდამაინც ცერიას მიათითა.) ამ ნაცარში უნდა ვეყაროთ, რომ სიყვარული ვიცოდეთ?!

გოგოლა. ის კი არა და, ჩვენ კიდევ უფრო მეტად გვიყვარს...

კარპე. ეს თქვენი მეუღლე იქნება, (ლანდას ხელს ართმევს.) მივხვდი-ხრომ? როგორ გიკითხოთ, ქალბატონო, ქალიშვილი როგორ გყავთ? ქალბატონი კესარია ამბობდა, ეს თითის სიგრძე თურმე ინგლისურს ისე ლაპარაკობს, როგორც მე — ქართულს.

კესარია. კიდევ უკეთესად, კარპე.

გოგოლა. ბიცოლა ენაცვალოს, ნინო მარტო მაგათია? ის რომ არ მყავდეს, რა მაცოცხლებს?!

კარპე. დიტოს ვახლავარ, დიტოს! შენ მაინც აგერ ხარ, ბიჭო, რაიონში, გამოიარე, კაცო, აქეთ ხანდახან!

ეუეუნა. მაგი სად დადის ვინ გაიგებს!

კარპე. ბუხუტის გაუმარჯოს! ბიჭო, რაღაც ამბები გვესმის და მართალია?

ბუხუტი. გამარჯობა კარპე!

კარპე. შენ ეს მითხარი თუ მართალია! შენგან მაგას არ ველოდი, მთლად ვაკაცური საქმე კი არაა, მაგრამ კაი ჭკუას შვები. ღმერთს ცხოვრება მოუცია და მოიხმარე. მე რომ წელებზე ვიდგამ ფეხს, გამოდის რამე? აგერ, ჩვენი თავმჯდომარე ხმას არ შცემს, რატომ მუშაობ ქარხანაშიო. მე სასაყვედურო ვარ? სანახევროდ მაინც ვარ კოლექტივში. არა, მთლად თუ არ გაიქეცი, თუ სალაპარაკოდ და საჯიჯგნად ჩაგიგდეს ხელში, ვინ დაგზოგავს!

ოველი. შენ არც იმ ქარხანაში ივარგებ! ძაღლი შინ არ ვარგოდა და სანადიროდ მიჰყავდათო!

დურმიშხანი. გაორებული კაცი, ჩემო კარპე, დაღუპულია!

ოველი. გადასახლდი ბარემ იმ ქარხანაში!

კარპე. გადავალ, შენ გგონია არ გადავალ? არა მამაჩემმა — შენ იქ არ იყავი, ნათლია? — სიკვდილის წინ მიანდერძა: შენთვის არა-

სოდეს. არაფერი მითხოვია, არც არაფრის იმედი მაქვს, კერა არ გამიცია, თუ არა, მკვდარი ავდგებიო. გადავყევი იმის გასვენებას, ქელეხს, ორმოცს, საწლოს და ახლა გადავსახლდე? იმ ერთ მტკაველა ვენახს მაშინვე ჩამომართმევენ. იმ ქარხანაში კი სადღაც ერთ ოთახში უნდა შემაკუჭონ და მამაჩემი რომ მომადგეს, ან ბუხარი სად ავუნთო, ან ნამდვილი ღვინო სად ვუშოვო. თუ, საწყალი, მალაზიის ღვინოს დაგილევს. შენ არ იცი, ნათლია?..

აგაბო. ვიცი, ბიძია, ვიცი. კაი, გეყოფა ახლა! ამ დაბალ ჯორკოებს დაბალი სუფრა და ღვინის ჭიქებით ჭუჭუნი დაამშვენებს.

კარპე. მოგიკვდეს კარპეს თავი. გაორებული კაცი კი ვარ, მარა პურლვინოში მაინც ერთგული ვარ. ახლავე სუფრას გაგიმართავთ.

აგაბო. მაშინ შეგეცოდო და მომაშველე ხელი, როცა ესენი აქ არ არიან, თუ არა, ახლა ამდენი შვილი და რძალი თავზე მასევია, რა მიჭირს შენი ხელის გასამართავი. ბუხუტი, შვილო, აგერ ბუხრის თავზე ჩიბუხი მაქვს და ჩამომიღე.

ბუხუტი დგება გახარებული, რომ ბოლს და ბოლოს აუშვეს. აგაბო ტახტზე ჯდება, ფეხს ფეხზე იდებს.

ბუხუტი. მამა! (აწოდებს ჩიბუხს.)

აგაბო. ძალიან კარგი. დიტო, შვილო! (დიტო შვებით წამოხტა.) ქისა დავიწყნია ამ მამაძაღლს, მომიტაჯნე, მამაშვილობას!

დიტო. ახლავე, მამა, ქისას კი არა, თუ გინდა, ამ ბუხარს გადმოვდგამ!

აგაბო. არა, მაგ-ბუხარი ძალიან კარგ ადგილასაა. (ქისა გამოართვა.) კოკი, ერთი შენ რომ იცოდი, ისე გულდაგულ გამიტენე ყალიონი!

დურმიშხანი დგება და ტენის ყალიონს.

კესარია. მგონია გადაირია, ეს უბედური!

აგაბო. კესარია, შენ აქ დამიჯექი!

კესარია. შენ ჩემი ცოდვით სავსე, დაჯდომის დრო გვაქვს ახლა ჩვენ?

აგაბო. სწორედ რომ დაჯდომის დრო დაგვიდგა, კესარია, რავა იტყვით თქვენ, ჩემო რძლებო, ასე არაა!

გოგოლა (ლანდას გადახედა, ლანდა ისევ დატანჯული დაბალ ჯორკოზე ჯდომით, ყველაფერზე თანახმაა). კი, დედა, კი, ჩვენ აგერ არა ვართ?

აგაბო. არ გითხარი, კესარია? შვილი თუ გიყვარს, რძალი უფრო უნდა გიყვარდეს!

კესარია. დედა, რავა მეუბნები, შე კაცო, ვინ მყავს მაგათი ფასი!

აგაბო. და თუ გიყვარს, სიყვარული მარტო ენა კი არაა, მათ სიხარულზე და სიამოვნებაზეც უნდა იფიქრო. (დურმიშხანმა გატენილი ჩიბუხი მიაწოდა.) იოველ, კი არ უნდა გაწუხებდე, აგერ მაქვს ასანთი. მაგრამ გოგირდის სუნი იცის და არ მიყვარს, ერთი ეს ყალიონი ამოურიე ღადარში, ნაკვერჩხლით ამინთე. (მიაწოდა.) ჰო, კესარია, იმას გეუბნებოდი, მოდი, აგერ დამიჯექი, მაგენი რომ ჩვენ ერთად დამჯდარს და დასვენებულს დაგვინახავენ, თვითონ დატრიალდებიან. აი, რით აამებ და გაახარებ.

კესარია. კაი, კაცო, ახლა; ასე გულხელდაკრეფილი როგორ დავჯდე!

აგაბო. შენ რავა იტყვი, აბა, ესენი დაჯდნენ და შენ ისაქმიანებ?

კესარია. არა, ახლა, ასე კი არ მითქვამს...

აგაბო. აბა, შე კაი დედამამიშვილო, ამდენ ხანს შენ ერთი ბეხრეკი დედაბერი წვდებოდი საქმეს და ახლა სამი ბედაური ქალი ვერ ვაწვდება?

კესარია. რა ვქნა ახლა, რაფერ დავჯდე ასე გულხელდაკრეფილი!..

გოგოლა. კი, დედა, კი, დაჯექი, დაჯექი!

კესარია გაუბედავად უახლოვდება ტახტს, რძლებს ერთი სული აქვთ როდის დაჯდება; იციან, მერე აქვთ ადგომის უფლება. ჩამოჯდა კესარია. რძლები მაშინვე წამოცვივდებიან. იოველს მოაქვს ყალიონი. აგაბო ფეხს ფეხზე ინაცვლებს, მკლავს მეელლეს ადებს მხარზე და ამბოლებს.

აგაბო. თქვენ აგაშენათ ღმერთმა, ასე უნდა ცხოვრება!

სურათი მეორე

იგივე დეკორაცია. ადრიანი დილაა. ბუხარში ცეცხლი ანთია, აგაბოს შემოაქვს ახალტარდაგებული სამი ბარი, ჯდება ბუხრის პირას და მინის ნამსხვრევებით ტარებს წმენდს, ამრიალებს და თავისთვის ღიღინებს. სახეზე ეშმაკური, ორაზროვანი ღიმილი დასთამაშებს, შემოდის გაწიწმატებული კესარია.

კესარია. მაგ ბარით დაგმარხე და დაგაწყვე გულზე, აგაბო ბოგვერაძე!

აგაბო. მაგისთვის ჩამოცვივდა იმდენი შვილი და რძალი, მაგრამ არ ვკვდები, ჩემო კესარია, და ცოცხლად ხომ ვერ დამმარხავთ!..

კ ე ს ა რ ი ა. რა მოგკლავს შენ, დარდი შენ არ იცი და ფიქრი. ახლა, ამისთანა გაწამაწიის დროს ბარი და თოხი უშველის ჩვენს საქმეს?

ა გ ა ბ ო. მხოლოდ ბარი და თოხი უშველის, კესარია, თუ არა დაღუპულია ქვეყანა.

კ ე ს ა რ ი ა. დაიქცა იმის ოჯახი, ვინც შენ და ჩემს შვილებს ჭკუა აგირიათ და ასე ნანატრად აწყობილი საქმე აგვიწეწა! ვინ გვიქნა, კაცო, ამისთანა საქმე, რატომ არ იკითხავ, შე შავ დღეზე გაჩენილო; მტრებით ვართ, აგაბო, სავსე, მტრებით.

ა გ ა ბ ო. კაცს რომ თავის თავი უზამს, იმას ვერაფერი მტერი ვერ უზამს.

კ ე ს ა რ ი ა. სიკვდილი ვინ უქადა ჩვენს ოჯახს, ვინაა რომ ემძიმება ჩვენი სიცოცხლე!

ა გ ა ბ ო. კესარია, ნუ გადაირევი, შენთვის ხომ არ უქადებიათ, მე მიქადეს. „მამა გარდაიცვალაო“, ასე არ ყოფილა დეპეშაში?

კ ე ს ა რ ი ა. მამა ღვთისა გაუწყრა იმის გამგზავნს და შენც, აგაბო ბოგვერაძე! ათასჯერ მაქვს შენთვის ნათქვამი, მივაყიდოთ აქაურობა და წავიდეთ, ფეხი ფეხზე გადადებული ვიცხოვრებთ.

ა გ ა ბ ო. მოგვიტეხავენ სამადლო ლუკმას არა?

კ ე ს ა რ ი ა (გაცეცხლდა). ღმერთო კი მომკალი, ვინ მომიტეხავს? ვისთან მივდივარ გგონია, მაგი ამოიკითხე იმ წიგნებს რომ პურტყუნობ? შვილმა რომ მშობელი სიბერეში თავისთან იყოლიოს, სამადლოა, შე მართლა სამადლო და ღვთის გლახა? ჩემით თუ არა, შენ მართლა არა ხარ შენი შვილებისაგან სახლში შესაშვები!

ა გ ა ბ ო. რატომ ვითომ, კესარია, ყველა ნუ გამინისტრდებით, ზოგმა ამ მიწასაც მივხედოთ-თქვა, რომ ვამბობ?

კ ე ს ა რ ი ა. მამა ხარ ახლა შენ? სოფელში კაცი არ ჩერდება და ჩემი შვილები გინდა მწყემსად და მიწის მუშად ჩაკლა? ვერ მოგართვეს, ნაცარქექია ბოგვერაძე! ღმერთო, შენ გაუმარჯვე ჩემს ბიჭებს, მადლობელი ვარ შენი წყალობის...

ა გ ა ბ ო. ჩვენც გადავსახლდეთ ქალაქში, ჰა!..

კ ე ს ა რ ი ა. მეფესავით იცხოვრებ. შე უბედურო. (დატაბა.) ჩაკვდები აქანე, რავარც ბაბუაშენი და მამაშენი ჩაკვდა გაუხარებელი!

ა გ ა ბ ო. კესარია, შენი მოკლე ჭკუით, რას ჰქვია სიხარული?

კ ე ს ა რ ი ა (ისევ აფეთქდა). ჩემს ჭკუას ჰქვია მოკლე და შენი და იორდანე ღრანჭმოქცეულის ჭკუას ჭკუა? გადაყარე მაგ ოხრად და-

სარჩენი ბარები. დავტრიალდეთ, იქნებ ბიჭების ადგომამდე რა-
იმეს ვეწიოთ და მათთან ერთად დავადგეთ გზას. ის ხალხი არ
გავანაწყენოთ. არ მოვიმდურეთ და უარი არ გვითხრან თუ არა,
თავი უნდა დავიხრჩო. ბედი კარზეა მომდგარი, შე გაფუჭებუ-
ლო ყაძახო!

აგაბო. შენ ვერ გითხრეს თუ არა, ქორწილის საქმე გადაუდიათ,
კესარია.

კესარია. დიდუუ! დაგვევსო თვალები?!.

აგაბო. რატომ, შე კაი დედ-მამის შვილო, არ გვყავდა ის მძახლები,
მაგრამ გვედგა პირში სული და ახლა რავა იქნება, ერთი კვირა
ვერ გავძლებთ უიმათოდ?

კესარია. რავა შეიძლება ამისთანა საქმის გადადება. იმ კაცს სამ-
ზადისი ექნებოდა, ხალხი ეყოლებოდა დაძახებული, რავა დაგვ-
ლუპა ვიღაცამ, აგაბო ბოგვერაძე, ხედავ? და რავა გგონია, შენ,
ვინ გვიზამდა ამ საქმეს?

აგაბო. არავინ. ალბათ მისამართი შეეშალათ, ფოსტაში ხდება ამის-
თანა ამბავი.

კესარია. დიდუუ, აგაბო ბოგვერაძე, ეს საქმე არ ჩაიშალოს თუ
არა, მარტო ორდანას კი არა, ჭურიგოზიების მთელს უბანს და-
ვასხამ ნავთს და დავწვავ.

აგაბო. ნამეტანი ხარ, ჩემო კესარია, პატარაზე დიდი გულის მოს-
ვლა იცი!

კესარია. პატარაა, ბედნიერება სახლში მქონდა და კარს უბედუ-
რება მომაყენა?

აგაბო. ვინ იცის, კესარია, ბედნიერება სად თავდება და უბედუ-
რება სად იწყება! სად ვეძებთ სიკეთეს და სად უნდა გვეძებნა!

კესარია. შენ აქ უნდა ჩაძაღლდე, მაგ ბარით ხელში, ესაა შენი
ბედნიერება!

აგაბო. ეს მარჩენდა, ამით ვცოცხლობდი და მკვდარსაც ეს დამმარ-
ხავს. იმ ქალაქშიაც ამის სული უდგიათ და იქაურ მკვდრებსაც
ეს მარხავს.

კესარია. შენ იცი მაგი და ჩემმა შვილებმა არ იციან?

აგაბო. ეს ჩვენმა შვილებმაც კარგად იციან.

კესარია. შენ მარტო მაგი იცი და იმგვენმა ბევრი სხვაც იცოს,
ადექი ზევით, გოქები და ქათმები დაკლული წავიღოთ, ხომ ვერ
ავაოხრებთ იქაურობას.

ა გ ა ბ ო. შენ რომ ჰკითხო, არ გეტყვიან, არ უნდათ შენი შეშფოთება თუ არა, გადადებულია ქორწილი. გოჭებს კარგად აჭამე, იქნებ სულ არ გახდეს იქ წასაღები. იმ ქათმებს და ინდაურებსაც გაუღე კარი და მინდორში გაუშვი.

კ ე ს ა რ ი ა. რომ არ ვიცი რა გზას დავადგე, მე შავ დღეზე გაჩენილი! შავი დღე არ მოშორდა მის ოჯახს, ვისაც ჩვენი ბედნიერება შეშურდა. (გადის. აგაბომ ბარის ტარით მაღლა სართულის იატაკს მიურახუნა და საქმე განაგრძო, შემორბის ბ უ ხ უ ტ ი, ხალათს გზადაგზა იცმევს.)

ბ უ ხ უ ტ ი. დილა მშვიდობისა, მამა!

ა გ ა ბ ო. მშვიდობა ნუ მოეშალოს ჩემს შვილსა და მომავალს!.. გაზარმაცებულხარ, ბიჭო, სასწავლებელში...

ბ უ ხ უ ტ ი. ლექციები ცხრაზე ადრე არ იწყება, მამა!

ა გ ა ბ ო. ცხრა საათამდე მუშა კაცი მაძღარი უნდა იყოს საქმით.

ბ უ ხ უ ტ ი (მორიდებულად). აქ კი, მამა.

ა გ ა ბ ო. მე ქალაქიც ვიცი და ადრე ადგომას იქაც არავინ დაგიშლის...

ბ უ ხ უ ტ ი. დაშლით ვინ დაგიშლის... (დუმილი ჩამოვარდა. ბუხუტიმ ბარი აიღო, ხელში მოსინჯა.) მიწას თავისით მობარავს.

ა გ ა ბ ო. კარგი დაგებულია?

ბ უ ხ უ ტ ი. კარგი, მამა. შენი დაგებული ბარის, თოხის და ნაჯახის ტარი ყოველთვის მარჯვე და მოხერხებულია...

ა გ ა ბ ო. მაგრამ თავისით მობარავს, მოთოხნის ან მოჭრისო არაა მართალი.

ბ უ ხ უ ტ ი. თავისით ჰქვია...

ა გ ა ბ ო (აწყვეტინებს). თავისით რომ მოებარა, რახანია იქეთ ჭის ქვეშ, ბეოლების მწკრივამდე მიწის გადაბრუნებას ვაპირებ, დაბერდა ჩვენი ვენახი, გაახლება უნდა, მინდოდა ძირზე დამეჭრა, იქნებ ამონაყარს ეჯობნა...

ბ უ ხ უ ტ ი. ბებერ ფესვზე ამონაყარს ახლის ჩაყრა სჯობია...

შემოდის კესარია.

კ ე ს ა რ ი ა. ადექი, შვილო? ასე უთენია რამ წამოგაგდო, ეს ბარი შენც ხელში გიჭირავს?!

ა გ ა ბ ო. უჭირავს, კესარია, და რას ამბობს არ იკითხავ?

კ ე ს ა რ ი ა. ჰო, დედა, თქვი, შვილო, თუ რაიმე კარგი იცი, თქვი. გამისკდა გული, ვერ გავიგე რა ამბავია ჩემს თავს...

ა გ ა ბ ო. რაი და, ჩვენ რომ სავენახეს გადაბრუნებას ალარ ვაპირებ-
დით...

კ ე ს ა რ ი ა. რა ჯანდაბად გვინდა, რაღაც ორი დღის წუთისოფელი
გვაქვს, ახლა მიწას ვაბრუნებთ...

ა გ ა ბ ო. მოიცა, შე ქალო, პირში რომ მეცემი, მეც ასე ვფიქრობდი,
რაღად მინდა ახალი, ამ ძველს დავაჭრი ძირზე, ამოიყრის და
გაახლდება-თქო.

კ ე ს ა რ ი ა. მაგასაც დაანებე თავი, რაცაა კი გეყოფა შენ.

ა გ ა ბ ო. ასე შინდოდა, მაგრამ აგერ, ამ ოჯახაშენებულმა არაო...

ბ უ ხ უ ტ ი. მამა, რა არაო? (ვერაფერი გაუგია.)

ა გ ა ბ ო. არაო, ბებერ ძირზე ამონაყარი კი არა, ახალია საჭიროო.

კ ე ს ა რ ი ა. საჭირო, საჭირო, ახლა ძველს რომ ახალი სჯობია...

ა გ ა ბ ო. ჰოდა, შენ აგაშენა ღმერთმა! მაგი შენც კი გცოდნია და რა
გასაკვირია ნასწავლმა აგრონომმა კაცმა რომ იცოდეს!

ბ უ ხ უ ტ ი. მამა, მე რა ვთქვი...

ა გ ა ბ ო. ვიცი, შვილო, ვიცი, მიგიხვდი. ერთი, თუ კაცი ხარ, გაალ-
ვიძე ის შენი ძმებიც.

ბუხუტი გატრიალდა და გავიდა.

კ ე ს ა რ ი ა. კაცო, დაკარგე ჭკუა? რა დროს გალვიძებაა, ჯერ ხეირია-
ნად არც გათენებულა. ჩემი დურმიშხანი შუადღემდე არ მიდის
სამსახურში, მით უმეტეს, თუ დღეს ალარ მიემგზავრებიან, რა-
ღა ეჩქარებათ.

ა გ ა ბ ო. არც დღეს მიდიან, არც ხვალ და მგონი არც ზეგ, იქ რომ
გაუგიათ რაღაც ცუდი ამბავია...

კ ე ს ა რ ი ა. დიდუუ, რავა შეწრიალდებოდა ქვეყანა!

ა გ ა ბ ო. ნუ გეშინია, კესარია, არ დაწყდებიან ჯავრით. ჰოდა, ახლა
მთელი ერთი კვირა რომ არ გამოცხადდნენ სამსახურში, ვიღა
მოიკითხავთ.

კ ე ს ა რ ი ა. ვინ რას აკადრებს ჩემს შვილებს, არ არიან დაფასებული
და მიღებული, თუ არ ვიცი ახლა მე მაგი!

ა გ ა ბ ო. რომ იცი, გადადი ბოსელში, ხბო ნახე: წუხელ შენს რძლებს
ძუძუზე მიეშვათ და შუალამემდე ღეპავდა ძროხას. მერე მე შე-
ვიარე, მაგრამ ნასვამი ვიყავი და არ მახსოვს ხეირიანად, ღავაბ-
თუ არა.

კესარია. შე რომ სუფრიდან ფეხი არ გადამადგმევინე, აბა რა იქნებოდა. (გარბის. შემოდის იოველი.)

იოველი. გამარჯობა, მამა.

აგაბო. გაუმარჯოს იოველს! (ბარს მიაჩეჩებს ხელში.) რავარი დაგებულია!

იოველი. შენს დაგებულ ბარს რა გასინჯვა უნდა!

აგაბო. ასე მეგონა მეც, მაგრამ იმ ბარტყმა, ბუხუტიმ, ერთი ამბავი მიქნა, ვენახის ძირში დაჭრა რომ გიფიქრია, ეს რა ჭკუაო, ბებერ ფეხვზე ამონაყარი ვაზი რა ვაზიაო.

იოველი. აბა, რომ დაბერდა, რა ვქნათ?

აგაბო. მაგი არ ვუთხარი?! სიცილით მოკვდა, ერთი ფიორი ჭკუა არ გქონია, არსად არ გაამხილო, თუ არა, თავი მოგვეჭრებაო. რა ქენი და ახალი ჩაყარეო.

იოველი. რაფერ მიხვდა მაგ ეშმაკი!

აგაბო. მაგიც თქვა, არც ის წამოგცდეთ სადმე, მე რომ ამას ვამბობ, დამცინებს ქვეყანაო. ახალი რომ სჯობია, ამას ვინ არ მიხვდებაო.

იოველი. ახალი რომ სჯობია, ჩაყრა უნდა და ჩაყრას რა უნდა, ისიც თუ იცის!

აგაბო. არ ვუთხარი? ნუ გეშინია, ესეც კარგად ვიცი. მაგან შემომითრია ეს ბარები აქ თუ არა, რა ხანია საბძელში მეყარა, მე ერთიც კი მყოფნის.

იოველი. კი, ბატონო, მე რა მეთქმის, მაგრამ სიტყვას საქმე უნდა!

აგაბო. მერე და ყელში ნუ ვეცემით, ვაცალოთ, მხარი დავუჭიროთ, მივეხმაროთ.

იოველი. ვინ მამაძაღლი ამოიღებს ხმას, ასე უქნია, კოლექტივის სავენახეც გადაუბრუნებია. ერთი კანტორაში გადავალ, ბრიგადირებს დავალებას მივცემ.

აგაბო. მოიცა, კაცო, სად გადახვალ...

იოველი. მამა, კოლექტივი უპატრონოდ მაქვს მიტოვებული, ათასი საქმეა...

აგაბო. საქმე კია, შენ გამკეთებელი მითხარი თუ არა, მე ამ ორ დღეს სამუშაოდ ვერ გამოვალ და..

იოველი. შენ რომ ვერ გამოხვალ, მეც აქ დავჯდე?

აგაბო. გადადი და ნუ დააგვიანებ, ძმებია, მონატრებული ეყოლები, შენ, უფროსს რომ ვერ დაგინახავენ, გუნება გაუფუჭდებათ.

ი ო ვ ე ლ ი. ნახევარ საათში აქ ვიქნები!

ა გ ა ბ ო. უფრო ადრე, იმ შენს ბრიგადირებს მიცემ დავალებას თუ არა დედამიწას გადააბრუნებენ. რაღაც ერთი ორი დავარდნილი და ხელაკანკალებული ბებერი თუ გამოათრიეს სამუშაოდ, ისიც დიდია.

შემოდის დიტო.

დ ი ტ ო. მამაჩემს ჩემი მზურვალე სალამი, ჩემს ძმას იოველს გაუმარჯოს! (ორივეს ხელს ართმევს. იოველი კარისაკენ მიდის.) მამაჩემო შენ ჭკვიანი კაცი ხარ, ამ შენს უფროს ვაჟიშვილს ჩემი მოსვლა ხომ არ ეწყინა?

ი ო ვ ე ლ ი. ახლავე მოვალ. (გადის.)

ა გ ა ბ ო. მაგას არა და მე, კი!

დ ი ტ ო. დანამდვილებით იცი? (იცინის.)

ა გ ა ბ ო (წარბს იკრავს). ნამდვილად ვიცი.

დ ი ტ ო. შენ, მამაჩემო, მართლა არ ხუმრობ! (გაიცა).

ა გ ა ბ ო. მე შენც ჩემი მომხრე და მაამებელი მინდიხარ, ისე, როგორც სხვები...

დ ი ტ ო. მამაჩემო, რითა ვარ სხვა შვილებზე ნაკლები! ახლა, თუ მინისტრი არა ვარ, რაიონში მეც მიცნობენ და რაიონი მარტო ჩვენი სოფელი არაა.

ა გ ა ბ ო. რომ გიცნობენ, დამსახურებულიც გექნება, აბა, მე კი არ მიცნობენ!

დ ი ტ ო. შენ, მამაჩემო, მიწის მუშა კაცი ხარ, შენი საქმე იცი და ვინც გიცნობს, რატომაც არა, გაფასებს.

ა გ ა ბ ო. სხვა ვინ მიცნობს, მაგრამ შენ კი უნდა მიცნობდე!

დ ი ტ ო. რა მყავს შენი ფასი, ჩემო უბერებელო, ძელქვა მამა!

ა გ ა ბ ო. ნუ იცი ცარიელი სიტყვების ბრახუნი!

დ ი ტ ო. რა იყო ისეთი, რომ დაგჭირდა და არ გამოგადექი. ამ რაიონში მე უფრო მიცნობენ, ვიდრე, თუ გნებავთ, დურმიშხანს.

ა გ ა ბ ო. კი გიცნობენ, მაგრამ თუ ბიჭები რაღაცის გაკეთებას აპირებენ, თუ უნდათ მამას წაეშველონ და ხელი წაუკრან...

დ ი ტ ო. მერე, მე დავუშალე თუ?

ა გ ა ბ ო. მაცალე, რომ არ დაუშალე ეს იმას არ ნიშნავს, რომ შენ წამოიწყე. შენთვის სხვას არ უნდა დაესწრო. კი, ძმა სულ ერთია,

რომელმაც არ უნდა თქვას, ერთმანეთის სათქმელს ამბობენ, მაგრამ ერთმანეთის გასაკეთებელს კი ვერ გააკეთებენ.

დ ი ტ ო. მე ჩემი გასაკეთებელის გაკეთებას არავის ვთხოვ, ძმა რომ ძმაა, არც იმას. მე შენ ვინ გგონივარ, მამაჩემო!

ა გ ა ბ ო (ბარი მიაჩეჩა). ჰოდა, დაიჭირე ხელში. აგერ მოვა დურმიშხანი და შენ თვითონ უთხარი, მამაჩემს ახალი სავენახე უნდა გადავუბრუნოთ-თქვა. რა ვუყოთ, რომ მინისტრია, ის შენზე უმცროსია.

დ ი ტ ო. ოჯახში მე მინისტრი არ ვიცი!

ა ბ ა ბ ო. [illegible] ბეგერიმამ და შენ კი გაქვს რაიონში იმდენი დაფა-ხელი [illegible] ძმეგაგვიანდეს, ამისათვის არავინ გა-[illegible]!

დ ი ტ ო. რატომაც არა. ვიტყვი რომ გაბორკვევაზე ვიყავი ან...

ა ბ ა ბ ო. კი, იცი რა თქვა... ახლა, დავიჯერო, შენ არ გაგიცდენია ერთი და ორი დღე? ან სამი დღის საქმე ერთი გავლით არ გაგიკეთებია და მერე ერთ სალამოს არ დაგიწერია ის ქაღალდი?

დ ი ტ ო. მოახსენებითი ბარათი, მამა!

ა გ ა ბ ო. ჰო, მაგი შენ უფრო იცი!

შემოდის დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი.

დ ი ტ ო. ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. (გაგიმარჯოთ... მამა, (გაგიმარჯოს... რა ჰაერია, კაცო, ვერაფრით ძილს თავი ვერ წაეართვი... (თვალებს იფშვნეტს.).

დ ი ტ ო. კარგი ჰაერი რომაა, ჩემო ძმაო, ეს სოფლის ჰაერია, ახლა შენ კი არ გეწყინოს და ჩემზე უმცროსი ხარ...

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი (ხანგრძლივად ამოქნარებს, აგაბოს პირი მოარიდა). კი, მე შენზე ორწლინახევრით უმცროსი ვარ და ისიც მართალია, რომ აქ სოფლის ჰაერია.

დ ი ტ ო. შენ თვითონ ამბობ, ჰოდა, ამ ჰაერს ხე და ვენახი სჭირდება... მამაჩემს ახალი ვენახი უნდა... ამას მე ვამბობ, მაგრამ შენც ხომ ამას იტყვი. (შემოდის კესარია.) დედიკო! (მოეხვევა.) რატომ ადექი ასე ადრე, რატომ არ დაისვენებ?

კ ე ს ა რ ი ა. თქვენ დაისვენეთ, შვილებო, მე თქვენი ჭირი წაშილია...

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. დედა, რას ამბობ, დედიკო... (ისევ ამოქნარებს, გრძლად, აგაბომ ახედა.) მამა, ბოდიში, დედა, ძილი გამომეყვა.

კ ე ს ა რ ი ა. მერე, ვერ მოითავე, შვილო?

დურმიშხანი. რა ვიცი, ბუხუტიმ არ დამაყენა, არც კი ვიცი რა მითხრა, თქვენ ასე უთენია რამ წამოგყარათ, რატომ არ გჯერათ, რომ ხანში შესულები ხართ...

აგაბო. გაიგონე, კესარია, ორი შვილი რომ ამას გეუბნება, დანარჩენი ორიც და ის სამი რძალიც ამას გეტყვის. შვილებს არ უსმენ, აბა, ვის, ვის უსმენ?

კესარია. შე კაცო, როდის იყო, რომ მე ამათ...

აგაბო. მოიცა, თუ ქალი ხარ, შვილები ჩემსავით ასს კი არ გეტყვიან, ესენი ყველაფერს თითო-თითოჯერ ამბობენ და ქვეყანა ივ სიტყვაზე ბრუნავს. გულით რომ ამბობენ კი არა, რომ წამოცდეთ, იმასაც უსრულებენ. რომ გეუბნებიან, დაჯექი აგერ ტახტზე, ან მიწექი და დაისვენე, კი მიხედავენ მაგენი საქმეს. მე შენ გეტყვი, წუხელი არ მოგეწონებოდა ჩვენი რძლების ნახელავი ვახშამი!

კესარია. რავა აქვს ჩემს ჟუჟუნას ფეხი, მდუღარე რომ დაისხა; ლანდამ, მოუკვდა ჩემი თავი, მგონი ფრჩხილი მოიტეხა.

დურმიშხანი. ორი, დედაჩემო!

კესარია. რატომ არ დამეფსო თვალები!

დიტო. ჟუჟუნას წვივი რომ დაეწვა, ეს არაფერი. ლოგინს რომ შლიდა, ტახტს ასახდელი თავი არა აქვს, ლეიბი და საბანი ხომ უნდა ამოეღო, გაექცა სახურავი, დაეცა მკლავზე და სულ დაულურჯდა.

კესარია. აგაბო, რატომ მიდგია პირში სული, რატომ არ გამიშვი, ლოგინს მე ვერ გავშლიდი?

აგაბო. არ ქნეს, შე ქალო, არ ქნეს თუ არა, მეც იქ არ ვიყავი?

დიტო. შენ, მამა? შენ მაგის კაცი ხარ, ქვეშაგებს გაშლიდი?

დურმიშხანი. მამა, თქვენ როგორ გეკადრებათ!

აგაბო. აგერ, შენი ყურით გესმის, შენ როგორ გეკადრებაო, მე და შენ გვიჯერიან? მე და შენ გვაწუხებენ? არ გვაწუხებენ. აგერ, ახლა რა გადაუწყვეტიათ, რომ იცოდე, ჰკუას მთლად დაკარგავ, მაგრამ ჩვენ ვინ მოგვისმენს. რომ ვასწავლეთ და ჩვენზე მეტი იციან, ჩვენც უნდა დავუჯეროთ. მაგენი უფრო შორს ხედავენ. ხვალ რა იქნება ისე იციან, როგორც ახლა მე შენ გიყურებ და ვიცი კესარია ხარ, დაშნიანის ქალი.

დურმიშხანი. კი, დედა, კი, უნდა დაგვიჯერო; ჩვენ შენთვის გეუბნებით...

აგაბო. ა, ბატონო, ეგეც მე ვარ?

კ ე ს ა რ ი ა. კი მაგრამ, მე არ ვიცი, რომ შვილი და რძალი ჩემ-მტერი არაა?

ა გ ა ბ ო. ჰოდა, თუ იცი პირში წყალი დაიგუბე, მიდი და დაბრძანდი მაგერ ტახტზე, სადაც შენმა შვილებმა მიგითითეს, თუ რამეა გასაკეთებელი, შენ ნუ გეშინია, აგერ ნახავ ესენი რა საქმეს და-ატრიალებენ.

დ ი ტ ო. მე რასაც ვამბობ, ჩემი ძმების სახელით ვამბობ!

ა გ ა ბ ო. რა ვქნათ, არ დავუჯეროთ?

კ ე ს ა რ ი ა. შემოეეღოთ ჩემი დღე და წუთისოფელი!

ა გ ა ბ ო. მა-ტო სიტყვა ხარ და მეტი არაფერი. მიდი, დაჯექი მანდ!

დ ი ტ ო. დაჯექი, დედა, დაჯექი.

კესარია ჯდება.

ა გ ა ბ ო. ახლა ეუეუნას თუ რაღაც მდუღარე დაეშხეფა წვიეზე, არ მკლავი დაულურჯდა, ბედაური ქალი მაგას ჩააგდებს რამედ და შენს გამომცხვარ მჭადს შეჭამს, ან შენ გაგატანინებს ნაკელს და დაგახვეტინებს ეზოს?!.

დ ი ტ ო. ახლა ეუეუნა თუ არ იზამს, გოგოლა და ლანდა...

ა გ ა ბ ო. ისინიც იზამენ და ის კი არა, ჰო, დიტო, შენ რა გინდოდა გეთქვა?

დ ი ტ ო. მე ჩემი ძმების სახელით ვამბობ.

ლ ო ო ბ ი ს ხ ა ნ ი (ისევ დაამთქნარა.) ჩემს სათქმელს მე ვიტყვი.

დ ი ტ ო. შენ ჩემზე უმცროსი ხარ!

შემოდიან იოველი და ბუხუტი.

ა გ ა ბ ო. აი, ესენიც მოვიდნენ! ჰო, გასაგებია, რავარც თქვენ ამბობთ, ისე იქნება, მე და კესარია თანახმა ვართ. (ბარს აძლევს ხელში დიტოს, იოველს, ლურმიშხანს, ლურმიშხანს ვერაფერი გაუგია.) ბუხუტი, შვილო, შენ ჩემი ბარი იხმარე, კი იცი შენ, სად ვიხახავ. აბა, ჰე, გადით, საქმეც გვიჩვენეთ, თუ არა, ლაპარაკი მე და კესარიასაც შეგვიძლია. (ბარს უღებს და ძალით უშვებს.)

კ ე ს ა რ ი ა. სად უშვებ, კაცო, ამ მშიერ-მწყურვალ და გამოუძინებელ ხალხს?!

ა გ ა ბ ო. მე ვუშვებ? ვერ ხედავ, გარბიან? არაფერს აღარ გვიჯერიან, ახალ საევნახეს აბრუნებენ, კესარია, აახლებენ ჩვენს ცხოვ-

რებას. აბა, ჰე, თქვენი ჭირიმეთ, შვილებო! (გადიან წელმოწყვეტით, აგაბო ჩიბუხს ტენის.) ახლა რძლები რომ წამოცვივდებიან, მერე შენ უნდა ნახო რა შრომას გააჩაღებენ.

კესარია. არ გადაირიო, კაცო!

აგაბო. აბა, უარესს გეტყვი! იმ შენმა საფიცარმა რძალმა გუშინ-რა მითხრა იცი? ის ნაკელი, იქვე ბოსელთან რომ დაგიყრიათ, გატანა უნდა, ანტიჰიგიენურიაო.

კესარია. კი არ ვიცი, მე უბედურმა, „ანტიგიენური“ რას ნიშნავს...

აგაბო. ხვალ დილით ავდგებით და ჩვენ, სამივე რძალი გავიტანთო. აი, ამას ნიშნავს და რაკი გაიტანებენ, ალბათ ახალ სავენახეში ჩაყრიან; თან იქაურობას გაწმენდენ, თან მიწას გაანოყიერებენ, ჰა, კესარია?!

კესარია. ჩუ, შე კაცო!

აგაბო. მე კი არ მითქვამს, რომ მაჩუმებ! (ჩიბუხს მოუკიდა, ფეხი ფეხზე გადაიდო.) შენ რავა ფიქრობ, ასე უნდა, კესარია, ცხოვრება!..

ნაწილი მეორე

სურათი მესამე

აგაბოს სახლი. ეზო და საბძელი. ყველაფერი კარგადაა მოყრილი. საღამო. პალატიდან გამოდის გაფოფრილი კესარია. ხელებს წინსაფარსე იმშრალებს. მიიხედ-მოიხედა. ეზოს ბოლოში გასცქერის.

კესარია. დამიხოცა შვილები ამ გადაყრუებულმა ყაძასმა, აღარც აწი ასვენებს ეს ჩემი ცოდვით სავსე? (გასძახის.) ბუხუტი! ბუხუტი, დედა! დაანებეთ, შვილო, თავი, დაღამდა, დედა! თვალებში დაგიღამდა, აგაბო ბოგვერაძე! (ვიღაცას მოკრა თვალი.) ღმერთო, რატომ ვარ ცოცხალი, ღმერთო, რატომ სულს არ ამომაძრობ! ლანდა, ლანდა! ჟუჟუნა! გოგოლა! არ გეყურებათ? რას შვებით, თქვენი ნაკელის ზიდვა ვინ გაიგონა! (გასწევს იქითკენ. პალატის მეორე კარებიდან გამოდის აგაბო ჭრაქით ხელში.)

აგაბო (ძლიერი, შეუვალი ხმით). კესარია! (კესარია ადგილზე გაჩერდა.) მოდი აქ!

კესარია უსურვილოდ მობრუნდა.

კესარია (ნირწამხდარი). რა გინდა, შე გაფუჭებულო ყაძახო?!

აგაბო (მზრუნველი ხმით). სად მიდიხარ, ეს ამდენი შვილი და რძალი რომ წელებზე ფეხს იდგამს, ვაჰშამი არ უნდა? გიჭირს, მართალია, მაგრამ შენ გგონია იმათ არ უჭირთ?

კესარია. შენ გაგიჭირვა ღმერთმა პირში სულის მოთქმა! უჭირთ კი არა, ჩაწყდნენ, დაიხოცნენ. ლანდა!..

აგაბო. მერე, მშიერი ივარგებს ეს ხალხი?

კესარია. დამიწყდა შვილი და რძალი! რად უნდათ მაგათ ან სმა, ან ჭამა; ცისმარე დღეს ბარი და ნაკელის გოდორი? ეუეუნა!..

აგაბო. სმა-ჭამა და მოლხენა ნამუშევარ კაცს უნდა, აბა, უქმად მყოფს, მე რომ მკითხო, წყაროს წყალს არ დავალევინებ, ტყუილად დაიღვაროს ჯობია. მიდი ახლა, საქმეს მიხედე, ჩვენც ახლავე, პატარა გამოსათავარი გვაქვს... (წასვლა დააპირა.)

კესარია. ლანდა! (მეორე მხარეს.) ბუხუტიი!.. ჭრაქის სინათლეზე ამუშავებ, შე უღმერთო? არ გეყო, მთელი დღე მუხლი არ ჩაუხრიათ? იოველ!

აგაბო (ნაწყენი). მე ვამუშავებ? კესარია, არ გადამრიო. მე ვინ მკითხავს! შენ მაგენი მართლა ბავშვები ხომ არ გგონია? მე მეკითხებიან? ქვეყანა ხელში უჭირავთ! ვინმეს რომ გაიგონოს, მართალი ეგონება. მე, მე ვინ მაგდებს კაპიკად. მითხრეს ჭრაქიო და მიმაქვს — ლარი უნდა გაუწიოთო. გაუწიეთ-თქვა, აბა, შენ რავა მირჩევ, არ მივუტანო? დავამადლო? დავუშალო? თუ გინდა შვილებს გული ვატკინო. ხომ იცი, კაცი რომ გულში საქმეს ამოიჭრის, რომ ვერ გააკეთებს, ღამე არ დაეძინება. მთელი ამოდენა დღე ბარზე დაღლილი შკილები უძინარი დავტოვო?!

კესარია. დაიხოცნენ, შე კაცო, მაგენი მძიმე სამუშაოს გადაჩეულები არიან, ხომ იცი, ბარისთვის და თოხისთვის არ გამიზრდია მე შვილები!

აგაბო. ქალო, უყვართ ეს მიწა და რა ვქნა ახლა მე, შევაძულო? რაც გიყვარს, ის მძიმე სულაც არაა. მიწას რომ მოვეკალით, ახლა ჩვენი ძვალი არ იქნებოდა!

კესარია. ჩვენი საქმე სხვა იყო, შე კაცო!

აგაბო. რა იყო, ახლა, ჩვენი საქმე იმისთანა, რომ მაგათ ათ წელიწადში ერთხელ არ ეკადრებათ. ჩვენი შვილებია, ხომ?

კესარია. ჩვენი შვილები რომაა...

აგაბო. არა, მართალი მითხარი, ხომ ჩვენი შვილებია?

კესარია. ყაძახო!..

აგაბო. არა, შენი შვილები რომაა, მეც ვიცი, ცხრა-ცხრა თვეს დაათრევდი მუცლით. რაცხა მაგენი ნამეტანი შენსკენ არიან და იქნება ჩემი ხელი არც ქუ ურევია მაგათ გაჩენაში.

კესარია. გაგიხმა ენის წვერი!

აგაბო. მახსოვს, ჩვენს ახალგაზრდობაში აქ სოფელ-სოფელ ჯაგლაგით ერთი მეწერილმანე ებრაელი დადიოდა, ფართალს და ფერ-უმარილს ყიდდა.

კესარია. საწყალი შაფათა...

აგაბო. რავა ვუულს მოგეწვა... არა, კესარია, გვიჭირდა ცხოვრება: მე დღე და ღამე მიწას ვებრძოდი, თვეობით აჯამეთის და ჭალადიდის ტყეებში ვეგდე, სად მითენდებოდა და სად მიღამდებოდა, მეც არ ვიცოდი, იქნებ იმ კაცს ვეცოდებოდი და მეხმარებოდა...

კესარია (გაცეცხლდა). ჭკუას მოუხმე, ყაძახო, თუ არა... იმ კაი დედ-მამის სული ნუ წამიწყდება... ლანდა!

ჭიშკარს ცაგო მოადგება.

აგაბო. აწი რომ გატყდე, კესარია, კი არაფერი გიჭირს!

ცაგო. აგაბო ბიძია!

აგაბო. აჰ, ცაგო ხარ?

კესარია. იორდანე ღრანჭმოქცეულის გოგო?! (კიდევ უფრო გაცეცხლდა).

აგაბო. ჰო, ცაგო შე ქალო, რავა, პირველადაა ჩვენთან თუ?

კესარია. რად მინდა მე მაგი ახლა აქ! გაიგო ბიჭი ჩამოვიდა და მოსდია ხომ? ახლავე აქედან მომაშორე, აგაბო ბოგვერაძე!

აგაბო (იმ დაჯერებული, შეუვალი ხმით). კესარია!

კესარია (გატყდა). აბა, ახლა რას ჰგავს ეს! გასათხოვარი ქალია და არ მინდა სახელი გაუტყდეს. ხომ გაიგეთ, შენ და შენმა ღრანჭმოქცეულმა იორდანამ, რომ ჭურიგოზიების გომბიოს შე და ჩემი შვილები სახლში არ შემოვუშვებთ. არ დარჩება გაუთხოვარი, ტოლს ტოლი არ დაელევა.

ცაგო. აგაბო ბიძია!

აგაბო. ახლავე, ბიძია, ახლავე! (კესარიას.) ვინ მოსდია, შე ქალო, მე შევუთვალე რძლებს შენთვის არ სცალიათ, მოხმარება გინდა, რომ დაპერდი, ვერ გაიგე, შე უღმერთო? მეცოდები, კესარია,

მაგენი ყველანი წავა-წამოვა და ჩვენ ერთმანეთის მეტი ვინ გვყავს.

კესარია (მოლბა). სალა შემიძლია, მეტი არ შეაძლებინოს ჩემი შვილების ავად მახსენებელს...

აგაბო. მიდი ახლა, ეს გოგოც მოიხმარე, შე ქალო, ერთი ვახშამის გაკეთებაში მაინცდამაინც რძლად რომ არ მოიყვანო, ისე ვერ გადაუხდი სამაგიეროს? (ცოლს მიაბრუნებს ჰალატისაკენ და ჭიშკრისკენ გასწევს. კესარია სახლში შედის.) მობრძანდი, შვილო, მოდი! (ჭიშკარს სიყვარულით უღებს.)

ცაგო. საღამო მშვიდობისა, ბიძია!

აგაბო. გაგიმარჯოს, მოდი, ჩემო გოგო, მოდი! რაცაა მამაშენი?

ცაგო (შემოდის ეზოში). მადლობთ, ბიძია, რა უშავს!

აგაბო. რა მოკლავს... (შეაჩერებს.) ხომ იცი, მე შენ როგორც ჩემი შვილი, ისე გიყურებ (ცაგო შეცბა.) და ნუ მოგერიდება. რა ვუყოთ, რომ მამაა შენი, ისე ხომ დიდი გაფუჭებული და წამხდარი კაცია, ჰა!

ცაგო (იცის, რომ აგაბო ხუმრობს). კი, ბიძია!

აგაბო. შენ აგაშენა ღმერთმა... დიდი წელგაურეცხავი და ღვთის პირიდან შეჩვენებულია, ჰა, რავა იტყვი შენ!

ცაგო. კი, ბატონო!

აგაბო. ესეც შენ! ეორდანა ეურიგოზია! ხომ მართალს ვამბობ, ჩემო შვილო?

ცაგო. კი, ბიძია.

აგაბო (იცინის). შენ აგაშენა ღმერთმა... (ისევ იცინის.) შენ გაგახარა ჩემმა გამჩენმა. (ცაგოც იცინის.) აბა, ჩემო შვილო, ერთი შეხებურად დატრიალდი, (ეზოს ბოლოს გახედა.) ეს მაძაძალები ჩამოცვივდნენ, რაღაც არ დამიჯერეს და სავენახეს ეცენ, ხომ იცი, ახალგაზრდობაა, ღონე ერჩით!

ცაგო (გაუხარდება). მიწას აბრუნებენ? ხომ კაი ამბავია!

აგაბო. კი, კარგი. (გადაეფუჩეჩა.) რად მინდა-მეთქი, მე ჩემს სიცოცხლეში რაც მაქვს, ისიც მეყოფა-თქვა, მაგრამ გიჯერებს ვინმე?

ცაგო. მე რა ვიცი, მაგრამ მამა ამბობდა, აგაბოს დაუბერდა ვენახიო.

აგაბო. ჰაიტ, მაგ ყიამყრალი, ასე მლანძღავს და მჭრის თავს ქვეყანაში, რომ ჩამასო კბილი, ჩამასო... არ უნდა გამახაროს, მაგრამ მე არ ვიყო აგაბო ბოგვერაძე, თუ სმა გავცე!

ცაგო. ალადასტურის სამფუთიანი ჭური რომ მოგიხადოს?..

აგაბო. ჰა... (ჩაფიქრდა, ვითომ ისევ ეჭვობს.) ალადასტურის ღვინო... სამფუთიანი, სამოცკოკიანისა და საპალნენახევრიანის შუაში. რომ აქვს დამარხული?

ცაგო. დიახ, დიახ!

აგაბო. ღვინო კი, მაგრამ კაციც უნდა მიშოვოს თუ არა, მამაშენთან ჭურს ვერ გავტეხავ. (ისევ იცინიან.) აბა, მამაშვილობას, მიდი, კესარიას უშველე, მე ბიჭებთან უნდა გავიქცე. ისე გამარჯვდნენ, ღამეც არ უნდათ დაისვენონ... (გადის.)

ცაგო. პალატისაკენ მიდის, მაგრამ თვალი უკან რჩება. მოისმის ძაღლის ყეფა. შემოდიან ქანცგაწყვეტილი, კესარიას ძველმანებში გადაცმული, ნაკელში ამოსვრილი ლანდა, ქუქუნა და გოგოლა. ლანდა ნაკელის გოდორს მოისვრის, გადააგდებს ქუქუნაც, გოგოლა დადებს და ზედ დაჯდება.

ლანდა. არ დაგვწყვიტა ამ ქოფაკმა?

ქუქუნა. ჩემს ქმარს რა ენაღვლება, მე რომ მოვკვდე, გაციებას არ მაცლის, სხვას ითხოვს.

გოგოლა. ჩვენი ქმრები ჩვენზე უარეს დღეში ჰყავს ჩვენს მამამთილს...

ლანდა. იმათზე ახია, მუნჯები!

ქუქუნა. ჩემს ქმარს ჩემთან აქვს დიდი ენა, სამსახურში და მამამისთან საწინააღმდეგოს როგორ გაბედავს!

გოგოლა. ახლა მამამისს ხომ არ აწყენინებენ.

ლანდა. ისე ვაწყენინებ, მზე მაღლა იყოს!

ქუქუნა. ჩვენ რატომ, მისმა შვილებმა უნდა აწყენინონ.

ლანდა. ნუ აწყენინებენ, მე ახლავე ვჯდები მანქანაში და მივდივარ.

ქუქუნა. მე ამაზე უარესი აღარ დამემართება!

გოგოლა. არა, ხანდახან კი უნდა ვეხმარებოდეთ, რა ქნან, მშობლებია, მაგრამ დღეს სულ დავიხოცეთ.

ქუქუნა. მე თუ არ ვიქენი, მაგისთანა არც მშობლები მინდა, არც ქმარი და არც... (შეჩერდა.) შვილი რომ მყავდეს, არც ის.

გოგოლა. შვილი რომ გყავდეს...

ქუქუნა. შვილი რომ ჰყავს აგერ ლანდას, ვინ უსვამს თავზე ხელს?

გოგოლა. ვინ არ უსვამს, გენაცვალე, ქუქუნა, მაგის ქმარი მაგის ჭირს მიწაზე არ აგდებს!

ქუქუნა. მე მამამთილზე ვამბობ.

ლ ა ნ დ ა. არავის თავზე ხელის დასმა არ მჭირდება, მე ჩემი სახლ-კარი მაქვს, ჩემი მშობლები კარგად მიმყოფოს ღმერთმა და არა-ვისგან არაფერს არ ვთხოულობ; მისმა შვილმა გამოუგზავნოს თუ უნდა; რასაც აიღებს — სულ მაჭამისს გამოუგზავნოს, უქი-რავოს კაცი და მიწაც გადაუბრუნოს და თუ უნდა ახალი სახლიც აუგოს, მე ვუშლი თუ? ვეუბნები დედ-მამა შეიძულე-თქო თუ?

ქ უ ქ უ ნ ა. არ ვიცი პირდაპირ...

გ ო გ ო ლ ა. ოქროს გული გაქვს, ლანდა, შენი ჭირიმე. ჩვენი ყვე-ლას იმედი და სახელი ხართ შენ და ჩემი მაზლი, ისე თქვენი და ჩვენი ნინო გაგვეზრდება და მოგვასწრებს ღმერთი მის ბედნიე-რებას.

შემოდის აგაბო. იცის რძლები რაზედაც საუბრობენ, ჩაახველებს. სამივე მიტ-რიალდა. გოგოლა ლანდას მიერ გადაგდებულ გოდორს მოარბენინებს, ქუქუნა უხერხულად იღიმება.

ა გ ა ბ ო. რა რძლები მყავს, რა რძლები მყავს... კესარია, გამოდი ვარეთ, შეხედე. კესარია! (კესარია გამოდის.) ღმერთს მადლობა უთხარი, კესარია.

კ ე ს ა რ ი ა. დედა, თქვენ შემოგეკლოთ ჩემი თავი!

ა გ ა ბ ო. ულირსი ვართ, კესარია, ულირსი!..

კ ე ს ა რ ი ა. აბა, შე კაცო, მიწას უნდა ვეჭამდეთ და სანთელს უნდა ეუნთებდეთ ღვთისმშობელს.

ა გ ა ბ ო. კესარია, წინ კი ეცი, როგორ ბიჭირს მე ჩემი ცოდვების კამხელა, მაგრამ უნდა გითხრა, რომ თუ ასეთი მშრომელი რძლე-ბი მყავდა, მოკალი და არ მეგონა.

კ ე ს ა რ ი ა. რავა მოიწყვიტეა წელი, რავა დავხოცეთ, სატირალი არა ვართ მაგათგან.

ქ უ ქ უ ნ ა. იმდენ ნაკელს ტრაქტორიც ვერ გადაზიდავდა!

ა გ ა ბ ო. ვერ გადაზიდავდა. შენ გგონია ტყუის, კესარია? ვერ გადაზიდავდა.

გ ო გ ო ლ ა. მამა, რას გიკეთებთ, რაღაცა ამ ერთხელ, მაგრამ ნამე-ტანი...

ა გ ა ბ ო. ხომ გესმის, კესარია, რა გავიკეთეთო, ხვალ, იცოდე შენ, უარესს იზამენ, დღეს კიდეკ შეუჩვეველი იყვნენ.

ლ ა ნ დ ა. ხვალ აქ გამჩერებელს ჩემდათავად...

ა გ ა ბ ო. ხომ გესმის, ხვალაც გამჩერებელს ჩემდათავად რა ვუთხ-

რაო. შენი საფიცარი რძალი ამბობს ამას, კესარია; ცივ ქვაზე დაასახლებენ, რომ მაგათი ქმრები უსახლკარონი იყვნენ.

კ ე ს ა რ ი ა. რას ამბობთ, შვილებო, ღმერთო მომკალი...

ა გ ა ბ ო. აბა, კესარია, ახლა მაგათ ლაყბობის თავი არა აქვთ, უნდა დაიბანონ, მოირთონ. ასე ნაკელში ამოსვრილები სუფრასთან დაგიჯდებიან? მიდით, შვილებო, მიდით! (ერეკება ეზოდან.) მერე რა, რომ თქვენ არაფრად აგდებთ, დიდი საქმე ქენით, დიდი შრომა გადაგწყვეტათ. ერთიორად უფრო გალამაზებული, გამშვენიერებული მეჩვენებით, მიდით, თქვენს თავს შემოვევლე!..

კ ე ს ა რ ი ა. ბიჭები დაწყდნენ, შე უწმინდურო, დაანებებინე თავი!

ა გ ა ბ ო. კესარია, მე ვინ მკითხავს. ჩემთვის რომ ეკითხათ, ამ ანგელოზებივით ქალებს, გოდრისთვის მოვაკიდიებდი ხელს? და ისიც ნაკელის გოდრისთვის! აბა, ვახშამს მიხედეთ, მე ჭურს მოვხდი და ბიჭებიც მოვლენ.

გადიან.

შემოდის მეხლებამდე შარვალდაკარწახებული, აყალოში მოსვრილი დ ი ტ ო, დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ს ბარი დაუბიჯგებია და მოლასლასებს.

დ ი ტ ო. ამ მიწის მომგონიც გადაშენდა და მისი მყვარეებელიც.

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი (გოდორი შენიშნა და ზედ დავარდა). მიწა, მიწაა მატერიალური დოვლათის და, აქედან გამომდინარე, სულიერი კულტურის დასაბამი.

დ ი ტ ო. მიწას გულზე რომ დამაყრიან, მაშინაც მეყოფა მაგის დოვლათი და კულტურა... სისხლი ძდის ხელებში... (იქვე ჩამოჯდა, არ დაუნახავს, რომ გოდორი დამხობილი არაა, შიგ ჩავარდა და ისე დარჩა.)

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. უნდა დადგეს დღის წესრიგში, რომ მიწის სამუშაოების ანაზღაურების საკითხი გადაისინჯოს.

დ ი ტ ო. გინდა გადასინჯეთ, გინდა გადმოსინჯეთ, გინდათ ყველა მიწის მუშა გვირად გამოაცხადეთ... (შემოდის დაქანცული იოველი.) იოველ, რატომ დაგვხოცე, შე ოჯახაშენებულო, რაკი მაინცდამაინც ჩაჩემეთ ეს ახალი ვენახი, მოგეყვანათ ტრაქტორი და საპლანტაჟო გუთნით გადაგებრუნებინათ.

ი ო ვ ე ლ ი. ტრაქტორი მამაჩემის ნაყიდი კი არაა!..

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. ტრაქტორი ხალხის ქონებაა. მაგრამ რატომ არ შეიძლებოდა...

დ ი ტ ო. კარგი, თუ ძმა ხარ, თავმჯდომარეები აშენდნენ. ამას, რა-

საც ჩვენ შევაკვდით, ნახევარ საათში გადააბრუნებდა. ხვალაც რომ ეს დღე გადამწყდეს, რა ვქნა, მამაჩემის დიდი ხათრი მაქვს. მაგრამ მე აღარ დავრჩები და...

დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი. ჩვენ ახლა ისე არ გვიჭირს ტექნიკა, არა, ტრაქტორი შეიძლება...

დ ი ტ ო (იოველს). შე კაცო, მინისტრი აგერაა. ამაზე უკეთესად ვინ იცის.

ი ო ვ ე ლ ი. მამაჩემს უთხარით. აქ მინისტრიც ისაა და მთავრობის თავმჯდომარეც.

შემოდის ბ უ ხ უ ტ ი, უსაშველოდ დაღლილია. ძმებს ბარებს გამოართმევს, ერთმანეთზე აფხეკავს და საბძლის გვერდით აყუდებს. შემოდის აგაბო ჭრაქით, დოქით და ორშიმოთი.

ა გ ა ბ ო. რა ქენით, გაუწიეთ ლარი? ხომ გამოათავეთ?

ი ო ვ ე ლ ი. ჰო, კი, მამა.

დ ი ტ ო. გამოვათავეთ და ჩვენც გავთავდით.

ა გ ა ბ ო. რამ გაგათავათ მაგ გოდრიდან რომ კრუხივით მელაპარკეები, ადექი ზევით! (დიტო წამოიწევს, ვერ დგება.) ჰო, თუმცა მიჩვეულია, თქვენს ბავშვობაში სად იყო სათამაშო ველოსიპედები, თვითმფრინავები და რაკეტები, გოდორში უყვარდა ჯდომა და გადაბრუნებულ ტაბურეტკაში ბურჭალი, მიჩვეულია.

დ ი ტ ო. მამაჩემო, მომეცი მაგ ხრიკა, მოვსვამ, გამიხმა ყელი.

ა გ ა ბ ო. (არ აძლევს ორშიმოს). ეს, შვილო, გაზიანი წყალი კი არაა, ღვინოა.

დ ი ტ ო. ვიცი, მამა!

ა გ ა ბ ო. რომ იცი, ისიც იცი, რა ძნელი მოსაწევია?

დ ი ტ ო. ახლა მაინც ვიცი, მამა!

ა გ ა ბ ო. რომ იცი, პატივი ეცი, სიტყვა თქვი, რაც გულით გინდოდეს, ის თქვი, ის კი არა, რაც გჭირდება; ღმერთი ახსენე!

დ ი ტ ო. სადაა, მამა, ღმერთი?

დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი. მე როგორც ვიცი, მამა, შენ მორწმუნე არ იყავი?

ა გ ა ბ ო. მორწმუნე დედაშენია.

დ ი ტ ო. მამაჩემი მაგის კაცია?

ა გ ა ბ ო. ღმერთი უნდა ახსენოთ, შვილებო! (ცისკენ ხელ გაიშვირა.) იქაური კი არა, აქაური, ჩვენი ღმერთი.

დ ი ტ ო. (წაიწია ორშიმოსაკენ). ორივე შეგვეწია, მამაჩემო, აქაურიც დ-
იქაურიც.

ა გ ა ბ ო (არ დაანება). ამ ხრიკაში ბაბუაჩემის დარგული ვენახის წვე-
ნია, აცხონოს ღმერთმა! (გადმოაწვეთა ღვინო.) დღეს თქვენ რომ მი-
წას აბრუნებდით და შიგ ვენახს ჩავყრი, ჩემი შვილიშვილები
მახსენებენ. (იოველს მიაწოდა.)

ი ო ვ ე ლ ი. აცხონა ღმერთმა ბაბუაჩემი! (სვამს.)

დ ი ტ ო. მე, მამაჩემო, ჩემი ძმების სახელით ვამბობ.

ა გ ა ბ ო. (ბუხუტის გახედა). შენი სახელითაც ამბობს, ბიჭო?

ბ უ ხ უ ტ ი. რა ვიცი მე, ისიც არ ვიცი, რისი თქმა უნდა!

ა გ ა ბ ო (იოველმა ორშიმო მიაწოდა). აგერ, მიეცი დიტოს, ერთმახვეთის
პირნაკარები გულს ხომ არ გეთანხმებიან?!

დ ი ტ ო. ისე, კი არაა მთლად ჰიგიენური!

ა გ ა ბ ო. დალიე, დალიე, რა არაა, ბიჭო, ჰიგიენური? იქნება იმ
თქვენს ცოლებს არც კი ჰკოცნით, არაა მთლად ჰიგიენურიო.

დ ო რ მ ი შ ხ ა ნ ი. ახლა, ასე კი ნუ გაგვიგებ, მამა...

ა გ ა ბ ო. მაგი მე კარგად მაქვს გაგებული. (დიტოს.) ეგ ორშიმო ახ-
ლა აგერ, კოკის მიეცი.

დ ი ტ ო (გადასცა). მამაჩემო, ახლა სხვა დროა.

ა გ ა ბ ო. აბა, ნიკოლოზი ჩამოაგდეთ? რრდის მოხდა მაგ ამბავი?

დ ი ტ ო. ჰოდა, ჩვენ, ძმებმა ვთქვეთ: ტექნიკა მომძლავრდა, მამა-
ჩემო, ცხოვრება წინ წავიდა, ბარი და თოხი ისტორიას ჩაბარდა.
აი, ის, ტრაქტორით რომ გადავაბრუნოთ საფენასე?

ა გ ა ბ ო. ტექნიკა კარგია, კარგი მოგეცა, მაგრამ მე ტრაქტორი
მყავს და არ ვამუშავებ თუ?

დ ი ტ ო. კოლექტივს რომ ჰყავს, შენი არაა?

ა გ ა ბ ო. არა, კოლექტივს რომ ჰყავს, იგი ჩემი არაა.

დ ო რ მ ი შ ხ ა ნ ი (ორშიმო ბუხუტის გაუწოდა). კოლექტივი ჯგუფური
საკუთრებაა.

ა გ ა ბ ო (გამოართვა, ღვინო ჩაამატა. გადასცა ბუხუტის). მე ჯგუფური არა
ვარ, მე აგაბო მქვია, ბოგვერაძე ვარ გვარად და ოთხი ვაჟიშ-
ვილის მამა ვარ.

დ ი ტ ო. ჰოდა, შენიცაა.

ა გ ა ბ ო. რა გითხრა, შვილო, იცი? ვისი რაა შენ ვერ მასწავლი. ჩე-
მი შვილი რომ თავმჯდომარე არ იყოს, შენ კიდევ რაიონში... კო-
კი კიდევ უფრო დიდი კაცი, იქნებ მე თვითონ მომეყვანა ის

ტრაქტორი და გადამებრუნებინა მიწა, მაგი არ დააქცევს კოლექ-
ტივს, მაგრამ გუშინ, თქვენ რომ ჩამოდით, (დურმიშხანს.) ამის
შოფერს შუა გზაზე დაეყენებინა მანქანა და ჩვენი შოფერი,
კოწიას ბიჭი, იღრიჭებოდა, მე რომ ასე გავაჩერო მანქანა და
ინსპექტორმა ჩამოიაროს, მართვის უფლებას დაემშვიდობეო.

დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი. ეს, მამაჩემო, დიდი უბედურება არაა, სოფელია:
ამით მოძრაობა არ შეფერხდება.

ა გ ა ბ ო. მაშინ კიდევ უარესს გეტყვით: თქვენთან რომ ჩამოვედით
მე და კესარია ბავშვის დღეობაზე, რაღაცას მოვათრევდით, ხურ-
ჯინები, ჩანთები... თქვენ იქნებ კი არ გინდათ, ღმერთის არ იყოს,
მაგრამ ჩვენ გვინდა, ჩვენ ასე გვწამდა და ვერ ვიშლით. გადა-
სასვლელზე გავაჩერე დედათქვენი, ვეუბნები, მოიცა, კესარია, აქ
რა გგონია, შენ ნებაზე კი არაა-მეთქი.

დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი. არ შეგვატყობინეთ, თორემ, მანქანას დაგახვედ-
რებდით.

ა გ ა ბ ო. არ შეგვიტყობინებია, მაგისთვის მოგაცდენდით?

დ ი ტ ო. მამა, რა მუხლმოუღლელი ხარ, მამა!

გამოდის კ ე ს ა რ ი ა.

კ ე ს ა რ ი ა. რა ამბავია მაქ, კაცო, აღარ შემოუშვებ სახლში ამ და-
ხოცილ ხალხს?

ა გ ა ბ ო. კი, ახლავე, მუსაიფს შევყევით, შე ქალო; ჰო, მართლა,
დოქი მომეცი, ტაშტი და საპონი, აქვე გადავაბანინებ ხელ-პირს,
თუშცა შენ სად გცალია, მე თვითონ...

ბ უ ხ უ ტ ი. მე, მამა. (გაიქცა.)

დ ი ტ ო. შენ რა გითხარი, მამაჩემო, ჩვენ დოქით წყალი კი არა,
მდინარე ვერ გაგვრეცხავს.

ა გ ა ბ ო. ჰოდა, ვდგავართ მე და ჩემი მეუღლე ხურჯინით და კალა-
თებით. მოიცა, კესარია, აქ წესი და კანონია-მეთქი. ბოლოს გაგ-
ვიხსნეს გზა. აბა, იმარჯვე, კესარია!.. საწყალი წაფარცუხდა, მეც
ვჩქარობ, გვერდზე აღარ ვიხედები. (ბუხუტის შემოაქვს დოქი.) მო-
მეცი, ბიჭო, ეგ დოქი აგერ... გზა და ქვეყანა ჩემი მგონია.

ბ უ ხ უ ტ ი. მე რას ვაკეთებ, მამა.

ა გ ა ბ ო. მაგრამ მეც ხომ ვიცი რას ვაკეთებ, მომეცი აგერ, რომ გე-
უბნები. უცებ ხალხი გაცვიედ-გამოცვიდა. იქაურებს ქე ცოდ-
ნიათ. მე რა მეგონა, მოვიხედე, აგერ მაყვალივით შავი მანქანა

არ მოგვასკდა! მოდი, იოველ, გადიბანე. რა მწარე ყოფილა სული! არიქა-თქვა ვიყვირე და გავვარდი. ჩემი კესარიე არ მივატოვე? მოვიხედე და შემოვირტყი თავში ხელი, მარა მარჯვე შოფერი ყოფილა — ვხედავ მოცოდვილობს ჩემი თანამეცხედრე. იცოცხლე მერე გამოვიდე თავი და ავყვირდი, ვეცი მილიციელს — ჯერ ვერ მიეწვდი, საცხა გიდელში ჩაუმწყვდევიათ — ავუყვირდი, ახლავე დაუშტვინე და დაიჭირე, ეს რას ჰგავს-მეთქი. წადი, ბიბია, შენი საქმე ნახეო, გაეცინა იმ კაცს. შენ დაგიჭერ-მეთქი. ფეხებსაც ვერ მომჭამ, მაგ მანქანა მთავრობისაა, დაჭერა მე მკითხე შენო...

ი ო ვ ე ლ ი. მამა. თუ კაცი ხარ, ეხლა შეეშვი ამ ლაპარაკს.

ა გ ა ბ ო. ახლა შევეშვა თუ არა, ერთი კვირის მერე გავაგრძელებ, ვიდაც ოჯახაშენებულს სიკვდილის დეპეშა გამოუგზავნია თუ არა, თქვენ თავს ვინ მაჩვენებდა. კიდევ გადაივლე. ნეტავი თავიც დაგებანა, გაოფლიანებული ხარ.

დ ი ტ ო. არა ისე ძალიან კი გაქაჩულხარ, შე ძველო დამრტყმელო.

ა გ ა ბ ო. თუ ტყუილს ვამბობ, აგერაა დედათქვენი და თავისი დაშაქრული ენით მოგიყვებათ.

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. მამა, ვერ ვიტყვით, რომ ეს ვინმემ განგებ ჩაიდინა, რომ თქვენთვის ეწყენინებინა ან...

ა გ ა ბ ო. არა, კაცო, განგებ კი არა, სულ არ დავუნახივართ, ჩვენც ვიყავით ამ ქვეყანაზე თუ არა, კიტრად არ ჩავუგდივართ.

დ ი ტ ო. აბა, მამაჩემო, შენ რომ ჩახვიდოდი, მოძრაობა შეწყდებოდა ამხელა ქალაქში! (იცინის.)

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. როგორ შეიძლება, მამა. შენ ღრმა კაცი ხარ და აბა წარმოიდგინე, რამდენი ვინმე ქუჩაში გადადის და გადმოდის. რომ დავდგეთ და ველოდოთ... ჩვენ ხომ ვჩქარობთ, მამა.

ა გ ა ბ ო. სად ჩქარობ, კაცო. თუ საჩქარებელია მე ვჩქარობ, თოთოხბოიანი ძროხა და უღელი ხარი სახლში მყავდა დატოვებული, ოთხასი სული ფერმაში, ვენახი გაუსხვლელი მქონდა, ჩაიში სასუქი შეუტანელი და შენ ჩქარობ, კაცო? მანქანის ფანჯრებზე ფარდა რომ ჩამოგიფარებია, მემალები თუ ჩემი დანახვა არ გინდა? შენ ასი ცხენისძალიანი მანქანით დაქრიხარ, მე ტვირთმოკიდებული ფეხს ძლივს მოვათრევ და შენ ჩქარობ, კაცო?

დ ი ტ ო. მამა, მინისტრები გაგვინაწყენდებიან, მამა!

დურმიშხანი. წყენა რა შეიშია, მაგრამ, მამა, ერთმანეთს უნდა გავუგოთ. ჩვენ ხომ გადამთიელები არა ვართ, ჩვენ თქვენი შვილები ვართ.

აგაბო. ჩვენი შვილები ხომ ხართ, იმიტომ გეშუეშუნებით ასე გულიად.

დიტო. მამა, დიდი უბედურნახევარი ხარ!

ოოველი. მამა, სადაც დადიან და როგორც დადიან, თვითონ უკეთ იციან.

აგაბო. იციან, მაგრამ უშლებათ.

დურმიშხანი. მამა, ახლა, აბა, როგორ... თქვენ იქნებ ვენაბის გასხვლა იცოდეთ ჩვენზე უკეთესად, მაგრამ მანჭანებმა როგორ იარონ, ეს ჩვენ ვიცით.

აგაბო. მაცალე, შვილო, რაკარც სხვა მანჭანები დგას, შენც ისე დადექი. ყველას ეჩქარება. ქალაქში რომ იმდენი ხალხია, ყველას მინისტრობა უნდა და ნამეტანი ჩქარობს, ბევრი საქმე აქვს მოსაკვარაბენელი. შენ, რაკი გამინისტრებული ხარ და პირში დუმა გიდევს, უფრო მორიდებული და დამორცხვებული მაინც უნდა იყო!

ოოველი. მამა, არ გინდა, მოეშვი!

დურმიშხანი. მამა, რას ჰგავს ეს ლაპარაკი!

დიტო. აბა, მამაჩუმო, გინდა დუმა შენ გედოს პირში და მინისტრები გიყურებდნენ?

აგაბო. კი.

ოოველი. დღეს, შე კაცო, ვის შია, რომ მინისტრმა ეშიმშილოს!

დიტო. ეუ! შეშიერი მინისტრი კაი საქმეა.

აგაბო. კი, შე შენ გეუბნები. მაგი იმიტომ დავსვი იქ, რომ უნდა მომიარიოს. ის კი არ მითქვამს — აბა, შენ იცი შენს თავს როგორ კარგად იპატიებ-შეთქი! (დიტოს.) შენ რას უცდი?

დიტო. მამა, ცივი წყლით?

აგაბო. შოდი, შოდი. ცივი წყლით მე ყოველ დილას ვიბანი, მაგრამ ჯერ არ მოვმკვდარვარ.

დურმიშხანი. პირიქით, მამა, ეს ჯანმრთელობაა.

აგაბო. ბიჭო, ქუჩაში მოძრაობის წესების არ იყოს, ჩემთვის წერთ კანონებს და ცივი წყლით ბანაობას მე მირჩევთ? ჰაერზე შრომა და გაელა სიცოცხლის საწინდარიაო, ტელევიზორით რომ მელაპარაკებით, მე კი ვარ კარგად. მაგრამ თქვენც ხომ უნდა

იყოთ. აგერ, ზურგზე მოისვი ხელი... აქედან რომ ჩავედი, მეორე დღეს (დურმიშხანს.) — კი გემახსოვრება — საღამომდე დავდიოდი ქალაქში. რომ დავბრუნდი, ვთქვი გზა დამებნა-მეთქი. არაფერი გზა არ მებნევა მე. დავდიოდი, თვალს ვახარებდი. სახლებს კი არა, ქუჩებს ვეღარ ცნობს კაცი. თქვენ რა გგონიათ, ქალაქი მეც მიყვარს. შენს სამსახურთანაც მოვედი, მოდი ერთი დავხედავ ამ ჩემს შვილებს, ჩემს ზრუნვაში და პატრონობაში ხომ არაფერი უპირთ, ერთს მაინც შევუძახებ და შევაგულიანებ-მეთქი; შენც არ მომიკვდე, ვინ გამიშვა! კაცო, დაკარგეთ ჭკუა, მე არ მიშვებთ-მეთქი?! ვინ ხარ, ბიძია, შენ, ვის დაკარგვიხარო. ბიჭო, შე უღმერთო, მე. მამა ვარ-მეთქი; ვისიო — ჩამაცივდა. ბიჭო, მამა ვარ ამათი, ყველას მამა ვარ... (დიტოს წყალს უსხამს.)

დ ი ტ ო. უჰ, მამა, წვრილად მაინც დაასხი, გავიყინე!

ა გ ა ბ ო. ეს რომ ვუთხარი, ერთბაშად მოულბა გული, შევეცოდე. შე საწყალო, პატრონი არა გყავსო? მე. ვუთხარი, თვითონ ვარ ბატონი და პატრონი, მე ავაშენე ეს, ჩემი სახლია-მეთქი. კიო, დამამშვიდა. შენია, წადი ახლა და აქაურობას მოცილდი, შე უბედუროო. მერე კინაღამ ატირდა, ჩემს გაჩენას რა ვუთხარიო; მეც კაცი ვარ, არ გებრალები, მთელი დღე რამდენი შენისთანა ჭკუანაღრძობი მომადგება, დავიტანჯეო. ჭკუანაღრძობი კი არა, დედამიწის გულში რაა ისიც ვიცი-მეთქი. კი' მაგრამ, მაგდენი თუ იცი, ახლა რომ აღარ მეშვები, რა დღეს დაგაყენებ, თუ იციო... მოდი, კოკი, გენაცვალე, ახლა შენ მოდი!

დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი. მამა, კარგი რაა, თუ ვიცით, ჩვენ ვიცით, მაგრამ გადავეჩვიეთ.

ა გ ა ბ ო. რატომ ქენით, შვილო, კარგი რატომ დაივიწყე, რავარც მყავდი მიჩვეული, გექნა ისე. წეიხარე, წეიხარე და ისევ მიეჩვევი. (უსხამს.) იქიდან ისე კიდე-კიდე ჩამოვყევი, სულ არ ვიყავი გუნებაზე, მაგრამ იმისთანა ხარჩოს და მწვადის სუნი მეცა, მადაზე მომიყვანა. ჩავუხვიე. კესარიას ნაცოდვილარზე მიჩვეულს, მინდოდა მცოდნოდა ამ ქალაქში რას ჭამენ იმისთანას, რომ სოფლისაკენ კაცი აღარ იხედება-მეთქი. ეზოდან მოვუარე. კარებთან მტაცეს ხელი. ბიჭო, ნუ გეშინია, მინისტრთან კი არ მივდივარ, აგერ სასადილოში მინდა შესვლა-მეთქი. გაიცინა. არა, კაი ბიჭი ჩანდა. ეს, ბიძია, სხვა სასადილოაო, — ამიხსნა. კი, ბატონო, მაგრამ ჭამა ხომ მეც მინდა-მეთქი. ისევ გაეცინა. არა, მართლა კაი

ბიჭი იყო. (ბუხუტიზე.) ამას გავდა, ამ შამაძალს. შენ თუ გიხდა, ეგერ გადადი, მეორე ქუჩაზეა სასადილო და მიირთვიო. კი ბიჭო, მაგრამ იქაც და აქაც ხომ ჩემი გაზრდილი ხბოს ხორცია-მეთქი. იცინა, რავა ბაბუაჩემს ვავხარ, შენ აგაშენა ღმერთმაო და ჩამიფუჩუნა, იქ არა და აქ კია ხბოის მწვადიო. მერე, შე უღმერთო, შენ არ იცი მე და ბაბუაშენს რა დღე გვადგა მაგის გაზრდაზე-მეთქი? დავპატიჟე, მომეწონა და დავპატიჟე. არა ბიძია, სამსახურს ვერ დავტოვებო. რის სამსახურს, ბიჭო, მაქანე ახლა ჩემი ჯოკი ჩამოვა და იმასთან რომ არ მიმაშვა და ერთად არ ვისადილოთ, უსაა შენი სამსახური-მეთქი? (გამოვარდა გაწიწმატებული კასრია.) კარგად დაიბანე, კარგად, ზურგზე, თუ გიხდა, მე წაგისობ ხელს.

დურმიშხანი. არა, მამა, როგორ გეკადრება!

აგაბო. მე რა მეკადრება და რა გამიჭირდება თვითონ ვიცი. მოიცა, აქ ილლიის ქვეშ ხალი რომ გქონდა? (უკვირდება.) ქე გქოხია...

კასარია. არ მოხვალთ? ჯაცო, რავა ძაღლის თავი გამოიბი, მზადაა ვახშამი.

აგაბო. ლაპარაკს გადავყევით, მოვდივართ. ბუხუტი, შენ აქ დამიცადე, წყალს გამოგიტან.

ბუხუტი. მამა, მე თვითონ.

აგაბო. მაცალე, შე მამაძალო. ჭური მაქვს დაუგოზავი, ჭრაქშინავთს ჩავამატებ და გამოგიგზავნი...

გადიან, გარდა ბუხუტისა.

ბუხუტი. ოხ, ცაგოს გამომიგზავნის! მამაჩემო — ჭრაქი ხომ სავსეა ნავთით, ჭურიც განგებ დატოვა დაუგოზავი — შენ ხომ ყველაფერი იცი, რომ მე და ცაგო... უმაღლესშიც ამის იმედით გამიშვი, გეგონა შაინც ჯაქვით ჭაკვდი დაბმული ცაგო... ეტყობა მან არაფერი არ იცის... მაგრამ სულ ერთია, მე ვინც არ უნდა შევირთო, ცაგო, ხომ იცი, შენ ვერასოდეს დაგივიწყებ... (პალტის კარი გაიღო. ბუხუტი საბძლისაკენ წავიდა.) შე მის თვალებს ვერ დავინახავ.

ქალი შახლოდება და ჩელი უკანკალებს, ჭრაქს სინთლე ცახცახებს.

ცაგო. ბუხუტი... ბუხუ... ბუხუტი... (ბუხუტი გაბეზდა და შეტი რომ ვერაფერი მოახერხა, ხელებით ყურები დაიცო.) ბუხუტი... ბუხუ... (წინ

დაუდგა. თრთის, კანკალებს სინათლე. ბიჭმა ხელები თვალებზე აიფარა.)
ბუხუ... ბუხუტი!

ისევ ჯერები დაიცო, თვალები, ყურები, მერე მუხლებზე დაეცა და ჭრაქს სული წაუბერა. დაბნელდა. მხოლოდ პალატის ფანჯრებიდან გამოდის შუქი. ქალი დაიხარა, ხელი გაითავისუფლა, მერე ჩაიჩოქა და ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ, ერთმანეთზე ლოცვად დაცემული. ბიჭმა ვეღარ გაუძლო და ცეცხლივით მოეხვია ქალს.

ცაგო. მამამ ჭური დაგოზეთო... მამამ ჭური დაგო-დაგოზეთო... მამა... მამამ...

პალატის კარი ხმაურით გაიღო, გამოვიდა კესარია.

კესარია. ბუხუტი, შვილო ბუხუტი! (სინათლეზე ნაჩვევი თვალებით ვერაფერს ხედავს. ცაგო წამოვარდა და საბძლისაკენ გაიქცა, მიჰყვა ვაჟიც.)

კესარია. აგაბო, გარეთ გამოდი, აგაბო-თქვა! არ გეყურება, კაცო!

აგაბო მისი ასაკისათვის შეუფერებელი სიხწრაფით გამოხტა.

აგაბო (იმ შეუვალი ხმით). რა იყო, დედაკაცო! მიდი, შენს საქმეს მიხედე!

კესარია. ბიჭი არაა, შე კაცო, არსად!

აგაბო. არაა და ნუ! (შეაბრუნა თითქმის ძალით.) შედი, შედი! სახლში შედი!

კესარია. ბიჭი არაა, რომ გელაპარაკები, აგაბო...

აგაბო. მე შენ გელაპარაკები, შედი სახლში, კესარია! (ძალით შეუშვა და კარი გამოიხურა. გიჩერდა. დაფიქრდა. ცაგო ისევ დაფრთხა და საბძელში შევარდა. ბუხუტი ერთხანს უძრავად დარჩა, მაგრამ როგორც კი აგაბო წამოვიდა, ისიც ქალს მიჰყვა.) ბუხუტი! (ეზოს კი არა სახლს გასძახა.) სად წადი, ბიჭო! (ეზოში ნასიამოვნები დაბრატუნობს.) ბუხუტი, შენ რა გითხარი მე შენ, ჩემო ბუხუტია! (ჭრაქს წააწყდა, მოუკიდა და დადის.) ბუხუტი, შვილო! (საბძელს მიანათა.) აუჰ, კარები ღიად არ დამრჩენია? ყველაფერი რავა გაგახსენდება ერთ ადამიანს! (მივიდა. კარს ისე მოუარა, სინათლეს შიგ არ შეეხედა, მიხურა და გარედან გადარაზა.) არ არიან, არსად არ არიან... ბუხუტი! შენ რა გითხარი, შენ, ჩემო ბუხუტია!.. (დადის ეზოში. ყალიონი ამოიღო, ჭრაქზე მოუკიდა, გააბოლა.) ისე, კაცმა რომ თქვას, თუ სხვანაირად არ გამოდის, მაინც ასე უნდა ცხოვრება!..

მესამე სურათის დეკორაცია. ადრიანი დილაა. ჭიშკარს მოადგება კარპე.

კარპე. ნათლია! აგაბო! (ეზოში ჩამოვიდა, მიიხედ-მოიხედა. გაუკვირდა.) ნათლიაჩემიც დაბერდა, ამ დროს მაგას შენ გაჩერებდი ლოგინში?

ბუხუტის გაუბედავი ხმა საბძლიდან: კარპე, კარპე!

კარპე (ჰგონია რომ მოესმა). ბუხუტის ხმაა... (საბძლის კარები გადარაბულია.) ბუხუტი, სადა ხარ, ბიჭო?!

პალატიდან მძიმედ გამოვიდა აგაბო.

აგაბო. კარპე ხარ?

კარპე. მე ვარ, ნათლია, ნამეტანი ადრე მომივიდა მოსვლა, მაგრამ ქარხნიდან გამოვიარე, წუხელ მორიგე ვიყავი. ვიფიქრე, სახლში რომ მივიდე, დაღლილს დამეზარება გადასვლა-მეთქი, ან დამეძინება-თქვა. გუშინ საკენახე მიწის გადაბრუნება დაგიწყია. მეზობელი რომ სახლს აშენებს და ვენახს ყრის, თუ არ მიეხმარები, უნდა გაგეხარდეს მაინც, მარა გუშინ მითხარი, იმის არ იყოს, ჩემი — ამ გამოლალული კაცის მიხმარება რად გინდა, ოთხი მგელი თავზე გადგია...

აგაბო. ეჰ, დავიწყე მარა...

კარპე. ხომ კარგი ამბავია?!

პალატიდან კესარია გამოვარდება.

კესარია. კარპეა? ხომ არაფერი ამბავი იცის?

აგაბო. სამსახურიდან მოდის, რა უნდა იცოდეს!

კარპე. რა ამბავია, რა უნდა ვიცოდე?!

კესარია. (მოთქმით). დავიღუპეთ, კარპე, დავიღუპეთ, კარპე!..

კარპე (მივარდა). რა მოხდა, ნათლია?! (აგაბოს.) ამოიღე, აგაბო, ხმა!

აგაბო. რალაც, ბუხუტი ვაიბნა სადღაც...

კესარია. ბუხუტი, შვილო! ბუხუტი, დედა!

კარპე. რა მოუვიდა? წელან თითქოს ხმა მომესმა, ალბათ, ტანმა მიგრძნო რალაც გლახა ამბავი, თუ რა იყო?

კესარია. გლახა ამბავია, ხომ? დიდუ! (მოთქმით.) ბუხუტი, ჩემო

გამამწარებელო შვილო, ბუხუტი, ჩემო დამღუპველო შვილო! (მერე აკაპასდა.) დავწვავ, დავწვავ!..

ა გ ა ბ ო. ჩუ, ქალო!

კ ე ს ა რ ი ა. დავწვავ, ნავთს დავასხამ და დავწვავ!

ა გ ა ბ ო. დასაწვავი ჩვენ ვართ იმ კაცის ხელიდან!

კ ა რ პ ე (ცერაფერი გაუგია). რა ამბავია, ნათლია, ბუხუტი თუ გაიბნა, ვის წვავთ ამიტომ და ვინ წვავთ?!

კ ე ს ა რ ი ა. დამღუპა, კარპე, ჟურიგოზიებმა დააქციეს ჩემი ოჯახი. იორდანე ღრანჭმოქცეული მოგვივარდა და აქეთ გვედავა და აქეთ გვემუქრა...

ა გ ა ბ ო. ჩუ, მოსაკლავი ვართ იმ კაცის ხელიდან, ქალის პატრონია...

კ ე ს ა რ ი ა. გომბიო, გომბიო...

ა გ ა ბ ო. ჩუ, გაჩუმდი-თქვა, შენზე ნაკლები ყავს, რა ეშველება!

კ ე ს ა რ ი ა. ჟურიგოზიების გომბიო ჩემს სახლში?!

ა გ ა ბ ო (შეუვალი ხმით). ახლავე სახლში შედი, რომ გელაპარაკები!

კ ე ს ა რ ი ა (დამორჩილდება). დავწვავ, ნავთს დავასხამ, დავწვავ!.. (გადის.)

ჩოჩქოლზე ზედა სართულიდან რძლები გამოცვივდებიან, მერე ვაჟიშვილები. ზოგი კიბეზე წამოიწევს, ზოგი მაღლა გადმოდგება, არც ერთს დანა პირს არ უხსნის.

კ ა რ პ ე (მაღლა ასძახა). გაუმარჯოს, გაუმარჯოს!

არავინ პასუხობს.

ა გ ა ბ ო. ასე დაგვემართა ახლა და—

კ ა რ პ ე რა დაგემართათ?..

ა გ ა ბ ო (მაღლა არ იხედება). რავა რა დაგვემართა, აბა, კარგი ამბავია?

კ ა რ პ ე. ნათლია, შენ რავა კესარიასავით ლაპარაკობ, სირცხვილია, აგერ შვილებს და რძლებს მაინც არ გააგონო. ესე იგი, ცაგო გა—იტაცა არა?

ა გ ა ბ ო. ასე გამოდის, წუხელ მთელი ღამე არ გამოჩენილა, შეინძრა სოფელი, მნახველი კაცი ვერ უნახავთ.

კ ა რ პ ე. მისალოცი საქმე გქონია! (მიეიდა, გადაეხვია.) მოძილოცავს.. ნათლია, ღმერთმა გიბედნიეროს!

ა გ ა ბ ო (მხარზე ნამალავად ხელს უთათუნებს). ამნაირად არ მომხდარიყო, კი, ბატონო!..

კ ა რ პ ე. აბა, რანაირად გინდოდა, მაინცდამაინც მაჭანკლები უნდა ვაგეგზავნა იორდანასთან? ჩუ, ნათლია, თუ კაცი ხარ! (მაღლა აიხედა.)

შვილების და რძლების მაინც არ გრცხვენია? მომილოცავს, მო-
მილოცავს ძმის ბედნიერება!

ლანდამ ზურგი შეაქცია.

ბ ო ბ ო ლ ა. მადლობელი ვარ, კარ... (სხვებს გადახედა, დაიბნა, ენა ჩაყლაპა.)

კ ა რ პ ე. (ახარხარდა). ნათლია, დაგავიწყდა კესარია მოტაცებული რომ
გყავს?.. კი, კაცო, დაშნიანები შენ გამოგატანდნენ ქალს? რავა
იყო თოფი რომ დაგაზილეს და ცხენს ფეხი მიგიტეხეს? ძაან გი-
მარჯვია, რომ ქალი არ დაამტვრიე. მერე ასე მაქვს გაგონილი,
ხელში აყვანილი მოიყვანაო სადედოფლო, ჰა! დაგავიწყდა, შე
ძველო?! მოტაცება ის იყო, აბა ეს რაა, მთელმა სოფელმა იცოდა,
რომ შენ ცაგო შვილებს გერჩია და იორდანას ბუხუტი თვალში
რომ ჩავარდნოდა, ხელს არ ამოისვამდა.

ლ ა ნ დ ა (ქმარს ეცა). ხედავ? აქ რა ამბები ყოფილა, შე თვალდამ-
დგარო!

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. ყოფილა, ლანდა, ყოფილა...

კ ა რ პ ე. შენი რძალი, ნათლია, იმაზეა ნაწყენი, იქ რაღაც საქმე რომ
ყოფილა...

ა გ ა ბ ო (ორაზროვნად). ნაწყენია, აბა არაა? სირცხვილი გვაჭამა ბიჭმა.
მაშინვე უნდა ეთქვა, თუ ასე აპირებდა, იმ პატიოსან ხალხთანაც
უხერხულობაში ჩაგვაგდო და არც აქ გამოვიდა ლამაზად.

ლ ა ნ დ ა. თქვენთან ადამიანს რომ საქმე მოეცემა, რატომ უარესი
არ დაემართება! (შერბის ოთახში.)

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. ლანდა! ახლა რაღა დროს... ლანდა! (მისდევს.)

ქ უ ე ნ ა. ჩემი სიკვდილი, ლანდა... (ისიც მიჰყვება.) ლანდა!..

კ ა რ პ ე. ისე „მალადეც“, ბუხუტია! შენი სისხლი და ჯიგარი ჰქო-
ნია, ნათლია.

დ ი ტ ო. ძმებისათვის არ უნდა გადაეჯობნა, მაგ ლაწირაკს, მაგას!

ა გ ა ბ ო. მართალია, ჩვენ, მე და კესარია. თუ გინდა ბებრები ვართ;
რაღა ჭკუა მოგვეკითხება; მაგრამ ძმებს რავა გაუბედა იმ მამა-
ძაღლმა! მის ძმებს ქვეყანა ეკითხება ჭკუას, მაგ ცხვირმოუხო-
ცელს არ ეკადრებოდა?

კ ა რ პ ე. ნათლია, შენ მართლა გამოყრუებულხარ, კაცს ვინც უყ-
ვარდა, ითხოვა. ძმას ვინ ჰკითხავს. ვინც მიყვარს და ვისთანაც
გამეძლება, ძმასაც ის უნდა უნდოდეს!

დ ი ტ ო (ქვეით ჩამოინაცვლა). უკაცრავად. კარპე! ჩვენ ვასეთი ძმობა

არა გვაქვს და დურმიშხანს შაგი შვილივით ჰყავდა ეს ოთხი წელიწადია...

ბ ო ბ ო ლ ა. ლანდას... (მერე ლანდა მოგონდა, მიიხედ-მოიხედა და გაიქცა.)

კ ა რ პ ე. მოიცა, კაცო, გადავირეკი ახლა. შენ მაგას მართლა ამბობ თუ ხუმრობ! შვილივით ჰყავდა კი არა, შვილი რომ ყოფილიყო, უნდა ეთხოვა ის, ვინც უყვარდა! (აგაბოს მიეარდა.) ნათლია, შენ მართლა დაკარგე ჭკუა?

ა გ ა ბ ო. მარა რავარი საქმე ჰქონდათ გამორჩეული თუ იცი? ამ ხელიდან იმ ხელში არ მისცემდა კაცი. მთელი სიცოცხლე შეეძლო დაწოლილი ექამა პური.

კ ა რ პ ე. კაცო, რაფერ ახლა, თუ სხვა მიყვარს — ოველ! ამოიღე ხმა! კოლექტივის საქმეზე კი არ გელაპარაკები, შე ოჯახშენებულო!

ი ო ვ ე ლ ი ჩამოდის.

ი ო ვ ე ლ ი. ახლა ამაზე ლაპარაკი გვიანაა.

დ ი ტ ო. ვაი შენს პატრონს, ბუხუტია სულელო! (შებრუნდა, ბაღლი შეეიდა.)

კ ა რ პ ე. კი, გვიანაა, მაგრამ რომ ამბობ, ოველ...

ი ო ვ ე ლ ი (ყური არ უგდო, აგაბოს ხელი გამოსდო და პალატისაკენ წაიყვანა). დამთავრდეს ამაზე ლაპარაკი, ახლა სხვა საქმეა მისახედი!

ა გ ა ბ ო. კარპე, მე არ მაქვს შაგის თავი, შედი ერთი საბძელში, თოვ ან ჩალა გამოიტანე და საქონელს დაუყარე. დაწყდება შიმშილით.

კ ა რ პ ე. გვიანაა და ძალიანაც კარგი, რომ გვიანაა, თქვენთვის რომ ყური ეგდო... (აგაბო და ოველი გადიან, კარპე გაბრაზდა.) გენაცვალე, ბუხუტია, სულში, კაცი შენ ყოფილხარ და არ მცოდნია. (საბძელთან მისულს ხმა მოესმა: კარპე, კარპე! გაუხარდა.) ბუხუტი, შენ ხარ, ბიჭო, საცხა!

ბ უ ხ უ ტ ი ს ხ მ ა. მე ვარ, კარპე!

კ ა რ პ ე (აცეცებს თვალებს). მაგ ცაგოს თავს გაფიცებ. (სახლს ხელს მიაბვერს.) ერთი ამათ ჯინაზე დამენახვე. მე მიმალოცე იმ შენი რძლისათვის.

ბ უ ხ უ ტ ი ს ხ მ ა. ჩუმად, კარპე, ჩუმად!

კ ა რ პ ე. ჩუმად კი არა, მითხარი სადა ხარ და ხმის ჩახლეჩამდე ვიყვირებ, რადიოში გამოვაცხადებ! (ხმას აღარავინ სცემს.) ბუხუტი! ე, ბიჭო, (მიეარდა საბძელს — კარი გარედანაა გადარაზული, გაჩერდა.) ბუ-

ხუტი, მაგ ცაგოს თავს გაფიცებ!...

ბუხუტის ხმა. არ გაგვამხილო, კარპე!

კარპე. მართლა აქა ხართ, ბიჭო? (აყვირდა.) ნათლია! (საკეტს ეცო გალო, კარში დარცხვენილი ბუხუტი გამოჩნდა.) ნათლია! (გადაეხვია.) გულღვიძლში გენაცვალე, ბუხუტი! ეს კარები გარედან როგორ გადაკეტე, შე მაკვარანცხო! (ძალზე ხმამაღლა.) ნათლია!

ბუხუტი (პირზე ხელს აფარებს.) კარპე, შენი ჭირიმე!

გამოჩნდება აგაბო.

კარპე. გამოდი, ნათლია, გარეთ! სამახარობლო, სამახარობლო!

ბუხუტი დაიმალა.

აგაბო. რა იყო, კარპე?!

კარპე. მოდი აქ, კაცო! სამახარობლო მეკუთვნის, სამახარობლო!

გამოდის ოთელი.

კარპე. გამოდით ჰო, გამოდით!

გამოვარდა გაფოფრილი კესარია.

კესარია. რა ამბავია ჩემს თავს, კარპე?!

კარპე. ქორწილი, ნათლია, ქორწილი!

გამორბიან მაღლა ოთახებიდან ყველანი.

კარპე. ბუხუტი, გამოდი, გარეთ! ცაგო, შენ თუ გინდა ქე იყავი ჯერ მანდ!

კესარია. დიდუ! საბძელში არიან? (იყივლა.) დიდუ!

ოთელმა მიიკრა გულზე, აჩერებს.

ოთელი. სირცხვილია, დედა, მთელმა სოფელმა გაიგო, სირცხვილია!

აგაბო (საბძლის კარებში შეიხედა, გაიკვირვა). კი მარა, აქ რა უნდოდათ?!

კარპე: შეიცვალა, ნათლია, დრო, ადრე მონასტერში იწერდნენ ჯვარს, ახლა — საბძელში და ხულაში. სამახარობლო არ გადაგვარდეს გულზე, ნათლია!

გოგოლა. დიდუ! ხულაში ყოფილან მთელი ღამე?!

ეუეუნა. ღმერთო მომკალი, ჩემი სიკვდილი, ეს რა ესმის ჩემს ყურებს!

ლანდა. უსვინდისო, გათახსირებული, თქვენ უკეთესის რა დირსი ხართ!

დურმიშხანი. ეს ამორალობაა!

დიტო. ბუხუტია, შე გაფუჭებულო!

კესარია (ცივის). გამიბახა ოჯახი, თავი მომეჭრა კუთხე-მეზობლობაში...

აგაბო (უკან მოხედა ცოლს და რძლებს. ბუხუტის „გაუჯავრდა"). რატომ მიქვნი, ბიჭო, რატომ გაგვიხეთქე გული? დედაშენი მაინც ვერ შეიცოდე? ჩვენ ასე გვინდოდა შენი ბედნიერება? ამნაირად გამოგიწყო საქმე შენმა ძმებმა და რძლებმა? ჩემსავით სიჯიუტე და სიყერპე არ გამოგადგება, სხვა დროა. ბუმბულს გიგებდნენ და თივაში და ჩალაში ჩაწექი? არ გინდოდა გეცხოვრა მეფესავით? აღარც ვენახი დაგჭირდებოდა, არც ხახლი და არც საბძელი. არ ინდომე და რა გიყო, ახია შენზე. (გამობრუნდა.)

კარპე. ნათლია, წელებზე ვიდგამ ფეხს. დღე კოლექტივში ვაგდივარ, ღამე ქარხანაში სახედარივით დამათრევენ და ჩემმა ცოლმა, შენ რომ ღვთისნიერი ქალი გგონია, დღეში ორჯერ, სადილ-ვახშამის წინ თუ არ გამლახა, სუფრასთან არ მიმიშვებს და ფეხი ფეხზე გადადებული მეფესავით ვინ გაცხოვრებს, თუ ცხვირიდან ძმარი არ გადინეს.

აგაბო. ჩემი თუ არ გჯერა, კესარიას ჰკითხე. ამ ხნის ქალი ტყუილს არ იკადრებს, არც ასე განათლებული (ზემო სართულს მიათითა). და ჭკუადამჯდარი ხალხი.

კესარია (იოველის ხელში ნახევრად გონმიხდილი). იმ კარგი დედ-ძამის სული ნუ წამიწყდება, დავწვავ, დავასხამ ნავთს და დავწვავ!

კარპე (საბძელში იხედება). ბუხუტი! გულ-ღვიძლში გენაცვალე, ბუხუტი! გამოდი ერთი, მაგათ ჯინაზე გამოდი, ის კი არა და შენც, ცაგო! გამოდით და ქორწილი თუ გინდათ ჩემი იყოს. მესამე ადგილზე დავიწყებ მუშაობას და სამეფო ქორწილს გადაგიხდით. ერთმანეთის თავს ვაფიცებთ, ვამოდით!

სურათი მეხუთე

I

პირველი სურათის დეკორაცია. ნასვამი აგაბო ბუხართან ჯორკოზე ზის, ღიღინებს. ტახტზე ავადმყოფი კესარია წევს, თავთან გოგოლა უზის, გარეთ ვილაც გადაჭინკულებული მაყარი მღერის. სიმღერა ნელა, ბორძიკ-ბორძიკით შორდება ეზოს.

გ ო გ ო ლ ა. დედა, დედა, შენი ჭირიმე! (შუბლზე ხელს აფებს.) ახლა უკეთ ხარ, დედა, ნერვებს ნუ აჭყეები, გული გაიმაგრე და ორ დღეში წამოდგები!

კ ე ს ა რ ი ა (ცენესის). მეტი არ იარა აგაბო ბოგვერაძის ფეხებმა, მე დიდი დღე არ მქონდეს!

ა გ ა ბ ო. ნუ გეშინია, კესარია, მე და შენ ძველი ტანჯულები ვართ, ამაზე უარესისათვის გაგვიძლია. (წაიმღერა.) ამასაც გავუძლებთ...

კ ე ს ა რ ი ა. გააჩუმეთ, მაგის ხმა და ღლიცინი არ გამაგონოთ...

გ ო გ ო ლ ა. დედა, ნუ ნერვიულობ, საწყენად კი არ ამბობს..

კ ე ს ა რ ი ა. შენ რა იცი მაგი რას ამბობს! ორმოცდაექვსი წელიწადია, რაც მაგას ვიცნობ, რატომ არ დაიქცა ის დღე და საათი, და ყოველთვის ერთს რომ მეუბნებოდა, მეორეს ნიშნავდა; ზევით რომაა, ცხრა იმდენია მიწაში, მაგ მიწაში დასამარხავი!

გ ო გ ო ლ ა. დედა, ნუ აჭყეები გულს, ქორწილი გადავიხადეთ და ახლა რა დროსაა. ეწი რაც უნდა იყოს, ჩვენია. (ხმას დაუწია.) ეე რომ მკითხოთ, ცაგო ცუდი გოგო არაა. ნამეტანი უყვარს ბუხუტი, ნანატრი ცოლ-ქმრობა ექნებათ. წალდის ტარზე დაიძინებენო რომ იტყვიან, მაგათზეა ნათქვამი.

კ ე ს ა რ ი ა. რას მოეს წრო ეურიგოზიე, რას მოესწრო; კლასში რაცხა ორი ანბანი ასწავლა იორდანამ, უმაღლესის კარებიც არ აჩვენა, გააგდო ჩაის საკრეფად და მას მერე წელიდან კალათი არ მოუხსნია. კვირიკობ-მარიობისთვეში მზეში ნაგდებს თვალები ამომწვარი აქვს და მალე ზურგში კუზი გაუჩნდება.

გ ო გ ო ლ ა. კუზი კი არა, დედა, შოლტივით გოგოა.

კ ე ს ა რ ი ა. ჯერ ახალგაზრდაა და იმიტომ, მაგისი ან შვილი რას ივარგებს და ან მომავალი! ჩემი ლანდა! რავა წყალში ჩავუყარე იმდენი ამაგი! მთელ ზაფხულს სამ აგარაკს იცვლის, ქეცაა ჩემი მოსწრება წკნელივით გოგო.

გ ო გ ო ლ ა. ნინოს ენაცვალა ჩემი თავი!

კ ე ს ა რ ი ა. წელს ერთ ორ ადგილას შენ და ეუეუნაც ქე იყავით!

გ ო გ ო ლ ა. კი, დედა, ჯერ ერთად ვიყავით ესენტუკში. მერე მე

წალეერში წავედი ორი კვირით, ქუქუნას ზღვა უნდოდა. ქუქუ-ნას კი არა, დიტო მიდიოდა და არ დაშორდა...

ა გ ა ბ ო. კესარია, ეს შენი რძლები რომ სამ-სამ აგარაკს იცვლიან, ერთხელ შენც გაეგზავნეთ, ა!

კ ე ს ა რ ი ა. ჩაგიქვავდა ენის კლიტე! არ მითხრეს? დურმიშხანი ყო-ველ წერილში მაგას არ მწერს?!

ა გ ა ბ ო. მოწერა კი არა, შე კაი დედამიშვილო, მოგიტანოს საგზუ-რი, თვითონ აქ დარჩეს ოჯახში, ბავშვს საქონელი ამწყესვინოს, ცოლს ძროხა აწველიოს, თვითონ დაიჭიროს ხოხი ხელში, ვე-ნახის აპარატი მოიკიდოს და მე და შენ წავალთ.

კ ე ს ა რ ი ა. უჯილაგო, უჯილაგო! მწყემსად ხარ დაბადებული. ბო-გაზე საქონლის ნეხვში უნდა ჩაკვდე და ნაკელი უნდა დაგაყა-რონ გულზე!

ა გ ა ბ ო. კი, კესარია, კი, და ვენახი უნდა დამარგონ... მაგი კარგი რამე მითხარი, შე ქალო, სულ იმის ჯავრი მკლავდა, მიწაში უქმად რა გამაჩერებს-მეთქი; იმედი არ მომეცი, შე ოჯახაშენებულო! იქაც ვიშოვი ჩემს საქმეს და ამქვეყნად ისევ ვენახად და ღვინოდ მოვალ. მერე რავარი მაგარი ღვინო დადგება ჩემი ყურძნისაგან არ იტყვი?!

კ ე ს ა რ ი ა (იყოლა). გააჩუმეთ, ეს ენა ჩასაციებელი! მაგი, მართლა რომ დამარხოთ, მიწიდანაც ამოვა.

შემოდიან იოველი და დურმიშხანი.

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. დედიკო! ცუდად ხომ არაა... (დაასლოკინა.) ხარ, დე-დიკო! (ისევ დაასლოკინა, აგაბოს პირი მოარიდა.) ბოდიში, მამა, ნას-ვამი ვარ, ეზოში გავიარე და სიგრილემ დამკრა.

ი ო ვ ე ლ ი. (მთვრალია). დედა, უარესად ხომ არა ხარ?

ბ ო გ ო ლ ა. ნამეტანი ნერვიულობს, იოველ, უთხარი რამე!

დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი. დედიკო, ნერვებს. უნდა გაუფრთხილდე... (ასლოკი-ნებს. უკანა კარს ქუქუნა შემოაღებს, დიტოს ეკაჩება.)

ქ უ ქ უ ნ ა. აქ მოდი, სად მიდიხარ, ვის დასდევ; დედაშენთა ავად, მიხედე!

დ ი ტ ო. დედა? (ძლიერ მთვრალია, კარებში ქანაობს.) დედაჩემო!

ქ უ ქ უ ნ ა. დედა, ჰო, დედაშენი, როგორ წუხს, კივილი არ ვაგიგო-ნია?

დ ი ტ ო. ჩემი ბერმუხა დედა... მამა...

ქუქუნა. (გაწამებული). შემოდი, სახლში შემოდი.

აგაბო. შემოდი შინ. რომ გაუუდებულხარ მაგ კარებში!

დიტო. მამა, შე ძელქვა, შე უბერებელო! (შემოვიდა და მოეხვია.) ჯიგარო!

აგაბო (მოიცილა). რა დაგემართა, ბიჭო?

დიტო. ქორწილია, მამა, შე ძველო ლოთო, ქორწილია და ღვინო დავლიე.

აგაბო. კი არ დაგილევია — დაულევიხარ!

დიტო (მღერის). საყვარელი ქალის ეშხი, მოვა, მაგრამ
როდის,
სიყვარული ცხოვრებაში, ყოველ ღამე
მოდის...

ოოველი (ავადმყოფს მოცილდა, აგაბოს). მამა, ნუ ანერვიულებ, ხომ იცი, თავისი შეხედულების ქალია, მან ეს ამბავი მართლა განიცადა.

ლურმიშხანი. მამიკო, დედიკო განცდების ქალია... (ასლოკინებს.) სიცივემ დამკრა.

დიტო. მამა, შე მუხინ ჯირკო, დედას არაფერი აწყენინო, ხომ იცი...

კესარია. მკლავს...

აგაბო. აბა, მე ერთს გეტყვით!

დიტო. ასი თქვი, შე ძელქვის გადანაჭერო მორგვო!

აგაბო. გაჩუმდით! რაკი თქვენ ჩემზე უფრო გტკივათ გული დედათქვენზე, ხომ ხედავთ, ცუდადაა. რომ წახვალთ...

დიტო. მე ახლავე მივდივარ... (გაიწია.)

ქუქუნა (წამოცდა). იმ ქალს შისდევს... (გამოასწორა.) სად მიდის?

ლურმიშხანი. ჩვენ ამაღამვე უნდა წავიდეთ... სამსახური. (ასლოკინებს.) მამა, ხალხს ვემსახურებით...

აგაბო. ჰო, კი! ახლავე წადით და დედათქვენიც წაიყვანეთ! მანქანა და მატარებელი თქვენია, აეროპლანი თქვენია და დედათქვენიც თქვენია...

გოგოლა. კი, მამა, დედას ჩემთან ვიყოლიებდი, მაგრამ მე საბავშვო ბაღაში რომ ვმუშაობ, იოველი მთელი დღე აქაა, კოლექტივში და ავადმყოფს ვინ მიხედავს. თუ ქუქუნასთან იქნება, ყოველ საღამოს ვივლი და თავზე გადავევლევი.

ქუქუნა. რანაირი თქმა იცი გოგოლა, მე სამსახურში რომ არა ვარ, უსაქმურად გგონივარ? შენთან იყოლიე და მე ვიცლი.

აგაბო. ვიცი, თქვენ არც დრო გაქვთ და მერე აქ, რაიონში ცხოვ-

რობთ. აქაური ექიმები რა ექიმებია. აი, თბილისში... პროფესორებთან...

დურმიშხანი. რატომ, მამა, პროფესორები აქ არ გამომიგზავნია და კიდევ ვერ გამოვაგზავნი? (ასლოკინებს.) ჩემს დედიკოს არაფერი გაუჭირდეს, თუ არა...

აგაბო. უჭირს, კაცო, მეტი რა გაუჭირდება! ავად ქეა და რომ მოკვდება, მე მგონი, მერე პროფესორიც ვერაფერს უშველის!

დიტო. პროფესორს თუ არა სჯობია ჩვენი რაიონის ქირურგი იპოლიტე ღლონტი... ერთი ბოთლი კონიაკი დაალევიე და ისე დაგჩეხავს, თერძი ვერ შეგკერავს.

აგაბო. მერე, იქა გაყავთ ის ღლონტი, აგერაა დედათქვენი, წაიყვანეთ და ჭერით და კერეთ...

კესარია. სად მაგზავნის, ჩემი ქალობა აქ ჩაკლა და მოათავა. ჩემი ჯან-ღონე ამ კერაში ჩაწვა-ჩაფერფლა და სად მიშვებს! ახლა შაგდებს გადაღმა, რომ წამაქცია და დამაბეჩავა?

აგაბო (ეამა კესარიას ნათქვამი). მე რა წაგაქციე, შე ქალო, კვანტი კი არ დამიდევს. ცხოვრებამ გაგტეხა და დაგაავადმყოფა...

კესარია. მერე, კიდევ ეს ამბავი მინდოდა?

აგაბო (ეწყინა). რა ამბავი, შე ქალო?!

კესარია. რა მჭირს ახლა მე, ვინ მინდოდა და ვინ შემომიყვანე სახლში!

დურმიშხანი. ნერვებს გაუფრთხილდი, დედიკო! (ასლოკინებს.)

აგაბო. თუ დაუძლურდი და დაავადმყოფდი, სწორედ ეს ამბავი გინდოდა, მოვლა გჭირდება და პატრონი!

კესარია. პატრონი რომ მჭირდება, რატომ მიქენი... ეს სამი დღეა ლოგინზე ვაგდივარ და ლანდა არ შემოსულა. რა გული უნდა ჰქონდეს ჩემზე, ჩემი საფიცარი რძლის ფრჩხილად ღირს იორდანეს გვარი და ჯილაგი? ლანდას წყენას გადავიტან მე?

დურმიშხანი. ლანდა, ახლა, დედიკო... კი ეწყინა, აბა, საწყენი არ იყო?

ოთელი. გათავდეს ამაზე ლაპარაკი! იმ ლანდამაც დაფიქრდეს, დროა...

დიტო. დაფიქრდეს და მაგ ქვის ნატეხი დედასთან მოვიდეს, არ აწყენინოს, ხომ იცით...

კესარია. არ მოვა, არ მოვა! რა კაი საქმე მე ვუქენი, რომ მოვიდეს!

დ ი ტ ო. ჩემს დედიკოსთან უნდა მოვიდეს ყველა რძალი და თაყვანი სცეს. ჩვენ ჩვენმა დედიკომ გაგვზარდა, მე ახლავე... (გარბის.)

ქ უ ქ უ ნ ა. „იმას" ეძებს...

ო ვ ე ლ ი. აცალე, მოიყვანოს.

ქ უ ქ უ ნ ა. სად მიდის გგონია, ვილაც ქალს გადაეკიდა სუფრაზე და არ ახსოვს, რომ ყველანი წავიდნენ. წავალ, ლანდას მოვაძებნინებ. (გადის.)

ა გ ა ბ ო (კესარიას თავზე დაადგა). კესარია, რა გინდა ახლა ვითომ მაგით?

კ ე ს ა რ ი ა. ჩემს სახლში უსწავლელი, მიწის მუშა გომბიო აღ უნდა შემომძვრალიყო და არ უნდა დაეღუპა ჩემი შვილის მომავალი!

ა გ ა ბ ო. რა მომავალი გინდოდა, უმაღლესს ამთავრებს, აგრონომი კაცი მაინც არ გინდოდათ დაგებრუნებინათ სოფელში?

კ ე ს ა რ ი ა (მიახალა). შე უბედურო, ჩვენ კიდევ უკეთესი გვინდოდა.

ა გ ა ბ ო (დურმიშხანი თვალებით გახვრიტა). კიდევ რას აპირებდით?

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი (სლოკინს ეხშირა). მამიკო, ჩვენ კარგის მეტი რა გვინდოდა...

ი ო ვ ე ლ ი. ასპირანტურაში უნდა ჩაებარებინა, მამა, რაა ამაში ცუდი! ახლა აგრონომები აღარ შველის ჩვენს საქმეს, დიდი სპეციალისტები გვინდა!

ა გ ა ბ ო. კი მაგრამ, მიწა?!.

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. მიწა... მიწის პრაქტიკა ჰქონდა ბუხუტის და ეს მეცნიერებაში დიდ მომავალს უქადდა. (ასლოკინებს.)

კ ე ს ა რ ი ა. მეც გამზრდოდა ერთი შვილი პროფესორი, რატომ დამღუპე, აგაბო ბოგვერაძე! ვინ ჩამომიგდე ოჯახში?! (ფული შეუღონდა.)

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. დედა, დედიკო... (დაიჩოქა საწოლთან. შემოდიან დიტო, ქუქუნა და ლანდა. დიტოს საკმაოდ უხეშად ჩაუვლია ხელი რძლისათვის და მოჰყავს.)

ლ ა ნ დ ა. რა გინდათ ჩემგან? ვინც გინდოდათ, ხომ გყავთ, ფერი ფერს და მადლი ღმერთს. (ქმარს.) შენ აქ რას უცდი, რა ბანია მანქანაში გელოდები!

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. ჩემი დედიკო, ლანდა... დედა, დედა, აგერ ლანდა.

დ ი ტ ო. დედა, გამოიხედე აქეთ, აგერაა ლანდა, მე მოგიყვანე, დედა!

კ ე ს ა რ ი ა. ლანდა, სასიკვდილო ვარ და ვკვდები!

დურმიშხანი. არა, დედა, არ მოკვდები! ჩვენ აგერ ვართ, აგერაა ლანდა!

კესარია. თუ ჩემი სიცოცხლე გინდათ, ბუხუტიც წაიყვანეთ, მარტო ბუხუტი კი არა, ორივე წაიყვანეთ და უპატრონეთ!

დურმიშხანი. წავიყვანთ, ცოლიანად წავიყვანთ. ხომ, ლანდა, ხომ წავიყვანთ? (ცოლს ეფერება.) თქვი, ლანდა, დედიკოს ნუ მომიკლავ!

დიტო. თქვი, ჰო! (მკლავში ხელი მოუჭირა.)

ლანდა. წაიყვანე თუ გინდა, მე დაგიშალე?

დურმიშხანი. დედა, გესმის?

კესარია. მესმის... მაგის ჭირის სანაცვლოდ იყოს მისი პირშერცხვენილი დედამთილი.

აგაბო (აყვირდა). რას ამბობთ, რაღა დროს ამაზე ლაპარაკია...

ლანდა (ქმარს). მე შენიანების პატივისცემას და სიყვარულს გიშლი თუ?

კესარია (ხელები აიპყრო). მამაზეციერო, იესო ქრისტე მაცხოვარო, ჩემს ლანდას შემომაველე თავზე!

დურმიშხანი. წავიყვანთ, დედიკო, დღესვე წავიყვანთ და იმ გოგოსაც სასწავლებელში ჩავარიცხვინებ. დედიკო, შენ არ იდარდო, დედიკო...

კესარია (თვალებში გამოიხედა). იმასაც ასწავლით?

დიტო. აგერ არა ვარ მე? კი, დედა, შე ნიკოლოზის დროინდელო, კი!..

აგაბო. ვის წაიყვანთ, კაცო?! (მივარდა.) ვის წაიყვანთ, სად წაიყვანთ?!

ლანდა (დურმიშხანს). მე არ გიშლი, მაგრამ იცოდე, ჩემს სანლში არც ერთი არ დავინახო, სადაც გინდა, იქ წაიყვანე!

აგაბო. რა საჭიროა, არა აქვთ სახლი და კარი? არ ეყოთ რაც შეგაწუხეს?

კესარია. წყალი...

გოგოლა და ეუეუნა გარბიან წყლისათვის.

დიტო (ლანდას). დედას ნუ გაუხეთქე გული. იმდენი ოთახები გაქვს, ერთ ყურეში იყონ, ახალგაზრდებია, დაგიმახსოვრებენ.

ლანდა. რავარც სხვა დამიმახსოვრა, აწიც ისე დამიმახსოვრებს!

აგაბო. კესარია, რა ამბავი შექენი, სად აგდებ, შე ულმერთო?!

კესარია. მაგი გააჩუმეთ, მეტს არაფერს გეხვეწებით, მაგი გააჩუმეთ!

დიტო. მამა, გაჩუმდი, გაჩუმდი! შე ცხრა მთავრობის... (აგაბიო თვალებს წააწყდა). მამა...

გოგოლა. მამა, შენი ჭირიმე, მამა...

ოველი (ხელი მოხვია აგაბოს). გამოდი აქეთ, აცალე დამშვიდება და მერე ელაპარაკე!

კესარია. დამეღუპა ხომ მაინც ჩემი ნაბოლარა ბიჭი!

დიტო (დურმიშხანს). რაცხა უშველე, ძმაა შენი, ტყუილა ხარ მინისტრი?

დურმიშხანი. ლანდა, რა ვქნათ, ა, რა ვუშველო? (ასლოკინებს.)

ლანდა. მე რომ მომჩერებიხარ ხელებში, ჩემთან რა გინდა? უშოვე ბინა და მისთვის იყონ, რას ჩამციებიხარ, მე მყავს შვილი.

გოგოლა. ნინოს შემოევლოს ჩემი სიცოცხლე.

დიტო (დურმიშხანს). შენც რა გენაღვლება, აგური გეხარჯება თუ ცემენტი, მიაცემიე ორი-სამი ოთახი და ეგდონ მისთვის.

დურმიშხანი. ჰო?!

დიტო (კესარიას). ჰო, დედა, ჰო!

კესარია. ეს მაინც ლანდას წყალობაა.

აგაბო. გადაირიეთ! ჩემს შვილს და რძალს რა ბინა უნდა! ვინმე უსახლკაროს უნდა წაართვათ და მისცეთ, ჩვენ კი უპატრონოდ გვტოვებთ?

კესარია. გააჩუმეთ! ახლავე, ახლავე ჩამოათრიეთ და წაიყვანეთ თუ არა, ეს არაწმინდა კიდევ აურევს გზა-კვალს!

დიტო. მამაჩემო, შე გაუდრეკელო, გაჩუმდი! დედა, მე შენ თუ სხვა შვილებზე ნაკლებად მიყვარდე და კიდევ უკეთესად... ახლავე (გარბის.)

ქუქუნა. სად მიდის ახლა! (გამოედგება.)

აგაბო. რას მიშვებით, მჭრით, ბიჭო, ყელს?

ოველი. ბუხუტის მოიყვანს...

აგაბო. კი მაგრამ, თქვენ რომ გეუბნებიან, იქით წადი, აქეთ მოდი, არ კითხულობთ რატომ მიდი-მოდიხართ?

დურმიშხანი. მამა, ვკითხულობთ, აბა, რავა... ჩვენ კურიერებად კი არ ვმუშაობთ.

აგაბო. ძალიან ნაკლებად მაინტერესებს თქვენ რად მუშაობთ, მე მინდა ვიცოდე რას აკეთებთ.

დ ო ო ბ ი შ ხ ა ნ ი (გაოცებული). მამა!..

კ ე ს ა რ ი ა. არ უსმინოთ, მაგი სასიკეთოს არაფერს იტყვის. თუ იტყვის, მაგას ახლა ვერ გაიგებთ. თქვენ რომ ჩამოდით, მეორე ღილით მითხრა, იქნება მაგ გოჯები და ინდაურები სულ არ გახდეს წასაღებიო და ახლა მივხვდი, რა დებია გუნებაში.

დ ი ტ ო ძალისაკლად მოათრევს ა ბ ა ბ ო ს და ბ უ ხ უ ტ ი ს, უკან ე უ ე ნ ა მოსდევთ.

დ ი ტ ო. მოდი, შე მამაჩემის ნატეხო, მგონია გავაკეთე თქვენი საქმე!

ა ბ ა ბ ო (წინ გადაუდგება). გაუშვი ხელი!

დიტომ გაუშვა.

დ ი ტ ო. ახლა, მამაჩემო, ძმისა და რძლის ბედნიერებაზე ხომ უნდა ვიფიქრო!

ა ბ ა ბ ო. სად მიათრევ ამ ბავშვებს! (ხელს მოხვევს, ბუხართან მიიყვანს, ეფერება.) იყონ აგერ. იყავით, შვილებო, აგერ, მამა. არც ამგენს აყენებთ, თქვე ღვთის მოღალატეებო!

კ ე ს ა რ ი ა. უგდეთ ყური, უგდეთ!..

ა ბ ა ბ ო. კესარია!

ი ო ვ ე ლ ი. მამა, სად მიყავს, საყაჩაღოდ და საქურდლად ხომ არ მიყავს, ბუხუტის ჯერ არც დაუმთავრებია, ამას გარდა, თუ ეს გოგოც ისწავლის...

დ ო ო ბ ი შ ხ ა ნ ი. შენ ჭკვიანი კაცი ხარ, მამა.

დ ი ტ ო. ჭკუის კოლოფი ხარ, შე...

ა ბ ა ბ ო (აწყვეტინებს). გაჩერდი რო ბრიხინობ, გაჩერდით!

ი ო ვ ე ლ ი. მამა, შენ განათლების და მეცნიერების წინააღმდეგი ხარ?

ა ბ ა ბ ო. კესარია, შენ ენა არ დაძრა. (ბიჭებს.) მე თქვენ ვინ გგოხივართ, მე წიგნი მაშინ მეჭირა ხელში, როცა თქვენ სულ არ იყავით და კიდევ უარესს გეტყვით, მე იგი ახლაც არ გამიგდია ხელიდან. (თაროს მიათითა.) მე იმდენი წიგნი არა მაქვს, რაც ჩემს რძალს. (ლანდაზე.) თქვენ კიდევ, (გოგოლას და ეუეუნას.) ამის მიბაძვით გაქვთ ლამაზი ყდებისთვის და თაროების შესავსებად. მე რაცა მაქვს, წაკითხული მაქვს. რა თქმა უნდა, ისე, როგორც მე მესმის. თქვენს ხელში მე, გარდა გაზეთისა, წიგნი არ მინახავს. რაფერ დაიტენეთ თავი ინსტიტუტში იმ ოთხი წლის მანძილზე ისე, რომ არაფრის გახსენება მაინც არ გჭირდებათ.

დ ო ო ბ ი შ ხ ა ნ ი. მე თვითონ ავტორების ნაჩუქარი წიგნები მაქვს წარწერით.

ა გ ა ბ ო. მე თქვენს გაჩენამდე ვკითხულობდი, დავბერდი — ვკითხულობ და რავა ფიქრობ, იმდენი მაინც ვერ გავიგე, რომ სწავლა საჭიროა?

დ ი ტ ო. ჰოდა, შე მართლა... რა გითხრა... არაფერი არ გეშლება...

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. ჰო, კი, მამიკო!..

ა გ ა ბ ო. მე სწავლას გიშლით, თქვე ჩემი ცოდვით სავსეებო?

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. დედა, ნუ ღელავ, ჩვენი მამიკო ყოვლის შემძლეა.

კ ე ს ა რ ი ა. ასე დაიწყებს და...

ა გ ა ბ ო. კესარია, რა გითხარი მე შენ! და რავა გვონიათ, მეცნიერება მე არ მომწონს? თქვენ ფიქრობთ, რომ იმ ტრაქტორებისა და მანქანების გამეჩედს მარჯვენს არ ვულოცავ? ეს ჩემი ბებერი ვესახი მეცნიერებითაა, რომ ახალგაზრდასავით მახმოიარეა.

ლ ა ნ დ ა (ქმარს). მე ამდენი ლათაიების თავი არა მაქვს, თუ მოდიხარ, წამოდი.

ა გ ა ბ ო. ჩემო რძალო, ის წიგნები მარტო თაროებზე რომ არ გეწყოს... უფროსი კაცი სისულელესაც რომ ამბობდეს... არც მე უნდა მეთქვა, ეს, რასაც ვამბობ...

ლ ა ნ დ ა. მე თქვენთვის არაფერი მიკადრებია.

ა გ ა ბ ო. არა, მაგრამ მაინც... ჰოდა, თქვენ ფიქრობთ, რომ მე მეცნიერება... (ტელევიზორს შეხედა.) ამას რაჰდენს დავინახავ, მის გაძკეთებელს იმდენს ვლოცავ. აქ მარტო რომ ვართ მე და კესარია, უთქვენობას სიმღერებითა და სიბრძნით გვიიოლებს. ხშირად, ისე მამაჩემს აქვს ცხონება, იმ კაცს ისე ვადღეგრძელებ, თითქოს გვერდში ძმასავით მიჯდეს. (დიტომ რაღაცის თქმა დააპირა.) მაცალე, მე მგონია, ისე დიდ სისულელეს არ ვლაპარაკობ, გვაცა, ჩვენც ვიცით ორი ანბანი!

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. არა, მამა, ძალიან კარგად, ძალიან კარგად...

ა გ ა ბ ო. შენც მაცალე. მე რას ვტირი, თქვე უღმერთოებო; თუ ახლანდელმა კაცმა ის დასაწვავი დიპლომი ჯიბეში ჩაიგდო, მიწა და ქვეყანა დედინაცვალივით სძულს. კი, ბატონო, ისწავლეთ, რა სჯობია სწავლას, მაგრამ თუ ამ სწავლამ ჩემი თავი ერთხელაც არ გაგახსენათ, თუ დედათქვენს ტკბილი რძე შხამად მოგაჩვენათ, თუ ვენახის ძირში მდულარე მიგასხმევიათ, რად მინდა. წიგნში კაცის და მამულის სიყვარულის მეტი არაფერი წერია — და თქვენ, ჩემი ცოდვით საკვლეებო, სად კითხულობთ, მამაშენს ძაღლივით არ მიხედოთო. კი, ბატონო, წამოვალთ, მე.

და კესარიაც წამოვალთ, კარპე ნახევრად მაინც იქითაა და ისიც წავა. იორდანას ქალიშვილი აგერ, ჩემმა ბიჭმა — „პროფესორმა“ კაცმა მოიტაცა და ისიც წავა, ამბაკო და თეოფილე სადმე დაბაჯებად მაინც არ გამოდგებიან? ბიჭო, რატომ ამაზე არ ფიქრობთ, ყველა რომ ავიყაროთ, ჯერ როგორ დავეტევით იმ ქალაქში, მერე აქ მარტო ტრაქტორის ამარა ტოვებთ სოფელქვეყანას?

დურმიშხანი. არა, არ ვიტყვი, რომ მართალი არა ხარ, მამიკო, მაგრამ სწავლა მაინც გვინდა, მერე კი გასათვალისწინებელია ის, რაც თქვი!

აგაბო. კი, ბატონო, ისწავლეთ, მაგრამ აქეთ გამოხედვას რა გაძულებთ, მითხარით!

ოველი. მამა, ასე თუ ისე, უნდა წავიდნენ, მაგი მერენდელი აბბავია.

აგაბო (ისევ გადაეფარა). არა, კაცო!

ლანდა (დედამთილს შორიდან გამოეთხოვა). კარგად იყავით!

კესარია (იყივლა). არა, ლანდა, თუ არ გვაპატიე და ბუხუტის შენ არ მიხედე, რავარც მაგათ აქ დატოვებ, მაშინვე სული ამომხდება!

ოველი. მამა...

დიტო. მამა, შე კერკეტა ნიგოზო, (მივარდა.) გამოდი აქეთ! (ცაგოს და ბუხუტის მკლავში ეცა, დაითრია.)

აგაბო. ხელი გაუშვი, ბიჭო!

ოველი და დურმიშხანი მამას აშოშმინებენ.

კესარია. არ უგდოთ ყური, მაგი ამათ ვენახში, ჩაიში და ყანაში ჩახოცავს — რავარც მე ჩამკლა გაუხარებელი. მოდი, ბუხუტი, მოდი, შვილო, (ბუხუტი მიჰყავს დიტოს, ცაგო უკან ემალება.) ლანდა, შენთვის ჩამიბარებია.

ლანდა. ჩემთვის რა, უწლოვანები ხომ არ არიან!

აგაბო. კესარია, კაი ადგილასაა მაგენი და დააყენე, შე გამოყრუებულო! (წინა კარებს აეფარება.)

დიტო. მამაჩემო, რა ხარ, რომ ხარ. გადატყდები და არ მოიღუნები!

კესარია (უკანა კარებზე აჩვენებს). ამ კარებით გაიყვანეთ და წადით. არ დატოვოთ აქ ტალახის და ნაკელის საზიდავად, ან დამმარხეთ და მერე როგორც გინდათ!

დ ი ტ ო. (ბუხუტის). მაშინ აქედან გადი და წადი, რომ დაგისვია ფეხი ამ სოხანეზე მამაჩემივით. (მიპყავს უკანა კარისაკენ.)

ა გ ა ბ ო (ახლა იმ კარს აეფარა). რას შვებით, კაცო, მოიცათ, ერთხანს მაინც იყავით, რა გეჩქარებათ, პატარა ხანს, ორ დღეს, გაჩუმდი, კესარია!

ი ო ვ ე ლ ი. მართლა რა სულწასულობაა. ერთი ორი დღე ყოფილიყვნენ.

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. ჰო, ახლა, დღეს, ხვალ იყონ.

ა გ ა ბ ო. ორ დღეს, კაცო, ორ დღეს.

დ ი ტ ო. ჰო, ჰო, მამაჩემო, რკინის ბელტი ხარ, კვეს-აბედის კაჟი.

კ ე ს ა რ ი ა. არ დაუჯეროთ!

ა გ ა ბ ო. გაჩუმდი-თქვა! (ბუხუტის და ცაგოს მოხვია ხელი, ისევ ბუხართან მიიყვანა.) აგერ იყავით, შვილებო, აგერ დამიჯექით.

კ ე ს ა რ ი ა. დაღუპავს, ცხოვრებას ჩამოარჩენს!..

ა გ ა ბ ო (დამშვიდდა). ორ დღეს, შე ქალო, ორ დღეს, შვილებო!

კ ე ს ა რ ი ა. ასე იძახდა, როცა ბუხუტიმ საშუალო დაამთავრა, ერთ წელიწადს, მარტო ერთ წელიწადსო და ოთხ წელიწადს გააჩერა, სულ არ უშვებდა; არ დაუჯეროთ! მაგისთვის რომ ყური მეგდო, თქვენ ოთხივე აქ, ამ ბუხრის პირას ეყრებოდით ნაცარში და ტუტაში.

დ ი ტ ო. ეუჰ! გვღუპავდი, მამაჩემო?

ა გ ა ბ ო. დაღუპული ახლა ხარ, მე თქვენი გადარჩენა მინდოდა.

კ ე ს ა რ ი ა. ხომ გესმით, ხომ თქვენი ყურით გესმით, ამის მერე კიდევ ეკუას ეკითხებით? ახლავე, ახლავე!

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. აჰ, ახლავე! წაყვანა ჯობია? (ჯორკო აიღო და ზედ მუშტი დაჰკრა.) მე ვკრძალავ! ჩვენ მეცნიერებით შეიარაღებული ახალგაზრდობა გვჭირდება!

დ ი ტ ო. კი, ისე ეტყობა, ჯობია. (მივიდა, ისევ დააკლო ხელი ბუხუტის და ცაგოს.) ახლავე უნდა გავუყენოთ გზას.

ა გ ა ბ ო. ორ დღეს, ბიჭო!

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. მამა, რას ნიშნავს ეს შენი ორი დღე? მე ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს.

ა გ ა ბ ო. ორი დღე. ორი დღის წუთისოფელი გვაქვს.

კ ე ს ა რ ი ა. მის სიცოცხლეში არ გაუშვებს!

ა გ ა ბ ო. ჰო, სანამ ცოცხალი ვარ, სანამ პირში სული მიდგას.

კ ე ს ა რ ი ა. რავა მოისაწყლა თავი; მაგას რა მოკლავს, თქვენ ყველას დაგაბერებთ.

-დ ი ტ ო. მამა, შე დენიკინის დროინდელო, აქ, ამ ნაცარში გვტოვებდი?

ი ო ვ ე ლ ი. გაუშვი, მამა, ორი დღე გინდა აქეთ ყოფილა და გინდა იქეთ.

ა ვ ა ბ ო. ორი დღის წუთისოფელია ადამიანი.

კ ე ს ა რ ი ა. ლანდა, შენთან, შენთვის ჩამიბარებია და ყოველ მარიობა დღეს შენსიგრძე სანთელს შევწირავ ღვთისმშობელს.

ლ ა ნ დ ა (თავი შორიდან დაუკრა და გავიდა.) კარგათ იყავით!

დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი. მორჩა. (დაასლოკინა.) შემდეგი საკითხი... ჰო, წასასვლელი ვართ.

კ ე ს ა რ ი ა. კარგად გამყოფოთ ჩემმა გამჩენმა და სალოცავმა!

ბ უ ქ უ ნ ა (ხელი ჩამოართვა). დედა, მე დიტოს მარტო ვერ გავუშვებ, თუ არა დავრჩებოდი. კარგად, მხიარულად იყავით!

გ ო გ ო ლ ა (ჩაეხვია კესარიას, ატირდა). რაფერ გტოვებ, დედა, მივდივარ, სულ კარგად მეყოლე, ჩემო სიცოცხლე!

დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი. დედიკო, ჩემო ძვირფასო დედა! (ცოცნის, ეხვევა.)

დ ი ტ ო. დედა, შე გაუტეხელო კაჟო და რიყის ქვა, აბა, ისე, როგორც იცი!

ი ო ვ ე ლ ი. კარგად იყავით, კარგად, მე შემოვივლი.

გადიან თანდათან.

დ ი ტ ო (ბუხუტის და ცაგოს). რას უცდით, წამოდით, გაკეთდა თქვენი საქმე.

ბ უ ხ უ ტ ი. მამა.

კ ე ს ა რ ი ა წამოიწია.

ა ვ ა ბ ო. წადით, შვილებო, წადით, ეტყობა იმისთანა ავადმყოფობა ჰირს ჩემს გაჭირვებულ მამულს, რომ ჩემი მალამო არ უშველის. წადით და თქვენ მაინც ისწავლეთ იმისთანა რაღაცა, რომ ქვეყანას უწამლოს...

ბ უ ხ უ ტ ი (ხელჩაკიდებული ცაგო მიჰყავს, ცაგო ზურგს უკან ემალება ეაჟს). დედა...

კ ე ს ა რ ი ა. გამარჯვებული იარეთ, აბა, შენ იცი, ბუხუტი!

ა ვ ა ბ ო. წადით! მალე ქენით! (ჩქარობს, რომ გულისწყვეტა დაფაროს.)

ბ უ ხ უ ტ ი. მამა... (თქმა უნდოდა, ვერ გაბედა. ცაგო მიხედა, აგაბო აღარ გვაცილებსო და მობრუნდა, მკერდზე თავი მიადო.)

ც ა გ ო. მამა, მე მთელი ჩემი სიცოცხლე, შენზე ვილოცებ! (ატირებული გავარდა.)

გარეთ ხმები, ჩოჩქოლი. მანქანის ხმაური, აგაბო დგას უძრავად. კესარიაც გალურსულია. მიწყნარდება ყველაფერი. სიჩუმეა. ბოლოს აგაბო ბუხართან მივიდა. დაჯდა, კერია მეგეუზლით გაქექა, შეშა დააწყო. პაუზა. კესარიამ ვერ გაიძლო ამ მძიმე, სევდიან დუმილს.

კ ე ს ა რ ი ა. წყალი!

ა გ ა ბ ო მ ყოიხედა. უყურა. მერე დინჯად ადგა, ჭიქას გამოაელო, დაასხა. მივიდა, ტახტზე ჩამოჯდა. კესარიას თავი აუწია და მზრუნველად დაალევინა.

ა გ ა ბ ო. მე სანამდე ვიქნები, კი ბატონო, მარა მეც კაცი ვარ, ცალ ხომ არ გამოვეკერები!..

კ ე ს ა რ ი ა. კი მარა, შენ მიხვალ და მე აქ მტოვებ?

ა გ ა ბ ო. საგარაკოდ კი არ მივდივარ, რომ შენც წაგიყვანო!

კ ე ს ა რ ი ა. მერე მე აქ რა ჯანდაბა მინდა!

ა გ ა ბ ო. გინდა, არ გინდა, აბა, რა ვქნა, მე სიკვდილის წინ თოფს ვერ გესვრი, რომ თან გაგიყოლო. უნდა დარჩე. კიდეე კარგი, ტექნიკის საქმე კარგად მიდის. იმ მეცნიერებსაც ხომ ჩვენსავით უპატრონოდ ეყოლებათ მშობლები მიტოვებული. თუ რომელიმე ღვთისნიერი გამოდგა, წყლის დამლევინებელი მანქანა გამოიგონა, ხომ კარგი, თუ არა რომელიმე ჩვენგანი მარტო რომ დავრჩეთ, ან ორივე ერთდროულად ავად გავხდეთ, სნეულება რომ ვერ მოგვერიოს, წყურვილი დაგვხოცავს.

კ ე ს ა რ ი ა. შე კაცო, რა გაეწყობა, დაგვხოცავს და დაგვხოცოს. შე დალოცვილო, მიდღეგჩი ვინ ყოფილა, რომ ჩვენ ვიყოთ!

ა გ ა ბ ო. კი ბატონო, მარტო მე რომ ვკვდებოდე, ვინ დაეძებს! მე ვიცი რომ დღეს-ხვალ არ უნდა ვიქნე, მარა ის, რასაც მუდამ უნდა ეცოცხლა, რასაც ახლა თვალი ხედავს და ახარებს, ისიც იქ დღესვე დაიღუპება, როგორც კი ჩვენ ამ ქვეყნიდან წავალთ.

კ ე ს ა რ ი ა. ასეთი ბედი გვქონია, აგაბო, და რა ვქნათ, ასეთ ვარსკვლავზე ეყოფილვართ დაბადებული.

ა გ ა ბ ო. ჩვენ კი, ბატონო, მარა მთელი ეს ამოდენა სოფელი ერთ ბედზე და ერთ ვარსკვლავზე დაიბადა?

კ ე ს ა რ ი ა. აბა, რა მკლავს, აგაბო. მთელი სოფელი, ეკეიანი და

უჰკუო, მცოდნე და უგუნური, ბრუციანი და თვალხილებული ქალაქში გარბის, შე საცოდავო, მაინცდამაინც ჩემი შვილები გინდოდა ამ ტალახში ჩაგეხოცა?!

აგაბო. მინდოდა, კესარია, მინდოდა!

კესარია (დაუტკბა). ვიცი, შე კაცო, ახლა, მართლა სიძულვილით კი არ მოგდიოდა, მამაშენის დატოვებული კერა არ გინდოდა გაგეციებია.

აგაბო. არ მინდოდა, კესარია, არ მინდოდა გამეციებია და არაფერი გამომივიდა.

კესარია. არ გამოვა, შე კაცო, რაფერ გამოვა, ქვეყანა ასეა მოწყობილი და შენ დაუდგები ქვეყანას?

აგაბო. ვერა, კესარია, რა არ ვქენი, რა არ ვიწვალე და ვიჯახირე, რა ჭკუა და ეშმაკობა არ ვიხმარე და არაფერი არ გამოვიდა. შენ რა გგონია, ვინ გაგზავნა ის დეპეშა! (კესარია წამოიწია.) იწექი, შე გაჭირვებულო, ახლა მაინც სულ ერთია, მე გავგზავნე...

კესარია. მამა გარდაიცვალაო?

აგაბო. კი, მე გავგზავნე. ვიფიქრე, იქაური ქალი რომ შეირთოს, სოფელს სათოფედ არ მოეკარება-მეთქი. შენ გგონია იმ სავენახე მიწის გადაბრუნება მართლა ჩვენს ბიჭებს მოუვიდათ თავში?! შენც არ მომიკვდე, ან ის ცაგო, შენ რავა ფიქრობ, ვინ მოიტაცა!

კესარია. ჰო, რა ქნა ეს ბუხუტიმ, რა საქმე დაღუპა!

აგაბო. ვინ ბუხუტიმ? არა, კესარია, ბუხუტი იმ ლანდას შარახვეტია დეიდაშვილსაც კი შეირთავდა. არ ეყვარებოდა. გული აქ-ცაგოსთან ექნებოდა დატოვებული, თვითონ იქ იცხოვრებდა, იქ-ნებოდა ასე გაძაღლებული, მარა ვერ მიატოვებდა ვერც იმას და ვერც ამას მოიტაცებდა. მერე სულ ჩაიქნევდა ხელს ყველაფერზე. რამდენი ხელჩაქნეული დადის ამ ქვეყანაზე, ვიცოდი ეს და ცაგო მე მოვიტაცე...

კესარია. აგაბო...

აგაბო. კი, კესარია, მე მოვიტაცე, მარა გამოვიდა მაინც რამე? არაფერი არ გამოვიდა. გამოვიდა კი არა, მთლად უარესი, ისიც წაიყვანეს. მალე, კესარია, ის გოგოც მაგათ გაჭრილი ვაშლივით დაემგვანება.

კესარია. კი მარა, შვილები ეყოლებათ, შე კაცო, მომავალი გაგ-ვიჩნდება.

აგაბო. ერთი გოგო?

კესარია. რატომ, შე კაცო, იქნებ ბიჭი იქნეს.

აგაბო. ერთი?

კესარია. აბა, ახლა მამაშენივით თერთმეტს ხომ არ დაისვენ.

აგაბო. მე, კესარია, სადმე უცხო ადგილს რომ მოვხვდებოდი, მრცხვენოდა ოთხი შვილის გამხელა და შვიდი ბიჭის მამა ვარ-თქო, ვამბობდი. ამათ, ქალო, ოთხს ერთი გოგო?

კესარია. რატომ გინდა ყველაფერს ნიორწყალი გადაასხა. ბიჭიც იქნება, შე კაცო. მერე ზაფხულობით აქაც ჩამოვიყვანთ.

აგაბო. გოგო და ბიჭზე კი არ მაქვს საქმე! ერთი ახლაც ხომ გვყავს, ვინ მიგზავნის, ან რად მინდა...

კესარია. ჩაგიქვავდა ენა, შვილიშვილი არ გინდა?!

აგაბო. რატომ გიკვირს, არ მინდა. ბოვშს თუ ვერ დაველაპარაკე და არ დამელაპარაკა, ზევით სურათების მთელი ალბომი მაქვს.

კესარია. შემოეველოს ბებია, ისე ასხმარტალებს ინგლისურს, აგაბო, ვერ გავუძელი და ავტირდი, ენას კი ვერ გავუგებთ, მარა მივეფერებით, მივესიყვარულებით.

აგაბო. თუ ვერაფერი ვუთხარი და მითხრა, მე, შე ქალო, ძროხა კი არა ვარ, ენა ვუსვა და ვლოკო. თუ ამ ბუხარს არ დაელაპარაკა და იმ ხეს ვერაფერი გააგებია, თუ ვენახს ვერ უწამლა...

კესარია. ვენახს, ვენახს, აბუწავლე იმ ვენახის გასხვლა და ის იქნება!

აგაბო. არ გამოვა. მე ახლა ცხრაასი ძირი ვენახი მაქვს. ცხრაასივეს ჩემი ბიჭებივით ვიცნობ. შვიდი ჯიშის ვაზი მაქვს შიგ გარეული. ამას წინათ კახეთიდანაც ჩამოვიტანე რქაწითელი, იყოს რავარიც იქნება და, შენ რავა გგონია, ყველას თავისებურად ველაპარაკები. ახლა, იმ რქაწითელს პატარა კახურად თუ არ მოვუქციე: „შე დალოცვილო, რავა ხარ განა!" ეგერ, ღობის კიდეზე რომ ადესა მაქვს დარგული, თუ გურულად არ შეეხმიანე: „ძამია, რავა გიკითხო, შე აბდალო!" რაჭულ თეთრას თუ არ დაუდინჯდი: „ქვე შენი ჭირიმე" არ უძახე — მოსავალს არ მოგცემს. ქართლის ჯიში ხომ მაქვს და მაქვს. გაგიკვირდება, სვანურიც მაქვს, ინგლისური კი არა, ქართული რომ ქართულია, იმასაც თუ იმ სოფლის კილოზე არ მოუქციე, სადაც დაიბადა, ვერ გაუგებ. აგერ, სახლის გვერდზე რომ მარტვილიდან ჩამოტანილი ალადასტური მაქვს „სულ სკანი გოლუაფირუს" ვეძახი და

ყოველ წელიწადს მაინც არ ისხამს. შენ რავა გგონია, ინგლისურად ილაპარაკებს ის შენი ბუხუტის ბიჭიც?

კ ე ს ა რ ი ა. მაგი მენახოს და...

ა გ ა ბ ო. კაი შენ, თუ ნახე, მარა რას ნახავ.

კ ე ს ა რ ი ა. თუ არ ვნახავ, ხომ გავიგებ.

ა გ ა ბ ო. ჰო, გაგებით გაიგებ თუ არა, ნახვით — ვერა, კესარია. ეს ახლა ბუზიკით რომ გეხვიენ თავზე დაგავიწყდა? ჩემს დასამარხავად იყვნენ ჩამოსული. მორჩა, მე თავისუფალი ვარ, კიდევ შენს დასაფლავებაზე ჩამოვლენ, მაშინ ერთხელ კიდევ ნახავ ყველას, ეს იქნება და ეს (კესარია სასოწარკვეთილია.) ვტყუივარ? იმ კარგი დედ-მამის სული ნუ წაგიწყდება, არ მომერიდო, კესარია, მითხარი თუ ვტყუივარ!

კ ე ს ა რ ი ა. მართალია, აგაბო...

მძიმე სვედა დაეუფლებათ. აგაბო დინჯად მიეიდა ბუხართან, ქისა ჩამოიღო; დაჯდა. გატენა ყალიონი. ნაკვერჩხლით აანთო.

ა გ ა ბ ო. არა, ჩემო კესარია, ასე, ამნაირად, არაფრით არ შეიძლება ცხოვრება...

ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი

კომედია ორ ნაწილად

მოქმედი პირები

ნინელი.
მარგო.
მარიხი.
ეკა.
ეოზე.
ია.
მიტუა.

ნაწილი პირველი

სურათი პირველი

მოზრდილი ოთახი. ფანჯრებს იქით ჩანს თოელით დაბუქული ხეები. ოთახში ოთხი რკინის საწოლი, მაგიდა და ძველმოდური, სარკიანი კარადაა, თუნუქის ღუმელი და შეშის გროვა. კედელზე ქალის გადიდებული სურათი ჰკიდია და ცალპირი თოფი. ბაწარზე პატარა ბიჭის პერანგები და შარვლებია გადაფენილი. ეზოდან შემოსასველელ კარს ზურგით შემოაღებს მიტუა, მოუძღვება სტუმრებს; ჩემოდნებით, ჩანთებით, თხილამურებით, გიტარით, იაპონური რადიომიმღებით შემოდიან: ეკა, მარიხი, ნინელი, ია, ეოზე და მარგო.

მიტუა (ხელების ფშვნეტით). აი, სულ ეგ არის... (უნდა მოაწონოს.) არც მეტი და არც ნაკლები, რასაც ხედავთ, ეგაა. (საწოლი კედელთან მიდგა, გაასწორა.) აუულ ეგაა, რაცაა! (ქალები ათვალიერებენ იქაურობას. ია მაშინვე სარკეს ეცა, ეოზემაც ჩაიხედა მედიდურად.)

მარგო (ფანჯრიდან ცას მოწყენით გახედა და თაეისთეის). „შეხედე რა ცაა, ესაა რაცაა“...

ნინელი (მიტუას გასწორებულ საწოლზე მოწყეეტით დაჯდა). მე ამას იქით ფეხის გამდგმელი არა ვარ, გოგოებო... გავთავდი, აღარ შემიძლია მეტი. (მიტუა გაეღრიჯა: ეს რა კარგი რამე თქვეო.)

ეკა (ცინიკურად). ნინელის ოთახი მოეწონა თუ მასპინძელმა მოხიბ-
ლა?
ია. ალბათ, ორივემ ერთად.
ქოზე. ოთახი აქ არაფერ შუაშია, ვფიქრობ, მხოლოდ მასპინძელმა...
ნინელი. კარგი, გოგოებო, თუ ღმერთი გწამთ!
ია (ჩაიღიღინა). მასპინძელსა მხიარულსა...
მარიხი. ეს კაცი ძალაზე კი არაა, თუ გინდათო, თუ არა...
ეკა (მიტუას გადახედავს). მავან ძალა რომ იხმაროს, ჩვენ ექვსივე ვერ
გავუმკლავდებით.
ნინელი. ჩუ, გოგო, ამაღამ დამესიზმრება და ვადავირეკი.
მიტუა (ცდილობს მოაწონოს). სულ ესაა, რასაც ხედავთ, არც მეტი
და არც ნაკლები...
ეკა. ამას მარტო სიტყვა-პასუხი აქვს ისეთი, რიყის ქვას ოქროდ
გაყიდის.
ნინელი. რა ქნას, გოგო, საწყალი კაცია.
ეკა. ერთი შენისთანა საწყალი უკვე მოუნელებია და მაგის ჯანს
რომ ვხედავ, კიდევ ბარეორს მოინელებს.
ქოზე. ნეტავი იმას, ვინც მაგის მოსანელებლად გაიხადა საქმე.
ნინელი (გულუბრყვილოდ). ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგს მღვდლის
ქალიშვილი...
ია. გოგოებო, აქ სერიოზული რომანი იწყება.
ქოზე (მიტუას შეხედავს, ცხვირს აიბზუებს). ღმერთმა ხელი მოუმარ-
თოს!
მარგო. სიყვარული ბრმაა, „მისგან ბრძენიც ხელად რებდეს“...
ნინელი. არ გრცხვენიათ, გოგოებო? რას იტყვის ეს ადამიანი?!.
მარიხი. რას იტყვის... (მიტუას.) რას იტყვით, მასპინძელო?
მიტუა. აბა, რა გითხრათ... ჯერ თქვენა თქვით და მერე მე ვიტყვი.
ეკა. ჩვენ ძალიან მოხიბლული ვართ.
ქოზე. ჭკუას ვცარგავთ!
ია. ღმერთმანი!
მიტუა. ჰოდა, რაკი მოგეწონათ...
ნინელი. მაგი ხომ ბინაზე გეკითხებათ, უთხარით პასუხი, ნუ გა-
აწვალეთ.
ქოზე. აქ ექვსი ადამიანი სულს ვერ მოითქვამს.
ია. ამოდენა ორი ოთახი რომ მაინც იყოს...
ნინელი. ერთი ოთახის პირობაზე პატარა არაა.

ეოზე. ერთი ოთახის პირობაზე არა...

ია. მაგრამ ორისაზე?..

ნინელი. აბა, არ ვიცი, მაგრამ იცოდეთ, არსად ფეხის გადადგმა არ შემიძლია. (მიტუას.) თქვენთან ბოდიში! (წამოწვება.)

მარგო. მართლა და აქ სამუდამოდ დარჩენას ხომ არ ვაპირებთ, სადაც გავათევთ ღამეს, სულ ერთი არაა?

ნინელი (თავს წამოსწევს). შენ გაიხარე, მარგო!

მარგო (სევდიანად). ეჰ, სადღაა სიხარული, ჩემო ნინელი.

მიტუა (ნაწყენი, ჯიუტად). მამაცხონებულებო!.. ეს „მოვიხიბლეო", ეს „სულს ვერ მოვითქვამო", ეს „ერთის პირობაზეო", ეს „ორის პირობაზეო", თქვენი ვერაფერი გამიგია. გინდათ? — გინდათ, არ გინდათ? — არ გინდათ. გითხარით, ესაა, რაცაა-თქო. ახლა ამ შუა ზამთარშია თქვენი გულისთვინა სახლს ხომ არ დავანგრევ და სიგრძე-სიგანეს ხომ არ მივუმატებ. ნეტავი თქვენ... მე აქ მთელი სიცოცხლე ვაპირებ ყოფნას და თქვენ ოცი ღამე არ გაგეთევებათ?

მარიხი. უყურე შენ, როგორ სეტყვასავით დაგვაყარა?

ნინელი. მართალს ამბობს.

მიტუა. რატომაც არა... არ დაგაწვიმთ და არ დაგათოვთ. აი, კიდევ ორ საწოლსაც მოგიხერხებთ, დაწექით არხეინად და... ჰო, დაწექით და იყავით. (ეოზეს.) სულს ვერ მოვითქვამო, შენც ადექი და საწოლი ფანჯარასთან დაიდგი, ვერ მოითქვამ და გააღე, მირონივით ჰაერი შემოვა, თითო ჩასუნთქვა ფულად ეღირება.

მარიხი. ნინელი ჩვენს შორის ყველაზე ქალურია და როგორც ჩანს, ალღომ არ უღალატა.

ნინელი. კაი, გოგო, ახლა!

მიტუა. ეგეთი გულაზიზები თუ ხართ, ნეტავი ის ქმრები როგორ... როგორ გაჰყევით ქმრებსა?

ია. ესეც თქვენ.

უკა. სულ სამ-სამი და ოთხ-ოთხი გამოვიცვალეთ.

მიტუა. ჰოდა, ამ ოთახსაც გამოიცვლით.

ნინელი (ეკას.) ნუ ამბობ, გოგო, მართალი ეგონება.

მიტუა. თქვენი ვერაფერი გამიგია...

მარიხი. მართალი თუ გინდათ... მაგრამ შენთვის სულ ერთი არაა?

მიტუა. რატომაა სულ ერთი, შე მამაგანათლებულო, ჩემს სახლშ.

ღამე გათეული ადამიანი არ უნდა ვიცოდე ვინაა და რისი მაქნისია?

მ ა რ ი ხ ი. ჰოდა, რაკი ასეა საქმე, იცოდე, რომ არც ერთი ქმრიანი არაა.

ე კ ა. და არც აპირებენ.

მ ი ტ უ ა (ეაუკვირდა). არცა ყოფილა?!

ე კ ა. შენ წარმოიდგინე, არცა ყოფილა.

მ ი ტ უ ა (გაოცდა). არასოდეს?!

ე ო ზ ე. თქვენ წარმოიდგინეთ.

მ ი ტ უ ა (ყველას აკვირდება). ამ ექვსიდანა?!

ია იცინის, მარისს და მარგოს ეღიმებათ.

მ ი ტ უ ა. არც ერთი?!

ი ა. არა.

მ ი ტ უ ა. ამ ექვსიდანა?!

ნ ი ნ ე ლ ი (სიხარულით). არც ერთი, არც ერთი.

მ ი ტ უ ა. დავიჯერო?

ეკ ა. როგორმე უნდა გვცე პატივი და დაიჯერო.

ე ო ზ ე. ესლა მაკლია, ახლა ამას ანგარიში ვაბარო.

ი ა. არ ვიცი პირდაპირ!

ე ო ზ ე. წავიდეთ აქედან.

ნ ი ნ ე ლ ი. ღმერთო მომკალი, სადღა უნდა წავიდეთ, სული ადარ მიდგია.

მ ა რ გ ო. მართლაცდა სადღა მივდივართ.

მ ი ტ უ ა. მოიცათ, ხალხო... აკი არ გამიკვირდა?! არც ერთიო, ასე არა თქვით?!

ე ო ზ ე. ელაპარაკე ახლა ამას.

მ ი ტ უ ა ექვსივე? (სახეში უყურებს ყველას ცალ-ცალკე.) ღმერთო, რა ყვავილებს აკნობენ, ღმერთო! უპატრონოთ, ღმერთო, უსინდისოდა, უკაცოდა, ღმერთო, უღმერთოთა, ღმერთო!

მ ა რ გ ო. ვაი ჩემო დღეო...

ნ ი ნ ე ლ ი. ასე ბედდამწვარი შევიქენით ჩვენ შავ დღეზე გაჩენილები.

მ ა რ ი ხ ი. რას იზამ, სიმართლეა, მაგრამ ახლა აქ ამის დრო არაა...

მ ი ტ უ ა. ღმერთო, რა სამოთხის ვარდებს აკნობენ, ღმერთო!

ეკა. აბა, აბა, ამას ამდენი ლაპარაკის ნება ვინ მისცა.

ია. გამოგვიჩნდა ქომაგი!

ეკა. ჩვენ, როგორც ვიცი, შენთან, ჭკუის საკითხავად არ მოვსულვართ.

ქოზე. ესღა მაკლია!

მიტუა. მერედა რათა, რისი გულითვინა, რომ გიყურებთ არა, ელეთმელეთი მემართება. კაცო, ეგ რა უქნიათ, ეგ რა ყანა გაუოხრებიათ უკალოოთა, ეგ რა ქარვის მტევანს აჭკნობენ უსაწნახლოდა, ეგ რა თურაშაულის ვაშლს ახმობენ ჩირათა, ჩამიჩათა და ჩირათა, კაცო!

ქოზე. ეს ჩემთვის ჩემს დედმანიშვილს არ გაუბედია! (ჩემოდანს ხელს დაავლებს.) ყველა ხეპრეს რომ თავს გაუყადრებთ, ასე იცის..

ია. ღმერთო კი მომკალი, ამის სალაპარაკოც გავხდით! (ისიც ჩემოდანს აიტაცებს.)

მარგო. მოიცათ, ილაპარაკოს, მიწასავით ამბობს... თქვენი არ ვიცი და მე ისე მესმის, როგორც მიწის სიტყვა.

ნინელი. ჩვენს უბედობაზე ლაპარაკობს.

მარიხი. სხვა ამას ვერ გვკადრებს. ასეთ სიმართლეს სხვაგან არ გვეტყვიან, მაგრამ ჩემთვის აქ ახალი მაინც არაფერია.

ნინელი. შენ გაიხარე, მარიხ. პირდაპირ რომ იცი თქმა.

ეკა (მიტუაზე). ამას ახლა თქვენი მხარდაჭერა აკლია, ისედაც ყველაფერს არ ტორტლავს, რაც ენაზე მოადგება.

მიტუა. რა მტევანს აჭკნობენ ჩამიჩათა, რა ლოყაწითელ ვაშლს ახმობენ ჩირათა, ჩამიჩათა და ჩირათა, კაცო!

ქოზე. მე ამდენი შეურაცხყოფის ატანა არ შემიძლია, ისიც ვისგან.

ია. სწორედ რომ ვისგან. ეს რომ ჩემმა მეგობრებმა მითხრან, ავიღოთ ფილოსოფიის დოქტორი, ვარლამი რომაა, ჩემს დღეობაზე გაიცანით, ვახსოვთ სადღეგრძელოში რა ვვითხრა? ახლაც მეცინება რომ მახსენდება, ან ჩემი გარე ბიძაშვილი, მუსიკათმცოდნე ბარდღა ჭანტურიშვილი, ან...

მარგო. მოიცათ, თუ ღმერთი გწამთ. ასე კარგად და ალალად ვერც ერთი აკადემიკოსი ვერ გეტყვით, ვერც პოეტი. ქოზე, თუ ღმერთი გწამს, დადეგი მაგ ჩემოდანი, ცოტა დავისვენოთ და თუ წასასვლელი ვართ, მერეც მოვასწრებთ.

მარიხი. სულ დავრჩეთ. სიმართლე რომ ითქვას, აქ ნაკლებად მო-

ვიწყენთ და რა ვუყოთ თუ ჩვენი მასპინძელი ზოგჯერ მოსწრებულ ქათინაურებს არ მოგვაკლებს.

ნ ი ნ ე ლ ი. რა ვიცი, შენი ჭირიმე, იქ, ბაკურიანში, არაო, ქვეყანა ირევაო, იქ იმდენ გოგო-ბიჭებში ჩვენი ადგილი არააო, უფრო მყუდრო სოფელი გვირჩევნიაო. აქაა და, დავდივართ კარდაკარ, ზოგან ბავშვებითაა სავსე ეზო-გარემო, ზოგან სახლი დაბლობშია, გადასახედი არააო, ზოგან კიდევ დაგვასწრეს და გაქირავებული დაგვიხვდა. ვიყოთ აქ, ამ კაცს თავისი მივცეთ და თუ არ გვინდა, თვალითაც ნუ დავენახვებით.

ე კ ა. გაწყდა მაგათი სიწსილა!

მ ი ტ უ ა. რათა, კაცო?!

ე კ ა. რათა და იმათა, რომ... ვინა ხარ შენ და რა გესაქმება?!

მ ი ტ უ ა. კაცი ვარ, კაცი!

ე ო ზ ე. კაცი... (ცხვირი აიბზუა და სარკეში ჩაიხედა, თავი მაღლა ასწია.)

ი ა. პირდაპირ გადამრჩევთ, გოგოებო, მარგო, რა მოგივიდა ბოლოს და ბოლოს! (ხელჩანთა გახსნა, სარკესთან მივიდა.)

მ ა რ ი ხ ი. თუ არ გაჩერდებით, ჩვენი საქმეა, ისე ამ კაცს ესაქმება თუ არ ესაქმება ეს სხვაა, მაგრამ რასაც ამბობს, უხამსობაც რომ იყოს, დიდი სიმართლეა.

მ ა რ გ ო. არაფერი უხამსობა არაა, ლამაზადაც [illegible] ამბობს.

ნ ი ნ ე ლ ი. სულ კაკალ-კაკალა ჩამოფქვა ჩვენი გასაჭირი...

ე კ ა. გაჩუმდი, ნინელი, მე არავის ვეკითხები ჭკუას.

ე ო ზ ე. და მით უმეტეს, ამ ხეპრეს.

ი ა. არ ვიცი, პირდაპირ!

მ ა რ გ ო. ამით ჩვენი ცხოვრება არ შეიცვლება. საუბედუროდ, ჩვენ გვგონია ვიცხოვრეთ ისე, როგორც უნდა გვეცხოვრა.

მ ა რ ი ხ ი. იქნებ მთლად ასე არა, მაგრამ ჩვენ მაინც იმ გზით ვივლით, როგორც გვივლია.

ნ ი ნ ე ლ ი. არა, არა, ასე არ უნდა გვეცხოვრა.

ე კ ა. ერთი წუთითაც არ მიფიქრია სხვანაირად, არც მინანია.

მ ა რ ი ხ ი. ვეჭვობ...

ე ო ზ ე. იქნებ სხვანაირად უნდა მეცხოვრა, მაგრამ ვერ წარმომიდგენია, რომელი მამაკაცი უნდა ყოფილიყო ჩემი მბრძანებელი და მფლობელი.

ი ა. ასეთი მამაკაცები თითზე ჩამოსათვლელია.

მ ა რ გ ო. საუბედურო, მე თქვენ ყველას კარგად გიცნობთ, ჩემს თავსაც და ვიცი, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ჩვენი გზა ამნაირად დასრულდება.

ე კ ა. არც ერთ მამაკაცზე უარესად არ მიცხოვრია და არც ვიცხოვრებ. მე მათში ჩემზე მეტს ვერ ვხედავ, და რა მოხდა, მამაკაცის გვერდით თუ არ დავწექი, ისე არ დამეძინება?

ნ ი ნ ე ლ ი (ვულუბრუვილოდ.) კი, მაგრამ ძნელია... (ენას კბილი დაჭირა.)

მ ი ტ უ ა. კი, მაგრამ რათა, კაცო!

ე კ ა (გაბრაზებული). რათა და შენთან წოლას, დათვთან წოლა სჯობია.

ქ ო ზ ე. მე მაგისთვის ლეიბსაც არ გავიმეტებდი.

ნ ი ნ ე ლ ი. ამ თოვლ-ყინვაში ულებოდ და უსაბნოდ?..

მ ა რ ი ხ ი. რა ლაპარაკია ეს! ამ კაცს ასე უხეშად არაფერი უთქვამს.

მ ა რ გ ო. პირიქით, „უკალოოთაო", „უსაწნახლოთაო".

ი ა. ოჰ, ენამოსწრებულადაცაო არ მითხრა.

მ ა რ გ ო. ენამოსწრებულადაც კი.

მ ა რ ი ხ ი. კარგი, კარგი, ჩვენ ისა ვთქვათ, ვრჩებით თუ არა აქ.

ნ ი ნ ე ლ ი. აბა, სად ჯანდაბაში წავიდეთ?!

ე კ ა. შენ შენი ძმისშვილების ლოლიავით და მათი საგებლების რეცხვით ხარ დაქანცული და სადაც თავს მიდებ, ყველგან დაგეძინება.

ნ ი ნ ე ლ ი. აბა, გოგო, რისთვის ვარ ამქვეყნად.

ი ა. მაგის გარდაც გაქვს შენ საქმე.

ნ ი ნ ე ლ ი. კი, გოგო, მაგრამ მასწავლებელი ვინ არაა. ჩემიანი, ჩემი სისხლი და ხორცი... ჩემიც რომ მყავდეს, ისინიც ჩემი არაა?

ე კ ა. შენი საქმე მოსწავლეებია. იმ შენს ძმისშვილებს კი ის მოუვლის, ვინც მათ გაჩენაზე იზრუნა.

მ ი ტ უ ა. კი, მაგრამ თქვენა?..

ქ ო ზ ე (გულაზიზად). რა ჩვენა, ჰა, რა ჩვენა?..

მ ი ტ უ ა. თქვენა, კაცო, თქვენა!..

ე კ ა (ზიზღით). რა ჩვენა, მაინცდამაინც შენს ლოგინში თუ არ ვიხვარხვალეთ, ისე რა... ქვეყანა შენით იწყება და თავდება!

მ ი ტ უ ა. კაცითა, კაცო.

მარიხმა გადაიხარხარა, ნინელი გულუბრუვილოდ იცინის, მარგო სევდიანად იღიმება.

ქ ო ზ ე (შეურაცხყოფილი გასწევს კარისაკენ). უარესი გვეკუთვნის!

ი ა. ახია ჩვენზე!

მ ი ტ უ ა (ცარს აეფარება). 'გული რათ 'მოგდის მამაცხონებულო; კაცითა, კაცო, განათლებული ხალხი ხართ, ზედვე გეტყობათ, მეცნიერებითა გაქვთ თავი სავსე და განა არ იცით? კაცითა. (დიდმნიშვნელოვნად.) როგორც კაცი ქალითა, ისე ქალი კაცითა.

ე ო ზ ე. პირველყოფილი ადამიანის ფილოსოფიაა.

ე კ ა. ცხოველი!

მ ა რ ი ხ ი. რატომ, აქ ოჯახზეა ლაპარაკი, დედის როლზე და მოწოდებაზე.

ვ ა რ გ ო. სრულიად ბუნებრივად.

ნ ი ნ ე ლ ი. ქალი დედა უნდა იყოს, არც მეტი და არც ნაკლები.

ე კ ა. ვინ მოგახსენა?!

მ ა რ გ ო. ჩვეულებრივი ამბავია.

ე კ ა. ნურას უკაცრავად, თქვენისთანა ქალებმა დაამონა ქალი და არა მამაკაცმა. მამაკაცს არ შესწევდა უნარი, ქალი დაეჯაბნა.

ე ო ზ ე. სად არის ის დრო, როცა ქალი იყო ბატონ-პატრონი. იმ დროს რომ მოვსწრებოდი (მიტუაზე.) ამისთანას კი არა, თავი რომ დიდვინმედ მოაქვთ, იმისთანა კაცს შვიდს ვიყოლიებდი სახლში და ჩემს თავს არც ერთს არ ვაღირსებდი.

მ ი ტ უ ა. რათა, კაცო, დაჯაბვნა რათა, ან მტრობა რათა, კაცო, ისე არ იქნება? ისე, სიყვარულითა, ალერსითა, პირზე კოცნითა, გულში ჩახუტებითა და ჩემი დედაკაცის სულის ცხონებამა, რაც სითბო ჰქონდა, სულ მე დამიტოვა, რაც ალერსი ვიცოდი, სულ თან წაიღო. გული არ დამწყვეტია და არც თვითონ წასულა გულხაკლულადა. აბა, მითხარით, რათ არა, კაცო? ეს ჩვენი ბალღიც ქვეყნად დაგვიარება იმ ალერსადა და სიყვარულადა, ჩემს იმედათა და დედის სიყვარულადა.

მ ა რ გ ო. (ხვეწნით). ილაპარაკეთ, ილაპარაკეთ.

ნ ი ნ ე ლ ი. შენ გაიხარე, მარგო, გულის ნადებივით არ ლაპარაკობს?

მ ი ტ უ ა. განა სხვაგვარად ვამბობ? თქვე მამაცხონებულებო, ექვსივემ მზეს რომ შეხედოთ, დააბნელებთ. თითოეული, კაცის ერთ სიცოცხლედა ღირხართ. რომ გიყურებთ, არა? — ჯოჯოხეთის მდულარეში ვიხარშები. რათაო? რათა და კაცი ვარ და იმათა. თქვენ კი ესაო და ისაო... რა ესაო და ისაო!

მ ა რ გ ო. გაიხსენეთ, თუ ამაზე ენებიანად რომელიმე მამაკაცს აუხსნია თქვენთვის სიყვარული.

ე ო ზ ე. სიყვარულის ახსნა მაკლია სწორედ, პირველად მესმის მამაკაცის ხვეწნა და მუდარა.

ი ა. მაგან გამირია თმაში თეთრი.

ნ ი ნ ე ლ ი. ღმერთმანი, არა, ასეთი რამ არც კი მახსოვს.

მ ა რ ი ხ ი. სხვა სიტუაციაში კიდეც შეცდებოდა ქალი!

ნ ი ნ ე ლ ი. შენ გაიხარე, მარიხ, (დაიმორცხვა.) ნამეტანი სიმართლე გიყვარს.

მ ი ტ უ ა. რატომაც არა კაცო, ადამიანი არა ხარ, შე მამაგანათლებულო. ეს ესა და ისაო რომ იძახი, შე ცეცხლო და ღადარაო, გული არა გაქვს, არ გეცოდები? რომ გეუბნები, მერედა ვტყუი რო! „ხვეწნა-მუდარა პირველად არ მესმისო", „თმა გამითეთრაო", მერედა, რათ მიაჩვიე ეს მშვენიერი ყური და ქვებს რახუნად რად გეყურება? ან ამ გიშერივით თმას რათ ითეთრებ? შენც ადექი და დამიჯერე.

ჟ ო ზ ე. ხედავთ რაებსა ბოდავს?!

ი ა. ახლა ავდგე და ამას დავუჯერო?!

ნ ი ნ ე ლ ი. ახლა, ეს რა საქმეროა...

მ ა რ გ ო (ღიმილით). თქვენ არ გეუბნებათ, ნუ ღელავთ.

მ ა რ ი ხ ი. მაინცდამაინც ჟოზემ და იამ დამიჯეროსო, ამას არ ამბობს.

ე კ ა. ვისაც არ უნდა ეუბნებოდეს, ენა უნდა დაიმოკლოს.

მ ა რ ი ხ ი. გადაწყდა, აქ ვრჩებით?

მ ა რ გ ო. მე არსადაც არ მივდივარ.

ნ ი ნ ე ლ ი. შენ გაიხარე!

ე კ ა. მე თავმოყვარეობა მაქვს.

ი ა. მე არავისზე ნაკლები არა ვარ.

მ ა რ ი ხ ი. მასპინძელო...

მ ი ტ უ ა. მიტუა.

მ ა რ ი ხ ი. ბატონო დიმიტრი...

მ ი ტ უ ა. რათა დიმიტრი, მიტუა და მორჩა.

მ ა რ ი ხ ი. კარგი, ეგრე იყოს, მაგრამ ახლა წადი, ის ორი საწოლიც გაახერხე და დანარჩენი სხვა დროს.

მ ი ტ უ ა. წავალ, ახლავე! საწოლებს გავახერხებ. (შებრუნდება.) მაგრამ რათა, კაცო... როგორ, ღმერთო... ასე ულმობელადა, ასე უსულგულოდა, ასე უღვთოდა... (კარებიდან.) ასე უკაცოდა...

სურათი მეორე

იგივე დეკორაცია. გაშლილია სუფრა. ია ნაძვის ტოტებისგან ლამაზად დაწნული გვირგვინი ახურავს და ტახტზე მუთაქებით და ბალიშებით ამაღლებულ ადგილზე მოკალათებულა. სუფრის თავში, თამადის ადგილზე, ეკა ზის. ხმაშეწყობილად მღერიან. ჟ ო ზ ე გიტარაზე უკრავს. დღეობა მაინც უღიმღამოა და როგორ არ ცდილობენ, მაგრამ მაინც მოწყენილობაა.

მარვო. თქვენი ჭირიმე, ასჯერ მაქვს მოსმენილი, აღარ შემიძლია.
მარიხი. მართლა, რამე ახალი რომ გვემღერა?
ყოზე. (ტარა ვადადო). ნეტავ რა ახალი უნდათ? ყოველ დღეობაზე ახალი სიმღერა სადაა!
ია. სიმღერა საკაბე ხომ არაა, გადახვიდე და მაღაზიაში იყიდო.
მარიხი. მაღაზიაში თორემ, როგორც გადახვალ, ასარჩევად დაგიხვდება.
ია. ეგ. მაგალითად... რას მიკეთებენ იმდენი ნაცნობ-მეგობრები.
ყოზე. ყველაფერია, ცოტა თავის შეწუხებაა საჭირო.
ნინელი. ყოზე, გენაცვალე, მე რამდენიც არ უნდა ვიწუხო თავი, რა გამოვა, შენ ნოქრები რომ დაგინახავენ, მაშინვე უჩინარს გაიჩენენ.
ეკა. აი რა არიან მამაკაცები, ქალი დაინახონ და მაშინვე გოშიებად გადაიქცევიან.
მარიხი. ეს ყველაზე არ ითქმის.
ნინელი. ჰო, ყველაზე ამის თქმა როგორ შეიძლება.
ეკა. იცით, მე მაგის ნებას არც ერთ მამაკაცს არ მივცემ. თავს მაბეზრებს მათი ლაქუცი, მაგრამ ჰკითხეთ ყოზეს და ია და გეტყვიან.
ია. ორ წელიწადს დამდევდა სამმართველოს უფროსის მოადგილე, „ტულპანის“ შოენაც კი აღმითქვა, ჩემი გულისთვის ცოლ-შვილს მიტოვებას აპირებდა, კრეტინი... რაღა შორს წავიდე, (ნინელის.) შენი განათლების გამგე... შენც ხომ სამსახურში ჩემი ხათრით...
ყოზე. როგორც თვითონ ამბობდა, შენი სიყვარულით მიიღო.
ნინელი. აბა, ია, რამდენ ხანს ვიყავი უმუშევარი, რა კარგი საქმე მიქენი. „ჩემი გამგე“ ახლაც სულ იმას გაიძახის: „შენი დაქალი, ჩემი ია-ია როგორაა პირობაზეო“.
ია. ნეტავ რა პირობა მივეცი?!
ეკა. მამაკაცს, თუ ქალმა რაიმე სთხოვა, ჰგონია, რომ რაღაც პირობაც მისცა.
ია. მანამდე დაწვა და არ ადგა მისი გვერდები.
ნინელი. არა, ეს არა, მაგრამ ისე შენც ხომ... ია, შენც ხომ...
მარიხი. ჰო, მაგიც ეკეკლუცებოდა.
ნინელი. მთლად ასე არაა, მაგრამ...
ია. ნეტავი რას ვეკეკლუცებოდი. ერთ ღამეს ვახლდი თეატრში და მაშინაც შენზე ველაპარაკებოდი.

მ ა რ ი ხ ი. სახლამდე რომ მიგაცილა...

ი ა. ახლა მასეთს რამდენ ვინმეს მივუცილებიეარ... არა, შენ ის გინდა თქვა, რომ თითქოს მეც მომწონდა... ეს რა, ერთხანს თითქოს, მაგრამ...

ე ო ზ ე. ნეტავ რა მოსწონდა იმ ღლავის, მერე და როგორი ხმა აქვს, ასე ვგონია გაბზარული ქვევრი გელაპარაკება.

ი ა. ამიტომ ვთქვი, თითქოს-მეთქი. ეგ კი არა, მარგოს დეიდაშვილი, ღვინის ქარხნ-ს დირექტორად რომ მუშაობდა, სად მუშაობდა, მარგო, რომელ რაიონში?

მ ა რ გ ო. სულ ერთი არაა?

ი ა. ჰო, რა მნიშვნელობა აქვს. ყოველ შაბათ-კვირას მანქანით ჩამოქრიალდებოდა.

მ ა რ ი ხ ი. ოო, ეგ უკვე არავინ იცის, ის დირექტორი შენთვის ჩამოგრიალდებოდა თუ ეოზესთვის, და ერთხელ მკონი ეკასაც კი გაეარშიყა.

ე კ ა. მიიღო კიდეც საკადრისი პასუხი, (ზიზღით.) „სკინიაა"!.. (პაუზა).

მ ა რ გ ო. ასეთი რამ ხომ ყველას შეგვიძლია მოვყვეთ, რომელ თქვენგანს არ ჰყოლია თაყვანისმცემელი.

ე ო ზ ე. და. მათ შორის, შენც.

მ ა რ გ ო. შეიძლება, მაგრამ მე მუდამ უმკაცრეს ვიყავი და ვარ, ახლა კი მომწყინდა ამდენი ერთი და იგივე და ყველა ის მამაკაცი, რომელთაც ჩვენ მოვწონდით, თუ ვუყვარდით, ერთმანეთს დაემსგავსა.

ე კ ა. რა თქმა უნდა, არასოდეს არ ღირდა მათზე ლაპარაკი.

ნ ი ნ ე ლ ი. მაგრამ, მარგო, მაინც გვახსოვს და ვერ ვიციწყებთ.

ე კ ა. ვის ვერ ივიწყებ, იმ გორილას, სადარბაზოში რომ შეგათრია და გაბახება დაგიპირა?!

ნ ი ნ ე ლ ი. იქნება მე ტყუილად შევშინდი და ასე მომეჩვენა.

ე კ ა. მოგეჩვენა, ნეკნები რომ ჩაგიმტვრია?!

ნ ი ნ ე ლ ი. აბა, ნეკნები თუ მთელი შემრჩებოდა, არ მეგონა.

მ ა რ ი ხ ი. ვერაფერს ვერ იტყვი, ძლიერი მამაკაცი ყოფილა. მაგისთანა ვინმე რომ შემხვედროდა, შეიძლება თქვენ აქ ხუთნი ყოფილიყავით და მე ამ სასმისის მაგივრად ხელში ბავშვის საგები მშეროდა.

ნ ი ნ ე ლ ი. ჩუ, გოგო, რანაირი თქმა იცი.

ᲛᲐᲠᲘᲮᲘ. მაგრამ არა, ისიც კარგი მთხლე ყოფილა, შენ როგორ ვერ მოგერია.

ᲔᲙᲐ. როგორც ყველა მამაკაცი.

ᲜᲘᲜᲔᲚᲘ (მარიხს). გაჩუმდი, გოგო, არ გამაგიჟო.

ᲛᲐᲠᲘᲮᲘ. ისე გეტყობა, შენც მართლა გულდაგულ გაქაჩულხარ, ახლა, მართლა თუ ვაიწიე... (პაუზა).

ᲛᲐᲠᲒᲝ (ადგა. ფანჯარასთან მივიდა. ბნელში დათოელილ ხეებს გასცქერის). „საით მივყავარ ჩემს მოწყენილ გზას, სად ვპოვებ შვებას მიუსაფარი“.

ᲘᲐ. მე, როგორც იუბილარი, ვაცხადებ, არ მინდა ჩემს დღეობაზე ვინმე მოწყენილი იყოს, მართლადა, ეს ლაპარაკიც ხომ ათასჯერ მოგვისმენია. (ეკას). თამადა, თქვი რაიმე.

ᲔᲙᲐ. (გამოგონილი რიხით). ეს იმ ქალს გაუმარჯოს... იმ ქალს გაუმარჯოს, ღვერთმა რომ მისთვის არაფერი დაიშურა — ულამაზეს არსებად შექმნა და თავისი ფასი იცის.

ᲜᲘᲜᲔᲚᲘ. ვერ გავიგე, გოგო.

ᲔᲙᲐ. ეს შენ არ გეხება.

ᲛᲐᲠᲒᲝ. არც მე, ნინელი.

ᲟᲝᲖᲔ. ეს ნინელისაც ეხება და მით უმეტეს, შენ რატომ არა.

ᲛᲐᲠᲒᲝ. იმიტომ, რომ მართალია ღვერთმა ჩემთვის არაფერი დაიშურა, მაგრამ ვიცი, ჩემი ფასი მაინც გროშია.

ᲘᲐ. კი, მაგრამ რას ნიშნავს ეს?!

ᲛᲐᲠᲘᲮᲘ. ეს ნიშნავს იმას, რომ მარგომ რასაც მთელი სიცოცხლე და ნიჭი შესწირა...

ᲛᲐᲠᲒᲝ. უბედურება სწორედ ისაა, რომ ის ნიჭი არ გამოდგა.

ᲛᲐᲠᲘᲮᲘ. ᲒᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ რომ ეგონა ნიჭი შესწირა, ამაო გამოდგა...

ᲟᲝᲖᲔ. ახლა პოეტი ყველა არაა, მაგრამ ცხოვრობენ და ბედს არ ემდურიან.

ᲛᲐᲠᲘᲮᲘ. იმათ არც არაფერი შეუწირავთ.

ᲛᲐᲠᲒᲝ. მე მშურს მათი.

ᲔᲙᲐ. ასე რომ ჰკითხოთ, მაგას მიტუასიც შურს. (მიტუას ხსენებაზე აიმრიზება.)

ᲛᲐᲠᲒᲝ. ნამდვილად მშურს, სხვაზე მეტად მიტუასი მშურს.

ᲜᲘᲜᲔᲚᲘ. ჩვენი მასპინძლის?!

ᲘᲐ. მაშინ, მე დღეობას მიხდით კი არა, ბაწარი ჩამოაბით და ჩამომახრჩვეთ.

ნ ი ნ ე ლ ი. ყველა დავღუპულვართ და ისაა.

მ ა რ გ ო. რატომ, მონას მონის და კეისარს კეისრისა. შენ, ნინელი, კარგი და თბილი პედაგოგი ხარ, დედასავით მზრუნველი და მოსიყვარულე, იქნებ გენიოსები ვერ აღზარდო. მაგრამ შენს კალთაში გაზრდილები ავკაცები არ გახდებიან; მარიხი მისას ყოველთვის და ყველგან გაიტანს; ეკა ახლაც ცნობილი მეცნიერია და კიდევ ბევრს გვჩვენებდა; ჟოზე და ია სილამაზით კიდევ ერთსანს იზეიმებენ. მე კი სიყვარული ლექსს შევწირე მეგონა, ლექსი კი...

ჟ ო ზ ე. შენი ლექსები კი არა უარესები იბეჭდება, აჭრელებულია ჟურნალ-გაზეთები.

მ ა რ ი ხ ი. რაც იბეჭდება, ყველა ლექსი კი არაა.

ნ ი ნ ე ლ ი. აბა, რატომ ბეჭდავენ?

ი ა (მარგოს). უნდა მიაკითხო, გენაცვალე... ჰო, მართლა, კი გითხარი; მე ერთ რედაქტორს ვიცნობ, ჩემი თავი გენაცვალოს.

მ ა რ გ ო. მადლობელი ვარ, ჩემო ია, რედაქციის კარებზე თუ ტალახს ავაყენებ, მეც დამიბეჭდავენ, მაგრამ მე ხომ ეს არ მაწუხებს, ლექსი დამაწერინა თუ არა...

ჟ ო ზ ე. ახლა, შენ გენაცვალე, ისეთ რაღაცას მოითხოვ.

ნ ი ნ ე ლ ი. შენი ჭირიმე, მარგო, მე ნამეტანი მომწონს შენი ლექსები.

მ ა რ გ ო. დავაბებოთ თავი, თუ ღმერთი გწამთ, ლექსებს. (ხელს ჩაიქნევს. დუმილი ჩამოწვა.)

ნ ი ნ ე ლ ი. (ამოქნარებს). დავწვები. მაგრამ რა გაათენებს ამ წლისოდენა ღამეს.

ე კ ა. სადღეგრძელო დალიეთ!

ნ ი ნ ე ლ ი. ეგ არც შენ დაგილევია და მე რა დაელიო, როცა არც კი მეხება. (ეკამ მოსვა.)

ჟ ო ზ ე. გამიმარჯოს მე! მადლობელი კარ, ბეგობრებო! (მოსვა.)

ი ა. მადლობას გწირავთ, გოგოლებო! (ისიც მოსვამს.)

მ ა რ ი ხ ი. მე მადლობას ვერ ვიტყვი, მაგრამ დაველევ. (დალევს.)

მ ა რ გ ო (გარეთ იხედება.) „მე ძლიერ მიყვარს ისფერ თოკლის ქალწულებიანთ ხიდიდან ფენა“...

ე კ ა. კი, მაგრამ ეს ლექსიც ხომ გიცით. ახალი რომ გეთქვა...

მ ა რ გ ო. ახალი რომ ვერ ვთქვი... „ისეთი ლექსი დავწერო მინდა, რომ არ დაეჭირდეს კვლავ ლექსის წერა“.

ეკა. ესეც ვიცით.

კელავ დუმილი. ნ ი ნ ე ლ ი ისევ ამთქნარებს. ი ა მ გიტარა აიღო და რაკი არ იცის რა დაუკრას, სიმებს აწვალებს. მ ა რ გ ო ფანჯარას მოსცილდა, გაუბედავად, მაგრამ მაინც ტიხარის კარისაკენ წავიდა. ნ ი ნ ე ლ ი გამოეფხიზლდა.

ი ა. სად მიდის?

ქ ო ზ ე. ამ გოგომ სულ დაკარგა თავმოყვარეობა!

ე კ ა. ის ტუტრუცანა არ მომაყენო, მარგო!

მ ა რ ი ხ ი. ნეტა ერთი თქვენ, მოვიდეს, ახლა ერთი კარგი სისულელეც რამედ ღირს.

მ ა რ გ ო კარზე აკაკუნებს. მეზობელ ოთახში რაღაც გახმაურდა. მ ა რ გ ო ისევ აკაკუნებს. მ ი ტ უ ა ს ხმა: ჰა, შენა?!

მ ა რ გ ო. ბატონო დიმიტრი!

მ ა რ ი ხ ი. ბატონო მიტუა, გოგო!

ნ ი ნ ე ლ ი. უბრალოდ, კაცო, მიტუა ურჩევნია.

მ ი ტ უ ა ს ხ მ ა. მიტუა ვარ, კაცო!

(მარგო ფაიბნა.)

მ ა რ ი ხ ი (მიდის კარისაკენ). ბატონო მიტუა, თუ დრო გაქვთ, ჩვენთან მობრძანდით.

მ ი ტ უ ა ს ხ მ ა (კარს აწვება). როგორა, კაცო, კარი თუ არ გამიღეთ, როგორ!

მ ა რ ი ხ ი (გასაღებს ატრიალებს). ეს ვის გაახსენდა, ასეა: მთელი ჩვენი ცხოვრება გეძახით, მოდით-თქო და კარს კი არ გიღებთ...

შემოდის მიტუა, ე კ ა, გვერდს იბრუნებს, ქ ო ზ ე მაგიდიდან დგება, ი ა ცივად მოიქეფრება.

მ ი ტ უ ა. დრო თუ გაქვსო, კაცო, დრო თუ გაქვსო, ბავშვი რომ დაიძინებს, დრო მაქვს რა, მე შენ გეტყვი და თბილი ლოგინი მელოდება.

ნ ი ნ ე ლ ი (გულუბრყვილოდ). საწყალი...

მ ი ტ უ ა. მერედა, თქვე მამაგანათლებულებო, ეგ რა სუფრა გაგიმართავთ, დრო თუ გაქვსო, კაცო, დრო მაქვს მა, თავში რა ცივ ქვასა ვიხლი.

მ ა რ გ ო (დიდ ჭიქას უსვამს.) სადღეგრძელო გვითხარი, ბატონო.

ქ ო ზ ე. აი, ეს გვეტყვის ახალს და ჯერ უთქმელს!

ი ა. მჭევრმეტყველია, რაღა!

მ ა რ ი ხ ი. აცალეთ, რაა ბოლოს და ბოლოს, რაც უნდა თქვას საინტერესოა.

მ ი ტ უ ა. სადღეგრძელო?

ნ ი ნ ე ლ ი. გვითხარი რამე.

მ ი ტ უ ა. გეტყვით, გაგიმარჯოთ, გაცოცხლოთ და კადღეგრძელოთ! (თვალი მოავლო იქ მყოფთ.) ზოგს, ეტყობა, ჩემი ნათქვამი ჭკუაში არ უჯდება, დავლევ. (ერთი მოსმით სვამს.)

ნ ი ნ ე ლ ი. გეთქვათ, ბატონო.

მ ი ტ უ ა. მიტუა-მეთქი, ქალო!

ნ ი ნ ე ლ ი (უსვამს ჭიქას). მიტუა, ადღეგრძელეთ ჩვენი ია, დღეს მისი დაბადების დღეა.

მ ი ტ უ ა. მაწყენინეთ და ესაა.

ი ა. მე წელი მომემატა, ამას რა ვაწყენინეთ?

მ ა რ გ ო (გამოცოცხლდა). რა გაწყენინეთ, ბატონო?

ნ ი ნ ე ლ ი. მიტუა, უთხარი.

მ ი ტ უ ა. რა და, უნდა გეთქვათ. მეც კაცი ვარ, სტუმარი კიცი და მასპინძლობა... რაღაცას, კაცო... ქართველები არა ვართ?!

მ ა რ ი ხ ი. რას ერჩით, ორაფერი ეშლება.

მ ი ტ უ ა. ახლა კიდევ ამისათვის რომ გისაყვედუროთ, იტყვით, ეს ვინა ყოფილაო. (ჭიქას იღებს. ია.) გადღეგრძელოს, შე თვალო პატიოსანო, შროშანო აყვაკებულო და ბაღო დაუკრეფავო!..

მ ა რ გ ო. შენი პროფესორი და ხელოვნებათმცოდნე გადღეგრძელებდა ასე, არ გინდა!

ნ ი ნ ე ლ ი. რა კარგად ამბობს ეს კაცი. არ კიკვირთ?

ე კ ა. კაცია, რჯულად გასაწყვეტი. ქალი დაანახვე და მუნჯი ოქროპირად გადაიქცევა.

მ ი ტ უ ა. რათა გასაწყვეტი, თუ მართალი გნებავთ არა, მაშინ ისევ თქვენა ყოფილხართ... ჯადო თქვენა გქონიათ და თილისმა, მე, კაცო, თიხის ერთი გამოწწვარი ქვევრი ვარ, რა ცეცხლსა და მდუღარეს ჩამასხამთ, ისას ამოვათუხთუხებ. მე რა, კაცო, ერთი უბირი ადამის შვილი ვარ, ორი ანბანი ძლივს ვიცი, კამეჩს ანგელოზის ფრთებს ვერ გამოვაბამ, მაგრამ არც ანგელოზისთვის ფრთა არ მომიტეხია. ვაგიმარჯოს შენცა და შენს მებაღესაცა,

შენცა და შენს მეალოესაცა, შენცა და... შენა ხომ ოქრო ხარ არა, შენცა და შენს ოქრომჭედელსაცა!

შ ა რ გ ო (ტაში შემოაკრა). ღმერთმა გაცოცხლოს! (სკამი დაუდგა.) დაბრძანდით.

ნ ი ნ ე ლ ი. გაიხარე, მიტუა, რა კარგად თქვი. დალიე, შეგარგოს!

მ ი ტ უ ა (სვამს). თუ თქვენი ნება იქნება, ერთსა კიდევ გეტყვით, ჭკვიან კაცსა უთქვამს, ბრძენსა: შეირთავ ინანებ, და არ შეირთავ, ინანებო.

ე კ ა. კი, მაგრამ ხომ არ ინებებს ის თქვენი ბრძენი და ლაყბობას ცოტას ხომ არ მოუკლებს?

შ ა რ ი ხ ი. მოიცა, ეკა!

ნ ი ნ ე ლ ი. აცალე, თქვას, ცუდად ხომ არაფერს ამბობს.

მ ი ტ უ ა. რატომა სთქვა იცით? ვითომაო ეგ ხომ ჩვენც ვიცითო, ის ბრძენიც ვიცითო. კი, შე მამაგანათლებულო, თუ იცი შენ იცი, აბა მე რა თავში ლოდის ცემა ვიცი, მაგრამა მე ის მინდოდა მეთქვა, შეირთავ არ ინანებ, არ შეირთავ და ინანებ.

ქ ო ზ ე. მეოცე საუკუნის დიოგენი!

ს ი ტ უ ა. მოიცა, კაცო, კარგი, მაშინ როგორც არი, ისე იყოს, თქვენს სიტყვაზედა იყოს.

ი ა. კი, მაგრამ ჩემი ნათქვამია, რომ ჩემს სიტყვაზე იყოს?!

ნ ი ნ ე ლ ი. ნუ დააბნევთ, საწყალი კაცია.

მ ა რ გ ო. აცალე, ნინელი, ეგ არ დაიბნევა.

ნ ი ნ ე ლ ი. ვითომ ამდენი გაეგება?

მ ი ტ უ ა. მე რა გამეგება, თქვე მაძმაგანათლებულებო, მაგრამ აი, როგორც იმ ბრძენმა თქვა... როგორაო?

ნ ი ნ ე ლ ი. შეირთავ...

მ ა რ გ ო. აცალე, ნინელი!

მ ი ტ უ ა. ჰო, შეირთავ ინანებ, არ შეირთავ და მაინც ინანებო. თუ მაინცდამაინც უნდა ინანო, კაცო, ადექი და შეირთე. ბარემ შერთვა არა სჯობია!

ე კ ა. ვითომ რატომ, ბატონო ბრძენთა ბრძენო?!

მ ი ტ უ ა. რატომ და ხომ მაინც უნდა ინანო არა, შენცა ადექი და შეირთე.

ქ ო ზ ე. თუ მაინც უნდა ვინანო?

ი ა. მაშინ რაღასთვის უნდა ავიტკიო თავი?

მ ი ტ უ ა. თავი ავიტკიოო! თავის ატკივება კი არა, როგორ ვერ გა-

მიგეთ, თქვე ფრესკის ანგელოზებო, რაკი მაინცდამაინც უნდა ინანო, არა? შენც შეირთე... იმდენ თაფლსა და ბადაგსა, იმდენ... იმდენ ციურ მანანას და ედემის ბალს მაინც გამორჩები, ადამიანო! თქვენისთანა მეცნიერი ხალხი ამბობს, ღმერთი არ არის, საიქიო არ არიო, იქაურობის იმედი ტყუილა ნუ გექნებათო და აღარც აქ გინდათ ნახოთ სამოთხე!

მ ა რ ი ხ ი. ეს კაცი პატიოსანია, არ მოინდომებს თორემ, რომ იკადროს, ექვსიევს გვაცდუნებს. (იცინის, იცინიან ზოგიერთებიც.)

ნ ი ნ ე ლ ი. მენ დაიღუპე. მარიხ, როგორი თქმა იცი!

მ ა რ გ ო. მე თუ ოდესმე აქეთ ვქენი პირი, ბინა საძებარი არ მექნება.

მ ი ტ უ ა. ტყუილია, რო?!

ე ქ ა. თქვენ მაგას სულ გადარეეთ.

მ ა რ ი ხ ი. ჩვენ არ გადაგვრეედეს, თუ არა...

მ ა რ გ ო (უსხამს ისევ ღვინოს). ბატონო მიტუა, ახლა აი, ის გოგო დალოცე (ეკაზე ანიშნებს.) თამადაა და თქვენ არ გიდღეგრძელებიათ.

ე ქ ა. ეს გოგო რამ ააცუნდრუკა?

ჟ ო ზ ე. თავმოყვარეობა რა უყავი, მარგო?

ნ ი ნ ე ლ ი (ხვეწნით). აცალეთ, რა იქნება.

მ ა რ ი ხ ი. უნდა თქვას, ანა, რისთვის მოვიწვიეთ.

მ ი ტ უ ა (ეკას). შენა... თქვენა, ჭკუა ჩემგან კი არა, ბრძენთა ბრძენისგან არ გესწავლებათ, ღმერთს მოეცია თავზე საყრელადა. ჭკუა თვალ-მარგალიტია, ზურმუხტია, ლალია, ფირუზია და ყველაფერი ეს ხომ ნანატრია ქალის სამკაულადა; ქალისა-თქო. მე ვამბობ, კაცო, და ღმერთო ჩემო, კურთხეული ცოლის გზას გამიყენე, თუ ქალებზე სულს არ ვლევდე; თუ ქალი... უწინამც მიტუას არ ეხილოს მზის სიკილი... ჰო, ქალისთვის ხომ ნანატრია სამკაულადა, მაგრამ აქლემის ტვირთი და საპალნე ცოდოა ნაზ, ხელისგულზე სატარებელ ქალისთვინა. ქალის ხელითა არ დამხუჭოდეს თვალები სიკვდილს წინა და ქალის ცრემლი არ მღირსებოდეს, ისე მოვეთიბო მიქელ-გაბრიელსა, ქალისთვის აქლემის საპალნე თვალ-მარგალიტი მეტისმეტია. მეტისმეტია, ისე ქალის სიყვარულში შველა ჰქონდეს მიტუასა. იცოცხლე! (სვამს.)

მ ა რ ი ხ ი. შენც იცოცხლე!

მ ა რ გ ო. ღმერთი გადღეგრძელებს!

ნ ი ნ ე ლ ი. როგორ ამბობს ეს კასახარელი, როგორ ამბობს, კოგოებო!

მ ი ტ უ ა (ცოქა დადგა, ნინელიმ მაშინვე აუვსო). მე რომ მიმაყენეთ და მასმევთ რაო, მშიერ-მწყურვალი მნახეთ?!

ბ ა რ გ ო. როგორ გეკადრებათ!

ბ ა რ ი ხ ი. შემოსწრებული კაცი ასეა, ქართველები არა ვართ? (მხარზე ხელს დაკრავს.)

მ ი ტ უ ა. დაილოცა ჩვენი გამჩენი, ქართველები ვართ, მაშა!

ე კ ა. ჰოდა, ქართველო, ახლა ეს გოგო (მარიხზე.) გვიდღეგრძელე.

ბ ა რ ი ხ ი. დიდი სიამოვნებით, მადღეგრძელოს, მართალ სიტყვას მონატრებული ვარ, ახლა მაინც გავიგონებ.

ნ ი ნ ე ლ ი. შენი ჭირიმე, მიტუა, უთხარი რა!

მ ი ტ უ ა (ვინაღამ გული შეეღონდა). კაცო!

მ ა რ ი ხ ი. რა იყო, მიტუა?

მ ა რ გ ო. რა დაგეშართათ?

მ ი ტ უ ა (ნინელიზე). კაცო, „შენი ჭირიმეო" აგრე არ მითხრა? თქვენი ჭირიც მიტუასა და თქვენი დარდიცა!

ე კ ა (მარგოს შეხედა, მერე ყველას მოაელო თვალი). ამდენი დარდი შენთვისაც სახედრის ხაპალნე არ იქნება?

მ ი ტ უ ა. იქნება, განა არ ვიცი, რო ადამიანის დარდი ვირის საპალნეზე მძიმეა, მაგრამ მე მიტუა ვარ, კაცო... ჰოდა, იმას ვამბობდი... (ნინელის.) რა უნდა მეთქვა?

ნ ი ნ ე ლ ი. მარიხის სადღეგრძელო უნდა გეთქვა.

მ ი ტ უ ა „შენი ჭირიმეო" არა...

ნ ი ნ ე ლ ი. წამომცდა, ბოდიში ბატონო!

მ ი ტ უ ა. ა, ეგ ალარ მითხრა, განა გულით არა თქვი?

ნ ი ნ ე ლ ი. რა ვიცი... როგორ ვთქვი, გოგოებო?

მ ა რ გ ო. გულით თქვა, ბატონო, გულით.

მ ა რ ი ხ ი. არაა ისეთი გოგო... ნინელი გულწრფელია.

მ ი ტ უ ა. ჰოდა, მეც აგრე მგონია. მე, კაცო, რასაცა ვამბობ არა? გულითა, ამ სატიალე გულსა თქვენი დანახვით ძგერა არ მომატებოდეს, თუ გულით არა!

მ ა რ გ ო. დაუგდეთ ყური, რას ამბობს.

ი ა. ახლა შენსავით პირში ხომ არ ჩავუქერებით.

ჟ ო ზ ე. თავმოყვარეობის საქმეა, ბოლოს და ბოლოს, მეტი რომ არაფერი.

მ ა რ ი ხ ი. ჯანჯალი კაცი რომ არა ხარ, რაღა ჩემს სადღეგრძელოზე მიედ-მოედე.

მ ი ტ უ ა. გადაკუხვიე! არა, კაცო, გულითა-მეთქი, სიმართლითა-მეთქი... ჰოდა, ეს გადახვევაა? ის ღმერთი ხომ კაცის გულსა ჟანგისაგან აცხობს...

ნ ი ნ ე ლ ი (შეწუხებული). როგორ, რომ ვერ გავიგე?

მ ი ტ უ ა. „შენი ჭირიმეო“ არა... ჰო, როგორა იცი? დარდისა, ბოღმისა და შურის ჟანგისაგან აცხობს (მარიხზე.) ესა კიდევ აი, ამის გული ხომ... ვაჰ, ღმერთო, შენც გადაკრულში ხომ არ იყავი, რომ აგიღია და სულ ბაჯაღლო ოქროთი ჩამოგისხამს.

ნ ი ნ ე ლ ი. მართლა შენი ჭირიმე, მიტუა!

მ ი ტ უ ა. ეგეც შენს მიტუასა. „მართლაო“.. ჰო, მაგრამ (მარიხს.) მძიმეა, კაცო, ოქროს გულსა ისევ ვირის საპალნე სჯობია...

მ ა რ გ ო. მეტი არაფერი თქვათ. ჩემო ბატონო.

ნ ი ნ ე ლ ი. ეთქვა, მარგო, რატომ არ აცალე?

მ ი ტ უ ა. „მართლაო“, კაცო... თუ რაიმე მართლა უნდა ეთქვა, შენზეღა უნდა ეთქვა, „მართლაო“, ასე არა თქვი?

ნ ი ნ ე ლ ი. ეთქვი და კიდევ ეიტყვი.

მ ი ტ უ ა. ჰოდა, რომ იტყვი არა, მეც შენი ჭირიმე! (სვამს, სიცილია.)

მ ა რ ი ხ ი. ხუმრობა ხუმრობისთვის იყოს და აქ საქმე სხვაგვარად მიდის.

ი ა. მე ეს მაშინვე ეთქვი. როგორც კი აქ ფეხი შემოედგი.

ქ ო ზ ე. გაკეთდა ჩვენი საქმე.

მ ა რ გ ო (ისევ ავსებს ჭიქას). თქვენისთანა ჯანიანი ბაბაკაცისათვის ხუთი და ექვსი ჭიქა არაფერია. აი, (ქოზეზე.) ის ძალიან ლამაზი ქალი გეიღღეგრძელე.

მ ი ტ უ ა. ეგ ხომ ვადღეგრძელე პირველადა.

ნ ი ნ ე ლ ი. ის ია იყო, გეშლება.

მ ი ტ უ ა. შენა, კაცო, როგორ ჩემი ცოლივითა ხარ, ხან „შენი ჭირიმე“ და ხან „ვეშლება“ და არაფერი გეყურებაო. (იაზე.) ეს ხომ ეთქვი არა? (ქოზეზე.) ისიც ისა, როგორც ესა.

ქ ო ზ ე. სულ დაკარგეს ჭკუა. (თავის საწოლისაკენ მიდის.)

ნ ი ნ ე ლ ი. რატომ აწყენინე, რომ გეთქვა რამე რა იქნებოდა.

მ ი ტ უ ა. კაცო, ეთქვი და ისაა...

ნ ი ნ ე ლ ი. მაშინ ასე მარგოზეც იტყვი, „ესეც ისა, როგორც ისაო“.

მ ი ტ უ ა. რათა, კაცო, ესეც ხომ „ისა“ არაა...

ნ ი ნ ე ლ ი. ეგ კარგად ადღეგრძელე, შენ ძალიან პატივს გცემს, ამაღამაც ბაგან მოგიწვია.

მ ი ტ უ ა. მერე მე რა, მე რა სამეფო კაცი მნახეთ რო, ჩემი პატივისცემა დაუფასდეს.

ნ ი ნ ე ლ ი. მეტი თუ არაფერი შეგიძლია, კარგი სიტყვა უთხარი.

მ ი ტ უ ა. მე აკი ვთქვი, უბირი კაცი ვარ, კამეჩს ანგელოზის ფრთებს ვერ გამოვაბამ-თქო.

ნ ი ნ ე ლ ი (ნაწყენი). ვარკოზე ამბობ ეაგას?

მ ი ტ უ ა. შენ, ჩემი დედაკაცისნაირო, მე ხომ საერთოთა ვთქვი. ვინ რაცაა ისაა-მეთქი.

მ ა რ გ ო. ნინელი ადღეგრძელე, ბატონო მიტუა, ნინელი.

მ ი ტ უ ა. ამას?.. ამას ბოლოითვინა ვინახავ.

მ ა რ ი ხ ი. ნინელის ბედის კვერი ცხვა, ცხვა და ხედავთ სად გამოცხვა?

ნ ი ნ ე ლ ი. ჩუ, გოგო, მაგას მართალი ეგონება.

მ ი ტ უ ა. რათ არა, რა!..

ი ა. აი, ხომ გესმით?

ე კ ა. მაგას თუ აყევით...

მ ა რ გ ო. აბა, ვის ავყვეთ, რატომ არ უნდა ავყვეთ?

ვ ო ზ ე. თავმოყვარეობა მაინც არა გაქვთ?

ე კ ა. თქვენი ნებაა, თუ გინდათ, ლოგინიც გაუთბეთ!

ნ ი ნ ე ლ ი. ეკა, შენი ჭირიმე, რა სათქმელია ახლა ეგ?!

მ ი ტ უ ა. შენ, „შენი ჭირიმესა" აგრე ნუ არიგებ.

ი ა. ღმერთო, სული ამომაძვრე, ეჭვიანობს.

მ ა რ ი ხ ი. ეჭვი სიყვარულის მტედელია.

მ ა რ გ ო. სიყვარული კი არასდროს არაა გვიან.

ნ ი ნ ე ლ ი (მიტუას). თქვი თუ ამბობ და მოათავე, ნუ გადარიე ეს ხალხი.

მ ი ტ უ ა. ვიტყვი, კაცო, ვიტყვი და წავალ... ახლა მართლა რა...(მარგოს). შენც გაგიმარჯოს. შენცა ვთქვი?! შენ გაგიმარჯოს აი... ჰო, ახლა რომ გარეთა ფიფქავს არა? ჰო, თოკს, თოვლი ზევიდან ცვივა... ზეციდან ვარდება, ვარდება და შენ გესმის! გესმის და ამბობ: ფიფქი დაეცა და სტკივაო. კიდევ ისა... ისა რომ თოვლი უბედურ მიტუას თეთრი ყინვა ჰგონია, შენ კი არა...

მ ა რ გ ო. მადლობელი ვარ!.. (მიტუა სვამს.)

მ ა რ ი ხ ი. ჩათვალეთ, რომ მე უკვე შეყვარებული ვარ.

ნ ი ნ ე ლ ი. მე ნუ მადღეგრძელებ, მიტუა, უკვე დასვენება გვინდა...

მ ი ტ უ ა. შენ, ჩემი სულგანათლებული ცოლისნაირო, ყველასი ვთქვი და შენი რომ არა, აქაო და... უთქმელს ათას კუდს გამოაბამენ, ნათქვამს რა კუდიც არ უნდა ექნეს, მაინც ერთი კუდი ექნება, „მართლა შენი ჭირიმეო" არა?.. მეც მართლა შენი ჭირიმე!

ი ა. ე, ბატონო!

მ ა რ გ ო. აცალე, დაამთავროს.

მ ი ტ უ ა. რათაო, იკითხავთ, მე შენზე, სხვაზე მეტი გეზი მაქვს.

ნ ი ნ ე ლ ი (შეწუხებული). რა უნდა ჩემგან?!

ბ ა რ ი ხ ი. ყური უგდე და გეტყვის.

მ ი ტ უ ა. რათა და სიალალითა, კაცო. ცხოვრება ვირის საპალნეა. მე ამ საპალნესა ხან აღმა მივათრევ, ხან დაღმა, ხან ტალახში ვეფლობი, ხანაც შარაზე მივთოხარიკობ, ხანაც, რომ გამიჭირდა, არა? ჩოქიც ვქენი, ხანაც, ზურგი რომ გადამეღლიტა, ჩრდილიც ვიჩრდილე. ჩემი ნაოფლარი რომ სხვამ მოძოვა და კუჭი გამიხმა, ავდექი და სხვისი ბოსტნის ღობესთან რომ მაღალი ბალახი დავინახე, პირი გადავუწიე და შენ რომ ჩემი ხარ არა, ყოველთვის თუ კრიჭაში ჩამიდექი, ისედაც მწარე წუთისოფელსა სულ გამიმწარებ. შენი გულალალობითა არა, მე რომ მიტუა ვარ, წელმოთრეული ჩრდილში ვისვენებ. შენ უდაბნოდ მოგაჩვენებ. არც შენ გაგიხეთქავ გულსა და მეც ჩემს დღესა და ღამეს სიამტკბილობით გავათრევ. გაგიმარჯოს! შენთან ერთად კიდევ მეცა! მეცა... (გულზე ხელი დაიდო.) მიტუასაცა... გაუმარჯოს მიტუასაცა... (ნინელის გადახედა, მერე ჰერს შეაჩერდა). ღმერთო, შენ აუხდინე ახლანდელი ფიქრები მიტუასა!.. (სვამს.)

ნ ი ნ ე ლ ი (შეშფოთებული.) რაღა ჩემთან იდღეგრძელე თავი?

მ ი ტ უ ა. კაცო, დასვენება გვინდაო, ასე არა თქვი? მე კიდევ, რაკი აგრეა, მოდი ერთად ვიყოთ-თქო! (სვამს. აღარავინ ხმას არ იღებს. მიტუა კარისაკენ მიდის).

ბ ა რ ი ხ ი. გამოდის, რომ ჩვენს თავს მაინც ნინელი გირჩევნია.

ე კ ა. ვგონი მიდის და აღარ მოეშვათ ახლა.

მ ა რ გ ო. მაინც გული დაგვწყვიტე, ბატონო მიტუა.

მ ი ტ უ ა (კართან შეჩერდა). აბა რა გითხრათ იცი? ყველა ხომ თავისთვინა, მეც ჩემთვინა... ახლა სომ გარეთა ბნელა არა, და ვარსკვლავები ჩანჩახებს, (მარგო ფანჯარასთან მიდის.) რა სჯობია მათ ყურებასა, მაგრამა ხელი რომ არ მიმიწვდება, ამიტომ ხომ არ უნდა

თქვათ: მიტუა თვალში ვერ იხედებაო, კაცო, ხელი არ მიმიწ-ვდება. თორემა... (ქარი გამოაღო.) დიდი მადლობა თქვენა და თქვენი ჭირი თქვენი დარდით ძილკატეხილ მიტუასა. (ვაღის.)

სურათი მესამე

ოკეანე დეკორაცია. ფანჯრებიდან ღილის ირიბი მზის სხივები შემოდის. ნაკოქეტრაზე და ღუმელზე ჩაიდნები დგას. ვინ ჩაის სვამს, ვინ სათხილამურო, ჭრელ სვიტერს იცვამს, ვინ ფეხსაცმლის თასმებს იბნევს. ნინელი ოთახს გვის, იამ თხილამურები მხარზე გადაიდო, მზადაა წასასვლელად.

მარიხი. თოფვით რომ გადაგიდვია მაგ თხილამურები და ჯარისკაცივით გაჭიმულხარ, ჯერ იცი, რომ დარჩენა არ მოგიწევს?

ია. კენჭი მაინცდამაინც მე როგორ შემხვდება?

ეკა. მაშინ, მაინცდამაინც მე შემხვდება?

ჟოზე. რატომ გგონიათ თქვენ არა და მე შემხვდება?

გარედან მოისმის ფიცარზე ლურსმნის მიჭედების ხმა, მერე შეჩერდა. მიტუას ხმა: გოგოებო! ჰა, გოგოებო!

ეკა. უყურეთ, როგორ სახალხოდ გამოდგა და იძახის: (აჯავრებს.) გოგოებო, ჰა, გოგოებო!

ია. რას ჰგავს ეს, როგორ შეიძლებოდა ამ ტუტტლიანთან თავის გაყადრება?!

ჟოზე (ფანჯარას ეცა, გამოაღო). კი, მაგრამ თქვენ რომელი გოგოები გყავთ აქ და რა გინდათ?!

მიტუას ხმა. დილა მშვიდობისა, მზეო ზამთრისავ!

ჟოზე. პირდაპირ, არ შემიძლია, ქვეყანას ესმის! (მარგო სწენად იცა.) ეს ზამთრის მზე რაღა იყო?!

მიტუას ხმა. ანათებ და არ ათბობ, კაცო!

ჟოზე (აღშფოთებულმა ფანჯარა მიახეთქა). რა არის ეს, როგორ გაათამამეთ და ააგდებინეთ თავი ამ ტუტრუცანას! გაიგონეთ, არ მათბობო, ეს ვათბო, ახლა, მე?! მე აქ გაჩერება აღარ შემიძლია!

მარიხი (ფანჯარას მიადგა). თუ რამე გნებავთ, მობრძანდით და აქ გვითხარით, მართლადა, რომ გამომდგარხართ და გვეძახით, ჩვენ საბავშვო ბაღის გოგოები კი არა ვართ.

ია (ისიც ფანჯარას მიეარდება). რას არ ათბობო, ვის არ ათბობო, როგორ ბედავ?! (მიაძახა და ფანჯარას მოსცილდა.)

ნ ი ტ უ ა (ფანჯარას მოადგება). რა ვიცი, კაცო, იმ გონებადალოცვილმა არა თქვა: ვარდსა და ნეხვსა ყოველთა, მზე სწორად მოეფინებისო?

ე ო ზ ე. „ნეხვი!"

მ ი ტ უ ა. ვარდსა და ნეხვსაო...

ე ო ზ ე. აპიატ „ნეხვი!"

მ ა რ ი ხ ი. მერე, მერე?

მ ი ტ უ ა. მერედა, თქვენი კარგად ყოფნა, სხვა რაი, მაგრამ ჭზე თუ ხარ, არა? ყველას უნდა ერგოს შენი ხსიენები-ბეთქი, კაცო.

ე კ ა (მიტუას ტონში). ჭკუა დალოცვილო, თავიდან რომ დაიძახე გოგოებოო! ეს გინდოდა გეთქვა?

ბ ი ტ უ ა. არა, კაცო, მე ხომ არ ვიცოდი ვინ გადმოიხედავდა, მე ისა... ეს ფიცრული ღობეა ჩანგრეული და ამეჭედა მინდოდა. ეთქვი, ხომ არა წვანან, ანგელოზებს ძილი არ დაეფრთხო-მეთქი. მე ხომ მოკრძალებითა, კაცო, მოწიწებითა. (ფანჯარას შორდება.)

ი ა (თხილამურებს ხელი წამოავლო). მე, ვინდა კენჭის ყრით მერგოს, გინდა სასამართლოს ძალით, აქ მარტო დარჩენა მაინც არ შემძლია. (გარბის.)

ე ო ზ ე. აქ ის დარჩეს, ვისაც მაგ ტუტრუცანასთან მასლაათი სიამოვნებს! (გარედან ისმის ფიცრებზე ლურსმნის დაკედების ხმა.) ან ახლავე გადავიდეთ სადმე წესიერ ოჯახში, ზრდილობიან ხალხთან.

მ ა რ ი ხ ი. შენ ეთხე, წასვლა გინდა და წადი.

ხ ი ნ ე ლ ი. წადით, ყველანი წადით, სადილს მე მოვამზადებ. იმ დაწყევლილ თხილამურებზე დგომა მაინც ვერ ვისწავლე. არაფრის ნიჭი და ჭკუა ღმერთმა მე არ მომცა. (ეზოს გადის.)

მ ა რ გ ო. ეს რა უსამართლობაა!

მ ა რ ი ხ ი. შენ რაო, დიდი თავი გაქვსო თუ რატომ?!

ნ ი ნ ე ლ ი. დიდი თავი კი არა, არაფრის თავი რომ არა მაქვს, იმიტომ. სადილს კი თქვენზე უკეთესს გავაკეთებ. გუშინ რომ არ დამაყენეთ და წამიყვანეთ, რა ცამოვიდა, თქვენც გაგაწვალეთ და მეც ვავწვალდი, მოვედით და მერე ყველამ ვაკეთეთ კერძი. აღარც მოხარშვა ვაცალეთ და აღარც შეკმაზვა. წადით, (გარედან ისმის მიჰედების ხმა.) მაგრამ ხანდახან შემოიხედეთ, მართლა...

ე კ ა (თხილამურები აიღო). რა, გეშინია?! სულელი ნუ ხარ, ძაღლადაც არ ჩააგდო და ამ არემარეზე სულ არ გამოივლის. მამაკაცი, რა რეგვენიც არ უნდა იყოს, მაინც პატივმოყვარეა. (გადის.)

მ ა რ ი ხ ი. მაშინ დღეს შენ დარჩი, ხვალ ჩვენ აქ არა ვართ? (თხილა-ჩერები მიაქვს და მიდის.)

ნ ი ნ ე ლ ი. მარგო, შენც წადი, რას უცდი, შენ ხომ ძალიან გსიამოვნებს ამ მთვლელისა და ტყეების ცქერა. მე, ღმერთგამწყრალი, ვერაფერს ვხედავ თოვლისა და ხეების მეტს თორემ... შენ ხომ ბედნიერი ხარ, როცა გაუუჩენელ ბუნებაში მარტო ხარ. გუშინ მე არ მოვეშვი, ყველგან კუდში გდიე და ყველაფერი ჩაგამწარე. წადი, მარგო, გაიარე. ვიცი, იქაც მოწყენილი იქნები, მაგრამ მაინც, შენ რომ გინდა, ისე იქნები.

მ ა რ გ ო. დავრჩები, წყალს მოგატანინებ, მოგეხმარები, თანაც მარტო მოგეწყინება.

ნ ი ნ ე ლ ი. არა, გოგო, რა მომაწყენს, ხომ იცი, მე ბედნიერი იმით ვარ, თუ რაღაცას ვაკეთებ და ვიღაცას ვჭირდები.

მ ა რ გ ო. ნინელი, შენ ოჯახისთვის ხარ გაჩენილი. შენ ხუთი შვილი მაინც უნდა გყოლოდა.

ნ ი ნ ე ლ ი. ეჰ, შენი ჭირიმე, ხუთი კი არა, ერთი ყოფილიყო... მარგო, რა გითხრა იცი? (ვარეთ ისევ ისმის რახუნი.) გოგოებთან ნუ გამამხელ. ამის ნებას არ მომცემენ, თორემ, ბავშვი მინდა ვიშვილო. შენ არ გიფიქრია, მარგო, ამაზე?

მ ა რ გ ო. კარგია ბავშვი, ნინელი...

ნ ი ნ ე ლ ი (თვალები უბრწყინდება). ბავშვის ფასი რაა, ბავშვი სიცოცხლეა...

მ ა რ გ ო. მაგრამ ის დედაც ხომ ცოდვაა, ვინც მართლა დედაა. როგორ არ მიფიქრია, ჰაგრამ მგონია ვიღაცას დიდ ბედნიერებას წავართმევ.

ნ ი ნ ე ლ ი (იმედი დაკარგა). ჰო, გოგო! რა ვიცი... მე უბედური, ვითომ, მასწავლებელი ვარ და ხულ ბავშვებთან ვტრიალებ, მაგრამ იქნებ ამის ბრალიცაა, რომ თქვენზე მეტად მაწუხებს უშვილობა, თუ როგორ... აი, ვერ ვამბობ.

მ ა რ გ ო. შენ იმ მშიერს ჰგავხარ, რომელსაც წინ ნაირ-ნაირი კერძები დაუდვეს და ჭამის ნება კი არა აქვს.

ნ ი ნ ე ლ ი. ჰო, მე თქვენზე უფრო გაღიზიანებული ვარ... ჩემს ძმისშვილებსაც თავზე ველევი, თან ვყვები, მაგრამ ჩემს ალერსს, მაინც დედამისის გაწყრომა ურჩევნიათ. (გარეთ მიტუა აპედებს და აპედებს.) წადი, მარგო, გენაცვალე, გაიარე, მე რა, ამ ოთახს ვერ დავალაგებ და ერთ სადილს ვერ გავაკეთებ? ეს კაცი კი მაში-

ნებს, მაგრამ რა მოხდა, ბოლოს და ბოლოს, ხომ ვერ შეეჭამს, ხომ ნახე რა კარგი ბიჭი ჰყავს?! მოუკლელია, შეილო, ედედობა ნამეტანი ძნელია, მინდოდა გუშინ რადაცა მაინც გამერეცხა. მაგრამ გოგოების მეშინია, ხომ იცი რა ამბავს დაიწყებენ. მე კი ტყე-ღრეში წოწიალს რეცხვა მირჩევნია. ამას შენ გეუბნები, ხსვების მერიდება. ის კი არადა, გუშინ რომ დაებრუნდით, ბაღში ეზოში იდგა, როგორი თვალით გვიყურებდა, დედას დანაღრეულია, გული ჩამწყდა. ვერც კი მოვეფერე სერიოზულად. მე მგონია გოგოები ამაზე უარს არ იტყვიან, ფული შეეგროვოთ და რამე ვუყიდოთ.

მარგო. ამის უარს ვინ იტყვის, ბაგრამ ეხერხული არ იქნებ, მამამისს ჰკითხე.

ნინელი. ვკითხავ, მაგრამ რა ვიცი როგორი კაცია, ხომ იცი, მე მავათი მეშინია.

მარგო. რა აქვს ხაშიში, ერთი მართალი კაცია, არც უჭკეთია.

ნინელი. ეშმაკი არაა?

მარგო. ეშმაკობაც ჰკუაა.

ნინელი (სათლს ხელი წამოავლო). წადი, შენი ქირინე, წყაროამდე მეც წამოგყვები.

მარგო (სათლს ართმევს). წყალს მაინც მოვატანინებ. შენ ხომ ჩაცმული ხარ.

ნინელი. უი, ღმერთო მომკალი, ახლავე გადავიცვამ.

მარგო. მერე ისევ უნდა გამოიცვალო. მე ვერ მოვიტან წყალს?! (გადის.)

ნინელი. შენ გაიხარე, მარგო, რა გული გაქვს. სხვისთვის რა თბილი და იმედი ხარ და შენთვის რა უბედური. რა მეშველებოდა ჩვენს გოგოებში შენ რომ არ მყავდე. ეკა ჭკვიანია, მაგრამ რა ვუყო, რომ ნამეტანი ცივია, ვერასოდეს მასთან გათბოვებაზე და მამაკაცზე სიტყვას ვერ ახსენებ, მარიხს ოქრო გული აქვს, გეტყვის, მართალი ხარო, მაგრამ მასთან ვერ იწუწუნებ, წუწუნს რა მოაქვს, მაგრამ ეს ოხერი გული რომ გიტირის რა ჯანდაბა გაგაცინებს... (თან იქაურობას აღაგებს ძალიან მზრუნველად და. კარგი დიასახლისის გულისყურით.)

(რაც მარგო გავიდა, ხმაური შეწყდა. ახლა გარედან ფეხების ბერტყვის ბრახუნი მოისმა და მერე კაკუნი. ნინელის ყურადღებაც არ მიუქცევია) მოდი, მარგო! (კარს ღრიჭოდ შემოაღებს მიტუა.)

მ ი ტ უ ა. შენ, გოგო, სხვა არა გევონო, მიტუა ვარ!

ნ ი ნ ე ლ ი. მობრძანდი!.. (მერე გადათქვა.) რა კნებავთ?!

მ ი ტ უ ა. შენი სიკეთე, აგერ ა, წყალი მოვიტანე (შემოაქვს წყლით სავსე სათლი.) წყალზე რომ ის გოგო გაგიშვია, ისა კიდევ სულ ცას ბიშტერებია და წინ თუ არ დაიხედე, ამ მოლიპულ გზაზედა, წყალსა და პურს როგორ მოიტან.

ნ ი ნ ე ლ ი. თვითონ არ დაიშალა, თორემ მე მოვიტანდი.

მ ი ტ უ ა (დგას კართან სათლით). ან შენ, რათა, მე ვერ დამიძახებ?

ნ ი ნ ე ლ ი. მადლობელი ვარ, ბატონო.

მ ი ტ უ ა. მიტუა, გოგო, არ იცი რო.

ნ ი ნ ე ლ ი. მადლობელი ვარ, მიტუა.

მ ი ტ უ ა. აგრე თქვი, მაგრამ მადლობა რათა... თუ სიმართლე გინდა, არა, მადლობელი მე თვითონა დავირჩები... მართლა შენი ჭირიმეო, არა?

ნ ი ნ ე ლ ი. კეთილი გული გქონია, მიტუა.

მ ი ტ უ ა. შე მართლა ალალო და გულსაწყალო, შენ სხვისი სიკეთე გიკვირს, რო?..

ნ ი ნ ე ლ ი. ვის რა გავუკეთე თორემ, გულით, ღმერთმა იცოდეს, ყველასათვის კარგი მსურს.

მ ი ტ უ ა. რა ვიცი, ბავშვი გემადლიერება, ის გასახარელი.

ნ ი ნ ე ლ ი. ნეტავ რისთვის, ხეირიანად ვერც კი მოვეფერე.

მ ი ტ უ ა. მამაგანათლებულო, თუ ხეირიანად არც კი მოჰფერებიხარ და მისი გული ასე მოინადირე, კაცო, აი, გულს რომ მოიჯერებ არა? მაშინ ხომ შენს მზეს სულ საფიცრადა გაიხდის.

ნ ი ნ ე ლ ი. რა გული უნდა ვიჯერო, თუ არა კი. მისთვის მე ერთი ვინმე ვიგინდარა ვარ.

მ ი ტ უ ა. რათა ვიგინდარა და გადამთიელი. ადამიანი ადამიანისთვინა ვიგინდარა და გადამთიელია?!

ნ ი ნ ე ლ ი. აბა, ჩემი შვილია თუ...

მ ი ტ უ ა. რათ არა რა, „მართლა შენი ჭირიმეო“, არა?

ნ ი ნ ე ლ ი. კარგი, შენი ჭირიმე, რაღაცა სიტყვას მოჰყვა, ვთქვი, რა მოხდა?

მ ი ტ უ ა. ისევ „შენი ჭირიმეო“, კაცო, და სიტყვას მოჰყვაო.

ნ ი ნ ე ლ ი (დაიბნა). ისევ ვთქვი?!

მიტუა. შენ კი არა, შენ კი არა, კაცო, გულმა თქვა, გულმა. მაგ ჩვენი მადლით გასახარელმა გულმა.

ნინელი. გულით მე არავინ მძულს.

მიტუა. მაგ გულშიაც გენაცვალოს მიტუა და მაგ ჰალალ სულშიაც!

ნინელი. კარგი, თუ ღმერთი გწყალობს, რა საჭიროა ასეთი ლაპარაკი, მე, შენ, „ისეთი ვინმე" ხომ არ გგონივარ!

მიტუა (გაკვირდა). რაო, რა თქვა: „ისეთი ვინმე ხომ არ გგონივარო". აბა, ერთი ესეც მითხარი, ეს რას ნიშნავს. აბა, მითხარი, რასა ნიშნავს. შენც რა, მიტუა „ისეთი ვინმე" ხომ არა გგონია!.. (გაბეზარებული აღშფოთებით.) ხალხო, ეს რა მითხრა, ხალხო!

ნინელი (ძალიან დაიბნა). კი, მაგრამ ასეთი საწყენი რა გითხარი?

მიტუა. გესმით, ეს რა მკადრა, ხალხო?!

ნინელი. რა იყო ისეთი?..

მიტუა. რა არ იყო, კაცო, მე?... მე მიტუასა, ხალხო! მე ხომ ამისთვინა არა, მე ხომ ამის მზესა და მთვარეს ვფიცავ. მე ხომ ამის მზე და მთვარე გულზე მაბნევია და ეს რა მითხრა?! (თავში ხელი შეიტაცა.). შენ „ისეთი ვინმე" ხომ არ გგონივარო, კაცო, ეს რა უპირუელი ვინმე ყოფილა, კაცო, სიტყვის გამტეხი, იმედის ციხის დანანგრეველი.

ნინელი. ნეტავ რა ციხეები დაგინგრია, ან რისი იმედი მოგეცი?

მიტუა. ადამიანი ადამიანის იმედი არ არი, რო?

ნინელი. რა იმისთანა იმედი უნდა იყოს... ისეთი რა უნდა იყოს...

მიტუა (არ აცლის). მაშ მტერია? მაშინ რა, ერთმანეთი არ უნდა დავინდოთ და სადაცა მოვახელებთ ერთმანეთსა (ნინელისაკენ გაიქცა.) არ უნდა დავზოგოთ, უნდა ვეცეთ და შევჭამოთ?

ნინელი (დამფრთხალი). არა, ადამიანი ადამიანის იმედია, აბა, მგლები ხომ არა ვართ...

მიტუა (ცოტა „დაშოშმინდა"). შენს პირს შაქარი და თაფლაკვერი, მგლები ხომ არ უნდა ვიყოთო, ჰოდა, მგლები ხომ არ უნდა ვიყოთ?!

ნინელი. როგორ გეკადრება?!

მიტუა. მამაცხონებულო, მე მეკადრება თუ შენა, რომ ამბობ, რა იმედიო...

ნინელი. არა, მე რა იმედი...

მიტუა (არ აცლის). ადამიანი ადამიანის იმედი არ უნდა იყოს?!

ნინელი. იმედი უნდა იყოს, რა თქმა უნდა, უნდა იყოს...

მიტუა. ჰოდა, მე კიდევ შენი იმედის ციხესა ვაშენებ და ნუ მინგრევ-მეთქი, ადამიანო.

ნინელი. ჩემი რა იმედი გაქვს ნეტავი მაცოდინა.

მიტუა (გაიწია). მაშ, მგელი!

ნინელი (უკან იხევს). არა, მიტუა, მგელი ვინ თქვა?

მიტუა (შეჩერდა). ჰოდა, იმედი, შე დალოკილის შვილო, შენი იმედი მაქვს.

ნინელი. ვაიმე, რა ვქნა...

მიტუა. განა მარტო შენს მიტუასა...

ნინელი. ვაიმე, ეს ჩემი როდის გახდა?!

მიტუა. როდის რა, ჩვენი ნება არ არის, როცა შენ გინდა... ჰოდა, განა მარტო შენს მიტუასა, ჩვენს პატარასაცა.

ნინელი. „ჩვენსაო!“ ჩვენს კი არა, შენს შვილს.

მიტუა. მე არ მინდობ და არ მინდობ, მაგრამ თითის სიგრძე ბავშვს რას ემართლები, ადამიანო!

ნინელი. ღმერთო ჩემო, როდის ვემართლები?!

მიტუა (ყურებზე ხელებს იფარებს). ხალხო, ამისთანა უგულობა და უღმერთობა გაგონილა, ადამიანი ადამიანს არ უნდა ინდობდესო, მგლათაო, კაცო, ჯანდაბის ორღობე მიტუასა, მაგრამ, ხალხო და ჯამაათნო, გაგონილა, გაგონილა, ადამის ძენო, რომ თითის სიგრძე ბალღს ალარ ინდობდეს კაციშვილი?!

ნინელი (მიეარდა, ყურიდან ხელი მოაცილებინა). ჩემზე ამბობ, მიტუა, მე არ ვინდობ ბავშვს, როგორ არ გებრალები, ასეთ უღმერთობას რომ მწამებ?!

მიტუა. (ხელი დაეკარა). მაშ გებრალება?!

ნინელი. როგორ არ მებრალება, ნეტავი რაიმე შემეძლოს, თორემ, როგორ არ მებრალება.

მიტუა. მიტუაცა?!

ნინელი. შენც, მიტუა, შენც.

მიტუა. იმედს მომცემ?

ნინელი. რა იმედს, მიტუა, რა იმედს მთხოვ?!

მიტუა. მაშინ მგლათა. (ხელი ხელზე მოეკარა.)

ნინელი. არა, ეს მგელი რად დაიჩემე, შენ კაცო!

მიტუა (დადნა). შე კაცო! კაცო, ეს რა მითხრა, შე კაცო... (ეკონის, ნინელი გაშეშდა, კანაფამ წაიკცა, მიტუამ ხელი შეაშველა.)

ნ ი ნ ე ლ ი (გაექცა). ვაიმე! მიშველეთ!

მ ი ტ უ ა (უკან იხევს). რა გეშინია, რა, შე მამაგანათლებულო. ვაოცე, მაუზერი კი არ დამიხლია.

ნ ი ნ ე ლ ი. ვიკიკლებ, იცოდე, ეს რა მიქნი?!

მ ი ტ უ ა. მით უარესი შენთვინა, იმედი რომ მოვეცი, შე ჩემი ბედის ვარსკვლავივით უკარება, ავათ კი არ ვიყავი, ბელის შემოტევა კი არ მქონდა, რომ შენი იმედი დამეკარებოდა.

ნ ი ნ ე ლ ი. ვაიმე, თავს მოვიკლავ!

მ ი ტ უ ა. რათა, შე ქარავანს ჩამორჩენილო თეთრო ბედო, შენი თავი რომ გაიმეტო, მე მიმეტებ, შენს მიტუასა?

ნ ი ნ ე ლ ი. ღმერთო, მომკალი და სული ამომხადე! (ტირის.) ღმერთო!

მ ი ტ უ ა. მე ხომ კიდევა არაფერი, მაგრამა იმ თითის სიგრძე ბავშვსა... ნუ ტირი, მიეფიცავარ, ხომ ხედავ არა, ვიეფიცავარ, ვიეფიცავარ, შენი იმედი და ხატი ნუ მოუშალოს შენს მიტუასა... (ვიდის.)

ნინელი საწოლზე ეცემა და ტირის, მერე მოკრძალებით შეაჩერდება კედელზე ქალის გადიდებულ სურათს, მისგან მიტევებას თუ შენდობას ითხოვს.

ნაწილი მეორე

სურათი მეოთხე

იგივე დეკორაცია. კედელზე გადიდებული სურათი აღარაა. საწოლში წევს ნ ი ნ ე ლ ი. თავს წამოსწევს და ხან ტიხარს იქით გაიყურებს და ხანაც მალელად გასცქერის ფანრებს. მოისმის ფეხის ხმა. ნ ი ნ ე ლ ი საბანს თვალებზე წაიფარებს, ისმის კაკუხი. პაუზა. ისევ დაკაკუნეს. არავინ პასუხობს.

მ ი ტ უ ა ს ხ მ ა. გოგო, არ გეყურება რო...

ნ ი ნ ე ლ ი (საბნიდან თავი ამოიყო). არ შემოხვიდე, მიტუა!

მ ი ტ უ ა (კარში თავი შემოიყო). ხალხო, ამისთანა ვაკობილა? კაცს საკუთარ საბლში არ გიშვებდნენ?... ვაი, შენს მიტუასა, როგორ წახდა წუთისოფელი, ადამიანმა ადამიანის ნდობა დაჰკარგა, კაცო. ქვეყანა ჩალის ფასადაც აღარა ღირს, სიცოცხლე გახვრეტილ კაპიკადა... (თან ნელ-ნელა კარში მოძვრება.) ის ობოლი ბავშვი მთლად პარტახად როგორ დავაგდო, თორემ სულს ჯოჯოხეთის ტარტაროზს ჩავაბარებდი. (შემოდის და კარს ფრთხილად ხურავს.)

ნ ი ნ ე ლ ი. მე რა გითხარი!

მ ი ტ უ ა. რა ვიცი, კაცო, რა მითხარი, დალოცვილო, შენი ხმა ისე ესალბუნება მიტუას დასავსებ ყურებსა, რა თქვი ხეირიანად აღარ გამიგია.

ნ ი ნ ე ლ ი. კი, მაგრამ ცა ღმერთი გაგიწყრა?..

მ ი ტ უ ა. რაც არ უნდა თქვა, ღვთის პირიდან შეჩვენებულ მიტუას მაინც მამაზეციერის წყალობად უჩანს.

ნ ი ნ ე ლ ი. ფეხი არ შემოდგა კარებში-მეთქი!

მ ი ტ უ ა. ეგ კი გაიგონე, მაგრამ მეგონა ამის თქმა არ გინდოდა.

ნ ი ნ ე ლ ი (დაიბნა). აბა, რა მინდოდა?..

მ ი ტ უ ა. პირიქითა, კაცო, პირიქითა გინდოდა-მეთქი..

ნ ი ნ ე ლ ი. ვიკივლებ, ქვეყანას შევყრი!

მ ი ტ უ ა. გინდაც სასაბართლოში მიმეც. ადგება ეკ შენი ბსაჯული და იტყვის, ქალსა ვინც სახელი გაუტეხა, იმისი ტვირთი იყოსო. შენს მიტუასა, არა, რა დავიდარაბა არ უთრევია და ახლა (ნინელის ორივე ხელს მიაშვერს.) ეს ოქროს ზოდიც ზედ იყოს. მოკლას ხარი ბულულა თივამა. (საწოლთან მისვლა დააპირა.)

ნ ი ნ ე ლ ი. ფეხი არ გადმოდგა!

მ ი ტ უ ა. არა, კაცო, თუ მართლა აგრეა, თუ მართლა გულითა არა, მაშინ ფეხიც ვახმობოდეს მიტუასა და საკოცნელი ტუჩიცა.

ნ ი ნ ე ლ ი (საბანს სახეზე იფარებს). რაო? შენ კიდევ საკოცნელად მოხ-ვედი აქ?! გადავირევი!..

მ ი ტ უ ა. რა შავ ვარსკვლავზე დაიბადა ეს ბედდამწვარი მიტუა, რომ ათასი მძარცველი და მოღალატე ქვეყნად დაბრძანდება და მი-ტუას ალალი გული ვერაგობად და ცის სვეტის გამოვარდნად ითვლება, კაკო! (თან ისევ საწოლისაკენ წასვლას აპირებს.)

ნ ი ნ ე ლ ი. არ მოიცვალო ფეხი-მეთქი. რა გითხარი!

მ ი ტ უ ა. განა მოვიდეარ, რო... (უკან დაიხია, კარს მიაწვა. მიხურა და ზედ ეკარა) აგერ, კარზე ვარ აკრული ჯვარცმულივითა. ვარ და ვიყო. განა შეწყალებას ვთხოულობ! განა ვამბობ, რომ ცუდი გული გაქვს!.. განა ვამბობ, რომ შებრალება არ იცი!..

ნ ი ნ ე ლ ი. ჰოდა, მაქედან თქვი რა გინდა და წადი.

მ ი ტ უ ა. ხალხო! თქვიო! განა ქოთნით ფქვილის სასესხებლად მოვე-დი, ან ახალუხის სანათხოვროდ, რომ აგრე იოლად ვთქვა და, თუ არა შენ, სხვა მეზობელს მივადგე?!

ნ ი ნ ე ლ ი. აბა, ჩემთან რა გინდა, მე თვალში რატომ ამომიჩემე, სხვაზე გლახად და საცოდავად მთვლი. თუ რა გინდა ჩემგან.

მ ი ტ უ ა („სწყლად“). ღმერთო, თუ მართლა სადმე ხარ, ელვასა და მეხს რომ დაახრიგინებ მაგ ცის თავანზე ცარიელ ღვინის კასრივითა, რატომ არ ჩამოაგდებ, არ დასცემ შენგან განწირულ მიტუასა და თან არ ჩაიტან! „სხვაზე გლახადაო“, „სხვაზე საცოდავადაო“, ყურებდაცქვეტილი რომ ისმენ, ღმერთო, და ჩუმადა ხარ, მითხარი ვის რა პასუხი მოვთხოვო, კისთან ვიჩივლო, რომ ასე განუკითხავად ცილს სწამებენ შენ გაჩენილ ადამის შვილსა. „სხვაზე გლახად მთვლიო“ — ასე არა თქვა? აქ არ იყავ, შე დალოცვილო? და რომ იცი, როგორც და რა თვალითაც ვუყურებ, რატომ ცას არ ჩამოანგრევ და არ ვაასწორებ ამ მრუდ წუთისოფელსა.

ნ ი ნ ე ლ ი. ღმერთი არ არსებობს, მიტუა, და დაანებე თავი, თქვი, რისთვის მოხვედი და დამტოვე.

მ ი ტ უ ა. მაგას როგორ იტყოდი, ღვთის შიში რომ გქონდეს, როგორ გაბედავდი, როცა ზაფსულის თაკარა მზესავით გიყურებ. შენ კი ამბობ, „სხვაზე გლახადაო“.

ნ ი ნ ე ლ ი (გოგნებელი). მიტუა, ნახევარი არ მესმის, რას ლაპარაკობ, რას მერჩი, რას გადამეკიდე, ვერაფერი გამიგია.

მ ი ტ უ ა (შეატყო, ასე ამ ქალთან არაფერი გამოვა და „აღშფოთდა“). მართლაცდა, კაცო, ქვეყანა ჩალით ხომ არაა დახურული, მართლაცდა, თუ ღმერთი გაწყრა, და ღმერთი აღარაა, კაცი რა იქნა, კაცი ხომაა, სამართალი ადამიანის გაჩენილია და მეც ხომ ადამიანის შვილი ვარ!..

ნ ი ნ ე ლ ი (ცდილობს დაწყნაროს). კი, ადამიანის შვილი ხარ, ადამიანის შვილი...

მ ი ტ უ ა. მერედა, შენ გგონია ამდენი უსამართლობა მიტუასთვისაც აქლევის საპალნე არ იქნება და არ აყვირდება?! სამართალს არ მოძებნის?

ნ ი ნ ე ლ ი. რა ქვეყანა დაგიქცია მე უბედურმა, მიტუა, მე რა ბოროტების ჩადენა შემიძლია?

მ ი ტ უ ა (კიდევ უფრო „შფოთავს“). „რას მერჩიო“, „რას გადამეკიდეო“, ამოდენა უსამართლობითა, არა, ღმერთი ხომ არ არის, ვერ მოითმენს, გაჩნდება და არ კიცი რა წარღვნას დატრიალებს.

ნ ი ნ ე ლ ი. რისთვის, მიტუა, რა ცოდვა მაწვეს, თუ სიკეთე არა, დანაშაული მაინც რა მაქვს, ან შენთან, ან ვინმესთან?

მ ი ტ უ ა. კაცო, „რას მერჩიო“, (თან ნინელისკენ მიიწევს.) მე გერჩი, შენ ჩემო ღველფო და ღადარო და მე გიშავებ, შენ ჩემო ცხელო თონე?!

ნ ი ნ ე ლ ი. აბა, მე გერჩი და გიშავებ?!

მ ი ტ უ ა. შენა!

ნ ი ნ ე ლ ი. (საწოლიდან წამოიწევს). მე?!

მ ი ტ უ ა. შენა.

ნ ი ნ ე ლ ი. არაფერი მესმის, სულ გამოვლენჩდი.

მ ი ტ უ ა. (ისევ მიიწევს). შენა... ისე შენს სიყვარულში შველა მიტუასა.

ნ ი ნ ე ლ ი. მითხარი, მიტუა, ღვთის გულისათვის, მითხარი, იქნებ მართლა რამე... ჩემდა უნებურად...

მ ი ტ უ ა. გეტყვი რა! სიმართლეს თუ მათქმევინებ, რატომაც არ გეტყვი.

ნ ი ნ ე ლ ი. დაჯექი, წყნარად, გასაგებად მითხარი.

მ ი ტ უ ა. დაჯექიო, კაცო, დაჯექიო! ნაკვერცხლებზე შიშველი ფეხით დავდივარ და ეს კიდევ ზედვე დაჯექიო, გაგონილა?!

ნ ი ნ ე ლ ი. მოეშვი ამ ნაკვერცხლებს, ღადარს და ძდუღარეს, სულ თავგზა ამებნა... და მითხარი, რა დაგიშავე, ან შენ, ან ვინმეს. დაჯექი და მითხარი.

მ ი ტ უ ა. (სკამს ახლოს მიიტანს და კიდეზე ისე ჩამოჯდება, თითქოს მართლა ცხელი იყოს). გეტყვი რა. მე შენ გითხრა და მთელი ქვეყნის სალაპარაკო არა მაქვს.

ნ ი ნ ე ლ ი (გულისპირზე საბანს იფარებს). უკან დაიწი და ისე დაჯექი.

მ ი ტ უ ა. ხალხო! დაჯექიო, თვითონ არა თქვა? რატომაა, რომ ჩემს ჯინაზე არაა ღმერთი, რომ ყველაფერ ამას ხედავდეს და ბედდათუთქულ მიტუას ესარჩლებოდეს. (სკამიდან წამოხტება.)

ნ ი ნ ე ლ ი. კარგი, იჯექი, ოღონდ თქვი.

მ ი ტ უ ა (სკამს ხელს წამოავლებს. შორს, ოთახის კუნჭულში მიიტანს, იქ დაჯდება). შენა არა!.. განა შენი ბრალია?.. ეგეთი ბედი მაქვს, ისეთი გაუხარელი ვარ... ობოლი, უმოყვრო და მტერმრავალი, უდედმამიშვილო და დუშმანძლიერი... (სკამი კიდევ კედლისკენ გააჩოჩა.)

ნ ი ნ ე ლ ი. მთლად მაგ კედელს ნუ მიესრისე, მჯდარიყავი იქ, სადაც იჯექი.

მ ი ტ უ ა (ადგა. აქეთ წამოვიდა). კაცისგან, კაცო, სიკეთე არ მღირსებია, ადამიანისგან ადამიანური მოპყრობა რაა, არ ვიცი.

ნ ი ნ ე ლ ი. ვაი, შე საცოდავო!

მ ი ტ უ ა. ჰო, შე მამაგანათლებულო, ბედზე კუპრდასხმული ვარ, სიკეთემ ზღვად რომ გადმოიაროს, არა? ერთი წვეთი არ დამეცემა. სიკეთე სანძრად რომ იქცეს და ქვეყანა გადაწვას, მე მაინც ყინვა დამახრჩობს.

ნ ი ნ ე ლ ი. ვაი, შე უბედურო...

მ ი ტ უ ა. ნუ მეუბნები, ადამიანო, შებრალებას მიჩვეული არა ვარ და ჩემს ცოდვაში ფეხს ნუ ჩაიდგამ.

ნ ი ნ ე ლ ი. თანაგრძნობის მეტი არაფერი შემიძლია და უბედურს ესეც მოვაკლო?

მ ი ტ უ ა. მაშ არ მომაკლებ?

ნ ი ნ ე ლ ი. თუ რაიმე შემიძლია...

მ ი ტ უ ა. ჰოდა, ეგაა, კაცო, რომ ვამბობ, შენ მერჩი-მეთქი და შენ მიშავებ-მეთქი.

ნ ი ნ ე ლ ი. ამას თვლი ჩემს დანაშაულად?!

მ ი ტ უ ა. განა ცოტაა?! ვიყავი, კაცო, ჩემთვინა, ჩემ მარტოხელა და ბატანჯულ წუთისოფელს მივათრევდი, იმ ობოლ ბალღსა, კაცო, (შეილის ხსენებაზე ხელი წაცდება, თითქოს თავზე უსვამდეს.) დედობასაც ვუწევდი და მამობასაცა, რისი ძალაც შენს მიტუას შესწევდა. კაცო, რო ადექი და მოდი, არა? ამოდენა სიკეთით და სიალალით სავსე გული რო ამ ჩემს ქოხში დააბუდე, კედელყურე რომ ამოდენა სითბოთი ააავსე, არ ვებრალები, შე ღმერთზე ხელაღებულო! სითბოთი ვთქვი? სითბოთი კი არა, ცეცხლითა, კაცო!

ნ ი ნ ე ლ ი. რა სიკეთეზე, სითბოზე და ცეცხლზე ლაპარაკობ რომ ვერ გავიგე, რაღაცა ბავშვს მოვეფერე, პერანგი და ხალათი გავურეცხე, ის, რაც ვუყიდეთ... მარტო მე-ბომ არ მიყიდია, ყველამ შევეკრიბეთ.. ან რა იყო, მაგრამ პატარას გაუხარდება-თქო.

ი ტ უ ა. ჰოდა, ეგ სითბო ჯერ სულ არა გვქონდა და ახლა რო თავზესაყრელად გაგვიჩინე, გული არა გაქვს, შენ ჩემი ბედის ღიმილო? სახლში ვეღარ ვეტევი. კაცო, ალმური მიკიდია, ვერა ხედავ! გითხარი, გითხარი და გეუბნები, რას მერჩი-მეთქი, რა დაგიშავე-მეთქი, არ გეყურება?!

ნ ი ნ ე ლ ი. რა ვქნა რო არ ვიცი, ვერაფერი ვერ გავიგე, მარგო მაინც იყოს აქ.

მ ი ტ უ ა. მარგო და ალეია ხალხი რო იყოს, განა მეგობრებში გეტყვი და საქვეყნოდ გამოგაჭენებ.

ნ ი ნ ე ლ ი. აბა რა ჰქვია ამას... სიყვარულს მიხსნი?

მ ი ტ უ ა (თითქოს გული შეუღონდა, ნინელის საწოლზე დაეშვა). ხალხო და ჯამაათნო! „სიყვარულს მიხსნიო“, კაცი ხელში სანთელივით შეპოვადნი და სიყვარულს მიხსნიო?.. სანთელივითა, კაცო, ცვილის სანთელივითა...

ნ ი ნ ე ლ ი. ვაიმე, ჩემს საწოლზე რა უნდა!.. სხვაგან დაჯექი, აგერ ხუთი საწოლია თავისუფალი.

მ ი ტ უ ა. მარტო ეგ კი არა, ერთი ოთხი კიდევ მეორე ოთახშიცა მაქვს...

ნ ი ნ ე ლ ი. ჰოდა, იქ, იქ, მიტუა... აქ ჩემთან რა გინდა. შენ ხომ „ისეთი ვინმე“ არა ხარ... შენ ხომ...

მ ი ტ უ ა. მაშ იქა?..

ნ ი ნ ე ლ ი. იქ, შენს ოთახში... იქ, შენს საწოლზე...

მ ი ტ უ ა (აწყვეტინებს). ჩემთანა, იქ ჩემთანა... (დაავლებს ხელს ქალს და საბნიანად აიტაცებს.) მაშ იქა... ჩემთანა. (ბიჭყავს ტიხრის კარისაკენ.)

ნ ი ნ ე ლ ი. ვაიმე, მიშველეთ. გამიშვი! ვიკივლებ, გამიშვი! (მიტეა სანამ კარს გააღებდეს, პერანგის ამარა ნინელი ხელიდან გაუსხლტება, იქვე, მახლობელ საწოლზე შეხტება და კედლიდან მიტუას სანადირო თოფს ჩამოხსნის.) როგორ გამიბედე, რომ ხელი მახლე, როგორ გამიბედე?

მ ი ტ უ ა. ხალხო, თვითონ არ მითხრა, იქ, შენს ოთახშიო!

ნ ი ნ ე ლ ი. წადი, მომცილდი, თორემ, (თოფის კონდახით ემუქრება.) არ ვიცი, რას ვიზამ. წადი! ის გითხარი, მეც წამიყვანე-მეთქი?!

მ ი ტ უ ა. ვითომ, არ გითქვამს? მაშ რა იყო? მე რაც მეწადა ის გაკეთებულ? ეგრეცა ხდება, ხშირად ერთი ზარი რეკავს და ვისაც როგორ უნდა, ისე ესმის.

ნ ი ნ ე ლ ი. წადი, მომცილდი, საცაა გოგოები მოვლენ. წადი!

მ ი ტ უ ა. ვანა არ მივდივარ?! განა მე მინდა აქ ყოფნა?!

ნ ი ნ ე ლ ი (ეწყინა). თუ არ გინდა, ვინ გაკავებს?!

მ ი ტ უ ა. შენა.

ნ ი ნ ე ლ ი. მე არ გიშვებ?!

მ ი ტ უ ა. არ მიშვებ, ადამიანო! გამიშვი, კაცო, ჩემთვის, რას მემართლები, ჩემი ცოდო-ბრალის ზიდვა მიჭირს, შენი ცეცხლი და ღადარი რაღად მინდა-მეთქი, რომ გეუბნები, არ გეყურება?

ნ ი ნ ე ლ ი. მე რა გიქენი ამისთანა, მიტუა, არ დავიღუპო, ცოდვაში ფეხი არ ჩავიდგა, მართალს არ ამბობდე!

მ ი ტ უ ა (პერანგის ამარა ნ ი ნ ე ლ ი ს მიშტერებია). ღმერთო... ახლა მაინც გაჩნდი, თუ აქამდე არ ყოფილხარ და შეხედე, შეხედე და თუ მერე შენ აქედან წასვლას მირჩევ... თუ მეტყვი, უამისოდ გასძელიო... მეტყვი კი არა, მირჩევ კი არა, შენც უღირალს მომცემ, ადგები და აქ დასახლდები...

ნ ი ნ ე ლ ი (საწოლიდან ცალი ხელით საბანს აიტაცებს და გულზე იფარებს, ცალი ხელით ისევ თოფი უჭირავს). წადი, მიტუა, წადი, შენი ჭირიმე, ნუ გამიხეთქე გული!

მ ი ტ უ ა. რა ვქნა, რომ დაბმული ვარ, უნდა ამიშვა და წავალ.

ხ ი ხ ე ლ ი. მე რით დავაბი, ან რით აგიშვა?

მ ი ტ უ ა. ფეხებზე მძიმე ხუნდი და კლიტე მადევს, გასაღები მარტო შენ გაბარია.

ნ ი ნ ე ლ ი. ვაიმე, სულ თავგზა ამიბნია... მითხარი რა ვქნა.

მ ი ტ უ ა. იმედი უნდა მაჰცე.

გარედან ისმის ხმები.

ნ ი ხ ე ლ ი. კი, კი წადი... მომკლა ამ შენმა „იმედმა". ახლა წადი, ოღონდ ახლა წადი და...

მ ი ტ უ ა. ნაღდი იმედი უნდა მაჰცე.

ნ ი ხ ე ლ ი. ოღონდ წადი!

მ ი ტ უ ა. იმედითა, ნაღდი იმედითა...

ნ ი ნ ე ლ ი. კი, კი წადი და გქონდეს იმედი.

მ ი ტ უ ა (საბანი საწოლზე დადო და კარისკენ წავიდა). ჰოდა, მივდივარ, მივდივარ, მაგრამა... (შეჩერდა, მოიხედა.) მე მიტუა ვარ!..

ნ ი ნ ე ლ ი. წადი და სხვა დროს, ახლა წადი!.. (გარეთ, კართან, ისმის ფეხის ხმა.) ჩქარა, ჩქარა ჰქენი!

მ ი ტ უ ა. მივდივარ, როგორც შენი მშვენიერი თვალებითა ხედავ, მივდივარ და ნაღდი იმედი ჯოჯოხეთის მუგუზალივითა მიმაქვს.

ტიხრის კარს აღებს და გადის. გარედან ისმის ფეხების ბერტყვის ხმა და შემოდიან ე კ ა, მ ა რ ი ხ ი, ე ო ზ ე, ი ა და მ ა რ გ ო. მ ა რ გ ო რომ ხელი თოფშეცეებულ, პერანგის ამარა ნინელის დაინახავს, შეკკივლებს, კივილზე ნ ი ნ ე ლ ი ს თოფი ხელიდან გაუვარდება და იგრიალებს. წივილ-კივილი იქაურობას იკლებს.

იგივე დეკორაცია. ოთახში ფაციფუცია. ვინ ალაგებს, აუთოვებს, იცვამს, ეწყობა, სარკესთან ტრიალებს, რადიომიმღებიდან ისმის სიმღერები. ნ ი ნ ე ლ ი იატაკს რეცხავს.

ი ა. თქვენი ჭირიმე, გოგოებო, ამაღამვე თბილისში ვიქნებით, რა ბედნიერებაა!

ჟ ო ზ ე. კარგი ამინდები დაგვესწრო, მაგრამ აქაურობამ მაინც თავი მომაბეზრა.

ი ა. აპა, ვოკო, აქ ან ჩაცმა-დახურვას რა აზრი აქვს, ან გავლა-გამოვლას.

მ ა რ ი ხ ი. ამოდენა მთებსა და ტყეებში პატარავდები და იკარგები. ეს უსასრულო სითეთრე და სიწმინდე გაჩიავებს, შენი სიამაყისა და, მით უმეტეს, პატივმოყვარეობისა გრცხვენია.

ი ა. თბილისი მაინც უახლოესი ადამიანივითაა, რომელთანაც განშორება დიდი ხნით შეუძლებელია.

მ ა რ გ ო. თბილისი კი, მაგრამ ასეთი ადამიანი ჩვენ არა გვყავს.

ჟ ო ზ ე. მით უარესი, თბილისი ჩვენთვის ადამიანიცაა, ქალაქიც და სიცოცხლეც.

ე კ ა. რატომ? ვინ მოახსენა მარგოს, რომ ჩვენ ერთმანეთისათვის ასეთი ადამიანები არა ვართ?!

მ ა რ გ ო. თითქოს...

ე კ ა. ჰო, გააჩნია, ჩვენს დიდ სიყვარულს ვინ როგორ უყურებს.

მ ა რ ი ხ ი. მე, ჩემდათავად, სხვაზე ნაკლებად არა, მაგრამ მგონია ამ ჩვენს დიდ სიყვარულს ჩვენი მდგომარეობაც და ერთნაირი ბედიც ამაგრებს...

ი ა. და თბილისის სიყვარულიც... „ჩვენი სალამი ხოხბისფერ თბილისს“...

მ ა რ ი ხ ი. „მეფე ლომკაცმა, თუ მგელკაცმა დაგარტყა კვერთხი და ჩემს წამებად შენ აღსდექი ქვეყნად, ქალაქო!“

მ ა რ გ ო (თავისთვის). „და მაპატიეთ მე თუ მივსტირი
ტფილისის რძიან ბალახის ფილას“.

ი ა. რაც გინდათ ის თქვით და მარგოს ლექსები, მე მაინც, ბევრი მომწონს: „როცა ჩადგება ქარი,
როცა დადგება დარი,
ლურჯი სიზმრების დედა —
ხომ არ დამტოვებს — სევდა?..“

მ ა რ გ ო. მართალია კარგია, ჩემო ია, მაგრამ მაგ ქარს, სიზმრებს და სევდას პატრონი ჰყავს.

ი ა. ჰო, ვიცი, ნასესხები განწყობილებაა, მაგრამ რა მოხდა მერე

მ ა რ გ ო. არაფერი, მაგისთვის კი არაფინ დაგვსჯის... ასე სხვის ლექსებსაც ვკითხულობთ...

(ნინელი საწოლებს აჩოჩებს და იატაკის ჯოხით იქაურობას წმენდს.)

ე კ ა (საათზე ისედება). ეიჩქაროთ, აქ რა პოეზიის დღე გამართეთ, (ნინელის.) შენ, რას გადაჰყეეი აქაურობას. (საწოლის ქვეშ შეიხედა, ნინელის ჩემოდანი გამოათრია.) ამას ჯერ არც ჩაულაგებია!

ე ო ზ ე. რაა, გადაყოლა რომ იცის!..

ი ა. ნინელი, დაანებე თუ და ხარ თავი, საფეხურში მაინცდამაინც გულამოვარდნილი უნდა მივიდეთ?

მ ა რ ი ხ ი. ჩვენ არაფერს ვეხმარებით და კიდევ ესაყვედურობთ?

მ ა რ გ ო. საყვედური უნდა მეთქვა მთების,
არ გითხარი უარესი შენთვის...

(ისიც ჩემოდანს ალაგებს).

ე ო ზ ე (ჩემოდანი კართან მიიტანა). უკვე ამ ოთახის ჰაერის ატანა აღარ შემიძლია.

ი ა. ჩემი სული უკვე თბილისშია. (ჩემოდანს ხსნის.) მე მგონია, მეორე სვიტრი უნდა ჩამეცვა, (ეძებს) ღმერთო, სად ჩავდევი.

მ ა რ ი ხ ი. თბილისში ნაშუალამევს ჩავალთ, რა გეცშება ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მაინც ვერავინ გაიგებს.

ი ა. მარიხ, გენაცვალე, ჩემთვის აქვს მნიშვნელობა, მე ხომ მეცოდინება რა მაცვია. განა თავს დამცირებულად არა თვლი, როცა დარწმუნებული ხარ, რომ შენზე უკეთესად აცვიათ, ახურავთ და დაჯერებულად გამოიყურებიან?

მ ა რ ი ხ ი. შეიძლება, მაგრამ შუალამით და ისიც ზამთარში ამის განცდა გამიჭირდება.

მ ა რ გ ო. დაჯერებულად გამოიყურებიან იმით, რომ ჩვარი გადაიცვეს?!

ე ო ზ ე. ნინელი, ბოლოს და ბოლოს, მორჩი ამ-გადიობას და მოემზადე.

ი ა (გადაიცვა სხვა სვიტრი და სარკესთან დატრიალდა). მე მზადა ვარ, ეოზე!

მ ა რ ი ხ ი. მზად რომ ხარ, გამოართვი ის ჯოხი და შენი საწოლის ქვეშ მაინც გამოუსვი.

ი ა. ახლა, იატაკის საწმენდი ჯოხი დაეიკავო ხელში?!

ეკა. მიტუას სამზარეულო და საქათმეც ხომ არ გინდათ დავუსუფთაოთ?

ქოზე. ეს ხალხი გადამრევს!

ია. არ ვიცი, პირდაპირ! (ჩემოდანი აიტაცა, თხილამურები მხრებზე გაიდო.)

მარიხი. ნინელი, მე მაინც მომეცი ეს ჯოხი და შენს საქნეს მიხედე...

მარგო. მოვკალით ეს გოგო, ყველა საოჯახო საქმემ მაგის ზურგზე გადაიარა.

ია. გენაცვალე, მარგო, თვითონ სახლიდან არ გამოდიოდა, ჩვენ რა გვექნა?!

მარიხი. რა გექნა და ნინელი როცა შეუძლოდ იყო, შენ დარჩენილიყავი, გეზიდა წყალი, მოგეხარშა ხარჩო და დაგეგავა ოთახი.

ია. რა შეუძლოდ იყო? სიცხე არ ჰქონდა და პირის ღებინება...

ქოზე. მაგას იქნება სხვა მიზეზი ჰქონდა და.. (ირონიულად.) ხელის შემშლელი არ უნდოდა.

მარიხი, შენ გეცადა.

ია. შენ ხომ სცადე.

მარიხი. გულით რომ მომენდომებია, ვინ დამიშლიდა, არც მე ვარ ნინელისთან მართალი.

ეკა. ეძიეთ ახლა მრუდი და მართალი, მეგობრობაში სასწორზე არავინ დებს, ვინ ვისთვის რა გააკეთა.

მარიხი. ახლა ასე გვირჩევნია, რომ სასწორზე არ დავდოთ. (ნინელის.) მომეცი, გოგო, თორემ მართლა დაგვაგვიანდება.

ეკა (საათს დახედავს). მეტი დრო აღარაა, მოეშვი, ნინელი!

ქოზე (ჩემოდანს იღებს). მე გარეთ დაგიცდით. (გადის.)

ია. მე და ქოზე იქ დაგელოდებით, (კარს მიადგება.) გარეთ რა ჰაერია, გოგოებო, რა ჰაერია! (ისიც გადის.)

ეკა. სადგურამდე, ასეთ თოვლში, ერთ საათს ვერ მივაღწევთ!

მარიხი (ნინელის). მომეცი, გოგო, მართლა ნამეტანი ნუ იცი. (ნინელი საწოლის კვეშ მიძვრება). ნინელი, სად გაქრა ეს გოგო!

ნინელი. რა ნამეტანი ვიცი, ხომ უნდა მოვწმინდოთ...

(ეკა საწოლის კვეშიდან გამოთრევას ცდილობს. მარიხიც ეშველება.)

ეკა (გადაიფიქრა). მარიხ, მოეშვი, ჩემოდანი ჩავულაგოთ და ამასობაში მორჩება, აბა, რა ღმერთი გაუწყრება.

მ ა რ ი ხ ი (ნინელის ჩემოდანს ალაგებს, ეკაც ეშველება). ე, გოგო, რომელ კაბას იცვამ.

პაუზა.

ე კ ა. აბა, თუ ამოიღებს ხმას!

ნ ი ნ ე ლ ი (საწოლიდან გამოძვრება). სულ ერთია.

ე კ ა. სულ ერთი თუა, მაშინ ამ საშინაო კაბით წამოდი, თქვი, რომელი დავტოვოთ!

ნ ი ნ ე ლ ი (დაბნეული). არ ვიცი...

ე კ ა. რა არ იცი, რას იცვამ და იხურავ არ იცი?!

ნ ი ნ ე ლ ი (იატაკის ჯოხს დაეყუდა, ფიქრით სადღაც სხვაგანაა). არა, არ ვიცი.

ე კ ა (მარიხს). გამოართვი ის ჯოხი და გადაუვდე! არ გადამაყოლა ამ ბინძური ქოხის ხვეტა-წმენდას?!

მ ა რ გ ო (თავისთვის). ქოხი მინდა, თოვლისგან კი არა, შენგან რომ დამიფაროს...

მ ა რ ი ხ ი. მართლა რა დაგემართა, ნინელი, დაანებე თავი, დაგვავიანდა.

ე კ ა (ისიც საათს დააჩერდება). ეს გოგო რას გვიშვრება, ბილეთები მაინც გექონდეს.

(გარედან ისმის ხმა: გოგოებო, რას უყურებთ?!)

ნ ი ნ ე ლ ი. მაცალეთ, რანაირები ხართ.

ე კ ა. რანაირები ვართ, დაგვაგვიანდა, არ გეყურება შენ!

(გარედან ე ო ზ ე ს ხმა: ჩვენ ვიღლით.)

ი ა (ფანჯარაში თავს შემოყოფს). მე გულამოვარდნილი ვერ მივალ სადგურში, ათასი ვინმე მიცნობს, ამ დღეებში ბაკურიანში მთელი თბილისი იქნებოდა.

მ ა რ ი ხ ი. წადი, მარგო, გაჰყევი იმათ, შენ ხომ ასე ადვილად ფეხს არ აუჩქარებ.

ე კ ა. ეგ სულს ჩასვამს მატარებელში და გაამგზავრებს, თვითონ სადაც იქნება, სულ ერთია.

მ ა რ გ ო (ჩანთას იღებს, კარისკენ მიდის). „მე შენში მომწონს ოცნება ჩემი“... (გადის).

ე კ ა (ნინელის ეცა და ჯოხი ხელიდან გამოგლიჯა). ეს გოგო ტკუანსე ხომ არ შეიშალა!

მ ა რ ი ხ ი. მართლაცდა, რა დაგემართა, ნინელი?!

ეკა. ამ წუთას ჩაიცვი!

ნინელი (იატაკის ჩვარს დასწვდა, აიღო). ახლავე, მოიცათ, რა გეჩქარებათ, ახლავე...

ეკა. ხომ გესმის, მაკას იქ რეცხვა არ დაუწყო,

მ ი ტ უ ა შენი კი ჭირიმე, გოგო, რა კარგადა ჰქენი, როგორა გააცუ-
ცურაკე, კაცო, (ეხვევა.) რა ძალა აქვს ამ დალოცვილ სიყვარულსა,
კაცო, განა მე? მენა რა ვარ, ჩემ გულისთვინა თავს ვინ შეიწუ-
ხებს, არა, განა არ ვიცი? სიყვარულისთვის, სიყვარულისთვის, ისე
შველა შენცა და შენს მიტუასაცა.

ნ ი ნ ე ლ ი (ლოგინზე დაგდებულ ვაჟს ჩემოდანს უყურებს). ვაიმე, მიტუა.
რა მეშველება!

მ ი ტ უ ა. თუ გეშველება, არა? აწი გეშველება.

ნ ი ნ ე ლ ი. ისინი ისევ აქ მოვლენ.

მ ი ტ უ ა. მოვლენ და მოვიდნენ, გგონია შენს მიტუასა, რა, მართლა,
ისე უჭირს, რომ სტუმარს ვერ დახვდეს?!

ნ ი ნ ე ლ ი. ვაიმე, რა ვქნა?

მ ი ტ უ ა. მოვიდნენ რა, მოყვრულად მივიღებ, ჭერში ქუდს ავაგდებ;
კაცო!

ნ ი ნ ე ლ ი. მოვლენ და წამიყვანენ, არ დამტოვებენ!

მ ი ტ უ ა. რათა, კაცო, რათა რა, შენ შენი თავი არ გეკუთვნის, რო...

ნ ი ნ ე ლ ი. არ ვიცი, მიტუა.

მ ი ტ უ ა. ახლა რა, შენ თუ არ გინდა: შენ თუ არა, მაშინ ვერც მი-
ტუა და ვერც მთელი სოფელი, და ვერცა... შენ თუ არ გინდა...

ნ ი ნ ე ლ ი. მე რა ვიცი რა მინდა, მე მათთან ვიყავი მთელი სიცოცხ-
ლე და ახლა რა ღვთის წყრომა მჭირს, რომ არ ვიცი...

მ ი ტ უ ა. სიყვარული გჭირს, კაცო, არ გითხარი?!

ნ ი ნ ე ლ ი. რა ვქნა, რომ არ დამტოვებენ... მეც მათთან მინდა ვიყო
და ფეხი კი ვერ გადამიდგამს. ვაიმე, არ დამტოვებენ!

მ ი ტ უ ა (გაჯავრებული). რათა, კაცო, რათ არ დაგტოვებენ, რაო, უწ-
ლოვანი ხარო, თუ... აგერ წამოდი ჩემთანა, წამოდი... ოღონდ
შენი ფეხითა, (ხელს არ ახლებს.) ოღონდ კი შენი ფეხითა... (ნინელი
კარამდე მიპყვება.) შენი ფეხითა, თორემ მე შენი ზიდვა კი არ მი-
ჭირს!

ნ ი ნ ე ლ ი. არა, ახლა არა, ისინი მოვლენ და აქ უნდა დავხვდე.

(ბრუნდება უკან და ჯდება საწოლზე.)

მ ი ტ უ ა. კაცო, ჩემი ნება არაა, საცა წავალ?

ნ ი ნ ე ლ ი. არა, მიტუა, ჩემი ნება როგორაა, ისინი ჩემთვის დედმა-
მიშვილებივითაა, დებია, დებზე უკეთესი.

მ ი ტ უ ა. კი, შე მამაკაცანათლებულო, განა მე ვამბობ რო მტრებია-
მეთქი? მაგრამა ამიტომ კაბის კუდზე უნდა გამოგიბან?

ნ ი ნ ე ლ ი. არ ვიცი რა ვქნა, არაფერი ვიცი.

მ ი ტ უ ა. მე ვიცი, ადექი და წამოდი, წამოდი, მაგრამ შენი ფეხითა, მერე მე ვიცი, ოღონდ შენი ფეხითა და მერე მიტუასა ჰკითხონ.

ნ ი ნ ე ლ ი. არა, შენ ჩვენს საქმეში რა გინდა, შენ არაფერში გაერიო, მიტუა, ხმა არ ამოიღო.

მ ი ტ უ ა. მაშინ შენ ამოიღე.

ნ ი ნ ე ლ ი. რა ვთქვა, მთელი ცხოვრება ერთად გავატარეთ, მაგათზე ახლოველი არავინა მყოლია, მუდამ მაგათთან ყოფნა იყო ჩემი სიხარული და სიცოცხლე. ეს რა ვქენი, დღეს რა დამემართა? არა, არ შემიძლია, იმათ გარეშე როგორ უნდა გავძლო, ვისთან უნდა გავძლო?!.

მ ი ტ უ ა. ჩვენთანა, კაცო.

ნ ი ნ ე ლ ი. შენ, შენ, მიტუა, მაგრამ... არა, არა, შენ ვინა ხარ, რა ხარ ჩემთვის?..

მ ი ტ უ ა. კაცი ვარ, კაცო.

ნ ი ნ ე ლ ი. არა, არ შემიძლია, მოვლენ, ახლავე მოვლენ და ხვალ მეც თან წავყვები.

მ ი ტ უ ა. წაყვები?

ნ ი ნ ე ლ ი. აბა რა ვქნა, მიტუა, აქ რა ვაკეთო, აქ რა მინდა?..

(ბოისმის ეკას ხმა: ჩქარა ჰქენით, ფეხი გამოადგით, მ ა რ გ ო, ტყეში ნუ იხედები!)

ნ ი ნ ე ლ ი. ვაიმე, გადი, მიტუა, გადი, აქ არ დაგინახონ, თორემ სულ თმით მათრევენ... ვაიმე, ეს რა მომივიდა... გადი და რაც არ უნდა მოხდეს, ხმა არ ამოიღო.

მ ი ტ უ ა (ეხვევა). ვახ, შენს გულდათუთქულ მიტუასა!.. (ნინელის ხელს იღებს და პირზე იფარებს.) რაც გითხრა ისა ჰქენი და წავალ.

ნ ი ნ ე ლ ი. რა ვქნა, მითხარი, ჩქარა მითხარი!

მ ი ტ უ ა. რა და, ამ ორი თითითა (თან თითებზე ჰკოცნის.) ცხვირი დამიკეტე.

ნ ი ნ ე ლ ი. ცხვირი როგორ დაგიკეტო, ჩქარა ჰქენი, მოდიან.

მ ი ტ უ ა. როგორ და ცხვირზე მომიჭირე, ხელი კიდევ... ხელის გული პირზე ამაფარე.

ნ ი ნ ე ლ ი. რატომ, რა დროს ეგაა? (ნინელი მიტუას ცხვირ-პირზე ხელს აფარებს.)

მ ი ტ უ ა. მაგრა! (ლ ი უკვრს.) ეგ რაა, ძალიან მაგრათა, კაცო, რო არ ... ჰაერი არ მამცე.

ნ ი ნ ე ლ ი. რას ამბობ, ჰაერი არ მომცეო?! (მიტუას პირი ამოკეტილი აქვს და ხელით ანიშნებს. მაგრად მომიჭირეო.) ვაიმე, გაიგუდება! ეგ ჩემი ცოდვით სავსე. (უნდა ხელი მოაცილოს, მიტუა უჭერს მის ხელს და პირიდან არ იშორებს.) ვაიმე! (ნინელი ფიქრობს, რომ ხელი გამოჭყლიტოს.) გაიგუდება! უჰაეროდ როგორ გაძლებ, რას შვრები?!.

მ ი ტ უ ა (დაანება ხელი ნინელის). ვერ გაძლებ?

ნ ი ნ ე ლ ი. ჩემი ხელით იხრჩობ თავს?

მ ი ტ უ ა. ვერ გაძლებო, შენ არა თქვი?

ნ ი ნ ე ლ ი. რა ჩემი თქმა გინდა, შენ არ იცი?

მ ი ტ უ ა. მე რომ ვიცი, მინდოდა შენცა გცოდნოდა, რომ ამბობ, მეც მათთანა წავალო, არა, მე კიდევ გეუბნები, წადი, შენი ხებაა, მაგრამ, მიტუას რას უპირებ, თვითონ არა თქვი უჰაეროთა ვერ გაძლებო?

გარედან ისმის ფეხის ხმა.

ნ ი ნ ე ლ ი. შენი ჭირიმე, მიტუა, წადი აქედან!

მ ი ტ უ ა (ტიხრის კარს აღებს და მკერდზე მჯიღს იცემს). ვაგლახ, შენს ფულდაკოდილ მიტუასა!..

ნ ი ნ ე ლ ი ს ძალით გაპყავს, კარს კეტავს და საწოლსე ეცემა. ეკა ყველას შემორეკავს და შემოდის. გაოცებული მიშტერებიან საწოლზე დამხობილ ნინელის.

ს უ რ ა თ ი მ ე ე ქ ვ ს ე

იგივე დეკორაცია. საწოლზე, კედელზე პირმიქცეული, ნინელი წევს. სხვები ჩაცმული არიან. ეინ სად მიმჯდარა, თუ წამოწოლილა. მძიმე დუმილია. ეინ ხვნეშის, ეინ ოხრავს, ნ ი ნ ე ლ ი ს სიბრალულით თუ შურით გადახედავენ.

ე კ ა (დგება და ოთახში ბოლთას სცემს, მერე ყველას ცალ-ცალკე უცქერის). ამოიღეთ ხმა! (პაუზა) ხმა ამოიღეთ! რამ ჩაგიგდოთ ენა?! (ისევ პაუზა.) ამ ერთმა ტურტლიანმა ყაძახმა ისე როგორ დაგიბნიათ თავგზა, რომ ყველა დამუნჯდით?

მ ა რ ი ხ ი. ტურტლიანი უძახე შენ! ის, რაც ბარე ორმა ვერ შესძლო, მიტუამ ერთი ხელის მოსმით გააკეთა.

ე კ ა. იმ რეგვენის სახელი არ ახსენო აქ!

მ ა რ ი ხ ი. მით უარესი ჩვენთვის, თუ რეკვენად ჩავთვლით, ჩვენი დიდი მეგობრობისა და სიყვარულის ხუხულა ერთი სულის შებერვით დაანგრია.

ე კ ა. რა დაანგრია, ვინ დაანგრია?!

მარიხი. იმ კაცს ყველა მამაკაცური ღირსება აღმოაჩნდა...

მარგო (თითქოს თავისთვის). ალბათ, თორემ ახლა ჩვენი ცდუნება ისევე ძნელია, როგორც კახპის გაპატიოსნება.

ეოზე. სულ დავკარგეთ თავმოყვარეობა, თუ რა გვჭირს?

ია. რაა ეს კაცი ამისთანა? თქვენი ჭირიმე, ვერაფერი გამიგია!

ეკა. არავითარი თავმოყვარეობა არ დაგვიკარგავს და არაფერი ხუხულა არ დაგვსგრევია.

ია. მე რომ მკითხოთ, თავი სიზმარში მგონია, ვერც კი დამიჯერებია.

ეკა. რაა აქ დასაჯერებელი?!

ეოზე. არც კი გვეკადრება ამაზე ლაპარაკი!

მარიხი. თუ არ გჯერათ და არ გეკადრებათ...

ეკა. რაო, შენ გჯერა?

მარგო (თავისთვის). „და ყველაფერი უფრო ნაზდება, როცა ახლოა მზე შემოდგომის".

მარიხი. თუ არ გვჯერა და არ გვეკადრება, აგერაა ნინელი, უთხარით წამოხტეს, ჩაიცვას და წავიდეთ...

მარგო. როგორც ამას ყოველთვის აკეთებდა.

ია. ჩვენ ყოველთვის ვაკეთებდით იმას, რაც ყველას გვსურდა.

მარიხი. ჩვენს გასაკეთებელსაც ნინელი აკეთებდა.

ეკა. მერე რა არის აქ ცუდი, ნინელი თუ ჩვენზე უკეთესი მეგობარი იყო. ჩვენზე გულისხმიერი და ერთგული...

მარიხი. როგორც ჩანს, ბუნების წინააღმდეგ ყოფილა...

ეკა. რაა ბუნების წინააღმდეგ — მეგობრები, დები და ადამიანები?

მარიხი. არა, ეს ბუნებრივია, მაგრამ ყველაფერი რომ მეგობარს მისცე...

მარგო. ყველას თავისი წილი ეკუთვნის და ერთისა მეორისთვის არამია.

ეკა. მაშ მიტუას უფრო მეტი წილი ეკუთვნის?

ია. მარგო, ხომ იცი როგორ მიყვარხარ და მჯერა შენი, მაგრამ ეს რა სათქმელია.

ეოზე. მე და მიტუა!.. და ჩვენს შორის რომელი რომელს?!

მარგო. ასეთი ყოფილა ბუნების რკინის კანონი.

მარიხი. ვერ ვიტყვი, რომ მეც არ ვთვლიდე თავს შეურაცხყოფილად, მაგრამ რას იზამ, მოიკალი თავი.

ეოზე. მე და მიტუა!

მარიხი. შენ და მიტუა კი არა, ჩვენ და მიტუა.

მ ა რ გ ო. ჩვენ, ექვსი ქალიდა მიტუა კი არა, ერთი მამაკაცი.

ი ა. ახლა მამაკაცი, კი მაგრამ...

ე კ ა. რა გინდათ ამით თქვათ? გაჩუმდით (ნინელის). ადექი, გოგო, და ჩაიცვი.

ი ა. ჯობია სადგურში დაველოდოთ მატარებელს.

ქ ო ზ ე. აქ რომ ვარ, თავი საპყრობილეში მგონია, სული მეხუთება.

ი ა. ჩვენ ხომ არ წავსულიყავით!

ე კ ა. ფეხი არავინ გაადგას! ქოზე საპყრობილეშია და სული ეხუთება, იას სადგურში ურჩევნია, ვინმე ნაცნობს ნახავს და ენას მოიფხანს, მარიხი ბუნების წინააღმდეგ ვერ წავა, მარგო თავს დამცირებულად თვლის, რაკი ქალია და არა მამაკაცი... არა, ჩვენ ერთად მოვედით და ერთად წავალთ. ნინელი!

ი ა. მე ის კი არ მითქვამს, მარტო მივდივარ-მეთქი, ნინელი, თუ და ხარ, ნუ გაგვაწვალე.

ქ ო ზ ე. ნინელი!

ე კ ა (მარიხს და მარგოს). ამოიღეთ ხმა!

მ ა რ ი ხ ი. ნინელი, გადმობრუნდი, გოგო!

ი ა. ნინელი!

ქ ო ზ ე. რა მოხდა შენს თავს, ნინელი?

ე კ ა. ნინელი!

მ ა რ ი ხ ი. ნინელი!

ე კ ა. ახლავე ადექი და ჩაიცვი, ახლავე-მეთქი!

ქ ო ზ ე. ეს თუ ასე ვაჯიუტდა, დღესაც დაგვაკვიანებს.

ი ა. გვნაცვალეთ, ათასი საქმე მაქვს, აქ კი ვერ დაგიჯდებით... ადექი, ნინელი, ბოლოს და ბოლოს.

მ ა რ ი ხ ი. ნინელი!

მ ა რ გ ო. ნინელი!

ე კ ა (მიხვდა, ასე ბრძანებით უფრო გავაჯიუტებთო და ლაუღავა). ჯერ ხმას არ იღებდით, ახლა ყველა რომ დაადექით თავზე და დაპყვირით, რა მოხდა? ეს ამ დღეებში მართლა უქეიფოდ იყო, გუშინაც არ შეეძლო, ჩვენ კი მივდექით და რა არ დავწამეთ. იქნებ დღესაც შეუძლოდაა? (შუბლზე ხელს ადებს.) სიცხე არა აქვს, მაგრამ მაინცდამაინც სიცხე უნდა გქონდეს, რომ ავად იყო?!

ი ა (საწოლზე ჩამოუჯდა). ნინელი, ჩემო დაია, მართლა ხომ არაფერი გიჭირს?

ეოზე. ნინელი, თქვი, თუ უქეიფოდ ხარ? რა მოხდა მერე, შენთვის, თუ საჭირო იქნება, მართლა საპყრობილეში გაეძლებ.

ბარიხი. ხელში აყვანილს წაგიყვანთ, თუ მარტო ავადმყოფობაა შენი აქ დარჩენის მიზეზი.

მარგო (თავისთვის). თუ ავადმყოფობაა, კი...
„ვწევარ, ქუჩებში სხვები დადიან
და როგორც ლექსი, ცა მარადია“.

ეკა. როგორმე შეძელი და ადექი, ნინელი.

ია. ნინელი, შენი ჭირიმე!..

ეოზე (ხვეწნით). ნინელ!

ია (ბრაზმორეული). შენ გენაცვალე, ნინელი, ჩვენო დაია, და დაზე უკეთესო, დედასავით მოსიყვარულე და მზრუნველო, ნინელ!

მარიხი. ნინელის ოდენა სიყვარული ჩვენ არც ერთს არ შეგვიძლია.

მარგო. ნინელი ბუნებასთან ყველაზე ახლოს არის და მისი სიყვარულიც ბუნებრივია.

ეკა. და ამ ჩვენს მართალ სიყვარულს ჩვენ რომ ვუღალატოთ, ნინელი არ უღალატებს, ნინელი, ადექი!

ია. გენაცვალოს ია თავი!

მარიხი. მართლაც, ადექი, რა მოხდა?!

ეოზე. ნუ გაგვაწამე, ნინელი, რაა, შე ქალო!

ეკა (მოთმინების ფიალა აევსო). ნინელი!

მარგო. ნინელი ჩვენთანაც მართალია და თავის თავთანაც.

ეკა. რაა მართალი?! (გაბრაზებული.) ადგეს ზევით, თქვენ თუ გგონიათ ჩემი თავი მე მეკუთვნის, ან თქვენი თქვენ, ჩვენ ყველა ერთი ვართ, მთლიანი და თითოეული ნაწილი ამ მთლიანისა. ნინელ!

ეოზე. რაა, ბოლოს და ბოლოს, თავმოყვარეობა მაინც არა გაქვს?!

ია. მე მაინც გამიშვით, არ მოდის ეს ქალი და რა ვუყოთ ახლა.

ეკა. ეგ იქნება გაგიჟდა, შეიძლება ხვალ მე დავკარგო ჭკუა და უპატრონოდ მიმატოვებთ? (დაეცა ხელი, წამოაჯინა.) ჩაიცვი! (ნინელი ისევ საბანში ჩამალვას ცდილობს.) ჩაიცვი, დროა! სად მიძვრება?!

ია, მარიხ მომეშველეთ, ჩავაცვათ და წავიყვანოთ! (ძალით აცმევენ კაბას. ნინელი არ ნებდება.) მომეხმარეთ, ჩააცვით, არ დაუჯეროთ!

ნინელი (უცებ დადო ზავი). მაცალეთ, მაცალეთ და მე თვითონ... (იცვამს.)

ე კ ა. აცალეთ, კარგი, ეყოფა. ადამიანს მეგობარი ნუ მოუშალოს ღმერთმა და მეგობარს მეგობრის ხელი.

მ ა რ გ ო. „მეგობრისთვის მეგობარი"...

მ ა რ ი ხ ი. ჩვენც ჩვენს საქმეს მიეხედოთ.

ე კ ა. ახლავე ჩვენც მოვეწყოთ და გავუდგეთ გზას.

ნ ი ნ ე ლ ი იცვამს, მაგრამ ხელი არ ემორჩილება. ყველა თავისმა საქმემ გაიტაცა, ალაგებენ, ლოგინებს ასწორებენ, სარკესთან ტრიალებენ. ნინელი გაჩერდა... ყველა საქმეს მორჩა, მოიხედეს — ნ ი ნ ე ლ ი ისევ მოუმზადებელია.

ე ო ზ ე. ნინელი, გოგო!

ე კ ა. ამას კიდევ არ ჩაუცვამს?!

ი ა. ღმერთო, სული ამოიძაძერე, ნინელი!

მ ა რ ი ხ ი. მართლა, რა დაგემართა?!

ე კ ა. ამას თუ ვუყურეთ? (ეცა, მისცვივდნენ ია, ეოზე. მარიხმა პალტო ჩამოიღო, აცმევენ, ახურავენ...)

ნ ი ნ ე ლ ი. მოიცათ, მაცალეთ, მე თვითონ, ახლავე, მე... ახლავე...

თვითონ დაიწყო ჩაცმა. სხვებმა ხელი უშვეს, ისევ თავიანთ ბარგს მიუბრუნდნენ. ამასობაში ნინელი ადგა, ნელ-ნელა გაპყვა კედელს და, ყველას რომ ეგონა სარკესთან მიდისო, ტიხრის კარს ზურგით მიაწვა და მალულად გასაღებს გადაატრიალებს. გონზე ვერავინ მოვიდა, სანამ კარი არ გაღო. ის იყო უნდა გასულიყო, რომ ეკა გამოერკვა.

ს ა ბ ა (მივარდა. ხელში სელი სტაცა). ეს რა ამბავია?! (უკან შემოათრია და კარი მიხურა.)

ე ო ზ ე. ამას რას ხედავს ჩემი თვალები!

ი ა. ღმერთო, რატომ ვარ ცოცხალი!

მ ა რ ი ხ ი. ნინელი, მართლა და, რა დაგემართა, გოგო?

ბ ა რ გ ო. ნინელში ქალი, მიწა და სიცოცხლე ამბოხდა.

ე კ ა. აქ მოდით, ყველა აქ მოდით! (მიდის ყველა, გარდა მარგოსი, ნინელი საწოლთან მიპყავთ და აცმევენ.)

ნ ი ნ ე ლ ი. მაცალეთ, მე თვითონ, ახლავე...

ე კ ა. არ აცალოთ, აგერ ჯემპრი, აგერ პალტო.

ნ ი ნ ე ლ ი. მაცალეთ, (გაიწია.) გამიშვით!

ე ო ზ ე. სად გაგიშვათ?

ი ა. ნინელი, გენაცვალე, ჩაიცვი, ხელი, ხელი დამანებე!

ნ ი ნ ე ლ ი. გამიშვით!

ი ა. მარიხ, მომეხმარე, ხელი, ხელი გავაყრევინოთ!

ეკა. მარგო, რას უდგეხარ, მოდი ჩქარა, მოგვეშველე!

(მოდის მარგოც, ყველაფერი აირია.)

ეოზე. ეს ჩემი ხელია, მე მაცმევთ!

ია. რა ვიცი ვისია, რომელი ხელიც მომყვა...

ეკა. ვინაა, სვიტრი რომ ჩამომაცვა, მოიცათ, გამომახედვინეთ თვალში. (ამასობაში ნინელი გაძვრება ზედახორიდან და თითის წვერებზე მიიპარება, გადის ტიხრის კარში, იქიდან მიტუა მოეგებება, თავს შემოყოფს.)

მიტუა. ეგეც შენს მიტუასა, ვინა თქვა მეგობრითა არა, მეგობარიც, მოკეთეც, მოყვასიც, მაგრამ როგორც კაცი ქალითა, ისე ქალი კაცითა! (კარში გასაღებს აძრობს, მეორე მხრიდან მოარგებს.) ისემც ქალის სიყვარულში შველა ჰქონდეს მიტუასა... მაშა, კაცო...

გადის, მიხურავს კარს და შიგნიდან კეტავს, მიტუას ხმაზე ქალები გამოერკვევიან, ეკას სვიტრი აქვს ჩამოცმული თავზე, ეოზეს ნინელის ჯემპრში აქვს ხელი გაყრილი. ია პალტოზე ნინელის პალტო აცვია, მარიხს ნინელის კაბა უჭირავს, მარგო სახტად დარჩენილა. ნელ-ნელა ერკვევიან, ეკა სვიტს თავიდან იძრობს, ეოზე — ჯემპრს, ია — პალტოს, მარიხს კაბა ხელიდან უვარდება, სხვებიც იქვე ყრიან, დიდხანს გონს ვერავინ მოდის, მერე იღებენ თავ-თავიანთ ბარგს, უცქერიან ტიხრის კარს, ჯერ ია და ეოზე გადიან, მერე მარიხი და მარგო, ბოლოს დაღუპული გემის კაპიტანივით მიჰყვებათ ეკა.

ბუნტი საბუეში

პიესა ორ მოქმედებად

მოქმედი პირები

მალაქია ტურაგელიძე,	
პილასი,	ცოლი მისი.
მარია,	რეეოლუციონერი.
კოტე კიკნაძე,	თეთრგვარდიელი ოფიცერი.
ელენე,	თავადის ქალი.
კიმოთე,	შეძლებული გლები.
ანტიფო,	
სოლომონი,	} გლეხები, მალაქიას მეზობლები.
არქიფო,	

მოქმედება პირველი

სურათი პირველი

სცენა წარმოადგენს ოდა-სახლზე მოღობილ, ისლით დახურულ ფაცხას. ოდა ერთი არშინის სიმაღლე ქვითკირზე დგას და იატაკის ქვეშ შესასველელი პატარა ფიცრული კარი აქვს ლატანებული. ოდაში შესასვლელ ტიხარის კარს სამსაფეხურიანი ხის კიბე აქვს მიდგმული. ფაცხაში: ჩელტის ტახტი წამოსაწოლად, კერიასთან ჯორკოები, კედელზე პატარა თარო, თაროზე — ჭრაქი.

მიბეუტულ შუაცეცხლის პირას ხის მალაქია. მუხლებზე გაშლილი ქაღალდი უდევს და გაფაციცებით, რომ არავინ წაასწროს, თითს ადებს ყოველ ასოს და დიდი გულისყურით კითხულობს. ყოველი სიტყვის მერე ღრმად ჩაფიქრდება. ოდის კარს ფრთხილად აღებს პილასი, მაგრამ მალაქიას ფხიზელ სმენას არ გამოეპარება და ქაღალდს მაშინვე მალავს. შუაცეცხლს ქიქავს, უბერავს, ცოლს ყურადღებასაც არ აქცევს. პილასიმ კიბეზე ჩამოსვლა რომ დააპირა, ოდაში ბავშვები აღაელდნენ: — დედია, დედიკო, ბაბაია, დიალ! პილასიმ კარი მიხურა და ფაცხიდან ისე გავიდა, ვითომდა, ქმარი სულ არ დაენახოს. მალაქიამ უბიდან ამოუვალა ქაღალდი, ისევ განაგრძო ასო-ასო კითხვა და ღრმა ფიქრი. პილასი, ახლა, გარედან შემოიპარა; მალაქიამ მაინც დალანდა, ქაღალდი ისევ უბეში იტუცა. პილასის, ბოლოს და ბოლოს, გაუწყდა მოთმინების ძაფი და ქმარს ნამეტანი რიდითა და დამტკბარი ხმით, რამდენადაც ეს მას შეუძლია, მიმართა.

პ ი ლ ა ს ი. მალაქიას (მალაქია ცეცხლს უჩიჩხინებს და უბერავს.) მალაქიას (თავისთვის.) დამღუპა, ბატონო, ვიღაცამ. რა ქაღალდი გამოუგზავ-

ნეს ამისთანა?! (მალაქიას.) ჩემო მალაქია... (უფრო ახლოს მივიდა.) ბატონო, მალაქია!..

მ ა ლ ა ქ ი ა (თავი მაშინვე აიღო). მაშასადამე, პილასი, ვის უძახი შენ, „ბატონო მალაქიას!"

პ ი ლ ა ს ი. რავა, შე კაცო, არ უნდა დაგიძახო?

მ ა ლ ა ქ ი ა. ესე იგი, ვინაა ბატონი, ბატონი ვარ მე?!

პ ი ლ ა ს ი. არა მარა, რიდი მაქვს შენი, ჩემო მალაქია და ხანდახან ასეც გეძახი, პირველად გაიგონე, თუ?.. (თავისთვის.) დამღუპა, ბატონო, ვილაცამ!..

ნ ა ლ ა ქ ი ა. არავითარი... (უბეზე ხელი დაიდო.) მაშასადამე, შენ ვინ ვგონივარ?.. მე ამხანაგი ვარ... ესე იგი, ამხანაგი მალაქია და... (რიხით.) ბატონს მოუკვდა პატრონი!

პ ი ლ ა ს ი (თავისთვის). დამღუპა, ბატონო, ვილაცამ! ამისთანა რა ქაღალდი მიიღო? სულ ბატონების შიშსა და რიდს მიჩიჩინებდა... ახლა, ამხანაგოო... ბოვშები სიცივით მიწყდება, მალაქია, რა მეამხანაგება! შეშა დამიჩეხე, შეჭამანდი მაინც არაფერი გვაქვს, მარა სანამ ფქვილი არ გამოგვლევია, მჭადს მაინც გამოვაცხობ.

მ ა ლ ა ქ ი ა. — კი, მარა რატომ არ უნდა გქონდეს შენ... შენ... ესე იგი, შენც, ამხანაგო!

პ ი ლ ა ს ი (თავისთვის). დააქცია, ბატონო, ვილაცამ ჩემი ოჯახი. „შენც ამხანაგოო!" (მალაქიას.) კი მარა, ჩემო მალაქია, შენ მე ვინ გგონივარ?

მ ა ლ ა ქ ი ა (დაფიქრდება, ქაღალდის ამოღებაც კი დააპირა, მაგრამ გაახსენდა, რომ ეს საიდუმლოა). კი, მე თუ ამხანაგი და ერთობა ვარ...

პ ი ლ ა ს ი: დამღუპა, ბატონო, დამღუპა!.. შენ, ერთობა კი არა, მალაქიე ხარ!

მ ა ლ ა ქ ი ა. მაშინ, გეტყვი... მარტო ერთობა კი არა, უარესი — რევოლუცია ვარ!

პ ი ლ ა ს ი. კი მარა, მალაქიე ტურაბელიძე ვილანაა, კაცო?!

მ ა ლ ა ქ ი ა (თავის საფიქრალი აწუხებს). მაშასადამე, მე, თუ მალაქიე არა ვარ და ერთობა და რევოლუცია ვარ, რატომაა, პილასი, შენი და ჩემი შვილები უშეჭამანდოთ და მალე მჭადიც უნდა გამოელიოთ?..

პ ი ლ ა ს ი (გაწიწმატდა). დიდუ! მე, რავა, ჩუმათ შევჭამე, თუ?!

მ ა ლ ა ქ ი ა. არ შეგიჭამია!

პ ი ლ ა ს ი. რა გაგაჩდა, რაღაცა ორი ურემი სიმიდი გერგო შენს წილობაზე, მიდღემჩი გეყოფოდა?

მ ა ლ ა ქ ი ა. რატო არ გამაჩნდა?

პ ი ლ ა ს ი (თავისთვის). რა ქალალდი მიიღო ამისთანა?.. (მალაქიას.) მე, რავა, გავყიდე და ფარჩა და შეიდიში შევიკერე, თუ? (კაბაზე დაიხედა). ესეც, მისმა სიკეთით სავსე გულმა იხაროს, აბალგაზრდა. თეთრ ქალბატონს რო არ ეჩუქებია, ამ მუხლზე თოელში, შიშველ-ტიტველს უნდა მეძუნძული.

მ ა ლ ა ქ ი ა. რატომ!

პ ი ლ ა ს ი. რატოო, კაცო! რა რატო, მალაქია!

მ ა ლ ა ქ ი ა. რატომ? ესე იგი, რატომ აქვს ქალბატონს და არა გაქვს შენ!

პ ი ლ ა ს ი (თავისთვის). დააქცია, ბატონო, ჩემი ისედაც დაქცეული ოჯახი... (მალაქიას.) შენი დღე და მოსწრება ყიფიანების მოჯამაგირეობაში გაატარე და ვერ გეიგე, რატო აქვს ბატონებს და ქალბატონებს და მე — გაჭირვებულ პილასის არა?!

მ ა ლ ა ქ ი ა. მე, ესე იგი, მოგცემ შენ ფარჩის კაბას და... კიდევ რომელი გინდა? ჰო, შეიდიშს.

პ ი ლ ა ს ი. გადამირია, ბატონო, ვილაცამ!.. მუხლზე შარვალი რო გაქვს გამოხეული და დასაკერებელი ვერაფერი ვიშოვე, თუ ფარჩა და შეიდიში გქონდა, სად იყავი, ტიტველი ხორცი რო ვიჩანს?

მ ა ლ ა ქ ი ა. მაშასადამე, მე კი არა მაქვს!..

პ ი ლ ა ს ი. აპა, ვის ქონებას მაძლევ, კაცო, რა დაგემართა შენ!

მ ა ლ ა ქ ი ა მე, თუ ერთობა ვარ...

პ ი ლ ა ს ი. კი მარა, ერთობას სადა აქვს ფარჩის კაბა?

მ ა ლ ა ქ ი ა. მე, თუ რევოლუცია ვარ, მოგცემ.

პ ი ლ ა ს ი. ჩემო მალაქია, შენ თუ ერთობა ხარ, რევოლუცია თუ რაღაცა ხარ, ბოვშებს ნუ დამიწყვიტავ შიმშილით. ადი, ის რაღაცა ორი ღერი შეშაა, დამიჩეხე.

მ ა ლ ა ქ ი ა. მაშასადამე, ტყეში უნდა წავიდე.

პ ი ლ ა ს ი. სადა გაქვს, მალაქია, ტყე?!

მ ა ლ ა ქ ი ა. ეს ტყე, რაც ამ მთებზე და გორებზეა, ჩემია.

პ ი ლ ა ს ი. მალაქია! ბატონის უკითხავად ტყეს ღერი არ დააკლებიო, თვარა, ციმბირში გაგამწესებს, შე უბედურო, და რას ბიპირებ ამ ყინვაში, უშენოდ რა გამათბობს.

მ ა ლ ა ქ ი ა. ტყე და მიწა ჩემია!

პ ი ლ ა ს ი: — დამღუპა, ბატონო, ვილაცამ!.. ტყე კი არა, ჩვენს ბა-
რობაზე თიკანი არ დაპეტელობს.

მ ა ლ ა ქ ი ა (ნაჯახი აიღო). „შეშა გვინდა... ესე იგი, შეშა უნდა ერ-
თობას... და ტყე ერთობისაა!

პ ი ლ ა ს ი (გადაუდგა). მალაქია, რას ამბობ, ჩემო მალაქია! მე, მე
წავალ ბატონთან, ფეხებში ჩოუვარდები, გავახსენებ შენს იმ ნა-
მოჯამაგირალს, თუ მაინც უარი მითხრა, არ მინდა მისი შეწუხება,
მარა თეთრ ქალბატონს დოუჩოქებ, მამამისს ეტყვის... მალაქია,
არ მოჭრა უკითხავად!

მ ა ლ ა ქ ი ა. ბაშასადამე, ყველაფერი ჩემია!

პ ი ლ ა ს ი. დამღუპავს, ბატონო, ვილაცა იმ ქაღალდის გამომგზავნი,
უკაცოდ დამტოვებს და აწი მე ვიღა წამიყვანს... მალაქია, ძე
წავალ ბატონთან ამ დაქცევაში, ახალგაზრდა თეთრ ქალბატონს
შეეღმერთები და ხო იცი მისი გულის ამბავი, შენს ხელში
გაზდილა ის და მისი ძმა, მამამისს მოთხოვს ნებართვას.

მ ა ლ ა ქ ი ა. მისი ძმა...

პ ი ლ ა ს ი. ახალგაზრდა ბატონი... რავა თლათ გადაიკარგა, რაღაცა
„ბუნდოვჩიკიაო"...-ისიც კაი გულის ყოფილა, შენგან გამიგონია,
არც დაი და არც ძმა მამამისს არ გვანანო. ახალგაზრდა ბატონი
რო აქ იყოს, შენ ასე არ გაგიჭირვებდა, მალაქია.

მ ა ლ ა ქ ი ა. ასალგაზრდა... ამხანაგი ვანო...

პ ი ლ ა ს ი. რა შენი ამხანაგია, მალაქია, ბატონის შვილი?!

მ ა ლ ა ქ ი ა. ამხანაგი ვანო და... ესე იგი, მისი გამოგზავნილია...
„სულ ერთია, როგორც მე, ისე ისო... გინდა მე ვიყო, ისე ენდეო".

(უბეზე ხელს იდებს.)

პ ი ლ ა ს ი. დამღუპა, ბატონო, ვილაცამ. მალაქია, სიცხე ხო არა
გაქვს? (შუბლზე ხელს აიდებს.) არა, შე უბედურო, სულ გაგიეფია
წუბლი ამ დაფშუტულ კერიასთან. (უბეზე უჩვენებს.) მაგი, რაღაცა
ოხრობაა, აგერ შეაგდე ცეცხლში და დაწვი. ჩვენ გვეყოფა უქონ-
ლობა და მაგი უქკუობასაც დაგვმართებს. ბატონის უკითხავად
ტყეში არ შეხვიდე, მაინც არეულია ქვეყანა, ბუნტს დაგაბრალე-
ბენ, გაგაციმბირებენ და ბამბაზიის პერანგი და საცვალი მაინც მეცვ-
ას, ამ გაგანია ზამთარში უშენოდ რა გამათბობს.

ადის კიბეზე, აღებს კარს, ბავშვები შემოღავლებენ: დედა, დედია, ბაბა, ბაბაია! გადის. მალაქია იღებს ნაჯახს და ისიც გადის. პაუზა. ფაცხის კარს მოიდგებიან ანტიფო და სოლომონი.

ანტიფო. მე ისე მომიხაროდა, მეგონა გაწყობილი სუფრა დამიხვდებოდა. აქ ერთი მუგუზალიც არაა, რომ ხელი გადაკითბო.

სოლომონი. იმიტომ დავდივართ ამ თოვლ-შვავში და დავეძებთ ერთობას, რომ არაფერი გაგვაჩნია. მოგეცა ლხენა, ახლა გაღუღუნებულ ბუხართან გაწყობილ სუფრას რო ეუჯდე, ერთობაც მე ვიქნები, ბატონიც და პატრონიც.

ანტიფო. არაფერ საიმედოს არ ვხედავ მე ამ ერთობაში, ვლეხკაცის საშველი არ ყოფილა და არც იქნება.

სოლომონი. კი, გაკვთების და აშენების იმედი არც მე მაქვს, მაგრამ ამთავითვე ერთობის მომხრე ვარ. ამდენი ტიტველი ერთმანეთს რომ ჩავეხუტოთ, თუ არ გავძღებით, სიცივე მაინც არ დაგვაზრობს.

ანტიფო. მაგი მაშინ იქნება კარგი, ჩვენთან ბატონებიც რომ იყონ, ყიფიანის თეთრ ქალბატონს რომ ჩამახუტა, თორემ მალაქიას პილასის, ცეცხლზე მიფიცხებული წვიანები ისე აქვს შეტრუსული, ხელი რომ დაუსვა ტყავი გადაძვრება.

სოლომონი: — კი, მარა, არავინ გაგიგონოს, საღაა ეს მალაქია ამ დაქცევაში!

ანტიფო. თუ იქითობას გამოგიარა, აქეთობას რატო აგიქცია გვერდი?

სოლომონი. ჩამოიარა, დაღლილი იყო.

ანტიფო. თავდაღმართში დაიღალა და აქეთობას, აღმართში არ დაიღალა? რა ამბავი გაიგო, თუ იცი! მერე და, გამოგიარო, ხომ გითხრა!

სოლომონი. თქმით კი მითხრა.

ანტიფო. რაო, ვინ მიბარებსო?

სოლომონი. არაფერი არ ვიცი. ბატონის მოჯამაგირეებმა შემომითვალეს, უსიკვდილოდ ჩამოდიო. ამოვიარ და ყველაფერს კაკალ-კაკალ მოგიყვებიო.

ანტიფო. სულ ეს იყო?

სოლომონი. კი, ეს იყო და ეს. ამის მერე მომექცა თვალები, მიწის ქვეშ გაძვრა თუ გადმოფრინდა — არ ვიცი. უკან დაბრუნებული არ დამინახავს. ნამეტანი არეულია ქვეყანა.

ანტიფო. საიდან მოიარა ამ კაცმა. ერთ თვეზე მეტია, ამ სოფლიდან, იმ ერთადერთი ბილიკითაც, არ გასულა კაცი შვილი და მალაქია საიდან დადის, ან ამისთანა რა საიდუმლო მოაქვს, რომ ორღობეში გავლის ეშინია?

სოლომონი. ალბათ, თვითონაც გამოჩნდება და გვეტყვის.

ანტიფო. დაკარგე ჭკუა? თქმა რო ნდომებოდა, რავა, აქ პურღვინო უფუჭდებოდა და იმიტომ არ გამოიარა, თუ? რაღაცა, ნამეტანი საიდუმლო ამბავი ჭირს მაგ უბედურს!

სოლომონი. აპა, რომ მოვიდეს, არ გვეტყვის?

ანტიფო. რას გეტყვის, კაცი, თუ თქმა უნდოდა მიწას კი არ გაითხრიდა და არ დაგვემალებოდა. რაღაცა უბედურება ამბავია, იცოდე შენ! რადა, გეტყვი, დიდი არეულობაა, თურმე ქვევით. (შორიდან მოისმის ხევში მიმავალი მატარებლის ყრუ გრუხუნი.) ეს მატარებლებიც ისე დაგრიხინებენ, აღარც წესი ეტყობა და აღარც რიგი.

სოლომონი. მერე, მალაქიამ იცის რამე და გვიმალავს?! შეარცხვინა ღმერთმა!

ანტიფო. იცოდე შენ, სოლო, ამ არეულ და ანდღლეულ წყალში მალაქიე რაღაცა ღლავსაა ჩაფრენილი. ეტყობა, ეს ღლავი, ჯერ-ჯერობით, თავის ჭკუაზე დააშლიგინებს.

სოლომონი. მერე, ჩვენ მოგვიხმაროს, აგერ არა ვართ?

ანტიფო. ჩვენი მოხმარება არ უნდა, რომ მერე წილი არ მოვთხოვოთ.

სოლომონი. კი? შეარცხვინა ღმერთმა მაგისთანა ერთობაც და მალაქიეც!

ანტიფო. ხომ გაქვს გაგონილი, კიმოთე ობოლაძემ იცის თქმა: ჩემს ძმებს რო ვეყრებოდი, ერთი მუთაქა რაღაც ისე დარჩა, წილში არ შევიდა და ერთმანეთისათვის რო არ დაგვეტოვებია, რვა ძმამ რვად გავეჭერით და, ისე დავაქიაქეთ, საკერებლადაც არ გამოდგებოდაო.

სოლომონი. კი, მარა შენ რავა გგონია, უკვირს კიმოთეს, ბარში რაღაცა ერთობა მოუგონიათ და მაგიდან ისე დარჩება რამე სასიკეთო, რავარც შარშანდელი თოვლიდან დარჩაო.

ანტიფო. ამ მთაში, ღმერთისაგან და კაცისაგან მიტოვებულ ჩვენ სოფელ საბუეში, თუ ვინმეს ჭკუა ეკითხება, კიმოთე ობოლაძეს

ეკითხება. (გაიბადრა.) ეუჰ, რა პირდაფჩენილი ხაჭაპური იცის მისმა ცოლმა, ფედოსიამ!

სოლომონი. კი, ხაჭაპური ღმერთმა მოგცეს, კარგი რამე იცის, (ტუჩები გაილოკა.) მარა, კიმოთეს ყველაფერი კი არ დაეჯერება.

ანტიფო. არ მითხრა! (თითქოს ახლაც წინ უდევსო.) ამ ხაჭაპურის ნაჭამი კაცი, მთლად გიჟი რომ ყოფილიყო, ბრძენად გადაიქცეოდა.

სოლომონი. არა, მე მაინც მგონია მალაქიე ჩვენია, ჩვენსაკით ღატაკია და არ გაგვწირავს.

ანტიფო. ჩვენ ღმერთმა მაშინ გაგვწირა, როცა გაგვაღატაკა და ახლა მალაქიე, ჩვენისთანა წყალწაღებული, გადაგვარჩენს?

სოლომონი (თავში ხელი შემოიკრა). ამდენი ხანია აგერ რომ ვყურყუტობთ, ამასობაში პილასისათვის რომ გვეკითხა?

ანტიფო. მალაქიამ ჩვენზე უკეთ არ იცის თავისი ცოლის ამბავი? არ ეტყოდა.

სოლომონი. რაა ისეთი, რომ ცოლს არ ეტყოდა?

ანტიფო. შე კაცო, ცოლისთვის რომ ეთქვა, ჩვენ, ამ მუხლამდე თოკლში, აქ ამოსვლა არ დაგვჭირდებოდა.

სოლომონი. კი, მართალია, ქალს ენაზე რა დაამაგრებდა.

ანტიფო. ღმერთი მარტო მაგისთვის არ იყო საწყალესელი, ქალი რომ გააჩინა. (პილასიმ კარი ღრიჭოდ შემოაღო.) პილასის ვახლავარ, პილასის!

სოლომონი. პილასის ვაუმარჯოს! უკითხავად შემოგიცვიედით ოჯახში.

პილასი. ბრძანდებოდეთ, ბრძანდებოდეთ, მარა მალაქიე რო არაა სახში.

სოლომონი. არ დაბრუნებულა, გუშინ ხევში რო წავიდა, თუ?

პილასი. რაება არა, მარა...

ანტიფო (სოლომონს). რაღაცას მალავს... ქალი რო საიდუმლოს შეინახავს, ქვეყნის დაქცევაა, იცოდე შენ! მობრძანდით, აქეთ, ქალბატონო პილასი, მობრძანდით, რაება გიკითხოთ? (ორიოდე ნაბიჯს აჩინჩხვარებს, უბერავს.)

პილასი. მალაქიე ამხანაგოს მიძახის, ამან — ქალბატონოო... (ციბეზე ჩამოდის.)

სოლომონი. „ამხანაგოს“ გეძახის, კი?!

ანტიფო. როდის აქეთია, რომ „ამხანაგოთი“ გემუსაიფება?

პ ი ლ ა ს ი (წამოცდა). დამღუპა, ბატონო, ვილაცამ... (ენას კბილი დააჭირა.) რაღაცა, დღეს კარგ ხასიათზე იყო... ხოა კაცი, ზოგჯერ, კაი გუნებაზე.

ა ნ ტ ი ფ ო. არის, მარა... კაცი რო კაი გუნებაზეა, მაშინ სხვანაირი ეშმაკობა იცის... და ეს, „ამხანაგო" რამ მოაგონა.

ს ო ლ ო მ ო ნ ი. ქვევით, ხევში რომ იყო, რა ამბავი ამოიტანა?

პ ი ლ ა ს ი. იქ... ხო... იყო, კი იყო...

ა ნ ტ ი ფ ო. და, რატომ იყო, არაფერი უთქვამს?

პ ი ლ ა ს ი. ისაო... (წამოცდა.) „ამხანაგი ვარო!" (ენას კბილი დააჭირა.) არა, ბატონს ნებართვა სთხოვა: იქნება ერთი ურემი შეშა მომაჭრევინოსო.

ს ო ლ ო მ ო ნ ი. მე მითხრა, მიბარებენო.

პ ი ლ ა ს ი (დაიბნა). ჰო, ასეც იყო, მარა... შეშა მომაჭრევინოსო...

ა ნ ტ ი ფ ო. ქალი რომ გაჩნდა, დედამიწისთვის მაშინვე უნდა დაგესხა ნავთი და დაგეწვა. (სოლომონს, პილასის გასაგონად.) შენ, მალაქიამ ხომ მიხი პირით გითხრა, დაბარებული ვარ, ამოვალ და კაკალ-კაკალ მოგიყვებიო?

პ ი ლ ა ს ი. აჰ, არ ეტყოდა, მე მიმალავს და ვის ეტყოდა!

ა ნ ტ ი ფ ო (სოლომონს). რაღაცა, ქვეყნის დაქცევის ამბავია, იცოდე შენ! (პილასის გასაგონად.) მარა, სოლომონს რო უთხრა, მეც ვიცი.

ს ო ლ ო მ ო ნ ი. არ ჯერავს, თუ? (მოიგლიჯა ქუდი და სოხანეზე დაანარცხა.) ასე დაიქცეს ჩემი ოჯახი, თუ არ ვთქვას.

პ ი ლ ა ს ი (შეურაცხყოფილი). აპა, მე მიმალავს?!. ამხანაგო, მიძახის და, მიმალავს? დამღუპა, ბატონო, ვილაცამ, ქაღალდი აქვს მიღებული, უბეში ინახავს და კითხულობს, კითხულობს და რიყის ქვასავითაა დამუნჯებული.

ა ნ ტ ი ფ ო. ე, არ ვთქვი?!.

ს ო ლ ო მ ო ნ ი. კი, შენ კი თქვი.

ა ნ ტ ი ფ ო (პილასის). მერე, მერე?

ს ო ლ ო მ ო ნ ი. მერე?

პ ი ლ ა ს ი. მერე და, მერე...

ს ო ლ ო მ ო ნ ი. მეტი არაფერი?

ა ნ ტ ი ფ ო. რიყის ქვასავით თუა? გადააბრუნე რიყის ქვა — ქვაა, გადმოაბრუნე — ქვაა.

ს ო ლ ო მ ო ნ ი. არა, მაინც, სულ არაფერიო?

ა ნ ტ ი ფ ო. ქალი მაინც ღვთისაგან შეჩვენებულია, რაღაცას, აჰ?..

პ ი ლ ა ს ი. დამღუპა, ბატონო, ვილაცამ... ამხანაგო!

ანტიფო. ეს, ქე თქვი.
პილასი. ბატონის პატრონიო...
სოლომონი. კიო!
ანტიფო. ეუუ!
პილასი. ა, დამლუპა იმ ქალალდის გამომგზავნმა, ხომ?
ანტიფო. ჯერ იმდენი არაფერია, მაგრამ თუ მაგნაირი კიდევ იცი რაიმე, მითხარი და მერე გეტყვი.
პილასი. ფარჩის კაბას და შეიდიშს მოგცემო.
ანტიფო. მასე თუ აქვს საქმე, ჩვენ დავლუპულვართ, თორემ, შენ და მალაქიას, მგონი, არაფერი გიჭირთ.
სოლომონი. ქე თქვი შენ, ხო იცი!
პილასი. არ დამლუპოთ, ეკაცოდ არ დამტოვოთ და გეტყვით. ეს, რაც ტყეაო...
სოლომონი. როველიო?
პილასი. ეს, სულ რაცაა.
ანტიფო. გალმა, გამოლმა. ალმა, დალმა?..
პილასი. ამ მთებზე და გორებზე, სულ ჩემიაო.
ანტიფო. ა, ღლავი, მე რო გითხარი!
სოლომონი. ქე თქვი შენ, კი.
ანტიფო. სულ ჩემიაო?!
პილასი. ჰო, მარა მე მალაქია არა ვარო. დამლუპა, მეზობლებო, ვიღაცამ?..
ანტიფო. ეუუ! ახლა კი მართლა დალუპულხარ, მონაწილე ვარ შენი მწუხარების.
სოლომონი. აბა, ვინ ვარო?
ანტიფო. ჰო, რას ამბობს, ვინ ვარო, არ ჰკითხე?
პილასი. ვკითხე... ერთობა ვარო.
ანტიფო. ვერ შეახსენე, რომ შენ, მალაქია ხარ, ტურაბელიძე-თქვა?
პილასი. კი, აპა, მაშინო, მითხრა, უარესს გეტყვიო... რევოლუცია ვარ და, რაც გაგიხარდება, იმას მოგცემო.
სოლომონი. მერე, შენ რაც გაგიხარდებოდა, ვერ გამოართვი?
ანტიფო. თუ, მე შენ გეტყვი, არაფერი გაკლია!
პილასი. ამდენი კი არ მომაგონდა...
ანტიფო. ქალის ჭკუა თხამ შეჭამაო, ამიტომაა ნათქვამი.
სოლომონი. აცალე, რალაცა უნდოდა ეთქვა.
პილასი. ის კი ვუთხარი, მაგ შარვალში ტიტველი ხორცი რო გი-

იმის დასაკერებელი არაფერი მაქვს და ამდენ ხანს სად იყავი-მეთქი.

სოლომონი. კი, კარგად უთქვამს.

ანტიფო. იმ ადგილის ჯილაგი გაწყდა, ჭკუა რომ არ შეეჭამა, ამისთანა აზრიანი ქალი სად იქნებოდა.

სოლომონი. ნეტარე, რაო?

პილასი. მე რა გამაჩნია, მალაქიე ვარო.

სოლომონი. ამისაგან რა გავიგოთ?!

ანტიფო. როცა აშენებას გპირდება, ერთობა ვარო და, როცა საქმე საქმეზე ბიდგება — მალაქიე? სიცხე ხომ არ ქონდა, თუ გაუსინჯე?

სოლომონი. ავად ხომ არ იყო, თუ იცი?

პილასი. არა, რიყის ქვასავით ცივი შუბლი ქონდა. დამლუპა, მეზობლებო, ვილაცამ!

ანტიფო. მაშინ, ჩემო პილასი, თუ მთლად არა, შენი წილი ქვეყანა მაინც დაქცეულა.

სოლომონი. ერთი, ის გამაგებინა, იმ ქალალდში რა სწერია!

პილასი. იქნება, თქვენ მაინც გითხრას. იწამეთ ღმერთი, ნუ დამლუპავთ, ამ გაგანია ზამთარში უკაცოდ ნუ დამტოვებთ... (შეშფოთებულმა და აფორიაქებულმა არ იცის რა გზას დაადგეს. დაბნეული და გოგნებული სოლომონი და ანტიფო ხან ერთმანეთს უყურებენ, ხან — თაევზაბნეულ პილასის.)

სურათი მეორე

ივივე დეკორაცია. ფაცხის კუთხეში დაკრილი შეშის გროვაა. გარედან ისმის ჩეხვის ხმა. ოდის კარიდან გამოდის პილასი, ისმის ბავშვების ღხავილი: „დედა, დედიკო, ბაბაია, დიაა“. კარი მიხურა. ფაცხაში ანთავინაა. მაშინვე თაროს მიეარდება, თან გარეთ აყურადებს. ჩამოიღო ოთხად გაკეცილი ქალალდი: დახედა, გადაბრუნა, გადმოაბრუნა, ვერაფერი გაუგო; დაყნოსა კიდეც. ნაჯახის ხმა შეწყდა. პილასიმ უცებ დადო ფურცელი და კიბეს მიაშურა, მაგრამ ისევ მოისმა ხმა. მობრუნდა, კიდევ დახედა ქალალდს და გაასწორა. გარეთ გაიხედა, ოდის იატაკქვეშ შეხასელელი პატარა კარი გამოაღო, დაკრილ შეშას აიღო და შიგ შეჰყარა.

პილასი. რა ამბავია, ბატონო ეს, რა ამბავი. ჩემმა მალაქიამ კი არ იცის ორნაქმარევი რო ვარ, რა არ მინახავს, რას არ მოვსწრებივარ და ამისთანა ბუნტი არ გამიგონია. რა ხდება, ბატონო, რა ხდება. იქცევა ქვეყანა და კაცი არაა პატრონი!

ფეხის ხმა მოესმა. მაშინვე მიხურა კარი და კიბეს აუყვა, ოდაში შევიდა. შემოდის მ ა ლ ა ქ ი ა. დაკრილი შეშა შემოაქვს და გროვაზე ყრის, გადის და ისევ ჩეხავს. გამოდის პ ი ლ ა ს ი, გამოსტირებენ ბავშვები. დახედავს თაროზე ქაღალდს, აკლებს მალაქიას შემოტანილ შეშას და იატაკქვეშ შეყრის.

— იღუპება, ბატონო, ქვეყანა!.. კი, იქცევა და გამკითხავი არავინაა. ბუნტია, ბატონო! მალაქიე ერთობას და რევოლუციას ეძახის, მე კი ვიცი, ბუნტია! რაც ეს ობრად და მუდრეგად დაალაჩენი ქაღალდი მიიღო, ჩემი მალაქიე არაფერს არ მიჯერის. მიჯერის კი არა, აღარაფერი ეყურება. არ ეყურება კი არა, ლოგინი რო ლოგინია...

ფეხის ხმა მოესმა, სარდაფის კარი მიხურა და ოდაში შევიდა. მალაქიამ შემოიტანა შეშა, დაყარა, გავიდა. ჩამოვიდა პილასი, ისევ აკლო შეშას და შეინაა.

— ლოგინი რო ლოგინია... აქ, მთაში ნამეტანი ცივი ზამთარი იცის და ჩემი კაცით მედგა სული, დულარესავით ყაძახი იყო! ახლა, რიყის ქვასავით აგდია საბანში. დამღუპა, ბატონო, ყიფიანმა დამღუპა! ეს კიდევ არაფერი, ჩამოვა ის კაცი და თლათ უნდა ავბუნტდეთო! შემოდექსე, ჩემი მალაქია, ერთი თვე შეშის დამზადებაზე იყო და ნამეტანი გამიჭირდა ეკაცოთ. დამღუპაენ. ბატონო, ბუნტში ვინმე მოგიკლავს ჩემს მალაქიას და ექვსი წვრილი შვილი ქალს მიხვევია... დამეკცევა ოჯახი...

მოულოდნელად შემოდის მალაქია, თუთუნს ქაღალდში ახვევს, ანერწყვებს. პილასმ უცებ მიხურა სარდაფის კარი და კვარს ზერგი შეაქცია. მალაქიამ მეგუზლით თუთუნს მოუკიდა.

მ ა ლ ა ქ ი ა. დედაკაცო, მაშასადამე, რას აკეთებ აქ! (პილასის ვერ მოუფიქრებია რა უპასუხოს.) მე, შენ, დაგითხოვე თუ არა, აქ, ამ: ადგილზე ფეხი არ დაადგა-თქვა!

პ ი ლ ა ს ი. ჩემო მალაქია...

მ ა ლ ა ქ ი ა. არა, გითხარი თუ არა!

პ ი ლ ა ს ი. კი მითხარი, ჩემო მალაქია.

მ ა ლ ა ქ ი ა. არა, რომ გითხარი, რამდენჯერ გითხარი.

პ ი ლ ა ს ი. არ დამითვლია, ჩემო...

მ ა ლ ა ქ ი ა. არ დაითვალე, თუ ვერ დაითვალე?.. (ჩაფიქრდა).

პ ი ლ ა ს ი (გაუხარდა, რომ გამოსავალი იპოვა). ვერ დავითვალე, ჩემო მალაქია.

მ ა ლ ა ქ ი ა (ჩაფიქრდა). ვერ დაითვალე... ესე იგი... მაშასადამე, რა გამოდის აქედან?.. (ძალიან ჩაღრმავდება.)

პ ი ლ ა ს ი. ასე ჩაფიქრდება, ჩაფიქრდება და ცივი რიყის ქვასავით გადაიქცევა.

მ ა ლ ა ქ ი ა. მე გეტყვი შენ, ამხანაგო პილასი, რა გამოდის აქედან.

პ ი ლ ა ს ი. ისევ ამხანაგოს მეძახის, დამღუპავს. ბატონო, ვილაცა!

მ ა ლ ა ქ ი ა. მაცალე და ახლავე გეტყვი... ვერ დაითვალე, მაშასადამე, აქედან გამოდის: შენ, თვლა და ანგარიში არ გცოდნია.

პ ი ლ ა ს ი. არ ვიცი, მალაქია, მაგი, ჩვენი ცარიგება რო ხდებოდა, ხო გითხრა მაჭანკალმა, უსწავლელი და ნაქმარეი ქალიაო?

მ ა ლ ა ქ ი ა. ესე იგი, თვლა არ იცი, ანგარიში არ იცი, წერა არ იცი, კითხვა არ იცი...

პ ი ლ ა ს ი. არა, ჩემო მალაქია, მარა მაკი, შენ, აქამდეც ხო კარგად იცოდი?

მ ა ლ ა ქ ი ა. ამხანაგო პილასი, შენ რავა გკონია, ვინ უნდა იყოს ამაში დამნაშავე?

პ ი ლ ა ს ი. ჩემო მალაქია, ჩემი ბრალი არაა...

მ ა ლ ა ქ ი ა. მაშასადამე, ესე იგი, ვისი ბრალია?! ვინაა დამნაშვე, რომ პილასიმ არ იცის თვლა?

პ ი ლ ა ს ი. ჩემო მალაქია, რას დაეძებ, შე მამაგანათლებულო, ვინცაა.

მ ა ლ ა ქ ი ა. მე გეტყვი, კუდიანივით ვიცი, ვინცაა დამნაშავე.

პ ი ლ ა ს ი. კაი, ახლა, მალაქია; ჯანდაბას, ვინცაა. მაგისთვის ნუ აბუნტდები და ქვეყანას ნუ ააბუნტებ, უშენოდ ნუ დამტოვებ.

მ ა ლ ა ქ ი ა. მე, ახლა, დამნაშავეს ისე ვხედავ, როგორც შენ გიყურებ.

პ ი ლ ა ს ი. საწყალ მამაჩემს სად ქონდა ჩვენი სწავლების თავი, მალაქია.

მ ა ლ ა ქ ი ა. არა, მამაშენი არა.

პ ი ლ ა ს ი. არც დედაჩემი...

მ ა ლ ა ქ ი ა. არც დედაშენი, არც მამაშენი,.. არც დედაშენი...

პ ი ლ ა ს ი. აპა, ვინაა რო დამღუპა და უსტაველი დამტოვა, თუ მართლა იცი, არ დამიმალო!

მ ა ლ ა ქ ი ა. ესე იგი, ვიცი და არ დაგიმალავ...

პ ი ლ ა ს ი. დედას გაფიცებ, დედის სულს...

მ ა ლ ა ქ ი ა. მაშასადამე, გეტყვი... მეფე!

პ ი ლ ა ს ი. რაო, მალაქია, რა თქვი?!

მ ა ლ ა ქ ი ა. წერა-კითხვა არ იცი თუ არა, მაშასადამე, ყრეც ხი. არა ხარ? დამნაშავეა მეფე!

პ ი ლ ა ს ი. დიდუფ! ვის დოუღუპივარ, ხედავ? მარა, მაგი ხო ჩამოაგდეს, იმ ბუმბულდაგებულ ტახტზე რო იჯდა.

მ ა ლ ა ქ ი ა. აპრუწუწნ მის საქმეს, მარა... ესე იგი, კიდევ უარესს გეტყვი, ერთი „რაზბოინიკი" ჩამოაგდეს, სხვა „რაზბოინიკი" დაჯდა.

პ ი ლ ა ს ი. დიდუ, მალაქია, ახლა რო დაჯდა, იმის ძვირი არ თქვა. მალაქია, თავადის ოჯახში იყავი შენი დღე და მოსწრება, იქ თვლაც ისწავლე, წერაც და კითხვაც. მე შენ, აბა, სად შემოგწვდები.

მ ა ლ ა ქ ი ა. უნდა შემოგწვდე, ამიტომ რომ... შენ „თანასწორი" ხარ.

პ ი ლ ა ს ი. ჩემო მალაქია, მე ვჯერდები ამ უთანასწორობას, ოღონდ...

მ ა ლ ა ქ ი ა. თვალები უნდა აგეხილოს. შენ ჯერ არ იცი, რომ ისეთივე მალაქიე ხარ, როგორიც მე, მაშასადამე... სწორი და ტოლი...

პ ი ლ ა ს ი. ჩემო მალაქია, მე პილასი ვარ.

მ ა ლ ა ქ ი ა. ესე იგი, მალაქიე ხარ!

პ ი ლ ა ს ი. დამღუპა, ბატონო, ვილაცამ! მე, მალაქიე ვარ?!

მ ა ლ ა ქ ი ა. მალაქიე ხარ, ისევე შეგიძლია... მაშასადამე, იმნაირად, როგორც მალაქიე... სწორი და ტოლი, როგორც მალაქიე...

პ ი ლ ა ს ი. მალაქია, მე პილასი ვარ და, ღმერთო, შენ დამართე უკაცობა, ვინც ჩემს ოჯახს უკაცოდ მიტოვებს!

მ ა ლ ა ქ ი ა. პილასი! აქ, ამ ფაცხაში, თავისი ფეხით მოვა რევოლუცია და შენ გასწავლის თვლას, წერას და კითხვას და... კიდევ ბევრ რაიმეს. ახლა კი წადი და იცოდე, აქ ფეხი არ დაადგა! მაშასადამე, შენ არ იცი თვლა, ესე იგი, რევოლუცია უნდა მოვიდეს... გასწავლოს და გავაცხოს თავი... შენ, სანამ არ მიცნობდი, არ იცოდი ვინ იყო მალაქია ტურაბელიძე. ახლა, იცნობ მალაქია ტურაბელიძეს თუ არა?

პ ი ლ ა ს ი. გიცნობ, ჩემო მალაქია, გიცნობ და რავარც სულ ვერ ველევი, ისე არ შემიძლია შენი გამეტება. (უნდა, რომ მოეფერეს.)

მ ა ლ ა ქ ი ა. პილასი, ასევე იქნება რევოლუცია, მიეჩვევი და ვერ შველევი.

პ ი ლ ა ს ი. იყოს თუ ასეა, მარა შენ რატო უნდა აბუნტდე, მალაქია.

მ ა ლ ა ქ ი ა. ესე იგი, რევოლუცია უნდა მოვიყვანო.

პ ი ლ ა ს ი. კი მარა, ჩემო მალაქია, ხო მოიწერა — მოვალო, მოდის ი კაცი და აცალე მოსვლა.

მ ა ლ ა ქ ი ა. რომ მოვა მერე უნდა ავბუნტდე.

პ ი ლ ა ს ი. თუ მოვიდა, მერე რისთვის ბუნტდები?!

მ ა ლ ა ქ ი ა. მაშასადამე, ვინ მოდის, რა გგონია შენ?

პ ი ლ ა ს ი. რევოლუციაო, არ ამბობ?

მ ა ლ ა ქ ი ა. რევოლუციონერი!

პ ი ლ ა ს ი. მაგი ხხვა კაცია, თუ?

მ ა ლ ა ქ ი ა. რევოლუციონერი რევოლუციის კაცია და იმ კაცმა და ჩვენ უნდა მოვიყვანოთ რევოლუცია!

პ ი ლ ა ს ი. მალაქია, მანდამაინც უნდა აბუნტდეთ?

მ ა ლ ა ქ ი ა. რევოლუცია, მაშასადამე, ეს არის დიდი ბუნტი!

პ ი ლ ა ს ი. ნუ დამღუპავთ, ბატონო, ისე წადით და შეეხვეწეთ, ჩამეკიდეს ი, მამაგანათლებული. რო აბუნტდებით, ხო იცი რა მოყვება მაგას და რო გაგაციმბირონ, ან რამე მოგწიონ, ჩემო მალაქია!..

მ ა ლ ა ქ ი ა. ესე იგი, ყველაფერი შეიძლება.

პ ი ლ ა ს ი. მღუპავს, ბატონო! რო მიასო ფეხი და უბუნტოთ არაფრით არ მოდის! მანდამაინც ისევ ჩემი დაქვრივება უნდა იმ, რევოლუციაა თუ ერთობაა?

გარედან ისმის ძახილი: ეი, მალაქია! ფაცხის კართან ვილაცა თოვლიან ფეხებს ირტყავს.

მ ა ლ ა ქ ი ა (ცოლს ანიშნებს). პილასი, არ დაგინახოს აქ ჩემმა თვალებმა! მაშასადამე, შენ ჯერ არა ხარ მომარაგებული და იცოდე, უბუნტოთ რევოლუცია არ მოვა!

კართან მიდის.

პ ი ლ ა ს ი. დიდი ჯიუტი ვილაცაა, ჩემო ბატონო, რაკი ქე მოდის, შევიდეს ბარემ. ი კაცი რი გამოკაზაკა, თვითონ წამოსულიყო, ამ ბუნტს მაინც გადავ[illegible] ...ოდით. დამღუპავს, ბატონო, უკაცოდ დამტოვებს, აწი მე ვილა წამიყვანს...

ბიდის. ისევ აღიგლეფიან ბავშვები. შემოდის ჯოხდაბიჯგებული კ ი მ ო თ ე.

ك ი მ ო თ ე. მალაქია, არ გაგიკვირდეს რომ მოვედი, შენ ფაცხაში რომ მსედავ.

მ ა ლ ა ქ ი ა. კიმოთე ობოლაძე, ესე იგი, მიკვირს და გამკვირვებია!

ك ი მ ო თ ე. გიკვირს, შე ღვთის გლახა, აბ! შენთან, ბიჭო, მე რა მინდოდა, მარა... გონია, ფუქდება წუთისოფელი... მარტო ამიტომ არ იკარგებს ეს ახალი დროება, რომ მე შენს საახლებლად გამიხდა საქმე.

მ ა ლ ა ქ ი ა. ამხანაგო კიმოთე ობოლაძე, მაშასადამე, შენ ჩემთან... შარშან რო ჩხუბი... არაკითარი დამნაშაკე არა ვარ.

ك ი მ ო თ ე. არა, კაცო... უკაცრავად, ამხანაგო ტურაბელიძე, ჩემი საქმე ისე ღმერთმა ნუ წაახდინოს, შენ ჩემთვის რაიმეს დაშავება შეგეძლოს. არა, ვინ გადანაშაულებს, ან ვინ რად გაგდებს, მარა, თურმე ღმერთი შენი ხელით წყალობას არიგებს და... დეიწყვა მისი სამართალი, იმას რო მართლა სიკეთე უნდოდეს, შენ არ აერჩიე, მე მკვდარი ვიყავი?

მ ა ლ ა ქ ი ა., კიმოთე, მე ღმერთმა კი არა, ვანო ყიფიანმა ამირჩია და, ესე იგი, იმან იცოდა ვინ უნდა აერჩია.

ك ი მ ო თ ე. იმიტომ მეპარება ეჭვი მის ჭკუაში და მის ზოგონილ ერთობაში...

მ ა ლ ა ქ ი ა. ასე გამოდის... (ჩაფიქრდება.) კიმოთე ობოლაძე, შენ არ ეკუთვნი რევოლუციას და ერთობას, მაშინ ვინ ემხრობა?

ك ი მ ო თ ე. მე, ჩემს მუცელს ვემხრობი.

მ ა ლ ა ქ ი ა. ესე იგი, თეთრების მხარეზე ხარ?

ك ი მ ო თ ე. ეს ჩემი მუცელი რატომ მაინცდამაინც თეთრია და არა წითელი?

მ ა ლ ა ქ ი ა. ესე იგი, გამაგებინე, ამხანაგო ობოლაძე!..

ك ი მ ო თ ე. ვისთან მომეცა საქმე?! მე, ამხანაგო ტურაბელიძე, ჩემი კუჭის მომხრე ვარ.

მ ა ლ ა ქ ი ა. მაშასადამე, შენ შენს მხარეზე ხარ.

ك ი მ ო თ ე. ჰო, შე გაჭირვებულო, ჩემს მხარეზე ვარ.

მ ა ლ ა ქ ი ა. მაშინ, აქედან გამომდინარე, წადი და შენს სახლში დაჯექი.

ك ი მ ო თ ე. კი დავჯდები, მაგრამ დამაყენებ?

მ ა ლ ა ქ ი ა (ჩაფიქრდება). აბ, არ დაგაყენებ?

ك ი მ ო თ ე. არ მაყენებ. მომისიე ცოლ-შვილი და ცოცხლად აუმვინებ ჩემს თავს.

მ ა ლ ა ქ ი ა. ესე იგი, მე გიშვები ამ საქმეს?!

კ ი მ ო თ ე. შენ, შენ მიშვრები და შენისთანები. არ მაყენებ, თუ არა, რა მინდოდა შენს ფაცხაში.

მ ა ლ ა ქ ი ა. აქედან ფამომდინარე... მე არ გაყენებ შენ შენს სახლში?

კ ი მ ო თ ე. მე, ჩემ თბილ კერიასთან არ მაყენებ. ამ დაქცევაში დამაკავებინე ჯოხი ხელში და ამაღოლე გზაზე.

მ ა ლ ა ქ ი ა. კაცო, მე გიქენი შენ ამისთანა საქმე? (ღრმად ჩაფიქრდება.)

კ ი მ ო თ ე. კი, შენ და შენისთანებმა. და, ეს რაა, შეიძლება უარესიც მიქნა, რაკი ქვეყანა გადაბრუნდა და, მგონი, შენ წინ უნდა მოექცე.

მ ა ლ ა ქ ი ა. მაშინ, თუ საქმე ისე წავიდა, როგორც შენ ამბობ, ამხანაგო კიმოთე, შეიძლება მე შენ უარესიც გიქნა.

კ ი მ ო თ ე. რას ერჩი, თავისი პირით ამბობს. ამას რომ მართლა ძალაუფლება მისცე, რა იცი, რას გიზამს.

მ ა ლ ა ქ ი ა. მარა, ესე იგი, გეტყვი... მაშინ, მე მალაქიე არ ვიქნები.

კ ი მ ო თ ე. არც ტურაბელიძე?

მ ა ლ ა ქ ი ა. არა, ამას შენ მალაქია ტურაბელიძე ვერ გიზამს, მე, შენ ორჯერ გყავარ გალახული.

კ ი მ ო თ ე. მაშინ, ყიფიანი ყოფილხარ!

მ ა ლ ა ქ ი ა. არც ყიფიანი. მე, მაშასადამე, რევოლუცია ვყოფილვარ და, თუ შენ შენი კუჭის მხარეზე ხარ, ესე იგი, ერთობის მხარეზე არა ხარ. ვინც ჩემს მხარეზე არაა, მე რომ რევოლუცია ვარ, ჩემი მტერია!

კ ი მ ო თ ე. რატომ მაინცდამაინც მტერი?

მ ა ლ ა ქ ი ა. მაშინ, ვინაა ჩემი მტერი და ვის ვებრძვი მე?

კ ი მ ო თ ე. შენ ებრძვი მტერს.

მ ა ლ ა ქ ი ა. მტერს რო ვებრძვი, მე რომ რევოლუცია ვარ, შენ ხელს მიშლი, ესე იგი, ფეხებში მედები და, აქედან გამომდინარე, თუ ფეხებში მედები, მე რომ ერთობა ვარ, შეიძლება გაგსრისო. რატომ მედები ფეხებში, ანაბრე შენს საქმეს!

კ ი მ ო თ ე. ვაი, შენ ჩემო დღეო?!

მ ა ლ ა ქ ი ა. კიმოთე ობოლაძე! მე მალაქიე არა ვარ, ხო იცი ვინა ვარ და დადექი ჩემს მხარეზე, თუ არა, გაგსრეს!

კიმოთე. შე ოჯახდაქცეულო, გვერდზე მივდგები და თქვენ აკალითთ ერთმანეთს თავი.

მალაქია. მალაქიე რო ვიყო კი, მარა მე ხომ მალაქიე არა ვარ და ამიტომ ვერ ვიზამ. შენ რო გვერდზე მიდექი და თვალის სეირს მიყურებ, მე რო რევოლუცია ვარ, ფეხებში მედები!..

კიმოთე. შენ და შენისთანებს თუ ხელში უკარდება ეს ქვეყანა, ახლავე დაიქცეს, ჯობია!

მალაქია. შენთვის ყოფნას, მირჩევნია მტერი რო იყო. ახლა არ ვიცი რა გიყო და, მაშინ მეცოდინება.

კიმოთე. დამანებე თავი, შენი არაფერი მინდა! ახლაც იმიტომ გადმოვარდი ამ დაქცევაში, თუ მართლა გაუწყრა გამჩენი და ყიფიანმა შენ მოგანდო თავის მამულების დარიგება, რაც სხვას — ის მე.

მალაქია. ესე იგი, რა მამულები?..

კიმოთე. რა ვიცი, თქვენსას ვინ რას გაიგებს, ვანო ყიფიანმა მოწერა მალაქიას, ჩვენი ნამოჯამაგირალი ხარ, კარგად იცი რა ქონების პატრონი ვართ და გლეხებს გაუნაწილეო. არ მოუწერია?

მალაქია. მე მომწერა, ესე იგი, რევოლუციის მხარეზე უნდა დადგეო.

კიმოთე. კი მარა, შე ჭკუანაღრძობო, რევოლუცია მართლა ჩემი მტერი ხომ არ გგონია. (მიიხედ-მოიხედა.) ერთობა შენისთანა უნიფხოების მოგონილია და რავა ფიქრობ, ვის ებრძვის და ყიფიანი ვის მხარეზე იქნება?

მალაქია. ვანო ჩემს ხელშია... ესე იგი, თითის სიგრძე იყო, მამამისს ეკინკლაკებოდა, ამდენი მიწები რად გინდაო. ჰაშასადამე, ის რო რევოლუციონერია, მე რა ხანია... ქვეყანამ იცის.

კიმოთე. ჰო, ასე მაქვს მეც ვაკონილი და თუ ასეა... იქნება მართლა დაკარგა ჭკუა და, თუ ის კაცი მამულებს გლეხებს ურიგებს, შენსას ხომ არაფერს გთხოვ, შენ რომ ერთობა ხარ, რავარც სხვას, ისე — მე.

მალაქია. ვერაფერს ვერ მოგცემ.

კიმოთე. მალაქია, ნაჩხუბრები რომ ვართ, ამ ამბავში ის გასახსენებელი არაა. იცოდე, შენ არაფერს გთხოვ.

მალაქია. მე რას მთხოვ, მაშასადამე, რა გამაჩნია, აგერ, ექვსი

ბოვში რო ღნავა, შიმშილი და სიცივე აღნავლებს, მარა თუ მალაქიე არა ვარ და რევოლუცია ვარ, არაფერს არ მოგცემ.

კიმოთე. ახლავე თვალებს ვითხრიდე ის დროა, ამას თუ თავკაცობა მიანდეს, ჩემი საქმე დაულუპავთ და ისაა.

მალაქია. ამას გიზამ მე შენ!

კიმოთე. ვერაფერს ვერ მიზამ! იმიტომ, რომ მიწა გლეხებსო და გლეხი ვარ მე.

მალაქია. აქედან გამომდინარე, გლეხი და თავადი არ ვიცი ვინაა. ესე იგი, ჩემი მომხრე, მე რო მეხმარება და ფეხებში არ მედება...

კიმოთე. მაშინ, შენი ყოფილა ქვეყანა და ესაა.

მალაქია. ჩემია, მარა მე თუ მალაქიე არა ვარ და რევოლუცია ვარ, მაშინ... და აქედან გამომდინარე... (ჩაფიქრდება.) ჩემი უნდა იქნეს!

კიმოთე. ჩემი, ჩემი რა უნდა იქნეს?

მალაქია. შენი, შენი? (ჩაფიქრდება.)

კიმოთე. ჰო, მე — კიმოთე ობოლაძეს რა?

მალაქია. საითა ხარ შენ, მითხარი და... ესე იგი, მე მემხრობი, თუ...

კიმოთე. დამანებე, შე უპატრონო, თავი, არ ვერევი შენს საქმეში.

მალაქია. მაშინ, არც მე ვერევი შენს საქმეში და არაფერს არ გაძლევ!

გარედან ისმის სიმღერა:

„შემოვიდნენ წითლები,
ატყდა დავიდარაბა,
რომელ პარტიას ეკუთვნი,
ამხანაგო ბარნაბა?“

— ა, ვინაა ჩემს მხარეზე და, მე რო რევოლუცია ვარ, ამხანაგ სოლომონს და ანტიფოს ვაძლევ თუ რაიმე გამაჩნია.

კიმოთე. ვის, კაცო, სოლომონა ფეხუცას და ანტიფოს? ანტიფოს, შე რჯულზე ხელაღებულო, კერიაზე რომ ქვაბი გარაწკუნდეს, მშიერი ძაღლივით ვერ მოიცილებ. ჭურში ნაწვიმარი წყალი რომ იდგეს, სანამდი არ ამოსვამს, არ მოგეშვება...

შემოდის მთვრალი ანტიფო და შექეიფიანებული სოლომონი.

სოლომონი. გაუმარჯოს ერთობას!

ა ნ ტ ი ფ ო. თავი გიგავს ხელთოფას!

გაუმარჯოს ერთობას!

აუ, ამას ვის ვხედავ! კიმოთე ობოლაძეს აქ რა უნდა! აუჰ, რაღაცა მართლა დიდი ამბავი ხდება, სოლო, იცოდე შენ! (მღერის.) შემოვიდნენ წითლები, ატყდა დავიდარაბა...

ს ო ლ ო მ ო ნ ი. კი, შენ ის კიმოთე ხარ, ტურაბელიძეს რომ წისქვილზე საფქვავი არ დოუფქვი და ორჯერ ცხვირ-პირი დაულეწე?!

კ ი მ ო თ ე. სოლომონა ფეხუცა, ის წისქვილი ხვალაც საჭირო იქნება და მე ჯერ ისე არ დავძაბუნებულვარ, შენ და მალაქიას კიდევ არ გადინოთ ცხვირიდან ძმარი. (თვალები დაუბრიალა.)

ს ო ლ ო მ ო ნ ი (დაფრთხა). მალაქია, ეს რაღა ერთობაა, თუ ცხვირიდან ძმარი გვადინეს?.. რაღაცა, არ მომწონს ამნაირი ერთობა.

ა ნ ტ ი ფ ო. აუჰ, ბიჭო, ახლა, კიტრზე და მწვანილზე გადასხმული ცხოველი ძმარი! ე, კაცო, სადაა მალაქია, ეს ერთობა, რომ აღარ მოაღწიოს! დროზე, შე აშენებულო, თორემ ამ ნატვრაში ამომბდა სული. კიმოთე, შენ ფხალის ბწნილი იცოდი, კიდევ გექნება, შე ეშმაკო.

ს ო ლ ო მ ო ნ ი. მაგი ღვინოსაც არ გამოილევს მარა, ჩვენ რაი.

ა ნ ტ ი ფ ო. კიმოთე, აუ, შე ჭკუის კოლოფო, შეჭამე სანამ დროა, თუ არა, ერთობა რო მოვა, იმ შენს პურ-ღვინოს ერთ კვირაში გამოუყვანს წირვას.

კ ი მ ო თ ე. კი მარა, თქვე გუდამშიერებო, ჩემი ფხლის მწნილიბათვის და ხალმის ყველისთვის იბრძვით?

ა ნ ტ ი ფ ო. აპა, ახლა...

მ ა ლ ა ქ ი ა (აწყვეტინებს). ანტიფო, შენ, ესე იგი, მთვრალი ხარ და რევოლუციას ატალახიანებ. ჩვენ, აქედან გამომდინარე, ვებრძვით ვინც ჩვენს მხარეზე არაა.

ს ო ლ ო მ ო ნ ი. მე, შენს მხარეზე ვარ, მალაქია.

მ ა ლ ა ქ ი ა. მე, მალაქია არა ვარ, ერთობა ვარ.

ს ო ლ ო მ ო ნ ი. შენ, რაც არ უნდა იქნე, მალაქია, მე ყოველთვის შენთან ვიქნები.

ა ნ ტ ი ფ ო. მე ხომ, ვარ და ვარ. მარა, ქე გითხარი, მალაქია, ჩხუბში და დავიდარაბაში ნუ გამხვევთ. ქე იცით, მოქეიფე კაცი ვარ, ამ ახლომახლო ოჯახი არ მეგულება, რომ ჭიქა ღვინო არ დამელიოს

და ვის ვესროლო თოფი? ისე, თუ რაიმეს მოცემა გინდათ, მომეცით. (მღერის.)

„შემოვიდა წითლები,
იტყდა დავიდარაბა"...

კიმოთე. მაგნაირად მეც თქვენთან ვიქნები. ოღონდ არაფერ ალიაქოთში გამრიოთ და ჩემი წილი არ დამაკლოთ!

ანტიფო. იყოს, მალაქია, მაგას იშვიათი ფხალის ბწნილი აქვს და მაგისმა ცოლმა, ფედოსიამ, კაი კვერცხის გულწასმული ხაჭაპური იცის.

მალაქია. ესე იგი, მასე არ გამოვა!

სოლომონი. აჰ, მალაქია, რავა გწერს ის კაცი, არ გამოვა, ხომ!

ანტიფო. არ გადამრიო, კაცო, ფედოსიას ქვის კეცზე გამომცხვარი, ჯულმოღეღილი, კვერცხგადასმული ხაჭაპურით საქმე რო არ გამოვა, შემირცხვენია ის საქმე!

სოლომონი. მალაქია, კარგად დოუკვირდი, რავა იწერება ი კაცი? იქნება ქე გამევიდეს. ისე, რო არ გამევიდეს, იცოდე, მე მაინც შენთან ვარ, ერთობა ვარ!

მალაქია. ესე იგი, ეს რა უნდა იყოს, ქთამია?.. მაშასადამე, ერთობა ებრძვის, რაც არ მოწონს. აქედან გამომდინარე, მე თუ რევოლუცია ვარ და კაი საქმეს ვაპირებ, ქთამი ჩემი საქმე არ უნდა იყოს...

ანტიფო. არა? ეუჰ, ეს ოხრადდასარჩენი, მშიერი კუჭი რო არ მასვენებს?!

კიმოთე. მაგ მშიერი კუჭია ეს დავიდარაბა რომ ატეხა და დავიჯერო, კვერცხის გულგადასმულ ცხელ ხაჭაპურზე ერთობა უარს იტყვის?

სოლომონი. ჰო, მალაქია, ჩვენ ხომ... რავა იწერება ის კაცი, რომ ვერ ავიტანეთ ამდენი შიმშილი, იმიტო ვიბრძვით?

ანტიფო. გაძღომისათვის ვიბრძვით!..

მალაქია (ჩაფიქრდება). ესე იგი, ჩვენ მარტო გაძღომისათვის კი არ ვიბრძვით... ჩვენ, ახლა, აგერ, კიმოთე რო არ გვიჯერის, მან რო დაგვიჯეროს, იმისთვის ვიბრძვით.

კიმოთე. თქვენ რო ქვეყანას ააშენებთ, იმ ქვეყანაში ჩემ ცხელ ხაჭაპურს პირს არავინ დააკარებს, ხო?

სოლომონი. ახლა, არც ისე იქნება, მალაქია, ამ გაგანია ზამ-

თარში ცხელ ხაჭაპურს და შუაცეცხლთან დოქით მიდგმულ მაგარ ღვინოს ერთობა ვერ დეიწუნგბს.

ანტიფო. აუ, თქვე ოჯახაშენებულებო, თუ ერთობის მერეც შიმშილით მკლავთ, მშიერი ქე ვარ და, ბარემ დამანებეთ თავი.

სოლომონი. კი, მე ერთობის მხარეზე ვარ, მარა ასე არ იქნება. მალაქია, რავა წერია იმ ქაღალდში?

მალაქია. არა, მაშასადამე, მასეც არ იქნება, შენი ცოლის გამომცხვარი ხაჭაპური უნდა ჭამო.

ანტიფო. ეს ჩემი ცოლი, კიმოთე ობოლაძის ცოლივით დეკოლტე ხაჭაპურს ვერ აცხობს და ერთობა მარტო კიმოთეს მხარეზეა? სულ კიმოთემ ჭამოს ეს ამოფუმფულებული და კვერცხის გულგადასმული ხაჭაპური?

კიმოთე. მე, გლეხი ვარ, ერთობა არ გამწირავს.

სოლომონი. კი ვარ ამ ერთობის მხარეზე, მარა, აგერ, კიმოთე რო მისთვის გორაობს თბილ ლოგინში და არ გეხმარება, მაინც ის მჯობია? არ იქნება ასე, მალაქია, იცოდე შენ!

ანტიფო. აუ, შენ ჩემი სისხლი და ხორცი ხარ, შენთან ვარ, აბა, ვისთან წავიდე და მაინც მაგის მხარეზე ხარ? ის დეკოლტე ხაჭაპური მაინც მოიტანოს.

სოლომონი. ასე არ იქნება, მალაქია, მიდი, კარგად ამოიკითხე იმ ქაღალდში. ცხელი ხაჭაპური მაგას, თბილი ლოგინი მაგას, გრძელი, კოჭებამდე ნიფხავი მაგას?

კიმოთე. მე არ გამწირავს ერთობა, გლეხი ვარ.

სოლომონი. ჩემი საშველი არადროს არ უნდა იქნეს?!

ანტიფო. მე თოფი უნდა დამაკეცებიოთ ხელში და იქნება ცოდვაშიაც ქე ჩავიდეს ფეხი, უცაბედად რო გამიკარდეს და, მაინც კიმოთეს უგებ ბუმბულს?

მალაქია (ფიქრის შემდეგ). ესე იგი, თუ რევოლუცია ვარ, მაგას არ ვიზამ...

ანტიფო. აბა, რას იზამ?

სოლომონი. რავა წერია იმ ქაღალდში, მე ერთობის მხარეზე ვარ.

მალაქია. აქედან გამომდინარე... (სოლომონს.) შენ, მე რო რევოლუცია ვარ, ჩემთან იბრძვი?

სოლომონი. კი, ამ ქარში და ყინვაში, ამ გულდაგული ზამთრის შიშხათში კლდე-ღრე დაკეტნძულობ.

ანტიფო. მეც, თუ კბილს რაიმეს გამაკვრევინებ, შენთან ვარ.

მალაქია. მაშინ, აქედან გამომდინარე, კიმოთე თბილ ლოგინში რომაა, მაინც არ შეცივდება და, მე რომ რევოლუცია ვარ, გავხდი მაგას იმ თბილ საცვალს და შენ ჩაგაცმევ.

კიმოთე. ჩემი ნიფხვისთვის ტეხავთ ამდენ ამბავს, თქვე ოჯახ-ამოწყვეტილებო?

სოლომონი. მართლა და, მალაქია, კიმოთეს საცვალი რატომ, მე ერთობის მხარეზე ვარ, მარა რატომ...

მალაქია. ესე იგი, მე მცივა, ხომ?

კიმოთე. უნიფხო ხარ და გცივა.

მალაქია. აქედან გამომდინარე, მე რისთვის ვიბრძვი? ესე იგი, რომ გავთბე და კიდევ ინიტომ, რომ კიმოთე და ვანოს მამა, დავით ყიფიანი, პატივს არ მცემს.

ანტიფო. თვალში ვეპატარავებით.

სოლომონი. კი, კი, კიტრად არ გვაგდებენ.

მალაქია. მაგას თბილი საცვალი აცვია, ესე იგი გაჯგიმული დადის, მე ვკანკალობ, წელში მოხრილი ვარ...

ანტიფო. თუ ჩამაცმევ იმ კოჭებამდე საცვალს, გავიჯგიმები და მაგას წელში მოვკაკვამ!

კიმოთე. მეგონა, ესენი მართლა მტერს ებრძოდნენ, თურმე მე მიპირებენ დაქცევას.

სოლომონი. მართლა და, ამ ჩვენს კიმოთეს ვებრძვით?! კიმოთე, რაც არ უნდა იყოს, მეზობელია, ჩვენი შაშვის ბუდისოდენა სოფლიდანაა.

მალაქია. ესე იგი, მე რო ერთობა ვარ, მე, შენ, ანტიფო და ვანო ყიფიანი ვიბრძვით და, მაშასადამე, კიმოთე ობოლაძე, თუ ამ შაშვის ბუდიდანაა და გუგულის კვერცხიდან არაა გამოჩეკილი, დადგეს ჩვენს მხარეზე, ფეხებში ნუ მედება, თვარა გავსრეს!

კიმოთე (სისხლი თავში აუვარდა). შენ გამსრეს, შე ლორის ტილო?!

მალაქია (უკან დაიწია). მე ვერა, მე ვერა! მარა... (გული მიეცა, მობრუნდა და წინ დაუდგა.) მე თუ ერთობა ვარ!.. ერთმანეთისკენ იწევენ.

სურათი მესამე

იგივე დეკორაცია. გვიანი ღამეა. თაროზე ჭრაქი ანთია. ოდიდან ჩამოდის დაძონძილ ღაზლმოსვეული პ ი ლ ა ს ი.

პ ი ლ ა ს ი. დიდუ, რა შეშა დოუწვავთ, ჩემო ბატონო, კიდო კარგი ახლა შაინც ბუნტობენ, თვარა ამდენ შეშას ვინ მოგაკრეფინებდა ბატონის ტყეში? ისიც კარგია რო ტყეში ვსახლობთ, ამისთანა დაქცევაში. წელზეა, ბატონო, თოვლი, შორს მოჭრილი რო გქონდეს, ვერ მეიტან. (გარეთ გაიხედა.) რაა, ბატონო. ეს ბუნტი იმისთანა, რო თბილ ლოგინს ურჩევნიათ? მალაქიე აცილებს, მარა თელი ღამე ხო ილაპარაკეს. ახლა დადგებიან ამ ქარ-ყინვაში და იქ იყაყანებენ. გაცივდება, ციყინება და მიჭირს ამ დაქცევაში გალიგვებული კაცის გათბობა. ნეტა ჩამოაულიყო ი, რევოლუციის კაცი ბარემ და რაღაც საშველი გეჩინა. რაკარც ჩამოკა, უნდა შეეხვეწო, უკაცოდ არ დამტოკოს. აჰ, მალაქიე მოდის!

ჭრაქს სული წაეკერა, ჩააქრო, გადის. ფაცის კარს მოადგება რევოლვერით ხელში, ჩაბალახით სახეახვეული, ნაბდიანი კ ო ტ ე კ ი კ ნ ა ძ ე. იქაურობა მოათვალიერა, მივიდა, ცეცხლი გაქექა და ზედ გადაეფოფრა.

კ ო ტ ე. მთელი საღამოა ტყიდან ამ ქოხში სინათლეს ვეძებ, გავიყინე, ამომბდა სული, რომ არც ამომბდა! აღარ შემიძლია... (გარეთ აყურადებს.) მგონი, სუყველანი წავიდნენ, თუ ეს დედაკაცი კიდევ ვიღაცას ელოდება. თფუ, ამისთანა სიცოცხლეს!.. (გადაფურთხებს.) ჭკვიანი ვინც იყო ადგა და თავს უშველა. მე კი, ახლა მოვიგონე სიყვარულის აპოლოგია. აქეთ გამოვსწიე და სანამ ამ დასაქცევ ზამთარში კავკასიონს გადმოვიკლიდი და აქამდე ჩამოვაღწევდი, ეს წითელი ჭირიც ფეხდაფეხ მომყვა. ახლა რომ სადმე თვალი მომკრან... ამ მიკარგულ სოფელს მოვაშორე და იქნებ ხმაც მივაწვდინო ვისი გულისთვისაც სასწორზე დავდე ჩემი სიცოცხლე.

პ ი ლ ა ს ი მ გამოაღო კარი.

პ ი ლ ა ს ი. ჩემო მალაქია, ქე ხარ მაქ, შე კაცო? (კოტემ რევოლვერი მოიმარჯვა.) ღადრის სინათლეზე გხედავ და რატო ხმას არ მცემ? რატო იცი ასე ჩაფიქრება, რიყის ქვასავით რო გადაიქცეი. ამოიღე, კაცო, ხმა! ვაი, უკაცობა დამართოს მამაზეციერმა, ვინც

უკაცოდ მტოვებს! (ცაბუზე ჩამოდის პერანგის ამარა.) ამოდი, ჩემო მალაქიე, გევიყინე მარტო ლოგინში. (რევოლვერის ლულას დაინახავს. ყვირის.) მალაქია! მაგი რა გიკავია?! დამბაჩას რა უნდა შენს ხელში! (აკვირდება.) ნაბადიც გახურავს? შენ მალაქიე არა ხარ, მალაქია! (წიშით უკან იხევს, მერე მოაგონდება და შეჩერდება.) უი, ნამეტანი უკაცრავად ვარ, ჩემო ბატონო, თქვენ ის... რევოლუციის კაცი ბრძანდები? მობრძანდი, ჩემო ბატონო! რავა გიკითხო? რავა ბრძანდები? (რევოლვერზე.) გაწიე, ჩემო ბატონო, მაგი იქით. ეშმაკის მოგონილია, არ გავარდეს! აჰ, კარგად ხარ, ხომ, ბატონო... ამხანაგო? შეციებული იქნები, დედა, რამ ამოგიყვანა, ბატონო, ამხელა თოვლში, მარა ალბათ იცოდით, რო მალაქიას არ ეძინა თქვენი ჯავრით. ნამეტანი გულმომწყავე ქალალდი მოიწერე, ბატონო ამხანაგო. მთელი ღამეები, ჩემი კაცი, რიყის ქვასავით ფიგორდება ლოგინში. (რევოლვერზე.) გაწიე, ამხანაგო, იქით, ხო გითხარი, ეშმაკის მოგონილია-თქვა! მალაქიე მიძახის, რევოლუცია წერას და კითხვას გასწავლისო, მიწას დაგვირიგებსო და შენ, შე მამაგანათლებულო, დამბაჩა რო მოგიღერია, ვინ გგონივარ? პილასი ვარ, ჩემო ბატონო. მალაქიეს ბირის და ლხინის მოზიარე. (ასლს მიიწვა.) ჩემი კაცი ახლავე აქ მოვა და მერე ენას არ ამომაღებინებს. (ოტე კარს მიაჩერდა.) ჰო, აგერ, მეზობლები გააცილა, მარა მამლის მესამე ყივილამდე გზაში იქაქანებენ. ნამეტანი კი ააბუნტეთ, ბატონო, ეს ხალხი...

ოტე (დაფრთხა). აქაც ბუნტია!

პილასი. ქე გცოდნია ლაპარაკი... ჰოდა, ჩემო ბატონო, რო მოიწერე ის ქალალდი, კაი ამბები რო არ მოხდებოდა არ იცოდი?

ოტე. ქალალდი? რა ქალალდი?

პილასი. რავა, თქვენ არ მოგიწერია?

ოტე. რა მოვიწერია? არა!

პილასი: — დიდი ეშმაკი ხარ, ჩემო ბატონო, მარა ჩემმა მალაქიემ კი არ იცის და, ორნაქმარევი ქალი ვარ, რა არ მინახავს, რა არ გამივონია და ვიცი, თქვენი მოწერილი რომაა. ისიც ქე ვიცი, ამაზ ქალთან არ გაამხელ. ჩემი მალაქიე იძახის, ჩემი ტოლი და სწორი იქნებიო და, კაცები რო მეიყრიენ თავს, აქანე არ მაჩერებს. მარა ჯერ არ ღალატობ, ბატონო ამხანაგო, მეშინია მალაქიეს არაფერი მომიწიოთ. ახლა თქვენ დიდი ბუნტი უნდა დაიწყოთ?

კ ო ტ ე. რა ბუნტი, დედაკაცო?

პ ი ლ ა ს ი. მე რა არ მინახავს და, ვიცი, არაფრით არ დაიშლით... ნუ დამლუპავთ, ბატონო, მალაქიე არ წაიყვანოთ, ექვსი ბალანეს პატრონი ვართ, ნამეტანი გამიჭირდება, ბატონო.

კ ო ტ ე. ქალო, შენ ხომ არ შეიშალე?

პ ი ლ ა ს ი. მე სამჯერ ბედნაცვალი ვარ, ბატონო, და ვიცი, ცხოვრება კაციანად ჭირს და უკაცოდ რა იქნება.

კ ო ტ ე. არსად არ მიმყავს მალაქიეა თუ ვიღაცაა; ცეცხლი, მომათბე!

პ ი ლ ა ს ი (გაეხარდა). შენი იმედი კი მქონდა, ბატონო ამხანაგო! (მივარდება სარდაფის კარს, შეშას გამოალაგებს.) ახლავე ცეცხლს გაგიჩაღებ. დიდი სიცივეები დეიჭირა, ახლა რო ჩემი მალაქიე ააბუნტოთ და წაიყვანოთ, ნამეტანი მცივანა ვარ, უკაცობას ვერ ვეიტან, ბატონო... (შეშას კერიაზე წააყრის და უბერავს.) ეს შეშა გადამალული მქონდა, თვარა, ამასაც დაფუმფლავდენ და სალაპარაკოს მაინც ვერ მოათავებდენ, დიდი ეშმაკი ხარ, ბატონო ამხანაგო. რა მოიწერე ამისთანა, რო ვთელი ეს მიყრეებული სოფელი ფეხზე დააყენე. ჰო, სულ გადაბვარდა გულზე, ყიფიანი რავა ბრძანდება. კაი ქნა, მალაქიას რო მოჯამაგირეობა დოუფასა, მარა ნეტაი, შენი კარგად ყოფნით, სხვისთვის მიენდო... ნამეტანი ჩააფიქრიანა. (ცეცხლს ისევ უბერავს.) ძნელია, დიდ საქმეს რო მოგანდობენ, ზოგს თლათ ტყუილა უნდა ეს მიწები და ტყეები, ჩემო ბატონო ამხანაგო. მალაქიე ამბობს, ამას ბუნტი ჭირდებაო. ვინ უფრო მართალია მაგი შენ გეცოდინება, მარა მე კი გადანწყდა ჩემი, რაც მაგ ქალალდი (თაროზე მიუთითებს.) ჩემ სახში გაჩნდა, გვერდები არ გამთბობია. უი, ღმერთო კი მომკალი, ჭრაქი არ ავანთე, ხომ?!

კ ო ტ ე. ჭრაქი, არა?!

პ ი ლ ა ს ი. ნუ გერიდებათ, ბატონო, რაც გვიჭირს, გვიჭირს, ჯერ ქვეგვაქ ნაფთი და მერე მეზობლები თითვან მეიტანენ. აპა, მარტო ჩემი ნაფთით უნდათ აბუნტება?! (ამასობაში ჭრაქს მოუკიდა.) დიდუ, ღმერთო მომკალი, პერანგის ამარა არ ვყოფილვარ!.. დედა, ღმერთო, ეს რა მომივიდა, რას იტყვის ეს ბატონი ამხანაგი, პილასი ორი ნაქმარევი რომაოო... (არბის კიბეზე, გადის.)

 კ ო ტ ე. აქაც ამისთანა უბედურებაა!

დგება, რევოლვერი კარისკენ აქვს მიშვერილი. იღებს თაროდან წერილს და ჭრაქის სინათლეზე კითხულობს. რაღაც გადაწყვეტილება მიიღო. ნაბადის ქვეშ, ნამალავად, თეთრგვარდიელის სამხრეები მოიგლიჯა და ცეცხლში შეუყარა.

სურათი მეოთხე

იგივე დეკორაცია. ჩელტის ტახტზე ნაბადია დაგებული. ცეცხლის პირას მაღალ ჯორკოზე ზის კ ო ტ ე. პ ი ლ ა ს ი სუფრას ალაგებს. მ ა ლ ა ქ ი ა ღრმად ჩაფიქრებულია.

კ ო ტ ე. გაწუხებთ, ქალბატონო პილასი, მაგრამ აგერ, დღე-დღეზე მოვიყვანთ რევოლუციას და ერთი ათად გადაგიხდით.

პ ი ლ ა ს ი. რას მომასწრო, მალაქია, ამ რევოლუციამ, ამისთანა ბატონივით ამხანაგი ქალბატონს მეძახის!

მ ა ლ ა ქ ი ა. მე თუ რევოლუცია ვარ, ბატონობას და ქალბატონობას თუ ვებრძვი, თუ სწორი და ტოლი უნდა ვიყოთ, არ უნდა გეძახდეთ ქალბატონს.

პ ი ლ ა ს ი. ნუ იცი, ჩემო მალაქია, მასე... ეს ბატონი თითონაა რევოლუცია და შენ ასწავლი?

კ ო ტ ე. არა, მალაქია მართალია. რევოლუცია ამბობს: უთანასწორობას ვებრძვიო, ადამიანი ყველა ერთნაირი უნდა იყოსო...

პ ი ლ ა ს ი. აბე იქნება, ბატონო, აბა, რავა იქნება, მარა გაპირვებული რო ვარ და ყველაფერზე გულდაწყვეტილი, ერთხანს რო ვყოფილიყავი ქალბატონი, კაი იყო. რა მოხდებოდა მეც მენახა კაი ცხოვრება.

კ ო ტ ე. მოხდება რევოლუცია და ვნახავთ. აგერ, ჩვენი მალაქია თუ ვამოიჩენს თავს, შეიძლება დიდ თანამდებობაზე დავნიშნოთ და დიდი კაცის ცოლი იგივე ქალბატონი არ არის?

პ ი ლ ა ს ი. აა, დამლუპავენ, ბატონო. ჩემი ქალბატონობა ვის გოუგია? კაი ცხოვრება, რო მომცე, ვერც მევიხმარ, მე უბედური. რაღაცა, იმეთი რამე თუ იქნება, რო ყველა ერთნაირი ვიყოთ, ოვარა ჩემს ქალბატონობას ისევ ის ჯობია, ყიფიანის თეთრი ქალიშვილი იყოს ქალბატონი.

კ ო ტ ე. ოჰ, ჰელენი?! (გულისტკივილით და მრავალმნიშვნელოვნად.)

პ ი ლ ა ს ი. იცნობთ, ბატონო?

კ ო ტ ე. ღმერთო ჩემო, ნეტაე მართლა არ ვიცნობდე. ახლა სხვა გზაზე ვიქნებოდი. ვიცნობ, გიმნაზიაში, პატარა ბაფთიანი გოგო რომ იყო, იქიდან ვიცნობ...

პ ი ლ ა ს ი. დიდი ღვთის წყალობაა, ბატონო, იმ ქალიშვილის ცნობა, დიდი ღვთის წყალობა. საცოდაობა იქნება, ბატონო, ის რო ქალბატონი არ იქნეს.

მ ა ლ ა ქ ი ა. მე თუ რეკოლუცია ვარ, ეს არ მოხდება. არავითარი ქალბატონი... პილასი, შენ რაცა ხარ ის დარჩები.

პ ი ლ ა ს ი. აპა. თუ არაფერი არ შეიცვლება, რავარც ქეა, ისე იყოს. რაღაზე ბუნტობთ, ან რატო ჩამეიყვანეთ ეს ბატონკაცი ამ დაქცევაში. მჯდარიყო გაღადღადებულ ბუხართან და ეთბო კვერდები!

პილასის გაქცევა თიხის ჯამები.

კ ო ტ ე (ღრმად ჩაფიერებულ მალაქიას). რას ფიქრობ, მალაქია, ამდენს, ახლა მაინც შენს ხელთაა შენი ბედ-იღბალი.

მ ა ლ ა ქ ი ა. ესე იგი, მაგის დარდია რო მკლავს. ამდენ ხანს ჩემ გაჭირვებას და სიღატაკეს სხვას ვაბრალებდი. ახლა რო მართლა... მაშასადამე, „შენს ხელთააო“ ასე არ ბძანეთ?

კ ო ტ ე. ჰო, წითლებმა რუსეთში გაიმარჯვეს და თითქმის აქაც...

მ ა ლ ა ქ ი ა. მაშასადამე, მერეც რო არ იქნეს ჩემი საშველი, არ ვიცი ვიღას დავაბრალო.

კ ო ტ ე. შენც ეჭვობ, რომ საშველი არ იქნება? თუ მიწა მართლა გლეხობას დაურიგდა, როგორც ბოლშეკეკები ამბობენ...

მ ა ლ ა ქ ი ა. ესე იგი, მაგი შენც არ გჯერა, ამხანაგო კონსტანტინე?

კ ო ტ ე. რა ვიცი, მალაქია, ქვეყანა, რაც თავი მახსოვს, ისე იყო მოწყობილი, როგორც აქამდე ვიყაკით და ახლა რა გითხრა, მთელი ქვეყნის ახალ ყაიდაზე გარდაქმნა ძნელია.

მ ა ლ ა ქ ი ა. ესე იგი, იბრძვი და, რისთვის იბრძვი, არ იცი?

კ ო ტ ე. დაპირება იოლია, ჩემო მალაქია, შესრულებაა ძნელი.

მ ა ლ ა ქ ი ა. კი, მარა, მიწას არ მომცემ?!

კ ო ტ ე. კი მინდა მოვცე, თუ მომიხერხდება!

მ ა ლ ა ქ ი ა. რა არ მოგიხერხდება, ესე იგი, აიღე და მომეცი მიწა, მუშას მიეცი ქარხანა და... კიდევ, რა ვიცი, ვისაც რა უნდა.

კ ო ტ ე. აბა, წარმოიდგინე, მიწა რომ შენ მოგცე, მუშას — ქარხანა, ჯარისკაცი სახლში გაეუშვა... მიწას რომ მოგცემ და მოსავალს ბელელში ჩაყრი, მე შენ ხელებში მოგაჩერდე? მშიერი რომ

ვარ, ამისთვის ვიბრძვი და შენი გაძღომა მიშველის? მუშა რა, ქარხანაში რკინას შეჭამს? ისიც შენ უნდა არჩინო, მეც და ჯარისკაციც.

მ ა ლ ა ქ ი ა. ჯარისკაცი არ მინდა, არ ვიბრძვი, ამხანაგო!

კ ო ტ ე. არ იბრძვი, შენ რომ არ იბრძვი, ის გებრძვის. არ მოსწონს შენი რევოლუცია და გებრძვის. ჯარისკაცს, ვიცი, სახლში წასვლა ეჩქარება და ვეუბნები, მშვიდობას მოგცემ, მაგრამ ის კი არ იცის, რომ მშვიდობა მხოლოდ თოფით მოიპოვება.

მ ა ლ ა ქ ი ა. ესე იგი, რაფერ, თოფით თუ ვიბრძოლე მშვიდობიანობა იქნება?

კ ო ტ ე. თოფი რომ გაქვს ხელში მაგრად გატენილი და შენი მოწეული მჭადითა და ლობიოთი კარგი ნაპატიები ჯარი რომ გყავს, იცის მტერმა, შენთან არაფერი გაუვა და ჩუმადაა. ეშინია და იძახის, მშვიდობის მომხრე ვარო. აბა, შეგატყოს გაჭირვება, სისუსტე, დაგზოგავს?

მ ა ლ ა ქ ი ა. სიძაბუნე თუ შეგატყო, არ დაგზოგავს... ესე იგი, არ ყოფილა ჩემი საშველი!

კ ო ტ ე. რატომ შენი, საერთოდ ადამიანის საშველი არაა. ასე გაუჩენია ღმერთს ქვეყანა და ასე უნდა იქნეს.

მ ა ლ ა ქ ი ა. მაშასადამე, შენ ამხანაგს მეძახი, მაბუნტებ და ამბობ: ღმერთს ეს ქვეყანა ასე აქვს მოწყობილი და ვერ შევცვლიო? მაშინ რას მერჩი, რატო არ მაყენებ ჩემს ტუტიან კერიასთან?

კ ო ტ ე. მე რომ რევოლუცია ვარ, არავინ რომ არ მომეხმაროს, მარტო ხომ ვერ მოვერევი მეფეს და ჯარს?

მ ა ლ ა ქ ი ა. ესე იგი, რათ გინდა ეს მორევა, თუ არაფერი შეიცვლება, ქე იცი?

კ ო ტ ე. არ ვიცი, მალაქია, იქნებ შენ უფრო მეტი იცი ამ საქმისა. ბე ყველაფრისადმი რწმენა დაკარგული მაქვს. დაღლილი ვარ, შენი მდგომარეობაც მენატრება. ასე, სადღაც მთაში მიკიდებულ სოფელში, რომელიც მთელი ზამთარი მაინც მოწყვეტილია ქვეყანას, ერთი, თუნდაც ასეთი ფაცხა რომ მომცა და იქ მყავდეს ის, ვინც მიყვარს, გარს წვრილშვილი მეხვიოს, თუნდაც მჭადის ნატეხი მიჭირდეს, თავს მაინც ბედნიერად ჩავთვლი.

მ ა ლ ა ქ ი ა. მერე, ესე იგი, აგერაა ტყე, მოღობე ფაცხა, მაგის წკნელსა და სარს ბატონიც არ დაგიშლის, შედი და, მაშასადამე, იბედნიერე.

კ ო ტ ე. კი, მალაქია, მაგრამ მარტო მე რა ექნა. ხომ მინდა მეგობარი, ადამიანი, რომელიც ჩემს ჭირსა და ლხინს გაიზიარებს.

მ ა ლ ა ქ ი ა. ესე იგი, ცოლი გინდა.

კ ო ტ ე. ცოლი, მეგობარი, ვინც გამიგებს და ამ ჩემს გაჭირვებულ ცხოვრებას გაიყოფს.

მ ა ლ ა ქ ი ა. მერე, მაგისთანა ჩვენს საბუღში გეგულება ვინმე?

კ ო ტ ე. აქ, ამ სოფელში, ვინ მეგულება. აქ ვის ვიცნობ, მაგრამ არის სოფელი, სამოთხე თუ... რა ვიცი, რა დავარქვა.

მ ა ლ ა ქ ი ა. სადაა ამისთანა ქვეყანა, რომ, მაშასადამე, საბელი არ მოეძებნება?

კ ო ტ ე. შენთვის ჩვეულებრივი სოფელია, ჩემო მალაქია, ის სოფელი, მაგრამ ჩემთვისაა ნეტარება და სულისდგმა!

ნ ა ლ ა ქ ი ა. მაშასადამე... ესე იგი, მამასადამე... (ვერაფერი გაიგია)

კ ო ტ ე. შენგან დიდად დავალებული ვარ და უნდა გამოგიტყდე, არაფერი არ მინდა ამქვეყნად, არაფერი აღარ მაღელვებს და მის გარდა არც არაფერი მწამს... შენ იცნობ იმ ქალს.

მ ა ლ ა ქ ი ა. მაშასადამე, მე ვიცნობ?!

კ ო ტ ე. იცნობ.

მ ა ლ ა ქ ი ა. ამ, ჩკენ საბუღში არავინაა... (ჩაფიქრდება.)

კ ო ტ ე. არა.

მ ა ლ ა ქ ი ა. ესე იგი, არაა და ნუა, სადაცაა შენ უკეთესად იცი და მე რო ერთობა ვარ, შენ საქმეებში არ ვერევი.

კ ო ტ ე. პირიქით, შენ რომ ერთობა ხარ, უნდა ჩაერიო, იმიტომ ხარ შენ ერთობა.

მ ა ლ ა ქ ი ა. მაშასადამე, შენ საქმეებში უნდა ჩავერიო?.. და ჩავერევი. დამიძახე ქორწილში და შენთან ვარ.

კ ო ტ ე. კი დაგიძახე, მაგრამ პატარძალი სადაა...

მ ა ლ ა ქ ი ა. პატარძალი მე მყავს და არ გაძლევ, თუ?

კ ო ტ ე. შენ არა გყავს, მაგრამ შენ შეგიძლია დამეხმარო და თუ ჩვენ ერთობა ვართ...

მ ა ლ ა ქ ი ა. თუ ამ ერთობიდან არაფერი გამოდის და, ესე იგი, მარტო შენთვის უნდა ვიკლა თავი, ამნაირი ერთობა მე არა ვარ.

კ ო ტ ე. ადამიანი ხარ, ჩემო მალაქია, შენს თავს მაინც არაფერი გირჩევნია. აგერ ვითხარი, დახმარება მინდა-მეთქი და ამბობ, ერთობა არა ვარო. მიწა კი გინდა, მაგრამ მუშისა და ჯარისკაცის პურის ჭმევა არ გინდა. გეხვეწები: ქალი მიყვარს, უმისოდ სი-

ცოცხლე არ შემიძლია, შენთან, ტყეში, ფაცხაში ვიცხოვრებ, მოეხმარე, ხელი გამიმართე-მეთქი და ქვას აგდებ და თავს უშ-ველ — ყველაფერი მე, ყველაფერი მე მომეციო.

მ ა ლ ა ქ ი ა. ესე იგი, მე ნამეტანი დავიბენი. ამ სალამოს აქ სოლო-მონი, ანტიფო და, მაშასადამე, კიმოთე ობოლაძეც მოვა. ესე იგი, ჩვენ რო თავს ვიყრით, კიმოთე სახლში ვერ ეტევა. კიმოთე ჭკვი-ანია, აქედან გამომდინარე... თავისთვისაა ჭკვიანი და მე ვიცი, რაც მისთვის კარგია, ალბათ, ერთობისთვის არ გამოდგება... (კარედან ხმა: ეი!) ესე იგი, ძაღლი ხსენებაზეო.

შემოდის კ ი მ ო თ ე, კოტეს ქუდის მოხდით ესალმება.

კ ი მ ო თ ე (მალაქიას). გახედე, ეგერ, შენი სტუმარია... ჭიშკარს ვერ მიაგნო და ღობეზე ვერ გადმოსულა.

მ ა ლ ა ქ ი ა. ესე იგი, ანტიფო დამთვრალა.

კ ი მ ო თ ე. კი, ჩემსაც გასკდა. რაღაცა, ამოხრაკული არაყი მქონდა, წესიერი კაცი მაინც არ დალევდა და მაგი ბუზივით ჩაიხრჩო შიგ.

მოისმის ძალზე მთვრალი ანტიფოს ხმა: შემოვიდა წითლები, ატყდა დავიდ-არაბა... მალაქია გადის. კიმოთე კოტეს ისევ უკრავს თავს და უახლოვდება.

კ ი მ ო თ ე. რაება გიკითხო, ჩემო ბატონო... (ჯიბიდან იღებს ვაშლებს, ჩურჩხელებს და სკამზე აწყობს.) თქვენი რევოლუციის საკადრისი კი არაა, რა ვამაჩნია, ან თქვენ ჩემი რა გეჭირდებათ, იმდენი გაქვთ, ყველა გაჭირვებულს გამდიდრებას უპირებთ, მაგრამ ნამეტანი მძიმე ზამთარია და იქნებ პირის გასველება მოგინდეთ...

კ ო ტ ე. გმადლობ, გმადლობ, ბატონო კიმოთე, ხილი ამ ღრმა ზამ-თარში...

კ ი მ ო თ ე. ხილს, კიდევ, არაყი თუ არ დავაყოლეთ... (უბიდან ამოაძ-ვრენს სავსე ბოთლს.) მარტო ხილი, ამ მუხლამდე თოვლში... თქვენ მის მეტი რა გაქვთ... ყველა უნიფხოს კოჭებამდე ფანელის საცვალს აცმევთ, მაგრამ...

მოისმის ასლოს ანტიფოს ხმა:

„შემოვიდნენ წითლები,
ატყდა დავიდარაბა,
რომელ პარტიას ეკუთვნი...
კიმოთე ობოლაძე!“

ამ ერთობის საქმე მიკვირს, მარტო ის უნდა იცოდეს, ვის ვემხრობი? მე, საღაც არ უნდა ვიყო, ერთი კაცი... ფეხებში გვედებიო. აგერ ვარ, ბატონო, ჩემთვის, პირში ჩურჩხელა მიდევს და ვწუწნი. თუ ფეხს არ დამაჭირებ, შენც წაგიტეხავ. ამ სიცივეში, რომ არ გაციოდე, არაყსაც გადაგაკვრევინებ და წადი, ძმაო, იბრძოლე... რა ფეხებში გედები, მერე თუ აშენდი და ქვეყანა ააშენე, ნუ დამივიწყებ. მეც შენსავით გლეხი ვარ, მიწის მუშა და მიწა მეც მინდა.

შემოდიან ანტიფო და მალაქია.

ა ნ ტ ი ფ ო. კონსტანტინე კიკნაძეს გაუმარჯოს! გაუმარჯოს ერთობას! და. ნეტა ის გამაგებია, როშელ პარტიას ეკუთვნის კიმოთე ობოლაძე!..

მ ო ქ მ ე დ ე ბ ა მ ე ო რ ე

ს უ რ ა თ ი მ ე ხ უ თ ე

იგივე დეკორაცია. ისმის პილასის წივილ-კივილი, იხსნება ფარდა. ჭრაქის სინათლეზე ჩანს: ფაცხის კარს აწყდება პილასი. ისმის თოვლზე ცეხვებია ფლოქვების ბაგაბუგი.

პ ი ლ ა ს ი. დამლუპეს, ბატონო! დამაქციეს! ვის გოუგონია, ვის მოსწრებია, ვის უქნია ეს!.. ვინაა, რო ჩემს შალაქიეს ჭკუა გოდოუბრუნა! დამლუპეს, ბატონო, დამტოვეს უკაცოთ! ყველას გაგვაციმბირებენ (ოდის კარს მიეარდება, გამოაღებს.) იტირეთ, შვილებო, იტირეთ! (ბავშვები ასხრიალდებიან, პილასი ისევ უკან გამობრუნდება.) ვის გოუგონია და ვის მოსწრებია, ქალბატონის მოტაცება! ამას ვინ შეგვარჩენს, ბატონო!

კ ო ტ ე ს გულზე მიუკრავს ნაბადში შეხვეული ე ლ ე ნ ე. აქეთ-იქით ა ნ ტ ი ფ ო და ა რ ქ ი ფ ო ეშველებიან და შემოაყავთ. შემოდიან მხარზე თოფგადაღებული მალაქია და ს ო ლ ო მ ო ნ ი. პ ი ლ ა ს ი მაშინვე ნაბადს ეცა.

მ ა ლ ა ქ ი ა. მაშასადამე, აქ რა წიოკობა ავიტეხია, ამხანაგო... შენ, პილასი!

პ ი ლ ა ს ი. ჩემი თეთრი ქალბატონი, ჩემი სიკეთით სავსე ქალბატონი, ამას, თქვე ტურტლიანებო, ხელი რავა ახლეთ!

მ ა ლ ა ქ ი ა (გაბრაზდა). ესე იგი, პილასი-თქვა!

კ ო ტ ე, ა ნ ტ ი ფ ო და ა რ ქ ი ფ ო ნაბადში შეხვეულ ქალს ჩელტის ტახტზე აწვენენ. კოტე მეტისმეტად ფრთხილად და მოწიწებით ეჭცევა.

პ ი ლ ა ს ი. მალაქია, რავა არ გაგიხმა მაგ ხელები, რაფერ ჰქენით, რო ეს თეთრი ანგელოზი ნაბადში გაახვიეთ და მერე ბაწარი შემოუპირეთ! დამღუპა, ბატონო, ვილაცამ!

ა რ ქ ი ფ ო. მეც ამას არ ვამბობდი? ბატონი, მაინც ბატონია-თქვა...

პ ი ლ ა ს ი. ვინ შეგვარჩენს, გაციმბირებული ვართ!

მ ა ლ ა ქ ი ა. აქედან გამომდინარე, პილასი, უნდა დატოვოთ აქოურობა!

პ ი ლ ა ს ი. და, ჩემი თეთრი ქალბატონი, თქვენ დაგიტოვოთ? ეცა ბაწრებს და ხსნის.

ა რ ქ ი ფ ო. სულ ამას ვიძახოდი, ბატონი მაინც ბატონია-თქვა!

პ ი ლ ა ს ი. როგორ ახლეთ ხელი, მალაქია, ანგელოზს, ან ეს თოფი რავა დაანახეთ. თოფი მე მიხუთავს გულს და ამ ღვთისნიერს ულირებთ?

მ ა ლ ა ქ ი ა. მაშასადამე, პილასი, შენ კიდევ აქა ხარ?

პ ი ლ ა ს ი. აპა, სად უნდა ვიყო, მე მაინც დაღუპული ვარ და, ამ სიკეთით სავსე ქალბატონს თქვენ დაგიტოვებთ?

ა ნ ტ ი ფ ო. კაი შენ, მარა, მაგას პატრონი ჰყავს. (კოტეზე.)

ს ო ლ ო მ ო ნ ი. მაგას ძმა არ უშლის და შენ უშლი, პილასი?!

ა რ ქ ი ფ ო. ჰო, კი მარა, ბატონი მაინც ბატონია.

პ ი ლ ა ს ი. ვინ ძმა? დაიღუპა, ბატონო, ქვეყნიერება, ძმა არ უშლისო?..

ა ნ ტ ი ფ ო. აპა, აპა, რო ვუთხარით, შენი ძმის მეგობარი აგერ, ტყეში გელოდება-თქვა, კინაღამ თვითონ გაეხვია ნაბადში.

ს ო ლ ო მ ო ნ ი. კი, მარა რაღაცა სხვა სახელს იძახდა... მე მგონია...

პ ი ლ ა ს ი. რაღაცა უბედურებაა!..

მ ა ლ ა ქ ი ა. ამხანაგო პილასი, შენ არა ხარ მომარაგებული, წერაკითხვა არ იცი, თვლა არ იცი... მაშასადამე, რევოლუციონერი იცვლის სახელს.

პ ი ლ ა ს ი. რატო იცვლის ნამდვილ სახელს, მაგი თუ კაი კაცია?! მიუბრუნდება ელენეს, რათა ბაწრები შეესნას.

მ ა ლ ა ქ ი ა. ამხანაგო პილასი! (მკაცრად.) აქ შენი ფეხი არ დავინახო!

პ ი ლ ა ს ი. მალაქია, სად მიშვებ?!

მ ა ლ ა ქ ი ა. მე, მალაქია არა ვარ! ერთობა ვარ და ორჯერ თქმა არ მიყვარს!

პ ი ლ ა ს ი. მალაქ...

მ ა ლ ა ქ ი ა. ამხანაგო!.. ესე იგი, არ დაგინახოს აქ ჩემმა თვალებმა!

პ ი ლ ა ს ი (აიძურწება). რა უბედურებაა, ბატონო, ასეთი ეს, ერთობაა თუ რაღაცა დაქცევაა... (კარისკენ მიდის.)

ა რ ქ ი ფ ო. ეს კი, მარა ბატონი მაინც ბატონია.

პ ი ლ ა ს ი. ბატონია, აბა, ვინაა და მერე რაღარი ქალბატონი, მაგით მედგა სული, მაგის წყალობაა, რო თქვენს წინ დედიშობილა არ ვდგავარ.

მ ა ლ ა ქ ი ა. მე ერთობა ვარ და წყალობა არ მინდა!

პ ი ლ ა ს ი. აბა რა გინდა შე უბედურო, მაგ შარვალში რო ტიტველი ხორცი გიჩანს, ის გინდა?

მ ა ლ ა ქ ი ა. ამხანაგო პილასი, არ მინდა რო ახლა შენ აქ იყო. მინდა, შენ, შვილებთან იყო, მაშასადამე, არ ღნაოდეს შენი შვილები!

პ ი ლ ა ს ი. კი მარა, შვილები მარტო ჩემია?

მ ა ლ ა ქ ი ა. შენი და მალაქიეს.

პ ი ლ ა ს ი. შენიცაა და, რაკი არ მაჩერებ, შენც წამოდი, შარში არ გაეხვიო, მალაქია!

მ ა ლ ა ქ ი ა. გითხარი ამხანაგო, რო მალაქიე არა ვარ...

პ ი ლ ა ს ი. დავიღუპე, ბატონო, კი მარა, ბალნები ჩემი და შენი არაა?

მ ა ლ ა ქ ი ა. შენი და მალაქიესია.

პ ი ლ ა ს ი. მერე და, შენ ვინა ხარ, შე ჩემი ცოდვით სავსე!

ა რ ქ ი ფ ო. არა, ბატონი ბატონია, მარა, შენ მალაქიე ხარ.

მ ა ლ ა ქ ი ა. მე უფრო ვიცი ვინცა ვარ, ესე იგი, მალაქია რო ვიყო, მე რისი მომტაცებელი ვიყავი. ბატონის ქალი კი არა, პილასი სახლში მოგიყვანეს და მიკარება მაინც ვერ გოუბედე, ღიბალი, რო ნაქმარევი ქალი იყო, გამოცდილი და თვითონ იმარჯვა, თვარა...

პ ი ლ ა ს ი. არიქა, მეზობლებო, ქალბატონი ოუშვით და ეს დააბით. რას ამბობს, ბატონო!

ა ნ ტ ი ფ ო. სოლომონ, არ გითხარი? ღმერთი იმ დღიდან არ იყო საწამებელი, ქალი რო გააჩინა.

ს ო ლ ო მ ო ნ ი. კი, შენ კი თქვი.

ა რ ქ ი ფ ო. ბატონი ბატონია, მარა ქალი ქალია.

მ ა ლ ა ქ ი ა. მაშასადამე, დღეს ავდექი და ბატონის ქალი მოვიტაცე, ესე იგი, მე მალაქია არა ვარ.

პ ი ლ ა ს ი. რავა ჰქენით, თქვე უბადრუკებო, ეს რა დავიდარაბა ატეხეთ!

ს ო ლ ო მ ო ნ ი. ვითომ, შიშველ-ტიტველი ქე ვართ და, მეტი რაღა მოგვივა-თქვა.

ა ნ ტ ი ფ ო. შიშველი, ჩვენ, კაცები რო ვართ, ესაა ძნელი, თვარა ქალი ტიტველი ჯობია.

ს ო ლ ო მ ო ნ ი. ქალი, კი ჯობია, კი.

პ ი ლ ა ს ი. რა ჯობია, რა ჯობია?!.

კ ო ტ ე. თქვენ, ქალბატონო პილასი, მართლა რომ დაგვტოვებდეთ, ჯობია.

კოტემ ელენეს ბაწრები შემოხსნა და ნაბდიდან სახე გამოუჩინა, თან ეფარება, რომ სხვებმა არ დაინახონ.

მ ა ლ ა ქ ი ა (ძალზე მკაცრად). ამხანაგო!.. (პილასიმ კარისკენ დაიწია.) ამხანაგო-თქვა!..

პ ი ლ ა ს ი შემკრთალი გადის.

ა ნ ტ ი ფ ო. ქალი ეშმაკთან წილნაყარია და, ხედავ, მალაქიამ უკან რავა მართლა დაახევინა?!

ს ო ლ ო მ ო ნ ი. კი, აპა, გახსოვს? იქაც რავა ციმციმ გამოიტაცა ხაბადში შეხვეული ქალბატონი?

ა ნ ტ ი ფ ო. მაგისთანა ქალს ხელიდან, აპა, ვინ გააგდებდა.

ს ო ლ ო მ ო ნ ი. მაგი კია, კი.

ა რ ქ ი ფ ო. მე მგონია, მაინც არ უნდა გვექნა, ბატონი მაინც ბატონია.

მ ა ლ ა ქ ი ა. თუ არაფერი ვქენით, რევოლუცია, მაშასადამე, მწიფე ხურმა კი არაა, მოფამფალდეს და ჩამოვარდეს. ესე იგი, ამხანაგი ვანო გვასწავლის: იბრძოლეთ, იმოქმედეთო!

კ ო ტ ე (არ უნდა ქალს ჩაესმას მისი სახელი). ბატონ... ამხანაგებო... (მერე უფრო თამამად.) ამხანაგებო, რევოლუციის სახელით მადლობას გიცხადებთ, დავალება პირნათლადაა შესრულებული. გისურვებთ, ასევე მამაცურად გებრძოლოთ მომავალშიც!

ა ნ ტ ი ფ ო. თუ ეს სიტყვა მართლა რაიმედ ღირს, რევოლუცია მადლობას გვიცხადებს.

ს ო ლ ო მ ო ნ ი. კი, მადლობას გვეუბნება.

ა რ ქ ი ფ ო. მადლობა მადლობაა, მარა ბატონი მაინც ბატონია.

ა ნ ტ ი ფ ო. ეს რევოლუცია, მე, მართლა რაღაცა უბედურება მეგონა, ამისთანა უსუსური ქალების მოტაცება და ხელის სობა, კაცმა რო მკითხოს, არც ისე ძნელი საქმეა.

კარისკენ მიდის.

მ ა ლ ა ქ ი ა. ამხანაგო ანტიფო, სოლომონ და არქიფო, ყველაფერი შეიძლება... ქალი უნდა მოვიტაცოთ... და ხვალ, შეიძლება მოვიტაცოთ... ამხანაგო კოტე, რა შეიძლება მოვიტაცოთ ხვალ?

კ ო ტ ე. აჰ, ხვალ რა მოიტაცოთ? რაც გინდათ... ეშმაკი... ეშმაკი!..

მ ა ლ ა ქ ი ა. შეიძლება ეშმაკიც მოვიტაცოთ.

ა ნ ტ ი ფ ო. ეს ერთი გამოერია, მართლა, პიდპარის თქმისა არ იყოს, ღვთისნიერი, თვარა ქალის მოტაცებას ჯოჯოხეთის ტარტაროზი რო მოიტაცო, ის ჯობია. (გადის.)

ა რ ქ ი ფ ო. ეშმაკი ეშმაკია, მარა ბატონი მაინც ბატონია.

თავს სინანულით აქნევს და გადის. მალაქია მეზობლებს მიაცილებს. კოტე მაშინვე ფაცხის კარს ეცა და ჩაკეტა. ქალს მივარდა, დაუჩოქა, ნელ-ნელა გადახადა სახეზე ნაბადი.

კ ო ტ ე. ჰელენ, ჰელენ, ძვირფასო, ჰელენ, სიცოცხლეე... ჰელენ!

ე ლ ე ნ ე (გაოგნებული). ნეტავ სადა ვარ? ნეტავ, რა ამბავია ჩემს თავს?

კ ო ტ ე. ჩემთან ხარ, ჰელენ, ჩემთან ხარ, ძვირფასო!

ე ლ ე ნ ე. რა მოხდა, ხომ მშვიდობაა, რა აურზაური იყო, მთლად გონწართმეული ვარ...

კ ო ტ ე. მშვიდობაა, ჰელენ, მშვიდობა!..

ე ლ ე ნ ე. მერედა, რას მერჩოდით?.. ვინა ხარ, შენ? საიდან მეცნობა შენი ხმა და სად არის ის?.. რატომ მისი ხმა არ მესმის?

კ ო ტ ე. ჰელენ, ძვირფასო, ჩემი ხმა ვეცნო? კიდევ გახსოვარ? ოჰ, მართლა ანგელოზო, რა ბედნიერი ვარ, მე უბედური. შენ არ იცი, აბ სიტყვებმა: შენი ხმა მეცნოო, ყველაფერი დამიბრუნა... შენ უნდა დამიბრუნო ყველაფერი, რაც გამაჩნდა და წამართვეს... ყველაფერი მქონდა, რაც ბედნიერებისათვის სჭირდება ადამიანს

და აღარაფერი გამაჩნია, დევნილი ვარ, ყაჩაღივით ტყეს შეფარებული...

ელენე. ყაჩაღებმა მომიტაცეს?!

კოტე. არა, მე მოგიტაცე, მაგრამ იმას ვტირი, რომ მალე ყაჩაღი მაჯობებს. ყაჩაღს თავისი მიწა მაინცა აქვს ლეიბად და თავისი ქვეყნის ცა ახურავს, მე მალე ესეც აღარ მექნება...

ელენე. ღმეთო, ქვეყნად რომ არ დაილია უნუგეშო და უსასოო... მე და ჩემს ძმას გვინდა ჩვენი სიცოცხლე შეკწიროთ ადამიანის ბედნიერებას და უბედური და დევნილი კი იმატებს.

კოტე. შენ არა, ჰელენ, შენ რა შეგეძლო სიკეთის მეტი, მაგრამ შენს ძმას და მისთანებს რომ არ დაეღუპე, ქვეყნად ერთი კაცი თუ იყო, მეც ვიყავი.

ელენე (წამოიწია). ჩემს ძმას რომ არ დაეღუპე? ნეტავი, ჩემი ძმის მტერი ხარ თუ მოყვარე?

კოტე. მოყვარე მოყვარეს არ დაღუპავს.

ელენე. შენ, კონსტანტინე კიკნაძე ხარ?!

კოტე. კოტე ვარ, ჰელენ, კოტე, დევნილი და ეული კოტე!..

ელენე. კოტე?! შენ, „მისი" მტერიც ხარ, კონსტანტინე.

კოტე. „მისი" მტერიც ვარ, მაგრამ მათ ჩემმა მტრობამ ვერაფერი დააკლო. ახლა ისინი არიან ჩემი მტრები, ახლა ყველა ჩემი მტერია, ჰელენ! მთელი ქვეყანა მტრად გადაეკიდა.

ელენე (თანაგრძნობით). საცოდავო!..

კოტე. ჩემმა მასპინძელმაც რომ იცოდეს, ვინა ვარ, არც ეს დამინდობს.

ელენე. შე უბედურო...

კოტე. ამოდენა ქვეყანაზე, შენს მეტი მოყვარე არავინა მყავს.

ელენე. მე არ ვიცი მტრობა, მაგრამ შენი მოყვარე როდის ვიყავი?!

კოტე. ახლა თუ ვინმე არ მმტრობს, ჩემთვის მოყვარეა, მაგრამ ხომ გახსოვს, ჰელენ, როცა ყველას ვუყვარდი, მაშინაც მიყვარდი. ხომ გახსოვს, ჰელენ, შენც გიყვარდი.

ელენე. არ ვიცი, ის სიყვარული ძარმწარედ მახსოვს.

კოტე. ეს შენ გახსოვს მწარედ, რადგან მართლა ბავშვი იყავი, მე კი, მაშინ, კადეტთა საოფიცრო სკოლა დავამთავრე და მალე გვარდიულ პოლკში გამამწესეს...

ელენე. მას აქეთ რამდენმა წყალმა ჩაიარა და ჩემი თავი რაღამ მოგაგონა? აღარც მახსოვდი.

კოტე. ჰელენ, ეს რომც იფიქრი, ნუ იტყვი. მთელს ჩემს. მომავალს, ის თუ კიდევ მაქვს, შენი იმედით ვაპირებ.

ელენე. ნეტავი, რა მომავალს აპირებ და რა იმედი გაქვს ჩემი. მე და შენ ერთმანეთისათვის უცხონი ვართ. ბავშვობაში გიყვარდი თითქოს თუ, ამოჩემებული გყავდი ისე, როგორც ყველა იუნკერს, პენსიონერი ოფიცრის ჩასუქებული ცოლი საყვარლად ჰყავდა და ვინმე, თეთრბაფთიანი გიმნაზიელი, ვითომ წმინდად უყვარდა...

კოტე. „წმინდად"... გიმნაზიის კართან სვდებოდნენ, იკვრლნენ და ძალით კოცნიდნენ. როცა სასწავლებელს ამთავრებდნენ და პოლკში ოფიცრად მიდიოდნენ, მომდევნო კურსელებს, სადგურზე გაცილებისა და ბოთლი არყისათვის „თავიანთი გოგოებით" ასაჩუქრებდნენ. უმსელდნენ, ვის სად ჰქონდა ტანზე ხალი, ან რაიმე ნიშანი, რომელიც მათ თვითონ სხვისაგან ჰქონდათ ყურმოკრული, ან მართლა ქურდულად, მიპარვით დანახული... (უჩოქებს.)

ჰელენ, კმარა! მე ხომ ვიცი ჩემი უბედურება! მოეშვი, ჰელენ, ეს ხომ ბიჭური სისულელეთ მომიყიდა. ყველას ასე სწერდა. მაშინ ხომ არც ერთმა არ ვიცოდით, რომ ყველახე მშვენიერს, და დაუვიწყარს ვშორდებოდით. ვხუმრობდით, ვლაზღანდარობდით იმასე, რასაც მერე მთელი სიცოცხლე გულიდან ვერ ამოვიღებდით. მაშინ ხომ ყველას გვეგონა, რომ ასეთი გოგოები, საღაც წავიდოდით, ყველგან თავსაყრელად დაგვხვდებოდა და ძველს „წყალობად" ვარიგებდით. მეც ასე მეგონა და მეც გავეცი, მაგრამ ეს ხომ ახლა სასაცილოა, ჰელენ, სასაცილო და, მეტი არაფერი...

ელენე. შენ, მე უბრალოდ როდი გამაჩუქე... თამასუქით გამაჩუქე...

კოტე. ჰელენ, რას ამბობ, შენ ამის შესახებ მართლა გითხრეს... ეს ისე. ჰელენ, ყველამ რომ რაღაცა თქვა, მეც ვთქვი.. შენ ხომ იცოდი, ჰელენ, რომ ეს ჩემი მოგონილი იყო. ეს, ჩემი ბიჭური პატივმოყვარეობით მოგონილა და არა ბოროტი განზრახვით.

ელენე. მაგრამ, შენი წასვლის მეორე დღეს, რომ ის „დასაჩუქრებული" იუნკერი მომადგა და მითხრა: თუ ჩემთან არ ივლი, ვიტყვი რომ...

კოტე. რაო, მარცხენა ძუძუს ქვეშ ჯვარნაწერი ბეჭდის ტოლა ხალი გაქვსო?...

ელენე. ახლაც იმეორებ...

კოტე. აქ, ახლა, ჩვენს მეტი არავინაა.

ელენე. შენ, ჩემთვის, ისევე უცხო ხარ, როგორც ასი და ათასი!..

კოტე. ჰელენ. შენი კეთილი გული არ მეტყვის ამას.

ელენე. მე რომ იმ იუნკერს გავექეცი და თავს ვუშველე, მეორე დღეს მთელ გიმნაზიაში და, მესამე დღეს — ეუნიაში, ჩემი ყურით ვისმენდი: ბეჭდის ტოლა ხალი აქვს, ქვეყანამ იცისო.

კოტე. ეს ხომ ჩემი მოგონილი იყო, და შენ არავითარი ხალი არა გაქვს.

ელენე. მეყვირა: ეს გამოგონილია-მეთქი?! კინაღამ თავი მოვიკალი, ძმას, რომ არ გადავერჩინე. მერე, ჩემი ძმა და მისი მეგობრები, რიგ-რიგობით მდარაჯობდნენ, თავისათვის რაიმე უბედურება არ ამეტეხა. ამ დროს „მას“ — ჩემი ძმის განუყრელ მეგობარს, რომ არ გავეცნე და არ მიმბვდარიყო, რომ ეს მომიგონეს და დედაჩემისა და ჩემი გამდელის მეტმა ამქვეყნად არავინ იცოდა ჩემი სხეული, ცხოვრება ისე ჩამივლიდა, სიყვარული რაა, არ მეცოდინებოდა.

კოტე. ჰელენ, შენ გეცოდინებოდა ყველაზე ერთგული სიყვარული! სიყვარული, რომელშიაც მარტო ქალს კი არა ვხედავ, შენში მე მიყვარს დედა, და, ძმა და მთლიანად ჩემი სამშობლო, რომელიც ახლა ჩემს მტრებს უნდა დავუტოვოთ.

ელენე. შენ მოატაცებინე ჩემი თავი?!. შენ, როგორც ავბედითობა, ისევ გამოჩნდი ჩემი ცხოვრების გზაზე და ისევ დაღუპვით მემუქრები?!.

კოტე. ნუ ამბობ, ჰელენ! შენ ჩემი გადარჩენა ხარ, როცა ყველაფერი დავკარგე და უკან მოვიხედე, ყველაფერს შეველიე და შენ — ვერა.

ელენე. დაღუპული ყოფილხარ, თუ მე, ასე უცხო და ხელთათმანივით გადაგდებული, ყველაზე ახლობელი ვარ შენთვის.

კოტე. უბედური ვარ, ჰელენ! დაღუპული და, უნდა გადამარჩინო! (მოეხვევა, ქალი იშორებს და ვერ მოუშორებია.) შენი ანგელოზის ფრთა უნდა გადამაფარო. (ყოვნის.)

ელენე (უმწეოდ). ღმერთო ჩემო, თავი დამანებე, მე ხომ... მე ხომ სხვას ვეკუთვნი.

კოტე. ჰელენ, ჩემს მეტს — არავის!.. შენ ჩემი ხარ, მე ღმერთმა

ყველაფერი წამართვა და ყველაფრის საფასურად შენს თავს მოვითხოვ.

ელენე. გამიშვი! ღმერთო, რა შავ დღეზე გამაჩინე. მაინცდამაინც თავი უნდა მოვიკლა?

კოტე. დღეიდან ჩვენ ერთად ვიქნებით. დღეიდან მხოლოდ შენთვის ვიცოცხლებ.

ელენე. არ შემიძლია მოგცე ის, რაც მე არ გამაჩნია, რაც სხვას ეკუთვნის... მე სხვას ვეკუთვნი!

კოტე. ვიცი, ვისზეც მეუბნები, ვიცნობ ჩემს მოსისხლე მტერს, ვინც ყველაფერი წამართვა.

ელენე. მან და ჩემმა ძმამ ხალხის ბედნიერებისათვის გადადეს თავი.

კოტე. „ხალხის ბედნიერებისათვის, ხალხის ბედნიერებისათვის"... ლამაზი სიტყვებია, მეც ხალხის ბედნიერებისათვის ვიბრძოდი... აბა, რომელი ჭკუათმყოფელი იტყვის, ჩემი ბედნიერებისათვის ვიბრძოდიო? ხალხისთვის იბრძოდა და შენი გული კი მოიგო.

ელენე. მან თავისი სიკეთითა და ხალხის სიყვარულით მოიგო ჩემი გული.

კოტე. კმარა, არ მინდა ჩემს მოსისხლე მტერზე ქება მოვისმინო და, ისიც შენი პირით. მე იმდენად გამაბოროტა იმ შენმა „კეთილშვა", ხალხის მოყვარულმა, არ შემწევს ძალა მისი სახელი გავიგონო. კმარა, „მას" ეყოფა ალზევების სიხარული, ეყოფა ბრბოს ტაში. ახლა ის გამარჯვებულია და მართალიც არის. მას ეყოფა ეს სიმართლე. მე მას ვუტოვებ მამის ძელებს, დედას, ძმას, ქვეყანას!.. ვუტოვებ, რისთვისაც ადამიანს ადამიანი ჰქვია. ნუთუ ქვეყანა ისეთი უსამართლობის ბნელმა უნდა მოიცვას, რომ ან უანგარიშო თვალ-მარგალიტიდან ერთი მედალიონი არ შეკუთვნის? უცხოობაში ყელზე მეკიდოს, როგორც ჩემი არსობის მისამართი?

სასთუმალთან, ჩელტზე რევოლვერს დებს. გარეთ ქარიშხალი მძვინვარებს. თოვლშვაი ფაცხაში იჭრება და ჭრაქს აქრობს.

ელენე (ყვნესით). ვაიმე, ღმერთო!... მიშველეთ!.. არ მომეკარო!..

კ ო ტ ე. მე გავცემ პასუხს ღმერთსაც და კაცსაც, კაცსაც და ღმერთსაც!..

ე ლ ე ნ ე. მიშველეთ!..

გრიალებს ქარბუქი. გრეხენებს ხევში მატარებელი.

ს უ რ ა თ ი მ ე ე ქ ვ ს ე

ოგივე დეკორაცია. ჩელტის ტახტზე ნაბადმოხვეული ზის ელენე, თმებჩამოშლილი და თვალატირებული. იქვე დაფუსფუსებს და თავს ეალება პიღასი.

პ ი ღ ა ს ი. ერთი კვირაა, ჩემო თეთრო ქალბატონო, თვალზე ცრემლი არ შეგშრობია და პირში ლუკმა არ ჩაგსვლია. მართლა ანგელოზი ხარ, ჩემო თეთრო ქალბატონო! ანგელოზი ხარ, ღვთის შვილობილი. აპა, მე — პიღასი უბედური, უვახშმოთ რო დავწვები, თელი ღამე შამფურივით ვტრიალებ. გაჩერდი, ქალო, ნუ ფხარკალობო, მეუბნება მალაქიე, მარა ვერ ვჩერდები. კუჭი მეწვის და არ მაყენებს. ჩემო თეთრო ქალბატონო, გონია მალაქიე მაშინვე იმიტო მიემხრო ერთობას, რო იქნება ვახშამი მოგვიხერხოს და, მაძღარი რო ვარ, ჩემო თეთრო ქალბატონო, ედემის ბაღში მძინავს, მგონია. ყვავილების თაიგულში ვწევარ და არ ვინძრევი, სურნელოვან ვარდებს დავსრისავ, მგონია. არა, ეს შენ არ მოგივა, ჩემო თეთრო ანგელოზო, შენ, თვითონ ხარ სამოთხე და სასუფეველი. აგერ, შენ ნაჩუქარ კაბას ამდენ ხანს ქონდა საკმეველივით ჩუნი, ძილის წინ სასთუმალში ვიდებდი და თელი ღამე ანგელოზების სუფრაზე ვიჯექი, ღვთისმშობელი თავისი ხელით მასმევდა შარბათს...

ე ლ ე ნ ე (ტირილით). პიღასი, მე ყველაზე უბედური ქალი ვარ ამ ქვეყანაზე.

პ ი ღ ა ს ი. მაგაზე, მე არ ვამბობ, ჩემო თეთრო ქალბატონო და შენ რავა კადრულობ. ღმერთს შენთვის არაფერი დოუკლია და რატო სცოდავ მამაზეციერს. მე შავდღიანს, ეს გამონაცვალი კაბა რო ჩიწყალობე, იმ დღეებში, თავი მზეთუნახავი მეგონა და მალაქიას ახლოს არ ვიკარებდი. შენ, შე დედაგანათლებულო, რა არ გაქვს!..

ამის გარდა... (ელენეს ხელს მოწიწებით აიღებს.) შენი ერთი თითი მთელ საქალებოდ ღირს, იმნაირად მჯერავს შენი ანგელოზობის, ფრთები რო გებას, არ გამიკვირდება!

ელ ე ნ ე (ტირილით). ანგელოზი კი არა, შერცხვენილი და ტალახში მოსვრილი ვარ, სიკვდილს შევნატრი!..

პ ი ლ ა ს ი. სიკვდილსო?! გადამრევ, ჩემო თეთრო ქალბატონო, სიკვდილს შენთან რა უნდა, შენ ვინ შეგველევა სასიკვდილოდ... თუ მაინცდამაინც, ანგელოზები ჩამოფრინდებიან, შენს ფრთებს ჩამოგიტანენ და ასე მშვენიერს წაგიყვანენ მამაზეციერთან. მე რო ღმერთი ვიყო, შენ სხვაგან არ გაგაჩერებ, ჩემთან ახლოს გიყოლიებ.

ელ ე ნ ე. დაწყეველილი ვარ ღმერთისა და კაცისაგან!..

პ ი ლ ა ს ი. იმ ღმერთს გაუხმა ენა, რა ენითაც შენ დაგწყევლა. მარა მაგას ვერ დავიჯერებ. კიდო უკეთესს გეტყვი, იმ დალოცვილმა. მარტო შენთვის მოიცალა, პატარა ჩემკენაც გამოხედა?

ელ ე ნ ე. შენ რა გიჭირს, პილასი, ჩემთან შედარებით უბედნიერესი ხარ. ქმარი გყავს, შვილები გყავს, იქნებ დროც უკეთესი დადგეს.

პ ი ლ ა ს ი. ასე უთქვამს შენს ბატონს, ამბანაგ კონსტანტინესაც ნალაქიესათვის, შენ მჯობიხარ მეო...

ელ ე ნ ე. შენი ჭირიმე, პილასი, მისი სახელი არ მიხსენო!

პ ი ლ ა ს ი (გაოცებს). ვისი?.. ქმარია შენი, აბა, ვინ გიხსენო!

ელ ე ნ ე. ქმარი?! ქმარი კი არა, მოძალადეა!

პ ი ლ ა ს ი. რატო ამბობ, ჩემო თეთრო ქალბატონო, ვერ მიგჩვიე? პატარა ხანს კიდო ღა, მერე, კაცთან წოლა სულზე უტკბესი მოგეჩვენება.

ელ ე ნ ე. ნუ ამბობ, პილასი, ეს არასოდეს არ იქნება!.. რა შემაყვარებს... საზიზღარია, თავზე ხელაღებული!

პ ი ლ ა ს ი. ამას იმიტო ამბობ, ჩემო თეთრო ქალბატონო, ჯვარნაწერი რო არა ხართ. მეც ასე შეგონა, პირველად რო გაკოცოვდი, ქე დაწერეს ჯვარი... მარა, მეორეთ ჯვარისწერა რავა იქნება, ისე გაგყევი, მეორე ქმარს პირველზე უფრო მიეჩვიე. მალაქიასთან არ გამამხილო, რო ორნაქმარევი ვარ. ახლა, კიდევ, მალაქიას ვყავარ, მესამეთ სულ ვინ დაგვწერდა ჯვარს, მარა მალაქიასაც ისე მივეთვისე, ერთი ღამე რო ერთი ღამეა, უმისოდ ვერ გავათევ.

ელენე. შენ, ღმერთმა კარგად გამყოფოს, მე კი ვიცი, სიკვდილსა და სამარეს უნდა შევეთვისო.

პილასი (ვეტისმეტად შეწუხდა). მართლა ამბობ, თუ?! რაღაცა, რო ვუკვირდები, მარტო კაცის მიუჩვეველობით არ გიჭირს, ჩემო თეთრო ქალბატონო.

ელენე. თავს მოვიკლავ, მაგრამ „მის“ უნახავად სიკვდილი არ მინდა.

პილასი. სხვა ვინმე იყო მოსასვლელი?! ამ ბატონ ამხანაგს დაბადებული რა აქვს, მარა თუ არ გინდა, ადექი და იმას წაყეკი, ვინც გულზე გეხატება.

ელენე (ატირდა). გათავდა ყველაფერი, ახლა ვიღას ეუნდივარ, ან მე ვისთან რა გამოსაჩენი პირი მაქვს.

პილასი. შენ, ერთი კი არა, ასი ნაქმარეკი რო იყო, ჩემს ქალიშვილობას მაინც აჯობებ.

ელენე. ჩვენ არავისზე უკეთესი არა ვართ, პილასი. კაციშვილი ყველა ერთნაირია, თუ სინდისი სუფთა აქვს. მე უკვე ადამიანთან და ქვეყანასთან პირშავად ვარ.

პილასი. მალაქიას გაუხმა ხელ-მხარი, თუ მართლა არ გინდოდა ბატონი ამხანაგი და მაინც მოატაცებია შენი თავი, პირდაპირ ცეცხლს მოეუკიდებ და დავწვავ!

ელენე. მალაქია არაფერ შუაშია, პილასი, მან ხომ არ იცოდა, ვინ მიყვარდა?

პილასი. მასე თუ იყო... ეს რო მცოდნოდა, თელი ღამე გულში ჩაგეკვრებოდი, შენს თავს ბატონ ამხანაგს კი არა, მიქელ-გაბრიელს არ დავანებებდი. რა ვიცოდი, მეგონა სიხარულით ფეხი მიწაზე არ გედგა და ვერც მეორე დილას მოგაკითხე. ვიფიქრე, ჩემი თეთრი ქალბატონი კაცთან ღამეს პირველათ ათევდა და, მე რო ქალი ვარ, ჩემთანაც დაიმორცხვებს-მეთქი. მესამე დღეს ქე მინდოდა მოსვლა, მარა ბატონ ამხანაგს მალაქიესთვის ეთქვა და მალაქიემ, ფეხებს დაგამტვრევ, ფაცხაში შესული არ დაგინახოო... საჭმელს, რაც გამაჩია, ქე გიგზავნიდი და ფაცხის ჭუჭრუტანიდანაც გხედავდი, რო ტიროდი და არაფერს ჭამდი. ახლაც, რო კიმოთე ობოლაძეს რაღაცა ამბავი არ მოეტანა და ბატონი ამხანაგი ქვევით, რკინიგზისაკენ, ფაცხაფუცხით არ გაქცეულიყო. შენამდე ისევ არავინ შემომიშვებდა.

ელენე. ქვევით გაიქცა?

პ ი ლ ა ს ი. აბა, მატარებელი გაჩერებულა, ვილაცები ჩამოსულან და თემი დაუკავებიათო, ასე მოვკარი ყური კიბოთეს ნათქვამს. მალაქიე ტყეშია, ჩემო თეთრო ქალბატონო, თვარა ის კი მიხვდებოდა.

ე ლ ე ნ ე (წაიძრობს მარგალიტის თვლიან ბეჭედს). ეს შენი იყოს, თუ რაიმე გამაჩნია, მოკცემ. (კაბას ხელი დაავლო, მაგრამ ჩაცმა გადაიფიქრა.) ესეც შენი იყოს, ოღონდ შენი კაბა მომეცი.

პ ი ლ ა ს ი. ეგეც შენი წყალობა არაა? (კაბაზე დაიხედა.) მარა, ეგ ახლა რავა გეკადრება. ამ სიცივეში, გამოსაცვლელი რო არა მაქვს, გაურეცხავი მაცვია.

ე ლ ე ნ ე. მომეცი, პილასი, ახლა ეგ ჩემთვის ღვთის წყალობა იქნება. შენ კი, ჩემი ჩაიცვი.

პ ი ლ ა ს ი. არა, ჩემო თეთრო ქალბატონო, ტიტველი დავრჩები და ამას არ ვიზამ. ამისთანა ნაბეგრისთვალი ბეჭედი რო გვეიკეთო და ეს კაბა ჩევიცვა, მეც მომიტაცებს ვინმე და, შენი არ იყოს, თავი მოსაკლავი გამიხდება. ან, აბნაირათ გამოწყობილი რო ჩემი თავი დაეინახო, მაშინვე გავქალბატონდები.

ე ლ ე ნ ე. მიშველე, პილასი, თორემ თავს მოვიკლავ, იცოდე, ჩემი ცოდვა შენს კისერზე იქნება.

პ ი ლ ა ს ი. შენ რო გიღალატო, ღმერთი თავის ხელით გამროზგავს. შენი მოსამსახურე ვარ, ჩემო თეთრო ქალბატონო, მარა ეს ბეჭედი არ მინდა... კაბას ქე ვარ ნაჩვევი და ასე ახალს, ძვირფასს რავა შევეგუები, მარა არ დავეძებ, თლათ სიშიშვლეს, ფარჩის კაბა მეცვას, ჯობია.

შერბის ოდაში, იცვლის. თავისი კაბა გამოაქვს და ელენეს აცმევს.

ე ლ ე ნ ე. მიშველე, პილასი, აქ არ მომიწროს, თორემ ახლოს არავის მომაკარებს. მგონი, საზღვარგარეთ წაყვანას მიპირებს!

პ ი ლ ა ს ი. საზღვარს იქით?! მერე, სადა ვნახამ მე ჩემს თეთრ ქალბატონს?

ე ლ ე ნ ე. ველარ მნახავ! თუ არ მომეხმარე, ველარ მნახავ! (ფაცხის კართან მირბის, გარეთ იხედება.) პილასი, გარეთ არ გამომყვე, თორემ მაშინვე მიხვდებიან, რომ გადაცმული ვარ. შენი თავსაფარიც მომეცი და შენ ჩემი თეთრი შარფი გქონდეს!

პ ი ლ ა ს ი (საკერებლად ქცეული თავსაფარი მოიძრო, მიაბრბენია). შენი, შიგნით დაიხურე თუ მაინცდამაინც ჩემი — გარედან.

ელენე. არა, შენი მირჩევნია, ახლა ეს ქვეყანას მირჩევნია...

პილასი (ახურავს თავზე). ჩემო თაესაფარო, რას მოესწარი! არ მცოდნია შენი ფასი და მოვკალი, თუ გინდა!

ელენე. პილასი, არ გამომყვე, არ დამლუპო! (გარბის.)

პილასი (კარში იყურება). ნამეტანი დიდი ამბები ხდება, ჩემო ბატონო... ეს ჩემი თეთრი ქალბატონი ფეხს მიწაზე რო ადგამდა, რავა კაცრულობს-თქვა და, რა შლიგინით გარბის! (პირჯვარს იწერს.) პირჯვრის საწერი ამბავია, ჩემო ბატონო. ნამეტანი აირია ქვეყნიერება. (ტანზე დაიხედა.) აჰ, აირია კი არა, გადატრიალდა. ჩემი ყაბა თეთრ ქალბატონს აკვია, მე — მისი. კი, ჩემო ბატონო, კი, გადაბრუნდა ქვეყანა და, ქვეკით რო ვიყაკით, ზეკით მოექეცით, ზეკიდან რო იყვენ — ქვეკით. (ბეჭედი აიღო და თითზე იკეთებს. არ მოერგო.) გაწეკა უნდა, ბატონო, ყველაფერი, ჩვენ, ისე კი არ მოგვერგება, როგორც ჩვენს ბატონებს... (ნეკზე წამოიცვა.) რასაა რო ეკეტალებს. ესაა, ალბათ, ბეკერ ბატონს თვალებს რო უფსებდა და ამ თვალ-მარგალიტის გარდა ვერაფერს ხედავდა. ის კი ჰრადა, მეც ნამეტანი მომეწონა... ეს, ბატონო, იმისთანა მაცდურია, ამ გადატრიალებულ ქვეყანაზეც ბევრს დაუფსებს თვალებს... (თეთრი აბრეშუმის შარფი მოიხურა.) დავიჯერო, ახლა, მე პილასი ვარ?.. ვენაცვალე ამ ერთობას, ერთი გამოხედეა მეც ხო გამომახედია თვალში. ახლა, აგერ, ფაცხის ყურეში დამაყენა და იქიდან მაყურებია ჩემი თავისთვის! მალაქიე რო მოკა, არ გადირევა? ამხანაგო პილასიო, დაიწყებს... მარა, კაცს რო შარკალში ტიტველი ხორცი უჩანს, მისი ამხანაგი კარ? აჰ, რავა წახდა წუთისოფელი, თვარა სად მე და სად მალაქიე ტურაბელიძე... (ყველ გონს მოვგო.) ამისათვის ვადავატრიალეთ ქვეყანა და ახლა. მეც ისევ ის არ წამოვიწყე?! ქალბატონობა არ მოვინდომე?! აჰ, არავინ გამიგოს... ის კი ჰრადა, მალაქიასაც სულ ეს უნდა ეუჩიჩინო, მარტო მალაქიას კი არა, ყველას... ახლა, ეს ქვეყანა რო გადატრიალდება, ვინც ზეკით მოექცეკა და იმ დაბეკული შარკლების მაგიერ შივიოტის გალიფეს ჩაიცმეკენ, ცოლებმა, ლოკინში, სიყვარულის ანსნასავით უნდა უჩიჩინონ: მალაქიე ხარ, მალაქიე ტურაბელიძე, შარვალში რო ხორცი გიჩანდა, არ დაკაეიწყდესო. თუ არა, რაკი ამ ქვეყნის გადაბრუნება-ვადმობრუნებას მიეჩვიეთ და ბატონები არ დაკზოგეთ, მალაქიას თავზე ხელს ვინ დაუსვამს? მერე, ისიც შეიძლება, ის გამოხეული შარვალი მოვნატ-

როს... (ფეხის ხმა მოესმა.) ა, ვიღაცა მოდის და დავიღუპე. ისე რო დამინახოს, ვინ მიცნობს. არც მინდა რო მიცნონ, თვარა, ახლავე გაიგებენ, ქალბატონი რო გაიქცა და დაიკარგენ... დიდუ, ბატონი ამხანაგი რო იყოს, ქალბატონი ვეგონო და ხელი წამაკლოს... (შემოდის მალაქია. დარცხვენილი, თავჩაქინდრელი კართან აიტუზა.)

მ ა ლ ა ქ ი ა. ელენე, ესე იგი, მე... მაშასადამე, მე საწყალი მომატყუეს, თუ, აქედან გამომდინარე, შეეცდი, ესე იგი, კონსტანტინე „ის“ არ ყოფილა, თუ ვინც ამხანაგმა ვანო, მაშასადამე შენმა ძმამ... ახლა, ხეკში ვიღაცები... მაშასადამე, კიმოთეს მოეტანია ამბავი... აქედან გამომდინარე, პილასის არაფერი უთხრა. ახლა, თუ მალაქიე არა ვარ... ესე იგი, მგონი მაინც მალაქიე ვარ... ახლავე სხვებსაც დავუძახებ. (მიბრუნდა და გარბის.)

პ ი ლ ა ს ი. დავიღუპე, ბატონო, ისე აირია ქეეყანა რო მე კი არა, მალაქიამაც ვერაფერი გაიგო. (ოდაში შესულს აპირებს.) კი შეეკალ მარა, შვილებმა რო ვერ მიცნონ. ღამურასავით არ დამეშართოს, არც ქალბატონად გამოვდგე და ჩემიანებმაც ახლოს არ გამიკარონ... (გარედან ხმა: ამხანაგო მალაქია! ამხანაგო, მალაქია ტურაბელიძე!) ეს ხმა ჯერ ჩემს ყურს არ სმენია.

ფაცხის კარს მოადგება მ ი ხ ა, ხელში გაშლილი ქაღალდი უჭირავს.

მ ი ხ ა. გამარჯობათ, ამხანაგო პილასი!.. (აკვირდება.) თქვენ უნდა იყოთ ამხანაგი პილასი. უფრო სწორად, ქ, ამ საბლში დიასახლისია პილასი. მაგრამ თქვენი მორთულობა მე მახსენებს ერთ ქალს, უფრო სწორად, ქალს, რომელიც არასოდეს არ მაეიწყდება.

პ ი ლ ა ს ი. ამ კაცს პირველად ვუყურებ. (მიხას.) რა იცი, შენ ამხანაგო...

მ ი ხ ა. მიხა ცხადაძე.

პ ი ლ ა ს ი. რა იცი შენ, ამხანაგო მიხა ცხადაძე, მე როკორი უნდა ვიყო და რა უნდა მეცვას და მეხუროს...

მ ი ხ ა. ამხანაგო პილასი, ამ ქაღალდს ხომ ხედავ? (დაანახებს გაშლილ ქაღალდს.) აქ ყველაფერი მითითებულია, ამ ფაცხის კარს ისე მოკაკვეი, დაძახება წესია, თორემ, მალაქია ტურაბელიძის ოჯახში რომ ვიყავი, ეკვი არ შემპარვია.

პ ი ლ ა ს ი. მაშინ ხშირათ ყოფილხართ ჩვენს ოჯახში და, დავღუპულვარ, მე არ მხსომებია.

მ ი ხ ა. არათუ თქვენს ოჯახში, ამ არემარეზე ფეხი არ დამიდგამს და ახლაც ისეთი ბილიკებით მოვედი, აქაური კაციც ვზას ვერ გაიგ-

ნებს. ეს, ყველაფერი, შევძელი ამ ხელისგულის ოდენა ქაღალდით.

პ ი ლ ა ს ი. დიდი ღვთის წყალობაა, ამხანაგო მიხაკო... მიხაკო არ მითხარი?!

მ ი ხ ა. დიახ, დიახ, შინაურებში ასე მეძახდნენ.

პ ი ლ ა ს ი. დამღუპავს, ბატონო, ეს ქალბატონის ჩაცმულობა, გაშინაურებას მიპირებს!

მ ი ხ ა. რა ბრძანეთ, ამხანაგო პილასი?

პ ი ლ ა ს ი. რაღაც ჩემთვის, მარა გაშინაურებისათვის კი არ მითქვამს, მიხაკო-თქვა.

მ ი ხ ა. რატომაც არა, რატომაც არა. ჩვენ შინაურები ვართ, ჩვენი და-ძმობა, მალაქიას და ჩვენი ძმობა ნიშნავს ერთობას, ერთობა კი თავისუფლებას.

პ ი ლ ა ს ი. არ მინდა, ამხანაგო მიხაკო, ეგ ლაპარაკი. მასე მოვიდა ორი კვირის წინ, თქვენსავით ნაბადმოსხმული ბატონი ამხანაგი და დაგვღუპა და დაგვაქცია, შეაცდინა ჩემი მალაქიე და ჩემს თეთრ ქალბატონს თავი მოსაკლავად გაუხადა.

მ ი ხ ა. ჩვენ, ყველა ჩაგრულის იმედად და მხსნელად ვთვლით ჩვენს ძმობა-ერთობას.

პ ი ლ ა ს ი. შენ კი თვლი, ამხანაგო და მეც მასე მეგონა, მარა ერთი ჩემს ქალბატონს ჰკითხე?

მ ი ხ ა. თქვენი ქალბატონი, თუ მართლა ქალბატონია, ვერ იქნება ხასიათზე. უფრო ნათლად რომ მოგახსენოთ, რუსეთში ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს და, დღე-დღეზე, გამარჯვებული... თქვენთვის რომ უფრო გასაგები იყოს, გამარჯვებული ერთობა თქვენი სოფლის კარებსაც შემოაღებს.

პ ი ლ ა ს ი. რაღაცა, მაგი, ამ რამდენიმე წუთის წინ ვიგრძენი, ამხანაგო მიხაკო.

მ ი ხ ა. დიახ, დიახ, ამხანაგებო, ადამიანები წინდაწინ გრძნობენ ბედნიერებას.

პ ი ლ ა ს ი. კი მარა, ჩვენში ჯერ კიდევ არაა გამარჯვებულიო, ასე არ ბძანე?

მ ი ხ ა. რაღა აკლია, ძველი დაემხო, ახალი კარზეა მომდგარი, როგორ, თქვენ იცვობთ?

პ ი ლ ა ს ი. არა, კი არ ვიცვობ, მარა მეშინია.

მ ი ხ ა. რისი, ბედნიერების?

პ ი ლ ა ს ი. დიახ, ბედნიერების.

მ ი ხ ა. პირველად ვხედავ ქალს, რომ ბედნიერების ეშინოდეს. ასე არ გიცნობთ, თქვენ, ამხანაგი ვანო.

პ ი ლ ა ს ი. მეშინია, ბატონო, მაგ ოჯახაშენებული რევოლუცია ჯერ არ მოსულა და უკვე ფარჩით შემმოსა, თითზე ოქროს ბეჭედი წამომაგო და, რო მოვა, თვალ-მარგალიტში ჩამახრჩობს.

მ ი ხ ა. ჩვენ, უფრო გასაგებად რომ გითხრათ, რევოლუცია არაფის თვალ-მარგალიტებს არ პირდება და, კაცმა რომ თქვას, მარგალიტი რისი მაქნისია. ჩვენ მოგვაქვს თანასწორობა ან, უფრო სწორად, თანასწორუფლებიანობა.

პ ი ლ ა ს ი. ხო არ ჭლუპავთ, ამხანაგო, ამ ბეჭედს ხო არ წამართმევთ, ამ ფარჩა-ატლასის მაგიერ, ისევ ჩემს გაურეცხავ კაბას ჩამაცმევთ და ნაკერებლაფქცეულ თავსაფარს დამხურავთ?

მ ი ხ ა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ სიმართლეს ვიცავთ და, გეტყვი; თვალ-მარგალიტს ვერ დაგპირდებით, ჩვენ შენს უფლებებს დავიცავთ და ადამიანს ადამიანთან გავათანასწორებთ.

პ ი ლ ა ს ი. ეჰ...

მ ი ხ ა. რაო, ამხანაგო პილასი, თანასწორობისაც ხომ არ გეშინიათ?

პ ი ლ ა ს ი. რა სჯობია, ამხანაგო მიხაკო, თანასწორობას, მარა იმ ჩემს თეთრ ქალბატონთან რო გაევთანასწორებიე, კაი იყო, ისიც თუ მე გამითანასწორე და ჩემსავით შიშველ-ტიტველი დასვი, იმით მედგა სული, თლათ დაგიღუპიეარ, ჩემო ბატონო.

მ ი ხ ა. ბატონი კი არა, მე ამხანაგი ვარ...

პ ი ლ ა ს ი. კი ვიცი, ჩემო ამხანაგო, მაგას მალაქიეც კი მეუბნება...

მ ი ხ ა. ჰოდა, უნდა გითხრა რომ, ჩვენ არაფის წყალობა არ დაგვჭირდება, რაკი თვითონ ჩვენ, მე და თქვენ, ამხანაგო პილასი, მალაქია... (ამ დროს შემოდის მალაქია, მიხა ვერ ხედავს.) თქვენი მეუღლე და თქვენი მეზობელი...

პ ი ლ ა ს ი (შემოდის სოლომონი). სოლომონი.

მ ი ხ ა. ამხანაგი სოლომონი და...

პ ი ლ ა ს ი (შემოდის ანტიფო). ამხანაგი ანტიფო.

მ ი ხ ა. ანტიფო და...

პ ი ლ ა ს ი (შემოდის არქიფო). და არქიფო...

მ ი ხ ა. ამხანაგი არქიფო...

პ ი ლ ა ს ი. და კიმოთე! (მაგრამ კიმოთე არ ჩანს.) კიმოთე, ამხანაგო მიხაკო, თავისთვისაა...

მ ი ხ ა. და სხვები... (მოიხედავს და მაშინვე იცნობს მალაქიას.) ამხანაგ, მალაქია ტურაბელიძეს გაუმარჯოს! (ხელს ართმევს.) ამხანაგებს გაუმარჯოს! (ყველას ართმევს ხელს.)

პ ი ლ ა ს ი. არ გაიკვირდეს, მალაქია, ერთი ხელისგულისტოლა ნახევი ქაღალდი აქვს და, ნატვრისთვალივით, იმ ქაღალდში ქვეყნიერებას სცდავს!

მ ი ხ ა. ამხანაგო მალაქია, მე ბოდიში უნდა მოვიხადო ყველა თქვენთაგანთან, რომ ჩამოსვლა ძალიან დამაგვიანდა, მაგრამ თქვენ უნდა ენდოთ რევოლუციონერის მართალ სიტყვას, ეს მარტო ჩემზეც არ იყო დამოკიდებული. ჩემს სიმართლეს ამხანაგი ვანიც დადასტურებს... თავის დროზე.

მ ა ლ ა ქ ი ა. ესე იგი, შენ, ამხანაგო... ვანო ყიფიანი...

მ ი ხ ა. დიახ, დიახ, მე გახლავართ ის რევოლუციონერი, ამხანაგი მიხა ცხადაძე, ან, როგორც თქვენი მეუღლე მეძახის, მიხაკო.

მ ა ლ ა ქ ი ა. მაშასადამე, ამხანაგი მიხა... (ისევ ართმევს ხელს და პილასის მიუბრუნდა.) შენ, აქ, ესე იგი, რა გაცვია, რა გახურავს და რა მიხაკო გამომიწყე!..

პ ი ლ ა ს ი. ისე ვუთხარი, შე კაცო, შინაურულად.

მ ა ლ ა ქ ი ა. ესე იგი, რა შინაურულად?! აქედან გამომდინარე, აქ შენი ფეხი არ იყოს!

პ ი ლ ა ს ი (ოდის კარისკენ მიდის). შენი ფეხი არ იყოსო... არ დეიჯეროთ, ბატონო, ქვეყანა არ გასწორდება! (გადის.)

მ ი ხ ა. როგორ არ ეცადნენ... უფრო გასაგები რომ იყოს, როგორ არ ჩაჰკეტეს ცხრაკლიტულში, რომ ჩვენ ერთმანეთს არ შევხვედროდით, მაგრამ ჩვენ მაინც ერთად ვართ და ვერც ვერავინ გაგვთიშავს!

მ ა ლ ა ქ ი ა (ეჭვიანად). მაშასადამე, თქვენ ამხანაგი მიხა...

მ ი ხ ა. მიხა ცხადაძე.

ა ნ ტ ი ფ ო. კაცო, ასჯერ ხომ არ გითხრას ერთი და იგივე...

ს ო ლ ო მ ო ნ ი. კი, მარა, ხო იცი, ანტიფო...

ა ნ ტ ი ფ ო. კაცო, როგორ არ ვიცი, ქვეყანა არეულია, კაცი კაცში შეეშლება.

ს ო ლ ო მ ო ნ ი. ჰო, არის, კი... აპა, რას გაუგებ...

ა ნ ტ ი ფ ო. ამბანაგო მიხა, ჩვენში, ახლა მიტომ მღერიან: (მღერის.)

„შემოვიდნენ წითლები,
ატყდა დავიდარაბა,
რომელ პარტიას ეკუთვნი,
ამბანაგო ბარნაბა“...

სურათი მეშვიდე

იგივე დეკორაცია. ანთია ჭრაქი. ისმის პიღასის წვიელ-კივილი. იხსნება ფარდა. ფაცხის კარს აწყდება პ ი ღ ა ს ი. ისმის ცხენების ფეხის ხმა, ბავშვების ზრიალი.

პ ი ღ ა ს ი. დაგეღუპეს, ბატონო, დაგვაქციეს!.. ვის გაუგონია! კინაა, რო ჩემს ბალაქიას ჭკუა გადაუბრუნა... ვის მოსწრებია ქალის ორჯერ მოტაცება და ისიც, რავარი ქალის! ვინ შეგვარჩენს, ბატონო, ამას... დიდუუ, მოყავენ, ბონია. დეიღუპა ჩემი თეთრი ქალბატონი! რაღა თეთრია, ჩემო ბატონო, რაც აბუნტებული და ფუძედანგრეული ამ არეულ ქვეყანაში დაწანწალობს და ვისაც სიყვარულის ხუშტურმა მოურა, ყველა ჩემს თეთრ ქალბატონს მოადგა. თუ ამ ამღვრეული ქვეყნის დაწყნარებას არაფერი ეშველა და ყოველთვის ჯოხი ჩემი თეთრი ქალბატონის კისერზე გადატყდა, მე რო პიღასი ვარ, ორნაქმარევი და, აგერ, რახანია მესამეს ვყავარ, მალე ჩემს თეთრ ქალბატონთან, თლათ ხელუხლებელ ქალიშვილთ გამოვჩთები. დიუუ, აგერ არ მოყავენ!

პიღასი უკან იხევს. ბიხას ველზე მიეკრავს ნაბადში შეხვეული და ბაწრით შეკოხილი ელენე. არქიფო და ანტიფო ეშველებიან. შემოდიან თოფებმომარჯვებული ბალაქია და სოლომონი. პიღასი ნაბადს ეცა.

ბ ა ლ ა ქ ი ა. ესე იგი, აქ რა წიოკობას ტეხავ, პიღასი?!

პ ი ღ ა ს ი. ჩემი თეთრი ქალბატონი, ჩემი სიკეთით სავსე ქალბატონი... აჰ, თქვე ტურტლიანებო! კიდევ ახლეთ ხელი?

ა რ ქ ი ფ ო. მე, მაშინაც ამას ვამბობდი და, ახლაც ვამბობ, ბატონი მაინც ბატონია...

მ ა ლ ა ქ ი ა. ესე იგი, პილასი-თქვა! (ნაბადში შეხვეულ ქალს ჩელტზე აწ-ვენენ. მიხა დიდი მოწიწებითა და მზრუნველობით ეჭცევა.)

პ ი ლ ა ს ი. არ გადამრიო-თქვა! შენ, მაშინაც რო დაგიჯერე და ჩემს ქალბატონს თავი მოსაკლავად გაუხადეთ. (მიხას.) აქით გამობძანდი, ამხანაგო პუნტოვჩიკო, შენ!

მ ი ხ ა. მე, ამხანაგო პილასი, როგორც საუნჯეს, როგორც ოვალის-ჩინს...

პ ი ლ ა ს ი. ესე იძახოდა ის ბატონი ამხანაგიც, აგვიხვია თვალები და ამოთხარა თვალისჩინი ჩემს ქალბატონს!

მ ი ხ ა. ამხანაგო მალაქია და, ამხანაგებო! ჩვენ კი ვილაპარაკეთ ამა-ზე, მაგრამ მე მაინც მიკვირს, როგორ შეგაცდინათ იმ თეთრგვარ-დიელმა არამზადამ?

მ ა ლ ა ქ ი ა. ესე იგი, ჩვენ შენ გელოდით, მაშასადამე, ამხანაგო მი-ხა, და რა ვიცოდით...

ა ნ ტ ი ფ ო. შუბლზე არავის აწერია, კონსტანტინე ვარ თუ მიხაკო.

ა რ ქ ი ფ ო. მარა, ბატონი მაინც ბატონია.

პ ი ლ ა ს ი. შუბლზე არავის არ აწერია, ამხანაგო და მე ახლაც არ ვიცი, ვინ აპირებს ამ ანგელოზად დაბადებულ ქალთან ჩელტზე კოტრიალს!

მ ა ლ ა ქ ი ა. პილასი-თქვა! ესე იგი, რა სიტყვა-პასუხია ეს, პილასი!

პ ი ლ ა ს ი (მიხას). ამხანაგო, შენ რო იძახი, სიმართლე ჩემი ხელობა-აო, სიმართლე თუ გინდა, ესაა.

ა რ ქ ი ფ ო. სიმართლე თუ გინდა, ბატონი ბატონია.

მ ა ლ ა ქ ი ა. პილასი, პილასი-თქვა!

მ ი ხ ა. ამხანაგი პილასი მართალია, არავინ არ იცის ვინ ვინაა... უფ-რო გასაგებად რომ ვთქვა, ცხვრის ტყავში ვინ იმალება.

პ ი ლ ა ს ი. მალაქია, ხო ხედავ რას ამბობს?

მ ა ლ ა ქ ი ა. პილასი-თქვა!

პ ი ლ ა ს ი. მე არ ვიცი, ამხანაგო მალაქია, ამ ცხვრის ტყავში რა მა-მალი ჭველი იმალება, ჩემს თეთრ ქალბატონს ვინ უპირებს და-ღეჭვას და, აქედან გამომდინარე, მალაქია, არსად ფეხის მომცვლე-ელი არა ვარ!

ა ნ ტ ი ფ ო. ჩაეუტოვებთ ხელში ამ, ფედოსიას ბაჭაპურივით და კი-მოთეს თეთრი ღვინოსავით, ქალს და მეორე კვირაში ეძიე შენ მრუდი და მართალი...

მ ა ლ ა ქ ი ა. ესე იგი, მართალი უნდა ვიცოდეთ აქედანვე.

მ ი ხ ა. ამხანაგებო, ახლა სიმართლე იოლი გასაგებია.

პ ი ლ ა ს ი (ელენეს ეფარება). ახლა, აქვე მიჩვენეთ სიმართლე, თვარა. აქედან, თოფი რო მკრათ, ფეხს არ მოვიცვლი!

ა ნ ტ ი ფ ო. არ იზამს, გგონია? კაცს ეშმაკი დაუწვებოდა გვერდში, ღმერთს ქალი რო არ გაეჩინა.

ს ო ლ ო მ ო ნ ი. კი, კი, ქალმა არ მიაკარა ეშმაკი კაცს, თვარა, ღასაწოლად მიმარაგებული იყო.

მ ი ხ ა. ვინაა, რომ ამხანაგ პილასის აქ დარჩენას უკრძალავს? რევოლუცია ქალს, კაცს უთანასწორებს.

პ ი ლ ა ს ი. მაგას მალაქიეც კი იძახის, მარა აქ მაინც არ მაჩერებს, მომარაგებული არა ხარო.

მ ი ხ ა. ალბათ, მომზადებული, არა?

პ ი ლ ა ს ი. ჰო, ალბათ. ამხანაგებო, ასე ჰქნა მაშინაც. (ტირის.) არ დამაყენეს და ჩემი თეთრი ქალბატონი ჭყინტი ყველივით შეაჭამეს იმ ბატონ ამხანაგს.

მ ი ხ ა. ამხანაგებო, ერთობაში ქალი და კაცი თანასწორია...

მ ა ლ ა ქ ი ა. სიმართლე, ესე იგი, ახლავე სიმართლე, თვარა, მაშასადამე, მერე რაღა დროს.

პ ი ლ ა ს ი (ელენეს ზედ ეფარება). დამღუპავენ, ბატონო! ახლოს არავინ მიეკაროს... ამის ხელ-ფეხის გახსნას და მერე ყოველი ბუნტოვჩიკის ხელში ჩატოვებას, ასე შეკონილი იყოს, ურჩევნია.

მ ა ლ ა ქ ი ა. სიმართლე, ესე იგი, თუ, აქედან გამომდინარე, ქალი და კაცი ერთია, მაშასადამე, მე რო რევოლუცია ვარ, სიმართლე უნდა იყოს...

მ ი ხ ა. სიმართლე და ჭეშმარიტება, ნეტავ ყოველთვის ასე იოლი მისაგნები იყოს, როგორც აქაა. ამხანაგო პილასი, გთხოვთ ელიკოს პირიდან ამოუღოთ პირსახოცი და სიმართლე თვითონ ალაპარაკდება.

პ ი ლ ა ს ი. ამხანაგი მიხაკო მართალია... (მაშინვე ნაბადი გადაუწია და ელენეს პირიდან პირსახოცი ამოაცალა.) დავიღუპეთ, ბატონო, მაშინაც ასე მექნა!

მ ა ლ ა ქ ი ა. ესე იგი, მოიცათ, რას იტყვის.

ე ლ ე ნ ე (ძლივს გასაგონად). მიხა...

პ ი ლ ა ს ი. მიხაკო!

ე ლ ე ნ ე. მიხაკო.

პ ი ლ ა ს ი. მიხაკოო! (ბაწრებს უხსნის.)

მ ი ხ ა. ელიკო, ძვირფასო, როგორ ხარ, როგორ გაგაწვალეთ... რატომ. რატომ მაშინვე ჩემსკენ არ გამოიქეცი, როცა გიგე, რომ იქვე, ორლობეში გელოდი!

პ ი ლ ა ს ი. არ გამოიქცა, არ უნდოდა წამოსვლა?..

ნაბადს ისევ უჭერს ბაწრებს და ეფარება.

ე ლ ე ნ ე. მე, შენთან შესახვედრი პირი აღარ მაქვს, მიხაკო და თავი თუ არ მოვიკალი, შენს უნახავად სიკვდილი არ შემეძლო და იმიტომ, აწი კი ნახვამდის!..

მ ი ხ ა. ელიკო! (სახეში ჩააჩერდება.)

ე ლ ე ნ ე (თვალებზე ხელს იფარებს). ახლოს არ მოხვიდე, მიხა, შენი ჭირიმე, ახლოს არ მომეკარო, თვალებში არ ჩამხედო!

პ ი ლ ა ს ი. დეიწვი, ამხანაგო მიხაკო, უკან, არ დამღუპო, მართლა არაფერი მოიწიოს.

მ ი ხ ა. ელიკო, სიცოცხლევ, ახლა იწყება... ქვეყანა განახლდა, ახდა შენი, შენი ძმისა და ჩემი ოცნება, ადამიანებს თავისუფლება ეღირსათ...

ე ლ ე ნ ე. მე ბედნიერებად ესეც მეყოფა.

პ ი ლ ა ს ი. რო არ ვიცი, ჩემო მალაქია, რა ვქნა!

მ ა ლ ა ქ ი ა. მაშასადამე, მე რო რევოლუცია ვარ, ასეთი ქალი, რომელიც მიყვარს და, (ჩაფიქრდება.) ესე იგი, სხვამ მომტაცა... ამხანაგო მიხა, ელენე ჩვენ მოვიტაცეთ.

მ ი ხ ა. მაგრამ ისარგებლეს თქვენი... უფრო სწორად, თქვენი მიდობით და შეგაცდინეს.

ა ნ ტ ი ფ ო. ჩვენი სიბრიყვით მოგვიყიდა.

ს ო ლ ო მ ო ნ ი. სიბრიყვით... კი, აპა, ისე რავა...

პ ი ლ ა ს ი. რავა ახლეთ, თქვე ტურტლიანებო, ხელი ანგელოზს. ანგელოზი თავისი ფრთებით გადაფრინდებოდა საითაც გული მიუწევდა.

მ ა ლ ა ქ ი ა (ჩაფიქრებული). მაშასადამე, ეს მე, მალაქიას დამემართა, ანტიფოს, სოლომონს და არქიფოს.

პ ი ლ ა ს ი. დამღუპავენ, ბატონო! (მალაქიას.) და კიდევ პილასის!..

მ ა ლ ა ქ ი ა. და პილასის... და, აქედან გამომდინარე, მე თუ მალაქია არა ვარ, არც ანტიფო, სოლომონი და არც არქიფო...

პ ი ლ ა ს ი. მალაქია!..

მ ა ლ ა ქ ი ა. ჰო, კიდევ პილასი... და რევოლუცია ვარ, არა ვარ დამნაშავე.

ანტიფო. მე, რაება, ხელიძალით ექეხი, თე?!

სოლომონი. რო მეოდნოდა, რაება ეიხამდი...

არქიფო. არა, მარა ის კი ვიცოდით, ბატონი რო ბატონია.

მალაქია. ესე იკი, მე რო რევოლუცია ვარ, არა ეარ დამნაშავე...

მიხა. ამხანაგებო, უნებური დანაშაული, დანაშაული არაა. ზოგჯერ ჩვენც ვცდებით ამ დიდ ბრძოლაში, მაგრამ კარგი საქმისათვის ვცდებით და უნდა მოგვეტეოს.

პილასი. თქვენ, კი, ყველამ გამოიწმინდეთ პირი, მარა... ქალის საშველი არაა, ჩემო ბატონო, ეს ჩემი თეთრი ქალბატონი რო ივ ბატონ ამხანაგს ჩელტზე დაუგდეთ და, დეზებიანი ჩექმებით, ერთი კვირა ანელიეთ, ახლა, დამნაშავე ჩემი, ღვთისთვის გაჩენილი ქალბატონია?!.

ანტიფო. თუ, ბოლოს და ბოლოს, ამ ერთობამ გაიმარჯვა, პილასი გუბერნატორად აეირჩიოთ.

სოლომონი. კი, კი.

არქიფო. ქალი მაინც ქალია.

მიხა. აი, ამხანაგებო, რა მოაქვს რევოლუციას. ამხანაგი პილასი და პილასისთანები...

პილასი. ამხანაგო მიხა, საკმეველს ნუ მიკმევ, ჩემს თეთრ ქალბატონზე ილაპარაკე.

ანტიფო. გუბერნატორია, ხალხო!

სოლომონი. კი, არის და, რას უზამ ახლა?

მიხა. ასე ჩვეულებრივი ქალი და ჭამაკაცი იქნება ქვეყნის მესაჭე, უფრო გასაგებად — მმართველი, ანდა ვაჭკებელი.

ანტიფო. გუბერნატორი, კაცო, სულ ერთი არაა?

სოლომონი. რაც გინდა ის დაარქვი, ერთია.

პილასი. ამხანაგო მიხა! ამ ქალზე ილაპარაკე, სანამ ტანზე ის ბაწარი არ შემოუხსნია და კისერზე არ შემოუჭერია, თვარა თქვენ აქედან რო წახვალთ და მალაქიე ხელში ჩამიგდებს, კი ეიცი რის გუბერნატორადაც დამნიშნავს.

ანტიფო. სოლომონ, შე ულმერთო, დამაკვირდი!

სოლომონი (მიაჩერდა). დაგაკვირდი!

ანტიფო. ახლა პილასის შეხედე.

სოლომონი. შევხედე.

ანტიფო. ძერე, არ მოგერიდოს და მითხარი, მე ვარ პილასი თუ პილასია ანტიფო?!

არქიფო. კაცი კაცია და ქალი ქალია.

მიხა. ელენე ისეთივე სრულუფლებიანი მოქალაქეა და ისე თავისუფალი როგორც ყველა ჩვენგანი და, უფრო სწორად, მილიონი ადამიანი.

ვალაქია. შენ აგაშენა ღმერთმა, ამხანაგო მიხა, ესი იგი, შინაურულად, ამხანაგო მიხაკო.

ანტიფო. თუ ეს, რასაც ამბობს, მართლაც ასეა, ქე უნდა გაემარჯვა ამისთანა კაცს, რავა იტყვი?

სოლომონი. კი უნდა გაემარჯვა, რას ერჩი?

ანტიფო. შენ კი მეთანხმები, მარა პილასი რას იტყვის, ამხანაგი პილასი?

პილასი. ამხანაგო მიხაკო, ელენე თავისუფალიაო და მართალიაო, ამბობ, მარა თუ გაანთავისუფლე და ხელი კარი, მაინც დაგიღუპია, ბატონო და ისაა.

მიხა. ჩვენ იმისათვის ვიბრძვით. ქვეყნად უბედური არავინ იყოს და მე თუ ჩემი საყვარელი ადამიანი გავაუბედურე, ჩემს ნათქვამ სიტყვას რა ფასი ექნება და ჩემს ბრძოლას, — რა მიზანი?

პილასი. ანტიფო, ახლა არაფერი თქვა, დაახურე სოლომონს და არქიფოს ქუდი თავზე და გაუძეხი წინ! შენ კი, ჩემო მალაქია, ამ გაგანია ზამთარში, ფაცხაში შუაღამემდე რო ვყურყუტობ, შე კაცო, ჭვალა გამიდგა, გუბერნატორობას არ დავეძებ, კეცი მაინც გამიხურე და წელზე დამადევი!

ტიხრის კარისკენ მიდის.

სურათი მერვე

ფაცხის კარს აწყდება გაცეცხლებული პილასი. თმებს იგლეჯს და პირისახეს იხოკავს. იქვე, ჩაეშხობა და მოთქვამს:

პილასი. დავიღუპეთ, ბატონო!.. დაგვაქციეს, ბატონო!.. ხო ვამბობდი, ბუნტია, ნამეტანი დიდი ბუნტია-თქვა... (დაუვება ფაცხის წკნელს კედლებს და მოთქმას განაგრძობს.) ჩამკეტეს, კარები დაჯორგეს!.. ვაი, შე უბედურო პილასი! ვაი, შენ ჩემო თეთრო ქალბატონო!

ყველა ბუნტოვჩიკის და რაზბონიკის საჯიჯგნი და სათრევი შეინ შეიქენი!.. მიშველეთ, არავინა ხართ ქრისტიანი! (მოისმის ჩოჩქოლი.) ანტიფო, მალაქია! მიშველეთ! სადა ხართ!

მ ა ლ ა ქ ი ა ს ხ მ ა. ესე იგი, პილასის ხმაა!

ა ნ ტ ი ფ ო ს ხ მ ა. რო წამოვედით და პილასი სახში დავტოვეთ, ჭკუა რო დაგვჭირდებოდა, ვისთვის გვეკითხა?

ს ო ლ ო მ ო ნ ი ს ხ მ ა. კი, აპა, რას ვაპირებდით?

პ ი ლ ა ს ი. აქეთ წამოდით! სახლის გზა დაგავიწყდათ? თქვენ აგერიათ ჭკუა, რავარც ქე გაქვთ არეული. მიშველეთ, კარი, კარი გამიღეთ!

მ ა ლ ა ქ ი ა. ესე იგი, პილასი, სახლში ვინ გამოგკეტა? (პილასი კარს აწყდება. გამოექანება, მიასკდება. გარედან გაუღებენ და კისრისტეხით გავარდება. შემოჰყავთ ხელში აყვანილი.) არიქა, პილასი, ამოიღე ხმა!

პ ი ლ ა ს ი. დავიღუპეთ, მალაქია! ახლა, ვეღარც რევოლუცია გაგვამართლებს და ვეღარც ბუნტი!

მ ა ლ ა ქ ი ა. ბუნტი... ესე იგი, დამთავრდა... ესე იგი, თეთრები... მტრები თემიდან გავრეკეთ!

ა ნ ტ ი ფ ო. რა გავრეკეთ, ყოველი სოფლიდან რო ამდენი ხალხი მივესიეთ, თავისით გაიქცნენ.

ს ო ლ ო მ ო ნ ი. კი მარა, რო არ მივსეოდით, არ გაიქცეოდენ?

პ ი ლ ა ს ი. სად გაიქცენ, არსად არ გაქცეულან!

ა ნ ტ ი ფ ო. მატარებელზე ჯდებიან და გარბიან!

მ ა ლ ა ქ ი ა. მაშასადამე, ვინც გარბის და ფეხებში არ გვედება, ირბინოს, ეს ტყე და ქვეყანა დაგვიცალოს!

პ ი ლ ა ს ი. დაგვიცალოს კი არა, დავიღუპეთ, მალაქია! მიხაკო სად არის? მიხაკოს ამბავს რატო არაფერს ამბობთ?!

მ ა ლ ა ქ ი ა: — მიხაკო, ესე იგი, და კიდევ სხვა მიხაკოები, მაშასადამე, თემში ათასი საქმეა... ამ უპატრონო ქვეყანას რაცხა ხო უნდა უსაშველონ?

ა ნ ტ ი ფ ო: პილასი, შენს საქმეზე არ იჯავრო. რო მოვდიოდი, მიხაკოს და იმ სხვა მიხაკოებს დაუძახე, თუ გინდათ ეს ახალი ქვეყანა ისე არ დაიქცეს, რავარც ძველი, აქ, ამ თემში პილასი გააგუბერნატორეთ-თქვა!

ს ო ლ ო მ ო ნ ი: — კი, უთხრა და, მიხაკომ, თუ საჭირო იქნა, უფრო მაღლა ავიყვანთო.

ა რ ქ ი ფ ო: — მარა, მე ვთქვი, ქალი მაინც ქალია!..

სოლომონი. კი, მაგი მალაქიამაც თქვა, ქალი მაინც ქალიაო, ბოვშები უდედოთ არ დამიტოვოთო.

ანტიფო. ქალისა და კაცის მტრობას ვერც რევოლუცია გაასწორებს.

პილასი. გაჩუმდით, ბატონო, გაჩუმდით! სუყველას: მეც, მალაქიასაც და თქვენც... კისერში ღვლეჭი გვაქვს ჩასაბამი და თავი ხეზე ჩამოსახრჩობი.

მალაქია. ესე იგი, ახლა ვქნათ მაგი?

პილასი. ახლა, ამწუთას!

ანტიფო. რაკი პილასი ამბობს, ამოვირჩიოთ რომელს რომელ ხეზე ვაკვიხარღება.

არქიფო. რომელსაც ჩამოვიხრჩობი, სულ ერთია, ხე — ხეა.

მალაქია. აქედან გამომდინარე, ისევ გადმოტრიალდა ქვეყანა: თუ რა ამბავია? (კარებში გამოჩნდება კიმოთე.) ეს, რა ხანია არ გამოგვდებია.

პილასი. არ გამოგდებია კი არა, იმისთანა კვანტი დაგვიდო, ვერც ვერი ფეხზე ვეღარ დავდგებით.

ანტიფო. ეუ, რა გულმოღეღილი ხაჭაპური იცის მაგის ცოლმა, ფედოსიმ!

პილასი. მაგან გაგიხადათ ხაქმე ხეზე ჩამოსაკიდებლად!

მალაქია. კიმოთე-თქვა, გითხარი მე, შენ ფეხებში ნუ გვედებითქვა!

კიმოთე. ამას, მეტი ჭკუა კი არა აქვს, მეხვრის ეს ოჯახდაქცეული. რა გინდა, შე გლახის ჭირო, ძე ჩემთვის ვარ, ჩემთვის დავდივარ...

ანტიფო. შენთვის თუ დადიოდი, კვანტი რატო დაგვიდეევი?

სოლომონი. კი, რატო გვიკვანტე?

არქიფო. კვანტი წაგვაქცევს, კვანტი — კვანტია.

პილასი. მაგან დაგვღუპა, მაგასთან ყოფილა ის ბატონი ამხანაგი და მაგან რო გაიგო, თქვენ და ამხანაგი მიხაკო თემში წადით ასაბუნტებულად, მაგი მოყვა და დამაქციეს და დამამხვეს. ჩემი თეთრი ქალბატონი... (ოთაში ხელები წაიშინა.)

მალაქია. ქალბატონი?! მაშასადამე, ამხანაგი ელენე... ესე იგი, (კიმოთეს) შენთან მალავდი თეთრს?

სოლომონი. კი, ასე გამოდის.

არქიფო. თეთრი — თეთრია, წითელი — წითელია.

კიმოთე. იმ ღმერთს გაუწყრა სამართალი, ჯერ, თქვენ რა გასაჩენი იყავით და, რაკი არ დაიშალა და მაინც გაგაჩინათ, პატარა ჭკუა თქვენთვისაც მოეცა. სწორედ მაგისთვის მოვედი, რაიმე უბედურება არ დამწამონ-მეთქი. თქვენ ორი კვირა გყავდათ გულში ჩაკრული: ქალი თქვენ ბოუტაცეთ და ცოლად შერთეთ, ჩემთან ერთი საათით შემოიარბინა, შენს სახლამდე მოეყვანა, სტუმარს პანღურს ხო არ ამოეკრავდი, თქვენი მოტაცებული და შერთული ცოლის ცხენზე შესმაში მივეშველე...

პილატი. ძალიან ძალით შედვეს ცხენზე და კინაღამ ტყვია ვკრეს, წინ რო გადოუდექი. მერე, სახლში გამომკეტეს და გზას გოუყენეს.

მალაქია თოფს უღერებს კიმოთეს.

მალაქია. კიმოთე-თქვა! ხო გითხარი, ფეხებში ნუ მედები-თქვა!..

კიმოთე. თქვენ ედგებით იმ კაცურ კაცს ფეხებში და თქვენს ბიერ მოყვანილ ქალს ართმევდით, რაკი გაიკვეთ, რო ის კაცი მიწუბს ვერ მოგცემდათ. ვინც ახლა გბირდებათ, იმას მიართვით სთრეკად და ნაბეტსაახლელად.

ორთქლმავლის სმა ძლიერდება.

მალაქია. მე თუ მალაქიე არა ვარ და რევოლუცია ვარ, ახლავე გაგათავებ, კიმოთე ობოლაძე! თუ, ესე იგი, არ მითხარი სად გადამალეთ ქალბატონი... ამხანაგი ელენე?!

პილატი. დავიღუპეთ, ბატონო, თავი აქვე, პირველ ხეზე უნდა ჩამოეკიდოთ, თუ არ ათქმევინეთ სად წაიყვანეს!

კიმოთე (პილატის). მე რა მაქვს დასამალი, შე უჯილაგო, ქვეყანად უსამართლობა მეფობს, თორემ შენ თავი მაშინ უნდა მოგეკლა... (მალაქიას.) როცა თავადის ქალი გაძარცვეთ და მისი ფარჩის კაბა პილატის ოფლით აყროლებულ ტანზე ჩამოაცვით!

მალაქია. ესე იგი, გაგათავე, კიმოთე-თქვა!..

კიმოთე. თოფი იქით შეაბრუნე, შე მართლა შაბათის მათხოვარო, ჩემთან რა გინდა, იმ კაცმა თავისი ცოლი სადაც უნდოდა იქ წაიყვანა.

პილატი. დიდუუ, ჩემო მალაქია, ათასში ერთხელ წიწილას რო დაგაკვლევინებდი, თვალები დახუჭე, არ უყურო-თქვა. ახლა, რაფერ გითხრა — კაცი მოკალი-მეთქი, თვარა, შოსაკლავია ჩვენი ხელიდან!

ა ნ ტ ი ფ ო. სად წაიყვანა!
ს ო ლ ო მ ო ნ ი. რო თქვას, წინ რა უდგას.
მ ა ლ ა ქ ი ა. კიმოთე-თქვა მე მალაქია არა ვარ, რო იცოდე შენ!
კ ი მ ო თ ე. ვინც არ უნდა იყო, შე ღვთის გლახა, მე დასამალი არაფერი მაქვს. იმ კაცმა თქვენი მოგვრილი ქალი ჩემთან გამოატარა, ახლა, აგერ ჩაატარებს, ჩავა ხევში, ჩასვამს მატარებელში და წავა. აბა, დაუხვდი და წაართვი...

მატარებელი გუგუნებს.

პ ი ლ ა ს ი. ახლავე უნდა გავიქცე... (დააპირებს წასვლას.)
მ ა ლ ა ქ ი ა. პილასი, მოიცა! ამხანაგებო, ესე იგი, მატარებელი...
ა ნ ტ ი ფ ო, ა, აგერ გამოიცლის, მარა რა გინდა, რო უქნა მატარებელს?
ს ო ლ ო მ ო ნ ი. კი, ვერაფერს ვერ უზამ, დაწრუპუნებით არ გაჩერდება.
ა რ ქ ი ფ ო. ურემი ურემია, მატარებელი — მატარებელია.
პ ი ლ ა ს ი. დიდუ, ჩემი თეთრი ქალბატონი...

შემორბის გაწეწილი, გულგახეთქილი ელენე.

ე ლ ე ნ ე. მიშველე, პილასი, დამმალე! (თავშესაფარს ეძებს.)
პ ი ლ ა ს ი. სანამ ცოცხალი ვარ, შენს თავს ვის დავანებებ!

ეხვევა, ეფარება; კარს კოტე მოაწყდა, კიმოთე უკან აბრუნებს.

კ ი მ ო თ ე ს ხ მ ა. კოტე, გაჩერდი, უკან დაიხი. ამათ მეტი ჭკუა კი არ მოეთხოვებათ, გესვრიენ!
კ ო ტ ე ს ხ მ ა. რა უნდათ, მაგ ოჯახამოწყვეტილებს, ამ სამოთხესავით ქვეყანას ვუტოვებ და რას მერჩიან, ეს ქალი მაინც დამანებონ!
კ ი მ ო თ ე ს ხ მ ა. გაჩერდი, კოტე, გაჩერდი!..
კოტე ხელიდან უსხლტება და შემორბის.
მ ა ლ ა ქ ი ა. ესე იგი, თეთრი, კიკნაძე... კონსტანტინე, მაშასადამე, უკან დაიწი!..
კ ო ტ ე. მატარებელი მიდის, დავიღუპე!.
ა ნ ტ ი ფ ო. მოუსვი აქედან!
ს ო ლ ო მ ო ნ ი. მართლა და, თავი განწირული ხო არა აქვს ამ კაცს?
კ ო ტ ე. რა გინდა, მალაქია, შე საცოდავო! რავა ჩალის ღერივით გიპირავს ეგ თოფი, მესროლე, თუ კაცი გქვია!

მალაქია უკან იხევს და თოფს ფეხზე აყენებს.

ს ო ლ ო მ ო ნ ი. ამას მართლა მოძულებია თავი.

კ ი მ ო თ ე ს ხ მ ა. კოტე, უფრთხილდი, უკან დაიწი!

კ ო ტ ე. გაწიე, მალაქია, ეგ თოფი იქით, ყანაში ყვავების დასაფრთხობად გამოგადგება.

კოტე ელენეს მივარდა, პიღასი გადაუდგა, მაგრამ კოტემ მოისროლა და კერიას დაახარცხა. ელენეს ეცა და მიათრევს.

მ ა ლ ა ქ ი ა. გაგათავე-თქვა!..

შემართა თოფი. ბეკთან არ მიუტანია, რომ გავარდა. კოტე ჩაიკეცა. მალაქია მაშინვე მივარდა.

მ ა ლ ა ქ ი ა. მაშასადამე, კოტე, ხო ცოცხალი ხარ? დასწყეველოს ღმერთმა... რატო არაფერი არ გამოგონე... კინაღამ... ესე იგი, ქე იხუვლა ამ უპატრონომ და... ხო არაფერი გიჭირს!..

კ ო ტ ე. არ მეგონა, მალაქია... შენში მართლა სხვა ეშმაკი ჩასახლებულა! (ავად იტაცა გულზე ხელი.) მოკვალი, შე რჯულგაყიდულო?! (ამუზა) თუმცა, უსამშობლო კაცის სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს. (სასოწარკვეთილის ღიმილით.) ჩემს მიწაში მაინც დავიმარხები... კი, ჩემთვის ასე სჯობს, მაგრამ, შე უბედურო, შენს გაჭირვებას კიდევ კაცის ცოდვა უნდოდა? ღმერთს რას ეუბნები, მალაქია?

მ ა ლ ა ქ ი ა (მთლად გონდაკარგული). ესე იგი, კოტე, იმ ღმერთს, მაშასადამე, თუ ღმერთია, არ იცის, მე არ მისვრია!..

კ ო ტ ე (ხელი ჩაიქნია). ვინც მესროლა, მე კი დაკამთავრე ჩემი ტანჯული სიცოცხლე და, ვიცი, მიწის ზეკით არ დამტოვებთ. ახლა მტერიც შენა ხარ ჩემი, მალაქია, და ჭირისუფალიც... სადაც დამმარხავთ... ნუ გგონია დაივიწყებ შენი მოკლული კაცის საფლავს და, თუ ვინმემ ოდესმე მიკითხოს, მიასწავლე და უთხარი: სამშობლო არავისზე ნაკლებად არ უყვარდა-თქო... (ცვდება.)

ა ნ ტ ი ფ ო. ეუ, მართლა მოკვდა, ეს შაე დღეზე გაჩენილი?!

მ ა ლ ა ქ ი ა. რატო... ესე იგი, არ მოკვდება, შე კაცო, გაჩერდითქვა... ის მე ხო არ მისჯრია, მე თუ მალაქიე ვარ, თოფი სულ არ მისვრია... ჩიტის ცოდვა არ მადევს... მარა, მე თუ მალაქიე არა ვარ და რევოლუცია ვარ...

გასროლა კაჟიანი თოფით

კომედია ორ ნაწილად

მოქმედი პირები

სულხანი,	ფილოლოგიის დოქტორი.
თაბუშა,	ცოლი მისი.
რომანი,	მათი ვაჟიშვილი, მუდმივი სტუდენტი.
მზაღო,	რომანის შეყვარებული.
თეა,	უფროსი ქალიშვილი.
ტარიელი,	თეას ქმარი.
თიკო,	უმცროსი ქალიშვილი.
თამგი,	მზაღოს დიდპაპა.
მილიციელი.	

რომანის მეგობრები, ქალიშვილები და ვაჟები.
მზაღოს თანასოფლელები.

პროლოგი

ვრცელი ოთახი — ბინაა, სახელოსნო თუ სასადილო. კედლები ხის პანელებითაა შეფიცრული და ფერადი ბრეზენტით განათებული. წალოებში რადიოლები, ტელევიზორი, ხმის ჩამწერი და, პატეფონი და გრამოფონიც კი. რბილი სავარძლები და დივნები. დაბალი, ფართო მაგიდა სასმელ-საჭმელით, ხილითა და ტკბილეულით. ოთახში მოდურად ჩაცმული ახალგაზრდობა ირევა. გრიალებს საზღვარგარეთული და ჩვენებური მუსიკა. ვიღაცა „სევდიანი“ ქალიშვილი, ფეხი ფეხზე გადადებული, მიჯდომია კუთხეში პატეფონს, „სულიკოს“ ატრიალებს და იცრემლება. დაოსებული, მსუქანი ქალ-ვაჟი ცეკვას დაბალ, ყრუ რიტმში აგრძელებს. გულმოღეღილი, დაბალი უმაწვილი სავარძელზე გადათალაშულა, — სძინავს თუ თვლემს. მაღალ-მაღალი კი უცხოურ სიმღერას იწყებს და მოტივი ვერ გაუხსენებია. დივანზე „აწურულ“ გოგოს, პიჯაკის ცალ სახელოში მკლავგაჩრილი, ვაჟი საკოცნელად „ეპარება“. ბრგე, სპორტსმენი თამადა ყურადღებას თხოულობს. გულმოღეღილ ქალიშვილს უნდა მოუსმინოს, მაგრამ წითელკაბიანი არ ანებებს: ისეთს რას იტყვისო. თამადა ბროლის ყანწს შამპანურით ავსებს, გაჯგიმული ირწევა და თითქოს იმუქრება.

თამადა. ეს, ძმებო და დებო, ამხანაგებო და მეგობრებო, ჩემო თანამემამულენო, ჩვენს პატარა, კოპწია, დაპატუჟნულ სამშობლოს გაუმარჯოს! აჰ, რავა იტყვით თქვენ?

მაღალი. მე რომ მკითხოს კაცმა...

თამადა. მე გეკითხები...

მაღალი. ჰოდა, რაკი მეკითხები, ჩემო ძმაო, კეთილო... რა გითხრა, იცი?.. არაა მაგი ისე პატარა.

თამადა. არ მითხრა, ახლა, გაუთოება რომ უხერხდებოდესო...

დაბალი (ერთბაშად გამოფხიზლდა და შეიცხადა). აჰ! ღმერთმა დაიფაროს!

წითელკაბიანი. რატომ, ქიშვარდი, თუ სიგრძე-სიგანეში მოიმატებს!

დაბალი. მოიმატებს კი არა, ერთიორად... ერთისამად მოიმატებს!

წითელკაბიანი. მერე, მაგას რა სჯობია, დიდი სამშობლო გვექნება.

მსუქანი ქალიშვილი. კი, მოგეცა ლხენა, რა ჯობია დიდ სამშობლოს, მარა, მერე რუკაზე არ გინდა დაატიო? (ამოიკვნესებს და ცეკვას ძალმიხდილი განაგრძობს.)

თამადა. რუკას რას დავეძებ, კაცო, შავ დღეში ვარ. მე, რომ მიყურებთ თქვენ, მორბენალი ვარ... რატომაა, საქართველოში რომ მორბენალი ჩემპიონი არ ყოფილა?

გულმოღეღილი ქალიშვილი. უი, მართლა, მაგი ვის გაახსენდა!

დივანის კუთხეში მიმწყვდეული ქალიშვილი. თენგიზ, რა დროს კოცნაა, ჭვეყნის ბედი წყდება!

წითელკაბიანი (თამადას). რატო, რატო?..

თამადა. გასაქცევი ადგილი არაა...

მსუქანი ქალიშვილი. უყურე შენ!

დაბალი. არ მიკვირდა? სპორტის სხვადასხვა სახეობაში კი და, ეს მორბენლები რატომ არა გვყავს, რა ღმერთი გვიწყრება-მეთქი!

მაღალი. კი ამბობდი, კი, შენ.

დაბალი. ვამბობდი კი არა, ჯაერით არ ვიყავი.

მაღალი. ისე, ადგილიდან მხტომელი რეკორდსმენი გვყავს.

დაბალი. ბედი არ გინდა, მაინცდამაინც სპორტის მაგ სახეობა მოიხსნა მსოფლიო შეჯიბრებებში.

თამადა. გაჩერდი, თუ ძმა ხარ, ვინ მოგეცა ჩვენ იღბალი... დავლიოთ სამშობლოს სადღეგრძელო ასე, როგორცაა დაშმუშნული თუ, მაინცდამაინც, მის გაუწორება-გაუთოებას ვუცადოთ?

დაბალი. აჰ, ღმერთმა დაგვიფაროს, როგორცაა ისე გაუმარჯოს!

თამადა. კი მაგრამ, რეკორდსმენი მორბენლები არ გინდათ, ხომ?

მ ა ღ ა ლ ი. სამაგიეროდ, ადგილიდან ხტომის სახეობა დააბრუნონ შეჯიბრებებში და რეკორდს რეკორდზე დავამყარებთ.

დ ა ბ ა ლ ი (ცრემლები ერევა). არა გვაქვს... არაფერში ქართველებს ბედი არა გვაქვს! (ბროლის ჭიქას ბოლომდე სცლის.)

წ ი თ ე ლ კ ა ბ. გაგიჟდი? ეს ჩემი სასმისი იყო!

დ ა ბ ა ლ ი. ხომ გითხარი, ბედი არა გვაქვს-მეთქი. ხომ არაფერი გადამედება!

მ ა ღ ა ლ ი (თამადას). დაელეგ ამას, მაგრამ, ისე, რომ იცოდე შენ, ეს რომანის გამოჩენამდე არ უნდა დაგველია. რომანს უყვარს ეს სადღეგრძელო.

თ ა მ ა დ ა. არ ჩანს ეს რომანი და სამშობლოს უპატრონოდ ხომ არ მივატოვებთ...

წ ი თ ე ლ კ ა ბ. რომანი, რომანი რომ არ ჩანს, არ გიკვირთ?

გ უ ლ მ ო ღ ე ღ ი ლ ი. გადასარევი ამბავია, ნუცა, შენ არ მომიკვდე!

დ ა ბ ა ლ ი. რომანი... ვიცი, მე... რომანი... ისე არ დაილევა სახნისი, არ გამოვიდეს სადგისი.

ღ ი ვ ა ნ ი ს კ უ თ ხ ე შ ი მ ი მ წ ყ ვ დ. ქ ა ლ ი შ ვ. ე, გესმის, თენგიზ? რა გეკოცნება, სახნისი და სადგისიო...

დ ა ბ ა ლ ი. რომანი უპატრონოდ არ მიგვატოვებს, არ დაგვაობლებს... რომანს ვუყვარვართ ჩვენ (ტირის.) და იცით, თქვენ, სიყვარული რაა?

მ ა ღ ა ლ ი. „დედას ვუყვარვართ შვილები,
დედა არ გვახსოვს შვილებსა,
ამიტომ, წუთისოფელი
სულ მუდამ გვაცოდვილებსა".

პ ა ტ ე ფ. მ ი მ ჯ დ. ქ ა ლ ი შ. ხალხო! ხალხურ პოეზიას გაუმარჯოს! უსახელო პოეტებს გაუმარჯოს!

თ ა მ ა დ ა. მოიცა, მოიცა შენ, ჩიტო!

მ ა ღ ა ლ ი. ჩიტო, გვრიტო, მარგალიტო...

თ ა მ ა დ ა. ახლა ამან წამოიწყო!

მ ა ღ ა ლ ი. ჩიტი-გვრიტი მოფრინავდა...

დ ა ბ ა ლ ი. ჰოუ, რანინაა!

მ ა ღ ა ლ ი. მე შროშანი მეგონაო...

მოცეკვავე ვაი საკარძელზე გულაღმა ეცემა და პარტნიორს მოკაკვულ თითს აჩვენებს: წაეგე, მეტი აღარ შემიძლიაო. გამარჯვებული ტემპს უმატებს და და-

მარცხებულს ხელს მაღლა აწევინებს, რომ სხვებმაც დაინახონ. იღება კარი და გამოჩნდება მზაღო. უკან რომანი ეფარება და წინ ძალისძალით მოყავს.

თამადა. ეს რა ჯიმის ფრინველია და საიდან მოფრინდა!

მაღალი. მოგვიფრინდა სიყვარულის ფრინველი
მიზეზითა სხვისითა და სხვისითა!..

წითელკაბიანი. ამ უცხო ფრინველის უკან ვინ იმალება?!.

გულმოღელ. რომან, შე ბასიკვდილე! სადა ხარ და ეს გვრიტი სად გამოჩეკე!

დაბალი. რომანი!... ვიცოდი მე, ვიცოდი... მაგის ამბავს შე თქვენ მასწავლით! (მიდის და მზაღოს კისერზე ეკიდება.)

მზაღო (დაფრთხა). ღმერთმანი, ეს კაც სისხლ დამაღვრევინებს! ზურგს უკან დამალულ ფანდურს აღმართავს, რომანი დაუკრავს).

რომანი. ქალაუ, ჩვენი ძმადნაფიცია...

მზაღო. ძმადნაფიც ყელსაბლად სად თქმულა!

რომანი. აკვარიზია, ქალაუ, აკვარიზი! (დაბალს თვითონ ეხვევა და მზაღოს არიდებს.)

დივანის კუთხეში მიმწყვდ. ქალიშვ. თენგიზ, კოცნა კი არა, ყელზე მოხვევინისთვის კინაღამ სისხლი დაიღვარა.

თენგიზი. რაო, ისევ ბნელში ვართ? ისევ არ დაადგა საშველი ჩვენს განათლებას!

მაღალი. ქალაუ, შენმა მანდილმა!..

წითელკაბ. რომან, შენ რა გითხარი მე, შენ!

გულმოღელ. აი, რატომ უყვარს ყველას, ეს მიწაგასახეთქი!

პატეფ. მიმჯდ. ქალიშვ. ეს, „ქალაუ“ და „ვაჟაუ“ საიდან?!. რომანი გამოსწორებას არა და არ აპირებს?

რომანი (უჩურჩულებს). მზაღო, მიესალმე, მზაღო, ჩემი ძმადნაფიცები და დედნაფიცებია!

მზაღო (დაიმორცხვა). წმინდა გივარგის მადლმა... სალამი დაგიგვიანეთ...

გულმოღელ. (აღტაცებული). „წმინდა გივარგის მადლმა“... უნიკალურია!

წითელკაბ. რომან, მოდი, უნდა გაკოცო!

დივანის კუთხეში მიმწყვდ (თენგიზს). მე კი არა, რომანს აკოცე, მგონი, ბარე ათი საუკუნით უკან გვახვევინებს.

გულმოღელ. რომაწ, ამ „ქალაუმ“ ბოდიში კი მოიხადა, სალამი დაგიგვიახეთო, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მაინც არ მოგვსალმებია.

რ ო მ ა ნ ი (მზაღოს). რა ჰქენი, ქალაუ, მოიქერი თავი?!

მ ზ ა ღ ო. (დახაშაულზე დაკერილივით, შემცბარი). გაგმარჯვებიყოთ მტერზედა!

წ ი თ ე ლ კ ა ბ. მტერზედაო, მტერზედაო!.. (გოგოები ერთმანეთს აწყდებიან, ეაეები ერთბაშად გამოფხიზლდნენ.)

თ ა მ ა დ ა. მაშ, ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!

პ ა ტ ე ფ. მ ი მ ჯ დ. (სევდიანად). გაუმარჯოს, მაგრამ ვინ მოვიდა, ხომ უნდა ეიცოდეთ.

გ უ ლ მ ო ღ ე ღ. აბა, როგორ?!

წ ი თ ე ლ კ ა ბ. ვინც მოვიდა, მაგრამ ვინ მოვიდა?

დ ი ვ ა ნ ი ს კ უ თ ხ ე ში მ ი მ წ ყ ვ დ. თენგიზ, გაუმარჯოს, მაგრამ ვის გაუმარჯოს?

ლ ა ბ ა ლ ი. რომანს გაუმარჯოს და, კიდევ... (მზაღოს ისევ მოხვევას უპირებს.)

მ ზ ა ღ ო (დამფრთხალი). რომან, ძმადნაფიც ყელზე რად მებმის, თავი ავგაროზ ჰგონია?!

რ ო მ ა ნ ი (ჩადგება მათ შორის). თავი ავგაროზ ჰგონია... მეგობრებო! გაიცანით... (მზაღოსაკით დაიმორცხვებს.) ჩემი საცოლე — მზაღოი... (ყურში უჩურჩულებს, შენი გვარი დამავიწყდაო. მზაღოს სირცხვილით ენა ეკარდება.) ჰო, მზაღო... ქალის გვარი რა საქიროა... ამ დღეებში მაინც უნდა გამოიცვალოს...

ბ უ ლ მ ო ღ ე ღ. ამ დღეებში?..

რ ო მ ა ნ ი. დღე-დღეზე.

წ ი თ ე ლ კ ა ბ. მაშინ, ახლავე... თუ საქმე გადაწყვეტილია...

რ ო მ ა ნ ი. წყალი არ გაუვა. მე, ჩემი მხრივ... (მზაღოს შეაჩერდება. შეაჩერდებიან ყველანი.)

წ ი თ ე ლ კ ა ბ. ეგ, შენ კი, მაგრამ ქალაუ, ქალაუმ გადაწყვიტა?

გ უ ლ მ ო ღ ე ღ. ახლა, ასე, სიყვარულს მეც კი მიხსნიდი, მაგრამ ჯვარი კი არ დაგვიწერია. (მზაღომ რომანს ავი თვალით გადახედა, მაგრამ რაღაც გაიხსენა და კმაყოფილმა დაიმორცხვა.) ფრთხილად, მზაღო, რომანი ვერაგია...

მ ზ ა ღ ო. გული კრული არს კაცისა, ხარბი და გაუძღომელი.

მ ა ღ ა ლ ი. უყურე შენ, „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად სცოდნია!

წ ი თ ე ლ კ ა ბ. (მზაღოს). ლამზირამაც ეს გითხრა, რომანი ხარბი და გაუძღომელიაო.

გ უ ლ მ ო ღ ე ღ. თუმცა, ეს თავადაც სცოდნია.

დ ი ვ ს ი ს ‘ კ უ თ ხ ე შ ი მ ი მ წ ყ ვ დ. გამოგტყუებს კოცნას და...

მ ა ღ ა ლ ი. „კოცნა მინდა გამოგტყუო,
ოუ, რანინა,
და ამიტომ გეფლიდები,
ოუ, რანინაა!“

მ ზ ა ღ ო. ხატის ფიც მაძცა.

გ უ ლ მ ო ღ ე ღ. აააა!..

პ ა ტ ე ფ. მ ი ბ ჯ დ. რაო, რაო? გოგოებო, ვერ გავიგე!

წ ი თ ე ლ კ ა ბ. ხატის ფიც მაძცაო.

მ ა ღ ა ლ ი. ჩემი ხატია სამშობლო...

დ ა ბ ა ლ ი (რომანს ყელზე ეკიდება). მომილოცავს, ძმაო, რომან, და მონაწილე ვარ შენი ბრუხარების, რომ ხელიდან გვეცლები... (ტირის.)

მ ა ღ ა ლ ი. „ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა!“

თ ა მ ა დ ა. მაშ, ვინც მოვიდა, გაუმარჯოს თუ არა, ბოლოს და ბოლოს! ერთხმად, ერთხმად, მეგობრებო, რეკორდულად! (სვამენ.)

გ უ ლ მ ო ღ ე ღ. ეი, დავლიე ჩემი მოქიშპის სადღეგრძელო, მაგრამ მე, როგორც ქალი...

წ ი თ ე ლ კ ა ბ. ქალაუ.

გ უ ლ მ ო ღ ე ღ. მე, როგორც ქალაუ, ამ სუსტი სქესის წარმომადგენელი ვარ და ამადგე დავრჩები. მართალია, მაგ „ხარბს“ და „გაუძღომელს“, ჩემთვის ხატის ფიცი არ მოუცია, მაგრამ სიყვარულის პირობა მომცა და დღეს, როგორც ხედავთ, მიღალატა! (მზაღო ანთო.) ჩვენ, ქალებს, ქალისა უნდა გვესმოდეს... მე ეგოისტი და შურიანი არა ვარ; მინდა, ჩემმა გაუბედურებამ სხვებს ჭკუა ასწავლოს. ვინ იცის, ხვალ-ზეგ, მაგ ორპირმა ხატის ფიციც კატეხოს... კატეგორიულად მოვითხოვ, დღესვე, ახლავე, ამწუთას ორივეს ჯვარი გადავწეროთ...

წ ი თ ე ლ კ ა ბ. ახლავე... ამ მომენტში. „ქალაუ“ რომ შეარცხვინოს, ჩვენი სირცხვილიცაა.

თ ა მ ა დ ა. გაუმარჯოს ნეფე-დედოფალს!

მ ა ღ ა ლ ი. ყანწი, ყანწი რა უყავი, შე რეკორდსმენო, შენ!

დ ა ბ ა ლ ი. მაგი მორბენალია, დაგავიწყდა, რომ ადგილიდან ხტომა ამოღებულია შეჯიბრებებშიო. ვინ მოგვცა ჩვენ იღბალი. (ისევ ტირის.)

მ ა ღ ა ლ ი. რა გატირებს, შე უპატრონო, ქორწილია, ქორწილი!

თ ა ძ ა დ ა. აბა, ნეფე-დედოფალს გაუმარჯოს-მეთქი, რა გითხარით მე თქვენ!

წითელკაბიანი თაეის გამკვირვალე მოსასხამს მზაღოს თაეზე წამოახურავს. მზაღო უკან იხევს.

წ ი თ ე ლ კ ა ბ. რომან!.. შენ კი მიგიცია ხატის ფიცი, მაგრამ ამ ქალმა რა გითხრა, თუ არ უნდოდი, ან ლამზირას რას ღალატობდი და ან ჩვენ რად აგვაფორიაქე?!

რ ო მ ა ნ ი („აღშფოთებული“). მზაღო, ეგაა შენი ფიცი? ეგაა, „მთაჩი“ დავსახლდეთ, „სოფელ გადაშენდის“ და „თორმეტ შვილ“ გავაჩინოთო? მჭრი ყელს?!

გ უ ლ მ ო ღ ე ღ. მზაღო, ალალი იყოს შენზე რომანი. მე „თორმეტ შვილ“ გაჩენი, რა ვქნა, არ ვიყავი. დამილოცნიხართ!

წ ი თ ე ლ კ ა ბ. რა დაგილოცნია, თუ ეს ქალი უარსაა?

რ ო მ ა ნ ი. მზაღო, თაეს მაკვლევინებ?!

მ ზ ა ღ ო. არა, რომანისი, მზაღო სიტყვას ვით გადავა, მაგრამა, აგრე ჯვარის წერა არ ეგების.

პ ა ტ ე ფ. მ ი მ ჯ დ. მართალია, ასე, უმღვდლოდ და უეკლესიოდ ჯვრისწერა სად გაგონილა!

გ უ ლ მ ო ღ ე ღ. არა, ახლავე, ახლავე ქორწილი და, ჯვრისწერა — დილას. აქედან პირდაპირ ეკლესიაში წავალთ. რომანის სიტყვას რომ ვენდე მეც, ეყოფა.

მ ზ ა ღ ო. ჯვარის წერაი არ ეგების.

პ ა ტ ე ფ. მ ი მ ჯ დ. ხალხო, ჯვარისწერამდე ნიშნობა იცოდნენ, არ გაგიგონიათ? ჯერ ნიშნობა გადავიხადოთ.

წ ი თ ე ლ კ ა ბ. ახლა, ამაზეც თუ უარი გვითხრა, გამოდის, ჩემო რომან, რომ არ ყვარებიხარ და ან, ჩვენი არ იყოს, ამ „ქალაუსაც“ გათხოვება არ ნდომებია. ვინ მოუშენებს იმ „მთაჩი“ გადაშენებულ სოფელს, იმასაც ვნახავთ (ამჯერად, დაბნეულ მზაღოს, ლამზირა იმ სიფრიფანა მოსახვევს თაეზე ქინძისთავებით უმაგრებს.)

პ ა ტ ე ფ. მ ი მ ჯ დ. ნიშნობასა და ჯვრისწერას სანთელი უნდა, წმინდა სანთელი.

წ ი თ ე ლ კ ა ბ. მის მეტი რა გვაქვს. (გოგოები წალოებში მსხვილ, ფერად სანთლებს ანთებენ, სინათლეს აქრობენ. ნეფე-დედოფალს სუფრის თაეში დასვამენ. სუფრას ანახლებენ. ბრგე თამადა ნეფე-დედოფლის პირისპირ, სუფრის

თავში გადაინაცვლებს. დაღლილი მსუქანი დგება და „გორკაო“ ყვირის, თან მსუქან გოგოს უპირებს კოცნას. მაგნიტოფონი გამორთეს და პატეფონი დაქოქეს — მღერიან დები იშხნელები.)

გ ულ მ ო ღ ე ღ. გვანცა, გამორთე, პატეფონიც გამორთე. არც პატეფონია ქართული, ჩვენ გვაქვს ფანდური, ჩონგური, ჭუნირი, სალამური და რაც გინდა რა...

პ ა ტ ე ფ. მ ი მ ჯ დ. (პატეფონი გამორთო). თუ ფანდურზე ვიმღერებთ...

ბ უ ლ მ ო ღ ე ღ. ვიმღერებთ, აბა, ფანდური მართლა „კაც სისხლ დასაღვრელი“ ფრანგული გგონია?

ძ ა ღ ა ლ ი. ჰე, თამადა, ამოიღე ხმა... თუ, როგორ გახსოვთ, თამადა მე ხომ არ ვიყავი?

თ ა მ ა დ ა. შენ არ ვიცი და, მე რომ საფლეგრძელო დავიწყე, რატომ დავიწყე, თუ არაფერ შუაში ვიყავი... სხვა დროს არ ვიცი, ვინც გინდათ და რაც გინდათ, მაგრამ ამ ბედნიერი სუფრის თავკაცობას ცოცხალი თავით არავის დავანებებ!

დ ა ბ ა ლ ი. რომან, ძამია, საბოლოოდ გვეცლები ხელიდან, მართლა ჯვარს იწერ? (ტირის.)

თ ა მ ა დ ა. ღმერთმა ჩვენს ნეფე-დედოფალს გაუმარჯოს, შეაბეროს ერთმანეთს... (მზაღოს უცქერის, — ტრადიციას ხომ არ ვარღვევო.)

მ ზ ა ღ ო. მზე და მთვარესავითა.

თ ა მ ა დ ა. მზე და მთვარესავით შეაბეროთ ერთმანეთს! (რთავენ მაგნიტოფონს, ეღერს მენდელსონის „საქორწინო მარში“, ყველანი სასმისებს ერთმანეთს უპახუნებენ და სვამენ. „ნეფე“ ყველას თავს უკრავს. „დედოფალს“ მუსიკა, თითქოს, ყურს სჭრის.)

გ ულ მ ო ღ ე ღ. დავიღუპეთ! დედოფალს ასეთი დიდებული „საქორწინო“... თითქოს არ მოსწონს...

რ ო მ ა ნ ი (გაოცებული). ქალაუ, გამომჭერი ყელი?!

მ ზ ა ღ ო. მამწონს, რათ არ მამწონა! მაგრა, ჩვენებურ არ იმღერებისა?

პ ა ტ ე ფ. მ ი მ ჯ დ. რას ერჩით, მოსწონა, მაგრამ ჩვენებური, ერროვნული ურჩევნია. ბოლოს და ბოლოს, ქართული ქორწილია...

წ ი თ ე ლ კ ა ბ. ქართული... ფანდური მაგას აქვს და ჩონგური...

მ ა ღ ა ლ ი (მღერის). მოვდიკართ, მოვვიხარია, მოგვყავს დედალი ხოხობი... ე, ბიჭებო, მაყრებო! ამოიღეთ ხმა! (აყვებიან ხმაარეულად) ქალი მოგვყავს ნათელიო, მოვვინათეთ სანთელიო! (მზაღო ყურებზე ხელს იფარებს.)

მზაღო. ეკეთ ხვანაძრახ მაყართ დედოფალ გზად გაექცევით.

რომანი (შეიცხადა). ძმაკაცებო, მღუპავთ, უცოლოდ და უძეოდ უნდა გადამაგოთ თორმეტი შვილის მოწადინე მამულიშვილი?!. (გოგოები სიცილს ვეღარ იკავებენ და ერთმანეთს აწყდებიან.)

მზაღო. ცუდაი მღერა და გონჯი ყმა სატირალ არს, არა საცინარ...

რომანი. რა მექორწილება, თქვენს პატრონს საქმე სატირლადა მაქვს!

დაბალი. რომან, ბიჭებო, გოგოებო, ვიტიროთ?.. (ტირის.)

მზაღო. სატირალ მტრის კარსა! დადექ, დიაცებრ თვალნამიანო და ბან ეთხარ, შენი ხმის პატრონ რა ეცრემლების. მან დგომა ვინა თქო, იქ დადექ. (უკან ახევინებს. თენგიზზე.) ეგა ყმა კიდევ, გვერდს ვაიყენე (თენგიზი „თავის გოგოსაც" ხელს ჰხვევს.). ეგ ქალაი მანდ არ იქნების (წითელაბიანზე.). არც ეგ, ცეცხლშამანთებული!

წითელკაბ. მე, „ცეცხლშამანთებული" და გენიაგაჩენილი, რა წყალში ეადავეარდე?

ძზაღო. აქ დადექ. ეგ ლამაზ ქალაი, იმ პირიმზისად... ვოქებო... (ბიჭები გამოიცხლდებიან.) ქორ-შავარდნებო! (ამ ხუმრობა-ხუმრობაში სუფრა მოწესრიგდა.) უფალ თამადა, რას ბრძანებ?

გულმოღეღ. თამადა, თემო, არ გეყურება? რას ბრძანებთ...

თამადა. ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო ხომ ვთქვი.

ძზაღო. თემრაზ! მღერა და თამაშ შაიძლების?

პატეფ. მიმჯდ. თამადის ბრძანების გარეშე სუფრაზე ჩანგალი არ უნდა გადაბრუნდეს! თემრაზ!.. გასაგებია?

თამადა. მართალია. მე — თემრაზი, ჩემს უფლებებს მოვითხოვ, ბოლოს და ბოლოს, არ გამიგონია ქართულ სუფრასე ვის რა მოეპრიანება, ის აკეთოს.

ეზაღო. ეგ ოდითგანვე ეგრე არს.

თამადა. ოდითგანვე... და ზედმეტი ერთი სიტყვა არავის დასცღეს. თორემ, მოვიდა ჯარიმა. აი ყანწი, ვინც რაიმე ისეთს გაბედავს...

გულმოღეღ. ეს თავისთავად, მაგრამ ასე დაწყობილი სანამდე ვიყოთ, „დედოფალი" გეკითხება, თუ ვიმღეროთო?

თამადა. სიმღერა კი, აბა, უმღერალი ქორწილი სად გაგონილა?!

ძზაღოს ჩირეგვითა და ხელმძღვანელებით ძშვენიერ მაყრულს შეაკოწიწებენ, თვითონაც კი გაუკვირდებათ.

მაღალი. ეს, ბიჭო, მართლაც არ ხუმრობს!

მზაღო. ხუმრობას, ხუმრობის ადგილ აქვს.

პატეფ. მიმჯდ. ბეშმარიტებაა, ყველაფერს თაეისი ადგილი აქვს.

მაგრამ მოწესრიგებული სუფრა მალე მოსაწყენი ხდება.

რომანი. ახლა დედოფალს ვთხოეოთ, გეიმღეროს. ფანდური მე საგანგებოდ ამისთვის წამოეაღებინე.

გულმოღეღ. თამადის გარეშე...

ყველანი. უფალო თამადა! უფალო თამადა!..

თამადა. სადღეგრძელო მჭონდა პირზე მომდგარი. მაგრამ, რაკი ხმა ერისა იგივე ღვთის ხმაა...

რომანი. მზაღო, არ შეშარცხვინო, თორემ, იცოდე, გაგეყრები... თორმეტ შვილზე რომ დავთანხმდეს, ახლა საქართველოში ჩემს მეტი კაცი არაა, შენსნეა ქვეყნის გადარჩენა.

მზაღო. რა ვიმღერო...

რომანი. რაც შენ გინდა... აი, ისა, ფანდური... თუ როგორაა?

მზაღო (ფანდურს აწყობს. ყველანი ტუჩზე კბილდაკერილი ირინდებიან. მღერის).

„ფანდურ, ბიყვარს შენი ჩქამი,
სტვირო, შენი ხმიანობა,
ვაჟი კაცის — ფარი, ხმალი,
ქალო, შენი ფმიანობა!“

(ტაშით აჯილდოებენ მზაღოს, მაგრამ არცთუ უასიდად, კარგად მღერის.)

რომანი. ახლა, ჩემზე. არაფერს იტყვი?

მზაღო. „თეთრისა თხისა ციკანსა
შორს შეეტყობა ვაცობა,
იმ ღმერთმა ნუ მოგიშალოს
ეგ შენი ვაჟიკაცობა.
მე ვიცი, შევარდენი ხარ,
მაგრამ რომელი ბუდისა?
ნეტა რა დედამ გაგზარდა
ეგ უღალატო გულისა!“

ისევ ტაში და შეძახილები: „ბის“, „რეპეტე“!

რომანი. რას მერჩით. კი ვარჩიე, ვარჩიე, მაგრამ გამიმართლა თუ არა?..

ლ ა ბ ა ლ ი. ბედი გქონია, შე უკულმართო, ბედი და ახია შენზე, რომ ხელიდან გვეცლები...

მ ზ ა ღ ო. „ღმერთო, ნუ შაჰყრი ვაჟკაცსა
ცოლსა ყბედსა და მძინარსა.
ის დააბერებს, ის მაჰკლავს,
ის შერთავს წყალსა ბდინარსა!

ლ ა ბ ა ლ ი. ამისთანა ქალს ხელისგულზე უნდა ტარება, შე უბედურო, საცდაა ამისთანა ქალი დღეს... (ტირის.) მე რა მეშველება, უცოლშვილოდ უნდა გადავშენდე.

რ ო მ ა ნ ი. დავიღუპეთ, ამოწყდება საქართველოში გოლიათები!

მ ზ ა ღ ო. „კარგს ყმას შეჰყვარდი, ქალაო,
ხუ — სახლსა ცხვარ-ბევრისასა,
ბევრი ცხვარი და ქონება
მუხლს მოაქვს კარგის ყმისასა!..“

გ უ ლ მ ო ღ ე ღ. მაგრამ, როგორც კარგი ქალის ენრობა, არც კარგი ყმის ცოლობაა იოლი. რომანს უკვე ველარ ვამტყუნებ, ალბათ, დროულად მიხვდა, რომ ასეთ „ერთგულ“, „უღალატო“ „ვაჟკაცს“ ულელს მე ვერ გავუწევდი.

მ ზ ა ღ ო. „ატირდა კაი ყმის ცოლი:
„ალარ მამივა შინაო“.
იცინის ცუდაის ცოლი:
„გამაიქცევა წინაო“.
გამაქცეულის მასვლასა,
არმასვლაი სჯობს შინაო.“

სიცილი და მხიარულებაა. მზაღოს გულუბრყვილობა ღიმილს იწვევს, მაგრამ ასეთი უშუალობა და ბალღური სიწმინდეც ხომ შესაშურია.

დიდი ოთახი: საწერი მაგიდა, ძველი დივანი, სავარძლები, მრგვალი მაგიდა და თეჯირი. კედლები თვითნაკეთი თაროებითაა დაფარული და გრძელენის ფარდებით დაკეული. ეტყობა. სამუშაოდ, დასასვენებლად და სასტუმროდაც ამ ოთახს იყენებენ. საღამოობით — წყვილი კარი და მეორე — ტიხრის, ცალფა. ფანჯარასთან უძველებელი ჭადრის ხე მოჩანს, მსხვილი ტოტები ლამის შინ შემოიჭრას.

[illegible]ილია, ისმის ქალაქის ხმაური. საწერ მაგიდას უზის პიჟამოს შარვალით და ესახელო ჰერანგის ამარა სულხანი. თავზე შალის წინ[illegible] [illegible]ული აქვა ჩამოცმული. თმა და წვერი კარგა ხანია არ შეუკრეჭია. ჩ[illegible] ისე სვამს. წინ გადაშლილ თაბახებს თვალს არ აშორებს. აკაკუნებ[illegible] [illegible]

, ჭიქა და ლამპაკი თან მიაქვს და კარს ვიწროდ აღებს. ღიობში ფანდურიანი ხელი გამოჩნდება. სულხანს ლამპაკი დაუკარდება და ხმაურზე გამოერკვევა თე, მოლაღ დაიბნევა. ტანსაცმელზე ოიხედავს, კარს მიაწვება, ფანდურიანი ხელი აკვეთ რჩება, პატრონი — გარეთ.

სულხანი. მოითმინეთ!.. ახლავე, ამწყდეს!.. (ფეაფუცით მეზობელ ოთახში გადის. შემოდის მზაღო, მკლავზე ხელს ისვამს.)

მზაღო. ოხერ-ტიალი!.. კინალამ მკლავ არ მამკვეთა! (შუბლს ისრესს. დივანზე ფეხი ფეხზე გადადებული დაჯდება. სიგარეტს გააბოლებს, ხველება აუტაყდება.) რით მიეჩეიოს ამას ღიაცი!.. (იატაკზე დააგდო, ფეხი დააჭირა.) აქ ადამიანს ვით გაეძლების... (ფანჯარას აღებს. ეტყობა, ხელის ტკივილი აწუხებს.) კინალამ მკლავ მამკვეთეს... ნეტავ, ამ პროფესორ შინ ვინ პყავ აგრე უნდილი! (მაგიდიდან ბორჯომის წყლიან ბოთლს იღებს. ჭიქა ჩანს. ბოთლიდან სვამს. უძალარ თვალებს ბლიტავს.) აქ დგომა, ნეტავ, სანამდე ძალმიძს... (ტიხრის კარზე აკაკუნებს. სულხანის ხმა: — ახლავე, ახლავე!..) მე თქვენ არ ვიხმობთ, რომან ვეძახი!.. (სულხანის ხმა: — ახლავე. ჯდება ისევ დივანზე. ამოქნარებს, კედლებს უცქერის) ვითომ, ეგრე ბევრ წიგნებ არს?! (დგება, ფარდებს აფრიალებს. თაროებს ათვალიერებს.) ნეტავ, ესოდენ კითხვად ვინ უზის?!. ან, ქალალდ ესოდენ არ ენ[illegible]ებისს?! (შემოდის სულხანი. ეტყობა, სიჩქარეში ხალათი უკუღმა ჩაუცვამს და[illegible]ახლა, რამღენს არ ცდილობს, ღილებს ვერ ებნევა. შარვლის ცალი აკიმი ბოსტრევს.)

სულხანი. ბოდიში... (ახედ-დახედავს „ჯინსებში" გამოკვართულ, ოქროსფერთმიან, მსუყედ ტუჩებშეღებილ და თვალებჩალურჯებულ, საელეამეზე შავ ქინქლმოდებულ მზაღოს.)

მზაღო. თავად ბოდიში...

სულხანი. როგორ გითხრათ, წეღან, კარებში...

მ ზ ა ღ ო. რაღა უნდა თქო?!. მითხარ, რო მკლავ მამკვეთე!..

ს უ ლ ხ ა ნ ი. (ფეტეიანით დაიბნა). დიახ, ასე მოხდა... ამ დილაადრიან არ გელოდით... რა თქვით? „მკლავ მამკვეთეო“?!

მ ზ ა ღ ო. ღვთის მადლმა...

ს უ ლ ხ ა ნ ი. თქვენ, ჩემთან... ჩვენთან ხართ?

მ ზ ა ღ ო. მაშ, ცხო სად ვიყო?.. პროფესორ ბინა აქ უდევ?

ს უ ლ ხ ა ნ ი. პროფესორი... დიახ, დიახ, აქ ერთი პროფესორი ცხოვრობს.

მ ზ ა ღ ო. ჯალაბ აქ უდგას?

ს უ ლ ხ ა ნ ი. დიახ, ოჯახიც აქა ჰყავს...

მ ზ ა ღ ო. რომან დავეძებ, პროფესორ ვაჟაის...

ს უ ლ ხ ა ნ ი. პროფესორის ვაჟიშვილი გნებავთ, რომანი?

მ ზ ა ღ ო. ეგრეა, ღვთის მადლმა...

ს უ ლ ხ ა ნ ი. (გონს მოეგო, რაღაც ენიშნა და გამქირდავი გახდა). მე მგონი, არ გახლავთ შინ... ნამდვილს ვერ გეტყვით...

მ ზ ა ღ ო (ვერ ამჩნევს სულხანის გაქირდვას). ნამდვილ არ მეტყვი?

ს უ ლ ხ ა ნ ი. არ ვიცი, თორემ არ დაგიძალავდით. მე, ასეთ ოჯახურ, წვრილმან საქმეებში არ ვერევი...

მ ზ ა ღ ო. ოჯახის ამბებ არ უწყი?

ს უ ლ ხ ა ნ ი. თქვენ წარმოიდგინეთ, არ გამითვალისწინებია, თუ ასე ადრიანად უნდა გვწვეოდით და მე უნდა მცოდნოდა, რომანი სად ბრძანდებოდა.

მ ზ ა ღ ო (უნდა გამოიცნოს, ვინაა ეს კაცი). რომან ბრძანებად რად უბნობთ.

ს უ ლ ხ ა ნ ი (ირონიით). აბა, პროფესორის ვაჟიშვილს, განათლებულ და ერუდირებულ კაცურ კაცს, უბრალოდ ხომ ვერ მოვიხსენიებ.

მ ზ ა ღ ო. მაშ, ჯალაბ უხმეთ!.. (საიდუმლოდ, ყურში.) პროფესორ საით წასულა?

ს უ ლ ხ ა ნ ი (ისიც საიდუმლოდ). სად, სად უნდა წასულიყო? (თან კისერთან ღილს აწვალებს.)

მ ზ ა ღ ო (ყურში). მეცნიერ გზა საით უდევ, არ იცი?

ს უ ლ ხ ა ნ ი. თითქოს, მაგრამ თქვენ როგორ ფიქრობთ?..

მ ზ ა ღ ო. მე რაი, ცხო ფიქრი მიდევ, გგონია?

ს უ ლ ხ ა ნ ი. მაინც, მაინც?..

მ ზ ა ღ ო. ყრმათა სწავლებად, ცხო რაი.

სულხანი. აჰა, გასაგებია...

მზაღო. რაა გასაგები?

სულხანი. (ოცინის). სად დადიან პროფესორები.

მზაღო (თვითონაც იცინის). მამწონხარ, ბიძავ, ტიალო, ხუმრობის ჯავარ გცოდნია! (ტუჩებზე თითს მიიდებს, არ გამცეო.) არ მინდ პროფესორ ვეჩვენო... მითხარ, წავიდა თუ არა?

სულხანი. უუ, დიდი ხანია... (ანიშნებს ნუ გეშინია, არ გაგცემო.) რა ხანია წავიდა, დარდი ნუ გაქვთ, ბევრიც დააგვიანდება. (ისევ აწვალებს ღილებს.)

მზაღო. მამწონხარ, ბიძავ (საეჭვოდ უყურის). ღილ-კილო ეგრე არ შაიკერის, პერანგ უკეღმა გაცვია!..

სულხანი. ხალათი არ ჩამიცვამს? ისევ პერანგის ამარა ვარ?! (დაიხედა გულზე.) აჰა, გასაგებია... ბოდიში... (გაბრუნება დააპირა.) ახლავე გადავაბრუნებ.

მზაღო. კაცი ტალავარ ამშვენებს, არა კაცს ტალავარ!..

სულხანი (გამკირდავად). აი, ეს თქვენი ტალავარი...

მზაღო. რა, ჩემ ტალავარ?..

სულხანი. როგორ გითხრათ... თქვენ ამშვენებთ თქვენს ტალავარს თუ, ის გამშვენებთ...

მზაღო (დარდიანად). სხვა რიგ აქ დიაც არ ფასობს...

სულხანი (საიდუმლო ჩურჩულით). აჰ? მოქარგული კაბა რომ გეცვათ და თავსაფარი გეხურათ, ზედაც არაკინ შემოგხედათ?

მზაღო (გულისტკივილით). ხვთის მადლმა...

სულხანი. არადა, მარტო ის ხომ არ ვიშეელით, რომ ვეტფერშალი ან ვეტექიმი გამოხვიდეთ. ვასათხოვარი ქალიშვილი ხართ, საქმროს ეძებთ.

მზაღო. ეგრეა დიაცთ ადათი.

სულხანი. თავიდან... როცა ჩამოხვედით, ჭრელი კაბითა და თავსაფრით... სადმე, იქნებ, ჩხუბსა და აყალმაყალს გადაეყარეთ, ჩაგდეთ თეთრი მანდილი და ყურიც არ შეიბერტყეს. კიდეკ უარესი, ვაითუ ფეხითაც გათელეს...

მზაღო. გულთმისნად დაბადებულხარ!..

სულხანი. ასე დამემართა, არ გიკვირთ?! (საიდუმლო ჩურჩულით.) ტალავარი რომ გამოიცვალეთ, როგორ წავიდა საქმე, გამოგიჩნდათ... როგორ გითხრათ...

მზაღო (სიტყვა შეაშველა). ტრფიალს ეტყვიან.

სულხანი. დიახ, დიახ, ტრფიალი... მერე თუ მაინც გამოგიჩნდათ ტრფიალი?

მზაღო (დაიმორცხვა). ვაჟაი არ დაილევის...

სულხანი. ესე იგი, თაყვანისმცემლები ბუზებივით დაგეხვიათ!

მზაღო (ეწყინა). ბუზ და კაც ერთაღ რად უხმობ?!

სულხანი. ის მინდოდა მეკითხა, მოჭარბებულად გყავთ ტრფიალი?..

მზაღო (ისევ მორცხვობს). მცირეს ვერ ვიტყვი, მაგრამა დიდპაპას გულს არ ეფონვის...

სულხანი. აჰა, ტრფიალი ბევრია, მაგრამ შენს დიდპაპას გულზე არც ერთი არ ეხატება?

მზაღო. ბრძენ კაც ხარ! ხატად არ უჩანს...

სულხანი. პაპას უნდა...

მზაღო. დიდპაპა!

სულხანი. დიდპაპა კი, მაგრამ... მშობლები?.. დედა, მამა სად არიან?

მზაღო (მწუხარედ). დედაი, ჩემ ნათელ გადაჰყვა...

სულხანი. ესე იგი, შენი დაბადებისას ძეობას გადაჰყვა? აღბათ, იქ არც ექიმი იყო იმ დროს, არც ახლომახლო საავადმყოფო... მამა?

მზაღო. მამა, ეშმაკ მოგონილ ემსხვერპლა...

სულხანი. მე, ძალიან ხომ არ გაწუხებ ამდენი შეკითხვებით?

მზაღო. კაცის გულ ზღვაა...

სულხანი. დიახ, კაცს რას გაუგებ. ასე ცნობისმოყვარე ვარ, უნდა მაპატიო.

მზაღო. უკეხო კარს, სტუმარ, მასპინძლის მორჩილ არს.

სულხანი. დიახ, სტუმარი ღვთისაა, მაგრამ მაინც მასპინძლის მორჩილება მართებს... როგორ გაეიგოთ, „ეშმაკ მოგონილი“?

მზაღო (ფანჯარაზე აჩვენებს). სარკმელ გაღე, ათასს იხილავ.

სულხანი (მიეარდება ფანჯარას, აღებს, მანქანების ხმაური შეიოიჭრება). აჰა, ათასობით მანქანებს ვხედავ... (მზაღო ‘შუბლს ისრესს და თავს უქნევს.) მამა’შენი ავარიაში მოჰყვა? (მზაღო გულისტკივილით ეთანხმება.) მაგრამ ბაბუა? აღარც ბაბუა გყავს?

მზაღო. ეგ ვიღა არს?

სულხანი. უჰ, ბოდიში... პაპა.., დიდი პაპა კი არა, მამის მამა, პატარა პაპა.

მ ზ ა ღ ო. კაცისკენლად უხმეს.

ს ულ ხ ა ნ ი. ომში დაიღუპა ეა ღარჩი დიდი პაპის ამარა...

მ ზ ა ღ ო. მე და, ბთელ სოფელ.

ს ულ ხ ა ნ ი. მთებიდან რომ ხალხი ჩამორეკეს, შენ და შენი სოფელი, ასი წლის კაცის ამარა ღარჩით?

მ ზ ა ღ ო. ას ცოტაა.

ს ულ ხ ა ნ ი. ასზე მეტის ყოფილა, ესე იგი... მაგრამ სად ისწავლე, სად დაამთავრე, აქ ვინ გამოგგზავნა, ან ის მოხუცი უშენოდ და უპატრონოდ... უთუოდ ცხენით დაჰყავდი პეპერას სკოლაში.

მ ზ ა ღ ო. დიდპაპა!

ს ულ ხ ა ნ ი. დიდპაპას... ალბათ, მასწავლებელი ერთი კვირის მასალას ერთ დღეს გამოგკითხავდა. იქნებ, დიდპაპამაც იცოდა წერა-კითხვა?

მ ზ ა ღ ო. ხელეწიფების.

ს ულ ხ ა ნ ი. სცოდნია ბერიკაცს... ახლა, უმაღლეს სასწავლებელში, ალბათ, რაიონმა გამოგგზავნა. გინდა ღაამთავრო, თან საქმროც აირჩიო და, რომ წახვალთ, ორივემ გაახაროთ დიდპაპა. იცხოვროთ მთაში და ჯაპარტახებული სოფელი ფეხზე დააყენოთ...

მ ზ ა ღ ო. ხეთის მადლმა...

ს ულ ხ ა ნ ი. პაპ... დიდპაპას გულზე არ ეხატება ის ტრფიალი — საქმრო, ვინც მთაში წამოსვლაზე და იქ ცხოვრებაზე არ დათანხმდება?

მ ზ ა ღ ო. ღმერთ კაც ხარ! (შებლს ისრესს, ეტყობა, ძალიან ტკივა.)

ს ულ ხ ა ნ ი. ერთი კითხვა, კიდევ...

მ ზ ა ღ ო. სტუმარ აუგი არ ეგების...

ს ულ ხ ა ნ ი. დიახ და, ბოლოს და ბოლოს, თუ გამოჩნდა ასეთი ვინმე, ვინც მზადაა მიატოვოს ეს ხმაურიანი, „ეშმაკის მოგონილებით“ სავსე ქალაქი და შენთან ერთად დიდპაპასთან იცხოვროს, მწყემსოს ცხვარ-ძროხა, ინადიროს, იხევსუროს და მოაშენოს გადაშენებული სოფელი...

მ ზ ა ღ ო (ბიიხედ-ბოიხედა, მიაყურა). დიაცის გულ უფსკრულ არს.

ს ულ ხ ა ნ ი. ვიცი, ქალის გული უძირო და უკიდეგანოა, (საიდუმლოდ.) მაგრამ მე მითხარით, სამარე ვარ, რაც ამქვეყნად მინახავს და გამიგონია, ყველაფერი რომ ვთქვა, დაკრავ ფეხს და ფანჯრიდან გადახტები!

მ ზ ა ღ ო (ყურში, საიდუმლოდ). პროფესორ ვაჟაი...

სულხანი. აჰ! პროფესორის ვაჟი გამოჩნდა ასეთი რაინდი?!

მზაღო (თავისი დარდი აწუხებს). რაინდ რად უხმობ საძაგელს. ხაში ინდომა დღის ნათელ და შარად პარტახად დამაგდო.

სულხანი. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა... მთელი ღამის ნაქეიფართ, ინათა თუ არა, ხაში მოუნდებოდათ, გზა-შარაზე მიგატოვეს და ამის შემდეგ რაინდობა რა სახსენებელია?.. მაგრამ ეს ბინა ვინ მოგასწავლათ?!

მზაღო. ძმაკაც უხმობდა...

სულხანი. აჰა, რომანის ძმაკაცმა, ქუჩაში, პარტახად მიტოვებულს მოგასწავლათ? ვიღაცაა, იმისთანა გათახსირებული იქნება...

მზაღო. აუგს რად იტყვი, უგნურო!..

სულხანი. აჰა... აუგი არ უნდა მეთქვა თქვენი ტრფიალისა და მისი ძმაკაცებისა... მაგრამ მთელი ღამე რომ ფანდურზე გამღერეს, გაცეკვეს, იცინეს და იხარხარეს...

მზაღო (ნეტარებით). პროფესორ ვაჟაი, მოლხენა იცის...

სულხანი. ლხინი და ქეიფი ეხერხება, ხომ?

მზაღო. ლომისის მადლმა. (წაიღიღინებს.)

„ქალაუ, დედისერთაო,
თმა-წარბ ნაღებო ინითა,
ვაჟაი ვერსა ჰნახეა,
ხელ-პირ ნაბანი დილითა.
მზესა აღარა მზერდაა,
ამოსულს გორის პირითა?

სულხანი. ფანდური ხომ არ მოგაწოდოთ?

მზაღო. პირიმზის მადლმა, დაღლილ მემთვრალეს... წისქვილ მიბრუნავს თავზედა.

სულხანი. საცოდავი, როგორ გაუწამებიათ... (მზაღოს.) ამ დილით — „დღის ნათელ" პარტახად დაგაგდეს? (მზაღო თავს უქნევს.) მერე, აუგი არ ეთქმის ასეთ ხალხს ან ამათი რაიმე დაიჯერება? თქვენ ფიქრობთ, რომელიმე მათგანი წამოვა მთაში და დიდაპასთან ერთად, უკაცრიელ სოფელში დასახლდება? გააჩენს და გაზრდის თორმეტ შვილს?

მზაღო. ხატის ფიც მამცა...

სულხანი. ხატი და ჯვარი გაუწყრა მაგათ!

მ ზ ა ღ ო. კაცთ უნდოთ ხატ არ ეწყალვის!.. იმედის სანთელ რად მიქრობ?

ს უ ლ ხ ა ნ ი. მართლაც, საოცარია, რა უგულოები ვართ ადამიანები, ქვეყნისა და ერთმანეთის გასაჭირი რა ცოტა გვესმის...

მ ზ ა ღ ო (თანაგრძნობა ესიამოვნა). ეგრე მეუბნეთ, ხვთის მადლმა... (რეკავს ტელეფონი. გამოიცხლდა.) რომან?..

ს უ ლ ხ ა ნ ი (იღებს ყურმილს). დიახ... არა... მაგი რომ ვიცოდე, რა მიჭირს... მგონი, ხაშის საქმეზედ წასულა დილაუთენია... ესეც, არ ვიცი, მართალია თუ არა... (დებს ყურმილს).

მ ზ ა ღ ო. რომან?!

ს უ ლ ხ ა ნ ი. ჰო, ვიღაცა შენსავით დაეძებს და კვალი ვერ მიუგნია.

მ ზ ა ღ ო. ძმაკაც?

ს უ ლ ხ ა ნ ი. „ძმაკაცია“ თუ „დაქალი“, სულ ერთი არაა?

მ ზ ა ღ ო. ხატ დაიფიცეთ, კონიაკ-შამპანურ არ ეწაფებით? (თაეხე ორივე ხელს იშერს.)

ს უ ლ ხ ა ნ ი. აჰ, არ ღირს, ხომ, მაგ სასმელების დაწაფება?

მ ზ ა ღ ო. სანამ ბნელ უფლობს, ვაჟები...

ს უ ლ ხ ა ნ ი. მთელი ღამე სვამდნენ ვაჟბატონები?

მ ზ ა ღ ო (დაჯდა, დაფიქრდა). პროფესორ ვაჟაი თქვენად რად ეგების?

ს უ ლ ხ ა ნ ი. რომანი? რომანი, ასე ვთქვათ, ჩემი... ეჰ, ნუ მკითხავ, თუ ქალი ხარ!

მ ზ ა ღ ო. ცოხნად ცხორ-ძროხა ქმნილა, გულმართალ კაც სიტყვაზ ღეჭვად არ თქმულა...

ს უ ლ ხ ა ნ ი. მართალია, კაცმა სიტყვა ცხვარ-ძროხასავით არ უნდა ღეჭოს და ცოხნოს, მაგრამ თქმაც რომ მიჭირს...

მ ზ ა ღ ო. (დაეჭვდა, გაბრაზდა). გულღრძოდ მესახვი, ტიალო, ამათქვი, რომან რად გიძევს?

ს უ ლ ხ ა ნ ი. რომანი... თუ შეიძლება ითქვას, შვილია ჩემი...

მ ზ ა ღ ო (გამოფხიზლდა). შვილ აარს?! (ეკან დაიხია.) შვილ ეგების. პროფესორ ვაჟაი?!

ს უ ლ ხ ა ნ ი. ასე ვთქვათ... კი, კი, შვილია... ასეა და, რას იზამ...

მ ზ ა ღ ო (არ სჯერა). პროფესორ ვაჟაი?!

ს უ ლ ხ ა ნ ი. დაიქცა მისი ოჯახი, ვინც პროფესორობა მოიგონა!

მ ზ ა ღ ო (დააჩერდა ხალათის გულისპირზე. შემოაბრუნა, ჩამოვარდნილ აბიმს შეხედა, მიიხედ-მოიხედა და თითით მოიხმო, ყურში ჩასჩურჩულა). ეგმობ კაცსა აუგიანსა...

სულხანი. მეც... ცრუსა და ღალატიანსა, მაგრამ რა ქენა, რა გა-ვაწყო, როცა თავს ზევით ძალა არ აქვს...

მზაღო („მიხვდა", ათრეული აქიმი აიღო, მოქაჩა და ხელში დააქერინა, გულისპირზე დაახედა). პროფესორ ვაქაᲐ დედა გიყორს?!

სულხანი. პროფესორის ვაქის დედა... ასე ვთქვათ, თუ სიყვარული ამას ჰქვია, მიყვარს.

ᲗᲖᲐᲦᲝ. საძაგელ!

სულხანი (გაკვირვებული). უნდა მძულდეს?

მზაღო (აღშფოთებული).

„ვაქკაცს დიაცის დამდობსა
სამარეც დაეკვეთება,
დღეს ერთი უყვარს, ხვალე სხვა,
ხვალეზედ სხვა ეკეთება?!

სულხანი (გაკვირვებული). თქვენ, ასეთი რამ კიდევ გიკვირთ?! არ „განათლდით"?!

მზაღო (ყელზე თითს მიიდებს.) ზიზღ ხელ აქ მიᲗᲔრს!

სულხანი (პატივისცემითაც კი). გულწრფელად ამბობთ?

მზაღო. დიაც არ ვიყო, მზეს გაგიქრობდი!

სულხანი. და, ვერ იტანთ ღალატსა და რქების დადგმას?

მზაღო. გიცქერ და ბნელს ვეᲗᲔრეᲗ! გულ ყელ ამამდის...

სულხანი. თქვენ, თუ უკაცრავად არ ვიყო, ნასვამი ხართ, გული იმიტომ გერევათ.

მზაღო. ცუდ კაც მირევ გულს, არა კარგ სასმელ!

სულხანი. რა ვიცი, ვერ გეტყვით... თუ ასეა, რომანს რა ჯანდაბად გადაეკიდეთ...

მზაღო. მგელ კაც ხარ, დიაც ცხორ-ძროხად გიჩნს! გუშან გაქვ მალ-ვის, მიპარვად მუხთალ. პროფესორ ყრმად ესწრაფვის, შეხ — მის დიაცად, ლოგინად მისად!..

სულხანი (მოსწონს მზაღოს გაცეცხლება და გამომცდელად). სწორედ ასე მᲗᲔრს.

მზაღო. ღორ კაც ხარ, ᲭᲣᲓ რად გᲮᲣრავის!

სულხანი. ცუდია, არა?

მზაღო (არ უსმენს, ჯდება დივანზე, თავს საზურგეზე გადაკიდებს).

„ვაქაცსა ცოლის ბოროტი
შუა გზას მააგონდება,
წავალის საგონებელჩი,
ეფსკრულჩი გადიჩეხება...“

სულხანი. (ძალზე ცნობისწადილით). პროფესორზე ამბობ, არა?

მზაღო. ენა დააბი! მგლის ყმეილ მამდისს (უანკარაში გადაიხედავს.) რაი ვქნა, პროფესორ ვაჟაი ისევ არ მადის... (რეკავს ტელეფონი.)

სულხანი (იღებს ყურმილს). ვერ ვთხოვ, არ ბრძანდება შინ... არ ვიცი... ღმერთი და რჯული... (დებს ყურმილს). თქვენ დიდი ხანია იცნობთ რომანს?

მზაღო. საძაგელ!.. რად გითხრო, ავი კაც ყველაგ ავად იქმ... მპარავ — მუხანათ ცხორ დაგიყარო? ჰაერი მყრალ არს...

სულხანი. მართალია, მაგრამ თქვენი ხატზე დაფიცებული ვაჟბატონი...

მზაღო (აწყვეტინებს). ხატ, შენ გონჯ პირად რა ესაქმების...

სულხანი. ვისაც ესაქმებოდა და დაიფიცა, ვითომ ის ცხვარია და მგლისა არაფერი გაეგება?

მზაღო. მგელ არ მაიშლის მგლობასა!

სულხანი. ეგ მე... მაგრამ ისიც — „პროფესორ ვაჟაგ“, ვითომ, მამა აბრამის ბატკანია?

მზაღო. სიტყვის ყადრ იცი, ავ კაცო! ცხოთ ლოგინ-დიაც-შარამავალო...

სულხანი. მოითმინეთ, მოითმინეთ!.. (გელწრფელად.) მე თქვენ მომწონხართ!

მზაღო. მაგუნეკარ?!

სულხანი. ძალიან...

მზაღო. გულ ვარდი გაშიხარია!

სულხანი. და მოვისმინე, მამაშვილობას, აგრე რიგად ნურც სიტყვას ენდობი და ნურც ფიცს...

მზაღო. ფიც ვტეხო და მგელ ვამლერო? (ადგება დივანზე საფეძვლიანად.) ბნელთ მეუფებას აქ შავეყრები...

სულხანი. საღამომდე დაელოდებით და პროფესორს ეტყვით ამის თაობაზე ან პროფესორის ვაჟს?!

ვ ზ ა ღ ო (გამომწვეკად). არა, ჯავრს შაეშამ! (დივანზე წამოწვება და ჩათვლემს. სულხანი ფეხაკრეფით დადის. შეაოლებს კარს თ ა თ უ შ ა. შეწუხებულია.)

თ ა თ უ შ ა. ვერ ვიშოვე ბორჯომი. ზვარეა (მაგიდაზე დებს ბოთლებს. ბზაღოს ვერ ამჩნევს), რა ექნა, მოვიკლა თავი?

ს უ ლ ხ ა ნ ი. ჩუუ! (ტუჩებზე ხელს აფარებს.)

თ ა თ უ შ ა. რა ამბავია, რა მოხდა, რა ახალი უბედურებაა?..

ს უ ლ ხ ა ნ ი. ჯერჯერობით, არაფერი...

თ ა თ უ შ ა. მადლობა ღმერთს! (მაგიდაზე აალაგებს სანოვაგეს. ცელოფანში შეფუთულ ხალათს იღლიაში მალავს.) რა ექნა, შავი პური არაა... არაა და რა წყალში გადავვარდე...

ს უ ლ ხ ა ნ ი. არაა აუცილებელი...

თ ა თ უ შ ა. ახლა არაა აუცილებელი?! გადავწყდი წელში ქალი, აღარა ვარ ადამიანი... ამ დილით ვერ თქვი?

ს უ ლ ხ ა ნ ი. ამ დილით იყო აუცილებელი, ახლა არაა...

თ ა თ უ შ ა. რა მხარი გეცვალა? (მიიხედ-მოიხედა, საწერ მაგიდაზე ფანდური შენიშნა.) ეს რაო, ფანდურის დაკვრა დაიწყე?

ს უ ლ ხ ა ნ ი. ჰო, ფანდურზე ვუკრავ, ვცეკვავ და ვამღერებ:

„ვაქკაცსა ცოლის სიავე
შუა გზას მააგონდება,
წავალის საგონებელჩი“...

თ ა თ უ შ ა (მოტრიალდება და დივანზე მიძინებულ მზაღოს დაინახავს. გაკვირვებული აწყვეტინებს). ეს ვინ ჯანდაბაა? (უცბად რაღაცა იაზრა.) რა მოხდა მერე... ბავშვების მეგობარი იქნება. გადაირიე ახლა! არ შეგეშამს, ნუ გეშინია...

ს უ ლ ხ ა ნ ი. ჩუუ! (ანიშნებს, — არ გააღვიძოო.)

თ ა თ უ შ ა. რაღაცა გეჩვენება, რაღაცა ავი გიდევს გუნებაში... თუ ქალს, ბებიაშენივით, კოჭებამდე გრძელი კაბა არ აცვია...

ს უ ლ ხ ა ნ ი (ჩურჩულით). არა, დედაკაცო, არა, რაც აცვია და რაც აცხია... სულ ერთია, კარგი ვინმეა!

თ ა თ უ შ ა. რატომ, არ შეიძლება? რა ქვეყნის დაქცევაა, კაბას ჩაიცვამენ თუ შარვალს...

ს უ ლ ხ ა ნ ი. არა, პირიქით!

თ ა თ უ შ ა. არ ეგონე სახლში... თიკო სადაა, რატომ მოიყვანა? თუ, რომანი...

ს ულ ხ ა ნ ი. არა, თავისით მოვიდა. ვიღაც მადლიანს უსწავლებია მისამართი.

თ ა თ უ შ ა. მერე რა მოხდა! აქ კი არ დარჩება.

ს ულ ხ ა ნ ი. ნეტავი დარჩებოდეს...

თ ა თ უ შ ა. გავიხმა ენა!

ს ულ ხ ა ნ ი. აი, გაიღვიძებს, შენ თვითონ მოისმენ... (ამ დროს ზეფა სართულზე იატაკზე რაღაცა დაეცა. ხმაურზე მზაღოს გაეღვიძა. სულხანმა ცოლს ხელი მოხვია.) ჩვენ არა, (ბოლოშით.) ეს, ზევით...

მ ზ ა ღ ო. მგელ ფეხფრთხილია, პარვის ყადრ იცის... (თვალები მოიფშვნიტა და თათუშა დაინახა.) სიძვა მოსულა დიაც საფარველ!..

თ ა თ უ შ ა. რა ენაზე ლაპარაკობს, რას ამბობს?!

ს ულ ხ ა ნ ი. (თათუშას პირზე ხელს აფარებს.) დიახ, ეს გახლავთ... (მზაღოს ანიშნებს, არაფერი სთქვა ისეთიო.)

თ ა თ უ შ ა. ვინა ხარ, შვილო? მგლები, ცხვრები და ძაღლები სადა გვყავს, ან როგორ ლაპარაკობ, ქართული თუ არა, რაღაცა ენა ხომ იცი?

ს ულ ხ ა ნ ი. იცის, იცის, ყველაზე მართალი და სწორი ქართული მაგან იცის...

თ ა თ უ შ ა. კაი, ახლა, რა მოხდა ისეთი!.. (მზაღოს) რა გინდა, შვილო, რა გაქვს სათქმელი?

ს ულ ხ ა ნ ი. არაფერი, ისეთი, თათუშა... რომანის მეგობარია...

მ ზ ა ღ ო (თათუშას). რომან შენ შვილ არს?

თ ა თ უ შ ა. კი, შვილო, ჩემი ვაჟიშვილია, თეა — ქალიშვილი, თიკოც... შენ თიკოს ტოლი იქნები, თიკოს იცნობ?..

მ ზ ა ღ ო. პროფესორ ვაჟაი და პროფესორ ქალაი?

თ ა თ უ შ ა (ქმარს მოხედა). რას ამბობს, ვერაფერი გავიგე, (მზაღოს) კი, შვილო აბა... (სულხანს) რა უნდა, ვინაა?

ს ულ ხ ა ნ ი. არაფერი... რომანის მეგობარია და გეკითხება, ვაჟიშვილი და ქალიშვილები, სამივე პროფესორის შვილებია თუ, ვინმე ეხმარებოდაო?

თ ა თ უ შ ა. ჩუ! გადაირიე ახლა, და ჩმახე ათასი სისულელე (მზაღოს) შვილო, სად დალიე ასე ადრე, ან რა ჯანდაბაა ეს... ქალიშვილი ქალის სმა!

მ ზ ა ღ ო. პროფესორ ლოგინ ცხო გიწევ და ჩემად აუგად ენა გიქარვის?

თ ა თ უ შ ა. ეს ... ...ერაფერი, პროფესორის ლოგინში უნდა ჩავწკეთ? ...ენა ...ამეცინა? თუ რა თქვა? ამდენს რომ დალევს, ...ენა წაერთმევა, ...ბა რა მოუვა...

ს უ ლ ხ ა ნ ი. არაფერი ისეთი... რომანის საცოლეა...

თ ა თ უ შ ა. ჰე, გადაირიე ახლა!..

მ ზ ა ღ ო (დგება, თმებს ისწორებს). დედაი უწყი პროფესორ ვაჟაი?..

თ ა თ უ შ ა. კაცო, გადამრევს ეს, ვიღაცაა... გამაგებინე, რა დაკარგა და აქ რას დაეძებს?

ს უ ლ ხ ა ნ ი. დედამ იცის, პროფესორის ვაჟი — რომანი, სადა ჰყავს?

თ ა თ უ შ ა. მაგას რავა იტყოდა, ან რა მაგის საქმეა?

ს უ ლ ხ ა ნ ი მაგი, რასაც ამბობს, ყველაფერს ჭეშმარიტებას ამბობს.

თ ა თ უ შ ა. რა ვიცი, სადაა... (მზაღოს) მოვა, ალბათ... წუხელ, მგონი, ამხანაგის დღეობაში იყო.

ს უ ლ ხ ა ნ ი. რამდენი დღეობა აქვთ შენ შვილებს და მათ მეგობრებს, ხომ არ ხარ დაკვირვებული?

თ ა თ უ შ ა. კარგი, ჰო, ვთქვათ არა ჰქონდა დღეობა. გუშინ გამოცდა ჩააბარა, ხუთიანი მიიღო და, საღამოს...

ს უ ლ ხ ა ნ ი (თავი გადააქნია). ხუთიანი მიიღო მოუმზადებელ საგანში?

თ ა თ უ შ ა. რატომ, მოუმზადებელი...

ს უ ლ ხ ა ნ ი. ხუთიანზე?!.

თ ა თ უ შ ა. დაუწერია იმ კაცს და ხელებში ხომ არ ეცემოდა?

ს უ ლ ხ ა ნ ი. ბონძველაძემ?!

თ ა თ უ შ ა. ჰო, შენმა მტერმა — ბონძველაძემ.

ს უ ლ ხ ა ნ ი. მე მტრები არა მყავს.

თ ა თ უ შ ა. მტრად თვლი შენ იმათ, ვინც შენსავით დღედაღამეს არ ასწორებს, ვინც სინდის-ნამუსს სასწორზე მისხლობით არ სწონის, ვინც შვილზე და მომავალზე ფიქრობს, ვინც ადამიანურად ცხოვრობს...

ს უ ლ ხ ა ნ ი. მე, იმათ, ხალხის მტრად ვთვლი... და, კი არ ვთვლი, ეს ასეა.

თ ა თ უ შ ა. კარგი, როგორც თვლი, ისე იყოს...

ს უ ლ ხ ა ნ ი. მიიღო ხუთიანი და, ამდენი მეცადინეობითა და ოფლის ღვრით დაღლილმა, წუხელ თვალს წყალი დაალევინა?

თ ა თ უ შ ა. დამანებე თავი! არ ვიცი რა ქნა.

ს უ ლ ხ ა ნ ი. არ ჰკითხე?

თ ა თ უ შ ა. რა ვკითხე, რა ვკითხო ამოდენა კაცს! სად დადის, რას აკეთებს, ვის შეხვდა, ვის გაეცნო, ვის დაელაპარაკა? რა ვკითხო!

ს უ ლ ხ ა ნ ი. ამოდენა რომ არ იყო, მაშინ გეკითხა, ან ქალიშვილებისთვის გეკითხა.

მ ზ ა ღ ო (ვერაფერი გაუგია, შუბლს ისრესს. სულხანს). ეს დიაც, დედაა?

თ ა თ უ შ ა. ამას რაღა უნდა!

ს უ ლ ხ ა ნ ი (თათუშას). არ სჯერა, რომ დედა ხარ. დედა თუა, შვილის ამბავი უნდა იცოდესო.

თ ა თ უ შ ა. ვინ კითხავს მაგას! საიდან მოათრიე, ვინ ოხერია, ჩემ შვილთან რა საქმე აქვს?

ს უ ლ ხ ა ნ ი. უყვარს... შენ ვაჟიშვილს ფიცი აქვს მიცემული.

თ ა თ უ შ ა. ჩუ, ჩუ! ბიჭი რამდენ ვინმეს გაელაზღანდარება, მომეყენე ყველა კარზე და ალანძღვინე ჩემი თავი.

მ ზ ა ღ ო. ხატ შამამფიცა!..

ს უ ლ ხ ა ნ ი. ხატზე შემომფიცო და კიდევ არ გჯერა?

თ ა თ უ შ ა. კაი ახლა!.. აყევი ვიღაცა დამთხვეულს... რაღაცა იხუმრა ბიჭმა, ალბათ...

მ ზ ა ღ ო. სიყორულ არ ეხუმრებისა!

თ ა თ უ შ ა. ეს რას ამბობს, თუ იცი?.. მართლა მიყვარს და არ მეხუმრებაო?

ს უ ლ ხ ა ნ ი. ა, ხომ გაიგე. დაუგდე ყური და მალე შენც მასე დაიწყებ ლაპარაკს, მაგრამ მაგისნაირ სიმართლეს ვერაფრით ვერ იტყვი...

თ ა თ უ შ ა. კარგი, კარგი, გააჩუმე და გაუშვი აქედან. დაგივორებია დივანზე და ელოლიავები... (მზაღოს) წადი, ახლა შვილო, გამოიძინე და მერე მოდი, რომანი რომ მოვა, თუ მართლა მისი ნაცნობი ხარ.

ს უ ლ ხ ა ნ ი. უყვარს, დედაკაცო, რომ გეუბნები... მთაში მიყვება და დიდპაპასთან ერთად უნდა იცხოვრონ.

თ ა თ უ შ ა. ჰე, კიდევ რას იტყვი? (მზაღოს) წადი, შვილო, სახლში წადი, პატრონი არა გყავს?

მ ზ ა ღ ო. პატრონი სინდის მყავ...

თ ა თ უ შ ა. ჰოდა, სინდის-ნამუსიანად იარე, მაგრამ აგერ რომ გაშხლართულხარ, სინდისია?!

მ ზ ა ღ ო. სინდის თავ უხმე!

თ ა თ უ შ ა. კაცო, ვინაა ეს, საიდან გაჩნდა!

სულხანი. ვაჟი... ვაჟიშვილი რომ დღედაღამე გადამდგარია, თურმე, უსაქმოდ კი არ დადის.

თათუშა. რა უნდა ჩვენგან, არ ამაკიელო ახლა!

მზაღო. ხმა დაბალმოუბარი სჯობს, სიხდის — მაღალი!..

თათუშა (გაფითრდა და გაიწია). ვინაა ეს, რას მიბედავს?! ახლავე თმებით ვათრევ! (სულხანს ძალით გაჰყავს და კარი ხელით უჭირავს, რომ არ შემოპრუნდეს.)

მზაღო. წიწაკა ნაჭამ, პირ ემწარების! (მაღლა გაბრახუნდა, იატაკს ზედიზედ რაღაც დაეხეთქა. მზაღო დაფრთხა. სულხანს არც გაუგონია. კარს შემოგლეჯს თეა, ზურგში ჩაფრენილ ტარიელს ძალისძალათი მოათრევს).

თეა. გამოადგი ფეხი, შე ფეხებგასახმობო! (კარს მიახეთქებს და ტარიელი კედლისკენ პირმიქცეული რჩება) ტარიელია ეს, მამაჩემო! მამა, მამიკო, (მივარდება სულხანს.) არ შემიძლია მეტი! მამა არა ხარ? გული არა გაქვს? (მზაღო დაფრთხა. გასასელელისკენ გაიწია. ტარიელი ეღობება.).

სულხანი. (თავდაჯერებული). მე ვიცნობ ჩვენ სიძე-ტარიელს.

ტარიელი (აწურული მოიხედავს). გამარჯობათ...

სულხანი. გაგიმარჯოს, ტარიელ, გაგიმარჯოს... ა, კაცი, კაცო!

თეა. მამიკო, ვიცი, ყველაფერი ვიცი, ისედაც... უჩვენოდაც ათასი საქმე გაქვს. ვიცი, ჩვენ დიდი ხანია ბავშვები აღარა ვართ და ჩვენ თავს ჩვენ უნდა ვუვლიდეთ. პირიქით, შენც უნდა გეხმარებოდეთ, მაგრამ გამიგე!.. მომისმინე, მამა, შვილი ვარ შენი, ადამიანი ვარ, სხვაც რომ ვიყო, გადამთიელიც რომ ვიყო, ცოდვა ვარ...

სულხანი. მობრუნდი აქეთ, ტარიელ! (სკამს გამოწევს, გადაიფიქრებს.) აგერ, დივანზე... როგორაა თქვენ ქარხანაში საქმე? ის ვალდებულებები რომ აიღეთ... ჯერ ეს მითხარი, როგორა ხარ?

ტარიელი (მორცხვად იღიმება). რა მიშავს, კარგად, კარგად... (აქეთ ისევ ვერ მოუხედია.)

სულხანი. კი მაგრამ, ვალდებულება ვალდებულებაა...

თეა (აწყვეტინებს). გაჩუმდი, მამა, მოეშვი! დედამიწის გულზე მაგისთვის არაფერს მნიშვნელობა არა აქვს. ქარხანა... რა ქარხანაა, ნეტავი მაცოდინა, ოთხი წელიწადია ორ საცხოვრებელ სახლს ვერ მოაბეს თაკი. (იცის, რომ ქმარს ამაზე გაეღიმება და მიუტრიალდება.) გაიცინე, გაიცინე, რას უცდი! (ტარიელი იღიმება.) კიდევ, კიდევ... (ტარიელი ისევ იღიმება.) არ გაქვს საქმე მოწყობილი სასაცილოდ და სამხიარულოდ?!

ს ულ ხ ა ნ ი (ტარიელს). შენც, მაინცდამაინც, მაშინვე ნუ გაიცინებ, შე კაცო, ხანი გამოუშვი...

ტ ა რ ი ე ლ ი: რატომ? არაა სასაცილო, თუ?

თ ე ა. სასაცილოს ვლაპარაკობ ახლა მე რაიმეს? არა. მითხარით, თუ გიჟი ვარ; გამისინჯეთ ჯიბეები, იქნება ქვები მაქვს და ვისვრი, შიშველი ვარ და ვერ ვაშჩუეტ!..

ს ულ ხ ა ნ ი. აქვს, ტარიელ, ქვები ჯიბეებში?

ტ ა რ ი ე ლ ი. ჯიბეებში არა...

თ ე ა. და, მაინც ვისვრი, არა? გაიცინე... (ტარიელი იღიმება.) მამა! (სულხანმა წამოდგომა დააპირა.) იჯექი ცოტა ხანს, ცოტა ხანს ჭომისმინე, თორემ დავიხრჩობ თავს, მამა! (ტარიელს ეღიმება.)

ს ულ ხ ა ნ ი თავს ვიხრჩობო, სიყვარულით ნათხოვი ცოლი ამბობს და ეცინი?

ტ ა რ ი ე ლ ი. არ იზამს მაგას, ჯერჯერობით...

ს ულ ხ ა ნ ი. რატომ არ იზამს ვითომ, აგერ, მისი პირით ამბობს... (სულხანსაც გაეღიმა) ცივია ჯერ წყალი, ხომ?

ტ ა რ ი ე ლ ი (ისევ იღიმება.) ცივია...

ს ულ ხ ა ნ ი. მართალი ბრძანებაა, ტარიელ ბატონო, ჩემი შვილები სიცხე-სიცივეს ნაჩვევი არ არიან...

თ ე ა. მამა, შენი ჭირიმე... რომ გეუბნები... არა ვარ შენი შვილი?

ტ ა რ ი ე ლ ი. ასეც რომ იყოს...

თ ე ა. გაჩუმდი შენ! მამა, მითხარი, თუ არა ვარ შენი შვილი, მითხარი, თუ ვინმემ ძალით ჩამოგიგდოთ ჩემი თავი...

ტ ა რ ი ე ლ ი. ასეც რომ იყოს, ეს რას ცვლის...

თ ე ა. ჰო-ჰო, რა იხუმრა! ჰე, გაიღიმე, ახლა! (ტარიელი იღიმება.) კიდევ! (ტარიელი კიდევ იღიმება.) ხომ ხედავ, მამა! როგორ, როგორ გავძლო ამისთანა კაცის ხელში?

ს ულ ხ ა ნ ი. ახლა არაა ამის დრო... აგერ, სტუმარი რომ გეყავს, ვერ ხედავთ?

თ ე ა (მზაღოს ნაუცბათევად თავი დაუქნია). ვეღარაფერს ვამჩნევ, ვეღარაფერს ვხედავ! (ტარიელი მობრუნდა და მზაღოს თავის დაქნევით მიესალმა.) გაიღიმე! (ტარიელი იღიმება.)

ს ულ ხ ა ნ ი. ტარიელ, მობრუნდი, კაცო, აგერ, ჩვენი სარძლო გაიცანი!

თ ე ა. (მზაღოს დააჩერდება). მამა, ვინაა ეს?

მ ზ ა ღ ო (სულხანს). შენ რძლად რად მიხმობ?.. (თეას) ან, შენ — (სულხანზე) მამად?..

თ ე ა. მამა... (უკან იხევს) რას ლაპარაკობს, როგორ ლაპარაკობს?

მ ზ ა ღ ო. პროფესორ ქალაი?!

ს უ ლ ხ ა ნ ი. კი, პროფესორის უფროსი ქალიშვილია — თეა...

მ ზ ა ღ ო (დაიბნა). შენ, მამად გიხმობს...

თ ე ა. მამა, არ გამაგიჟოს, ვიღაცაა, მამას რატომ გეძახისო!

ს უ ლ ხ ა ნ ი. ჰო, შვილო, ამისთანა ღვთისნიერ კაცს, ასეთი შვილები როგორ გაგიჩნდაო? ეჭვი ეპარება, ნაჭეტანი არ გგვანანო...

მ ზ ა ღ ო. ეს მგელკაც — პროფესორ?!

თ ე ა (ცინღამ წაიქცა. მამას მოეხვია). ღვთისნიერს კი არა, მგელკაცს გეთახის!..

თ ა თ უ შ ა (შემოგლიჯა კარი). საღაა? (თეას) შენ აქ საიდან გაჩნდი? ვინაა, გოგო, ეს? შენ ხომ მაინც არ იცი?

თ ე ა. ვინაა, დედა... მე რა ვიცი...

მ ზ ა ღ ო. პროფესორ!.. ხვთის მადლმა... ნამდვილ პროფესორ?!. (გასასვლელს მიასკდა.)

ს უ ლ ხ ა ნ ი. ფანდური, ფანდური, ქალიშვილო!.. (მზაღოს არაფერი ესმის. ტარიელის წინ კარს გამოგლეჯს და გარბის.)

ს უ ლ ხ ა ნ ი. (მიაძახა). იყოს, მაშინ, მერე გამოიარე...

თ ა თ უ შ ა. აქ კიდევ მაგის გამოვლა მინდა? (წამოუსვამს ხელს ფანდურს და ესვრის. ტარიელი მარჯვედ იქერს, სინჯავს, ხომ არაფერი დაუზიანდაო, მერე რაღაცა ჩაიღიღინა კიდეც.)

თ ე ა. დედა! (ტარიელზე) ხედავ, დედა?!

თ ა თ უ შ ა. რა მოხდა, თქვენ კიდევ რაღა უბედურება დაგემართათ?

თ ე ა. რა არ დამემართა... ამდენ ხანს სიცილი იყო და, ახლა, სიმღერა დაიწყო. რა ვქნა ამის პატრონმა, მოვიკლა თავი? მირჩიეთ რაიმე... მამა, თქვი რაღაცა...

ს უ ლ ხ ა ნ ი. (მუცელზე იტაცა ორივე ხელი, ეტყობა, წყლულმა შემოუტია). ბორჯომი, ერთი ჭიქა ბორჯომი!

თ ა თ უ შ ა. გაიგე, არაა ეს ბორჯომი! (ზვარეს პოთლს წამოაღო ხელი, გასახსნელი ვერ იპოვა. გადის ოთახში.)

თ ე ა. მამა, როკაპი, უცხვირპირო დედამთილი და სამი მული... გაუთხოვარი მულები სახლში! მამა, მარტო ეს რას ნიშნავს. სამი მული კი არა, სამი გაუთხოვარი ანგელოზი რომ გყავდეს ოჯახში...

სულხანი. (ეენესით.) მეც ხომ მყავდით, დედაშენიანად, სამი „ანგელოზი“... და მეოთხეც... შენი ძმა ანგელოზი არაა? დედაშენი, ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობს. (შემოდის აფორიაქებული თათუშა, ისევ გაუხსნელი ბოთლით.)

თათუშა. ვერ ენახე ის დასაწვავი ღა, მოვიკლა თავი?

სულხანი. ბოთლის გასახსნელისათვის რომ თავი მოიკლა, ქვეყანას რა პასუხი მივცეთ, მიზეზი რომ გკითხონ?

ტარიელი. აგერ, მე მომეცი, დედა! (ყიბიდან ყაყვს იღებს.)

თეა (მიეარდება). დედა! გამიგონე, დედა, მიშველეთ რაღაცა!

სულხანი. ჰე, გადით ახლა. დედაშენმა, ხომ დაინახეთ, შენი ძმის საქმე როგორ ბრძნულად გადაწყვიტა და, ახლა, შენი გასაჭირი უამბე...

თათუშა. რა გადაეწყვიტე? აბა, სახლში შემოვუშვებ, ბიჭი ქუჩაში რამდენ მაგისთანა მაწანწალას გაელაზღანდარება?

სულხანი (თეას). ახლა, შენთვისაც მოიცლის. თქვენი გაჩენის დღიდან დღემდე, დედათქვენი იყო თქვენი გზამკვლევი.

თათუშა. აბა, ვინ იყო! შეენ?

სულხანი (გულმოსული). მეც ამას ვამბობ. რომ შენ იყავი და არა მე!

თეა. მამა!..

თათუშა (თეას). წამოდი, მაგი, ახლა, დღეს გაიცანი? (გადის.) წამოდი!

სულხანი. მე, მართლა, დედაშენისა არ იყოს, დღეს გამიცანი? (ტარიელი აწევდის გახსნილ ბოთლს და ფანდურს საწერ მაგიდაზე დებს.)

თეა (კარიდან მოაძახებს). ვამა, იცოდე, მე აქედან ფეხს არ მოვიცელი.

სულხანი. გმადლობ, ტარიელ... მომკლა წყლულმა... მაგრამ ზვარე მიშველის?

ტარიელი. გიშველით, დალიეთ იმ რწმენით, როგორც ბორჯომს სვამთ...

სულხანი. ასეც ვშვრები: ვსვამ ჩაის, როგორც ყავას; ვჭამ ყველსა და პურს, როგორც ხაჭაპურს (ზედა სართულზე, იატაკზე რაღაცა დაეხეთქა და დაიმსხვრა.) ვზივარ და ვმუშაობ, როგორც უკაცრიელ კუნძულზე...

(თეას ხმა. ტარიელ!)

სულხანი (ფანდურზე აჩვენებს). წელან, ამის პატრონს ვეუბნებოდი, შენ თავიდან გითხარი...

ტარიელი (გაელიმა.) კი, მითხარით...

სულხანი. მეტი მე არაფერი შემეძლო...

ტარიელი. მეც ვიცოდი...

სულხანი. ვიცი, რომ იცოდი, მაგრამ არ დაიშალე... (კარს შემოაღებს, თეა.)

ტარიელი. მაგრამ, სიყვარული?

თეა. სიყვარული?! სიყვარულზე ლაპარაკობ, შე ყასაბო?! წამოდი. მამას ხელს ნუ უშლი! შენი დედა-დები ნელ ცეცხლზე მწვავეს, შენ ხელებს ითბობ და სიყვარულზე ლაპარაკობ? (ხელს დაავლებს და კარისკენ მიჰყავს.)

ტარიელი (სულხანს მიაძახებს). ვიცოდი, თავიდანვე ვიცოდი, მაგრამ.... მაშინაც ასე იყო, (ეღიმება.) მე ვინ მკითხავდა...

გაჰყავს თეას. სულხანი ისევ ქაღალდებს ჩაჩერებია. რეკავს ტელეფონი. მაღლა სართულში ისევ ურახუნებენ...

სურათი მეორე

იგივე დეკორაცია. დივანზე სძინავს რომანს. თავთან მაღვიძარა საათი და ტელეფონი უდევს. ტიხრის კარიდან შემოდის თიკო, უკან თათუშა მოსდევს.

თიკო. დე, დამანებე თავი, ნუ გეშინია, არ დავიკარგები.

თათუშა. სად დადიხარ, გოგო, ნუ ხარ ყოველდღე გადამდგარი, რა ვუთხრა მამაშენს!

თიკო. დე, მე დღე ვარ გადამდგარი, ჩემი ძმა ოცდაოთხი საათი რომ შინ არაა, რას ეუბნები? (რომანს დახედავს) ა, როგორ მოხდა? გახსენებია სახლი... გაშხლართულა და ხვრინავს...

თათუშა. მადლობა ღმერთს! (ხელები უმწეოდ ჩამოუცვივდა.) გადაირევა მამაშენი, რომ მოუსწროს.

თიკო. ეტყობა, მალე წავა, საათი თავთან უდევს, — პაემანზე არ დააგვიანდეს. ჰო, მართლა, ის მოხევე თუ სვანი გოგო ვინ იყო? მგონი, მამასაც გაუცვნია.

თათუშა. ამას ნუ უყურებ შენ! ბიჭი და გოგო ერთია?

თიკო. რატომ, ვითომ, კახპა მარტო ქალზე ითქმის?

თ ა თ უ შ ა. გაჩუმდი! (რომანს თავზე დაადგება.) გადაირევა მამაშენი, რომ მოუსწროს!

თ ი კ ო. წიგნი ჩაუდე, დე, წიგნი დავიწყებია...

თ ა თ უ შ ა. აღარ შემიძლია მეტი! მეც გაბოვტვინდი თქვენს ხელში! (თაროდან იღებს სველ წიგნს, გაშლის, დივანის საბურველს მიაყრდნობს მაინა რის სახის წინ.) ეს მაინც რომ ჭკბილს, დიდი საქმეა?

თ ი კ ო. შენ გგონია, მამა დაიჯერებს, თუ ამაზე იფიქრა, რომ ბიბი ვაჟიშვილი, როცა სძინავს, მაშინაც კითხულობს?

თ ა თ უ შ ა. ჩუ, გოგო, შენ! წიგნს რომ დაისახავს, მაინც გული მოულბება, იფიქრებს, სათაურს მაინც წაიკითხავდაო.

თ ი კ ო. არადა, სათაურიც არა აქვს წაკითხული.

თ ა თ უ შ ა. რა ვქნა, აბა, გოგო, რა გიყოთ! რა ცეცხლსა და მდუღარეში გადავვარდე! თეაა და, არ ჩერდება იმათ სახლში, არ ეუბნ ლია იმ ქალებთან გაძლება და მოვკლა? (რომანზე) ესაა და, ყოველ-ღლე ახალ-ახალ უბედურებას გადაეკიდება!

რეკავს ტელეფონი. რომანი, მთვარეულივით, ბინაარე იღებს ყურმილს.

რ ო მ ა ნ ი. გისმენ... გისმენ, თვალისჩინო... გისმენ, ანგელოზო, პატარა.., სიზმარში გხედავდი... ძინავს თუ მღვიძავს, შენ გიყურებ... როგორც შენ მიბრძანებ, მშვენიერთა ხელმწიფევ!.. მე, ბედნიერი ბონა ვარ... ჩემი ტანჯვა რა სასსენებელია, თუ შენ ასე გინდა... შენი ხელით სიკვდილი მიჯობს უშენოდ სიცოცხლეს... შენი ხმალი, ჩემი კისერი... (დებს ყურმილს და იცინებს.)

თ ი კ ო. დაანებოს თავი ოცდაოთხი საათი გოგოების დეკნას, რომ არ დაიჭირონ ან არავინ მოკლას. სირცხვილია, მეტი რომ არაფერი.

თ ა თ უ შ ა. რისთვის დაიჭერენ ან ვინ მოკლავს?!

თ ი კ ო. დედა, არ შეიძლება ამდენი ქალიშვილისა თუ ქალის გაუბედურება, ადამიანებია...

თ ა თ უ შ ა. ამიტომაა, რომ გიჩიჩინებ, ჭკვით იყავი-მეთქი!.. ნუ იუბედურებენ თავს, დაეტიონ სახლში! ვინც ხელს დაუქნევს, ყველას ნუ მისდევენ!

თ ი კ ო. სახლში დავსხდეთ და მაჭანკლებს დაველოდოთ? თუ, გაზეთში განვაცხადოთ: გათხოვება გვინდა, მოდით, მოგვიტაცეთ-თქო? როგორ მოვიქცეთ? ან, ჩემი სურათი თუ დავბეჭდეთ, რაღა გვიჭირს, რაც ქვეყნად ვინმე საცოლოა, კარზე მოგვაწყდება?

თ ა თ უ შ ა. თუ მაგი იცი, რას დასდევ იმ ბონძველაძის ციგან ბიჭს?

თ ი კ ო. ხომ მოგწონს, დე, ხომ კარგი ბიჭია?

თ ა თ უ შ ა. რად მინდა მარტო გარეგნობა? დავაჯინო და ეუყურო?

თ ი კ ო. როგორ იცვამს და იხურავს, დე, აჰ?

თ ა თ უ შ ა. იცვამს მამაშისის ფულებით, რა ენაღვლება... და, რომ იცი, მამამისის და ძამაშენის დამოკიდებულება...

თ ი კ ო. აჰ, დამოკიდებულება!.. არ მითხრა, ახლა, რომეო და ჯულიეტას მშობლებივით საგვარეულო მტრობა აქვთო.

თ ა თ უ შ ა. მაძაშენმა რომ გაიგოს, რა წყალში გადავვარდე!

თ ი კ ო. ის მთიელი რომ სახლში მოვადგათ, რა წყალში გადაცვიდით? ეს გუშინწინ, მაგრამ ამ გაზაფხულზე, ქმარს გამოქცეული ქალი რომ მოგვიკარდა, ღამის გასათევი აღარსადა მაქვს, თქვენს იქით ფეხის გადამდგმელი არა ვარო? ან, ის რომელი იყო, აი, აი, ამ დივახზე რომ ნავთი გადაასხა და ასანთს რომ მაშინვე მოჰკიდებოდა, გვწვავდა. ან ის...

ისევ ტელეფონის ზარი. მძინარე რომანი კვლავ მექანიკურად იღებს ყურმილს.

რ ო მ ა ნ ი. შენა ხარ, ჩემო სულიკო... ჩემო თვალის სინათლეე!.. ლამახების პრეზიდენტო... უშენოდ დილაც ნუ გამთენებია... სიზმარში გხედავდი და ვტიროდი... ჩემი ცრემლიც შენა ხარ და სიხარულიც... რასაც შენი გული ინდომებს... შენ ზევითა ხარ, მე ქვევით... (მძინარევე დებს ყურმილს.)

თ ი კ ო. ან ის, წელან რომ რეკავდა, ან ეს...

თ ა თ უ შ ა (გადაირია). არ გამახსენო, გაჩუმდი! მაინც არა მაქვს გული და ნერვები...

თ ი კ ო. მე გავჩუმდები, მაგრამ ბომბს რომ შემოგვიგდებენ სახლში, ის იყვირებს. ნავთი კი დაუმალე მამაჩემს, ჰარკეტი მოეწმინდეო, მაგრამ ბომბებს, ყუმბარებსა და ზარბაზნებს რომ დაგვიშენენ?..

თ ა თ უ შ ა. მამაშენს, ბონძველაძის დამოყვრებას, ბომბის გახეთქვა ურჩევნია.

თ ი კ ო (ცეკლუცად). მა, როცა ყველაფერი კარგად დამთავრდება — ზავს დადებს თუ, რა თქმა უნდა, შენ ბორჯომის წყალს უშოვი. (ღიღინებს). წყალში ვდგევართ, ცივცხლი გვიკიდია...

თ ა თ უ შ ა. გოგო, ნუთუ არ იცი, ბონძველაძეს დისერტაციის დაცვა უნდა და მამაშენის დამოყვრება სჭირდება.

თ ი კ ო. დე, ნუ დარდობ, ჩემი საძამაძთილო, თუ გაუჭირდება, ისედაც დაიცავს.

თ ა თ უ შ ა. ვერ დაიცვა, არ გახსოვს? ვერ დაიცვა. მამაშენი, რაც არ უნდა იყოს, აკადემიის საპატიო წევრია...

თ ი კ ო. მერე რა. ჩვენი აკადემიისა კი არაა.

თ ა თ უ შ ა. მამაშენის სიტყვას მეცნიერებაში ფასი აქვს.

თ ი კ ო. თუნდაც ასე იყოს... (*რეკავს ტელეფონი, რომანი იშმუშნება.*) დღეს ადრიანად ჰკონია პაემანი! ეტყობა, როგორც ყოველთვის, დღესაც ძვირფასი დღე აქვს. ნეტავ, ისევ იმ ფეხიელ გოგოსა ხვდება? თუ, უკვე გამოიცვალა?..

თ ა თ უ შ ა. არ ახსენოთ მისი სახელი! იმასთან რა ჯანდაბა უნდა, კინალამ შემშალა ჭკუაზე ქალი...

გამოუძინებელ-გოგზებული რომანი დივანზე წამოჯდა.

თ ი კ ო. დე, მე წავედი!

თ ა თ უ შ ა. გოგო, მამაშენს რა ვუთხრა?

თ ი კ ო. რაც გინდა, ის უთხარი, დე! შენ უკეთესად იცი. მე ყველაფერზე თანახმა ვარ. თუ დამაგვიანდეს, (*სელით ანიშნებს*) იქიდან შემოვიპარები...

თ ა თ უ შ ა. ვერაფერს ვეტყვი, არაფრის თქმა არ შემიძლია! (*თიკო ეხვევა, კოცნის. ისევ ტელეფონი.*)

რ ო მ ა ნ ი (*თვალგაუხელელი*). ამ დღეს ველოდი, მოვესწარ... კი... ვიცინი, აღარ ვსტირი მე... მომიფრინდა სიყვარულის ფრინველი ძიხეზითა სხვისითა და სხვისითა... შენი სიყვარულით სავსე გული კაცის ცოდვას ვერ დაიდებს... მე ყველაფრის ღირსი ვარ, მაგრამ შენ ხიკეთის მეტი არაფერი შეგიძლია... გელოდები ყოველ დღე და გელი ყოველ კვირა... (*დებს ყურმილს და ახლა, დამჯდარს სძინავს.*)

თ ი კ ო. ხომ ვიცით... რასაც ლაპარაკობს... როდისაა ნათქვამი, რამდენჯერაა განმეორებული. საბჯერ ახლა გაიმეორა... და დღეს, ალბათ, ოცდაათჯერ გაიმეორებს... და ყველა ქალს მაინც ეგონება, რომ პირველად ითქვა და მხოლოდ მისთვის ითქვა...

თ ა თ უ შ ა. და, ეს რომ იცით, მე რაღა გითხრათ, როგორ აგიხსნათ, რა შემიძლია...

თ ი კ ო. შეგიძლია, დე... ჩემი ტკბილი დე, ჩემი საყვარელი დე... შენ ყველაფერი შეგიძლია. ჩემი საფიცარი დე... (*რომანის საწოლთან საათს დახედავს, ჩქარობს.*)

თ ა თ უ შ ა (*მოლბა*). არ დაიგვიანო მაინც. როგორმე, ადრე მოდი... თეატრშია-შეთქი, ვეტყვი, და იცოდე!

თ ი კ ო. არ დაიჯერებს, თეატრში ჩვენ როდის დაუდივართ, დე!
თ ა თ უ შ ა. აბა, ყოველდღე დღეობა რაფერ ვიძახო...

რომანი საზურგეზე გადაედებს თავს და ახვრინდება.

თ ი კ ო. დამჯდარი სძინავს!.. ნეტავ, რას იკლავს თავს, ეს საცოდავი დონჟუანი... რომან! აუუ, ვაიღვიძე, გვაგვიანდება!

დედას ჰაეროვან კოცნას უგზავნის და გადის. თათუშა მიხურულ კარს სიყვარულით მიაშტერდება.

რ ო მ ა ნ ი (თითქოს აბოდებს). დედიკო!..
თ ა თ უ შ ა. ბიჭო, დაგეძინა ერთხანს. მთელი ღამე, ალბათ, თვალი არ მოგიხუჭავს!
რ ო მ ა ნ ი. დედიკო, მოდი, გვერდით მომიჯექი, „სვოი!"
თ ა თ უ შ ა. რაფერ დაგიჯდე, დასაჯდომად მცალია?
ო მ ა ნ ი. (თეჯირზე ანიშნებს). „ძველი" ხომ არ მოსულა?
თ ა თ უ შ ა. არა, მაგრამ საცაა მოვა...
რ ო მ ა ნ ი. „სვოი", შენ ვენაცვალე მე, შენ, ჩემო ერთადერთო, საფიცარო დედიკო!.. დედიკო!.. დედიკონა!..
თ ა თ უ შ ა. ნუ მელაპარაკები, არა ვარ შენი დედა.
რ ო მ ა ნ ი (თითქოს ძილში აბოდებს). შენ დედა კი არა... რა ხარ, თუ იცი? დედის გულის გული ხარ! შენზე, ჩვენ — შვილები, რომ ვკარგოდეთ და შენი ფასი ვიცოდეთ, დაჩოქილი უნდა ელოცულობდეთ... ხატზე... ხატივით..,
თ ა თ უ შ ა. არ გამაგონო!..
რ ო მ ა ნ ი (თვალდახუჭული ხელებს აღაპყრობს.) ღმერთო, ჩემს დედიკოს არ მოაკლო შენი წყალობა... ჩემთვის არაფერს გთხოვ, ჩემს სალოცავ დედიკონას!..
თ ა თ უ შ ა (დაშაქრდა). ვიცი, ახლა, რაც გინდა...
რ ო მ ა ნ ი (თითებით ანიშნებს — ფულიო). დაყაჭე!
თ ა თ უ შ ა. მაქვს?..
რ ო მ ა ნ ი. ღმერთი მოგცემს. შაბათს, შენს სახელზე, სანთლები დავანთე ეკლესიაში...
თ ა თ უ შ ა. ღმერთო, შენი სახელის - ჭირიმე!..
რ ო მ ა ნ ი. დაყაჭე!
თ ა თ უ შ ა. ყოველდღე რა ფული გაგიძლებს, რა წყალში გადავვარდე!..

რ ო მ ა ნ ი. დაყაჭე, სანამ ის, „ძველი" არ მოსულა... და ღმერთი არ გაგრისხებია. (ისევ და ისევ ტელეფონი. იტაცებს ყურმილს და შეიცხადებს.) უიმე! დედაჩემო, ვისი ხმა მესმის. არ ვყავართ, დედიკო, ღმერთს გაწირული... დედაჩემი შენ ვინ გგონია! ქალი კი არა, ღვთაებაა და შენისთანა ანგელოზს დავუშალავ?.. ა, დედა, ვესმის? ხომ ვითხარი, ასე უსაშველოდ მორცხვი და მოკრძალებულია-მეთქი... რა ვქნა, დედა... მირჩიე რაიმე...

თ ა თ უ შ ა. ვის ოხერია!

რ ო მ ა ნ ი (ყურმილზე ხელს აფარებს). არის ერთი...

თ ა თ უ შ ა. რამდენი ერთია, ბიჭო, რამდენი ერთი...

რ ო მ ა ნ ი (ყურმილში). ისაა... დედიკო, ის ერთადერთი, შენ რომ ვიყვარს და ჩვენ, ყველას.. დედაშენს როგორ უმხელო, დედა, ჩვენს ამბავსო... სიყვარული კი არ ახსენა, დედა, ვითომ ცოდვა ჩაედინოს... დედაჩემმა კი არა, ვინ არ იცის... რა დასამალია... დედიკო, უთხარი რაიმე, სალამოს სახლიდან არც კი გამოდის... ე, ვოგო!.. ე, შე, მზეთუნახავო... დედაჩემის ხათრით?.. შენი ჭირიმე, დედაჩემო, შენი!.. (დებს ყურმილს.)

თ ა თ უ შ ა. ვინ ჯანდაბაა! მე რატომ მრევ შენს უკულმართობაში და მჭრი თავს.

რ ო მ ა ნ ი. რას გრევ, ქალს ვუყვარვარ და მიყვარს, რა გოიმივით იქცევი, დედიკო... თავს ის არ ვჭრის, შენი საყვარელი ვაჟიშვილი რომ ჯიბეგახვრეტილი დაგიდის?.. დააძვრე, ძვირფასო, უზალთუნები, დააძვრე...

თ ა თ უ შ ა (წინსაფრის ქვეშ ხელს შეაპარებს, იღებს ფულს) ა, ამის მეტი კაპიკი არა მაქვს.

რ ო მ ა ნ ი (სულაც არ უყურებს). რას კადრულობ, პროფესორის ცოლი, არა ვრცხვენია?! (დგება, ტანსაცმელს ისწორებს, სკამზე მიკიდებულ პიჯაკს წკიპერტით მტვერს აცილებს.) შენ მარტო დედა კი არა, ჩემი ძმაცა ხარ, სული ხარ, სუნთქვა, ჰაერი... (ხალათს იხდის.)

თ ა თ უ შ ა (შეიცხადებს). ეს რა ამბავია! (თეთრი ხალათის გულიბპირა წითელი პომადითაა მოჩითული.)

რ ო მ ა ნ ი (ტუჩზე თითს მიიდებს). აბა, „სვოი"!.. ხომ იცი, დედიკო, ახალგაზრდული გატაცებები...

თ ა თ უ შ ა: რა გატაცებები, ბიჭო, რის გატაცებები! გუშინწინ, კიდევ, ვინ მომაყენე კარზე. ის მთის ქალი, კინალამ ჭკუიდან შემშალა! არ მეყო, შენგან რაც გაწამებული ვარ?!

რ ო მ ა ნ ი. ხომ გამოუსკვენი, შე ბრძენთა ბრძენო, შენებურად კუ-
დი! დედიკონა, შვილები არავის დააჩაგვრინო!.. (ხალათს აჩეჩებს.)
თ ა თ უ შ ა. მამაშენს რომ მოესწრო და დაენახა?..
რ ო მ ა ნ ი. ხომ ხედავდი დივანზე, საზურგისკენ პირმიქცეულს მე-
ძინა, ძილშიაც არ მავიწყდება, დედიკო, რომ შენ უსიამოვნება არ
შეგხვდეს... (დახედა დივანს) წიგნსაც ვკითხულობდი... ამაზე ჭკვიანი
და მორჩილი შვილი, ნეტავი თუ ვინმეს ჰყავს? შენ კი... (დივანზე
დაგდებულ ფულზე მიუთითებს.) მეურჩები, დედიკო, და გინდა მაწყე-
ნინო. ღმერთო, შეუნდე და არ მოაკლო შენი წყალობა...
თ ა თ უ შ ა (კიდევ იღებს ფულს). არა მაქვს, ბიჭო, მეტი, გაიგე!..
რ ო მ ა ნ ი (ისევ არ უყურებს). ამისთვის მიყვარხარ მე შენ? ამიტომ
ვიძახი: დედაჩემის ფასი ქალი ქვეყნად არ გაჩენილა–მეთქი! მსოფ-
ლიო დედა მყავს-მეთქი? ამიტომ ვუვირი და ვქადაგებ?.. საწყა-
ლი, ჩემი ძმაბიჭები, შურით სკდებიან... შენ, დედა კი არა, თუ
მართალი გინდა, მამაც ხარ ჩემი და, საერთოდ, თუ რაიმე გამაჩნია
და მაბადია, შენი ხარ! და, თუ მთლად მართალი გინდა იცოდე,
ძეგლი უნდა დაგიდგა. ასეც იქნება ეს, რომ იცოდე, არ უნდა
ამას ლაპარაკი!.. სამხატვრო აკადემიას როგორც კი დავამთავრებ...
თ ა თ უ შ ა. როდის, ბიჭო, არ უნდა დააყენო საშველი?..
რ ო მ ა ნ ი. დედიკო, ამისთვის გიდგამ ძეგლს? რავა მამაჩემივით ლა-
პარაკობ?
თ ა თ უ შ ა. რა ვქნა ახლა?. (იღებს კიდევ ფულს). ა, ფეხით რომ ჩამომ-
კიდო, კაპიკი არ გადმომვარდება.
რ ო მ ა ნ ი (იღებს ფულს). „სვოი"! იცოდე, ეს გროშები გამითავდება,
ჯერი შენ სადღეგრძელოზე რომ მიდგება და მერე არ დამემდურო,
თუ ისე ვერ ვიტყვი, როგორც ჩემს... (პათეტიკურად) ჩემს უძვირ-
ფასეს, ჩემს უგულითადესს, ჩემს ქვეყნის უკეთესს, ულამაზესს,
უჭკვიანესს, ხატება დედიკოს ეკადრება... (ეხვევა, ეფერება. თათუშა
ნეტარებს. ამასობაში რომანი ჯიბიდან ფულს უღებს.) შენი ჭირიმე, დედი-
კო, შენ გენაცვალე, დედიკონა! აბა, ახლა, ახალი ხალათი, ისეთი,
შენ რომ იცი და, იმისი ჯანი!
თ ა თ უ შ ა. რა ვქნა, რა წყალში გადავვარდე!..
რ ო მ ა ნ ი. არაფერი არ გეშლება შენ, ჭკუის კოლოფი ხარ. განძი
ხარ, ბრილიანტი, თვალ-მარგალიტი...

რომანს ხელგადახვეული გაპყავს. პაუზა. მეორე კარიდან შემოდის თეა. ცალი ხელი ტარიელის ზურგში აქვს ჩაფრენილი. ოთახს მოათვალიერებს და უკუსელით შემოაღრევს გაჯიუტებულ ქმარს.

თ ე ა. შემოდი! ნუ მიასვე ფეხი ჯორივით, შემოდი, შე ფეხებგასახ-
მობო!

ტ ა რ ი ე ლ ი (გაიწვეს და კარში ეხიდება). გამიშვი!

თ ე ა. სად გაგიშვა, სად მიუვალში გაგიშვა! სად გამეპარე გუშინწინ? გუშინ სად დამემალე? მოშაედი აქ!

ტ ა რ ი ე ლ ი (მუდარით). გამიშვი, თეა!..

თ ე ა. გაგიშვა, აპ? გაგიშვა და მერე ვეძებო, არა? (შემოათრევს კარში გახიდულს.)

ტ ა რ ი ე ლ ი (კარის მისურვისას გაუსხლტება, კუთხეში მიიკუჭება) ვაიმე!..

თ ე ა. სად მიძერები! სად იმალები? (მივარდება, შემოხვევს მკლავებს ვნებიანად.)

ტ ა რ ი ე ლ ი (ხმადაბლა, განწირული ხმით). მიშველეთ!.. ხალხი არა ხართ?

თ ე ა. მე შენ გიშველი... (ჰკოცნის) მე, შენ... (ჰკოცნის) მე, შენ!..

ტ ა რ ი ე ლ ი (იცავს თავს ვნებამორეული თეასაგან). თეა, შემიბრალე!..

თ ე ა. შეგიბრალო?..

ტ ა რ ი ე ლ ი. ცოდვა ვარ, თეა!..

თ ე ა. ცოდვა მე არა ვარ? ცოდვა-მადლი თუ იცი, სად დადიხარ, მთელ ღამეებს თეთრად ვათენებ!.. (იკრავს გულში და ჰკოცნის.)

ტ ა რ ი ე ლ ი. თეა, ვინმე დაგვინახავს, ვინმე შემოგვისწრებს!..

თ ე ა (გონს მოეგო). ჭამა!.. (თეკირისაკენ გაიქცა. ტარიელმა დრო იხელთა და კარს ეცა. თეა ფეხის ხმაზე მიტრიალდა, მიესწრო ლია კართან და თეკირისკენ წაათრია.) ისევ გარბოდი, არა? მთელი დღე ქარხნის ჭიშკართან გდარაჯობ და ისევ გარბიხარ, არა? (ტარიელს იმედი აქვს, თეკირის იქით, იცნებ, სულხანი იქნესო და თვითონაც გადახედა, არავინაა...)

ტ ა რ ი ე ლ ი. დავიღუპე!.. (ფეხები გაასავსავა) მიშ... (თეა პირზე ხელს აფარებს. ჭერზე რაღაცა დაეხეთქა. ტარიელმა ისევ დრო იხელთა, დაუსხლტა, მაგრამ თეამ მაშინვე დაიჭირა.)

თ ე ა (მიათრევს). აქ მოდი! აქ მოდი, რომ გელაპარაკები!

თეკირის უკან იმალებიან. პაუზა... იქაც ძიძგილაობაა. ტარიელი, ეტყობა, არ ნებდება. შემოდის რომანი. თეკირის იქით გაისუსნენ.

რ ო მ ა ნ ი (დედას გასძახის). დედიკო! ხომ იცი, „ძველთან“ შენებურად ჩააკვარახჭინე საქმე!

თ ა თ უ შ ა (მოსდევს). რა ჩავაკვარახჭინო, რა ვუთხრა? ღმერთო, სული ამომხადე, მოვკვდე მაინც. აღარ შემიძლია მეტი!

რ ო მ ა ნ ი. დედიკონა!.. ეს რა მესმის? მოკვდე?.. შენ მოკვდე და მე, ან რომელიმე შენი შვილი უკან ცოცხალი დარჩება? საფლავში არ ჩაგყვებით? გაგვწირე, დედიკო?!

თ ა თ უ შ ა. თქვენთვის ვარ, შვილო, თუ სული მიდგია, მაგრამ...

რ ო მ ა ნ ი (ჭოცნის შუბლზე). არავითარი „მაგრამ“... დედიკო!.. რა ხარ მაინც ასეთი, რომ არაფერი გეშლება!

თ ა თ უ შ ა (ბოლბა). ვისთან წავიდა-თქო, მითხარი მაინც... აღარ შეიძლია ამდენი ტყუილის მოგონება, გავჭაღარავდი...

რ ო მ ა ნ ი (თავზე ჭოცნის). ვენაცვალე, დედიკო, შენს ჭაღარას!.. ოთხი დღის მეტი არ დამაგვიანდება... უთხარი, ვალიკოსთან ერთად წავიდა-თქო... მეც მინდა, რაღაც ჩავიხატო.

თ ა თ უ შ ა. რაიმე ქენი, ბიჭო, მამაშენის დასანახავად რაღაცა მაინც გააკეთე!..

რ ო მ ა ნ ი. მამაჩემმა, იმ „ძველმა“, დროა შენი ფასი იცოდეს, მოეშვას იმ ქაღალდებში ქექვას და შენ მოგესიყვარულოს, ეყოფა სწავლა-განათლება აწი მაგას. ცოლზე და შვილებზე იფიქროს, ურჩევნია...

თ ა თ უ შ ა. შენ იფიქრე, შვილო, სწავლაზე და ოჯახზე...

რ ო მ ა ნ ი (აწყვეტინებს). რაც შენ გინდა და, როგორც შენ გაგეხარდება, ისე იქნება, დედიკო.

თ ა თ უ შ ა. როდის, როდის! რაღაცას შომასწარით!

რ ო მ ა ნ ი. „სვოი“! გვაცალე, ამოგვათქმევინე სული! რავა „ძველივით“ გვიჭერ კისერში ხელს, მივდივარ, აგერ, და გადავხედავ საქმესს!

თ ა თ უ შ ა. ვალიკო მართლა მოდის?

რ ო მ ა ნ ი. კარგი, ახლა, დედიკონა! რავა „ძველივით“ ეჭვიანი გახდი, ტყუილა ხარ გულთმისანი? რა იქნა შენმ შორსმჭვრეტელობა? ისე მეკითხები, თითქოს ჩემი არ გჯეროდეს!..

თ ა თ უ შ ა. რომ მჯერა, დაანებე ლოთობას და გარყვნილებას თავი...

რ ო მ ა ნ ი (იტაცა). დედა, ძვირფასო, მაგას ჩემზე, შენს პირმშოზე ამბობ?! ეს რომ „ძველმა“ თქვას, კიდევ ჰო და, შენი საფიცარი შვილები თუ ლოთები და გარყვნილებია, შენ ამქვეყნად რა გიკეთებია?! შენც რა, პროფესორი, აკადემიის საპატიო წევრი და ხელოვანი მყავხარ, თუ? შენ თვითონ იკრი, დედიკო, იმ ტოტს, რომელზედაც ზიხარ.

თ ა თ უ შ ა. რა ვიცი რა მჭირს, რომ აღარ ვიცი...

რ ო მ ა ნ ი. ყველაფერი იცი და საქმეც საათივითა გაქვს აწყობილი. დედიკო, მე, ლოთი კი არა, მსმელი ვარ; მე რომ არ დავლიო, ლექციები ვიკითხო თუ ვისმინო?!

თ ა თ უ შ ა. აბა, ლექციებს არ ისმენ?

რ ო მ ა ნ ი. რად მინდა წიგნი და ლექციები, ისედაც ხუთიანი მგლიჯა ბონძველაძემ.

თ ა თ უ შ ა. მაგი, მამაშენის ჯიბრზე აკეთებს მაგას...

რ ო მ ა ნ ი. მე, შენი აღზრდილი, ლექტორს, უფროს კაცს ხელში ვეცემოდი და კალამს ვაძოვგლეჯდი? დედიკო, ვინ გგონივარ, ღმერთო, კი მომკალი, შენ შეგარცხვენდი? შენ შვილებით უნდა იამაყო, დედიკო, შენ ბედნიერი უნდა იყო და ხარ კიდეც...

თ ა თ უ შ ა. რა ვარ, ბიჭო, რა ვარ... ვინ მომივარდება და ვინ მლანძღავს და მათრევს, ვინ ნავთს მასხამს და მწვავს, ვინ — ბომბისა და ზარბაზნის სროლასა და აფეთქებას მპირდება.

რ ო მ ა ნ ი. ესეც შენთვის, დედიკო... და, მხოლოდ და მხოლოდ შენთვის...

თ ა თ უ შ ა. ჩემთვის რყვნი და აბახებ იმ საცოდავებს?

რ ო მ ა ნ ი. ვირჩევ, დედიკო, ვარჩევ, შენი შესაფერი და მაამებელი რომელი გამოდგება. შენი ღირსი და საკადრისი ასში, ათასში არ გამოიძებნება.

თ ა თ უ შ ა. აბა, ახლა, ვიღაცა... ვიგინდარას კი ვერ შემოვუშვებ სახლში, მარა...

რ ო მ ა ნ ი. ახლა, დედიკო, ქალი რომ ფანჯრიდან იყურება — ანგელოზი იყურება, თუ არ მიუახლოვდი, რას გაიგებ? მიუახლოვდები და, შემოგამარცხდება ხელში. რა ვქნა, ჩემი ბრალია? ეს შეცდენილი და შეგინებული ქალი შენ არ მოგეწონება, თორემ, მე ჯანდაბას...

თ ა თ უ შ ა. შეცდენილი და გათახსირებული რად მინდა!

რ ო მ ა ნ ი. რა გინდა, შენ, დედიკო, და რა არა, მაგი არ ვიცი მე? რავა, სხვა საფიქრალი და საზრუნავი მაქვს რაიმე, გგონია?..

თ ა თ უ შ ა (მოლბა). რა ვქნა, ახლა!.. (ჩაფიქრდება) რაღაცას მოვიფიქრებ, აბა რა წყალში გადავვარდე...

თეჯირის იქიდან გამოძვრება, ქორის კლანჭებიდან თავდახსნილი წიწილივით, ტარიელი.

რ ო მ ა ნ ი. ეს ვინაა, კაცო?!

თ ა თ უ შ ა. ტარიელი?!

ტ ა რ ი ე ლ ი. ჰო, მე ვარ... თუ ვარ... რა ვიცი.

რ ო მ ა ნ ი. საიდან სად, სიძეე ბატონო! ა, კაცი, კაცო!

ტ ა რ ი ე ლ ი. სადაა კაცი... (უკან-უკან იხედება.)

რ ო მ ა ნ ი. რას ჰქვია კაცი არაა, არ გადამრიო!

თ ა თ უ შ ა. როდის მოდი, შვილო?

ტ ა რ ი ე ლ ი. მოვედი?.. აგერ, ახლა... კარგა ხანია...

რ ო მ ა ნ ი. ისე, რავა ხარ, ხომ არაფერი გიჭირს, აჰ?..

თ ა თ უ შ ა. რა გჭირს, ტარიელ?

ტ ა რ ი ე ლ ი. კი... არა... ახლა არაფერი...

რ ო მ ა ნ ი. თუ არაფერი... იჭუკუნეთ სიძე-სიდედრმა. (საათს დახედა, დაუაცურდა). აბა, „სვოი", მე წავედი. ისედაც დავაგვიანე...

ტ ა რ ი ე ლ ი. მეც...

თ ა თ უ შ ა. შენ, შვილო, თუ მოდი... თეას როგორ გაუხარდება!.. სად გაიპარე გუშინწინ შუაღამეზე? გადაირია გოგო...

ტ ა რ ი ე ლ ი (თეჯირისკენ მიიხედავს შეშინებული). ჰო... კი... არა უშავს...

თ ა თ უ შ ა. როდის მოდი? დაღლილი იყავი და დაისვენე? თუ?..

ტ ა რ ი ე ლ ი. ჰო, დედა... დავისვენე... ცოტა წავიძინე...

რ ო მ ა ნ ი. უყურე შენ!.. რავა რწყილივით შემოპარულა!.. (კარს აღებს) წავედი!..

ტ ა რ ი ე ლ ი (მისდევს). მეც, რომან! მეც!

თ ა თ უ შ ა. ტარიელ!.. თეა... თეას რა ვუთხრა?..

ტ ა რ ი ე ლ ი. თეამ იცის, თვითონვე... იცის... (ორივენი გადიან.)

თ ა თ უ შ ა (მიაძახა). ტარიელ, როდის მოხვალ? ტარიელ!.. წავიდა, რა ვქნა, გადაირევა გოგო!

გადის. პაუზა. შემოდის, ხელში უშველებელი ტყავის საქაღალდით, სულხანი. საქაღალდე გახსნილია. ჰალსტუხი — პიჯაკის გულისპირიდან ამოვარდნილი. ფეტრის შლაპა — ღრმად ჩამოფხატული. ჩაფიქრებულია.

ს უ ლ ხ ა ნ ი (ფიქრს განაგრძობს). რატომ? რისთვის?.. ისევ დისერტაცია... (გასძახის.) თათუშა! ისევ „ის" დისერტაცია!.. (იღებს ჩანთიდან თაბახს და ჩაჩერებია.) თათუშა!

თ ა თ უ შ ა. აგერ ვარ, კაცო, რა მოგივიდა!

ს უ ლ ხ ა ნ ი. რატომ?.. თუ მაშინ არ ვარგოდა, ახლა რა ხდება?.. რას აპირებს ბონძველაძე? რავა იტყვი შენ?

თ ა თ უ შ ა. მე, რას კიტყვი?

ს უ ლ ხ ა ნ ი. ა, შეხედე! (აჩვენებს ქაღალდებს.)

თ ა თ უ შ ა (ზედაც არ დახედავს). რა ვიცი მე, რაა ეს?..
ს უ ლ ხ ა ნ ი. „ის“...
თ ა თ უ შ ა. რა „ის“, კაცო?!
ს უ ლ ხ ა ნ ი. დისერტაცია...
თ ა თ უ შ ა. მერე? მე დავწერე, თუ?
ს უ ლ ხ ა ნ ი. არა, მაგრამ... რატომ?.. (ფურცლებს შლის.) არაფერი... ყველაფერი ისეა... ერთი სიტყვაც... თიკო სადაა?
თ ა თ უ შ ა. თიკო?.. რა შუაშია აქ თიკო?
ს უ ლ ხ ა ნ ი. არა, მაგრამ, მაინც სადაა?
თ ა თ უ შ ა. გოგოებმა გამოუარეს...
ს უ ლ ხ ა ნ ი. გოგოებმა?.. (დაეჭვებული) ვითომ, გოგოებმა?
თ ა თ უ შ ა. ჩემი თვალით ვნახე მზევინარი და ლამზირა. კარგი გოგოებია, სულხან, რას იტყვი?
ს უ ლ ხ ა ნ ი. აჰ? კი...
თ ა თ უ შ ა (ახარა). ტარიელი იყო, სულხან! ა, ფეხათ გაგასწრო!
ს უ ლ ხ ა ნ ი. ტარიელი?..
თ ა თ უ შ ა. აბა, აგერ, ახლა...
ს უ ლ ხ ა ნ ი. არ იქნებოდა...
თ ა თ უ შ ა. ნუ გადამრევ, მამაზეციერო! რავარც შენ გიყურებ, ისე მეჯდა თვალწინ და როგორ მელაპარაკები...
ს უ ლ ხ ა ნ ი. თავისით...
თ ა თ უ შ ა. თავისით, აბა, გულზე ახუტებულს მოვიყვანდი იმხელა კაცს?
ს უ ლ ხ ა ნ ი. შენ არა, მაგრამ თეა... თიკო სადაა?
თ ა თ უ შ ა. თეა... ვერ ძლებს იმ შენ მზახლებთან და დავღუპოთ შვილი?
ს უ ლ ხ ა ნ ი. რა დაღუპავს?
თ ა თ უ შ ა. რად ვერ გაიგე, ადამიანო, ის ხალხი ჭკუანაღრძობია.
ს უ ლ ხ ა ნ ი. რა დაემართათ?
თ ა თ უ შ ა. რავა უცხოსავით ლაპარაკობ? არც ერთი, იმ ოჯახში, რომ ნორმალური არაა, ვერ გაიგე?
ს უ ლ ხ ა ნ ი. ვერა, ვერ გავიგე.
თ ა თ უ შ ა. დედიან-შვილებიანად რომ სახლში გეგმის შესრულებაზე და ფაბრიკის უბედურებაზე კრებას გამართავენ, ოცდაოთხი საათი მეტი საფიქრალი და სადარდებელი არ ექნებათ, ისინი ჭკუათმყოფებია?

სულხანი. მშრომელი ხალხია...

თათუშა. სამოცდაათი წლის დედაბერი კიდევ ჯანდაბას, მაგრამ გაუთხოვარ ქალიშვილებს რომ მთელი ღამე დაზგა და ჩარხი აბოდებთ, ასეთ ადამიანებთან გაძლება შეიძლება?

სულხანი. აბა, ვისაც მიტაცება, მითვისება, ცბიერება და ღალატი აბოდებს, იმათთან გაძლებს?

თათუშა. ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო...

სულხანი. ქმარი?

თათუშა. ქმარი, ივლის აქ, აბა რა ვქნათ...

სულხანი. ტარიელი?..

თათუშა. ტარიელი, ტარიელი!..

სულხანი. მერე, აქ შენ, შენი ვაჟიშვილი და ქალიშვილები გაუმართავთ კრებას ფაბრიკის ბედ-იღბალზე?

თათუშა. ფაბრიკა და ქარხანა დაწვა ცეცხლმა!

სულხანი (აჩვენებს ქაღალდებზე). ა, დასაწვავი და წყალს გასატანებელი... თიკო?

თათუშა. ისევ თიკო! ხომ გითხარი... წამოდი... რაღაცას გავაკეთებ, არ ჭამ არაფერს?

სულხანი ახლა გააკეთებ?

თათუშა აბა, რა ვქნა, აქამდე რომ ვერ მოვიცალე! (ჩანთას გამოართმევს, მაგიდაზე დადებს.)

სულხანი. ბონძველაძე... ისევ ის დისერტაცია... თიკო სადაა?..

თათუშა. სადაა, სადაა!.. თიკო სადაა...

ქუდს მოხდის და ოთახიდან გაჰყავს. თეჯირის იქიდან გამოლასლასდება თეა. ისწორებს კაბასა და თმებს; ერთხანს ფანჯარაში იხედება, სად წავიდა ტარიელი და მერე მის კვალს მისდევს.

იგივე დეკორაცია. მაგიდას, რომელსაც ერთმანეთზე აყრია გადაშლილი წიგნები, ეზის სულხანი. ზოგჯერ, თავაუღებლად, მუცელზე იტაცებს ხელს — ეტყობა, წყლული აწუხებს. ჭიქას წაეტანება, ცარიელია, დადგამს. რამდენს ტკივილი შემოეტევა, იმდენჯერ ხელი მაინც ჭიქისკენ კიეკცევა. შემოდის თ ა თ უ შ ა, შემოაქვს ბოთლი. მაგიდაზე გასახსნელს ეძებს, წიგნებსა და თაბახებს ერთმანეთში ურევს; როგორც იქნა, იპოვა. თ ა თ უ შ ა ს გამოჩენიდან ს უ ლ ხ ა ნ ს ჭიქა აქვს მისკენ მიშვერილი.

ს უ ლ ხ ა ნ ი. არიქა!

თ ა თ უ შ ა. საირმეა, (უსხამს) ვერ ვიშოვნე ბორჯომი...

ს უ ლ ხ ა ნ ი. ვერ იშოვიდი... საკაბეები და საშარვლეები ხომ იშოვნე.

თ ა თ უ შ ა. არაა, ახლა, ეს ბორჯომი, შენ რომ გინდა და რა ვქნა, დავიხრჩო თავი?

ს უ ლ ხ ა ნ ი. აჰ, დაიხრჩობ?

თ ა თ უ შ ა. ჰო, დავიხრჩო?

ს უ ლ ხ ა ნ ი (წყლულმა შემოუტია). მოდი, რაც იქნება იქნება, დაიხრჩე!

თ ა თ უ შ ა. კი მაგრამ, მერე რომ გკითხონ — რისთვის მოაკვლევინეთ თათუშა გვანცელაძის ქალს თავიო, რას ეტყვი?

ს უ ლ ხ ა ნ ი. ჰო, წყალი ვერ იშოვა და თავი მოიკლაო, არ გამოდგება მიზეზად. არავინ დაგვიჯერებს... (სვამს, რაც დაესხეს.) მაგრამ, შე თირკმლები არ მაწუხებს, კუჭის წყლული მაქვს...

თ ა თ უ შ ა. ვიცით... შენ კუჭი ვაწუხებს, მაგრამ მე რამდენი რამ მაწუხებს, წამალზე ფიქრობ?

ს უ ლ ხ ა ნ ი. კი...

თ ა თ უ შ ა. რას ფიქრობ, როდის ფიქრობ?

ს უ ლ ხ ა ნ ი. ახლაც, ამწუთშიაც... (ტკივილი აწუხებს.) ერთი ჭიქა ბორჯომი...

თ ა თ უ შ ა. არაა, ამჯერად, რომ გელაპარაკებიან, გაიგონე!

ს უ ლ ხ ა ნ ი. მე მესმის, მაგრამ წყლულს ეყურება?..

თ ა თ უ შ ა. რას იკლავ თავს, დაიდე დანა, მოჭერი და გადააგდე. ასე აკეთებს, ახლა, ქვეყანა. მაგის მაგიერ ჩემზე, შვილებზე და ოჯახზე იფიქრე, მოძკლა ჯაერმა და გაძათავა...

ს უ ლ ხ ა ნ ი (ადგება ჩასაქერის). კარგი, მასე ვიზამ...

თ ა თ უ შ ა. არ იზამ მასე, სულხან, და რა ვქნა, მითხარი!.. დაშლექ-ნენ გოგოები...

ს უ ლ ხ ა ნ ი. ვაჟი? ერთი კვირაა, სულ რომ ალარ ჩანს? რა დაემართა, თუ იცი?

თ ა თ უ შ ა. ვაჟი — კაცია, რა ვუყო ახლა, არ დაიკარგება...

ს უ ლ ხ ა ნ ი. აძდენი სმა და სიყვარული არ დააკლექებს? ან „ისინი“ არ დაკლექდებიან?

თ ა თ უ შ ა. ვინ „ისინი“?

ს უ ლ ხ ა ნ ი. ჩვენი რძლები, თუ სარძლოები.

თ ა თ უ შ ა. ახლა, ის ქარაფშუტა გოგოებიც მადარდე! რა ვიცი, რა ჩემი საქმეა!..

ს უ ლ ხ ა ნ ი. ჩვენი ქალიშვილები?

თ ა თ უ შ ა. ჩემს ქალიშვილებს თუ არ შეადარე ვიღაცა მთიელი, სვანი და აჭარელი... (შემოდის ქანცგაწყვეტილი თეა. ეშვება დივანზე. თათუშა მივარდება შვილს.) სადაა? სად დადის ის ფეხებგასახმობი?

თ ე ა. მთელი დღე ვუდარაჯე ქარხნის ჭიშკართან, შიგ კაცი არ გიშვებს! დაიცალა ქარხანა... არ ჩანს...

თ ა თ უ შ ა. სად წასულა, ფრთები გამოისხა? გაფრინდა?

თ ე ა. გამეპარა... ფაბრიკის უშველებელ ღობეზე ასულა და გადამხტარა. სადღაც, უდაბნოს ხრიოკში რომ რაღაც მიწის ნაკვეთი აქვს, იქ გაქცეულა.

თ ა თ უ შ ა. კაცო, გესმის, რა ამბავია ჩვენს თავს?!

თ ე ა. დედა!.. მამა!.. მეტი აღარ შემიძლია... არა ვარ თქვენი შვილი?

თ ა თ უ შ ა (შვილს გულში იკრავს). კაცო, თქვი ერთი სიტყვა!

ს უ ლ ხ ა ნ ი. ბორჯომი...

თ ა თ უ შ ა. ხედავ, რავა დაღუპა შვილების საქმე? ხედავ, რავა დააქცია ოჯახი? უთხარი, კაცო, რაღაცა ტარიელა მათხოვარს, სუ ჩამაკლა ხელში შვილი!

ს უ ლ ხ ა ნ ი. ტარიელს უნდა, ცოლი სახლში ჰყავდეს...

თ ა თ უ შ ა. სადა აქვს სახლი და კარი?

ს უ ლ ხ ა ნ ი. სამი თვალი ოთახი აქვს... (თეას) ასე არაა?

თ ე ა. სამი გამოთაყვანებული და გამოლენჩებული და რომ სახლში უზის, თან — გამოჩურჩუტებული დედა?

ს უ ლ ხ ა ნ ი. იმ დედამ გაზარდა მაგ შენი ტარიელი და იმ დებმა დაამთავრებინეს საინჟინრო. კარგი ხალხია, მშრომელი.

თ ა თ უ შ ა. მშრომელები თუ არიან, ამ ერთი გოგოს შენახვა და მოვლა-პატრონობა რამ გაუკირვათ?

ს უ ლ ხ ა ნ ი. მაგან, მის თავსა და ქმარს მოუაროს.

თ ა თ უ შ ა. ქმარს სად მოუაროს? წაჰყვეს უდაბნოში, კოკებითა და

ცისტერნებით წყალი თრაქოს? მიწა დავაყარე გულზე, ვინც ეს მიწის ნაკვეთები და ამბანაკობა მოიგონა.

ს ულ ხ ა ნ ი. იმუშაოს.

თ ა თ უ შ ა. რა იმუშაოს? სადაა ამის შესაფერისი სამუშაო. შენ უშოვე, თუ? ტარიელა უნდილმა?

თ ე ა. ლაბორანტად იმუშავეო, დედა!.. მის დაფეხვილ ფაბრიკაში მიეყავდი! ბუთიეე დედა-შვილი ხომ იქაა, სახლში რომ მოდიან, გკონია შინ არიან? ისევ იქ არიან, თავიანთ დაზგებთან და მანქანებთან. დედა, მამა, მეც მანქანად ვადაკეთებას მიპირებენ!

თ ა თ უ შ ა. სამოცდაათ მანეთიან ლაბორანტად, ქიმიკოსი ქალი?! წითელ დიპლომზე აქვს დამთავრებული!.. პატრონი რომ ჰყოლოდა, ამდენ ხანს ხარისხი უნდა დაეცვა.

ს ულ ხ ა ნ ი. იმ კაცს არ უნდა, ეს, ხარისხიანი ცოლი, აკვნიანი ურჩევნია.

თ ა თ უ შ ა. აკვანი?! ახლა, კიდევ ბავშვები აიკიდოს ვულზე?! რა ნახა ჯერ ამან!.. (ცოცნის შვილს). რა დრო ატარა? რა ისიამოვნა? რომ ცხრა თვე მუცელგაბერილმა იაროს და წყვილ-წყვილი შვილები უხარდოს ტარიელა ღვთის გლახას?!

ს ულ ხ ა ნ ი. თითო-თითო იყოლიოს.

თ ა თ უ შ ა. და ხვეტოს, ხეხოს, რეცხოს ტარიელის ბავშვების საგებები!.. თუ, დედამთილი და მულები ფიქრობენ ოჯახზე? ერთი კაბა არ გაურეცხიათ ჯერ ამისთვის!..

თ ე ა (ლამის ატირდეს). არა, დედა...

თ ა თ უ შ ა. და, ზარდოს ვინ? ფაბრიკის მუშები?!

ს ულ ხ ა ნ ი. აბა, მუშა ციდან ჩამოცვივდება? თუმცა, ტარიელი ინჟინერია...

თ ე ა. რაც მისი დედა და დებია, ისიც ისაა. ერთ ღამეს, დაზგა კაფუჭებია უმცროს ქალიშვილს, დაურეკა თავის ძმას. შუაღამეს წამოაგდეს ლოგინიდან. დილამდე იქ ეგდო. დილით ხომ მაინც იყო მისასვლელი და, საღამომდე არ გამოჩენილა!..

ს ულ ხ ა ნ ი. ბავშვი რომ გაჩნდება...

თ ა თ უ შ ა. სად ვაჩნდება, კაცო, ბავშვი?! კაცი ქარხანაში და უდაბნოშია...

თ ე ა. მითხარით, რა ექნა! თქვენი შვილი არა ვარ, თქვე ულმერთოებო?

ს ულ ხ ა ნ ი. დედაშენს ჰკითხე, მაგას ეცოდინება!

კარზე უხეშად აკაკუნებენ.

თ ა თ უ შ ა. ვინაა? (დგება) კარზეა ვინმე თუ ისევ (ზევით იხედება.) ეს ამოსაწყვეტლები ანგრევენ სახლს?.. (კარს შეაღებს მზაღო.) ეს ვინაა?! (თათუშა უკან იხევს.)

თ ე ა. მამა?!

მ ზ ა ღ ო. (თათუშას). ვერ მიცანი? გამარჯვება თქვენ საქმეზეა!

თ ა თ უ შ ა. კი, შვილო, გიცანი... (დაუტკბა.) შენ, ჩვენი რომანის ამხანაგი ხარ, რავა ხარ, როგორ გიკითხოთ? ხომ იცანი, თეა, მაშინ ვერ იყო გუნებაზე... ცოტა ნასვამი გახლდათ...

თ ე ა (ამრეზით). კი, ვიცანი!..

თ ა თ უ შ ა. რომანი, შვილო, ერთი კვირა... იქეთ, თქვენკენ, მთაში წაჰყვა ამხანაგს.

მ ზ ა ღ ო. ვალიკოისი?

თ ა თ უ შ ა. ოო, გცოდნია...

ს უ ლ ხ ა ნ ი (თავი აიღო). აა, ეს ჩვენი სარძლოც მობრძანებულა...

მ ზ ა ღ ო. რაღაი სარძლო? რძალაი ვარ თქვენდა...

ს უ ლ ხ ა ნ ი. ჩვენი რძალი ხარ?

მ ზ ა ღ ო. ხვთის მადლმა... სახლს მოვშორდი. თქვენი მასპინძლობა მწადის.

თ ე ა. დედა! მამა!..

თ ა თ უ შ ა. კაცო, ვერ გავიგე, რას ამბობს? (დივანზე დაეშვება.) მე ამის ქართული არ მესმის!

მ ზ ა ღ ო. ცხო რა ქართულ გინდის, დედაისი...

თ ე ა. დედა! დედას გეძახის!..

თ ა თ უ შ ა. ჰო, შვილო, დედა მითხარი თუ გინდა, მაგრამ ახლა წადი, რომანი შინ არაა და იქნებ კიდევ დააგვიანდეს...

მ ზ ა ღ ო. მთაჩია?

თ ა თ უ შ ა. ჰო, მთაშია, საქმე აქვს... საქმეზეა მთაში და დააგვიანდება.

მ ზ ა ღ ო. გონჯია, მთაჩი ჰაერი ეუკმარების. (ძუშტრის თვალით ათვალიერებს იქაურობას.) აქა, კიდევ... მე არ გაბეძლების...

თ ე ა. აქ დარჩენას აპირებს, მგონი!..

მ ზ ა ღ ო. რაით არა, მულაისი...

თ ე ა. მულაისი?!.

თ ა თ უ შ ა. აქ არა, შვილო, აქ არ გაგეძლება!.. აქ, შენ კი არა, ჩვენ გვიჭირს სულის მოთქმა, შენ მთის შვილი ხარ..

მზაღო. მთა და ბარი რაით გაიყვის, ბედი სადაც არს... ღმერთი დიდია.

თათუშა. კაცო, არ გადაბრიოს, ეს, ვიღაცა ოხერია. ამოიღე ხმა, რომ გალურსულხარ!

თეა. მაძა!

მზაღო. პროფესორ ბრძენ არს... ლომისის მადლმა!

თათუშა. ბრძენია, შენ ხე რომ ამბობს, გაგვაგებინე, რა უნდა ამ დამთხვეულს ჩვენგან და მოგვაშორე ბრძნულად!

მზაღო. მე, სალ მოგშორდები, გაწბილებულ ქალად ვიარები?!

თეა. დედა, არ მოგშორდებითო!

სულხანი. აბა, შენსავით კი არაა. ამბობს: ბედმა სადაც მიმიყვანა... ჩემს ქმარს...

თათუშა (წამოიკივლებს). სადა ჰყავს ქმარი?!

მზაღო. რომანაისი...

სულხანი. რომანს მთის მაღალი ჰაერი ვერ აუტანია, ამ ქალს აქ ყოფნა უჭირს და არც უნდა. დიდპაპასთან ურჩევნია, მაგრამ რა ჭქნას? ქმრის სიყვარულით უნდა გაუძლოს...

თათუშა. ვინაა, კაცო, ეს!

მზაღო. დედაისი, ძოლან არ გეუბნე?

სულხანი. გითხრა, ამ ოჯახშენებულმა, ვინცაა და სულ ერთი და იგივე იმეოროს? რომანი მთაში ამათთან ყოფილა, ალბათ, სიძედ ეწვია დიდპაპას!

მზაღო. პირიმზის მადლმა!..

თეა. პირიმზე ვიღაა?

სულხანი. თამარ მეფეს იფიცავს, რომ ასე იყოო...

თათუშა. ამას ვის გადავეყარეთ! ვინაა ეს მოუშორებელი ჭირი!

მზაღო. მაი... დედაისი! რაისთვი! რაისთვი, შენი კვნესამე?

თეა. თვალსაც რომ გვიხვევს?

სულხანი. აბა, დედამთილ-მამამთილსა და მულს აწყენინოს?

მზაღო. წმინდა გიორგის მადლმა...

თათუშა. კაცო, მომაშორებ ამ ქვაზე დახატულ ეშმაკს თუ, უნდა გადავირიო ახლა?!

სულხანი. რატომ, რძალი არ გინდა?

თეა. მამა! როგორ ლაპარაკობ?.. ეს მართლა დაიჯერებს!

თათუშა. რამდენი მაგისთანა მოწდგომია, ყველასათვის რომ კარი გამეღო, აქ ფეხზე დამდგარი არ დაეტეოდნენ...

ს ულ ხ ა ნ ი. გეგონა, სულ შეგრჩებოდა?

თ ა თ უ შ ა. რა არ შემრჩებოდა? (წამოვარდება.) აბა, ამას შემოეუშვებ საბლში? (მივარდება მზაღოს.) გაეთრიე აქედან, შე კახპა, მამაძაღლო! შე, ქუჩის ქალო! შე, გარყვნილო და გათახსირებულო! (კარისკენ უბიძგებს.)

მ ზ ა ღ ო. დედაისი, მე რომან ვუყორვარ...

თ ა თ უ შ ა. აბა, ჭკუას ჭკარგავს!

მ ზ ა ღ ო. ლომისას არ ეღალატების...

თ ა თ უ შ ა. მოდი, კაცო! თეა, ადექი ზევით, გამაგდებიეთ, ეს გათახსირებული, აქედან!

მიეშველება თეა, ადგილიდან ვერ დაძრეს.

მ ზ ა ღ ო. პატიოსან ქალაი მანდილ რად ურცხვენთ!

თ ა თ უ შ ა. სადა გაქვს მანდილი! მანდილი კი არა, წითელი ეშმაკივით ხარ შეღებილი, შე ქვეყნის ნათრეეო!

მ ზ ა ღ ო. რომან, ერთაი მიჩანს კაცად!..

ს ულ ხ ა ნ ი. რომანის მეტი კაცი არ ვიცი! დაანებე, ქალო, თავი!

თ ე ა. მამა, მოაშორე აქედან!

თ ა თ უ შ ა. რომანის მეტი კაცი არ იცის, აჰ? მაშინ, ვალიკოსთან, სახელოსნოში არ ეგდო? გურვენას მანქანაში არ იჯდა?

მ ზ ა ღ ო. რომან ვვერდს მყვანდა!

თ ა თ უ შ ა. აბა, იმას იტყვის, სხვასთან და სხვასთან ეკოტრიალობდიო? წადი აქედან! წადი, არ დაგინახოს ჩემმა თვალებმა!

მ ზ ა ღ ო. ღმერთი არა გყავთ?

თ ა თ უ შ ა. ღმერთი მყავს და, შენ, ხატად დაგისვამ სახლში! სულ მაგ ჭკუაზე ვარ! აქედან გაეთრიე, სანამ დამიძახნია შენი საყვარლებისათვის და პირზე დამიყენებია!

მ ზ ა ღ ო. საყორლებ პირზე დამადგენ?! რომელ საყორლებ? ქვეყანა, ხალხი აღარაა?..

თ ა თ უ შ ა. დაგადგებიან, პირზე დაგადგებიან!.. ვიცი მე, შენ ვინცა ხარ! (კარისკენ უბიძგებს.)

მ ზ ა ღ ო. მე, გოხჯაი არა ვარ! მანდილ მხურავ! ჯავრ არ შაკვამ, დედაისი! (ტყობა, თვითონ გადაწყვიტა წასვლა.)

თ ა თ უ შ ა. (კარს ღებს კინწისკვრით გაგდებას უპირებს.) ამ არემარეზე გავლილი არ დაგინახოს ჩემმა თვალებმა, თუ არა, ცოცხალი ვერ გადარჩები!

მ ზ ა ღ ო. „მაცალე, ერთი გავმართო
ჩახმახით ცეცხლის კვესია,
სულ ერთად მაგაკმევინოთ
რაც ჩემზედ დაგითესიათ!..“ (გადის.).

თ ა თ უ შ ა (მიაძახებს). მაგ ლექსები და ზღაპრები, მთაში წადი და, ბაბუაშენს მოუყევი!

ს უ ლ ხ ა ნ ი? (წამოვარდება.) გაჩუმდით! გაჩუმდით! (მისდევს მზაღოს.) მოიცა, შვილო, მოიცა!..

ს უ რ ა თ ი მ ე ო თ ხ ე

ღამეა. იგივე დეკორაცია. ტიხრის კარზე ჯვარედინად გადაჭედებულია ლატნები. ელექტროქურაზე ჩაიდანი შიშინებს. ს უ ლ ხ ა ნ ი კარს გასაღები აღებს და შემოდის გაბერილი ჩანთით ხელში. ბორჯომის ბოთლებს მაგიდაზე ალაგებს, რომელზეც: ჭიქა, თეფშები, ქაღალდები და წიგნები ერთმანეთშია არეული. დაფიქრებული, დაღვრემილი ჩაის აყენებს და გაფაციცებული აყურადებს კარს, ვიღაცას ელოდება. გაისმის ფრთხილი კაკუნი. სულხანიც ფრთხილად აღებს კარს. შემოდის დარცხვენილი თიკო.

ს უ ლ ხ ა ნ ი. შვილო!

თ ი კ ო. მა!.. (ეხვევა კისერზე.)

ს უ ლ ხ ა ნ ი (ტიხრის კარს გასდგა). საიდან?..

თ ი კ ო. არა, დედამ არ იცის...

ს უ ლ ხ ა ნ ი (თავს უქნევს, მაგრამ არ სჯერა). ესე იგი, შენ თვითონ?..

თ ი კ ო. მამა, მე მეტს არასოდეს... არასოდეს შეგაწუხებ (ატირდება.)

ს უ ლ ხ ა ნ ი. ვიცი, ყველაფერი ვიცი...

თ ი კ ო. მიყვარდა, მა, მიყვარდა და რა ვქნა... შენს უკითხავად არ უნდა მომხდარიყო, მაგრამ მეც ბომ ყველაფერი ვიცოდი...

ს უ ლ ხ ა ნ ი. ვინ ვიყვარდა?!

თ ი კ ო. სიყვარული ბრმაა... მამა...

ს უ ლ ხ ა ნ ი (აწყვეტინებს). ვიცი, ბრმა იყავი, უსინათლო, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, აგეხილა თვალები თუ, დედაშენივით თვალდამდგარი აპირებ ცხოვრებას?..

თ ი კ ო. ახლა, კი, მამა... მაგრამ რაღა დროს...

ს უ ლ ხ ა ნ ი. ველოდი, შვილო, ყოველდღე ველოდი შენი თვალის

ახელას... ყოველღამე ცალი ყური კარისკენ მაქვს, ახლაც. კაკუნი რომ გავიგონე, მიეხედი, შენ იქნებოდი...

თიკო. მა... (ეხვევა.) მელოდი, მა?..

სულხანი. გელოდი, შვილო, გელოდი და ვფიქრობ-დი: მოვა ჩემი პატარა სიხარული, მოვა თვალახელილი, გონებაგანათებული და ამომიდგება მხარში.

თიკო. შენთან ვარ, მა! შენთან, შენს გვერდით, შენს მხარში...

სულხანი. და, მეუბნები რომ, ვამაგრდიო?

თიკო. კი, მამა, გამაგრდი, ნურაფრის დარდი ნუ გექნება, მე შენთან ვარ, მა!

სულხანი. ...და, მეუბნები, რომ ხვალ შენი მამამთილი იცავს დისერტაციას...

თიკო. მა, ამის თაობაზე კი არა...

სულხანი. აბა, სხვა მე რა გამაგრება და თანადგომა მინდა, აჰ საბლის გადადგმას კი არ ვაპირებ!

თიკო. იმაზე გითხარი, რომ დედასთან უსიამოვნება გაქვს და სხვა შვილებთანაც...

სულხანი. ამათთან უსიამოვნება არაფერია, (კარზე აჩვენებს) ორი ღერი ფიცარი და ოთხი ლურსმანი, მაგრამ იქ!.. აი, იქაა ძნელი. სიმართლეს ბრძოლა უნდა. უსამართლობას ორ ღერ ფიცარს ვერ მიაჭედებ, კარს ვერ ამოუქოლავ. აი, სად მჭირდება მე შენი მხარდაჭერა...

თიკო. მერე, მა... ჩემი იმათთან ცხოვრება შეიძლება?

სულხანი. ხომ გიყვარდა და უყვარდი.

თიკო. მა, ერთხელ ჩემს ბედნიერებაზეც იფიქრე, მა...

სულხანი. მთელი ჩემი ცხოვრება თქვენი და ჩემი ხალხის სიკეთეზე ვფიქრობდი და ვიღვწოდი... მაგრამ თუ მე ტყუილს ვიტყვი, ახ უსამართლობას ჩავიდენ, ჩემი შვილი ბედნიერი იქნება?

თიკო. არა, მა, შენ არც ტყუილს იტყვი და არც არაფერს გააკეთებ...

სულხანი. დავმუნჯდები და დავყრუვდები?

თიკო (დაიბნა). არა!.. იცი, მა... იქნებ, ავად გახდე, მა...

სულხანი. აჰ?!

თიკო. ჰო, მა, შენ ხომ წყლული გაწუხებს... იქნებ... (მამის ჩაბუტრე-

ბულ მზერას წააწყდა.) არა, ხომ შეიძლება... მა, ყველაფერი შეიძ-
ლება.

სულხანი. ხვალამდე ხომ არ მოეკვდები, თუ იცი?

თიკო. არა, მა, ღმერთმა დაგიფაროს!

სულხანი. არა, მაგრამ ხომ ყველაფერი შეიძლება? ხომ კვდებიან
ადამიანები...

თიკო (ატირდება). მა, რატომ ამბობ, რატომ... არ ვებრალები?..

სულხანი (გაშორდა). ამას უძახი შენ სიყვარულსა და თვალების
ახელას?..

თიკო. შვილი ვარ, მა, შენი...

სულხანი. შვილი, მე, მხარში უნდა მედგეს...

თიკო. მა, მე ვერ გავასწორებ ქვეყანას...

სულხანი ნუ, თითქოს დედაშენი ლაპარაკობს... შენ, შენი ქვეყა-
ნა გაასწორე!..

თიკო. მა, ნუ დამლუპავ, მა... (ატირდება.)

სულხანი. სიყვარულს ეშმარიტება დაღუპავს? თუ ასეა, მაშინ,
ან შენი სიყვარული არაა სიყვარული, ან ჩემი სიმართლე — სი-
მართლე!

თიკო (ლუკუნით). შენ ისედაც ავად ხარ, მა, წყლული კაუნებს...
ხვალაც, იქნება... ნუ გამიმეტებ, მა, წყალს, ნუ გამატან...

სულხანი. მე, შენს სიყვარულს ხიდებს არ ვუნგრევ... ხვალ, დარ-
წმუნებული ვარ, კარგად ვიქნები, ჯავრი ნუ გაქვს.. (ამშვიდებს.)
აგერ, რამდენი ბორჯომი ვიშოვნე! არ იდარდო, შვილო! (თან
კარისკენ ძიაცილებს.) მე ძალიან, ძალიან კარგად ვიქნები... (ეღებს
კარს და უშვებს. პაუზა. კარი ღრიჭოდ იღება და გრძელი, ფილია თოფის ლე-
ლა გამოჩნდება. სულხანი კარს აწვება.) თოფი?! მკლავს, ეს ოჯახდაქცეუ-
ლი, ვილაცაა?

კარს გარედან აწვებიან. სულხანი ვერ ამაკრებს, გარბის და თეჯირის იქით იმა-
ლება. შემოდის მზაღო, ძველი კაჟიანი თოფით. მკლავს ეზელს.

მზაღო. ლამის მკლავ მამკვეთა ტიალმა!.. (თოფშემარჯვებული ოთახს)
ათვალიერებს. ტისრის კარს მიადგება. დაინახა, გადაკვეთილია. ფარდებს თოფის
ლულით ჩხრეკს.) გამოდი, დიაცო, მანდილ დაგხურო!

სულხანი. მე... (უკცევს მთიულურად.) მზაღოისი, მე?..

მზაღო. მზაღოისი მიხმობ, ენა გველ მოუბარ?! (მიადგა თეჯირს.)

სულხანი. მე... ლომისის მადლმა..

მზაღო. ლომისის მადლ გავიწყრა, ხვთის ფიც გამტეხ!

სულხანი (გამოდის ხელებაწეული). მე რა ფიცი გავტეხე, შვილო!..

ვზაღო (უკან დიხია). პროფესორ?!

სულხანი. ა-აბა, ვინ გეგონე, რომანი?

ბზაღო. რომან არ ახსენო, თორე, პირიმზეს ვფიცავ, ბრძენ კაც არ დაგინდო!

სულხანი. არ ვახსენებ, შვილო, არ ვახსენებ, მაგრამ მითხარი, რას მერჩი.

ბზაღო. შენც ბრალ ხარ, პროფესორ...

სულხანი. კი, მეც დამნაშავე ვარ... ყველა დამნაშავე ვართ შენთან და ყველასთან... რომ კაცად ვერ გავზარდეთ...

მზაღო. სიტყვის ფასი იცი, სიბრძნის ჯავარ იცი...

სულხანი. რა ვქნა, მერე, რომ ვიცი... ხვალამდე მაცალე, ხვალ ერთი სიმართლე კიდევ უნდა ვთქვა და მერე ჯანდაბას ჩემი თავი!

მზაღო (ხელს ჩაიქნევს). შენ რაი გებრალების...

სულხანი. თავის მართლებას როდი ვაპირებ, მით უმეტეს, რომანის...

ბზაღო. სახელ არა თქო! (თოფს მოუღერებს.)

სულხანი. არ ვამბობ, არ ვახსენებ... მაგრამ ხომ არ ვიცოდი, ხომ არ გამიგია, რომ შენ ისე ულმერთოდ მოგექცნენ.

ბზაღო. ნამუს გარეცხილნ, პირზე დამადგენ...

სულხანი. ვიცი მერე გავიგე... ა, (კარზე აჩვენებს.) შენთვის... შენი გულისთვის...

ბზაღო (დივანზე მიუთითებს). ვაჟაი აქ გიწევ?

სულხანი. იმიტომ, რომ ჩავაგონო შენი სიმართლე და უცოდველობა.

მზაღო. თავად არ უწყის?!

სულხანი. რომ უწყის, მეც ვიცი და მინდა სინდისში ჩავახედო.

მზაღო. ბრძენ კაც ცარიელ ქოთან ოქრო იპოვის?

სულხანი. ჰო, მაგრამ რა ვქნა, რა ვუყო!

მზაღო. მაჰკალ!

სულხანი. შვილი?!

მზაღო. მაშ რაი, მე მავკლა? შენაი მრუდი გზა მე გავასწორო?

სულხანი. შენ, შენ... რად...

ბზაღო. რაი, ბედშავო, მრუდ და მართალ ერთ მზე უჰვრიტონ?

სულხანი. არა, მაგრამ... მოვკლათ?

ბ ზ ა ღ ო. მე მაეჰკლავ!

ს უ ლ ხ ა ნ ი (მიეარდება, კარს კეტავს, ჩუმად). მათქმევინე, შვილო, ორი სიტყვა...

მ ზ ა ღ ო. კარ რად დაგმანე, მაეიდის, მზე დაეუბნელო!

ს უ ლ ხ ა ნ ი. ჰო, მაგის მეშინია, იქნებ რაიმე მოვიფიქროთ... ჯერ ნუ...

ბ ზ ა ღ ო. ღმერთ ჩამაგონა, ხევისბერ ბრძანა, დიდპაპა თოფ დამილოცა.

ს უ ლ ხ ა ნ ი. მერე, კაცისკვლა? ასე როგორ?!

მ ზ ა ღ ო. არაა კაც!..

„არ ვარგა იგი ვაქკაცი
შუა ქალებჩი მჯდარია,
მან დაიხუროს მანდილი,
იგივ ცოცხალი მკვდარია".

ს უ ლ ხ ა ნ ი. არაა კაცი, მართალია, მაგრამ... შენც თავს დაიღუპავ,

მ ზ ა ღ ო. გაწბილებულ ვარ, კვდარ ვარ!.. ცხო რაი...

„ხან ვიტყვი გაჯავრებული,
მოვკვდე, რადა ვარ მთელია,
ხან ვიტყვი, ვიყო ცოცხალი,
მუდამ ვაჯავრო მტერია!"

ს უ ლ ხ ა ნ ი. არა, რატომ... იქნებ... წაიყვანე მთაში და..,

ბ ზ ა ღ ო. პროფესორ ვაკაი!.. მთაჩია?!

ს უ ლ ხ ა ნ ი. ჰო, მიესვეა მაღალ ჰავრს, ამწყემსვინე ცხვარ-ძროხა...

ბ ზ ა ღ ო. ცხორ-ძროხაა მგელ დაეუყენო?

ს უ ლ ხ ა ნ ი. ცხვარ-ძროხას ხომ არ ეცემა და შეეჭამს? ვერც სხვა ქალთან გიღალატებს... იქ, მგონი, ბაბუაშენის მეტი.

მ ზ ა ღ ო. დიდპაპა!

ს უ ლ ხ ა ნ ი. ჰო, სულ გადამვარდა გულზე! შეაბრუნე მაგ თოფი იქით. დიდპაპას მეკარი იმ სოფელში ხომ აღარაეინაა...

მ ზ ა ღ ო. მაეჰკლავ!

ს უ ლ ხ ა ნ ი. მერე მოჰკალი, თუ კიდეე შენი ორგულობა შეამჩნიო, იქ არ გეყოლება?

მ ზ ა ღ ო (დივანზე ფეხს ადგამს და თოფს უღერებს). არა, აქ მაეჰკლავ!

ს უ ლ ხ ა ნ ი. აქ, ჩემს თვალწინ, შეილის სისხლს ნუ დააქცევ!..

ძ ზ ა ღ ო. ხვთის ნებას საით ვადავალ?
ს უ ლ ხ ა ნ ი. იქ, იქ წაიყვანე, იმ შენს ღმერთთან და ხატთან.

მ ზ ა ღ ო. „საით მახედებ, მგელი მამავ,
რამე ფანდ მიგებ, ტიალო!
ესე არ იცი: ჯაბან კაცს
გულს უკლავს სხვის მამაცობა,
თვით კარგ კაცობა არ ძალუძ
სხვისა შურს კაი კაცობა".

ს უ ლ ხ ა ნ ი. არა, რას ამბობ! მოიცა, დაჯექი! დადე მაგ თოფი, რამ-
სიგრძეა, ეგ ოხრადდასარჩენი!
ძ ზ ა ღ ო. სამართალ ეგე იპოვის!
ს უ ლ ხ ა ნ ი. კი, კი, დალოცა ღმერთმა, იმოდენაა, ჩემს ვაჟიშვილს
კი არა, ქვეყანას გაასწორებს. მაგ იქ, შენ სახლში ტყუილა, ცარი-
ელა რომ მიაყუდო, რომანი...
მ ზ ა ღ ო (თოფს მოუღერებს). სახელ არ უხმო, მგელ უხმე!
ს უ ლ ხ ა ნ ი. მგელს ვუხმობ, კარგი! როგორც იტყვი, ისე ვუხმობ...
ჰოდა, ის „მგელი", ტყუილა რომ მიაყუდო, მაინც შენი მონა-მორ-
ჩილი იქნება.
ძ ზ ა ღ ო. მთიელ ქალაი მონა-ქმარს რას იქნევს!
ს უ ლ ხ ა ნ ი. მონა, ახლა, ყურები დააშერი-მეთქი ის კი არ მითქვამს,
შენი დამჯერე და მოყვარული იქნება.
მ ზ ა ღ ო. თოფ გვედოს ჩვენდ სიყვარულად?
ს უ ლ ხ ა ნ ი. თოფი არა, თოფით შეყვარება არ იქნება, მაგრამ,
ჯერჯერობით, სანამ მიეჩვეოდეს მთის ჰაერს, ერთგულებას და
გულს ერთს დააჯერებდეს...
მ ზ ა ღ ო. ერთაი ვიცი:

„მგელი გაივლის მთაზედა
ნამ გაბერტყილი დარჩება,
დაიხულება არწივი,
მთით, ბარად ჩამოვარდება,
დაიშერს შურის თიკანსა
ხორცი ძვალადკე დარჩება".

ს უ ლ ხ ა ნ ი. არა, მომისმინე! მე ვიცი, მაგ „მგელს" ძაღლის სისხლი
ურევია და იქნებ მოშინაურდეს. ერთხანს იქ, კარგ ჰაერზე დავა-
ბათ...

მ ზ ა ღ ო. საბელ დავაბა?

ს უ ლ ხ ა ნ ი. საბელი, ჯაჭვი... რაც გინდა, დავაბათ და მოვაშინაურო-

მ ზ ა ღ ო. მგელაი?!

ს უ ლ ხ ა ნ ი. არაა მაგი მგელი, ვიცი მე. გაველურებულია, თორემ, ძაღლია.

მ ზ ა ღ ო. ძაღლს ნუ უხმობ! ძაღლ არ ეღალატების!

ს უ ლ ხ ა ნ ი. ჰოდა, მოიცა, მომისმინე! (თოფზე ხელს უსვამს, ეფერება.) ადექი, დაავლე ხელი ერთ დღეს და, მოიტაცე...

მ ზ ა ღ ო. ქალ — ქალაი და ვაჟ — ვაჟაი!

ს უ ლ ხ ა ნ ი. ეს გატენილი თოფი რომ გიკავია ხელში, მაშინ ერა ხარ ქალაი?

მ ზ ა ღ ო. თოფ ქალაი ვაჟაი არ იცის, ვინ ჩახმახ დასხლეტს!..

ს უ ლ ხ ა ნ ი. ჰოდა, დაიკავე მაგ თოფი ხელში, დაადე თითი სასხლეტზე, გაიგდე წინ და გყავდეს მთაში. შენც ქმარი გეყოლება, მე — შვილი და რამდენს, კიდევ, გარყვნასა და გათახსირებას გადავარჩენთ, ვინ მოთვლის.

მ ზ ა ღ ო (არ სჯერა). ეშმაკთ ფიც-ვერცხლი გაუმესე? ტყვია გაცვალე მაცდურთან?

ს უ ლ ხ ა ნ ი. ვერცხლს და ტყვია-წამალს კი არა, ბორჯომის წყლის მეტს ვერ ვიკარებ, კუჭის წყლული მაქვს, ვკვდები კაციშვილი...

მ ზ ა ღ ო. ღმერთ ლაპარაკობ?

ს უ ლ ხ ა ნ ი. ღვთის პირით გელაპარაკები! (პირჯვარს იწერს.)

მ ზ ა ღ ო. ლომისის მადლმა?..

ს უ ლ ხ ა ნ ი. მამა, ძე და სულიწმინდა!..

მ ზ ა ღ ო (თვალებში შეაჩერდება).

„თუ მოყვარე ხარ — მიმოყვრე,
კალთა გავაბათ კალთასა,
მტერი ხარ, შემატყობინე,
ან ბარს დაგხვდები, ან მთასა“.

ს უ ლ ხ ა ნ ი. მოკეთე ვარ, ლომისის მადლმა, ხევ-მთიულეთის ჯვარანგელოზმა! ფშავ-ხევსურეთის წმინდა ხატებმა, სვანეთის სალოცავების მადლმა!

მ ზ ა ღ ო. ამინ, შენს მადლსა!

ს უ ლ ხ ა ნ ი. ამინ, შენს მადლსა!

მ ზ ა ღ ო. მაშ, მართლ გწადის შველა?

ს უ ლ ხ ა ნ ი. მართლა მწადია, ღმერთი და რჯული!

მ ზ ა ღ ო. შამამფიცე!

ს უ ლ ხ ა ნ ი. მითხარი, რომელ ხატ-ჯვარზე და, შემოგფიცავ.

მ ზ ა ღ ო. მითხარ: ჩემი მარჯვენა შენს მარჯვენას ემსახუროს...

ს უ ლ ხ ა ნ ი. ჩემი მარჯვენა შენს მარჯვენას ემსახუროს!

მ ზ ა ღ ო. ჩემი თვალი — შენს თვალს...

ს უ ლ ხ ა ნ ი. ჩემი თვალი — შენს თვალს!

მ ზ ა ღ ო. ჩემი ყური — შენს ყურს...

სუ ლ ხ ა ნ ი. ჩემი ყური — შენს ყურს!

მ ზ ა ღ ო. ჩემი მუხლი — შენს მუხლს...

ს უ ლ ხ ა ნ ი. ჩემი მუხლი — შენს მუხლს!

ჯ ზ ა ღ ო. მტერზედ მოქნეულ ხმალ გადაუტყდეს მოღალატეს!

ს უ ლ ხ ა ნ ი. მტერზედ მოქნეული ხმალი ვადაში გადაუტყდეს შენს მოღალატეს!

მ ზ ა ღ ო. მტერ შემოსეულ ცხენ დაუოჩნდეს!

ს უ ლ ხ ა ნ ი. ცხენიც დაუოჩნდეს და კისერიც მოტყდეს!

მ ზ ა ღ ო. სამშობლო დედის ძუძუი შხამად შაერგოს!

ს. უ ლ ხ ა ნ ი. სამშობლო, დედის ძუძუ შხამად და გესლად ექცეს!

მ ზ ა ღ ო. მოღალატეს რისხამდეს ლომისა!

ს უ ლ ხ ა ნ ი. მოღალატეს რისხავდეს ლომისა!

მ ზ ა ღ ო. ამინ!

ს უ ლ ხ ა ნ ი. ამინ!

მ ზ ა ღ ო (მოეხვევა და გადაკოცნის). ვაჟად გიცნობდი და არ მოვტყუვდი... (იღებს ჯიბიდან ტყვიას დააძლევს.) შენც მამე, ძმად გაფიცვა მწადია!

ს უ ლ ხ ა ნ ი (დაიბნა). ტყვია და ზარბაზანი რომ არა მაქვს, რა მოგცე?

მ ზ ა ღ ო. მაშ, ძმობა სხვაგვარ იქნების?! (ისევ აღშფოთდა.)

ს უ ლ ხ ა ნ ი. არ იქნების... ვიცი, ვიცი, რომ არ იქნების... (შეშფოთებული ჯიბეებში იფათურებს ხელებს, კალამი იპოვა და მიაწოდა.)

მ ზ ა ღ ო (ჩამოართვა). შენაი ტყვიად ესე არს! (სამჯერ გადაეხვია.) ძმობის წეს ეგრე უთქომთ!..

იგივე დეკორაცია. გვიანი ღამეა. ოთახში მაგიდის ნათერის სუსტი სინათლეა. დივანზე დამსობილი რომანი ხვრინავს. თეჯირის იქით ს უ ლ ხ ა ნ ი ფხიზლობს. ზოგჯერ გადმოიხედავს და ღია ფანჯარას აყურადებს. გაისმის ცხენის ფეხის ხმა. რამდენადაც სიჩუმეა და მოელოდნელია ქალაქში ცხენი, ისიც ასეთ დროს, იმდენად თანდათან მკახედ გაისმის ქვაფენილზე ფლოქვების თქარათქური; ძლიერდება, ძლიერდება და ზედ ფანჯარასთან წყდება. ს უ ლ ხ ა ნ ი. უხმაუროდ გამოძვრა თეჯირიდან და ქვეითი ცალი თვალით გადაიხედა. ეტყობა, ყველაფერი წინასწარი გეგმით ხდება. გამობრუნდა და ისევ თეჯირის მიღმა მიიმალა. მალე, ჭადრის ტოტებს ამოჰყვა ნაბადმოხვეული მზაღო და ფანჯრის რაფაზე დადგა. ნაბადს ქვევიდან, მხარზე თავდაღმა დაკიდებული, კაჟიანი თოფის ლულა გამოჩსდა. ს უ ლ ხ ა ნ მ ა თეჯირს იქიდან ანიშნა: ჩამოდიო. მზაღო უხმაუროდ ჩამოხტა. ერთხანს დაიბნა, გაირინდა. სულხანი აგულიანებს, ნუ აყოვნებო. მზაღომ ნაბადი გადაიგდო და მხარზე გადაკიდებული ათოკილი ბაწარი ჩამოიხსნა. ჯინსის შარვლის ტოტებში ჩაყრილ ვიწრო ჯიბეებში ერთ მხარეს ვერცხლის ხანჯალი უდევს, მეორე მხარეს — გაკეცილი მათრახი. თოკი დაშალა და მძინარე რომანს თავზე დაადგა. მხრიდან თოფის ჩამოღებაც დააპირა. ს უ ლ ხ ა ნ მ ა ანიშნა: თოფი არა, ამოდენა ლულა ახლოს არ მიგიშვებს და როგორ უნდა შეკრა, ხანჯალი აჯობებსო. შარვლის ტოტიდან ხანჯალმა იელვა, მაგრამ მძინარეს რომ დაღირა, ისევ გაირინდა. ს უ ლ ხ ა ნ ი.

მ ზ ა ღ ო (მძინარეს, ხანჯლის წვერი, აკანკალებული ხელით, ბეჭზე დაადო. ხმა უთრთის, ეტყობა, წინასწარ გაზეპირებულს იმეორებს). ტიალო, მშვიდ ძილ გეყოფის! ადე, აღსასრულ მავიდა!.. (მძინარემ ხანჯლის წვერის დანადები მოიქექა. ქალი წვდა და გულღმა გადმოაბრუნა. მკერდზე ორლესული დაანათა.) მიქელ-გაბრიელ თავს გადგა, მოუკალს გზასა მიჰყავხარ!

სულხანი უწონებს, არ შედრკეო. რომანი თვალებს ახელს. ერთი კი შეკრთება, გულზე დაღერებულ ხანჯალს და მზაღოს რომ დაინახავს, მაგრამ თვალებს ისევ მილულავს.

რ ო მ ა ნ ი. რაღაც მშვენიერ, წარმტაც სიზმარს ვხედავ... ერთხელ ენახე, ისიც ძილში...

მ ზ ა ღ ო. სიზმარ გგონია, ბედშაო?! სიკვდილ თვალებში ჩაგცქერისა!

რ ო მ ა ნ ი. თუ სიკვდილი ასე ლამაზია, წამიყვანოს, მასთან მირჩევნია...

მ ზ ა ღ ო (ცდილობს გონს მოიყვანოს). თვალ გაახილე და ცხად დაინახავ, ლამაზ სიზმრის და დიაცთ ტრფიალო! (მკერდზე ხანჯლის წვერს დააჭერს.)

რ ო მ ა ნ ი. თვალგახელილმა რომ ის მშვენიერება ვერ დავინახო, რასაც მძინარე ვხედავ...

ბ ზ ა ღ ო. მიქელ-გაბრიელ მშვენიერ გესახვის?

რ ო მ ა ნ ი. ეტყობა, ღმერთმა ცოდვები შემინდო და სიკვდილი ჩემი სატრფოს სახით მომივლინა; მადლობელი ვარ, უფალო, თუ სიცოცხლე ჩემს ტრფიალთან არ მაღირსე, სიკვდილის წინ რომ მომაგე ბედნიერება და აღსასრულის დროს მისი ხატება მომივლინე!..

მზაღო დაიბნა, სულხანს მიაჩერდა. სულხანი: არ დაუჯერო, მაგან იცის, ქალებს როგორ უნდა ელაპარაკოსო. მზაღო გონს მოეგო, ასეთი რამ, რომანისაგან, ალბათ, სხვა დროსაც გაუგონია.

მ ზ ა ღ ო. ენა გველ მოუბარ, სიცოცხლე დაგნატრებია?

რ ო მ ა ნ ი. ვინ არ ინატრებდა ასეთ თვალწარმტაც სიკვდილს... (უნდ. ხანჯალს ხელი უტაცოს, მაგრამ მიხედა, ორლესულს ხელი არ მოეკიდება და თითით მკერდზე უჩვენებს.) მანდ რომ დამკრა, რა გამოვა, ტყუილად გამომაღვიძებ... აი, აქ მიმარჯვე, სადაც შენთვის აძგერებული გული მიდევს...

მ ზ ა ღ ო. ჩემად გულ გიძგერს?

რ ო მ ა ნ ი. დაჰკარი და გაიგებ!.. (სულხანი ისევ არ ეშვება, არაფერი გაუგონო, გატყუებსო.)

მ ზ ა ღ ო. პირს რო პირშავნი დამადგნენ, მრუშობა ურცხვად დამწამეს, ეგ გული მაშინაც მანდ გედო?

სულხანი უწონებს: ჰო, მაშინაც საშენოდ უძგერდაო?

რ ო მ ა ნ ი. მაშინ რომ ჩამწყდა გული, მას აქეთია ცხელი ლოდიკით დამაქვს და თუ ამ ტანჯვისაგან რაიმე გადამარჩენს, შენი ოქროს ხელით დაკრული ეგ ორლესული გადამარჩენს!.. (გულზე მკლავებს დაიწყობს მიცვალებულივით და თვალებს ხუჭავს.) ჩქარა, მიქელ-გაბრიელ, ჩქარა!

მ ზ ა ღ ო. უბედურ, საით ისწრაფი, განა რესტორნად და დიაცთ ლაციცად?

რ ო მ ა ნ ი. ცეცხლი წაკიდებია რესტორანსა და ქალებს! ჩემი სული მთაში გაფრინდება!..

მ ზ ა ღ ო. (სულ დაავიწყდა სულხანი) მთაჩია?!.

რ ო მ ა ნ ი. მთაში, ალპიურ ყვავილებში დაიდებს ბინას, ჩემს მშვენიერ მთის ასულთან და დიდპაპასთან დაიმკვიდრებს სასუფეველს...

მ ზ ა ღ ო. შენ სულ მთის ჰაერ ემძიმების!..

რ ო მ ა ნ ი. მთის ჰაერს ჩემი ცოდვილი გული და ხორცი ვერ იტახდა, თორემ, სული მე მაშინვე იქ დამრჩა. ეს იცის მან, ვისთანაც, ახლა, შენ გამგზავნი. შენ, ჯალათი ხარ და ვერ გაიგებ, ისე, როგორც აქ ჩემი არავის ესმოდა... მე, შენისთანა მკელელები გარყვნილობასა და მეძავობასაც მწამებენ, ქეიფისა და დროსტარების ტრფიალს მეძახიან... ეხ, ბევრსა ჰკლავს ბევრის სურვილი, მაგრამ გაგება სად არი.

მ ზ ა ღ ო (ნიშნისგებით). საბრალ ანგელოზ...

რ ო მ ა ნ ი. მე სულს ვეძებდი, ქალის მშვენიერ სხეულში ჩაბუდებულს... ჩემი ბრალია, რომ ქვეყანა გაირყვნა?

მ ზ ა ღ ო. მგელ, ჩიტის ენა სად გისწავლია?

რ ო მ ა ნ ი. ჩიტი მგლად ვიქეც... არა, მე კი არა, თქვენ გგონიათ... თორემ, სად გაგონილა ბულბულის მგლობა? მადლობა ღმერთს, ყველაფერი დამთავრდა... ბოლო ეღება ჩემს წამებას, რაკი, ბოლოს და ბოლოს, შევხვდი იმას, ვისთანაც, თუ ჩემი ტანჯული სხეული არა, ჩემი სული მაინც თავს შეაფარებს. და, თუ საქაო ბედნიერება არ მეღირსა, საიქიო სამოთხე ხომ ღაეიმკვიდრე... ჰე, რალას უცდი, ჰქესი მადლი და, ვისი სახითაც მომივლინა ღმერთმა სიკვდილი, გამგზავნე მასთან სამარადჟამოდ!..

მ ზ ა ღ ო (არ სჯერა და ხანჯალს აკერს). მარცლა ესწრაფი?

რ ო მ ა ნ ი (ემწვავა და ხანჯლის პირს წაეტანა). ტყუილად არ გამაწამო, აგერ, ქვევით, ქვევით დასწიე! (თან ხელს მაღლა-მაღლა აპარებს, რომ მკლავში ეცეს).

მ ზ ა ღ ო. ხელ! გულ დაიკრიფ და ღმერთ შაჰვედრე!

რ ო მ ა ნ ი (ხელს უშვებს). გეხმარებოდი, რალაცა, გიჭირს, მგონია!.. მე კი მეჩქარება, ისე მომენატრა მთის ყვავილები და მაღალი მწვერვალების ასული. მგონი, შენს ხანჯალს არ დაველოდო, ეს ჩემი ცოდვილი მძორი აქ დაგიტოვო და სული წინ-წინ გაეუშვა...

გაოგნებულმა მზაღომ აღარ იცის რა ჰქნას. სულხანი ანიშნებს: პირში რაიმე ჩაჩურთე, ნუ ალაპარაკებო. მზაღო იღებს ცხვირსახოცს და უნდა პირში ხანჯლის წვერით ჩატენოს.

მ ზ ა ღ ო. ილოცე, ბედკრულო!

რ ო მ ა ნ ი. პირი თუ ამომიტენე, როგორღა ვილოცო, სად გაგონილა! სიკვდილის წინ ლომისის ხატს უნდა შეევედრო... ჩემი სული

სულეთში არ გაუშვას და დატოვოს ბრძენ დიდპაპასთან და მის პირმშვენიერ შვილიშვილთან, სადაც ცოცხალს არ მეღირსა სიხარული და ბედნიერება...

მ ზ ა ღ ო. ილოცე...

სულხანი ანიშნებს: რა ილოცოს, მავას ღმერთი და ხატი როდის სწამსო.

რ ო მ ა ნ ი. შეუნდე, უფალო, ჩემს მკვლელს, რაკი იგი ჩემთვის მკვლელი კი არა, მხსნელია და პირნათელი შემყარე ჩემს პირიმზეს...

მ ზ ა ღ ო (დაეპვდა). პირზე რო პირშავნ დამადგნენ, მაშინ სად იყო შენი ღმერთი! (ცალ ხელს თოკს წამოაცლებს).

რ ო მ ა ნ ი. მართალია, სხვა ღმერთი არა, მაგრამ სიყვარულის ღმერთი მწამდა და მწამს... სიყვარულისა და ღვინის ღმერთი, ახლაც მას ვევედრები!.. (ოვალდახუპულმა ხელები ერთმანეთს შეატყუპა. მზაღოს ხელებზე ფოკი სწრაფად შემოახვია, განასკვა და ნაბადი წააფარა. თეჯირიდან სულხანი გამოძერა, ნაბადში ახვევენ, ბაწარს მაგრად უპერენ.) ეს რა ალქაჯები დამეხვიენენ, ცოცხლად მიპირებენ საიქიოში წაყვანას?..

მ ზ ა ღ ო. იქ, სადაც შენ სულ ესწრაფის.

რ ო მ ა ნ ი. სადაც ჩემი სული ესწრაფვის, იქ ძალით არ წამიყვანონ, ნებით ვერ წავალ?

მ ზ ა ღ ო (ფანჯრისკენ უპირებდა წათრევას, შეჩერდა). შენ სულ მთად და ყვავილად არ ილტვის? (სულხანი ისევ ფანჯრისკენ ექაჩება.)

რ ო მ ა ნ ი. მთად და ყვავილად არა — ხატად და ანგელოზად... ოთხი დღე არ ვიყავი? კინაღამ გავგიჟდი!

მ ზ ა ღ ო. მაშ, არა?!

რ ო მ ა ნ ი. სისულელეებს თავი დაანებე, შემხსენი ეს ეშმაკების თოკი, ნაბადში სული მეხუთება და აქედან მოუსვი, დედაჩემმა არ გაგიგოს, გაასწარი!

მ ზ ა ღ ო (სულხანს). ხელ უშვი ბოროტ სულ!

სულხანი: ყურს ნუ უგდებ, გზას გავუყენოთო.

რ ო მ ა ნ ი. ბოროტი და კეთილი... სისულელეებს თავი დაანებე და თოკი ამხსენი!

მ ზ ა ღ ო. სიკვდილ წინ ისევ ფლიდობდი?!

რ ო მ ა ნ ი. რა სიკვდილი, ვისი სიკვდილი... რას მიედ-მოედები!

მ ზ ა ღ ო. ხანჯალ რო გულს იმარჯვებდი?!

რ ო მ ა ნ ი (იცინის). შენ, ხანჯალს უძახი იმას, წელან რომ ხელში ყვავილივით გეჭირა? ამხსენი, სული შემეხუთა!.. (სულხანი ჩერჩელით: ისევ ელაპარაკები, მოვაშოროთ აქაურობასო.) ჩქარა, თორემ დედაჩემს დაეუძახებ და კუდით ქვას გასროლინებს.

მ ზ ა ღ ო (დარეტიანებული). ვაშმე, ბედშავსა, მეგონა სიკვდილმა გზა-მართალს ატარა...

რ ო მ ა ნ ი. შე საცოდავო, მე, ახლა, ყვავილებში სულის ჩასახვა მინდა და კლდე-ღრეში წოწიალი? ხომ არ შეიშალე!

მზაღო შიშით განერიდა ნაბადში შეკონილს. სულხანი ისევ არ ეშვება და ფანჯარასთან უპირებს მითრევას.

მ ზ ა ღ ო (სულხანს). მოეშვი, ბედ-კრულ, ხელ დაგწვავს, ან მოიწამვლი შხამთაგან!..

რ ო მ ა ნ ი. აქ, კიდეეაა ვინმე? თუ, მთლად გაგიჟდა ეს უბედური და თავის თავს ელაპარაკება? მამა! (ხმადაბლა ეძახის, არ უნდა ყველა გააღვიძოს.)

მ ზ ა ღ ო (სულხანს მოეხვევა). მადლი ჰქენ, მადლი, ხეთის მაღლმა!

ს უ ლ ხ ა ნ ი. რისი მადლი... რა გაგიკეთე?

რ ო მ ა ნ ი. მამა, გღეიძავს, მამა?

ს უ ლ ხ ა ნ ი. გაჩუმდი, შე შობელქალო! (მზაღოს ცხვირსახოცს იღებს, ნაბადში ხელს უყოფს და პირში უტენის.)

მ ზ ა ღ ო. ეგეც მადლია...

ს უ ლ ხ ა ნ ი. ეს ერთადერთი კი, მაგრამ სხვა ვერაფერი რომ ვერ შევძელი?

მ ზ ა ღ ო. ამის სისხლ რო არ დამაღვრევინე...

ს უ ლ ხ ა ნ ი. როცა თოფით უპირებდი მოკვლას?

მ ზ ა ღ ო. ამის მოკვდინება არ იქნების!

ს უ ლ ხ ა ნ ი. ეს, ჩემი ცოდვით საესე, აღარც მოკვდინების ღირსია?!

მ ზ ა ღ ო. ამის მაცქერალ ამქვეყნად არ გაეძლების, იქ რო გაგზავნო, იქ არ მიკვესვლების...

ს უ ლ ხ ა ნ ი. აბა, აქ მიტოვებ? მღუპავ?!

მ ზ ა ღ ო. იმიერ წაჰგვრი, ჯოჯოხეთი მთლად გაირყვნების.

ს უ ლ ხ ა ნ ი. ჯოჯოხეთში კი არა, მთაში წაიყვანე-ოეთქი, ამას ვეეედრებოდი.

მ ზ ა ღ ო. მთა მაღალ საით იქნების, ეგ რო ზედ ძალით ამსხა!..

რომანი ნაბადში ფხარკალებს.

ს ულ ხ ა ნ ი. რატომ? მთაშიაც ხომ არიან მგლები...

მ ზ ა ღ ო (ხელს თოფზე იტაცებს). მგელ არ თქო, თორე ძმობის ფიც გავტეხ!

ს ულ ხ ა ნ ი. რა ვიცი, მგელი დაუძახეო, ასე არ მასწავლე?

ბ ზ ა ღ ო. მგელ ერთ პირია. მგელ იყოს:

„სიკვდილ არ დავინანებდი,
შავად შავჰლებდი მანდილსა,
შავ მიწას მივაბარებდი“...

ს ულ ხ ა ნ ი. მე, მე შემიბრალე! მამა ვარ, მშობელი ვარ! შენც ხომ ადამიანი ხარ! ქალი ხარ, ღმერთი დედობას გაღირსებს!

მ ზ ა ღ ო. ასეთის შობას, ნეტარე მუცლადვე გამწყალებია!

ს ულ ხ ა ნ ი. დედა რომ იქნები, შვილის სიმწარეს მერე გაიგებ!

ბ ზ ა ღ ო... ნურმც ჰღირსებია დღის ნათელს... (ფანჯრისკენ გაბრუნდა.)

ს ულ ხ ა ნ ი (გადაუდგება, დაუჩოქებს). შვილი, შვილი გადამირჩიხე!

ბ ზ ა ღ ო (შეებრალება). უკუღმა დაბადებულ არს, მე წალმა საით ვატარო...

ს ულ ხ ა ნ ი. მოახდინე სასწაული!

მ ზ ა ღ ო. ამასთან ღმერთი უძლურ არს...

ს ულ ხ ა ნ ი. მამაშვილობას გაფიცებ! მე, მე შემიბრალე — უბედური მამა!..

მ ზ ა ღ ო. ძალიც შემწევდეს, ვერ ვიზამ... მე დედა ვიყო, ეს — მამა, შვილთ ცოდვას საით წაუვალ...

თოფს მხარიღლივ გადაიკიდებს. მოულოდნელად შეხტება რაფაზე. ჭაღრის ტოტებს ჩამოეკიდება.

ს ულ ხ ა ნ ი. ძმობას გაფიცებ! ხატსა და ჯვარს გაფიცებ! ფიცვერცხლს სტეხ?!.

ბ ზ ა ღ ო. ფიც-ვერცხლ, ძმადნაფიც საით ეღალატების!

ს ულ ხ ა ნ ი. ჰოდა, ძმადნაფიცი გევედრები, გადაათრიე ეს ოხერმუდრეგი აქედან და მომაშორე, წაიყვანე.

ბ ზ ა ღ ო (შემობრუნდება, თავს მწარე სინანულით აქნევს). ძმადნაფიც. ფიცვერცხლ...

დააელებენ ნაბდიან რ ო მ ა ნ ს ხელს და ფანჯრის რაფიდან ძირს თოკით უშვებენ. ბზაღო აქედან ზომავს, ცხენის სიმაღლეზე რომ დაუშვას, ბაწრის თავი რადიატორზე დაახვიეს. სულხანს გადაეხვევა და ფანჯრიდან ხის ტოტებით ეშვება, ს უ ლ ხ ა ნ ს

ბაწრის თავი უჭირავს და ქვევით იხედება... კაცმა არ იცის, სადმე, ტოტს გამოდო თოფის ჩახმახი, თუ თვითონ ბ ზ ა ღ ო მ დასცა ფალას, გამაყრუებელი ქუხილი გაისმის, ფანჯრის წინ ისეთი წითელი ცეცხლი გაანათებს, გულგახეთქილი სულხანი უკან გადმოვარდება. ბუხარზე მეზობელ ოთახში და ზევითაც აურზაური ატყდება. კიბის თათუშა, წივის თეა, ყვირის ტარიელი და გადაეფიდ კარს აუყდებიან. ლატანები ცვივა და თ ა თ უ შ ა, თ ე ა და ტ ა რ ი ე ლ ი ხედავენ, ღია ფანჯრიდან გადაკიდებული თოკი იშვებს. ერთად გადაეკიდებიან რაფაზე და თოკს ეკაჩებიან. ჯერ რომ ძარას ვერ უსაძენ, უცებ, ქვევიდან გადაკრული ბაწარი ხელში შერჩებათ და სამივე დაცვივდებიან. ბოლოს ადგილიდან მოწყვეტილი ცხენის სწრაფი თქარათქური, რაც მალე მიწყდა. თეა გამოჩენისას, წაქცევისას და წამოდგომისას ტარიელის უსახელოო პერანგის ზურგშია ჩაფრენილი, ხელიდან არ უშვებს.

თ ა თ უ შ ა (ტირილით). დავიღუპე! მომიკლეს შვილი! დამექცა ცა და მიწა! დედა, ამოგხადეს სული, შვილო? რომან, დედის იმედო!.. რომან, დედის თვალის სინათლევ!.. დედის გამაბწყარებელო, დედის დამღუპველო!..

თ ე ა (ტარიელს ხელს რომ არ უშვებს, იჩოქებს და ტარიელიც იძულებელია მუხლებზე დავარდეს). ძმაო, ძმაო! დის ერთადერთო სიხარულო!

ტარიელი ხედავს, იქვე ხანჯალი აგდია.

ტ ა რ ი ე ლ ი (ფლიქვინებს). რომან! (ხანჯალს იღებს.) რომან, შე უბედურო!

თ ა თ უ შ ა. შვილო, რომან, შვილო, სადა ხარ ან მკვდარი, ან ცოცხალი. ვაი, შენს ბედდამწვარ დედას, ვაი და ვუი! (თმებს იგლეჯს.)

თ ე ა. ძმაო, მე რას მიპირებ, ძმაო! შენ საყვარელ დაიას! შენ საცოდავ დაიას!

დაბმარებული სულხანი გამოდის და დარდით გამხმარი, ხესავით დგას.

თ ა თ უ შ ა (მიამოთქმა). სულხან, ხომ დაღუპე შვილები, ხომ ამოაგდო ოჯახი შენმა სიმართლემ! შენმა უსულგულობამ და პატიოსნებამ, სულხან!..

თ ე ა. მამა, აქ, შენს თვალსა და ხელს შუა, როგორ მომიკლეს და წამართვეს ჩემი ძამიკო!

თ ა თ უ შ ა ((მოთქმით). მკვდარი, მკვდარიც აღარა მყავხარ, შვილო?.. შვილოო! ვაი, შენს უბედურ დედასა და მამას!.. ვაი, შვნს დებსა და მტერ-მოყვარეს!..

თ ე ა. ვაი, შენს შავ დღეზე გაჩენილ დაიას!

ტარიელი ხელში ატრიალებს ხანჯალს. ხედავს, სისხლი არ აცხია. ეცა ბაწრებს, ამოაქვს; თეა არ უშვებს ხელს, მაგრამ ტარიელიც თავისას არ იშლის, ამოაქვს გადაკრული თოკები.

თ ა თ უ შ ა. დიდუ! მიშკელეთ! მითხარით, მირჩიეთ, რა წყალში და წკვარამში გადავვარდე! ხალხო! ქვეყანავ! მიშველეთ! გადამირჩინეთ შვილი, გამწარებულ დედას! თვალდავსებულ დედას! (იატაკზე ემხობა.)

თ ე ა. გვიშველეეთ!.. ძმაო, ძმაოო!.. (ისიც ზედ დაემხობა.)

ტარიელი მიხვდა, რომანი გაიტაცეს და არაფერი უპირსო. თეას ხელში ჩაბღეჯულ პერანგიდან ოსტატურად გამოძვრება, გაპარვას აპირებს, მაგრამ .საცელების ძმარაა. მიიხედ-მოიხედა დაფეთებულმა, სანამ თეა გაიგებდეს, რომ რომანს არაფერი უპირს, უნდა მოასწროს გაქცევა. იქვე, სკამზე მიკიდებული სულხანის პიჯაკი შენიშნა, წამოუსვა ხელი და გავარდა.

თ ა თ უ შ ა. არიქა, შვილო, იქნებ კიდევ უდგია სული! თეა, სულხან, ტარიელ, ტელეფონი, სასწრაფო!.. მილიციას! მიშველეთ!

თ ე ა. არიქა, ძმაო! არიქა, გვიშველეთ!

ტარიელის პერანგი ხელში უჭირავს, ტელეფონს მივარდება. ტელეფონი გამორთულია თუ დაზიანებული, ახეთქებს ყურმილს; იღებს და ახეთქებს. გარეთ მილიციელის სასტვენის ხმა ისმის, ჩოჩქოლია: არ გაუშვა, შეჩერდი! გაჩერდი, თორეს! გესვრი!

თ ა თ უ შ ა. (ფანჯარას მივარდება). არიქა, არ გაუშვათ! მკვლელია! ესროლეთ! არ დაზოგოთ!..

კარს შემოაღებს რევოლვერშემართული მილიციელი. ტრუსების ამარა, პიჯაკ-ჩამოფართხუნებული ტარიელი შემოპყავს.

ტ ა რ ი ე ლ ი. გამიშვი, შე ოჯახდაქცეულო, გამიშვი!

თ ა თ უ შ ა (ქორიეთ მიაფრინდება, უნდა ფრჩხილითა და კბილით დაგლიჯოს). ესროლეთ! მოკალითო! დაკუწეთ!

თ ე ა. მკვლელი! ჩემი ძმის მკვლელი!.. ტარიელ, არ გაუშვა! (ხანჯალი ალიღო და უნდა მიაწოდოს, მაგრამ ხელში მარტო ტარიელის პერანგი უჭირავს.) ტარიელ!..

მილიციელის ხელში გაქაჩული ტარიელი მოიხედავს.

ტ ა რ ი ე ლ ი. მე რა შუაში ვარ, თეა!..

თ ე ა. სადა ხარ, ტარიელ!.. (ეძებს, რომ ხანჯალი გადასცეს) ტარიელ, ხმა ამოიღე!

ტ ა რ ი ე ლ ი (თათუშა დაგლეჯას უპირებს). თეა, მიშველე, მე რა დავაშავე! (მირბის მისკენ თეაც.) ხანჯალი, თეა, ხანჯალი ვასწი იქით! მეტს ალარ ვიზამ...

თ ა თ უ შ ა (ტარიელი რომ სანახევროდ გაბდღვნა, თეას). ვინაა ეს, გოგო?!

თ ე ა. ტარიელი?!

მ ი ლ ი ც ი ე ლ ი (ტარიელს კუთხეში მიაგდებს და რევოლვერს მიუღერებს). ამხანაგო, თქვენი საბუთები!

ო ა თ უ ბ ა. ტარიელი?!

თ ე ა. ეს, ტარიელია...

მ ი ლ ი ც ი ე ლ ი: ტარიელია თუ ავთანდილი, საბუთებში ეწერება.

თ ა თ უ შ ა (ცივის). დაანებე თავი! ამასთან რა გინდა! მკვლელი გაუშვი და ტარიელი დაიჭირე?

თ ე ა. რევოლვერი გასწიე, არ გაგივარდეს!

მ ი ლ ი ც ი ე ლ ი (გაკვირვებული). მკვლელია, ქალო, რომ გაიძახოდი?!

ტ ა რ ი ე ლ ი. მე, ტარიელი ვარ! (წაბოსვლა დაიპირა.)

მ ი ლ ი ც ი ე ლ ი. ხელები ზევით! (ტარიელი ხელებს სწევს.) საბუთები!

თ ე ა. გაუშვი, ტარიელია! ამასთან რა გინდა, ცხენი... ცხენით რომ გაიტაცეს... ცხენის ფეხის ხმა მაინც არ გაგიგონია?

მ ი ლ ი ც ი ე ლ ი. ცხენის ფეხის ხმას ქალაქში რა უნდა, ქალო, რა დროს ცხენია. გავიგონე და დავიჭერე... აქ რაღაც ოინებია!..

თ ე ა. გაუშვი, ეს ტარიელია, გაუშვი!..

მ ი ლ ი ც ი ე ლ ი. ძლივს დავიჭირე და გავუშვა? ბერე ისევ ვსდიო?! საბუთები!

ტ ა რ ი ე ლ ი (შეშინებული). ახლავე!.. (ჯიბისკენ წაიღებს ხელს.)

მ ი ლ ი ც ი ე ლ ი. ხელები ზევით!

თ ე ა. უხელოდ როგორ ამოიღოს?!

თ ა თ უ შ ა. ამასთან რა უნდა, სულხან, ამოიღე ხმა!

მ ი ლ ი ც ი ე ლ ი. იარაღი რომ ჰქონდეს, ვინაა „ატვეჩაი"! (თვითონ აღებს ჯიბიდან საბუთებს. ფაღრში ერთი წიგნაკი მოხვდება, გადაშლის.)

თ ა თ უ შ ა. რა ამბავია ჩვენს თავს! შვილი, შვილი მომიკლეს და მკვდარი მომტაცეს! (ისევ ღაღმსო.)

მ ი ლ ი ც ი ე ლ ი. როგორ გინდა დაამყარო წესრიგი! (სინანულით.) პროფესორები და აკადემიკოსები რომ კაცისკვლას დაიწყებენ... (ტარიელს დაეჩერდება.) ეს, მგონი, თქვენ არ უნდა იყოთ! მაგრამ ყველაფერი მილიციაში გაირკვევა.

ტ ა რ ი ე ლ ი. ამას რა გარკვევა უნდა, ტარიელი ვარ...

შემოვარდება ნარბენი, გულამოვარდნილი, ატირებული თიკო. ვერავის დაინახავს, სულხანს მივარდება.

ო ი კ ო. მამა! (სულხანი ისევ ხმელი ხესავით დგას.) მამა!.. რატომ დამლუპე, მამა! რატომ დამინგრიე ოჯახი! რატომ წამართვი ბედნიერება! არ შეგეცოდე? რატომ, რატომ, რატომ თქვი სიმართლე!..

ს უ ლ ხ ა ნ ი (სრულიად განწირული). სიმართლე... ჰო, სიმართლე... სიმართლე... (აყურადებს შორს. ყრუ ცხენის ფეხის ხმას.) სიმართლე თავისი გზით მიდის, სიმართლე...

ს უ რ ა თ ი მ ე ე ქ ვ ს ე

ძველისძველი კოშკ-მაჩუბი თუ ციხე-დარბაზი. უზარმაზარი მრგვალი ძელებით გაწყობილი თაღანი და ფართო ქვა-ფიქალებით გაფახურული; მარადიული მზისა და ჩუქურთმებით შემკობილი გამქვარტლული დედაბოძით; საკონლის მოსარატებული საპირეებით. მოჩუქურთმებული, ტყავგადაგებული საკარცხულით, გრძელი ტახტითა და დაბალი, მძიმე მაგიდით; ჯორკოებითა და სამფეხა სკამებით. შუა ცეცხლი, ნაჭა, ქვაბი, ქოთანი. კედლებზე ჯიხეისა და ირმის რქები.

საკარცხულზე — წელამდე დაშვებული თეთრი წვერით, ჩოხა-ახალუხ-ქამარ-ხანჯლიანი დ ი დ პ ა პ ა ზის მეფურად; აფუტებულ კერიას ეფიცხება. ეტყობა, თვალით ვერ ხედავს, მაგრამ სმენით არაფერი გამოეპარება. შორიდან ცხენის ფეხის ხმა მოისმის. ქვეეით აყურადებს. ეზოში ნაგაზი აქუხდა.

დ ი დ პ ა პ ა. ღმერთი ინებებს თქვენს მშვიდობით მობრძანებას... უშვირს ბედაურს... ჩქარა უელიათ... შეუსვენებლივ!.. ვაქაი ქალაქელია, ცხენს მათრახი არ დამიკრას... (გაწყობილ სუფრას მიაყურადებ.) ციცქ (ცატას შეუწყრა. ცხენის თქარათქური ახლოდება. მორებისაგან შეკრულ კარში გაყრილ ძელ-ურდულს ხსნის, კარიბჭეს ფართოდ აღებს. ცხენი ზედ მოეკრება. გასძახებს) მზაღოისი, მგზავრობა ფეხბედნიერი გქონიათ?

მ ზ ა ღ ო ს ხ მ ა. ბედნიერ, დიდპაპა, ფეხბედნიერ.

დ ი დ პ ა პ ა. სიძე, გულმხიარულ...

მზაღო ბაწრით მოათრევს ნაბადში შეკონილ რომანს.

მ ზ ა ღ ო. მხიარულ, დიდპაპა, გულმხიარულ... (ტახტთან მიჰყავს და ხელისკვრით ზედ ახეთქებს.) სულ ფრენით მოდიოდის...

დ ი დ პ ა პ ა. გამარჯვებული იყოს, კურთხეული, სიძე ბატონი! (მიყურადა, პასუხი არაა) გვემდურის რასმე?!

მ ზ ა ლ ო (ნაბადზე ბაწარს სასწრაფოდ ხსნის). მალალ ჰაერ სწყინს, სულ ეხუთების...

დ ი დ პ ა პ ა. სიმაღლე მდაბალ კაც სწყინს...

მ ზ ა ლ ო (რომანს ნაბადი თავზე გადააძრო, პირიდან ცხვირსახოცი ამოგლიჯა, თოფი მხრიდან გადმოიღო, გულზე დაადო; უპასუხეო.) ბარის გონჯია, გონს ვერ მოვეგო, ტიალი...

რ ო მ ა ნ ი. დი-იდ-პა-პა! პა-პა-პატარა სულის მოთქმა...

დ ი დ პ ა პ ა. სული ხვთისაა

რ ო მ ა ნ ი. ჰა-ჰა-ჰაერი...

დ ი დ პ ა პ ა. მარდად გიელიათ, ცხენს ოფლ შავაშრობ... (გადის. რომანი თვალებს აბრიალებს. სუნთქავ უჭირს, ფხარკალებს: დროზე ამხსენიო.)

მ ზ ა ლ ო. მგელ აუშკა და ძაღლი დავაბა? (გადის ფეხაკრეფით. ძაღლის საბმელი ჯაჭვი და კართან დაკიდებული ბოქლომი მოაქვს. სანამ რომანს თოკს შეხსნიდეს, ჯაჭვით ვეება ტახტის ფეხზე აბამს, ზედ მაგიდის თაეში. გასაღებს უბეში ინახავს. ნაბადს შემოხსნის, თოფს მიეღერებს) აქ დაბმულ იყეფე...

რ ო მ ა ნ ი (წამოიჯრდა, მაგრამ იქვე გაიშხლართა). ჯაჭვით მაბამთ, თქვე ღერმერთოებო! რა ამირანი მე ვნახეთ?

მ ზ ა ლ ო. ამირანს შენ პირ რა ესაქმების, კაცო ცეცხლ მაჰკვარა. შენ, სიყვარულ ჰკლავ, ცეცხლ აქრობ.

რ ო მ ა ნ ი. გაგიჟდი, ასე დაბმული სანაძდ ვიყო!

მ ზ ა ლ ო. სანამ მგელ, ძაღლ არ იქნები... (შემოდის დიდპაპა ჭალო ისევ თოფს წამოაელებს ხელს, თვალებს უბრიალებს) დიდპაპას რამ არ აწყინო...

დ ი დ პ ა პ ა. სიძე ბატონი როგორ გვყავ...

რ ო მ ა ნ ი. ეჰ... (მზალომ თოფი ჩახმახზე შეაყენა.) ეჰ... ბედნიერად, დიდპაპა, ბედნიერად. ძლივს სული მოვითქვი... აქ რა გაუჭირდება ადამიანს... (მზალო თოფს დაუშვებს.)

დ ი დ პ ა პ ა. კაცს ჭირ არ დაელევის. კაცი და ჭირი ძმანია...

რ ო მ ა ნ ი. ამიტომაც მიჭირს... (მზალო ისევ თოფს შემართავს) არა, კაცი და ჭირი რომ ძმები ვართ, ამიტომ, თორემ ჩემზე ბედნიერი ქვეყნად არ დაბადებულა.

დ ი დ პ ა პ ა. ქალაუ, თოფს რად ემართვი...

მ ზ ა ლ ო. თოფ... დიდპაპავ... თოფ მინდ ვაქუხო.

რომანს ისევ თვალები გადაუბრიალა: ხომ ხედავ, დიდპაპას არაფერი გამოეპარებაო.

რ ო მ ა ნ ი. ჩვენი ბედნიერება უნდა ქვეყანას აუწყოს. აგერ, სუფრა გაშლილია და. ბარემ... აქ თოფითა და ზარბაზნით თუ გააგებინებ, საღღაც, თითო-ოროლა მოსახლეა მთას შემორჩენილი.

დ ი დ პ ა პ ა. ხმიადი გვიმზადეს... წაიღნენ, თვალ მაატყუეს. უხმე, მზაღო, თოფ ქორწილის მაცნეა...

მზაღო გადის და ვაისმის თოფის გრიალი... ნაგაზი აყეფდება, შორიღანვე შეეხმიანებიან ძაღლები. მზაღო შემოდის, რომანს აფრთხილებს: ჭკუით მოიქეციო და დარბაზის სიღრმეში მიიმალება.

რ ო მ ა ნ ი. დიდპაპა, აქ როგორი წესია...

დ ი დ პ ა პ ა. მთაჩია?

რ ო მ ა ნ ი. მთაჩი. ქოფაკი სულ დაბმული უნდა იყოლიოთ თუ ზოგჯერ აუშვებთ. ძაღლი ძაღლია, მაგრამ სულ მიჯაჭვული ისიც ცოდვაა.

დ ი დ პ ა პ ა. თუ სახლ-ცხორ-ძროხა კარგაღ მწყემსს, ჯაჭვი რად უნდის, ძაღლ შარამავალ არ გაიშვების.

რ ო მ ა ნ ი. დავიღუპე, ჩემი საშველი აღარ ყოფილა... (მზაღომ გამოიხედა საქორწილო კაბაში თავგაყოფილმა.) ის მინდოდა მეთქვა, ცხვარ-ძროხის მწყემსვას ვაპირებ და ქოფაკები როგორი გამომადგება, ვინ იცის.

დ ი დ პ ა პ ა. როგორად გაწთვნი, იმად ივარგის.

რ ო მ ა ნ ი. ჰოდა, მეც მაგის დარდი მკლავს. მოწანწალე, ამძუნებული ძაღლი ფარის მწყემსად და დარაჯად გამოდგება?

დ ი დ პ ა პ ა. მგელი, არწივი და კაი ყმა არ გაიწთვნების, ძაღლი ძაღლია...

გამოდის საქორწინოდ მორთული მზაღო. გარეთ ცხენების თქარათქური და თოფების გრიალი ისმის. წვეულები კართან გროვდებიან, მაყრულის სიმღერით, შემოდიან ქალები და კაცები. მზაღო რომანის გვერდით დგება თავდახრილი, რომანი ჯაჭვს ტახტის ქვეშ მალავს და მოლოცვებს იღებს. ეტყობა, ყველამ თავისი საქმე იცის: შემოაქვთ ხელადები და ჯიხვის ყანწები. გუგუნებს მთიდან მთაზე გადამწვდენი მრავალეამიერი. გაჩნდა დოლი, დაირა, ფანდური, ჩონგური, ჭუჩირი, გაიმართა საქორწილო ფერხული. ფერხული ქართულმა შეცვალა. ნეფედედოფალს ცეკვას სთხოვენ. რომანი მზაღოს გადახედავს: ახლა მაინც ამიშვიო. მზაღო გამოდის, ცეკვავს და რომანი ადგილზე შლის ხელებს: რა ვქნა, ცეკვა არ ვიცი. კარებში გაფოფრილი თათუშა გამოჩნდება. მოსდევს თეა ხელჩაკვე-

ბული ტარიელით; ბოლოს, თაეის კანტერით, შემოდის სულხანი. ტამ-ფანდურა წყდება.

თ ა თ უ შ ა. დედა, შეილო, ცოცხალი ხარ, დედა!

თ ე ა. რომან, ძმაო, გიდგას სული, ძამიკო?

ტ ა რ ი ე ლ ი (აღტაცებული შეჩერებია იქაურობას). გამარჯობათ, გამარჯობათ, მომილოცავს! (უნდა ყველას ხელი ჩამოართვას, თეა არ უშვებს.)

თ ე ა. სად მიდიხარ, შე ფეხებგასახმობო!

თ ა თ უ შ ა. მე თვალებდასავსებს, მეჩვენება თუ რა ამბავია აქ!

რ ო მ ა ნ ი. ჩუ, დედა, მომილოცე, ქორწილია.

თ ა თ უ შ ა. ბიჭო, დაკარგე ჭკუა?! აქ, დაბმული ვერ გაჩერდება ადამიანი!

რ ო მ ა ნ ი. არ გაჩერდება, სად წავა?

თ ე ა. ვაიმე, ძმაო, აქ ვრთ ღამეს ვერ გაათევს ადამიანი!

ტ ა რ ი ე ლ ი. აუჰ, არ მოვითქვი სული!

თ ე ა. ჰე, ვაიკინე, ერთი. (ტარიელი იცინის) რა ვქნა, რაფერ გაეძლო ამის ხელში?

ტ ა რ ი ე ლ ი. რომან, ბედი გქონია, ჩემო ძმაო.

რ ო მ ა ნ ი. კი, გამიმართლა, აქ ყოფნას რა სჯობია.

თ ა თ უ შ ა. ვაიმე, მიშველეთ, შვილი მელუპება!

ს უ ლ ხ ა ნ ი. ჩუ, დაკელუპა თუ დალუპული გადაგირჩა? არ გადარიოთ ეს ხალხი!

დ ი დ პ ა პ ა. მზასლებ გეწვევია?

ს უ ლ ხ ა ნ ი. დიახ, დიდპაპა, მზახლები გეახელით... (ხელს ართმევს.) მომილოცავს, ბატონო, შეილთაშეკლის გაბედნიერება.

დ ი დ პ ა პ ა. თქვენ შვილს დასალუპ რა ჭირდა, რა ბრძოლა გადაუბდია?

ს უ ლ ხ ა ნ ი. არაფერი. ჰატარა, შინაური ბრძოლა და შეხლა-შემოხლა გვქონდა. მოგესსენებათ, ადამიანის ცხოვრება ბრძოლაა...

დ ი დ პ ა პ ა. ბრძენ კაც მემოყვრის, მადლ უფალს. ცხოვრება დიდი ომი არს!

ს უ ლ ხ ა ნ ი. დიახ, ბრძოლაა. ვიბრძოლეთ, ვიომეთ, მაგრამ, რა ვიცი, თუ რაიმე გამოვიდა, თუ ღმერთმა დაგვიფარა და არ წავაგეთ... (რომანს ეჭვის თვალით უყურის, მზაღოს — მადლობითა და სიყვარულით. დიდპაპას მხარზე ხელს გადახვევს.) აბ, რას იტყვი, ბრძენო მოხუცო?

დ ი დ პ ა პ ა. ჩემი რა გესწავლებით, ხალხს უთქვამს...

ს უ ლ ხ ა ნ ი. შენისთანა ბრძენ ხალხს უთქვამს... მაინც, რაო, რა უთქვამს?

დ ი დ პ ა პ ა. ომი გიქნიათო, გივარგილ, ომი...

ს უ ლ ხ ა ნ ი (აჩერებს და იხსენებს). ომი ვქენითო, დედფალ.

დ ი დ პ ა პ ა. წაგიგიათო ომი, გივარგილ.

ს უ ლ ხ ა ნ ი. წავაგეთ ომი, დედფალ.

დ ი დ პ ა პ ა. მაშინ, რა აზრი ჰქონდაო ბრძოლას, გივარგილ?

ს უ ლ ხ ა ნ ი. ბრძოლას ყოველთვისა აქვს აზრი, დედფალ!..

მასპინძლები ქუდს უხდიან სტუმრებს, გუგუნებს ომახიანი საქორწილო სიმღერები და ცეკვა-თამაში. ტარიელმა, რაკი თეას თავი ვერ დააღწია, აღგილზე გაშალა მკლავები და ფეხებს უსვამს.

თ ე ა. ხალხო, რა მეშველება, რაფერ გავძლო ამის ხელში!..

ურემი გადაბრუნდა

(ანუ ათი წლის შემდეგ)

ტრაგიკომედია ორ ნაწილად

ეუძღვნი სერგო ზაქარიაძის ხსოვნას.

მოქმედი პირები

აგაბო გოგვერაძე.
ტასია, ცოლი მისი.
იოველი, უფროსი ვაჟიშვილი.
დიტო, მეორე ვაჟიშვილი.
დურმიშხანი, მესამე ვაჟიშვილი.
ბუხუტი, უმცროსი ვაჟიშვილი.
გოგოლა, უფროსი რძალი.
ფუეუნა, მეორე რძალი.
ლანდა, მესამე რძალი.
ცაგო, უმცროსი რძალი.
ბარპე, კარის მეზობელი (აგაბოს ნათლული).
მოქმედების ადგილი — სოფელი. დრო — დღევანდელი.

მოქმედება პირველი

სურათი პირველი

სოფელი. კარგად მოვლილი კარ-მიდამო. ქვითკირის პალატაზე წამოდგმული ხის ოდა. მაღალ ბოძებზე შემდგარი ნალია. გადაბელილ ხეზე მიყუდებული სარები, ბარდნები, იქვე ეყება საჩეხ ჯირკზე დარჩობილი წალდი და ნაჯახი. ტრეშელ ღობის გადმოღმა, მუხის ლაფათინებიან ჭიმკრის წინ, შარაგზის პირას, პალოებზე დაშენებული ფიცარია ჩამოსაჯდომად.

მანქანის მუხრუჭების ხრჭიალს ხმა, რომელიც მოშორებით გაჩერდა. ქურდულად, ღობეს მოფარებული, შემოდიან: დიტო, ქმარს ჩაფრენილი ფუეუნა, გოგოლა, ლანდა და დურმიშხანი. ტუჩზე კბილდაჭერილ ატირებული გოგოლა ლოყაში გაშლილ ხელებს იცემს.

გოგოლა. დედააა!..
დიტო. ჩუუ!

ჯ ო ვ ო ლ ა (მოგუდული ხმით, ხაკხავით). დედა, შე უბედურო! დედა, შე ბედდაწყარო და შავ დღეზე გაჩენილო, დედააა!..

ქ უ ქ უ ნ ა (ეფრო ბოგოლას თანაგრძნობით). დედა... დედა, შე საწყალო დედა! შენ გენაცვალე!..

დ ი ტ ო. ჩუუ! ეჰ-ეე... როგორც ასეთი!..

ლ ა ნ დ ა (უკან აფეთებულ ქმარს). კი მაგრამ დედაშენის სიკვდილი ამათ (რძლებზე) ახლა გაიგეს?!

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი (აფლიქვინდება). კი, ლანდა, დიდი ხანია, მაგრამ ხომ მაინც მკვდარია... დედიკო, დედააა!

ლ ა ნ დ ა. ვაკაკავო თუ, როგორ მოვიქცე, რას მირჩევ?!

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. არა, ლანდა, მე თვითონ... თვითონ... (ჭიშკართან ღობეს ძირში ჩაჯდება და თვალებს იკიკუნის.)

დ ი ტ ო. ჩუ-მეთქი! თქვენ რა გითხარით მე თქვენ!.. (წელში წახრილი მჭიდრო ჭიშკრის ხარატულებში იჭყიტება.)

ბ ო ბ ო ლ ა (ძელსკამზე მოწყვეტით ეშვება. მოთქმით). დედა!.. სადა ხარ, დედა! გამოგვეგებე, გაიხარე! შენი დანატრებული შვილები და რძლები მოგვიდა, დედააა!

ქ უ ქ უ ნ ა (ცალი თვალით ჭიშკრის ლატანებში იჭვრიტება). დედა, რატომ არსად ჩანხარ, დედა, გენაცვალე!

ლ ა ნ დ ა. მე აქ სატირალს და თავში ხელის საცემს ვერაფერს ვხედავ, როგორც ვიცი, მოხუცი არა, მაგრამ ახალი, ახალგაზრდა „დედა" გამოგვეგებება და გაგვიღებს ჭიშკარს.

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი (მუხლებში თავჩარგული). ლანდა, რატომ არ გებრალები, ლანდა?!

ბ ო ბ ო ლ ა (ისევ წაიშენს ყბაში ხელს). დიდუ, დიდუ! რა დღეს მოვესწარით? დიდუ, რავა დაგვევსო თვალები!..

ქ უ ქ უ ნ ა. მოგვეჭრა, გენაცვალეთ, თავი, მოგვეჭრა...

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. დავიჯერო, ჩემო რძალო? იქნებ არაა მართალი.

ლ ა ნ დ ა. შე ყურდამდგარო, თვალები, თვალები გაახილე!

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. რატომ, რატომ არ გებრალები, ლანდა...

ლ ა ნ დ ა (გოცებული). ღმერთო ჩემო!.. მე უნდა შებრალებოდე, თუ სინდისიდან გარეცხილ, გადაღეებულ მამაშენს?!

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი (ვედრებით). ლანდა, იწამე ღმერთი!

ლ ა ნ დ ა. როგორ! მე მივუყვანე და დაკუწვინე მამაშენს ლოგინში თუ?!

ბ ო ბ ო ლ ა. დიდუ! დიდუ! დიდუ!

ქუქუნა. თავი, გენაცვალეთ, თავი არ გამოგვეყოფა სოფელ-ქვეყანაში!..

დიტო. ჩუ, თქვე მამაჩემის... თქვე იმნაირებო...

ქუქუნა. ჩვენ თუ შენ, მამაშენისნაირო, მასავით გარყვნილო და გათახსირებულო! დამანელა ქალი ამის დევნამ, მაგრამ ეს რა გასაკვირია, როცა მამა... გაწყდა თქვენი ჯიში! (დურმიშხანს თვალი აარიდა.)

გოგოლა. დიდუ, დიდუ! რა გვჭირს მაინც ეს, კაცის შვილს რომ არ დამართია, იმისთანა რატომ დაგვემართა...

დურმიშხანი (ხელწნით). იქნება... ლანდა, ქუქუნა, გოგოლა... იქნება არ დავღუპულვართ, აჰ?

ლანდა. ჰმ... იქნება, აჰ! რა არის აქ საიქნებო და საალბათო, მოსარჩენი ქალი რომ უნდა მოლოგინდეს, ახალი ამბავია?!

გოგოლა (წაიშინა თავში ხელი). დიდუ, დიდუ სირცხვილო! დიდუ თავის მოჭრავ და ცოცხლად მიწაში ჩამარხვავ!..

ქუქუნა. არა, გენაცვალეთ, არც ამისთანა მამა მინდა, არც ამისთანა ქმარი და არც ამისთანა სიცოცხლე!.. (მიდის და გოგოლას გვერდით ჯდება).

დურმიშხანი თუ სულ არ გებრალები, ლანდა, აიღე დიდი ქვა, დამკარი თავში და გამაცხებიე სული.

ლანდა. მამაშენმა ქვაც დაგკრათ, ლოდიც და თავსლაფიც დაგასხათ! ნეტავ მე რა შუაში ვარ?!

დიტო. ლანდა!.. შე ჭკუის კოლოფო! ბოლოს და ბოლოს... მაგალითისათვის უნდა იცოდე, რომ!..

ქუქუნა. ლანდამ რა უნდა იცოდეს, რა უნდა იცოდეს?! ლანდამ თუ მამაშენმა უნდა იცოდეს: ოთხი ვაჟიშვილის, შვილიშვილების და შვილთაშვილების პატრონი ბერიკაცი საცოლო ყმაწვილი არაა!

დურმიშხანი. ხდება, ჩემო რძალო...

ლანდა. რა ხდება?!

დურმიშხანი. არ ხდება, მაგრამ... მომკალი, ლანდა, და არ მჯერა...

ლანდა. საცაა პენსიაზე გასასვლელი ხარ და ძამიკო რომ შეგეძინება?!

დურმიშხანი (იქვე ღობის ძირას ქვას პოულობს და აწვდის ლანდას).

დამკარი, ლანდა, ნუ შემიბრალებ, დამკარი, არ მეტკინება, მეტი რაღა უნდა მეტკინოს, დამკარი და გამათავე!

დ ი ტ ო (ეტყობა, ეზოში ვიღაცა დალანდა. მრავალმნიშვნელოვნად). ჩუ-ჩუ-ჩუუუ!

ჟ უ ჟ უ ნ ა. გენაცვალეთ... ამისთანა არაფერი არ მინდა... (წამოსტება და ისიც ჰიშკრის ჰუჰრუტანას ეცემა.)

გ ო გ ო ლ ა (ამოიმოთქმებს). დავიღუპეთ, დავიღუპეთ ხომ!

ლ ა ნ დ ა. აქაურობისა მე მისდღემჩი ვერაფერი გავიგე!

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. რა, ლანდა?.. რატომ, ლანდა?..

ლ ა ნ დ ა. თახსირ მამაშენს რომ ერთი წელიწადია სახლში პატარძალი ჰყავს, თქვენ ეს ჯერ არ გაგიგიათ?!

გ ო გ ო ლ ა (ლოყაში ხელს ირტყამს). ვიცოდით, ლანდა, ვიცოდით... ჩვენ რომ ვეღარ მოვხედეთ... კი იცით, რაც იოველი აქ თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლეს და სადღაც დასაკარგავში უკრეს თავი, მე სასიკვდილემ ვეღარ ჩამოვაკითხე, ჟუჟუნამ სულ ვერა, და...

დ ი ტ ო. მაგალითისათვის!.. რა ამბავია აქ?!

ჟ უ ჟ უ ნ ა. გენაცვალეთ... (პირზე ორივე ხელს იფარებს.)

გ ო გ ო ლ ა. ვაიმე! აქეთ მოდის თუ? (დასამალავს ეძებს.)

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. ლანდა, მიშველე, ლანდა! (ღობეს აეკრა.)

ლ ა ნ დ ა. ამ ბებერმა ქოფაკმა ასე როგორ დაგზაფრათ, რომ მზად ხართ მიწა გაითხაროთ. ამ გადაღძუებულ კახპას ახლა მაინც რა ბმა აქვს ამოსაღები? ის უნდა ითხრიდეს თვალებს ჩვენი შიშით, თუ ჩვენ უნდა მივძვრებოდეთ ჭვესკნელში?!

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. ცოტა, ლანდა... ძალიან ცოტა, ჩვენც ვართ დამნაშავე...

ლ ა ნ დ ა. რა დამნაშავე ვარ მე?! ასი წლის გარყვნილი მამაშენი...

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. სამოცდაჩვიდმეტისაა, ლანდა!..

ლ ა ნ დ ა. სამოცდაჩვიდმეტის თუა, ბავშვი ყოფილა, ხომ არ იჩქარა ცოლის შერთვა?!.

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. არა, ლანდა, ამიტომ კი არ მითქვამს...

ლ ა ნ დ ა. გაჩუმდი! როგორადაც არ უნდა თქვა, სისულელეა... და მე რაში ვარ დამნაშავე? მამაშენი სიკვდილის მაგიერ რომ ჯვარს იფსკვნის და კუბოს მაგიერ სანთიობოს იწყობს, მე ვარ დამნაშავე?!

ა ო გ ო ლ ა. დამნაშავე არა, ლანდა, მაგრამ... ღმერთო, რა გვჭირს ეს... მთლად უყურადღებო ბერიკაცმა...

დ ო რ მ ი შ ხ ა ნ ი. დედაჩემის ჯავრზე, ლანდა, ალბათ, მთლად გამოყრუვდა.

ლ ა ნ დ ა. გამოყრუვდა თუ გაყმაწვილდა?..

დ ო რ მ ი შ ხ ა ნ ი. არა, ლანდა, გასულელდა და... ალბათ, არც კი იცის, რა ჩაიდინა.

ქ უ ე ე ნ ა (მოტრიალდა ელდანარეული). დიდუ, გენაცვალეთ! დავიღუპეთ, ლანდა, დავიღუპეთ, ვოგოლა, დავიღუპეთ!..

ვ ო გ ო ლ ა. ვაიმე! რა აკბაია, ქუქუნა?!.

ქ უ ე ე ნ ა. დღე დღეზე დაახვარხვალებს ბიჭს!..

დ ი ტ ო (გაბრაზებით და სიამაყით). ეუ! შენ რა გითხარი, მამაჩემო, შე გაუტეხელო ძელქვის ჯირკო!

ლ ა ნ დ ა. საწყალი, ჯავრზე აღარ იცის რა ქნას ასი წლის კაცმა, მოდგა და ბიჭებს აკეთებს!..

დ ო რ მ ი შ ხ ა ნ ი. ლანდაა!.. (ღობეს თავს უშენს.)

ქ უ ე ე ნ ა (წამოიწიელებს). დიდუ! დავიღუპეთ, გენაცვალეთ! აქეთ მოდის! (ციშკარს ნაუცბათევად მოსცილდება და გოგოლას გვერდით ჩამოჯდება. ეფარება.)

დ ი ტ ო (ციშკარს ზურგს შეაქცევს და გაიკგიმება). აუ! ეს რა გიქნია, შე დაუღუპავო ბერიკაცო!

დ ო რ მ ი შ ხ ა ნ ი. ლანდა, აქეთ მოდი, ლანდა, ჩამომეფარე, მე რომ დავინახო, ხელახლა დამარტყამს ინფარქტი, ლანდა!

ლ ა ნ დ ა. მამათქვენი ქალებს სიქას აცლის და თქვენ რა ღმერთი გიწყრებათ?! ინფარქტი, ტეინში, სისხლის ჩაქცევა, სკლეროზი და ათასი დარდუბალა...

კუტი კარს გამოაღებს შეახნის ფაშუაშა ტ ა ს ი ა. მუცელი წინ მოუძღვება. ველას ენა ჩაუვარდება და გაშეშდებიან, მოელოდნელობისაგან ტასიაც ღაფრთხება, უკან დაიხევს და კარს მიიხურავს. პაუზა. არავინ თვალსაც არ აბამბამებს. კოტა ხნის მერე ნელ-ნელა ისევ იღება კუტი კარი და ჯერ წინ წამოწეული მუცელი გამოჩნდება, მერე სტუმრების შესახვედრად გაღიმებული ტასია.

ტ ა ს ი ა (უშუალო, ალალი გულწრფელობით). რა ვიცი... რაღაც პუტუნი მომეყურა და ვიგუნებე ხომ არავინ გვესტუმრა-თქვა... (არავინ პასუხს არ აძლევს დორმიშხანის გარდა, ველას მის მუცელზე აქვს თვალი

მისობილი.) და ისე აგიხთინოთ ღმერთმა ყოველი კაი და კაი, რა-
ვალი თვალგასახარი ხალხი მობრძანებულა, არ გიკვირთ?

ლ ა ნ დ ა (გონს ყველაზე ადრე მოეგო და ეუეუნას გვერდით ჩამოჯდა). რას ერჩით, ჩვენი დედ... მასპინძელი სტუმართმოყვარეა.

ტ ა ს ი ა. აპა... რატომ იკადრებთ... სტუმარი, ჩემი კაცისგან გამიგონია, ღვთისაო... („ჩემი კაცისგან" ყველას შეაცბუნებს. პირმიქცეული დურმიშხანი ყურებზე ხელს აიფარებს.)

დ ი ტ ო. ოხ, მამაჩემო, შე ურთხმელის ჯირკო, შე დაუეანგავო ნაჯახო!

ლ ა ნ დ ა (ტასიას). მაგას რა შენი „კაცი" უნდა, ყველა მაგას არ ვიძახით?.. (თავისთვის.) მომკლა ამ სულელურმა სტუმართმოყვარეობამ.

ტ ა ს ი ა. ვიძახით. აპა, არ ვიძახით? მარა ქალი რო კაცის პატრონი გახდება, კაცის გუნებისად უნდა გაისარჯოს. (გოგოლას ჩააჩერდა.) ღმერთო მომკალი, ეს თვალადი ქალი, რავა ნამეტანი მეცნობა რაღაცა... (დაბნეული გოგოლა სახეს არიდებს.)

ეუ ე უ ნ ა. გენაცვალეთ... ეს ქალი აქ პირველადაა, ვიღაცაში გეშლებათ.

ტ ა ს ი ა. ნამდვილად?

ეუ ე უ ნ ა (დაცინვით.) „ნამდვილად", „ნამდვილად"!

ტ ა ს ი ა. თქვენ უკეთესად გეცოდინებათ, რათ უნდა ლაპარაკი, მარა... მე თვალებდასაბსებს ასე მგონია... საწყენად კი არ ვამბობ, ვითამ შენც მეცნობილებოდე...

ეუ ე უ ნ ა არა, გენაცვალეთ, საიდან?

ტ ა ს ი ა (ლანდაზე). ამ ბედაურ ქალზე კი ვერ ვიტყვი... მარა (დიტოზე.) ეს გაჯგიმული კაცი რო ვიცი, რა წყალში გადავვარდე?!

ლ ა ნ დ ა. არაფერი წყალში გადავარდნა არ გინდა, ვიღაცას მიაძგვანე... ამას გარდა, მოსარჩენი ქალის წყალში და მდინარეში გადავარდნა სახიფათოა, არ გეშინიათ, ბავშვს რომ რაიმე მოსწიოთ?

ტ ა ს ი ა. (მუცელზე ხელები იტაცა). უიმე, რავა ვთქვი მე სასიკვდილემ! მეშინია, ქალებო, აპა, არ მეშინია?

დ ი ტ ო. ოხ, მამაჩემო, მამაჩემო!..

ლ ა ნ დ ა. თქვენთვის მშობიარობა, მგონი, ისედაც დაგვიანებულია... თქვენს ასაკში...

ტ ა ს ი ა. ხანზე ამბობ, არა?

ლ ა ნ დ ა. დიახ, თქვენი ხნის ქალისათვის დიდი რისკია...

დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი (ვედრებით). ლანდა!..

ტ ა ს ი ა (ასლა დაინახა ღობის ძირას პირმიბრუნებული დურმიშხანი). იმე! (აქამდე რომ ზურგით იდგა, მობრუნდა.) რავალი კაი ჩასილალებული კაცი ყოფილა აგერ ღობის ძირში და რავა მომივიდა, რომ ვერ დავინახე... პირს რატო გვარიდებ, ბატონო, რაიმე უკადრი გაკადრეთ?!

ლ ა ნ დ ა. დაანებე თავი, კბილი სტკივა, თვითონაც არ იცის, რას შვრება.

ტ ა ს ი ა. ღმერთო მომკალი, ნამეტანი ძირმწარე ტკივილი იცის, მაგ ძირგასახმობმა კბილებმა. ჩემი კაცი ამბობს, დავისვენე, რაც დამცვინდაო.

ლ ა ნ დ ა. როგორ, თქვენს „კაცს" კბილები ალარა აქვს? ალბათ, აკლია, თითო-ოროლა ყველას გვაკლია.

ტ ა ს ი ა. თითო-ოროლა კი არა, ერთი... წამლად რო გინდოდეს, ერთი ძაფი კბილი არა აქვს. რაღა დროს მისი კბილებია...

ლ ა ნ დ ა. როგორ, მოხუცია?..

დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი (ვეღრებით). ლანდა!..

ტ ა ს ი ა (თანაგრძნობით). ნამეტანი გაწუხებთ, ბატონო, არა? ჩემი კაცი რო იყოს სახლში, რაღაცას გისაშველებდა, მარა მაგარ არაყს მეც ქე დაგავუბებიებ პირში.

ლ ა ნ დ ა. ნუ შეწუხდებით, მასე იცის მაგან, გაუვლის... მით უმეტეს შენი „კაცი" შინ არ ყოფილა.

ტ ა ს ი ა. ნამეტანი უკაცრავად ვარ, არა... არადა, იცოდე შენ, დააგვიანდება.

დ ი ტ ო. ოი, შე მუხლჩაუხრელი ბერიკაცო!

გ ო გ ო ლ ა (ოხერით). ღმერთო შე მადლიანო, რა შეგცოდეთ...

ე უ ე ნ ა. გენაცვალეთ, სანამდე უნდა ვეყაროთ ამ ქუჩაში... ამისთანა არაფერი არ მინდა...

ლ ა ნ დ ა. არ ვიცი, პირდაპირ! მაგრამ აგერ ამ ქალბატონს ეცოდინება, სადაა მისი „კაცი".

ტ ა ს ი ა. უი, ღმერთო, სული ამომწვალე, ჩვენთან ხართ და ჩემი კაცი გესაჭიროებათ. (გოგოლაზე.) რა ექნა? ნამეტანი შეცნობილება ეს პატიოსანი...

ლ ა ნ დ ა. კი, შენ „კაცთან" გვქონდა „პატარა" საქმე... ხომ ვერ გვეტყვი, რამდენი დააგვიანდება?

ტ ა ს ი ა. ახლავე ჩაგიკაკლავდით, მარა... (დურმიშხანს გადახედავს უხერხულად. დიტოზე.) ეს გადიდგინებული კაციც რომ მეცნობა, რა ვქნა კი აღარ ვიცი.

ე უ ე ე უ ნ ა. ჯახდაბას მაგისი თავი, შენ ეს თქვი, სადაა ეს ჩვენი... შენი „კაცი“.

ტ ა ს ი ა. ნამეტანი რომ მესირცხვილება...

ლ ა ნ დ ა (რძლებს გადაულაპარაკა). სად დადის ეს ბებერი ქოფაკი?.. (ტასიას დურმიშხანზე.) იმას ყურადღებას ნუ მიაქცევთ, კბილმა ყურიც აიტანია და ვერაფერს გაიგონებს. .

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. ლანდა!..

ე უ ე ე უ ნ ა (დიტოზე). ეს კიდევ ისეთი გათახსირებულია, არაფერი გაუკვირდება.

დ ი ტ ო. ეუეუნა, ვინ გგონივარ მე შენ, მაგალითისათვის...

ე უ ე ე უ ნ ა. ჩუუ! აცალე ადამიანს ლაპარაკი!

ტ ა ს ი ა. აპა, მაინცდამაინც უნდა ვთქვა?

გ ო გ ო ლ ა. თქვით, რაცა გვჭირს, იმაზე უარესი რა უნდა იქნეს...

ტ ა ს ი ა. აპა... (მაინც ხმას დაუწია.) ფერმაშია...

ლ ა ნ დ ა. რა ჯანდაბაა ეს ფერმა ასეთი და ამისთანა, რა სამარცხვინო საქმეს ეწევიან?! (ვერაფერი გაუგია.)

ტ ა ს ი ა. ფერმა კი არაფერი საძრახია, მარა ძროხა ყავს წაყვანილი.

ლ ა ნ დ ა. ან ძროხის წაყვანა რატომაა ასე თავსაჭრელი? რა ვიცი, გაზეთებმა, რადიომ და ტელევიზორმა ლამისაა თავზე დაგვასვას ძროხები და ხარები.

ტ ა ს ი ა. კი მარა, დასაგრილებლად ყავს წაყვანილი...

ლ ა ნ დ ა. დასცხა?!

ტ ა ს ი ა. ატყდა.

გ ო გ ო ლ ა (ლანდას გადაულაპარაკა). დასამაკებლად წაუყვანია.

ტ ა ს ი ა. ატეხილი ძროხა, მეტი რო არაფერი, ცოდვაა და ამას გარდა, საქონელმა რა იცოდა, თუ თქვენისთანა ნანატრი სტუმრები მოიგუნებებდნენ ჩემი კაცის მონახულებას.

ლ ა ნ დ ა. ეს თქვენი „კაცი“, ეტყობა, არაფერს არ ტოვებს უმემკვიდრეოდ.

ტ ა ს ი ა. არ იქნება, ქალბატონო, სხვანაირად, თუ არა კი. ხო გინდა რძე? გინდა. ყველიც გინდა, კარგია ხაჭაპური ცხელი, თუნთული, კვერცხვადასმული, დღენახევრის ჭყინტი ყველი უნდა ვაჭამ. მარილი ცრემლის გემოზე და ყოლიფერ ამას ძროხა შობა.

დ ი ტ ო. მე მართლა... დედაკაცო, საიდან იცი, რომ დააგვიანდება? იქნება მალე დაბრუნდეს... ოხ, მამაჩემო, მამაჩემო!..

ტ ა ს ი ა. ნამეტანი მეცნობა ეს გაჯვიმული კაცი და კი აღარ ვიცი რა ვქნა...

ქ უ ქ უ ნ ა. იცნობ თუ არ იცნობ, ჯანდაბას ჰაკის თავი, შენ ეს თქვი, ასე შორსაა ის ოხერი ფერმა?

ტ ა ს ი ა. ფერმა კი არაა შორს, მარა კუროა მარტოხელა...

ლ ა ნ დ ა. ღმერთმა დასწყეველოს, რ.ს ნიშნავს?

ტ ა ს ი ა. ერთი კაკალაა...

ლ ა ნ დ ა (რძლებს.) იქნებ თქვენ გამაგებინოთ, აბა, რამდენია საჭირო.

ღ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. ლანდა, ლანდა, რა ლაპარაკია ახლა ეს?!

ლ ა ნ დ ა. რა ლაპარაკია და სად ბრძანდება ეს თქვენი... მასპინძელი არ გავიგოთ?! სანამდე ვეყაროთ ამ ორღობეში? რისთვისაც ჩამოვედით, უნდა შეკუდგეთ, თუ რას აპირებთ?!

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. კი, ლანდა, კი, მაგრამ თუ სახლში არაა და (ტასიას მეცელს შეხედა, ყბა ჩამოეკარდა.) ძალიან ხომ არ დავაგვიანეთ...

გ ო გ ო ლ ა. ღმერთო, რატომ მოვაღწიეთ ამ დღემდე.

ქ უ ქ უ ნ ა. თავის მოჭრა და ცოცხლად დამარხვა!..

ლ ა ნ დ ა. კიდევ დაკჯდეთ და ეუცადოთ?! ღამდება...

დ ი ტ ო. ოხ, მამაჩემო, მამაჩემო, შე კაჟის ნატეხო ბერიკაცო!

ტ ა ს ი ა. ორი ანბანიც არ ვიცი მე უბედურმა და კი ვერაფერი გავიგე, მარა ნამეტანი გასაჭირი რო გადგათ, თვალში ვიხედები და ვხედავ, ახლა ასე... (მეცელზე დაიხედა.) უნაიროდ რო არ ვიყო, ჩეკირბენდი და ვეტყოდი...

ვ ო გ ო ლ ა (ამოიმოთქმა). კი მარა, ბოლოს და ბოლოს, აღარ მოვა?..

ტ ა ს ი ა. ღედა, რავა ნამეტურ მეცნობილება ეს გასახარელი... ვერ მოვა. მე რო ამბავი ვიცი, ვეტყვით, რო ვერ მოვა. უკაცრავად კი ვარ, მარა, ერთი კაკალა კუროა ამ სოფელში და ძროხა თითოთითო ქე გვყავს ყველას წელზე გამობმული. ჩვენთან ის დაფქვული და დაღერღილი რძე კი არაა. კურო, ქე გითხარით, ერთია. რა ქნას, თუ არა კი... ვერ გაწვდა ამდენ ძროხას... ვერ გაწვდა შაკდღიანი, პირდაპირ გული მოგეწვება ადამიანს მისი საცოდაობით.

დ ი ტ ო. მაგალითისათვის, კაცი ის ყოფილა!.. (მიხვდა ამ წამოტორტლილის უადგილობას.) ოხ, მამაჩემო!..

ქუქუნა. აჰ, კაცი არ ყოფილა, არა! კაცის ჭირმა გაგწყვიტათ შენ და შენი გვარი და...

ლანდა. რა ამბავია ამ დასაქცევში... კი მაგრამ, რალაცაა ის ხარი...

ტასია. რავა გეკადრებათ... ხარი რათ ვარგა... ისე კი დასდევს ძროხებს, მარა რათ გინდა რა...

ქუქუნა (დიტოზე). ამ გაჭირვებულივით...

დიტო. ბუღაა საჭირო, როგორც ასეთი, ბუღა მწარმოებელი...

ქუქუნა. რაცაა... გაწყდა მისი ჯილაგი, როგორ იყო აქამდე? გენაცვალეთ, იქ უნდა უჯდეს ადამიანი დილიდან საღამომდე?

გოგოლა. ვაი, რომ აღარც მე ვიცი, რა ხდება. იოველს თუ მაინც მიაწვდინეს ხმა...

ტასია. იოველი?! იოველი ჩემს გერს ჰქვია, თავმჯდომარე იყო ჩვენთან კაი ცხრა წელიწადი...

ქუქუნა. ეს სხვაზე ამბობს, სხვა იოველია.

ტასია. კი, მარა, რათ გინდა მერე... ირბინა საწყალმა, ხალხი ნამეტანს კი არ ენდუროდა, მარა შამეცალა სოფელი ხელში... გეგმა იზრდება, საქნარი მატულობს, მუშა კაცი ქე კლებულობს, თელათ უსაშველო რო გაჩდება, მოწაფეებს გამორეკავენ კლასებიდან და მოგვიდენიენ, ბოვშმა რა ქნას, ბატონო, ტყეულა ფეხებში გვედება და აღარც სტაველაა მისთვის. ბოვშის მუჭით მობდღვნილი თივა გააძღებს იმდენ დამშეულ საქონელს? ვერაფელი ვერ გააწყო ამ ჩვენმა იოველმა. ადგა უფროსობა და ქე გამოუფსკვნა კუდი.

ქუქუნა. გენაცვალეთ, ეს სხვა იოველია.

ტასია. კი მარა, მე ჩვენსაზე მეწვის გული. არ იყო სხვა თავმჯდომარეებივით მღლეტელი და იმიტო. ადამიანის გასაჭირი ეყურებოდა... მე, ობოლი, უპატრონო და უწიგნური რო ვიყავი...

ლანდა. იმას ჩომ არ გიმაჭანკლა?!

ტასია. დიდუ, რავა იკადრეთ!.. ჩემი კაცი მამაა იოველის... ჩვენი საქმე მერე მოხდა, აქედან რომ კუდი გამოუფსკვნეს, თვარა ვინ გაბედავდა. სანამდე იყო, ქე ეჭირა თვალი აქოურობაზე. საწყალი ჩემი კაცი... მერე იყო, რო ხამეტანი გაუჭირდა..

ლანდა. და აიღო და დაქორწინდა?!

ტასია. რავა გეკადრებათ! ჩვენი ქორწილი ვინ ვეიგონა. მეც უპატრონო ვიყავი, ისიც და შარშანწინ, თოვლობაზე რო ურემი გადოუბრუნდა და ბარძაყზე დეეცა...

ლ ი ტ ო. უჰ, შე კერპო ბერიკაცო, არ მოეშვი ამ ხარს და ურემს!

ტ ა ს ი ა. ნამეტანი კაი შვილების პატრონია ჩემი კაცი... ახალ თავმჯდომარეს მეეშინდა და ფერმიდან მომამაგრეს... შრომადღეებს ქე გაგიტარებთო და ძროხების მწყემსვას ადაძიანი მერჩია. ყოველთვის დანატრული ვიყავი კაცის მუსაიფს. საქონელს ქე ელაპარაკები, ეყურება, მარა პასუხს კი ვერ მოგცემს...

ლ ა ნ დ ა. ჰოდა, შენ და შენმა „კაცმა" გააბით მუსაიფი? მაინც რა გელაპარაკა?!.

დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი. ლანდა...

ტ ა ს ი ა (დურმიშხანს). ძალიან გაწუხებს, ბატონო, ვაგ ძირგასახმობი, არა?

ლ ა ნ დ ა. დაანებე თავი, ყურს ნუ უგდებ.

ტ ა ს ი ა. სიტყვას გეტყვის, ქალებო!.. სიტყვას გეტყვის!..

ლ ა ნ დ ა. შენი „კაცი" ხომ?

ტ ა ს ი ა. აპა!.. სიტყვას გეტყვის!.. აღერ ახლა ხომ სობანეა, ხელის გულივითაა ხომ? ვარდი და ზაფრანა აყვავდება...

ლ ი ტ ო. ეუ, მამაჩემო, შე ძველო მუსუსო!

ტ ა ს ი ა. მამაშენი რატომ... (დაიბნა.)

ჟ უ ჟ უ ნ ა. შენმა კაცმა მამამისი გააბსენა. ასეთია თვითონაც და მამამისიც...

ტ ა ს ი ა. უი, რავალი კაი ხალხი ყოფილა!.. დაბრძანდით, ჩემო პატონო... მაინც რაღაცა მეცნობილებით...

გ ო გ ო ლ ა. ღმერთო, რა შეგცოდეთ ასეთი?!..

ჟ უ ჟ უ ნ ა (ტასიას). მერე, გენაცვალეთ, კი შეჭუკჭუკდით ამნაირად, არა?

ლ ა ნ დ ა. ვარდის და იასამნის წალკოტი გაუშენებია ამ ჩვენს... იმ კაცს და საქონლის ნაკელში გდებას ბაღში არ ერჩია?

დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი. ლანდა, რაღაც საშველი გამიჩინე, ლანდა...

ლ ი ტ ო. მამაჩემო, შე ძველო აშიყო... შენ რა გითხარი, შენ, მე!

ტ ა ს ი ა. აჰ, არა! აშიყი და უკადრი რამე, რავა გეკადრებათ...

ლ ა ნ დ ა. აქაურობისას ხომ ვერაფერს გაიგებს ადამიანი... თუ არაფერი უკადრებია (მუცელზე ანიშნებს.) ეს როგორ, ღვთისმშობელი ხარ?!

ტ ა ს ი ა. უი, მომეჭრა თავი! (უკან უკან იხევს.) ეს მერე, ქალებო. ეს მერე იყო, უშვილძირობამ ნამეტანი რომ შეგვაწუხა.

ქუქუნა. გეწაცვალეთ, შენ თუ არა, იმ შენს „კაცს“ ხომ ოთხი შვილი ჰყავს?

ტასია. კი მარა... ჩემი კაცი ინნეირად იტყვის, ნამეტანი მოგეწონება, ნამეტახი გვიმეება. მარა ხეირიანად კი ვერ გეიგებ.

ლანდა. აბა, წელან უდაბნოში ედემის ბაღს გაგიშენებსო?

ტასია. კი, ბაღს და ბაღჩას კი... და დადიხარ ამ ყვავილებში, დადიხარ... გულს უხარია, მარა გზას ვერ გეიგნებ.

დიტო. მამაჩემო, მამაჩემო, შე ძველო ენაკოლოფო!

დურმიშხანი (შუბლზე ხელებმოკერილი წამოვარდება). ქალო, ძე ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს, დაადგება საშველი და ის ბერიკაცი ბოლოს და ბოლოს მოვა სახლში თუ არა?!

ლანდა. დაეტიე მანდ!

დურმიშხანი. აღარ შემიძლია, ლანდა, ადამიანი არ ხარ?..

ტასია. ძალიან შემოუტია იმ ძირგასახმობმა, მობრძანდით, მაგარი არაყი დაიგუბეთ პირში, იქნება ქე გისაშველოთ.

დურმიშხანი. მოვა თუ არ მოვა?..

ტასია. ღმერთო, სული ამომხადე, რავალი ჩაგალტუკებული ხალხი შეწუბდა... ქე გითხარი, ბატონო, ვერ მოვა ჯერჯერობით...

დურმიშხანი. რატომ, რატომ?!

ტასია. ერთი კაკალაა... რავა მთლად გამოვეჩენდი... კურო მარტოხელაა ამოდენა სოფელში, ძროხა თითო-თითო ქე გვყავს, ისე არ ვარგივართ და იმიტო.

დიტო. მე ვერაფრით ვერ დავიჯერებ, რომ მოზვრები არ იყოს სოფელში, როგორც ასეთი...

ტასია. ხბოობაზე ყიდიან საწვადეთ, ბატონო, ნამეტანი აქებენ ხბოის წვადს, ქე გეცოდინებათ და, ერთი თვის ხბოში მეტს იღებენ. წლინახევრის მოზვერში ყასბები იმდენს არ მოგცემენ და რატომ უნდა ზარდო, ასვა და აჭამო, უხვეტო ნაკელი და უსვა თავზე ხელი. გაზრდი და ხარია. ხარი კოლექტივმა „აწყვიტა“, ჩააბარა სახორცეთ და გლეხს რაღათ უნდა. ჩვენს საურმე გზებზე ტრაქტორები დაბრიხინობს.

დიტო. მერე ტრაქტორი ცუდია, ქალო?!

ტასია. არა, ბატონო, ჩემი კაცი...

დურმიშხანი. არ უნდა მაგას შენი „კაცი“...

ტასია. კაია, ნამეტანი კაია. მარა ძროხას კურო უნდა...

დიტო. ოხ, თქვენ რა გითხარით მე, თქვენ!.. მერე ფერმას ხომ ყავს.

ტ ა ს ი ა. ქე გითხარით, ყავს, მარა ერთი კაკალაა და ვერ წვდება...

ს უ ჟ უ ნ ა. ბოლოს და ბოლოს, რიგია თუ რა ჯანდაბაა... ამისთანა უსაშველო?

ტ ა ს ი ა. არც რიგი შველის და არც წესი, ბატონო.

ს უ ჟ უ ნ ა. გენაცვალეთ, ამისთანა არაფერი მინდა... აქ გზაში ხომ არ უნდა დავალამოთ, გავათენოთ...

ტ ა ს ი ა. ვერავინ იტყვის, როდის მოიგუნებებს... უნდა უცადოს...

დ ი ტ ო. რას, მაგალითისათვის, მოზვერს?

ტ ა ს ი ა. თელათ გამოვედი ნამუსიდან... ბუღას, ბატონო... საქონელი როა, იმასაც ქე უჭირს. ნამეტან უსაშველოს ვუჩენთ და თვალის დასანახავად ყავს ძროხა შეძულებული.

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. რა საძაგლობაა, დაანებეთ თავი, ბოლოს და ბოლოს... ლანდა...

ტ ა ს ი ა. რო დავანებოთ, ხვადაგმა რა ქნას, ყველას გეიჭირს, ბატონო, უნდა მივუდენოთ და ვუცადოთ, როდის მოიგუნებებს...

დ ი ტ ო. ოხ, მამაჩემო!.. როდის დაგადგება საშველი...

ტ ა ს ი ა. ახლა რო ალარ მოაშორებ და ალარ მოაშორებ... მიხვდება ჩემი საშველი არაო და... ასე გვიჭირს კაცსაც და საქონელსაც...

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. ახლა მაინცაა ნებართვა, რამდენიც გინდა, იყოლიეთ, მაგ გასაწყვეტი!

ტ ა ს ი ა. ნება კია, მარა ტყე და საბალახო ალარაა. ჩაი ხო დავრგეთ... ფულს ქე აკეთებენ ქალები, ვისაც იმ გაგანია სიცხეში წაკუზული დგომა შეუძლია. ბალახიც რო ბალახად გადაშენდა... რაღაცა საწამლავი მოვაყარეთ, ძირფესვიანად გაახმო და მოაკვინკვილა; ალარც ყანამ ივარგა, ალარც ბოგა და ბოსელი გვაქ ორი და სამი სულისთვის. ადრე ნება რო ალარ იყო, თითო ხვადაგის საბამი გავაკეთეთ. მერედა, თქვენ არ გეცოდინებათ, გლეხი ეშმაკია, რომ მოვაშენოთ და ჩამოგვართვასო...

დ ი ტ ო. ოხ, მამაჩემო, მამაჩემო! რაღა ჯანდაბა გინდა ამ დაქცეულ სოფელში, რომ მიასვი ფეხი, ოჩანი ცხენივით!

ისმის მანქანის ხმა, ყველანი გზას მიაჩერდებიან და ამოისუნთქავენ.

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი (შვებით). იოველ, ძმაო, იოველ!

დ ი ტ ო. შენ რა გითხარი მე შენ, იოველ, სადა ხარ, კაცო?!

გ ო გ ო ლ ა. ეშველა?

ტ ა ს ი ა. დიდუ! ეს ჩემი გერი არაა? იცანით თუ?! ღმერთო, რატომ

მიდგია პირში სული! (უკან-უკან იხევს, კუტკარში მიძვრება). თუ იცნობდით და თუ ასე იყო საქმე... რატომ მიქნინით... რატომ მომჭერით თავი... ქე გითხარით, მეცნობილებით-თქვა... რო არ მეთქვა კი და, ხო გითხარით, რალა ვქნა ახლა, რა წყალს და ბდინარეს მიკცე თავი?.. (შედის უაღრესად შეპირვებული და შერცხვენილი. არავინ ყურადღებას არ აქცევს... შემოდიან ი ო ვ ე ლ ი, ბ უ ხ უ ტ ი და ცაგო.)

ი ო ვ ე ლ ი. გამარჯობათ! (თავს მძიმედ დაიქნევს.)

ვ ო გ ო ლ ა. სად გადაგკარგეს, იოველ, სად ჯანდაბაშია ის სოფელი, რომ კაცი ხმას ვერ მოგაწუდენს?!

ც ა გ ო. დავიტანჯეთ პირდაპირ, რა კლდე-ღრეში ვიარეთ, დალეწა ბუხუტიმ მანქანა. მაგას რა ენაღვლება რა!..

ბ უ ხ უ ტ ი. დამიწყე ახლა!..

ც ა გ ო. მანქანა, ცეცხლის ფასია მიცემული... აღარც ამდენი ჯაყჯაყი შემიძლია.

ვ ო გ ო ლ ა. დავამტვრიეთ ტელეფონი, იოველ!

ი ო ვ ე ლ ი. ტელეფონი?! ჩვენი ტელეფონი?!.

ბ უ ხ უ ტ ი. ტყეში ტელეფონის ვარიანტი გამორიცხულია. მთაში თურმე ახლაც აკლიათ კულტურა.

ი ო ვ ე ლ ი. რა დროს ეგაა, ან რას უდგეხართ, მე დღეს სულ რომ არ გამოვჩენილიყავი აქ, ჭიშკართან აპირებდით ჯდომას?

ვ ო გ ო ლ ა (წამოიმოთქმა). იოველ, სად მივიდეთ? ვისთან მივიდეთ?!

ი ო ვ ე ლ ი. კმარა მოთქმა და თავში ხელის ცემა. ლროა გაიგო... (მიდის ჭიშკრის გასაღებად.)

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. არა, იოველ ძმაო, მე არ შემიძლია...

ბ უ ხ უ ტ ი (ცაგოს). შენ მამაშენთან ვერ დარჩი?

ც ა გ ო. მამაჩემს ასე ერთი კაკალა მივადგე? და ამას გარდა, ჩემი მამამთილის გადამკიდე, სოფელში როგორ გამოვჩნდე? ერცხვენია. სულ აღარ გიყვარვარ ბუხუტი!

ლ ა ნ დ ა (ჭიშკრისკენ მიდის. დურმიშხანს). ადექი ზევით! მოდი და გააღეთ ეს საროსკიპოს კარები! (აღებენ ჭიშკარს და ეზოში შედიან.)

სურათი მეორე

პალატის, სოხანიანი, ფართო ოთახი ბუხრით. ბუხარში ნაკაზე კარდალა კიდია. იქვეა შიდგმული ქოთანი და კეცები. კუთხეში ფარდაგაფარებული ტახტი. გვერდით ბამბუკის თარო წიგნებით. ტელევიზორი. ბუხრის ზემოთ კოქებზე პილპილის, ზაფრანის და ნიორის აკიდულები კიდია. პალატის ბოლოში კედლის გასწვრივ საწნახელი, სარცხი, ორშიმო, ჭურის თაღები, კოკები, ტენიანი დოქები და სხვა საღვინე ჭურჭლები... ტახტს ზევით, კედელზე კესარიას გადიდებული სურათია.

შემოფარცუნდა დამფრთხალი, სასოწარკვეთილი და თეალტირებული ტასია.

ტ ა ს ი ა. დედა, დედა!.. რატო მიდგია პირში სული... რალა მეშველება მე უბედურს და შავდლიანს, რო აღარ ვიცი?.. ქე შევიცანი, მარა... რავა მეგონა... რავა მეგონა, თუ ამისთანა თვალგასახარი ხალხი, ამისთანა უკადრს იკადრებდა: „შენ რო გგონია, ის არა ვართო“ და სხვანაირად რაფრა გამეგო. (ფანჯარაში იყურება.) დედა, ღმერთო, ახლავე სული ამომწვალე... რავა არ გამიხმა ენის კლიტე, არ ჩამივარდა პირში ალის ქარი! ან ამათ რა თვალით შევხედო და ან ჩემი კაცი რო მოვა, რა პირით დავხვდე... (შეიცხადა.) იმე, იმე! რატო იკადრეს ამფერი უკადრი... ამნაირმა ბლაოჩინმა კაცებმა და ანგეშივით ქალებმა... მე, მე თვალდამდგარს, რავარც მეუბნებიენ, ისე მეყურება... ის ხო იოველია და იოველია, ეს კიდევ ცაგოა, ჩვენი იორდანეს გოგო... დედა, დედა, რავა თელათ გადაკრიალებულა, პირკალივით გახდომია ყელ-კისერი, მაყვალივით ქე იყო, მე რო მახსოვს. ბუხუტიც ქე ვიცი, მე შავდლიანმა, ნაპეტანი შეპატიებულია თვარა... თელათ პრაპეზორიაო, კარპე ამბობდა... უი, მართლა, კარპე! ეგება კარპესთან მაინც გადავფოხიალდე და იმან მაინც უთხრას ორი ღერი სიტყვა. ნახევარჯერ ქალაქში დადის, ჩემი კაცის ნათქვამი ყოლიფერი ეყურება, კი, კი. მე ქვესკნელი უნდა გევითხარო და ჩავვარდე. (მუცელზე ორივე ხელს იტაცებს და ფაცხაფუცხით უკანა კარში მიიმალება. შეიოდიან იოველი, დიტო, ქუქუნა, ლანდა, გოგოლა და ცაგო, ბუხუტის მხარზე ჩამოკიდებული დურმიშხანი.)

გ ო გ ო ლ ა (კესარიას სურათს მიაჩერდება, ტახტზე დაემხობა). დედა! დედა, გაიხარე, დედა! შვილი და მომაკალი მოგვიდა, დედა!

ქ უ ქ უ ნ ა. დედა, გენაცვალე, დედა! მოვედით, დედა!

დ ი ტ ო. დედა! მე ვერაფრით ვერ დავიჯერებ, დედა, რომ შენ აქ აღარა ხარ, დედა!

ღ ურ მ ი შ ხ ა ნ ი. დედა, მშობელო დედა!.. (ფლიქვინებს.)
აკრემლებული ოთელი ტახტის კუთხეში ჯდება, გოგოლა სურათს მოთქმით ახედავს.

გ ო გ ო ლ ა. დედა, შენი მონაგარი მოგვიდა, დედა! გაიხარე და დატრიალდი, შენ რომ იცოდი!.. გაგვეცი, დედა, ხმა! ნამეტანი პატიშავად კი ვართ, დედა! ისე ამოგხდა სული, ერთი ღამე ვერ გაგითიეთ!.. დედა, ბუსუტი მოგვიდა, შენი ნაბოლარა და გაშორჩეული... აგისრულა, დედა, დანაპირები. ამის დარდი ჩაგყვა საფლავში, ერთი შვილი მეც ბუოლოდა პროფესორიო და, ა, დედა, შენი მეცნიერი შვილი! ამას მაინც რაღას ემდური, დედა? ცალკომაც ხომ კაგიმართლა, დედა. უსწავლელია, ჩვენს ოჯახში რა უნდოდაო. ექიმი რძალი დაგიბრუნდა, ჩვენ თუ გვემდური, ამათ რაღას ეპართლები, დედაა!..

ე უ ჯ უ ნ ა. დედა, გენაცვალე, დიტო სხვა რაიონში რომ არ გადაეყვანათ, სიკვდილის წინ მაინც ჩამოგაკითხავდით.

გ ო გ ო ლ ა (გაახსენდა და ხელი ლოყაზე შემოიკრა). თურმე ჩვენს ხატვრაში ამოგხდენია სული, დედა!..

ლ ა ნ დ ა. ჰო, გაიხარებს და ადგება საფლავიდან... აქ გამოგლოვილია ეს ქალი და დავიწყებული, რაღა დროს მოთქმაა, ვერაფერი გაშიგია.

ღ ურ მ ი შ ხ ა ნ ი. დედა, დაუვიწყარო დედა, მშობელო დედა!..

გ ო გ ო ლ ა. დიდუ, დედა, დაგვევსო თვალები! დაგვღუბა და დაგვაქცია შენმა სიკვდილმა, დედა!

ე უ ჯ უ ნ ა. ვინაა, დედა, გენაცვალე, შენს ოჯახში შენი მაგიერი რომ დადის!

გ ო გ ო ლ ა. შენს ნაშრომში და ნაწვავ-ნადაგში, რას მოგვასწარი, დედა!

ლ ა ნ დ ა. შერცხვენილი და თავლაფდასხმული ოჯახი!

ღ ურ მ ი შ ხ ა ნ ი. ლანდა... შემიბრალე, ლანდა, ნუ ამბობ, ლანდა!..

ლ ა ნ დ ა. რას ნუ ვამბობ! ასე იყო, რომ გაიგე მამაშენის კაი კაცობის ამბავი, მაშინაც იძახოდი, არ დაიჯერო, შემიბრალე, არაფერი თქვა, არავინ გაიგისო. ნუ გეშინია იქაურობას არავინ წაგართმევსო. მე არაფერი ვთქვი, მაგრამ ხვალ რომ შენი ძამიკო აჩხავლდება, პირზე თუ ბოქლომს დაადებ, იმასაც ვნახავ!

ე უ ჯ უ ნ ა. გენაცვალეთ, დღე დღეზე დაახვარხვალებს ბიჭს!

ბ უ ხ უ ტ ი. დავიჯერო, წინასწარი პროგნოზები არსებობს? მაინცდამაინც ბიჭი იქნება?..

ც ა გ ო. ჩუ, ბუხუტი, რა მნიშვნელობა აქვს, გოგო იქნება თუ ბიჭი?

ქ უ ქ უ ნ ა. აგერაა ცაგო, რაკარც დაინახავს, მაშინვე მიხვდება. ბიჭია!..

დ ი ტ ო. მამაჩემო, შე ძველო, ბიჭებს აკეთებდი შენ ყოველთვის!

ქ უ ქ უ ნ ა. გაგიხმა ენა! რას ამბობს გენაცვალეთ, რას ამბობს... თქვენ გგონიათ ჩვენსავით ცხვენია ამ უსინდისოს და ჩვენსავით ესაკდება მიწა?

დ ი ტ ო. მე ვერაფრით ვერ დავიჯერებ, რომ ეს ახლა... ახლა კი არა, მაშინაც... მაგალითისათვის... ჩვენ ყველანი ბიჭები ვართ!

ქ უ ქ უ ნ ა. რაღა გიჭირთ, ერთი კიდევ მოგემატებათ!..

ი ო ვ ე ლ ი. კმარა, დაამთავრეთ... დროა საქმეზე, საქმეზე ვიფიქროთ!

ბ ო ბ ო ლ ა. იოველ, რაღაზე ვიფიქროთ და ვილაპარაკოთ, რა ხმა გვაქვს აბოსაღები!

ლ ა ნ დ ა. აბა, დავჯდეთ, ვიმოთქმოთ და ველოდოთ, ჩვენი მამამთილი ძეობას როდის გადაიხდის? ცაგო, შენ ხომ მზად წამოხვედი?

ც ა გ ო. მე, ლანდა, რა თქმა უნდა, მაგრამ ავადმყოფი ჯერ თვალითაც არ მინახავს...

ლ ა ნ დ ა. ავადმყოფი კი არა, ჩვენ ოთხივეს აგვიწონის...

ც ა გ ო. ახლა, თუ ნამეტანი დაგვიანებულია...

ლ ა ნ დ ა. დაგვიანებულია თუ დაადრებული, მაგი არ კიცით ჩვენ!

ტ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. ლანდა, ქალი რომ მოკვდეს, ხომ იცი, თანაძღებობას დავკარკავ!

ლ ა ნ დ ა. ისედაც დაკარგე, შე თვალდამდგარო, მინისტრი კაცი ინსტიტუტის დირექტორი გინდ ყოფილხარ და გინდ არა!

ტ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. რაც არ უნდა იყოს... ახლა ვინ არ იცის, თავის ადგილზე არავინ დატოვეს...

ლ ა ნ დ ა. უნდა ჩავარდნოდი ფეხებში, გითხარი მე შენ!

ტ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. კი, ლანდა, კი, მაგრამ ახლოს ვინ მიმიშვა!

ლ ა ნ დ ა. უნდა აგეგდო ქვა და თავი შეგეშვირა, უნდა აყვირებულიყავი, თავს მოვიკლავ, ფანჯრიდან გადავვარდები-თქო! შენ იცი რას ნიშნავს, მინისტრმა რომ იშვიროს ფეხი და ფანჯრიდან გადმოხტეს? საავადმყოფოში უნდა დაწოლილიყავი, ინფარქტი მერე კი არა, თავიდან უნდა დაგერტყა. შეჩერდებოდა შენი სა-

კითხი და მერე მიავიწყდებოდი, შენზე ჭკვიანი და პატიოსანი გგონია, ვინც შენს სკამზე დაჯდა?

დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი. შავი მანქანა და შოფერი ახლაც გვყავს და ამასაც დავკარგავთ, ლანდა, ადამიანს რომ რაიმე მოვწიოთ!

ლ ა ნ დ ა. დღე-დღეზე რომ ძმა შევეძინება და შენს შვილიშვილს მასზე უმცროსი ბაბუა ეყოლება, ეს არაა ამორალური საქციელი? და გგონია თვალებში გაკოცებენ?!

დ ი ტ ო. მამაჩემო, შე ქვა და რკინავ! გვღუპავ, მამაჩვენო, შენ ჩვენ!..

ქ უ ქ უ ნ ა. აბა, გენაცვალეთ, ყოველნაირად ვიღუპებით, ყოველნაირად! (გარედან კარპეს ხმა: ნათლია!)

ლ ა ნ დ ა. ეს ვინლაა? ჰო, ეს ის თქვენი... მამათქვენის ნათლულია? მე ამის ლათაიების თავი აღარა მაქვს. (წასვლას აპირებს, მაგრამ არ იცის სად წავიდეს.)

(კარპეს ხმა: აგაბო ნათლია!)

ვ ო გ ო ლ ა. ლანდა, შენი ჭირიმე, კარპე ამ ოჯახის წევრივითაა, რა მოსარიდალია.

ქ უ ქ უ ნ ა. გენაცვალეთ, ოჯახში მეზობლის ასე გაშინაურება არაა ლამაზი. ბუხუტის და ცაგოს ქორწილის წინა დღეები რომ გამახსენდება... სანამუსო ვერაფერი გითქვამს ადამიანს.

ლ ა ნ დ ა. თქვენი ვერაფერი გამიგია, ამისთანა სახათაბალო საქმეზე, ეს ენაგატყაული გლეხი... რა საჭიროა!

დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი. ლანდა, კარპე ჩვენთან ერთად გაიზარდა, ლანდა!..

ლ ა ნ დ ა. თქვენთან გაზრდილს კი არა, ამას იმას ვერ ენდობი...

ცა გ ო. ახლა თუ ძალიან გვიანაა... ბუხუტი, ამოიღე ხმა, სულ აღარ გიყვარვარ, ბუხუტი.

ბ უ ხ უ ტ ი. მე რა ვთქვა... ყველამ იცით, ინსტიტუტში ოპტიმალურად ვასწავლი და ეს სტუდენტებმა რომ გაიგონ, არავითარი შემართება არ მიშველის, ლექციები ჩამეშლება. ასე რომ ყველამ აბორტები აკეთონ, ეს ხომ ამორალობაა!..

დ ი ტ ო. მამაჩემო, შე ძველო ამორალო! შენ!

(კარპეს ხმა: ნათლია! ეს ჭიშკარი რომ ღიად დაუტოვებიათ, თუ საჭირო არ იყო ჭიშკარი, ნათლიაჩემი არ ჩამოკიდებდა! დაკარგეთ ჭკუა?!)

ლ ა ნ დ ა. ე, იქიდანვე დაიწყო შეგონება და ჭკუის სწავლება... დურმიშხან, გადი და აქ არ დაინახოს ჩემმა თვალებმა!

დ ო ო ბ ი შ ხ ა ნ ი. ლანდა, მე კი, მაგრამ... ლანდა, კარპე აქ ჩემზე უფრო...

ლ ა ნ დ ა. როგორ ფიქრობ, სახლიდან ხომ არ გაგვყრის, თუ იცი, მაგისიც ხომ არაა აქაურობა?

(კარპე დაუკითხავად შემოაღებს კარებს.)

კ ა რ პ ე. ეუბ, ეს რა ამბავია, კაცო! თუ თვალი არ მატყუებს და მართლა თქვენა ხართ. კიდევ გიცახით, კაცო, ნეტავ სიკვდილამდე გამყვებოდეს ეს მახსოვრობა... ოჰ, ბუხუტი! (ეხვევა.) პროფესორი კაცი... საწყალი კესარია მოსწრებოდა, იცოდე შენ, არ მოკვდებოდა. აცხონა ღმერთმა, სიკვდილის წინ... ნათლიაჩემი არაა ხომ სახლში, ვიცი, ძროხა წაიყვანა დასაკარგებლად... (სურათს ახედა.) საწყალმა, სიკვდილის წინ დამიბარა, აგაბოსთან არ გამამხილო და თუ ჩემი ნაბოლარას გაპროფესორებას მოესწარი, მოდი და საფლავში მახარე, თორემ მკვდარი ავდგებიო.

გ ო გ ო ლ ა. უბედური დედა, როგორ გაიხარებდა!..

კ ა რ პ ე. გადავყევით ცხონებულის დამარხვას, მერე რა ამინდი დაგვესწრო. კი გემახსოვრებათ, ძლივს მივაბარეთ მიწას ის წარღვნაში და ახლავე უნდა გავიქცე სასაფლაოზე, ვახარო, თუ არა, რომ ადგეს და მოგვადგეს, რაღა პირით დავხვდეთ, ან ტასია სად გადავმალოთ, ქოლიევით გაბდღვნის ამ მოსარჩენ ქალს, ან ჩვენ რაფერ გადავურჩებით!..

ლ ა ნ დ ა. ღმერთო ჩემო, ეს ხალხი ჭკუიდან შეშლილს, როგორ! აქ უნდა ვმჯდარიყავით, ამ ნაცარში (ეერიას მიათითა.) და გვემწყემსა ეს თახსირი ხალხი, რომ ბავშვები არ ეკეთებიათ? რას გაკს ეს!.

ე ე ე ე ნ ა. გენაცვალეთ, ნეტავი რა უნდა გვეკნა?..

გ ო გ ო ლ ა. ყურის გდება კი უნდა მოხუცს...

კ ა რ პ ე (ლანდაზე). ჰო, ეს დურმიშხანის მეუღლეა, ვიცანი, ვიცანი! კოკი, სადა ხარ, კაცო?! (მიეიდა. მკლავი მოხვია.) ახლა მაინც რაღატომ არ ჩანხარ, ბგონი, იმ უშველებელი ადგილიდან გადმოგაბრძანეს, მოიკიდეს შენი მადლი...

დ ი ტ ო. კარპე, შე მაძაჩემის ნატეხო! ჩვენ ძმობაში... შენ ხომ იცი, საწყენი ერთს რომ უთხრა, ყველას ეუბნები...

კ ა რ პ ე. ოჰ, დიტო, შე კაცო! შენ მგონი, სადღაც სხვაგან დაგაწინაურეს, თუ ასე დასაწინაურებელი და საპირო კაცი იყავი, ჩვენ-

მა თავმა რა ქვა გკრა? აქეთ ვერ იყავი, ჩვენც ძოგვხედავდი?

დ ი ტ ო. კარპე, რომ იცოდე შენ, ჩვენ სადაც საჭიროა, მაგალითისათვის იქა ვართ!

კ ა რ პ ე. ვითომ, რაიონი ჩვენცა გვაქვს... ჩვენი თავმჯდომარისა არ იყოს...

ი ო ვ ე ლ ი. კარგი, კარპე, კარგი!..

კ ა რ პ ე. რა ვიცი, ძაღლი შინ არ ვარგოდა, სანადიროდ მიჰყავდათო... შენგან გამიგონია...

დ ი ტ ო. კარპე რომ იცოდე, ჩვენ არავის არაფერს არ შევარჩენთ.

კ ა რ პ ე. დიტო, შე ბიკელო, საწყენად არ ვაბბობ.

დ ი ტ ო. არ ამბობ, მაგრამ მე რომ ვუკვირდები, იცოდე შენ, მაინც ამბობ!

ლ ა ნ დ ა (დურმიშხანს). შე თვალდამდგარო, გაიგონე რა გითხრა?!

დ ู რ მ ი შ ხ ა ნ ი. ლანდა... შენ ხომ იცი და... აქაც იციან... კარპე, ჩვენ ერთად არ დავბადებულვართ, მაგრამ ერთად გავიზარდეთ... ხომ უნდა გამიგო, კარპე.

კ ა რ პ ე. რომ გავიგე და ვიცი შენი ამბავი, იმიტომ გითხარი, პატარა, რამდენსაც გაწვდები, იმისთანა საქმე გირჩევნია. რად მინდა ახლა, მე სადაც დარაჯი ვარ, იმ დაწესებულების უფროსად რომ გამამწესონ... ის კი არა და, დარაჯადაც არ ვვარგივარ, დაღლილს სანახევროდ ფეხზე მძინავს. კოკი, არ გახსოვს, აგაბო საქონელს რომ გაგატანდა საწყესავად, საწყალი კესარია, დაადგა ნათელი, მინდორში სამჯერ მაინც ჩამოგაკითხავდა, არ დაკარგოსო!

ლ ა ნ დ ა. ხედავ, შე უბედურო? თუ, თვალები სულ დაგეკარგოს? ესენი გაგიგებენ?!

დ ู რ მ ი შ ხ ა ნ ი. ახლა... ლანდა, მეკარგებოდა ეს საქონელი და კარპემ რა ქნას!

ლ ა ნ დ ა. მაინცდამაინც კარგი მწყემსი და მეღორე უნდა იყოს ადამიანი, რომ კარგი მინისტრი გახდეს? რას ჰგავს ეს ყველაფერი!

ი ო ვ ე ლ ი. კარგი, კარპე, კარგი, გათავდეს ამაზე ლაპარაკი!

კ ა რ პ ე. სიტყვაზე ვთქვი თუ არა... ისე რავა ხართ?.. ჰო, მართლა, კოკი, შვილიშვილი რავა გყავს? მგონი, მეცხრე კლასში იყო ნინო, რომ მოგტაცეს არა? კარგია, ყველაფერი ნაადრი ჯობია ეს იმის ბრალია, იმ უწველებელ ადგილზე რომ იჯექი, თუ არა ის შენი სიძე ისე სულწასულად ქალიშვილს არ აგწაპნიდა, ახლა კი დაგრჩა ხელში, შვილიშვილის პატრონი ხარ.

ბ ო ბ ო ლ ა. იმას შემოევლოს ჩემი სიცოცხლე, იგი ჩვენი ყველას სიხარული და ბედნიერებაა!

ლ ა ნ დ ა. ჩემს შვილიშვილზე კი არა, თქვენს ახალ ნათლიის შვილზე ილაპარაკე! სხვის თვალში რომ ბეწვს ხედავთ და თქვენს დასამსებ თვალში არ იხედებით, გათახსირებული ხალხი!

კ ა რ პ ე. ეს შენი მეუღლე, ალბათ, იმაზეა გაგულისებული, აგერ ცოტა... ამ ბოლო დროს... ჰო, პატარა... ნათლიაჩემი რომ ძოგვიანებით ისევ დაცოლშვილდა.. და ტასიამაც ორსულობა რომ ახლა გამეიწყო...

ი ო ე ე ლ ი. კარპე, მორჩი, მორჩი, თუ კაცი ხარ, ტვინი ნე ამოჭამე!

ლ ი ტ ო. მე ვერაფრით ვერ დავიჯერებ, კარპე, მამაჩემს და ჰაძაჩემივით... რას ფიქრობ შენ?

ბ უ ხ უ ტ ი. კარპე... რა გითხრა, მაგრამ ახლა შენც, მაღალ დოხეზე, უნდა გაგიკვეთ.

ც ა გ ო. კარპე, მართლა და მართლა, სირცხვილია, როგორ შეიძლება...

კ ა რ პ ე. ოპ, ცაგო, შენც აქა ხარ? რავა სულ დეიეიწყე საწყალი მამაშენი. ვერაა კარგად ირდანე. ექიმ შკილს თუ ეღირსებოდა და რაიმე გაეჭირდებოდა ეგონა?

ც ა გ ო. მე, კარპე, გი-გი-გინ... ქალების ექიმი ვარ, ბუხუტი, ექიმი ყველა ერთნაირი რატომ ჰგონიათ?

კ ა რ პ ე. ვიცი, ვიცი! გამეხსენდა... ამბობდნენ. ხომ იცით, სოფელს ცალი თვალი და ყური ქალაქისკენა აქვს, თუ ვინმე გააჩნია, იქა ყავს და აბა, საით იყუროს... ამბობდნენ, ცაგოს კარებზე რიგი აქვსო, ამიტომაც ვერ იცლისო. თუ ასე გაგრძელდაო, კოწიეს ბიჭი იკრიჭებოდა, შოფერი რომაა, ცაგო ისე დაოსტატებულა ქალების მუცლის მოშლახეო, იმოდენა ქალაქში მალე ორსული ქალი სანთლით საძებარი გახდებაო. ბანქანა გიყიდიათ, მომილოცავს...

ლ ა ნ დ ა. რა ლაპარაკია ეს და როგორ ააგდებინეთ თავი ამ ლაზღანდარას!

კ ა რ პ ე. ქალბატონო, მე კი არ მითქვამს, ხომ მოგახსენეთ, კოწიეს ბიჭი ამბობდა, შოფერია, ბეკრი კი არაფერი დაეჯერება. ან რა ვასაკვირია, იმიტომ იწვალეთ თქვენცა და ამანაც იმდენი... საექიმოზე მოწყობა რავალი საქმეა. ოთხ წელიწადს აბარა ბაბილინეს ობოლმა თათუშამ, მარა ახლაც ჩაის კრეფავს. ექიმს

თვეში რომ ჯამაგირი აქვს, ბაბილინეს თათუშა იმდენ ფულს ერთ კვირაში იღებს, მარა კაი ცხოვრება უნდოდა და იმიტომ იკლავდა თავს!

ლ ა ნ დ ა. წამიყვანეთ აქედან ან რაღაც საშველი გამიჩინეთ!..

კ ა რ პ ე. კი მარა, თქვენს მაჭანკალს არ დაუცდით?

დ ი ტ ო. კარპე, შე მამაჩემის ნაჯახის ტარო, ჩაირბინე ერთი იმ... ფერმაა თუ სადღაცა ოხროპაში...

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. ჰო, კარპე, იწამე ღმერთი, ჩვენ ერთად გაეიხარდეთ...

ქ უ ქ უ ნ ა. დაანებოს, გენაცვალეთ, იმ ძროხას თავი და მოგვხედოს...

ლ ა ნ დ ა. ჰო, მობრძანდეს და დაგველაპარაკოს რას აპირებს, ასე უნდა დაგვჭრას თავი შვილსა და მომავალს?!

ბ უ ხ უ ტ ი. კარპე, ახლა, შენც მაქსიმალურად უნდა გაგვიგო.

ც ა გ ო. სირცხვილით მამაჩემი ვერ შინაცავს.

ი ო ვ ე ლ ი. ჩადი ერთი ფერმაში, ჩადი...

კ ა რ პ ე. კი ჩავალ, მე კი არ დაგზარდებით, მარა ავაბო ბოგვერაძე შარაგზაზე სალაპარაკოდ და სალაყბოდ რომ არ დადვება, თქვენც იცით. სადაცაა, იქ საქმე ექნება და საქმეს არც ჩემს სიტყვაზე აუშვებს ხელს.

ლ ა ნ დ ა. რა საქმე აქვს, ვინ გაიგონა ასი წლის კაცი საქმეზე და ქალების შეცდენა...

კ ა რ პ ე (თავი ძირმე-ძირმედ გადააქნია). ნათლიაჩემს... აგაბო ბოგვერაძეს... მე ჭკუას ვერ ვასწავლი...

ლ ა ნ დ ა. იმ შენს ნათლიას და თქვენ თუ ჭკუა მოგეკითხებათ?!.

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. მართლაც და, კარპე, ძალიან უხერხულია...

ქ უ ქ უ ნ ა. უხერხული კი არა, გენაცვალეთ, ცოცხლად გვმარხავს და გვაყრის მიწას!

დ ი ტ ო. მე ვერ დავიჯერებ, კარპე, შე ძველო კირკიტა... რას ჰგავს ეს!..

გ ო გ ო ლ ა. დიდუ, რა გეჭირს ეს, კაცს რომ არ დამართია, იმისთანა რატომ დაგვემართა, იოველ!..

ი ო ვ ე ლ ი. გათავდეს ამაზე ლაპარაკი, არაა ეს სალაპარაკო!

ლ ა ნ დ ა. აბა, რაა სალაპარაკო, აბა, აქ თქვენს ძროხებზე, ხარებზე და კუროებზე ვიმუსაიფოთ?!

კ ა რ პ ე. მე ნათლიაჩემს ჭკუას არ ვასწავლი.

ლ ა ნ დ ა. ისე ვასწავლი, მზე მაღლა იყოს... მაგრამ ამათ რა ჭკუა მოეთხოვებათ.

ბ უ ხ უ ტ ი. კარპე, მართლა და, არ შეიძლება, კარპე. ხომ იცი, მე სადაც არ უნდა ვიყო, მამაჩემს ვერ დავივიწყებ, მაკრამ... შენც მსარი უნდა დაგვიჭირო.

ც ა ვ ო. მეტი რომ არაფერი, სირცხვილია, სოფელში თავი ვერ გამოგვიყვია, მამაჩემი ვერ მინახავს.

ლ ი ტ ო. კარპე, შე მართლა... რომ ვუკვირდები, არც შენ მოგწონს ეს ოხერი!..

დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი. კარპე, ჩვენ ერთად ვართ გაზრდილი... ეს ბენთეისაც უხერხულია...

კ ა რ პ ე. ვერ ვიტყვი, მთლად ლამაზი საქმეა-მეთქი...

ლ ა ნ დ ა. ერთი მაჩვენეთ, რომელი ჭკუათმყოფელი იტყვის ამას...

კ ა რ პ ე. ვერ ვიტყვი, მარა ამ კაცს, რაც თავი მახსოვს, არაფერი შეშლია.

ლ ა ნ დ ა. რა არ შეშლია, ვის არ შეშლია?!

კ ა რ პ ე (დურმიშხანს). ეს ქალი თუ არ მაცლის, მაგან ილაპარაკოს და მე მოვუსმენ.

დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი. ლანდა, იწამე ღმერთი...

ლ ი ტ ო. დროა, ლანდა, გაიგო!

ლ ა ნ დ ა. ერთმანეთის კუდი ხართ, თქვენზე ყველაფერი ახია, მაგრამ (ქალებს). ჩვენ რომ ვისრისებით და ვილანძღებით.

ე უ ჟ ე ნ ა. ჩვენ, გენაცვალეთ, ჩვენ...

ც ა ვ ო. მე, მამაჩემი ვერ მინახავს...

ი ო ვ ე ლ ი. კარპე, ამ საქმის ასე დატოვება არ მოხერხდება.

კ ა რ პ ე. არც მე ვამბობ, მარა...

ლ ა ნ დ ა. რაა ეს მარა"? რაა ეს „მარა"?!

კ ა რ პ ე. რაა, ჩვენო რძალო, და კაცი რომ სოფლის ნდობას დაიმსახურებს, ეს ისე კი არ ხდება, როგორც თქვენთანაა, თუ ვისმე ღიდ ადგილზე წამოსკუპდა, მაშინვე ქუდს მოუხდით, ვუშინ რომ არც ესალმებოდით. აქ, ჩვენ, კაცს ეცემთ პატივს, რომელსაც მთელი სიცოცხლე ვიცნობთ და ჩვენსავით მიწას ჩიჩქნის. ეს ძნელია. აქ რომ რაიმე შეგეშალოს, შენზე უწინ კუთხე-მეზობელმა იცის. აქ, ბოდიშს ვიხდი, ფეხსალაგში ვერ გახვალ ისე,

რომ ვინმემ არ დაგინახოს, ისე კი არა, ქალაქში რომ ერთ სახლში ცხოვრობთ და ბევრს არც იცნობთ.

ლ ა ნ დ ა. მერე, ამ ასი წლის კაცმა რომ თქვენს თვალწინ ქალი დაორსულა, ვერ დაინახეთ? თუ, დაინახეთ და ტაში დაუკარით? თვალის სეირს უყურეთ, რომ შვილებს თავი მოეკრას და მოჯაყოს. თქვენ რომ ნაცარში ყრიხართ, შურით სკდებით. ეგოისტები!..

კ ა რ პ ე. იქნებ ვინმეს შურდეს, სოფელი ჭრელია, მარა, მადლობელი ვარ ნათლიაჩემის, მე ხომ ვიცი, რაცა ხართ და ვინცა ხართ, თქვენსას ჩემი გაჭირვებული ცხოვრება მირჩევნია, რასაც ვთესავ, იმის მეათედს ვერ ვიმკი, ჩემი თუ ვინმეს გადაჰყოლია, თორემ სხვისი, დამიფაროს ღმერთმა, ჩემს ქოხში ვინმეს კაპიკის ღირალი არ გავარდნია ჯიბიდან.

ლ ა ნ დ ა. ხომ ვთქვი, ამათი ლათაიები გააჟღალებს ადამიანს!..

დ ო რ მ ი შ ხ ა ნ ი. კარპე, შე მამაცხონებულო, მამაჩემის საქციელი მოგწონს?

ლ ა ნ დ ა. საქციელი კი არა, მრუშობა, კახპობა და გარყვნილება!

კ ა რ პ ე. ვერ ვიტყვი, რომ მომწონდეს, მარა...

ჟ უ ჟ უ ნ ა. ისევ „მარაო", თქვენი ჭირიმეთ.

გ ო გ ო ლ ა. კარპე, ჩვენც ვართ დამნაშავე... კი, ჟუჟუნა, კი, ლანდა, მაგრამ ეს რავა შეიძლება.. იოველ, არ შეიძლება ეს, იოველ!

ი ო ვ ე ლ ი. არა, არ შეიძლება, გათავდეს ამაზე ლაპარაკი!

(ყველანი აღშფოთდებიან.)

კ ა რ პ ე. მე მაინც... და მარტო მე კი არა, მთელ სოფელს პირში წყალი აქვს ჩაგუბებული.

ლ ა ნ დ ა. თუ პირი არ გიყართ, არ მოგწონთ და წყალი გაქვთ ჩაგუბებული?!

კ ა რ პ ე. იმიტომ მოგახსენებდით წელან, ჩვენში კაცი მთელი სიცოცხლე უნდება საზრიანი, დარბაისელი კაცის სახელს და რომ დაიჩემებს, მერე იმას იქაც ვენდობით, რაც არ მოგვწონს და საჩოთიროდ გვეჩვენება.

ლ ა ნ დ ა. ამ თქვენმა „დარბაისელმა" რომ მთელი სოფელი გარყვნას, ქუდს მოუხდით?

კ ა რ პ ე. გამრყვნელი, წამგლეჯი და წამღლეტი კაი კაცობის სახელს ვერ დაიგდებს.

ლ ა ნ დ ა. ა, აგერ შენი ნათლია და აგერ ის დედაკაცი! გამოიყვანეთ ერთი და დაანახეთ, მუცელს რომ ძლიეს დაათრევს!

კ ა რ პ ე. ჩვენ იმ ქალს ყოველდღე ვუყურებთ, თქვენ დაინახეთ პირველად თუ არა...

ლ ა ნ დ ა. ისლა მაკლია, მაგას ყოველ დღე და ღამე ვეყურო.

ქ უ ქ უ ნ ა. გენაცვალეთ, რომ უყურებთ, უყურებთ, მაგრამ მოგწონთ?!

კ ა რ პ ე (ყოყმანის შემდეგ). არ მოგვწონს!

გ ო გ ო ლ ა (მოთქმით). ვის მოეწონება, კარპე, ჩვენ რომ გვჭირს!..

ქ უ ქ უ ნ ა. მტერს, გენაცვალეთ, მტერს მოეწონება და გაუხარდება...

კ ა რ პ ე. არ მოგვწონს, ამ ხნის კაცისათვის ნამეტანი შეუფერებელია, ეს არც სოფელს ეკადრება და არც აგაბო ბოგვერაძეს. მაგის რიდით ამას, ჩვენ, მისი ზეზობლები ვერ გავბედავდით...

ლ ა ნ დ ა. მაგრამ მან გაბედა და მარტო ჩვენ კი არა, თქვენც დაგასხათ თავსლაფი!

კ ა რ პ ე. არაა ეს თავმოსაწონებელი საქმე.

ლ ა ნ დ ა. მერე, რატომ მამინვე არ მოუღეთ ბოლო, თქვენ თუ კარგი ხალხი იყავით?..

კ ა რ პ ე. იმიტომ, რომ ეს აგაბო ბოგვერაძემ ჩაიდინა. მე ამას რომ ვამბობ, ესეც მიჭირს, მგონია, ვცდები.

ქ უ ქ უ ნ ა. რაა, გენაცვალეთ, ამისთანა ეს ჩვენი ბამამთილი.

ლ ა ნ დ ა. გათახსირებული, გარყვნილი და არა მარტო ეს ბერიკაცი, ესენიც, მთელი სოფელი!

კ ა რ პ ე (ყურადღებას არ აქცევს). ჩვენ რაღაცა არ ვიცით, რაც მან იცის.

ლ ა ნ დ ა. ასი წლის ბერიკაცის ბავშვის გაკეთება, რა თქმა უნდა, თქვენც არ იცით!

კ ა რ პ ე. მამაჩემისაგან გამიგონია, იოველ, ეს შენც გეცოდინება, კავსაკიდას ფერდობებზე რომ ტყე გაეჩეხათ, აგაბო თერმე ნაჯახით იდგა შიგ და კაცს არ აკარებდა.

ი ო ვ ე ლ ი. კავსაკიდზე მამაჩემს თვითონ ჰქონდა ვენახი.

კ ა რ პ ე. მამაშენს ნახევარი ქცევა ვენახი ჰქონდა და ირველივ ასწლიანი მუხნარი ერტყა. მანც უტეკდა მდინარე და ღობის ჯებირებით ძლივს ამაგრებდნენ. თავისი მარჯვენით რგავდა აგაბო ტირიფებს, ჩვენ მივდექით და ხელისგულივით მოვატრიალეთ, ჯებირზე თქვენ არ შეგიწუხებიათ თავი და ტყის გაშენებაზე.

ი ო ვ ე ლ ი. ტყე ამოვძირკვეთ და ხელახლა დაგვერგო?

კარპე. აგაბოს ის დასწამეს თურმე, მისი სეულია, კოლექტივის დაშლას ელოდება და ტყეს დაიბრუნებსო, კინაღამ გაუციმბირებიათ.

ი ო ვ ე ლ ი. კარპე, კოლექტივი თავის მიწას და წყალს რასაც უნდა ისას უზამს.

კ ა რ პ ე. კი, და უქნეს კიდეც. მარა იმ კაცმა იცოდა თავისი მიწის გასაჭირი და ემველებოდა. იცოდა, სად რა დაერგო, რგავდა და აშენებდა. ჩემი თვალით მინახავს ნათლიაჩემი სეს რომ ელაპარაკებოდა, — ეყურებაო. უპირდა ტყეს, მინდორს, მიწას და აგაბოს ეუბნებოდა, აგაბო ყვიროდა, არ დაუჯერეს. ამდენ ხანს კავსაკიდას ხან ერთი ფერდობი მოწყდა, ხან მეორე და შენ რომ აქედან „დაგაწინაურეს", შარშანწინ ერთიანად ჩაიმეწყრა, გადაგუბა მდინარე და წალეკა ქვედა სოფლები, სანახები.

დ ო ო ბ ი შ ხ ა ნ ი. კარპე, ბუხების სტიქიას ხელს ვერავინ ააფარებს.

კ ა რ პ ე. მაგრამ არ იძახოდა აგაბო, ჯებირები უნდაო? ჩაის გაშენება რომ ხოლერასავით მოედვა ქვეყანას, არ ამბობდა, ამ ტყეს მთლად ნუ მოვსპობთ, იმდენი დავრგოთ, რამდენსაც მოვერევით, კარგ მივლილ პატარა ფართობზე ბევრის მოწევა შეიძლებაო? ნახევარი ჩაის პლანტაციები ეკალ-ბარდებშია და რომელიც მოვლილი გვგონია, იმასაც აკლია ხელი. ტყე კი, მართლა ტყე რომ დაერქმევა, სადღაა?!

დ ი ტ ო. შე მამაჩემის კუდო, რატომაა ტექნიკა მოგონილი, შენ რომ უკვირდები. რა გგონია!

კ ა რ პ ე. ჩვენ რომ სახნავ-სათესი გვაქვს, ყველგან ჩოჩიალა ურემი ვერ დადის.

ი ო ვ ე ლ ი. იციან ამათ ეს, ან არ იციან და არც უნდათ. ჩვენ სხვა სადავიდარაბო საქმე გვაქვს.

კ ა რ პ ე. მე იმაზე ვამბობ, ამ კაცს რაც არ დაუჯერეთ, გავიდა დრო და... აგერ შენს ხელში არ იყო? მოდიოდა ის მდინარე ჩვენს ჭალებში, დაბლობებში მდორე იყო, მიხვეულ-მოხვეული, სილრმეც ჰქონდა და სივანეც, ტირიფების გაძენძილ ფესვებში ციბოც იყო, კობრიც და ღორჯოც, რომ მიდექით და ლარივით ირხი ვაუჭერით, გადმოაგდეთ შიგ და მოსპეთ მდინარე, სადღაც არხის ძირში მოკირკიტლობს. ძველი ქალაპოტი კი დაჭაობდა და დალპა. რას ამბობდა მამაშენი, არ გახსოვს? ახლა სოფელს რომ მდინარე არ ექნება და ბავშვს საბანაო, სოფელია ის?

დ ი ტ ო. კარპე, შე მამაჩემის კაეის ნატეხო, მივიდეს ის ბავშვი და ინ
ერხში იბანაოს, ვინ უშლის?

კ ა რ პ ე. რა იბანაოს, თუ არ ჩაიჩოქა, მუხლამდე არ დაასველებს და
რამდენიც გინდათ... მოვ'მალეთ წყლის წისქვილიც, მეადი არ იქ-
მეცა ჩვენს სოფელში და ღობი. ახლა ადგნენ და შენ სადღაც
დასაკარგავში გიკრეს თავი. იქ ალბათ, კიდევაა ტყე და ბალახი
და იმას მოსპობ. აქ სხვა მოვიდა, თუ რაიმე დარჩა, იმასაც მო-
ათავებს.

დ ო ო ბ ი შ ხ ა ნ ი. კარპე, ერსებობს გეგმა და მთელი საგეგმო ინ-
სტიტუტები. თავმჯდომარე რომ თავმჯდომარეა, ასე მ-ს ნებაზე
კი არაა საქმე.

დ ი ტ ო. და არც ალმასკომი რომ ალმასკომია, ნე რომ ვიცი, ვერც ის
აკეთებს მის ჭკუაზე, რომ იცოდე ენ, კარპე!

კ ა რ პ ე. ინსტიტუტი... წამ'ბ'ჯდარა იქ ფეხი ფეხზე გადადებული, მან
იცის და აგაბო ბოგვეროაძეს, ბიუსლი რომ აქვს ჩაქცეული კავსაკი-
დაზე სურმუხტებში, კოპიტნარში, გრძელტევრში და ნაისლარაში,
ამან არა? რაც არ დაუჯერეთ ამ კაცს და მაგისთანა კიდეე ბარე
ორს, ენ ხედავთ, რაც დაგვემართა. თქვენ მიდი-მოდიხართ, ხან ამ
სკამზე წამოჯდებით და ხან იმ სავარძელზე, ჩვენ აქ ვყრიეართ
და ყველაფერი კი ჩვენს კისერზე გადადის. რაც არ დავუჯერეთ
აგაბო ბოგვერაძეს, ყველგან კისერი წავატეხეთ... ახლა ამისთა-
ნა საქმე რომ ამისთანა საქმეა, არ მოგწონს, ბართლა და, ოთხნო-
�i წლის კაცის შვილი ვინ გაიგონა, მარა ხმას ვერ ვიღებთ, რა
ვიცით, საით იყურება და შორს რას ხედავს...

ს უ რ ა თ ი მ ე ს ა მ ე

ადგილ დეკორაცია. გვიანი ღამეა. ოთველი კედელთან მიდგმულ ტაბურეტზე თელეს.
ეოგოლა დაბალ სამფეხა სკამზე ზის და თავი ქმრის მუხლებზე უდევს, დ ო ო ბ ი შ-
ხ ა ნ ი, ლ ა ნ დ ა, დ ი ტ ო და ე ვ ე ნ ა ფარდაგდაფარებულ ტახტზე დაყრილან
და სძინავთ. შემოდის დაღლილი აგაბო. კარებთან დაბალ ჯორკოზე ჯდება და ტა-
ლახიანი ჩექმების გახდას აპირებს. კარებში თავს შემორგავს შეწუხებული ტ ა ს ი ა.

ტ ა ს ი ა (ჩურჩულით). აგაბო, შე კაცო, მაქანე რა გინდოდა!

ა გ ა ბ ო. ჩექმებს ვიხდი, ტასია, ვერ ხედავ? ამ შუაღამეში რატომ არ
გძინავს?

ტ ა ს ი ა. მძინავს, შე კაცო, კი არა... (ტახტზე თვალით ანიშნებს.) რა აქვავია ჩემს თავს, რო იცოდე...

ა გ ა ბ ო. რა დაგემართა, ტასია, რამ შეგაშფოთა? არ იცი, რომ არ შეიძლება?..

ტ ა ს ი ა. მაგი კი არა... ჩემი საშველი არ ყოფილა და არც იქნება... (ისევ ტახტზე ანიშნებს თვალით.) რავა წვალობ, შე კაცო, მე გაგხდიდი მაგ ჩექმებს, მარა... კი აღარ ვიცი, მე შავდღიანმა, თავი რა მდინარეში გადავიშკა!

ა გ ა ბ ო. ნუ იცი უთავბოლო პრუტუნი, მდინარეში კი არა, წადი და ლოგინში დაწექი.

ტ ა ს ი ა. მასე უნდა მექნა, ნამეტანი გლახა საქმე რო არ დამმართოდა...

ა გ ა ბ ო (მეცელზე დაჩერდა შეშფოთებული). ხომ არ წაიქეცი ან არაფერი მოიწიე?!

ტ ა ს ი ა. ნეტა შენი კარგად ყოფნით იმისანა წავქცეულიყავი, არ ავმდგარიყავი, ოღონდა შენი საყურებელი პირი არ გამშავებოდა.

ა გ ა ბ ო (ცალ ჩექმას თავი ანება). თქვი, რა დაგემართა?

ტ ა ს ი ა. კი მეცნობილენ მაგ გასახარებლები, მარა არაო და...

ა გ ა ბ ო. ვინ გეცნო, ტასია, და სად დადიოდი?.. წამოდი, წამოდი და დაწექი! ნაშუალამევია.

ტ ა ს ი ა. შენც მთლად ნამეტანი დაგაგვიანდა, შე კაცო.

ა გ ა ბ ო. ეჰ, არ მიეკარა ის ბალანდასაწვავი... მერე ატეხილი ძროხა არ იცი? ვერ დავამაკრე, დამპალას ლაქაშებში შევარდა, გადამიარა ჩექმაზე ლაფმა და ტალახმა.

ტ ა ს ი ა. უიმე, ღმერთო, სული ამომხადე... გაწვალდი არა?.. ნამეტანი უნაიროდ ვარ, ქე ხედავ, თვარა შენ გადაღმა ფეხს გადაგადგმევინებდი? ახლავე ფეხს ცხელ წყალში ჩაგაყრევიებდი და გისაშვალებდა, მარა (ისევ ტახტისკენ აჩვენებს.) ე!..

ა გ ა ბ ო (მიიხედა). ესენი ვინ არიან?!

ტ ა ს ი ა. შენი კაი-კაი შვილებია, აგაბო!

ა გ ა ბ ო. ცხვირი მაგათ დაუმშვენდათ.....

ტ ა ს ი ა. კარჭი, ღმერთმა ჩემს მოკეთეს მისცეს... მარა რად გინდა რა... მე ქე მემეჭრა თავი და აღარ ვიცი, რა თვალით შეგხედო.

ა გ ა ბ ო (თან ცალი თვალი მძინარე შვილებზე უჭირავს). რაო, რა გვნებავსო?..

ტ ა ს ი ა. ვერ ვიცანი მე თვალდაფსებულმა და ყურდამდგარმა... არა, იოველი რავა ვერა, მარა თავიდან ის გასახარელი არ იყო და... რა დამემართა, აგაბო, ეს, არ გიკვირს, შე კაცო?..

ა გ ა ბ ო. მაგენი შენ კი არა, სხვაგან რომ მენახა, ვერც მე ვიცნობდი, კესარიას სიკვდილის მერე არ გამოჩენილან.

ტ ა ს ი ა. აცხონა ღმერთმა, ნამეტანი გულდამწვავეთ მეიმოთქმეს ნათელდამდგარი...

ა გ ა ბ ო. წადი შენ, ტასია, წადი!..

ტ ა ს ი ა. აბა, რა გამოსაჩენი ვარ მარა... შე კაცო, ჭიქა წყალი არ დოულევიათ, პირში ნაწილი არ ჩოუდევთ. ცაგო და ბუხუტი ქე ვიცანი... რო შეღამდა, იორდანესთან გადევიდენ... კარპეც იყო ერთხანს, შენ რო არ იყავი... მე უშენოდ რისი მაქნისი ვარ...

ა გ ა ბ ო. წადი და თუ საჭირო იქნება... (აღარა აქვს ლაპარაკის თავი.)

ტ ა ს ი ა. აგერ მექნება კარებზე ყური მოდებული... თითი დააქნიე და... (გადის.)

ცალ ფეხზე ჩექმაშერჩენილი აგაბო ტახტისკენ მიდის დაბოღმილი, მაგრამ მაინც შვილებს დანატრებული მამა ჩაძინებელთ უხმოდ დააჩერდა, მერე გამობრუნდა, ბუხართან ჩექმიანი ფეხი სამფეხა ჯორკოს წაკრა, კერიას მიახეთქა. სმაურზე ყველამ ერთბაშად წამოჰყო თავი. გოგოლა სკამიდანაც კი წამოხტა, მაგრამ ერთბაშად ვერ გასწორდა და გაოგნებული წელში წახრილი დარჩა.

გ ო გ ო ლ ა (ამოიგმინა). მამა?..

ა გ ა ბ ო. რა ვიცი, მამა ვარ და თქვენ თქვენს სახლში ხართ?

გ ო გ ო ლ ა. მამა, საყვარელო მამა... ჩვენო საფიცარო... (ლანდამ ნამძინარევი თვალები გადაბრიალა.) მა-მა...

ა გ ა ბ ო. შენ კიდევ მცნობ? რა მახსოვრობა გაქვს, ჩემო რძალო, არ გიკვირს?!

ვ ო გ ო ლ ა. კი, მამა, კი...

დ ი ტ ო (წამოდგომა მოინდომა, წელი ვერ აიღო). მამა, შე სტამბოლის კაქო, მამა!

ა გ ა ბ ო. რაა, ბიჭო, რომ ქალებში ჩაწოლილხარ და ისე მელაპარაკები, თუ ცოლის არა, რძლის რიდი მაინც რა უყავი?

დ ი ტ ო (წამოვარდა გადასახევად). მამა, შე მუხლჩაუხრელო და ქალთმოყვარე მამა!..

ა გ ა ბ ო (შეაჩერებს). უკან დაიწი! არ გამიგონია მე ასი წლის კაცის ხვევნა და მტლაშა-მტლუში.

ე ლ ე ნ ა. მამა!.. საღამო მშვიდობა, მამა... (ტახტზე წამოჯდა.)

დ ო რ მ ი შ ხ ა ნ ი. მამა... მშობელი მამა!..

ლ ა ნ დ ა. ჰე, ატირდი და აფლიქვინდი...

დ ო ო ბ ი შ ხ ა ნ ი. დედა, ლანდა!.. (სურათს ახედა.) მამა, ლანდა!..

ლ ა ნ დ ა. დედა... სამაგიეროდ მამა გყავთ კარგად... აგერ შუაღამეში ფეხშიშველი დარბის!

ა გ ა ბ ო. მაგათ არც მამა ჰყავთ, ჩემო რძალო, არც დედა, თქვენს კალთაში ციდან ჩამოფრინდნენ!

ქ უ ქ უ ნ ა (კალთას იფერთხავს და ისწორებს). ახლა, გენაცვალეთ, ციდან ვინ ცვივა?..

დ ო ო ბ ი შ ხ ა ნ ი (ლანდას კაბას უსწორებს). ციდან რატომ, მამა, ციდან როდის, ლანდა...

ლ ა ნ დ ა. არ მაინტერესებს საიდან ჩამოფრინდნენ, თუ ჩამოცვივდნენ... (ყველას ხურგი შეაქცია.)

ი ო ვ ე ლ ი (დგება, აგაბოს ხელს ართმევს). გამარჯობა, მამა!

ა გ ა ბ ო. გაგიმარჯოს!.. (გოგოლას.) დაჯექი, ჩემო რძალო! ჩვენო პირველო სიხარულო...

გ ო გ ო ლ ა. კი, ბატონო, ბატონო, მამა, (წამოიმოთქმებს.) დედა, შე უბედურო და ბედდამწვარო!..

ქ უ ქ უ ნ ა (ლანდას). ამ შუაღამეზე, ლანდა, გენაცვალე, რა დროს მოთქმაა და თავში ხელის ცემა?!

ლ ა ნ დ ა. აქ მისდღემჩი ვერაფერს ვერ გაიგებს ადამიანი!..

ა გ ა ბ ო (გოგოლას). მართალს ამბობენ ჩვენი რძლები, რაც სასაფლაოზე იტირეთ და ითავცემეთ, ისიც გეყოფათ...

გ ო გ ო ლ ა (შერცხვა). სასაფლაოზე?..

ქ უ ქ უ ნ ა. სასაფლაოზე როდის...

ი ო ვ ე ლ ი. მე რომ მოვედი, შეღამებული იყო, მამა!

ა გ ა ბ ო. შეგაგვიანდა, მაგრამ ესენი ხომ თავის დროზე მოვიდნენ? გუშინ დედათქვენის ხუთი წლისთავი იყო. ჩვენ რომ არ გვახსოვს, ესენი ჩვენსავით გულმავიწყები კი არ არიან!..

ქ უ ქ უ ნ ა (გოგოლას და ლანდას). გენაცვალეთ, ხუთი წელი ასე მალე გავიდა?

გ ო გ ო ლ ა. უი, ხუთი წელი გავიდა, უბედური ჩემი დედამთილი რომ აღარ გვყავს.

დ ო ო ბ ი შ ხ ა ნ ი. დედა, ძვირფასო, ხუთი წელი. მამა, ხუთი წელი...

ლ ა ნ დ ა. არ ვიცი რამდენი გავიდა და მგონი მარტო მე კი არა, ის აქაც არავის ახსოვს...

ქ უ ქ უ ნ ა. ოჰ, გენაცვალეთ, ადამიანი ნუ მოკვდება, თუ არა...

დ'ი ტ ო. მამა... შე ჭკუის კოლოფო, ხუთი წელიწადი დედა... ხუთი წელიწადი, იცოდე შენ!

ა გ ა ბ ო. მე კი ვიცი, მაგრამ თქვენც რომ იცით და ვერ გამოიგლოვეთ, თქვენც რომ დრო-ჟამმა ვერ გადაგავიწყათ დედა და დედის საფლავი, სახლი და ეზო, ვენახი და კერია...

ლ ა ნ დ ა (ხელი ჩაიქნია. იოველს). რა ლაპარაკია ახლა ეს! ისევ დაიწყეთ?.. მიწა და ძირგასახმობი ბალახი? ძროხა და წისქვილი? მკვდარი და ცოცხალი?..

ი ო ვ ე ლ ი. მამა, მოეშვი, ვის რად უნდა ეს, ან ახლა ამის დროა?

ლ ა ნ დ ა. საქმეზე ილაპარაკეთ, სანამ ვეყაროთ აქ ამ ფიცარზე მაწანწალებიეთ?!

ქ უ ჟ უ ნ ა (დიტოს). შე უბედურო, ხმა ამოიღე! დამემტვრა გვერდები...

ა გ ა ბ ო. ამ ტახტზე გაიზარდნენ, ამათ რომ უყურებთ...

ლ ა ნ დ ა. არ ვიცი, ვინ გაიზარდა... ვინ იწვა, ახლა ვინ წევს და ვინ კოტრიალობს. (ერთბაშად ყველა მიხვდა ლანდას ნათქვამს და აგაბოს შეაჩერდნენ, აგაბო ქვად იქცა. პაუზა.)

ა გ ა ბ ო (მოულოდნელად. ხმამაღლა). ტასია! პასუხი არ ისმის, ყველა დაზაფრულია, შემოსასელელს მისჩერებიან.) ტასია-თქვა!

ტ ა ს ი ა (ყარს ღრიჭოდ შემოაღებს). აგვრ არა ვარ, აგაბო, მე შაე ვარსკვლავზე გაჩენილი?..

ა გ ა ბ ო. მოდი, ტასია, აქ!

ტ ა ს ი ა (ფეხები გარეთ რჩება). უიმე, შე კაცო, ამისთანა ბედოურ ხალხთან მე რა გამოსაჩენი ვარ...

ა გ ა ბ ო. მოდი, ტასია, მოდი.

ტ ა ს ი ა. ნამეტანი შერცხვენილი რომ არ ვიყო კი და... თელათ უნაიროდ ვარ, შე კაცო, არ გამეგიჩინები.

ა გ ა ბ ო (ვითომ ხუმრობით). ამათ გამოჩინებული და წარჩინებული ბევრი უნახავთ,. ერთი ჩვენნაირიც ნახონ...

ტ ა ს ი ა. მე ამათ ყურებას კი არაფერი მირჩევნია, მარა თავმოკრილი ვარ და თავსლაფს ნუ დამასხამ.

ა გ ა ბ ო. არა, ტასია, ეგენი ჩვენსაკით უბირი კი არ არიან, ამათ შეხ ასე რომ უყურებ, ჩვენზე ამოდით მზე და მთვარე. ცოცხალს კი არა, მკვდარი რომ მკვდარია, იმას ვერ ივიწყებენ...

ტ ა ს ი ა. აბა, (სურათს ახედა.) გაანათლოს ღმერთმა მისი სული, ცხონებული კესარიას დავიწყება გაგონილა? შვილი და მომავალი კი არა, სოფელი რო სოფელია და ვიგინდარა, ის ვერ დავიწყებს!

ა გ ა ბ ო. ხო, რომ ვერ დავიწყეს და გულში რომ ვერ დაიტიეს, იმიტომ ჩამოცვივდნენ, დაიგლიჯეს ლოყის კახი!

გ ო გ ო ლ ა. დედა, შე საცოდაო! (ლოყაზე ხელი შეპოიკრა.)

ტ ა ს ი ა (ატირდა). უყურე, რავალი ყვარებია, აგაბო, არ იტყვი?

ა გ ა ბ ო. ასეა, ყველა ესენი...

დ ი ტ ო. ახლა, მამაჩემო, ჩვენ დედის სიყვარული და ამისთანები კი არ გვეშლება!

ა გ ა ბ ო. არ გეშლებათ, არაფერი თქვენ არ გეშლებათ, ვერც ვერავის ივიწყებთ. კესარიას, დედათქვენის სახელს და ხსოვნას კი არა, აგერ ეს (ტასიაზე.) რომ ვიგინდარაა, უბირი და უამური, ამასაც ტოლივით და სწორივით ექცევით. დიდთან დიდი ხართ და პატარასთან პატარა.

დ ი ტ ო. ახლა, მამა, შე კლდის ნატეხო, ქვა კი არ აგვიღია და დაგვიკრავს...

ა გ ა ბ ო. არა, ვინ გაკადრათ, არ დაგიკრავთ და არც რაიმე გიკადრებიათ, იმიტომ კი არა, რომ ჩვენ არა ვართ თქვენი გულისწყრომის ღირსი, მაგრამ ნასწავლი და განათლებული რომ ხართ, ჩვენისთანა ბნელზე და თვალში გამოუხედავზე მაღლა რომ დგახართ... მაღალი რომ ხართ და მდაბალი, არც არაფერი გიკვირთ... მიდი, ტასია, ჩამოართვი ხელი!

ი ო ვ ე ლ ი. კარგი რა, მამა, მე ხომ ვიცნობ ტასიას!..

ტ ა ს ი ა. კი, აგაბო, მიცნობს, აბა არ მიცნობს?..

ა გ ა ბ ო. ეს ჩემი უფროსი რძალი, გოგოლაა...

ტ ა ს ი ა. ესეც ხო ვიცი და... ქე ვთქვი მეცნობილებით-თქვა...

ა გ ა ბ ო. ჩვენ ქვევიდან ვიცქირებით, ვხედავთ ამათ და ვიცით ვინც არიან, მარა ესენი კიდევ უფრო ზევით და შორს იცქირებიან და იქ ვინ ზის, იმას იცნობენ, მართლაცდა, ორად ხომ ვერ გაიჭრებიან და ქვევითაც დაიწყებენ ცქერას და ზევითაც.

ტ ა ს ი ა. კარგად ქე ამბობ, მარა რო ვერაფერი ვერ გევიგე?

ა გ ა ბ ო. მოდი, ტასია, მოდი, ეს დიტოა.

ტ ა ს ი ა. ესეც ქე მეცნობილებოდა და ქე ვთქვი...

ა გ ა ბ ო. რავა არ გეცნობა, ამას ამ სოფელში კი არა მთელ რაიონში ვინ არ იცნობს.

დ ი ტ ო. მამა, ახლა მე ამ რაიონში რომ მიცნობენ...

ა გ ა ბ ო. ჰო, და აბა რა ვთქვი მე? აქ ხომ იცნობენ და იცნობენ, ახლა სხვა რაიონებმა დაიწყვიტეს გული, ჩვენც ხომ გვინდაო, აიყვანეს და ახლა იქ გადასვეს.

დ ი ტ ო. ახლა, მამა, შენ ხომ იცი, რომ მე არაფერი მეშლება...

ა გ ა ბ ო. არა, შვილო, რომ გეშლებოდეს და არაფერი გეყურებოდეს, აქედან სხვაგან გადაგისროდნენ? ეს კიდეე ბისი მეუღლეა, ჩემი რძალი ჟუჟუნა... ეს არ გეცოდინება...

ტ ა ს ი ა. მაინცდამაინც არა, მარა, ისე კი...

ა გ ა ბ ო. ისე სურათში გეყოლება ნანახი...

ტ ა ს ი ა. კი, კი, აგაბო, ყოლიფერი კაი მოგაგონდა, კარტიჩკაზე ეს ანგეშივით ქალი ამ გაჯგიმულ კაცზე ხელგადახვეული...

ა გ ა ბ ო. მაგი, ტასია, მარტო სურათში კი არა, ცხოვრებაშიც ასე ხელგადახვეულები დადიან და ქმარს თვალისგან არ იშორებს.

ჟ უ ჟ უ ნ ა. ახლა, მამა, არ იცი? მოაშორებ თვალს და ვის გადაეყრება, გაიგებ?

ა გ ა ბ ო. არა, ჩემო რძალო, რაკა არ ვიცი, ბაწრით უნდა იყოლიო წელზე გამობმული.

ტ ა ს ი ა. შე კაცო, ასე ძროხასავით წელზე გამობმა ამისთანა გადიდგინებული ნაჩალნიკი კაცის გაგონილა?!

ა გ ა ბ ო. სიტყვაზე, ტასია, სიტყვაზე, თუ არა, ამას რა ბაწარი დაამავრებს.

დ ი ტ ო. ახლა, მამა...

ა გ ა ბ ო. მოიცა, მოვათავებ ლაპარაკს და მერე თქვი, პირიდან სიტყვას შენს უფროსებს ხომ არ აცლი? არა, მე მიბრიყვებ, თუ რაშია საქმე?..

ჟ უ ჟ უ ნ ა. ჩემთან აქვს დიდი გული, თორემ უფროსებთან... ენა დაასველოს და სხვა რაიონში გადაიყვანენ და დააწინაურებენ?..

ა გ ა ბ ო. მართალი ხარ, ჩემო რძალო, ამათ იციან სად თქვან და რა უნდა თქვან, მაგრამ ამ ჩვენს ნამინისტრალს რაღაც მაინც შეეშალა...

ტ ა ს ი ა (დურმიშხანზე). ამნაირ ჩაგასტუკებულ კაცს, რაიმე შეეშლება, შე კაცო?

ლ ა ნ დ ა (დურმიშხანს). ნეტა, სანამდე იქნები ასე ენა ჩაგდებული?!

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. მამა, შენ რომ ყველაფერი იცი, შენგან არ მიკვირს? ახლა ვინ დატოვეს თავის ადგილზე...

ა გ ა ბ ო. ყველას ეშლებოდა და იმიტომ.

დ ო ო ბ ი შ ხ ა ნ ი. მამა, შეუცდომელი ვინაა...

ა გ ა ბ ო. ბაცლი? აგერაა (ტასიას ლანდაზე.) შეუცდომელი ჩემი მესამე რძალი, კესარიას საფიცარი და სანეტარო, სანამ ცოცხალი იყო ცხონებული, სანთლებს უნთებდა...

ტ ა ს ი ა. ქეცაა თვალგასახარი, შე კაცო...

ა გ ა ბ ო. ტასია!

ტ ა ს ი ა. მიწა ჩემს ენას, რავა თავზე წაგაჭერი...

ა გ ა ბ ო. ახლა აღარა ჰყავს დედამთილი და ეს უნთებს კესარიას კესარიას სიგრძე სანთლებს.

ლ ა ნ დ ა. თქვენ ხომ უნთებთ და არ აკარებთ ჩრდილს მის ხსოვნას!..

ტ ა ს ი ა. კი, აპა, მკვდრის დაიწყება იქნება?!

ა გ ა ბ ო. წადი ახლა შენ, ტასია. შენზე და ჩემზე უკეთ იციან, ვინ დაიეწყონ, ვის აუსთონ სანთელი და ვის უკმიონ გუნდრუკი...

ტ ა ს ი ა. ენის კლიტე ჩამიქვავე, მამაზეციერო, მე ის ვთქვი არ იციან თქვა?

ა გ ა ბ ო. არა, მარა მაინც წადი!..

ტ ა ს ი ა (ცარისკენ წაფაცხუნდა). კი მივდივარ, შე კაცო, მარა ასე უწყალწმინდოთ, ამისთანა შკილი და მომავალი...

ა გ ა ბ ო. წადი შენ! თუ საჭირო იყოს, ამ სამ რაშივით ქალს შენ დაამაგრებ? რა გადაურჩებათ გაუკეთებელი, მაგრამ ჯავრზე არიან, ხეთი წელია ბეხრეკი დედამთილი ვერ გამოიგლოვეს, ამისთანა გულსაწყლებია და რა ქნან! აქ, კესარიას ფუძეზე კი არა, მას მერე თავიანთ ოჯახებში არ ჩასვლიათ პირში გემრიელი ლუკმა. იციან ეს, მკვდარს არაფერი შველის, მარა გული აქვთ ასეთი, რა ქნან?!.

ტ ა ს ი ა. დედა, საცოდაობა, აგაბო, ამისთანა გულმწვავე კაცის შვილი...

ა გ ა ბ ო. წადი, წადი... (ტასია გადის. პაუზა. ტასია ისევ შემოაღებს კარს).

ტ ა ს ი ა. აგერ, აგაბო, ბუხუტი და ცაგოც ქე არ მოვიდენ.

ა გ ა ბ ო. წადი შენ! (ტასია გადის. შემოდიან ცაგო და ბუხუტი, უნდათ მამას მოეხვიონ. აგაბო შეაჩერებს). კი მარა, ჯერ ნამდვილად იცით, რომ მამათქვენი ვარ?

ბ უ ხ უ ტ ი. მამა, შენი ვირტუოზული იუმორი და ქართული შემართება, როგორ შეიძლება კაცს ვინმეში აერიოს!

ა გ ა ბ ო (დიტოს). ნამდვილად შენი ღვიძლი ძმაა...

დ ი ტ ო. მამა, ჩემია, ჩემი ჯიგარია...

ბ უ ხ უ ტ ი. ჩვენ, მამა, შენი გენი გვაქვს, შენი შეღერება.

ა გ ა ბ ო. ჰო, კაი, კაი... შენ, ცაგო?

ც ა გ ო. მე, მამა, გენეტიკურად არა და... ისე მეც თქვენი ვარ...

ა გ ა ბ ო. არა, შენ ხომ გახსოვს, სანამ ჩვენი რძალი გახდებოდი, შვილებს მერჩიე, მარა ვერ დაგეთანხმები, (ახედ-დახედა.) კოჭებში გატყობ, შენ სულიან-ხორციანად ამათ ეკუთვნი.

დ ი ტ ო. მამა, შე ძველო... ხარი ხართან დააბიო... შენგან ვიცით ეს ჩვენ... რომ იცოდე — შენ...

ლ ა ნ დ ა (დურმიშხანს ეცა). კი მაგრამ ჩვენ აქ თქვენი შთამომავლობის დასადგენად ვართ ჩამოსული?!

ქ უ ე ნ ა. არ ვიცი პირდაპირ, გენაცვალეთ!..

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. მამა, ძვირფასო, (ლანდას მზერას წაწყდა.) მამა... უბრალოდ და საერთოდ, მამა... ჩვენ ჩვენ ვართ, რა თქმა უნდა, მაგრამ, მამა... დაბრძანდი, მამა... დაბრძანდი...

გ ო გ ო ლ ა. სანამდე, ახლა, მართლა ასე...

ი ო ვ ე ლ ი. მამა, ჯანდაბას რაცა ვართ და ვინცა ვართ...

ბ უ ხ უ ტ ი. მაგრამ რომ იცოდე, იოველ, გენი და საერთოდ გენეტიკა სულ სხვა რამაა, ეს ისე ნუ გგონიათ, როგორც გეგონათ.

დ ი ტ ო. ვიცი, შე ჩვენო ჯიგარო და ჯილაგო!..

ბ უ ხ უ ტ ი. არაფერიც არ იცით, რომ გენეტიკაში უაღრესად... ესე იგი, ორივე ფეხით მოვიკოჭლებთ და გაგვისწრეს ისეთმა ქვეყნებმა...

ი ო ვ ე ლ ი. ცაგო, რა ჯანდაბა დაალევინეთ ამას? ხომ იცით. ეს ორ ჭიქას რომ დალევს...

ც ა გ ო. მამაჩემი... ხომ იცი, რა ხანია არ გვინახავს და არ მოეშვა.

ბ უ ხ უ ტ ი. ამას რომ ასე უყურებთ თქვენ... შემართებაა საჭირო... ბოლოს და ბოლოს, გენი აღმოჩენილია და, მამაჩემო, არც შენ ხარ მოლად გენიალური კაცი.

ი ო ვ ე ლ ი. გაჩუმდი, ბუხუტი!

ც ა გ ო. ბუხუტი!

ა გ ა ბ ო. თქვე კაი დედმამისშვილო, სანამ არ გაამეცნიერეთ, არ მოეშვით და ახლა აღარ ალაპარაკებთ?

ლ ა ნ დ ა (საჭოლიდან წამოვარდა და აწივლდა). მაგის ლაპარაკი ძინდა, ახლა მე!..

ბ უ ხ უ ტ ი. მაგრამ, ლანდა, შენ, გოგოლა, მე გოგოლა ღრმად მიუკვირს და პატივს ვცემ, ეუეუნაც ასევე და ცაგოც...

ლ ა ნ დ ა. არ მინდა!..

ბ უ ხ უ ტ ი. რა თქმა უნდა, მაგრამ გენეტიკურად თქვენ სხვა შემართებისა ხართ, ჩვენ: ოიველი, დიტო, დურმიშხანი...

ც ა გ ო. ბუხუტი, გაჩუმდი, ბუხუტი, ამ საქმეზე ილაპარაკე. ეს გენი რა დაიჩეჭე...

დ ი ტ ო. ჩვენი ჯიკარი და ღვიძლი ხარ, ბუხუტია, და გაჩუმდი ახლა!..

ა გ ა ბ ო. გაჩუმდი, ბუხუტი, და დაჯექი მაგერ ჯორკოზე... მანდ, მანდ, კარებთან...

ბ უ ხ უ ტ ი (ჯდება მოწყვეტით). კი, მამა, მაგრამ ეს ჩექმის სიმყრალე გულს მირევს. (აგაბოს ცალ ჩექმას პირს არიდებს.)

ა გ ა ბ ო. ჰოო, და ჩვენ რომ ერთი ჯილაგისა ვიყოთ, გულს ვერ აგირევდა...

ბ უ ხ უ ტ ი. ჩვენ გენეტიკაში უკიდურესად, კრიტიკულად ჩამოვრჩებით და იმიტომ...

ლ ა ნ დ ა (კარისკენ გარბის). ამოწყდა თქვენი გათახსირებული გენი და ჯიში!..

დ ი ტ ო. არა, ლანდა! ლანდა, შენ უნდა იცოდე, რომ აქ ჩვენ ბოგვერაძეები ვართ, მაგალითისათვის...

ა გ ა ბ ო. გაჩუმდი! და დაჯექი, რომ გაჯგიმულხარ! (კართან შეჩერებულ ლანდას.) ჩემო რძალო, მე ახლა სწორედ ის მინდა ვთქვა, რაზედაც შენ შეწუხდი და ამოდენა გზა გამოიარე. ეს ასე მართლა ჩვენი უნახაობით და მონატრებით კი არ დაგემართა.

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. რატომ მამა, მშობელი მამის მონატრება... რატომ არა...

ლ ა ნ დ ა. აცალე! (სხვებიც სმენად იქცნენ.)

ა გ ა ბ ო. არა! ჩვენ თვალშიც ვიხედებით და ყურშიც გვესმის. ვის ჰკლავს უჩვენობა და ვის ჩვენი ცქერა, ვიცით...

ბ უ ხ უ ტ ი. უკიდურესობათა აპოთეოზი ხარ, მამა, შენ! (ცაგოს.) ეს ჩექმა... გულს მირევს.

ა გ ა ბ ო. მე ამის ენაზე ვეღარ ვილაპარაკებ და როგორც გაამეცნიერეთ, ისე გააჩუმეთ!

დ ი ტ ო. ბუხუტი-თქვა, შე მამაჩემის... (თავი გაიქნია.) მიჩურინის ხატეხო!

ლ ა ნ დ ა. გაჩუმდით!

ა გ ა ბ ო (წამოიყენა და ტახტზე დასვა. სხვებსაც მიუჩინა ადგილი, ბუხუტის ტალახიანი ჩექმა მოაშორა). ეს ძალიან კარგია, რომ ჩვენ... თქვენ ერთი რჯულისა და ჯილაგისა ხართ...

ბ უ ხ უ ტ ი. რჯული, რელიგია და გენეტიკა, მამა...

ცა გ ო. ორი, ორად ორი ჰქა ღვინო დალია სულ!

ქ უ ქ უ ნ ა. გათენდა, გენაცვალეთ, გათენდა!

ა გ ა ბ ო. კარგია, ერთი გენისა და რჯულისა რომ ხართ, ერთმანეთის რომ გესმით, კიდევ უკეთესი... თქვენ ცოლქმრობა ისე არ გაგიჭირდებათ, როგორც ჩვენ გვიჭირდა.

გ ო გ ო ლ ა. დედა, შე უბედურო და ხანდამწვარო, დედა!..

ა გ ა ბ ო. აკერ ცაგოსაც რომ ეუყურებ, ხან ქუქუნა მგონია და ხახლანდა.

ბ უ ხ უ ტ ი. გენეტიკურად, მამა...

ა გ ა ბ ო. მოიცა! ეს ყველაფერი კარგი... საწყალი დედათქვენიც რომ ცოცხალი იყოს, ღმერთი და რჯული... მთლად კრუხივით გადაგეფოფრებოდათ. ახლა კრუხი გაკლიათ და ამიტომაა ინკუბატორის წიწილებივით რომ ჰკავხართ ერთმანეთს.

ლ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. დედა აღარა გეყაეს, მამა, დედიკო...

ლ ა ნ დ ა. ჩაიგდე ენა!

ა გ ა ბ ო. ეს ნამეტანი კაი და კეთილი, მაგრამ ეს ქალი ვილანაა? (ყველამ პირი დააღო და შეაჩერდა.)

დ ი ტ ო. მამა, როგორც ასეთი, ვინ ქალი?!

ა გ ა ბ ო. აი ის ქალი! (კარზე მიათითა.)

დ ი ტ ო. ის ქალი, ესე იგი...

ა გ ა ბ ო. ჰო, ჰო, ის ქალი, აქ დედათქვენის მაგიერ რომ დაპარპაშობს.

დ ი ტ ო. უპ, მამა, შე ძველო პირში მთქმელო და ორლესულო ხანჯალო!

ა გ ა ბ ო. ესეც გააჩუმეთ ცოტა ხანს.

ქ უ ქ უ ნ ა. ჩაიგდე ენა ერთ წამს!

ა გ ა ბ ო. ჰო, ვინაა ეს უბირი, ბნელი, უთვისტომო და პელენწუკე დედაკაცი? რა ესაქმება აქ, კესარიას წვით და დაგვით, გაუხარელი ორმოცდათერთმეტი წელიწადი ამ კერაზე რომ იყო მიჯაჭვული და წელში არ გამართულა. ფეხზე, შრომაში ამოხდა სული, ისე, რომ წყალიც არაევის მიუწოდებია...

გ ო გ ო ლ ა. დედა, შემოგეელე, დედა!..

აგაბო. ახლა ტირილი გვიანია, ჩემო უფროსო რძალო.

ეუჟუნა. ახლა, უკვდავი ხომ არავინაა...

აგაბო. არა, ის კი არ მითქვამს, უკვდავი სული უნდა ჩაგებერათ-მეთქი.

ლანდა. არც ჰიქა წყალი გადაარჩენდა, თუ განწირული იყო.

აგაბო. ჰიქა წყალს შეიძლება გადაერჩინა, ჰიქა წყალიცაა და ჰიქა წყალიც... გააჩნია ვინ გაწოდებს და რა დროს, რა გულით და რა რწმენით. ზღაპრებში რომ უკვდავების წყალზეა ლაპარაკი, თქვენ გგონიათ, მართლა არსებობს უკვდავების წყალი?

დიტო. ახლა, მამა, მაგი მაგალითისათვის ვინ არ იცის.

აგაბო. ეს თქვენც იცით, რომ არ არსებობს, მაგრამ ის არ იცით, რომ წყალი მართლა არსებობდა და არჩენს მომაკვდავს.

ბუხუტი. ახლა ეს ლოგიკის შედეგია, მამა, და... ლოგიკა ამბობს! შავი სულაც არაა შავი — თეთრია.

აგაბო. თქვენმა გახარებამ, კარგი ლოგიკა გქონიათ.

ბუხუტი. მაგრამ გენეტიკა ამბობს: შავი შავია.

აგაბო. მოიცა! თქვენსავით მეცნიერი არა ვარ, მარა გენეტიკის გარეშე მეც კარგად ვიცი, „არ გათეთრდება ყორანი"... და ულოგიკოდაც ვიცი, ის წყალი, თუ ჩემი შვილი და მომავალი ფეხშიშველი ცხრა დღეს ივლის, ცხრა მთას გადაივლის და ცხრა წყაროს წყალს მოიტანს, მომაკვდავს კი არა, მკვდარს გამოცოცხლებს.

დიტო. ახლა, მამა, ასე რომ იყოს... ცხრა წყაროს კი არა, ცხრა ზღვის წყალს მოგიტანთ, მთელ ვაგონს და ცისტერნას...

აგაბო. არა, ვაგონებით და ცისტერნებით კი არა, დოქით უნდა მოიტანო, მატარებლით და ჰაეროპლანით კი არა, ფეხშიშველამ.

დიტო. ახლა, მამა, ფეხშიშველა და... ცხრა მთას იქით ვინ დადის... და წყალი წყალი არაა?!

აგაბო. არა, ის წყალი სხვაა, ფეხშიშველა მოტანილი და ვაგონით ერთნაირი არაა, ცხრა მთას იქიდან ფეხშიშველა დოქით ჩამოტანილი ცხრა წყაროს წყალი უკვდავების წყალია!

ლანდა. ვთქვათ, ჰო... მაგრამ წავიდეთ ახლა და მოვიტანოთ?

აგაბო. მართალია, ჩემო რძალო, ახლა ყველაფერი გვიანაა. წაიღო თქვენი ჭირი კესარიამ. შემოგევლოთ თავზე და წავიდა, მაგრამ მისი სიცოცხლე ხომ თქვენ ხართ? ამნაირი ჩაჩინმედლე-

ბული უნდოდით საწყალს... და, ამ დროს, მისი დღე და ღამ შრომით შექმნილ კარ-მიდამოში ვინაა ეს ჩერჩეტი დედაკაცი, რომ დაბერბეცობს და ურევს ხელს მისი დალალილი მარჯვენითი შექმნილ ოჯახში? ანთებს ცეცხლს დედათქვენის კერაზე და ითბობს ხელს?!

დიტო. მაგი, მამა... შენ რა გითხარი, ჩვენ უნდა გვეკითხა...

ბურმიშხანი. შენ რატომ, მამა, ჩვენს სათქმელს ჩვენ ვიტყვით, მამა...

ოველი. ყველაფერი რომ იცი, მამა, შენგან არ მიკვირს?

ქუქუნა. გენაცვალეთ, ჩემი შენ ვითხარიო...

ლანდა. თქვენ მაინც ვერ ეტყოდით და აცალეთ, რაც ჩვენ უნდა გვეთქვა, ეს კაცი გვეუბნება.

აგაბო. არ ვიცი, ჩემო რძალო, თქვენს სათქმელს ვლაპარაკობ თუ არა, მაგრამ მე მარტო მე არა ვარ, მყავს მეზობელი და მოკეთე, მყავს ნათესავი და მოყვარე. აგერ კარპე — ჩემი ნათლული და იქით იორდანე — ჩემი მზახალი...

ცაგო. მამაჩემი... სანამდე კარგად არ დაბნელდა, ვერ გადაკვეთ...

ბუხუტი. კარგი, შენ! ვიცით, გავიგეთ!..

აგაბო. აცალე, შვილო! სიმართლეს ამბობს და თქვას.

ბუხუტი. რა მართალია! ლოგიკურად, დღისით გადასულიყო, ქვას ვინ ესვროდა?..

აგაბო. ესვრის, შვილო! ქვის სროლაა, კაცს თვალს რომ ვერ გაუმართავ, მოკეთემ სულაც რომ არაფერი გითხრას შენს საძრახ საქმეზე, კიდევ უფრო შეგრცხვება. კუთხე-მეზობელი რომ პირს აგარიდებს, იფიქრებ, რომ მეგონა, იმაზე უნუგეშო, თავსაფერი საქმე მჭირვებიაო... და რაკა გგონიათ, ასეა თქვენი საქმე, რომ იცოდეთ თქვენ.

შვილები. მამა!

აგაბო. კი!

ოველანი (ლანდას გარდა). მამა, რას ამბობ, მამა?!.

აგაბო. კი, კი, რომ გეუბნებით მე თქვენ... თქვენს ადგილზე რომ ვიყო, თავს ვერ გამოვყოფდი ქვეყანაზე, კაცისშვილს თვალებში ვერ შევხედავდი. ღმერთმა მოთმინება მოგცეთ, მაგრამ ამაზე დიდი სირცხვილი რა უნდა დაემართოს ადამიანს...

დიტო. მამა, იცი ეს და გვღუპავ, მამა, შე ასი წლის ჯირკო!

ბუხუტი. ლოიკურად, მამა, თვითონ, თავისთავად გამომდინარე გამოდიხარ ბრალდებული...

აგაბო. რა ცოდნა და ლოგიკა უნდა, თქვე უბედურებო... რასაც ყრუ და ბრუციანიც ხედავს და სოფელი დიდიან-პატარიანად თვალებზე ხელს იფარებს.

შვილები. მამა!

დიტო. მამა, შე მოღალატე, მართლა რომ ყელს გვჭრი, შენ ჩვენ!

ჟუჟუნა. გენაცვალეთ, ოთხი შვილის, შვილიშვილების და შვილთაშვილების პატრონი ბერიკაცი რომ ნეფე-დედოფლობანას თამაშს დაიწყებს, მის პატრონს თვალში გამოსახედავი რაღა აქვს?!

დურმიშხანი. მამა, მამა... ლანდა, ასე როგორ, მართლა დავიღუპეთ?

ლანდა. შე თვალდაუსებულო, აქამდე არ იცოდი?!

ოველი. მე, მამა, ზაინც მეგონა, რომ ამ ამბავს შენ ახსნიდი...

ბუხუტი. ესთეტიკის სამყაროში... მეტი რომ არაფერი, ეთიკა მოითხოვს ამას.

დიტო. შენ თუ... შე მართლა ძალიან ძველო... თუ ასე გეყურება, ვინ ყოფილხარ, მამაჩემო, არ ვიცი პირდაპირ მაგი მე!

აგაბო. კიდევ უარესს გეტყვით, თქვენ ცოტა სინდის-ნამუსზე ხელმოკლედ ხართ, ღრმად ვერ წვდებით და ვერ გრძნობთ, რა უბედურებაც თავს დაგატყდათ. ამ ამბავს თავმოყვარე კაცი... მე თქვენს ადგილას, მამა ასე რომ მიმეტოვებინა, ასი წლის კაცს საქმე საცოლშვილო გახდომოდა, ქვეყნისათვის რა პირით შემეხედა!.. (კარებისაკენ მიდის.)

შვილები. შენ გვიქენი, მამა ყველაფერი! გამოგვჭერი ყელი მამაა! (დიტო მიიწევს კიდეც, აგაბო კართან შეჩერდა, მოიხედა და დიტო გაშეშდა.)

გაბო. კი, ასე დამემართებოდა მე! (გადის და კარს გარედან გადაკეტავს.)

შვილები. მამა, შენა ხარ ჩვენი დამღუპველი და დამაქცევარი! შენა ხარ, მა-მა!

ლანდა. დადექით ახლა კარებთან ბატკნებივით და იბღავლეთ, მა-მა! დამღუპველო მა-მა!

დურმიშხანი. არაა, ლანდა, ღამღუპველი?

ლანდა. შე უბედურო, მე მეკითხები? თვითონ იმ ქოფაკმა გვითხრა ვინცაა და რაცაა!

დიტო. გვითხრა, რომ თქვენ იცოდეთ, გვითხრა!

ბუხუტი. ახრი დინამიურად მოგვაწოდა.

ეუეუნა. გენაცვალეთ, რომ გვითხრა, რა გვითხრა ეს...

ლანდა. თქვენ ვერა და, მან კი სამართლიანად გამოუტანა თავისთავს განაჩენი!

დიტო. უხ, მამაჩემო, შე ძველო „სუდია".

დურმიშხანი. მერე, ლანდა?

ლანდა. მერე, რომ გაუშვით, სად გაუშვით?

ოველი. აბა, რას ფიქრობ, რა გვექნა?

გოგოლა. აბა, ახლა მამას... (კესარიას სერთან ახვევა, მოიქმით.) დედა, შე საცოდავო, სადა ხარ, დედა!

ცაგო. ბუხუტი, ამ ხნის კაცს... სირცხვილია, ბუხუტი!

ლანდა. მაშინ დავეყაროთ ამ სოხანეზე, წავიყაროთ თავზე ნაცარი, მადლობა ღმერთს, საძებარი არა გვაქვს და წავიშინოთ თავში ხელი!

დიტო (კარებს მიაძახა). ნაცარს, მამაჩემო, იქით ვაყრი მე ბარე ორს!

ლანდა. რომ გაუშვით, სად გაუშვით?!

ეუეუნა. გთენდა, გენაცვალეთ, გთენდა! (ფანჯრებში მარილაც ალონი შემოდის.) ასე პირში ჩალაგანოვლებული, სანამდე ვიყოთ?

დურმიშხანი. არ უნდა მიგეტოვებინეთ, მამა!

დიტო. სად წადი, შე პირში ჩალის გამომვლებო, ბებერო ხარო! (კარს მიეარდება და ეჯაჯგურება, ვერ აღებს.)

ლანდა. ახლავე აქ მოათრიეთ ისიც და მისი ძროხა დედაკაცი! იმ ყაჩაღმა თუ ეს მოსეირე ყრუ სოფელი ალაგმა და თქვენც ენა ამოგაჭრათ, თუ თქვენ ცხოვრებაზე ხელი ჩაიქნიეთ, მე მყავს შვილი და მომავალი!..

ეუეუნა. მე არა, ლანდა გენაცვალე! (გვერდით დაუდგა.)

ლანდა. თქვენ თუ დაგავიწყდათ, მე მახსოვს, რომ მაგ სულწაწყმედილს ოთხი შვილი ჰყავს, მე ჩემს შვილსა და შვილიშვილს ნაცარს და ტუტას შევაყრი კი არა, ცივ ნიავს არ ვაკარებ...

გოგოლა. ჩვენც რა გვყავს იმათი ფასი!

ცაგო. ბუხუტი, ჩვენც ხომ გვეყოლება, მოეკრება თავი შვილებს.

ბუხუტი. ლოგიკურად, კი, მაგრამ პრაქტიკულად, სადაა თორემ კი.

ლანდა (იწვლა). ახლავე, ახლავე გაიჩინეთ! (დურმიშხანს.) შე უბედურო, ნეტავი მაცოდინა რას ფიქრობ? სანამ მინისტრი იყავი,

შენი ერთი სიტყვა კმაროდა... ზღვისპირზე გვიქსებოდა აგარაკი; ახლა ამასაც რომ კარგავ და გული ხელით გიკვირავს, იმ ბენზინით და ნავთის ბოლით აქოთებულ ქალაქში წიწილივით ამოგბდება სული!

ჟუჟუნა. გათენდა, მთლად გათენდა!

დიტო (გამორბის აქეთა კარისკენ). მამაჩემო, შენ ჩვენთან ასე არ გაგიგია... ეს უხდა იცოდე შენ. (უკანა კართან ჯორკოს წამოედო და კარის წირთხლს შუბლით მიასკდა.)

დურმიშხანი (მასდევს დიტოს). მამა, დადგენილია, მშობელი მამა არ ჩაიდენს ამას, მამა! (დარეტიანებულ დიტოს ხელს აშველებს.) დიტო, (შუბლს ისრესს). დადგენილება, მაგალითისათვის, დადგენილებაა საკვირო!

ბუხუტი. არა, მამა! არც მორალურად, არც ესთეტიკურად და არც შემართებით არა ხარ მართალი! (კარებში გასიდულ ძმებს შორის იბლანდება.)

ლანდა. ის ქალიც, მაგ ბებერ სინდისიდან გარეცხილთან ტლიკინი ჩვენს საქმეს არ უშველის, ის თახსირი დედაკაცი აქ მოათრიეთ!

ჟუჟუნა. დღე-დღეზე დაახვარხვალებს, გენაცვალეთ, ბიჭს!

გოგოლა. იოველ, რა ცოდვა დატრიალდა, იოველ! ამ ქალს იქნება დავანებოთ თავი.

იოველი. არ ვიცი, არა! (თაეჩაღუნული ბოლთას ცემს.)

ლანდა. ახლავე აქ გაიჩინეთ ის „ძროხა", ახლავე! (გარედან ძროხის ბღავილი ისმის.)

ცაგო. ბუხუტი, თუ ძალიან გვიანაა, რამე რომ მოეწიოს. ბუხუტი, ექიმი ვარ, მე ადამიანის სიცოცხლეს ვემსახურები!

ბუხუტი. შენ მაგისთანა რამე არ გეშლება, მაგრამ პროფესორი... ვინმე ვირტუოზი... მედიცინაში ამ მხრივ დიდი გამოცდილება არსებობს, ვიცი მე...

ცაგო. ბუხუტი, რას ამბობ, თუ დაგვიანებულია, არავინ ხელს არ მოკიდებს...

ჟუჟუნა. ახლა, ვითომ ექვს თვეზე მეტის იქნება?..

ცაგო. ჟუჟუნა, ასე ზუსტად, მის მუცელში კი არ ვზივარ... ამას გარდა, თუ მისი თანხმობა არ იქნა... მე ექიმი ვარ...

ლანდა. ვისი თანხმობა თუ არ იქნა? იმ უნდილს ვინ კითხავს?! როგორც ეს გადაღძუებული იტყვის, ისე იქნება... მას უნდა ამოგლიჯოთ პირიდან თანხმობა!

დურმიშხანი. ლანდა, კარგი საქმე რომ არაა... მამა ღრმა კაცია... იცის მამამ... (ის ბუხუტი დიტოს ჯალსტუხით შებლს უკრავენ.)

ლანდა. მამა! მამა კი არა, მოსისხლე მტერი არ უზამს ამისთანა საქმეს ადამიანს. თვითონაც თქვა იმ ვეშაპმა... დღე-დღეზე პენსიაზე რომ გიკრავენ თავს, მერეც გგონია ბთავრობის ჯაჩებზე წამოჯდები და ფეხს ფეხზე გადაიდებ?! თუ გგონია, შვილიშვილს ზაფხულში ქალაქში გამოვახრჩობ?!

დურმიშხანი. ბაბა, რატომ გვიქენი, მამა, მშობელო მამა... (ცეხარიას სურათს.) დედა, რატომ მიგვატოვე და ლაგვობლე...

იოველი. ამაზე მამაჩემის მეტი ვერავინ გიპასუხებს... მამაჩემი იყო და არის აქ ავანიც და ჩავანიც...

ბუბუნა. ახლა, ჩემო მაბლო, მაბათქვენმა რომ შვილი ინდომოს, ჩვენ ავიღოთ და გამოვიჭრათ კისერი?

იოველი. არ ვიცი, არა. (ისევ ბოლთას სცემს.)

ლანდა. რა არ იცით, კიდევ არ იცით?! (კარებში გახიდულებს.) თქვენ კიდევ აქა ხართ?! (აწუდებიან ერთმანეთს, კამათობენ, ინიკრებიან.)

მოქმედება მეორე

სურათი მესთხე

ოდენ დეკორაცია. ოენდენა. შვილებს და რძლებს ამ კამათსა და დავიდარაბაში ვერანერი გადაეწყვეტიათ და ვერც ბეჭს შერიგებიან.

ლანდა კარიდან შემოდის აგაბო, ყველას გადახედავს, თან მეორე ჩექმას ეძებს.

აგაბო (იოველს). მთელი ღამე თვალი არ მოგიხუჭია და, უყურე შენ, რა ცქკიტად გამოიყურებით!

იოველი. როდის იყო, ბამა, შუადღემდე მხართეძოზე წამოწოლილი ვგორაობდი?

აგაბო. შუადღემდე არა, მაგრამ არც მთელი ღამეგათეული მინახიხარ... ეუჰ! ეს დიტოა, კაცო? დურმიშხან... ჯვარი აქაურობას... ბუბუნა, ლანდა.. კერიას ნახშირი... ბუხუტი, ცაგო, გოგოლა!.. ტასია! ტასია-თქვა! მოდი ერთი და შენი თვალით ნახე, რა შვილები და რძლები მყავს...

კარებში ტასია შემოაყოფს თავს ქოთნით ხელში.

ტასია. აგერ არა ვარ, შე კაცო?

ა გ ა ბ ო. მაგერ კი არა, აქ უნდა იყო და შენი თვალით უყურო რა შთამომავლობის პატრონი ვარ.

ტ ა სი ა. რას დეინახავს უკეთესს ორი თვალი!

ა გ ა ბ ო. ეს რომ დაინახო, მაინც ვერ დაიჯერებ, თვალი არ მოუხუჭიათ და ამ ალიონზე ასე დაგეზებული გამოიყურებიან. გაგიკვირდება. კარგად გამოძინებულები და დიდი საქმისათვის წამოფრენილები გეგონება.

ტ ა სი ა. კი ავდექი მე საცოდავი, მარა იმ ჯილაგდალოცვილმა რომ არ მიმიკარა და რძე არ დამანება... დაკავება უნდა, შე კაცო, ქეიცი, ატეხილი რომაა.

ა გ ა ბ ო. აგერ, შე ქალო, დამკავებლის და მომწველის მეტი რა გვყავს, ერთი რომ მიესიონ, ძროხას და ხბოს კი არა, თვალშეუდგამ გორმაღალს გაასწორებენ და რიყის ქვაში რძეს გამოადენეს.

ტ ა სი ა. უი, შე კაცო, რანაირი თქმა იცი...

ა გ ა ბ ო. მე რა ვიცი, რასაც ეხედავ, ტასია, იმას ვამბობ. გუშინ ჩამოცვივდნენ, მკვდარს უპატრონეს, დღეს — ცოცხალს უნდათ მხარში ამოუდგნენ... რა ვენახი დადგა ამათ გადაბრუნებულ მიწაზე არ იტყვი?

ტ ა სი ა. ავ თვალს არ დაენახება, აპა, ავ თვალს!

ლ ა ნ დ ა (მოთმინებადაკარგული). უსმინეთ! უსმინეთ! დაეყუდეთ და უსმინეთ! ახლავე გაგიდგამთ თქვენ მხარზე ბარებს და ჩვენ ნაკელით სავსე გოდრებს!

ა გ ა ბ ო. ბარები და ნაკელის გოდრებიო... ტასია, გესმის, რას ამბობს?

ტ ა სი ა. უი, დედა, ამისთანა ჩაკალსტუკებულ და ჩასილაღებულებს ბარი და გოდორი ვაგონილა?!

ლ ა ნ დ ა. სულ მაგ ჭკუაზე ვარ!..

ა გ ა ბ ო. არ დაიშლიან, ტასია, თორემ მე რავა ვაკადრებ... უყვართ ეს მიწა და ქვეყანა...

ლ ა ნ დ ა. რავა დააღეთ პირი!..

ა გ ა ბ ო. ტასია, წადი შენ და იმ ძროხას მიხედე...

ტ ა სი ა. რავარც იტყვი, ისე ვიზამ, მარა არ მიყარებს ატეხილი რომაა, აგაბო! არ გესმის, რაფერ ზრუტუნებს და ბღავის?

ა გ ა ბ ო. წადი, ჩექმას ჩაიცვამ და მეც ახლავე ვოვალ! (ტასია გადის, აგაბო აქეთა კართან ჩექმას ეძებს.)

ლ ა ნ დ ა (დურმიშხანი და ბუხუტი იქით კართან მიაყოვებს, დიტო იქვე გაიგონებს და ეუეუნას გვერდით ამოუდგება). ამოიღებთ ხმას, თუ ამ ეეშაპს ასე უსიტყვოდ გადაეყლაპებინებით?!

(აგაბო შეცბა და მეორე ჩექმა ხელიდან გაეგარდა, დიტო ზედ ფეხს დაადგამს.)

შ ვ ი ლ ე ბ ი (ორივე მხრიდან). მამა!

რ ძ ლ ე ბ ი (ლანდას გარდა). მამა!

ა გ ა ბ ო (გაცეცხლებულმა ჯერ ამ კარს შეხედა, მერე იმ კარს). ვის ეძახით მამას, თქვენ ოხრის შვილებო!

დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი. მამა... მშობელო მამა!

დ ი ტ ო. მამა ხარ, შე უპატრონო, აბა, ვინა ხარ? შენ მართლა და მართლა!..

ბ უ ხ უ ტ ი. მამა ხარ... ჩვენ შენი გენი და სისხლი ვართ, მამა...

ა გ ა ბ ო (გადაბრით, მკაცრად). არა!

ი ო ვ ე ლ ი (დაყვავებით). მამა, რა ლაპარაკია ახლა ეს... იცი შენ, რაც უნდა გითხრათ და...

გ ო გ ო ლ ა. საფიცარო მამა!

ი ო ვ ე ლ ი. მოიცა! მამა, ხომ უნდა გაიგო, რა უნდათ?..

ა გ ა ბ ო. რა გაიგო?!.

ი ო ვ ე ლ ი. იცი, შენ ყველაფერი იცი...

ლ ა ნ დ ა. თვალთმაქცი... რა არ იცის...

ე უ ე ე ნ ა. ახლა, გენაცვალეთ, ეს ვინ არ იცის...

ც ა გ ო. სირცხვილია, ბეტი რომ არაფერი...

ა გ ა ბ ო. ამის თაობაზე კითხარით მე თქვენ...

ლ ა ნ დ ა. გვითხრა ხომ, მეტი რაღა კვინდა? დავიხუროთ ქუდი და წავიდეთ!

ა გ ა ბ ო. ქუდი რომ დაიხუროთ, თავი უნდა გქონდეთ, ქუდს ფეხებზე ხომ ვერ ჩამოიცვამთ?!

დ ი ტ ო. თავი მოკვეკერი, მამა შე მართლა... არ გადაჭრიო შე შენ, მამა!

ა გ ა ბ ო. თქვენ დედ-მამა არ გყავთ!

ბ უ ხ უ ტ ი. მამა!

ა გ ა ბ ო. არ გყავთ-მეთქი, რომ გეუბნებით!

ბ უ ხ უ ტ ი. მამა, მაშინ, შთამომავლობითი გენიალოგიით გამოვდინარე, მამა, ვისი შვილები ვართ?

ა გ ა ბ ო. არ ვიცი.

დ ი ტ ო. შე ძველთაძველო, მოღალატეე, შენ ჩვენი მამა არა ხარ?

დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი. ჩვენ შენი შვილები ვართ, ძვირფასო..

ა გ ა ბ ო (დამჯერებლად). არა მყავს მე შვილები! (ყველას ენა ჩაუვარდება.)

გ ო ვ ი ლ ა (წამოიმოთქმებს). დედა, შე უბედურო, დედა!

ლ ა ნ დ ა. ხედავთ, თქვე წყალწაღებულებო? არა ჰყავს ამ კაცს შვილები და რა ქნას, ბოლოს და ბოლოს ასე უძეოდ და უმემკვიდრეოდ ხომ ვერ გადაშენდება...

ა გ ა ბ ო. მართალი ბრძანებაა! არ მყავს ძე და მომავალი და ასე უშვილძიროდ ვერ წავალ ამ ქვეყნიდან. ალბათ, ამიტომაცაა, რომ ცას გამოვეკერე. დავიღალე, დავიქანცე, დავბერდი, დავუძლურდი და მაინც ფეხზე ვდგევარ... ვიღაცა დაჯდომის ნებას არ მაძლევს. დასვენება მინდა, ძილი მინდა, დიდხანს მინდა ვიძინო, ძალიან დიდხანს და წავთვლემ თუ არა, ვიღაცა მაღვიძებს. ყველაფერი მომძულდა, მომბეზრდა, სამოცდაჩვიდმეტი წელი ფეხზე დგომა ხუმრობა ხომ არაა, მაგრამ ვის ეყურება, ეტყობა, მთავარი გაუქეთებელი მაქვს...

ლ ა ნ დ ა. მაშინ რას ერჩით ამ ადამიანს, ცამდე მართალი ყოფილა, რომ მოსარჩენ ქალს თვალებში შესციცინებს, მთავარი საქმე ის ყოფილა და ჩვენს ამბავს არც კი კითხულობს!

ა გ ა ბ ო. მე თქვენს ამბავს ვერ ვიკითხავ და რომ მოვინდომო, თქვენამდე არც მომიშვებენ!

დ ო ო ნ ი შ ხ ა ნ ი. აბა, მამა...ქუჩაში რომ ვეყაროთ, მამა, ასე ფეხწამოსაკრავად... ეს როგორ, მამა!.. მოსაწონია?..

დ ი ტ ო. შენ არ გიხარია? შე მართლა გულქვა, მინისტრი და მთავრობა შვილები?

ე უ ჟ ე ნ ა. მეცნიერი და თავმჯდომარე, გენაცვალეთ...

ა გ ა ბ ო. მე მინისტრ შვილს ვერ გავზრდიდი...

ბ ე ხ ე ტ ი. როგორც ასეთი, შენ გაზარდე, მამა და ეს ფაქტი, თეორიულად და პრაქტიკულად... მეცნიერულადაც თუ გნებავთ...

ა გ ა ბ ო. არანაირად არაა მართალი!

დ ი ტ ო. რა არაა მართალი, შე ძველო გაუტეხელო ცხრაკლიტულო!

ა გ ა ბ ო. არაა მართალი, რაკი მე არც კი ვიცი, მინისტრი და პროფესორი იქმება თუ ისმება...

ე უ ჟ ე ნ ა. ამათ იციან, ბატონო, ამათ იციან...

დ ი ტ ო. ჩვენ ვიცით... ჩვენ რა არ ვიცით... და შენ გაგიზარდე, რომ ეცოდე შენ!

ა გ ა ბ ო. მე ვერ გავზრდიდი იმას, რაც არ ვიცი და რაც გუნებაში არ გამივლია.

ი ო ვ ე ლ ი. მართალია, მამა, მაგრამ ეს მაინც ასეა...

დ ი ტ ო. და შენ, შე დენიკინის დროინდელო, ნიკოლოზის დრო ნუ გგონია!

ა გ ა ბ ო. არა, ნიკოლოზის და ხელმწიფობის დრო არ მგონია, მარა, არც ის მგონია, ჩემი შვილი მინისტრად და ვაზირად გამოდგეს, მე ამდენზე ვერ გადავხტები.

ლ ა ნ დ ა (დურმიშხანს). შენზე ლაპარაკობს, შე თვალდამდგარო!

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. ახლა, მამა, მე რომ გადამიყვანეს... კი არავის... საკვლევი ინსტიტუტია, მამა... ამ სოფლისხელა ინსტიტუტია... უახლესი მეცნიერებაა... ახლა ბარი და თოხი...

დ ი ტ ო. ჩაბარდა!.. რა ხანია ჩაბარდა, შე შეუსმენელო ბერიკაცო, ისტორიას თოხი და ბარი...

ა გ ა ბ ო. გაჩერდი, შენ ნუ ბრიხინებ! აგერ (ლანდაზე.) ამ ქალს ნამეტანი გულდაგულ უნდა ჩემი აზრი და მათქმევინე!

ლ ა ნ დ ა. არაფერი და არავისი აზრი არ მინდა მე!

ა გ ა ბ ო. აბა, ასე რავა, უაზროდ გინდა მინისტრის ცოლობა?

ლ ა ნ დ ა. აღარა ვარ, ბატონო, მინისტრის ცოლი, დაკმაყოფილდით?

ა გ ა ბ ო. ინსტიტუტის დირექტორის ცოლი ხარ!

ლ ა ნ დ ა. ხვალ იქნებ არც ეს ვიქნე, თქვენი წყალობით!

ა გ ა ბ ო. „იქნებ" კი არა, ასე მოხდება...

ლ ა ნ დ ა. სამახარობლოდ ჯინსის ბლუზა-შარვალი მოგვართვათ თუ ძველებური ჩოხა-ახალუხი?!

ა გ ა ბ ო. მარტო ამიტომ არ მჯერავს (დურმიშხანზე.) ამის, რომ ერთ ქალს და ბოვშეს ვერ უწინამძღვრა. სხვას რომ თავი დავანებოთ სიტყვა-პასუხი ვერ ასწავლა. ასეთი კაკი დიდი საქმისათვის ვერ გამოდგება!

დ ი ტ ო. ახლა, შე ძველო პირში მთქმელო, სახლში ქალი რას აპ იტყვის... და იქ თანამდებობაზე ასე არაა, რომ იცოდე შენ!

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. იქ ჩვენ... გვისმენენ, მამა!

ბ უ ხ უ ტ ი. ექვს საათიან ლექციას ვკითხულობ მთელი შემართებით.

ა გ ა ბ ო (დურმიშხანს). იქ თქვენ კი არა, სკამს უსმენენ. შენ თუ მინისტრად იყავი გაჩენილი...

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. ახლა, გაჩენილი როგორ, მამა...

ბ უ ხ უ ტ ი. მამა, გენეტიკურად კი არ იბადებიან მინისტრები.

დ ი ტ ო. და ალმასკომის თავმჯდომარეები...

ა გ ა ბ ო. მაშინ რა გინდათ იქ?

ლ ა ნ დ ა. ვადააყენეს, ვადააყენეს, გააგებინეთ როგორმე!

ა გ ა ბ ო. მაგრამ ახლა ინსტიტუტის დირექტორია, უახლესი მეცნიერების ინსტიტუტის, რომლის სულ არაფერი გაეგება; ხვალ იმ დაწესებულების დირექტორად წავა, რომელიც ახლა არც იცის თუ არსებობს და ზეგ, ვინ იცის, სად ამოყოფს თავს... მე, რაც ჯიშით და ჯილაგით გადმოგეცით, აკვნის ტარსე გიკიდებდით მწიფე მტევანს, ოცი წელიწადი გიჩიჩინებდით, გასწავლიდით, გამუშავებდით და მიწის არაფერი გაგეგებათ, ვითომ ყველგან გამოდექით და იქ არა, რისთვისაც გაჩნდით და გაგზარდეთ?!

ქ უ ქ უ ნ ა. არ გვინდა, გენაცვალეთ, ეს ლაპარაკი, ჩვენ სხვა უბედურება გვჭირს.

კ ო გ ო ლ ა. მამა, ჩვენო სიხარულო და გამგებო, მამა...

ა გ ა ბ ო (ქუქუნას). და აქედან მოდის იმ უბედურების სათავე!

ქ უ ქ უ ნ ა. ახლა, მამა, თქვენ რომ ისევ ცოლი შეირთეთ...

ა გ ა ბ ო. როგორ გგონია, მე შვილი და მომავალი რომ მყოლოდა, ამ საქმეს ჩავიდენდი?

დ ი ტ ო. აგერ არა ვართ! შე გულგატეხილო და ხელჩაქნეულო შენ, აგერ!

ი ო ვ ე ლ ი. სად ჯანდაბაში გადამაგდეს მაინც...

კ ო გ ო ლ ა. აბა, იოველ, აქ რომ ყოფილიყავი, იქნება ეს არ მომხდარიყო და სახლშიაც დანატრებული არ ვიქნებოდი შენს გამოჩენას.

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. ხომ იცი, მამა, გული როგორ მაქვს... მამა, ინფარქტი გადავიტანე, მამა!

ა გ ა ბ ო. სადირექტორო გული თუ გაქვს, უახლესი მეცნიერების ინსტიტუტის სადირექტორო?

ლ ა ნ დ ა. რომ არა აქვს, დაანებოს თავი, დავიჯდეთ სახლში და შენ და შენი ძროხები გწყემსოთ?!

ა გ ა ბ ო. ეს მწყემსად თავის დროზე არ ვარგოდა. ამას მე ვენახში მწიფე მტევანს ვერ მოვაწყვეტინებ, სამამულე ლერწს მომიტეხავს.

ი ო ვ ე ლ ი. მამა, დაანებე თავი ამ ლაპარაკს, გაიგე, რომ მოხუცდი და ვენახს, ძროხას და ტყეს ველარ მოუვლი.

ბ უ ხ უ ტ ი. ადამიანი გარკვეული დროის შემდეგ, რა შემართებისაც არ უნდა იყოს, ცვდება...

ცაგო. სიბერე ფიზიოლოგიური მოვლენაა, სირცხვილია ამ ხნის კაცის და მამაჩემის...

ეგაბო. ვერ დაკანებებ... ვერც მე და ვერც მამაშენი იორდანე.

ცაგო. სადღა შეუძლია მამას.

აგაბო. ფეხზე დგომა არ შეუძლია და მაღალი სკამი აქვს გაკეთებული, იმ სკამზე ჯდება და ისე აქვს მოვლილი ის ალადასტურის ტალავერი.

იოველი. კარგი, მამა, ახლა, რა დროს ალადასტური და ჩხავერია. დავლიოთ ის, რაცაა.

აგაბო. აი, რატომ ვართ მე და იორდანე უშვილძირო. ხუთასზე მეტი ჯიშის ვენახია საქართველოში და კახური რქაწითელისა და საფერავის, ქართლის ჩინებულისა და დასავლური ცოლიკაურისა და ციცქას მეტი მივიწყებულია.

იოველი. შენგან არ მიკვირს, მამაჩემო? რაც უხვმოსავლიანია, იმას ვაშენებთ... აბა, როგორ? ვიცით, ცოლიკაური გამძლე, მომგებიანია, ავდგეთ და დონდღლაბი და ძველშავი გავაშენოთ, შენ გვირჩევ ამას?

დიტო. გეგმა გვაქვს ჩვენ, შე ძველო ინდიკიდო და გვღუპავ შენ ჩვენ!

აგაბო. რატომ გაშენდა აგერ, ლეჩხუმში, უსახელოურის ჯიშისათვის წამგებიანი მეურნეობა და გურიაში — ჩხავერის... თქვენთვის რომ ეკითხათ, დაბალმოსავლიანიაო და ძირფესვიანად ამოძირკვავდით. მარა ხუთას წამგებიან მეურნეობას ვერ გააშენებს სახელმწიფო. მე, იორდანამ და ჩვენისთანებმა უნდა ვიხოხოთ, მუხლიჩოქვით, სკამზე ჩამომჯდარმა, კიბეზე ჩამოკიდებულმა და უნდა გადავარჩინოთ. გორმაღალიდან რომ სოფლები ჩამოასახლეს, გემახსოვრებათ.

დიტო. კი, მამა, ურმის ძარაში ვოკები, ინდაურები და ბაღნები ერთად ეყარა.

იოველი. იქ, იმ სიმაღლეზე ვენახი არც ხარობს, მამა.

აგაბო. იქ, სანამ სოფელი ერქვა, მამაჩემს ნათლული ჰყავდა — ეზეკი ქაროსანიძე.

დიტო. ეზეკი ბიძიე, მაპსოვს, თ.ფლაკვერს მოგვიტანდა!

ლანდა. ამათ ნათლულები და ნათლიები!.. (ფანჯრებს აწყდება.)

აგაბო. აქ რომ ჩამოიარა თვალატირებულმა ეზეკია ქაროსანიძემ, ჭიშკართან მომაძახა, აგაბო ბოგვერაძე, იმ ნათელდამდგარი ნათ-

ლიაჩეის სულს გაფიცებ, ჩემს ნამოსახლარზე ფუტკარი დავტოკე ხუთი ძირი, შენი არაფერი მინდა, მიხედე, და ღმერთმა მოგახმაროსო.

დ ი ტ ო. ქართული ფუტკარი მსოფლიო ჩემპიონია, მაგი არ ვიცით ჩვენ, შე ძველო.

ბ უ ხ უ ტ ი. მამა, უმაღლესია ქართული ფუტკარი.

ქ უ ქ უ ნ ა. ყველა თაფლს აკეთებს, გენაცვალეთ...

ა გ ა ბ ო. ფუტკარი მე ჩემიც მყავდა და მყავს, ნარა იმისთანას არაფერს მოვსწრებივარ, ჯერ, ისეთი თვინიერია, მისთვის კვამლი რაა, არ შემიბოლებია, მერე, უამინდობა იმან არ იცის, ქარი და წვიმა. დღე და ღამეს ასწორებს, სამჯერ მეტ თაფლს იძლევა, სანთელს და დინდგილს. დამიკლდა ხელი, ასვლა-ჩამოსვლა ნამეტანი ჭირს, ცხრა ძირ ოჯახზე ძლივს ავიყვანე.

ფ ე ო ნ ი ს ხ ა ნ ი. თუ ასეთი ჯიშია, მაგას სახელმწიფო არ გადაყრის, მამა.

ა ბ ა ბ ო. არა, სახელმწიფო ცხრა სკისთვის იქ მეურნეობას და ინსტიტუტს ვერ ააშენებს.

დ ი ტ ო. ჩამოვიყვანთ, შე მართლა... ჯორზე რომ შეჯდები, მამა და არ ჩამოხვალ!

ა გ ა ბ ო. ჩამოყვანა რომ შეიძლებოდეს, მაგას ეზეკიე ქაროსანიძე ჩამოიყვანდა, კი არავის დაუშლია. მისმა მეზობლებმა არ წაიყვანეს? შეერია სამხრეთ საქართველოში შერეულ თურქულ და სპარსულ ჯიშებში და ეზეკიე სიკვდილის წინ მწერდა: „აგაბო, ცოდვით გიბარებ, იქ დაიდგი ქოხი და ის მართლა ღვთის ხელით ჩამოდგმული ფუტკარი არ დაღუპო, შვილის და მომავლის წინაშე სული არ წაიწყმიდოო“...

ი ო ვ ე ლ ი. რა ჰქნან, მამა, ახლა ესენი ეზეკიე ქაროსანიძის ფუტკარს და იორდანეს ალადასტურს მოუვლიან? შენ ძროხას, კრუხს და წიწილებს მომწყემსავენ თუ...

დ ო ნ ი ს ხ ა ნ ი. შენ ღრმა კაცი ხარ, მამა...

ა გ ბ ო. სირცხვილია, ბუხუტი, რაღა დროსია ამათი მწყემსობა და მეურნეობა.

ბ უ ხ უ ტ ი. გამჭრიახი კაცი ხარ, მამა, შენ.

ქ უ ქ უ ნ ა. დიტო, ამოიღე ხმა, შე ენა გასაციებელო!

დ ი ტ ო. ჰო, დაეჯდეთ, ესე იგი, აქ და ნაცარი ვქექოთ ჩვენ შენი?!

ა გ ა ბ ო. თქვენ არა, თქვენ აწი გულითაც რომ მოინდომოთ და დღეის ამას იქით მეტი არაფერი აკეთოთ, მაინც არ გამოდგებით, როგორც ხარი კეროდ არ ვარგა, მიწისთვის არც თქვენ...

ლ ა ნ დ ა. ისევ და ისევ ეს ხარები და კეროები! სანამდე გინდათ აქ ეყაროთ და უსმინოთ სისულელეებს?!.

ა გ ა ბ ო. სისულელეებს კამბობ მე?!

ლ ა ნ დ ა. სისულელეს! სისულელეს!

ე უ ე ფ ნ ა. და ის მუცელგაბერძლინებული ქალი დადის არხეინად!

გ ო გ ო ლ ა. დიდუ, თავის მოჭრა, მაგრამ იმ ქალმა იაროს, აბა, რა ქნას.

ა ვ ა გ ო. სირცხვილი, ბუხუტი, სირცხვილი!..

ლ ა ნ დ ა (დურმიშხანს). უთხარი, გააგებინე, რომ ჩვენ აქაურობა გვჭირდება!

დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი. მამა, აბა, როგორ გვჭირდება... მამა.

ლ ა ნ დ ა. არსად, მიწაზე და ბალახზე ფეხის დასადგმელი ადგილი არ გაგვაჩნია, ორი ძირი ხე არა გვაქვს, რომ ჰამაკი გავკიდოთ.

ა გ ა ბ ო (დურმიშხანს). და შენ და შენი ცოლი მოუვლით ჩემს ეზო-გარემოს? შენ გასხლავ ჩემს ვენახს და ეს ქალი ააკრავს? შენ დააყენებ შაბიამნის წამალს? ეს ქალი მოიკიდებს ორფუთიან აპარატს და შეწამლავს? შენ დაამყნი ხეტეტურის კვირტს და ეს წამყენს თავს შეუხვევს? შენ წაიყვან ფერმაში კეროსთან ატეხილ ძროხას და ეს მოწველის?

დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი. მამა, ახლა ასე როგორ... მამა, მაგრამ ჩვენ აქაურობას... ლანდა, აჰ?..

ლ ა ნ დ ა. არაფერს წყალში არ გადავყრით!

ლ ი ტ ო. მამა, შენ რა ვითხარი მე შენ! ჩვენ რაიმეს დამკარგავი ვართ?

ა გ ა ბ ო. არ გადაყრით, მოიხმართ, აჰ!

ი ო ვ ე ლ ი. მამა, როგორც ხდება, საერთოდ, შენ ჩვენზე უკეთესად იცი...

ა გ ა ბ ო. საერთოდ, პარტახდება სოფელი, ბერწდება მიწა. მიდიხართ, წყდებით დედის ძუძუს! წყდებით ლერწს, რომლის მტევანი ხართ და ახმობთ ფესვებს, რომლითაც უნდა ისაზრდოოთ და იხარეთ! აქ რალა ჰამაკში საძინებლად მოგიცლია და რალა ნაჯახით აგიჩეხია ხე და ვენახი...

ლ ი ტ ო. ბოლოს და ბოლოს, შე, მართლა ქვა და რკინა, ისეთ ვიხმეს ძივყიდით, როგორც შენ და კიდევ უკეთესი. ვიდრე შენ.

აგაბო. მიჰყიდით?!.

იოველი. მამა, ნუ გადაირევი ახლა. ჩვენ მოვუვლით, შენი მოგვარე თუ მოკეთე, მიწისთვის ხომ სულ ერთია, თუკი მომვლელი იქნება.

დიტო. სულ ერთია, მამა, რომ იცოდე მაგი შენ!

აგაბო (იოველს). ამის მყიდველი, თუ კარგი მომვლელი და მიწის მკოდნე იქნება, ესე იგი მიწა უნდა ჰყვარებოდა, მიწისაგან უნდა ესწავლა, რომელსაც უპატრონოდ ცოცხალი კი არა მკვდარიც ვერ მიატოვებს. ვინც თავისას მიატოვებს, ჩემი ეზოს პატრონად არ გამოდგება.

ლანდა. გააგებინეთ ამ ადამიანს, რომ არ ვყიდით...

დიტო. ყველაფერი შეიძლება, ჩემო რძალო, მაგალითისათვის ავტომანქანის ფასი მატულობს...

ქუქუნა. ჩუ, ჩაიცივე ენა!

აგაბო (გადაჭრით). არა! ამ ეზო-გარემომ, ამ კერამ და სახლმა, ჩემმა მიწამ და ჩემმა წილმა ცამ უნდა შვას ჩემი პატრონი.

ლანდა. შვასო!..

ქუქუნა. რა შვასო. გენაცვალეთ?!

დურმიშხანი. რაღა დროს შობაა, მამა!

ბოგოლა. ისე, ბავშვი ყოველთვის ბავშვია, იოველ!..

ბუხუტი. გენეტიკურად, მამა, მსგავსი მსგავსს შობს...

დიტო. გაჩუმდი, ბუხუტი, შენ! და მაგალითისათვის... (ბოგოლას.) შენც, ჩემო რძალო! და რომ იცოდეთ თქვენ, ვერაფერი გავიგეთ. როგორც ასეთი...

აგაბო. კი მარა, ისე დაყრუვდით და დაბრმავდით, კიდევ ვერ გაიგეთ, რა გითხარით?

დიტო. ვერა, ვერ გავიგეთ და არ გვინდა, რომ იცოდე შენ, მაგის გაგება ჩვენ!..

ბუხუტი. მამა, უნდა განსჯერიტო, გაგვიგო და დაგვყაბულდე.

დურმიშხანი. მამა, ძვირფასო, მამა...

ლანდა. „ძვირფასო“, „საყვარელო“, „საფიცარო“. ვერ ხედავთ, ვილაც ეზეკიეს ბუზებისთვის აჩენს შვილს და თქვენ ყელში დანას გიყრით?! მართლა და, ერთი გიჟისთვის ქვეყანა ვის აუშენებია, მოდით, მოძებნეთ ის გათახსირებული დედაკაცი!

დიტო. ახლავე აქ, ახლავე... რომ იცოდე შენ!..

აგაბო. იმ ქალთან რა გინდათ, თქვე უღმერთოებო?!

დ ი ტ ო. გაჩუმდი, შე ქალთმოყვარე!

ბ უ ხ უ ტ ი. მამა, სხვანაირად არ იქნება, მამა, ეთიკური ნორმები არსებობს, მამა...

ლ ე ო ნ ი ს ი ა ნ ი. გეღუპაე, მამა, ამოვიგდებ, მამა, ჰაერი გვინდა, მამა, ბალახი გვინდა, მამა!

დ ი ტ ო. თანაც ამორალია მაგი, კოკი და ბუხუტი, რომ იცოდეთ თქვენ!

ა გ ა ბ ო. იოველ!

ი ო ვ ე ლ ი. დაფიქრდი, მამა... რა დროს შენი შეილია, მაროლა ამბ-თანა რამეს აპირებ?

ქ ა ლ ე ბ ი (ლანდას გარდ). მამა, ცოცხლად გკმარხავ?

ა გ ა ბ ო. კი, მარა, მეც ხომ მინდა მომავალი... მეც ხომ კაცი ვიყავი და სამოცდაჩვიდმეტი ჩემი სარგო ქუდი მეხურა. ისე წავიდე, ვითომ არც მიარსებია? ან რომ წავიდე, ასე ვინ გამიშვებს?..

ლ ა ნ დ ა. ნეტავ ვინ აკავებს?

ა გ ა ბ ო. ის, ვინც გამაჩინა!

დ ი ტ ო. ბებია და ბაბუა რა ხანია აღარაა, მაგი არ იცი შენ?

ა გ ა ბ ო. გაჩუმდი!.. ვინც გამაჩინა, აქაა, მე წავალ და ის აქ იქნება. ჩემთვის არც მოსვლა უკითხავს და არც წასვლას მკითხავს. ჩემს ნებაზე რომ იყოს... მომკლა ამდენმა ჯაფამ, ფიქრმა და დარდმა, ახლავე დავკრავ ფეხს და წავალ. წავალ მარა, იქ მისასვლელი პირი ხომ გინდა! მეც ხომ მექნება საფლავი და პატრონი დამჭირდება, ხომ მინდა ცრემლი და გლოვა, სანთელი და საკმეველი. ვენახი ავკრა, სახლს ცეცხლი წავუკიდო და დავწვა? ხარ-ძროხას ყელი გამოვაღრო? ყველაფერი რომ დავაქციო და მიწასთან გავასწორო, მიწას რა ვუყო? მიწას ხომ ვერ დავწვავ და დავკლავ, მიწა ხომ უკვდავია და სამარადჟამო... და ეს ხომ მარტო მიწა არაა, ეს ხომ დედათქვენია, კესარიე, ბაბუათქვენი — გიგო და ბებიათქვენი — რიფსიმე... აქ იმდენი ძვალი აწყვია...

ე უ ე უ ნ ა. რა უნდა, გენაცვალეთ, რატომ არ ეკითხებით? რა ვქნათ, მკვდრები გავაცოცხლოთ?!

ა გ ა ბ ო. არ უნდა თქვენი გაცოცხლება. ისინი ცოცხლებია, ხანამ ამ მიწაზე სიცოცხლეა, სანამ ვენახი ხარობს, სანამ ვაშლი და მსხალი, ალვის ხე და მუხა შრიალებს, სანამ ფუტკარი სანთელს

ამზადებს და მათი სულისათვის ანთებს... (ჩექმას ხელი წაუწია, დიტომ ისევ ფეხი დააღგა.)

დ ი ტ ო. ვერა, მამა, შე ძველო მოქადაგე!

(მკერდში რაღაც დაეტაკა და შეარყია.)

აგ ა ბ ო (იოველს უყვირის). რაო, ფეხს მადგამთ? წიხლით მთელავთ?!

ი ო ვ ე ლ ი. მამა, ფეხს... (დიტოს.) ფეხი, ბიჭო! ფეხი აიღე! მაგრამ ხომ უნდა გაიგო, მამა! (პირგამეხებული აგაბო კარისკენ მიდის, მოულოდნელად წირთხლს მიაწვა, მაგრამ ცალი მკლავით გასასვლელი მაინც გადაღობა.)

ლ ა ნ დ ა. არ გაუშვათ, ახლავე, აქვე გადაუწყვიტეთ, ის ქალიც მოათრიეთ და ამოგლიჯეთ თანხმობა!

დ ი ტ ო. ახლავე, ლანდა, ის ძველი... ახლავე აქ მოვიდეს და დედა-ჩემის წინაშე პასუხი აგოს! (აპირებს წასვლას.) გამიშვი!..

ა გ ა ბ ო. ფეხი, ფეხი არ გაადგა გარეთ, შე ცარიელო კასრო, საითაც გიბიძგებენ, იქით რომ მიგრიხინებ!

დ ი ტ ო. ახლა, შე ძველო დამრტყმელო, მე ნერვები მაქვს თუ არა, როგორ გგონია შენ?

ა გ ა ბ ო. არა, თქვენ არც ნერვები გაქვთ, არც გული, არც სისხლი! იმ საცოდავ ქალთან რა გინდათ? იმ საბრალომ მოგიკლათ დედა, ერთხელაც რომ არ მოგგონებიათ, თუ ძალით შემომიტეხა კარები... თუ თქვენი ცოლებივით თავზე მაზის? ვეტყვი და არ გააკეთებს?

ი ო ვ ე ლ ი. მართალია, ტასია რა შუაშია! შენ, მამა, შენ იცი, როგორც ჯობდა...

ქ უ ქ უ ნ ა. ამდენი ლაპარაკი არაა საჭირო, გენაცვალეთ.

დ ი ტ ო. არ უნდა მაგას ლაპარაკი, რომ იცოდე, შე მართლა... არა ხარ კაი კაცი, მამაჩემო, მე რომ მეგონე შენ!

ა გ ა ბ ო (უყვირის და ხმა უხჩება). ენა ჩაიგდე, შე ცარიელო ჭურო! (კარებს მოასკდება კარპე და შემოანგრევს.)

კ ა რ პ ე. რა ამბავია აქ?! რა აურზაურია, გამისკდა, ნათლია, გული!

დ ი ტ ო. აგერაა კარპეც, რომ იცოდე შენ!

ღ ო რ მ ი შ ხ ა ნ ი. კარპე, ხომ იცი, ჩვენ ერთად ვართ გაზრდილი...

ბ ო ხ ო ტ ი. და ჩვენი ოჯახის აბსოლუტური წევრია, ვიცი მე.

კ ა რ პ ე. აგაბო ბოგვერაძე, შენი ოჯახიდან ხმამაღალი სიტყვა ჯერ არავის გაუგონია. რა დაგემართა, რა ფერი გადევს, კაცო?!

ლ ა ნ დ ა. თქვენ გგონიათ, ძაღლი ძაღლის ტყავს დახევს?!

კ ა რ პ ე. ძაღლი და მამაძაღლი ამ ოჯახში რაღაც არ გვახსოვს...

ლ ა ნ დ ა. ძაღლი, ძაღლი, გარყვნილი და გათახსირებული... ვერა, ვერა, ვერა! ქმრის ისედაც დარბეულ კარიერას, შვილს, სიძეს და შვილიშვილს კახპა და ბოზ ბერძაღლის ხუშტურებს ვერ შევწირავ!..

კ ა რ პ ე. ნათლია! (აგაბოს ეცა, მხარში ამოედგა.) ნათლია, წამოდი, წამოდი, რომ გელაპარაკები მე შენ! ჩემთან წამოდი! წამოდი, არღვევენ მყუდროებას. შემოდიან აგაბო და კარპე.

სურათი მეხუთე

პირველი სურათის დეკორაცია. შუაღამეა, სადღაც მამლები ყივიან და კრუალები არღვევენ, მყუდროებას. შემოდიან აგაბო და კარპე.

კ ა რ პ ე. აგერ დაჯექი, ნათლია, ჭიშკართან და მე მაცალე!

ა გ ა ბ ო. კარპე, წადი, შენ, სახლში წადი!

კ ა რ პ ე. შენ მთლად ხომ არ დაკარგე ჭკუა, ნათლია, სად წავიდე?!

ა გ ა ბ ო. სახლში წადი და დაიძინე.

კ ა რ პ ე. ნათლია! კაცის ფერი არ გაღევს. სად წავიდე, ამღამ კი არა, თუ საჭირო იქნება, შენთვის მთელი კვირა არ მოვსუჭავ თვალს.

ა გ ა ბ ო. რომ ჯეუბნები, ისე ჰქენი.

კ ა რ პ ე. მოდი, კაცო, აგერ დაჯექი! ჩემ თავს გაფიცებ, დაჯექი. (მიუყავს ძელსკამისკენ.) მოითქვი სული, მოვიფიქროთ. იქნებ არც კი აპირებენ რაიმე უსაშველოს...

ა გ ა ბ ო. მაგათ, კარპე, შენ ჩემსავით მაინც არ იცნობ.

კ ა რ პ ე. ისე ვერც ქე გაამტყუნებ კაცი, ნათლია...

ა გ ა ბ ო. ვერ გაამტყუნებს... ჰოდა, წადი ახლა შენ!..

კ ა რ პ ე. მაცალე. ნათლია, ერთ წამას, გავიგებ რას აპირებენ... თუ მშვიდობაა... და თუ მაინცდამაინც მერე წავალ.

ა გ ა ბ ო. მიდი მაშინ, მიაყურე და ახლავე აქ გაჩნდი.

კ ა რ პ ე. აქ იყავი, ნათლია, არ გადამრიო, ფეხი არ მოიცვალო. კარგად არ ხარ, რომ იცოდე... მე ამ წამს... ნათლია! (ჯერ კუტი კარს მიადგება, მაგრამ გადაიფიქრებს, ჭიშკარს სულ გაცდება და ღობეზე გადახტება.)

ა გ ა ბ ო (ფეხზე ხელს მიბმედ იდებს). რაღაცა... აუსნაირი რამე არ მახსოვს... ამაღამ დიდი... უსაშველოდ დიდი რამე უნდა მოხდეს, თუ შეიძლება, შე ირგულო და ვაუტანელო? ურეში რომ გადაბრუნდა და ქვეშ ძოვეევი, მას მერე კი დაუჩენდა... მარა არც ისე უნაირად, რომ მეთქვა, გამაგრდი-მეთქი და არ გაეგონებია. (სძლს და ეზოს აყურადებს.) აგაბო ბოგვერაძე ღმერთი არ გაგიწყრეს და ეს ერთი საუკუნის კაცი ისე არ წახვიდე ამ ქვეყნიდან, მისამართი არ დატოვო. ნურც ის გგონია, მარტო შენი ცხოვრება გაწევს ვალად ამ ბებერ მხრებზე. ვინ იცის, რამდენი საუკუნეა, მოჯახირობს ბოგვერაძეების გვარი, შენ არც დაგიწყია და ვერც დაამთავრებ. ბოგვერაძეები მატიანეებს ქაღალდზე არ წერდნენ, ჩემამდე ჩემ გვარში წერა-კითხვაც არ იცოდნენ. (მიწაზე ფეხი დაჰკრა.) აი, ამაზე წერდნენ თავისი წვალების ისტორიას და ამოდენა საგვარეულო წიგნს, შენ, საფლავში ვინ ჩაგატანს? გამაგრდი, შე გაფუჭებულო ყაძახო!.. მობარებული მგელმა შეინახაო და შენ რა ღმერთის წყრომა გჭირს, ისე გინდა აიბარგო ამ წუთისოფლიდან, მობარებული პატრონს არ ჩააბარო? როდის იყავი ასე უპირული და სიტყვიერ გამტეხი. შენ, ღერულავაში საცხოვრებელს გენდობოდნენ და ახლა ისე მოგედო ბოლო, შენი ულვაშებიან-თმა-წვერიან, ვვარიან-ჯილაგიანად გინდა გადაშენდე და გადაბარსალდე?! გაჭირვებამ იქნება უკადრისი გაკადრებინოს, შენ რომ სხვას გაუწბილებდი, ისეთი რამეც... მარა თუ სხვანაირად არ გამოდის ცხოვრება... შენი წინაპრები სტამბულს, ბაღდადს და ისპაპანს იელიტებოდნენ, აქედან ქისა მიწა მიჰქონდათ და გულზე იყრიდნენ, რომ ეს როგორმე შენთვის გადაერჩინათ... შენ ზედ დგახარ და არ გინდა პატარა უსიამოვნება შეგხვდეს, რომ უპატრონოდ და უმემკვიდრეოდ არ დატოვო? ფეხზე დადექი, რომ გელაპარაკები ეე ეეს, შე ყიამყრალო ბერიკაცო! (წამოდგება, მუხლის ღონეს სინჯავს, ღობეზე კარპე გადმოძვრება.)

კ ა რ პ ე. იჯექი, ნათლია, არ ადგე... (შეშფოთებულია.)

ა გ ა ბ ო. რა ამბავია, კარპე, რას ეპირებენ ის ოხრისშვილები?!

კ ა რ პ ე. ნათლია, მირონის და ზაირების მადლს გაფიცებ, წამოდი ჩემთან, წამოწექი პატარა, ქე მაქვს ის ზედაშეს ღვინო, შეხ რომ გიყვარს და იქ ვილაპარაკოთ.

აგაბო. კარპე, არა ვარ ისედაც ძველებურად და დროს ნუ მაკარგვინებ.

კარპე. ჩემს თავს გაფრცებ.

აგაბო. კარპე!

კარპე. რავა მთლად გაჯიუტდი, შე კაცო... ბაიბური არ ისმის, მარა... ტასიე ყავთ ჩაკეტილი ოთახში.

აგაბო. ჰმ... რა იცი?

კარპე. სახლის გვერდზე რომ ჩავიარე, სლუკუნი მომესმა... ხომ იცი მისი ამბავი, ხმას არ იღებს, იგუდება და ტირის. ნათლია, თუ მთლად გვიანი არ არის და ადამიანს არაფერი მოეწევა, რა ჯანდაბად ვინდა... ახლა თოთო ბოვშვი კი არა, მგონია მომესწრონენ და ისინი არ მინდა...

აგაბო. ის უმცროსი მუტრუკი, მანჭანით რომ გაუშვეს, არ დაბრუნებულა?

კარპე. არ ჩანს, ნათლია...

აგაბო. იმას ელოდებიან...

კარპე. ჯერჯერობით ტასიეს ფშლუკუნის მეტი კრინტი არ ისმის და...

აგაბო (გადაჭრით). კარპე, წადი შენ სახლში!

კარპე. ნათლია!

აგაბო. წადი, რომ გეუბნები, ამ საქმეში შენი გარევა არ ივარგებს... ჩემს გაფუჭებულ საქმეს მე მოვუვლი. შეიძლება მომჭრან, მაგრამ მიწიდან ფესვებიანად ვერავინ ამომგლიჯავს!

კარპე. დაკარგე ჭკუა, ნათლია? ყალყზე შემდგარ რვა ვეშაპს შეხ ერთი, ასი წლის კაცი გაუმკლავდები?

აგაბო. მაცალე, კარპე, ჩემი საქმე მე ვიცი! (ჭიშკარს მიადგება და კარპეს მოწყალეთ ხელს გაუქნევს. აქაურობას გაეცალეო. შეძრწუნებულ კარპეს ფეხები უკან რჩება.)

კარპე. ნათლია... (გადის.)

აგაბო (კუტი კარს აღებს, მაგრამ ეზოში ფეხის შედგმა უჭირს. აქვე მობრუნდება). დაფიქრდი, დაფიქრდი, შე ბერძაღლო, ჩვენი ციხესიმაგრეები ისეთი ნაგებია, მტერი რას დააკლებდა, ისევ ჩვენიანი აღებდა შიგნიდან. მარა ამიტომ ციხეების მშენებლობისათვის თავი კი არ დაგვინებებია. მიდი და ერთი გამძლე ქვა შენც დაადეი. შორს გაიხედე, აგაბო ბოგვერაძე, შორს, თორემ თავის წინ საღამოვს ცხოველიც ქე ხედავს. მიწის გასაჭირს რომ ყვე-

ლა ხედავდეს, მაშინ ქვეყასას რა გაუჭირდებოდა. შენ შენს დანაშაულზე აგე პასუხი და სხვას თავისი ცოდვებისათვის მოაკითხავენ. ან შენ ვინ გკითხავს ასის და ათასის საქმეს, საკუთარი ორი ძირი ვაზისთვის პატრონი ვერ გაგიჩენია... მიდი მიდი! მიდი, რომ გელაპარაკები შენ და აგერ ვარ მე!.. (შედის და კარებს მოხურავს.) შენი სახლის ფანჯრიდან ტასიეს გადძოყვანა კი არა, მტრის ალყაში მოქცეული კოშკიდან დედოფლები ჩამოგვყავდა... ეს ია-ვარდით მოფენილი, დალხინებული ცხოვრება, როდის გქონდა, რომ დღეს მომთხოვე ფუფუნება... მიდი და, რავარც გაძაღლებით გითრევია ეს წუთისოფელი, ახლაც ისე ათრიე... არ ვიცი მე! იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის... ვინც ცოცხალი რჩება. მკედრის სიცილი არ გამაგონია მე!

ფეხაკრეფით მიდის და სახლის გვერდზე, მეორე სართულის ფანჯარას აყურადებს, მერე ნალიის იქით, გადაბელილი ხის უკან გაქრება და შემოაქვს გრძელი კიბე. ოდის გვერდით ფანჯარას ადგამს, თავს შეუძახებს, გულზე ხელს დაირტყამს და მაღლა ადის. ფრთხილად აკაკუნებს... შიგნიდან იღება ფანჯარა და ტასია პირზე ორივე ხელს იფარებს, რომ არ აკივლდეს. აგაბო მკაცრად და დაჯერებულად ანიშნებს, ფანჯრიდან უნდა გადმოხვიდე და კიბეს ჩამოკუეეო. ტასია: ამოდენა მუცლით ამ ვიწრო კიბეზე რა ჩამომიყვანსო. აგაბო: ჩამოდი, მე დაგიჭერ, ნუ გეშინიაო და თვითონ ძირს ეშვება. კიბის ძირს ფეხებს აბჯენს და საფეხურებს ორივე ხელით იჭერს. ტასია გრძელი, საორსულო, ფოფიალა კაბით კიბეზე შიშით და ცახცახით ჩამოდის, მიწაზე ფეხს დაადგამს და ფაცხაფუცხით აქეთ, ჭიშკრისაკენ მოდის. აგაბო კიბეს ცალ მხარეზე იკიდებს. კუტი კართან შეჩერებულ ქალს უახლოვდება.

აგაბო. სად მიხვალ, ტასია?

ტასია. რა ვიცი, მე რატო გოვუჩდი დედაჩემს... სახლში არ გვაყენებენ? თუ, შენ რავა იტყვი, ვერა ვარ კარგად, შე კაცო...

აგაბო. ვინ არ გაყენებს, პირიქით, არსადაც არ აპირებენ შენს გაშვებას.

ტასია. ვაი, მე! ისთედაც რა ჭკუის პატრონი ვარ და ახლა თლათ დავკარგე ი, ერთი ფიორი ჭკუა. შენი ნამეტანი მერიდება, მარა (მუცელზე ხელებს იტაცებს.) რა ვუყო, მაწუხებს რაღაცა...

აგაბო. რაც შენ მაქ გაწუხებს, დიდი სიბრძნე არ უნდა, მაგას შენი ჭკუაც ეყოფა.

ტასია. მარა, ახლა რო მუცელი მომწყვიტონ, შე კაცო... მაინც ხო უნდა ჩამოვიხრჩო თავი და... აიღონ ეგერ ნაჯახი და მთქლეფონ თავში...

ა გ ა ბ ო (უყვავებს). არა, ტასია, შენი მოკვლა და დაღუპვა რომ არ უნდათ, ამიტომ აპირებენ იმის გაკეთებას შენს ასაკში...

ტ ა ს ი ა. ქე მითხრა იმ შენმა, ნამეტანი კაი რაღაცა რო გუყავს, შენს ხანში ძნელიაო.

ა გ ა ბ ო. გეტყოდა, იმათ ჩვენზე მეტი იციან, ტასია.

ტ ა ს ი ა. რავა არ იციან, შე კაცო... მაგი ვთქვი, არ იციან-თქვა? მარა, შე რო დედაჩემს ვეყოლე, არც ის ცხონებული იყო ბოვში. იმიტო იყო, რო ასე ადრე დამაობლა...

ა გ ა ბ ო. მაგი ამათ არ იციან, ტასია, და ჩვენ რომ ვიცით...

ტ ა ს ი ა. რო ვუთხრა, არ დამიჯერებენ?

ა გ ა ბ ო. არ დაგიჯერებენ, არა, იქნებ დაგიჯერონ კიდეც, მარა მაინც შეეშინდებათ, არაფერი მოეწიოსო.

ტ ა ს ი ა. აგაბო, შე კაცო, გადევიტან იცოდე შენ, გადევიტან, სიზმარი ვნახე ისეთი, უსიკვდილოდ გადევიტან.

ა გ ა ბ ო. ვიცი, ტასია, და ამიტომ არ ვაძლევ ნებას. ამიტომ ჩამოგიყვანე...

ტ ა ს ი ა. მაშვინ, საცხა ტყეში დაშმალე და დამტოვე, შვილი მეღირსებოდეს და რავა ვერ გადევიტან.

ა გ ა ბ ო. ტყეში რა გინდა, ტასია?

ტ ა ს ი ა. ტყეში, ტყეში, ხრამში და ჭკვარამში ჩამაგდე, ოღონდა... (ეტყობა, ისევ ნამოტკივდა.) ნამეტანი მიჭირს, თვარა არ გეტყოდი...

ა გ ა ბ ო. თქვი, ტასია, თქვი, რა მოსაღიალია, შე ქალო, ან ისეთი რა გჭირს, რაც ქალს არ დაბარეთია?

ტ ა ს ი ა. ქე ვიცი, მე ჩაგაგდე ამ გაგანიაში. მე მიჭირდა, თვარა შენ ოთხი შვილი გყავს, ღმერთმა გიძღიეროს!

ა გ ა ბ ო. ისა თქვი, რა გინდოდა?

ტ ა ს ი ა. სადაც გინდა, იქ დამტოვე, მარა მთლად ნამეტანი რო გამიჭირდეს, ხმის ამისაწვდენზე იყავი, შე კაცო.

ა გ ა ბ ო. სიტყვა თუ გიშველის, ტასია...

ტ ა ს ი ა. შენ რო სიტყვას იტყვი, შე, ენა ნაკურთხო, კი ვერაფერს გავიგებ, მარა, ვიცი, მისაშველებს...

ა გ ა ბ ო. თუ ვერ გაიგებ, ტასია, ისე გეტყვი, როგორც შენ გინდა.

ტ ა ს ი ა. არა, შე კაცო, შენ როგორც იცი, ისე თქვი... რაცხა, რო არ მესმის, უფრო შეყურება მგონია, ჩემნაირად რო ამბობენ, იგი მეც ქე ვიცი და შენ იმნაირად ამბობ, ხანდახან მგონია, მე რო

ტასიე ვარ, ობოლი, უპატრონო, ბეჩაი, მაგი მაინც ვერ გეიგებსო, ისე რო ბეუბნებოდნენ... რაცხა უნაიროდ... შენ რო მეტყვი... კი არ ვეწყინოს და ტასიე არე ქე ვარ მგონია... უი, შე კაცო, ნამეტანი დამეტაკა ამ გვერდში... თლად გამოვედი სირცხვილ-ნამუსიდან, ხომ? (ჭიშკრისკენ მობრუნდა.)

აგაბო. არა, ტასია, ჭიშკრის გადალმა არ გადახვიდე.

ტასია. რავაც შენ იტყვი, მარა აქანე ნამეტანი გულით რო უნდათ — არაფერი მომეწიოს...

აგაბო. ჩემი ტკივილი, სინდისი და ნამუსი ჩემმა ეზო-გარემომ უნდა დაიტიოს... ესაა ჩემი და ჩემმა ჩემი უნდა შვას...

ტასია. ასეა, ალბათ. შე კაცო, მარა... ასე ფეხზე დგომა მაინც რო მიჭირს...

აგაბო ტასია... (მიიხედ-მოიხედა, ნალიას დაადგა თვალი.) ეს ბეღელია ჩემი...

ტასია. კი, ქე ვიცი, ნალიეა.

აგაბო. თუ დღე და ღამის შრომით, ოფლით და სისხლით რაიმე ჭირნახულს ვიწევდი, ამაში ვინახავდი.

ტასია. კი, ყოლიფერი საჭმელ-სასმელი...

აგაბო. ჭირნახული, ტასია.

ტასია. კი, ჭირნახული.

აგაბო. აქ ვუყრიდი თავს და აქედან ეუმასპინძლდებოდი მტერსაც და მოყვარესაც.

ტასია. კი, აბა, ლუკმას ეს გვაჭმევდა და გვაპურებდა.

აგაბო (ციხე მიდგა). აბი, ტასია! ლები და საბანი თუ ვერ გაკიხერხე, მაქ თივაცაა, ფუჩეჩიც და ბზეც. ვერ ახვალ?

ტასია. კი, კაცო, მაქანე კი არა, ქე კითხარი, წკვარამში და ქვესკნელში წაკალ, ოღონდა ეს არ მომაშორონ, რა დროსია, ისედაც სანაშერიოდ მტკივა.

აგაბო. იმათ ეს არ იციან, რომ გვიანაა...

ტასია. არ იციან, არ იციან და თუ გულით მეინდომონ, ქე უთხარი, აწი გვიანაა-თქვა.

აგაბო. შედი, ტასია, შენ! იმათ რასაც ვეტყვი, მე ვიცი, და მაგათ არ ვეკითხები ჭკუას!

ტასია (ადის კიბეზე). კი იცი აბა, შენ რა არ იცი, მარა... ხანდისხან ეზოში რო გვიარო, სულ რო ხმა არ გამცე, მაინც დიდი იმედია.

აგაბო. არა, ტასია, სულ არ მოგშორდები, აგერ დავჯდები ამ საჩეხ

ჯირკზე და გემუსაიფები. თუმცა ვინმე ბებია ქალი არ ვეძიო?

ტ ა ს ი ა. ვა, შე კაცო, სადღაა ბებია ქალი, სულ ექიმები და ექიმეანა ექიმი კიდო არ მინდა, რა ვიცი, ამას რო რაიმე მომიწიოს და დამიფსოს თვალები... არ ვაგიგონია? უბედურმა ღედაჩემმა — პელაგიამ ჩემზე რო ილოგინა, ხმის გამეემიც არ ყოლია. მამაჩემი მეწისქვილე იყო, ქე იცნობდი, მერე დღეს ჩოუტანეს თურმე ამბავი მესაფქვავეებმა. (შედის ნალიაში.) ეე კარს ქე მიეიხურავ, აგაბო და აპა, შენ იცი, თუ არ გამამხელ!.. ქე მკლავს ეს გასახარელი, მარა კბილს კბილზე დეეიჭერ, სანამ ცოცხალი ვარ, ხმას არ ამეეიღებ.

ა გ ა ბ ო. ნუ გეშინია, ტასია, საქმე საქმეზე რომ მიდგება, მერე, თუ გინდა, სულ იყვირე და იწიკლე.

ტ ა ს ი ა (ხმა ნალიიდან). არა, შე კაცო, სულს რავა დაებერაე და თავს რავა მოვიჭრი, მარა, თუ ისე იქნა საქმე, მერე მე რო გაეძლო და ვაეჩუმდე, ი, ფეხბედნიერი გაჩუნდება?

ა გ ა ბ ო. მაგან, ტასია, იტიროს, მაგას კი არავინ გაუწბილებს, წავალ იქნება ქვეშაგები გაგიხერხო...

ტ ა ს ი ა. არ დამკლა, აგაბო, შენი ხელით, არაფერი გაიგონ. აგერ ხბოსათვის რო ფუჩეჩი გვაქვს, თელათ გაპეტილ ბაშბასაეიოსა... ღინღლიეით თიეაც ქეა აგერ... სიციეე ახლა არაა და ქარი... საზაფხულო ფერმაში, მთის წვერზე ყინვაში, გაბელთილ თიეაზე არ ვეგდე, შე კაცო?.. შენი კარგად ყოფნით, ეს კარი გარედან მაგრად დაკეტე, რაცხა გული მეთანაღრება...

ა გ ა ბ ო. შენ რო გულმშვიდად იყო. ბოქლომიცაა მანდ, ტასია...

ტ ა ს ი ა. კი, ქეა აგერ. ამოდი შენ გახარებას, რავა უღმერთოდ გაგაწვალე... დაადეეი და კლიტე ჯიბეში იქონიე, შე კაცო, ნერავის ანდობ.

ა გ ა ბ ო (ადის კიბეზე. ეჭირს). შენ თუ გინდა, დავადებ ბოქლომს, მარა, ძალიან რომ გაგიჭირდეს...

ტ ა ს ი ა. გამიჭირდება და გამიჭირდეს. ჩვენ ქალები ამიხა ვართ მოგონილი და აპა, რავა გინდა რო ქნა! (აწევის შიგნიდან ბოქლომს.)

ა გ ა ბ ო. მარა, ტასია, ასე ღაკეტილში... ან ვინმე მომხმარი... არ ღეეიღუპოთ... ვინმე... აგერ... აგრაფინე, კარპეს ცოლი...

ტ ა ს ი ა. მე მყავს ე, გასახარელი მუცელში, აგრაფინემ რა ქნას, ვინმე ჩემ საქნელს რაფერ იზამს... ვაი, რავა თლად გამოვეენდი მე უდღეური. რა მიჭირს, აგაბო, იმიტომ მემარტება... კიბე,

კიბე არ დატოვო მიყუდებული, აგაბო!

ა გ ა ბ ო (კეტავს. ჩამოდის, კიბე მიაქვს და სარების და ხარდნების უკან მალავს. მოდის დამძიმებული და ჯირკზე ჯდება). ილაპარაკე, ტასია, ილაპარაკე. გაჭირვებაა, რომ აყვირებს ადამიანს და დაბადებიდანვე ატირებს...

ტ ა ს ი ა. ნამდვილად, შე კაცო, თვარა ტირილს სიცილი არ ურჩევნია?

ა გ ა ბ ო. მანდ, ტასია, ფქვილიანი ნაკლული ტომარია, მიაყარე თივა და მიდევი თავი. ცხონებული მამაშენი მეწისქვილე რომ იყო, მთელი სიცოცხლე ტომრებზე ეძინა.

ტ ა ს ი ა. გაგახარა ღმერთმა, რავა ქე გხსომებია...

ა გ ა ბ ო. კი, ტასია... და ამას გარდაც, ასე ჯობია, რომ ვუკვირდები მე...

ტ ა ს ი ა. რაფრა?..

ა გ ა ბ ო. მანდ, მაგ თივისა, ბზისა, ჩალისა და ფქვილის გარდა, რამდენი რამაა.

ტ ა ს ი ა. კი. აპა, გამოვსებულია აქაურობა.

ა გ ა ბ ო. ლობიოა მანდ.

ტ ა ს ი ა. რავა არა! წითელი, ჭრელი და თეთრი — მამაკალიე ლობიო.

ა გ ა ბ ო. დერგში ყველია.

ტ ა ს ი ა. კი, ორი ხალამი ზაფხულის ყველია ზამთრიზა.

ა გ ა ბ ო. თხილი და ნიგოზი.

ტ ა ს ი ა. ერთი ბათმანი ნიგოზი კიდევ იქნება, ნამეტანი გაძვირდა, ახლობამდე უნდა ვიყოფინოთ.

ა გ ა ბ ო. ჩირია და ჩამიჩი.

ტ ა ს ი ა. ურნების და ლეღვის ჩილაა აგერ, თავზე მიკიდა, შე კაცო, ხელის მიწვდენაზეა. (პაუზა.)

ა გ ა ბ ო. დამღუპა კესარიამ, იმ ნათელდამდგარმა.

ტ ა ს ი ა. გაანათლოს მამაზეციერმა, არ გიზამდა მაგას, აგაბო!

ა გ ა ბ ო. მიქნა, ტასია... ისე, თვალისდასანახავად ძულდა და ორსულობაში ფერ-უმარილი და სუნამო უყვარდა.

ტ ა ს ი ა. დუხი, არა?

ა გ ა ბ ო. დედაჩემისეული ბატის ღინღლის ლეიბი რომ გვაქვს, ფეხმძიმობაში იგებდა. ოთხივე ჩემი ვაჟიშვილი ბუმბულზეა დაბადებული, დუხის სუნსა და ფერ-უმარილში.

ტ ა ს ი ა. ქეც არიან გასახარებლები... უი, აგაბო, აღარ მაქ... უკაცრავად, მარა ლაპარაკის თავი...

აგაბო. ნამეტანი შემოგიტია?
ტასია. შე კაცო, ხანჯლით, გალესილი ხანჯლით დადის მუცელში..
აგაბო (წამოიწია, რაღაცამ დაჭაჩა და ისევ ჯირკზე მიაბა.) რა თქვი, ტასია?
ტასია (ყვნესით). ხანჯლით დადის, შე კაცო, გაბრიალებული ხანჯლით...
აგაბო. მაგ მამაძალი, ამირანი ხომ არაა, ტასია, რავა ატყობ შენ, ა?
ტასია. რომელი, შე კაცო...
აგაბო. დარეჯანისძე, ტასია, ამირან დარეჯანისძე.
ტასია. დარეჯანეს ბიჭს სილოვანი არ ერქვა, შე კაცო?
აგაბო. ჩვენ ბუღალტერ დარეჯანზე კი არ გეუბნები, შე ქალო!
ტასია. აბა, მე კაპირეებული მეტ დარეჯანას ამ ჩვენ სოფელში რო არ ვიცნობ?
აგაბო. არაა ჩვენი სოფლელი... ისე, რატომ, ჩვენი სოფლელიც იყო, ალბათ...
ტასია. მომკალი, აგაბო და არ მაგონდება.
აგაბო. ჰო, არ გეცოდინება, მეც გაგონილი მაქვს.
ტასია. კი ვერ მეეიწამე, რატო მოგაგონდა?
აგაბო. ხანჯლით თუ ხმლით ამირანი დაიბადა და იმიტომ...
ტასია. უი, შე კაცო, ნამდვილი ხანჯლით?
აგაბო. კი, ცოტა მორჩილა იყო, თუარა ხმალი ეკიდა.
ტასია. სასტაული იქნებოდა რაღაცა და, შე კაცო, დედაც სასტაული ეყოლებოდა.
აგაბო. არა, ტასია, პროფესორი და მინისტრი არც დედამისი დარეჯანი იყო, მარა ამირანი კი შვა.
ტასია. ხანჯლით და ნაჯახით არა და ქუდბედით დაბადება კი გამიგონია. ბედი დაყვებოდეს, აგაბო, ბედი და ჩემისთანა საცოდაი არ იქნებოდეს...
აგაბო. არ უნდა, ტასია! მაგ ქუდბედი ოთხიეს დაყვა ჩემს შვილებს და მაგან დამლუპა და ამომავდო მე...
ტასია. უი, შე კაცო, ვერაფერი ვერ გავიგე... მარა რას გეეიგებ... ერთ ხელში ხო გაპრიალებული ხანჯალი უჭირავს და უჭირავს, მეორეში ნაჯახი აიღო და დამიჩეხა გულმუცელი.
აგაბო. გაუძელი, ტასია, გაუძელი, შე ოჯახაშენებულო, მაგია ჩვენი მხსნელი, იცოდე შენ!.. გაუმკლავდი, ტასია, რაფერად გაუმკლავდი!
ტასია. ნამეტანი ღონიერია, დამაქიაქა, შე კაცო! რაცხა მიშველე!

აგაბო (წამოწია. ისევ ვერ ადგა). ნუ გეშინია, ტასია, აგერ ვარ მე!

ტასია. ამას, შე კაცო, მარტო რას დავამაგრებ...

აგაბო. აბა, აბა, ახლავე უნდა მაგას ხელის მოკიდება, მის ჭკუაზე არ აიშვას თავი, თვარა მისი ძმებივით გაშინისტრდება... (სული კბილით უჭირავს.) ისე, რომ იცოდე, მარტო უნდა გაუმკლავდე როგორმე, მე ვერაფერს ვერ მოგეხმარები...

ტასია. ვიცი, იმედია თვარა, ვინ რა უნდა მიშველოს... ნამეტანია, აგაბო, ნამეტანი. ხმას არ ამევიღებდი, თელათ ნამეტანი რო არ იყოს.

აგაბო. ხმალი და ნაჯახი უჭირავს, ხომ არ გაუგდია?

ტასია. აჰ, რავა გეკადრება, იქნევს და იქსევს...

აგაბო. აცალე, ტასია, აცალე, რაც არ უნდა გაგიჭირდეს, აცალე, არ დამღუპო, ხელიდან არ გააგდებინო.

ტასია. შენ დაგანებებს, შე კაცო, ისეა ჩაფრენილი და ისე უმოწყალოდ მჭრის და მჩეხავს...

აგაბო. აცალე, არ გააგდებიო ხელიდან, აცალე!.. (ტასია მიწყნარდა. ბაუზა.) ტასია!

ტასია. ქე მეყურება, აგაბო.

აგაბო. რა ქნა, დაზავდა? არ გაუწყრეს ღმერთი. უკან არ დაიხიოს.

ტასია. ცოტ-ცოტა იმ ჩეხვას მოეშვა, მარა მაინც უსაშველოს მიჩენს.

აგაბო. არ უნდა მოშვებოდა, აქედანვე თუ ჩრდილში ჯდომას მიეჩვია.

ტასია. ჩეიმუხლა, შე კაცო, მარა ლესავს, ლესავს, რავარც შენ გიყურებ და ვიცი აგაბო ბოგვერაძე ხარ, ისე ვიცი ლესავს და უარეს დღეს დამაყენებს...

ღამის მყუდროებაში მანქანის ხმაური ისმის, ჭიშკარს შუქფარები ანათებენ.

აგაბო. ტასია, ამირანს უგდე შენ ყური.

ტასია. ამირანი რომელია, შე კაცო? აღარაფრის თავი აღარა მაქვს...

აგაბო. ამირანი, მაგი უსაშველოს რომ გიჩენს, აცალე და აქეთ რაც არ უნდა მოხდეს... აგერ ვარ მე!

ტასია. ე, გალესა და ახლავეთ დამფატრავს ვიცი, რამეფერად ნუ მიმატოვებ.

აგაბო. მე არსად ფეხის მომცველელი აღარა ვარ... (წამოიწია და ისევ დაჯდა.) აქ რაც არ უნდა მოხდეს, არავის, არაფერს ყური არ უგდო.

ტასია. ვა, შე კაცო, ნაჭერ-ნაჭერ ამქნა და ვიღასი თავი მაქვს. (მანქანა ჭიშკართან ჩერდება.)

ა გ ა ბ ო. არავითარი და არავისი სიტყვა ყურად არ იღო, მაგაზე იქონიე გულისყური. საქმე, ტასია, სანამ საქნარს არ მიაჩვევ, ქალალდი და წიგნი არ მისცე, თორემ როგორც კი წამოიზრდება, ორივეს გაყრის ხელიდან და ჩრდილს მოძებნის...

ჭიშკარში შემოვიდა ბუხუტი და სახლს მიაშერა, მანქანის ხმაზე და შექფარების სინათლეზე, ეტყობა, მათაც გაიღვიძეს, გამოცვივდნენ ნამძინარევი რძლები.

ლ ა ნ დ ა. რა ამბავია, ბუხუტი, სადაა ის კაცი?

ბ უ ხ უ ტ ი. ვერ ჩამოვიყვანე. მთელი შემართება და ყველაფერი, მაგრამ არ ქნა.

ქ უ ქ უ ნ ა. ფული გენაცვალე, უფულოდ ფეხს ვინ გამოადგამს?!

ბ უ ხ უ ტ ი. არაფერმა არ გაჭრა.

ლ ა ნ დ ა. რა ჯანდაბა დაემართა?!

ბ უ ხ უ ტ ი. ცაგო რატომ ვერ ბედავს, თუ კატასტროფის საშიშროება არ იყოსო.

ქ უ ქ უ ნ ა. ახლა, თუ ყველაფერი ჩაუკაკლე?..

ლ ა ნ დ ა. ჭკუიდან შემშლის ეს ხალხი, ჩვენ ეს ვთქვით?!

ბ უ ხ უ ტ ი. არ უნდა მეთქვა? (ცაგოს.) უნდა დამემალა?

ც ა გ ო. ბუხუტი, არ შეიძლება, მოსარჩენადაა ქალი... მე ექიმი ვარ...

ლ ა ნ დ ა. რა მოსარჩენადაა, რა გელანდებათ? მიშვებული აქვს მუცელი სოფლის ტეტია დედაკაცს!

გ ო გ ო ლ ა. ახლა მთლად უსაშველო თუა, რომ იყოს? ბოვშვი მაინც იქნება...

ლ ა ნ დ ა. გაგიჟდი, ქალო, შენ?!

ქ უ ქ უ ნ ა. გოგოლა, გენაცვალე, გძინავს? გაგოფხიზლდი! რას ამბობ, გოგოლა?

გ ო გ ო ლ ა. არა, არა, მარა, თუ არ წამოვიდა ის კაცი... იყოს ბოვშვი...

ლ ა ნ დ ა. ვინ იყოს?! რა იყოს?! (გაცეცხლებული გაბორბის. მისდევს ქუ-

ქუნა, გოგოლა და ცაგოც კიბემდე მიყვებიან. მაღლა აიეანზე ლანდა ჯიბიდან იღებს გასაღებს და კარებს აღებს. ქუქუნა შედის და ანთებს სინათლეს. ეტყობა იქაურობას აქოთებს. კიბეზე წელისწყვეტით ადიან გოგოლა და ცაგოც. პალატიდან ძილმორეული შვილები გამოეფინენ. ჩამორბის გაცოფებული ლანდა, მისდევს ქუქუნა და ეკან მიყვებიან გოგოლა და ცაგო. პირგამეხებული ლანდა ქმარს და მაზლებს შეაჩერდება.)

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. ლანდა, რატომ არ გებრალები, ლანდა...

ქ უ ქ უ ნ ა. დედაკაცი, დედაკაცი არაა არსად!

ი ო ვ ე ლ ი. ორსულმა ქალმა ფრთები გამოისხა? ისე, არ შეიძლებოდა ოთახში ჩაკეტვა.

გ ო გ ო ლ ა. რავა შეიძლებოდა, იოველ?

ჟ უ ჟ უ ნ ა. ჩაკეტილი და ჩარაზულიც არაა არსად, გენაცვალეთ და ისე ვინ გაიჩერდებოდა?!

დ ი ტ ო. მამაჩემო, შე ძველო ქალების გამტაცებელო!

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. არა, ლანდა, როგორ შეიძლება, ლანდა...

ლ ა ნ დ ა. თვალები, თვალები დაითხარეთ და აქ გააჩინეთ. მე ვერ შევწირავ ყველაფერს ამ გარყვნილ-გათახსირებულ ბებერს და

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. ლანდა...

ვერც თქვენს სიყეყეჩეს!

ლ ა ნ დ ა. ეხა ჩაიგდე და ხელი გაანძრიე!

ჟ უ ჟ უ ნ ა. ფანჯარა ღიადაა, გენაცვალეთ...

დ ი ტ ო. ოხ, მამაჩემო, შე ძველო, ცხრაკლიტულის გამტეხო!

ლ ა ნ დ ა. გაანძრიეთ ხელი, სახამ ცეცხლი არ წაძიკიდებია ამ სახლ-კარისთვის და არ დამიწვავს!

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. კი, ლანდა, ჩვენ ახლავე. აქ იქნება, ლანდა... იქ-ენბ რაიმე საჭირო...

ლ ა ნ დ ა. მეორე სართულის ფანჯრიდან არ ხტებიან ორსული ქალები „საჭირო რამეზე", შე თვალდამდგარო და ყურდამდგარო!

(დარბის და დაეძებს, დასდევენ სხვებიც. დაეძებენ სახლში, ზევით, ქვევით, გადიან, შემოდიან. ბოლოს ლანდა სახლის წინ ჩერდება და ელოდება როდის მოიყრიან თავს.)

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. ლანდა...

ლ ა ნ დ ა. წადით ვინმე და იმ, მამათქვენივით გარყვნილ, მის ნათ-ლულთან სახეთ! იქაა თქვენი „მამიკო" და იქა ჰყავს „დედიკოც", თუ იქიდანაც არ გადამალეს!

ი ო ვ ე ლ ი. მამაჩემი კარპეს ასეთ უხერხულობაში არ ჩააგდებს, არ უყვარს თავის საქმეში სხვისი გარევა.

ლ ა ნ დ ა. წაბრძანდი და ნახე, ჩემო მაზლო, თუ „არ უყვარს" და „არ გარია"!

დ ი ტ ო. და იმ კარპემ იცოდეს ჩვენ აქ... მაგისთანებს გავაქრობთ, რომ იცოდეს!

ი ო ვ ე ლ ი. გააქრობ არა, ფეხებს მოჭამ.

ბ უ ხ უ ტ ი. მამაჩემი ისეთი შემართების კაცია, არავის კარებზე არ მიეტუზება.

ლ ა ნ დ ა. ეაშინ აქ ყოფილა და გაჩერებული ხართ!.. აანთეთ სინათ-ლეები, ლამპა, ის მურიანი ჭრაქი იპოვეთ, გაინძერით! (ეუეუნა შერბის, ჭრაქი გამოაქვს.)

გ ო გ ო ლ ა. უი, დედა, ქალი გადმოვარდნილი არ იყოს ფანჯრიდან ბოევში... ბოევში... (გარბის.)

ც ა გ ო. სირცხვილია, ადამიანი არ დავღუპოთ, მე ექიმი ვარ. (მისდევს.) სხვებიც გაკიდებას აპირებენ. ბუხუტი აქეთ წამოვა და ჯირკზე გადამხობილ აგაბოს დაინახავს.

ბ უ ხ უ ტ ი. მამა! (აგაბო ხმას არ სცემს. ყველანი აქეთ გამორბიან.)

შ ვ ი ლ ე ბ ი. მამა! (ისევ არავინ ეპასუხებათ.)

გ ო გ ო ლ ა. მამა, ხომ არაფერი გიჭირს, მამა?!

ც ა გ ო. სად ზის ამ ხნის კაცი?!

გ ო გ ო ლ ა. მამა, რალაცა გიჭირს, მამა! (აგაბო თავს გაიქნევს, არაფერიო.)

ბ უ ხ უ ტ ი. მამა, ამოიღე ხმა, მამა!

დ ი ტ ო (დაადგება თავზე). მამა, შე მართლა ჯირკო, რა გინდა ამ ჯირკზე რომ დაგდებულხარ, შენ!

ლ ა ნ დ ა. ეს ვის რა ჯანდაბად უნდა (დურმიშხანს.) ქალი, ქალი სადაა, (დურმიშხანს.) შე დეგენერატო, რატომ არ ეკითხებით?!

ქ უ ჟ უ ნ ა. ის მუცელგაბერძღინებული დედაკაცი!

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი. სადაა, მამა... ქალი?!

დ ი ტ ო. სადაა, რომ გელაპარაკებით, მამა, ჩვენ შენ, და შენ რომ იცოდე, ჩვენთან ამისთანები არ გაგივა!

ლ ა ნ დ ა. ჰკითხეთ და ჩაგიკაკლავთ, არ გინდათ? მაგრამ აქ რას უზის და დარაჯობს? (შემოურბენს ჯირკს, გადაბელილ ხეს და ნალიას მიადგება.) აქ ერთხელ, ერთი წყვილი ათევდა ღამეს!

(ნალიიდან ტასიას შეკივლება გაისმა. ყველანი გაშეშდებიან.)

ა გ ა ბ ო (ძალას იკრებს). ნუ გეშინია, ტასია, მე აგერა ვარ!

ქ უ ჟ უ ნ ა. ლანდა, გულთმისანი ხარ, ლანდა!

ლ ა ნ დ ა. ახლავე ფიცარ-ფიცარ დაშალეთ ეს ხუხულა და ძირს ჩამოათრიეთ!

ტ ა ს ი ა. — მიშველეთ!

ა გ ა ბ ო. ნუ გეშინია, ტასია, მაგათი აშენებული კი არაა, ასე იოლად დაშალონ.

დ ი ტ ო. რას ჰქვია ვერ დავანგრევთ, შე ძველო მოლალატევ! (შეეარდება ნალიის ქვეშ და ბოძებს ეძაძგურება.) ქვასავითაა, ჩემო რძალო! მოდი აქ. ბუხუტია, პირი რომ დაგიღია, როგორც ასეთი...

ბ უ ხ უ ტ ი (მიდის და ისიც მოსინჯავს). მამაჩემს გენითა აქვს მარადიულობისა და უკვდავების მოწოდება, ამას ძვრას ვერ ვუზამთ.

ქ უ ჟ უ ნ ა. ვერ ახვალთ? გენაცვალეთ, აბა, თქვენ (ბუხუტის და ცაგოს.) მაშინ შეფრინდით?

ცაგო. ბუხუტი, შენ რა გითხარი, როგორ მომქერი თავი...
ბ უ ხ უ ტ ი. აე თუ მამაჩემმა? მე, ჩემი შემართებით, შენი მთხოვნელი ვიყავი?
ცაგო. კაი რა, ბუხუტი, რას მეუბნები, არ გრცხენია, ბუხუტი?
დ ი ტ ო. ბუხუტია, როგორ ადი, შე მართლა გაფუჭებულო, ახლაც ადი, რომ გეუბნები მე შენ!
ბ უ ხ უ ტ ი. ძაშინ კაი ღიად იყო და კიბე მიყუდებული...
დ ო ო ბ ი ს ხ ა ნ ი. კიბე, ლანდა, კიბე უსდა, ვიცი მე!
ლ ა ნ დ ა. შენი თვალის დაფსება იცი ბენ!
დ ი ტ ო. როგორც მაშინ იშოვე, ახლაც ისე იშოვე კიბე, ბუხუტია, რომ გეუბნები მე შენ!
ბ უ ხ უ ტ ი. აქვე იყო, ზედ მიყუდებული, ახლა არსად ჩანს.
ლ ა ნ დ ა. გადაუმალია ამ ბერძაღლს!
დ ი ტ ო. არ ვიცი, ბუხუტია, ძაშინ ახტი, შე ძველო, მამაჩემისნაირო!
ბ უ ხ უ ტ ი. ახლა ამოდენაზე ვინღა ახტება, სადღაა ის შემართება?
დ ი ტ ო. ახვალ, ახვალ, იცოდე შენ! (ყველანი მაღლა არიან შეჩერებული. ქუეანა ჭრაქს მაღლა სწევს.)
ლ ა ნ დ ა. ჰმ, ბერძაღლი, ბოქლომითაც დაუკეტია.
დ ი ტ ო (ყველანი აგაბოს მისცვივდებიან). მამა! ამას ჩვენ მტერი ვერ გვიზამს, მტერი ჩვენ ვერაფერს დაგვაკლებს და იმიტომ, რომ იცოდე შენ!
დ ო ო ბ ი ს ხ ა ნ ი. მამა!..
ბ უ ხ უ ტ ი. მამა, რატომ არ გინდა შენს გენს და მაჯის ცემას გაუგო!
ვ ო გ ო ლ ა (დაიხრება). მამა, აღარ გეყურება, თუ რა გჭირს, მამა!

(ნალიაში ტასიას წყეილი გაისმა, ისევ და ისევ და მეორე ბავშვის ჩხავილი.)

ა გ ა ბ ო. მეყურება, მეყურება, გავი-გო-ნე! (ჩამოცურდება მიწაზე და ჯირკზე მიყრდნობილი, ზედ გადაწყობილი მკლავებით უძრავად რჩება. ახალშობილის ჩხავილი კი ძლიერდება, ყველას ყურებს ჭრის და მუხლს კვეთავს.)
ცაგო. ეს კარგად განვითარებული, ძალზე ნორმალური ბავშვის ტირილია.
ბ უ ხ უ ტ ი (პაუზა). კი... კი...
ვ ო გ ო ლ ა. ბოვში, კი მარა, რაღა ვართ ახლა ჩვენ... (ბავშვის ტირილის ხმას მიჰყვება.) ბოვში, ბოველ!
დ ი ტ ო (აგაბოს მივარდა). დაგვღუპე, მამა, შე ძველო მოღალატე და ვაუტანელო, მამა!

(ყველანი მიცვივდებიან.)

ლ ა ნ დ ა. ოჰ, ეს სიცოცხლით გაუმაძღარი ქოფაკი! მაგის ჩაძაღლებას რომ აღარაფერი ეღირსა!

ქუქუნა. დაგვჭრა, გენაცვალეთ, კისრები და დაგვყარა ასე ყელგამოღადრული, ასეთი მშობელი როგორ უნდა იწამოს ადამიანმა, ასეთი მშობელი?!

დურმიშხანი. სომ უნდა იცოდე, მამა, ჩვენ რა ადგილი გვიჭირავს სასოგადოებაში?

ბუხუტი. რატომ არ იფიქრე, მამა... მაგრამ მაინც ვირტუოზულად...

ბოგოლა. ბოვში... (ნალიას ააშტერდა.) ბოვში, იოველ... (იოველი გადის.)

ბავშვის ჩხავილი იმატებს უკვე არასორმალურად. ღობეზე გადმოსტეგა კარპე. გზადავსა ბოყვირის — სასილია, რა ამბავია შენს თავს, ნათლია! მოვარდება, დაეცემა.

კარპე. სადა ხარ, ნათლია? გამეცი ხმა! (პასუხად ახალშობილის ტირილი ისმის.) ეს რა ხდება? რატომ ხმას არ იღებ, ნათლია? (დიტოს, დურმიშხანს, ბუხუტის.) სადაა აგაბო ბოგვარაძე, სადაა?! ეს ჩხავილი მას უნდა ესმოდეს! სადაა?!

ლანდა. სუ გეშინია, აგერაა. შვილვბის მკელელი შენი ნათლია, ესმის და ტკბება, შესც გაიხარე.

ქუქუნა. აგერაა, აგერაა, ჩვენი ცოცხლად დამმარხველი მამამთილი!

(კარპე შემოსეელთ გაარღეკვს და იბღალვს.)

კარპე. ნათლია! გამოდით აქეთ! (ყველა უხმოდ მიყარ-მოყარა. შემოდის იოველი.) ნათლია, რა გქირს, ნათლია?! რატომ ხმას არ იღებ? ამათი გულისათვის შენ არ გაჩუმდებოდი, ნათლია! რა ღმერთი გაგიწყრა, ამ ჯირკსე რამ დაგაძინა, ნათლია? შენი თვალი და მუხლი რომ არ დაკლილა, ახლა რამ მოგცელა და ძიწაზე ასე მოჭრილ ხესავით რომ დაგაშვავა?!

იოველი. რა ამბავია, კარპე, მამაჩემი აქაა?

კარპე. არა, აღარაა... (ყველანი გოგოლოლსი ისევ მიცვივდებიან.)

ყველანი. მამა, მამა!

კარპე. ვიღაა ეკახით, აღარაა მამათქვენი!.. აღარაა აგაბო ბოგვერაძე! აი, ის, იქ რომ ბღავის, ისაა აქ... ნათლია, გესმის? გესმის, ნათლია?!.. შენ რას წასკიდოდი ამ ეზო-გარეშოდან... (შვილებზე და რძლებზე.) ამათ იქედან წახვიდოდა? დამტირებელი რომ არ გყოლოდა? გეიჩინე პატრონი, ჩაბარე მენი სოფელ-ქვეყანა, უძრაკი და მოძრავი, მკედარი და ცოცხალი და წადი... კაცი იყავი, ნათლია, ჭკუით და გულით საესე კაცი. ყოველთვის, ყველას გვჯობნიდი და ახლაც გვაჯობე... მუდამ ჩვენზე ძეტი იცოდი და ჩვენსე შორს ხედავდი...

ბავშვის ტირილი და კარპეს მოთქმა შვილებს და რძლებს იქიდან ერეკება და უკან-უკან ისევენ, ბოლოს, გოგოლას გარდა, ყველა სახლის წინ გროვდება, ერთანთვში ჩერჩელს და საქმიან მოძრაობას იწყებენ. იოველს შეძოაქვს კიბე, ნალიას აყუდებს და კარპეს ეშველება.

გოგოლაც ქმარს შისდევს, მაგრამ არა... აგაბოს უიმისოდაც პატრონობენ. ბრუნდება ნალიასთან. კიბის ძირში და ელოდება ახალ სიცოცხლეს, ახალ აგაბო ბოგვერაძეს.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ტკბილთა ტკბილ 7

ალი გავოვიდა სალალატოდ 163

ა ნ ე ნ ლ ე ბ ი

სანამ ფრეში გადაარუნდება 300

ძაფსი ფინაბერა და ერთი ფამაკაცი 363

ბუნტი საბუეში 411

გასრულა კაჟიანი თოფით 470

ფრეში გადაბრუნდა 539

ИОСЕЛИАНИ ОТИА ШАЛВОВИЧ

Избранные произведения в 9-х томах

Том II

(На грузинском языке)

Издательство «Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5,
1991

ს. ბ. № 6551

რედაქტორი ნ. იაშვილი
მხატვარი დ. დუნდუა
მხატვრული რედაქტორი თ. შარიფაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზავა
კორექტორი ქ. ქავთარაძე
გამომშვები დ. იამანიძე

გადაეცა წარმოებას 18.05.90. ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.05.91. საბეჭდი ფაღალდი № 1. 60×84 1/16. გარნიტური ვენა ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 35,57 პირ. საღ.-გატ. 35,57 სააღრ.-საგამომც. თაბახი 32,32. ტირაჟი 50.000 შეკვ. № 4204

ფასი 6 მან.

გამომცემლობა „საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს რესპუბლიკის
ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის
ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 33.

Кутаисское полиграфическое производственное объединение
Департамента по печати Республики Грузия
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 33.